საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ძველი ქართული მწერლობის ძეგლები

V

ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი

გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო
ც. ქურციკიძემ

თბილისი
„მეცნიერება“
1983

4 Г
81.2 Гр
09)(47.922)+899.962.1.09
ბ 293

IV საუკუნის ცნობილი მოღვაწის ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ქართული თარგმანი, რომელიც შესრულებულია ეფთვიმე ათონელის მიერ, ქვეყნდება პირველად X—XI სს-ის სამი ხელნაწერის მიხედვით. ტექსტს ერთვის გამოკვლევა და ვრცელი ლექსიკონი. გამოკვლევაში განხილულია ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის ზოგი თავისებურება, აგრეთვე დახასიათებულია თარგმანის ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტური მხარე. ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების ანალიზის საფუძველზე გარკვეულია საქართველოს ისტორიისათვის საყურადღებო საკითხები.

სერიის სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, ქ. ლომთათიძე, ელ. მეტრეველი (მთ. რედაქტორი), ც. ქურციკიძე (პასუხისმგებელი მდივანი), შ. ძიძიგური.

ტომის რედაქტორი ელ. მეტრეველი

ბ $\frac{70202}{\text{М } 607\ (06)—83}$ 111—82 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1983

შესავალი

ათონის სალიტერატურო სკოლის მნიშვნელობა ქართული მწერლობის ისტორიაში სრულიად განსაკუთრებულია. ეფთვიმე ათონელიდან მოკიდებული ათონის ივერთა მონასტერში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ითხზვებოდა და ითარგმნებოდა სასულიერო მწერლობის შესანიშნავი ნიმუშები.

ეფთვიმე ათონელმა, რომელმაც საფუძველი დაუდო შორეული ქალკედონის ნახევარკუნძულზე ქართულ მწიგნობრობას, თავისი თარგმანების დონითაც გამორჩეული ადგილი დაიჭირა თანამოღვაწეთა და თანამოკალმეთა შორის. ეფთვიმეს ბიოგრაფი გიორგი ათონელი, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ დაიწყო ეფთვიმემ მთარგმნელობითი მოღვაწეობა თავისი მამის — იოვანეს რჩევითა და შეგონებით, მასზე, როგორც მთარგმნელზე, წერს: „იგი, ვითარცა იყო ყოველსავე ზედა მორჩილი, მოსწრაფედ შეუდგა ბრძანებასა მისსა (თავისი მამის — ც. ქ.) და იწყო თარგმნად. და ყოველნივე განაკჳრვნა, რამეთუ ეგევითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვჰგონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს“. გიორგი ათონელი იქვე იმის შესახებაც წერს, თუ რა მაღალი აზრის იყო ეფთვიმეს მთარგმნელობით მოღვაწეობაზე ქართველთა მეფე დავით კურაპალატი, რომელსაც ეფთვიმე თავის თარგმანებს უშუალოდ უგზავნიდა: მან „მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატისა, რომელნი-იგი იხილნა რაჲ, ვითარცა იყო მორწმუნე, სიხარულითა აღივსო და ადიდებდა ღმერთსა და იტყოდა, ვითარმედ: მადლი ღმერთსა, რომელმან ჩუენთა ამათ ჟამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა. და ზედაჲსზედა მოუწერნ, რაჲთა თარგმნიდეს და წარსცემდეს“[1].

ეფთვიმეს მამის, იოვანეს, ანდერძში, რომელშიც ეფთვიმეს თარგმანებია ჩამოთვლილი და რომელიც თითქმის უცვლელად აქვს გადმოტანილი გიორგი მთაწმიდელს თავის თხზულებაში „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთვიმესი“, რიგით მეორედ დასახელებულია „სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი“[2]. წინამდებარე გამოცემაში სწორედ იოვანეს ანდერძში მეორე ნომრად დასახელებული ბასილი დიდის „სწავლანი“ ქვეყნდება. ანდერძში პირველად ჩამოთვლილი თხზულებები, როგორც უკვე შენიშნულია, ეფთვიმეს ადრინდელი თარგმანები უნდა იყოს. „სწავლანი“ რომ, მართლაც, ეფთვიმეს ადრეულ თარგმანს წარმოადგენს, იქიდანაც ჩანს, რომ ხელნაწერი Ath 32, რომელიც ამ ტექსტს შეიცავს, 977 წელსაა გადაწერილი — ეფთვიმეს მიერ მთარგმნელობითი მოღვაწეობის დაწყებიდან (ივარაუდება 975—977 წწ.) სულ მალე.

---

[1] ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები... წიგნი II, თბ., 1967, გვ. 61.

[2] იქვე, გვ. 62. იოვანეს ანდერძი იხ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტფ., 1892, გვ. 241.

* * *

ბასილი კესარიელი, სხვანაირად, ბასილი კესარია-კაპადოკიელი, რომელიც თავისი მრავალმხრივი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გამო ბასილი დიდადაც იწოდა, ქრისტიანული ეკლესიისა და მწერლობის ისტორიაში გრიგოლ ნაზიანზელსა და იოვანე ოქროპირთან ერთად თანაბრად ინაწილებს უპირველესი და უდიდესი მოღვაწის სახელს.

ბასილი დიდის ბიოგრაფიას პირველწყაროებზე დამყარებით სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარად აგვიწერენ:[3] ბასილი დაბადებულა 329 (თუ 330) წელს კაპადოკიის ქალაქ კესარიაში (ზოგის ვარაუდით, პონტოს ქალაქ ნეოკესარიაში). მისი მშობლები — მამა, თვითონაც ბასილი, და დედა, ემილია, დიდგვაროვანთა წრეს ეკუთვნოდნენ. ბასილის მშობლების ოჯახებს დიოკლეტიანეს ზეობაში დევნა განუცდიათ: ემილიას მამა მოუკლავთ, ბასილი უფროსის მამა კი თავისი ოჯახით შვიდ წელიწადს იმალებოდა პონტოს უსიერ ტყეში.

ბასილსა და ემილიას ათი შვილი ჰყავდათ: ხუთი ვაჟი და ხუთიც ქალი. ხუთი ძმიდან სამნი ეპისკოპოსები იყვნენ (ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნოსელი, პეტრე სებასტიელი).

ბასილი დიდმა დაწყებითი განათლება მშობლიურ ქალაქ კესარიაში მიიღო, შემდეგ ერთხანს კონსტანტინოპოლში სწავლობდა, ბოლოს კი ათენში გაემგზავრა. აქ მან შეისწავლა ნეოპლატონური ფილოსოფია, რამაც მისი აზროვნების მიმართულებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა. ათენში ბასილი დაუმეგობრდა გრიგოლ ნაზიანზელს (ღმრთისმეტყველს) და ეს მეგობრობა მათ სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვათ.

სამშობლოში დაბრუნებული ბასილი ერთხანს რიტორიკით იყო გატაცებული. მასში ქრისტიანული განწყობილების გაღრმავებას ხელი შეუწყო უფროსმა დამ მაკრინამ, რომელიც ცნობილი იყო თავისი საქველმოქმედო მოღვაწეობით. 358 წლის ახლო ხანებში ბასილი მოინათლა და წიგნის მკითხველად დაინიშნა. ამავე პერიოდში უკვე ასკეტური იდეალით შეპყრობილმა სირიისა და პალესტინის გავლით იმოგზაურა ეგვიპტეში იქაურ ასკეტთა საქმიანობის გასაცნობად. როდესაც უკან დაბრუნდა, მან ასკეტური მოღვაწეობისათვის აირჩია მდინარე ირისის მიდამოები პონტოში, სადაც რამდენიმე მონასტერი დააარსა.

როგორც ბასილის ბიოგრაფები იუწყებიან, მის მიერ დაარსებული მონასტრები იმით გამოირჩეოდა, რომ აქ სხვადასხვაგვარ საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდნენ (მაგ. აჰყავდათ ბავშვები — სხვათა შორის, ორივე სქესისანი—სწავლა-აღზრდისათვის).

---

[3] ბასილი დიდის ცხოვრების ამსახველ პირველწყაროებად ითვლება: გრიგოლ ნაზიანზელის „ცხორებაჲ და შესხმაჲ ბასილისი" (Ath32, H 2251, Ier 14..., PG, ტ. 36); გრიგოლ ნოსელის „შესხმაჲ ბასილისი, ძმისა თჳსისა" (Ath 32, H 2251, Ier 14..., PG, ტ. 46); მისივე, „ცხოვრებისათჳს დისა თჳსისა წმიდისა მაკრინაჲსა" (A 55, A 108, Ier 2..., PG, ტ. 46); ამფილოქე იკონიელის ბასილის ცხოვრება (A19, A 95, A 1103); თვითონ ბასილი დიდის წერილები (PG, ტ. 32); იხ. ამ წერილების მიხედვით შედგენილი ბასილის ცხოვრება: Saint Basile, Lettres, t. I, texte établi et traduit par Yves Courtonne, Paris, 1957, გვ. VII—XXIV ბასილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ იხ. აგრეთვე სხვა ავტორები: Ф. В. Фаррар, Жизнь и труды святых отцов и учителей церкви, II, 1903, გვ. 1—63; Православная богословская энциклопедия, т. III, Петроград, 1902; Bernardi, J., La prédication des pères cappadociens, Paris, გვ. 17—21.

362 წლიდან ბასილი კესარიაში მოღვაწეობს ევსები ეპისკოპოსის გვერდით, როგორც პრესვიტერი. იმავე ბიოგრაფების ცნობით, დიდმა შრომის უნარმა, ასკეტთა და ღარიბთა მიმართ განსაკუთრებულმა მზრუნველობამ, რიტორიკულმა ნიჭმა ძალზე გაზარდა ბასილის გავლენა როგორც სასულიერო პირთა შორის, ისე მრევლშიც. ეპისკოპოსი ევსები ჩრდილში აღმოჩნდა. ამას შედეგად მოჰყვა ეპისკოპოსსა და მის თანაშემწეს შორის განხეთქილება: ბასილი იძულებული გახდა გარკვეული დროით კვლავ პონტოში, თავის მონასტერში, დაბრუნებულიყო.

370 წ., ევსების გარდაცვალების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეპისკოპოსად ბასილი აირჩიეს. ბასილის მოღვაწეობას ეპისკოპოსის თანამდებობაზე ახასიათებენ როგორც მეტად ნაყოფიერს არა მარტო კესარიის ეკლესიისათვის, არამედ მართლმადიდებლობისათვის საერთოდ. ბასილის სახელს უკავშირებენ მთელ რიგ მნიშვნელოვან გარდაქმნებს მართლმადიდებლურ ღმრთისმსახურებაში. მის სახელს უკავშირდება აგრეთვე კესარიის მახლობლად ფართო საქველმოქმედო დაწესებულებების აშენება, სახელმწიფო გადასახადების სამართლიანად განაწილებისათვის ბრძოლა და სხვ. ბასილის თავგანწირვას და მოყვასისადმი დიდ სიყვარულს უხსნია ერთ წელიწადს კესარია მოსალოდნელი შიმშილისაგან. მას იმისთვის, რომ დამშეულები გამოეკვება, თავისი ქონების დიდი ნაწილი გაუყიდია, ხოლო მის მამხილებელ ქადაგებებს იძულებული გაუხდია მდიდრები, შესაწირავი გაეღოთ. ასე რომ, პირველწყაროების მიხედვით, ბასილი, მართლაც, თავისი დროის დიდ საზოგადო მოღვაწედ მოჩანს.

ბასილის სიძლიერეს, როგორც პიროვნებისა და მოღვაწისა, კარგად ახასიათებს იმპერატორ ვალენტისთან ურთიერთობა. ამ უკანასკნელის დიდი სურვილი, კესარიის ეკლესიისათვის თავს მოეხვია არიოზობა (337—378 წწ. არიოზობა აღმოსავლეთის სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენდა), მხოლოდ ბასილის სიმტკიცემ, მისმა ძლიერმა ნებამ დათრგუნა. ბასილი დიდი გარდაიცვალა 379 წელს, 49 წლის ასაკში[4].

როგორც დავინახეთ, ბასილი დიდის ბიოგრაფია, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა დაკავშირებულია პონტოსა და კაპადოკიასთან და ამ რეგიონების ცნობილ ქალაქებთან—კესარიასა და ნეოკესარიასთან, ე. ი. იმ ადგილებთან, რომელთა ძირითად მოსახლეობასაც უძველესი დროიდან (ძველი წ. აღ. II საუკუნიდან მაინც) სხვებთან ერთად ქართველური ტომებიც შეადგენდნენ[5]. ცხადია, ესაა ერთ-ერთი მიზეზი, რომ ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში ბასილის კულტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: ქართული ტრადიცია არც ერთ საეკლესიო მამას (თვით ქართველი მოღვაწეებიდანაც კი) ისეთი დიდი გულისყურით არ ეკიდება და ისეთ დიდ პატივს არ მიაგებს და არც ერთი მათგანი ისე გათავისიანებული არა ჰყავს, როგორც ბასილი.

ბასილის წარმომავლობამ და ქართული ტრადიციით მისი კულტისათვის საგანგებო როლის მიჩენამ ბოლო დროს ქართულ მეცნიერებაში დაბადა აზრი მისი ქართველ მოღვაწედ გამოცხადებისა. ცთუნება არსებობდა და შედეგმაც არ დააყოვნა — გაჩნდა ჰიპოთეზა ბასილი დიდის ქართველობისა[6].

---

[4] 1979 წლის ივნისში ქ. ტორონტოში (კანადა) საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმით აღინიშნა ბასილი დიდის გარდაცვალების 1600 წლისთავი.

[5] Нодар Ломоури, К истории Понтийского царства, часть I, Тб., 1979, გვ. 139.

[6] ელ. ხინთიბიძე, ბასილი დიდის სადაურობისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ. „მოამბე“, 1962, № 3, გვ. 125—151; ელ. ხინთიბიძე, ბიზანტიურ-ქართული ლიტე-

* * *

ბასილი დიდმა, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ახალგაზრდა გარდაიცვალა, მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. მის შემოქმედებას სამ ძირითად ნაწილად ყოფენ: პირადი წერილები, ზნეობრივ-ასკეტიკური ნაწერები და ქადაგებები[7].

წერილებს, რომელთა რიცხვიც ზოგიერთ ფსევდობასილურ წერილთან ერთად 366-ს შეადგენს, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ როგორც თვითონ ბასილი დიდის ბიოგრაფიის შესწავლისათვის, ისე მისი დოგმატიკური მრწამსის გასაცნობად. ამ წერილებში ასახულია ისტორია იდეოლოგიური ბრძოლისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა IV ს-ში ორთოდოქსალურ ქრისტიანობასა და არიოზის მოძღვრების მიმდევართა შორის: ბასილი დიდი ცნობილი იყო, როგორც არიოზული ერესის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი.

ასკეტიკურ თხზულებებში მოცემულია ის ზნეობრივ-ეთიკური წესები და სამონასტრო განრიგება, რომლებიც განაგებდნენ მცირე აზიის იმდროინდელ უდაბნოებში ბერ-მონაზონთა ცხოვრებას.

ქადაგებებში ერთიანდება ბასილის ეგზეგეტიკური, დოგმატიკურ-პოლემიკური და დიდაქტიკური თხზულებები: „ექუსთა დღეთაჲ", „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ", საუბრები სხვადასხვა თემაზე ანუ სხვადასხვა ჰომილიები („თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ" და „სხვადასხვა ჰომილიები" ერთად ბიზანტიურ ლიტერატურაში τὰ ἠθικά-ს სახელწოდებითაა ცნობილი), აგრეთვე არიოზული ერესის ცნობილი წარმომადგენლის ევნომიოსის წინააღმდეგ მიმართული თხზულებები.

ბერძნულ ენაზე დღეისათვის ბასილის თხზულებათა შემცველ ხუთასამდე ხელნაწერს ითვლიან. მისი ნაწერების ბეჭდვა სრული სახით უკვე XVI საუკუნიდან დაუწყიათ. საუკეთესოდ ითვლება გარნიე-მარანის გამოცემა, რომელიც დაიბეჭდა პარიზში სამ ტომად (1721, 1722, 1730 წწ.). პირველი ორი ტომი გამოსცა გარნიემ (J. Garnier), ხოლო მესამე (რაკი გარნიე 1725 წ. გარდაიცვალა) — მარანმა (P. Maran)[8].

Patrologia graeca-ში ბასილი დიდის თხზულებათა ბერძნულ-ლათინური ტექსტები 29—32-ე ტომებადაა შესული. ისინი აქ გადმობეჭდილია სწორედ გარნიე-მარანის გამოცემიდან (სულ მცირეოდენი ცვლილებებით)[9].

* * *

ქართულ ენაზე ბასილი დიდის თხზულებათა თარგმანები უძველესი დროიდან არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ამ თარგმანების სრული ბიბლიოგრაფია ჯერჯერობით არა გვაქვს, მიახლოებით მაინც დადგენილია მათი რაოდენობა, შეს-

---

რატურული ურთიერთობანი, თბ., 1969, გვ. 56—91; გ. გოზალიშვილი, ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან, თბ., 1965, გვ. 29—105. გ. გოზალიშვილი ქართველად მიიჩნევს კაპადოკიელ მეორე დიდ მოღვაწეს გრიგოლ ნაზიანზელსაც (იქვე). აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე, ოღონდ რაიმე საბუთების მოხმობის გარეშე, ბასილი დიდის ქართველობა ივარაუდა პ. კარბელაშვილმა. იხ. მისი: „ქართული საერო და სასულიერო კილოები", 1898, გვ. 26.

[7] S. Y. Rúdberg, Études sur la tradition manuscrite de saint Basile, Lund, 1953, გვ. 11—12.

[8] გარნიე-მარანის გამოცემამდე ასახელებენ შემდეგ გამოცემებს: ჰააგის (1528 წ.), ბაზელის (1532 წ.), ვენეციის (1535 წ.), ისევ ბაზელის (1551 წ.), პარიზის (1618 წ.).

[9] S. Y. Rudberg, Études,.. გვ. 14.

რულების დრო და ხელნაწერებში გავრცელება.[10] ოღონდ არ შეიძლება, ხაზი არ გაესვას იმ გარემოებას, რომ ბასილის თარგმანები ძველ ქართულ მწერლობაში ე. წ. ათონურ პერიოდამდე საგრძნობლად მცირეა. ასე მაგალითად, „მრავალთავებში", რომლებშიც ცნობილი საეკლესიო მამების იოვანე ოქროპირის, ეფრემ ასურის და სხვათა თხზულებები საკმაოდ მრავლად დასტურდება, ბასილი დიდის სახელით მხოლოდ ექვსი საკითხავია შესული.

1. „სინანულისათჳს — სასოებაჲ ცხორებისაჲ უწესს მონანულთა..." (A 1109, 57r-64r; A 95, 233v-240 v).
2. „ამისთჳს, მამაო, უკუეთუ ჯერ-არს, თანა-წარმჴედინ სასუმელი ესე — არაჲთ დაკლებულ არიან მოძღუარნი ეკლესიათანი..." (A 144, 21v-26v).
3. „საკითხავი — ერთი ღონისძიებაჲ ესეცა დიდ არს"... (A 19, 154v).
4. „ქალწულებისათჳს — არა ცუდად რაჲმე იყო მოსლვაჲ მაცხოვრისა ჩუენისაჲ სოფლად..." (Ath 11, 288r-289r; A19, 233r-234r; A 95, 194v-195v).
5. „მარხვისათჳს — ნესტუსა დაეცით თავსა თუეთასა ახალსა"... (A 1109, 51v-56v; A 95, 240v-247r; Ath11, 290v-291r-292v).
6. „წმიდათა ორმეოცთათჳს, რომელნი სებასტიას ქალაქსა იწამნეს — მარტჳლთა ჴსენებითა ვინმემცა განძღა მოწამეთმოყუარე..." (Sin 32-57-33, 109v-119v; A 95, 217v-223r)[11].

ამ ექვსი საკითხავიდანაც ორის მიმართ ბასილის ავტორობა ეჭვის ქვეშაა დაყენებული: საკითხავი „სინანულისათჳს" A 95 ხელნაწერში მელეტი ანტიოქელის სახელითაა შეტანილი, ხოლო საკითხავს „ქალწულებისათჳს" A 19 და A 95 ხელნაწერებში ავტორად იოანე ოქროპირი უზის.

ე. წ. ათონურ პერიოდს უსწრებს აგრეთვე „ექუსთა დღეთაჲს" და მეორე წერილის ძველი თარგმანები. მაგრამ მათ კვალს მომდინარეობის თვალსაზრისით არაბულ წყაროსთან მივყავართ. ასე რომ, IX ს-ზე ადრე ამ ორი თხზულების თარგმნაც არ ივარაუდება.[12]

ბასილი დიდის სახელითაა ძველ ქართულ ხელნაწერებში შესული „ფიზიოლოგი", რომელსაც „მჴეცთათჳს სახისა სიტყუაჲ" ეწოდება[13], და ორი „სწავლანი": „სინანულისათჳს და სიკუდილისა — არა არს საშინელ კაცთა მბრძოლთათჳს არცა მახჳლი..." და „შურისათჳს და სახჱ სინანულისაჲ მორწმუნეთათჳს — ვითარცა-იგი რაჲ ორბი სპეტაკი იპოების..."[14], მაგრამ არც „ფი-

[10] კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, V, თბ., 1957, გვ. 17—22.

[11] ამ ტექსტის შემცველი მესამე ხელნაწერის — ლენინგრადული პალიმფსესტის შესახებ იხ. ილია აბულაძე, შრომები, I, გვ. 93.

[12] უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა" და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს", X—XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1964, გვ. 20. ნ. ქაჯაია, ბასილი კაპადოკიელის მეორე ეპისტოლის ქართული თარგმანები: მრავალთავი, X, 1982, გვ. 142. რ. გვარამია, ბასილი კაპადოკიელის მეორე ეპისტოლეს არაბული ვერსია და მისი მიმართება ადრეულ ქართულ რედაქციასთან: მრავალთავი, X, გვ. 146—153.

[13] შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 175—190.

[14] მამათა სწავლანი, X და XI სს-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 138—161.

კრებული „მამათა სწავლანი" ქართულად არაბულიდან მომდინარედ ითვლება. მისი არაბული შოდელის შესახებ იხ. B. Outtier, Les enseignements des péres, un recueil géorgien traduit de l'arabe: Bedi Kartlisa, Revue de Kartvélologie, vol. XXXI, Paris, 1973, გვ. 36—47.

ზიოლოგი“ და არც აღნიშნულ „სწავლათა“ ტექსტები დღესდღეობით ბასილი დიდის ნაწერებში არ იძებნება.

ბასილი დიდის თხზულებათა თარგმნა ინტენსიურად ეფთვიმე ათონელის დროიდან იწყება. თვითონ ეფთვიმე, გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი ქართული მწერლობის ამ ხარვეზს დიდი გულმოდგინებით ავსებენ. ამ პერიოდში ითარგმნა „ითიკა“ თავისი ორივე შემადგენელი ნაწილით — „სწავლანი“ და „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“ (ეფთვიმე ათონელი), „ასკეტიკონი“ (პროკოპი მღვდელი, ეფრემ მცირე, ანონიმი მთარგმნელი, უფრო მოგვიანებით, XVII ს-ში, იოსებ კანდელაკი)[15], ბასილის 30-ზე მეტი პირადი წერილი (ეფთვიმე ათონელი, გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე), „სწავლათა“ ტიპის სხვადასხვა თხზულებები (გიორგი ათონელი, არსენ იყალთოელი), კვლავ ითარგმნა „ექუსთა დღეთაჲც“ (გიორგი ათონელი) და ბასილის მეორე წერილიც (ეფთვიმე ათონელი, ეფრემ მცირე).

ბასილი დიდის თხზულებათა ქართული თარგმანებიდან დღეისათვის შესწავლილი და გამოქვეყნებულია „ექუსთა დღეთაჲ“ — მისი როგორც ძველი, ისე გიორგისეული რედაქციები. ისინი სათანადო გამოკვლევებითურთ გამოსცეს ილია აბულაძემ[16] და მიხ. კახაძემ.[17] სხვა თხზულებების პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია „სწავლათა“ ორი ჰომილიის პუბლიკაცია: „ჴსენებაჲ წმიდათა ორმეოცთაჲს“ ძველი, ეფთვიმემდელი თარგმანი („წმიდათა ორმეოცთათჳს“), რომელიც დაცული აქვს „სინურ მრავალთავს“, შევიდა „სინური მრავალთავის“ გამოცემაში,[18] ხოლო „დაწყებისათჳს სოლომონის იგავთაჲსა“ ეფთვიმესეული თარგმანი, როგორც იოვანე პეტრიწის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობის წყარო, H 2251 ხელნაწერის მიხედვით გამოაქვეყნა თორნიკე ჭყონიამ[19]. ახლახანს გამოქვეყნდა ბასილის მეორე ეპისტოლის ქართული თარგმანები და 115-ე პისტოლის გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანი[20].

რაც შეეხება ბასილი დიდის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების კვლევას, აქ ზოგი რამ გაკეთებულია: ასკეტიკონის ანუ „სამოღვაწეო წიგნის“ რედაქციებს საგანგებო მონოგრაფია უძღვნა ელ. ხინთიბიძემ,[21] ხოლო ქართული „ითიკის“ შედგენილობა ასევე საგანგებო (სადი-

---

[15] გამოყოფენ აგრეთვე „ასკეტიკონის“ ეფთვიმესეულ თარგმანსაც: J. Gribomont, Histoire du texte des Ascétiques de S. Basile, Louvain, 1953, გვ. 80. ასკეტიკონის ქართული რედაქციების შესახებ იხ. ელ. ხინთიბიძე, ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები, თბ., 1968, გვ. 53—188.

[16] უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“...

[17] ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II (25), თბ., 1947.

[18] სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 115—123.

[19] თ. ჭყონია, იოანე პეტრიწის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობის ახალი წყაროს შესწავლისათვის: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბ., 1965, გვ. 88—116.

[20] ნ. ქაჯაია, ბასილი კაპადოკიელის მეორე ეპისტოლის ქართული თარგმანები...; მისივე, ბასილი კაპადოკიელის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან: მრავალთავი, IX, 1981, გვ. 21—27.

[21] ელ. ხინთიბიძე, დასახ. ნაშრომი.

სერტაციო) ნაშრომში გაარკვია ნ. ცოფურაშვილმა[22]. საერთოდ კი ბასილი დიდის მრავალფეროვანი შემოქმედების ქართული თარგმანები შესწავლასა და გამომზეურებას მომავლისათვის ელოდება.

ჩვენ მიერ გამოსაცემად მომზადებული „სწავლანი“ ბასილი დიდის იმ ქადაგებათა კრებულია, რომელთაც სამეცნიერო ლიტერატურაში „სხვადასხვა ჰომილიებს“ ან „სხვადასხვა თემაზე საუბრებს“ უწოდებენ. ეს ქადაგებები ცალკე კრებულების სახით დაცულია Ath 32 (977 წ.), H 2251 (994-1001 წწ.), და Ier 14 (1055 წ.) ხელნაწერებში. სულ 21 ჰომილიაა. მათგან უფრო ძველი, ეფთვიმემდელი, თარგმანი ორისა არსებობს (ზემოხსენებული „მარხვისათჳს თავი ა“ და „შესხმაჲ წმიდათა ორმეოცთაჲ“), დანარჩენი 19 ჰომილია მხოლოდ ეფთვიმეს თარგმანით დასტურდება. ეს ფაქტი, ცხადია, ეფთვიმეს თარგმანის ღირებულებას კიდევ უფრო ზრდის.

ბასილი დიდის „სწავლათა“ შემადგენელი ჰომილიები სხვადასხვა დროს დაწერილი სხვადასხვა შინაარსის თხზულებებია[23]. მათი ერთი ნაწილი დოგმატიკის საკითხებს განიხილავს, სხვები კი უმეტესად მორალის თემას ეხება. ეს ჰომილიები ძირითადად მართლმადიდებლური ქრისტიანული დოგმების მრევლში გავრცელებასა და შესაბამისად იმდროინდელი საზოგადოების ზნეობრივ წვრთნას ისახავდა მიზნად. თუმცა მათში მოცემული დიდაქტიკა ბევრ შემთხვევაში ისეთია, რომ თავის აქტუალობას ყოველი დროისათვის ინარჩუნებს. ჰომილიათა უმეტესობაში გაკრცხულია ისეთი მანკიერი მხარეები, როგორიცაა შური, სიხარბე, უმადურობა, ლორმუცელობა, სიმთვრალე, ანგარება, ლტოლვა სიმდიდრის დაგროვებისადმი და სხვ. მაღალმხატვრული ენით შესრულებული ბასილის „სწავლანი“ გამოირჩევა აზრის ხატოვანი გადმოცემით და დღევანდელ მკითხველშიც ძლიერ ემოციებს იწვევს.

სავსებით კანონზომიერია, რომ ეფთვიმემ, ქართველი ხალხის ზნეობრივი სიკეთისა და სიმრთელის დიდმა მოჰირისუფლემ, ბასილი დიდის თხზულებებიდან სათარგმნელად, პირველ რიგში, სწორედ დიდაქტიკური „სწავლანი“ აირჩია.

---

[22] ნ. ცოფურაშვილი, ნარკვევი ქართულ-ბიზანტიური ლიტრატურული ურთიერთობის ისტორიიდან (ბასილი კაპადოკიელის „ითიკა“), 1974 (მანქანაზე გადაბეჭდილი). ქართული „ითიკის“ შედგენილობის შესახებ იხ. აგრეთვე: კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, V, 1957, გვ. 17—19; ელ. ხინთიბიძე, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი... გვ. 115—118.

[23] ჟ. ბერნარდი იძლევა ბასილის ზოგიერთი ჰომილიის დათარიღების საინტერესო ცდას ამ ჰომილიათა შინაარსის ბასილისავე ბიოგრაფიის ცალკეულ მომენტებთან დაკავშირების გზით. ასე მაგ., ჰომილია „შურისათჳს“, ჟ. ბერნარდის აზრით, უნდა უკავშირდებოდეს ბასილის უსიამოვნებას კესარიის ეპისკოპოს ევსებისთან, „რომელი თქუა ჟამსა სიყმილისა და უწჳმროებისასა“ დაწერილი უნდა იყოს 369 წელს ზაფხულის გვალვასთან დაკავშირებით, „ექუსთა დღეთათჳს“ ნაქადაგები ჩანს ბასილის სიცოცხლის ბოლო წელს, სიკვდილის წინა ერთ კვირაში და სხვ. (La prédication des péres cappadociens, გვ. 55—88).

ხელნაწერები

ბასილი დიდის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი ზემოხსენებული სამი უძველესი ხელნაწერის მიხედვით ქვეყნდება: Ath 32, H 2251 და Ier 14.

1. ათონური ხელნაწერი (ბლეიკის აღწერილობის მიხედვით № 82, ალ. ცაგარლის აღწერილობით № 49[24]), რომელიც საფუძვლად ედება ამ გამოცემას, გადაწერილია ათონზე და დღემდე იქვე ინახება. ხელნაწერი (თუ ამ რამდენიმე წლის წინათ მიღებული მიკროფირების მიხედვით ვიმსჯელებთ), კარგადაა დაცული. გადაწერილია კალიგრაფიული ნუსხურით საბას მიერ 977 წელს. ეს ხელნაწერი უნიკალურია, როგორც ათონზე გადაწერილ ხელნაწერთაგან ყველაზე ძველი. შედგება 313 ფურცლისაგან, შეიცავს 27 საკითხავს. მათგან ბასილი დიდის ჰომილიაა 21.

1. თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისი მარხვისათჳს (58r-68r).
2. მარხვისათჳსვე თავი მეორე (68r-74v).
3. სიტყჳსა მისთჳს მოსე წინაჲსწარმეტყუელისა, რომელსა იტყჳს, ვითარმედ: „ეკრძალე თავსა შენსა“ (75r-84v).
4. მადლობისათჳს (85r-94v).
5. ივლიტა მოწამისათჳს და ნაკლულევანებისათჳს პირველ თქუმულისა მის თავისა და მადლობისათჳსვე (94v-107r).
6. ვითარმედ: „არა არს ღმერთი მიზეზი ბოროტთაჲ“ (107r-119r).
7. მრისხანეთათჳს (119r-128r).
8. შურისათჳს (128r-135r).
9. სიტყჳსა მისთჳს ლუკაჲს სახარებისა, რომელი იტყჳს მდიდრისა მისთჳს, ვითარმედ: „დავარღჳნე საუნჯენი ჩემნი და უდიდესნი აღვაშენნე“ და ანგაჰრებისათჳს (135r-143r).
10. მდიდართა მიმართ (143r-155r).
11. რომელი თქუა ჟამსა სიყმილისა და უწჳმროებისასა (155r-165v).
12. დაწყებისათჳს სოლომონის იგავთაჲსა (165v-182r).
13. წმიდისა ნათლისღებისათჳს მათდა მიმართ, რომელნი-იგი გჳანად ნათელ-იღებდეს... (182r-192v).
14. სარწმუნოებისათჳს წმიდისა სამებისა (192v-198r).
15. თქუმული დაწყებისათჳს იოვანეს სახარებისა, ვითარმედ: „პირველად იყო სიტყუაჲ“ (198r-203r).
16. სულისა წმიდისათჳს (203r-208v).
17. შესხმაჲ წმიდათა ორმეოცთაჲ (208v-217v).
18. მომთრვალეთათჳს, რომელი თქუა შემდგომად აღვსებისა დღითა ერთითა (217v-226v).

---

[24] R. P. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au Mont Athos, Paris, 1932—34, გვ. 150—155. А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. первый, СПб, 1886, გვ. 82.

19. რომელი თქუა ლაკიზეს შინა ქალაქსა (227r-234r).

20. სიმდაბლისათჳს (234r-241v).

21. არაშექცევისათჳს საქმეთა სოფლისათა და ცეცხლისა მისთჳს, რომელი შეედვა მაშინ კესარიელთა ქალაქსა (241v-253r).

დანარჩენი ექვსი საკითხავი ბასილს არ ეკუთვნის. ესენია:

1. ცხორებაჲ და შესხმაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილისა ბასილისი (1v-47v).

2. შესხმაჲ წმიდისა და დიდისა ბასილისი, ძმისა თჳსისა (48r-58r).

3. შესხმაჲ წმიდათა მაკაბელთაჲ (253r-263r).

4. შესხმაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი (263r-278v).

5. პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა ამაღლებისათჳს (278v-285r).

6. მიცვალებისათჳს ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა (285r-313r).

„ცხორებაჲ და შესხმაჲ ბასილისი" და „შესხმაჲ მაკაბელთაჲ" გრიგოლ ღმრთისმეტყველის (ნაზიანზელის) თხზულებებია, „შესხმაჲ ბასილისი, ძმისა თჳსისა" გრიგოლ ნოსელს მიეკუთვნება, ხოლო საკითხავების „შესხმაჲ წმიდისა გიორგისი", „ჯუარისა ამაღლებისათჳს" და „მიცვალებისათჳს ღმრთისმშობელისა" ავტორად ანდრია კრიტელი მიიჩნევა[25].

Ath 32 ხელნაწერში არაბასილისეული თხზულებები ბასილის ჰომილიებისაგან გამიჯნულია: პირველი ორი („ცხორებაჲ ბასილისი" და „შესხმაჲ ბასილისი") ხელნაწერის დასაწყისშია მოთავსებული (1v-58r), დანარჩენი ოთხი კი — ხელნაწერის ბოლოს (253r-313r).

Ath 32 ხელნაწერს რამდენიმე ანდერძი ერთვის. ამ ანდერძებში მთარგმნელი ეფთვიმე, გადამწერი საბა, „წმიდისა ამის წიგნისა" მომგებელი იოვანე (ეფთვიმეს მამა), იოვანე თორნიკ ყოფილი და მათი „სულიერნი ძმანი": არსენი, თეოდორე (თ̃ე) და გიორგი არიან მოხსენიებული.

პირველი საკითხავის ბოლოს (47v) ეფთვიმეს ანდერძია:

„წმიდანო მამანო, რომელნი ამას იკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთიმესთჳს, რომელმან ესე ვთარგმნე, და ღმრთისათჳს, ვინცა გარდასწერდეთ ამას, დაწერეთ ჩემიცა სახელი და ნუ აღმომჴოცთ მეცა გლახაკსა, რამეთუ ამისთჳს თავს-მიც ფრიადი შრომაჲ".

ეფთვიმეს მეორე ანდერძი მოთავსებულია მეორე საკითხავის ბოლოს:

„ღმერთმან დაგაჯეროს, წმიდანო მამანო, რომელნი ამას იკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ ცოდვილისა ეფთიმესთჳს, რომელმან ესე ვთარგმნე და უფროჲსად წმიდისა მამისა ჩემისა იოვანესთჳს, რომელმან იხარკა განსწავლაჲ ჩემი, რაჲთა უფალმან თქუენცა მადლი მოგანიჭოს, წმიდანო ღმრთისანო" (58r).

ხელნაწერის ბოლო ფურცელზე (313r) ერთმანეთს მოსდევს საბას და იოვანეს ანდერძები:

„ქ̃ე, ადიდე სულითა მამაჲ იოვანე და შვილი მათი სულიერი ეფთიმე, ამისი თარგმანი. და მეცა შემიწყალე გლახაკი საბა, ამისი უცბად მწერალი. ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო".

---

[25] „მიცვალებისათჳს ღმრთისმშობელისა" ბასილი დიდის კუთვნილებად იყო მიჩნეული (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, V, გვ. 21). ეს თხზულება რომ ანდრია კრიტელს ეკუთვნის, ბ ე რ ნ ა რ უ ტ ი ე მ მიგვითითა (შდრ. PG, 97, გვ. 1072—1089).



Ath 32 ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდი

„სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, ძლიერებითა ცხოველისა პატიოსნისა ჯუარისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა. მეოხებითა წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისაჲთა და წმიდისა იოვანე მახარებელისაჲთა და წმიდათა მოციქულთა და მღდელთმოძღუართა და წმიდათა მამათაჲთა და მეოხებითა და წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისითა მე, იოვანე, ღირს ვიქმენ მოგებად წმიდისა ამის წიგნისა, რომელი თარგმნა შვილმან ჩემმან ეფთიმე ბერძულისაგან, და შრომაჲ დიდი ვაჩუენეთ ამას ზედა საჴსენებელად სულისა ჩუენისა. აწ ვინცა მიემთხჳნეთ წმიდათა ამათ სიტყუათა ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისთა, განმანათლებელთა სულისათა, ღმერთმან დაგაჯეროს, ლოცვასა მოგჳჴსენენით: მე, იოვანე, და სულიერად და ჴორციელად ძმაჲ ჩემი იოვანე, თორნიკ ყოფილი, და შვილი ჩემი ეფთიმე, რომელმან თარგმნა ესე, და სულიერნი ძმანი ჩუენნი არსენი, თ~ე და გ~ი. და თქუენ კუალად სასყიდელი მოგანიჭა უფალმან. დაიწერა მთასა წმიდასა ათონას, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა. მონასტერსა წმიდისა იოვანე მახარებელისასა, ინდიკტიონსა ე. დასაბამითგანთა წელთა [ხჳპე]“[26].

ყუელა ეს ანდერძი ხელნაწერის გადამწერის. საბას, ხელითაა დაწერილი. ეფთვიმესა და იოვანეს ანდერძებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ისინი ამ ხელნაწერისათვის კი არ არიან შედგენილნი. არამედ გადმოტანილი ჩანან სხვა ხელნაწერიდან. ალბათ. ეფთვიმეს ავტოგრაფული ნუსხიდან.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, Ath 32 და H 2251 ხელნაწერებს ერთმანეთთან უშუალო კავშირი არა აქვთ, ერთმანეთს არ იცნობენ და ერთი მეორისაგან არ მომდინარეობს, ეფთვიმეს პირველი ანდერძი კი, რომელიც Ath 32 კრებულს პირველი თხზულების ბოლოს (47v) ერთვის, სიტყვასიტყვით ემთხვევა H 2251 ხელნაწერში იმავე პირველი თხზულების ბოლოს (46v) დართული ანდერძის დასაწყის ნაწილს. ცხადია, ამ ანდერძების წყაროდ ორივე ხელნაწერისათვის ეფთვიმეს ავტოგრაფული ნუსხა უნდა ვიგულისხმოთ.

H 2251 ხელნაწერი ნაკლულია, აკლია თავშიც, შუა ნაწილშიც და ბოლოშიც. დღეისათვის იგი 419 ფურცლისაგან შედგება. აქვს როგორც რვეულებრივი, ისე ფურცლობრივი პაგინაცია. რვეულებრივი ათვლა ფურცლებისა ხელნაწერის თანადროულია, ფურცლობრივი კი ჩვენი დროისაა, გაკეთებულია მას შემდეგ, რაც ხელნაწერი დაზიანებულა და ფურცლები დაკლებია.

H 2251 ხელნაწერში სულ 26 საკითხავი დადასტურდა. მათგან ბასილი დიდის ჰომილია 19-ია, დანარჩენი შვიდი სხვა ავტორთა (გრ. ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელის და ანდრია კრიტელის) თხზულებებია. ზემოთ ჩამოთვლილი არაბასილისეული ექვსი საკითხავის გარდა, რომლებიც Ath 32-ში გვქონდა, აქ აღმოჩნდა კიდევ ერთი — გრიგოლ ნაზიანზელის ნათლისღების საკითხავი. Ath 32-ისაგან განსხვავებით H 2251 ხელნაწერს აკლია ბასილის ორი ჰომილია — „სულისა წმიდისათჳს“ და „შესხმაჲ წმიდათა ორმეოცთაჲ“ H 2251 ხელნაწერში საკითხავების შემდეგი თანამიმდევრობა გვაქვს:

[26] თარიღის აღმნიშვნელი ხჳპე (=6485), ხელნაწერის ფოტოზე არ ჩანს, იგი ხელნაწერში უნახავს რ. ბ ლ ე ი კ ს (Catalogue... გვ. 154). ამ დასაბამითგანით გამოთვლილ თარიღს— 977 წელს (6485—5508=977) ინდიკტიონი ე-ც (5) უქერს მხარს (6485 : 15-ის ნაშთი 5-ია). ალ. ცაგარელი აქ დასაბამითგანით ხფპე-ს (6585 წ.) კითხულობს (Сведения... გვ. 82), მისი მიხედვით ხელნაწერი 981 წლით თარიღდებოდა (6585—5604=981), ამგვარ დათარიღებას ინდიკტიონი ე არ ეთანხმება.

1. [ცხორებაჲ და შესხმაჲ წმიდისა ბასილისი] (1r-46v).

2. შესხმაჲ წმიდისა დიდისა ბასილისთჳს, ძმისა თჳსისა (46v-55v).

3. [წმიდისა ნათლისღებისათჳს მათდა მიმართ, რომელნი-იგი გჳანად ნათელ-იღებდეს][27] (56r-61v).

4. ნათლისღებისათჳსვე, რომელი იკითხვის ხვალისა დღე განცხადებისა (61v-104r).

5. მარხვისათჳს, თავი ა (104v-119r).

6. მარხვისათჳს, თავი ბ (119v-129v).

7. სიტყჳსა მისთჳს მოსე წინაჲსწარმეტყუელისა, რომელსა იტყჳს, ვითარმედ: „ეკრძალე თავსა შენსა“ (129v-144r).

8. მადლობისათჳს (144r-157v).

9. ივლიტა მოწამისათჳს და ნაკლულევანებისათჳს პირველთქუმულისა მის თავისა და მადლობისათჳსვე (157v-174r).

10. ვითარმედ: „არა არს ღმერთი მიზეზ ბოროტთაჲ“ (174r-191v).

11. მრისხანეთათჳს (191v-204r).

12. შურისათჳს (204v-214r).

13. სიტყჳსა მისთჳს ლუკაჲს სახარებისა, რომელი იტყჳს მდიდრისა მისთჳს, ვითარმედ: „დავარღჳნე საუნჯენი ჩემნი და უდიდესნი აღვაშენნე“ და ანგაჰრებისათჳს (214r-226r).

14. მდიდართა მიმართ (226r-239r).

15. რომელი თქუა ჟამსა სიყმილისა და უწჳმროებისა (239r-254r).

16. დაწყებისათჳს სოლომონის იგავთაჲსა (254r-278r).

17. მომთრვალეთათჳს, რომელი თქუა შემდგომად აღუსებისა დღითა ერთითა (278r-291r).

18. რომელი თქუა ლაკიზეს შინა ქალაქსა (291r-301v).

19. სიმდაბლისათჳს (301v-311v).

20. არაშექცევისათჳს საქმეთა სოფლისათა და ცეცხლისა მისთჳს, რომელი შეედვა მაშინ კესარიელთა ქალაქსა (311v-328r).

21. შესხმაჲ წმიდა (!) მაკაბელთაჲ (328r-342v).

22. შესხმაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი, რომელი თქუა დღესა მას ღუაწლისა მისისასა (342v-364r).

23. მიცვალებისათჳს ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა (364r-404r).

24. პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა ამაღლებისათჳს, რომელი-ესე მან ნუსხად დაწერილი დაუტევა (404r-413r).

25. სარწმუნოებისათჳს წმიდისა სამებისა (413v-419v).

26. თქუმული დაწყებისათჳს იოვანეს სახარებისა, ვითარმედ: „პირველითგან იყო სიტყუაჲ“ (419v-...)[28].

---

[27] H 2251 ხელნაწერის დაზიანების გამო პირველი და მესამე ტექსტების სათაურები აღდგენილი გვაქვს Ath 32 ხელნაწერის მიხედვით.

[28] აღწერილობა (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, ტ. V, გვ. 179-181) H 2251 ხელნაწერში მხოლოდ 22 საკითხავს ასახელებს. გარდა იმისა, რომ ბასილი დიდის ნათლისღების საკითხავი შენიშნული არ არის, რატომღაც გამოტოვებულია ორი საკითხავის დასახელებაც — „მარხვისათჳს, თავი ბ“ და „სარწმუნებისათჳს წმიდისა სამებისა“; ბოლო, 26-ე, საკითხავის სათაური „დაწყებისათჳს იოვანეს სახარებისა“ კი შეცდომით დამოწმებულია, როგორც ხელნაწერის ბოლო ფურცლის ბოლო ფრაზა.

რვეულებრივი პაგინაციის ხარვეზების გათვალისწინებამ და ტექსტების შედარებამ Ath 32 და Ier 14 ხელნაწერების შესაბამის ტექსტებთან შესაძლებლობა მოგვცა, გამოგვეთვალა H 2251 ხელნაწერში დაკლებული ფურცლების რაოდენობა, გაგვერკვია, თუ რომელი საკითხავებია ხელნაწერში ნაკლული და რამდენით და საბოლოოდ დაგვედგინა ამ ხელნაწერის თავდაპირველი მოცულობა.

ამგვარი შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ H 2251 ხელნაწერს აკლია შემდეგი ფურცლები:

I რვეული მთლიანად — 8 ფურცელი,
II რვეულის პირველი 2 და ბოლო 1 ფურცელი,
IV რვეულის პირველი 1 და ბოლო 1 ფურცელი,
V რვეულის პირველი 1 ფურცელი
VIII რვეულის ბოლო 1 ფურცელი,
IX რვეულის ბოლო 2 ფურცელი,
X რვეული მთლიანად—8 ფურცელი,
XI რვეულის პირველი 7 ფურცელი,
XXXV რვეულის შუა 5 ფურცელი,
LVII რვეულის პირველი 1 და ბოლო 1 ფურცელი,
LVIII რვეულის ბოლო 2 ფურცელი,
LIX რვეული (თუკი ამ რვეულით მთავრდებოდა ხელნაწერი) მთლიანად — 8 ფურცელი.

დაკლებული ფურცლების რაოდენობა (თუ, რა თქმა უნდა, ვივარაუდებთ, რომ ხელნაწერი „დაწყებისათჳს იოვანეს სახარებისას“ ტექსტზე, 59-ე რვეულით, მთავრდებოდა), სულ 49 ყოფილა, ხოლო ხელნაწერი თავდაპირველად — 468 ფურცლიანი[29].

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ მომენტზე: H 2251 ხელნაწერში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკითხავი „დაწყებისათჳს იოვანეს სახარებისა...“ ჩვენამდე შემორჩენილია ხელნაწერის ბოლო ფურცელზე დაცული ნახევარგვერდიანი ფრაგმენტით, ამავე დროს H 2251-ში Ath 32 და Ier 14 ხელნაწერებისაგან განსხვავებით საერთოდ არა ჩანს „სულისა წმიდისათჳს“ და „შესხმაჲ წმიდათა ორმეოცთაჲ“, რომლებიც Ath 32-ში უშუალოდ მოსდევენ „დაწყებისათჳს იოვანეს სახარებისას“ ტექსტს. ამ ფაქტმა კანონზომიერად აღძრა ეჭვი, აღნიშნულ სამ ჰომილიას იმავე თანამიმდევრობით, ოღონდ ხელნაწერის ბოლოს, ხომ არ შეიცავდა H 2251 ხელნაწერიც და ხომ არ გაჰყვა სამივე ტექსტი ხელნაწერის დაკარგულ ფურცლებს, დატოვეს რა კვალი „დაწყებისათჳს იოვანეს სახარებისას“ პატარა ფრაგმენტის სახით? თუ დავუშვებთ, რომ ეს მართლაც ასე იყო, მაშინ ხელნაწერის თავდაპირველი მოცულობაც დაახლოებით 2-3 რვეულით მეტი უნდა ვივარაუდოთ.

რაც შეეხება საკითხს, რომელი ტექსტებია H 2251 ხელნაწერში ნაკლული და რამდენით, ტექსტების შესწავლამ ასეთი სურათი გამოავლინა:

1. „ცხორებაჲ და შესხმაჲ ბასილისი“ (1r-46r), აკლია 14 ფურცელი: დასაწყისში — 10; ხელნაწერის მე-5 და მე-6 ფურცლებს შორის — 1; მე-13 და მე-14 ფურცლებს შორის — 1; მე-19 და მე-20 ფურცლებს შორის — 2.

---

[29] 59 რვეული 472 ფურცელს შეადგენს (59×8), მაგრამ ამ ხელნაწერში მე-13 და მე-20 რვეულები ექვს-ექვს ფურცლიანი აღმოჩნდა (468=472—4).

2. „შესხმაჲ ბასილისთჳს (46v-55v), აკლია 7 ფურცელი: 49-ე და 50-ე ფურცლებს შორის — 1; 55-ე და 56-ე ფურცლებს შორის — 6.

3. „წმიდისა ნათლისღებისათჳს" (56r-61v): 55-ე და 56-ე ფურცლებს შორის — 11 ფურცელი.

4. „მდიდართა მიმართ" (226r-239r) 238-ე და 239-ე ფურცლებს შორის — 5.

5. „ჯუარისა ამაღლებისათჳს" (404r-413r) 407-ე და 408-ე ფურცლებს შორის — 1.

6. „სარწმუნოებისათჳს წმიდისა სამებისა" (413v-419v) 413-ე და 414-ე ფურცლებს შორის — 1.

7. „დაწყებისათჳს იოვანეს სახარებისა" (419v - ...) 419-ე ფურცლის შემდეგ — 10-მდე ფურცელი.

მართალია, H 2251 ხელნაწერი თავბოლონაკლულია, მაგრამ კრებულის მთარგმნელისა და გადამწერის შესახებ ცნობების მომწოდებელი ანდერძ-მინაწერებით მაინც საკმაოდ მდიდარია. გადამწერის ხელით შესრულებული ანდერძები და მინაწერები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, საკითხავებს შორისაა ჩართული.

მოვიტანთ თითოეულ მათგანს იმ თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობაც აქვთ მათ ხელნაწერში:

I. 27r, ფურცლის ქვემო კიდეზე: „ღმრთისათჳს, ლოცვა ყავთ ეფთიმესთჳს მთარგმნელისა და ჲორდანესთჳს მწერლი[სა]".

II. 46r, საკითხავის ბოლოს: „ესე ბრძანებაჲ ეფთიმესი არს. წმიდანო მამანო, რომელნი ამას იკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთიმესთჳს, რომელმან ესე ვთარგმენ (!) და, ღმრთისათჳს, ვინცა გარდასწერდეთ ამას, დაწერეთ ჩემიცა სახელი, და ნუ აღმომჴოცთ მეცა გლახაკსა, რამეთუ ამისთჳს თავს-მიც ფრიადი შრომაჲ სწავლასა და თარგმნობასა ამისსა, რაჲთა მილოცვიდეთ. და ლოცვა ყავთ, ღმრთისათჳს, კურთხეულისა ამის მამისა იორდანესთჳს, რომელმან ფრიადი შრომაჲ თავს-იდვა და მოვიდა ქართლისა ქუეყანით საბერძნეთს, მთაწმიდას, ღმრთისათჳს, თავად და მერმე ბრძანებისათჳს დავით ქართველთა მეფისა, და თავს-იდვა ჭირი და დაწერა წმიდაჲ ესე წიგნი. აწ ვინცა ამას იკითხვიდეთ, ღმერთმან დაგაჯეროს. ლოცვა ყავთ ჩუენ ყოველთათჳს"

III. 61 v, სათაურის გაგრძელებაზე: „ქრისტე, აკურთხე ეფთიმე, ჲორდანე"

IV. 104 r, ფურცლის ქვემო კიდეზე: „ლოცვა ყავთ ეფთიმესთჳს მთარგმნელისა და ჲორდანესთჳსცა მნოსხველისა, ამენ".
იქვე, სათაურის გაყოლებაზე: „დაიცევ, უფალო, ეფთიმე".

V. 174r, საკითხავის ბოლოს: „ჵ უფალო, მომეც შეწევნაჲ წარმართებისაჲ ჲორდანეს".

VI. 204r: „ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთიმესთჳს, რომელმან ვთარგმნე. სიყუარულის[ათჳს] ღმრთისა, ნუ ვინ მომიგინდების ზომად წერისათჳს, ბრძანებაჲ მქუნდა ნუსხვისაჲ ოდენ სისწრაფისაგან. ლოცვა ყავთ გლახაკისა ჲორდანესთჳს მაჲრენისელისაჲ, შორთა ქუეყანათაგან რომელმან ვლე უთხმეოცდაათექუსმეტი დღე ვიდრე მთაწმიდადმდე".

VII. 278r, საკითხავის ბოლოს: „ჵ უფალო, დაიცევ დღეგრძელებით მეფე დავით".

VIII. 291r, საკითხავის ბოლოს: „ლოცვა ყავ[თ]]მამი]სა ჲოვანესთჳს და საყუარელისა შვილისა მათისა ეფთიმესთჳს, რომელმან თარგმნნა ესე წიგნნი, ღმერთმან დაგაჯეროს. და საწყალობელი ჲორდანეცა, რომელ მივიწიე წერად, ლოცვა ყავთ“.
იქვე, მომდევნო საკითხავის სათაურის გაგრძელებაზე: „შემეწიე, ქრისტე, [ჲორდა]ნეს“.

IX. 301v, საკითხავის ბოლოს: „ჵ მეოფეო, შეჰმატე დღეთა დავით ქართველთა მეფისათა“.

X. 311 v: „უფალო ღმერთო, დაიფარე მკლავითა შენითა მაღლითა მეფე დავით, მხოლოჲ, მარტოჲ, უმამოჲსა მამაო“.

XI. 328r, საკითხავის ბოლოს: „ლოცვა ყავთ მამისა ჲოვანესთჳს და ეფთიმესთჳს, რომელმან ესე თარგმნა. შემეწიე, ღმერთო, ჲორ[დანეს]“.

XII. 342v, საკითხავის ბოლოს: „ჵ უფალო, შემიწყალე ჲორდანე“.

XIII. 344r, კიდეზე: „მეუფეო ცათა და ქუეყანისაო, მამეც ძალი და შეწევნაჲ და გონებაჲ მოუწყინელი დღე და ღამე და განაგდე ჩემგან [ენ]ებაჲ მტერისამიერი, რაჲთა შეწევნითა შენმიერითა მწრაფლ მომემადლოს ნოსხვაჲ წმიდათა ამათ წერილთა და მიიწიოს წინაშე დავით ქართველთა მეფისა, რომელი სორვიელ იყო და მოსორნე სმენად საღმრთოთა მათ [თქუმულთა] მოძღურებისათა და მიმლოდებელ, რომელ ვითარცა სიძესა რაჲ მიაქუნ გკრგკნი იგი, ძრწიან........ და ვითარცა ძე იგი მეფისაჲ, რომელი დღე და ღამე დაოვიწყებლად ისწრაფინ და მეფობასა მამულისა თჳსისა. შემეწიე, ქრისტე, გლახაკსა ჲორდანეს, ამენ“.

XIV. 364r, საკითხავის ბოლოს: „შეეწიე, წმიდაო გიორგი, დავით ქართველთა მეფესა, ჭეშმარიტად მჴედარსა ქრისტესსა და საღმრთოთა საქმეთა მეძიებელსა“.
იქვე, მომდევნო საკითხავის სათაურის გაყოლებაზე: „შემეწიე, ღმერთო“.

XV. 404r, საკითხავის ბოლოს: „შემეწიე, ღმერთო, საწყალსა ჲორდანეს“.

XVI. 413r, საკითხავის ბოლოს: „ლოცვა ყავ[თ] კურთხეულისა ეფთიმესთჳს მთარგმნელისა და მნოსხველისა ჲორდანესთჳს“.

XVII. 419v, საკითხავის ბოლოს: „ჵ უფალო, შემეწიე ჲორდანეს“. იქვე, მომდევნო საკითხავის სათაურის გაყოლებაზე: „წარმიმართე, უფალო, გამარჯუებით“.

ამ ანდერძ-მინაწერებში გარკვევით და თანაც არაერთგზისაა აღნიშნული, რომ ხელნაწერებში დაცული საკითხავების მთარგმნელი არის ეფთიმე (ეფთვიმე ათონელი), ხოლო კრებული გადაუნუსხავს (გადაუწერია) იორდანეს, რომელიც სასულიერო პირი ყოფილა (ერთ-ერთ ანდერძში მოხსენიებულია როგორც „კურთხეული მამა“). იგი ამ ხელნაწერის გადასაწერად საგანგებოდ მიუვლინებია შორეულ მთაწმიდაზე დავით ქართველთა მეფეს.

იორდანე თავის თავს „მაჲრენისელს“ (მაირენისის მკვიდრი) უწოდებს. მას 96 დღე უვლია, ვიდრე „შორთა ქუეყანათაგან“ („ქართლისა ქუეყანით“) სა-

ბერძნეთს, მთაწმიდას, მიაღწევდა. დაევალებული ჰქონია, რაც შეიძლება ჩქარა, „სისწრაფისაგან“ გადაენუსხა ხელნაწერი, ამიტომ „ზომად წერისათჳს“ პატიებასაც თხოულობს[30].

ერთ-ერთ ანდერძში (XIII), რომელიც, სამწუხაროდ, ძალზე დაზიანებულია, იორდანე შეჰღაღადებს „ცათა და ქუეყანისა მეუფეს“ და შესთხოვს ძალას და შეწევნას, რომ დღე და ღამე „მოუწყინებელი“ შრომით შეაძლებინოს „წმიდათა ამათ წერილთა“ გადანუსხვა, რათა დროულად მიიწიოს წინაშე დავით ქართველთა მეფისა, რომელიც „სურვიელ იყო და მოსურნე სმენად საღმრთოთა მათ თქუმულთა მოძღურებისათა და მიმლოდებელ“.

ეს ფაქტი ჩვენი კულტურის, ჩვენში მწიგნობრობის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით მეტად მრავლისმეტყველია: იმისათვის, რომ ერთი ლიტერატურული ძეგლით გაემდიდრებინა თავისი ქვეყანა, ქართველთა მეფეს, დავითს, მის გადასაწერად და საქართველოში ჩამოსატანად შორეულ ათონზე (96 დღის სავალზე) მიუვლენია გადამწერი.

ეფთვიმესა და იორდანეს ანდერძ-მინაწერთა მნიშვნელობა მარტო ხელნაწერის შექმნის საინტერესო ისტორიით არ ამოიწურება, აქ მოცემული ცნობები აზუსტებს მისი გადაწერის თარიღს და კორექტივი შეაქვს ქართველ მეფეთა ტიტულატურაში.

ამ ანდერძ-მინაწერებში მოხსენიებული დავით ქართველთა მეფე კ. კეკელიძემ სრულიად მართებულად დავით კურაპალატად მიიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერს არც თარიღი უზის და მეფე დავითიც არც ერთხელ კურაპალატად არ იხსენიება. იგი წერდა: „როდესაც ეს თხზულება (იგულისხმება ბასილი დიდის „სწავლანი“ — ც. ქ.) უთარგმნია ექვთიმეს, დავით კურაპალატის ბრძანებით, მისი პირის მოსატანად საქართველოდან ათონზე წასულა ვინმე იორდანე და მოუტანია იგი“ [31].

კ. კეკელიძის ამ მოსაზრებას ხელნაწერის ანდერძ-მინაწერები სავსებით ადასტურებენ.

თუ დავით ქართველთა მეფეში დავით კურაპალატი იგულისხმება, ხელნაწერი მის გარდაცვალებამდე, 1001 წლამდე, ყოფილა გადაწერილი, რადგან ამ ანდერძ-მინაწერების მიხედვით დავითი ცოცხლად იხსენიება.

მეორე მხრივ, თუ ხელნაწერი დავით კურაპალატის სიცოცხლეში, ე. ი. 1001 წლამდეა გადაწერილი, იგი ეფთვიმე ათონელის ნებართვისა და ხელშეწყობის გარეშე ვერ გადაიწერებოდა, რადგან 1001 წლამდე ათონზე ჩასულ კაცს, ცხადია, მასპინძლად თვითონ ეფთვიმე უნდა დახვედროდა. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერის ერთ-ერთ ანდერძში (II), რომელსაც თავზე აწერია „ესე ბრძანებაჲ ეფთიმესი არს“, ეფთვიმე მართლაც ფიგურირებს როგორც მასპინძელი.

ეს ანდერძი განსაკუთრებით იმითაა აღსანიშნავი, რომ დაწერილი ჩანს ეფთვიმეს მიერ საგულდაგულოდ სწორედ ამ ხელნაწერისათვის. აქ ეფთვიმე პირველ პირში მოგვითხრობს თავის თავზე და თანაც თავს გლახაკად იხსენიებს („ლოცვა ყავთ გ ლ ა ხ ა კ ი ს ა ეფთიმესთჳს, რომელმან ესე ვ თ ა რ გ მ ე ნ... და ნუ

[30] ცნობილია იორდანეს მიერ გადაწერილი მეორე ხელნაწერიც—A 603, რომელიც ძლისპირთა კრებულს წარმოადგენს. ამ ხელნაწერის ფოტოტიპიური გამოცემა ეკუთვნის გ. კიკნაძეს. იხ. ნევმირებული ძლისპირნი (ხელნაწერი A 603), გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გულნაზ კიკნაძემ, თბ., 1982. „ზომად წერასთან“ დაკავშირებით იხ. თ. ხ ა ჟ ო მ ი ა, „ზომად წერის“ შინაარსის გაგებისათვის: ქართული წყაროთმცოდნეობა, III, 1971, გვ. 59—61.

[31] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 181.

ალმომჭოცთ მეცა გლახაკსა, რამეთუ ამისთჳს თავს-მიც ფრიადი შრომაჲ“), ხოლო მესამე პირით იხსენიებს და „კურთხეულ მამას“ უწოდებს გადამწერ იორდანეს („და ლოცვა ყავთ, ღმრთისათჳს, კურთხეულისა ამის მამისა იორდანესთჳს, რომელმან ფრიადი შრომაჲ თავს-იდვა და მოვიდა ქართლისა ქუეყანით საბერძნეთს, მთაწმიდას“... და შემდეგ: „თავს-იდვა ჭირი და დაწერა წმიდაჲ ესე წიგნი“ [32].

ეფთვიმეს მიერ დაწერილ ანდერძში ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან, მართალია, ეფთვიმე კრებულის მთარგმნელია და იორდანე კი მხოლოდ გადამწერი, მაგრამ რაკი ეფთვიმე წერდა ანდერძს, ამიტომ ეტიკეტის მიხედვით იგი ვალდებული იყო, თავის თავსა და თავის ღვაწლზე თავმდაბლად და მოკრძალებით ელაპარაკნა, ხოლო მის მიერ თარგმნილი კრებულის გადამწერი, რომელმაც ამით მის ნამუშევარს ღვაწლი დასდო, პატივისცემით მოეხსენებინა და განედიდებინა.

ეტიკეტის დაცვა არც იორდანეს ავიწყდება: სხვა ანდერძ-მინაწერებში, რომლებიც აშკარად იორდანეს კუთვნილებაა, ეფთვიმე და იორდანე შებრუნებული ეპითეტებით არიან დახასიათებულნი: ეფთვიმე — „კურთხეული“, ხოლო იორდანე — „საწყალობელი“, „საწყალი“, „გლახაკი“ (შდრ. „ლოცვა ყავთ კურთხეულისა ეფთიმესთჳს მთარგმნელისა და მნუსხველისა ჲორდანესთჳს“, „საწყალობელი ჲორდანეცა, რომელ მოვიწიე წერად, ლოცვა ყავთ“, „შემეწიე, ღმერთო, საწყალსა ჲორდანესა“, „შემეწიე, ქრისტე, გლახაკსა ჲორდანეს)“.

საგულისხმოა, რომ ერთ-ერთ ანდერძში ეფთვიმეც და იორდანეც — ორივე „გლახაკად“ არიან მოხსენიებულნი: „ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთიმესთჳს“, რომელმან ვთარგმნე... ლოცვა ყავთ გლახაკისა ჲორდანესთჳს მაჲრენისელისა, შორთა ქუეყანათაგან რომელმან ვლე უთხმეოცდაათექუსმეტი დღე ვიდრე მთაწმიდადმდე“. ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ იორდანეს ეფთვიმესეულ დედანში არსებული ანდერძი გადმოუწერია, შემდეგ კი თავის მხრივ ისეთივე მოკრძალებით დაურთავს ცნობები თავისი დამსახურების შესახებ.

ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში ექვსჯერაა ნახსენები დავითი, ოთხჯერ როგორც „ქართველთა მეფე“, ხოლო ორჯერ როგორც „მეფე“.

ქართველთა მეფე დავითი, რომელიც ეფთვიმე ათონელის დროს ცხოვრობდა და თანაც დაინტერესებული იყო ეფთვიმეს მთარგმნელობითი საქმიანობით, როგორც „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ ზემოთ მოტანილი ციტატიდანაც ჩანს, დავით კურაპალატია.

სწორედ დავით კურაპალატს ესადაგება იორდანეს ანდერძ-მინაწერებში ქართველთა მეფის შესახებ თქმულიც: „ჭეშმარიტად მჴედარი ქრისტესი და საღმრთოთა საქმეთა მეძიებელი“, აგრეთვე: „სურვიელ იყო და მოსურნე სმენად საღმრთოთა მათ თქუმულთა მოძღურებისათა და მიმლოდებელ“.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ხელნაწერში დავითი იხსენიება არა კურაპალატად, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ქართველთა მეფედ“, ანდა მხოლოდ „მეფედ“.

[32] როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ანდერძის დასაწყისი ნაწილი სიტყვასიტყვით ემთხვევა Ath 32 ხელნაწერში 47 v-ზე მოთავსებულ ეფთვიმეს ანდერძს (შდრ. „წმიდანო მამანო, რომელნი ამას იკითხვიდეთ...“ აქვე, გვ. 11). ეს ფაქტი სრულებითაც არ უშლის H2251 ხელნაწერის ზემოხსენებული ანდერძის ჩვენეულ ანალიზსა და შეფასებას. როგორც ჩანს, ადრევე შედგენილი ანდერძი, რომელიც Ath 32 ხელნაწერის გადამწერმა ავტოგრაფული ნუსხიდან გადაწერა, ეფთვიმემ უცვლელად გამოიყენა იორდანეს მიერ გადაწერილი ხელნაწერისთვისაც.



H 2251 ხელნაწერის გვერდი კიდეზე მიწერილი იორდანეს ანდერძით, სადაც დავით კურაპალატი ქართველთა მეფედ იხსენიება

ისტორიულ წყაროებში დავით კურაპალატი „ქართველთა მეფის“ ტიტულით არსად მოხსენიებული არ არის. ამიტომ ფიქრობდნენ, რომ მას საერთოდ არ ჰქონია ეს ტიტული.[33] სწორედ ამ ხელნაწერის ანდერძებიდან დგინდება საქართველოს ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი — დავით კურაპალატს გარკვეულ პერიოდში უტარებია „ქართველთა მეფის“ ტიტულიც. როგორც ნ. შოშიაშვილმა გამოიკვლია, ეს უნდა იყოს 994—1001 წლები, ე. ი. ბაგრატ ქართველთა მეფის გარდაცვალების შემდეგ (გარდაიცვალა 994 წელს)[34].

აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტზე დამყარებით H 2251 ხელნაწერის გადაწერის დრო უფრო კონკრეტული წლებით იფარგლება. იგი გადაუწერია იორდანეს დავით კურაპალატის მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღებიდან მის გარდაცვალებამდე, ე. ი. 994—1001 წლებს შორის[35].

H 2251 ხელნაწერი ნუსხასუცურითაა ნაწერი. ასომთავრული ასოების გამოყენების შემთხვევები მხოლოდ აბზაცების დასაწყისში გვხვდება. ხელნაწერი, როგორც ვიცით, მთლიანად ერთი ხელითაა გადაწერილი, მაგრამ არაერთნაირად. ლამაზად ნაწერ მწყობრ სტრიქონებს დაუდევრად ნაწერი, გაფანტული სტრიქონები გამოერევა ხოლმე. გვხვდება კალმის ლაფსუსებიც: სიტყვა ზოგჯერ ასონაკლულადაა დაწერილი, ანდა, პირიქით, სიტყვაში რომელიმე ზედმეტი ასოა ჩართული. ზოგჯერ ცალკეული ასო ან მარცვალია გამორჩენილი და სიტყვის თავზეა დაწერილი, არც თუ ისე იშვიათად არის შემთხვევები ცალკეული სიტყვების ან ფრაზების გამოტოვებისა, ერთი სიტყვის მსგავსი დაწერილობის მეორე სიტყვით შეცვლისა. ასე რომ, ნაწერს აშკარად ეტყობა ნაჩქარევობა. იორდანეს აჩქარების მიზეზი მის მიერ ხელნაწერზე დართული ანდერძ-მინაწერების მიხედვით ჩვენთვის სავსებით ნათელია: შორეულ ათონზე საგანგებოდ ხელნაწერის გადასაწერად წასული კაცი სამშობლოში დროულად დაბრუნებას ესწრაფებოდა.

ხელნაწერში ზოგიერთი ადგილი დროთა განმავლობაში გადალეულა, მოგვიანებით ეს ადგილები გაუცხოველებიათ შავი მელნით (2r, 147r, 238v, 239r-v, 240r, 354v, 355r, 364r, 413r). გაცხოველება უნდა მომხდარიყო XVIII ს-ში ან შემდეგ, რადგან უმარცვლო უ-ს ყველგან უზის ანტონ კათალიკოსის მიერ შემოღებული ბრჯგუობის ნიშანი. აღსანიშნავია, რომ გაცხოველებისას ძველი ტექსტი ყოველთვის ისე არ არის აღდგენილი, როგორც თავდაპირველად იყო.

8. Ier. 14 (რ. ბლეიკის აღწერილობის მიხედვით; ცაგარლით **№ 105**; ნ. მარის აღწერილობით **№ 7**)[36] ერთ-ერთი თარიღიანი ხელნაწერია, იგი გადაწერილია

---

[33] ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, თბ., ნაკვ. 27, 1949, გვ. 48-49; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1965, გვ. 112 („ბაგრატიონთა შთამომავლობის შტო“), აგრეთვე გვ. 125, 130, 131.

[34] ნ. შოშიაშვილი, IX—X სს. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ზოგიერთი ქრონოლოგიური საკითხი. მოხსენება წაკითხულია 1977 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიაზე.

[35] სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ხელნაწერი სხვადასხვაგვარადაა დათარიღებული: თ. ჰ უ ნ ი ა მ იგი X ს-ით დაათარიღა (იოანე პეტრიწის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობის ახალი წყაროს შესწავლისათვის: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბ., 1965, გვ. 88), ლ. მ ე ფ ა რ ი შ ვ ი ლ მ ა — XI—XII სს-ით (ხელნაწერთა აღწერილობა... H კოლექცია, ტ. V, გვ. 179), ნ. ც ო ფ უ რ ა შ ვ ი ლ მ ა — X—XI სს-ით („ითიკის“ შედგენილობისათვის: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 1, გვ. 71).

[36] ამ ხელნაწერის შესახებ იხ. Описание Крестного монастыря, близ Иерусалима, и некоторых грузинских рукописей, хранящихся в нем, сделанное Н. Чубиновым...

იერუსალიმში 1055 წ. იოვანე დვალისა და მისი შვილის მიქაელის მიერ. ეს ხელნაწერიც, Ath 32-ის მსგავსად კარგადაა შენახული. ნაწერია აგრეთვე კალიგრაფიული ნუსხურით, 1—90 გვერდები გაბმით, 90—496 ორ სვეტად. სათაურები და აბზაცის დასაწყისი ასოები კალიგრაფიული ასომთავრულითაა დაწერილი. ხელნაწერი 496 ფურცლისაგან შედგება და შეიცავს 36 თხზულებას. მათგან ბასილის ჰომილიაა 21. ე. ი. ყველა ის ჰომილია, რომელიც Ath 32-შია დაცული, აქაც გვაქვს, არ ემთხვევა მხოლოდ რიგი. დანარჩენი 15 თხზულებიდან 5—„ცხორებაჲ ბასილისი“, „შესხმაჲ ბასილისი“, „შესხმაჲ წმიდისა გიორგისი“, „ჯუარისა ამაღლებისათჳს“ და „მიცვალებისათჳს ღმრთისმშობელისა“ — ის თხზულებებია, რომლებსაც Ath 32 და H 2251 ხელნაწერებიც შეიცავენ და რომლებიც ბასილი დიდს არ ეკუთვნის. Ier 14-ს ხსენებულ ორ ხელნაწერთან შედარებით აკლია „შესხმაჲ წმიდათა მაკაბელთაჲ“.

რაც შეეხება დანარჩენ 10 თხზულებას, ესენია:

1. „სწავლაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისი, თავი კ̃ — ჭეშმარიტი იგი სიმართლჱ“... (289r-291r).

2. „საკჳრველებათა მათთჳს, რომელი იქმნა წმიდისა ბასილის ზედა და წმიდისა ნერსეს ზედა და შურისა მისთჳს ევსები ეპისკოპოსისა წმიდისა ბასილის მიმართ, თავი კ̃ა — მას ჟამსა ეპისკოპოსმან...“ (291r-299r).

3. „სწავლაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისი კესარია-კაბადუკიელ მთავარეპისკოპოსისა, თავი კ̃ბ — კაცთმოყუარჱ ღმერთი ჩუენი...“ (299v-307v).

4. „თქუმული წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისი სინანულისათჳს, თავი კ̃გ—ძმანო, ნუუკუე რომელი დაეცეს...“ (307v-310r).

5. „წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისივე, თავი კ̃დ —რომელსა ჭეშმარიტად სუროდის...“ (310r-322r).

6. „სწავლაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისივე, თავი კ̃ე — სახარებასა შინა წერილ არს...“ (322r-336v).

7. „სწავლაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი, თავი კ̃ვ — საყუარელნო, უკუეთუ მცირესა...“ (336v-340v).

8. „სწავლაჲ მისივე წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი, თავი კ̃ზ — რაჟამს შჯდე სენაკსა შენსა...“ (340v-342v).

9. „ებისტოლე წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისი ღმრთისმეტყუელისა გრიგოლის მიმართ, თავი კ̃ჱ — ვიცან ეპისტოლჱ შენი...“ (342v-349r).

10. „სწავლანი წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისნი ლოცვისათჳს და სხუათა თითოსახეთა სათნოებათათჳს საცხოვრებელად სულისა, თავი კ̃თ — თქუა წმიდამან ბასილი“... (349r-379v).

თხზულებები, რომელთაც Ath 32 და H 2251 ხელნაწერებისაგან განსხვავებით უმატებს Ier 14, ხელნაწერის ერთ გარკვეულ მონაკვეთშია ერთმანეთის

«Сведения о памятниках грузинской письменности», т. I, вып. III, СПб, 1894, გვ. 44; А. Цагарели, Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, ППС, IV, вып. I, СПб, 1888; R. P. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque à Jerusalem. Orient Chrétien, 3-série, t. III—V, 1924—26; ნ. მარი, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, დასაბეჭდად მოამზადა ელ. მეტრეველმა, თბ., 1955.

მიყოლებით მოთავსებული (უჭირავთ ფურცლები 289r—379v, თავები კ—კ῀თ, ე. ი. 20—29). ბოლო 36-ე თხზულება 489v-ზე მთავრდება, 490r-v-ზე მოთავსებულია ხელნაწერის ზანდუკი, 491r-496v კი უჭირავს ბასილი დიდის შესხმის ფრაგმენტებს, რომლის ტექსტიც ძალზე დაზიანებულია.

წინა ორის მსგავსად ამ ხელნაწერსაც ერთვის ანდერძები, სადაც კრებულის მთარგმნელი, მომგებელი და გადამწერებია დასახელებული:

„იესუ ქრისტე, დიდებულ ყავ უმეტესად სული ღმერთშემოსილისა მამისა ეფთჳმესი, რომელმან თარგმნა ესე და სხუანი მრავალნი ღმრთივ სულიერნი წიგნნი. ქრისტე, შეიწყალე მამაჲ პროხორჲ, ჯუარისა მაშენებელი, ამენ“ (62r).

„ესე განწესებაჲ მოღუაწეთაჲ და უდაბნოს ყოფისა სარგებელისა გამოჩინებაჲ წმიდისა და დიდისა ბასილის მიერ მე, გლახაკმან ეფთჳმჱ, ვთარგმნჱ, ლოცვა ყავთ ჩემთჳს, ღმერთმან გარწმუნოს, წმიდანო მამანო, თქუენცა ღმერთმან მოგმადლენ აღსრულებაჲ მოქალაქობისა მის“ (229v).

„მადლი და დიდებაჲ ღმერთსა, ყოვლისა კეთილისა მიზეზსა, განსრულდა წიგნი წმიდისა ბასილისი ჯუარისათჳს. იესუ ქრისტე, ადიდჱ სულითა მამაჲ პროხორე, ჯუარისა მაშენებელი და აღუჴოცენ ცოდვანი მამასა ეფთჳსმეს (!), მომგებელსა ამისსა, კურთხეულსა სულითა, ამენ“ (478v).

იქვე: „ულირსნი ამისნი მწერალნი იოვანე და მიქაელ ლოცვასა მოგჳჴსენენით, წმიდანო მამანო“.

, „ქრისტე, მეუფეო დიდებისაო, ადიდჱ სულითა მამაჲ იოვანჱ, ამენ“ (489v).

„დაიწერა და განსრულდა წმიდაჲ ესე წიგნი, სულთა განმანათლებელი, წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი მონასტრისათჳს ჯუარისა, რომელი აღაშენა წმიდამან მამამან პროხორჱ ბრძანებითა და მოღუაწებითა კურთხეულისა კაცისა მამისა ეფთჳმესითა (ქრისტემან მიეცინ მადლი კეთილი), ჴელითა ულირსისა ბერისა იოვანე დვალისაჲთა და შვილისა ჩემისა კურთხეულისა მიქაელისითა. ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, და რომელი დაგუეკლოს, შენდობა ყავთ“ (490v).

496-ე ფურცლის r-ზე ფურცლის დაზიანების გამო დაზიანებულია ანდერძიც: „...ვემოწაფე ღმერთშემოსილსა და წმიდასა მამასა პროხორის, რომელმან დიდითა მოღუაწებითა შუენიერად და კეთილად აღაშენა მონასტერი ცხოველსმყოფელისა და პატივოსნისა ჯუარისა და დასხნა მას შინა ყოველნივე შუენიერნი და კეთილნი წიგნნი საღმრთონი, ხოლო არა იყო მუნ შუენიერი ესე და საწადელი განმანათლებელი სულთაჲ წიგნი, თქუმული წმიდისა ღ῀თშე... (II სვეტის ზემო ნახევარი).

„...ვევედრებოდე და მომმადლა ღმერთმან. აღვასრულე საქმრითა ჩემითა, დაწერით და შემოსითა და შევწირე მონასტერსა ჯუარისასა იერუსალემს, რომელსაცა აღუთქუ საჴსენებელად და სალოცველად ფრიად ცოდვილისა სულისა ჩემისა და სულსა მშობელთა ჩემისათა, სულსა ფარსმანისსა...“ (I სვეტის ქვემო ნახევარი).

„...და მმოსელთანი, იოვანესი და მიქაელისი, რაჲთა ღმერთმან წმიდითა ლოცვითა თქუენითა და მეოხებითა წმიდისა ბასილისითა ყოს აღჴოცაჲ ყოველთა ცოდვათა ჩუენთაჲ. და ჩუენ და თქუენ ერთობით ღირს გუყვნეს მარჯუენეთა მისთა თანა, რამეთუ მისი არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ“ (II სვ. ქვემო ნახევარი).

და დასასრულ, ანდერძი, რომელიც ხელნაწერის გადამწერლების სახელებთან ერთად გადაწერის თარიღსაც გვაწვდის:

„დაიწერა და შეიმოსა ჴელითა იოვანე დვალისაჲთა და კურთხეულისა შვილისა ჩემისა მიქაელისითა, ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, ქრონიკონი იყო სოე“ (=1055 წ.) (496r)[37].

„სწავლათა“ ხელნაწერების ურთიერთმიმართებისათვის

Ath 32 (ლიტერით A), H 2251 (B) და Ier 14 (C) ხელნაწერების ქრონოლოგიური თანამიმდევრობა ასეთია: ჯერ გადაუწერიათ პირველი, შემდეგ მეორე და ბოლოს მესამე. ბუნებრივად დგება საკითხი მათი ურთიერთმიმართების შესახებ. ნ. ცოფურაშვილმა ეს სამი ხელნაწერი ერთმანეთს შეუდარა ჰომილიების შედგენილობისა და თანამიმდევრობის მიხედვით და გამოთქვა სავსებით მართებული აზრი, რომ ამ ხელნაწერებს შორის პირდაპირი კავშირი არ უნდა არსებობდეს და რომ ისინი ერთმანეთისაგან არ უნდა იყვნენ გადაწერილი[38]. ამ აზრს ტექსტების შედარებითი შესწავლაც სავსებით ადასტურებს.

არის შემთხვევები, როდესაც ხელნაწერებში შესაბამისი ტექსტების ცალკეულ წაკითხვებს შორის განსხვავებაა, ბერძნული წყარო კი მხარს უჭერს ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელი ხელნაწერის წაკითხვას, ეს სწორედ იმაზე მიანიშნებს, რომ უფრო გვიანდელი ხელნაწერი წინასაგან არ მომდინარეობს.

H 2251 და Ier 14 ხელნაწერები Ath 32-ისაგან რომ არ არიან გადაწერილი, ტექსტის შემდეგი ადგილებით შეგვიძლია დავამოწმოთ (ხელნაწერებს მოვიხსენიებთ შესაბამისი ლიტერებით).

1. B და C ხელნაწერებშია:

„სასუფეველი ცათაჲ განმზადებული, გჳრგჳნნი სიმართლისანი მ ზ ა ნ ი“ 27,17.

სიტყვა „მზანი“ გამორჩენილია A-ში. BC ხელნაწერებში „მზანი“ რომ წყაროსმიერი წაკითხვაა, ჩანს ბერძნული შესატყვისიდან: στέφανοι δικαιοσύνης ἕ τ ο ι μ ο ι. B და C რომ A ხელნაწერისაგან გადმოეწერათ, მათში ბერძნული ἕτοιμοι-ს შესაბამისი სიტყვა „მზანი“ ვერ აღმოჩნდებოდა.

2. BC: „სიხარულსა მას უ ფ ლ ი ს ა ს ა ღირს იქმნებიან“ 35,13.

A: სიხარულსა მას ს უ ლ ი ს ა ს ა ღირს იქმნებიან“.

ბერძნული წყარო აქაც BC -ს წაკითხვას უჭერს მხარს: τῆς χαρᾶς τ ο ῦ κ υ ρ ί ο υ καταξιούμενοι.

3. BC: „მასცა ძალ-ედვა, უკუეთუმცა ენება, განდგომილებაჲ და ა მ ა ს ც ა ძ ა ლ-ე დ ვ ა ა რ ა დ ა ც ე მ ა ჲ“ 64,29.

A ხელნაწერი ხაზგასმულ სიტყვებს აკლებს. ბერძნული წყარო კვლავ B და C ხელნაწერების წაკითხვას ამართლებს: καὶ οὕτος μὴ ἐκπεσεῖν.

4. BC: „რომლისა მიერ (=მიმართ) იქმნებოდის, იგი საწყალობელ არს და არა საძულელ, ხ ო ლ ო რ ო მ ე ლ ი ი ქ მ ო დ ი ს, ი გ ი ა რ ს ს ა ძ უ ლ ე ლ“ 77,7.

---

[37] ხელნაწერი ვრცლად აღწერილი აქვს ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ს, იხ. მისი: იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ხელნაწერი).

[38] ნ. ც ო ფ უ რ ა შ ვ ი ლ ი, ითიკის შედგენილობისათვის (ქართული ხელნაწერები)... გვ. 78.

ხაზგასმული სიტყვები A-ს აქაც აკლია. შდრ. ბერძნული: ὁ δὲ ἐνεργῶν μισητός.

5. BC: „უსარგებლო არს [საჭმართა იგი და საფასეთა უზომოჲ მოგებაჲ. გარნა სხუაჲცა გითხრა შენ, და დალაცათუ საკკრველად აღგიჩნდეს, არამედ ჭეშმარიტ არს, ესე იგი არს] ერთარმედ“... 98,5—6.

ამ წინადადებაში A ხელნაწერს გამორჩენილი აქვს კარგა მოზრდილი ფრაზა „არს“ სიტყვიდან „არს“ სიტყვამდე.

შდრ. ბერძნული: ὅτι μὴν οὖν ἀνόητός ἐστιν ἡ τῶν ἀχρήστων σπουδή, παντὶ γνώριμον. Πλὴν ἀλλὰ παράδοξον ἴσως φανεῖταί σοι ὃ μέλλω λέγειν· παντὸς δέ ἐστιν ἀληθέστερον.

მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება. B და C ხელნაწერები რომ A-საგან გადაეწერათ, ისინი A ხელნაწერის ამგვარ შეცდომებს, ალბათ, გაიმეორებდნენ.

ტექსტებში გაცილებით მეტი აღმოჩნდა ადგილები, როდესაც C ხელნაწერი თავისი სწორი წაკითხვებით უპირისპირდება B-ს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ C-ს უშუალო კავშირი არა აქვს B-სთან და მისგან არ მომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევებში A ხან C ხელნაწერთან დგას, ხან კიდევ B-სთან.

1. AC: „ვიეთი გნებავს მ ო წ ა ფ ე ყოფაჲ? 72,7.

B: „ვიეთი გნებავს მ ო წ ა მ ე ყოფაჲ?“

ბერძნული: τίνων βούλει μ α θ η τ ή ς εἶναι (=მოწაფე).

2. C: „უკუეთუ ცოდვასა მას ზედა დაადგრეს... მიეცემის საუკუნესა მას ც ე ც ხ ლ ს ა“ 77,11.

AB: „...მიეცემის საუკუნესა მას ც რ ე მ ლ ს ა“.

ბერძნული: παραδοθήσεται τῷ αἰωνίῳ π υ ρ ί (=ცეცხლსა).

3. C: „საყკრმან მან, რომელი მოასწავებდეს მოსლვასა მ ე უ ფ ი ს ა ს ა, ძლიერად ჭმა-ყოს“ 217,34.

AB-ში „მეუფისასა“ გამოტოვებულია, შდრ. ბერძნული წყაროს წაკითხვა: τοῦ β α σ ι λ έ ω ς ἐπιδημίαν.

4. C: „მოუწოდს ქადაგებითა მ ა ღ ლ ი თ ა“ 125,4.

AB: „მიუწოდს ქადაგებითა მ რ ა ვ ლ ი თ ა“.

ბერძნული: συγκαλεῖ μ ε τ ὰ ὑ ψ η λ ο ῦ κηρύγματος (=მაღლითა).

5. AC: „სული წმიდაჲ... არა ბანაკთა თანა შეერთებულ არს, ა რ ა მ ე დ ო რ თ ა მ ა თ თ ა ნ ა ს ა მ ე ბ ა ს ა ა ღ ა ს რ უ ლ ე ბ ს“ 156,16-17.

ხაზგასმული ფრაზა B-ში გამორჩენილია. შდრ. ბერძნული: οὐ μετὰ πλήθους ἀριθμούμενον, ἀλλ᾽ ἐν τῇ Τριάδι θεωρούμενον.

„სწავლათა“ შედგენილობა და მისი მიმართება „ეთიკის“ კრებულებთან

Ath 32, H 2251 და Ier 14, მართალია, ძირითადად ერთნაირი კრებულებია, მაგრამ შედგენილობისა და თავების თანამიმდევრობის მიხედვით მათ შორის გარკვეული განსხვავებებიც არსებობს, რაც შეიძლება შემდეგი ტაბულით გამოვსახოთ :

	Ath 32	H 2251	Ier 14
ცხორებაჲ და შესხმაჲ ბასილისი	1	1	1
შესხმაჲ ბასილისი, ძმისა თჳსისა	2	2	2
მარხვისათჳს, თავი ა	3	5	3
მარხვისათჳს, თავი ბ	4	6	4
სიტყჳსა მისთჳს მოსე წინაჲსწარმეტყუელისა...	5	7	36
მადლობისათჳს	6	8	7
ივლიტა მოწამისათჳს და... მადლობისათჳსვე	7	9	34
ვითარმედ არა არს ღმერთი მიზეზი ბოროტთაჲ	8	10	5
მრისხანეთათჳს	9	11	8
შურისათჳს	10	12	9
სიტყჳსა მისთჳს ლუკაჲს სახარებისა...	11	13	6
მდიდართა მიმართ	12	14	10
რომელი თქუა ჟამსა სიყმილისა...	13	15	11
დაწყებისათჳს სოლომონის იგავთაჲსა	14	16	12
წმიდისა ნათლისღებისათჳს...	15	3	31
სარწმუნოებისათჳს წმიდისა სამებისა	16	25	13
დაწყებისათჳს იოვანეს სახარებისა...	17	26	14
სულისა წმიდისათჳს...	18	27*	15
შესხმაჲ წმიდათა ორმეოცთაჲ	19	28*	35
მომთრვალეთათჳს....	20	17	16
რომელი თქუა ლაკიზეს შინა ქალაქსა...	21	18	17
სიმდაბლისათჳს	22	19	18
არაშექცევისათჳს საქმეთა სოფლისათა...	23	20	19
შესხმაჲ წმიდათა მაკაბელთაჲ	24	21	—
შესხმაჲ წმიდისა გიორგისი	25	22	33
ჯუარისა ამაღლებისათჳს	26	24	32
მიცვალებისათჳს ღმრთისმშობელისა	27	23	30
ნათლისღებისათჳსვე, რომელი იკითხვის...	—	4	—
სწავლანი ბასილისნი (10 საკითხავი).	—	—	20—29

ტაბულაში ციფრებით აღნიშნულია საკითხავების რიგი (თუ მერამდენეა ხელნაწერში ესა თუ ის საკითხავი), ტირეებით კი ნაჩვენებია ხარვეზი, ე. ი. რომელ ხელნაწერს რომელი საკითხავი აკლია.

სამივე ხელნაწერი ერთნაირად იწყება გრიგოლ ნაზიანზელის ეპიტაფიით ბასილი დიდზე ანუ ბასილის ცხოვრებით, სამსავე ხელნაწერში მეორე საკითხავია ბასილის ძმის, გრიგოლ ნოსელის, ენკომია ბასილზე — ბასილის შესხმა. შემდეგ კი მოდის ბასილი დიდის ჰომილიები და სხვა ავტორთა თხზულებები.

Ath 32 ხელნაწერში სხვა ავტორთა თხზულებები (იგულისხმება გრიგოლ ნაზიანზელის „შესხმაჲ წმიდათა მაკაბელთაჲ“ და ანდრია კრიტელის „შესხმაჲ წმიდისა გიორგისი“, „ჯუარისა ამაღლებისათჳს“ და „მიცვალებისათჳს“ ღმრთისმშობელისა“) ხელნაწერს ბოლოს ერთვის.

H 2251 ხელნაწერს Ath 32-ისაგან განსხვავებით აკლია ბასილი დიდის ორი ჰომილია „სულისა წმიდისათჳს“ და „შესხმაჲ წმიდათა ორმეოცთაჲ“ და დამატებული აქვს გრიგოლ ნაზიანზელის ნათლისღების საკითხავი. რაკი ჩვენ შესაძლებლად ჩავთვალეთ იმის დაშვება, რომ ჰომილიები „სულისა წმიდისათჳს“ და

„შესხმაჲ ორმეოცთაჲ“ თავდაპირველად H 2251 ხელნაწერშიც უნდა ყოფილიყო და განესაზღვრეთ კიდეც მათი ადგილები (ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 15), ამიტომ ტაბულაში H 2251 ხელნაწერთან ეს საკითხავები ვარსკვლავიანი ციფრებით 27* და 28* აღვნიშნეთ.

H 2251 ხელნაწერი საკითხავების რიგის მიხედვითაც საკმაოდ სხვაობს Ath 32-ისაგან. ამ ხელნაწერში გრიგოლ ნოსელის ენკომიას ბასილზე (რიგით მე-2 საკითხავს) ბასილი დიდის მარხვის საკითხავები კი არ მოსდევს, როგორც ეს Ath 32-შია, არამედ, ბასილი დიდისა და გრიგოლ ნაზიანზელის ნათლისღების საკითხავები, ასე რომ „მარხვისათჳს, თავი ა“, რომელსაც Ath 32-ში მესამე ადგილი უჭირავს, H 2251 ხელნაწერში რიგით მე-5 საკითხავია. ამის შემდეგ (Ath 32-ის მე-3 და H 2251-ის მე-5 საკითხავებიდან) 12 ჰომილიის ფარგლებში („დაწყებისათჳს სოლომონის იგავთაჲსა“ ჩათვლით) H 2251 და Ath 32 ხელნაწერების რიგი სავსებით ფარავს ერთმანეთს. Ath 32-ის მე-15 საკითხავიდან კი, როგორც ტაბულიდან ჩანს, სხვაობა კვლავ მკვეთრი ხდება. გრიგოლ ნაზიანზელისა და ანდრია კრიტელის ზემოთ დასახელებულ ოთხ თხზულებასაც, რომლებიც Ath 32-ში ხელნაწერის ბოლოს 24—27-ე საკითხავებადაა შეტანილი, H 2251 ხელნაწერში 21—24-ე ადგილები უჭირავს.

Ier 14 ხელნაწერში 36 საკითხავია. ტაბულიდან ჩანს, რომ ამ ხელნაწერს, Ath 32-ისა და H 2251 ხელნაწერებისაგან განსხვავებით, აკლია „შესხმაჲ მაკაბელთაჲ“ და ბასილის „სწავლათა“ სახელწოდებით 20—29-ე თავებად ერთეის 10 ჰომილია.

რაც შეეხება საკითხავების რიგს, ამ მხრივ Ier 14 კიდევ უფრო მეტად სხვაობს Ath 32 და H 2251 ხელნაწერებისაგან, ვიდრე ეს უკანასკნელნი ერთმანეთისაგან.

ისმის კითხვა, საიდან იღებს სათავეს საკითხავების ამგვარი შედგენილობა და განაწილება ამ კრებულებში?

ნ. ცოფურაშვილმა დაწვრილებით განიხილა ის მსგავსება-განსხვავებები, რაც არსებობს ამ სამი ხელნაწერის შედგენილობასა და თავების თანამიმდევრობას შორის და დაასკვნა, რომ განსხვავება მათ შორის, უფრო სწორად, Ath 32-თან მიმართებით H 2251 და Ier 14-ში, მეორეულია[30]. ამასთან მან შედგენილობისა და თავების თანამიმდევრობის მიხედვით წყაროსთან ყველაზე ახლოს მდგომად მიიჩნია Ath 32 და მიახლოებით განსაზღვრა კიდეც ეს წყარო.

ვ. რუდბერგმა ბასილის ქადაგებათა 169 ბერძნული ხელნაწერი გამოავლინა და შეისწავლა. ეს ხელნაწერები მან 14 ტიპად დაყო. პირველ ანუ A ტიპში 32 ხელნაწერი გააერთიანა, რომელთაგან 14 ათონური წარმოშობისაა[40].

Ath 32 ხელნაწერი შედგენილობისა და თავების თანამიმდევრობის მიხედვით სწორედ ათონური წარმოშობის ბერძნულ ხელნაწერებთან დადგა ახლოს. ნ. ცოფურაშვილმა ამასთან დაკავშირებით გამოთქვა მოსაზრება, რომ, მართალია, Ath 49 (=Ath 32—ც. ქ.) არღვევს ბერძნულ ხელნაწერთა მყარ ტრადიციას, რადგან არ შეიცავს ფსალმუნებზე აგებულ არც ერთ ჰომილიას, მაგრამ ეს ფაქტი ხელს არ უშლის, რომ ათონური ბერძნული ხელნაწერების ძირითადი ნაწი-

[30] ნ. ცოფურაშვილი, „თიკის“ შედგენილობისათვის (ქართული ხელნაწერები)... გვ. 87.

[40] S. Y. Rudberg, Études... გვ. 120.

ლის (საუბრების) და Ath 49-ის შედგენილობასა და თავების [თანამიმდევ-რობაში მათი ნათესაობა დასაბუთდეს[41]. „ადვილად შეიძლება დავუშვათ — წერს იგი — რომ ეფთვიმეს ხელთ ჰქონია სწორედ ათონური წარმოშობის უძველესი კრებული ან კრებულები და იმით უსარგებლია. კონკრეტულად ამ ხელნაწერების განსაზღვრა, ჩვენი აზრით, საერთოდ შეუძლებელია“ [42].

რაკი ქართულ სამსავე ხელნაწერში სხვა ავტორთა თხზულებებიცაა დაცული და თანაც გარკვეული რიგით, ბუნებრივად ისმის კითხვა, ხომ არ იღებს სათავეს ამ კრებულების ასეთი შედგენილობა ბერძნულიდან, ე. ი. ხომ არ არსებობდა თვითონ ბერძნულში კრებულები, რომლებიც იწყებოდა გრიგოლ ნაზიანზელისა და გრიგოლ ნოსელის სახოტბო სიტყვებით ბასილზე, შემდეგ მოდიოდა ბასილის საუბრები სხვადასხვა თემაზე, ბოლოს კი ერთვოდა სხვა ავტორთა, კერძოდ, გრიგოლ ნაზიანზელისა და ანდრია კრიტელის ზემოთ დასახელებული ოთხი თხზულება?

ამ კითხვაზე ჯერჯერობით უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ, რადგან მსგავსი კრებული ბერძნულში არ ჩანს: რუდბერგს, რომელიც ქადაგებათა ტრადიციის 169 ხელნაწერს იცნობს, ამგვარი კრებული დამოწმებული არა აქვს[43].

ბასილის შესახებ გრიგოლ ნაზიანზელისა და გრიგოლ ნოსელის სახოტბო სი-ტყვების წამძღვარება ბასილისავე ჰომილიებისათვის სავსებით კანონზომიერი ჩანს: ჩვენი აზრით, არც ის არის გამორიცხული, რომ ბასილის ჰომილიების კრე-ბული ამგვარი დასაწყისით ბერძნულშიაც არსებულიყო და არც ის, რომ იგი ამ სახით ეფთვიმე ათონელის ნახელავი იყოს.

რაც შეეხება ხელნაწერებისათვის ბოლოს დართულ სხვა ავტორთა თხზუ-ლებებს, როგორც ჩანს, ისინი თვითონ ეფთვიმეს მიაჩნდა ბასილის კუთვნილებად, ამის დასტურია ის, რომ სამივე ხელნაწერის გადამწერები ამ თხზულებებს ბასილი დიდისად თვლიან, სამსავე ხელნაწერში მათ სათაურებში ბასილი დიდი ისე ფიგუ-რირებს, როგორც ავტორი[44]. გამონაკლისს ქმნიან Ath 32-ში „შესხმაჲ მაკაბელ-თაჲ“, რომლის სათაურშიც ნამდვილი ავტორი — გრიგოლ ღმრთისმეტყველია დასახელებული (253r) და H 2251-ში „შესხმაჲ წმიდისა გიორგისი“, რომელ-თანაც ავტორი საერთოდ არ ჩანს.

H 2251 ხელნაწერში, როგორც ვიცით, მე-4 საკითხავად დაცულია გრიგოლ ნაზიანზელის კიდევ ერთი თხზულება „ნათლისღებისათჳსვე, რომელი იკითხვის

---

[41] ნ. ცოფურაშვილი, „ითიკის“ შედგენილობისათვის (ქართ. ხელნაწერები)... გვ. 72—73.

[42] იქვე.

[43] რუდბერგის მიერ შესწავლილი ხელნაწერებიდან ბევრი შეიცავს სხვა ავტორთა თხზულებებს, მაგრამ არა იმათ, რომლებიც ქართულ ზემოაღნიშნულ კრებულებში გვაქვს.

[44] იხ. Ath 32: „შესხმაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი, რომელი თქუა წმიდამან ბასილი დღესა მას ღუაწლისა მისისასა“ 264 r; „თქუმული მისივე პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა ამაღლებისათჳს“ 279v; „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი მიცვალებისათჳს ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა“... 286r. H 2251: „წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი, შესხმაჲ წმიდათა მაკაბელთაჲ“ 328r; „შესხმაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი, რომელი თქუა დღესა მას ღუაწლისა მისისასა“ 342v; თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი მიცვალებისათჳს მარიამისა“ 364 r; „თქუმული მისივე პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა ამაღლებისათჳს“ 404r. იხ. აგრეთვე Ier 14, რომელშიც, როგორც უკვე გვქონდა ამაზე საუბარი, „შესხმაჲ მაკაბელთაჲ“ არ დასტურდება, ხოლო დანარჩენი სამივე საკითხავი ბასილის თხზულებებადაა ჩათვლილი: 350r; 424r; 431v.

ხვალისა დღე განცხადებისა...". ავტორი თავიდან არც ამ საკითხავთან ყოფილა მითითებული. მხოლოდ მოგვიანებით ჩაუმატებიათ სათაურთან: „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ღმრთისმეტყუელისა", კიდეზე კი იმავე ხელით დაურთავთ შენიშვნა: „საკითხავი ღმრთისმეტყუელისაჲ არს, წმიდანო ღმრთისანო" (61v).

დაბოლოს, რაც შეეხება Ier 14-ში 20—29 თავებად ბასილის „სწავლათა სახელწოდებით შეტანილ 10 საკითხავს, ეს საკითხავები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეული იყო „ითიკის" შემადგენელ ნაწილებად, რადგან ისინი, Ier 14-ის გარდა, გვხვდება „ითიკის" ყველა კრებულში[45].

მათი არსებობა (10-ის ნაცვლად 8-ისა) პირველად დაადასტურა ელ. ხინთიბიძემ A 1101 ხელნაწერში, რომელიც „ასკეტიკონის" სახელითაა ცნობილი[46]. ნ. ცოფურაშვილმა ამ თავების შემცველი კიდევ ორი ასკეტიკური კრებული დაძებნა — ქუთ. 431 და H 2853[47]. გრიბომონმა „ითიკის" კრებულებში დადასტურებული ეს თავები „ასკეტიკონის" ერთ-ერთ, ეფთვიმესეულ, რედაქციად მიიჩნია (პროკოპი მღვდლისა და ეფრემ მცირის თარგმანების გვერდით)[48].

თუმცა ნ. ცოფურაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით გრიბომონის ნაშრომს არ იცნობდა, მაგრამ მაინც სწორად ივარაუდა, რომ ამ საკითხავებს არაფერი ჰქონდათ საერთო ქადაგებათა ტრადიციასთან და რომ ისინი ასკეტიკური კრებულებიდან უნდა მოხვედრილიყვნენ ჯერ Ier 14-ში, ხოლო შემდეგ გვიან გადაწერილ „ითიკის" ხელნაწერებში.[49] მან ამ თვალსაზრისით ყურადღება გაამახვილა A 1101 ხელნაწერზე, რომელიც 1047 წელსაა გადაწერილი, ე. ი. 8 წლით ადრე Ier 14-ზე და ამასთანავე ათონის ღმრთისმშობლის მონასტერში[50].

* * *

ბასილი დიდის „სწავლანი" ზემოხსენებული სამი ხელნაწერის გარდა (Ath 32, H 2251, Ier 14) დაცულია აგრეთვე A 927 (XII ს.), A 394 (XVIIIს.), A 100 (1713 წ.), S 376 (1798 წ.), A 181 (1816 წ.), H 2350 (XVIII ს.), S 3661 (XVIII ს.) ხელნაწერებში.

Ath 32, Ier 14, A 394, A 100, S 376 და A 181 „ითიკის" ხელნაწერების სახელით იყო ცნობილი[51], მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელნაწერები ყველა ერთნაირი შედგენილობისა არ არის. მათ სიაში ვერ მოხვდნენ H 2251, A 927, H 2350 და S 3661[52].

---

45 კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები. V... გვ. 17—18; ელ. ხინთიბიძე, ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის" ქართული რედაქციები, გვ. 68—69.

46 ელ. ხინთიბიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

47 ნ. ცოფურაშვილი, ბასილი დიდის ერთი თხზულების ქართული თარგმანი (წარდგენილია დასაბეჭდად: „მაცნე" ენისა და ლიტერატურის სერია).

48 J. Gribomont, Histoire du texte des Ascétiques de S. Basile... გვ. 80.

49 ნ. ცოფურაშვილი, „ითიკის" შედგენილობისათვის (ქართული ხელნაწრები)... გვ. 79—80.

50 იქვე.

51 კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში... გვ. 17—19.

52 A 927 ხელნაწერის რაობა გაარკვია და მის შესახებ ცნობა მოგვაწოდა თ. ბრეგაძემ, ხოლო H 2350 და S 3661 დამატებით მოიძია ნ. ცოფურაშვილმა.

როგორც აღინიშნა, „ითიკის“ შედგენილობას სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ნ. ცოფურაშვილმა[53]. მან ი. რუდბერგის შრომაზე დამყარებით[54] „ითიკის“ ბერძნულ ხელნაწერებთან მიმართებით შეისწავლა ქართულ ხელნაწერებში დაცული ვითარება. აღმოჩნდა, რომ τὰ ἠθικά „ჩვეულებრივ შეიცავს ორგვარი ხასიათის ჰომილიებს — ფსალმუნებზე დაწერილ ქადაგებებსა და საუბრებს სხვადასხვა თემაზე“[55]. ამის კვალობაზე „ითიკის“ ხელნაწერებად უნდა მივიჩნიოთ A 927, A 394, A 100, S 376, A 181, H 2350 და S 3661 ხელნაწერები, რადგან სწორედ ისინი შეიცავენ სხვადასხვა საუბრებთან ერთად ფსალმუნებზე დაწერილ ქადაგებებსაც. რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო სამ ხელნაწერს (Ath 32, H 2251, Ier 14), რაკი მათში ფსალმუნებზე დაწერილი ქადაგებები არ დასტურდება, ამიტომ „ითიკის“ კრებულებად არც ჩაითვლებიან.

ნ. ცოფურაშვილის აზრით, რასაც ჩვენც ვეთანხმებით, ბერძნული „ითიკა“ ეფთვიმეს თარგმნის დროსვე უნდა გაეცალკევებინა საუბრებად სხვადასხვა თემაზე და ფსალმუნებზე დაწერილ ქადაგებებად[56]. ამას ადასტურებს, ჯერ ერთი, ის, რომ ეფთვიმეს სიცოცხლეში, მისი ზედამხედველობით ათონზე გადაწერილ ხელნაწერებში (Ath 32, H 2251) „ითიკის“ მხოლოდ ერთი ნაწილია (საუბრები სხვადასხვა თემაზე) წარმოდგენილი, მეორეც ის, რომ ეფთვიმეს მიერ თარგმნილ თხზულებათა სიაში „ითიკის“ ეს ნაწილები სხვადასხვა ნაწარმოებებად არის შეტანილი („სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისნი“ და „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ)[57].

„ითიკის“ ხელნაწერების შესწავლის შედეგად ნ. ცოფურაშვილმა სრულიად მართებულად ამ ნაწილების „ითიკად“ გაერთიანება ქართულში გვიან მომხდარ ფაქტად მიიჩნია: „მხოლოდ გვიან გადაწერილ ხელნაწერებში—წერს იგი—დაიკავა ბერძნულ ხელნაწერთა ანალოგიით ფსალმუნებზე აგებულმა ქადაგებებმა თავისი კუთვნილი ადგილი ბასილის საუბრების გვერდით“[58].

აქ გვინდა შევნიშნოთ, რომ ნ. ცოფურაშვილის მიერ ნახმარმა გამოთქმამ „გვიან გადაწერილმა“ უფრო კონკრეტული აზრი შეიძინა მას შემდეგ, რაც გამოჩნდა ითიკის XII ს-ის ხელნაწერი (A 927), რომელშიაც ეს ნაწილები უკვე გაერთიანებულია[59].

---

53 ნ. ცოფურაშვილი, ნარკვევი ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან...

54 S. Y. Rudberg, Études...

55 ნ. ცოფურაშვილი, „ითიკის“ შედგენილობისათვის (ბერძნული ხელნაწერები)... გვ. 65.

56 ნ. ცოფურაშვილი, „ითიკის“ შედგენილობისათვს... გვ. 66. თუმცა არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ „ითიკის“ ტექსტის ამგვარი გაცალკევების მიზეზი ამგვარადვე გაცალკევებული ბერძნული წყარო ყოფილიყო.

57 იქვე. (ეს სია, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, დაცული აქვს ეფთვიმეს მამის, იოვანეს, ანდერძს, რომელიც შემდეგ უცვლელად გადაიტანა გიორგი მთაწმიდელმა თავის თხზულებაში „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთვიმესი“).

58 იქვე.

59 „ითიკის“ ხელნაწერები სპეციალურ შესწავლას და გამოცემას საჭიროებს, ამიტომ მათში დაცულ საუბრებს სხადასხვა თემაზე ჩვენ აქ აღარ ვეხებით.

ძეგლის ენის საკითხები

ეფთვიმეს ავტოგრაფს ჩვენამდე არ მოუღწევია, ამიტომ არ ვიცით, ზუსტად როგორი იყო მისი ხელიდან გამოსული ტექსტი. ეს სამი ხელნაწერი ერთმანეთის ვარიანტებია, მეტ-ნაკლებად განსხვავებული ერთმანეთისაგან ტექსტობრივ-ენობრივად. ტექსტობრივ (=შინაარსობრივ) განსხვავებებს ძირითადად ქმნიან გარკვეული რიგის (უნებური თუ შეგნებული) ლექსიკური შენაცვლებები, რომელთაც ასე თუ ისე ტექსტის შინაარსიც შეუცვლიათ. მხედველობაში გვაქვს ამგვარი შენაცვლებები:

აშფოთებდ AC—აშთობდ, B (7,12)
დაამტკიცებენ AC—ამცნებენ B (12,10)
ღმრთისაჲ B—წმიდაჲ AC (18,1)
შეგინებისასა AB—მთრვალობისასა C (18,12)
დაწყებაჲცა A—დაწყნარებაჲცა BC(20,35)
განგებაჲ A—გონებაჲ BC (32,27)
ბუნებით B—ჭეშმარიტებით AC (56,30) და სხვ.

ტექსტობრივი განსხვავება უფრო შორს თითქმის არ მიდის. (ხელნაწერებში ადგილი აქვს სინონიმების მონაცვლეობასაც, ოღონდ ისინი, როგორც ვიცით, ტექსტის შინაარსზე არ მოქმედებენ). რაც შეეხება ენობრივ მხარეს, აქ განსხვავებები მეტია, განსაკუთრებით ორთოგრაფიულ-ფონეტიკური თვალსაზრისით.

ტექსტობრივად რომელი ხელნაწერის წაკითხვაა ეფთვიმესეული და, მაშასადამე, პირველადი, ამას კონტექსტითა და ბერძნულ წყაროსთან შედარების მეშვეობით ვადგენთ, მაგრამ როგორი ორთოგრაფიით წერდა ეფთვიმე, რა ფონეტიკური და გრამატიკული თავისებურებები ვლინდებოდა მის ენაში, ანდა სინონიმური ლექსიკიდან რომლებს იყენებდა, ამის დადგენა გაცილებით ძნელია. საერთოდ კი, რადგან A, B და C ნუსხები ერთმანეთისაგან არ მომდინარეობენ, ამიტომ უფრო შესაძლებელია ეფთვიმესეულად ჩავთვალოთ ამ ნუსხათაგან ორში დადასტურებული ტექსტობრივ-ენობრივი თავისებურებანი, რა თქმა უნდა, იმასთან ერთად, რაც სამივესათვის საერთოა.

I. ხელნაწერთა ორთოგრაფიულ-ფონეტიკური თავისებურებები

A და B ხელნაწერები რომ უშუალოდ ეფთვიმეს ავტოგრაფიდან მომდინარეობენ, ეს ეჭვს არ იწვევს. თანაც ორივე გადაწერილია ეფთვიმეს სიცოცხლეში ათონზე, ინტერვალიც ერთის გადაწერის დროიდან მეორემდე ძალიან მცირეა, ამიტომ განსაკუთრებით თვალში საცემია ის განსხვავება, რაც B ხელნაწერში დასტურდება A-სთან მიმართებით ორთოგრაფიული თვალსაზრისით.

იორდანეს მიერ გადაწერილი ხელნაწერისათვის დამახასიათებელია ორთოგრაფიული თავისებურება, რომელსაც იმდროინდელ სხვა გადამწერებთანაც ვხვდებით, მაგრამ არა ასე ფართოდ. ესაა ო-სა და უ-ს, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ჳ-სა და ჴ-ს აღმნიშვნელი ასონიშნების ურთიერთშენაცვლება. ჳ დიფთონგის გადმოსაცემად ჳი კომპლექსის ხმარებას ხომ ხელნაწერში თითქმის სისტემური ხასიათი აქვს.

მაგალითები:

ო ნაცვლად უ-ისა: დაადომებს, ჭაბოკთა, ნავთსაყოდელთა, ცოდად, წოხდენ...

უ—ო: გუნებისაჲ, მბრძული, განიუტის, გკრგკნუსანს, დარჩუმილ, აღურძნდების...

ჳ—უ: წყკრილი, მკკრნალნი, მოგკცა, სიკკდილი, საწკრთელ, პატივ-გკცა...

უ—ჳ: ძურის-ზრახვასა, თუსისა, სიტყუსაჲ, მშუდობასა, გუბრძანებს...

ჳ—ს აღსანიშნავად უი-ს ხმარება, როგორც აღვნიშნეთ, აქ ჩვეულებრივია: გუიჩუენა, გუისწავიეს, გუირგუინი და სხვ. იშვიათია და აქა-იქ გვხვდება: გკრგკნი, გკბრძანებს, ღკნის-მოყუარენი...

ხელნაწერში არც თუ იშვიათად ადგილი აქვს ი-ს ნაცვლად ჲ-ს ხმარებას, როგორც ხმოვნების შემდეგ: დაჲმარხვის 106r, შეჲმოსოს 105v, ესაჲაჲს 104v, ისე სიტყვის დასაწყისში, ხმოვნებისა თუ თანხმოვნების წინ: ჲმარხავთ 104r, ჲჭუეულ 112r, ჲერემია 173r, ჲოვანე 115r, ჲოსებს 217r, ჲძულებისა 185r, ჲძულებითნი 193r.

იორდანეს გადაწერილი ხელნაწერის ამგვარი ორთოგრაფია ეფთვიმეს ავტოგრაფიდან რომ მოდიოდეს, იგი, ალბათ, Ath 32-შიც იჩენდა თავს ცალკეულ შემთხვევებში მაინც. Ath 32-ში კი ამგვარი შენაცვლება არა გვაქვს. ის ფაქტი, რომ უ, ო, ჳ გრაფემების ამგვარი მონაცვლეობა, აგრეთვე ი-სათვის ჲ-ს ხმარება იორდანეს გადაწერილ მეორე ხელნაწერშიც (A 603) დასტურდება[60], ნიშნავს, რომ იორდანესთვის, როგორც გადამწერისათვის, ამგვარი ორთოგრაფიით წერა ყოფილა დამახასიათებელი, რასაც იგი ეფთვიმეს ავტოგრაფიდან გადმოწერილ ხელნაწერშიც არ ღალატობს.

ხელნაწერის ორთოგრაფია რომ გადამწერის მართლწერის ნორმებს ასახავს, ეს კარგად ჩანს აგრეთვე Ier 14 ხელნაწერში ჵ-ს ხმარების თავისებურებიდან.

გაცილებით ადრინდელ ხელნაწერებში Ath 32-სა და H 2251-ში ჵ იშვიათადღა დასტურდება (H 2251-ში კიდევ უფრო იშვიათად, ვიდრე Ath 32-ში) და გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ ე-ფუძიანი სახელების სახელობით ბრუნვაში განურჩევლად იმისა, ეს სახელი ქვემდებარეა, პირდაპირი დამატება თუ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი: „სიკეთჵ იგი განილევის“ A, 132r; „მოსცა მზჵ A, 135v; „მნჵ იყოს“ A, 133v.

Ier 14 ხელნაწერი კი ჵ-ს ხმარების თვალსაზრისით მეტად თავისებურ სურათს გვიჩვენებს. ჵ აქ გვხვდება არა მხოლოდ ისეთ სახელებში, რომლებიც ე-ზე ბოლოვდებიან, არამედ ე-ხმოვნით დამთავრებულ თითქმის ყველა სიტყვაში, მაშასადამე, გარდა სახელებისა, ნაწილაკებთან, ზმნისართებთან, -მდე თანდებულთან, ზმნის პირველი და მეორე პირის ფორმების ბოლოს I და II სერიის მწკრივებში და სხვ.

მაგალითები: ბრწყინავნ რაჲ მზჵ 160r; მდინარჵ წარიღებნ 158r; აქუნდა სიმდიდრჵ 114r; მჭმუნვარჵ და დამდნარ 158v; მე გულსავსჵ ვარ 145r; ნუუკუჵ, უკუჵ; ადრჵ 78 r; მერმჵ 78 r; 155 v; რასმჵ 161 r; გარჵ-მივაქცევ 158 v; ცადმდჵ 112v; აქამომდჵ 159 v. ზმნის პირიან ფორმებში: მელოდჵ 76v, იხილჵ 79r, ეძიებდჵ 108 v, მივიდჵ 118 v, შევბრკოლდჵ 119 r, და-

---

[60] ნევმირებული ძლისპირნი... გვ. 25-26.

ვ ა რ ღ კ ნ Ⴓ... ა ღ ვ ა შ ე ნ ნ Ⴓ 122r, ა ჩ უ ე ნ ე ბ დ Ⴓ 143v და სხვ.

Ⴓ არ გვხვდება ე-ფუძიანი საკუთარი სახელების ნათესაობით ბრუნვასა და სახელთა შედარებითი ხარისხის ფორმებში, ცხადია, სწორედ იმის გამო, რომ ამ შემთხვევებში სიტყვა ე-ზე არ ბოლოვდება.

ერთგან ე-ფუძიანი სახელის სახელობით ბრუნვაში -Ⴓჲ დაბოლოებაც დადასტურდა[61]: „აჰა ესერა მოცემულ არს შენდა მ ზ Ⴓ ჲ" 483r.

C ხელნაწერი სხვა ორთოგრაფიული თავისებურებებითაც უპირისპირდება A და B ხელნაწერებს; ეს უკანასკნელნი ასეთ შემთხვევებში ძირითადად ერთად დგანან.

„გულისხმისყოფა" C ნუსხაში ყოველთვის ხ-ით წერია, A-სა და B-ში კი ჴ-ით, არც ერთმა ნუსხამ ამ მხრივ გამონაკლისი არ იცის.

სიტყვა „თთუე" უგამონაკლისოდ ორი თ-ით წერია C ხელნაწერში იმ დროს, როდესაც ერთი თ-ით გვხვდება A-სა და B ხელნაწერებში: თ თ უ Ⴓ 80r; 72v; თ თ უ ე ს ა 76v; თ თ უ ე თ ა ს ა 75v და სხვ.

C ხელნაწერი მეორე სუბ. და მესამე ობ. პირის ნიშნებად მოსალოდნელი ს-ს ნაცვლად ხმარობს ჰს-ს:

C:	შეჰსცვალებს 101r	AB:	შესცვალებს
	დაჰსცხრა 147v		დასცხრა
	წარჰსწყმედს 139r		წარსწყმედს
	მოჰსწყლავს 157r		მოსწყლავს
	დაჰსცხრები 85r		დასცხრები

C-ს გადამწერს ერთპირიან „სთქდების" ზმნაში ფუძისეული ს III ობ. პირის ნიშნად ჩაუთვლია და მისთვის თავისი ორთოგრაფიული წესის შესაბამისად ჰ წაუმატებია: გ ა ნ ჰ ს თ ქ დ ე ბ ო დ ე ს 114v (AB: განსთქდებოდეს). ასეთივე მაგალითია: დ ა ჰ ს ხ დ ი ა ნ 275r. სხვა შემთხვევაში კი ფუძისეულ ზ-სთან, რომელთანაც II სუბ. და III ობ. პირის ნიშნად ჩვეულებრივ ჰ იხმარება და რომელიც პირის ნიშნად ს-ს არასოდეს არ იგუებს, C-ს გადამწერს ჰ-სთვის წაუმატებია ს: ა ღ ჰ ს ზ უ ა ვ ნ Ⴓ (AB: აღჰზუავნე) და მიუღია სრულიად უჩვეულო ფორმა.

XI საუკუნემდე ხელნაწერებში S_2 და O_3-ის ნიშნად დადასტურებული -ჰს (//-ჰშ) მიჩნეულია ერთ რთულ ბგერად, „რომლითაც გადმოიცემოდა გარდამავალი საფეხურის ბგერა ჰ-დან ს-საკენ"[62]. როდესაც ჰს-ს ამგვარ პირის ნიშნად ხმარობს გადამწერი XI ს-ში, ჰ-ს ს-ით შეცვლა რომ უკვე კარგა ხნის დამთავრებულია, თანაც ზოგჯერ ხმარობს სრულიად უადგილოდაც, ცხადია, აქ ჰს-ს ხმარება ენაში მოქმედი ფონეტიკური პროცესის ამსახველად ვერ ჩაითვლება.

ძველ ქართულში „ვშუერ" ზმნიდან ნაწარმოები სახელი „შრომა" ფუძეში უ-ს აღარ შეიცავს, C ხელნაწერი კი ამ სიტყვას სხვაგვარად არ ხმარობს, თუ არა უ-ით: შ უ რ ო მ ა ჲ 476r (AB შრომაჲ); შ უ რ ო მ ა თ ა 453r (AB შრომათა), უ შ უ რ ო მ ე ლ 89v (AB უშრომელ) და სხვ.

---

[61] მსგავსი მაგალითები შენიშნულია აგრეთვე პარხლის მრავალთავსა და ოშკის ბიბლიაში: ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თ ი ნ ა თ ი ნ ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1976, გვ. 266—267.

[62] ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, გვ. 61.

იმავე C ხელნაწერში რამდენჯერმე ჰ- პირის ნიშანი ნახმარია სახელზმნებთან: ჰხედვაჲ 106v, ჰხედითა 172v, ჰხედვად 93r, მოჰხედვით 94v, დაჰშრეტად 248v, ჰხადილი 252r, განჰშჯით 270v, შეურაცხჰყოფაჲ. ამ მოვლენას ჯერჯერობით ახსნა არ ეძებნება[63].

ფონეტიკური თავისებურებებიდან აღსანიშნავია:

ბგერათდაკარგვა

ბოლო თანხმოვნის მოკვეცით გამარტივებულია ზმნისწინები:

აღ→ა: აგებული B 107v (AC აღგებული); ამაღლდებოდიან A 80r, B; წინაამდგომისა A 123r; პელისამპყრობელი A 98v, B; აპოცენ A 124v, B; ახილვაჲ A 84r, B; ადგომასა A 212v, B; ამჴედრდი C 484r; ამქუმელთა A 176v, BC; პელისამპყრობელნო A 217r, BC.

გან→გა: გარყუნას A 246r; გამკითხველ A 79v; გაუყო A 153r; გაწითებულ C 142v (AB განწითებულ).

წარ→წა: წაეკიდა A 110r, B.

მაგალითები სამივე ხელნაწერში დასტურდება, ოღონდ საინტერესოა, რომ ზმნისწინგამარტივებული ფორმების მეტი რაოდენობა მოდის ყველაზე ძველ A ხელნაწერზე, ორიოდე მაგალითი გვხვდება ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანდელ C ხელნაწერში.

ქართულში ბგერებიდან ყველაზე ხშირად იკარგვის ვ. იგი შეიძლება დაიკარგოს ყველანაირ პოზიციაში, როგორც ხმოვნებს შორის, ისე ხმოვნის წინ ან შემდეგ, ძირითადად ბაგისმიერთა მეზობლობაში. ვ-ს დაკარგვა-შენარჩუნების მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდებიან, ერთი მხრივ, AB და, მეორე მხრივ, C ხელნაწერი. AB ხელნაწერებში ვ, როგორც წესი, დაკარგულია, C-ში კი უმეტესად — შენარჩუნებული.

ძოენ A 164r, B (C ძოვენ); მთხოელად A 122r, B (C მთხოველად), დამტეობელ A 69v, B (C დამტევობელ); იქცეოდის A 64r, B (C იქცევოდის); აწოებს A 96v, B (C აწოვებს); ჰზუაობ A 81r, B (C ჰზუავობ) და სხვ.

ასევე უპირისპირდებიან ერთმანეთს AB და C ხელნაწერები ჰ-ს დაკარგვა — შენარჩუნების მიხედვით, როდესაც ჰ მეორე სუბ. ან მესამე ობ. პირის ნიშანია:

ზრახავნ A 67r, B (C ჰზრახავნ); ზრუნავთ A 117v, B (C ჰზრუნავთ); განმზადე A 70v, B (C განჰმზადე); სურის A 70v, B (C ჰსურის); შუენის A 68r, B (C ჰშუენის); დაშჯი A 123v, B (C დაჰშჯი); ხედავნ A 43r, B (C ჰხედავნ); განჴსენით A 58r, B (C განჰჴსენით) და სხვ.

დაკარგულია მ- პრეფიქსი სიტყვაში „მბრწყინვალე". აქაც კვლავ AB და C ხელნაწერების დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე: A-სა და B-ში გვაქვს მ-დაკარგული, ფორმები C-ში—მ-შენარჩუნებული ფორმები:

---

[63] აღსანიშნავია, რომ ანალოგიური მაგალითები ივ. იმნაიშვილმა დაადასტურა სინურ მრავალთავში. აქ სახელზმნების გარდა რამდენიმე არსებითი სახელიცაა: ჰხე, ჰხმა (გულისჰხმა-ჰყო), სულ თერთმეტი მაგალითია. საყურადღებოა აგრეთვე „ჰსიმწარითა" ფორმა, რომელიც ივ. იმნაიშვილს იოვანე-ზოსიმეს გადაწერილ კალენდარში მიუკვლევია: ივ. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი, თბ., 1975, გვ. 29—31.

ბრწყინვალე A 58r, B (C მბრწყინვალე); უბრწყინვალეს A 117v, B (C უმბრწყინვალეს); ბრწყინვალებანი A 82r, B (C მბრწყინ-ვალებანი) და სხვ.

მ იკარგება აგრეთვე სიტყვაში „მჭმუნვარე“. აქ უკვე მ-დაკარგული ფორმები B ნუსხაში გვხვდება: მჭუნვარე 104v, 123r; მჭუნვარებაჲ 171v; მჭუნვარებისა 106r: მჭუნვარებით 127r. შესაბამის ადგილებში A და C ხელნაწერებში ყველგან გვაქვს: მჭმუნვარე, მჭმუნვარებაჲ, მჭმუნვარებისა და ა. შ.

მ ხან შენარჩუნებულია და ხან იკარგება სიტყვაში „მეპურისმტე:“ მეპურისმტედ A 69v, BC; მეპურისტედ A 69v, BC, მეპურისტჱ A 73r, BC; თანამეპურისმტედ A 159v (BC თანამეპურისტედ).

საკუთარი სახელი Σαμψων ქართულ თარგმანში სხვადასხვაგვარად გვხვდება: სამფსონ A 72v, (BC სამსონ), სამფსუნ A 61v, C (B სამსონ). რაკი ბერძნულ წყაროში იკითხება Σαμψων და წყაროს წაკითხვა თარგმანშიცაა დაცული, მის გვერდით პარალელურ ნუსხებში ვარიანტი „სამსონ“ ფ-დაკარგულ ფორმად უნდა ჩაითვალოს (დისიმილაციური პროცესია).

ბგერათგანვითარება

ისევე როგორც ვ-ს დაკარგვის, მისი განვითარების შემთხვევებშიც ძირითადად ისევ AB და C ხელნაწერები უპირისპირდებიან ერთმანეთს:

ორლანოვები C 135v, (AB ორლანოები); ნოვე C 78v, (AB ნოე); უსამართლოვებაჲ C 456r, (AB უსამართლოებაჲ); ამაოვებისა C 485r, (AB ამაოებისა) და სხვ.

მხოლოდ A ხელნაწერში შეგვხვდა ვ-დართული შემდეგი ფორმები: ვლტოლვადი A 164r, ვლტოლვილი 212v, 213r (BC ლტოლვადი, ლტოლვილი).

C ხელნაწერში მ-ით დაწყებულ სიტყვებს რატომღაც მეორე მ დაერთვით, მიზეზი ამჟამად ჩვენთვის აუხსნელია: დამმწყსაჲ 88v; მომმწყსენ 85v; დავმმწყსნეთ 85r; სამმწყსონი 192v; მმშიერნი 183r; სამმსახურებელად 158r; შემმწყნარებელ 109r; დამმთქმელნი 92v.

ნ ჩანს განვითარებული ფორმებში: შეეთხზნები A 79v, B (C შეეთხზები); აღზუავნებაჲ A 135r, C (B აღზუავებაჲ); ეგზნების B 111r, (AC ეგზებოდა); დამნთქმელნი B 125v, (A დამთქმელნი, C დამმთქმელნი); უქმნელებისა A 58r, C (B უქმელებისა).

ასიმილაცია

ბერძნული სიტყვა ἄγγελος ქართულში ჩვეულებრივ -ზ დაბოლოებით გადმოდის. ასეა ძველ ქართულში საერთოდ, ასევეა „სწავლათა“ A და B ხელნაწერებშიც. C ხელნაწერში კი ეს სიტყვა, ერთი გამონაკლისის გარდა, ყველგან -ს დაბოლოებით გვხვდება: ანგელოსნი 89r, ანგელოსთა 77r, 107r; ანგელოსთაჲ 86r და სხვ.

რეგრესული დისტანციური ასიმილაციითაა მიღებული A ხელნაწერში დადასტურებული ფორმები: შაშუალ 64r (BC საშუალ) და ახუსებაჲ 224r (B ალუსებაჲ, C ალვსებაჲ), აგრეთვე C-ში ფორმა იოსაპატს 271v (AB იოსაფატს).

პროგრესული დისტანციური ასიმილაციის შედეგადაა მიღებული იმავე A ხელ-

ნაწერში ფორმა „ყურყდელი“ (← ყურგდელი): „ყ უ რ ყ დ ე ლ ნ ი და მელნი“ 172r (BC ყურდგელნი).

რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის შედეგია **სჯ→შჯ** და **სჭ→შჭ**: სჯული→შჯული; სჭამ→შჭამ და სხვ. აღსანიშნავია, რომ უასიმილაციო ფორმები დასტურდება B ხელნაწერში, ასიმილაციით კი A-სა და C-ში:

დ ა ს ჯ ი ლ B 199r, AC დ ა შ ჯ ი ლ; უ მ ს ჯ ა ვ რ ო ე ბ ი ს ა ჲ B 117r, AC უ მ შ ჯ ა ვ რ ო ე ბ ი ს ა ჲ; ს ჯ დ ე B 159r, AC შ ჯ დ ე; ს ჭ ა მ დ ე თ B 161v, AC შ ჭ ა მ დ ე თ; შ ე მ ს ჭ უ ა ლ უ ლ B 147r, AC შ ე მ შ ჭ უ ა-ლ უ ლ და სხვ.

რაც შეეხება სიტყვას „შჯული“, იგი (მისგან ნაწარმოები ფორმებითურთ) გვხვდება C ხელნაწერში, AB-ში კი მის შესატყვისად, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, გვაქვს „რჩული“ (დისიმილაციით მიღებული ფორმა შჯ→რჩ):

რ ჩ უ ლ ი ს ა A 66v, (C შჯულისა); რ ჩ უ ლ ი ს მ დ ე ბ ე ლ A 72v, B (C შჯულისმდებელ), რ ჩ უ ლ ი ე რ ა დ A 79v, B (C შჯულიერად); უ რ ჩ უ-ლ ო ს ა A 62r B (C უშჯულოსა) და სხვ.

ს თანხმოვნის წინ **დგ თქ**-დ იქცევა ხოლმე სიტყვებში „გიდგს“ „შეუდგს“. აღსანიშნავია, რომ A და C ხელნაწერების თქ-ს საპირისპიროდ B-ში შენარჩუნებულია **დგ**: „შ ე უ თ ქ ს ბოროტსა მას შური“ A 128r, C (B შეუდგს); „რაჲ-იგი შ ე უ თ ქ ს არაყოფასა ღმრთისასა“ A 108r, C (B შეუდგს): **დგ** გვაქვს ერთგან C-შიც: „ერთი ერთსა შ ე უ თ ქ ს“ A 204v (C შეადგს, —B).

„არა წინაშე ვ ი თ ქ ს-ა გლახაკი?“ A 141v, C (B გ ი დ ს-ა, გ-ს მეზობლობაში **დ** დაიკარგა).

სხვა შემთხვევაში A ხელნაწერი B-სთან ერთად უპირისპირდება C-ს, იცავს რა **შდ→შთ** გადასვლას (პროგრესული კონტაქტური ასიმილაცია) სიტყვაში „მიწდომა“: მ ი წ თ ო მ ა დ A 86v, B (C მიწდომად); მ ი უ წ თ ო მ ე ლ ი A 84v, B (C მიუწდომელი).

რედუქცია

რედუქციის მიხედვით ხელნაწერებში ჭრელი სურათია. შეკუმშულ ფუძეთა საინტერესო მაგალითებია: „ვ ე შ პ ი ს ა“ A 159r (BC ვეშაპისა); წ რ ფ ლ ა დ A 227v, B (C წრფელად); A 228r BC; A 228v, B; წ ე ლ ი წ დ ი ს ა მ ა ნ A 70v, B (C წელიწადისამან), აგრეთვე ცნობილი მაგალითი **ი** ხმოვნის რედუქციაზე: უ ნ ა გ რ ე ბ ი B 230r (AC უნაგირები).

ბგერათგადასმა

მაგალითები ძირითადად A ნუსხაში შევხვდა: მ ა დ რ ი ე ლ A 64r, 101v (BC მადლიერ), უ ძ რ უ ლ 203r (C უძლურ,—B); დ ა დ რ გ ო მ ა ს ა 84v (B დაღგრომასა C დადგომასა); თ ა ვ მ ს დ ე ბ ი A 153v, BC.

ბგერათშენაცვლება

მ—ნ: ა ნ პ ა რ ტ ა ვ ა ნ ე ბ ა ჲ A 95r (BC ამპარტავანებაჲ). **ზ—ძ**: ვ ს ძ-რ ა ხ ა ვ თ A 152r (BC ვჰზრახავთ); დ ა ბ ზ ა რ ი ს A 231v, (BC დაბძარის); დ ა ი ბ ზ ა რ ვ ო დ ე ს A 249r, (BC დაიბძარვოდეს). **ფ — მ**: მ შ ჳ ნ ვ ა ჲ A 69v, B (C ფშჳნვაჲ); ს ა მ შ ჳ ნ ვ ე ლ ი თ C 109v (AB საფშჳნველით). **იერ—იორ**: სიტყვა „თჳნიერ“ ხშირად „თჳნიორ“ სახით გვხვდება B ხელნაწერში: „სინანული თ ჳ ნ ი ო რ მარხვისა არა იქმნების“ B 106v (AC თჳნიერ). იხ. კიდევ 110r, 110v, 117v, 162r...

A და B ხელნაწერებში ზოგჯერ ერთსა და იმავე ადგილას, ზოგჯერ კი სხვადასხვაგან „მეყსეულად" და „მეყსა (შინა)" სიტყვებში ყს ბგერათკომპლექსი ქს კომპლექსითაა შეცვლილი. გვხვდება: „მექსეულად" და „მექსა შინა" ფორმები.

მ ე ქ ს ე უ ლ ა დ A: 66v, 75r, 115r, 132v; B: 158v. AB: 83r, 84r, 107v... მ ე ქ ს ა შინა B: 124v, 182r.

ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებიდან ცნობილია შემთხვევები, როდესაც ქშ-ს ენაცვლება ყშ: ს ი ყ შ ო (სიქშო), დ ა ყ შ ო ბ ი ლ (დაქშობილ), შ ე პ ყ შ ი-რ დ ი ს (←შეპქშირდის) და სხვ. ქშ→ყშ გადასვლის მიზეზად ზ. სარჯველაძეს ქშ-ს არაბუნებრიობა მიაჩნია[64], ბ. გიგინეიშვილი კი შესაძლებლად თვლის ამ ტიპის აქცესიურ ჯგუფთა თავისუფალ მონაცვლეობას, რაც განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ შ, ც თანხმოვანთა წინ ყ-ქ დაპირისპირება ნეიტრალდება[64]. ჩვენი მაგალითების მიხედვით ჩანს, რომ აქ მართლაც თავისუფალ მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე. როგორც ჩანს, ეს მონაცვლეობა ს თანხმოვნის წინაც ყოფილა შესაძლებელი, თანაც შებრუნებით: ყს—ქს.

„სწავლათა" ტექსტში ძალიან ხშირადაა ნახმარი სიტყვა „ღჳნო". განსაკუთრებით ჰომილიაში, რომელიც მომთრვალეთ ეხება, აქ ღვინის ხსენება თითქმის ყოველ მეორე წინადადებაში გვაქვს. იორდანეს გადაწერილ ხელნაწერში ყურადღება მიიქცია სამმა შემთხვევამ, სადაც „ღჳნო"-ს ნაცვლად „ღოჲნო" წერია:

„პური ანგელოზთაჲ ჭამა კაცმან, არა ჴორცი, არცა ღ ო ჲ ნ ო ჲ, არცა სხუანი იგი სახენი, მონათა მათ მიერ მუცლისათა მოპოვნებულნი" 116v.

„ვიეთნიმე უგულისჴმონი დღეს... სუმენ ღ ო ჲ ნ ო ს ა" 127v.

მესამე მაგალითში „ღოჲნო" წარმოქმნილ სახელშია: „რაჲ ზიარებაჲ არს მ ე ღ ო ჲ ნ ო ბ ი ს ა ჲ სიწმიდესა თანა?" 128r.

ბერძნულში შესატყვისად ღვინის აღმნიშვნელი οἶνος და მისგან ნაწარმოები სიტყვა οἰνοφλυγία დასტურდება.

იორდანეს გადაწერილ ხელნაწერში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, უ, ო და ჳ-ს ურთიერთმონაცვლეობა ძალზე ხშირია და არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება (ზოგჯერ ჳ-სა და უ-ს გრაფიკული მონაცვლეობის გამო გვხვდება „ღუნო" და „ღუინოც"), მაგრამ ჳ-ს რომ ოჲ ენაცვლებოდეს, ანდა პირიქით, არც ერთი შემთხვევა არ შეგვხვედრია. ასეთ მონაცვლეობას არა აქვს ადგილი არც იორდანეს მიერ გადაწერილ მეორე, A 603, ხელნაწერში[65]. ამ ფაქტის შემთხვევითად გამოცხადებას მისი სამჯერ გამეორება უშლის ხელს. ჩვენი აზრით, აქ საქმე უნდა გვქონდეს მთარგმნელის, ეფთვიმე ათონელის, გრამატიკული დაკვირვების კვალთან. როგორც ჩანს, თარგმნის დროს მისი ყურადღება ბერძნულ-ქართულად ამ სიტყვის ერთნაირმა ჟღერადობამ მიიქცია და თარგმანში ეს ფაქტი „ღოჲნო" ფორმით აისახა კიდეც.

როგორც დავინახეთ, A, B და C ხელნაწერები გარკვეულად სხვაობენ ერთმანეთისაგან ორთოგრაფიულ-ფონეტიკური თვალსაზრისით. განსაკუთრებით თვალ-

---

[64] ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ძველი და საშუალო ქართული ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე", 1959, № 6, გვ. 229—230. შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა და ელ. გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1979, გვ. 56.

[65] იხ. ნეემირებული ძლისპირნი... გვ. 25—26.

ში საცემია C ხელნაწერის განსხვავება წინა ორისაგან. გარდა იმისა, რომ ამ ხელნაწერების ორთოგრაფიულ-ფონეტიკური თავისებურებების გამოვლენას X—XI სს. ქართულის შესწავლისათვის აქვს მნიშვნელობა, ამ თავისებურებების აღნუსხვა და ურთიერთთან შეწამება საშუალებას იძლევა აგრეთვე გამოიყოს ეფთვიმე ათონელისეული ორთოგრაფია, მისი ენისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური კანონზომიერებანი.

თუ ეფთვიმეს ავტოგრაფიდან მომდინარედ იმ ორთოგრაფიულ და ფონეტიკურ თავისებურებებს ჩავთლით, რომლებიც სამივე ნუსხაში, აგრეთვე სამიდან ორში დასტურდება, მაშინ არაევთვიმესეულად და, მაშასადამე, გადამწერთა კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ ცალკეულ ხელნაწერებში დაცული ისეთი თავისებურებები, როგორიცაა: ჳ, უ და ო გრაფემების მონაცვლეობა, რომელსაც ადგილი აქვს მხოლოდ B ხელნაწერში, აქვე დაცული „სჯული“ და მისგან ნაწარმოები სიტყვები ს-ით (ნაცვლად „შჯულისა“); ჱ გრაფემის -ე ფუძიან ყველანაირ მეტყველების ნაწილთან ხმარება C ხელნაწერში, იმავე C ხელნაწერისათვის დამახასიათებელი „გულისხმისყოფა“ (ჴ-ით), „თუე“ ორი თ-ით („თთუე“), ჰს-პრეფიქსი მეორე სუბ. და მესამე ობ. პირის ნიშნებად, „შურომა“ ნაცვლად „შრომასი“, სახელზმნებთან ჰ პირის ნიშნის ხმარება და სხვ.

ამის კვალობაზე ეფთვიმესეული ორთოგრაფია და ფონეტიკური თავისებურებანი ყველაზე ნაკლები ცვლილებებით A ხელნაწერს უნდა ჰქონდეს დაცული, შემდეგ მოდის B და ბოლოს C — ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

II. გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებები

ეფთვიმე მოგვიანო ხანის კლასიკური ქართული ენის ნორმებით წერს, ამიტომაა, რომ ბასილი დიდის „სწავლათა“ მისეულ თარგმანში აშკარად იგრძნობა ახალი გრამატიკული ფორმებისა და ლექსიკის მოძალება. წინამდებარე ნაშრომში ეფთვიმეს ენის თავისებურებებს პირველ რიგში სწორედ ამ სიახლეთა გათვალისწინებით განვიხილავთ.

1. თარგმანში უხვადაა გამოყენებული უწყვეტლის ხოლმეობითი, რომელიც ქართულში მოგვიანებით, X საუკუნეში, გაჩენილ მწკრივად მიიჩნევა[66]. აღსანიშნავია, რომ III პირის ფორმებთან ერთად აქ I და II პირის ფორმებიც შეგვხვდა, რაც ძველ ძეგლებში, საერთოდ ძალზე იშვიათია:

„რომელსა ყოველნი ისრითა ს ც ე მ დ ი ა ნ“ 79,16; „რომელნი გ ა ნ ა პ ე ბ დ ი ა ნ გულსა მისსა“ 79,22; „შ ე ა მ კ ო ბ დ ი ა ნ ცხენთა მათ, ვითარცა სძალთა“ 99,2; „მრავალნი მიხილვან, რომელნი ი მ ა რ ხ ვ ი დ ი ა ნ და ი ლ ო ც ვ ი დ ი ა ნ და ს უ ლ თ-ი თ ქ უ მ ი დ ი ა ნ და წარუგებელსა მას მოღუაწებასა ა ჩ უ ე ნ ე ბ დ ი ა ნ და ერთსა წულილსა ჭირვეულთადა მიცემად არა თ ა ვ ს-ი დ ე ბ დ ი ა ნ“ 100, 7-9; „შვილნი მშიერნი წყაროთა მათ სძი-

[66] ა. შ ა ნ ი ძ ე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, III, უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ქართულში, მისი წარმოშობა და განვითარება; საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავისადმი (1947 წ. 14—15 ნოემბერი) მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 9—10. თუმცა ლ. კ ი კ ნ ა ძ ე 1961 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში“ (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, გვ. 231—279) ავითარებს იმ აზრს, რომ უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში იმთავითვე უნდა არსებულიყო.

სათა ითხოვდიან“ 113,17; „დედისა პირსა ფრჩხილითა მოსწყლვიდიან“ 116,11; „ესრეთ სდევნიდი მას დააჭირვობდი, ვიდრემდე განაშორი თჳსაგან“ 103,30; „...წარ-რაჲ-იყვანნის, მაშინ ვწუხდით“ 48,1.

საგულისხმოა, რომ უწყვეტლის ხოლმეობითის III სუბ. პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში -ან-ის გვერდით -ედ სუფიქსიც გამოვლინდა, თანაც არც თუ ისე იშვიათად:

„ყრმანი... წყლითა მით მარხვისაჲთა მოირწყვებოდიედ“ 13,22; „მუჴლნი არა იტკრთვიდიან, არამედ მიმოდრკებოდიედ დაცემად“ 118,21; „მათვე შეურაცხ-ჰყოფდიან და იქმოდიედ საქმესა, უგუნურებითა სავსესა“ 198,21; „ჴორცნი წყლულებითა დაიჭრებოდიედ“ 70,31; „ძარღუნი განიპებოდიედ შინაგანისა მის ღელვისაგან“ 70,17; „ესრეთ აბრალებდიან ღმერთსა და არა... შეურვებოდიედ“ 115,20-21; „ჰგონებდიედ, თუ ქუეყანაჲ აღმართებულად დადგრომილ არს“ 182,4; „ესენი ოდესმე იცინიედ დაუცადებელად და ოდესმე ტიროდიედ მოუწყუედელად“ 182,6; „თქუენ ემსგავსენით კაცთა, რომელნი ელოდიედ უფალსა მათსა“ 208,23; „იგინი მიიზიდვებოდიან მძლავრებით... და მიიყვანებოდიედ გზასა მას თანაწარუვალსა... და ცრემლოოდიედ ამაოთა მათ შრომათა მათთათჳს“ 208,15-16; (სიცივისაგან) „კბილნი ურთიერთას ეცემოდიედ და ნაწევარნი დაიჴსნებოდიედ... მერმე კიდენი გუამისანი მოჰვარდებოდიედ და ვითარცა ცეცხლისა მიერ შეიწუებოდიედ“ 174,26-29; „მდინარენი... დაუცხრომელად დიოდიედ“ 174,38.

საყურადღებო ფაქტია: -ედ ფორმანტი, რომელიც კლასიკურ ქართულში აწმყოს ხოლმეობითისა და ბრძანებითის III პირის ფორმებს დაერთვის (გარკვეულ შემთხვევებში მას ენაცვლება -დ) და რომელსაც III სუბ. პირის უძველეს მაწარმოებლად მიიჩნევენ[67] (სხვა მწკრივის ფორმებთან მისი ხმარების ერთეული შემთხვევები უძველესი ვითარების გადმონაშთად ითვლება), ასე ინტენსიურადაა გამოყენებული კლასიკური ქართულის მოგვიანო პერიოდში გაჩენილ უწყვეტლის ხოლმეობითთან.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ზ. სარჯველაძის თვალსაზრისი. იგი აქ -ედ ფორმანტს მეორეულად თვლის. „ერობრივი საფუძველი უნდა გააჩნდეს—წერს იგი—ედ დაბოლოებას უწყვეტლის ხოლმეობითსა და II ხოლმეობითში. საფიქრებელია რომ სწავლიდიედ..., მოვიდიედ და მისთანა ფორმები განვითარდა ცოცხალ მეტყველებაში (სავარაუდოა, სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ დიალექტში), საიდანაც სალიტერატურო ენაშიც შეაღწია“[68].

2. თარგმანში საკმაოდ ხშირად გვხვდება ზმნისწინიანი აწმყოს ფორმები, რომელთაც მომავალი დროის შინაარსი შეუძენიათ, დღევანდელი მყოფადის მწკრივის ფუნქციით აღჭურვილან: „დასნეულდებიან, მი-რაჲ-დრკენ ბუნებითისაგან, რამეთუ განვლენ სიმრთელისაგან“ 62,23-24; „რაჟამს ერთ გზის დააბნელოს გონებაჲ ვნებამან ამან და თავადისა მის სულისა ძალი დაიპყ-

[67] ვ. თოფურია, ენის ვანვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში: იკე, V, 1953, გვ. 521—522; დ. გეჭაძე, მესამე პირის სუბიექტის ნიშანი -დ ძველ ქართულში: ქუთაისის სახელმწ. პედ. ინსტ შრ., XI, 1952—1953, გვ. 146; ილ. აბულაძე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII—X სს-ის ძეგლების მიხედვით: ილ. აბულაძე, შრომები, II, 1976, გვ. 157.

[68] ზ. სარჯველაძე, დ/ედ და ნ ნიშნებიანი მესამე სუბიექტური პირის იშვიათი ფორმები ძველ ქართულში: მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, 1973, 2, გვ. 146.

რას, ყოვლითურთ მჴეცად გ ა რ დ ა ა ქ ც ე ვ ს კაცსა და არცა კაცთა ბუნებასა ზედა ყოფად შ ე უ ნ დ ო ბ ს“ 69,4-5; „ვითარცა ღუარი მძაფრი... ყოველსავე, რომელიცა წინაშე მისა იპოოს, წ ა რ ი ღ ე ბ ს“... 69,23; „ესე ყოველი წ ა რ ვ ა ლ ს, ხოლო ჩუენი იგი ჰგიეს“ 173,25; „რაჟამს სიმრავლჱ და თითოფერებაჲ ჭამადთაჲ მიიღოს და მერმე ძლევად მათდა ვერ შეუძლოს, თითოფერთა მათ სენთა მ ო ა- წ ე ვ ს მის მიერ კაცსა ზედა“ 4,3.

3. ოდ- სავრცობიანი ზმნების I კავშირებითის მრ. რიცხვის ფორმები X—XI სს. სხვა წერილობითი ძეგლების მსგავსად „სწავლათა“ თარგმანშიც -ოდინ დაბოლოებით გვხვდება:

„რაჟამს ასპარეზსა მ ო ე ლ ო დ ი ნ, ნაკლულევანებითა განჰმზადებენ“ 15,7; „რაჲთა არა დ ა ი ნ თ ქ მ ო დ ი ნ... მგლოვარენი იგი“ 123,13; „სწავლანი იგი მკურნალთანი... ჴელოვნებით ი ქ მ ნ ე ბ ო დ ი ნ“ 68,19; „რომელთაცა ი ც ო დ ი ნ ჳმარებაჲ მისი“ 75,35; „წყარონიცა ა ღ მ ო-რ ა ჲ-ი ს ხ მ ო დ ი ნ, უმეტესად აღმოაცენებენ“ 91,3; „ბრძნობდენცა ნუუკუე შენ ზედა და ი ტ- ყ ო დ ი ნ“ 109,10; „გ ა ნ ვ ი დ ო დ ი ნ ბუნებისაგან თჳსისა და იწყებდენ შობად“ 114,7; „უკუეთუ მტერობაჲ და სიყუარული ი ქ მ ო დ ი ნ ამას“ 132,4; „რომელნი განზრახვით წ ა რ ვ ი დ ო დ ი ნ ხილვად“ 188,11 და სხვ.

აღნიშნული ფორმები სამეცნიერო ლიტერატურაში ჩათვლილია გარდამავალი საფეხურის ფორმებად. ეს საფეხური უძღოდა წინ -ოდ სავრცობიანი ზმნების -დ სავრცობიანთან გათანაბრებას, რაც ქართულში კიდევ უფრო მოგვიანებით მოხდა[69].

4 IX ს.-დან ქართულში შემოდის არაბულ-ახალსპარსული ლექსიკა. X ს. მიწურულისათვის, როდესაც ეფთვიმე ათონელი მთარგმნელობით მოღვაწეობას იწყებს, სალიტერატურო ქართულში უკვე დამკვიდრებულია არაბულ-სპარსული მომდინარეობის ბევრი სიტყვა.

ასე მაგ. ამ დროისათვის ქართულში ძირითადი ლექსიკური ფონდის კუთვნილება ჩანს სპარსული სიტყვა „სუბუქი“, რომელმაც შეცვალა ქართული „სულმცირე“. „სწავლათა“ თარგმანში „სუბუქი“ და მისგან ნაწარმოები ფორმები ხშირად გვხვდება, „სულმცირე“ კი არცერთხელ არ დაგვიდასტურებია.

„ნავი... ს უ ბ უ ქ ი თ ა ტკრთითა აღგებული“ 3,27; „ს უ ბ უ ქ ა დ აღჴდეს აღსავალსა მას ცისასა“... 211,30; (მარხვა) „მოხუცებულთა ა ღ უ ს უ ბ უ ქ ე ბ ს შრომასა“ 13,22; „სიმძიმჱ იგი თავისაჲ ა ღ ს უ ბ უ ქ ნ ე ბ ი ნ“ 36,32; „აღა- ს უ ბ უ ქ ო სრულიად სიმძიმე იგი“ 39,37.

აღსანიშნავია, რომ „მარხვისათჳს“ ჰომილიის ძველსა და ეფთვიმესეულ თარგმანებში „სულმცირე“ და „სუბუქი“ ერთმანეთის შესატყვის ადგილებში გვაქვს:

ძველი: „ს უ ლ მ ც ი რ ი თ ა საჭმლითა ქცეული მოსალოდებელისაგანცა სნეულებისა განივლტინ“. ეფთვიმე: „რომელი ს უ ბ უ ქ ს ა და ზომითსა საზრდელსა მიიღებდეს, მომავალსაცა სნეულებასა განაგდებს“ 3,32.

„სწავლათა“ თარგმანში ახალი სპარსულიდან შემოსული სხვა სიტყვებია:

აეშაგი, აჲშაგი (ایشاغ — მზვერავი, მსტოვარი): „ა ე შ ა გ ი ხარ ვიდრე სიბერემდე“ 141,28; „ერთმან მან ა ჲ შ ა გ ნ ი განარინნა“ 133, სქ. 34; (აღსანიშნავია, რომ მეორე მაგალითში „აჲშაგნი“ იორდანეს გადაწერილ ხელნაწერში დასტურდება, A და C ნუსხებში შესაბამისად „მსტუარნი“ / „მსტოვარნი“ გვაქვს).

---

[69] ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 110.

ავშარა (افسر — გვირგვინი, დიადემა; ალვირი): „ყოველივე ვეცხლისა მკედითა კერულები: ა ვ შ ა რ ა ე ბ ი ძოწეულები“ 99,2 (=ალვირი).

მეხუაიშნე (← **ხუაიშანი.** خواهش — 1. ნება, სურვილი, მიდრეკილება, მოთხოვნა; 2. ქომაგობა. შუამავლობა): „ვინმცა იყო მონაჲ იგი, რომელსა ენება უფლისა თჳსისა განრისხებულისა დამშჳდებაჲ და მანმცა მტერი თჳსი მ ე ხ უ ა ი შ ნ ე დ (მეხჳშნედ BC) აღიდგინა?“ 18,6 (=ქომაგი).

მიზდება: (←**მიზდი.** مزد—დაქირავება, სასყიდლის გაცემა): „რაჲ ჰყო? რომელნი სიტყჳთა-შემწენი და სჳნიღორნი ი მ ი ზ დ ნ ე?“ 104,35.

აღსანიშნავია, რომ ბერძნულ ტექსტში შესატყვისად გვაქვს μισθόω (=დაქირავება. ბ μισθός — ხელფასი, გასამრჯელო).

სპასალარი (سپهسالار— მთავარსარდალი): „სადა არიან ბრწყინვალენი იგი მჴედარნი, ერისმთავარნი იგი და ს პ ა ს ა ლ ა რ ნ ი?“ 26,4.

არაბულ-სპარსული სიტყვებია:

ავაჯი (ა عوج— სიმრუდე): „წარვიდოდიან ხილვად... მთრვალთა და მსახიობელთა სახიობითა მით ბოროტითა და მეტყუელთა ა ვ ა ჯ თ ა მათ და კილოთა სიძვისათა“ 188,14.

ბაყლი (ა بقل — 1. სარეველა თესლი, 2. სისულელე, სიშტერე, აქ: სიბინძურე): „ყოველივე ბ ა ყ ლ ი ცოდვათაჲ განიწმიდო“ 22,12.

იაგუნდი (ა ياقوت): „მოიპოვებნ ქვათა რათმე... ი ა გ უ ნ დ თ ა“ 101,9.

კათხა (ა قدح — ღვინის სასმელი თასი, ჭიქა, ჰურჰელი): „მიეცის მას კ ა თ ხ ა ჲ, აღვსებული ღჳნითა“ (185, 25; 187,7).

ნახირი (ა نهير—ბევრი, მრავალრიცხოვანი; უხვი, მდიდარი): „რემაები ცხენთაჲ, ნ ა ხ ი რ ე ბ ი ზროხათაჲ, სამწყსოები ცხოვართაჲ, კოლტები ღორთაჲ“ 99,13.

ჰოია (ა حية—მორიელისკუდა, ღრიანკალი; ერთ-ერთი თანავარსკვლავედის სახელწოდება): „აქუს მენავეთა ცად მიმართ ხედვად და ესრეთ ცნობად, თუ ვითარ ჯერ-არს მართებაჲ ნავისაჲ დღისი მზისა მიერ, ხოლო ღამით ჰ ო ი ა ჲ ს ა გ ა ნ, ანუ ჳომთა, ანუ თუ სხუათა მათ საჩინოთა ვარსკულავთა“ 139,29[70].

„სწავლათა“ ეფთვიმესეულ თარგმანში გამოვლენილი ისეთი ენობრივი ფაქტები, როგორიცაა ზმნისწინიანი აწმყოს ფორმების დღევანდელი მყოფადის ფუნქციით აღჭურვა, I კავშირებითის ფორმებში -ოდიან დაბოლოების -ოდენ-ზე გადასვლის გარდამავალი საფეხურის ასახვა -ოდინ დაბოლოებით, აგრეთვე, აწმყოს და II ხოლმეობითის გვერდით უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმების ხმარება X ს. ქართულისათვის საყოველთაო და თვალსაჩინო სიახლეა. თვალსაჩინოა აგრეთვე არაბული და ახალი სპარსული ლექსიკის არსებობაც.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეფთვიმეს ენა სხვა რიგის სიახლესაც შეიცავს, რისი დანახვის შესაძლებლობაც მოგვცა ორი ჰომილიის—„მარხვისათჳს, თა-

[70] ეს სიტყვები არაბულსა და სპარსულში შეგვიმოწმეს რ. გ ვ ა რ ა მ ი ა მ და მ. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ მ ა.

ვი ა“ და „შესხმაჲ წმიდათა ორმეოცთაჲს“ ძველი და ეფთჳმესეული თარგმანების ტექსტობრივმა შედარებამ. ამ შედარების შედეგად გამოიკვეთა თავისებურება, რომელიც X ს. ქართულის, როგორც ძველიდან ახალზე გარდამავალი ეტაპის ტენდენციების და კანონზომიერებების ასახვას წარმოადგენს: **ეფთვიმესეულ თარგმანში უფრო ფართოდ იხმარება ის გრამატიკული ფორმები და ლექსიკური ერთეულები, რომლებიც იმ დროისათვის გზას იკაფავდნენ ენაში, ხოლო შემცირებულია და შეზღუდული იმ ფორმებისა და ლექსიკური ერთეულების გამოყენება, რომლებიც ენაში დროთა განმავლობაში დაიკარგნენ, ანდა დაკარგეს ძველი მნიშვნელობები.**

ასე მაგ.: I ობიექტური პირის მრავლობითობას ძველ ქართულში, როგორც ვიცით, გუ-პრეფიქსთან ერთად მ-ც აღნიშნავდა[71], თანაც არანაკლებ ინტენსიურად. „სწავლათა“ ეფთვიმესეულ თარგმანში 200-ზე მეტი მაგალითი შეგვხვდა ზმნის I პირის ფორმაზე მრავლობით რიცხვში, I ობ. პირის ნიშანი კი ყველგან, 10-ოდე გამონაკლისის გარდა, არის გუ-. ამ ათი შემთხვევიდანაც ზოგი ბიბლიური ციტატია, ანდა ამ ციტატის პერიფრაზი („მ ო მ ე ც ე მ ი ს ჩუენ მეორედ შობაჲ“ 167,33; „...რომელი-ესე მ ო მ ა გ ო ჩუენ“ 50,15, შდრ. ფს. 115,10; „...რომელი მ ო მ ც ა ჩუენ“ 50,16; „...უფალი ცხორებად სამოთხესავე მ ი მ ი წ ო დ ს ჩუენ“ 64,14; „ღმერთმან მ ო მ მ ა დ ლ ა ჩუენ“ 86,16, შდრ. ეფეს. 4,32; „მ ი ჴ ს ნ ნ ა ჩუენ“ 200,35, შდრ. II კორინ. 1,9; „მერმეცა მ ი ჴ ს ნ ე ს“ 200,36; „უფალმან რომელმან მ ო მ ი ყ ვ ა ნ ნ ა ჩუენ“ 11,33), რაც იმას ნიშნავს, რომ ეფთვიმეს აღნიშნული ბიბლიური ციტატები დამოწმებული აქვს ბიბლიის ძველი თარგმანებიდან, სადაც I ობ. პირის ნიშნად მრავლობითში გამოყენებული იყო მ-.

მაშასადამე, I ობ. პირის მრავლობითობის აღნიშვნის თვალსაზრისით ეფთვიმე უკვე ახალ წესს იცავს, იმ წესს, რომელიც ენაში დღემდე მოქმედებს. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ ადგილს „ორმეოცთა ჴსენების“ ძველი და ეფთვიმესეული თარგმანებიდან:

ძველი თარგმანი:	ეფთვიმეს თარგმანი:
რაჲსა მ ა ი ძ ულ ე ბ ჩუენ... განდგომად ღმრთისაგან... და წ ი ნ ა გ ჳ ყ ო ფ ჩუენ შენთა მათ კეთილთა? რაოდენი მ ო გ უ ც ე, ეგევითარი მილებადცა იწრაფე. მ ძ უ ლ ს ნიჭი ზღვევისა მომატყუებელი; ფასი მ ო მ ც ე აქა დაშთომადი... მეცნიერ სამე მ ქ მ ნ ე მეფისა, არამედ მეუფისაგან ჭეშმარიტისა უცხო მ ქ მ ნ ე... ერთისა მის გული მ ი თ ქ უ ა მ ს	რასა გ უ ა ც თ უ ნ ე ბ ჩუენ... განშორებად ღმრთისაგან... და გ ჳ ქ ა დ ე ბ ჩუენ შენთა მათ კეთილთა? რასა მ ო გ უ ც ე მ ესეზომსა, რაჲზომსა-იგი მ ი გ ჳ ლ ე ბ? გ უ ძ უ ლ ა ნ ჩუენ ნიჭნი, ზღვევისა წინამძღუარნი... საჴმართა მ ო გ უ ც ე მ აქავე დარჩომადთა... შეყუარებულ გ უ ყ ო ფ მეფისა მოკუდავისა, არამედ ჭეშმარიტისა მის მეუფისაგან უცხო გ უ-

[71] ამ ნიშანთა კვალიფიკაციის შესახებ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა... გვ. 65; ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღლილების სისტემაში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, 1946, გვ. 91—130.

ნიჭისა, გჳრგჳნისა მის სიმართლისა; მეშინის ტანჯვისა მისთჳს... ისარ ჩჩჳლად შემირაცხიეს ტანჯვაჲ ეგე თქუენი" და სხვ. 118,2-20.

ყოფ. რაჲსათჳს ესრეთ უნდოებით მცირედსა შუებასა გჳქადებ?... სატანჯველისა ერთისაგან გუეშინის... ისარად ჩჩჳლთა შეგჳრაცხიან თქუენნი ეგე წყლულებანი" 173,13-32.

ხოლმეობითის ფორმები „სწავლათა" ეფთვიმესეულ თარგმანს თითქოს არ აკლია (ეს ითქმის განსაკუთრებით უწყვეტლის ხოლმეობითზე), მაგრამ ძველ თარგმანებთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ პარალელური ტექსტებიდან მთელი პასაჟების მოტანა შეიძლება, სადაც ძველი თარგმანის ხოლმეობითის ფორმებს ეფთვიმესთან აწმყოს ფორმები შეესაბამება (საპირისპირო შემთხვევები კი თითქმის არ დასტურდება)[72].

მარხვისათჳს ა

ძველი თარგმანი:	ეფთვიმეს თარგმანი:
განმზადებითა არავინ მწუხარჱ გჳრგჳნოსან იქმნის და არავინ მწუხარებითა ძლევაჲ დაიმტკიცის	უდებებითა არავინ გჳრგჳნოსან იქმნების, მჭმუნვარებითა არავინ შეიმოსს გჳრგჳნსა ძლევისასა 1,14-16.
განძღებამან მუცლისამან მადლსა დააკლის, ხოლო მარხვათა სულსა შეჰმატიან სარგებელი	სიმაძღრე სარგებელსა თჳსსა მუცელსა მიანიჭებს, ხოლო მარხვაჲ სულსა განასპეტაკებს და განაბრწყინვებს 1,20-21.
ჰიანი... მტკიერითა რაჲთმე წამლითა განიჴრწნიან... ცოდვანი... მოაკუდინნის, რომელსა შევიდის მარხვაჲ	ჰიანი... წამლითა ძლიერითა მოსწყდებიან... ცოდვასა... განაქარვებს მარხვაჲ, შე-რაჲ-ვიდეს სულსა შინა 1,24-26.
(ნავი)... ღელვათა ზედა-აღდგომამან... ქუე დაანთქის	(ნავს)... ღელვათა ზედა-აღდგომამაჲ დაანთქამს 3,29.
კაცობრივნიცა ჴორცნი, ზედაჲსზედა განძღომითა დამძიმებულნი, ადვილად დასანთქმელ და სნეულების იქმნიან, ხოლო სულმცირითა საჭმლითა ქცეული მოსალოდებელისაგანცა სნეულებისა ... განივლტიან...	გუამი კაცისაჲ, სიმაძღრითა დამძიმებული... ადვილად შთავარდების სენთა შინა, ხოლო რომელი სუბუქსა და ზომითსა საზრდელსა მიიღებდეს, მომავალსაცა სნეულებასა განაგდებს 3,32-33.
მარხვამან წინაწარმეტყუელნი შვნის, ძლიერნი განამტკიც-	მარხვაჲ წინაჲსწარმეტყუელთა შობს, ძლიერთა განამჴნობს,

[72] „ორმეოცთა ხსენების" ძველი თარგმანიდან ადგილებს ვიმოწმებთ სინური მრავალთავის გამოცემის მიხედვით, „მარხვისათვის" ძველი თარგმანიდან კი უდაბნოს მრავალთავის (A—1109, 51v-56v) მიხედვით. ვისარგებლეთ აგრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ გადღწერილი „მრავალთავის" ტექსტით.

ნის, მარხვამან შჯულისმდებელნი განაბრძნნის... მარხვამან აწურთნის მოღუაწენი, მარხვამან განსაცდელი განაყენის, მარხვამან სცის კეთილისმსახურებაჲ ფრთხილთა, მარხვამან განმზადნის სახლეულნი კეთილისა საქმედ... ყუდროებასა და მშჳდობასა ასწავებნ

(ამინატონი)... ალსა რაჲ შევიდის განაკუერცხლებულ ჰგონიედ, და რაჟამს გამოიდიან ცეცხლისა მისგან, ვ˜ა წყლისაგან ბრკინებული, უწმიდჱს არნ

მარხვაჲ რჩულისმდებელთა განაბრძნობს... განსაცდელთა განაქარვებს... ბრძოლათა შინა მძლედ გამოჩნდების, მშჳდობასა შინა და მყუდროებასა დაყუდებასა ასწავლის 6,12.

(ამიანტე)... ვიდრემდის ცეცხლსა შინა იყოს, ვითარცა ნაკუერცხალი არს, ხ˜ გამო-რაჲ-იღო ცეცხლისაგან, ვ˜ა წყლისა მიერ განბანილი, ესრეთ უბრწყინვალესად ჩანს- 5,36-6;1.

შესხმაჲ ორმეოცთაჲ

ძველი თარგმანი:

ვითარცა ასპარეზსა შინა მოღუაწენი იგი შორის წარმოდგიან და ყოველთა ერთბამად თქჳან სახელი თჳსი და ადგილსა მას ღუაწლისასა მიდგიან, ეგრეთცა ესენი 117,21-23.

და მსგავსად ყო, ვითარცა-იგი ჴყობასა შინა: უკუეთუ ვინმე წინაჲსაჲ განწყობილისაჲ დაეცის, მეყსეულად ადგილსა მისსა სხუაჲ დადგის 121,18.

ეფთვიმეს თარგმანი:

ვითარცა აღწერასა მას შინა მჴედართასა, რომელნი-იგი ბრძოლად შევიდოდინ, იტყჳან სახელსა თჳსსა და მეყსეულად აღწერილთა მათ მჴედართა თანა მივლენ და დადგებიან მათ თანა, ეგრეთვე ამათ 172,29-31.

მიემსგავსა მბრძოლთა მჴედართა განწყობილთა, რომელნი პირველთა მათ ფაროსანთა შორის დაცემულისა მეყსეულად დასსა აღასრულებენ 177,10.

რაც შეეხება ეფთვიმესეულსა და ძველ თარგმანებს შორის განსხვავებებს ლექსიკის სიძველე-სიახლის თვალსაზრისით, აქ განსხვავება კიდევ უფრო თვალში საცემია. ეფთვიმეს თარგმანში ძველი ლექსიკა როგორც რაოდენობით, ისე ხმარების სიხშირით საგრძნობლად შემცირებული ჩანს. მოვიტანთ ამონაწერებს შესატყვისი ადგილებიდან:

მარხვისათჳს

ძველი თარგმანი:

ნესტუსა დაეცით

განჰჴსენით სკული უშჯულოებისაჲ

ვითარცა ვიმოძღურენით

ეფთვიმეს თარგმანი:

დაჰბერეთ ნესტუსა 1,3.

განჴსენით... საკრველი უკეთურებისაჲ 1,10.

ვითარცა გჳსწავიეს 1,12.

ნუმცა დასწუხნებით წინამდებარეთა მათთჳს დღეთა	ნუმცა მჭმუნვარე ვიქმნებით მომავალთა ამათ დღეთათჳს 1,13,
ვითარცა-სახედ... ჰიანი	ვითარცა ჰიანი იგი 1,23.
საიდუმლოდ მიგხადის შენ სიტყუაჲ ესე	საიდუმლოდ გეწოდოს შენ სიტყუაჲ ესე 1,29.
ნუ განირყუნი ხატსა	ნუმცა მწუხარე არს პირი შენი 2,3.
უფლისა ხატითა გამოჩნდა	იცვალის სახე უფლისაჲ 2,8.
მარხვისაგან, საანჯმნო ყოფილისა, შესაძინელი არა არნ	არცა... არს სარგებელი რაჲმე... მარხვისაგან, რომელი განცხადებულად იქმნებოდის 2,15-18.
მცირედ მგებდე	მცირედ მელოდე 2,25.
განვითხიენით სამოთხისა მისგან	გამოვევარდით სამოთხისაგან 3,11.
ნუცა კუალად განზრახვისმოდგამად შეიწყნარებ გუელსა მას	ნუ შეიწყნარებ კუალად გუელსა განმზრახად 3,14.
განძლებად და წლევად პორცთა შენთა ძალ-გიც?	განძლომაჲ და განრყუნაჲ გუამისაჲ სიმძიმითა მით ჰამადთაჲთა ძალ-გიც-ა? 3,18.
...ვიდრე ადვილად მოსაქცეველნი და ფანდალნი	(ნავი)... ვიდრელა სუბუქითა ტჳრთითა აღგებული 3,27.
მარხვითა საჭმელთაჲთა გარდაჭდად დღჱ იგი	საზრდელითა ლიტონითა სუბუქად წარვლაჲ ღამისაჲ 3,23.
რომელსა-იგი შეწესებული აქუნ ტჳრთი	რომელსა საზომისაებრ თჳსისა აქუნდეს ტჳრთი 3,29.
სულმცირითა საჭმლითა ქცეული მოსალოდებელისაგანცა სნეულებისა... განივლტინ	რომელი სუბუქსა და ზომითსა საზრდელსა მიიღებდეს... მომავალსაცა სნეულებასა განაგდებს 3,32-33.
უმრწემჱს არს სამოთხისა მის ღჳნისა სუმაჲ იგი	ახლად მოპოვნებულ არს სუმაჲ ღჳნისაჲ 4,19.
მოსეცა... არცაღა იკადრა შესლვად არმურსა მას	მოსეცა... ვითარმცა იკადრა შესლვად ნისლსა მას 4,22.
მთასა მას მკმოლვარესა	მთასა ზედა, რომლისაგან კუამლი აღდიოდა 4,23.
უკუნ-სცა ესავ პირმშოებაჲ თჳსი	მისცა პირმშოებაჲ თჳსი 4,37.
რავდენი-რაჲ გამოჴდეს ვენაჴისაგან ღჳნოჲ	ყოველივე ვენაჴისაგან გამომავალი... 5,5.
მარხვაჲ — წყობისა სიმჴნჱ	მარხვაჲ... ბრძოლათა შინა მძლედ გამოჩნდების 5,1.
მარხვაჲ ...მოწესეთა განსწმედს	(მარხვაჲ)... მონაზონთა წმიდა-ჰყოფს 5,12.

განულეველ ცეცხლისაგან	დაუწუველ არს ცეცხლისა მიერ 5,35-36.
ვითარცა წყლისაგან ბრკინებული	ვითარცა წყლისა მიერ განბანილი 6,1.
მარხვათა მათგან... ჰქონდეს უბრძოლებანი...	მარხვისაგან იყვნეს იგინი შეუხებელ 6,3.
არა შეშანთნა იგინი ცეცხლმან	არა დაადნობდა მათ ცეცხლი იგი 6,5.
არა აღამტკმობდეს პირთა მათთა	არა აღაღებდეს იგინი პირსა მათსა 6,20.
კარვის-მოდგამი	თანამკჳდრი 6,25.
ეც მოცალებაჲ ტაბლის-მიმგებელსა შენსა	ეც მოცალებაჲ მეტრაპეზესა შენსა 6,36-37.
დაიცხრევ ჴელი მწდისა შენისაჲ	დააყენე ჴელი მეღჳნისაჲ 6,37.
დააყუდე სახლიცა შენი ამბოხებისაგან	დასწყნარდინ სახლიცა შენი მრავალთა მათ ამბოხებათაგან 7,1.
...ქუენა და ზენა მორბედთა მათ	...ზე და ქუე მავალთა მათგან 7,3.
ჴორცნი ... ჩუენთჳს მიიხუნა	უფალმანცა ჴორცნი იგი... ჩუენთჳს შეიმოსნა 8,30.
ნუუკუე შენ განგაყენონ	ნუუკუე შენცა... განგაგდოს 9,30.
ბრწყინვალებაჲ გონებისაჲ განკუეთის	გონებასა შინა მოსრულთა ბრწყინვალებათა შეამრღუევენ 9,35.
სიჩჩოებისა მისგან	ფუფუნებისა მიერ 10,9.
განჰკაფო დღჱ იგი სარჩელსა შინა	განჰკაფე დღესა მას სამშჯავროთა შინა 10,21.
სიმთრვალე... ვინმე სამე სახელ-სდვა	სიმთრვალედ... იწოდოს 10,28.
ვითარცა-სახედ ღამისა-მბრძოლი	ვითარცა ღამით-მბრძოლი 10,31.
ღჳნოჲ იგი განჴდეს თჳსსა გზასა განსრბით	ღჳნოჲ იგი განჴდედ და დიოდის 11,11.
ცოდვაჲ იგი დაშთეს	დაგრჩეს... ცოდვაჲ ოდენ 11,11.
მარხვაჲ—ქალაქისა სიკეთჱ	მარხვაჲ ქალაქისა შუენიერებაჲ არს 11,27

შესხმაჲ ორმეოცთაჲ

ძველი თარგმანი:	ეფთვიმეს თარგმანი:
ზედა-მისლვაჲ 115,17	ბრძოლაჲ 170,25.
შორის წარმოვიხუნეთ იგინი 115,27	შორის შემოვიყვანნეთ იგინი 171,1.
ესენი სიმწკსითა ჴორცთაჲთა... სახელოვნად იქცევოდეს 116,31.	ესენი ახოვნებითა ჴორცთაჲთა... წარჩინებულ იქმნეს 171,38.
პატიჟსა შევარდეს 116,37.	შთავრდომაჲ სატანჯველთა შინა 172,4.
წარმოვიხუნეთ საქმენი მათნი 116,6.	წარმოვადგინნეთ... საქმენი მათნი 171,10.
სასაგროსა მას დაწესებულ იყვნეს 116,32.	დაეწესნეს მჴედრობასა შინა 171,40.
ტანჯვასა და გუემასა და სიკუდილსა უთქუმიდა 117,40.	უქადებდა მათ წყლულებათა და სიკუდილსა 173,9.
რაჲსა მაიძულებ ჩუენ, ღმრთის მოლალეჲ, განდგომად ღმრთისაგან ცხოველისა... და წინა-გჳყოფ ჩუენ შენთა მათ კეთილთა? 118,2-3.	რასა გუაცთუნებ ჩუენ, ჵ მბრძოლო ღმრთისაო, განშორებად ღმრთისაგან ცხოელისა... და გჳქადებ ჩუენ შენთა მათ კეთილთა? 173,13-14.
არა თავს-ვიდებთ პატივსა 118,5.	არა მივიღებთ პატივსა 173,16.
ესენი წარჰდენ 118,14.	ესე ყოველი წარვალს 173,25.
უბრკინვალჱსად გჳრგჳნოსან ჰქმნნე 118,22.	უბრწყინვალესად გჳრგჳნოსან იქმნენ 173,34.
საშინელთა მათ სატანჯველთა გჳთქუამთ 118,27.	საშინელთა მათ სატანჯველთა მოაწევთ ჩუენ ზედა 173,39.
არა მედგართა... შემთხუეულ ხარ 118,27.	არა უძლურთა... მიმთხუეულ ხარ 174,1.
იხილა ბუნებაჲ იგი ჟამისაჲ მის და ადგილისაჲ, რამეთუ სანეფხავ არს 118,37.	იხილა ბუნებაჲ იგი ქუეყანისაჲ მის ვითარ ცივი იყო 174,15.
ქარი იგი ჩრდილოჲთ ანქრევდა 118,39.	ქარი იგი ჩრდილოჲსაჲ ქროდა 174,18.
სიხარულით დასთხია კაცად-კაცადმან ალსასრულისაჲ იგი სამოსელი 119,24.	სიხარულით განაგდო თითოეულმან უკუანაჲსკნელიცა იგი თჳსი სამოსელი 175,5.
რომელნიმე მი-რაჲ-იწინეს მახლობელად სატანჯველთა, შეიურვეს და სხუანი ღუაწლსა მას შე-ოდენ-ჰდეს 117,7.	სხუანი ახლოს რაჲ მიიწინეს ჴირთა მათ, იძლინეს და სხუანი კუალად ღუაწლსა შინა შევიდეს 172,14-15.

ამ ამონაწერებში ერთმანეთის შესატყვისად ნახმარ (ჩვენ მიერ ხაზგასმულ) სიტყვებს თუ გვერდ-გვერდ განვალაგებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

დაცემა — დაბერვა (დაეცით — დაჰბერეთ)
სკული — საკრველი
მოძღურება — სწავლა (ვიმოძღურენით — გკსწავეიეს)
წინამდებარე — მომავალი
ვითარცა-სახედ — ვითარცა
მიხადა — წოდება (მიგხადის — გეწოდოს)
ხატი — სახე
გება — ლოდება, ლოდინი (მგებდე — მელოდე)
შესაძინელი — სარგებელი
საანჯმნო ყოფილი — რომელი განცხადებულად იქმნებოდის
განთხევა — გამოვარდნა (განვითხიენით — გამოვვარდით)
განზრახვის-მოდგამი — განმზრახი
წლევა — განრყუნა
ადვილად მოსაქცეველნი და ფანდალნი — სუბუქითა ტკრთითა აღგებული
შეწესებული — საზომისაებრ
სულმცირე — სუბუქი
მოსალოდებელი — მომავალი
განელტოლა — განგდება (განიელტინ — განაგდებს)
უმრწემესი — ახლად მოპოვენებული
არმური — ნისლი
მკმოლვარე — რომლისაგან კუამლი აღვიდოდა
უკუნ-ცემა — მიცემა (უკუნ-სცა — მისცა)
რავდენი-რაჲ გამოჴდეს — ყოველივე... გამომავალი
წყობა — ბრძოლა
მოწესე — მონაზონი
განულეველი — დაუწუეველი
ბრკინებული — განბანილი
შეშანთვა — დადნობა (შეშანთნა — დაადნობდა)
აღმტკმობა — აღება (აღამტკმობდეს — აღაღებდეს)
კარვისა-მოდგამი — თანა-მკვდრი
ტაბლის-მომგებელი — მეტრაპეზე
მწდე — მეღვნე
დაყუდება — დაწყნარება (დააყუდე — დასწყნარდინ)
მორბედი — მავალი
ქუენა და ზენა — ზე და ქუე
მიხუმა — შემოსვა (ჴორცთა) (მიიხუნა — შეიმოსნა)
განყენება — განგდება (განგაყენონ — განგაგდოს)
სიჩჩოება — ფუფუნება
სარჩელი — სამშჯაერო
სახელ-დება — წოდება (სახელ-სდვა — იწოდოს)
განსრბა — დენა (დიოდის)
დაშთომა — დარჩომა (დაშთეს — დაგრჩეს)
სიკეთე — შუენიერება

წარმოხუმა — შემოყვანა (წარმოვიხუნეთ — შემოვიყვანნეთ)
ზედა-მისლვა — ბრძოლა
სიმწკსე — ახოვნება
პატიჟი — სატანჯველი
წარმოხუმა — წარმოდგენა (წარმოვიხუნეთ — წარმოვადგინნეთ)
სასაგრო — მჴედრობა
თქუმა — ქადება (უთქუმიდა — უქადებდა)
მოლალე — მბრძოლი
წინა-ყოფა — ქადება (წინა-გკყოფ — გკქადებ)
თავს-დება — მიღება (თავს-ვიდებთ — მივიღებთ)
წარჴდომა — წარსლვა (წარჴდენ — წარვალს)
უბრკინვალესი — უბრწყინვალესი
მედგარი — უძლური
სანეფხავი — ცივი
ნქრევა — ქროლა (ანქრევდა — ქროდა)
დათხევა — განგდება (დასთხია — განაგდო)
კაცად-კაცადი — თითოეული
შეურვება — ძლევა (შეიურვეს — იძლინეს)
შეჴდომა — შესლვა (შე-ოდენ-ჴდეს — შევიდეს)

როგორც ვხედავთ, „ორმეოცთა ჴსენებისა“ და „მარხვისათჳს“ ძველი თარგმანებიდან ამოწერილი ყველა სიტყვა ძველია და თანამედროვე მკითხველისათვის თითქმის გაუგებარი, ეფთვიმესეული შესატყვისების უმეტესობა კი დღესაც იხმარება იმავე მნიშვნელობით. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, თითქოს „სწავლათა“ ეფთვიმესეული თარგმანის ლექსიკა საერთოდ ახალი იყოს. ამ თარგმანისათვის ვრცელი ლექსიკონის შედგენის საჭიროება სწორედ იმან განაპირობა, რომ ახალ ქართულზე მოლაპარაკისათვის არც ეფთვიმეს ლექსიკაა მთლიანად გასაგები.

აქ მოტანილი მასალა აშკარად მიანიშნებს ეფთვიმეს ენაში ლექსიკის თვალსაზრისით მომხდარ ცვლილებებზე და მასში იმ ტენდენციის არსებობაზე, რომელსაც ძველი ქართულიდან ახლისკენ შემობრუნება ეწოდება[73].

„მარხვისათჳს“ საკითხავის ეფთვიმესეულ თარგმანში ამ ტიპის სიახლეები ალბათ გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ იგი არ ემყარებოდეს ამავე საკითხავის ძველ თარგმანს. შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ ეფთვიმეს თარგმანში ტექსტის ერთი ნაწილი თითქმის უცვლელადაა გადმოტანილი ძველი თარგმანიდან. ეს ფაქტი ეფთვიმეს მთარგმნელობითი მუშაობის კიდევ ერთ მხარეს წარმოაჩენს: როგორც ჩანს, ეფთვიმე თხზულების ახლად გადმოთარგმნის დროს უკვე არსებული თარგმანის გამოყენებას სავსებით მიზანშეწონილად მიიჩნევდა. სანიმუშოდ მოვიტანთ ერთ ადგილს:

[73] ზემოთ ჩამოთვლილი ძველი ლექსიკური ერთეულებიდან „სწავლათა“ დანარჩენ ტექსტში მთლიანად მხოლოდ 18-მდე სიტყვა დადასტურდა: ზედა-მისლვა, ლალვა/მოლალე, თავსდება, წარჴდომა, ნეფხვა, სახიობა, ხატი, ოხრა, გარდაქდა, წყობა, დაყუდება, მიხუმა, განყენება, განკუეთა, სიჩრო, სახელდება, დაშთომა, სიკეთე. ძველ ქართულში გავრცელებული კაცად-კაცადი აქ საერთოდ არ გვხვდება, სამაგიეროდ გახშირებულია სიტყვა თითოეულის ხმარება.

ძველი თარგმანი:

სახედ გაქუნდინ მდიდარი იგი, რამეთუ ცეცხლსა მისცა იგი ცხორებისა ამის ნუკევამან... არა ხოლო მერმისა მის საუკუნოჲსა საჴმარ არს მარხვაჲ, არამედ ჴორცთათჳსცა მებრვე უმჯობეს არს... ხოლო ფუფუნეულნი იგი მოდნობასაცა ვერ შიემთხჳნიან, არამედ გარდარეული სნეულებაჲ მოიტყჳან. ხოლო მმარხველისა ფერი შუენიერ არნ. არა განწითებულ არნ იგი ურცხჳნოდ... დაშნად უპყრიედ თუალნი მისნი... ხატი აქუნ მას გონიერებისაჲ ... არა იცინინ გლისპად, არა გინებულ არნ. საზომი იცინ სიტყჳსაჲ, სიწმიდჱ აქუნ გულისაჲ".

ეფთვიმეს თარგმანი:

გეშინოდენ იგავისა მისგან მდიდრისა მის, რამეთუ იგი მისცა ცეცხლსა ამის ცხორებისა ნუკევამან... და არა ხოლო თუ მერმისა მის საუკუნოჲსათჳს ოდენ საჴმარ არს მარხვაჲ, არამედ ჴორცთათჳსცა მებრ უმჯობეს არს... რამეთუ ფუფუნეულნი იგი მოდნობასაცა ვერ მიემთხუევიან და ამისთჳს გარდარეული სნეულებაჲ ჴორცთა მოატყჳან. ხოლო მმარხველისა ფერი შუენიერ არნ, არა განწითევებულ არნ იგი ურცხჳნოდ... დაშნად უპყრიედ თუალნი მისნი... ხატი აქუნ მას გონიერებისაჲ, სიცილითა გლისპითა არა შეგინებულ არნ, საზომი იცინ სიტყჳსაჲ, სიწმიდჱ აქუნ გულისაჲ" 7, 33—8,16.

ამგვარი ტექსტობრივი დამთხვევები ამ თხზულების ძველ და ეფთვიმესეულ თარგმანებში კიდევ გვხვდება. სწორედ ძველი თარგმანია წყარო ზოგიერთი არქაიზმისა ეფთვიმეს თარგმნილ „მარხვისათჳს" საკითხავში: „ცხორებისა ნუკევამან", „დაშნად უპყრიეს თუალნი", ხატი აქუნ მას გონიერებისაჲ", „სიცილითა გლისპითა", „განჰკაფ დღესა მას სამშჯავროთა შინა" და სხვ.

სხვა თავისებურებებიდან აღსანიშნავია:

1. ქართულში ჩვეულებრივ ადამიანის წარმომავლობის გადმოსაცემად -ელ სუფიქსი გამოიყენება, ნივთის სადაურობისათვის კი -ულ. ამ სუფიქსების ხმარება მკაცრადაა გამიჯნული გარკვეული გამონაკლისების გარდა, რასაც, რა თქმა უნდა, თავისი ახსნაც მოეპოვება. „სწავლათა" თარგმანში ერთგან ქვების სადაუროობაა -ელ სუფიქსით გადმოცემული:

„შემკობილნი რომელიმე ფრიგიელითა ქვითა, სხუაჲ კუალად ლაკონიკელითა, ანუ თესალონიკელითა, ანუ ჰრომულითა" 99,17-18.

2. S_3-ის ნიშნად -დ დასტურდება სტატიკურ ზმნათა აწმყოში, პირველ თურმეობითში, მე-3 პირის ბრძანებითში. ბოლო დროს გამოვლინდა მისი ხმარების თითო შემთხვევა I და II კავშირებითში. ორივე მაგალითი შატბერდის კრებულში აღმოჩნდა. ერთი დაადასტურა ზ. სარჯველაძემ[74], მეორე ბ. გიგინეიშვილმა[75].

-დ პირისნიშნიან II კავშირებითის ფორმაზე ერთი მაგალითიც „სწავლათა" ტექსტში აღმოჩნდა:

„ღჳნოჲ იგი განჴდეედ და დიოდის თჳსსა გზასა, ხოლო შენ არაჲ დაგრჩეს მისგან, არამედ ცოდვაჲ ოდენ" 11,10-11 (B განჴდის).

---

[74] ზ. სარჯველაძე, -დ/-ედ და -ნ ნიშნებიანი მესამე სუბ. პირის იშვიათი ფორმები ძველ ქართულში... გვ. 142.

[75] შატბერდის კრებული X საუკუნისა... გვ. 60.

3. სტატიკური ვნებითისა და I თურმეობითის ფორმები ძეგლში ძირითადად -იე დაბოლოებით გვხვდება:

„რომელთა-ეგე უ პ ყ რ ი ე, მათვე დაგიმჭირონ“ 144,37.

„ვიყვენეთ ესრეთ, ვითარცა გ ჳ ს წ ა ვ ი ე ს“ 1,12.

„მზჱ მ ო უ ნ ი ჭ ე ბ ი ე ს საჭმარად... ცეცხლი მ ო უ ც ე მ ი ე ს ღამით“ 44,17 და სხვ.

I თურმეობითი -ია დაბოლოებით სულ ოთხიოდე შემთხვევაში შეგვხვდა: „ცილი დ ა გ ი წ ა მ ე ბ ი ა“ 96,31; „მეყსეულად წ ა რ უ წ ყ მ ე დ ი ა“ 212,17; „ნუცა... დიდად შ ე გ ი რ ა ც ხ ი ა“ 22,3; „ფრიადი ჟამი დ ა გ ჳ ყ ო ფ ი ა მონებასა შინა“ 143,39.

რამდენიმე შემთხვევაში I თურმეობითის ფორმები მომავალი დროის შინაარსს გადმოსცემენ, რაც ძალზე უჩვეულოდ მოჩანს, ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებში მსგავსი შემთხვევები არ დაგვიდასტურებია.

„მცირედღა სულგრძელ იქმენ და გ ი ძ ლ ე ვ ი ე ს“ 178,31 (=ცოტაც მოითმინე და დასძლევ).

„უკუეთუ კულა ეგო განურისხებელად, შ ე გ ი რ ც ხ ჳ ნ ე ბ ი ე ს მაგინებელი იგი, რამეთუ საქმით გ ი ჩ უ ე ნ ე ბ ი ე ს სიბრძნჱ“ 74,5-6 (=თუ არ განრისხდები, შეარცხვენ შენს მაგინებელს, რადგან საქმით უჩვენებ სიბრძნეს).

„უკუეთუ დასაჯო შენ ცოდვაჲ იგი და მისცე ძლევაჲ სიწმიდესა, გ ი ქ მ ნ ი ე ს საშჯელი სიმართლისაჲ; უკუეთუ კულა გულისთქუმასა მისცე ძლევაჲ... გულარძნილ გ ი ქ მ ნ ი ე ს საშჯელი იგი“ 131,27 (=თუ ცოდვას დასჯი და სიწმიდეს გაამარჯვებინებ, (შენი) მსჯავრი სამართლიანი იქნება, ხოლო თუ გულისთქმას გაამარჯვებინებ (შენი) მსჯავრი არასწორი იქნება).

4. ყურადღებას იქცევს ზოგი საინტერესო ფორმაც:

ა. „წჳმა“ ნახმარია როგორც ორპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნის ფორმა: „მზემან... ანუმცა წ ჳ მ ა ცეცხლი ზეცით“ 116,6.

სხვა შემთხვევაში ამ ზმნის I პირის ფორმა შეგვხვდა: „ვ წ ჳ მ ო და ნაწილი ერთი დასოლდეს და ნაწილი იგი, რომელსა ზედა არა ვ წ ჳ მ ო, განჴმეს“ 111,15-16.

ბ. „შერაცხვა“ და „შერცხუენა“ ზმნები იშვიათად -ებ თემის ნიშნითაც გვხდება, თითო მაგალითი აქაც დადასტურდა: „მადლობასა მას მიმღებელთასა... ჭველისმოქმედებად მისსა შ ე ჰ რ ა ც ხ ე ბ ს“ 50,20; „შ ე გ ი რ ც ხ ჳ ნ ე ბ ი ე ს მაგინებელი იგი“ 74,5.

გ. „ჴურება“ და „მრუშება“, პირიქით, -ავ თემის ნიშნით შეგვხვდა: „რომელი-იგი მარადის ჴ უ რ ა ვ ნ და მარადის სოლდებინ ლჳნითა“ 184,31; „არცა გ ი მ რ უ შ ა ვ ს, არცა გიპარავს“ 96,31.

დ. „შეპყრობა“ ზმნას -ობ-თან ერთად დართული აქვს -ებ თემის ნიშანიც: „შ ე ი პ ყ რ ო ბ ე ბ ო დ ი ს გოდებითა“ 53,18.

ე. „დაცვა“ ზმნა შეგვხვდა ქცევის ნიშნის ი-ს გარეშე: „არარაჲ გუაქუნდეს, რაჲთამცა დ ა ვ ც ე ვ ი თ“ 149,28.

ვ. ერთგან „განრინება“-ს ნაცვლად გვაქვს „განრენა“: „ნუუკუე შეუძლო გ ა ნ რ ე ნ ა დ თქუენდა ბადეთა მათგან ეშმაკისათა“ 206,8 (C განრინებად).

ზ. მიმღეობა „მოუმკებელი“ („საზრდელი აქუნდა უთესლოჲ და მ ო უ მ კ ე ბ ე ლ ი“ A 117,8) ამოსავლად -ებ თემისნიშნიან ფორმას „მომკება“-ს გულისხმობს, რაც სხვა ტექსტებში არ დაგვიდასტურებია.

გვხვდება „მოლოდება“ და „მოლოდინება“-საგან ნაწარმოები მიმღეობის

უკუთქმითი ფორმები „მოულოდებელი", „მოულოდინელი" და „მოულოდინებელი": „მ ო უ ლ ო დ ე ბ ე ლ ი თ ა წყლულებითა დაცემული" 39,13, „მ ო უ ლ ო დ ი ნ ე ლ თ ა გ ა ნ მწუხარებათა" 36,27 AB, „მ ო უ ლ ო დ ი ნ ე ბ ე ლ თ ა გ ა ნ მწუხარებათა" C.

თ. „გულისჯმისყოფა"-დან ნაწარმოები მყოფადი დროის მიმღეობები ძველ ქართულში ხშირია: გულისჯმისმყოფელი, გულისჯმისსაყოფელი. არ შეგვხვედრია წარსული დროის მიმღეობა, ჩვენს ძეგლში ერთგან ამგვარი ფორმაც დადასტურდა: „გამოაცხადოს გ უ ლ ი ს ჯ მ ი ს ყ ო ფ ი ლ ი იგი" 158,25.

ი. ძველ ქართულში იხმარება კომპოზიტი სიტყვა „თუალუხუავი", რაც ნიშნავს მიუკერძებელს, ობიექტურს. დღემდე არ შეგვხვედრია „თუალმოხუავი", რასაც საპირისპირო მნიშვნელობა აქვს: მიმკერძებელი, არაობიექტური:

„არა იყვნენ მაშინ შენ თანა თ უ ა ლ მ ო ხ უ ა ვ ნ ი იგი, არა იყოს მუნ შენ თანა ქრთამი" 105,2-3.

5. კითხვითი ნაწილაკი -ა იმავე დანიშნულების მქონე -მე ნაწილაკთან ერთად (მეა სახით) მეტყველების ყველა ნაწილთან შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ დამოუკიდებლად ხმარებისას იგი ძირითადად ზმნებს დაერთვის.

ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევები -ა ნაწილაკის სხვა მეტყველების ნაწილებთან ხმარებისა. ბასილის ჰომილიათა ეფთვიმესეულ თარგმანში აღმოჩნდა რამდენიმე მაგალითი, სადაც -ა კითხვითი ნაწილაკი სახელს დაერთვის:

„რაჲ სიტყუაჲ მიუგო უფალსა? ვითარმედ მან ყო დასაბამი რისხვისაჲ-ა? 72,32.

„რამან დაამონა ახოვანი იგი იოსებ? არა შურმან-ა ძმათამან?" 81,23.

„რაჲსაგან გამოეჴუები? დიდებისაგან-ა"? 97,37.

„ვინ არს ცრუდ ფიცისა მშობელი? არა სიმდიდრჱ-ა? არა მისი იგი მოსწრაფებაჲ-ა?" 55,27.

აღსანიშნავია, რომ -ა კითხვითი ნაწილაკი სახელებთან ყოველთვის ისეთ შემთხვევებშია ნახმარი, როდესაც კითხვითი წინადადება წარმოადგენს წინა კითხვითი წინადადების პასუხს.

6. „სწავლათა" თარგმანი სხვათა სიტყვის -ო-ს ხმარების სიხშირით გამოირჩევა. სხვათა შორის, სხვათა სიტყვის -ო თავისი ადგილის მიხედვით წინადადებაში შეესაბამება ბერძნულ φησί-ს (φημί ზმნის III პირის ფორმა, რომელიც ბერძნულში სწორედ სხვისი ნათქვამის გადმოსაცემად იხმარება):

„ეკრძალეო თავსა შენსა" 21,1 (πρόσεχε, φησί, σεαυτῷ); „დასცხერო მეორისა საქმეთა გამოძიებად" 25,14 (παῦσαι, φησί, τὰ τοῦ δεῖνος κακὰ περιεργαζόμενος) „და დავჯდეო და ვსტიროდი ერსა ამას დღე და ღამე" 53,15 (καὶ καθήσομαι, φησί, καὶ κλαύσομαι τὸν λαὸν τοῦτον); „კეთილ არიანო სიტყუანი ეგე" 95,1 (καλοὶ μὲν, φησὶν, οἱ λόγοι); „რომელსაცა უჯმსო საქებელი იგი მრავალღონეობაჲ" 133,11 (ὃν καὶ χρείαν ἔχειν, φησί, τῆς ἐπαινετῆς πανουργίας).[78]

---

[78] სხვათა სიტყვის ო-ს ხშირი ხმარება ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი სტილისათვის საერთოდაა დამახასიათებელი. როგორც ზ. სარჯველაძე აღნიშნავს, „ექვთიმე მთაწმიდელი სხვათა სიტყვის -ო-ს იყენებს ფრაზისათვის მეტი ემოციურობის მისანიჭებლად": იხ. ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ერთი სტილისტური ხერხის ისტორიისათვის: მრავალთავი, IX, თბ., 1981, გვ. 64.

7. „სწავლათა“ თარგმანში ყურადღებას იქცევს აგრეთვე „შორის“ თანდებულის ხშირი ხმარება „შინა“ თანდებულის ფუნქციით, რაც ამ ძეგლის ენას გარკვეულ სტილისტურ ნიუანსს სძენს:

„რად... დაუჴშავ მეუფესა კარსა შესლვად შ ე ნ შ ო რ ი ს?“ 11,23; „უკუეთუ ჰპოვენე შ ე ნ შ ო რ ი ს მრავალნი ცოდვანი“ 25,25; „ჩ ე მ შ ო რ ი ს შეშფოთნა გული ჩემი“ 74,36; „რომელი ჩ ე მ შ ო რ ი ს იტყჳს“ 116,16; „მყუდროებაჲ იქმნას ს უ ლ ს ა შ ო რ ი ს შენსა“ 28,1; „უწყი-მეა, თუ ვისი გეგულების შეწყნარებაჲ თ ა ვ ს ა შ ო რ ი ს შენსა?“ 11,20; „არა თქუა, თუ სიტყუაჲ იგი იყო შ ო რ ი ს ღ მ რ თ ი ს ა, არამედ ღმრთისა თანა“ 161,38.

8. შენიშნულია, რომ ეფთვიმე თარგმნის დროს წარმართული რელიგიისა და საერთოდ წარმართული ყოფის მიმართ თავის ანტიპათიურ დამოკიდებულებას ენობრივი საშუალებებითაც ავლენს[77]. საინტერესო მაგალითები დადასტურდა ამ მოვლენაზე ჩვენს ძეგლშიც.

როდესაც ვარსკვლავთან ქრისტიანული თვალსაზრისით დადებითი ემოციებია დაკავშირებული, ეფთვიმე ჩვეულებრივ „ვარსკულავს“ ხმარობს: ვ ა რ ს კ უ ლ ა ვ თ ა მწყობრნი“ 26,33; „ვ ა რ ს კ უ ლ ა ვ თ ა შუენიერებითა“ 27,11; „ვ ა რ ს კ უ ლ ა ვ ნ ო სოფლისანო“ 179, 7, მაგრამ როდესაც ლაპარაკია ქალდეველთა ვარსკვლავთმრიცხველობაზე, მის დასაკნინებლად მიმართავს დიალექტურ ფორმას—„მასკულავთმრიცხუელობას“.

ირონია და დაკნინების სურვილი გამოსჭვივის ეფთვიმეს დამოკიდებულებაში წარმართული და საერთოდ „ამა სოფლის“ სიბრძნის მიმართ, როდესაც მას ასევე დიალექტური ფორმით—„ფილაფოზობით“ აღნიშნავს:

„აჰა ესერა ვიეთნიმე შეექცეს ქუეყანისა ზომისა ჴელოვნებასა, რომელი-იგი მოიპოეს მეგჳპტელთა, ანუ მ ა ს კ უ ლ ა ვ თ მ რ ი ც ხ უ ე ლ ო ბ ა ს ა, რომელსა პატივ-სცემენ ქალდეველნი, და ესრეთ ამაოთა მათ მიერ სწავლისაგან საღმრთოთა სიტყუათაჲსა განეშორნეს. და მეტყუელებამანცა და გამოთქუმელობამან და ფ ი ლ ა ფ ო ზ ო ბ ა მ ა ნ მრავალნი უცალო ყჳნეს, რომელთა ნივთი არს ტყუილი. რამეთუ გამოთქუმელობაჲ იგი არა იქმნების თჳნიერ ზღაპართა, არცა ფ ი ლ ა ფ ო ზ ო ბ ა ჲ თჳნიერ ტყუილით მიმოქცევისა სიტყუათაჲსა“ 127, 25—31.

„ფილაფოზი“ და „ფილაფოზობა“ იხ. აგრეთვე: გვ. 26,2; 104,36; 199,5.

თარგმანის საკითხები

I. ბერძნული ლექსიკა „სწავლათა“ თარგმანში

შენიშნულია, რომ ეფთვიმე თარგმნისას ერიდება ბერძნული სიტყვების შემოტანას და ცდილობს ყველა ბერძნულ სიტყვას ქართულში შესატყვისი მოუძებნოს. ეს ტენდენცია „სწავლათა“ ტექსტის მისეულ თარგმანშიც იჩენს თავს. „სწაელათა“ ეფთვიმესეულ თარგმანში ორმოცზე მეტი ბერძნული სიტყვა დადასტურდა, რომელთაც ბერძნულ ტექსტში იგივე სიტყვები შეესაბამებათ:

ათერი 153. 1—ὁ αἰθήρ

ალსო 76,38—τὸ ἄλσος

[77] თ. ო თ ხ მ ე ზ უ რ ი, ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ახალი ქართული რედაქცია (გადაცემულია დასაბეჭდად: „მრავალთავი“, XII).

ამეთისო 105,31 — ἡ ἀμέθυσος
ამიანტე 5,35 — ὁ ἀμίαντος,
ანგელოზი 13, 6— ὁ ἄγγελος
არე 111,28 — τὸ ἔαρ
ბარბაროზი 174,11 — ὁ βάρβαρος
ბარბაროზული 174,1 — βαρβαρικός, 3
ბივრილი 105,31 — τὸ βηρύλλιον
ბორეა 174,17 — ὁ βορέας
გეჰენია 105,24 — ἡ γέεννα
ეკლესია 13,6 — ἡ ἐκκλησία
ექსორიობა 196,10 — ἡ ἐξορία
იასპი, იასპინი 105.31 — ἡ ἴασπις
კოხლო 101,18 — ἡ κόχλος
ლამპარი 120,30 — ἡ λαμπάς άδος
ლიტანიისა (მყოფელთაჲ) 112,16 — λιτανευόντων
ლიტონი 3,39 — λιτός, 3
მამონა 93,7 — ὁ μαμωνᾶς
მანანა 110,35— τὸ μάννα
მარგალიტი 105,30 — ὁ μαργαρίτης
მარმარილო 99,16 — ὁ μάρμαρος
მარტჳლი 170,12 — ὁ μάρτυρος
მელანი 107,35 — ὁ μέλας, ανος
მეტრაპეზე 6,36 — ὁ τραπεζο-ποιός
მეფსალმუნე 112,21 — ὁ ψαλμῳδός
მონაზონი 3.12 — ὁ μοναχός
მოქლონი 88,19 — ὁ μοχλός
ნავთი 6,7 — τὸ νάφθα
ორღანო 1,5; 119,26 — τὸ ὄργανον
პაპა 49,12 — ὁ πάππας
პინა 101,18 — ἡ πίννα
სამარაგდე 101,9 — ἡ σμάραγδος
სარდონიქონი 106,4 — ὁ σαρδόνυξ, ·όνυχος
სატანა 67.5 — ὁ σατᾶν, ανᾶς
სელევკიდა 103,17 — ἡ σελευκίς, ίδος
სჳნიღორი 104,35— ὁ συνήγορος
ტალანტი 102,34 — τὸ τάλαντον
ტოლიპი 5,31 — ἡ τολύπη
უსჳნიღორო 105,5 — ἀσυνηγόρητος
ფარაო 81,35 —ὁ φαραώ
ფისი 6,7 — ἡ πίσσα
ფსალმუნი 54.32 — ὁ ψαλμός
ქარტა 196,35 — ὁ χάρτης

თითქოს ცოტა არ არის, მაგრამ საქმე ისაა, რომ აქ ჩამოთვლილთაგან დიდი უმრავლესობა ისეთი სიტყვებია, რომლებიც ეფთვიმემდე კარგა ხნით ადრეა ზეპირი თუ მწიგნობრული გზით შემოსული და დამკვიდრებული

ქართულ ენაში[78]. ამას, პირველ რიგში, მოწმობს ის ფონეტიკური ცვლილებები, რაც შეინიშნება აღნიშნულ სიტყვათა ქართულში გავრცელებულ ფორმებში ბერძნულისაგან განსხვავებით.

ქართულშია: ათერი და არა ეთერი (შდრ. αἰθήρ), არე და არა ეარი (ἀήρ), ბარბაროზული და არა ბარბარიკული (βαρβαρικός), ბიერილი და არა ბერკლიონი (βηρύλλιον), გეჰენია და არა გეენნა (γέεννα), მანანა და არა მანნა (μάννα) და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი ბერძნულ-ქართული სიტყვების ამგვარი შესაბამისობა აშკარას ხდის, რომ ეფთვიმეს ეს სიტყვები ბერძნული წყაროდან კი არა აქვს შემოტანილი, არამედ ქართულში უკვე კარგა ხნის დამკვიდრებულთ ისევე უსადაგებს ბერძნულ შესატყვისებს, როგორც ნებისმიერ ქართულ სიტყვას მიუსადაგებდა.

ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი ბერძნული სიტყვის გადმოსაცემად ეფთვიმეს იმ დროისათვის ქართულში გავრცელებული სხვა ბერძნული სიტყვები უხმარია.

ასე მაგ., ბერძნული ῥᾳδιουργία გადმოღებულია მანქანებით 132,20; σταθμός — მილიონით 207,36; πεντηκοστή — მარტკლიით 188,21; γράμμα—ქარტით 107,35; ἀνάπλασμα — ორღანოთი 38,12; ῥήτωρ — ფილაფოზით 26,2-3; σοφιστική და σόφισμα — ფილაფოზობით 127,29.

აშკარაა, რომ ამ შემთხვევებშიც ბერძნული სიტყვები (მანქანება, მილიონი, მარტკლია, ქარტა, ორღანო, ფილაფოზი, ფილაფოზობა) მთარგმნელისათვის ბერძნული შესაბამისი მნიშვნელობის მქონე სიტყვების ქართული შესატყვისებია.

სხვაგან კიდევ ეფთვიმეს საკუთრივ ქართული შესატყვისები აქვს შერჩეული ისეთი ბერძნული სიტყვებისათვის, რომელთაგან ზოგს იმ დროისათვის ქართულ ენაში უკვე ჰქონდა მოქალაქეობრივი უფლება მოპოვებული. ასე მაგ., θέατρον (თეატრონი) გადმოღებულია სახილველით და შესაკრებელი კაცთაჲთ 2,7.

μύρον (მირონი) — ნელსაცხებელი 101,16
πάσχα (პასქა) — აღვსება 188,21
στρατιώτης (სტრატიოტი) — მჴედარი 13,28; 13,37
στάδιον (სტადიონი) — სარბიელი 43,25
χάραγμα (ქარაგმა) — ზედაწერილი 90,5
ἐπίτροπος (ეპიტროპი) — ზედამდგომელი 99,7[79]
φιλοσοφία (ფილოსოფია/ფილოსოფოსობა) — სიბრძნე 74,33.

ბერძნული σατράπης-ისა და ὑάκινθος-ის შესატყვისად სავსებით მოსალოდნელი იყო ქართულ თარგმანში შეგვხვედროდა „სატრაპესი“ და „იაკინთი“/„იაკინთო“. პირველის გადმოსაცემად ეფთვიმეს უხმარია ახალი სპარსულიდან ნასესხები სიტყვა „სპასალარი“, ხოლო მეორისათვის არაბულ-სპარსული „იაგუნდი“.

[78] აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვები, რამოდენიმე გამონაკლისის გარდა, შეტანილია ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ სწორედ უძველესი, ეფთვიმემდელი, თარგმანებიდან.

[79] „ეპიტროპი“ დამოწმებულია ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ გიორგი მთაწმიდლის „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებიდან“. როდესაც ეფთვიმე ბასილი დიდის ჰომილიებს თარგმნიდა, შესაძლოა ეს ტერმინი ქართულად ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ბერძნული τραπεζο-ποιός (სუფრის გამწყობი) ეფთვიმეს „მეტრაპეზედ“ გადმოუღია. რაკი მისთვის ტერმინი „მეტრაპეზე“ ცნობილი იყო, მით უმეტეს, სიტყვა „ტრაპეზი“ არ იქნებოდა უცხო, მაგრამ τράπεζα-ს, რომელიც რამდენჯერმე გვხვდება ბერძნულ დედანში, ქართულ თარგმანში ყველგან „ტაბლა“ შეესატყვისება. „ტაბლაც“ ბერძნული სიტყვაა, მხოლოდ ბევრი სხვა სიტყვის მსგავსად ქართულში ეფთვიმემდე გაცილებით ადრე შემოტანილი და დამკვიდრებული.

ძვირფასი ქვების სახელები ქართულში ძირითადად ბერძნულიდანაა ნასესხები, ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილი ბერძნულთან საერთო სიტყვების ერთი ნაწილი სწორედ მინერალების სახელწოდებებია (ამეთისო, ბივრილი, იასპი, მარგალიტი, სამარაგდე, სარდონიტონი), მაგრამ როდესაც χρυσόλιθος შეხვდა მთარგმნელს, იგი უთარგმნელად კი არ შემოიტანა (=ხრიზოლითი), არამედ შემადგენელი სიტყვების მიხედვით (χρυσό+λίθος) „ოქროქვად“ თარგმნა.

„სწავლათა“ თარგმანში მაინცაა რამდენიმე ბერძნული სიტყვა, რომელიც ჩვენი აზრით, პირველად ეფთვიმეს უნდა შემოეტანა ქართულში.

συνήγορος ბერძნულში ვექილს, დამცველს, ნიშნავს. ავტორი ეკითხება უსამართლო მდიდარს, როდესაც იგი წარდგება უმაღლესი მსაჯულის, უფლის, წინაშე და გარს შემოეხვევიან მისგან დაჩაგრული და გასაჭირში ჩაცვენილი ადამიანები, რას იზამს? მათგან თავის დასაცავად რომელ ვექილებს დაიქირავებს?

„რაჲ-მე მიუგო, რაჟამს-იგი გარე-მოგადგენ შენ მიერ მიმძლავრებულნი და ჭირვეულნი და ღაღადებდენ შენ ზედა წინაშე მსაჯულისა მის მართლისა? რაჲ ჰყო? რომელნი სიტყჳთა-შემწენი და სკნიღორნი იმიზღნე?“ 104,35.

ბერძნულში ბოლო ფრაზა ამგვარადაა გადმოცემული: τί οὖν ποιήσεις; ποίους συνηγόρους μισθώσῃ;

ბერძნული συνήγορος ეფთვიმეს ორი სიტყვით გადმოუღია: ქართული შესატყვისით — „სიტყჳთა-შემწე“ და თვითონ ბერძნულით — „სკნიღორი“.

ჩვენი აზრით, ტერმინ „სიტყვითა-შემწის“ შემოქმედიც ეფთვიმე უნდა იყოს. ბერძნული „სკნიღორი“ კი მან, როგორც ჩანს, მის მიერ შექმნილი ახალი ტერმინის — „სიტყჳთაშემწის“ მნიშვნელობის დასაზუსტებლად მოიშველია. ცოტა ქვემოთ ეფთვიმეს ნახმარი აქვს აგრეთვე სიტყვა „უსკნიღორო“: „იყო... შემწეთაგან უსკნიღოროჲ“ 105,5, რაც ნიშნავს: იყო დამცველთაგან დაუცველი[80].

„სკნიღორის“ გარდა კიდევ ხუთი ბერძნული სიტყვა უნდა დავასახელოთ, რომლებიც ეფთვიმეს უთარგმნელად აქვს გადმოტანილი. ესენია: „ტოლიპი“, „ამიანტე, „სელევკიდა“ „ბორია“, და „ალსო“ (ἡ τολύπη, ὁ ἀμίαντος, ἡ σελευκίς, ίδος, ὁ βορέας, τὸ ἄλσος):

„რაჟამს მხალიცა იგი, რომელსა ეწოდების ტოლიპი, ჭამეს, და კნინღა მოკუდებოდეს, რომელთაცა მიიღეს, უკუეთუმცა ლოცვითა მით მმარხველისაჲთა არა განქარვებულ იყო წამალი იგი სასიკუდინე“ 5,31.

---

[80] „სკნიღორი“, უფრო ზუსტად „სკნიღოროსი“, რომ „მიზღებით მოყვანებული მოსარჩლეა“ (და ამასთანავე მესხურად „ვარქირი“ ეწოდება), ეფთვიმეს შემდეგ ამ ფაქტზე ყურადღება გაუმახვილებია ეფრემ მცირეს. Ier 16 ჴელნაწერის კიდეზე, რომელიც ეფრემისავე თარგმნილ სამოციქულოს თარგმანებას წარმოადგენს, იგი წერს: „შეისწავე(ნი), რამეთუ ამას სკნიღოროსსა, რომელი არს თანამოსარჩლე, მესხთა მიერ ვარქირი ჰქჳან, მიზღებით მოყვანებულსა მოსარჩლესა“. ეფრემის ამ შენიშვნის შესახებ იხ. ილ. აბულაძე, „საქმე მოციქულთა“, ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1950, გვ. 012; სქ. 4; ელ. მეტრეველი, დერტაესა და დერტუფას ხელნაწერების ირგვლივ (კოდიკოლოგიური შენიშვნები): აღმოსავლური ფილოლოგია, IV, თბ., 1976, გვ. 83.

„არს ბუნებაჲ შეშისაჲ, რომელსა ეწოდების ამიანტე, რომელი-იგი დაუწუველ არს ცეცხლისა მიერ, რამეთუ ვიდრემდის ცეცხლსა შინა იყოს, ვითარცა ნაკუერცხალი არს, ხოლო გამო-რაჲ-იღო ცეცხლისაგან, ვითარცა წყლისა მიერ განბანილი, ესრეთ უბრწყინვალესად ჩანს“ 5,35.

„მფრინველსა მას, რომელსა ეწოდების სელევკიდაჲ, კეთილისათჳს კაცთაჲსა შექმნა უძლებად დამბადებელმან ყოველთამან“ 103,17.

„ქარი იგი ჩრდილოჲსაჲ, რომელსა ეწოდების ბორიაჲ, იგი ქროდა მას ღამესა სასტიკად“ 174,17.

„ელია მოშურნემან ოთხასორმეოცდაათნი მღდელნი სირცხჳლისანი და სხუანი ოთხასნი ალსოჲსანი, რომელნი ჭამდეს ტაბლასა იეზაბელისსა... მოსწყჳდნა“ 76,38.

პირველი ოთხი სიტყვის უთარგმნელად გადმოღების მიზეზი, ჩვენი აზრით, ის უნდა იყოს, რომ ეფთვიმეს მათთვის ქართული შესატყვისების შერჩევა გაუძნელდა. ეს რომ მართლაც ასეა, შემდეგიდან ჩანს: პირველი ოთხი სიტყვიდან τολύπη-სა და σελευκίς, ἴδιος სიტყვების კონკრეტული მნიშვნელობა ამჟამადაც არაა ცნობილი, ლექსიკონებში პირველს განმარტავენ, როგორც κολοκύντη-ს ჯიშის მცენარეს (ეს უკანასკნელი გოგრას აღნიშნავს), ხოლო მეორეს, როგორც ფრინველის, ჩიტის რაღაც სახეობას. მესამე სიტყვა აზბესტის სახელწოდება აღმოჩნდა. ეს მინერალი კი, როგორც ვიცით, დღესაც ბერძნულიდან ნასესხები სიტყვით (ὁ ἄσβεστος)აღინიშნება, ისევე, როგორც დღეს ქართულში ჩრდილოეთის ქარსაც „ბორიოს“ (=βορέας) გარდა სხვა სახელწოდება არა აქვს.

რაც შეეხება სიტყვას ἄλσος, რომელიც ტყეს, ჭალას ნიშნავს, ზემოთ დამოწმებული ფრაზა III მეფეთას XVIII თავის 22—24-ე მუხლების პერიფრაზია. III მეფეთას ქართულ თარგმანში კი ἄλσος თარგმნილია სერტყად (ოშკის ბიბლიაში) და მაღნარად (A-570, A 646 და Ier 113 ხელნაწერებში), ე. ი. იმავე ტყედ და ჭალად. ასე რომ, ეფთვიმეს პოზიცია ამ სიტყვის უთარგმნელად გადმოღებასთან დაკავშირებით ჩვენთვის აუხსნელია.

II. ქართული თარგმანის სინტაქსურ-სტილისტური მიმართებისათვის ბერძნულთან

ბასილი დიდის „სწავლათა“ ეფთვიმესეული თარგმანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოგვიანო ხანის კლასიკური ქართულითაა შესრულებული. საუკუნეებით შემუშავებული ქართული გრამატიკული ფორმები და სინტაქსური კონსტრუქციები, ფრაზის საკუთრივ ქართულისათვის დამახასიათებელი მიმოხრა, ქართულისათვის ნიშანდობლივი მხატვრული სტილი, საუკუნეების მანძილზე შეძენილი და ქართველთა მეტყველებაში დამკვიდრებული მდიდარი ლექსიკა ქმნიან ერთობლივად „სწავლათა“ თარგმანის ენობრივ და სტილისტურ სახეს.

ბერძნულ წყაროსთან შედარებიდან აშკარად ჩანს, თუ როგორ არიდებს ეფთვიმე თავს სიტყვასიტყვითი თარგმანის შესრულებას. შესაძლებლობის მიხედვით, ისე რომ დედანს შინაარსობრივად არ დასცილდეს, შემოაქვს ქართული სინტაქსური კონსტრუქციები, ქართული იდიომები, მიმართავს ქართულში გავრცელებულ მხატვრულ ხერხებს. ასე მაგ.:

1) ბერძნული მიმღეობური კონსტრუქციები ჩვეულებრივ გადმოღებულია ზმნის პირიანი ფორმების მქონე წინადადებებით, რადგან ქართული ენის სინტაქსისათვის ესაა ნორმა. მაგალითები:

„არა ხედავ-ა მზესა, ვითარ აღმოვალს და კუალად შთაივსების? არა ხედავ-ა მთოვარესა, ვითარ აღორძნდების და მერმე მოაკლდების? არა ხედავ-ა ქუეყანასა, ვითარ იშუებს და მერმე დაჭნების?“ 46,1-3.

„არა ხედავ-ა“-ს გარდა ყველა, ექვსივე, შემასმენელი ბერძნული მიმღეობური კონსტრუქციის შესატყვისადაა ნახმარი: οὐχ ὁρᾷς ἥλιον ἀνατέλλοντα καὶ δυόμενον; οὐχ ὁρᾷς τὴν σελήνην αὔξουσαν, εἶτα φθίνουσαν; οὐ τὴν γῆν θάλλουσαν, εἶτα ξηραινομένην; (PG, 31, გვ. 245,41-44).

სხვა ადგილას ლაპარაკია გვალვისაგან გადამხმარ ყანაში გლეხის განცდებზე:

„არამედ მუშაკნი მჯდომარენი საჴნეველთა ზედა, ჴელნი მუჴლთა მოუჭდობიან (რომელი-ესე არს სახჱ მგლოვარეთაჲ) და ამაოთა მათ შრომათა მათთათჳს ცრემლოიან: შვილთა მიჰხედვენ ჩჩჳლთა დაგოდებენ, მეუღლეთა მიჰხედვენ და იგლოენ, მოიღებენ ჴელითა მწუანვილსა მას იფქლისასა, ჴმელად თივად გარდაქცეულსა და სულთ-ითქუმენ მწარედ, ვითარცა მამანი, რომელთა შვილნი მომკუდარ იყვნეს“ 111,8-13.

ამ ციტატის ყველა შემასმენელსაც „ცრემლოიან“-ის გარდა, ბერძნულ ტექსტში მიმღეობური კონსტრუქციის ფორმები შეესაბამება: οἱ γεωργοὶ δὲ ταῖς ἀρούραις ἐπικαθήμενοι, καὶ τὰς χεῖρας κατὰ τῶν γονάτων συμπλέκοντες (τοῦτο δὲ τῶν πενθούντων τὸ σχῆμα), τοὺς ματαίους ἑαυτῶν πόνους δακρύουσι· πρὸς παῖδας νηπίους ἀφορῶντες, καὶ ὀδυρόμενοι, πρὸς γυναῖκας ἀτενίζοντες, καὶ θρηνοῦντες, ἐπαφώμενοι καὶ ψηλαφῶντες τοὺς ξηροὺς χόρτους τῶν γεννημάτων, ἀνοιμώζοντες δὲ μεγάλα, καθάπερ οἱ πατέρες, οἱ τοὺς ἐν ἄνθει τῆς ἡλικίας υἱοὺς ἀπολέσαντες (PG, 31, გვ. 308,13-22).

სხვათა შორის, ამ ციტატაში წინადადება „არამედ მუშაკნი მჯდომარენი საჴნეველთა ზედა“, ერთ-ერთია იმ ერთეული შემთხვევებიდან, რომლებშიც ექვთიმეს მიმღეობური კონსტრუქციები უცვლელად აქვს გადმოტანილი.

(სხვა მაგალითია: „ზოგადი ყოველთაჲ მათ მამაჲ არს ღმერთი და ყოველნივე ძმა ერთმანერთისა. არა ერთისაგან მამისა და დედისა გამოსრულნი, არამედ შვილებითა მით სულისა წმიდისაჲთა ერთობითა სიყუარულისაჲთა ურთიერთას შეთხზულნი“ 171,30—33.

οὐκ ἀπὸ ἑνὸς καὶ μιᾶς γεννηθέντες, ἀλλ᾽ ἐκ τῆς υἱοθεσίας Πνεύματος εἰς τὴν διὰ τῆς ἀγάπης ὁμόνοιαν ἀλλήλοις συναρμοσθέντες.

შდრ. ძველი თარგმანი: „ზოგადი მამაჲ მათი ღმერთი არს და ყოველნი ძმანი არიან. არა ერთისაგან მამისა და ერთისაგან დედისა შობილ არიან, არამედ შვილებისაგან სულისა წმიდისა სიყუარულისა მიმართ ერთობისა ურთიერთას შეწყნარებულ არიან“ სინ. მრ. 116,24—26).

2) ქართულ ტექსტში თავისებურ მხატვრულ სტილს ქმნის ხშირი გამოყენება ისეთი წინადადებებისა, სადაც წინადადების ორი ან მეტი წევრი ერთნაირი ხმოვანების (ერთი ძირიდან წარმოქმნილი) სიტყვაა. მხედველობაში გვაქვს ამგვარი მაგალითები: „უზეშთაეს არს იგი სიბრძნესა მას ბრძენთასა“ 136,13. მათი ხმარება ნათქვამის ემოციური ზემოქმედების გაძლიერებას ემსახურება. ეს მაგალითები განსაკუთრებით იმ მხრივაა საინტერესო, რომ ბერძნული წყაროდან არ მომდინარეობენ:

„რაჟამს უძლურ ვიყო, მაშინ ძლიერ ვარ" 9,12.

შდრ. ბერძნ. ὅταν ἀσθενῶ, τότε δυνατός εἰμι.

„განყავ... ძლიერი უძლურისაგან და შუენიერი უშუერისაგან" 26,8-9.

διάκρινον... τὸν ἰσχυρὸν ἀπὸ τοῦ ἀσθενοῦς, τὸν εὐπρεπῆ ἀπὸ τοῦ δυσειδοῦς.

„მარხვაჲ... არს... თანამკჳდრი მკჳდრთაჲ" 6,25.

ὁμόσκηνος τοῖς συνοίκοις.

„ვითარცა საწრთობელმან აწრთვის რკინაჲ, აწრთო მარხვამან გუამი კაცისაჲ" 6,18-19

οὕτως οἱονεὶ βαφὴ σιδήρου. τὸ σῶμα τοῦ ἀνδρὸς ἡ νηστεία στομώσασα.

„ბრძოლასა შინა უხილავთა მათ მბრძოლთა ებრძოდე" 24,18.

ἐν τῇ πάλῃ τοῖς ἀοράτοις ἀνταγωνίζου.

„რომელნი შეერთნენ ამას ცხორებასა... შვილებითა და მშობელობითა" 47,36.

ἐν γάμῳ — ქორწინებითა.

„ვინაჲთგან მრავალსაძიებელსა ამას ძიებასა შთავვარდით" 56,8.

ἐπειδὴ εἰς τὸ πολυθρύλλητον ἐμπεπτώκαμεν ζήτημα.

„უწჳმრობანი ანუ მრავალწჳმრობანი ზოგადნი წყლულებანი არიან ქალაქთა და ნათესავთანი" 57,8-9.

αὐχμοὶ καὶ ἐπομβρίαι....

„სახიერ არს ღმერთი და სახიერებისა სახიერთა მიმნიჭებელ" 78,31

ἀγαθὸς ὁ Θεός, καὶ ἀγαθῶν τοῖς ἀξίοις παρεκτικός.

„არცა ჩუენ შევისმინეთ ვედრებაჲ მვედრებელთაჲ" 112,17.

οὐδὲ γὰρ ἡμεῖς τῶν ἀξιούντων ἠκούσαμεν.

„აღმოაცენოს ქუეყანამან ბუნებითი მცენარებაჲ" 114,5-6.

ἵνα τέκῃ τὰ συνήθη ἡ γῆ.

„რომელი დაბადებულისაგან სოფლისა გულისჴმა-ჰყოფდეს დამბადებელსა" 123,31

ὁ ἐκ τῆς τοῦ κόσμου δὲ κατασκευῆς τὸν δημιουργόν ἐννοῶν.

„ვითარცა-იგი მეუღლე შეგეყვის შენ... თანა-შემწე ცხორებისა, თანამოხარულ სიხარულისა და თანამწუხარე მწუხარებისაჲ" 46,33-34.

εὐθυμίας δημιουργός, θυμηδιῶν πρόξενος და სხვ.

3) სხვა შემთხვევაში ბერძნული იდიომატური გამოთქმების შესატყვისად ქართულ თარგმანში ქართული იდიომები გვხვდება:

ფრაზას „თითის საჩუენებელ იქმნეს სოფლისა და ანგელოზთა და კაცთა" 179,16 ბერძნულში შეესაბამება: θέατρον γενόμενοι τῷ κόσμῳ καὶ ἀγγέλοις καὶ ἀνθρώποις.

„თითის საჩუენებელ იქმნეს" შინაარსით უდრის θέατρον γενόμενοι-ს, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: სანახაობად ქცეულნი.

„ვსტიროდი ერსა ამას დღე და ღამე" 53,15-16 გადმოსცემს ბერძნულ ფრაზას κλαύσομαι τὸν λαὸν τοῦτον ἡμέρας πολλάς.

ბერძნული „დღეთა მრავალთა“ გადმოცემულია ქართული იდიომით „დღე და ღამე“.

სხვადასხვა საქონლის ჯგუფები ბერძნულ წყაროში ამგვარადაა აღნიშნული: ἵππων ἀγέλαι, βουκόλια, ποίμνια, συφόρβια. ქართულ თარგმანში შესატყვისად გვაქვს: „რემაები ცხენთაჲ, ნახირები ზროხათაჲ, სამწყსოები ცხოვართაჲ, კოლტები ღორთაჲ“ 99.12-13, ე. ი. საქონლის ჯგუფების აღმნიშვნელი ეს სიტყვები მოხდენილადაა გადმოცემული ქართულისათვის დამახასიათებელი შესიტყვებებით.

ყოველთვის ბერძნული დედანი არ განაპირობებს აგრეთვე სიტყვა „კაცის“ განუსაზღვრელი ნაცვალსახელის მნიშვნელობით ხმარებას:

„ორგული იგი არს, რომელმან სახე იგი უცხოჲ შეიმოსოს წინაშე შესაკრებელსა კაცთასა“ 2,7 — ὑποκριτής ἐστιν, ὁ ἐν θεάτρῳ ἀλλότριον πρόσωπον ὑπελθών.

იქვე: „საჩუენებელად კაცთა შესცვალებენ“ 2,10—θεατρίζου-

„თითოფერთა მათ სენთა მოაწევს მის მიერ კაცსა ზედა 4,3—τὰ ποικίλα γένη τῶν νοσημάτων ἐποίησεν.

„ღმერთსაცა არა მიმძლავრებული და იძულებითი უყუარს, არამედ რომელ სათნოებითა წარემართოს კაცსა“ 64,3 — ἀλλὰ τὸ ἐξ ἀρετῆς κατορθούμενον.

„ვითარცა სამღერელსა შინა იცვალებოდიან რაჲ კაცნი სხუად სახედ“ 70,13—ὥσπερ τι προσωπεῖον ἐπὶ σκηνῆς ὑπαλλάξαν და სხვ.

4) ეფთვიმეს თარგმანისათვის დამახასიათებელი ჩანს ბერძნული ცალკეული სიტყვების შესაბამისად სინონიმების ხმარება[81].

„რომელი შეაშფოთებს და აღამღურევს ბუნებასა კაცისასა“ 3,9.

ἐπιθολοῖ τὸν ἀνθρώπινον (ἐπι-θολόω — ამღვრევა).

„განძღომაჲ და განრყუნაჲ გუამისაჲ“ 3,18.

συντρίβειν τὸ σῶμα (συν-τρίβω—განადგურება).

„უცნობელ და ცოფ ჰყოფს მას“ 10,23.

ἔκφρονα αὐτὴν ποιῶν (ἔκφρων, ονος, 2—გაცოფებული, გონდაკარგული).

„ადგილნი და სადინელნი სისხლისანი“ 29,29-30.

ὀχετοὺς αἵματος (ὁ ὀχετός — ძარღვი).

„იგიცა მყუდროებით და დაწყნარებულად“ 37,17-18.

καὶ τοῦτο ἡσυχῇ (ἡσυχῇ— წყნარად, მშვიდად).

„ღმერთსაცა არა მიმძლავრებული და იძულებული უყუარს“ 64,2

(ἠναγκασμένος— დაბეჩავებული).

„წუთხისა მიმართ და დამპლისა ჴორცისა მიელენ“ 83,31

πρὸς δὲ τὸ ἕλκος ἐπείγονται (τὸ ἕλκος — ჩირქიანი წყლული) და სხვ.

---

[81] ეს მოვლენა ე. წ. ჰენდიადისებთან ერთად შენიშნული აქვს მიხ. კახაძეს „ექუსთა დღეთაჲს“ გიორგი ათონელისეულ თარგმანში: ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ... გვ. 054-060 (ჰენდიადისების შესახებ იხ. ქვემოთ.)

„მჴედარი... გამოიცდინ და მწყსინ თავსა თჳსსა“ 11,5.

(προ-γυμνάζω — გაწვრთნა, წინასწარ ვარჯიში).

„წარტყუენვად და დამონებად ენებათა“ 28,8.

τὸν νοῦν δοῦλον γενέσθαι τῶν παθῶν (δοῦλον γενέσθαι—მონად ქმნა).

მიუხედავად ზემოთქმულისა, „სწავლათა“ ეფთვიმესეული თარგმანის ენასაც და სტილსაც გარკვეულად ამჩნევია ბერძნული დედნის გავლენის კვალი. ასე მაგ. უშემასმენლო წინადადებების ხშირი ხმარება ბერძნული ამგვარივე წინადადებების შესატყვისად, იმავე უშემასმენლო (განკერძოებულ განსაზღვრებიანი) წინადადებების გამოყენება ზოგჯერ მიმღეობური კონსტრუქციების გადმოსაცემად, ე. წ. ჰენდიადისების სიუხვე, ლექსიკური კალკები და სხვ. აშკარად მეტყველებენ ქართულ თარგმანში ბერძნული წყაროს გავლენაზე.

1) უშემასმენლო წინადადებები:

„რომლისა დაწყებაჲ გამოუცდელ (იყოს), მისი ყოველივე უჴმარ (არს)“ 15,11—შდრ. ὧν δὲ ἡ ἀπαρχὴ ἀδόκιμος, καὶ τὸ πᾶν ἀπόβλητον δηλονότι.

„ადგილი (არს AC) მთავრობისა მისისაჲ ჰაერნი“ 67,16 — τόπος δὲ τῆς ἀρχῆς ὁ ἐναέριος.

„ხოლო ბუნებაჲ მისი უჴორცო (არს)“ 67,11—φύσις δὲ αὐτοῦ ἀσώμα-

„მთრვალობაჲ (არს) ნებსითი იგი ეშმაკეულობაჲ“ 181,3—μέθη, ὁ αὐθαίρετος δαίμων).

„მთრვალობაჲ (არს) უკეთურებისა დედაჲ“ 181,5—μέθη, κακίας μήτηρ და სხვ.

ერთგან, სადაც მდიდარი კაცის ფუფუნებით ცხოვრებაა აღწერილი, ბერძნულ ტექსტში კარგა მოზრდილი მონაკვეთის მანძილზე ზმნის პირიანი ფორმა საერთოდ არ გვხვდება — ერთმანეთს ენაცვლება უშემასმენლო წინადადებები და მიმღეობური კონსტრუქციები. ქართულ თარგმანში შესატყვისად ზმნის პირიანი ფორმა სულ ორჯერაა ნახმარი, ისიც პირველ წინადადებაში (იყენიან, შეამკობდიან), დანარჩენ ტექსტში უშემასმენლო წინადადებები გადმოღებულია უშემასმენლო წინადადებებითვე, მიმღეობური კონსტრუქციები კი—განკერძოებული განსაზღვრებებით. თხრობა იწყება მდიდარი კაცის ცხენების მორთულობის აღწერით:

> „რომელთა ზედა იყენიან უნაგრები და ლაგმები და საბურველები, ყოველივე ოქროცურვებული, ყოველივე ვეცხლისა მკედითა ქერული, ავშარაები ძოწეულები, და შეამკობდიან ცხენთა მათ, ვითარცა სძალთა. კუალად ჯორებისა სიმრავლე, ფერად-ფერადად განყოფილი; სტრატულნი მათნი, ერთმანერთისა შემდგომნი — სხუანი კუალად წინა-მსრბოლნი, სხუანი თანა-მავალნი; სხუათა მათ მსახურთა ურიცხჳ სიმრავლჱ — მონათა დასები, ყოვლისავე ფუფუნებისა მიმართ მოსწრაფენი; კუალად მათ ზედა სხუანი მნენი და ზედამდგომელნი — რომელნიმე ტანის-მსახურნი, რომელნიმე მუშაკნი; სხუანი კუალად ყოვლისავე პელოვნებისა მოქმედნი— რომელნიმე საკმრისა საქმისა და რომელნიმე ცუდისა, საშუებელად მოპოვნებულისა; მზარაულნი, მეპურენი, მემარნენი, მონადირენი, მხატვარნი — ყოვლისავე გულისთქუმისა მოქმედნი და აღმასრულებელნი; სიმრავლენი აქლემთანი — რომელნიმე ტჳრთთა მკრებელნი და რომელნიმე მძო-

არნი; რემაები ცხენთაჲ, ნახირები ზროხათაჲ, სამწყსოები ცხოართაჲ, კოლტები ღორთაჲ — ამათ ყოველთა მწყემსნი; ყოველივე ქუეყანაჲ საშუებელად მოგებული და შემოსავლითა სიმდიდრისა მის აღმაორძინებელი; აბანოები ქალაქსა შინა, აბანოები სოფელთა შინა; ტაძარნი თითოსახეთა მიერ მარმარილოჲთა შემკობილნი: რომელიმე ფრიგიელითა ქვითა, სხუაჲ კუალად ლაკონიკელითა, ანუ თესალონიკელითა, ანუ ჰრომულითა" 98,35—99,18 (შდრ. PG, 31, გვ. 285,5-22).

ამ შემთხვევებში ბერძნული დედნის გავლენა აშკარაა, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ აქ უშემასმენლო წინადადებები ისეა შეხამებული ქართული ენის სინტაქსთან, თხრობის ქართულ სტილთან, რომ მათი უცხო წყარო არც კი იგრძნობა. თარგმანი არა თუ დაზიანებულა, არამედ, პირიქით, თხრობა უფრო დინამიური გამხდარა და აზრიც მეტი გამომსახველობითი ძალით აღჭურვილა. შთაბეჭდილება ისეთია, რომ უშემასმენლო წინადადებები ეფთვიმეს აქ შეუგნებლად და გაუცნობიერებლად არა აქვს შემოტანილი, ჰომილიები მათი შინაარსის, მათი დანიშნულებისა და მიზანდასახულობის გამო საჭიროებდნენ გარკვეულ დინამიურ სტილს. ეფთვიმე, როგორც ჩანს, შესანიშნავად აღწევდა ამას სწორედ უშემასმენლო წინადადებების გამოყენებით.

აშკარად დინამიურობას ანიჭებენ თხრობას აგრეთვე ე. წ. ჰენდიადისები და ისეთი წინადადებები, რომლებშიც ერთგვაროვანი წევრები შემასმენლებითაა გათიშული.

2) ჰენდიადისები:

გიორგი ათონელის თარგმანებისათვის დამახასიათებელია ე. წ. ჰენდიადისები: მრავალმნიშვნელობიანი ბერძნული სიტყვები გადმოცემულია ორი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვით, ე. ი. იმ მრავალ მნიშვნელობათაგან ქართულში წარმოდგენილია ორი ისეთი, რომელთაგან, მთარგმნელის აზრით, ან ერთია ნაგულისხმევი დედანში, ან მეორე. მოვლენა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველად შენიშნა მ. კახაძემ (იხ. აქვე, გვ. 60). როგორც ჩანს, თარგმნის ამ წესს გიორგიმდე საფუძველი დაუდო; ეფთვიმე ათონელმა, რადგან „სწავლათა" მისეულ თარგმანში ჰენდიადისები საკმაოდ ხშირადაა გამოყენებული.

. „არა თუ რამეთუ მომთრვალე იყო და უწესო" 4,18—οὐχὶ τῷ πάροινος εἶναι (πάρ-οινος, 2— მთვრალი, ლოთი; გარყვნილი)

„გემოსა მას საჭმელთაჲ უჩინო ჰყოფ და განჰრყუნი" 7,22—τὴν ἡδονὴν ἀφανίζων (ἀφανίζω—1. დაფარვა, უჩინრად ქცევა, უჩინო ყოფა; 2. განადგურება).

„პირველი იგი დღჱ მარხვათაჲ უჭმარ და გამოუცდელ იყოს შენდა" 15,9—ἀδόκιμός σοι γενήσεται (ἀδόκιμος, 2—გამოცდას რომ ვერ უძლებს; უვარგისი).

„ნაწილნი იგი დანეშტნი მთრვალობისანი" 15,10 —τῆς μέθης τὰ λείψανα (τὸ λείψανον—1. ნაწილი, ნამსხვრევი, 2. ნარჩენი).

„გარეშემოუწერელ არს და დაუსრულებელ" 22,17—μὴ δεχομένη περιγραφήν (ἡ περιγραφή—მოხაზვა, მოხაზულობა; შემოსაზღვრა, დასრულება).

„იგი ლჷძლსა და წელთა თჳსთა მოგცემს" 90,38 (τὰ σπλάγχνα—შიგნეულობა).

„რაჲ-ეგე განსაგებელად და განსაყოფელად მიიღე“ 94,29-30—ἀ. πρὸς οἰκονομίαν ἐδέξω (ἡ οἰκονομία — 1. მართვა, განგება; 2. განაწილება.

„დაჰფლავ და უჩინო ჰყოფ“ 99,33—ἀφανίζειν (ἀφανίζω — 1. გაუჩინარება; 2. დამალვა).

3) წინადადების ერთგვარი წევრების შემასმენლით გათიშვა:

ა) შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილებია გათიშული მეშველი ზმნით: „ყოვლით კერძო სრულ იყო და დამტკიცებულ“ 54,10-11; „რაჲთა დიდებულ იქმნას და ყოველთა ზედა სახელოან“ 61,10-11; „დაწყნარებულ იყო და მშჳდ“ 76,30-31; „სუბუქ არს ცოდვაჲ შენი და მცირე“ 23,7; „იგი უკეთურ იყო და უნაყოფო“ 92,13; „ჵ შენ მჭმუნვარე ხარ და ძნიად საპოვნელ“ 93,31; „გლახაკ ხარ და ნაკლულევან“ 93,35; „სულმოკლე ვარ და დაჭსნილ“ 113,36; „წინდ კეთილისა იქმნეს და მომატყუებელ წყალობისა“ 117,33; „ჴმაჲ წულილ არს დაუძლურ“ 118,22; „რ̃ი-იგი საჭმარ იყოს და კეთილ“ 122,16; „ჭეშმარიტი იგი სიტყუაჲ... მარტივ არს და ცხად“ 128,34; „რაჲთა მეცნიერ-იყოს და ბრძენ“ 134,7; „რომელი... აღსრულებულ იყოს და განმტკიცებულ“ 134,27; „არცა... მტკიცე არს და შეურყეველ“ 137,19; „მთრვალი იგი უცნობელ არს და დაბნელებულ“ 181,11; „ოდესმე ამპარტავან იყვნიან და ზუავ და უშიშ“ 182,6-7; „სასოწარკუეთილ იქმნიან და მჭმუნვარე და მტორალ და მოშიშ“ 182,15; „ესრეთ მოხარულ ჰყოფს და ბრწყინვალე“ 182,17; „უგემურ არნ... და წყლიან ღჳნოჲ იგი“ 183,30; „უკუეთუ შენი კეთილ ყოფილ იყო და სახიერ“ 194,4; „მისიცა სიმაღლჱ ამაო არს და არაჭეშმარიტ“ 199,4-5; „თუ ვითარ უძლურ იქმნების და განლეულ გუამი“ 210,15; „ესრეთ უმადლო არიან და მაბრალობელ“ 49,9; „ოქროჲ იგი... მჭმარებელისაჲ არს და ნაკლულევანისაჲ“ 94,37; „შესაძლებელცა არს სწავლაჲ იგი მოციქულისაჲ და სარგებელცა“ 54,6-7.

ბ) გათიშულია ერთნაირი ქვემდებარეები, ერთნაირი დამატებები და გარემოებები:

„რომლისა-ეგე სიქადული ამას ზედა არს და სასოებაჲ“ 200,22-23; „რომელნი განთიად ხოლო სუმასა ეძიებენ და მთვრალობასა“ 185,13; „ამისთჳს ბჭეთა სახელ-სდებს და უბანთა და ზღუდეთა“ 124,25; „კეთილი საზრდელი განუმზადა და მტკიცჱ მათ“ 124,32-33; „აღმლესველად ცოდვისა ვიქმთ და სასყიდელად ბილწებისა“ 213,14; „მეპურისმტედ შენდა ყოფად მისა და ტაბლის-მოდგამად“ 13,14; „რაჲთა საქმეთა შინა სამართლად განვშჯიდეთ და ჯეროვნად“ 131,20; „ვთქუათ, ჭირთა შინა რაჲ ვიყვნეთ და განსაცდელსა“ 49,20; „ერისთვობათამცა შინა გარდაეჴადნეს დღენი თჳსნი და დიდებულებათა“. 49,12-13.

ამ მოვლენასაც ბერძნული წყაროს გავლენის კვალი ატყვია, თუმცა ბერძნულ ტექსტში მსგავსად აგებული წინადადებები გაცილებით უფრო იშვიათად გვხვდება.

(შდრ. ἁπλοῦς ἐστι καὶ μονότροπος; θρασεῖς εἰσι καὶ ἀπτόητοι და სხვ.). ქართულ თარგმანში მათი სიუხვე ეფთვიმეს გამორჩეულ ლიტერატურულ გემოვნებასთან ერთად მის მიერ ბერძნული ცალკეული სიტყვების სინონიმებითა და ჰენდიადისებით გადმოღების ფაქტსაც უნდა განეპირობებინა.

4) ლექსიკური კალკები:

მართალია, ეფთვიმე ბერძნული სიტყვების შემოტანას საგანგებოდ ერიდება, მაგრამ „სწავლათა“ თარგმანში მთელი რიგი ქართული სიტყვებისა და ტერმინების გამოყოფა შეიძლება, რომლებიც შესაბამისი ბერძნული სიტყვებისა და ტერმინების გავლენითაა ნახმარი. ზოგიერთი მათგანი კი თვითონ ეფთვიმეს შემოტანილი გვგონია სწორედ შესაბამისი ბერძნული ტერმინების შინაარსის გათვალისწინებით.

„თჳთ“ განსაზღვრებითი ნაცვალსახელით შედგენილ კომპოზიტებს ქართულში ბერძნული αὐτό-თი შედგენილი კომპოზიტების შესატყვისად ხმარობენ (ეფთვიმემდე ამგვარ შესატყვისობას ადგილი ჰქონდა უფრო იშვიათად, მის შემდეგ კი ძალზე ინტენსიური გახდა). „სწავლათა“ თარგმანში ასეთი სიტყვებია: **თჳთმოქმედი, თჳთმფლობელი, თჳთწერილი, თჳთნეფსით** და სხვ.

ბერძნულ εὐ-თი შედგენილ სიტყვებს ქართულში ხშირად სიტყვა „კეთილით“ შედგენილ კომპოზიტებს უხამებენ. „სწავლათა“ თარგმანში სწორედ εὐ-თი შედგენილი სიტყვების შესაბამისადაა ნახმარი შემდეგი კომპოზიტები:

კეთილად-მოსწავლე—εὐ-μαθής (ნიჭიერი)

კეთილადმორწმუნეობა—εὐ-σέβεια (მართლმორწმუნეობა)

დღეკეთილობა—εὐ-ημερία (ბედნიერება, სიხარული, წარმატება).

ტაბლაკეთილი—εὐ-τράπεζος (სტუმართმოყვარე) და სხვ.

აქედან „კეთილად-მოსწავლისა“ და „ტაბლაკეთილის“ შემოქმედი თვითონ ეფთვიმე უნდა იყოს, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა სიტყვისაც, როგორიცაა:

„არავინ არავისგანი“ ნახმარია არარაობის მნიშვნელობით, შედგენილია μηδένα μηδαμόθεν-ის მიხედვით.

გამომთქუმელობა ნიშნავს მხატვრულ შემოქმედებას, ეფთვიმე მას ბერძნული ποιητική-ს ფარდად ხმარობს.

დამნთქმელი მეკობრის, პირატის მნიშვნელობითაა ნახმარი καταποντιστής-ის შესატყვისად (κατα-ποντίζω—დანთქმა, დახრჩობა).

მიმომავალი — მაწანწალა (ὁ ἀλήτης).

მბაძველი—მსახიობი (ὁ μῖμος — ამ სიტყვისათვის ამოსავალი მნიშვნელობა სწორედ ბაძვაა).

ოქროქვა — ქრიზოლითი (ὁ χρυσόλιθος)

სიტყჳთა-შემწე — ვექილი, დამცველი (ὁ συνήγορος)

ამ ორი სიტყვის შესახებ, როგორც ექვთიმეს მიერ შედგენილ ტერმინებზე, ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

სასწავლო—სკოლა (τὸ διδασκαλεῖον)

ქუეყანისა ზომა — გეომეტრია (ἡ γεωμετρία)

ქართულ ტექსტში ადამიანის შინაგანი ბუნებისა და გარეგნობის აღსანიშნავად შესაბამისად ნახმარია „შინაგანი კაცი“ და „გარეგანი კაცი“. ამგვარი აღნიშვნაც ამ ცნებებისა ბერძნულის კალკია. შესატყვისად ბერძნულში გვაქვს ὁ ἔσω ἄνθρωπος და ὁ ἔξω ἄνθρωπος.

მაგალითების დამოწმება კიდევ შეიძლება, განსაკუთრებით კალკირებულ სიტყვებსა და გამოთქმებზე. ზოგიერთი კალკი ხელოვნურია და ენას აზიანებს, მაგრამ ჩვენ მიერ აქ დამოწმებული სიტყვების უმეტესობა, როგორიცაა **არავინ არავისგანი, დამნთქმელი, მიმომჴვალი, მბაძველი, სიტყჳთა-შემწე, ტაბლაკეთილი** და სხვ. ენას რომ, პირიქით, გაამდიდრებდა, ეს უეჭველია.

• • •

ზოგიერთი ბერძნული სიტყვის ომონიმური ფორმები და პოლისემანტურობაა მიზეზი ცალკეული უზუსტობებისა, რაც „სწავლათა“ ტექსტში მაინც შეინიშნება. მთარგმნელს კონტექსტისათვის შესაფერისი ერთი მნიშვნელობის ნაცვლად სიტყვა გადმოუღია მეორე, შეუფერებელი, მნიშვნელობით:

1. ბერძნულში τὸ ἔθνος, εος ნიშნავს ხალხი, ტომი, მოდგმა; გროვა..., τὰ ἔθνη კი არის წარმართნი, ჩვენი აზრით, ამ ორი სიტყვის აღრევის შედეგად „წარმართნი“ ნახმარია იქ, სადაც „ტომი“ ან „ნათესავი“ უნდა ყოფილიყო.

„მდიდარი წუხს, რამეთუ არა ქალაქთა და წ ა რ მ ა რ თ თ ა უფალი არს; ერისთავი — რამეთუ არა მეფე არს; მეფე უმაღლო არს, რამეთუ არა ყოველივე ქუეყანაჲ უპყრიეს, არამედ არიან სადმე წ ა რ მ ა რ თ ნი, რომელნი ბრძანებასა მისსა არა ჰმორჩილობენ“ 49,14-17.

ბერძნულშია: ὁ πλούσιος λυπεῖται καὶ ὀδύρεται, ὅτι μὴ π ό λ ε ω ν κ α ὶ ἐ θ ν ῶ ν ἐστιν ἄρχων... (შდრ. სხვა ადგილას: „უწჳმროებანი და მრავალწჳმრობანი ზოგადნი წყლულებანი არიან ქ ა ლ ა ქ თ ა და ნ ა თ ე ს ა ვ თ ა ნ ი“ 57,9; ბერძნ. ...π ό λ ε ω ν καὶ ἐ θ ν ῶ ν).

2. „ყუავილისა“ და „ყუავილოვნების“ ხმარება შეუფერებელი ჩანს შემდეგ კონტექსტებში:

შიმშილისაგან, ნათქვამია ერთგან, „ჴორცნი ვითარცა დედაზარდლისა ბუდე იყვნიან, ძუალთა ზედა ფერსა ყ უ ა ვ ი ლ ო ვ ნ ე ბ ა ჲ არა აქუნ“ 181,18.

მეორე მაგალითია: „არცა სიმრთელჱ გუამისაჲ, არცა ყ უ ა ვ ი ლ ი სიჭაბუკისაჲ... ჰგიან მყოვარ ჟამ“ 137,31.

საქმე ისაა, რომ სიტყვას τὸ ἄνθος, რომელიც „ყუავილისა“ და „ყუავილოვნების“ შესაბამისადაა ბერძნულში ნახმარი, აქვს სხვა მნიშვნელობებიც: სილამაზე, ფერადოვნება, მორთულობა, ბრწყინვალება და სხვ. აღნიშნულ კონტექსტებში რომელიმე მათგანის შეხამებით თარგმანი, ალბათ, უფრო მარჯვე და ზუსტი იქნებოდა (შდრ. სხვა ადგილას: „მათ ზედა ჰზუაობ ფ ე რ ო ვ ნ ე ბ ი ს ა თ ჳ ს მათისა“ 105,34).

3. καί კავშირისა და πρός და ἐπί წინდებულების მრავალმნიშვნელიანობა განაპირობებს „სწავლათა“ ეფთვიმესეულ თარგმანში ზოგიერთი სინტაქსური კალკის გაჩენას.

ა) სხუაჲ ვინ მოვიღოთ ამის ყოვლისა მიზეზად, დ ა ა რ ა ღმერთი?“ 56,7.

„და არა“ აქ გადმოსცემს ბერძნულ καὶ οὐχί-ს (...καὶ οὐχὶ τὸν θεόν), რაც ქართული სინტაქსური ნორმების მიხედვით „თუ არა“-თი უნდა გადმოსულიყო. სხვა მაგალითი:

„რაჲ ვთქუათ სხუაჲ ჭეშმარიტი რაჲმე სიტყუაჲ, დ ა ა რ ა, ვითარმედ იგინი თჳთ ექმნეს თავთა მათთა მიზეზ სატანჯველთა?“ 56,27.

ბ) πρὸς წინდებულისათვის „მიმართ“ თანდებულის შეხამება სტილის თვალსაზრისით ქართულში ყოველთვის რომ არ არის გამართლებული, ქვემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიდან ჩანს:

„ნუ შესცვალებ სახესა შენსა მჭმუნვარებისა მიმართ“ 2,13 (შდრ. μὴ κατασχηματίζου σεαυτὸν πρὸς τὸ σκυθροπόν). „სული... თჳსისა დიდებისა მიმართ აღმაღლდეს“ 22,35. (მარხვა ლოცვას) „ფრთე ექმნების... ღმრთისა მიმართ აღსლვისათჳს“ 6,22. „რომლისა მიმართ იყოს საქმე მისი, მისა მიმართ მიეახლების 204,24. „ცეცხლისა მიმართ მირბიოდა“ 42,35. „სიკუდილნი თჳსთანი ვერ აღვიდენ გონებისა მიმართ“ 32,8 და სხვ.

გ) ἐπί წინდებულისათვის უთუოდ „ზედა“ თანდებულის მისადაგებაც ასევე სტილისტური შეუსაბამობის მიზეზი გამხდარა:

„ნუცა კუალად... ძლიერებასა ზედა გიკჳრს“ 22,7; „მოხედვით მომხედო მჭევალსა ზედა შენსა“ 16,30. „რომელსა-იგი უხარის წარწყმედასა ზედა ჩუენსა“ 82,17. „ეშმაკმან თჳსი იგი ბოროტებაჲ ჩუენ ზედა აჩუენა“ 214,17 და სხვ.

III. ქართული ტექსტის მხატვრული სახეები და მათი მიმართება ბერძნულთან

„სწავლათა“ ეფთვიმესეული თარგმანი საგანგებო ყურადღებას იქცევს მხატვრული თვალსაზრისით. ამ თარგმანში არა ერთი და ორი ცალკეული ადგილის გამოყოფა შეიძლება, რომელიც დასრულებული პოეტური ნაწარმოების შთაბეჭდილებას ქმნის. სანიმუშოდ მოვიტანთ ერთ-ერთ მათგანს.

ადამიანს ბუნებისაგან იმდენი სიკეთე აქვს მომადლებული, რომ იგი ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ნივთებით არ უნდა იტვირთავდეს და იმძიმებდეს ცხოვრებას. ეს აზრი ავტორისა ქართულ თარგმანში ამგვარად ჟღერს:

„რაჲსათჳს უკუე სულმოკლე ხარ, რამეთუ ცხენნი, ვეცხლითა აღკაზმულნი, შენდა არა არიან-ა? — არამედ აჰა ესერა მოცემულ არს შენდა მზჱ, რომელი ძლიერითა მით და ადრე სლვითა მისითა დღე ყოველ ნათლითა განგაბრწყინვებს.

„არა გქონან ვეცხლისა და ოქროჲსა ბრწყინვალებანი?—არამედ გაქუს მთოვარე, რომელი კეთილად მისმიერითა ნათლითა განგანათლებს შენ.

„არა ჰზი ეტლთა ზედა ოქროცურვებულთა? — არამედ გქონან ფერჴნი ეტლად შენდა და ბუნებით შენ თანავე აღმოცენებულ. რაჲსათჳს უკუე ჰნატრი მათ, რომელთა ზრქელი იგი და მძიმე საუნჯე მოუგიეს და უცხონი ფერჴნი უჴმან სლვად?

„არა სწევ ცხედარსა ზედა პილოჲს ძუალისასა? — არამედ გაქუს ქუეყანაჲ მრავალთა პილოთა უპატიოსნესი და კეთილითა და უზრუნველითა ძილითა მას ზედა დაიძინებ.

„არა გაქუს სართული ოქრომოლესული? — არამედ გაქუს ცაჲ, რომელი მიუთხრობელითა მით ვარსკულავთა შუენიერებითა გფარავს“ 26,34-27,11.

აშკარად დამოუკიდებელი პოეტური თხზულებაა, რომელსაც გარკვეული მუსიკალური რიტმი და ჟღერადობა აქვს. საგულისხმოა, რომ იგი თითქმის სიტყვასიტყვით გადმოსცემს ბერძნული ტექსტის შესაბამის ადგილს (PG, 31, გვ. 212-213).

„სწავლათა" ტექსტის ბერძნულთან შედარება გვიჩვენებს, რომ ეფთვიმე თავის თარგმანში თითქმის ყოველთვის ინარჩუნებს დედნისეულ მხატვრულ სახეებს, არ კარგავს მათ და არ ცვლის საკუთრივ ქართული მხატვრული სახეებით. მისი, როგორც მთარგმნელის, ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ ამ მხატვრულ სახეებს ქართულში შესაფერის ენობრივ სამოსელს უძებნის და უხამებს.

მდიდარი ცხოვრებისეული სიბრძნე გამოსჭვივის ბასილი დიდის მორალურ-ეთიკურ შეგონებებში, რომლებიც მის ქადაგებებში თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. აღსანიშნავია, რომ ეფთვიმე ამ შეგონებებს სხარტი და ლაკონიური აფორიზმების სახით გვაწოდებს:

„ანგაჰრი... რაჲზომცა უმეტესსა მიიღებდეს, უმეტესისათჳს სურვიელ არს" 91,19-20, ὁ δὲ πλεονέκτης... ὅσῳ πλειόνων ἐμφορεῖται, πλειόνων ἐφίεται.

„არცა ერთი სიმდიდრე კმა არნ გულისსათქუმელთა მათ აღსრულებად, არცა თუმცა მდინარით აღმოდიოდა" 101, 14-16, οὐδεὶς ἐξαρκεῖ πλοῦτος [ταῖς γυναικείαις] ἐπιθυμίαις ὑπηρετούμενος, οὐδ' ἂν ἐκ ποταμῶν ἐπιῤῥέῃ.

„გამოსცდის... მწუხარებაჲ სულსა, ვითარცა ოქროსა ცეცხლი" 116, 13-14, καὶ αἱ λῦπαι τὴν ψυχήν, ὡς τὸ πῦρ τὸν χρυσόν, ἀπελέγχουσι.

„გონებაჲ იყოს მიმსგავსებულ სასწორსა, რაჲთა მართლიად თითოეულსა საქმესა წონდეს" 131,34.

„ვიდრემდის ქუეყანისა თუალთა შინა იყო ოქროჲ, სთხრიდი და ეძიებდი, და რაჟამს გამოცხადნა და გამოვიდა მიერ. კუალად მუნვე დაჰფლავ და უჩინო ჰყოფ" 99,31-33, ἕως μὲν ἐν μετάλλοις ἦν ὁ χρυσὸς ἀνερευνᾷν τὴν γῆν, ὅτε δὲ φανερὸς ἐγένετο, πάλιν ἐν τῇ γῇ αὐτὸν ἀφανίζειν.

„ვითარცა აჩრდილი გუამსა, ესრეთ შეუდგან სულსა ცოდვანი მისნი და საქმეთა მათ ცხადად გამოსახვიდენ" 105,11-12, ὥσπερ γὰρ ἡ σκιὰ σώματι, οὕτω ταῖς ψυχαῖς αἱ ἁμαρτίαι παρέπονται, ἐναργῶς τὰς πράξεις ἐξεικονίζουσαι.

„ვითარცა გესლი რკინასა, ეგრეთვე შური სულსა მას, რომელსა თანა იყოს, განჰლევს" 79,7-8. ὥσπερ γὰρ ἰὸς σίδηρον, οὕτως ὁ φθόνος τὴν ἔχουσαν αὐτὸν ψυχὴν ἐξ-αναλίσκει.

„ვითარცა გესლიანთა მათ ქუეწარმავალთა თანა არს გესლი, ეგრეთვე მრისხანეთა თანა — გულისწყრომაჲ" 69,6. ὥσπερ γὰρ ἰοβόλοις ἐστὶν ὁ ἰός, τοῦτο τοῖς παροξυνθεῖσιν ὁ θυμὸς γίνεται.

„ვითარცა მკალი თჳსი სენი არს იფქლისაჲ, ეგრეთვე შური სენი არს მეგობრისაჲ" 82,29, καὶ ὅλως ὥσπερ ἡ ἐρυσίβη ἴδιόν ἐστι τοῦ σίτου νόσημα, οὕτως ὁ φθόνος φιλίας ἐστὶν ἀῤῥώστημα.

„ვითარცა ტკრთი მრავალსასყიდლისაჲ, დაჰმარხე სულსა შინა შენსა მადლობაჲ და მიიღო მადლობისა მიერ ორკეცად კეთილი" 117,15-16, ὡς βαρύτιμον ἐνθήκην τὴν εὐχαριστίαν διάσωσον ἐπὶ τῆς ψυχῆς, καὶ λήψῃ καὶ σὺ τῆς εὐχαριστίας τὰ διπλασίονα τῆς τρυφῆς.

„ვითარცა უშურველობაჲ თჳსი არს სახიერისაჲ მის, ეგრეთვე შეუთქს ბოროტსა მას შური" 78,32-33, καὶ ὥσπερ ἕπεται τῷ ἀγαθῷ ἡ ἀφθονία, οὕτως ἀκολουθεῖ τῷ διαβόλῳ ἡ βασκανία.

„ვითარცა წყალი მბრძოლ არს ცეცხლისა, ეგრეთვე მთრვალობაჲ სიბრძნე-სა დაშრეტს“ 181,7-8, ὥσπερ γὰρ ὕδωρ πολέμιόν ἐστι πυρί, οὕτως ἀμετρία οἴνου λογισμὸν καταοβέννυσι.

„ვნებაჲ, უძჳრესი შურისა, არღარა აღმოეცენების სხუაჲ სულსა შინა კაც-თასა“ 79,4-5, φθόνου γὰρ πάθος οὐδὲν ὀλεθριώτερον ψυχαῖς ἀνθρώπον ἐμφύεται.

„ოქროჲსმოყუარეთა მათ უხარის შეკრვაჲ ჴელთაჲ და ფერჴთაჲ, ოდენ ოქ-როჲ იყოს შემკრველ“ 101,22-23, χαίρουσι γὰρ αἱ φιλόχρυσοι δεδεμέναι ταῖς χειροπέδαις, μόνον ἐὰν χρυσὸς ὁ δεσμῶν αὐτὰς ᾖ.

„ჟამი დის და გჳანსა მას არა ელის; წარვლენ დღენი და უდებსა მას თანა-წარჰჴდებიან“ 119,14-15. ῥεῖ γὰρ ὁ χρόνος, καὶ οὐκ ἐκδέχεται τὸν βραδύνοντα, ἐπεί-γονται αἱ ἡμέραι, τὸν ὀκνηρὸν παρατρέχουσιν.

„რაჲზომცა-ეგე სიმდიდრითა უმეტეს ხარ, ესეზომად გაკლს სიყუარული“ 97,16-17, ὅσον οὖν πλεονίζεις τῷ πλούτῳ, τοσοῦτον ἐλλείπεις τῇ ἀγάπῃ.

„რაჟამს ჰაერკეთილობასა შინა ამის ცხორებისასა იყო, მოელოდე ოდესმე ზამთარსაცა საქმეთასა“ 137,33-34, ἀλλ᾽ ἐν τῇ εὐδίᾳ ταύτῃ τοῦ βίου ὤν, ἐκδέχου ποτὲ καὶ χειμῶνα πραγμάτων.

„რომელი ნამეტნავისაგან შესწირვიდეს, შეუწირველ არს“ 108,35-36, ὁ ἐκ τοῦ περισσεύματος προσφέρων ἀπρόσδεκτος.

„სიმდიდრე დამარხული უჴმარ არს“ 92,1, καὶ πλούτου τὸ μὲν στάσιμον ἄχρηστον.

„სწავლულებაჲ არს წურთილებაჲ სარგებელისა სულისაჲ“ 126,11, ἔστι δὲ ἡ παιδεία ἀγωγή τις ὠφέλιμος τῇ ψυχῇ.

„უკუეთუ საშინელნი ვერ შეგაშინებენ და ბრწყინვალენი ვერ მოგასურვე-ბენ, მაშა ქვისა გულსა ვჰზრახავთ?“ 105,26-27, εἰ γὰρ τὰ φρικτὰ οὐ πτοεῖ, τὰ φαιδρὰ οὐ προτρέπεται, λιθίνῃ καρδίᾳ διαλεγόμεθα.

„უყჳთლეს ოქროჲსა იქმნენ შემკრებელნი მისნი, უკუეთუ არა აქუნდეს პუ-რი იგი, რომელი გუშინ და მესამესა დღესა შეურაცხ იყო წინაშე მათსა“ 114, 13-14, ὠχρότεροι τάχα τοῦ χρυσοῦ γενήσονται οἱ τοῦτον σωρεύοντες, ἐὰν μὴ τὸν ἄρτον, μέχρι χθὲς καὶ πρώην καταφρονούμενον.

„შური მწუხარებაჲ არს მოყუსისა კეთილთათჳს“ 79,10-11, λύπη γάρ ἐστι τῆς τοῦ πλησίου εὐπραγίας ὁ φθόνος.

„ძაღლნი გამოზრდითა დასწყნარდებიან, ლომნი შინაურ იქმნებიან ჩუეულე-ბითა, ხოლო მოშურნენი კეთილთა მიერ უმეტესად განძჳნდებიან“ 81,20-22, οἱ κύνες τρεφόμενοι ἡμεροῦνται, οἱ λέοντες χειροήθεις γίνονται θεραπευόμενοι, οἱ δὲ βάσκανοι ταῖς θεραπείαις πλέον ἐξαγριαίνονται.

IV. ე. წ. „შემატებისა და დაკლების“ შესახებ

კ. კეკელიძის მიერ არაერთხელაა აღნიშნული და კონკრეტულ მასალაზეც ნაჩვენები ეფთვიმე ათონელის, როგორც მთარგმნელის, თავისებურება, რომ მას ახასიათებდა დიდი ერუდიცია და მეტად ორიგინალური მეთოდი „შემატებისა და

დაკლებისა“[82]. როგორც ეფრემ მცირე იტყოდა, „მას მადლითა სულისა წმიდისაჲთა ჴელ-ეწიფებოდა შემატებაჲცა და დაკლებაჲცა“[83].

აღნიშნული მეთოდისათვის ეფთვიმე ათონელს არც ბასილი დიდის „სწავლათა“ ტექსტის თარგმნის დროს უღალატნია, განსაკუთრებით „შემატების“ მეთოდისათვის.

„კლემაქსის“ ეფთვიმესეული თარგმანის შესწავლის შედეგად მ. ცინცაძემ წარმოაჩინა ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდისათვის დამახასიათებელი შემდეგი თავისებურება: იმისათვის, რომ თხრობა უფრო საინტერესო, შთამბეჭდავი და მიმზიდველი გახადოს, ეფთვიმე ცდილობს სხვადასხვა ხასიათის საკუთარი კომენტარებით განავრცოს თარგმანი.[84]

ამ თვალსაზრისით საგანგებო დაკვირვება მსგავს თავისებურებას, ალბათ, „სწავლათა“ თარგმანშიც გამოავლენს, რადგან ჰომილიაში „შესხმაჲ ორმეოცთა მოწამეთაჲ“ ჩვენც დავადასტურეთ ტექსტის გამავრცობელი რამდენიმე ადგილი, რომლებიც შინაარსით სწორედ ეფთვიმესეული კომენტარების ტიპისაა—ემსახურება ნათქვამის ემოციური შთაბეჭდილების გაძლიერებას. ისინი, რა თქმა უნდა, არც ბერძნულ წყაროშია და არც ამ ტექსტის ძველ ქართულ თარგმანში გვხვდება:

(მძლავრი) „ბევრეულითა ღონისძიებითა ისწრაფდა მიდრეკასა მათსა. ხოლო ვითარცა არა ულხინეს გონებისა მათისა მისგან განდგომილებასა და ქრისტეს მიმართ აღსარებასა, მერმე მეორესა კერძსა ღონისძიებისასა მიიქცა“ 173, 5-9.

მძლავრის მუქარაზე მოწამეთა პასუხი „სიყუარულისათჳს ღმრთისა აჰა ჩუენ ასოეულად დაჭრად და ურმის თუალთა ზედა დაკრვად და ცეცხლსა მიცემად და ყოვლისავე სატანჯველისა შეწყნარებად მზა ვართ“—ეფთვიმეს თარგმანში ამგვარად გრძელდება:

„რამეთუ ესე ყოველი შეცვალებად არს ჩუენდა წინაშე უფლისა: გუემისა წილ პორცთაჲსა ნათლისა სამოსელი აღდგომასა გამოგჳბრწყინდეს, შეურაცხებისა წილ გჳრგჳნი და საპყრობილისა წილ სასუფეველი და უშჯულოთა თანა დაშჯისა წილ ყოფაჲ ანგელოზთა თანა. დასთესენ ჩუენ შორის ფრიადი, რაჲთა უმრავლესიცა მოვიმკოთ“ 174, 4-9.

„დედამან... იხილნა რაჲ სხუანი იგი ყინელითა მით და შემუსრვითა აღსრულებულნი, ხოლო თჳსი ძე ჯერეთ ცოცხალი... ვითარმედ დაუტევეს იგი

---

[82] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 192; 202; მისივე, Иерусалимский канонарь VII века, Тиф. 1912, გვ. 300; მისივე, ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული გარიგების საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, I, გვ. 168—182. მისივე, ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში, ეტიუდები, III, გვ. 237—268; მისივე, Сведения грузинских источников о Максиме Исповеднике, ეტიუდები, VII, გვ. 14—54.

[83] იხ. ხელნაწერი A 24, 3r.

[84] М. К. Цинцадзе, Язык „Лествицы“ Иоанна Синаита в грузинском переводе Ефимия Афонского, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тб., 1966, გვ. 10—18.

მტარვალთა, ვითარცა შემძლებელი მოქცევად მათდა, მაშინ მან ახოვანმან დედამან და აბრამეანის მის მსხუერპლისა შეწირვისა მიმსგავსებულმან, თჳსითა ჴელითა აღილო ძჱ თჳსი და დაჲვა ურემსა მას“ 178, 14-20.

ხაზგასმული ფრაზა ამ ადგილას რომ შემოტანილი უნდა იყოს, იქიდანაც ჩანს, რომ იგი სინტაქსურადაც ბუნებრივად არ უკავშირდება წინამავალ კონტექსტს.

ეფთვიმეს თარგმანის გარდა არსად არა გვაქვს აგრეთვე ვრცელი პათეტიური შინაარსის ფრაზა, რომლითაც დედა მიმართავს სიკვდილმისჯილ შვილს:

„წარვედ, ჵ შვილო... ნუ დააკლდები ბანაკსა მას... რამეთუ მე აწ სიკუდილად აღმიჩნდა, რაჟამს გიხილე შენ დაშთომილი, რამეთუ ვხედავ გჳრგჳნთა, რომელნი მიცემად არიან მათდა და შეიწუების გული ჩემი, უკუეთუ შენცა არა მიიწიო. არამედ მოვედ, ჵ ნეტარო, და აღესრულე სხუათა მათ თანა. რაჲთა ვიქადოდი მე, ვითარმედ მოწამე ახოვანი საშოჲთ ჩემით გამოვიღე. მცირედღა სულგრძელ იქმენ და გიძლევიეს, მცირედღა, და სანატრელ ვიყო მე, რამეთუ დედად მოწამისა, ესრეთ ახოვნისა, მეწოდებოდის. ამისგან ოდენ მეშინის, ხუუკუე დაჰრჩე შენ“ 178, 26-33.

ორ ჰომილიაში — „სარწმუნოებისათჳს წმიდისა სამებისა“ და „სულისა წმიდისათჳს“ — ე. წ. „შემატების“ სხვაგვარი შემთხვევები დადასტურდა. ერთშიც და მეორეშიც ჩართული აღმოჩნდა ტექსტის კარგა მოზრდილი პასაჟები გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებებიდან.

„სარწმუნოებისათჳს წმიდისა სამებისას“ ჩანართის შესახებ ჩვენ ადრე საგანგებო გამოკვლევა დავბეჭდეთ. ამ ჩანართის წყარო აღმოჩნდა გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულება „ძისათჳს“. გაირკვა, რომ ამ თხზულების ერთი მოზრდილი მონაკვეთით ეფთვიმეს ბასილი დიდის „სამების“ ჰომილიაში ძის შესახებ მოთხრობა ახალი მასალით შეუვსია[85].

რაც შეეხება ჰომილიას „სულისა წმიდისათჳს“, აქ ასეთი ჩანართი ორ ადგილას შეგვხვდა. ერთი ჰომილიის თავში, ფრაზიდან: „და ნუგეშინისმცემელი იყო და იყო და იყოს...“ ვიდრე: „ვითარ მე ღმერთ მყოს, ანუ ვითარ შემაერთებს ღმერთსა“ (იხ. ტექსტი 163,35—164,24), მეორე — ბოლოში. იგი იწყება ფრაზით: „მე უკუე ესრეთ მრწამს ესე და ესრეთცამცა მრწამს“... და გრძელდება ტექსტის ბოლომდე 167,20-170,9.

ამ ჩანართების წყაროც გრიგოლ ღმრთისმეტყველის შემოქმედებაში დაიძებნა, სახელდობრ, მის იმავე სახელწოდების („სულისა წმიდისათჳს“) ჰომილიაში[86].

თვითონ ბერძნულში ბასილი დიდის „სულისა წმიდისათჳს“ ჰომილიის ორი რედაქცია არსებობს: მოკლე და ვრცელი. მოკლე რედაქცია მთავრდება შემდეგ ადგილას: ἀλλ᾽ ἀρκείσθω τῇ κατὰ τὸ Πνεῦμα προσηγορίᾳ καὶ ὁμοιώσει[87], ე. ი. ზუსტად იქ, სადაც ქართულ თარგმანში მეორე „შემატება“ იწყება (შდრ. მეორე შე-

---

[85] ც. ქურციკიძე, ისევ ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, VI, თბ., 1978, გვ. 24—34.

[86] „სულისა წმიდისათჳს“ ჰომილიის ჩამატებათა შესახებ ნაშრომი გამოქვეყნდება ცალკე. წიგნის მოცულობის განსაზღვრულობის გამო მასზე აქ ვრცლად არ ვჩერდებით.

[87] იხ. PG, 31, გვ. 1436, 1.

მატების წინა ფრაზა ქართულ თარგმანში: „არამედ კმა ეყოფოდენ მას სახელი იგი სულისაჲ და მსგავსებაჲ“ 167,20).

ბერძნულ ხელნაწერთა უმეტესობას დაცული აქვს ბასილი კესარიელის „სულისა წმიდისათჳს“ ჰომილიის მოკლე რედაქცია, ვრცელი რედაქცია მხოლოდ ოთხ ხელნაწერშია შემონახული, რომელთაგან უძველესი X საუკუნისაა.[88] ბერძნულ ტექსტში ბასილი კესარიელის „სულისა წმიდისათჳს“ საკითხავის გაგრძელება (იხ. PG 31, გვ. 1436—1437) შინაარსით ემთხვევა იმავე ბასილის სახელით ცნობილ „ნათლისღების“ (Baptismo) მესამე საკითხავს (იქვე, გვ. 1573—1578). თვლიან, რომ ეს გაგრძელება ამოღებული უნდა იყოს რომელიღაც სხვა ნაწარმოებიდან, რომელიც იდენტური იყო „ნათლისღების“ მესამე საკითხავისა[89].

სავსებით აშკარაა, რომ ეფთვიმეს ხელთ ჰქონდა ისეთი ბერძნული ხელნაწერი, რომელშიც „სულისა წმიდისათჳს“ საკითხავის მოკლე ვარიანტი იყო დაცული და მან ისევე იგრძნო ამ ტექსტის შევსების საჭიროება, როგორც ბერძენმა რედაქტორმა. ოღონდ ბერძენმა რედაქტორმა ამ მიზნით სხვა წყაროს მიმართა, ეფთვიმემ კი — სხვას.

რაც შეეხება საკითხს, თუ რატომ შემოიტანა ეფთვიმემ ბასილი დიდის ამ ორი თხზულების თარგმანში ცალკეული ადგილები გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებებიდან, ჩვენი აზრით, ამისი მიზეზი თვითონ ბასილისა და გრიგოლის შემოქმედებაში იძებნება.

IV ს.-ში, იმ დროისათვის, როდესაც გრიგოლი და ბასილი — ერთმანეთის უერთგულესი და უახლოესი მეგობრები — მოღვაწეობდნენ, მართლმადიდებლური ქრისტიანობის გვერდით საკმაოდ მოძლიერებული იყო სხვადასხვა ერესი, განსაკუთრებით კი არიოზული (არიოზულ ერესს უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდა იმპერატორ ვალენტის მხრიდან, მის მიერ იგი სახელმწიფო რელიგიადაც იყო გამოცხადებული).

მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლთან ერთად ბასილიც თავგამოდებული დამცველი და პოპულარიზატორი იყო მართლმადიდებლური ქრისტიანობისა, სპეციალისტების აზრით, გრიგოლისაგან განსხვავებით, იგი მართლმადიდებლური მოძღვრების მიმართ ყოველთვის არ იყო თანამიმდევრული. მის შემოქმედებაში ვხვდებით გარკვეულ კომპრომისს არიოზული ერესის მიმართ. ეს ეხება ძირითადად სამების საკითხს. როგორც ცნობილია, არიოზული ერესი სული წმიდას (და თვით ძესაც) მამის თანასწორად არ მიიჩნევს. ბასილი ზოგჯერ არიოზობასთან სადავო ამ საკითხს საგანგებოდ უვლის გვერდს ან აბუნდოვნებს[90].

ბასილის ამგვარი „შეცოდების“ მიზეზად სპეციალისტები ასახელებენ შემდეგ ფაქტს: ბასილს, როგორც ეპისკოპოსს, უშუალო და ცოცხალი ურთიერთობა ჰქონდა თავის მრავალრიცხოვან მრევლთან: დიდაქტიკისა თუ დოგმატიკის სა-

[88] S. Y. Rudberg, Études 1953. გვ, 56.

[89] იქვე.

[90] ჩვენამდე მოღწეულია გრიგოლისა და ბასილის მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობა. უმეტესობა მათი ურთიერთთან გაგზავნილი ეპისტოლეებია. ერთ-ერთ ეპისტოლეში (PG-ს გამოცემის მიხედვით № 58, ტ. 37), რომელიც ეფრემისეული თარგმანით ქართულადაც არსებობს, გრიგოლი სწერს ბასილს, თუ რა უამბო მას დოგმატიკის საკითხებში გათვითცნობიერებულმა კაცმა, რომელიც ბასილის ქადაგებას ესწრებოდა: „მამისა და ძისათჳს რჩეულად და, ვითარ-იგი ვერვინ სხუა, ეგრეთ ადვილად ღმრთისმეტყუელებდა, ხოლო სულსა თანა-წარჰჴდა“-ო. იხ. ნ. ქაჯაია, გრიგოლ ნაზიანზელის ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანები (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად: „მრავალთავი“, XII).

კითხებზე ჰომილია-ქადაგებებს იგი სწორედ მრევლს უკითხავდა. კომპრომისზე წასვლა კი მას იმისათვის სჭირდებოდა, რომ ერესების გამძაფრებული ბრძოლის პერიოდში ნახევრად არიოზული მრევლი შეენარჩუნებინა[91].

ეფთვიმეს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა დოგმატიკური თვალსაზრისით ბასილი დიდის ეს „შეცოდება“, მეორე მხრივ, მისთვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ისიც, თუ როგორი თანმიმდევარი ორთოდოქსი იყო გრიგოლ ნაზიანზელი, ვისი თხზულებებიდან ამოღებული ნაწყვეტებითაც შეავსო მან ძისა და სული წმიდის შესახებ ბასილის ჰომილიებში არსებული ხარვეზები.

ტექსტისათვის

1. ბასილი დიდის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი ქვეყნდება სამი უძველესი ხელნაწერის მიხედვით: Ath 32 (977 წ.), H 2251 (994—1001 წწ.) და Ier 14 (1055 წ.).

2. გამოცემაში ხელნაწერები შესაბამისად აღნიშნულია A, B და C ლიტერებით.

3. გამოცემას საფუძვლად დაედო A ხელნაწერის (Ath 32) ტექსტი, როგორც უძველესი, უკეთ დაცული და ამავე დროს ტექსტობრივადაც და ენობრივი თვალსაზრისითაც ეფთვიმეს ხელიდან გამოსულ ტექსტთან ყველაზე ახლოს მდგომი.

4. A და B ხელნაწერებთან შედარებით C ხელნაწერი კლასიკური ქართულის თვალსაზრისით ხშირად უფრო სწორ ფორმებს ხმარობს (C-ში ჩვეულებრივია ფორმები: თთუე, ალსაარება, ფილოსოფოსი, ვარსკულავთმრაცხველობა, მეყსეულად, აღვსება... სახ. ბრ-ში დასმული ობიექტის მრავლობითობა, როგორც წესი, ზმნაში ნ-ითაა ასახული, ზმნისწინებს იშვიათად ეკვეცებათ ბოლო თანხმოვანი და სხვ. იმ დროს, როდესაც AB ნუსხებში შესაბამისად გვაქვს: თუე, ალსარება, ფილაფოზი, მასკულავთმრიცხუველობა, ზოგჯერ: მეჴსეულად, ახუსება... ი-/ე- პრეფიქსებიან ვნებითებში სახ. ბრ-ში დასმული ობიექტის მრავლობითობის -ნ უკვე აღარ გვხვდება, ზმნისწინები უმეტესად გამარტივებულია და სხვ.). მიუხედავად ამისა, გამოცემაში C ხელნაწერის ამ „უფრო სწორი“ წაკითხვებისათვის უპირატესობა არ მიგვიცია, რადგან ისინი გადამწერის კუთვნილებად მივიჩნიეთ, რომელსაც სურვილი ჰქონია კლასიკური ქართულის სალიტერატურო ნორმებით გაემართა ტექსტი.

5. სქოლიოების გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად მათში B და C ხელნაწერების ზოგიერთი ორთოგრაფიული თავისებურება საერთოდ არ აისახა:

B ხელნაწერის ორთოგრაფიული თავისებურებებიდან სქოლიოებში არ არის შეტანილი **ო**-სა და **უ**-ს, **უ**-სა და **ჳ**-ს და **ჳ**-სა და **უი** დიფთონგის მონაცვლეობა, C ხელნაწერიდან კი **ჳე** ბგერათკომპლექსის უჱ-თი გადმოცემის შემთხვევები.

6. ტექსტები დაიყო თავებად Patrologia Graeca-ში (ტ. 31) გამოქვეყნებული შესაბამისი ბერძნული ტექსტების მიხედვით.

7. თითოეული ტექსტის დასაწყისთან, სქოლიოში, მითითებულია PG-ს ის გვერდები, რომლებზედაც მოთავსებულია შესაბამისი ბერძნული ტექსტი.

---

[91] Энциклопедический словарь, издатели Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон, С. Петербург. 1892, т. 10, с. 580.

A 58r I./ თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისი
B 104v
C 74 v მარხვისათჳს, თავი ა

1. დაჰბერეთ ნესტუსა ახალსა თავსა თუეთასა, დღესასწაულსა უქმელები-
სა თქუენისასა[1*]—ბრძანებაჲ არს ესე წინაჲსწარმეტყუელისაჲ, ხოლო ჩუენდა
ყოვლისავე საყვრისა უმაღლესად და ყოვლისავე ორღანოჲსა საგალობელისა
უძლიერესად მომავალთა ამათ დღეთა დღესასწაულსა მოგუასწავებს წერილი.
რამეთუ ვისწავეთ მადლი იგი მარხვათაჲ ესაიაჲს მიერ წინაჲსწარმეტყუე-
ლისა, რომელმან-იგი სახჱ ჰურიაებრივისა მის მარხვისაჲ განაგდო და ჭეშმარი-
C 75 ტი იგი /მარხვაჲ გჳჩუენა ჩუენ, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „ნუ საშ-
ჯელად და ბრძოლად იმარხავთ, არამედ განჴსენით ყოველივე საკრველი უკე-
თურებისაჲ“[2] და კუალად, უფალი იტყჳს: „ნუ ხარ მჭმუნვარე, არამედ დაიბა-
ნე პირი შენი“[3*]. აწ უკუე ვიყვნეთ ესრეთ, ვითარცა გჳსწავიეს.
ნუმცა მჭმუნვარე ვიქმნებით მომავალთა ამათ დღეთათჳს, არამედ ვიყვნეთ
მათდა მიმართ ბრწყინვალე, ვითარცა შუენის წმიდათა, რამეთუ უდებებითა
B 105 არავინ გჳრგჳნოსან იქმნების, / მჭმუნვარებითა არავინ შე/იმოსს გჳრ-
A v გჳნსა ძლევისასა და სამკაულსა. ნუ მჭმუნვარე იქმნები, რაჟამს-იგი განი-
კურნებოდი, რამეთუ ბოროტ არს არა სიხარული სიმრთელესა ზედა სულისასა,
არამედ წუხილი მოკლებასა ზედა ჴამადთასა და რაჲთამცა უმეტესი სიხარუ-
ლი გაქუნდა აღჴსებასა ზედა მუცლისასა, ვიდრელა ზრუნვასა და განბრწყინვე-
ბასა სულისასა. რამეთუ სიმაძღრე სარგებელსა თჳსსა მუცელსა მიანიჭებს,
ხოლო მარხვაჲ სულსა განასპეტაკებს და განაბრწყინვებს.
გიხაროდენ, რამეთუ მოცემულ არს შენდა მკურნლისა მის მიერ სახიერი-
სა წამალი, განმაქარვებელი ცოდვისაჲ, რამეთუ ვითარცა ჭიანი იგი, გუამთა
C v შინა ყრმათასა / დამკჳდრებულნი, წამლითა ძლიერითა მოსწყდებიან,
ეგრეთვე ცოდვასა, სიღრმესა მას შინა სულისასა დამკჳდრებულსა, განაქარ-
ვებს მარხვაჲ, შე-რაჲ-ვიდეს სულსა შინა, უკუეთუ ოდენ ჭეშმარიტად ღირს
იყოს მარხვაჲ იგი, რაჲთამცა ეწოდა მას მარხვა.
2. ამისთჳს იტყჳს უფალი, ვითარმედ: „იცხე თავი შენი და დაიბანე პირი
B v შენი“[4*]. საიდუმლოდ გეწოდოს შენ სიტყუაჲ/ესე: რომელმან იცხოს, ეგევითა-
რი იგი ცხებულად შერაცხილ არს, რომელმან განიბანოს, იგი განწმედილ არს.
არამედ შენ სახელსა ამათ ასოთასა სულიერად გულისჴმა-ჰყოფდი შინაგანისა

PG, 31, გვ. 164—184.

[2] თავი ˜ა] თავი˜ გ, გკ˜ხნ მ˜მო C]—A. [3] ნესოტსა A. თთუეთასა C. უქმნელები-
სა AC. [6] მათ B. [7] ესაჲაჲს B. [10] ჲმარხავთ B. განჰჴსენით C. [11] მჭუნვარე B, მჭმუნვარჱ C.
[13] მჭუნვარე B, მჭმუნვარჱ C. [14] მბრწყინვალჱ C. [15] მჭუნვარებითა B. შეჲმოსს B.
გჳრგჳნსა ძლევისასა და სამკაულსა] ძლევისა სამკაულსა B. [16] მჭუნვარე B. მჭმუნვარჱ C.
[20] სიმაძღრჱ C. [21] გ˜ნბრწყ˜ნბს A. [22] მის — C. [24] ყრმათაჲსა C. [25] მას — B. სულთასა B
[29] გიწოდს C. რომელი B. [31] გულისხმა- C.

[1*] ფსალმ. 80, 4. [2*] ესაია 58,4,6. [3*] მათე 6,16,17. [4*] შდრ. მათე 6,17.

მის კაცისათჳს: განიბანე სული შენი ცოდვათაგან, იცხე თავსა შენსა საცხე-
ბელი სიწმიდისაჲ, რაჲთა იქმნე თანაზიარ ქრისტესა, და ესრეთ მოუჴედ მარ-
ხვასა. ნუმცა მწუხარე არს პირი შენი, ვითარცა-იგი ორგულთაჲ, რამეთუ პირი
მაშინ მწუხარე იქმნების, / რაჟამს გონებაჲ შინაგანისა მის კაცისაჲ A 59
სახითა მით გულარძნილითა გარეგანსა მას დააბნელებდეს და ტყუილისა მიერ
ჰფარვიდეს მას. და ორგული იგი არს, რომელმან სახჱ უცხოჲ შეიმოსოს წი-
ნაშე შესაკრებელსა კაცთასა. რაჟამს-იგი მონაჲ არნ და / მრავალგზის C 76
იცვალის სახე უფლისაჲ და გლახაკმან — სახჱ მეფისაჲ, ეგრეთვე სოფელსა
ამას შინა, ვითარცა სამღერელსა, ცხორებასა მათსა მრავალნი საჩუენებელად
კაცთა შესცვალებენ, რაჟამს-იგი სხუაჲ აქუნ გულსა მათსა და სხჳთა სახითა
ეჩუენებიედ კაცთა.

/ ამისთჳს უკუე ნუ იცვალებ სახესა შენსა, ვითარი ხარ, ეგევი- B 106
თარივე ეჩუენებოდე კაცთა. ნუ შესცვალებ სახესა შენსა მჭმუნვარებისა მი-
მართ, რაჲთამცა მმარხველად საგონებელ იყავ და მოატყუმცა თავსა შენსა
დიდებაჲ. რამეთუ არცა მოწყალებისაგან, წინაშე კაცთა ქმნილისა, არს სარ-
გებელი რაჲმე, არცა მარხვისაგან, რომელი განცხადებულად იქმნებოდის,
რამეთუ ყოველივე ქველისსაქმე, რომელიცა საჩუენებლად კაცთა იქმნე-
ბოდის, ესევითარისა მის მადლი არა დაიმარხვის მერმისა მისთჳს საუკუ-
ნოჲსა, არამედ აქავე მიეცემის ქებისა მიერ კაცთაჲსა.

მოუჴედ უკუე ბრწყინვალედ ნიჭსა მას მარხვისასა, რამეთუ მარხვაჲ
ნიჭი არს დასაბამისაჲ, რომელი-იგი არაოდეს დაძუელდების, არცა დაბერ-
დების, არამედ მარადის განახლდების და ყუავის.

8. ნუუკუე ჰგონებ, ვითარმედ მო/ხუცებულებასა მისსა რჩულისა- C v
გან ვიტყჳ? რჩულისაცა უხუცე არს მარხვაჲ.

მცირედ მელოდე და ჰპოო ჭეშმარიტებაჲ სიტყჳსა ჩემისაჲ: ნუ ჰგონებ
/ დღესა მას, რომელი ბრძა/ნებულ იყო ისრაელისადა მეშჳდესა მას თუესა, A v
მეათესა დღესა თჳსასა[1*], თუმცა იგი იყო დასაბამი მარხვისაჲ. მოვედ უკუე და B v
გამოიძიე მოხუცებულებაჲ მისი, რამეთუ არა ახლად მოპოვნებული არს იგი,
არამედ საუნჯჱ არს მამათაჲ. ყოველივე დასაბამიერი საქმჱ პატიოსან არს,
გრცხუენოდენ მჳცეთა მათგან მარხვისათა.

მარხვაჲ სამოთხესა შინა მოგუეცა, რამეთუ პირველი მცნებაჲ ესე მიიღო
ადამ, ვითარმედ: „ძელისა მისგან საცნაურისა, კეთილისა და ბოროტისა, არა
შჭამოთ“[2*]. ხოლო სიტყუაჲ ესე მარხვისა მცნებაჲ არს: უკუეთუმცა ემარხა მა-
შინ ევას ძელისა მისგან, აწმცა არად საჴმარ იყო ჩუენდა მარხვაჲ ესე, რამე-
თუ: „არა უჴმს მრთელთა მკურნალი, არამედ სნეულთა“[3*]. არამედ ვინაჲთგან
მოუძლურდით ცოდვისა მიერ, აწ განვიკურნნეთ სინანულისა მიერ. ხოლო სი-
ნანული თჳნიერ მარხვისა არა იქმნების, რამეთუ ვინა/ჲთგან გარდაჰჴდა ადამ C 77

---

[2] ქრისტესსა C. [3] მწუხარჱ C. [4] მწუხარჱ C. [5] ტყუვილისა C. [6] სახჱ] სახე იგი B. შეჲმოსოს B. [8] სახე უფლისაჲ] სახეობაჲ C. სახე B. [9] ცხოვრებასა C. [13] ეჩუენებოდჱ C. მჭუნვარებისა B. [15] მოწყალებისა C. ქმნილისაგან B, ქმნულისა C. [17] -საქმჱ C.~ კაცთა საჩუენებელად C. [18] დაჲმარხვის B. საუკუნისა B. [20] მბრწყინვალედ C. [23] მოხუცებულობასა B. შჯულისაგან C. [24] შჯულისაცა C. უხუცეს B. [25] მელოდჱ C. ჰპოვო C. [26] რომელი-იგი B. თჳსა A, თთუესა C. [27] თთჳსასა C. [28] მოხუცებულობაჲ B. [29] საუნჯე B. საქმე B. [33] სჭამო B. [34] არა B. რამეთუ] და C. [36] მოეუძლურდით C. [37] თჳნიორ B.

[1*] შდრ. ლევიტ. 16,29. [2*] დაბად. 2,17. [3*] მათე 9, 12.

მცნებასა, მიეცა მას ბრძანებაჲ იგი, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „წყეულ იყავნ
ქუეყანაჲ, ეკალი და კუროჲსთავი აღმოგიცენოს შენ“[1*]. გულისჴმა-ყავ უკუე,
B 107 ჵ კაცო, რამეთუ ჴირი ბრძანე/ბულ არს შენდა და არა შუებაჲ, მარხვისა მიერ
დაატკბე ღმერთი შენ ზედა. რამეთუ სამოთხისაცა იგი მოქალაქობაჲ მარხ-
ვისა სახჱ არს, არა ამისთჳს ოდენ, რამეთუ ანგელოზთა თანა იქცეოდა მაშინ
კაცი და ნაკლულევანებითა მით მსგავს მათდა იყო, არამედ ამისთჳსცა, რამე-
თუ რავდენიცა უკუანაჲსკნელ ღონისძიებამან კაცთამან მოიპოა, არასადა უწ-
A 60 ყოდეს სამოთხისა მკჳდრთა მათ. არა იყო მათ თანა სუმაჲ ღჳნისაჲ,/არცა ჭა-
მაჲ ჴორცისაჲ, არცა სხუაჲ რაჲ, რომელი შეაშფოთებს და აღამღურევს ბუნე-
ბასა კაცისასა.

4. ვინაჲთგან არა ვიმარხეთ, ამისთჳს გამოვვარდით სამოთხისაგან. აწ
უკუე ვიმარხოთ, რაჲთა კუალად მუნვე მივიდეთ. არა ხედავ-ა ლაზარეს, ვი-
თარ მარხვისა მიერ შევიდა სამოთხედ[2*]? ნუ ჰბაძავ ურჩებასა მას ევაჲსსა,
ნუ შეიწყნარებ კუალად გუელსა განმზრახად, რომელი-იგი წყალობასა ჴორ-
ცთასა განგაზრახებდეს და გაწუევდეს ჭამად. ნუ ჰმიზეზობ უძლურებასა და
C v უსუსურებასა გუამისასა, რამეთუ არა თუ / მე მეტყჳ მიზეზთა მაგათ, არამედ
B v მას ეტყჳ, რომელმან-იგი ყოველივე უწყის. / მითხარ მე, მარხვაჲ ვერ ძალ-
გიც და განძღომაჲ და განრყუნაჲ გუამისაჲ სიმძიმითა მით ჭამადთაჲთა ძალ-
გიც-ა? და ვითარ? რამეთუ მკურნალნი უძლურთა არა თითოფერთა ჭამადთა
ეტყჳან ჭამად, არამედ უფროჲსად მარხვასა და ნაკლულევანებასა აწუევენ. და
ვითარ? რომელსა-ეგე ძალ-გიც განძღომაჲ და სიმძიმესა მას ჭამადთასა იტჳრ-
თავ, იტყჳ, ვითარმედ მარხვაჲ ვერ ძალ-მიც? რაჲ უადვილეს არს გუამისათჳს
და უსუბუქეს, საზრდელითა ლიტონითა სუბუქად წარვლაჲ ღამისაჲ, ანუ სიმ-
რავლისაგან ჭამადთაჲსა დამძიმებულად წოლაჲ? და არცა თუ წოლაჲ, არამედ
ზედაჲსზედა ქცევაჲ, გან-რაჲ-სთქდებინ მუცელი სიმრავლისაგან ჭამადთაჲსა
და სნეკუნ? ანუ შენ სადამე ესეცა სთქუა, ვითარმედ ნავი ტჳრთითა დამძიმე-
ბული უადვილესად განერების ღელვათაგან, ვიდრელა სუბუქითა ტჳრთითა აღ-
A v გებული? / რამეთუ სიმრავლისა მისგან ტჳრთისა დამძიმებულსა მას მცირედთა
B 108 / ღელვათა ზედა-აღდგომაჲ დაანთქამს, ხოლო რომელსა საზომისაებრ თჳსისა
C 78 აქუნდეს ტჳრთი, იგი ადვილად იქცევინ ღელვათა ზედა, რამეთუ არა/რაჲ არნ
დამაყენებელ მისა. ეგრეთვე გუამი კაცისაჲ, სიმაძღრითა დამძიმებული ზედა-
ჲსზედა, ადვილად შთავარდების სენთა შინა, ხოლო რომელი სუბუქსა და ზო-
მითსა საზრდელსა მიიღებდეს, მომავალსაცა სნეულებასა განაგდებს, ვითარცა
ღელვათა აღდგომილთა, და რომელი-იგი აქუნდეს უძლურებაჲ, მისგანცა გან-
თავისუფლდეს ადრე.

ანუ თუ ფრიად ჭამაჲ უმეტესად ერგების უძლურთა, ვიდრელა ნაკლუ-
ლევანად? ჯდომაჲცა სადმე უმძიმეს არს, ვიდრელა სირბილი, ვითარცა შენ
იტყჳ, და განსუენებაჲ უმძიმეს არს, ვიდრელა ბროლაჲ. რამეთუ ძალი იგი
ბუნებისა ჩუენისაჲ ლიტონსა და ზომითსა ჭამადსა ადრე მოიდნობს და სარ-

---

2 აღმოგიცენო BC. უკუე — C. 5 სახე B. ანგელოსთა C. იქცევოდა C. 7 რაოდენიცა C. მოიპოვა C. 9 ბუნებასა] გუნებასა B. 12 კუალად — C. ჰხედავა C. 16 უსუსურობასა B. 18 ჭამადისაჲთა C. 26 და—AC. სნეკუნ B. სადმე AC. 27 აგებული B. 29 ზომისაებრ B. 31 მისსა BC. 35 ად რჱ C. 36 თუ] უკუეთუ B. 39 ადრჱ C.

1* დაბად. 3,17,18. 2* ლუკა 16, 20—31.

გებელად კაცისა ჰყოფს მას, ხოლო რაჟამს სიმრავლჱ და თითოფერებაჲ ჰამადთაჲ მიიღოს და მერმე ძლევად მათდა ვერ შეუძლოს, თითოფერთა მათ სენთა მოაწევს მის მიერ კაცსა ზედა.

5. / არამედ პირველისავე სიტყუსა მიმართ მივიქცეთ კუალად, რაჲთა B v ვთქუათ მოხუცებულებაჲ იგი მარხვისაჲ და თუ ვითარ ყოველთავე წმიდათა, ვითარცა სამკჳდრებელი და ნამარხევი მამული, ესრეთ მიიღეს და დაჰმარხეს. რამეთუ თითოეული მამაჲ შვილსა თჳსსა მიუთუალვიდა, ამისთჳსცა შემდგომითი-შემდგომად ყოველთა / მიიღეს, ვიდრემდე ჩუენდაცა მოი / წია A 61 საუნჯჱ ესე. C v

არა იყო სამოთხესა შინა ღჳნოჲ, არცა ჰამაჲ ჴორცისაჲ. შემდგომად წყლითრღუნისა იქმნა ღჳნოჲ, შემდგომად წყლითრღუნისა უბრძანა ღმერთმან, ვითარმედ: „ჰამეთ ყოველივე, ვითარცა მხალი თივისაჲ“[1*]. ვინაჲთგან წარიკუეთა სასოებაჲ სისრულისაჲ, მაშინ მიუშუა ღმერთმან შუებად. ხოლო სახჱ გამოუცდელობისა ღჳნისაჲ არს ნოე, რომელმან არა უწყოდა ჴმარებაჲ ღჳნისაჲ, რამეთუ არა ჩუეულ იყვნეს კაცნი სუმასა მისსა. და ამისთჳს, ვინაჲთგან არცა სხუაჲ ვინ ეხილა, არცა თჳთ გამოცდილ იყო, შთავარდა ვნებასა შინა ღჳნისასა. რამეთუ დაჰნერგა ნოე ვენაჴი და სუა ნაყოფისა მისგან / და დაით- B 109 რო[2*], არა თუ რამეთუ მომთრვალე იყო და უწესო, არამედ რამეთუ გამოუცდელ იყო საზომსა სუმისა მისისასა. ესრეთ ახლად მოპოვნებული არს სუმაჲ ღჳნისაჲ და ესრეთ ადრინდელ არს პატიოსნებაჲ იგი მარხვისაჲ.

რამეთუ მოსეცა მარხვისა მიერ მიეახლა მთასა მას[3*]. რამეთუ უკუეთუმცა არა შეჰურვილ იყო მარხვითა, ვითარმცა იკადრა შესლვად ნისლსა მას მთასა ზედა, რომლისაგან კუამლი აღდიოდა? მარხვისა მიერ მცნებაჲ იგი ღმრთისაჲ მოიღო თითითა ღმრთისაჲთა ფიცართა ზედა დაწერილი და მთასა მას ზედა მარხვაჲ წინამძღუარ რჩულისდებ/ისა იქმნა. ხოლო ქუენაყროვნებამან გარდა- C 79 აქცია ერი იგი კერპთმსახურებად, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „დასხდა ერი იგი ჰამად და სუმად და აღდგეს სიმღერად“[4*]. ორმეოცისა დღისა ვედრებაჲ და მარხვაჲ / მონისა მის ღმრთისაჲ უჴმარ ყო სიმთრვალემან ერთმან, A v /რამეთუ ფიცარნი იგი ღმრთივ წერილნი, რომელნი მარხვამან მოიხუნა, B v იგინი სიმთრვალემან შემუსრნა, რამეთუ არა ჯერ-იჩინა რჩულისმდებელმან, რაჲთამცა ერი მთრვალი მიიღებდა რჩულსა ღმრთისასა: ერთსა წამსა თუალისასა ერი იგი, რომელსა ესწავა ღმერთი დიდთა მათ ნიჭთა მიერ, მეგჳპტელთა ნაყროვანებისა მიერ კერპთმსახურებასა შთავარდა.

დადევ ორივე ესე ერთბამად და იხილე, თუ ვითარ მარხვაჲ მიიყვანებს კაცსა ღმრთისა და ვითარ შუებაჲ შინაგანმცემელ ცხორებისა იქმნების.

6. გულისჴმა-ყავ, თუ რამან შეაგინა ესავი და ყო იგი მონა ძმისა თჳსისა? არა ერთმან საჰამადმან-ა, რომლისათჳს მისცა პირმშოებაჲ თჳსი?[5*] ხოლო სა-

---

[1] სიმრავლე B. [2] მერმჱ C. შეუძლის C. [3] მის მიერ — C. [4] მოვიქცეთ B. [5] მოხუცებულობაჲ B. [8] ვიდრემდჱ C. ჩუენდა AC. [9] საუნჯე B. [13] სახე B. [14] ნოვე C. [16] ეხილვა C. [17] ნოვე C. დაითრვო C. [18] რამეთუ — B. მომთრვალჱ C. [19] მისისა C. [20] ადრინდელი C. იგი — B. [21] რამეთუ] არამედ B. მოსჱცა C. [23] აღვიდოდა B. [25] შჯულისდებისა C. ქუჱნაყროვნებამან C. [26] დასხდა] დაჯდა B. [27] მღერად B. [28] მის — C. ერთმან (μ(α)) ერთამან B. [30] შჯულისმდებელმან C. [31] შჯულსა C. ღმრთისასა + რამეთუ C. [33] ნაყროვნებისა C. [34] იხილჱ C. [36] გულისხმა- C.

[1*] დაბად. 9,3. [2*] დაბად. 9,20, 21. [3*] გამოსლ. 24,18. [4*] გამოსლ. 32,6. [5*] დაბად. 25,30—34.

მოელ არა მარხვამან ლოცვითურთ მიანიჭა-ა დედასა თჳსსა?[1*] ანუ სამფსუნ
ძლიერი ვინ უძლეველ ყო? არა მარხვამან-ა, რომლითა მიუდგა მუცელსა დე-
B 110 დისასა?[2*] მარხვამან შვა იგი, მარხვამან აღზარდა, მარხვამან განამ/ჴნო, ვითარ-
C v ცა ანგელოზმან უბ/რძანა დედასა მისსა, ვითარმედ: ყოველივე ვენაჴისაგან
გამომავალი არა ჭამოს და ღჳნოჲ და თაფლუჭი არა სუას[3*].

მარხვაჲ წინაჲსწარმეტყუელთა შობს, ძლიერთა განამჴნობს, მარხვაჲ
რჩულისმდებელთა განაბრძნობს. მარხვაჲ მცველი არს კეთილი სულისაჲ და
ჴორცთა ზღუდე, უცთომელი და ძლიერი საჭურველი მჴედართაჲ და გამომ-
ცდელი მოღუაწეთაჲ. ესე განსაცდელთა განაქარვებს, ესე საცხებელი არს
ღმრთის მოშიშებისაჲ, მომპოვნებელი სიფრთხილისაჲ, მომატყუებელი სიწმი-
A 62 დისაჲ, ბრძოლა/თა შინა მძლედ გამოჩნდების, მშჳდობასა შინა და მყუდროე-
ბასა დაყუდებასა ასწავლის, მონაზონთა წმიდა-ჰყოფს, მღდელთა სრულ-ჰყოფს
სიწმიდით მღდელობად, რამეთუ შეუძლებელ არს თჳნიერ მარხვისა მღდელო-
ბისა შეკრებაჲ არა აწ ოდენ, ჭეშმარიტსა ამას საიდუმლოჲსა მსახურებასა,
არამედ ძუელისა მისცა რჩულისა მსახურებასა შინა, რომელი-იგი სახჱ იყო
B v ამისსა. / ამან ყო ელია მხილველ დიდისა მის საკჳრველებისა, რამეთუ ორმეოცი-
სა დღისა მარხვითა სული თჳსი განიწმიდა და ესრეთ ღირს იქმნა ქორებს შინა
C 80 ხილვად· უფლისა[4*], ვითარცა შესაძლებელ არს / კაცისა მიერ ხილვად მისა.
მარხვითა მისცა დედაკაცსა მას შვილი მისი და მარხვისა მიერ მძლე ექმნა სი-
კუდილსა. და კუალად ჴმაჲ იგი, რომელი გამოვიდა პირისა მისგან მმარხვე-
ლისა, დაუჴშნა ურჩულოსა მას ერსა ცანი სამ წელ და ექუს თუე, რამეთუ
აღირჩია თავისაცა თჳსისა ჭირვებაჲ, რაჲთა მოდრიკოს მოუდრეკელი იგი
გული ქედფიცხელთაჲ მათ. ამისთჳს თქუა: „ცხოველ არს უფალი, უკუეთუ
იყოს ქუეყანასა ზედა წყალი თჳნიერ პირისა მიერ ჩემისა“[5*]. და მოაწია ყო-
ველსავე ზედა ერსა მარხვაჲ სიყმილისა მის მიერ, რომელი-იგი შურითა საღ-
მრთოჲთა ყო, რაჲთა შუებისა და განსუენებისა მიერ შობილი იგი უკეთუ-
რებაჲ განაქარვოს.

ხოლო ელისესი იხილე, თუ ვითარი იყო ცხორებაჲ? ვითარ იყოფოდა
სომანიტელსა მას თანა? ანუ იგი თჳთ ვითარ შეიწყნარებდა წინაჲსწარმეტყუ-
A v ელთა? არა მხლითა ველურითა / და მცირედითა ფქვილითა ანუ ჴვებდა-ა?[6*]/
B 111 რაჟამს მხალიცა იგი, რომელსა ეწოდების ტოლიპი, ჭამეს და კნინღა მოკუ-
დებოდეს, რომელთაცა მიიღეს, უკუეთუმცა ლოცვითა მით მმარხველისაჲთა
არა განქარვებულ იყო წამალი იგი სასიკუდინე[7*]. და ესრეთ ჰპოო მარხვაჲ, ვი-
თარმედ ყოველთა წმიდათა საღმრთოჲსა ცხორებისა მიმართ წარუძღუა.

C v /არს ბუნებაჲ შეშისაჲ, რომელსა ეწოდების ამიანტე, რომელი-იგი დაუ-
წუველ არს ცეცხლისა მიერ, რამეთუ ვიდრემდის ცეცხლსა შინა იყოს, ვი-
თარცა ნაკუერცხალი არს, ხოლო გამო-რაჲ-იღო ცეცხლისაგან, ვითარცა

---

1 სამსონ B. 7 შჯულისმდებელთა C. 8 ჴორცთაჲ· ზღუდჱ C. და2° — B. 11 და მყუდ-
როებასა — B. 13 სიწმიდით მღდელობად — B. თჳნიორ B. 14 საჲდუმლოსა B. 15 შჯულისა C.
სახე B. 19 მძლჱ C. 21 უშჯულოსა C. თთუჱ C. 24 თჳნიორ B. 25 ~ერსა ზედა B. რომელი-იგი
შურითა საღმრთოჲთა ყო — B. 28 იხილჱ C. 31 და რაჟამს B. 32 მმარხველისაჲთა] მმარხველისა
მის B. 33 სასიკუდინჱ C. ჰპოვო C. 34 ყოველთავე B. 35 ამიანტჱ C. რომელ-იგი C. დაუწველ B.
37 -იღონ B.

1* I მეფ. 1,13 — 20. 2* მსაჯ. 13,4. 3* მსაჯ. 13,14. 4* III მეფ. 19,8 — 13. 5* III
მეფ. 17, 1. 6* IV მეფ. 4, 42,44. 7* IV მეფ. 4, 39—41.

წყლისა მიერ განბანილი; ესრეთ უბრწყინვალესად ჩანს. ეგევითარნი იყვნეს გუამნი სამთა მათ ყრმათანი ცეცხლსა შინა ბაბილონისასა. და მარხვისაგან იყვნეს იგინი შეუხებელ[1*], რამეთუ დიდსა მას საჴუმილსა შინა ცეცხლისასა, ვითარცა ოქროჲ, ესრეთ უვნებელად იყვნეს ცეცხლისა მისგან და ოქროჲსაცა უძლიერეს იყვნეს, რამეთუ არა დაადნობდა მათ ცეცხლი იგი, არამედ ჰმარხვიდა მათ შეუხებელად ალსა მას შინა, რომელსა ვერვინ წინა-აღუდგებოდა, რომელი-იგი ნავთითა და ფისითა და ნასხლევითა ეგზებოდა და ვიდრელა ორმეოცდაცხრა წყრთა ამაღლებულ იყო და გა/რემო მისა ყოველთავე მოსწუვიდა, B v
ვიდრელა მრავალნი ქალდეველნი მოსწყჳდნა. და ესევითარსა მას ცეცხლსა შინა შევიდეს და მარხვისა მიერ ყრმათა მათ დათრგუნეს იგი. და / ქარი ნიავისაჲ A 63
ცუარითურთ მძაფრსა მას ცეცხლსა შინა მიეცა მათ, რამეთუ არცა თუ თმათა მათთა იკადრა ცეცხლმან შეხებად, რამეთუ მარხვითა მოზრდილ იყვნეს თმანი მათნი[2*].

7. / ხოლო დანიელ, კაცი იგი გულისსათქუმელი, რომელმან სამსა შჳდეულ- C 81
სა პური არა ჭამა და წყალი არა სუა[3*] და ლომთაცა მარხვაჲ ასწავა[4*], შე-რაჲ-ვიდა მღჳმესა მას. რამეთუ ვითარცა ქვისა მიმართ, ანუ რვალისა, ანუ სხჳსა რაჲსმე ნივთისა წინააღმდგომისა, ესრეთ ვერ შემძლებელ იყვნეს ლომნი იგი კბილთა მათთა მიახლებად მისა. ესრეთ, ვითარცა საწდობელმან აწდვის რკინაჲ, აწდო მარხვამან გუამი კაცისაჲ მის და ყო იგი შეუხებელ ლომთა მიერ, რამეთუ არა აღაღებდეს იგინი პირსა მათსა წმიდასა მას ზედა.

მარხვამან დაშრიტა ძალი ცეცხლისაჲ, დაუყვნა პირნი ლომთანი, მარხვაჲ ლოცვასა ცად აღამაღლებს და ფრთე ექმ/ნების მას ღმრთისა მიმართ აღსლვი- B 112
სათჳს. მარხვაჲ წინამძღუარი არს განსუენებისაჲ, დედაჲ არს სიმრთელისაჲ, მასწავლელი ჭაბუკთაჲ, სამკაული მოხუცებულთაჲ, კეთილი თანამავალი მოგზაურთაჲ, უცთომელი თანამკჳდრი მკჳდრთაჲ. არა იჭუეულ არნ ქმარი, რაჟამს ხედავნ მეუღლესა თჳსსა მარხვასა შინა, არცა კუალად მეუღლე მისი შეიწუვინ შურითა, ხედავნ რაჲ ქმარსა მარხვასა შინა. სადა ვინ დააგლახაკა სახლი თჳსი მარხვითა? აღრაცხენ დღესისა საუ/ნჯენი შენნი და აღრაცხენ შემდგომად ამი- C v
სა და იხილო, / ვითარმედ მარხვისა მიერ არარაჲ მოაკლდეს სახლსა შენსა, A v
მარხვისა მიერ არა რომელი პირუტყუ გოდებნ სიკუდილსა, არა სადა არნ სისხლი, არცა სადა ჩანნ ბრძანებაჲ, გამოსრული მძლავრისა მის მუცლისა მიერ, დაცხრომილ არნ მახჳლი იგი მზარეულთაჲ.

შაბათი მიეცა ჰურიათა განსასუენებელად და იტყჳს: რაჲთა განისუენოს კარაულმან და მონამან შენმან[5*]. იყავნ მარხვაჲ განსასუენებელად ზე/დაჲსზე- B v
დათა მათ შრომათა მონათა და მსახურთა და რომელნი დაუცხრომელად ისწრაფიან მონებად მუცლისა. განუსუენე მზარაულსა შენსა, ეც მოცალებაჲ მეტრაპეზესა შენსა, დააყენე ჴელი მეღჳნისაჲ, დასცხერინ იგიცა, რომელი თითო-

---

[1] უმბრწყინვალესად B. [2] ცეცხლსა + მას B. ბაბილოვნისასა B. მარხვისაგან] მარხვისა მიერ B. [4] ოქრონი C. [7] ეგზნებოდა B. და — AB. [8] ალმაღლებულ BC. მისსა BC. [11] მძლაფრსა C. მოეცა C. [14] გულისსათქომელი A. [17] რაჲმე B. [21] დაუყუნა B. [22] ფრთჱ C. მას (ჳბ̃ჸ)] მღ̃ს C. [23] სიმრ̃თლისაჲ B. [25] ჲჭუეულ B. [26] ჰხედავნ C. მეუღლჱ C. [27] ჰხედავნ C. [28] შ̃ნი B. აღრაცხე 2° B. ამისსა B. [29] არაჲ C. [33] შაფათი B. [35] შურომათა C. [36] განუსუენჱ C. მზარეულსა BC. [37] დაჰსცხერინ C.

[1*] დანიელ 1, 8—16. [2*] დანიელ 3, 24 — 50. [3*] დანიელ 10, 3. [4*] დანიელ 6,16—22. [5*] გამოსლ. 20, 10.

ფერთა მათ მოსადნობელთა საჭმელთა ჰკაზმავნ, დასწყნარდინ სახლიცა შენი
მრავალთა მათ ამბოხებათაგან და კუამლისა მისგან და ორთქლისა და ჩხივი-
ლისა ტაფაკთაჲსა და ზე. და ქუე მავალთა მათგან, რომელნი-იგი ჰმონებენ მუ-
ცელსა, ვითარცა უფალსა ბოროტსა. ხარკის მეძიებელნიცა ოდესმე მცირედსა
განსუენებასა მიანიჭებენ კაცთა მათ, რომელნი ჴელმწიფებასა შინა მათსა
C 82 არიან. ეცინ მუცელმანცა მსა/ხურთა მისთა მცირედი რაჲმე განსუენებაჲ, შე-
წირენინ ჩუენდა მცირედთა ამათ დღეთა შესაწირავი, რომელი-იგი მარადის
ითხოვს და არა ოდეს განძღების; რომელი-იგი დღეს მიიღებს და ხვალე დაი-
B 113 ვიწყებს; რაჟამს განძღის, მაშინ მარხვისათჳს იტყჳნ და აქ/ებნ მას, რაჟამს და-
ცარიელდის, დაავიწყდიან სიტყუანი იგი.

A 64 8. / მარხვამან სესხისა ბუნებაჲ არა უწყის, არა ყარნ აღნადგინებისაგან
ტაბლაჲ მმარხველისაჲ, არა აშფოთებედ ობოლსა შვილსა მმარხველისასა ვახ-
შნი მამულნი, ვითარცა გუელნი გარემოდგომილნი. და კუალად, მარხვაჲ მი-
ზეზიცა არს სიხარულისაჲ, რამეთუ ვითარცა წყურიელსა ტკბილად უჩს სუმაჲ
წყლისაჲ, ეგრეთვე მშიერსა ჭამადი ყოველივე ჰამოდ და ტკბილად უჩნს. რა-
მეთუ რაჟამს მარხვამან საშუალ შემოიღის თავი თჳსი და სიმძიმე იგი სანუა-
გეთა მათ მრავალთაჲ და შუებისაჲ განკუეთის, სურვიელ გყვის შენ ჭამისა
მიმართ. და ამისთჳს, უკუეთუ გნებავს, რაჲთა ტკბილ იყოს ტაბლაჲ შენი და
საწადელ, თავს-იდევ შრომაჲ იგი მარხვისაჲ.

ხოლო შენ ესრეთ უფლებულ ხარ შუებისაგან ფრიადისა, რომელ თავი-
C v სა თჳსისა შუებასა განაქარვებ და ვერ გულისჴმა-ჰყოფ და / უზომოჲსა მის-
გან გემოჲსმოყუარებისა გემოსა მას საჭმელთასა უჩინო ჰყოფ და განჰრყუ-
B v ნი, რამეთუ / არარაჲ არს ესევითარი საწადელი საქმე, რომელიმცა ზედაჲს-
ზედა განძღომითა მისითა არა შეურაცხ იქმნა, ხოლო რომლისა მოგებაჲ არა
ზედაჲსზედა იქმნებოდის, მითა განძღომაჲ საწადელ არს. ამისთჳს დამბადე-
ბელმანცა ჩუენმან განაგო, რაჲთა სხუად და სხუად იქცეოდის ცხორებაჲ
ჩუენი, რაჲთა ესრეთ მადლიერ ვიყვნეთ მოცემულთა მათ ზედა კეთილთა.

არა ჰხედავ-ა, რამეთუ მზეცა უბრწყინვალე არს შემდგომად ღამისა და
A v მღჳძარებაჲ უტკბილეს არს შემდგომად ძილისა და სიმრთელჱ / უსასურვე-
ლეს არს შემდგომად ჭირთა სნეულებისათა? ეგრეთვე ჭამაჲ უსაწადელეს არს
შემდგომად მარხვისა მდიდართათჳსცა და ტაბლაკეთილთა და გლახაკთათჳსცა
და უქონოთა.

9. გეშინოდენ იგავისა მისგან მდიდრისა მის, რამეთუ იგი მისცა ცე-
ცხლსა ამის ცხორებისა ნუკევამან, რამეთუ არა უსამართლოებისა, არამედ
შუებისა და ფუფუნებისა მისისათჳს ბრალეული შეიწუებოდა ალსა მას შინა
B 114 საჯუმილისასა. აწ უკუე / წყალი საკმარ არს, რაჲთა დავშრიტოთ ცეცხ/ლი
C 83 იგი.

---

3 მავალთა] მრ῀ვლთა C. 4 მეძიებელნი C. 6 განსუენებაჲ+ეცინ B. 7 მ῀დს AC, მ῀ს B. 8 ხეალჱ C. 12 აშფოთებედ] აშთობედ B. 13 გარჱმოდგომილნი C. 14 უჩნს BC. 16 შაშუალ A, საშოალ B. სიმძიმჱ C. სანოაგეთა B, სანოვაგეთა C. 19 შურომაჲ C. 21 გულისხმა-C. 22 გემოჲთმოყუარებისა B. განრჰყუნი C. 23 საქმჱ C. 25 ამისთჳსცა C. 26 დამბადებელმან C. იქცეეოდის C. 27 მადრიელ A. 28 ხედავა B. მზჱცა C. 29 მღჳძარებაჲ უტკბილეს არს შემდგომად ძილისა] ძილი უტკბო არს შემდგომად მღჳძარებისა B. (B-ში ეს ფრაზა ამგვარად გვიან გადაუკეთებიათ, ხელნაწერში ჩანს გადაკეთების კვალი). სიმრთელე B. 30 უსაწადე-ლე B. 33 ეშინოდენ B.

და არა ხოლო თუ მერმისა მის საუკუნოჲსათჳს ოდენ საკმარ არს მარხვაჲ, არამედ ჴორცთათჳსცა მებრ უმჯობეს არს, რამეთუ ფრიადი იგი ფუფუნებაჲ წინამძღუარ არს სალმობათა და დაცემათა, რაჟამს-იგი ბუნებაჲ იღელვებინ და სიმძიმესა მას ჴორცთა სიზრქისასა ვერ თავს-იდებნ.

იხილე და ეკრძალე, ნუუკუე აწ არა გენებოს მიღებაჲ წყლისაჲ და უკუანაჲსკნელ წუეთისა ერთისათჳს გული გითქუმიდეს, ვითარცა მდიდარსა მას[1*]. არასადა ვინ დაითრო სუმითა წყლისაჲთა, არავის ელმოდა თავი წყლისაგან, არავის მსუმელსა წყლისასა ეჴმარნიან სხჳსა ფერჴნი სავალად, არცა ვისნი ფერჴნი შეიკრნეს წყლისაგან, არცა ვისნი ჴელნი უჴმარ იქმნეს წყლისა მიერ. რამეთუ ფუფუნეულნი იგი მოდნობასაცა ვერ მიემთხუევიან და ამისთჳს გარდარეული სნეულებაჲ ჴორცთა მოატყუან, ხოლო მმარხველისა ფერი შუენიერ არნ. არა განწითვებულ არნ / [B v] იგი ურცხჳნოდ, არამედ შემკობილ არნ სიყუთლითა მით შუენიერითა და წმიდითა, დაშნად უპყრიედ თუალნი მისნი, / [A 65] დაწყნარებით არიედ სლვანი მისნი და ხატი აქუნ მას გონიერებისაჲ, სიცილითა გლისპითა არა შეგინე/ [C v] ბულ არნ, საზომი იცინ სიტყჳსაჲ, სიწმიდჱ აქუნ გულისაჲ.

მოიჴსენენ საუკუნითგანნი იგი წმიდანი, რომელთათჳს სოფელი ესე ღირსვე არა იყო, რომელნი „იქცეოდეს ხალენებითა და თხისა ტყავებითა, ნაკლულევანნი, ჭირვეულნი, ძჳრხილულნი“[2*], მათსა ემსგავსე ცხორებასა, უკუეთუ გნებავს, რაჲთა მათ თანაცა ნაწილი გაქუნდეს.

რამან განუსუენა ლაზარეს წიაღთა შინა აბრაჰამისთა?[3*] არა მარხვამან-ა? ეგრეთვე მსგავსად დიდისა მის იოვანესი ცხორებაჲ მარხვაჲ ხოლო იყო[4*], რომელსა არცა ცხედარი აქუნდა, არცა ტაბლაჲ, არცა ქუეყანაჲ საჴნავი, არცა საჴნეველის მზიდველნი ჴარნი, არცა იფქლი, არცა მეპურე, არცა სხუაჲ რაჲმე ამის ცხორებისაგანი. ამისთჳს უდიდესი ნა/ [B 115] შობთაგან დედათაჲსა არა აღდგომილ არს უფროჲს იოვანე ნათლისმცემელისა[5*] და კუალად ნეტარისა პავლესი: სხუათა მათ ჭირთა თანა მარხვაჲცა იყო სიქადულად, ამისთჳსცა მესამედ ცადმდე აღიტაცა იგი[6*].

ხოლო თავად ამას ყოველსა ზედა უფალმანცა ჴორცნი იგი, რომელნი ჩუენთჳს შეიმოსნა, მარხვითა შეზღუდნა და ესრეთ ეშმაკისა წინა-აღდგომანი თა/ [C 84] ვს-იხსნა ერთად, რაჲთა ჩუენ გუასწავლოს, რაჲთა მარხვითა განვწუართნეთ და დავმწყსნეთ თავნი ჩუენნი[7*] და მით განვმჴნდეთ განსაცდელთა შინა. და კუალად წინააღმდგომსა მას შიმშილისა მიერ ვითარცა ჴელთ-დებად მიუშუა, რამეთუ თუალთშეუდგამ იყო მისდა სიმა/ [A v] ღლისა მისთჳს ღმრთეებისა, უკუეთუმცა ნაკლულევანებისა მის მიერ არა დამდაბლებულ იყო კაცობრივისა ბუნებისა მიმართ, ხოლო რაჟამს ზეცად აღვიდოდა, მიიღო საზრდელი, რაჲ-

---

[2] მებრ — B (B-ში ეს სიტყვა ამოშლილია). [3] რაჟამს-იგი] რ῀ჟს C. წინამძღუარ არს სალმობათა და დაცემათა რაჟამს-იგი ბუნებაჲ—A (ეს ფრაზა შემდეგ ჩაუმატებიათ C ხელნაწერშიც). [5] იხილჱ C. ეკრძალჱ C. [9] იქმნნეს C. [11] მმარხლისა B. [13] დაშნად] და შუენიერად C. (C ნუსხის „და შუენიერად“-ში „უე“ და „იერ“ მარცვლების ამოფხეკით ეს ორი სიტყვა „დაშნად“ გადაუკეთებიათ). დაწყნარებულ C. [15] სიწმიდე B. [18] იქცევოდეს C. [19] ემსგავსჱ C. [22] ეგვე B, ეგრევე C. იოვანესიცა B. [24] საჴნევლისა BC. მეპურჱ C. [26] იოვანე B, იოვანეს C. [27] მარხვაჲ C. [28] ცადმდჱ C. [30] შეიმოსნა B. [31] გუასწაოს C. განვიწუართნეთ C. [32] დავმწყსნეთ C. განვჴმნდეთ B. [33] შიმშილისა+მის B. [36] მომართ C.

[1*] ლუკა 16, 24. [2*] ებრ. 11, 36—37. [3*] ლუკა 16, 23. [4*] მათე 3, 4. [5*] მათე 11, 12. [6*] II კორინ. 11, 27; 12, 2. [7*] მათე 4,2.

თამცა სარწმუნო ყო ბუნებაჲ გუამისა მის აღდგომილისაჲ. არამედ შენ გან-
B v პოხებისაგან და განზრქომისა ჴორცთა შენთაჲსა / არა დასცხრები, ხოლო გო-
ნებასა შენსა, რომელსა-იგი განჰლევ სიყმილითა ცხოელსმყოფელთა და საღ-
მრთოთა სწავლათაჲთა, ყოლადვე არა ჰზრუნავ. ანუ არა უწყი-ა, რამეთუ ვი-
თარცა სახედ ბრძოლასა შინა ერთისა მის მბრძოლისა ახოვნებით მოთმინება-
მან დამჴუებაჲ და ძლევაჲ ყვის მეორისაჲ? ეგრეთვე, რომელმან ჴორცთა
ღწოლაჲ შეჰმატოს, სულსა დაჰჴსნის, და კუალად, რომელი სულისა მიმართ
C v განაწესებდეს, იგი დაიმონებს ჴორცთა, რამეთუ ესენი ურთიერთას წინააღ/-
მდგომ არიან[1*]. ამისთჳს უკუეთუ გნებავს ძლიერ ყოფაჲ გონებისა შენისაჲ,
მომწყსენ ჴორცნი შენნი მარხვითა, რამეთუ ამას იტყჳს მოციქული, ვითარ-
მედ: „რაჲზომ გარეშე კაცი ჩუენი განიხრწნების, უფროჲსად შინაგანი განა-
ხლდების“[2*], და კუალად იტყჳს, ვითარმედ: „რაჟამს უძლურ ვიყო, მაშინ
ძლიერ ვარ“[3*].

არა უგულებელს-ჰყვენ-ა განხრწნადნი ესე ჰამადნი? არა გწადოდის-ა ტა-
B 116 ბლისა მისთჳს უოხჭნოჲსა—სასუფეველისა / ცათაჲსა, რომელსა-იგი აქა მარ-
ხვაჲ წინა განგიმზადებს შენ? არა უწყი-ა, რამეთუ უზომოებითა მით სიმაძ-
ღრისაჲთა უმეტესად განაზრქებ შენ ზედა მტანჯველსა მას მატლსა? რამეთუ
ვინ სადა მიიღო შუებითა და ფუფუნებითა ზიარებაჲ რაჲმე მადლისა საღმრ-
თოჲსაჲ?

A 66 / მოსე რაჟამს მეორესა მას რჩულსა მიიღებდა, მეორეცა მარხვაჲ ეჭმარა
და ნინეველთა უკუეთუმცა პირუტყუნიცა არა მარხვის მოდგამ ეყვნეს, არამცა
სამე განრომილ იყვნეს რისხვისა მისგან დაქცევისა. ანუ ვიეთი ძუალები
დაცჳვა უდაბნოს?[4*] არა ჴორცის მეძიებელთაჲ მათ-ა[5*]? მათ ვიდრემ-
C 85 დის მანანაჲ იგი და კლდისა მისგან გამო/მდინარე წყალი კმა ეყოფოდა, მეგ-
ჳპტელთა სძლევდეს, ზღუასა ზედა ვიდოდეს[6*], არა იყო თესლებსა მათ-
სა უძლური. ვინაჲთგან უკუე მოიჴსენეს ჴორცი იგი ქუაბთაჲ[7*] მათ და
მიიქცეს გულისთქუმითა მათითა ეგჳპტედ, ვერღარა იხილეს ქუეყანაჲ იგი აღ-
თქუმისაჲ.

B v არა გეშინის-ა სახისა ამისგან? არა სძრწი-ა ნაყროვანებისაგან, / ნუუკუე
შენცა კეთილთა მათ საუკუნეთაგან განგაგდოს?

რამეთუ არცა თუმცა ბრძენსა დანიელს ეხილნეს ხილვანი იგი, უკუ-
ეთუმცა არა მარხვითა განებრწყინვა სული თჳსი, რამეთუ ზრქელნი ჰამადნი
ვითარცა ნისლის სახეთა კუამლთა აღმოუტევებენ და, მსგავსად ღრუბლისა
ჰშირისა, სულისა მიერ წმიდისა გონებასა შინა მოსრულთა ბრწყინვალებათა
შეამრღუევენ. ხოლო ანგელოზთაჲცა უკუეთუ არს რაჲმე საჭმელი, პური
არს, ვითარცა წინაჲსწარმეტყუელი იტყჳს, ვითარმედ: „პური ანგელოზთაჲ

---

[2] შენთასა B. დაჰსცხრები C. [3] განჰლევს C. ცხოველსმყოფელთა C. [5] ბრძოლისა B. [7] ღუწოლაჲ BC. [8] დაჲმონებს B. [9] ამისთჳსცა BC. მომმწყსენ C. შენი B. [11] გარეშჱ C. [14] ესე—AC. [16] აქაჲ C; [17] განაზრქელებ C. [20] მოსჱ C. შჯულსა C. მოიღებდა C. იჭმარა C. [21] მარხვისა C. ეყვნეს] ყოფილ იყვნეს B. [23] უდაბნოსა B. მათ B. [24] გამომდინარჱ C. [27] ეგჳპტედვე C. [28] ჰსძრწია C. ნაყროვნებისაგან BC. [30] მათგან საუკუნეთა BC. [33] აღმოუტეობენ B, აღმოუტევობენ C. [35] შეამრღვევენ B. ანგელოსთაჲცა C. უკუეთუ + ოდენ B. [36] ანგელოსთაჲ C.

[1*] გალატ. 5, 17. [2*] II კორინ. 4, 16. [3*] II კორინ. 12, 10. [4*] ებრ. 3, 17. [5*] რიცხ. 14—37. [6*] ფსალმ. 104, 37. [7*] გამოსლ. 16, 3.

ჭამა კაცმან“[1*], არა ჴორცი, არცა ღჳნოჲ, არცა სხუანი იგი სახენი მონათა
მათ მიერ მუცლისათა მოპოვნებულნი.
მარხვაჲ საჭურველი არს წყობისა მიმართ / ეშმაკთაჲსა, რამეთუ „ესე C v
ნათესავი სხჳთა არარაჲთა განიდევნების, არამედ ლოცვითა და მარხვითა“[2*].
აწ / კეთილნი იგი მარხვისანი ესე არიან, ხოლო სიმაძღრე და ნაყროვანებაჲ A v
დასაბამი არს გინებისაჲ, რამეთუ მექსეულად შუებასა თანა და მომთრვალო-
ბასა და თითოფერთა მათ გემოჲს/მოყუარებათა შეერთვის ყოველივე სახჱ B 117
შეგინებისა პირუტყუებრივისაჲ. ამის მიერ იქმნეს კაცნი ცხენ მცბიერ აღ-
ძრვისა მისთჳს და ზრზენისა, რომელი ფუფუნებისა მიერ შევალს სულსა შინა.
მომთრვალეთა მიერ იქმნებიან შეცვალებანი ბუნებისანი, რამეთუ მამაკაცთა
თანა დედაკაცებასა და დედათა თანა მამაკაცებასა ეძიებდიან[3*]. ხოლო
მარხვამან მეუღლებისაცა საზომი იცინ და რჩულისა მიერ შენდობილისაცა,
უზომოებაჲ ტანჯის და შეთქუმულებით მოცალებად სცის, რაჲთა დაადგრენ
ლოცვასა შინა[4*].
10. ნუ განყენებითა ოდენ საჭმელთაჲთა დაუდებ საზღვარსა სიკეთესა მას
მარხვისასა, რამეთუ მარხვაჲ ჭეშმარიტი არს ბოროტთაგან უცხოყოფაჲ.
„განჴსენ ყოველივე საკრველი უმშჯავროებისაჲ“[5*], მიუტევე მოყუასსა გუ-
ლისწყრომაჲ, მიუტევენ მას თანანადებნი მისნი. „ნუ / საშჯელად და ლალვად C 86
იმარხავ“[6*]. ჴორცსა არა შჭამ, არამედ ძმასა შენსა შეშჭამ; ღჳნოსა განე-
ყენები, არამედ მაგინებლობასა ვერ დაუთმობ; მწუხრამდე მოთმინე ხარ / B v
გემოჲსხილვისა, არამედ განჭკაფ დღესა მას სამშჯავროთა შინა.
ვაჲ არს მათდა, რომელნი მთრვალ არიან თჳნიერ ღჳნისა[7*]. გულის-
წყრომაჲ მთრვალობაჲ არს სულისაჲ, რამეთუ უცნობელ და ცოფ ჰყოფს მას
ვითარცა ღჳნოჲვე; და კუალად მწუხარებაჲ სიმთრვალე არს, რამეთუ იგიცა
დაანთქამს გონებასა; შიში კუალად სხუაჲ სიმთრ/ვალე არს, რაჟამს-იგი, სადა A 67
არა ჯერ-იყოს, მუნ იქმნებოდის, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „შიშისაგან მტე-
რისა იჴსენ სული ჩემიჲ“[8*]. და ესრეთ ყოველი ვნებაჲ, დამაბნელებელი
გონებისაჲ, სიმთრვალედ სამართლად სადმე იწოდოს.
გულისჴმა-ყავლა კაცი მრისხანე: ვითარ დაითრვის იგი ვნებითა მით,
არა არნ უფალ თავისა თჳსისა, უმეცარ არნ თავისა თჳსისა და უმეცარ არნ მახ-
ლობელთა მიმართ, ვითარცა ღამით მბრძოლი ყოველთა შეეხის, ყოველთა
თანა სცთებინ, განუნახველად ზრახჳნ, ძნიად დასამჭირველ არნ, აგინებნ,
სცემნ, ექადინ, ფუცავნ, ღაღადებნ, განსთქდებინ, კუამნ.
/ივლტოდე ამის მთრვალობისაგან და ნუცა ღჳნისასა თავს-/იდებ, ნუ C v
უსწრობ სუმითა ღჳნისა ფრიადისაჲთა სუმჲსა წყლისასა, ნუმცა გექმნების B 118
მთრვალობაჲ განმზრახ მარხვისა, რამეთუ არა იქმნების სიმთრვალითა შეს-

---

[1] ღოჲნოჲ B. [5] აწ+უკუჱ C. სიმაძღრჱ C. ნაყროვნებაჲ BC. [6] მეუსეულად BC. მთრვალობასა C. [7] სახე B. [11] დედაკაცობასა C. მამაკაცობასა C. [12] შჯულისა C. [13] მოცა-ლება B. [17] განჭჴსენ C. უმსჯავროებისაჲ B. [18] მიუტევე B. სასჯელად C. [19] სჭამ B. [20] მაგი-ნებელსა C. მწუხრამდჱ C. [22] არიან] არინ A. თჳნიერ B. [24] სიმთრვალჱ C. [25] სიმთრვალჱ C. [26] ვითარმედ—C. [27] ყოველივე B. [28] ეწოდოს C. [29] გულისხმა- C. მრისხანჱ C. [30] და არა AC. უმეცარ არნ თავისა თჳსისა—C (C ნუსხაში ეს ფრაზა ამოშლილია). არს 3° B. [32] ჰზრახავნ C. [34] ივლტოდჱ C.[36] მთრვალობითა B.

[1*] ფსალმ. 77,25. [2*] მარკ. 9, 29. [3*] იერემ. 5,8. [4*] I კორინ. 7, 5. [5*] ესაია 58,6. [6*] ესაია 58, 4. [7*] ესაია 51, 21. [8*] ფსალმ. 63,2.

ლვაჲ მარხვასა, ვითარცა-იგი არცა ანგაჰრებითა სიმართლედ, არცა შეგინებითა სიწმიდედ და რაჲთა ერთბამად ვთქუა: არა იქმნების უკეთურებითა შესლვაჲ სათნოებად, სხუაჲ არს კარი იგი მარხვად მიმყვანებელი, რამეთუ სიმთრვალჱ შეგინებად მიიყვანებს, ხოლო მარხვად მიიყვანებს ნაკლულევანებასა ზედა კმაობაჲ. მჴედარი იგი პირველვე გამოიცდინ და მწყსინ თავსა თჳსსა და მმარხველი იგი წინაჲთვე იმარხავნ. ნუ დაიკრებ პირველვე ხუთისა მის დღისა სიმთრვალესა, ვითარცა შურისგებით დღეთა მათთჳს და ვითარცა
A v შეტყუილით რჩულისმდებელისა მის,/რამეთუ ამაოდ შურები, ჴორცთა დაუმძიმებ და არა თუ ნაკლულევანებასა ნუგეშინის-ცემ. არა მისანდობელ არს საუნჯჱ იგი, განჴურეტილსა ჰურსა შთაასხამ, რამეთუ ღჳნოჲ იგი განჴდედ და დიოდის / თჳსსა გზასა, ხოლო შენ სხუაჲ არაჲ დაგრჩეს მისგან.
C 87 არამედ ცოდვაჲ ოდენ. მონაჲ ევლტინ მეუფ/ესა მცემარსა, ხოლო შენ დადგრომილ ხარ ღჳნოსა თანა, რომელი-იგი მარადის თავსა გცემს. საზომი კეთილი ღჳნისა ჴმარებისაჲ არს საჴმარი ჴორცთაჲ. უკუეთუ კულა გარეგან საზღვართა განვიდეს, ხვალე მოხჳდე თავითა დამძიმებულითა, ფქნარებით, წუადებით და ჰყროდი დამპლისა მის ღჳნისაგან, ყოველივე შენ გარემოგივიდოდის, ყოველივე ოხრა გეგონოს.

სიმთრვალე მოიყვანებს ძილსა, ძმასა სიკუდილისასა, და კუალად — მღჳძარებასა, სიზმართა მიმსგავსებულსა.

11. უწყი-მეა, თუ ვისი გეგულების შეწყნარებაჲ თავსა შორის შენსა? რომელმან-იგი თქუა, ვითარმედ: „მე და მამაჲ მოვიდეთ და სავანჱ მის თანა ვყოთ“[1*]. აწ უკუე რად მიიღებ პირველად სიმთრვალესა და დაუჴშავ მეუფესა კარსა შესლვად შენ შორის? რაჲსათჳს აწუევ მტერსა პირველვე დაპყრობად სიმტკიცისა ზღუდეთა შენთაჲსა? სიმთრვალემან უფალი არა შეიწყნარის, სიმთრვალემან სული წმიდაჲ განიოტის. რამეთუ ვითარცა კუამლმან განასხნის
B 119 ფუტ/კარნი, ეგრეთვე მადლნი სულიერნი განიოტნის სიმთრვალემან. ხოლო მარხვაჲ ქალაქისა შუენიერება არს, უბანთა დაწყნარება, სახლთა მშჳდობა,
C v მონაგებთა კრძალულება. გნე/ბავს-ა, რაჲთა იხილო პატიოსნებაჲ მისი?
A 68 /გულისჴმა-ყავ დღესინდელი მწუხრი და ხვალინდელი და იხილო ქალაქი შფოთისაგან და ამბოხებისა დაწყნარებად შეცვალებული. არამედ ვილოცავ მე დღენდღელსა ამას დღესა მსგავს ყოფად ხვალისა დაწყნარებითა და რაჲთა ხვალინდელი არარაჲთა ნაკლულევან იყოს დღესისაგან ბრწყინვალებითა.

ხოლო უფალმან, რომელმან მომიყვანნა ჩუენ მოქცევასა ამას წელიწადისასა, მოგუანიჭენ ჩუენ, რაჲთა, ვითარცა მოღუაწეთა, მოღუაწებათა ამათ შინა სიმტკიცე და ძლიერებაჲ მოთმინებისაჲ ვაჩუენოთ და რაჲთა მივიწინეთ გჳრგჳნოსანსა მას დღესა, უფალსა მას დღეთასა — აწ საჴსენებელსა ცხოველსმყოფელისა ვნებისასა, ხოლო მერმესა მას საუკუნესა მოსაგებელსა საქმეთა ჩუენთასა — მართლმსაჯულებასა ქრისტეს მისისასა, რამეთუ მისა შუენის დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

---

[2] შესლვად C. [3] მარხვად] სათნოებად მარხვითა C (C-ში ეს ადგილი მერმეა გასწორებული სხვა ხელით). სიმთრვალე B. [8] შეტყუვილით C. შჯულისმდებელისა C. [10] საუნჯე B. [11] არარა B. [12] მეფესა AC. [13] მარადის] მარადღე B. [15] ხვალჱ C. მოხჳდჱ C. [16] წუადებით] წუდომით B. გარჱმო- C. [17] გეგონის B. [18] სიმთრვალჱ C. [21] სავანე B. [24] სიმტკიცესა B. შენთასა B. [27] მშ~დბჲ B. [29] გულისხმა- C. დღჱსინდელი C. [31] დღენდელსა BC. მსგავსად C. [32] მბრწყინვალებითა C. [33] ამის B. [34] მათ B. [35] სიმტკიცჱ C. მოთმინებისა B. მიეიწიენეთ C. [36] აწ—B. [38] ქ~ე AC. მისა] მისსა B. ჰშუენის C. დიდებაჲ] ყოველივე დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ C.

[1*] იოანე 14, 23.

II. /მარხვისათჳსვე, თავი ბ B v

1. ნუგეშინის-სცემდით მღდელნი ერსა, ეტყოდეთ ყურთა შინა იერუსალემისათა[1*] — სიტყუაჲ არს ესე წინაჲსწარმეტყუელისაჲ და კმა არს ესე მოსწრაფეთა მათ გულსმოდგინებასა აღორძინებად და უდებთა და დაჴსნილ/თა C 88 მოსწრაფე ყოფად. ამისთჳსცა ერისთავნიცა, ბრძოლად რაჲ შეიყვანებდენ ერსა, ნუგეშინისსაცემელთა სიტყუათა იჴმარებენ მათდა მიმართ უწინარეს ბრძოლისა. და ესევითარი ძალი აქუს ესევითართა მათ სიტყუათა, ვიდრეღა მრავალთა უგულებელს-ყვიან ამის მიერ სიკუდილი. ხოლო მორკინალთა უხუცესნი და მჴედართა მწურთელნი, რაჟამს მჴედართა მათ / ღუაწლად მიიყვანებდენ, მრავალსა ეტყჳან და დაამტკიცებენ მოთმინებასა გჳრგჳნოსნობისათჳს. ამისთჳს მრავალთა სიტყუათაგან მათთა სურვილისათჳს მძლეობისა უგულებელს-ყვნეს ჴორცნი მათნი. ამისთჳს უკუე ჩემდაცა კეთილ არს სიტყუაჲ იგი ნუგეშინისცემისაჲ, რომელი-ესე მჴედართა / ქრისტესთა ბრძოლად უხილავთა მტერთასა განვაწყობ და მოღუაწეთა მათ სიწმიდისათა გჳრგჳნთა მათ მიმართ სიმართლისათა მარხვისა მიერ განვჰმზადებ. A v B 120

და რაჲ ვთქუა, ძმანო? რამეთუ მე ამას ვიტყჳ, ვითარმედ: რომელნი მჴედრობასა კაცობრივსა ისწავლიდენ და რომელნი ბრძოლათა შინა ამის სოფლისათა განიკაფებოდინ, საკმარ არს მათდა სიმრავლითა ჭამადთაჲთა განზრქებაჲ თავთა მათთაჲ, რაჲთა უძლიერესად-რე წინა-აღუდგებო / დინ ბრძოლათა და C v თავს-იდებდენ ჭირთა. ხოლო „რომელთაჲ-იგი ბრძოლაჲ არა არს სისხლთა მიმართ და ჴორცთა, არამედ მთავრობათა მიმართ და ჴელმწიფებათა და სოფლისმპყრობელთა ბნელისა ამის, სულთა მათ მიმართ უკეთურთა“[2*], კეთილ არს მათდა მარხვისა მიერ და მოღუაწებისა თავთა მათთა ბრძოლასა მას შინა დამწყსაჲ. რამეთუ ვითარცა ზეთი განაპოხებს მჴედარსა, ეგრეთვე მარხვაჲ განამტკიცებს მოღუაწესა მას სიწმიდისასა, რამეთუ რაჲზომცა ჴორცთა მოაკლო, / B v ეგეზომცა სულიერითა მით ფუფუნებითა სული განაბრწყინვო, რამეთუ არა ჴორციელითა ძალითა, არამედ სიმჴნითა სულისაჲთა და / მოთმინებითა ჭირ- A 69 თაჲთა იქმნების უხილავთა მათ მტერთა ძლევაჲ.

2. მარხვაჲ უკუე მარადის და ყოველსავე ჟამსა სარგებელ არს მოქმედთა მისთათჳს, რამეთუ არცა ბრძოლაჲ ეშმაკისაჲ სძლევს მმარხველსა და კუალად მცველნი იგი ცხორებისა ჩუენისა ანგელოზნი უმტკიცესად იყოფებიან მათ თანა, რომელთა სულნი მარხვისა მიერ განწმედილ არიან. არამედ უფროჲსად აწ კეთილი არს მარხვაჲ, რაჟამს ყოველსავე სოფელსა განსრულ არს ქადაგებაჲ მისი. და არცა ჭალაკი, არცა სოფელი, არ/ცა ქალაქი, არცა ნათესავი ერთიცა, C 89 არცა უკუანაჲსკნელნი იგი ადგილნი ქუეყანისანი დარჩომილ არიან, რაჲთამცა

PG, 31, გვ. 185—197.

[1] მარხვისათჳს B. ბ] მეორე A]+გუაკურთხენ მამაო C. [2] -სცემდითო B]+ნუგეშინის იგი C. (მერმეა ჩაწერილი სხვა ხელით). იტყოდეთ B. [6] იჴმარებდენ B. [10] დაამტკიცებენ] ამცნებენ B. მოთმინებასა] მოთმინე ყოფად B. გჳრგჳნოსნებისათჳს C. [15] განვემზადებ B. [18] განიკაფებოდენ B. ჭამადისაჲთა B. განზრქელებაჲ A (A-ში „ლე“ მარცვალი ამ სიტყვაში მერმეა ჩამატებული). [19] -რჱ C. [20] რომელთა-იგი B. [22] მათ — B. [23] მათთაჲ B. დამმწყსაჲ C. [27] ჴორცელითა C. [31] ჩუენისანი C (C-ში ამ სიტყვაში „ნი“ მარცვალი მერმეა დამატებული). უმტკიცესად] უმეტესად C. [33] კეთილ BC.

[1*] ესაია 40, 1. [2*] ეფეს 6, 12.

არა ასმიოდა ქადაგებაჲ ესე, არამედ მჴედართაცა და მოგზაურთა და მენავეთა
და ვაჭართა — ყოველთავე ერთბამად ესმის ქადაგებაჲ ესე და სიხარულით
B 121 შეიწყნარებენ. ამისთჳს / უკუე ნუმცა ვინ გარეგან ჰყოფს თავსა თჳსსა მწყობ-
რისა მისგან მმარხველთაჲსა, რომელსა შინა ყოველნი ნათესავნი და ყოველი
ჰასაკი და ყოველნივე განყოფილებანი პატივთანი შეირაცხვიან.

ანგელოზნი არიან, რომელნი ყოველთავე ეკლესიათა შინა აღსწერენ მმარ-
ხველთა. იხილე, ნუუკუე მცირედისა გულისთქუმისათჳს ჭამადთაჲსა დაგჭირ-
დეს ანგელოზისა მიერ აღწერაჲ იგი და ჰყო თავი შენი, რაჲთა მჴედართა აღ-
მწერელმან მან მწყობრისაგან მოკლებულთა მათ თანა დაგწეროს. უსუბუქეს
A v არს, რაჲთა ბრძოლასა შინა ვინმე იპოოს ძლეულ და საჭურველისა / დამტეო-
ბელ და მეოტ, ვიდრელა დიდისა მის საჭურველისა — მარხვისა განმგდებე-
ლად გამოჩნდეს.

უკუეთუ მდიდარ ხარ, ნუ შეურაცხ-ჰყოფ მარხვასა, ნუცა უღირს ჰყოფ
C v მეპურისმტედ შენდა ყოფ/ად მისა და ტაბლის მოდგამად, ნუცა წარჰგზავნი მას
B v სახლისა შენისაგან უპატიოდ და შეურაცხად გულისთქუ/მათა მიერ, ნუუკუე
შეგასმინოს შენ წინაშე რჩულისმდებელისა მის მარხვათაჲსა და იჭრტინოს
შენთჳს და მრავალწილად მოაწიოს შენ ზედა საშჯელი ნაკლულევანებისაჲ
ანუ სენითა გუამისაჲთა, ანუ სხჳთა რაჲთმე საჭიროჲთა განსაცდელითა. გლა-
ხაკი ნუმცა უდებ არს მარხვისა მიმართ, რომელსა-იგი პირველითგანვე თანა-
მკჳდრად და მეპურისტედ თჳსა ჰყავს იგი. ხოლო დედათა, ვითარცა მშჳნვაჲ,
ეგრეთვე მარხვაჲ თჳსი არს და ბუნებითი. ყრმანი, ვითარცა ნერგნი შუებულ-
ნი, წყლითა მით მარხვისაჲთა მოირწყვებოდიედ, მოხუცებულთა აღუსუბუ-
ქებს შრომასა ადრითგან მისა მიმართ ჩუეულებაჲ, რამეთუ შრომანი, მრავლი-
თა ჩუეულებითა წურთილნი, უჭირველეს ჩანედ. გამოცდილთათჳს მოგზაურ-
თათჳს კუალად არს მარხვაჲ კეთილად მსრბოლი თანამავალი, რამეთუ ვითარ-
ცა შუებაჲ დაამძიმებს მათ, რაჟამს-იგი ჭამადთა სიმრავლე ეტჳრთოს, ეგრე-
B 122 თვე მარხვაჲ სუბუქ და / უშრო/მელ ჰყოფს მათ.

C 90 მერმე კუალად ესეცა გულისჴმა-ყავთ, რამეთუ მჴედართა მათ სოფლი-
სათა, რაჟამს განეგოს მჴედრობასა შორსა წარსლვად, წარიღებენ მათ თანა
A 70 არა სანუაგეთა, / არამედ საზრდელსა საჭიროსა, რომლისა თჳნიერ ვერ გა-
ნერებიან. ხოლო ჩუენ, რომელნი-ესე უხილავთა მათ მტერთა ბრძოლად გან-
ვალთ და შემდგომად მათისა ძლევისა ზეცისა მამულად აღსლვაჲ მოგუეცე-
მის, არა უფროჲსად ავიძულნეთ-ა თავნი ჩუენნი და კმა ვყოთ ჩუენდა საკმა-
რი იგი ოდენ ბუნებისაჲ და არა ვეძიებდეთ სანუაგეთა და ფუფუნებასა?

3. დაშუერ, ვითარცა კეთილი მჴედარი და იღუაწე კეთილად, რაჲთა
გჳრგჳნოსან იქმნე, რამეთუ უწყი, ვითარმედ ყოველივე მოღუაწე მარადის
იმარხავს[1*]. ხოლო ესეცა საცნაურ იყავ, ვითარმედ სოფლისა ამის მჴედართა,

---

[5] პატივითნი C. [6] ანგელოსნი C. შინა — B. [7] იხილჱ C. [10] იპოვოს C. დამტევობელ C. [13] შეორაცჰყოფ B. [14] შენდა] შენსა B. მისსა B. წარჰმგზავნი B. [15] უპატიოდ C. შეურაც-ხად]შეურაცხყოფილად B. [16] შჯულისმდებელისა C. მმარხველთაჲსა C. იჭრტჳნოს C. [17] ნა-კლულევანობისაჲ B. [18] სხუაჲთ B. [20] თჳსსა B, თჳსად C. ფშჳნვაჲ C. [21] ყმანი B. [22] ირწ-ყვებოდიედ B, მოირწყვებოდიან C. [23] შურომასა C. მისსა BC. შურომანი C. [24] ჩუეულობითა B. უუჭირველესად (დაბოლოების -ად ამოფხეკილია) B. [25] ˜არს კუალად C. [26] სიმრავლჱ C. [27] უშურომელ C. [28] მერმჱ C. გულისხმა- C. [30] თჳნიერ B. [33] ჩ˜ნი B. [34] სანოაგეთა BC. [35] იღუაწჱ C. [36] იქმნჱ C. მოღუაწჱ C.

[1*] შდრ. I კორინ. 9, 25.

შემსგავსებულად შრომათა მათთა, აღორძნდების განსაკუეთელი; არამედ სულიერთა მათ მჴედართა, რომელსაცა უნაკლულევანესად აქუს საზრდელი, მას უმეტესად აქუს პატივი. რამეთუ ვითარცა ჩა/ფხუტი ესე ჩუენი განყო- B v ფილ არს ბუნებით განხრწნადისა მისგან, რამეთუ მათისა მის ჩაფხუტისა ნივთი რვალი არს, ხოლო ჩუენი იგი სასოებითა მით ცხორებისაჲთა შემ/ზადე- C v ბულ არს[1*]; და ფარი მათი შეშისაგან და ტყავისა ქმნილ არს, ხოლო ჩუენდა მოცემულ არს ფარი იგი სარწმუნოებისაჲ; და ჯაჭჳთა კუალად ჩუენ სიმართლისაჲთა შეზღუდვილ ვართ, არამედ მათ კუართი რაჲმე, ჯაჭუთა მიერ რკინისათა ქმნილი, უტჳრთავს; და მახჳლი ჩუენდა სულისაჲ მოცემულ არს ბრძოლად[2*], ხოლო იგინი მახჳლსა მას რკინისასა აღმოიჴდიან, ეგრეთვე უკუე საზრდელიცა არა ერთი არს, რომელი ძალ-გუცემს ჩუენცა და მათცა, არამედ ჩუენ სწავლანი იგი საღმრთონი განგუამტკიცებენ, ხოლო მათდა აღვსებაჲ მუცლისაჲ საწადელ არს.

/ვინაჲთგან უკუე მოგჳყვანნა ჩუენ მოქცევამან ამან წელიწდისამან A v სასურველთა ამათ დღეთა, ვითარცა გამრმზრდელთა ჩუენთა, ამისთჳს სიხარუ/ლით შევიწყნარნეთ ესენი, რომელთა მიერ გჳშვილნა ჩუენ ეკლესიამან B 123 სიწმიდისა მიმართ. ამისთჳს უკუე რაჟამს იმარხვიდე, ნუ მჭმუნვარე იყოფვი ჰურიაებრივ, არამედ სიტყჳსა მისებრ სახარებისა განაბრწყინვე თავი შენი,[3*] ნუ მგლოვარე ხარ ნაკლულევანებისათჳს მუცლისა, არამედ იხარებდ სულიერთა მათ კეთილთათჳს, რამეთუ უწყი, ვითარმედ: „ჴორცთა სურის სულსა ზედა, ხოლო სულსა ჴორცთა ზედა"[4]. ვინაჲთგან უკუე ესენი / ურთიერთას C 91 წინააღმდგომ არიან[5*], ამისთჳს მოვაკლოთ ფუფუნებასა ჴორცთასა და აღვაორძინოთ ძალი სულისაჲ, რაჲთა მარხვისა მიერ მძლე ვექმნეთ ვნებათა და გჳრგჳნნი იგი ძლევისანი შევიმოსნეთ.

4. ამიერითგანვე განმზადე თავი შენი, რაჲთა ღირს იყო შეწყნარებად პატიოსნისა მის მარხვისა. ნუ განჰხრწნი ხვალისა მარხვასა დღესისა მთრვალობითა, ბოროტ არს ღონე ესე და გულისსიტყუაჲ ესე — ამაო, უკუეთუ ვინაჲთგან მცირედთა დღეთა მარხვაჲ ჩუენდა ქადაგებულ არს, დღეს სიმთრვალითა / თავნი ჩუენნი დავაბნელნეთ. რამეთუ არავის ეგულებინ დედაკაცისა პა- B v ტიოსნისა რჩულითა ქორწინებისაჲთა შეერთებად და იგიმცა პირველად მეძავთა თანა და შეგინებულთა შეეყო, რამეთუ არა თავს-იდვას რჩულიერმან მან განხრწნილთა მათ თანა მკჳდრობაჲ. და შენცა უკუე, რაჟამს მოელოდი მარხ/ვასა, ნუ წინა-შეიყვანებ მთრვალობასა — განქიქებულსა მას მეძავსა, A 71 ურცხჳნოებისა დედასა, სიცილის მოყუარესა მას, მცბიერსა მას და ყოვლისავე სახისა მიმართ უშუერებისა განმზადებულსა მას, რამეთუ არა შევიდეს ლოცვაჲ და მარხვაჲ / სულსა შინა, შეგინებულსა მთრვალობითა. მმარხველ- C v სა შინაგან ადგილთა მათ სიწმიდისათა შეიწყნარებს უფალი, ხოლო მთრვალსა, ვითარცა შეგინებულსა და არაწმიდასა, არა შეიწყნარებს.

---

[1] შურომათა C. განსაკუეთელი არამედ] განსაკუეთელად C. [4] განჴრწნადისა B. [5] ცხოვრებისაჲთა C. [6] ქმნულ C. [10] აღმოიჴდიან] აღმოიწუდიან B. [12] ავსებაჲ C. [14] წელიწადისამან C. [17] იმარხვიდჱ C. მჭუნვარე B, მჭმუნვარჱ C. იყოფები C. [18] ჰურიაებრივად B. [19] ნაკლოლევანებისათჳს B. [20] ჰსურის C. [23] ვექმნნეთ C. [25] განჰმზადჱ C. [26] გ῀ნხრწნი A. [29] ჩ῀ნი B. [30] შჯულითა C. [31] -იდვის C. შჯულიერმან C. [34] და — B. [35] მას — A. შევიდის C. [36] — მარხვაჲ და ლოცვაჲ B.

[1*] I თესალ. 5,8. [2*] ეფეს. 6, 17. [3*] მათე 6, 16—17. [4*] გალატ. 5,17. [5*] იქვე.

რამეთუ უკუეთუ მოხჳდე ხვალე და ჰყროდი ღჳნისაგან დამპლისა, ვითარ
შეგირაცხო მთრვალობაჲ იგი მარხვად? რამეთუ ნუ ამას იტყჳ, თუ მას ოდენ
B 124 ჟამსა / არა გესუას, არამედ იგი გულისჴმა-ყავ, ვითარმედ არაწმიდა ხარ
ღჳნისაგან. ვიეთ თანა შეგრაცხო შენ? მომთრვალეთა თანა ანუ მმარხველ-
თა? წინადღითი იგი მთრვალობაჲ თავისა თჳსისა მიმართ მიგიზიდავს, მის
ჟამისა იგი უზმობაჲ მარხვასა გიწამებს. საეჭუ ხარ შენ მთრვალობისა მიერ,
ვითარცა ტყუჱ, და ვერ განერე მონებისაგან სამართლად, რამეთუ არის შენ
თანა ცხადი სასწაული მონებისაჲ — სიმყრალჱ იგი მთრვალობისაჲ, შენ
თანა დარჩომილი. მებრ პირველი იგი დღჱ მარხვათაჲ უჴმარ და გამოუცდელ
იყოს შენდა, რამეთუ ნაწილნი იგი და ნეშტნი მთრვალობისანი შენ თანა
არიან, ხოლო რომლისა დაწყებაჲ გამოუცდელ, მისი ყოველივე უჴმარ, რა-
მეთუ „მომთრვალეთა სასუფეველი ცათაჲ ვერ დაიმკჳდრონ“[1*]. უკუეთუ
მთრვალი მოხუალ მარხვად, რაჲ სარგებელ არს შენდა? რამეთუ უკუეთუ სიმ-
C 92 თრვალემან სას/უფეველისაგან გამოგაგდოს, სადალა საჴმარ გეყოს შენ მარხვაჲ
იგი?

A v / არა ჰხედავ-ა, რამეთუ მეასპარეზეთა მათ ცხენთა ჴელოვანნი იგი მწყსელ-
B v ნი ცხენთანი, რაჟამს ასპარეზსა მოელოდინ, ნაკლულევანებითა განჰმზადე-
ბენ? ხოლო შენ განზრახვით თავსა შენსა სიმაძღრითა შეაიწრებ. ესრეთ ნაყ-
როვანებითა პირუტყუთაცა წარჰკდები, რამეთუ მუცელი დამძიმებული არა
თუ სირბილად, არამედ ძილადცა არა კეთილ არს, რამეთუ სიმრავლისა მის-
გან ჭამადთაჲსა შეიწრებული განსუენებადცა ვერ უძლავს, არამედ იჭირვინ
ზედაჲსზედა მიმოქცევითა.

5. მარხვაჲ მცველი არს ჩჩჳლთაჲ, წმიდამყოფელი ჭაბუკთაჲ, პატიოსან-
მყოფელი მოხუცებულთაჲ, რამეთუ უპატიოსნეს არიან მჴცენი, მარხვითა
შემკობილნი, დედათათჳს სამკაული არს კეთილი, ჭაბუკთა ახოვანთა აღჳრი,
მეუღლეთა მფარველი, ქალწულებისა მზარდული. ესევითარნი არიან თითო-
ეულსა ზედა კეთილნი მისნი, ხოლო ყოველთა ზედა ზოგად კუალად იხილე,
თუ ვითარ მოქალაქობს ჩუენ შორის? ვითარ მეყსა შინა ყოველსავე ქალაქსა
B 125 და ყოველსავე ერსა გარდააქცევს წესიერებად? დაამ/დოვრებს ჴმამაღლობა-
C v სა, განიოტებს შფოთსა, დაადუმებს ძჳრისზრახვასა, რომლისა მასწ/ავლე-
ლისა მოსლვამან ესრეთ მეყსა შინა დააწყნარის ამბოხებაჲ ყრმათაჲ, ვითარ-
იგი მარხვაჲ აღმო-რაჲ-ბრწყინდის, ყოველივე შფოთი ქალაქისაჲ დაადუმის?
რომელი მომღერალი მარხვასა შორის გამოვიდა? რომელი კრებული არა-
წმიდებისაჲ შეკრბა მარხვისაგან? მცბიერნი სიცილნი და გალობანი სიძვისანი
A 72 და მღერანი ბორგილებისანი მეყსა შინა ქალაქისაგან / წარიდევნიან, ვითარ-
ცა მსაჯულისა ვისმე მიერ მძჳნვარისა, ესრეთ წარიოტნიან მარხვისაგან. უკუე-

---

[1] მოხჳდჱ C. ხვალჱ C. [3] გულისხმა- C. [7] განერე+შენ C. [8] სიმყრალე B. [9] მებრ—
B (B-ში ეს სიტყვა შემდეგ ამოუშლიათ). დღე B. [11] გამოუცდელ+ იყოს C [(C-ში ეს სიტ-
ყვა შემდეგ ჩაუწერიათ). უჴმარ+არნ C (C-ში ეს სიტყვაც შემდეგ ჩაუწერიათ). [[12] დაჲმ-
კჳდრონ B. [14] სადალა] და რაჲღა C. [16]] ხედავა B. ჴელოანნი B. მმწყსელნი C. [18] გაზ-
რახვით C. [18] შეაიწრებ+რამეთუ C (C-ში ეს სიტყვა შემდეგ ჩაუმატებიათ). ნაყროვნებითა BC.
[21] შეიწრებულსა C (C-ში ამ სიტყვის -ი დაბოლოება შემდეგ გადაუკეთებიათ- ̃სა-დ).
[22] ზ̃ას̃ზა A. [23] ჩჩჳლთა B. [25] ახუანთა B. [27] იხილჱ C. [28] მეყსა] მეჴსა B. [29] დაამ-
დურვებს A, დაამდორვებს B. [30] განუტეობს C. [31] ამბოხებაჲ + იგი C. [35] წარიდევნნიან C.~
[36] ~ მძჳნვარისა მიერ B.

[1*] I კორინ. 6, 10.

თუმცა კულა ყოველნი საქმეთა მათთა განმზრახად მოიპოებდეს მას, არამცა დამაყენებელ იყო ყოველსავე სოფელსა ჴშირისა მშჳდობისა ყოფად, არცამცა ნათესავნი აღდგებოდეს ერთიერთსა ზედა, არცამცა მჴედრობანი ურთიერთას იბრძოდეს, არცამცა იჴედებოდეს სა/ჴურველნი. B v უკუეთუმცა მარხვაჲ მტკიცე იყო ჩუენ შორის, არცამცა სამშჯავრონი შეკრბებოდეს, არცამცა ვინ მკჳდრ იყვნეს საპყრობილეთა შინა, არცამცა იყოფოდეს ყოლადვე უდაბნოთა შინა ძჳრისმოქმედნი, ანუ ქალაქთა შინა ცილისმწამებელნი, ანუ ზღუათა შინა დამთქმელნი.

უკუეთუმცა ყოველნი მოწაფენი იყვნეს მარხვისანი, / C 93 არამცა ისმა ყოლადვე, ვითარცა იობ იტყჳს, ჴმაჲ ხარკის მომჴდელისაჲ[1*]. უკუეთუმცა მარხვამან ცხორებაჲ ჩუენი გჳრგჳნოსან ყო, არამცა იყო იგი ესრეთ მრავლითა მწუხარებითა და სულთქუმითა სავსე, რამეთუ მანმცა გუასწავა არა ჭამადთაგან ოდენ მარხვაჲ, არამედ ყოვლისაგანვე ვეცხლისმოყუარებისა და ანგაჰრებისა და ყოვლისავე უკეთურებისაგან სივლტოლაჲ და უცხოყოფაჲ. და ვინაჲთგანმცა ესევითარნი ესე საქმენი აღგუჴდეს ჩუენ, არღარაჲმცა იყო დამაყენებელ მშჳდობით და უშ/ფოთველობით წარვლაჲ ცხორებისა ჩუენისაჲ. B 12[illegible]

6. ხოლო აწ, რომელნი-იგი მარხვასა განაგდებენ და შუებასა, ვითარცა ნეტარებასა, სდევენ, იგინი შემოიღებენ მრავალსა მას / A v სიმრავლესა ბოროტთასა და თჳსთაცა ჴორცთა განიხრწნიან.

გულისჴმა-ყავ განყოფილებაჲ იგი პირთაჲ, ვითარ-იგი გიჩნდენ დღეს, მიმწუხრ, და კუალად ხვალე: დღეს პირნი განსივებულნი, განწითევებულნი, ოფლითა შესოლვებულნი, თუალნი ნოტიანი, კადნიერნი, რომელთა კეთილად ხედვად შინაგანისა მის ნისლისაგან ვერ ძალ-უც; ხოლო ხვალე — დაწყნარებულნი, პატიოს/ანნი, C v ბუნებითითა მით ფერითა განშუენებულნი, წესიერებითა სავსენი და ყოვლითავე სიბრძნითა, რაჲამს-იგი ერთიცა მიზეზი შინაგან ბუნებითსა მას ძალსა არა დააბნელებდეს.

მარხვაჲ — ანგელოზთა მსგავსებაჲ, მართალთა თანამკჳდრი, ცხორებისა კაცთაჲსა პატიოსანმყოფელი. ამან რჩულისმდებელ ყო მოსე, მარხვისა ნაყოფი არს სამოელ, მარხვით ილოცა ღმრთისა მიმართ ანა და თქუა: „ადონაი უფალო, ელოჲ, საბაოთ, უკუეთუ მოხედვით მომხედო მჴევალსა ზედა შენსა და/ B v მომცე მე შვილი, მივსცე იგი წინაშე შენსა ძღუნად[2*], ღჳნოჲ და თაფლუჭი არა სუას ვიდრე დღედმდე სიკუდილისა მისისა“[3*]. ამან დიდი სამფსონ აღზარდა და ვიდრემდის იყო მის თანა, ათასეულნი მბრძოლთანი დაეცემოდეს მის მიერ და ბჭენი ქალაქთანი აღმოიფხურებოდეს მის მიერ და ლომნი ძალსა ჴელთა მისთასა ვერ თავს-იდებდეს[4*]. ხოლო რაჲამს სიმთრვალჱ და სიძვაჲ ეუფლნეს მას, მიერითგან ტყუჱ იქმნა მტერთაჲ და თუალთა თჳსთაგან

---

1 მოიპოვებდეს C. არაჲმცა B. 2 დამაყენებელ] დამყარებულ C. იყოა C. 4 არამცა AB. 5 არამცა 2⁰ AB. 6 იყოფეოდეს BC. 8 დამნთქმელნი B, დამმთქმელნი C. 10 ~იტყჳს იობ C. 11 ცხოვრებაჲ C. 12 სულთთქუმითა C. სავსჱ C. გასწავა' C. 15 ესე — C. ალგუჴდეს B. 16 ცხოვრებისა C. 20 გულისხმა- C. გიჩნდეს C. დღეს — C. 21 ხვალჱ C. 22 შესოლვებულნი] შესულებულნი C. ნოტიან C. 23 ჰხედვად C. ხვალჱ C. 27 ცხოვრებისა C. 28 შჯულისმდებელ C. მოსჱ C. 29 მარხვითა C. ანნა C. ადონა C. 30 ელი AC. მოჰხედვით C] მოხილვით B. მომხედო] მოიხილო C. 31 მივსცჱ C. 32 ჰსუას C. დღედმდჱ C. სამსონ BC. 33 და — B. მბრძოლთანი] მბორძალთანი B. 34 ქალაქისანი C. 35 სიმთრვალე B. 36 ტყუჱ C. მტერთაგან C.

1* იობ 3, 18. 2* 1 მეფ. 1, 11. 3* მსაჯ. 13, 14. 4* მსაჯ. 14, 6.

გამოექუა და იქმნა სამღერელ ყრმათა მიერ უცხოთესლთაჲსა. ელია მარხვი-
C 94 თა და/ჰჴშნა ცანი სამ წელ და ექუს თუჱ[1*]. რამეთუ იხილა რაჲ, / ვითარმედ
A 73 სიმაძღრისაგან ფრიადი გინებაჲ იშვებოდა, ჯეროვნად მოაწია მათ ზედა უნე-
ბლიაჲთ სიყმილისაგან მარხვაჲ, რომლისა მიერ უზომოდ განფენაჲ იგი ცოდ-
ვისა მათისაჲ დააყენა, ვითარცა წამლითა ძლიერითა — მარხვითა უზომოებაჲ
იგი ბოროტისაჲ განკუეთა.

7. შეიწყნარეთ ესე, გლახაკნო, თანამკჳდრი და მეპურისტჱ თქუენი; მო-
B 127 ნანო, — განმსუენებელი ესე თქუენი მრა / ვალთა მათ მსახურებისა ჭირთაგან;
მდიდარნო, — მკურნალი ესე თქუენი სიმაძღრისა ვნებათაგან და რომელი-
იგი უსაწადელჱს ჰყოფს თქუენდა ჭამადთა მათ სიმაძღრისაგან შეურაცხყო-
ფილთა; უძლურნო, — სიმრთელისა დედაჲ ესე; მრთელნო, — სიმრთელისა
თქუენისა მცველი ესე. ჰკითხე მკურნალთა და გითხრან, ვითარმედ ყოვლისა
უძჳრეს არს ნაყროვანებაჲ. ამისთჳს მარხვისა მიერ გამოცდილნი იგი ფრიად-
სა მას სიზრქესა ჴორცთასა მოაკლებენ, რაჲთა არა მოუძლურდეს ძალი იგი
ბუნებითი უზომოჲთა მით სიზრქითა, რამეთუ განზრახვით ნაკლულევანები-
C v სა მიერ დაჰჴსნიან უზომოებასა და სიზრქესა და სისუბუქესა მოატყუებენ. /
ესრეთ ყოველსა საქმესა შინა მისმიერი იგი სარგებელი იპოვების და ყოველ-
თავე ზედა მივალს: სახლთა, უბანთა, ღამეთა, დღეთა, უდაბნოთა და ქალაქთა.

აწ უკუე ესევითართა მათ კეთილთა წინამძღუარი ბრწყინვალედ შევი-
წყნაროთ სიტყჳსა მისებრ უფლისა, ნუ მჭმუნვარებით, ვითარცა ორგულ-
B v ნი, არამედ მხიარუ/ლებასა მას სულისასა გამოვაჩინებდეთ[2*]. ხოლო მე ვჰგო-
A v ნებ, / ვითარმედ არა ესეზომი ჭირი მიჴმს ვედრებად ხვალინდელისა მარხვი-
სათჳს, ვითარ-იგი რაჲთა დღეს არავინ შთავარდეს ბოროტთა მათ შინა მთრვა-
ლობისათა. რამეთუ მარხვასა ჩუეულებისათჳსცა და ურთიერთას ბაძვითა მრა-
ვალნი თავს-იდებენ, ხოლო მე მეშინის მთრვალობისაგან. რომელი-იგი ვითარ-
ცა მამული სამკჳდრებელი, აქუს გემოჲსმოყუარეთა. რამეთუ ვითარმცა ვიეთ-
ნიმე შორსა გზასა წარვიდოდეს, ესრეთ ვიეთნიმე უგულისჴმონი დღეს წმიდა-
თა ამათ დღეთათჳს მარხვისათა მომავალთა სუმენ ღჳნოსა.

ვინ არს ესრეთ უგულისჴმოჲ, რომელი უწინარეს სუმისა მსგავსად მთრ-
ვალთამცა უცნობელ იყო? არა უწყი-ა, რამეთუ მუცელი ნამარხევსა არა
ჰმარხავს? მუცელი მცველი არს მიუნდობელი, საუნჯე დაუმარხავი, რომელ-
C 95 სა / შინა, რაჟამს ფრიადი შევიდის, მისმიერი იგი ვნებაჲ დაიმჭირის და შთა-
B 128 სრული იგი მას შინა არა დაჰმა/რხის.

იხილე, ნუუკუე შენცა ხვალე მოხჳდე მთრვალობისაგან და გესმას სა-
კითხავი იგი, ვითარმედ: „არა ესევითარი მარხვაჲ გამოვირჩიე"[3], თქუა უფალ-
მან. რაჲ შეჰრევ შეურევნელთა მათ საქმეთა? რაჲ თჳსებაჲ არს მარხვისაჲ
მთრვალობასა თანა? რაჲ ზიარებაჲ არს მეღჳნობისაჲ სიწმიდესა თანა? რაჲ
შეერთებაჲ ტაძრისა ღმრთისაჲ კერპთა თანა?[4*]. რამეთუ ტაძარ ღმრთისა

---

[2] თთუჱ C. [3] უნებლიეთ BC. [7] მეპურისტე B. [12] ჰკითხჱ C. [13] ნაყროვნებაჲ C. იგი—C. [14] სიზრქესა] სივრცესა AC. [17] იპოვების C. [19] მბრწყინვალედ C. [20] მჭუნვარებით B. [21] მხია-რულებასა] მახარებელსა C. [24] ჩუეულობისათჳსცა BC. [26] გემოთმოყუარეთა C. [27] უგულის-ხმონი C. [28] ღჳნოსა] ღოჲნოსა B. [29] უგულისხმოჲ C. სუმისა — C. [31] საუნჯჱ C. [34] იხილჱ C. ხვალჱ C. მოხჳდჱ C. [35] ესევითარი] ესე B. [37] მეღოჲნობისაჲ B, მეღჳნეობისაჲ C. [38] შეერ-თებაჲ-ა C.

[1*] III მეფ. 17, 1. [2*] მათე 6, 16—17. [3*] ესაია 58,5. [4*] II კორინ. 6,16.

იგინი არიან, რომელთა თანა სული ღმრთისაჲ დამკჳდრებულ არს[1*], ხოლო
ტაძარ კერპთა იგინი არიან, რომელნი მთრვალობისა მიერ სიბილწესა მას
შეგინებისასა შეიწყნარებენ. დღესისა / ესე დღჱ კარი არს მარხვათაჲ, A 74
ხოლო რომელი წინაშე კართა შეიგინოს, იგი არასადა ღირს არს შესლვად
წმიდასა შინა წმიდათასა. ვინმცა იყო მონაჲ იგი, რომელსა ენება უფლისა
თჳსისა განრისხებულისა დამშჳდებაჲ და მანმცა მტერი თჳსი მეხუაიშნედ
აღიდგინა? მთრვალობაჲ მტერობაჲ არს ღმრთისაჲ, ხოლო მარხვაჲ დასაბა-
მი არს სინანულისაჲ. აწ უკუეთუ გნებავს აღსარე/ბისა მიერ მისლვაჲ ღმრთი- B v
სა, ევლტოდე მთრვალობასა, რაჲთა არა უძ/ჳრესი სატანჯველი მოიწიოს შენ C v
ზედა.

გარნა განყენებაჲცა ოდენ ჰამადთაგან არა კმა არს თჳსაგან, რაჲთამცა
ეწოდა მარხვაჲ. არამედ ვიმარხოთ მარხვაჲ კეთილი, სათნოჲ ღმრთისაჲ. ჭეშ-
მარიტი მარხვაჲ ყოველთაგან ბოროტთა უცხოყოფაჲ არს: მარხვაჲ ენისაჲ,
დამჭირვაჲ გულისწყრომისაჲ, განშორებაჲ გულისთქუმათაჲ, ძჳრისმეტყუელე-
ბისაჲ, ტყუილისაჲ, ცილად ფიცისაჲ. ამათ ყოველთაგან განშორებაჲ არს მარ-
ხვაჲ ჭეშმარიტი და სათნოჲ, ესევითარი მარხვაჲ არს კეთილ.

ხოლო ჩუენ ვიშუებდეთ უფლისა მიმართ წურთითა საღმრთოთა სიტყუათა
სულისათა და მოგებითა საქმეთა მათ ცხორებისათა და ყოვლითავე სწავლითა
სარგებელისაჲთა. ხოლო სულიერისა მის ნაკლულევანებისაგან თავნი ჩუენნი
დავიცვნეთ, რომლისათჳს იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი, ვითარმედ: „არა მოაყ-
მნეს უფალმან სულნი მართალთანი“[2*] და კუალად იტყჳს, ვითარმედ: „არა
ვიხილე მართალი დაგდებული, არცა თესლი მისი მთხოველ პურისა“[3*]. / რამე- B 129
თუ ამას არა ხილულისა პურისათჳს იტყოდა, რომელმან-იგი უწყოდა, ვითარ-
მედ ძენი მამათმთავრისა იაკობისნი პურისათჳს შთავიდეს ეგჳპტედ, / არამედ A v
სულიერისა საზრდელისათჳს იტყოდა, რომლისა მიერ შინაგანი კაცი ჩუენი / C 96
სრულ იქმნების.

ნუმცა უკუე მოსრულ არს ჩუენ ზედა სიყმილი იგი, რომელი ჰურიათათჳს
თქუმულ არს: „რამეთუ აჰა ესერა დღენი მოვლენან, იტყჳს უფალი, და მოვა-
წიო ქუეყანასა ამას ზედა სიყმილი, არა სიყმილი პურისაჲ, არცა წყურილი
წყლისაჲ, არამედ სიყმილი სმენად სიტყჳსა უფლისაჲ“[4*], რომელი-იგი ამის-
თჳს მოაწია მართალმან მან მსაჯულმან, რამეთუ ხედვიდა გონებასა მათსა სა-
ზრდელითა მით ჭეშმარიტებისა სწავლათაჲთა მოყმობილი და გარეგანი კაცი
განპოხებული.

ხოლო ჩუენ ყოველთავე შემდგომთა ამათ დღეთა გამოგუზარდნეს სულ-
მან წმიდამან განთიადისა და მიმწუხრისა ტაბლითა და ნუმცა ვინ გამოჴუე-
ბულ არს ნეფსით სულიერისა მის ტაბლისაგან, არამედ ყოველთავე ვსუათ

---

[1] ღმრთისაჲ (Θεοῦ)] წმიდაჲ AC. [2] იგინი] იგი B. [3] შეგინებისასა] მთრვალობისასა C. დღე· B. [6] თჳსი] მისი B. მეხკშნედ BC. [7] აღადგინა B. [8] უკუეთუ] უკუე B. აღსაარები-სა BC. [9] ევლტოდჱ C. მოაწიოს B. [12] მარხვა 1° B. [14] ძჳრისმეტყუელებისა A. ტყუეილისაჲ C. [15] ~ჭეშმარიტი მარხვაჲ C. [16] და — C. სათნოჲ+ უფლისაჲ C. [18] ცხოვრებისათა C. [19] სარ-გებლისაჲთა C. ჩ̃ნი B. [20] რომელთათჳს C. [22] ვიხილჱ C. დაგდებულ B. არცაღა B. მთხოელ B. [23] ხილოლისათჳს პურისა B. [24] მამადმთავრისა B. [28] მოვლენო B. [30] უფლისა C. [31] სამართალმან C. ჰხედვიდა C. [32] მოყმობილი] მომყმარსა C. გარეგანი+ოდენ C. [33] განპო-ხებულ C. [36] ნებსით C.

[1*] I კორინ. 3, 16. [2*] იგავ. 10, 3. [3*] ფსალმ. 36, 25. [4*] ამოს 8, 11.

ბარძიმისა მისგან წმიდისა, რომელი-იგი სიბრძნემან გჳწდია და წინაშე და-
B v გჳდვა სწო/რად ყოველთავე, რაჲზომცა ძალ-ედვას თითოეულსა მიღებად და
სუმად, რამეთუ „წდია თჳსი იგი ბარძიმი და დაკლნა თჳსნი იგი მსხუერპლ-
ნი"[1*]. ესე არს სრულთა მათ საზრდელი, რომელთა საცნობელნი გამოცდილ
არიან განყოფად კეთილისა და ბოროტისა[2*], რომლისა-იგი ღირსმცა ვართ
C v მდიდრად მიღებად და ღირს ყოფად სიხა/რულსა მას სასძლოჲსა ზეცისასა
ქრისტეს იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმ-
ტკიცჱ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნი-
სამდე, ამენ.

A 75 III. /თქუმული ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისი სიტყუაჲ მისთჳს
C 479 მოსე წინაჲსწარმეტყუელისა, რომელსა იტყჳს, ვითარმედ: „ეკრძალე თავსა შენსა[3*].

1. ძალი სიტყჳსა ჴმარებისაჲ მოგუცა ჩუენ დამბადებელმან ჩუენმან ღმერ-
თმან, რაჲთა ზრახვათა გულისათა ურთიერთას გამოუცხადებდეთ და ზიარო-
ბისათჳს გონებისა ჩუენისა თითოეული საუნჯეთაგან გულისათა გამოვიღებ-
დეთ და მოყუასსა გამოუცხადებდეთ განზრახვასა უმჯობესისასა. რამეთუ
B 130 უკუეთუმცა სულნი ჩუენნი ხილულ იყვნეს და შიშუელ / და ცხად, ყოველნი-
ვემცა ზრახვანი გულთა ჩუენთანი ურთიერთას ცხად იყვნეს. ვინაჲთგან უკუე
სული ჩუენი სართულსა ამას შინა ჴორცთასა დაფარულ არს, ამისთჳს საჴმარ
არიან სიტყუანი და ზრახვანი გამოსაცხადებელად სიღრმეთა მათ შინა სუ-
ლისათა დაფარულთა ზრახვათა. ხოლო რაჟამს პოის გულისზრახვამან ჩუენმან
ჴმაჲ სიტყჳსაჲ, მეჲსეულად, ვითარცა ნავითა, შორის მდებარე იგი ჰაერი
წიაღ-ვლის და მიიწიის მეტყუელისა მისგან მსმენელისა მიმართ და უკუეთუ
პოის მუნ დაწყნარებაჲ და მყუდროებაჲ კეთილი, მეჲსეულად, ვითარცა ნავთ-
საყუდელთა უღელვოთა, სასმენელთა მათ მსმენელთასა ყოვლითურთ შევი-
დის, უკუეთუ კულა მსმენელთა მათგან ამბოხებაჲ რაჲმე, ვითარცა ღელვაჲ
C v სასტიკი, წინა-აღუდგის, მაშინ / შორის ჰაერთა მათ განილიის და დაინთქის.
ეცით უკუე დაწყნარებაჲ სიტყუასა ამას დუმილისა მიერ, ნუუკუე და იპოოს
A v მის თანა სარგებელისა / საჴმარი რაჲმე.
B v /რამეთუ ჭეშმარიტებისა სიტყუაჲ ძნიად შესაპყრობელ არს და უკუეთუ
ვინმე არა კეთილად დაიმჭირის იგი, ადრე განერის და ივლტინ, რამეთუ ეს-
რეთ განუგიეს სულსა წმიდასა, რაჲთა იწრო იყოს იგი და მცირე და რაჲთა
მცირეთა შინა სიტყუათა ძალსა დიდსა მოასწავებდეს და კუალად სიმოკლი-
სათჳს მისისა ადვილ იყოს მოსაჴსენებელად. ხოლო ბუნებით სათნოებაჲ სი-

PG, 31, გუ. 197—217.

[1] დაგჳდვა] დაგჳდგა B. [2] მოღებად C. [5] რომელსა-იგი C. [6] მოღებად C. ~ ზეცისა სასძ-
ლოჲსასა C. [7] იჳ˜ს B. სიმტკიცე B. [9] ა˜ნ A, ამინ C]—B. [10] თქუმული+წმიდისა და C. დი-
დისა ბასილისი C. [11] მოსჱ C. [12] შენსა+თავი ლე გუაკურთხენ მამაო C. [14] ზიარებლობისათჳს A.
[15] გონებისა] ბუნებისა BC. [16] უმჯობესისა B. [17] ჩ˜ნი B. [19] მას C. [21] პოვის C. [22] მეყსეუ-
ლად C. მდებარჱ C. აერი C. [23] წიაღ-ვლის] წარვლის C. [24] პოვის C. ყუდროებაჲ C.
მეყსეულად BC. [27]-აღუდგების C. აერთა C. [28] მას C. იპოვოს C. [30] რამეთუ] ხოლო C.
[31] დაიმჭიროს A. ადრჱ C. [32] იწროჲ C. მცირჱ C. რაჲთა — C [34] იყოს+და ˜B. ხოლო] რამე-
თუ BC.

[1*] იგავ. 9, 2. [2*] ებრ. 5, 14. [3*] II შჯულ. 15, 9.

ტყჳსაჲ ესე არს, რაჲთა არცა სიბნელითა და გამოუცხადებლობითა მისითა დაიფარვოდის ძალი მისი და არცა კუალად მეტის მეტყუელ იყოს და ცუდად და ამაოდ საქმეთა ზედა დიოდის, არამედ ორკერძოვე ჴეროვნად და შუენიერად იყოს, ვითარ-ესე არს, რომელ აწ წიგნთაგან მოსე წინაჲსწარმეტყუელისათა აღმოვიკითხეთ, რომელი-იგი გაჰსოდისცა სწავლის მოყუარეთა მაგათ, გარნა თუ სიმცირისათჳს მისისა თანაწარსრულ იყოს სასმენელთა თქუენთა. ხოლო არს სიტყუაჲ იგი ესრეთ: „ეკრძალე თავსა შენსა, ნუუკუე იქმნას სიტყუაჲ ფარული გულსა შინა/ [B 131] შენსა ურჩულოებისაჲ“[1*]. რამეთუ ჩუენ გონებითისა ცოდვისა მიმართ ადვილად წარვიტაცებით, / [C 480] ამისთჳსცა, რომელმან-იგი დაჰბადნა მხოლომან გულნი ჩუენნი, უწყოდა, ვითარმედ უმეტესნი ცოდვანი გონებითა აღესრულებიან, ამისთჳს პირველად გონებისა განწმედაჲ გუამცნო ჩუენ. რამეთუ რომლითა-იგი ადრე ვცოდავთ, და მეყსა შინა მისთჳს უმეტესი მოსწრაფებაჲ გუამცნო და კრძალულებაჲ უფროჲსი. რამეთუ ვითარცა უძლურთა მათ გუამითა ქელოანნი იგი მკურნალნი პირველითგანვე განაკრძალებენ, / [A 76] ეგრეთვე მკურნალმან მან სულთამან იხილა ჩუენი ესე უძლურებაჲ და ცოდვისა მიმართ გონებითისა სიმალე და ამისთჳს ძლიერითა სწავლითა განგუაკრძალებს, რამეთუ ჴორციელთა საქმეთა ჟამიცა უჴმს და სიმარჯუჱ, შრომაჲ და შემწენი და სხუანი ღონენი, და გონებისა აღძრვანი უჟამოდ იქმნებიან და უშრომელად აღესრულებიან, ყოველსავე ჟამსა სწორად იქმნებიან. ამისთჳსცა / [B v] მრავალგზის არნ ვინმე ზუავთაგანი და ამპარტავანთაჲ, რომელსა გარეგან სახჱ სიწმიდისაჲ აქუნ და მრავალგზის, ზინ რაჲ მათ შორის, რომელნი-იგი სათნოებისა მისისათჳს ჰნატრიდიან მას, მექსეულად წარვიდის გონებითა ადგილსა მას ცოდვისასა უხილავითა მით აღძრვითა გულისაჲთა და იხილნის უცნებითა გონებისაჲთა საქმენი იგი. გამოისახის უბნობაჲ რაჲმე უშუერი და ყოვლითურთ უხილავსა მას ადგილსა სულისასა / [C v] გამოსახის საქმჱ იგი და აღასრულის ცოდვაჲ იგი ყოველთაგანვე უცნაურად და უწამებელად, ვიდრემდის მოვიდეს განმანათლებელი იგი დაფარულთა ბნელისათა და გამომაჩინებელი ზრახვათა გულისათაჲ.

ეკრძალე უკუე, რაჲთა არა იქმნას გულსა შინა შენსა სიტყუაჲ ფარული ურჩულოებისაჲ, რამეთუ რომელმან მიხედნეს დედაკაცსა გულისთქუმით, მან იმრუშა[2*] რამეთუ ჴორციელნი საქმენი მრავალთა მიერ დაიხრწევიან, ხოლო რომელი გონებით ცოდვიდეს, ეგევითარი იგი სიმალესა მას თანა გულისსიტყუათასა აღასრუ/ [B 132] ლებს ცოდვასაცა. და ამისთჳს, სადა-იგი ადრე აღესრულების ცოდვაჲ მისი, მოსწრაფებით / [A v] გუჴმს განკრძალვაჲ, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „ნუუკუე იქმნას სიტყუაჲ გულსა შენსა შინა ფარული ურჩულოებისაჲ“. არამედ დაწყებაჲცა მის სიტყჳსაჲ ვიხილოთ.

---

[1] არცა] არა C გამოუცხადებელობითა C. [2] ცუდ A. [3] ჴეროვან BC. შუენიერ BC. [4] რომელი BC. მოსჱ C. [5] გაჰსოვდისცა C. [7] ეკრძალჱ C. [8] უშჯულოებისაჲ C. [10] მხოლოდ A. ჩ˜ნი B. უწყოდნა B. [12] რომელსა-იგი A. ადრჱ C. [14] ქელოვანნი C. [16] სიმალჱ C. [17] და—C. [18] სიმარჯუე B. შურომაჲ C. და 3°] ხოლო BC. [19] უშურომელად C. [20] ზუავთაგან C. ამპარტავანთა BC. [21] რომელთა C. სახე B. [22] სათნოებათა მისთათჳს C. მეჴსეულად] მეყსა შინა BC. [24] და გამოსახის C. უბნობაჲ] ბუნებაჲ C. [26] გამოისახის C. საქმე B. ყოველთაგან C. [28] გულისათა BC. [29] ეკრძალჱ C. [30] უშჯულოებისაჲ C. მიჰხედნეს C. [32] გონებითა BC. [33] ადრჱ C. [35] შინა — BC. უშჯულოებისაჲ C. [36] დაწყებაჲცა (τὴν ἀρχήν)] დაწყნარებაჲცა BC.

[1*] II შჯულ. 15,9. [2*] მათე 5, 28.

2. „ეკრძალეო თავსა შენსა“, — ყოველთავე დაბადებულთა დამბადებელისა ღმრთისაგან აქუს ბუნებით კრძალვაჲ თავისა თჳსისაჲ და უკუეთუ გულისჴმა-ჰყო კეთილად, ჰპოვნე მრავალნი პირუტყუთაგანნი, ვითარმედ უსწავლელად აქუს ყოვლისავე მავნებელისა სიძულილი და კუალად ძალითა მით ბუნებითითა გულისჴმა-ჰყოფენ საქმეთა მათ მარგებელთა მათთა და მათ ეძიებენ. ამისთჳს ჩუენცა ღმერთმან მოგუცა დიდი ესე მცნებაჲ, რაჲთა რო- C 481 მელი-იგი მათ ბუნებით აქუს, ჩუენ შეწევნითა მით სიტყ/ჳსაჲთა გუაქუნდეს. და რომელი-იგი პირუტყუთა უცნობელად აქუს ბუნებისა მიერ, იგი ჩუენ B v მოვიგოთ განკრძალვითა და გულისჴმისყოფი/თა გულისსიტყუათაჲთა. და ვიყვნეთ ჩუენ მმარხველ ნიჭთა მათ, ღმრთისა მიერ მოცემულთა, ესე იგი არს, რაჲთა ვივლტოდით ცოდვისაგან, ვითარცა-იგი პირუტყუნი ივლტიან წამლიანთა მათ და სასიკუდინეთა ჭამადთაგან და რაჲთა ვსდევდეთ სიმართლესა, ვითარცა იგინი საძოარსა კეთილსა ეძიებენ.

„ეკრძალე უკუე თავსა შენსა“, რაჲთა შემძლებელ იყო განყოფად კეთილსა ბოროტისაგან და სავნებელსა სარგებელისაგან. ხოლო ვინაჲთგან ორი სახჱ არს კრძალვისაჲ: ერთი იგი არს ჴორციელითა თუალითა ხედვაჲ ხილულთა საქმეთაჲ და მეორედ, რაჲთა გონიერითა მით თუალითა სულისაჲთა ხედ- A 77 ვიდეს ყოველსავე და განეკრძალე/ბოდის, აწ უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ ხილულთა ამათ თუალთათჳს თქუა სიტყუაჲ იგი წინაჲსწარმეტყუელმან, მეყსეულად ვპოოთ შეუძლებელობაჲ მისი, რამეთუ ვითარ ვინ იხილოს თუალითა თჳსითა თავი თჳსი ყოვლითურთ? რამეთუ თუალი ვერცა თუ თავსა თჳსსა იხილავს, ვერცა თხემად მიიწევის, ვერცა ზურგსა განიცდის, ვერცა პირსა, ვერცა შინაგანთა მათ ნივთთა. ბოროტ არს უკუე თქუმად, ვითარმედ შეუძ- B 133 ლებელ არიან / მცნებანი სულისა წმიდისანი, არამედ მცნებაჲ ესე სუ/ლიერ- C v თა მათთჳს თუალთა გონებისათა იტყჳს.

„ეკრძალე თავსა შენსა“, ესე იგი არს, ვითარმედ ყოვლით კერძო ფრთხილ იყავ და დაუძინებელად გაქუნდინ თუალი იგი სულისაჲ კრძალვად თავისა თჳსისა, რამეთუ შორის საფრჴეთა ხუალ შენ და ფარულნი მახენი დარწყმულ არიან მტერისა მიერ ყოვლით კერძო. ამისთჳს ყოვლითურთ ფრთხილ იყავ, რაჲთა განერე, ვითარცა ქურციკი საფრჴისაგან და ვითარცა სირი მახისა[1*]. რამეთუ ქურციკი, რაჲამს ფრთხილ იყოს და ეკრძალებოდის, შეუპყრობელად აღირჩების სიმახჳლისათჳს თუალთა მისთაჲსა, ამისთჳს მალემხედველ ეწოდების მას და ეგრეთვე სირი, რაჲამს ეკრძალებოდის ფრთითა თჳსითა, უზეშთაეს მახისა მის იქმნების.

ამისთჳს იხილე, ნუუკუე, იპოო შენ პირუტყუთაცა უუგუნურეს და უუდბეს კრძალვისათჳს თავისა თჳსისა, ნუსადა შეჰვარდე საფრჴეთა მათ და მოინადირო ეშმაკისა მიერ შეპყრობილი ნებასა შინა მისსა[2*].

A v 3. „ეკრძალე უკუე თავსა შენსა“, ესე იგი არს, ვითარმედ თავსა ოდენ B v თჳსსა / ეკრძალე და ნუ გარეგანთა მათ საქმეთა, / რამეთუ თავად ჩუენად

---

[1] ეკრძალჱ C. [4] გულისხმა- C. [6] გულისხმა- C. [9] გულისხმის- C. [11] ვითარცა C. წამლეანთა C. [13] საძოვარსა C. [14] ეკრძალჱ C. [16] სახე B. [19] მეყსეულად B. [20] ვპოვოთ C. [21] თუ]თჳთ BC. [26] ეკრძალჱ C. [28] საბრჴეთა C. დაფარულნი C. დარწყუმულ C. [30] საბრჴისაგან C. მახისაგან BC. [32] მალჱმხედველ C. [34] მის — BC. [35] იხილჱ C. იპოვო C. შენ — C. [36] კრძაძლვისათჳ A. შეჰვარდები C. საბრჴეთა C. [37] მოჲნადირო B. ეშმაკთა A. [39] ეკრძალჱ C. ~ თჳსსა ოდენ BC. [39] ეკრძალჱ C.

[1*] იგავ. 6, 5. [2*] II ტიმ. 2, 26.

ითქუმის სული და გონებაჲ, რომლითაცა ხატად ღმრთისა დაბადებულ ვართ.
ხოლო ჩუენნი არიან ჴორცნი და საცნობელნი ესე ჴორციელნი, ხოლო გარე-
განნი საქმენი არიან საჴმარნი და სოფლისა ესე ჴელოვნებანი და სხუანი იგი
საქმენი ამის ცხორებისანი. აწ უკუე სიტყუაჲ ესე / ამას იტყჳს, ვითარმედ: C 482
ნუ ხოლო ჴორცთა ეკრძალები, ნუცა განსუენებასა მათსა ეძიებ, სიმრთელესა
და შუენიერებასა და გულისთქუმათა აღსრულებასა, ნუცა კუალად საჴმართა
და დიდებასა და ძლიერებასა ზედა გიკჳრს, ნუცა სხუაჲ რაჲ წარმავალისა ამის
სოფლისა საქმეთაგანი დიდად შეგირაცხია და მისითა მით ძიებითა ჰეშმა-
რიტსა მას ცხორებასა შენსა უდებ ჰყოფ. არამედ ეკრძალე თავსა შენსა, რო-
მელ არს სული შენი, და იგი შეამკვე და მას ილუწიდი, რაჲთა ყოველივე უკე-
თურებისა მიერ მის ზედა მოწევნული ბიწი განიბანო კრძალულებითა და
ყოველივე ბაყლი ცოდვათაჲ განიწმიდო და ყოვლითავე სიკეთითა სათნოება-
თაჲთა შეამკო და განაბრწყინვო იგი.

გამოიძიე თავი შენი, თუ ვინ / ხარ, გულისჴმა-ყავ თჳსი იგი ბუნებაჲ, რა- B 134
მეთუ მოკუდავ არიან ჴორცნი შენნი, ხოლო სული უკუდავ, და რამეთუ
ორკერძო არს ცხორებაჲ ჩუენი: ერთი ესე ჴორცთაჲ, ადრე წარმავალი, და
მეორჱ იგი სულისაჲ, რომელი გარეშემოუწერელ არს და დაუსრულებელ.

ეკრძალე უკუე თავსა შენსა, ნუ წარმავალთა ამათ, ვითარცა წარუვალ-
თა, შინა დარჩები, ნუცა წარუ/ვალთა, მათ, ვითარცა წარმავალთა, A 78
უგულებელს-ჰყოფ. შეურაცხ-ყვენ ჴორცნი შენნი, რამეთუ მოკუდავ არიან და
წარვლენ. ილუწიდი სულსა, საქმესა მას უკუდავსა. განაგე ყოვლითავე განკრ/- C v
ძალვითა თავი შენი, რაჲთა უწყოდი თითოეულისა ჯეროვნად განყოფაჲ, რაჲ-
თა ჴორცთა მისცემდე საზრდელსა და სამოსელსა, რომელი-იგი უჴმს ბუნებით,
ხოლო სულსა სწავლულებაჲ ღმრთის მოშიშებისაჲ, მოქალაქობაჲ მკჳრცხლი,
მოღუაწებაჲ სათნოებათაჲ, აღმართებაჲ ვნებათაგან. ნუცა განაპოხებ ჴორცთა,
ნუცა ამბოხებასა მას შინა ჴორციელთა საქმეთასა იქცევი, რამეთუ ვინაჲთგან
„გული უთქუამს ჴორცთა სულსა ზედა და სულსა ჴორცთა ზედა და ესენი ურ-
თიერთას წინაალმდგომ არიან“[1*].

/ იხილე, ნუუკუე შესწიო ჴორცთა და ძალი ფრიადი მისცე უდარესსა მას, B v
რამეთუ ვითარცა მიმოქცევასა მას სასწორთასა უკუეთუ ერთი იგი კერძი დაამ-
ძიმო, უეჭუელად მეორესა მას აღასუბუქებ, ეგრეთვე არიან ჴორცნი და სული,
რამეთუ ერთისა მის გარდამატებაჲ მეორისა მის ნაკლულევანებასა ჰყოფს. რა-
მეთუ რაჟამს ჴორცნი განისუენებდენ და სიზრქითა დამძიმებულ იყვნენ, მაშინ
ძალი გონებისაჲ უძლურ და უსუსურ იქმნების, ხოლო რაჟამს სული იშუებდეს
და წურთითა კეთილთა საქმეთაჲთა თჳსისა დიდებისა მიმართ აღმაღლდეს, მა-
შინ მძლავრობაჲ იგი ჴორცთაჲ დაჭნების.

4. ხოლო ესევე სწავლაჲ უძლურთათჳსცა კეთილ არს და მრთელთათჳსცა
სარგებელ, რამეთუ ვითარცა მკურნალნი უძლურთა ამცნებენ კრძალვასა თა- A v
ვისა /თჳ/სისასა და არა უდებყოფაჲ არარაჲსაჲ, რომელიცა განსაკურნებე- C 483

[2] ჩ~ნი B. [6] და 1° — C. [7] რაჲ] რაჲმე C. [9] ცხორებასა C. [10] ყოველი C. [12] ყოვლი-
თა კეთილითა C. [14] გულისხმა- C. [15] შ~ნი B. და — C. [16] ესე] იგი BC. ადრჱ C. [17] მეორე B.
გარეშეუწერელ C. [18] ეკრძალჱ C. [19] დაჰრჩები B დარშჩები C. [20] შენნი—BC. [21] განაგებდ C.
[23] შენი+დაიცევ C. [26] მას — C. [27] ესენი] ესე C. [29] იხილჱ C. მისცჱ C. [30] უკუეთუ]
უკუე B. [32] ერთისაჲ C. [36] მძლავრებაჲ C. [39] არარაჲსა BC.

[1*] გალატ. 5, 17.

ლად მათდა კეთილ იყოს, ეგრეთვე მკურნალსა მას სულთა ჩუენთასა სიტყუასა
B 135 ჰნებავს ცოდვისა მიერ მოუძლურებულისა მის სულისა მცირე/დითა ამით წამ-
ლითა განკურნებაჲ.

ეკრძალე უკუე თავსა შენსა, რაჲთა შემსგავსებულად ცოდვისა შენისა
შეიწყნარო წამალიცა განსაკურნებელი. უკუეთუ დიდ არს და მძიმე ცოდვაჲ
შენი, დიდიცა გიჴმს აღსარებაჲ: ცრემლნი მწარენი, მღჳძარებაჲ ძლიერი,
მარხვაჲ დაუცადებელი. უკუეთუ კულა სუბუქ არს ცოდვაჲ შენი და მცირე,
შეესწორებოდენ მას სინანულიცა ოდენ.

ეკრძალე თავსა შენსა, რაჲთა იცნობდე სიმრთელესაცა სულისასა და
სნეულებასაცა. რამეთუ მრავალთა ფრიადისა მის უკრძალველობისაგან ჰქო-
ნედ დიდნი და უკურნებელნი სენნი და არცა თუ უწყიედ, თუ აქუსცა ყოლად-
ვე სენი. ხოლო სწავლისაგან დიდად სარგებელ ეყოფის მრთელთაცა საქმითა,
რამეთუ ესევე სწავლაჲ უძლურთაცა განჰკურნებს და მრთელთაცა სრულ-
ჰყოფს. რამეთუ თითოეული ჩუენი მოწაფეთა ამათგან სიტყჳსათა ერთისა რაჲ-
სამე საქმისა მსახური არს საქმეთა მათგან, რომელნი-იგი სახარებისაგან ჩუენ-
B v და ბრძანებულ არიან. რამეთუ „დიდსა მას / სახლსა შინა, რომელ არს ესე
ეკლესიაჲ, არა ოქროჲსა ოდენ და ვეცხლისა ჭურჭელნი იპოებიან, არამედ
A 79 ძელისაცა და კეცი/სანიცა“[1*] და ჴელოვნებანიცა მრავალსახენი, რამეთუ არიან
C v „ტაძარსა-შინა / ღმრთისასა, რომელ არს ეკლესიაჲ ღმრთისა ცხოელისაჲ“[2*],
მონადირენი, მოგზაურნი, ხუროთმოძღუარნი, მაშენებელნი, მუშაკნი, მწყემ-
სნი, მოღუაწენი, მჴედარნი. ამათ ყოველთა მოუვალს მცირე ესე სიტყუაჲ, თი-
თოეულსა მოსწრაფებასა საქმესა შინა თჳსსა და სიწმიდესა გონებისასა ასწავ-
ლის:

უკუეთუ მონადირე ხარ წარვლინებული უფლისა მიერ, რომელმან-იგი
თქუა: „აჰა ესერა მე წარვავლენ მრავალთა მონადირეთა, მოინადირნენ იგინი
ყოველსავე მთასა ზედა“[3], ეკრძალე კეთილად, ნუუკუე განგერეს შენ ნადი-
რი იგი, რომელსა ეძიებ, რაჲთა შეიპყრნე უკეთურებისაგან განველურებულ-
ნი იგი და მიჰგუარნე ცხოველსმყოფელსა მას სიტყუასა ჭეშმარიტებისასა.

უკუეთუ მოგზაური ხარ, მსგავსი მისი, რომელი-იგი იტყჳს, ვითარმედ:
B 136 „სლვანი ჩემნი წარ/მართენ“[4*], ეკრძალე თავსა შენსა, რაჲთა არა გარდაიქცე
გზისა მისგან და რაჲთა არა მისდრკე მარჯულ, გინა მარცხლ, გზასა სამეუფოსა
ვიდოდე.

კუალად ხუროჲთმოძღუარი იგი უცთომელად დასდებდინ საფუძველსა
მას სარწმუნოებისასა, რომელ არს იესუ ქრისტე[5*].

მაშენებელი იგი ხედევდინ, თუ ვითარ აღაშენებს: ნუ შეშასა, ნუცა თივა-
სა, ნუცა ლერწამსა, არამედ ოქროსა და ვეცხლსა და ქვათა პატიოსანთა[6*]
აღაგებდინ.

---

2 მის — AC. მით C. 4 ეკრძალჲ C. 5 მძიმჲ C. 6 აღსარებაჲ BC. 7 და — C. მცი-
რჲ C. 9 იცნობდი A. სიმრთელესა C. 12 სენი — C. ეყოფვის B. 14 მათგან C. 15 მსახურ C.
რომელნი C. 16 ესე — C. 17 იპოვებიან C. 18 კეცისანი BC. 19 ცხოველისაჲ BC.
21 მოუეა C. მცირჲ C. 24 მონადირჲ C. 25 მოინადირნენ] და მონადირნენ C. 26 ეკრძალჲ C.
27 შეიპყრნჲ C. 30 წარმიმართენ BC. ეკრძალჲ C. გარდაიქცჲ C. 31 მისდრკჲ C. მარცხ B.
32 ვიდოდჲ C. 34 ქრისტჲ C. 35 ჰხედევდინ C. 37 და აღაგებდინ BC.

1* II ტიმ. 2, 20. 2* I ტიმ. 3,15. 3* იერემ. 16,16. 4* ფსალმ. 118,133. 5* I კორინ.
3,11. 6* I კორინ. 3,12.

უკუეთუ მწყემსი ხარ, / კუალად ეკრძალე, ნუუკუე რაჲმე უდებ-ჰყო სამ- C 484 წყსოთაგანი. ხოლო ესე იგი არს, რაჲთა შეცთომილი იგი მოაქციო, შემუსრვილსა შეუხჳო, უძლური განჰკურნო.

უკუეთუ მუშაკი ხარ, მოუთხარე უნაყოფოსა / მას ლეღუსა და დაუსხ, A v რაჲცა-იგი ექმნების შემწე ნაყოფის გამოღებისა[1*].

უკუეთუ მჴედარი ხარ, იღუაწე[2*] სახარებისათჳს[3*], აღმჴედრდი კეთილითა მით მჴედრობითა[4*] სულთა მათ ზედა უკეთურთა[5*] და ვნებათა ზედა ჴორცთასა, აღიღე ყოველივე საჭურველი სულისაჲ[6*], ნუ შეეთხზნე/ბი საქმეთა სოფლისათა[7*], რაჲთა მჴედართმთავარსა მას სათნო ეყო. B v

უკუეთუ მოღუაწე ხარ, ეკრძალე თავსა შენსა, ნუსადა გარდაჰჴდე რჩულსა მას მოღუაწეთასა, რამეთუ არავინ გჳრგჳნოსან იქმნების, უკუეთუ არა რჩულიერად იღუაწოს[8*]. ჰბაძევდი პავლეს, ვითარ-იგი რბიოდა და იღუწიდა და იბრძოდა[9*].

და შენცა უკუე, ვითარცა კეთილსა მსრბოლსა, განუცხრომელად გაქუნდინ თუალი იგი სულისაჲ, ჰფარევდი საკრძალავთა მათ ასოთა შენთა განყოფასა მას ჴელთასა, თუალნი შენნი წინააღმდგომისა მის მიმართ შენისა იყვენედ სლვასა შინა. წინა მდებარისა მის მიმართ რბიოდე[10*], „ესრეთ რბიოდე, რაჲთა ეწიო“[11*]. ბრძოლასა შინა უხილავთა მათ მბრძოლთა ებრძოდე. ესრეთ ჰნებავს სიტყ/უასა მას ცხორებისასა მარადის ყოფაჲ C v ძენი არა უდებებით, არცა ძილით, არამედ რაჲთა ფრთხილად და მღჳძარედ თავსა თჳსსა ეკრძალებოდი.

ნ. დამაკლებს მე დღჱ ესე მითხრობად სახეთა მათ ქრისტეს სახარებისა შემწეთასა და ძალსა ამის მცნებისასა, ვითარ ყოველთა მიმართ / მომზავებელ B 137 არს და კეთილ.

ეკრძალე თავსა შენსა, ფრთხილ იყავ და გამკითხველ, აწინდელისა მმარჩველ და მომავალისა მის წინაჲსწარ მცნობელ. / ნუ წარჰჴდი აწინდელსა მას A 80 უდებებით და არღა ყოფილთა, ნუუკუე არცა ყოფადთა ესრეთ იგონებ, ვითარმცა ჴელთა გაქუნდა. ანუ არა ბუნებით აქუს-ა სენი ესე ჭაბუკთა? და სისუბუქითა გონებისაჲთა, რომელსა მოელოდიან, ესრეთ ჰგონებედ, ვითარმცა აქუნდა? რამეთუ რაჟამს ოდეს მყუდროებით იყვნენ და მარტოებით, გამოისახიან უცნებანი არაარსნი და სიადვილითა გონებისა მათისაჲთა ყოველგან იქცეოდიან და იწურთიდიან დიდებულებათა ცხორებისათა: სიბერჱ დიდი, შვილმრავლობაჲ, ყოველთა მიერ პატივი და, ვითარცა-იგი ვერსადა დაადგრიან, მერმე უზეშთაესთა საქმეთა მიმართ ამაღლდებოდიან, ვითარმცა მოიგნიან ტაძარნი დიდნი, სავსენი ყოვლითავე საუნჯითა და მოიგიან ქუეყანაჲ, რაჲზომიცა ამაოებ / ამან გონებისა მათისამან გამოისახის და მათმიერნი იგი C 485

---

1 კუალად] კეთილად C. ეკრძალჱ C. სამწყსოთაგანი C. 2 შემუსრვილი შეჳხჳო BC. 5 შემწჱ C. ნაყოფისა C. 6 იღუაწჱ C. ამჴედრდი C. 8 აღიღჱ C. 9 შეეთხზები C. 10 მოღუაწჱ C. შჯულსა C. 12 შჯულიერად C. 14 და — B. 16 შ~ნი B. 17 რბიოდჱ 19 ებრძოდჱ C. 20 ძლით B. 22 მე— BC. დღე B. 25 ეკრძალჱ C. და — A. განმკითხველ BC. 26 წინაჲწარ C. 27 უდბებით C. 28 აქუს C. ~ ესე სენი BC. 32 იქცევოდიან BC. სიბერე B. 34 მერმჱ C. უზეშთა C. ალმაღლდებოდიან C.

1* ლუკა 13,8. 2* II ტიმ. 2, 3. 3* II ტიმ. 1,8. 4* II ტიმ. 1, 18. 5* ეფეს. 6, 12. 6* ეფეს. 6, 13. 7* II ტიმ. 2, 4. 8* II ტიმ. 2, 5. 9* I კორინ. 9, 26. 10* ფილიპ. 3, 13. 11* I კორინ. 9, 24.

B v შემო/სავალნი ამაოებისა ხაუნჯეთა შინა დაიუნჯიან. ამას ყოველსა ზედა შეს-
ძინიან საცხოვარნი, მონათა ურიცხუნი სიმრავლენი, მთავრობანი და წინამ-
ძღურობანი ერთანი, ბრძოლანი, ძლევანი და მეფობაჲ ამაოებითა გონებისა
მათისაჲთა მოიგონიან და ესრეთ იწურთიდიან ამას ყოველსა, ვითარმცალა
ჴელთა აქუნდა. ხოლო ესე საქმე სენი არს მოცალისა და უდბისა სულისაჲ,
რაჲთამცა ხედვიდა სიზმართა, მღჳძარე რაჲ იყვნიან ჴორცნი. და ამას ესევი-
თარსა დაჴსნილობასა გონებისასა და ამაოებისა გულისსიტყუათასა განგუა-
კრძალებს სიტყუაჲ ესე და ვითარცა აღჳრითა დააყენებს დაუდგრომელობასა
მას გონებისასა და იტყჳს, ვითარმედ: თავსა შენსა ეკრძალეო და ნუ არაარსთა
A v მათ საქ/მეთა იწურთი, არამედ რომელთა შინა ხარ, მით კეთილად განაგებდი.
და კუალად სხჳსაცა ვნებისა განსაკურნებელად თქუა რჩულისმდებელ-
მან სიტყუაჲ ესე, რამეთუ ვინაჲთგან ჩუენ ყოველნი მოსწრაფე ვართ სხჳსა
B 138 ცთომათა გამოძევად, ვიდრელა თავ/თა თჳსთასა, ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ:
დასცხეროო მეორისა საქმეთა გამოძევად, ნუ მოაცალებ გონებასა შენსა სხჳსა
ცოდვათა გამოწულილევად, არამედ თჳსსა თავსა ეკრძალე და თჳსთა საქმეთა
ხილვად მოაქციჲ თუალი სულისა შენისაჲ, რამეთუ მრავალნი, ვითარცა უფა-
ლი იტყჳს, წუელსა თუალსა შინა ძმისასა ხედვენ, ხოლო თჳსთა თუალთა
C v დირესა ვერ განიცდიან[1*]. არამედ შენ / ნუ დასცხრები თავისა შენისა გამო-
წულილვად, უკუეთუ მცნებათაებრ ძისა ღმრთისათა წარმართებულ არს ცხო-
რებაჲ შენი და ნუ გარეგანთა მათ გამოეძიებ, რაჲთამცა ჰპოე ბიწი ვისიმე
მსგავსად ფარისეველისა მის, მძიმისა და ამპარტავანისა, რომელი-იგი დგა და
თავსა თჳსსა განამართლებდა და მეზუერესა მას შეურაცხ-ჰყოფდა[2*]. არამედ
თავისა თჳსისა განკითხვად ნუ დასცხრები და გამოძიებად, ნუუკუე მოგონე-
ბით რაჲ სცოდე, ანუ თუ ენისა მიერ დაეცი, ანუ თუ საქმითა ჴელთაჲთა
ჰქმენ უჯეროჲ რაჲმე. და უკუეთუ ჰპოვნე შენ შორის მრავალნი ცოდვანი,
B v (რამეთუ ჰპოვნეცა / უეჭუელად, რამეთუ კაცი ხარ), მაშინ უკუე იტყოდე სი-
ტყუასა მას მეზუერისასა, ვითარმედ: „ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას“[3*].
„ეკრძალე თავსა შენსა“, რამეთუ ესე სიტყუაჲ, უკუეთუ იყო დიდებასა
A 81 შინა და შუებასა, მაშინცა საკმარად წარმო/გიდგეს, ვითარცა განზრახი კეთი-
ლი და მოგაჴსენნეს საქმენი იგი კაცობრივნი და კუალად, უკუეთუ განსაც-
დელთა შინა იჭირვოდი, მაშინცა ნუგეშინისმცემელ გულისა შენისა იქმნეს,
რაჲთა არცა სიმაღლისა მიერ ამპარტავანებად ბოროტად მიიწიო, არცა კუა-
ლად ჭირთა შინა სასოწარკუეთილებისაგან დაჴსნილ იქმნე.
უკუეთუ სიმდიდრითა შემკულ ხარ და მშობელთა დიდებულებასა ზედა
ჰზუაობ და იხარებ მამულსა ზედა და შუენიერებასა ჴორცთასა და ყოველთა
C 486 მიერ / პატიოსნებასა, იხილე თავი შენი, რამეთუ მოკუდავ ხარ, რამეთუ
მიწაჲ ხარ და მიწადვე მიქცევადი[4*]. იხილენ იგინი, რომელნი უწინარეს

---

[1] ამაოებისა C. დაჲუნჯიან B. [4] ვითარმცა A. [5] საქმჱ C. [6] ხედვიდა C. [7] დაჴსნილე-ბასა B. გულისსიტყუათათასა B. [9] ეკრძალე B, ეკრძალჱ C. [10] მით]მათ BC. [11] შჯულისმდე-ბელმან C. [12] მოსწრაფჱ C. [13] გამოძიებად C. [14] დასცხერ C. გამოძიებად C. [15] ეკრძალჱ C. [17] ხედვენ C. [18] გამოწულით C. [19] ძისა]ძი B. [20] და—C. მათ —C. ჰპოვე C. [21] ფარისეველ-ისაჲ C. [24] სცოდო C. [26] კაც BC. იტყოდჱ C. [28] ეკრძალჱ C. უკუეთუ იყო] თუ ჰყო C. [29] შინა] შენსა C. საკმრად C. [32] არცა 1°]არა C. [33] იქმნჱ C. [35] ჰზუავობ C. [36] იხილჱ C. [37] მიწადცა C.

[1*] მათე 7,3. [2*] ლუკა 18,11. [3*] ლუკა 18,13. [4*] დაბად. 3,19.

შენსა ეგევითარსავე დიდებასა შინა იშუებდეს. სადა არიან, რომელთა-იგი
ძლიერებანი ქალაქთანი ეპყრნეს? სადა არიან ძნიად / საბრძოლეელნი იგი ფი- B 139
ლაფოზნი? სადა არიან ბრწყინვალენი იგი მჴედარნი, ერისმთავარნი იგი და
სპასალარნი და მძლავრნი? არა ყოველნივე მტუერ და ზღაპარ არიან-ა?
არა მცირეთა ოდენ ძუალთა შინა დაშთომილ არიან-ა საჴსენებელნი ცხორე-
ბისა მათისანი? შთახედენ საფლავებსა, უკუეთუ შე-ძი-უძლო განყოფად, თუ
ვინ არს მონაჲ, ანუ ვინ არს მეუფჱ? ვინ არს გლახაკი, ანუ ვინ არს მდიდარი?
განყავ, უკუეთუ ძალ-გიც, პყრობილი მეფისაგან და ძლიერი უძლურისაგან
და შუენიერი უშუერისაგან. რამეთუ უკუეთუ ესრეთ ბუნებასა მას კაცობრივ-
სა იჴსენებდე, არა ოდეს აღჰზუავნე, / ხოლო იჴსენებდეცა, უკუეთუ ოდენ A v
თავსა თჳსსა ეკრძალებოდი.

6. კუალად, უკუეთუ დავრდომილ და მდაბალ ხარი შენ, გლახაკი და გლა-
ხაკთაგანი, უსახლო და უქალაქო, ნაკლულევან მდღევრისაგანცა საზრდელი-
სა[1*], სძრწი მძლავრთაჲან, ყოველთაგანვე გეშინის სიგლახაკისათჳს შენისა,
ნუუკუე განიწირავ თავსა შენსა, ნუცა / განაგდებ ყოველსა/ვე სასოებასა კე- C v
თილსა, ვინაჲთგან არარაჲ არს შენ თანა საქმე საშურველი, არამედ აღიყვანე B v
სული შენი კეთილთა მათ მიმართ, რომელნი მოცემულ არიან შენდა ღმრთისა
მიერ და კუალად რომელნი-იგი აღგითქუა მან მოცემად უკუანაჲსკნელ.

პირველად, რამეთუ კაცი ხარ შენ მხოლოჲ ყოველთაგან დაბადებულთა
ჴელითა ღმრთისაჲთა დაბადებული[2*], ანუ არა-მე კმა არს-ა ესე ოდენ უზეშ-
თაესად სიხარულად, უკუეთუ კეთილად ვინ და ჯეროვნად გულისჴმა-ჰყოფდეს
თავადთა მათ ჴელთა მიერ ყოველთა შემოქმედისა ღმრთისათა დაბადებაჲ?

მერმე კუალად ესეცა გულისჴმა-ყავ, რამეთუ ხატად დამბადებელისა
ღმრთისა ქმნილ ხარ და უკუეთუ ჰნებავს, ძალ-გიც ანგელოზთა პატივსა მი-
წთომაჲ კეთილითა მოქალაქობითა და სული გონიერი მოცემულ არს შენდა,
რომლისა მიერ ღმერთსა გულისჴმა-უყოფ დაბადებულთა ბუნებასა, გონებითა
ჰხედავ და მოიმკი სიბრძნისა ნაყოფსა პატიოსანსა. ყოველნივე იძრვისნი
ქუეყანისანი, შინაურნი და ველურნი, და ყოველნივე წყალთა შინა მყოფნი
და რომელნიცა ჰაერთა შინა ფ/რინვენ, მონა და მორჩილ შენდა არიან. B 140

არა შენ მოიპოვენ-ა / ყოველნივე ჴელოვნებანი და აღაშენენ ქალაქნი და A 82
ყოველივე საჴმარი და საშუებელი საქმე მოიპოე? არა უფსკრულნი იგი ზღუა-
თანი სავალ შენდა არიან-ა სიტყჳერობისათჳს შენისა? არა ქუეყანაჲ და ზღუაჲ
ცხორებასა შენსა ჰმონებს-ა? ანუ / არა ჰაერნი და ცაჲ და ვარსკულავთა C 487
მწყობრნი თჳსსა წესსა შენ გიჩუენებენ-ა? რაჲსათჳს უკუე სულმოკლე ხარ,
რამეთუ ცხენნი, ვეცხლითა აღკაზმულნი, შენდა არა არიან-ა? — არამედ აჰა
ესერა მოცემულ არს შენდა მზჱ, რომელი ძლიერითა მით და ადრე სლვითა მი-

---

[2] ფილოსოფოსნი C. [3] მბრწყინვალენი C. ერისმთავარნი] ერისთავნი C. [4] ყოველივე B. [6] შთაიხედენ BC. შეუძლო C. [7] მეუფე B. მეფჱ C. [10] აღზუავნე B, აღჰსზუავნჱ C. უდენ B]— C. [12] მდაბალ] გლახაკ C. [13] უსახლოჲ C. უქალაქოჲ C. ნაკლულევანი C. მდღე-ვარისაგანცა B. [14] მძლავრთაგან] მთავართაგან C. [15] ყოველსა C. [16] საქმჱ C. აღიყვანჱ C. [18] აღუთქუ ABC. [19] შენ — C. [21] გულისხმა- C. [23] მერმჱ C. გულისხმა- C. [24] ღმრთისა+ მიერ C. ქმნულ C. მიწუდომად C. [26] გულისხმა- C. -ჰყოფ BC. დაბადებულთა] დაუბადებელ-სა C. [27] ყოველნი C. [29] და1° — C. [30] და არა BC. [31] საჴმარი] საქმარი C. საქმე] სამე C. მოიპოვე C. [32] არიან AB. [36] მზე B, მზჱჲ C.

[1*] იოვ. 13,8. [2*] დაბად. 2,7.

სითა დღე ყოველ ნათლითა განგაბრწყინებს. არა გქონან ვერცხლისა და ოქ-
როჲსა ბრწყინვალებანი? — არამედ გაქუს მთოვარე, რომელი კეთილად მის-
მიერითა ნათლითა განგანათლებს შენ. არა ჰზი ეტლთა ზედა ოქროცურვე-
ბულთა? — არამედ გქონან ფერჴნი ეტლად შენდა და ბუნებით შენ თანავე
აღმოცენებულ. რაჲსათჳს უკუე ჰნატრი მათ, რომელთა ზრქელი იგი და მძი-
B v მე საუნჯე მოუგიეს და უცხო/ნი ფერჴნი უჴმან სლვად? არა სწევ ცხედარსა
ზედა პილოჲს ძულისასა? — არამედ გაქუს ქუეყანაჲ მრავალთა პილოთა
უპატიოსნესი და კეთილითა და უზრუნველითა ძილითა მას ზედა დაიძინებ.
არა გაქუს სართული ოქრომოლესული? — არამედ გაქუს ცაჲ, რომელი მი-
უთხრობელითა მით ვარსკულავთა შუენიერებითა გფარავს.

და ესე ყოველი კაცობრივი არს, ხოლო რაჲ ვთქუათ უზეშთაესთა მათ-
A v თჳს? — შენთჳს ღმერთი კაც იქმნა[1*]. სულისა წმიდისა მადლი[2*], სიკუ/დილი-
სა დაჴსნაჲ[3*], აღდგომისა სასოებაჲ, საღმრთონი ბრძანებანი, სრულმყო-
ფელნი ცხორებისა შენისანი, მისლვაჲ ღმრთისა მიმართ მცნება/თა მისთა
მიერ[4*], სასუფეველი ცათაჲ განმზადებული[5*], გჳრგჳნნი სიმართლისანი
მზანი[6*] — უკუეთუ შრომანი იგი სათნოებისანი თავს-ისხნე.

7. უკუეთუ კეთილად გულისჴმა-ჰყოფდე, ესე ყოველი და ამისა უმეტესი
ჰპოო თავსა შორის შენსა: და რომელი-იგი გაქუნდეს, კეთილად იჴმიო, და
რომელსა ნაკლულევან იყო, არა სულმოკლე იქმნე მას ზედა. და ყოველსავე
ზედა კრძალვაჲ თავისა შენისაჲ ფრიად სარგებელ გეყოს, რამეთუ გინა თუ
B 141 რისხვაჲ და გულისწყრომისა ვნებაჲ / გეუფლოს შენ და მიგიზიდვიდეს სიტ-
ყუათა მიმართ უჯეროთა და უწესოთა და საქმეთა მიმართ მჴეცობრივთა,
უკუეთუ ეკრძალებოდი თავსა შენსა, დააცხრო გულისწყრომაჲ იგი და დაამ-
დოვრო, ვითარცა კიცჳ, უმწყი და ფიცხელი. რაჲამს-იგი საწერტელითა მით
სიტყჳსაჲთა შეახო მას და ვითარცა საგუემელითა ჰგუემო იგი და დაიმჭირო
ენაჲცა, ხოლო ჴელნი არა მიუტევნე განმარისხებელსა მას ზედა შენსა.

კუალად, უკუეთუ გულისთქუმანი ბოროტნი აღაზრზენდენ სულსა შენსა
და საქმეთა მიმართ ბილწთა მიზიდვიდენ, უკუეთუ ეკრძალებოდი თავსა შენ-
სა და გულისჴმა-ჰყო, ვითარმედ მის ჟამისა იგი გემოჲ სიმწარისა აღსასრუ-
ლად მიწევნად არს და ზრზენაჲ იგი და აღძრვაჲ, რომელი აწ გულისთქუმი-
C 488 საგან ჴორცთა ზედა ჩუენთა მოვალს, / იგი შობს წამლიანსა მას მატლსა,[7*]/
A 83 რომელი-იგი უკუდავად გუტანჯვიდეს ჩუენ გეჰენიასა შინა და ჴურვებაჲ იგი
ჴორცთაჲ დედა იქმნას საუკუნოჲსა მის ცეცხლისა[8*]. უკუეთუ ესე ყოველი
კეთილად გულისჴმა-ჰყო, მეჴსეულად ივლტოდინ შენგან გულისთქუმანი და

---

[1] დღჱ C. ნათლითა — C. განაბრწყინებს A. ოქროჲსა B. [2] მბრწყინეალებანი C. მთოვარჱ C. [5] მძიმჱ საუნჯჱ C. [6] ცხედარსა] სარეცელსა BC. [7] ძუალისასა C. [8] დაჲძინებ B. [16] მზანი — A. უკუეთუ + ოდენ C. შურომანი C. -ისხნჱ C. [17] გულისხმა- C. ამისსა BC. [18] ჰპოვო C. იჴუმიო C. [19] სულმოკლჱ C. იქმნჱ C. ზედა — BC. [22] მჴეცებრივთა BC. [23] დააცხრვო C. დაამდუვრო A, დაამდორვო B. [25] საგურემელითა C. დაიმჭირი A, დაჲმჭირო B. [26] შენსა — A. [28] ბილწებისათა C. ზიდვიდენ BC. [29] გულისხმა- C. [31] ~ჩუენთა ზედა C. წამლეანსა C. [32] იგი — C. [33] საუკუნისა B. [34] გულისხმა- C. მეყსეულად C.

[1*] იოანე 1,14. [2*] ებრ. 2,4. [3*] I კორინ. 15,26; 15,55. [4*] მათე 19,17; 19, 21. [5*] მათე 25,34. [6*] II ტიმ. 4,8. [7*] ესაია 66,24; მარკ. 9,44, 46, 48. [8*] მათე 25,41.

საკვრველი დაწყნარებაჲ და / მყუდროებაჲ იქმნას სულსა შორის შენსა, ვი- B v
თარცა-რაჲ ამბოხებაჲ მკევალთა უწესოთაჲ და არაწმიდათაჲ დაწყნარდის
მოსლვითა დედოფლისა პატიოსნისა და წმიდისაჲთა.

ეკრძალე უკუე თავსა შენსა, რამეთუ ერთი იგი ნაწილი სულისა შენისაჲ სიტყუერი არს და გონიერი, ხოლო მეორე იგი ვნებული და უსიტყუჲ და პირველისაჲ მის არს ბუნებით უფლებაჲ, ხოლო სხუათაჲ მათ — მორჩილებაჲ და რწმუნებაჲ სიტყჳსაჲ. ნუსადა უკუე მიუტეობ გონებასა შენსა წარტყუენვად და დამონებად ვნებათა, ნუცა შეუნდობ ვნებათა ზედა-აღდგომად სიტყჳსა და რაჲთამცა უფლებაჲ იგი სულისაჲ მათ მიიღეს. ხოლო რასა მრავალსა ვიტყოდი? რამეთუ თჳთ თავისა შენისა გულისჴმისყოფაჲ უკუეთუ კეთილად მოიგო, იგი წარგიძღუეს მეცნიერებად ღმრთისა. რამეთუ უკუეთუ ეკრძალებოდი თავსა შენსა, არად საჴმარ იყოს შენდა სხუათა დაბადებულთაგან გულისჴმისყოფაჲ დამბადებელისაჲ, არამედ თავსა შორის შენსა იხილო დიდი იგი დამბადებელისა შენისა სიბრძნე.

/ უჴორცოდ გულისჴმა-ჰყოფდი ღმერთსა შენ შორის / დამკჳდრებულისა B 142
მაგის უჴორცოჲსა სულისა მიერ და გარეშემოუწერელად, რამეთუ შენსაცა C v
გონებასა არა აქუს ბუნებით / ერთსა ადგილსა დადგრომაჲ, არამედ ჴორცთა A v
თანა შეერთებისათჳს იყოფების ერთსა ადგილსა.

და კუალად გულისჴმა-ყავ სული შენი და მის გამო გრწმენინ, ვითარმედ უხილავ არს ღმერთი, რამეთუ სულიცა შენი ჴორციელთა თუალთა მიერ უხილავ არს, რამეთუ არცა ფერი აქუს, არცა სახჱ, არცა ჴორციელსა რასმე სახესა შინა იხილვების, არამედ ძალისაგან ოდენ და საქმეთა მისთაგან იცნობების. ამისთჳსცა ნუცა ღმრთისასა ეძიებ თუალითა ხილვასა, არამედ შინაგან მოაქციე სარწმუნოებაჲ და გონებით გაქუნდინ ხედვაჲ მისი. გიკჳრდინ ჴელოვნებაჲ იგი დამბადებელისაჲ, ვითარ ძალი იგი სულისაჲ შეაერთა ჴორცთა თანა და ყოველთავე კიდეთა მისთა განფენილ არს და მრავალსახედ განყოფილთა მათ ასოთა ერთად ზიარებად მოიყვანებს.

გამოიძიე, თუ რაჲ არს ძალი იგი, რომელი სულისა მიერ ჴორცთა მიეცე-
მის და რაჲ არს წყლულებაჲ იგი, რომელი ჴორცთაგან / სულად მივალს? B v
ვითარ მიიღებენ ჴორცნი სულისაგან ცხორებასა და კუალად მიიღებს სული
ჴორცთაგან წყლულებათა? ანუ თუ რომელნი საუნჯენი ჰქონან სწავლისანი,
რომელ არა დააბნელებს გულისჴმისყოფასა გარდასრულთა მათ საქმეთასა მო-
მავალთა მათ საქმეთა სიმრავლე, არამედ შეურევნელად და განყოფილად
არიან / ჴსენებანი თითოეულისა საქმისანი და, ვითარცა ხატნი, გამოწერილ C 489
არიან თითოეულნი საქმენი გონებასა შინა? და ვითარ, რაჟამს-იგი ვნებათა შინა
ჴორციელთა / უბრკუმეს, მეჴსეულად თჳსსა შუენიერებასა წარსწყმედს, ანუ A 84
ვითარ, რაჟამს კუალად ბიწი იგი უკეთურებისაჲ სათნოებათა მიერ განიბანოს,
მსგავსებად დამბადებელისავე თჳსისა მივალს?

---

[1] შორის] შინა BC. ვითარცა რაჲ] და ვითარცა C. [2] უწესოთა BC. და — A. არაჲწმიდათაჲ B. [5] მეორჱ C. უსიტყჳ C. [6] პირველისა B. სხუათა C. [7] მიუტევებ C. [8] და — A. -აღგომად B. [9] და — C. [10] გულისხმის- C. [11] წარგიძღჳს B. [12] არად] რად C. [13] გულისხმისყოფაჲ C. [14] სიბრძნჱ C. [15] გულისხმა-. C. [17] დადგრომაჲ] დადგომაჲ C. [19] იყოფვის C. [19] გულისხმა- C. გრწმენენ C. [29] წყლულებაჲ] წყალობაჲ B(A-სა და C-ში „წყალობა“ მერმეა გადაკეთებული „წყლულებად“). [31] რომელი C. [32] გულისხმისყოფასა C. [33] სიმრავლჱ C. [34] და—C. [36] მეყსეულად C. [38] მოვალს A.

8. უკუეთუ გნებავს შემდგომად სულისა კუალად ჴორცთაცა შემზადე-
ბულებაჲ, გულისჴმა-ყავ და გიკჳრდინ, ვითარ-იგი შუენიერად სამკჳდრებე-
ლად სიტყჳერისა მის სულისა დაჰბადა იგი კეთილმან მან ჴელოვანმან, რამე-
B 143 თუ ყოველთაგან დაბადებულთა მხოლოჲ მართ/ლ მდგომარედ დაჰბადა კაცი,
რაჲთა თჳთ სახისა თჳსისაგან უწყოდის, ვითარმედ ზეცათაჲსა მის თჳსებისა-
გან არს ცხორებაჲ მისი. რამეთუ ოთხფერჴნი ყოველნივე ქუეყანად ხედვენ
და მუცლისა მიმართ დადრეკილ არიან, ხოლო კაცისა მზა არს ზეცად ახილვაჲ,
რაჲთა არა შეექცეს იგი საქმეთა მუცლისათა, ნუცა ვნებათა მისთა, არამედ
ყოველივე სწრაფაჲ მისი იყოს ზეცად აღსლვისა მიმართ.

და კუალად თავი უზეშთაეს ყოვლისავე დაამტკიცა და მას შინა უმრავ-
ლესთა მათ საცნობელთა პატივნი დასხნა, რამეთუ მუნ არიან სახილველნი და
სასმენელნი და საყნოსელნი და პირი. ყოველნივე მახლობელად ურთიერთას
დამკჳდრებულ არიან და ესრეთ მცირესა მას ადგილსა შინა შეიწრებულ
C v არიან და თითოეული მახლობელისა თჳსისა საქმესა არა ახრწევს: / რამეთუ
თუალნი უზეშთაესსა მას სხუათა ასოთა ადგილსა დამკჳდრებულ არიან, რაჲ-
A v თა / არარაჲ ასოთაგან გუამისათა უზეშთაეს მათსა იყოს, არამედ მცირედ
უქუეს წარბთასა არიან და ესრეთ განმარტებულად ყოველსავე ხედვენ; კუა-
B v ლად სას/მენელნი არა მართლიად განღებულ არიან, არამედ მრავალსახედ
მოქცეულ. არს შესავალი იგი ჴმათაჲ. და ესეცა საქმე არს სიბრძნისა მის
საღმრთოჲსაჲ, რაჲთა ჴმაჲ დაუყენებელად ისმოდის, ანუ თუ უძლიერესადცა
გულარძნილებასა მას შინა მოქცევითა მით, ხოლო სხუაჲ ვერარაჲ შემძლე-
ბელ იყოს გარეგნით შთავრდომად და წინააღდგომად საცნობელისა მის;
გულისჴმა-ყავ კუალად ენისაცა იგი ბუნებაჲ, ვითარ ლბილი არს და ადვი-
ლად მომქცეველი და ყოვლისავე სიტყჳსა მიმართ კმა არს თითოსახედ ქცე-
ვითა მით მისითა; და კუალად კბილნი, ორღანონი ჴმისანი და მტკიცენი შემ-
წენი ენისანი და კუალად მიმღებელნი და განმკუეთელნი საზრდელისანი.

და ესრეთ უკუეთუ ყოველსავე გულისჴმა-ჰყოფდე გულისსიტყჳთა კე-
თილითა—შესლვასა მას ჰაერისასა შინაგან სამშჳნველისა მიერ, დადგრომასა
მას სიმჴურვალისასა გულსა ზედა, ორღანონი იგი მოდნობისანი, ადგილნი იგი
B 144 და სადინელნი სისხლისანი, ამის ყოვლისაგან მიუწთომელი იგი / სიბრძნე
დამბადებელისა შენისაჲ იხილო, რაჲთა შენცა წინაჲსწარმეტყუელისა თანა
სთქუა: ვითარ „საკჳრველ იქმნა ცნობაჲ შენი ჩემ მიერ“[1*]? გულისჴმა-ყავ
უკუე თავი შენი, რაჲთა გულისჴმა-ჰყო ღმერთი, რომლისაჲ არს დიდებაჲ
აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

---

[2] გულისხმა- C. [6] თჳსისაგან] მის თჳსისაგან B, მისგან თჳსისა C. თჳსებისაგან (τῆς συγγενείας)] ღმრთეებისაგან A. [7] აღხილვაჲ C. [19] საქმე B. [20] საღმრთოჲსა C. [21] გოლარძნილებასა A. [22] და—A. წინააღმდგომად C] —A. [23] გულისხმა- C. ლბილ BC. [27] გულისხმა-ჰყოფდე C. [28] დადრგომასა A, ღადგომასა C. [30] მიუწუდომელი C. სიბრძნე C. [32] ვითარ] ვ-თდ A. გულისხმა- C. [33] გულისხმა- C. დიდებაჲ+და სიმტკიცე თანა [მამით და სულით წმიდითურთ C. [34] აწ ABC.

[1*] ფსალმ. 138, 6.

IV. /თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისი მადლობისათჳს A 85 C 125v

1. აჰა ესერა გესმნეს სიტყუანი იგი მოციქულისანი, ვითარ ეტყოდა თესალონიკელთა და რჩულსა მისცემდა ყოვლისავე ცხორებისა მათისათჳს, რამეთუ სწავლაჲ მისი იყო მათდა მიმართ, რომელნი-იგი ჟამითი-ჟამად და ადგილ-ადგილ მივიდოდეს მისა კაცნი. ხოლო სარგებელი სიტყუათა მისთაჲ ყოვლისავე ნათესავისა და ცხორებისა მიმართ კაცთაჲსა მიიწევის. ესრეთ უკუე იყო სიტყუაჲ იგი, ვითარმედ: „მარადის გიხაროდენ, დაუცადებელად ილოცევდით, ყოველსა შინა ჰმადლობდით“[1*]. ხოლო თუ რაჲ არს სიხარული იგი, ანუ მის-მიერი სარგებელი და თუ ვითარ შესაძლებელ არს დაუცადებელისა ლოცვისა წარმართებაჲ და ყოველსა შინა მადლობისა მიცემად ღმრთისა, ძალისაებრ ჩუენისა მცირედ უკუანაჲსკნელ მი/გითხრათ. B v

არამედ აწ კეთილ არს, რაჲთა პირველად ვთქუათ, თუ რასა იტყჳან წინააღმდგომნი იგი, რომელნი შეუძლებელად სახელ-სდებენ მცნებათა მათ მოციქულისათა, რამეთუ იტყჳან, ვითარმედ: რაჲ სათნოებაჲ არს დღე და ღამე მხიარულებით ყოფაჲ და დაუწყნარებელობითა სულისაჲთა? / ანუ ვითარ შე- C 126 საძლებელ იყოს ამისი წარმართებაჲ, ვინაჲთგან ბევრეულნი არიან დღითი-დღედ მოწევნადნი განსაცდელნი და ჭირნი, რომელნი უეჭუელად მოიღებენ მწუხარებასა სულსა ზედა, რომელთა შინა სიხარული და მხიარულებაჲ შეუძლებელ არს, ვითარცა-იგი არა შესაძლებელ არს, თუმცა ვინ იწუებოდა და არა ელმოდა, ანუ მახჳლითა მოიწყლვოდა და არამცა ეტკივნებოდა? / და ნუ- A v უკუე აქა, ჩუენ თანაცა, მდგომარეთაგანი ვინმე სნეულ იყოს ამით სენითა და მიზეზობდეს მიზეზთა ცოდვისათა, რომელი-იგი უდებებისათჳს თჳსისა დამარხვად მცნებათა ამათ ბრალობასა უფროჲსად რჩულისმდებელსა მას ზედა დასდებდეს, ვითარცა შეუძლებელთა საქმეთა მეტყუელსა, და იტყოდის, / B 145 ვითარმედ: ვითარ შეუძლო მარადის სიხარული, ვინაჲთგან მიზეზნი იგი სიხარულისანი არა ჩემსა ჴელმწიფებასა შინა არიან? რამეთუ სიხარულისა მომატყუებელნი საქმენი გარეგან არიან და არა ჩუენ შორის, ესე იგი არს: მეგობართა მოსლვაჲ, მშობელთა თანა ყოფაჲ, მონაგებთა პოვნაჲ, პატივნი კაცთანი, სნეულებისაგან სიმრთელედ მოქცევაჲ / და სხუაჲ იგი ფართოე- C v ბაჲ, ყოველივე სახლი სავსე კეთილითა: მარადის ტაბლაჲ გარდარეული სანუაგეთა, ზიარნი სიხარულისანი, კეთილნი სმენანი და ხილვანი გულისსათქუმელნი, სიმრთელე თჳსთაჲ და სხუაჲ იგი ფართოებაჲ მათი. რამეთუ შემაწუხებელ არიან არა რომელნი-იგი ჩუენ ზედა ოდენ მოიწეოდინ ჭირნი, არამედ რომელნი მეგობართაცა ჩუენთა აწყინებდენ და ნათესავთა აჭირვებდენ. და რაჟამს ესე ყოველი გუაქუნდეს, ამათ მიერ შემოკრბეს სიხარული და მხიარულებაჲ სულსა შინა. და ამას ყოველსა ზედა, რაჲთა ვხედვიდეთ მტერთა დაცემასა, მოძულეთა წარწყმედასა, კეთილისმყოფელთა პატივსა და ესრეთ,

PG, 31, გვ. 217—237.

[1] ბასილისი] ბასილი კესარია-კაბადუკიელ მთავარეპისკოპოსისაჲ C. [2] მადლობისათჳს+თავი ზ C. [4] შჯულსა C. ცხოვრებისა C. [5] და — A. [6] მოვიდოდეს BC. მისსა BC. [14] სახელსსდებენ C. [15] დღჱ AC. ღამჱ C. [16] მხიარულებით] მოხაროლებით B, მოხარულობით C. დაუწყნარებლობითა BC. [18] რომელნი — C. მოიღებენ] მოაწევენ C. [19] სიხარულით და მხიარულებით C. [24] შჯულისმდებელსა C. [25] საქმეთა + სიტყვთა C. [28] არს]არიან C. [31] სავსჱ C. სანოაგითა B, სანოვაგითა C. [33] სიმრთელჱ C. [34] მოიწევოდინ C.

[1*] I თესალ. 5,16 — 18.

B v რაჲამს არცა გუაქუნდეს რაჲ, არცა მოველოდით შემაწუხე / ბელსა და შემაშ-
ფოთებელსა ცხორებისა ჩუენისასა, მაშინ შესაძლებელ არს შემოსლვაჲ სი-
ხარულისაჲ სულსა შინა. ვითარ უკუე მოცემულ არს ჩუენდა ბრძანებაჲ.
A 86 რომელსა არა / ნებისა ჩუენისაგან აქუს წარმართებაჲ, არამედ შეუთქს სხუა-
თა საქმეთა, მომყვანებელთა მისთა? ანუ დაუცხრომელად ვითარ შეუძლო
C 127 ლო/ცვაჲ, ვინაჲთგან ჴორცთა საჴმარნი იძულებით გონებასა თავისა მიმართ
თჳსისა მიიზიდვენ და ორთა ზრუნვათა მიმართ ერთბამად გონებისა განყო-
ფაჲ შეუძლებელ არს?

2. და კუალად ყოველსა შინა მადლობაჲ ბრძანებულ არს. ხოლო ვჰმად-
ლობდე-ა, რაჲამს სატანჯველთა მივეცემოდი, ვიგუემებოდი, ანუ თუ ურმის
თუალსა ზედა დავიკრვოდი? გინა თუ თუალნი დამიბნელდებოდინ და მომე-
კუეთებოდინ ჩემგან? ანუ ვჰმადლობდე-ა, ვიცემებოდი რაჲ და ვიგუემებოდი
მოძულისა მიერ? გინა თუ სიცივითა განვიხრწნებოდი, ანუ სიყმილითა მო-
ვიშთვებოდი? გინა თუ რაჲამს მეყსა შინა უშვილო ვიქმნე, ანუ მეუღლისაგან
B 146 ჩემისა სიკუდილისა მიერ მისისა გა/მოვეჴუა? ანუ თუ ზღუასა შინა დაქცევი-
თა მეყსა შინა ყოვლისაგან სიმდიდრისა ჩემისა დავგლახაკნე? ანუ ავაზაკთა
ჴელსა შთავვარდე? გინა თუ სავსე ვიყო წყლულებითა? ანუ ვიყუედრებოდი
სხუათაგან? ანუ ცილსა მწამებდენ? ანუ პურის მთხოველ ვიყო ფრიადისა მის
C v სიგლახაკისაგან და არა მაქუნ/დეს საყოფელიცა? გინა თუ საპყრობილესა შინა
მკუდრ ვიქმნა?

ამას ყოველსა იტყჳან და ამისა უმრავლესსა და აბრალებენ რჩულის-
მდებელსა მას და ესრეთ შეჰკრებენ სიტყუათა მრავალთა მიზეზად მათისა
მის ცოდვისა და ჰგონებენ, თუ უპოვნიეს ღირსი მიზეზი და მცნებათა მათ
A v შეასმენენ, / ვითარცა შეუძლებელთა.

ხოლო ჩუენი ისმინეთ, თუ რასა ვიტყჳთ ამის ყოვლისა მიმართ, ვითარ-
მედ სხჳსა საქმისა მიმართ იყო ხედვაჲ მოციქულისაჲ და ენება სულთა ჩუენ-
თაჲ ქუეყანისაგან აღმაღლებად და მიყვანებად მოქალაქობასა მას ზეცისასა,
და ამისთჳს თქუა ესე ყოველი. ხოლო რომელნი ვერ მისწუთებოდინ სიმაღ-
ლესა მას გონებისა მის რჩულისმდებელისასა, არამედ მიწასა შინა და ჴორც-
B v თა იქცევიან, ვითარცა მატლნი სიმ/ყრალესა შინა და ძალსა სამოციქულო-
თა მათ სწავლათასა ვნებათა შინა ჴორცთასა ეძიებენ. არამედ იგი მოუწოდს
სიხარულად სამარადისოდ არა ესრეთ ლიტონსა და ვნებითა სავსესა, არამედ
მას, რომელი იყოს, ვითარცა იგი იყო, რომელი არღარა ჴორცითა ცხოველ
C 128 იყოს, არამედ ცხოელად აქუნ/დეს ქრისტე თავსა შორის თჳსსა[1*] და შეერთე-
ბითა მით უზეშთაესისა მის კეთილისაჲთა არღარა შეიწყნარებდეს ჴორცთა
თანა ვნებასა მათ ზედა მოწევნულთა ჭირთათჳს. არამედ დაღაცათუ დაიჭ-
რებოდინ ჴორცნი, შეერთებულისა მის ასოჲსა განკუეთაჲ დარჩებინ ვნებულ-

---

1 არცა 2°] არაცა B. 2 ცხრ˝ბისა C. სიხარულისა C. 4 შეუდგს BC. 10 რაჲამს]ოდეს C. და ვიგუემებოდი C. ორმის B. 12 ვჰმადლობდე B. და — B. 13 ანუ თუ C. მოვიშთებოდი B, მოვიშთობვოდი C. 16 დავგლახაკნეთ C. 17 შთავვარდეთ C. სავსეთ C. 18 მთხოველ BC. მის — A. 20 ვიქმნეთ C. 21 ამისა]ამის B, ამისსა C. შჯულისმდებელსა C. 25 ჩ˝ნ A. 26 ჩუენთა BC. 27 ამაღლებად B. 28 და — C. მისთჳს A. მისწუთებოდეს C. 29 შჯულისმდებელისასა C. 30 ძალ-სა + მას C. 32 ესრე·C. და — C. 34 ცხოველად BC. 35 მით — C. 36 მოწევნილთა B. ჭირ-თა C.

1* გალატ. 2,20.

სა მას ასოსა შინა ჴორცთასა და ჭირვეულისა მის გუამისა მწუხარებაჲ ვერ
შემძლებელ იქმნის საცნაურისა მის და გონიერისა სულისამდე მიწთომად.
რამეთუ უკუეთუ მოგჳკუდინებიან ასონი ჩუენნი ქუეყანასა ზედა სიტყჳსა
მისებრ მოციქულისა[1*] და „სიკუდილი იესუჲსი ჴორცთა შინა ჩუენთა გუტ-
ჳრთავს“[2*], ესე საცნაურ არს, ვითარმედ მკუდარქმნილთა მათ ჴორცთა
წყლულებაჲ განყოფილისა მის ერთობისაგან მისისა სულისა ვერ მიიწინენ
და გინებანი ჴორციელნი და დაჭირვებანი და სიკუდილნი თჳს/თანი ვერ აღ- B 147
ვიდენ გონებისა მიმართ[3*], / ვერცა დაამდაბლონ სიმაღლჱ იგი სულისაჲ ვნე- A 87
ბათა მათ მიმართ ჴორცთასა, რაჲთამცა ევნებოდა მათ თანა.

რამეთუ უკუეთუ ჭირთა შინა შთავრდომილნი იგი მოსწრაფისა მის მსგავს
იყვნენ გონებითა, არა მოართუან მას მწუხარებაჲ, ვინაჲთგან თჳთ იგინი/ცა C v
არა მწუხარებით თავს-იდებენ მოწევნულთა მათ. ხოლო უკუეთუ ჴორციელად
იყოფებოდიან, ესრეთცა ვერ შეაწუხონ იგი, არამედ საწყალობელ იყვნენ წი-
ნაშე მისსა არა ჭირთა მათთათჳს ოდენ, არამედ უფროჲსად ამისთჳს, რამეთუ
არა იციან გამორჩევაჲ უმჯობესისაჲ.

არამედ რასა მრავალსა ვიტყჳ? მოკლედ ვთქუა, ვითარმედ ყოვლითურთ
სული, რომელი ერთგზის შემშჭუალულ იყოს სურვილსა მას დამბადებელისასა
და მისითა მით შუენიერებითა დაჩუეულ იყოს განბრწყინვებად, მან სიხარუ-
ლი იგი თჳსი და მხიარულებაჲ თითოფერითა მით შეცვალებითა ჴორციელთა
ჭირთაჲთა არა შეცვალოს, არამედ საქმენი იგი, სხუათა შემაწუხებელნი, მი-
ზეზად უმეტესისა სიხარულისა ყვნეს, ვითარ იყო მოციქული პავლე. რამეთუ
სათნო უჩნდეს მას / უძლურებანი ჴორცთანი, ჭირნი და დევნულებანი და B v
ტანჯვანი და სიქადულად აქუნდეს ყოველნი იგი ნაკლულევანებანი[4*], ვი-
თარ იყო მარადის შიმშილსა შინა და წყურილსა, სიცივესა და სიშიშულესა,
დევნულებათა შინა და იწროებათა[5*]. საქმეთა ზედა, რომელთა სხუანი სულ-
მოკლე იქმნებიან და სასოებასა ცხორებისა მათისასა განიწირვენ, მათ ზედა
იგი იხა/რებნ, ხოლო რომელნი-იგი უსწავლელ არიან და / არა იციან განგებაჲ C 129
იგი მოციქულისაჲ და ვერცა გულისჴმა-ჰყოფენ, ვითარმედ ცხორებისა მის A v
მიმართ სახარებისა მიგჳწოდს ჩუენ, იგინი იკადრებენ ბრალობად პავლესა,
დიდისა მის და მაღლისა კაცისა, და იტყჳან, ვითარმედ შეუძლებელთა საქმეთა
გუამცნებს.

არამედ ისწავლიდედ ეგევითარნი იგი, ვითარმედ სიხარულისა მის ჯერო-
ანისა მიზეზნი, ვრცელნი და უსიტყუელნი, მოცემულ არიან ჩუენდა უხუად
მომნიჭებელისა ღმრთისა მიერ, პირველად, რამეთუ არაარსისაგან არსად მო-
ვედით და მერმე, რამეთუ ხატად ღმრთისა დავიბადენით, გონებაჲ და სიტ-
ყუაჲ გუაქუს ბუნებისა ჩუენისა სრულმყოფელი, რომლისა მიერ ღმერთი ვი-
ცანთ / და შუენიერებასა მას დაბადებულთასა ჴელოვნად და კეთილად ვხე- B 148

---

[2] საცნაურისა მის] საცნაურთა მიერ B. სულისამდჱ C. მიწდომად C. [3] ჩ~ნი B. [4] ი~ჳსი B. [8] სიმაღლე B. [9] მათ 1°] ამათ C. [12] მოწევნილთა C. [13] წინაშე მისსა] მწჱ მისა C. [14] მათთჳს BC. [15] უმჯობესისა B. [17] შემსჭუალულ B. [18] ჩუეულ C. [20] ჭირთათა B. [21] ვითარი C. პავლჱ C. [25] დევნულებათა შინა — C. იწროებითა C. საქმესა C. [26] ცხრ~ბისა C. განსწირ-ვენ B. [27] არცა BC. განგებაჲ] გუნებაჲ B, გონებაჲ C. [28] გულისხმა- C. ცხრ~ბისა C. [30] ვითარმედ] ვითარ C. შეუძლებელსა საქმესა C. [32] ჯეროვანისა C. [35] გონებაჲ] ბუნებაჲ C.

[1*] კოლას. 3,5. [2*] II კორინ. 4,10. [3*] რომ. 8,13. [4*] II კორინ. 12,9–10. [5*] II კორინ. 11,27.

დავთ და მათ მიერ, ვითარცა წერილისა მიერ, ვიკითხავთ დიდსა მას ყოველთა
ზედა ღმრთისა განგებულებასა და სიბრძნესა. გულისჴმისმყოფელნი ვართ
კეთილისა და ბოროტისანი, გამორჩევაჲ უმჯობესისაჲ და გარე-მიქცევაჲ სავ-
ნებელისაჲ თჳთ ბუნებისაგან ჩუენისა გჳსწავიეს. და ამას ყოველსა ზედა
C v უცხოქმნილ ვიყვენით ღმრთისაგან ცოდვისა მიერ / და კუალად თჳსებად მისა
აღმოვიწოდენით, სისხლითა მით მხოლოდშობილისა ძისა ღმრთისაჲთა უპა-
ტიოჲსა მის მონებისაგან ვიჴსნენით. აღდგომისა სასოებაჲ მოგუეცა და ანგე-
ლოზებრ კეთილთა შინა ყოფისა სასუფეველი ცათაჲ და კეთილნი იგი აღთ-
ქუმულნი ჩუენდა, რომელნი უზეშთაეს არიან ყოველსავე ძალსა გონებისა და
სიტყჳსასა.

8. არა კმა არს-ა ესე ყოველი მიზეზად სიხარულისა დაუცადებელისა და
A 88 მხიარულებისა სამარადისოჲსა? ანუ რომელი-იგი ნაყროვანებით იყოფოდის /
და მღერითა და სარეცელსა ზედა ლბილსა მდებარე იყოს და საქმედ ძილი
B v აქუნდეს, იგი შევჰრაცხოთ-ა / ღირს სიხარულისა?

არამედ მე უფროჲსად ვიტყჳ, ვითარმედ ესევითართა მათთჳს უფროჲსად
გლოვაჲ შუენის ყოველთავე, რომელთაცა გონებაჲ აქუნდეს, და რაჲთა ჰნატ-
რიდენ მათ, რომელნი-იგი სასოებითა საუკუნოჲსა მის ცხორებისაჲთა წარ-
ჰკდიდენ ამის ცხორებისა დღეთა და წარმავალითა ამით ჭირითა საუკუნეთა
მათ და წარუვალთა კეთილთა მოიყიდდენ. რამეთუ დაღაცათუ ცეცხლსა შინა
იყოფებოდინ სიყუარულსა ღმრთისასა შემშჳუალულნი, ვითარცა სამნი იგი
C 130 ყრ / მანი ბაბილონს[1*], ანუ თუ ლომთა თანა შეყენებულ იყვნენ[2*], გინა თუ
ვეშაპისა მიერ შთანთქმულ[3*], ჩუენ მიერცა ჯერ-არს ნეტარებაჲ მათი და
მათცა უჴმს სიხარულსა შინა ყოფაჲ, რაჲთა არა წარმავალთა მათ ჭირთათჳს
წუხდენ, არამედ რაჲთა სასოებითა მით ჩუენთჳს დამარხულთა მათ კეთილთა-
ჲთა იშუებდენ.

რამეთუ რომელი შესრულ იყოს ერთგზის ღუაწლსა მას შინა სათნოები-
სასა მოღუაწჱ იგი კეთილისაჲ და აღძრცჳლ იყოს სარბიელსა მას შინა
ღმრთისმსახურებისასა, უჴმს მას ახოვნად თავს-დებად წყლულებათა მათ
წინააღმდგომთასა სასოებითა დიდებისა მის გჳრგჳნთაჲსა. რამეთუ ქუეყანი-
B 149 სა/ცა საქმესა შინა, რომელნი ჩუეულ იყვნენ რკინობასა და შრომათა მისთა,
არა შეშინდებიან ტკივილისაგან, არამედ მივლენ წინააღმდგომისა მის შეპყრო-
ბად სიხარულით და წამსა ერთსა შრომაჲ გულისთქუმითა მით და სასოებითა
ძლევისა და გჳრგჳნოსნობისაჲთა არარად შეურაცხიეს. ეგრეთვე მოსწრაფესა
A v მონასა ღმრთისასა დაღაცათუ რაჲმე ძნელოვანთა/განი ეპოოს, ვერ დააბნე-
C v ლოს სიხარული მისი, რამეთუ „ჭირმან შვის მოთმინებაჲ და მოთმინებამან /
გამოცდილებაჲ და გამოცდილებამან სასოებაჲ, ხოლო სასოებამან არა არ-
ცხჳნის"[4*]. ამისთჳსცა სხუასა ადგილსა ჭირსა შინა მოთმინებასა და სასოებითა
სიხარულსა იგივე გჳბრძანებს[5*], რამეთუ სასოებაჲ არს, რომელი-იგი სიხა-
რულსა განუქარვებელ ჰყოფს სულისა მისგან მოსწრაფეთაჲსა.

---

[2] გულისხმისმყოფელნი C. [3] გარჱ-მოქცევაჲ C. [5] უცხოქმნულ C. მისსა C. [12] ნაყრო-ენებით BC. [13] მდებარჱ C. [14] ღირსი სიხარულისაჲ BC. [16] გლოაჲ BC. [17] ცხ̃ბისაჲთა C. წარიკდიდენ B. [19] მათ — C. წარუვალთა + მათ B. [20] იყოფოდინ C. [23] მათ — A. [26] ერთ-გზის — B. [27] მოღუაწე B. აღძურცილ BC. [30] შურომათა C. [32] წამისა ერთისა BC. შურო-მაჲ C. [33] გჳრგჳნოსნებისაჲთა C. [34] ძნელოვანთაგან ეპოვის C. [37] სასოებით C. [39] ჰყოფენ C.

[1*] დანიელ 3,21. [2*] დანიელ 14,31. [3*] იონა 2,1. [4*] რომ. 5,3 — 5. [5*] რომ. 12,12.

არამედ კუალად თჳთვე იგი მოციქული ტირილსა გჳბრძანებს მტირალთა
თანა[1*]. და რაჟამს-იგი გალატელთა მიუწერდა, ტიროდა მტერთათჳს ქრის-
ტეს ჯუარისათა[2*]. და რაჲ საკმარ არს თქუმად ტირილისა მისთჳს იერემია
წინაჲსწარმეტყუელისა[3*] და ეზეკიელ გლოვასა მთავართასა* ბრძანებითა
ღმრთისაჲთა[4*]? და მრავალნი ჰპოვნე წმიდათაგანნი, რამეთუ გოდებ-
დეს, / ვითარ ერთი იგი იტყოდა, ვითარმედ: „ვაჲმე, დედაო, ვითარ ვინ მშევ B v
მე?“[5*] და სხუაჲ იტყჳს, ვითარმედ: „ვაჲმე, რამეთუ წარწყმდა განკრძა-
ლული ქუეყანით და წარმმართებელი კაცთა შორის არა არს!“[6*] და
სხუამან თქუა: „ვაჲმე, რამეთუ ვიქმენ, ვითარცა რომელი კრებნ წუელსა
სამკალსა შინა[7*]. არამედ გამოიძიენ ყოვლითურთ წერილთაგან სი-
ტყუანი იგი მართალთანი და უკუეთუ ვინ ჰპოო მათგანი, სიტყჳთა გლოისაჲთა
მეტყუელი, გრწმენინ, / ვითარმედ ყოველნივე ამის სოფლისათჳს და წარმავა- C 131
ლისა ამის და უბადრუკისა ცხორებისათჳს იგლოვდეს, ვითარცა თქუა დავით,
ვითარმედ: „ვაჲმე, რამეთუ განმიგრძა მე მწირობაჲ ჩემი“[8*]. რამეთუ სუროდა
წარსლვაჲ და ქრისტეს თანა ყოფაჲ[9*] და ამის სოფლისა მწირობისა განგრძო-
ბისათჳს, ვითარცა დამახრწეველისა მის სიხარულისაგან, იგლოვდა. / და კუა- A 89
ლად მანვე გალობასა შინა წარმოთქუა გლოვაჲ იგი მეგობრისა მისისა იონა-
თანისთჳს, რომლისა თანა იგლოვდა მტერისა მისისათჳსცა, ვითარ-იგი იტ-
ყოდა, ვითარმედ: „მელმის შენთჳს, ძმაო იონათან“[10*] და: „ასულნო იერუ-
სალემისანო, იგლოვდით საულს ზედა“[11*], რამეთუ მას ჰგოდებდა,
ვითარცა ცოდვასა შინა მომ / კუდარსა, ხოლო იონათანისთჳს, რამეთუ B 150
ყოველთა დღეთა ცხორებისა მისისათა თანამოზიარე მისა ყოფილ იყო ყოველ-
სა შინა. და რაღღა საკმარ არს სხუათა მრავალთათჳს თქუმაჲ? რამეთუ ცრემ-
ლოოდა თჳთ თავადი ლაზარესთჳს[12*] და კუალად ცრემლოოდა იერუსა-
ლემისათჳს[13*] და ჰნატრის მათ, რომელნი იგლოვდენ და ტიროდინ[14*]

4. და ამისთჳს იტყჳან ვიეთნიმე, ვითარმედ: ესე ყოველი ვითარ ეწამების
სიტყუასა მას მოციქულისასა, რომელი თქუა, ვითარმედ: „მარადის გიხარო-
დენ“[15]? რამეთუ / არა ერთისა სახისანი არიან ცრემლნი და სიხარუ- C v
ლი: რამეთუ ცრემლი—ვითარცა წყლულებისა რაჲსაგანმე განიგუმირის სული
და დამდაბლდის უნებელისა მისგან საქმისა და გული შეიწრდის და მის მიერ
იშვის ცრემლი. ხოლო სიხარული არს ვითარცა კრთომაჲ რაჲმე სულისაჲ, რო-
მელი იხარებნ მოწევნულთა მათთჳს გულისსათქუმელთა მისთა. ამისთჳს კორ-
ციელითაცა სახითა განყოფილებაჲ აქუს, რამეთუ მწუხარეთა ფერი ყჳთელ
არნ და განკმელ, ხოლო მოხარულთაჲ — ფეროვან და წითელ და შუენიერ,

---

[3] ჯუარისა C. [4] ეზეკიელისა C. გლოასა B. [5] წმიდათაგანი B. [6] მშვე B. [7] მჲ C. ვითარ-მედ — BC. [9] წუელსა C. [10] წერილთაგან] წერილთა შინა BC. [11] ჰპოეო C. სიტყუათა გლო(ე)ისათა BC. [12] ვითარმედ — C. [14] ჰსუროდა C. [17] წართქუა B. გლოაჲ B. ჲონათანისთჳს B. [18] რ~ლსა B. იგლოვდა + და B. [19] ვითარმედ — A. ჲონათან B. [20] მას] მდ~ს C. გოდებდა C. [21] ჲონათანისთჳს B. [22] თანამოზიარჲ C. მისსა BC. [24] ცრემლოდა B, ცრემლოვოდა C. [27] რ~ლ BC. თქუა] ჰრქუა C. [29] განიგურიმის AB. [30] და დამდაბლდის] დაამდაბლის C. უვნებელისა C. შეიწრდეს C. [32] იხარებენ B, ახარებენ C. [34] არს A. განკმელი A. მოხარულთა BC. ფეროან B.

[1*] რომ. 12,15. [2*] ფილიპ. 3,18. [3*] გოდება I,1,... [4*] ეზეკ. 2,9. [5*] იერემ.15,10. [6*] მიქია 7,2. [7*] მიქია 7,1. [8*] ფსალმ. 119,5. [9*] ფილიპ. 1,23. [10*] II მეფ. 1,26. [11*] II მეფ. 1,24. [12*] იოანე 11,35. [13*] ლუკა 19,41. [14*] ლუკა 6,21. [15*] ფილიპ. 4,4.

* გამორჩენილია სიტყუა „წერდა“ (γράφοντα, PG, 31, გვ. 224).

რაჟამს-იგი, ვითარმცა ჰკრთებინ სული და სიჰამოვნისა მისგან გარეთ კერძო გამოვალნ.

B v ხოლო ჩუენ მათდა მიმართ ვიტყჳთ, ვითარმედ გლოვანიცა და / ცრემლნი
A v წმიდათანი სიყუარულისათჳს ღმრთისა იყვნეს, რამეთუ მარადის / გონებითა ხედვიდეს საყუარელსა მას და მისმიერსა მას სიხარულსა აღაორძინებდეს თავთა მათთა შორის და მათ თანა მონათა მათთათჳს განაგებდეს და იგლოვდეს შეცოდებულთათჳს და დაცემისაგან აღდგინებაჲ მათი ენება ცრემლთა მიერ.

ხოლო ვითარცა რომელნი-იგი კიდესა ზედა ზღჳსასა მდგომარე იყვნიან
C 132 და სწყალობდიან მათ, რომელნი იღელვებოდი/ან მას შინა, ზრუნვითა მით მათისა დანთქმისაჲთა თჳსსა მას მტკიცედ დგომასა არარას ავნებენ, ეგრეთვე რომელნი-იგი ცოდვათათჳს მოყუსისათა წუხდენ, არა თუ თჳსისა მის სულისა სიხარულსა ავნებენ, არამედ უფროჲსად აღაორძინებენ მას და ცრემლთა მათ მიერ, რომელთა დასთხევდენ ძმისათჳს, სიხარულსა მას უფლისასა ღირს იქმნებიან. ამისთჳსცა ნეტარ იყვნენ, რომელნი ტიროდინ და ნეტარ იყვნენ, რომელნი იგლოვდენ, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იყვნენ და იგინი იცინოდინ. ხოლო სიცილად იტყჳს არა ჴმასა მას, რომელი ღაწუთა შინა და პირისა მიერ იქმნების დუღილისაგან სისხლისა, არამედ მხიარულებასა მას, შეურევნელსა ყოვლისაგან მჭმუნვარებისა.

B 151 / და კუალად მოციქული მტირალთა თანა ტირილსა ამისთჳს გჳბრძანებს[1*]. რამეთუ ესევითარი იგი ცრემლი ვითარცა თესლ და სესხება იქმნების საუკუნოჲსა მის სიხარულისა. არამედ შენ ამაღლდი გონებითა და იხილე ანგელოზთა იგი ცხორებაჲ, თუ სხუაჲ არს, რაჲ-ა? გარნა სამარადისოჲ სიხარული და
C v მხიარულებაჲ, რამეთუ ღირსქმნილ არიან წინაშე ღმრთისა დგომასა და /
A 90 აღივსებიან შუენიერებითა მით დიდებისა / დამბადებელისა ჩუენისაჲთა. და მოციქული ესევითარისა მის ცხორებისა მიმართ მიგჳზიდვიდა და ამისთჳს თქუა, ვითარმედ: „მარადის გიხაროდენ".

5. ხოლო ცრემლთა მათთჳს, რომელნი დასთხინა უფალმან ლაზარეს ზედა და კუალად ქალაქსა მას, ამას ვიტყჳ, ვითარმედ ჰამაცა და სუა, არა თუ რამეთუ მას ექმარებოდა იგი, არამედ შენ გიჩუენებდა ჴეროანსა მას და საჭიროსა საჴმარსა და საზღვარსა მისსა. ეგრეთვე უკუე იყო ცრემლიცა იგი, რამეთუ დასთხინა ცრემლნი, რაჲთა ვნებულებაჲ იგი უზომოდ და უჴეროდ მგოდებელთაჲ და გლოისმოყუარეთაჲ განჰმართოს.

რამეთუ ვითარცა სხუაჲ ყოველივე, ეგრეთვე ცრემლი თჳსითა საზომითა ჴერ-არს და თუ რომელსა ზედა საქმესა ვის უჴმს ცრემლი და თუ რაჲზომ
B v და თუ ოდეს და თუ ვითარ ჴერ-არს, რამეთუ ცრემლნი იგი / უფლისანი ამის ყოვლისა მომასწავებელნი იყვნეს და არა თუ ვნებულნი. და ესე საცნაურ არს მისგან, რომელი-იგი თქუა: „ლაზარე, მეგობარმან ჩემმან, დაიძინა, არა-

---

3 გლოანიცა B. 5 ჰხედვიდეს C. სიყუარულსა A. მას — B. 6 მათთჳს C. 8 მდგომარჱ C. 10 თჳსსა] მათსა A. 11 რომელნი B. მის — B. 13 დასთხევენ A, დაჰსთხევდენ C. უფლისასა (τοῦ κυρίου)] ს~ლისასა A. 14 ტიროდიან C. 15 იგლოვდინ B. 16 მჭუნვარებისა B. 20 იგი — C. 21 აღმაღლდი BC. იხილჱ C. ანგელოსთა C. 22 არს რაჲ] რაჲარს C. 24 დიდებითა B. დამბადებელისაჲ B. 28 მას + ზედა C. ვიტყჳთ BC. ჰსუა C. 29 ჴეროვანსა ?BC. 32 გლოვისმოყუარეთაჲ C. 34 თუ1° — AB. 36 მომასწავებელ C. 37 რ~ლ-იგი BC. ლაზარჱ C. ჩ~მან B.

1* რომ. 12,15.

მედ მე წარვალ განღჳძებად მისა“[1*]. ხოლო ვინ არს ჩუენგანი, რომელიმცა
ძილისათჳს მეგობრისა თჳსისა გოდებდა, რომელსა მოელოდის შემდგომად
მცირედისა ჟამისა / განღჳძებად, ვითარ-იგი მან ქმნა, რაჟამს ბრძანა, ვითარ- C 133
მედ: „ლაზარე, გამოედ გარე“[2*]? და მკუდარი განცხოველდა და შეკრული
იგი ვიდოდა. საკჳრველი საკჳრველებასა ზედა: კრულებაჲ ფერჴთაჲ და არა
დაყენებაჲ სლვად, რამეთუ უზეშთაეს იყო განმაძლიერებელი იგი დამაყენე-
ბელისა მის. ვითარ უკუე, რომელსა ეგულებოდა ამის ყოვლისა ქმნაჲ, საქმჱმ-
ცა იგი, ღირსი ცრემლთაჲ, საჯა? გარნა საცნაურ არს, ვითარმედ ყოვლით კერ-
ძოვე უძლურებაჲ ჩუენი იტჳრთა და საზომით / და საზღვარითა საჭირონი იგი A v
საქმენი ბუნებისა ჩუენისანი მიიხუნა და ულმობელობისაგან, ვითარცა მჴე-
ცობრივისაგან საქმისა, შორს იქმნა და კუალად გლოისმოყუარებაჲ და
უზომოდ გლოაჲ, ვითარცა დაუწყნარებელი, გარე-მიაქცია. და ამისთჳს ცრემ-
ლოოდა / მეგობარსა მას ზედა და ზიარებაჲ იგი კაცობრივისა მის ბუნებისაჲ B 152
გამოაჩინა და ჩუენ ორკერძოვე უზომოებისაგან განგუათავისუფლნა და გუა-
სწავა, რაჲთა არცა დავინთქმოდით მწუხარებისაგან, არცა უგულისჴმო ვიყუ-
ნეთ საქმეთა მიმართ მწუხარებისათა.

რამეთუ ვითარცა / თავ-იდვა შიმშილი, გან-რაჲ-ილია სიმტკიცჱ იგი სა- C v
ზრდელისაჲ მის შორის და შეიწყნარა წყურილი, რაჟამს ნოტიობაჲ იგი გუა-
მისაჲ განჴმა[3*] და კუალად დაშურა, რაჟამს-იგი ნაწევარნი და ძარღუნი სლვი-
საგან უმეტესად ზომისა განირთხნეს, ხოლო არა თუ ღმრთეებასა რაჲ შეეხე-
ბოდა შრომისა მისგან, არამედ ბუნებაჲ ჴორცთაჲ შემსგავსებულთა თჳსთა
ჭირთა შეიწყნარებდა. ეგრეთვე ცრემლი შეიწყნარა, რაჲთა ბუნებისა მის ჴორ-
ცთაჲსა საქმჱ აჩუენოს, რომელი-იგი იქმნების, რაჟამს შინაგანი იგი თავისა
ცარიელებაჲ აღივსოს ორთქლთა მათგან მწუხარებისათა და მერმე, ვითარცა
სადინელითა ნესტუთა მათ მიერ თუალთაჲსა, სიმძიმესა მას ესევითარისა მის
ნოტიობისასა წარმო / აცარიელებდეს. ამისთჳსცა ოხრანი რაჲმე და მოქცევ- B v
ნი და სიბნელენი მოულოდინელთაგან მწუხარებათა თავსა შინა იქმნებიან,
რაჟამს შეიწრდებინ თავი ორთქლთა მათგან, რომელთა აღუტეობს სიღრმეთა
გუამისათა / მყოფი იგი მჴურვალებაჲ. და მერმე ვჰგონებ, თუ ვითარცა ღრუ- A 91
ბელი ცუარად, ეგ/რეთვე სიზრქჱ იგი ორთქლისაჲ მის ცრემლად გარდაიქ- C 134
ცევის. ამისთჳსცა სიჰამოვნჱ რაჲმე იქმნების მგლოვარეთაჲ მათ, ტიროდიან
რაჲ, რამეთუ უცნაურად ცრემლთა მიერ სიმძიმჱ იგი თავისაჲ აღსუბუქნების.
ხოლო ჭეშმარიტებასა ამათ სიტყუათასა გამოაცხადებს გამოცდილებაჲ იგი
საქმეთაჲ: რამეთუ მრავალნი გჳხილვან განსაცდელთა შინა მოწევნულთა,
რომელთა ტირილისა დაყენებაჲ თავს-იდვეს, და მერმე რომელნიმე განცო-

---

1 მე — B. მისსა B. 4 ლაზარჱ C. გამოვედ B. გარჱ C. განცხოველდა BC. 7 საქმემცა BC. 8 ღირს ცრემლთა A (თავიდან აქაც „ღირსი ცრემლთაჲ“ ყოფილა, შემდეგ ჩაუსწორებიათ ამგვარად). 9 ზომით C. საზღვრითა C. 10—11 მჴეცებრივისა საქმისაგან BC. გლოვისმოყუარებაჲ C. 12 გლოვაჲ C. გარჱ-მიაქცია C. ცრემლოდა B, ცრემლოვოდა C. 13 მის — AC. 15 უგულისჴმო C. 17 სიმტკიცე B. 18 იგი — C. 19 განჴმის C. 21 შურომისა C. 22 ჴორცთაჲთა B. 23 საქმე B. 24 ცალიერებაჲ C. აღავსოს C. მერმჱ C. 25 სადინელთა A. 26 წარმოაცალიერებდეს C. ამისთჳს C. მოქცევანი C. 27 მოულოდინებელთაგან C. 28 აღუტევობს C. 29 მერმჱ C. 30 სიზრქე B. 31 სიჰამოვნე BC. მგლოვარეთა C. 32 სიმძიმჱ (βαρύνοντος)] სიღრმე B. 35 და — C. მერმჱ C.

1* იოანე 11,11. 2* იოანე 11,43. 3* იოანე 4,6.

ფებად ანუ ასოთა დაჴსნილებად მიიწინეს და რომელნიმე მო-ცა-კუდეს.
რამეთუ ვითარცა ნაშენები უძლური, ეგრეთ სიმძიმისა მისგან მწუხარებისა
მის ძალი მათი შეიმუსრა. რამეთუ ვითარცა ალი თჳსისავე კუამლისაგან მოი-
B 153 შთჳის, რაჟამს / არასადა აქუნ განსავალი კუამლისაჲ, ეგრეთვე, იტყჳან, ვი-
თარმედ იქმნების ძალსა მას ზედა კაცისასა, რომელი იქმს ცხორებასა მისსა,
რამეთუ განიხრწნების და დაშრტების მწუხარებისაგან, რაჟამს არა სადაჲთ
იქმნის განსლვაჲ გარეთ კერძო.
Ⴇ. ნუმცა უკუე მოიღებთ შემწედ და მოწამედ თჳსისა ვნებისა ცრემლ-
C v სა მას უფლისასა, რამეთუ ვითარცა ჭამადი / იგი, რომელი ჭამა უფალმან, არა
არს ჩუენდა მიზეზ ნაყროვანებისა, არამედ უფროჲსად მარხვისა და ზომით
ჭამისა, ეგრეთვე ცრემლნი იგი მისნი არა სახე გლოისა იყვნეს და არცა რჩუ-
ლისდება გოდებისა, არამედ საზომი კეთილი და წესიერი და კანონი რჩეული,
თუ ვითარ ჯერ-არს პატიოსნად და წესიერად, და ვითარცა უჴმს საზღვარსა
A v მას ბუნებისასა შეწყნარებაჲ / საქმეთა მათ შემაწუხებელთა. რამეთუ არცა
დედათა, არცა მამათა ბრძანებულ არს ესრეთ გლოისმოყუარებაჲ და ცრემლ-
მრავლობაჲ, არამედ ოდენ, რაჲთა შემაწუხებელთა მათ საქმეთა ზედა მჭმუნ-
ვარე იქმნენ და მცირედი ცრემლი დასთხიონ და იგიცა მყუდროებით და
B v დაწყნარებულად და არა ოხრით და ჴმამაღლობით / და გოდებით, არცა დაპე-
ბითა სამოსლისაჲთა, ანუ დასხმითა მიწისაჲთა თავსა ზედა, არცა სხჳთა რაჲთ-
მე უჯეროჲთა საქმითა, რომელსა იქმან უსწავლელნი იგი ესევითართა მათ სა-
ქმეთანი. რამეთუ ჯერ-არს მისდა, რომელი-იგი სწავლითა საღმრთოჲთა გან-
წმედილ იყოს, რაჲთა, ვითარცა ზღუდითა მტკიცითა, ესრეთ შეიზღუდოს თავი
C 135 თჳსი მართლითა მით / სიტყჳთა და ახოვნად და მოთმინებით თავს-იდებდეს
ესევითართა მათ შემაწუხებელთა საქმეთა, და არა, ვითარცა სოფელსა, შეუ-
ზღუდეველსა და მდაბალსა ადვილად შეუჴდიან მბრძოლნი, ესრეთ ადვილად
შეიწყნარებდეს სულსა შინა თჳსსა სიმრავლესა მას ვნებათასა.
რამეთუ საქმჱ ესე უძლურისა სულისაჲ არს, რომელსა არცა ერთი ძალი
აქუნდეს სასოებითა ღმრთისაჲთა, რაჲთამცა ესრეთ უწესოდ დაიჴსნა მწუხა-
რებითა, რამეთუ ვითარცა ჭიანი უფროჲსად ბუნებით ლბილთა შეშათა შინა
იშვებიან, ეგრეთვე მწუხარებანი უძლურთა მათ სულთა შინა შევლენ. თუ
B 154 არა, ნუუკუე იობს ადამანტისა ბუნებაჲ და სიმაგრე აქუნდა-ა? ნუ/უკუე გული
მისი და წელნი მისნი ქვისანი იყვნეს-ა? ვითარ-იგი დაეცნეს ათნი შვილნი
A 92 მისნი ერთსა შინა წამსა, / შემუსრვილნი ერთითა წყლულებითა სახლსა მას
შინა სიხარულისა მათისასა, სახლსა მას განსუენებისასა, რაჟამს დაარღჳა მათ
ზედა ეშმაკმან სახლი იგი, მაშინ იხილა მან ტაბლაჲ იგი სისხლითა შვილთა
C v მისთაჲთა შებღალული, იხილნა შვილნი იგი, სხუასა და სხ/უასა ჟამსა შინა
შობილნი და ერთბამად წარსრულნი ამის ცხორებისაგან ერთსა ჟამსა შინა. არა
გოდებდა იგი უწესოდ, არა დაიფხურნა თმანი თჳსნი, არცა თქუა სიტყუაჲ
რაჲმე უჯეროჲ და უძლური, არამედ სანატრელი იგი და ყოველთა მიერ საქე-

---

[1] მიიწიენეს C. [2] რამეთუ — C. ეგრეთვე C. [3] შეჲმოსრა B. [4] იტყ˜ნ A. [6] არაჲ C. [10] ნაყ-როანებისა B, ნაყროენებისა C. [11] გლოჳისა C. შჯულისდება C. [14] საქმეთაჲ BC. [15] დედა-თა + და BC. გლოჲსმოყ˛არებაჲ B. გლოჳისმოყუარებაჲ C. [16] მათ — C. მჭუნვარე B, მჭმუნ-ვარეჱ C. [17] იქმნნენ C. [20] იგი—C. [24] და — B. [27] საქმე BC. [29] უფროჲსად — A. [31] ნუუკუე ანუ უკუე C. ანდამატისა C. აქუნდა A. [36] ~ შინა ჟამსა BC. [38] არ(ცა]არა BC.

ბელი მადლობაჲ შეწირა და თქუა: „უფალმან მომცა, უფალმანვე მომიღო;
ვითარცა უფალსა ენება, ეგრეთცა იქმნა; იყავნ სახელი უფლისაჲ კურთხე-
ულ“[1*]
ნუუკუე უწყალო იყო-ა კაცი იგი? და ვითარ? რომელი-იგი იტყოდა თა-
ვისა თჳსისათჳს, ვითარმედ: „მე ვტიროდი ყოველსა ზედა ჭირვეულსა“[2*], ნუ-
უკუე ტყუოდა ამათ სიტყუათა? არამედ ეწამების მას თავადი იგი ჭეშმარიტე-
ბაჲ, ვითარმედ სხუათა მათ სათნოებათა თანა ჭეშმარიტიცა / იყო, რამეთუ B v
იტყჳს, ვითარმედ: „კაცი უბიწოჲ, მართალი, ღმრთისმოშიში, ჭეშმარიტი და
წმიდაჲ“[3*].
ხოლო შენ, ჵ კაცო, კილოჲთა რაჲთმე იქმ ჴმასა მას გლოისასა და მოზა-
ვებულთა სიტყუათა მიერ, საგლოელად შექმნილთა, განჰლევ სულსა შენსა,
და ვითარცა მომღერალთა აქუს ორღანოები. შემწედ ჴელოვნებისა მათისა,
რომლითა მღერად მივლენ, ეგრეთვე გგონიეს შენცა, თუ მგლოარეთათჳსცა
შუენიერ არს / კილოჲთა ეგე გლოაჲ და სამოსელი შავი და თმათა მოზრდაჲ C 136
და სიბნელე სახლსა მას შინა და მჭმუნვარებაჲ იგი და ნაცრისა თავსა ზედა
დასხმაჲ / და ჴმამაღლობაჲ გოდებისაჲ, რაჲთამცა ესრეთ წყლულებაჲ იგი A v
მწუხარებისაჲ მის მარადის განახლებულად იყო სულსა შინა შენსა.
დაუტევე ესე ყოველი მათ, რომელთა-იგი არა აქუს სასოებაჲ[4*], ხოლო
შენ გისწავიეს ქრისტეს მიერ შესუენებულთათჳს[5*], ვითარმედ: „დაითესვის
ხრწნილებით და აღდგების უხრწნელებით; დაითესვის უძლურებით და აღ-
გების ძალითა; დაითესვის ჴორცი მშჳნვიერი და აღდგების ჴორცი სულიე-
რი“[6*]. რაჲსა უკუე სტირ მისთჳს, რომელი-იგი განსრულ არს ცვალებად / B 155
სამოსლისა მის თჳსისა? ნუცა თავსა შენსა სტირ, ვითარმცა შემწისა ვისგანმე
გამოექც, რამეთუ: „კეთილ არს სასოებაჲ უფლისაჲ, ვიდრე სასოებასა კაც-
თასა“[7*]. ნუცა მისთჳს იგლოვ, ვითარმცა ბოროტი რაჲმე მოწევნულ იყო
მის ზედა, რამეთუ მცირედღა და განალჳძოს იგი საყჳრმან მან ზეცისამან და
იხილო იგი წინაშე საყდარსა ქრისტესსა მდგომარე. დაუტევენ უკუე მდაბალნი
ეგე და უს/წავლელთა ჴმანი, ვითარმედ: ვაჲმე, მოულოდებელთა ამათ ბოროტ- C v
თათჳს! და: ვინმცა მოელოდა ამათ საქმეთა? და: ოდესმცა ვჰგონებდი მე მიწასა
შინა დაფარვად საყუარელისა მის ჩემისა? რამეთუ ამათ ესევითართათჳს, და-
ღაცათუ მეორისაგან გუესმოდის, განვკჳრვებაჲ. გუშუენის, რომელთა-ესე გარ-
დასრულთა მათ ჴსენებისაგან და აწინდელთა ამათ საქმეთა გამოცდილებისაგან
ბუნებისა იგი თანაწარუვალნი საქმენი გჳსწავიან.
7. და უკუეთუ თავთა ჩუენთა სიტყჳთა მით ჭეშმარიტებისაჲთა ვასწავ-
ლიდეთ, არცა უჟამოდ მოწევნამან სიკუდილისამან, / არცა სხუათა რათმე ძნე- A 93
ლოვანთა საქმეთა შეგუაშფოთონ, ვითარ-იგი: აჰა ესერა უკუეთუმცა იყო / B v

---

1 მიმილო C. 2 ქმნა C. და იყავნ C. 4 იყო B. 6 მას]მათ C. 7 თანა]ზედა A. 8 და — B. 10 რაჲთამე B. გლოჲსასა B. 11 საგლოველად C. 12 შემწე B. მათისაჲ AB. 13 მღერად — C. მგლოვარეთათჳსცა C. 14 კილოითა C. გლოვაჲ BC. 15 სიბნელჱ C. მჭუნვარებაჲ B. 16—17 წყლულებაჲ იგი მწუხარებისა მის მარადის] მწუხარებისა ამის წვალებაჲ იგი B (გასწორებულია სხვა ხელით). იყოს C. 21 მშჳვიერი B 22 რასა BC. 23 მის — C. 24 გამოექცა C. 27 B-ში სიტყვა „საყდარსა“ შემდეგაა ჩამატებული. ქეს˜სა B. მდგომარჱ C. უკუე — C. 28 უსწავლელნი C. 30 ამის C. 31 გუში˜ნის B. 35 ძნელოანთა B.

1* იობ 1,21. 2* იობ 30,25. 3* იობ 1,1. 4* I თესალ. 4, 13. 5* გამოცხ. 14,13. 6* I კორინ. 15,42—44. 7* ფსალმ. 117,9.

ჩემდა შვილი, სიჭაბუკესა ოდენ მოწიფებული, მხოლოჲ მკვდრი ცხორებისა ჩემისაჲ, ნუგეშინისსაცემელი სიბერისა ჩემისაჲ, შუენიერებაჲ ნათესავისაჲ, ყუავილი თანამოჰასაკეთაჲ, სიმტკიცე სახლისაჲ,—ჟამსა მას სიკეთისა მისისასა
C 137 ესევითარი იგი, წარტაცებული სიკუდილისა მიერ, წარვიდა და იქმნა მი/წა და მტუერ, რომელი-იგი უწინარეს მცირედისა ტკბილად მეტყუელ იყო და საწადელ სახილველად წინაშე თუალთა მშობელთასა. რაჲ ჴერ-არს უკუე, რაჲთა ვქმნა? დავიპო-ა სამოსელი ჩემი და ვინგორებოდი ქუეყანასა ზედა და ვგოდებდე და უჩუნებდე თავსა ჩემსა მუნ მყოფთა მათ, ვითარცა ყრმასა ვისმე, რომელი იგუემებინ და ღაღადებნ და ბორგნ? ანუ მოვიჴსენო და გულისჴმა-ვყო ბუნებაჲ ესე ჩუენი და ვითარმედ თანაწარუვალ არს სიკუდილისა იგი რჩული და ყოველსავე ჰასაკსა შეეხების და ყოველთა შეერთებულთა განჰყოფს? და არა უცხოდ მივხედნე საქმესა მას, არცა განვცჳბრდე გონებითა, ვითარცა მოულოდებელითა წყლულებითა და-
B 156 ცემული, ვინაჲთგან პირველვე მესწავა, / ვითარმედ ვითარცა მე მოკუდავი ვ-ყავ, ეგრეთვე შვილიცა მოკუდავი მესუა და. ვითარმედ არარაჲ არს კაცობრივთაგანი მტკიცე და უკუნისამდე მომგებელთა მისთა თანა მყოფი? არამედ ქალაქნიცა დიდნი და დიდებულნი, ბრწყინვალებითა მით ნაშენებთაჲთა და ძლიერებითა მუნ მკვდრთაჲთა და სხჳთა მით ფართოებითა სავაჭროთაჲთა გან-
A v შუენებულნი, / მოოჴრდეს და ნაოჴართა მათ შინა ოდენ / არს აწ სასწაული
C v პირველთა მათ დიდებულებათაჲ და კუალად ნავი, მრავალგზის განრომილი ზღჳსაგან და მალეად წარსრული და ბევრეულთა ტჳრთთა მომღებელი. ერთითა ქარისა მობერვითა უჩინო იქმნის და მჴედრობანი, მრავალგზის მძლექმნილნი წინააღმდგომთანი, გარდაიქცის რაჲ მათი იგი დღეკეთილობაჲ. იქმნიან საწყალობელ ხილვადცა და მითხრობადცა და ნათესავნი და ენანი მრავალგზის და ჰალაკნი განძლიერებულნი, რომელთა მრავალნი ძლევანი ექმნეს ზღუასა შინა და მრავალნი ჴმელსა ზედა და ფრიადი სიმდიდრე ნატყუენავისაჲ შე-
B v მოეკრიბა, ანუ ჟამთა სიმრავლესა განიხრწნნეს, ანუ ტყუე იქმნეს და აზ/ნაურებისა წილ მონებაჲ მოიგეს.

და რასა მრავალსა ვიტყჳ? ყოვლითურთ, რომელიცა ბოროტთაგანი სთქუა, ჰპოო სახჱ მისი პირველ ქმნული ცხორებასა ამას შინა. ვითარცა უკუე ყოველსა სიმძიმესა სასწორისა სიმართლითა გულისჴმა-ვჰყოფთ და ოქროჲსა განყოფილებასა ქვასა ზედა დრესითა ვიხილავთ, ეგრეთვე რაჟამს
C 138 ყოველივე საქმე გულისჴ/მა-ვყოთ საზომისა მისებრ, უფლისა მიერ მოცემულისა, და ესრეთ ვიქმოდით, არა ოდეს განვვარდეთ გარეგან წესიერებისა საზღვარსა. რამეთუ რაჟამს მოიწიოს შენ ზედა მოულოდებელთაგანი რაჲმე, ვერ აღგაშფოთოს, უკუეთუ პირველითგანვე გესწავოს გონებისა შენისადა არა-
A 94 შეშფოთებაჲ, და მერმე სასოებითაცა / მერმეთაჲთა აღასუბუქო სრულიად

1 სიჰაბუკისა B. ცხოვრებისა C. 2 ნუგეშინის მცემელი C. შუენიერება A. 3 სიმტკიცჱ C. 5 .მცირედისა + ჟამისა C. მეტყუელი B. 6 სახილველ C. 7 რაჲთა] რაჲ B. 8 და 1°—C. ვგოდებდჱ C. 10 გულისხმა- C. 11 შჯული C. 13 განვცკბრდჱ C. 16 კაცობრივთაგან B. მტკიცჱ C. 17 მბრწყინვალებითა C. 21 მალიად BC. 23 დღჱკეთილობაჲ C. იქმნნიან C. 25 ექმნნეს C. 26 და 1° — A. სიმდიდრჱ C. 27 ტყუჱ იქმნნეს C. 29 ვიტყოდი C. 30 ჰპოვო C. სახე B. ამას] მას B. 31 გულისხმა-ჰყოფთ C. 33 საქმჱ C. გულისხმა- C. საზომისა მისებრ] საზომისა მიერ A, საზომისაებრ C. 34 და — A. 35 საზღერისა B. მოიწა C. 36 პირველითგან C. გესწავოს C. 37 მერმჱ C. აღუსუბუქო C.

სიმძიმე იგი. რამეთუ ვითარცა რომელთანი თუალნი უძლურ იყვნენ, ფრიად
ბრწყინვალეთა საქმეთა არა ჰნებავს მიხედვაჲ, არამედ უფროჲსად ყუავილთა
და მწუანვილთა ხედვითა განუსუენებენ სახედველთა თჳსთა, ეგრეთ უკმს
სულსაცა, რაჲთა არა ზედაჲსზედა შთავარდებოდის მწუხარებათა შინა, არა-
მედ ხედვისა მიმართ საუკუნეთა მათ კეთილთაჲსა აღიყვანებდეს თავსა თჳსსა.
/ ესრეთ უკუე შეუძლო სამარადისოჲსა სიხარულისა წარმართებად, უკუ- B 157
ეთუ ცხორებაჲ შენი მარადის ღმრთისა მიმართ მხედველ იყოს და სასოებაჲ
იგი კეთილთაჲ მათ აღგისუბუქებდეს ყოველსავე მწუხარებასა. იგინე-ა? მი-
ხედენ დიდებასა მას, რომელი მოთმინებისა მიერ განგემზადების. იზღვიე-ა
სოფლისაჲ რაჲმე? არამედ მიხედენ დი/დებასა მას ზეცისასა და საუნჯესა მას, C v
რომელი დაგემარხების კეთილთა მიერ საქმეთა. მამულისაგან შენისა განჰვარ-
დი-ა? არამედ გაქუს მამული, უკუეთუ ისწრაფო მოგებად მისა — იერუსალე-
მი იგი ზეცათაჲ. შვილნი მოგიკუდეს-ა? არამედ იღუაწე და არიან ანგელოზნი,
რომელთა თანა იქცეოდი გარემო საყდარსა მას ღმრთისასა და იხარებდე საუ-
კუნოჲთა მით სიხარულითა. ესრეთ დასდებდი წინააღმდგომად წარმავალთა
მათ ჭირთა კეთილთა მათ, რომელთა მოველით და ამით სახითა დაიცვა სული
შენი უშფოთველად და შეუწუხებელად, რომლისა მიმართ გჳწოდს ჩუენ ბრძა-
ნებაჲ იგი მოციქულისაჲ.

ნუცამცა კეთილნი კაცობრივთა საქმეთანი სიხარულსა უზო/მოსა მო- A v
იღებენ სულსა შინა შენსა, ნუცა მწუხარებანი მათნი მჭმუნვარებითა სიმა-
ღლესა მას მისსა და/ამდაბლებენ. რამეთუ უკუეთუ არა ესრეთ სწავლულ იყო B v
ცხორებისა ამისთჳს და საქმეთათჳს მისთა, ვერ ოდეს იყო უღელვო და უშფო-
თველ. ხოლო ესე ესრეთ წარჰმართო, უკუეთუ მარადის თანამკჳდრად გაქუნ-
დეს მცნებაჲ იგი, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „მარადის გიხაროდენ“, და გარე-
მიაქცე/ვდე მწუხარებასა ჴორციელთა საქმეთათჳს და შემოიკრებდე სიხარუ- C 139
ლსა მას სულისასა და სოფლისა ამის კეთილნი არად შეგერაცხნენ, არამედ
გონებაჲ შენი მარადის საუკუნეთა მათ კეთილთა სასოებასა შინა იყოს, რო-
მელთა ჴსენებაჲ ოდენ კმა არს სულისა სიხარულითა აღვსებად და ანგელო-
ზებრივისა მის შხიარულებისა სულთა შინა ჩუენთა დამკჳდრებად ქრისტე
იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე აწ და
მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

V. / თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი ივლიტა მოწამისათჳს და ნაკლულევანებისათჳს პირველ თქუმულისა მის თავისა და მადლობისათჳსვე C 451

1. კრებაჲ ესე ეკლესიისაჲ არს ქადაგებისა მისთჳს, რომელი წმიდასა
მას მოწამესა ზედა იქმნა, რამეთუ მიგითხრათ თქუენ დღჱ ესე, რომელსა შინა
არს საჴსენე/ბელი დიდისა მის ღუაწლისა მისისაჲ, რომელი-იგი ბუნები- B 158

PG, 31, გვ. 237—261.

[1] სიმძიმჱ C. [2] მბრწყინვალეთა C. უფროჲს C. [3] განუსუენებნ B. ეგრეთ უკმს სულსაცა—C. [4] მწუხარებათა B] + მათ C. [5] ჰხედვისა C. [9] მიხედენ C. [10] სოფლისა C. [11] დაგემარხების C. შენისა—C. [13] ზეცისაჲ C. იღუაწჱ C. ანგელოსნი C. [14] იქცევოდი C. იხარებდჱ C. [20] შინა შენსა] შენსა ზედა A. მჭუნვარებითა B. [22] ცხოვრებისა მისთჳს C. [24] გარჱ-მიაქცევდჱ C. [25] შემოიკრებდჱ C. [26] არად] არარად BC. [27] საუკუნოთა C. [29] შინა—C. ჩუენთა] შენთა C. ქ~ს C. [30] სიმტკიცჱ C + თანა მამით და სულით წმიდითურთ C. [31] ა~ნ ABC. [32] წმიდისა + და ღმერთშემოსილისა C. ჩუენი B. ბასილისი + კესარია-კაბადუკიელ მთავა-რეპისკოპოსისაჲ შესხმაჲ წმიდისა C. მოწამისაჲ C. [33] მის თავისა და მადლობისათჳსვე] თავი ლ~დ გუაკურთხენ მამაო C. [36] მას—C. ზედა] თანა A. მიგითხრა BC. დღე B.

თა მით დედათაჲთა ქმნა ახოენად და განსაკჳრვებელად ყოვლისავე გონებისა, რომელნიცა მაშინ მხედველ იყვნეს მისა და რომელთაცა უკუანაჲსკნელ ესმეს, სანატრელი იგი დედათა შორის ივლიტა. და თუ ჴერცა-არს დედაკაცად [A 95] წოდებაჲ მისი, / რომელმან ძლიერებითა მით და სიმჴნითა გონებისა თჳსისაჲთა უძლურებაჲ იგი დედათა ბუნებისაჲ დაფარა? რომლისაგან უმეტესად იწყლა მტერი იგი ჩუენ ყოველთაჲ, რამეთუ ვერ იტჳრთვიდა ძლევასა მას მისსა [C v] დედათა მიერ, რომელი-იგი დიდად ამპარტავან იყო და იქადოდა/და შეძრვად ყოვლისავე ქუეყანისა და დაპყრობად მისა, ვითარცა ბუდე სირისაჲ და ვითარცა დაშთომილთა კუერცხთა აღებად[1*] და მოოჴრებად ქალაქთა ძლიერთა და ყოვლისავე სოფლისა. ეგევითარი იგი იპოვა სათნოებითა დედაკაცისა და ყრმისა ჩჩჳლისაჲთა ძლეული, რომლისა ჴელ-ყო ჟამსა განსაცდელისასა მხილებად უძლურებისა მის, რამეთუ ჰგონებდა, ვითარმედ ბუნებისა მისგან უძლურისა ვერ უძლოს აღსასრულადმდე სარწმუნოებისა მის მისისა ღმრთისა მიმართ დამარხვად. არამედ გამოცადა რაჲ, პოვა ბუნებისა მის უძლიერეს და ესეზომ მოიკიცხა მის მიერ მისი იგი ამპარტავანებაჲ, რაჲზომ ჰგონებდა იგი მისსა მოკიცხვასა.

[B v] / რამეთუ სამართალი რაჲმე ედვა მას კაცისა ვისმე თანა ძლიერთაგან მის ქალაქისათა, ანგაჰრისა და მძლავრისა, რომელსა მტაცებლობითა მოეგო სიმდიდრე თჳსი, რომელსა მიეხუეჭა ნეტარისა მისგან ქუეყანაჲ ფრიადი და აგარაკნი მისნი და მონანი და საცხოვარნი და სხუაჲ იგი მონაგები მისი და მისრულ იყო სამშჯავროდ, მინდობილი ცრუმოწამეთა მოყვანებასა და ქრთამითა ძლევასა.

ხოლო ვითარცა წარმოდგა დედოფალი იგი და ქადაგი ღაღადებდა და შემწენი იგი მზა იყვნეს და ენება ნეტარსა მას თქუმად მძლავრებისა მისთჳს [C 452] კაცისა მის / და თუ ვითარ მოეგო მას მონაგები იგი პირველითგან / და სიგრ- [A v] ძისა მისთჳს ჟამთაჲსა, რომელთა შინა ეპყრა მას, რომელი დაამტკიცებდა უფლებასა მისსა. და მერმე მძლავრებისა მისისათჳს ენება თქუმად, თუ ვითარ მიიტაცა მისგან იგი ყოველი. მაშინ წარმოდგა მოსაჯული იგი და თქუა, ვითარმედ:

„არა კეთილ არს საშჯელი ესე, რამეთუ არა ჴერ-არს სამართლისა მიღებაჲ ჩუენ თანა, რომელი-ეგე არა ჰმსახურებს ღმერთთა და ბრძანებასა მეფეთასა, არამედ აქუს ქრისტეს სარწმუნოებაჲ“.

ესმა ესე მთავარსა მას და სამართლად შეჰრაცხა სიტყუაჲ იგი. და მეყ- [B 159] სეულად განმზადნეს სატანჯველნი — ცეცხლი და მახჳლი, რაჲთა უკუე/თუ უარყოს მან ქრისტე, მიეცეს მას სამართალი და მონაგები მისი: უკუეთუ კულა დაიმარხოს მან სარწმუნოებაჲ, რაჲთა არა ოდენ სამართალი არა მიეცეს, არამედ არცა თუ ცხორებაჲ, ვითარცა შეურაცხმყოფელსა მეფეთასა.

1 მით—C. 2 მისსა AB. 3 შორის C. 4 თჳსისაჲთა[მისისაჲთა C. 7 იქადდა B. 8 პყრობად C. მისსა C. ბუდჱ C. 9 დაშთომილთა] დაგდებულთა BC. 9—10 ძლიერთა და ყოვლისავე სოფლისა —BC. 10 იპოა B. დედაკაცისა და ყრმისა ჩჩჳლისაჲთა] დედაკაცისაჲთა B. რომელსა C. 13 აღსასრულადმდჱ C. 14 პოა B, იპოვა C. ბუნებისა მის +მიერ უძლურისა C. უძლიერეს] უძლურ C. 15 ანპარტავნებაჲ A. 17 რაჲმე — C. ვისმე თანა] ვისთანამე BC. 19 სიმდიდრჱ C. 20 საცხოარნი B, საცხოვარი C. 21 მინდობით C. 27 მერმე — C. მძლავრობისა B. 33 მეჲსეულად B. 35 უვარყოს C. ქრისტჱ C. 36 დაჲმარხოს B. 37 ცხორებაჲცა BC. შეურაცხისმყოფელსა C.

1* ესაია 10,14.

2. არამედ იხილეთ საქმე მისი! ნუუკუე აცთუნა-ა სიმდიდრემან მან?
ანუ შურისა მისთჳს წინაალმდგომისა მის უმჯობესი შეურაცხ-ყო-ა? ანუ სა-
ტანჯველთა მათგან შეშინდა-ა? ნუ იყოფინ! არამედ ჴმობდა:

„წარჴედინ ცხორებაჲ ესე, წარწყმდინ ყოველივე მონაგები ჩემი, ნუცამცა
ჴორცნი ჩემ/ნი დარჩებიან ჩემ ზედა, ვიდრელამცა ვთქუ რაჲმე სიტყუაჲ C v
უშჯულოჲ დამბადებელისათჳს ჩემისა“.

და რაჲზომცა უმეტესად ხედვიდა მთავრისა მის ამათ სიტყუათა მიერ გან-
მჴეცებასა და უკუანაჲსკნელისა მის რისხვისა მიმართ აღგზებასა, ესეზომ
უფროჲს ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ საჴმართათჳს განხრწნადთა რაჲ ილუ-
წიდა, გამოჩნდა მომგებელად კეთილთა მათ წარუვალთაჲ. / და მიეღებოდა A 96
ქუეყანაჲ, რაჲთამცა მიეცა სამოთხჱ; და გინებასა თავს-იდებდა, მომატყუე-
ბელსა გჳრგჳნისა მის უხრწნელისა; და ჴორცითა იგუემებოდა და ცხორებაჲ
ესე წარმავალი მიეღებოდა / სასოებისათჳს ნეტარებისა მის ზეცათაჲსა და B v
რაჲთა ყოველთა თანა წმიდათა სასუფეველსა ცათასა შევიდეს.

ხოლო ვითარცა-იგი მრავალგზის ჰკითხვიდეს. და იგი მრავალგზის მასვე
მიუგებდა და მჴევლად ქრისტესა თავსა თჳსსა აღიარებდა და შეაჩუენებდა
მათ, რომელნი-იგი უვარისყოფად მიუწოდდეს მას, მაშინ მსაჯულმან
მან ურჩულოებისამან არა თუ მონაგებნი იგი ოდენ, უჯეროებით მოტაცე-
ბულნი, მიუხუნა მას, არამედ თჳთ იგიცა ცეცხლად მისცა და ვითარცა ჰგო-
ნებდა, გამოაჴუა იგი ცხორებისაგან.

ხოლო იგი არასადა ესრეთ შუ/ენიერთა მიმართ ამის სოფლისა საქმე- C 453
თა მისრულ იყო მხიარულებით და სრბით, ვითარ-იგი ალისა მის მიმართ.
პირითა ბრწყინვალითა და სახითა სიხარულისაჲთა და სიტყუათა მათ მიერ,
რომელ იტყოდა, მოასწავებდა სიხარულსა მას სულისასა და ევედრებოდა
დედათა მათ მუნ მდგომარეთა, რაჲთა არა სულმოკლე იქმნებოდინ შრომათა
მათ მიმართ და ღუაწლთა ღმრთისმსახურებისათა და რაჲთა არა უძლურება-
სა მას ბუნებითსა მიზეზობდენ. რამეთუ ეტყოდა, ვითარმედ:

„მისვე ბუნებისაგანნი ვართ ჩუენცა მამათაჲსა, ხატად ღმრთისა დაბა-
დებულ ვართ, ვითარცა იგინი. სათნოებისა შემწყნარე/ბელ არიან დედანიცა B 160
პატივითა, სწორად მამაკაცისა დაბადებულ არიან ღმრთისა მიერ. რამეთუ რაჲ
არს განყოფილებაჲ ჩუენი მათისა მის ბუნებისაგან? რამეთუ არა ჴორცნი ოდენ
მიიხუნა დაბადებად / დედაკაცისა, არამედ ძუალიცა ძუალთაგან მისთა[1*] A v
და ამისთჳს სიმჴნე და სიმტკიცე და მოთმინებაჲ შემსგავსებულად მამათაჲსა
თანა-გუაც“.

ესე თქუა და ცეცხლისა მიმართ მირბიოდა. ხოლო საჴუმილმან მან შეი-
წყნარა გუამი იგი წმიდისაჲ მის, ვითარცა სასძლომან ნათლისამან, და სული
მისი აღავლინა სოფლისა მის მიმართ ზეცათაჲსა და განსუენებისა მის სა-

---

[1] არამედ]აწ C. საქმჱ C. აცთუნა C. [4] წარჴედინ]წარვედინ C. წარწყმდინ] წარვედინ C. ყოველი C. ნუმცა B. [6] უსჯულოჲ B. [7] ჰხედვიდა C. [9] უფროჲსად BC. [12] უხრწნელისასა C. [13] ესე]იგი BC. [15] ვითარცა იგი] იგინი ვითარცა B. მრავალგზის 2° — B. [16] ქრისტესსა C. [17] უარისყოფად B. [18] უშჯულოებისამან C. [20] ცხორებისაგან]ცხოვრებისა მისგან C. [23] მბრწყი-ნვალითა C. [25] სულმოკლჱ C. შურომათა C. [26] მათ—C. [29] სათნოებისა] სასოებისა C. [30] არიან] არს AC. [31] ~ჩუენი განყოფილებაჲ C. მის — A. [33] სიმჴნჱ C. სიმტკიცჱ C. [36] წმიდისა B. [37] სოფლისა (τὴν χώραν)] სუფევისა C.

[1*] დაბად. 2,22.

C v წადელისა. / ხოლო პატიოსანი იგი გუამი უვნებელად დაიცვა, რომელი-იგი
მდებარე არს შუენიერსა მას ეკლესიასა წინაშე ქალაქისასა და წმიდა-ჰყოფს
ადგილსა მას და წმიდა-ჰყოფს მუნ შემავალთა მათ. ხოლო ქუეყანამან მან,
რომელი იკურთხა მუნ დადებითა მის ნეტარისაჲთა; სიღრმეთაგან თჳსთა აღ-
მოუტევა წყალი შუენიერი, რამეთუ მოწამე იგი, ვითარცა დედაჲ სძითა, აწო-
ებს ქალაქსა მას. ესე მრთელთაცა მცველი არს და, რომელნი კეთილად იშუ-
B v ებდენ და ღმრთისმოშიშებით, უმეტესისა შუებისა მიმცემელი და უძლურთა/-
თჳს ნუგეშინისსაცემელ. რამეთუ მადლი იგი, რომელი ელისე იერიქოელთა
მიანიჭა[1*], მოწამემან ამან ჩუენ მოგუმადლა და ბუნებაჲ იგი მის ადგილისა
წყალთაჲ, მარილიანი, სიტკბოებად და სიჰამოვნედ შეცვალა კურთხევითა მით
თჳსითა.

არამედ, ჵ მამანო, ნუ თავს-იდებთ ღმრთისმსახურებასა შინა უდარეს დე-
დათასა ყოფად; დედანო, ნუ გამოეჴუებით სახისა ამისგან, არამედ უმიზეზოდ
დაიმარხეთ კეთილადმორწმუნეობაჲ, ვინაჲთგან საქმით გამოცდილ ხართ ფრი-
A 97 ად, ბუნებისა თქუენისა ნაკლულევანებაჲ / არცა ერთისა მიმართ კეთილთაგა-
ნისა შემძლებელ არს დაყენებად თქუენდა.

C 454 3. ფრიად მენება მოწამისა ამისთჳს თქუმად, არამედ გუშინ ჩუენ მიერ /
დაწყებულმან მან სიტყუამან, რომელი ნაკლულევანად დარჩა, არა მიტევა მრა-
ვალთა სიტყუათა თქუმად ამის დღისათჳს. რამეთუ მძიმე ვარ მე ბუნებით
ყოვლისავე აღუსრულებელისა საქმისა მიმართ, ვითარცა-იგი უშუერ არს
ხატი. ნახევარსა ზედა გამოსახული, და უსარგებლო არს მგზავრთათჳს გზაჲ,
უკუეთუ რომლისა მიმართ წარემართნეს, არა მიიწინენ და ნადირობისა სა-
ქმე, რაჟამს მონადირე იგი ფრიად დაშურის და მიეახლის შეპყრობად ნადი-
B 161 რისა და ვერსად შე/იპყრის, უსარგებლო იქმნის შრომაჲ მისი. და რომელნი-იგი
სარბიელსა შინა რბიოდიან, ერთითა ოდენ ბიჯითა მრავალგზის უკუანა დარ-
ჩიან და გჳრგჳნისა მისგან გამოეჴუნიან. და ჩუენცა უკუე ვაჴსენენით გუშინ
სიტყუანი იგი მოციქულისანი და ვჰგონებდით მოკლეთა სიტყუათა მიერ
თანა-წარსლვად ძალსა მათსა, არამედ ვიპოვენით, ვითარმედ უმეტესი თქუმუ-
ლისაჲ მის არს დატეობილი იგი, ამისთჳს უკუე ჯერ-მიჩნს ნაკლულევანები-
სა მის აღსრულებად.

რამეთუ იტყოდა მოციქული, ვითარმედ: „მარადის გიხაროდენ, დაუცა-
დებელად ილოცევდით, ყოველსა შინა ჰმადლობდით“[2*]. ხოლო მარადის სი-
C v ხარულისათჳს, დაღაცათუ არა ვითარცა ჯერ-არს, არამედ, შემს/გავსებულად
ძალისა ჩუენისა, გჳთქუამს პირველსა მას დღესა. გარნა დაუცადებელისა მის
ლოცვისათჳს და თუ შესაძლებელ არს მცნებისა მის აღსრულებაჲ, თქუენცა,
A v მკითხველ/ნი ეგე, მზა ხართ და მეცა ძალისაებრ ჩემისა მოგიგო და სიტ-
ყჳსა იგი მსახურებაჲ აღვასრულო.

რამეთუ ლოცვაჲ არს თხოვაჲ კეთილისაჲ, რომელსა ჰყოფენ მორწმუნე-
ნი ღმრთისა მიმართ. ხოლო თხოასა მას არა სიტყჳთ ვიტყჳთ, რამეთუ არცა

---

2 მდებარჱ C. 3 მათ—C. 4 მის]მით BC. 6 აწოეებს C. 6 მცეელ B. 9 ნუგეშინისმცემელ C. ელისჱ C. იერიქელთა B. 9 იგი — C. ადგილსა BC. 10 მარილეანი BC. 14 დაჲმარხეთ B. ფრიად] ვ˝დ C. 16 თქუენდა] და თქუენ B. 18 მიტეეებს AC. 19 მძიმჱ C. 22 საქმჱ C. 23 და—C. 24 შურომაჲ C. 25 რბოდიან B. 27 ჰგონებდით C. 28 ვიპოვენით C. თქუმილისაჲ B. 29 დატევებული C. 34 მის — BC. 36 და — C. 39 ჰყოფენ + სიტყჳთ C. 39 თხოვასა C.

1* IV მეფ. 2,21. 2* I თესალ. 5,16 — 18.

თუ ვჰგონებთ / ამას, თუმცა ღმრთისა სიტყჳთა მოჴსენებაჲ უჴმდა, არამედ B v
უწყის მან ყოველივე კეთილი თჳნიერ ჩუენისაცა თხოვისა. რასა
უკუე ვიტყჳ? ანუ რაჲ არს ჩემი სიტყუაჲ? ვითარმედ არა სიტყუათა
მიერ გჳქმს აღსრულებაჲ ლოცვისაჲ, არამედ უფროჲსად გონებითა
სულისაჲთა და საქმეთა მიერ სათნოებისათა, რომლითა შემკულ იყოს
ცხორებაჲ ჩუენი, ვითარცა თქუმულ არს. ვითარმედ: „გინა თუ შჭამ-
დეთ, გინა თუ სუმიდეთ, გინა თუ რასაცა იქმოდით, ყოველსავე დი-
დებად ღმრთისა იქმოდეთ“[1*]. და რაჟამს-იგი შჯდე ტაბლასა ზედა, ილოცევდ,
რაჟამს მიიღებდე პურსა, მომცემელისა მის მადლსა შესწირევდი და კუალად,
რაჟამს ღჳნითა უძლურებასა მას ჴორცთასა ნუგეშინის-სცემდე, მოიჴსენე იგი,
რომელმან მოსცის ღჳნოჲ სახარულად გულისა და ნუგეშინისსაცემელად უძ/- C 455
ლურებისა. ხოლო რაჟამს გარდაჴდეს საჴმარი იგი ჭამისაჲ, ჴსენებაჲ ქველის-
მოქმედისაჲ მის ნუ წარვალნ. რაჟამს კუართსა შეიმოსდე, ჰმადლობდ მომ-
ცემელსა მას, რაჟამს სამოსელსა შთაიცუმიდე, აღაორძინე ღმრთისა მიმართ
სიყუარული, რომელსა-იგი ზამთრისცა და ზაფხულის ჯეროვანნი შესამოსელ-
ნი მოუცემიან, რომელნი ცხორებასა / ჩუენსა იჰყრობენ და უშუერებასა B 162
ჰფარვენ. ხოლო რაჟამს აღესრულოს დღე, ჰმადლობდი მას, რომელსა-იგი
მზჱ მოუნიჭებიეს / საჴმარად საქმეთათჳს დღისათა და კუალად ცეცხლი მოუ- A 98
ცემიეს ღამით მნათობად და სხუათა მიმართ საჴმართა სიმარჯუედ. და კუალად
ღამჱ სხუათამცა მიზეზთა მადლობისათა მოგცემს შენ: რაჟამს აღიხილნე ზეცად
და მიხედნე შუენიერებასა მას ვარსკულავთასა, ილოცევდ მეუფისა მის მიმართ
ყოველთაჲსა და თაყუანის-ეც ჴელოვნად შემოქმედსა მას ყოველთასა ღმერ-
თსა, რომელმან-იგი სიბრძნით დაჰბადა ყოველივე[2*]. და კუალად, რაჟამს იხი-
ლო ბუნებაჲ იგი ყოველივე ცხოელთაჲ, ძილითა შეპყრობილი, თაყუანის-ეც
მას, რომელი-იგი, თჳნიერ ჩუენისა ნებისა, ძილისა მიერ შრომათა მათგან დღი-
სათა განგჳსუენებს და მცირედისა მის განსუენებისა მიერ კუალად ძალისა
ჩუენისა სიმჴნესა მოგჳყვანებს.

4. და ამისთჳს ღამჱ ყოველი/ვე ნუმცა არს ნაწილი ძილისაჲ ოდენ, ნუ- C v
ცა თავს-იდებ, რაჲთამცა უცნობელობითა მით ძილისაჲთა ნახევარი ცხორე-
ბისა შენისაჲ უჴმარ იყო. არამედ განყოფილ იყავნ შენდა ჟამი იგი ღამისაჲ
ძილად და ლოცვად. და თჳთ ძილიცა იგი შენი საწურთელ ღმრთისმსახურე-
ბისამცა არს, / რამეთუ უცნებანი იგი ძილისანი უფროჲსად წურთათაგან B v
დღისათა არიან: რამეთუ ვითარნიცა იყვნენ საქმენი ცხორებისა ჩუენისანი,
ეგევითარნი იქმნიან უმეტესად ძილსაცა შინა სიზმარნი. და უკუეთუ ესრეთ
იყოს ცხორებაჲ შენი, მაშინ ილოცავ დაუცადებელად, რამეთუ არა სიტყჳთ
ოდენ აღასრულებ ლოცვასა, არამედ ყოვლითავე მოქალაქობითა ცხორები-
სა შენისაჲთა შეგიერთებიეს თავი შენი ღმრთისა მიმართ და არს ყოველივე
ცხორებაჲ შენი შეერთებული და დაუცადებელი ლოცვაჲ.

---

[1] ამას] ამით C. ღმრთისა B. უჴმდა] უნდამცა C. [2] თხოჳსა C. [6] სჭამდეთ B. [7] გინა თუ 2°—A. რასაცა] რას B. ყოველსა B. [8] სჯდე B. [10] მოიჴსენჱ C. [11] სიხარულად A. [13] მის—C. შეჲმოსდე B. ჰმადლობდი C. [14] და რაჟამს C. [15] რომელი-იგი B. ჯეროანნი B. [17] აღესრულის B. დღჱ C. ჰმადლობდ C. [18] მზე B. საჴმრად C. [19] მნათობი BC. მარჯუე B, მარჯუჱ C. [20] ღამჱ C. სხუათაცა C. [21] მიჰხედნჱ C. [22] თავყუანის-ეც C. მას — C. [24] ცხოველთაჲ BC. თავყუანის-ეც C. [25] თჳნიერ B. შურომათა C. [28] მისთჳს B. ღამე B. [34] იქმნნიან C. [35] და — B.

[1*] I კორინ. 10,31. [2*] ფსალმ. 103, 24.

A v /ისმინეთ უკუე სხუაჲცა იგი სიტყუაჲ მოციქულისაჲ, ვითარმედ: „ყო-
ველსა შინა ჰმადლობდით“.

თქუას უკუე ვინმე, ვითარმედ: „და ვითარ შეუძლოს ამის საქმისა ქმნად
სულმან, შეპყრობილმან განსაცდელთაგან და ჴირვეულმან, რომელი იწერ-
ტებოდის, ვითარცა საწერტელითა, ჴსენებითა მით შემაწუხებელთა მათ საქ-
C 456 მეთაჲთა? და ვითარ არა გოდებდეს და ტიროდის, არამედ ჰმა/დლობდეს,
ვითარცა კეთილისა რაჲსათჳსმე, ჭეშმარიტთა მათ ბოროტთათჳს? რამეთუ
უკუეთუ რაჲ-იგი მტერმან ჩემმან მწყეოს მე და იგი საქმენი მოიწინენ ჩემ
ზედა, ვითარ შეუძლო მათთჳს მადლობაჲ? რაჟამს-იგი წარიტაცის სიკუდილ-
მან შვილი ჩემი უჟამოდ და სალმობანი, უძჳრესნი პირველთასა, მოიწინიან
B 163 მშობელთა / ზედა საყუარელისა მისთჳს, ვითარ უკუე დაუტეო გლოვაჲ
ამისთჳს და მადლობად ვიწყო?“.

ვითარ? ისმინე და მე გითხრა: უკუეთუ მოიგონო და გულისჴმა-ჰყო,
ვითარმედ შენგან შობილისა მის უმაღლობელესი მამაჲ ღმერთი არს და უბრ-
ძნესი ჴელისამპყრობელი და განმგებელი ცხორებისაჲ. რაჲსათჳს უკუე არა
შეუნდობთ თჳსთა მათ დაბადებულთა განგებად, ვითარცა ჰნებავს ბრძენსა
მას მეუფესა? არამედ გჳმძიმს, ვითარმცა ჩუენსა რასმე მიგჳღებდა და მომ-
კუდართა მათ ვსწყალობთ, ვითარმცა რაჲმე უსამართლოებაჲ მოწევნულ
იყო მათ ზედა. ხოლო შენ ესრეთ გულისჴმა-ყავ, ვითარმედ არა მოკუდა
ყრმაჲ იგი, არამედ მიეცა ღმერთსა, არცა აღსრულებულ არს მეგობარი იგი,
არამედ წარსრულ არს და მცირედ უწრობიეს წინაჲსწარ წარსლვად, რომელ-
სა ზედა ჩუენცა უეჭუელად თანა-გუაც სლვაჲ.

C v იყავნ შენდა მცნებაჲ ღმრთისაჲ თანამკჳდრ, რომელმან მოგცეს ნათე/ლი
A 99 /და გულისჴმისყოფაჲ განყოფად საქმეთა მათ, რომელმან დაიპყრეს შორით-
გან სულისა შენისა ზრახვაჲ და თითოეულისა საქმისა ღირსი და ჭეშმარიტი
გულისჴმისყოფაჲ მოგცეს და განგიმზადოს და არა გიღუოს ერთისაგანცა
B v მოწევნულთა მათ საქმე/თაგანისა შეცვალებად გონებისა შენისა, არამედ
პირველითგან განმზადებულებითა გონებისაჲთა, ვითარცა კლდჱ იყო მახლო-
ბელი ზღჳსაჲ და ზედა-მოსლვათა მათ სასტიკთა ქართა და ღელვათაჲსა შეურ-
ყეველად თავს-იდებდე.

რამეთუ რად არა დაეჩჳე პირველითგანვე, რაჲთამცა მოკუდავისა მისთჳს
მოკუდავებასა განიზრახევდი, არამედ მოულოდებელად შეიწყნარე ყრმისა
მის სიკუდილი? რაჟამს-იგი პირველად მოესწავა შვილისა მის შობაჲ, უკუე-
თუმცა ვინ გკითხა, თუ ვითარი იყოს შობილი იგი, რაჲ-მე-მცა მიუგე? სხუა-
ჲმცა რაჲმე მიუგე, ანუ ესე, ვითარმედ კაცი იყოს? ხოლო უკუეთუ კაცი იყოს,
საცნაურ არს, ვითარმედ მოკუდავიცა იყოს. რაჲ საკჳრველი არს უკუე, მო-
თუ-კუდა მოკუდავი იგი?

---

[6] მათ — B. [8] უკუეთუ — A. მწყეოს B. მოიწიენენ C. [9] რამეთუ რაჟამს-იგი C. [10] ჩემი] ჩუენი C. უძჳრესნი] უუძლურესნი A. პირველთასა] პირველთა მათ BC. მოიწიენიან C. [11] დაუტევო C. გლოვაჲ B. [12] მისთჳს BC. [13] გულისხმა- C. [15] ჴელისაღმპყრობელი C. [17] მეუფესა A. [19] უსამართლოებაჲ C. [20] მათ] მის A. გულისხმა- C. [21] სლვად BC. [22] თანა-გჳც C. [23] განსლვაჲ C. [23] რომელმან] რამეთუ C. [24] გულისხმისყოფაჲ C. [26] გულისხმისყოფაჲ C. გიტევოს C. [27] ამათ C. [28] კლდე BC. [31] რამეთუ + რაჲთა C. [32] ~ განიზრახევდი მოკუდავებასა C. შეიწყნარჱ C. [34] რაჲმცა A. [35] რაჲმე — C. [36] საკჳრველ C. უკუე — C.

არა ხედავ-ა მზესა, ვითარ აღმოვალს და კუალად შთაივსების? არა ხედავ-ა მთოვარესა, ვითარ აღორძნდების და მერმე მოაკლდების? არა ხედავ-ა ქუეყანასა, ვითარ იშუებს და მერმე დაჭნების? რაჲ / არს საქმეთა ჩუენთა- C 45 განი მტკიცე? რომლისა საქმისაჲ არს ბუნებაჲ შეურყეველ და შეუცვალებელ? აღიხილე ზეცად და მოხედე ქუეყანად, რამეთუ არცა ესენი საუკუნე არიან, ვითარცა წე/რილ არს, ვითარმედ: „ცაჲ და / ქუეყანაჲ წარჰჴდენ და ვარსკულავ- B 16 ნი გარდამოცჳვენ ზეცით, მზე დაბნელდეს და მთოვარემან არა გამოსცეს ნა- A v თელი თჳსი“[1*]. რაჲ უკუე საკჳრველ არს, უკუეთუ ჩუენცა, ვინაჲთგან ნაწილნი ვართ სოფლისანი, თანაზიარცა სოფლისა საქმეთა ვიქმნებით?

ამას ყოველსა გულისჴმა-ჰყოფდ და შენ ზედაცა რაჟამს მოიწიოს ნაწილი იგი ზიართაჲ მათ, დაიყვენ თუალნი შენნი და თავს-იდევ არა უტკივნელად და ულმობელად (რამეთუ რაჲმცა მადლი იყო ულმობელობისაჲ?), არამედ ტკივილითა დიდითა და სალმობითა ბევრეულითა. გარნა მოითმინე, ვითარცა ახოვანმან მჴედარმან, რომელ ძალსა და სიმჴნესა თჳსსა არა ცემითა ოდენ წინააღმდგომთაჲთა და მოწყლვითა მათითა გამოაჩინის, არამედ მათმიერთაცა ცემათა და წყლულებათა თავსდებითა, და ვითარცა ჴელოანმან მენავეთმოძღუარმან, ბრძენმან და შეუშფოთველმან, რომელსა გამოცდილებისა მისგან ფრიადისა შეუშფოთველად აქუნ სული თჳსი ჟამსა მას განსაცდელთა და ღელვათა/სა და ზამთრისა მის დიდისა. C v

რამეთუ შვილისა საყუარელისა, ანუ მეუღლისა, ანუ სხუათა ვიეთმე საყუარელთაგან მოწ/ყუედაჲ არარაჲ ბოროტად აღუჩნდეს მას, რომელი პირ- B v ველითგან განმზადებულ იყოს და სიტყუაჲ იგი მართალი აქუნდეს ცხორებისა თჳსისა ზედამხედველად და მთავრად და არა ესრეთ ჴორციელად ოდენ ვიდოდის, რამეთუ ჩუეულებისა განყოფილებაჲ პირუტყუთაცა ძნელად უჩნს. და / მე ვიხილე ოდესმე ზროხაჲ, რამეთუ ცრემლოოდა თანამეუღლისა მისი- A 10 სა სიკუდილისათჳს, და სხუანიცა პირუტყუნი ჩუეულებისა თჳსისა მოწყუედასა მძიმედ თავს-იდებენ. ხოლო შენ არა ესრეთ გისწავიეს, არცა ესრეთ გჳქადაგებიეს შენდა, არამედ დასაბამი სიყუარულისაჲ იქმნის ფრიადისა ერთბამად ყოფისაგან და გრძელთა ჟამთა ჩუეულებისა. და არა შეუმსგავსებელ არს ესე, არცა ბოროტ, ხოლო გოდებაჲ განყოფისათჳს ყოვლითურთ პირუტყუებრ არს.

6. ვითარცა-იგი მეუღლე შეგეყვის შენ, რომელი მომატყუებელ არნ შენდა სიხარულისა, თანაშემწე ცხორებისა, თანამოხარული სიხარულისაჲ და თანამწუხარე მწუხარებისაჲ, ეგევითარი იგი მეყსა შინა / წარტაცებულ იქმნის C 4 სიკუდილისაგან, ნუ უგუნურ იქმნები ვნებითა მით, ნუცა მოიგონებ, თუ გახუგებელად რაჲმე არს საქმეთაგანი, ვითარმცა / განმგებელი სოფლისაჲ B 1 არავინ იყო. ნუცა ბოროტთა მოქმედად სახელ-სდებ უზომოებითა მით მწუ-

1 ჰხედავა C. ჰხედავა C. 2 მთოარესა B. მერმე] კუალად C. ჰხედავა C. 4 მტკიცჱ C. 5 აღიხილენ BC. მოხედენ B, მოჰხედჱ C. 7 მზჱ C. მთოარემან B. მოსცეს B. 8 უკუე — C. 9 სოფლისანი — A. საქმეთა — B. 10 გულისხმა- C. ზედა BC. 11 ზართაჲ C. დაიყვენ]დაიყვნენ B. შნ῀ი B. 14 რომელი BC. 15 გამოაჩინებს C. მათ მიერცა A. 16 ჴელოვანმან C. 17 შეუშფოთებელმან C. რომლისა C. 18 შეუშფოთებელად C. 21 უჩნდეს C. 22 განმზადებული C. 25 ცრემლოვოდა C. 27 გისწავის A. 29 შეუმსგავესებელი B. 30 და არცა C. განყოფილისათჳს A. 32 მეუღლჱ C. 33 თანაშემწჱ C. თანამოხარულ A. 34 თანამწუხარჱ C.

[1*] მათე 24,35; 24,29.

ხარებისაჲთა და ბოროტნი გულისსიტყუანი მოიგონნე, ნუცა განჰვარდები
გარე საზღვართა მათ კეთილადმორწმუნეობისათა. რამეთუ ვინაჲთგან იქმნე-
ნით ორნივე ერთჴორც[1*], ფრიად საზრუნველ არს, რომელი ტკივილით მიიღებ-
დეს განყოფასა მას შეერთებისასა. არამედ ამისთჳს არა ჯერ-არს უჯეროჲსა
რაჲსამე მოგონებაჲ, ანუ თქუმაჲ, რამეთუ გულისჴმა-ყავ, ვითარმედ რომელ-
მან-იგი დაგუბადნა ჩუენ და სულიერ გუყვნა ღმერთმან, თითოეულსა სულსა
A v მისცა თჳსი საქმე, და სხუასა სხუაჲ საზღვარი / ცხორებისაჲ ამის დაუდვა და
სხუასა — სხუაჲ. რამეთუ რომლისაჲმე ფრიად ყოფაჲ ჴორცთა ამათ შინა
განაგო და რომლისაჲმე ადრე განტევებაჲ საკრეელთა ამათგან ჴორცთაჲსა
ბრძანა გამოუთქუმელითა მით თჳსისა სიბრძნისა და სიმართლისა სიტყჳთა. რა-
მეთუ ვითარცა რომელნი საპყრობილეთა შეიყენნიან, რომელნიმე მყოვარ
ჟამ ჭირთა მათ შინა საპყრობილისათა დაჰყოფენ და რომელნიმე ადრე მიერ
C v ჰპოებ/ენ განთავისუფლებასა ჭირისასა, ეგრეთვე სულნი რომელნიმე ფრიად-
B v რე პყრობილ არიან ამას ცხორებასა შინა და რომელნიმე / უმცრო, ღირსები-
საებრ თითოეულისა, ვითარცა-იგი სიბრძნით და ღრმად თითოეულისათჳს
დამბადებელი ჩუენი განაგებს, რომელ ვერ ძალ-უც ბუნებასა კაცობრივსა მი-
წთომად სიღრმესა მას განგებისა მისისასა.

არა გესმის-ა დავითისი, ვითარ იტყჳს, ვითარმედ: „გამოიყვანე საპყრო-
ბილით სული ჩემი“[2*]? არა გესმის-ა წმიდისა მისთჳს, რომლისათჳს წერილ
არს, ვითარმედ: „განტევებულ იქმნა სული მისი?“[3*] და კუალად სჳმეონ,
რაჟამს მიიქუა უფალი ჩუენი, რაჲ თქუა? არა ესრეთ თქუა-ა, ვითარმედ: „აწ
განმიტევე მონაჲ შენი, უფალო“[4*]? რამეთუ რომელი ზეცისა სამკჳდრე-
ბელად მიისწრაფდეს, მისთჳს უმძიმეს ყოვლისავე სატანჯველისა და ყოვლისა-
ვე საპყრობილისა არს ჴორცთა ამათ შინა ყოფაჲ. ნუუკუე ეძიებ, რაჲთამცა
განგებანი იგი სულთანი, ვითარცა შენ განისუენებ და გნებავს, ეგრეთმცა იყვ-
ნეს. არამედ ესრეთ გულისხმა-ჰყოფდ მათ, რომელნი შეეყენნიან ამას სოფელ-
სა და მერმე სიკუდილისა მიერ განიყვნიან, ვითარმედ მსგავს არიან მგზავრთა,
A 101 რომელნი ერთსა გზასა / ვიდოდიედ და ზოგად ყოფითა მით შეეყვნიან ურთი-
B 166 ერთას ჩუეულებითა, რომელთაცა წარ-რაჲ-ვლიან გზაჲ იგი / ზოგადი და მივი-
C 459 დიან განყოფა/სა გზათასა, რომელთა საქმარი იგი საქმისა მათისაჲ განჰყოფნ
თითოეულსა მეორისაგან, არა დასხდიან ჩუეულებისა მისთჳს ზოგად ყოფისა
და უდებ ყვიან წინამდებარე იგი, არამედ მიზეზი იგი, რომლისათჳს პირვე-
ლითგან წარმართებულ იყვნეს, მოიჴსენიან და მიისწრაფიან თითოეული თჳსი-
სა მიმართ საქმისა. ხოლო ვითარცა-იგი მათისა გზისა სლვისა სხუაჲ იყო გუ-
ლისსიტყუაჲ და მოიწია გზასა მას შეერთებაჲ ურთიერთას, ეგრეთვე არიან,
რომელნი შეერთნენ ამას ცხორებასა გინა თუ შვილებითა და მშობელობითა,
ანუ თუ სხჳთა რაჲთმე ამის საწუთროჲსა ზიარებითა. და საცნაურ არს, ვითარ-
მედ თითოეულისა ცხორებისა აღსასრული წინამდებარე იყო და იქმნა შეერ-

2 გარჱ C. 5 გულისხმა- C. 6 თითოეულისა C. 7 საქმჱ C. 8 რომლისამე C. 9 რომლისამე C. მათგან B. 10 სამართლისა C. 11 მყოარ B. 12 ადრჱ C. 13 ჰპოეებენ C. 15 თჳთოეულისათჳს C. 16 მიწდომად C. 17 მისისა C. 18 საპყრობილოჲთ C. 21 თქუაა] თქუა B. 22 განმიტევე + მე C. 25 იგი — C. 26 გულისხმა- C. 27 მერმჱ C. მგზავრთა] მოგზაურთა C. 29 რომელთა B. 30 რო-მელთა— C. 33 და მიისწრაფინ B] — C. 35 შეიერთნენ B, შეიერთნეს C. შვილობითა C. მშობ-ლობითა C. 37 საწუთროესა B. 38 წინამდებარჱ C.

1* დაბად. 2,24; მათე 19,5. 2* ფსალმ. 141,8 3* ტობია 3,6. 4* ლუკა 2,29.

თებაჲ მათი, ხოლო ჟამმან მან აღსასრულისამან, რომელი პირველითგან გან-
ჩინებულ იყო, განყვნა იგინი და განჴსნა ერთობაჲ მათი.
ი. არამედ რომელსა აქუნდეს გონებაჲ კეთილი, არა უგუნურად უცხო
უჩნს და ბოროტ განყოფაჲ იგი, არამედ პირველ/ითგანისა მის შეერთებისათჳს B v
შემაერთებელსა მას ჰმადლობს.

ხოლო შენ, რაჟამს-იგი იყო შენ თანა მეუღლე, გინა თუ შვილი, ანუ მე-
გობარი, გინა რომელიცა, რომლისათჳს აწ იგლოვ, არა ჰმადლობდი მომცე-
მელსა მას, არამედ სწუხდი უმეტესობისათჳს: უკუეთუ მეუღლე / ოდენ არნ C v
შენდა, თუ რად არა შვილნიცა მოგეცნეს და უკუეთუ შვილნი იყვნიან, / თუ Λ v
რად არა ფრიად მდიდარ ხარ, ანუ რად ჰხედავ მტერთა შენთაგანსა ვისმე
კეთილსა შინა. აწ იხილე, ნუუკუე ჩუენ თჳთ მოვაწევთ საყუარელთა მათ
ჩუენგან მიღებასა: რაჟამს იყვნიან რაჲ ჩუენ თანა, არა მადლიერ ვიყვნით
ღმრთისა, ხოლო წარ-რაჲ-იყვანნის, მაშინ ვწუხდით, რამეთუ ვინაჲთგან კე-
თილთათჳს ღმრთისათა, ჩუენდა მოცემულთა, არა ვჰმადლობთ, ამისთჳს სა-
მართლად მიგუეღებიან ჩუენ, რაჲთა ვცნათ, რაჲ-იგი მოცემულ იყო ჩუენ-
და. რამეთუ ვითარცა თუალნი ფრიად მახლობელთა და მათ ზედა მდებარეთა
საქმეთა ვერ ხედვენ, არამედ უჴმს მცირედ რაჲმე სიშორჱ, ეგრეთ არიან სულ-
ნი იგი უმადლოთანი, რამეთუ რაჟამს უცხო იქმნიან მოცემულისა / მისგან კე- B 167
თილისა, შემდგომად წარსლვისა მისისა გულისჴმა-ყვიან მადლი იგი; რამეთუ
რაჟამს აქუნდა მათ იგი ჴელთა შინა, მომცემელისა მის არცა ერთსა მადლსა
შესწირვიდეს და შემდგომად მისგან გამოჴუებისა გარდასრულსა მას ჰნატრი-
დიან.

არამედ არცა ერთი ჩუენგანი არს, რომელსამცა ვერ ეძლო მადლობად
ღმრთისა მოწევნისათჳს განსაცდელთაჲსა, უკუეთუ ოდენ ენებოს გონებითა
მართლითა გულის/ჴმისყოფად საქმეთა მათ. რამეთუ მრავალნი საქმენი ჰქო- C 460
ნან ცხორებასა თითოეულისასა და არა უნდონი, რომლითა ჰმადლობდეს
ღმერთსა. უკუეთუ ვინებოთ უდარესთა მიმართ ხედვად და ესრეთ, რაჟამს
ჩუენსა უმეტესად ჭირვეულთა ვჰპოებდეთ, გულისჴმა-ვყოთ, თუ ვითარსა კე-
თილსა შინა ვართ. რამეთუ უკუეთუ მონაჲ ხარ და არს სხუაჲ უდარესი შენ-
სა, ჰმადლობდი, რომელ / ერთსაცა უზეშთაეს ხარ, რამეთუ არა ყოველთა A 102
უდარეს ხარ და მარადის წყლულებანი მოიწევიან შენ ზედა. და კუალად რო-
მელი ყოველთა უდარეს იყოს და გუემათა თავს-იდებდეს, ჰმადლობდინ იგი-
ცა, რამეთუ არა შეკრულ არს საპყრობილესა შინა, არცა ფერჴნი მისნი არიან
ჴუნდსა შინა. კუალად რომელი / საპყრობილესა და საკრველთა შინა იყოს, B v
არცა მას დააკლდენ მადლობისა მიზეზნი, რამეთუ აქუს ცხორებაჲ ესე, რო-
მელი კმა ეყოფის სამადლობელად: მზესა იხილავს, ჰაერსა მიიღებს, ამას ზედა
ჰმადლობდინ. კუალად უკუეთუ იტანჯებოდი უსამართლოდ, სასოებითა მით
მერმეთა კეთილთაჲთა გიხაროდენ, უკუეთუ კულა სამართლად იტანჯები, ეგ-
რეთცა ჰმადლობდი ღმერთსა, რამეთუ ცოდვათა მათ საშჯელსა აქავე მი-
იღებ და არა დამარხულ / ხარ ყოველთათჳს ცოდვათა შენთა საუკუნოჲსა საშ- C v

---

[2] ღაჴსნა C. [4] უჩნ B. [6] იყოს C. მეუღლჱ C. [8] მეუღლჱ C. [10] ხედავ B. [11] იხი-
ლჱ C. [12] მადრიელ A. [16] მიგჳღებია C. [17] ჰხედვენ C. სიშორე B. [18] უმადლონი B. რამე-
თუ —C. იქმნნიან C. [19] გულისხმა- C. [24] განსაცდელისა BC. [25] გულისხმის- C. [28] ვჰპოვებ-
დეთ C. გულისხმა- C. [30] ერთისაცა B. [31] და 2°—BC. [34] საკრველსა BC. [35] ცხოვრებაჲ C.
[36] ეყოფვის BC. [37] ჰმადლობდენ B. [38] მერმეთა + მათ C.

ჯელისათჳს. და ამით ესევითარითა სახითა ჯერ-არს ყოველთა ზედა საქმეთა ამის ცხორებისათა მადლობაჲ დიდად ღმრთისაჲ სახიერებისათჳს მისისა.

ხოლო აწ მრავალნი არიან უმადლო და მოცემულსა მას შეურაცხ-ჰყოფენ. და რომელი-იგი არა აქუს, მას ინატრიან, რამეთუ არა აღჰრიცხუვენ უდარესთა მათთა, რაჲთამცა ესრეთ ჰმადლობდეს ქველისმოქმედსა მას მოცემულთა მათთჳს, არამედ უმაღლესთა მათთა ხედვენ და იგონებენ ნაკლულევანებასა მას მათსა, ვითარმცა მათი ვის წარეღო.

B 168 ესრეთ მწუხარე / არიან სხუათა მონაგებისათჳს და დიდებისა და ესრეთ უმადლო არიან და მაბრალობელ: მონაჲ მწუხარე არნ, რამეთუ არა აზნაური A v არს; რომელი / -იგი თავისუფლებით აღზრდილ იყოს — თუ რად არა მდიდართა მშობელთაგანი არს, რამეთუ არა ჰქონან, თუმცა თუალვიდა ვიდრე შუდ პაპადმდე, რომელთა ერისთვობათამცა შინა გარდაეჴადნეს დღენი თჳსნი და დიდებულებათა; კუალად რომელი საჩინოთა მშობელთაგანი არს, წუხს, რამეთუ არა სიმდიდრითა ფრიადითა სავსე არს; მდიდარი წუხს, რამეთუ არა C 461 ქალაქთა და წარმართთა უფალი არს; / ერისთავი — რამეთუ არა მეფჱ არს; მეფჱ უმადლო არს, რამეთუ არა ყოველივე ქუეყანაჲ უპყრიეს, არამედ არიან სადმე წარმართნი, რომელნი ბრძანებასა მისსა არა ჰმორჩილობენ. და ამის ყოვლისაგან იქმნების არა რასა ზედა ქველისმოქმედისა მის მადლობაჲ.

არამედ დაუტეოთ არაარსთა ზედა წუხილი და ვისწაოთ ჩუენდა მოცემულთათჳს მადლობაჲ. ვთქუათ, ჭირთა შინა რაჲ ვიყვნეთ და განსაცდელსა, მკურნლისა მის მიმართ ყოვლად ბრძნისა, ვითარმედ: „მცირედ ჭირ არს სწავლაჲ B v შენი ჩუენ ზედა“[1*]. / ვთქუათ, ვითარმედ: „კეთილ არს ჩემდა, რამეთუ დამამდაბლე მე“[2*]. ვთქუათ, ვითარმედ: „არა ღირს არიან ვნებანი ამის საწუთროჲსანი საუკუნოჲსა მის დიდებისა გამოცხადებად ჩუენ ზედა“[3*]. ვთქუათ, ვითარმედ: „მცირე არიან ტანჯვანი ესე და ჭირნი ცოდვათა ჩუენთა თანა“[4*]. ვევედრნეთ უფალსა და ვთქუათ, ვითარმედ: „გუასწავე ჩუენ, უფალო, არამედ სიმართლით და ნუ გულისწყრომით“[5*], რამეთუ: „გან-თუ-ვიკითხვით, ღმრთისა მიერ განვისწავლებით, რაჲთა არა სოფლისა თანა დავისაჯნეთ“[6*]. ხოლო რაჟამს განსუენებასა და კეთილსა შინა ვიყვნეთ, მაშინ A 103 სიტყუასა მას დავითისსა ვიტყოდით, / ვითარმედ: „რაჲ მივაგო უფალსა ყოვლისა ამისთჳს, რომელი-ესე მომაგო მე?“[7*] რამეთუ არაარსისაგან C v არსად მოგჳყვანნა, სიტყჳთა პატივ-გუ/ცა, ჴელოვნებანი მოგუმადლნა შემწენი ცხორებისა ჩუენისანი, საზრდელთა ქუეყანით აღმოაცენებს, მწუანვილთა მსახურებაჲ და ჴმარებაჲ მოგუცა ჩუენ. ჩუენთჳს არიან წჳმანი, ჩუენთჳს არს მზჱ, მთანი და ველნი ჩუენთჳს ქმნილ არიან, რაჲთა, სადაცა გუენებოს, ვიყოფოდით. ჩუენთჳს მდინარენი დიან, ჩუენთჳს წყარონი აღმოცენებულ არიან.

---

1 ზედა]მათ C. 3 შეურაცჰყოფენ B. 4 ჰნატრიან C. აღრიცხუვენ B, აღირიცხუვენ C. 6 ჰხედვენ C. და+არა C. 8 მწუხარჱ C. 9 მწუხარჱ C. აზნაურ C. 11 და რამეთუ B. თუალვედ B. 12 პაპადმდჱ C. 14 სავსჱ C. 15 ო˜ა B, უფალ C. მეფე B. 16 მეფე B. 17 ჰმორჩილებენ B. 18 მადლობაჲ] არამადლობაჲ C. 19 დაუტევოთ C. ვისწავოთ C. 20 მკურნალისა C. 21 საუკუნისა B. 25 მცირედ C. 28 სოფელსა B. 30 მას—C. 33 აღმოგკცენებს C. 35 მზე B. ვიყოფვოდით BC. 36 ჩუენთჳს — C.

1* ესაია 26,16. 2* ფსალმ. 118, 71. 3* რომ. 8,18. 4* იობ 15,11. 5* იერემ. 10,24. 6* I კორინ. 11,32. 7* ფსალმ. 115,3.

ზღუაჲ მოცემულ არს / ჩუენდა სავალად, სიმდიდრენი იგი ქუეყანით აღმო- B 169
მავალნი და ყოვლით კერძო განსუენებანი, ყოველივე დაბადებული ჩუენ გუმ-
სახურებს უშურველისა მის მადლისათჳს დამბადებელისა ჩუენისა, რომელი
მოუფენიეს ჩუენ ზედა.

7. და რად საკმარ არს მდაბალთა ამათ საქმეთა თქუმაჲ? ვთქუა მაღალთა
მათთჳს საქმეთა: ჩუენთჳს ღმერთი კაცთა თანა მოვიდა და განხრწნილთა
მათთჳს ჴორცთა „სიტყუაჲ იგი ჴორციელ იქმნა და დაემკჳდრა ჩუენ შო-
რის"[1*] — უმადლოთა თანა ქველისმოქმედი იგი. ტყუეთა მომართ მოვიდა გან-
მათავისუფლებელი, ბნელსა შინა მსხდომარეთა მომართ — „მზე სიმართლი-
საჲ[2*]. ჯუარსა ზედა ამაღლდა უვნებელი იგი, სიკუდილად მივიდა ცხორებაჲ,
ჯოჯოხეთად შთაჴდა ნათელი იგი და აღდგომაჲ დაცემულთათჳს. მოგუანიჭა
ჩუენ სული / შეილებისაჲ, განყოფანი მადლთანი, აღთქუმანი გჳრგჳნთანი, C 462
სხუანი იგი კეთილნი მისნი, რომელთა აღრაცხვაჲ შეუძლებელ არს, რომელ-
თათჳს კეთილ არს სიტყუაჲ იგი წინაჲსწარმეტყუელისაჲ, ვითარმედ: „რაჲ
მივაგოთ / უფალსა ყოვლისა მისთჳს, რომელი-ესე მომაგო ჩუენ?"[3*] და A v
იხილე, რამეთუ თჳთ ესეცა არა / თქუმულ არს, ვითარმედ „რომელი მომცა B v
ჩუენ", არამედ „რომელი მომაგო ჩუენ" უხუად მიმნიჭებელმან მან, ვითარმცა
არა მას ექმნა დასაბამი მადლისაჲ მის, არამედ პირველ ქმნულთამცა მი-
საგებელი იყო კეთილი მისი. რამეთუ მადლობასა მას მიმღებელთასა ქვე-
ლისმოქმედებად მისა შეჰრაცხებს, რომელი-იგი მიგცემს საკმართა და მერმე
ითხოვს შენგან მოწყალებასა ჴელითა გლახაკთაჲთა და უკუეთუ თჳსი იგი
მოიღოს შენგან სრულად, მიგცემს შენ მადლსა მისთჳს, ვითარმცა შენისაგან
მიეცა.

„რაჲ უკუე მივაგოთ უფალსა ყოვლისა მისთჳს, რომელი მომაგო ჩუენ?"
რამეთუ არა განვეშორები კმასა მას წინაჲსწარმეტყუელისასა, რომელი-იგი სა-
მართლად განკჳრვებულ არს და მიმოიხედავს თჳსსა მას სიგლახაკესა, ვითარ
არარაჲ აქუს ღირსი მისაგებელი მეუფისა მის. რომელი-იგი ესეზომთა მათ
და ესრეთ დიდთა და ბრწყინვალეთა ქვე/ლისმოქმედებათა, რომელთა არა C v
აქუს რიცხჳ, არცა დასასრული, არცა საზომი, რომელნი-იგი ქმნნა ჩუენ
თანა. მათ ყოველთა ზედა უდიდესთა და მრავალწილთა აღგჳთქუამს უკუანაჲს-
კნელ მოცემადთა მათ—/შუებასა სამოთხისასა და დიდებულებასა სასუფეველი- B 170
სასა და სწორად ანგელოზთა პატივსა და ღმრთისა ხედვასა, რომელი-იგი
ღირსქმნულთა მათთჳს უზეშთაესი არს ყოველთა კეთილთაჲ, ხედვაჲ იგი
მისი, რომლისა მიმართ სურის ყოველსა სიტყჳერსა ბუნებასა, რომელსა
ღირსმცა ქმნილ ვართ ჩუენცა, გან-რაჲ-ვიწმიდნეთ თავნი ჩუენნი ვნებათა
მათგან ჴორცთაჲსა ქრისტე იესუჲს მიერ, სახიერისა მის მეუფისა და უფლი-
სა / ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცჱ უკუნითი უკუნისამდე. A 104
ამენ.

---

³ რომელ C. ⁵ ამათ] მათ B. ⁷ დაიმკჳდრა B. ⁸ მოვიდა + და B. ⁹ მიმართ A] — C. მზჱ C.
10 აღმაღლდა C. მოვიდა BC. 13 აღრიცხუვაჲ BC. 15 ამისთჳს C. 16 იხილჱ C. 17 მომნიჭებელ-
მან C. 19 მას—C. 20 მისსა BC. მისცემს C. მერმჱ C. 22 მიიღოს BC. მოგცემს BC. 23 მოგცა C.
24 ამისთჳს C. 27 მეუფისაჲ C. 28 მბრწყინვალეთა C. 29 რიცხუჲ B. რომელი-იგი B. ქმნა B.
31 სამოთხისა B. დიდებულებასა] დიდებასა B, დიდებასა მას C. 33 კეთილთა C. 34 ჰსურის C.
ყოველსავე BC. 35 ქმნულ C. ჩ~ნი B. 36 ქ~ეს C. 37 სიმტკიცე B. 38 ა~ნ ABC.

1* იოანე 1,14. 2* მალაქ. 4,2. 3* ფსალმ. 115, 3.

გურქუას უკუე ვინმე, ვითარმედ: „და ვითარ წარვჰმართოთ ძმათა ჩუენთა თანაზიარებაჲ და მოყუარებაჲ (რომელი-იგი თავი არს ყოველთა კეთილთაჲ და უსრულესი ყოველთაჲსა, რამეთუ აღსასრული რჩულისაჲ სიყუარული არს)[1*] და ვითარ ვაჩუენოთ იგი მოყუასთა, რაჟამს შევიდეთ ვიეთმე მიმართ, შეპყრობილთა განსაცდელთაგან დიდთა, და არა ვტიროდით მათ თანა, არცა C 463 ვცრემლოოდით, არამედ საქმეთა მათთჳს ვჰა/დლობდეთ ღმერთსა? რამეთუ თჳსისა ჭირისა მადლობით მოთმენაჲ სასწაული არს მოთმინებისაჲ, ხოლო B v განსაცდელთა ზედა მოყუსისათა მადლობაჲ ღმრთისაჲ სახჱ / არს ბოროტსა მას ზედა სიხარულისაჲ. და რომელსა ენებოს შეწუხებაჲ უმეტესი შეწუხებულისაჲ მის? რამეთუ ამასცა მოციქული გუბრძანებს: ტირილსა მტირალთა თანა[2*].

რაჲ ვთქუათ უკუე ამის ყოვლისათჳს? არამედ კეთილ არს, რაჲთა კუალადცა სიტყუანი უფლისანი მოგაჴსენნე თქუენ, თუ რომელთა საქმეთა ზედა ბრძანებულ არს სიხარული, ანუ რომელთა ზედა წუხილი. რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი დიდი არს ცათა შინა“[3*] და კუალად იტყჳს, ვითარმედ: „ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ ტიროდეთ შვილთა თქუენთა ზედა“[4*].

აწ უკუე მართალთა თანა სიხარულსა და მხიარულებასა საღმრთოჲ იგი სიტყუაჲ გუასწავებს ჩუენ და კუალად, რომელნი სინანულად მოსრულ იყვნენ და ცრემლოოდინ, მათ თანა რაჲთა ვიგლოვდეთ და ვგოდებდეთ, გინა თუ A v რომელნი ულმობელად იყვნენ ცოდვათათჳს, მათთჳსცა ვტიროდით, / რამეთუ არა უწყიან, ვითარ წარწყმდებიან.

8. ხოლო არა ესრეთ გუბრძანებს, რაჲთამცა სიკუდილისათჳს კაცისა ვტიC v როდეთ და ვჴმობდით მგლოვარეთა მათ თანა და / ესრეთმცა ვჰგონებდით, B 171 თუ აღმასრულებელ მცნებათა მათ მოციქულისათა ვიყ/ვენით ამით სახითა. რამეთუ არცა ვაქებ მკურნალსა მას, რომელმან განკურნებისა წილ სნეულისა მისი იგი სენი მიიღო მანცა: არცა მენავეთმოძღუარსა, რომელი განმტკიცებისა წილ მუნ მყოფთაჲსა და ბრძოლისა წილ ქართაჲსა და ღონისძიებისა წილ ღელვათა მათ მიმართ და ნუგეშინისცემისა წილ მოშიშთაჲსა წარუკუეთდეს სასოებასა და იშიშვოდის და დაიჴსნებოდის მსგავსად ზღუასა შინა გამოუცდელთაჲსა.

რამეთუ ესევითარი არს, რომელი შევიდეს მგლოვარეთა მიმართ და არა მისცეს მათ სიტყუაჲ სარგებელისაჲ და უფროჲსად უშუერებასა მას სხუათა ენებათასა თანაზიარ ექმნას იგიცა. მჭმუნვარე ყოფაჲ უკუე განსაცდელთა მათთჳს მგლოვარეთასა ჯეროან არს, რაჲთა ესრეთ აჩუენოს თჳსებაჲ იგი მისი მათსა მას წუხილსა თანა, რაჲთა არა მხიარულ იყოს განსაცდელთა მათთჳს, არცა ეჰამებოდის სხუათა იგი მწუხარებაჲ. ხოლო უმეტესად ზომისა

---

[2] თანაზიარობაჲ B. მოყუარეობაჲ BC. [3] უსრულესი] უძლიერესი C. ყოველთასა C. შჯულისაჲ C. [6] ვცრემლოდით B. ვცრემლოვოდით C. [7] ჭირისაჲ C. [8] სახე B. [9] მას—B. და —C. ენების C. [10] ამას C. ტირილისა C. [14] რომელსა B. [15] ვითარმედ—AC. [16] დიდ B. [18] თანა] ზედა A. [20] ცრემლოდინ B, ცრემლოვოდინ C. და ვგოდებდეთ—C. [24] მგლოარეთა B. ესრეთმცა +] ვგოდებდით და C. [27] მანმცა C. [28] ღონისძიებათა C. [29] მათ—C. [30] და 2°—B. [32] მგლოარეთა B. [33] მას—B. [34] ვნებისასა B, ვნებისა C. იგი A. მჭუნვარე B. [35] მგლოარეთასა B. ჯეროვან C. აჩუენონ C.

[1*] რომ. 13,10. [2*] რომ. 12,15. [3*] მათე 5,12. [4*] ლუკა 23, 28.

მათ თანა გოდებაჲ უჯერო არს, რაჲთამცა ღაღადებდა და ჴმითა ტიროდა ვნე-
ბულსა მას თანა და მიემსგავსებოდა / მცა სხუათა მათ საქმეთა დაბნელებუ- C 464
ლისა მის ვნებისა მიერ, ესე იგი / არს, რაჲთამცა დაიპებდა მის თანა სამოსელ- B v
სა თჳსსა. შეყენებაჲ თავისაჲ ბნელსა შინა, / შთაცუმაჲ სამოსლისა შავისაჲ და A 105
გორვებაჲ ნაცარსა ზედა და უპარსველობაჲ თმათაჲ — რამეთუ ამათ საქმეთა
მიერ განსაცდელისა მის უმეტესად აღორძინებაჲ იქმნების, ვიდრეღა დაცხრო-
მაჲ. არა ხედავ-ა, ვითარმედ დაყრუებანი და ფაწალათა და ღჳძლთა სალმობა-
ნი დაერთვიან? ერთი იგი თავქედთა ზედა და სხუაჲ იგი წყლულებათა და
სალმობათა მათ უმეტესად განაძლიერებენ, ხოლო ჴელნი მტკივანთა ასოთა ნე-
ლიად შეხებითა და მოზელითა მოატკბობენ.

და შენცა უკუე ნუ განაფიცხებ ვნებასა მას მისლვითა შენითა, ნუცა დაე-
ცემი დაცემულსა მას თანა. რამეთუ რომელი ქუემდებარესა აღადგინებდეს,
განაღა უმაღლეს ქუემდებარისა მის უჴმს ყოფაჲ, ხოლო რომელი მის თანავე
დაცემულ იყოს, სხუაჲ უჴმს აღმადგინებელი. არამედ ჯერ-არს ტკივილი გული-
საჲ მოყუასსა ზედა მოწევნულისა მისთჳს განსაცდელისა და მყუდროებით
მჭმუნვარებაჲ საქმესა მას ზედა შეცვალებითა სახესა პირისასა / მწუხარებად B 172
და სიმძიმითა წესი/ერითა, რომელი გამოაჩინებდეს წუხილსა მას სულისასა. C v

ხოლო რაჟამს იწყო სიტყუად, არა კეთილ არს მეყსეულად შერისხვით
ზედა-მისლვაჲ ქუემდებარისაჲ მის (რამეთუ შერისხვაჲ მძიმე არს სულისათჳს.
მწუხარებითა შებოროტებულისა, და სიტყუანი იგი ფიცხელნი, ვნებისა მისგან,
გარე მყოფთა მიერ თქუმულნი, შეუწყნარებელ იქმნიან ესევითართა მათ მიერ
და ნუგეშინისსაცემელად უჴმარ), არამედ ჯერ-არს მიშუებაჲ, რაჲთა ჴმა-ყონ
და იგლოონ ამაოდ და უსარგებლოდ და და-რაჲ-სცხრეს მცირედ ბოროტი იგი
და დამდოვრდეს, მაშინ სიმშჳდით / და ტკბილად იწყო ნუგეშინისცემად. A v
რამეთუ მწურთელნიცა იგი კიცუთანი, რაჟამს იხილიან კიცჳ მძჳნვარე და ვე-
ლური, არა მეყსეულად მოაშთობდიან აღჳრითა, არცა ერთგზის ფიცხლად მო-
ზიდვენ აღჳრსა, (რამეთუ ესრეთ უმეტესად განფიცხნების და ზედა მჯდომელ-
სა მას წარიტაცებს), არამედ უტევებენ პირველ ნებასა მისსა და თანა მიჰყვე-
ბიან და რაჟამს იხილონ მისისა მის სიფიცხლისაგან და სირბილისა გულის-
წყრომაჲ მისი დამშჳ/დებულად, მაშინ იწყებენ წურთად და ჴელოვნებისა B v
მიერ მორჩილებად მოიყვანებენ.

ესრეთ იყოს სიტყჳსაებრ სოლომონისა, / ვითარმედ: „კეთილ არს შე- C 465
სლვაჲ სახლსა გლოისასა, ვიდრეღა სახლსა სუმისასა“[1*], უკუეთუ ვინ ოდენ
ისწრაფოს ჴელოვნებით და სიმშჳდით ჴმარებაჲ სიტყჳსაჲ და ესრეთ თჳსისა
სიმრთელისა მიცემად სნეულსაცა. და რაჲთა არა მოიღოს უცხოჲ იგი უწესოდ
გოდებაჲ მანცა თავსა შინა თჳსსა, ვითარცა სიბრმე.

9. ტირილი უკუე მტირალთა თანა ესე არს, რაჲთა რაჟამს იხილო ძმაჲ, ცოდ-
ვასა შთავრდომილი და სინანულად მოსრული და მტირალი, სტიროდი მის

---

[1]∼ტიროდამცა ჴმითა C. [3] მის—C. დაიპებდამცა C. [4] თჳსსა]მისსა C. [5] ზედა] შინა C. [6] აღორძინებაჲ A. ვიდრეღარა C. [7] ჰხედავა C. [8] დაერთვიან—A. და 2⁰]ზედა C. [10] მოატკბო-ბენ] მოალბობენ A. [12] ქუჱმდებარესა C. [13] ქუჱმდებარისა C. [14] აღმდგინებელი A. [15] მყუდ-როებითა C. [16] მჭუნვარებაჲ B. [19] ქუჱმდებარისაჲ C. მძიმჱ C. [21] იქმნნიან C. [22] ნუგეშინის-საცემელ B. [23] იგლოვონ C. [24] დამდორვდეს B. ვიწყოთ C. [25] მძჳნვარჱ C. [33] გლოჲსასა B, გლოვისასა C. ოდენ—C. [36] შინა] შორის BC. სიბრმჱ C. [38] და 2⁰—C. რაჲთა სტიროდი C.

[1*] ეკლეს. 7,2.

თანა და ჰგოდებდე და სწყალობდე და გევნებოდის მის თანა, რამეთუ ესრეთ გექმნას შენ ვნებათა მიერ უცხოთა თჳსთა განკურნებაჲ. რამეთუ რომელმან ცოდვისათჳს მოყუსისა თჳსისა დასთხიოს ცრემლი მკურვალჱ, იგი თავსაცა თჳსსა ჰკურნებს, ვინაჲთგან ძმისათჳს იგლოვს. ესევითარი იყო იგი, რომელი-იგი იტყოდა, ვითარმედ: „ურვამან შემიპყრა მე ცოდვილთამან, რომელთა დაუტევეს რჩული შენი“[1*].

[A 106] ცოდვისათჳს ტიროდე მეორისათჳსცა და / უმეტესად შენისათჳს. ესე [B 173] სნეულებაჲ არს / სულისაჲ, ესე სიკუდილი არს უკუდავისაჲ მის, ესე არს ღირს გლოისა და გოდებისა დაუდუმებელისა. ამას ზედა ყოველივე ცრე-[C v]მლი დიოდენ და ნუმცა დასცხრების სულთქუმაჲ, სიღრმეთაგან გულისათა / აღმომავალი.

რამეთუ სტიროდა პავლე მტერთა მათ ქრისტეს ჯუარისათა[2*] და იერემია ტიროდა წარწყმედათა მათ ზედა ერისათა, რომელსა-იგი ვინაჲთგან არა კმა ეყოფოდა ბუნებითი იგი ცრემლი, ამისთჳს წყაროსა ცრემლთასა ითხოვდა და საზომსა უკუანაჲსკნელსა: „და დავჯდეო და ვსტიროდი ერსა ამას დღე და ღამე, რომელნი-იგი წარწყმდებიან“[3*]. ესევითარსა ცრემლსა და ესევითარსა გლოასა ჰნატრის სიტყუაჲ[4*] და არა მას, რომელი ყოვლითავე მწუხარებითა ადვილად დაინთქმოდის და ყოვლითავე მიზეზითა შეიპყრობებოდის გოდებითა.

და კუალად ვიხილენ ვიეთნიმე გემოჲსმოყუარეთაგანნი, რომელნი გარდამატებულებისაგან გულისთქუმათა სიყუარულისა მათისა მიზეზითა მწუხარებისაჲთა შუებად და სიმთრვალედ მიდრკიან და დაჴსნილობასა მას მათსა ჰნებავნ სიტყუათაგან სოლომონისთა ნუგეშინისცემად, რომელი იტყჳს, ვი-[B v]თარმედ: „ეცით ღჳნოჲ მწუხარეთა“[5*]. / არამედ სიტყუაჲ იგი „იგავთაჲ“ არა მთრვალობასა განაზრახებს, არამედ ცხორებასა კაცთასა წესსა დაუდებს. [C 466] რამეთუ რაჲთა დაუტეო იგავით სიტყუაჲ მისი, / რომელი ღჳნოდ იტყჳს სიტყუერსა მას სიხარულსა, არცა თუ განცხადებული იგი ძალი სიტყჳსაჲ მის უნდო არს, რამეთუ რაჲთა არა დაინთქმოდინ ფრიადისა მის მწუხარე-[A v]ბისაგან / მძიმედ მგლოვარენი იგი და შეურაცხ-ჰყოფდენ საზრდელისაცა მიღებასა, არამედ რაჲთა პურითა განმტკიცნებოდის გული იგი გლოისმოყუარეთაჲ და ღჳნითა დაცემული იგი ძალი მისი განძლიერდეს, ამისთჳს თქუმულ არს იგი.

ხოლო ღჳნისმოყუარენი იგი და მთრვალობის მეძიებელნი არა მწუხარებისა მათისა დამშჳდებისათჳს იქმან ფრიადსა მას სუმასა, არამედ ბოროტსა ბოროტითა შესცვალებენ და ბოროტნი ვაჳარნი იქმნებიან, რამეთუ სნეულებასა სულისასა სნეულებითავე მოიყიდებენ. რომელნი-იგი სასწორსა მიმოდრეკილსა მიემსგავსებიან, რომელი არაოდეს სწორ იქმნების, ეგრეთვე ესენი ესეზომსა მოაკლებენ მწუხარებისა მისგან, რაჲზომ-იგი აღაორძინებენ გემოჲთმოყუა-

---

[1] ჰგოდებდჱ C. [2] გექმნეს C. [4] იყო —B. რომელი-იგი] რომელი C. [5] ცოდვისამან C. [6] შჯული C. [9] გლოჲსა B. გლოვისა C. [10] სულთთქმაჲ C. გულისათა] გულისა B, გულისა თანა C. [12] პავლჱ C. ჲერემია B. [13] წარწყმედადთა AC. [15] და 1°—C. დღჱ და ღამჱ C. [17] გლოვასა C. [19] გემოჲსმოყუარებისაგანნი C. [21] მას—C. [22] ჰნებავს B. რომელსა : C. [24] ცხოვრებასა C. [26] დაუტევო C. [28] მგლოარენი B. [29] გლოჲსმოყუარისაჲ მის B, გლოვისმოყუარისაჲ მის C. [32] მთრვალობისა C. [35] მოისყიდებენ C. [36] ემსგავსებიან C. რომელ C. [37] გემოთმოყუარებასა C.

[1*] ფსალმ. 118, 53. [2*] ფილიპ. 3,18. იერემ. 9,1 [4*] მათე 5,4. იგავ. 31,6.

რებასა. არამედ შემწედ ბუნებისა უჴმს მიღებაჲ / ღჳნისაჲ და არა ესრეთ, რაჲ- B 174
თამცა დაბნელდა გონებაჲ, რამეთუ ესრეთ წარვალს ღჳნოსა მას თანა მწუხა-
რებაჲცა. და ბოროტი იგი მთრვა/ლობისაჲ მოვიდეს სულსა ზედა. რამეთუ C v
უკუეთუ მწუხარებისა მკურნალი გონებაჲ არს, მთრვალობაჲ უკუანაჲსკნელი
არს ბოროტთაჲ, რამეთუ კურნებასა მას სულისასა დაახრწევს. არამედ გუ-
ლისჴმა-ყავ კეთილად თითოეული თქუმულთაჲ ამათ და ჰპოო, თუ ვითარ შე-
საძლებელცა არს სწავლაჲ იგი მოციქულისაჲ და სარგებელცა, თუ ვითარ
ჯერ-არს მარადის სიხარული მართლითა მით სიტყჳთა, ანუ ვითარ ილოცო
დაუცადებელად და თუ ვითარ ყოველსა შინა ჰმადლობდე და თუ რომლითა
სახითა ნუგეშინის-სცე მწუხარეთა, რაჲთა ყოვლით კერძო სრულ იყო და / A 107
დამტკიცებულ შეწევნითა წმიდისა სულისაჲთა და მოსლვითა მადლისა უფ-
ლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე აწ
და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

VI./ თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი, ვითარმედ: „არა არს ღმერთი მიზეზი ბოროტთაჲ" C 96 v

1. მრავალ არიან სახენი იგი სწავლისანი, რომელნი მგალობელისა და-
ვითის მიერ, მად/ლითა მით სულისა წმიდისაჲთა რომელი იტყოდა, მის მიერ B v
მოცემულ არიან ჩუენდა. რამეთუ ოდესმე თჳსთა ვნებათა გჳთხრობს წინაჲ-
სწარმეტყუელი და თუ ვითარ მოწევნულნი იგი ჭირნი ახოვნად თავს-ისხნა
და სახითა მით თჳსითა სწავლასა მოთმინებისასა დაგჳტეობს ჩუენ, რაჟამს-
იგი იტყოდის, ვითარმედ: „უფალო, რად განმრავლდეს მაჭირებელნი ჩემ-
ნი?"[1*] და კუალად, ოდესმე სახიერებასა ღმრთისასა გჳჩუენებს და სისწრა-
ფესა მას შეწევნისა მისისასა, რომელსა მოსცემს ჭეშმარიტთა მათ მეძიებელ-
თა მისთა, რაჟამს იტყოდის, ვითარმედ: „ხადილსა ჩემსა ესმა ჩემი ღმერთსა
სიმართლისა ჩემისასა"[2*]. რამეთუ შემსგავსებულად წინაჲსწარმეტყუელისა
მის იტყოდა, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „ვიდრეღა იტყოდი, თქუას: აჰა ესერა
აქა ვარ"[3*]. ესე იგი არს, ვითარმედ არღა აღმესრულის ვე/დრებაჲ იგი და C 97
მიიღის აღსრულებაჲ მისი სასმენელმან ღმრთისამან.

კუალად, რაჟამს ვედრებასა შესწირვიდეს ღმრთისა, გუასწავლის, თუ ვი-
თარითა სახითა გჳჴმს შეცოდებათათჳს ჩუენთა ვედრებაჲ ღმრთისაჲ, ვითარ-
მედ: „უფალო, ნუ გულისწყრომითა შენითა მამხილებ მე, ნუცა რისხვითა
შენითა მსწავლი მე"[4*]. ხოლო მეათორმეტესა ფსალმუნსა / გარდამატე- B 175
ბულებასა მას განსაცდელთასა გამოაჩინებს, / რამეთუ იტყჳს: „ვიდრემდის, A v
უფალო, დამივიწყებ მე სრულიად?"[5*] და ყოველსა მას ფსალმუნსა შინა

PG, 31, გვ. 329—353.

[2] გონებაჲ—C. [5] გულისხმა- C. [6] თჳთოეული C. ჰპოეო C. შესაძლებელ C. [7] და თუ C. [9] ჰმადლობდე C. [10] -სცემ A, -სცე C. [11] და—C. [13] რომლისა B. სიმტკიცე]სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ C. [14] წმიდისა + და ღმერთშემოსილისა C. დიდისა ბასილისი C. [16] მიზეზ B. ბოროტთაჲ + გუაკურთხენ მამაო, თავი ე C. [18] მოცემულ არიან ჩუენდა]მო-გუეცნეს ჩუენ C. გჳთხრობს B] + ჩ~უენ C. [20] დაგჳტევებს B, დაგჳტევობს C. [21] მაჭირვებე-ლნი C. [22] ღმრთისასა]უფლისასა C. [23] მისისა B. [24] ჴხადილსა C. [30] შეცოდებათა ჩუენთათჳს C. [31] შენითათა B. და ნუცა C. [34] დამივიწყე BC. მე]ჩ~ნ C.

[1*] ფსალმ. 3,2. [2*] ფსალმ. 4,2. [3*] ესაია 58,9. [4*] ფსალმ. 6,2. [5*] ფსალმ. 12,2.

გუასწავა, რაჲთა არა მოწყინე ვიყვნეთ ჭირთა შინა, არამედ მოველოდით სახიერებასა ღმრთისასა და უწყოდით, ვითარმედ განწყებულებითა რაჲთამე კეთილითა მიგუცემს ჩუენ ჭირთა და საზომისაებრ თითოეულისა სარწმუნოებისა მოაწევს სატანჯველთაცა. ვინაჲთგან აღასრულა ფსალმუნი ესე: „ვიდრემდის, უფალო, დამივიწყებ სრულიად? ვიდრემდის გარე-მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან?“[1*] მეკსეულად მიიქცა უღმრთოთა უკეთურებისა თქუმად, რომელნი-იგი, რაჟამს მცირედი რაჲმე უნებელთაგანი მოიწიოს მათ ზედა, არა C v თავს-იდებენ მოწევნასა მას ჭირთასა და მეკსეულად იშუეულ გონებითა / მათითა იქმნებიან და იტყჳან, თუ: „არს-მეა ღმერთი მოურნე ამის ყოვლისავე სოფლისა? ანუ ხედავს-მეა თითოეულსა ზედა და მისცემს-მეა თითოეულსა ღირსებისა მისისაებრ?“ მერმე, რაჟამს იხილნიან თავნი მათნი ჭირთა მათ შინა და განსაცდელთა დაყოვნებულად, დაამტკიცებენ თავთა შორის მათთა ბოB v როტსა / მას გულისსიტყუასა და განაჩინებენ გულთა შინა მათთა, ვითარმედ არა არს ღმერთი, რამეთუ: „თქუა უგუნურმან გულსა თჳსსა: არა არს ღმერთი“[2*] და მერმე, რომელმან ესე დაიდვას გულსა შინა თჳსსა, მიერითგან ურიდად ყოველსავე ცოდვასა ერევის. რამეთუ უკუეთუ არა არს მხედველი ამის ყოვლისაჲ და არა არს, რომელი მიაგებს თითოეულსა საქმეთაებრ მისთა, რაჲ არს დამაყენებელ? — მძლავრობაჲ გლახაკისაჲ? მოკლვაჲ ობლისაჲ? შემუსრვაჲ ქურივისა და მწირისაჲ? ყოველსავე ურჩულოებისა საქმესა შესA 108 ლვაჲ / არაწმიდათა მათ და შეგინებულთა ვნებათა მიერ და ყოველთავე გულისთქუმათა მიერ პირუტყუებრივთა შეგინებაჲ? ამისთჳსცა შესძინა თქუმად, რაჲ-იგი შეუთქს არაყოფასა ღმრთისასა, ვითარმედ: „განირყუნნეს და ბილწ C 98 იქმნნეს იგინი ურჩულოებითა მათითა“[3*], / რამეთუ შეუძლებელ არს მიდრეკაჲ გზისა მისგან მართლისა, უკუეთუ არა მოვიდეს პირველად დავიწყებაჲ ღმრთისაჲ გულსა შინა.

B 176 2. სადაჲთ მიცემულ არიან / წარმართნი გონებასა მას უსწავლელსა და იქმან ურჩულოებასა?[4*] არა ამისგან-ა, რამეთუ თქუეს, ვითარმედ: „არა არს ღმერთი?“ სადაჲთ შთავარდეს ვნებათა მათ შეგინებისათა? და დედათა მათთა შეცვალნეს ბუნებითნი იგი საქმენი გარეგან ბუნებისა, ხოლო მამანი მამათა თანა უშუერებასა იქმან[5*]? არა ამისგან-ა, რამეთუ შეცვალეს დიდებაჲ მხოლოჲსა უხრწნელისა ღმრთისაჲ მსგავსებად პირუტყუთა და ოთხფერჴთა და ქუეწარმავალთა[6*]? უგუნურ არს უკუე ჭეშმარიტებით და გამოჴუებული გონებისაგან და სიბრძნისა, რომელი იტყოდის, ვითარმედ: არა არს ღმერთი. ხოლო მსგავს მისა არს და არარაჲთ უდარეს უგუნურებითა, რომელი იტყოდის, ვითარმედ: მიზეზი ბოროტთაჲ ღმერთი არს. რამეთუ შესწორებულად პირველისა მის ვიტყჳ ამისსაცა ცოდვასა, ვინაჲთგან ორნივე უარ-ჰყოფენ სახიერებასა მისსა. ერთი იგი იტყჳს, ვითარმედ: ყოლადვე არა არს, და მეორე ესე იტყჳს, ვითარმედ: არა სახიერ არს. რამეთუ უკუეთუ მიზეზი არს იგი

---

[1] გუასწაელა B. [2] რაჲთმე BC. [4] ესე+ვითარმედ BC. [5] დამივიწყე BC. გარÐ- C. [6] მეყსეულად C. [8] მეყსეულად C. [10] სოფლისაჲ C. ხედავს-მე B, ჰხედავს-მეა C. [11] ღირსებისაებრ მისისა C. მერმÐ C. [15] მერმÐ C. ~ დაიდვას ესე C. [18] მძლავრებაჲ C. [19] ქურივისაჲ C. და ყოველსავე C. უშჯულოებისა C. [22] შეუდგს B. განირყუნეს A, განირყონეს B. [23] იქმნეს იგი AB. უშჯულოებითა C. [24] მივიდეს B. [27] უშჯულოებასა AC. მისგანა B. [31] მსგავსად C. [32] ქუÐწარმავალთა C. გამოჴუებულ C. [34] მისსა BC. არარაჲ B, არარჲთა C. [36] უვარყოფენ C. [38] მეორÐ C. რამეთუ უკუეთუ მიზეზი არს იგი—C.

[1*] ფსალმ. 12,2. [2*] ფსალმ. 13,1. [3*] ფსალმ. 13,1. [4*] რომ. 1,2. [5*] რომ. 1,26. [6*] რომ. 1,23.

ბოროტთაჲ, არა სახიერ არს და ამისთჳს / საცნაურ არს, ვითარმედ ორნი- C v
ვე ესე ზოგად უარ-ჰყოფენ ღმერთსა.

/ იტყჳან უკუე ესევითარნი იგი, ვითარმედ: „და სადაჲთ არიან სნეულება- B v
ნი? / ანუ სადაჲთ არიან უჟამონი იგი სიკუდილნი? სადაჲთ არიან დაქცევანი A v
ქალაქთანი? დანთქმანი ნავთანი? ბრძოლანი? სრვანი? რამეთუ ესე ყოველნი
ბოროტნი არიან და ყოველნივე ღმრთისა მიერ ქმნილნი. აწ უკუე სხუაჲ
ვინ მოვიღოთ ამის ყოვლისა მიზეზად, და არა ღმერთი?“.

მოედ უკუე, რომელი ამას იტყჳ, ვინაჲთგან მრავალსაძიებელსა ამას ძიებასა შთავვარდით, ვყოთ დასაბამი რაჲმე განცხადებული სიტყჳსა ამის ჩუენისაჲ და მოსწრაფედ ჴელ-ვყოთ საძიებელსა ამას და ვისწრაფოთ ცხადად და შეურევნელად სიტყჳსა მისისა ქმნად.

3. ერთად უკუე ესე თანა-გუაც მტკიცედ გონებათა შინა ჩუენთა ქონებად, ვითარმედ დაბადებულნი ვართ სახიერისა ღმრთისანი და მის მიერ არს ცხორებაჲ ჩუენი და იგი განაგებს მცირესაცა და დიდსა, ჩუენ ზედა მომავალსა. და არცა რაჲ მოიწევის ჩუენ ზედა გარეგან მისისა ნებისა თჳნიერ ცოდვისა, რამეთუ იგი ჩუენგან არს; არცა, რომელი-იგი მოიწევის მის მიერ, ბო-
როტ რაჲმე არს, /თუმცა რაჲ-მე იყო უმჯობესი მისსა, რომელიმცა გონებით B 177
ოდენ ვინ მოიგონა?

/ რამეთუ ღმრთისა მიერ არიან სიკუდილნი, ხოლო არა თუ ბოროტ არს C 99
სიკუდილი, გარნა თუ ვინმე ცოდვილისა იგი სიკუდილი თქუას, რამეთუ დასაბამ სატანჯველთა მათ ჯოჯოხეთისათა იქმნების ამიერ წარსლვაჲ მისი. და კუალად ბოროტთა მათ ჯოჯოხეთისათა არა ღმერთი აქუს მიზეზად, არამედ თჳთ ჩუენნი თავნი, რამეთუ დასაბამი და ძირი ცოდვისაჲ არს ჩუენი ნებაჲ და
თჳთმფლობელობაჲ. რამეთუ რომელნი-იგი შემძ/ლებელ იყვნეს განყენებად A 109
ბოროტისაგან და არა შესლვად ჭირსა შინა, ეგევითარნი იგი, ვინაჲთგან გულისთქუმისა მიერ შთავარდეს ცოდვასა, რაჲ ვთქუათ სხუაჲ ჭეშმარიტი რაჲმე სიტყუაჲ, და არა, ვითარმედ იგინი თჳთ ექმნეს თავთა მათთა მიზეზ სატანჯველთა?

რამეთუ ბოროტი ორითა სახითა არს: ერთი წინაშე ჩუენსა ჩანს ბოროტად, ხოლო მეორე თჳთ ბუნებით არს ბოროტ. და ბუნებითი იგი ბოროტი ჩუენ მიერ იქმნების: უსამართლოებაჲ, შეგინებულობაჲ, უგუნურობაჲ, მო-
შიშებაჲ, კაცის კლვანი, შური, მწამლველობანი, მანქანებანი / და სხუანი იგი B v
ამათნი მსგავსნი ვნებანი, რომელნი ხატად ღმრთისა დაბადებულსა მას სულ-
სა შეაგინებენ და დააბნელებენ სიკეთესა მისსა. / კუალად ბოროტად უწესთ, C v
რომელი-იგი ჩუენდა საჭირო იყოს და ძნელ ხილულად, რომელ არს: სნეულებაჲ ჴორცთაჲ და წყლულებანი ჴორცთანი და ნაკლულევანებაჲ საჭიროთა საჴმართაჲ და უპატიოებაჲ და სიმდიდრისა დაჭირვებაჲ და თჳსთა სიკუდილნი — რომელ-იგი თითოეული ამათი ბრძნისა მის და სახიერისა მეუფისა მიერ

---

1 ბოროტთაჲ არა სახიერ არს — C. 2 უარჰყოფენ ღმერთსა—C. 3 ვითარმედ—C. სადაით C. 5 დანთქმანი—AC. 6 ბოროტ B. 8 მოეედ C. 14 ცხოვრებაჲ C. 15 ~ ნებისა მისისა C. თჳნიორ B. 16 ბოროტი B. 17 არს + და რად ვიტყჳ ბოროტ არცა B. 23 ჩ῀ნი B. თჳთ ჩუენი C. 25 შესლვაჲ AB. ჭირთა B. 26 ვთქუა C. 27 არა+ესე C. იგინი თჳთ]თჳთ იგი C. ექმნნეს C. 30 მეორჱ C. ბუნებით (φύσιν)]ჭეშმარიტებით AC. ბონებითი B] ჭეშმარიტი AC. იგი—C. 31 უგუნურებაჲ BC. 32 კლვაჲ B. 33 ამათნი] ამათ B, მათნი C. სულსა—C. 37 უპატივოებაჲ C. 38 რომელი-იგი C. თჳთოეული C.

უმჯობესისათჳს მოიწევის ჩუენ ზედა: რამეთუ სიმდიდრესა მიუღებს მათგან,
რომელნი ბოროტად იჴმარებდენ მას, რაჲთა ჭურჭელი იგი უსამართლოებისა
მათისაჲ უჩინო ყოს. ხოლო სნეულებასა მოაწევს მათ ზედა, რომელთათჳს უმ-
ჯობეს იყოს, რაჲთა შეკრულ იყვნენ ასონი მათნი და რაჲთა დაყენებულ იყვ-
ნენ ცოდვისა მიმართ. და სიკუდილი კუალად მოიწევის, რაჟამს საზღვარნი
აღესრულნიან ცხორებისანი, რომელნი-იგი დასხნა პირველითგანვე თითოეუ-
A v ლისათჳს სამა/რთალმან მან საშჯელმან ღმრთისამან, რომელი-/იგი ადრით-
B 178 გან უმჯობესსა მას თითოეულისასა ხედავს. ხოლო სრვანი და უწჳმროება-
ნი, ანუ მრავალწჳმრობანი ზოგადნი წყლულებანი არიან ქალაქთა და ნათესავ-
C 100 თანი ტანჯვად უზომოებისა მის უკეთურებათა მათთ/აჲსა. ვითარცა უკუე ქვე-
ლისმოქმედი მკურნალი გინა თუ ტკივილთა, გინა თუ წყლულებათა მოატყუე-
ბდეს ჴორცთა (სენსა მას ებრძვის და არა სნეულსა მას), ეგრეთვე სახიერი
ღმერთი ყოველთავე ცხორებისათჳს იქმს მცირეთა მათ ტანჯვათა.

ხოლო შენ მკურნალსა არა აბრალობ, რომელი-იგი რომელსამე სწუავნ
ასოსა და რომელსამე შჭრინ და რომელსამე ასოსა სრულიად გუამისაგან განა-
გდებნ, არამედ საფასესაცა მისცემ და მაცხოვრად სახელ-სდებ, რამეთუ მცი-
რედითა ჭირითა სალმობასა მას დაადგენს ერთისა ასოჲსა განკუეთითა, ვიდ-
რემდის არა ყოველსა გუამსა განფენილ არნ სენი იგი.

ხოლო რაჟამს იხილო ქალაქი, დაცემული მუნ მყოფთა ზედა, ანუ ნავი,
B v კაცთა თანა ზღუასა დანთქმული, ჭეშმარიტისა მის მკურნლისა და მაც/ხოვრი-
სა ენისა მგმობარისა აღძრვად არა უდებ იქმნები. არამედ უფროჲსად ჯერ-
იყო, რაჲთამცა გულისჴმა-ჰყავ, ვითარმედ რაჟამს სუბუქად და ადვილად გან-
საკურნებელად სნეულ იყვნენ კაცნი, მაშინ ღონისძიებით ისწრაფის კურ-
ნებად მათდა, ხოლო რაჟამს ვნებაჲ იგი უჴეშთაეს კურნებისა გამოჩნდეს,
მაშინ კეთილ არს უკმარისა მის სრულიად სხუათაგან უცხო-ყოფაჲ, რაჲთა
C v არა უმეტესისა მიმართ შემ/დგომითი-შემდგომად სენი იგი ვიდოდის და სა-
A 110 კრძალავთა მათ / ადგილთა მიიწიოს. ხოლო ვითარცა-იგი განკუეთისა ანუ და-
წუვისა მიზეზ არა მკურნალი არს, არამედ სენი იგი, ეგრეთვე დაქცევისა ქა-
ლაქთაჲსა მიზეზ ცოდვისა უზომოებაჲ არს და ღმერთი შორს დარჩების ყოვ-
ლისაგანვე ბრალობისა.

4. კუალად უკუე იტყჳს ბოროტად მზრახვალი იგი, ვითარმედ: „უკუეთუ
არა არს ღმერთი მიზეზ ბოროტთა, ვითარ თქუმულ არს, ვითარმედ: „მე ვარ,
რომელმან დავჰბადე ნათელი და ვქმენ ბნელი, რომელი ვიქმ მშჳდობასა და
დავჰბადებ ბოროტსა?“[1*] და კუალად თქუმულ არს, ვითარმედ: „გარდამოჴდა
B 179 ბოროტი უფლი/სა მიერ ბჭეთა ზედა იერუსალემისათა“[2*] და ვითარმედ:
„არა არს ბოროტი ქალაქსა შინა, რომელი არა უფალმან ქმნა“[3*] და დიდსა
მას გალობასა შინა მოსესსა თქუმულ არს, ვითარმედ: „იხილეთ, იხილეთ, რამე-

---

4 რაჲთა დაყენებულ] არა დაუყენებელ B. 6 აღასრულიან C. ცხოერებისანი C. პირვე-
ლითგან C. 7 ადრითგან]წინაჲსწარვე C. 8 ჰხედავს C. 9 სრვანი]ძრვანი AC. 10 მრავალწუიმობა-
ნი B, მრავალწჳმროებანი C. 11 ტკივილითა C. 13 ცხოვრებისათჳს C. მცირეთა მათ ტანჯვა-
თა—AC. 15 სჭრინ B, ჰშჭრინ C. ერთისა ასოჲსა განკუეთითა — C. 16 ყოველსავე B.
20 მკურნალისა C. მაცხოერისა + მიმართ C. 21 მგმობრისა B. 22 გულისხმა- C. ადვილად—AB.
24 მათა C. 25 უკმრისა B. 27 —იგი- ვითარცა C. 34 დავჰბადღ C.

1* ესაია 45,7. 2* მიქა 1,12. 3* ამოს 3,6.

თუ მე ვარ, და არა არს ღმერთი ჩემსა გარეშე. მე მოვაკუდინი და მე ვაცხოვ-
ნი, მე მოვწყლი და მე განვკურნი“[1*].

არამედ არცა ერთსა შინა ამათ სიტყუათაგანსა, რომელსაცა აქუნდეს გო-
ნებაჲ და გულისჴმა-ჰყოფდეს, იპოების შესმენაჲ ღმრთისაჲ, ვითარმცა მიზეზ
და მოქმედ ბოროტისა იყო. რამეთუ რომელმან თქუა, ვითარმედ „მე დავჰბა-
დე ნათელი და ვქმენ / ბნელი“, ყოველთა დაბადებულთა დამბადებელად გა- C 101
მოაჩინებს თავსა თჳსსა და არა თუ მოქმედად ბოროტისა, რამეთუ რაჲთა არა
სთქუა, თუ სხუაჲ არს შემოქმედი დღისაჲ და ნათლისაჲ და სხუაჲ არს ღამისაჲ.
ამისთჳს თავი თჳსი თქუა ამის ყოვლისა დამბადებელად — ყოვლისავე დაბა-
დებულისა, დაღაცათუ ჩნდენ ურთიერთას წინააღმდგომად, რაჲთა არა ეძიებ-
დე სხუასა დამბადებელსა / ცეცხლისასა და სხუასა წყლისასა და არცა სხუასა A v
შემოქმედსა ჰაერისასა და სხუასა ქუეყანისასა, რამეთუ ვითარცა წინააღმდგო-
მად / ერთმანერთისა ჩანან ბუნებითა, რომელი-ესე ვიეთმე წაეკიდა და მრა- B v
ვალღმრთეებად შთავარდეს.

ხოლო იქმს მშჳდობასა და დაჰბადებს ბოროტსა: რამეთუ მშჳდობასა იქმს
შენ შორის, რაჟამს კეთილისა სწავლისა მიერ ჰყოფდეს მშჳდობასა გონებასა
შინა შენსა და დააგნეს ნებანი ჴორცთანი სულსა, რომელნი წინააღმდგომ
მისა არიან. ხოლო დაჰბადებს ბოროტსა, არა თუ იტყჳს, თუ საქმესა ბოროტ-
სა დავჰბადებო, არამედ ბოროტსა კაცსა დაჰბადებს, ესე იგი არს, ვითარმედ
შესცვალებს და სხუად სახედ მოიყვანებს, რაჲთა დაუტ/ეოს ბოროტებაჲ და C v
მიიღოს ბუნებაჲ კეთილისაჲ. რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „გული წმიდაჲ და-
ჰბადე ჩემ თანა, ღმერთო“[2*], არა თუ აწ არაარსისაგან სხუაჲ გული შექმენო,
არამედ უკეთურებათა და ბოროტთაგან დაძუელებული იგი განაახლე. და კუა-
ლად თქუმულ არს, ვითარმედ: „რაჲთა ორივე დაჰბადოს ერთად ახლად კა-
ცად“[3*], არა თუ დაბადებასა იტყჳს არაარსისაგან შექმნასა, არამედ რაჲთა,
რომელნი-იგი არიან, იგინი შეცვალნეს კეთილად.

და კუალად იტყჳს: „რომელიცა არს ქრისტეს მიერ ახალი დაბადებუ-
ლი“[4*] და კუალად მოსე წინაჲსწარმეტყუელი იტყჳს, ვითარმედ: „ამან / B 180
რაჲმე თავადმან მამამან შენმან მოგიპოვა შენ და შეგქმნა შენ და დაგბადა
შენ“[5*]. რამეთუ აჰა ესერა აქა განცხადებულად შემდგომად შექმნისა დაწე-
სებულ არს სახელი ესე დაბადებისაჲ და გუასწავებს, ვითარმედ სიტყუაჲ ესე
დაბადებისაჲ მრავალსა ადგილსა განახლებისა და კე/თილად შეცვალებისათჳს A 111
თქუმულ არს.

აწ უკუე გულისჴმა-ყავ, ვითარმედ რაჟამს მშჳდობასა იქმოდის, ესრეთ
იქმს მშჳდობასა დაბადებითა ბოროტთაჲთა, ესე იგი არს შეცვალებითა მათითა
და უმჯობესად მოყვანებითა.

და კუალად, უკუეთუ შენ მშჳდობად გუ/ლისჴმა-ჰყო დაცხრომაჲ ბრძოლა- C 102
თაჲ და ბოროტად სთქუა ჭირნი იგი, რომელნი ბრძოლათა შეუდგან — მჴედ-
რობანი შორთა ქუეყანათა, ტკივილნი, მღჳძარებანი, ოფლნი, წყლულებანი, სი-

---

1 ღმერთ B. გარეშჱ C. 2 გვ˝ჯ რნი A. 4 გულისხმა- C. იპოვების C. 10 ეძიებდეს A. 13 ერთმანერთისა—C. წარეკიდა C. მრავალღმრთეებასა C. 18 მისსა BC. იტყჳს] ესრეთ იტყჳს C. 20 შეჰსცვალებს C. დაუტევოს C. 21 ვითარმედ—C. 22 ღმერთოო C. 23 განაახლჱ C. 28 მოსჱ C. 29 რაჲმე—A. თავადმან მამამან]მამან B. მოგიპოა B. 31 გულისხმა- C. 37 გულისხმა- C. 38 შე-უდგენ B.

1* II შჯულ. 32,39. 2* ფსალმ. 50, 12. 3* ეფეს. 2,15. 4* II კორინ. 5,17. 5* II შჯულ. 32,6.

კუდილნი, წარტყუენვანი ქალაქთანი, დამონებანი კაცთანი, საწყალობელნი იგი საქმენი წარტყუენულთანი და რაოდენნი-იგი ბოროტნი შეუდგან ბრძოლათა, ვიტყჳთ, ვითარმედ სამართლითა საშჯელითა ღმრთისაჲთა იქმნებიან, რომელი მოაწევს ტანჯვათა ბრძოლათა მიერ ღირსთა ზედა ტანჯვისათა.

B v /ანუ შენ გენება-ა, რაჲთამცა არა დამწუარ იყო სოდომი შემდგომად ესეზომთა მათ ბოროტთა მათთა? ანუ რაჲთამცა არა დაცემულ იყო იერუსალემი და მოოჴრებულ იყო ტაძარი შემდგომად საშინელისა მის უფლისა მიმართ შეცოდებისა ჰურიათაჲსა? ხოლო ქმნაჲ ამათ ესევითართა საქმეთაჲ სხუებრ ვითარ ჯერ იყო, და არა ჴელითა ჰრომთაჲთა, რომელთაცა მისცეს უფალი ჩუენი მტერთა მათ ცხორებისა მათისათა ჰურიათა? საცნაურ არს უკუე, ვითარმედ სიმართლით მოიწევიან ბოროტნი იგი ბრძოლათანი ღირსთა ზედა.

და კუალად, სიტყუაჲ იგი, ვითარმედ: „მე მოვაკუდინი და მე ვაცხოვ-
C v ნიო“ — უკუეთუ გნებავს, შეი/წყნარე იგი განცხადებულითა მით ძალითა მისითა, რამეთუ შიში განაკრძალებს მარტივთა მათ სულთა.

A v /„მე ვწყლა და მე განვკურნო“ — და ესეცა კეთილ არს, უკუეთუ ვითარცა არს ცხადი ძალი მისი, ესრეთ გულისჴმა-ჰყო, რამეთუ წყლულებაჲ მოიღებს შიშსა და კურნებაჲ მოიყვანებს სიყუარულად.

არამედ ჯერ-არს შენდა, რაჲთა უმაღლესად-რე გულისჴმა-ჰყო, ვითარმედ: „მე მოვაკუდინო ცოდვისაგან“, ესე იგი არს, ვითარმედ სრულიად მოვსწყჳდო
B 181 მისგან და ვაცხოვნო სიმართლითა, რამეთუ „რაჲზომცა გარე/განი კაცი განიხრწნებოდის, შინაგანი განახლდების“[1*], ხოლო არა თუ სხუასა მოაკუდინებს და სხუასა აცხოვნებს, არამედ მასვე. რომლითა-იგი მოაკუდინებს, მით აცხოვნებს და რომლისა მიერ მოსწყლავს, მით განჰკურნებს მსგავსად იგავისა მის, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „შენ მოსწყლა იგი კუერთხითა, ხოლო სული მისი იჴსნა სიკუდილისაგან“[2*]. აწ უკუე მოიწყლვიან ჴორცნი, რაჲთა განიკურნოს სული და მოკუდების ცოდვისაგან, რაჲთა ცხონდეს სიმართლითა.

ხოლო თუ „გარდამოჴდა ბოროტი უფლისა მიერ ბჭეთა ზედა იერუსა-
C 103 ლემისათა“, ამისი ძალი ცხად/არს. რომელნი ბოროტნი? ესე იგი არს ჴმანი საჰურეელთა და მჴედართანი. და კუალად რაჟამს გესმას, ვითარმედ: „არა არს ქალაქსა შინა ბოროტი, რომელი უფალმან არა ქმნა“, გულისჴმა-ყავ ბოროტისა სახელი, ვითარმედ ტანჯვასა მას, რომელი ცოდვილთა ზედა მოიწევის განმართებად მათდა, მას მოასწავებს სიტყუაჲ ესე. რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „ბოროტი გიყავ და მოგაყმე შენ“[3*], რაჲთა კეთილი გიყო. ვიდრე არა გარდარეულ იყოს ურჩულოებაჲ, დააყენებს ვითარცა მდინარესა, წინააღმდგომითა ძლიერითა და ლობითა მტკიცითა.

5. ამისთჳს არიან სენნი ქალაქთა და ნათესავთანი, უწჳმროებანი ჰაერთანი
B v და უნაყოფოებანი/ქუეყანისანი და ყოველნივე სოფლისა ამის ჭირნი, /რო-
A 112

---

[2] რაევედენნი-იგი BC. [3] სამართალითა C. [4] რომელი] რამეთუ B. [5] გენება B. [8] საქმეთა B. [9] სხუაებრ B. [10] ცხოვრებისა C. მათისა B. [11] სამართლით C. [13] მოვაკუდინო B. ვაცხოვნო B. [17] გულისხმა- C. [19] გულისხმა- C. [22] მოაკდინებს B. [21] მოჰწყლავს B. [26] მოჰსწყლა C. [27] ცხოვნდეს C. [31] გულისხმა- C. [33] განმართლებად C. ვითარმედ—C. [35] უშჯულოებაჲ C. მდინარეთა C. წინააღმდგომთა ძლიერთა C. [36] და I°—C.

[1*] II კორინ. 4,16. [2*] იგავ. 23,14. [3*] II შჯულ. 8,3.

მელნი მოიწევიან თითოეულსა ზედა, უკეთურებისა აღორძინებასა დააყენებენ. და ესევითარნი ესე ბოროტნი ღმრთისა მიერ იქმნებიან, რაჲთა ამათ მიერ იქმნას ჴსნაჲ ჭეშმარიტთა მათ ბოროტთაგან, რამეთუ სნეულებანი ჴორცთანი და სხუანი იგი ბოროტნი დასაყენებელად ცოდვისა არიან. რამეთუ განაქარვებს ღმერთი ბოროტსა, ხოლო არა თუ ბოროტი ღმრთისაგან არს, რამეთუ მკურნალიცა განქარვებად სენისა შეეხების ჴორცთა.

/ და კუალად ქალაქთა მოოჴრებანი, ძრვანი და დაქცევანი და მჴედრო- [C v] ბათა წარწყმედანი და ნავთა დანთქმანი და ყოველნივე ერთა განხრწნანი, რომელნი იქმნენ ქუეყანისაგან, გინა ზღჳსა, გინა ჰაერისა, ანუ ცეცხლისა, ანუ რომლისამე მიზეზისა შეშინებისათჳს და მოქცევისა დარჩომილთაჲსა იქმნებიან, რაჟამს ყოვლისა ერისა უკეთურებასა ღმერთი ესევითართა მათ წყლულებათა მიერ დააცხრობდეს.

რამეთუ ჭეშმარიტი იგი ბოროტი, რომელ არს ცოდვაჲ, რომელი უფროჲს ყოვლისა ღირს არს ამას სახელსა ბოროტისასა, იგი ჩუენისა ნებისაგან არს და განზრახვისა. რამეთუ უფლებასა შინა ჩუენსა არს გინა თუ / განშორებაჲ [B 182] ბოროტისაგან, ანუ თუ ყოფაჲ ბოროტსა შინა. ხოლო სხუანი იგი ბოროტნი, რომელნი არა ცოდვა იყვნენ, იგინი რომელნიმე გამოსაცდელად და გამოსაჩინებელად ახოვნებისა იქმნებიან, ვითარი-იგი მოიწია იობს ზედა—სიკუდილი შვილთაჲ ერთსა შინა წამსა და ყოვლისავე სიმდიდრისა მეყსა შინა წარწყმედაჲ, წყლულებაჲ იგი ჴორცთა მისთაჲ. და კუალად რომელნიმე განსაკურნებელად ცოდვისა იქმნებიან, ვითარ-იგი მო/იწია დავითს ზედა—სირცხჳლი იგი სახლისა- [C 104] გან მისისა / საშჯელად ბოროტისა მის გულისთქუმისა მისისა. და კუალად მესა- [A v] მედ სხუაჲცა სახჱ ტანჯვისაჲ, მომავალი სამართლისა მის საშჯელისა მიერ ღმრთისა შეშინებისათჳს ცოდვისა მიმართ ადვილად მიმავალთაჲსა, ვითარ-იგი დათან და აბირონ ქუეყანასა დაინთქნეს, გან-რაჲ-აღო ქუესკნელმან მათ ზედა პირი თჳსი[1*]. რამეთუ აქა არა თუ რაჲმე ტანჯვისა მისგან იგინი უმჯობეს იქმნეს (რამეთუ რაჲღამცა უმჯობეს იქმნეს, რომელნი ჯოჯოხეთს შთავიდეს?), არამედ სხუანი იგი, რომელნი დარჩეს, შეშინდეს მათისა მის სახისაგან და მოიქცეს. ესრეთ დაინთქა ფარაო მჴედრებითურთ[2*], ესრეთ წარწყმდეს, რომელნი-იგი პირველ პალესტინეს შინა მკჳდრ იყვნეს. / და დაღაცათუ თქუას მო- [B v] ციქულმან, ვითარმედ: „ჭურჭელნი რისხვისანი, წარსაწყმედელად შექმნილნი“[3*], ნუმცა ვჰგონებთ, თუ ქმნულებაჲ რაჲმე ფარაოჲსი ბოროტ იყო (რამეთუ უკუეთუ ესე ვთქუათ, მიზეზი იგი შემოქმედისა მიმართ მიიწევის), არამედ რაჟამს გესმას „ჭურჭელი“, გულისჴმა-ყავ, ვითარმედ საჴმარად რაჲსამე შექმნილ არს თჳთოეული ჩუენი. და ვითარცა სა/ხლსა მას დიდსა რომელიმე [C v] ოქროჲსაჲ არს ჭურჭელი და რომელიმე ვეცხლისაჲ და რომელიმე კეცისაჲ და რომელიმე ძელისაჲ[4*] (რამეთუ თითოეულისა გონებაჲ იქმს ამათ ნივთთა

---

2 ესე—C. .6 განქარვებად სენისა]განაქარვებს სენსა C. შეეხების + რაჲ C. 9 ცეცხლსა B. 15 უფლებასა] ოლე˜ბასა B. 18 მოაწინა C. ჲობს B. 19 სიმდიდრისაჲ C. მეჴსა B. 21 ∼ დავითს ზედა მოიწია C. 23 სახე B. სამართალისა C. 24 მომართ C. 25 დაითქნეს B. ქუესკნელმან]ქუეყანამან AC. ∼პირი თჳსი მათ ზედა B. 26 იქმნნეს C. 27 ჯოჯოხეთად C. 28 სახისაგან]სახლისაგან C. 30 და—C. 31 შექმნულნი C. 34 რაჲჟამს B. გულისხმა- C. საჴმრად C. 35 თითუეული B, თითოეული C.

1* რიცხ. 16,32. 2* გამოსლ. 14,28. 3* რომ. 9,22. 4* II ტიმოთე 2,20.

მსგავსებასა: და ოქროჲსა ჭურჭელი არს წმიდაჲ საქმითა და უზაკუელი; და ვე-
ცხლისაჲ, რომელი ღირსებითა უდარეს მისა იყოს; და კეცისაჲ, რომელი
ქუეყანისასა ზრახვიდეს და შესამუსრეველად ადვილ იყოს; და ძელისაჲ, რო-
A 113 მელი ადვილად შეიგინებოდის ცოდვითა და ნივთ იქმნებოდის საუკუნ/ისა
მის ცეცხლისა), ეგრეთვე რისხვისა ჭურჭელი არს, რომელსა ყოველივე ეშმა-
კისა საქმე შეეწყნაროს და დაეტიოს, ვითარცა ჭურჭელსა, და სიმყრალისა
მისთჳს, რომელი ხრწნილებისა მისგან მიიღო, ვერღარა შემძლებელ იყოს სა-
B 183 ქმარ ყოფად, არამედ უჩინოყოფისა ოდენ და წარწყმედისა ღირს იყოს. /
ამისთჳს ვინაჲთგან უწყოდა ბრძენმან მან განმგებელმან სულთამან, ვითარმედ
შემუსრვაჲ ჯერ-იყო მისი, ესრეთ განაგო, რაჲთა დიდებულ იქმნას და ყოველ-
თა ზედა სახელოან, რაჲთა რაჟამს შეიმუსროს, სხუათა სარგებელ ეყოს ვნე-
C 105 ბაჲ მისი, ვინაჲთგან იგი ფრიადისა მის უკეთურები/საგან უკურნებელ იყო.
ხოლო განაფიცხა იგი სულგრძელებითა და დაყოვნებითა მით ტანჯვისაჲთა,
რაჲთა ესრეთ გარდაემატოს ბოროტი მისი. და რაჟამს უკუანაჲსკნელსა მას საზ-
ღვარსა აღორძნდეს მისი უკეთურებაჲ, მაშინ გამოჩნდეს მის ზედა სიმართლჱ
იგი საღმრთოჲსა საშჯელისაჲ, ამისთჳსცა მცირეთაგან სატანჯველთა დაიწყო
და აღაორძინებდა მათ ჟამითი-ჟამად. და ვერ მოდრიკა სიფიცხლე მისი, არამედ
ჰპოებდა მას, ვითარმედ კელმწიფებასაცა ღმრთისასა შეურაცხ-ჰყოფდა. და
ჭირთა მათცა, მის ზედა მოწევნულთა, დაეჩჳა და არცა ესრეთ მისცა იგი სიკუ-
დილსა, ვიდრემდის მან თჳთ დაანთქა თავი თჳსი ამპარტავანებითა თჳსითა,
იკადრა რაჲ გზასა მას ზედა მართალთასა წარვლად და ჰგონებდა, ვითარმედ,
ვითარცა ერსა ღმრთისასა, ეგრეთვე მასცა სავალ ექმნას ზღუაჲ იგი მეწა-
მული.

B v /აჰა ესერა უკუე ესე ყოველი უწყი ღმრთისა მიერ და განყოფილად გა-
A v ქუს თავსა შორის თჳსსა / სახენი იგი ბოროტისანი და უწყი, თუ რაჲ არს
ჭეშმარიტი იგი ბოროტი— რამეთუ ცოდვაჲ არს, რომლისა აღსასრული არს
C v წარწყმედაჲ, ანუ თუ რაჲ არს საგონებელი იგი ბოროტი—საჭიროდ / ხილვი-
სათჳს რომელსა აქუნდეს ძალი კეთილისაჲ, ვითარ-იგი არიან ჭირნი, დამა-
ყენებელად ცოდვისა მოწევნულნი, რომელთაჲ ნაყოფი არს ცხორებაჲ საუ-
კუნოჲ სულთაჲ.

და ვინაჲთგან ესე ყოველი უწყი, დასცხერ საქმისა მაგისგან, რომელ
არა სათნო გეყოფიან განგებანი ღმრთისანი და ყოლადვე ნუცამცა ღმერთი
შეგირაცხიეს მიზეზად ბოროტისა, ნუცა კუალად გგონიეს, თუ ბოროტისა
რაჲსამე არსებაჲ არს თჳსაგან. რამეთუ არა თუ უკეთურებაჲ არსი არს ვი-
თარცა ცხოველი რაჲმე, არცა ბუნებაჲ რაჲმე იპოების მისი არსად მოსრული,
არამედ დაკლებაჲ კეთილისაჲ არს ბოროტი. რამეთუ თუალი დაიბადა, ხოლო
სიბრმე წარწყმედისაგან თუალთაჲსა მოვალს. აწ უკუეთუმცა თუალი არა გან-
ხრწნადისა ბუნებისაჲ იყო, ვერმცა პოვა სიბრმემან ადგილი, რამეთუ არა თუ

---

[2] ღირსებით C. მისსაB]—C. [3] ჰზრახვიდეს C. [4] საუკუნოჲსა. C. [5] ცეცხლსა B. [6] საქმჱ C. [8] არამედ—C. [10] და—C. [11] და სახელოვან C. შეჲმუსროს B. [13] ტანჯვისაჲთა]სატანჯველისაჲთა C. [14] არა ესრეთ C. [15] სიმართლე B. [17] სიფიცხჱ C. [18] ჰპოვებდა C. [19] მოწევნულთა+შინა B. [22] ექმნა B, ექმნეს C. [23] იგი—C. [29] რომელთა B. [31] დაჰსცხერ C. [32] გეყოფეან C. [34] რაჲსამე]რაჲმე B. [35] იპოვების C. [36] რამეთუ თუალი]რომელი C. დაჲბადა B. ხოლო]რამეთუ C. [37] სიბრმჱ C. [38] პოა B.

არსებაჲ აქუს. ეგრეთ/ვე ბოროტსა არა თუ თჳსი არსებაჲ აქუს, არამედ დაბრმო- B 184
ბითა სულისაჲთა იქმნების. რამეთუ არცა დაუბადებელი არს, ვითარცა არს სი-
ტყუაჲ იგი ურჩულოთაჲ, რომელნი ხახიერსა მას და კეთილსა ბუნებასა თანა
სწორ ჰყოფენ ბოროტსაცა. რამეთუ უკუეთუ ორნივე დაუსაბამო არ/იან და C 106
უზეშთაეს დაბადებისა, სწორ სადმე არიან. არცა კუალად დაბადებულ არს,
რამეთუ უკუეთუ დაბადებულნი ყოველნი ღმრთისაგან არიან, ბოროტი კე-
თილისაგანმცა ვითარ იყო? რამეთუ არცა თუ შეგინებაჲ სიწმიდისაგანი არს,
არცა უკეთურებაჲ — სათნოებისაგანი.

/აღმოიკითხე „დაბადებაჲ სოფლისაჲ“ და ჰპოო, ვითარმედ მუნ „ყოვე- A 114
ლივე კეთილ არს და კეთილ ფრიად“[1*]. არა დაბადებულ არს უკუე ბოროტი
კეთილთა თანა, არამედ არცა უხილავნი იგი დაბადებულნი შერეულად ბო-
როტითა დაიბადნეს ღმრთისა მიერ. რამეთუ უკუეთუ ჴორციელთა ამათ თანა
ბოროტი არა დაიბადა, ვითარმცა დაიბადა უჴორცოთა თანა, რომელნი სიწ-
მიდითა ესრეთ უზეშთაეს არიან? არამედ იტყჳან მეტყუელნი იგი ბოროტისა-
ნი, ვითარმედ: „აჰა ესერა არს ბოროტი და საქმე მისი გამო/აჩინებს ყოფასა B v
მისსა, ვითარ ყოველსავე ზედა ცხორებასა ჩუენსა განფენილ არს. ვინაჲ არს
უკუე არსებაჲ მისი, უკუეთუ არცა დაუსაბამო არს და დაუბადებელ, არცა
დაბადებული?“.

6. ხოლო მე ვჰკითხო ესევითარისა მის მეტყუელთა, ვითარმედ: ვინაჲ
არს სენი? ვინაჲ არიან სიბრმენი თუალთანი? რამეთუ არცა დაუბად/ებელ C v
არს სენი, არცა დაბადებულ ღმრთისა. და ამას ვერვინ იტყჳს, არამედ დაიბად-
ნეს ცხოველნი ჯეროვნითა დაბადებითა ბუნებით და ცხორებაჲ მიიღეს სის-
რულითა ასოთაჲთა. ხოლო დასნეულდებიან, მი-რაჲ-დრკენ ბუნებითისაგან,
რამეთუ განვლენ სიმრთელისაგან ანუ უწესოდ მავნებელითა ჭამადითა, ანუ
სხჳთა რაჲთმე მიზეზითა, სნეულებად მომყვანებელითა.

რამეთუ საცნაურ არს, ვითარმედ ჴორცნი ღმერთმან დაჰბადნა, ხოლო
სენი არა; და სული დაჰბადა, ხოლო ცოდვაჲ არა; არამედ სული შებოროტნა,
მი-რაჲ-დრკა ბუნებითისაგან. ხოლო რაჲ იყო მისი იგი პირველი კეთილი?
ხედვაჲ განგებითა ღმრთისაჲთა და სიყუარულითა შეერთებაჲ მის თანა, რომ-
ლისაგანცა, დაეცა რაჲ, მრავალთა მათ და თითოსახეთა ბოროტთა მიერ შეპ-
ყრობილ იქმნა.

/კუალად ამას ზედა იტყჳან უჯერონი იგი, ვითარმედ: „და რად დაიბადა A v
ყოლადვე შემწყნარებელად ბოროტისა?“ და არა გულისჴმა-ჰყოფენ, ვი- B 185
თარმედ თჳთმფლობელისა მის ნებისათჳს იქმნა ესრეთ, რომელი-
იგი უმეტესად შუენის სიტყჳერსა ბუნებასა, რამეთუ განჴსნილი ყოვ-
ლისაგანვე იძულებისა და თჳთმფლობელი ცხორებაჲ მიიღო დამბადებ/- C 107
ელისაგან კაცმან ხატად ღმრთისა დაბადებისათჳს და გულისჴმა-ჰყოფს
იგი კეთილსა და იცის მიღებაჲ მისი და ჴელმწიფებაჲ აქუს და ძალი,

---

[1] ბოროტი C. [3] უშჯულოთაჲ C. სახიერისა B. კეთილისა B. [7] სიწმიდისაგან C. [8] სათ-ნოებისაგან C. [9] აღმოიკითხე C. ჰპოვო C. [13] დაიბადა 2°—C. [15] საქმე C. [16] ყოველსა C. [18] დაბადებულ C. [19] მის—AC. [21] დაბადებული B. [22] ცხოელნი B. ცხოვრებაჲ C. [23] ბუნე-ბისაგან C. [24] მავნებელთა B. [26] ~ღმერთმან ჴორცნი C. [29] ჰხედვაჲ C. განგებითა ღმრთი-საჲთა] გონებითა ღმრთისაჲ BC. სიყუარულით C. [30] მრავალთა მათ და თითოსახეთა] მრავალსახეთა და თითოფერთა C. [32] ამას ზედა—C. [33] ბოროტისაო C. გულისხმა- C. [35] ჰშუენის C. [36] იძუ-ლებისა B. მოიღო B. [37] გულისხმა- C. [38] იგი—C. მიღებაჲ—C.

[1*] დაბად. 1,31.

რაჲთა ეგოს ხედვასა ზედა კეთილისასა და წურთასა მას საცნაურთასა და ეს-
რეთ დაცვად ბუნებითისა მის ცხორებისა მისისა. და კუალად აქუს ჴელმწიფე-
ბაჲ, უკუეთუ ენებოს მიდრეკად კეთილისაგან. ხოლო ესე მოიწევის მას ზედა,
რაჟამს-იგი სიმაძღრე მიიღოს სანატრელისა მის განსუენებისაგან და სიხარუ-
ლისა და ვითარცა ძილითა დამძიმდეს და მაღალთა მათ საქმეთაგან სიმდაბლედ
მოვიდეს და გემოთა მათთჳს შეგინებულთა შეერიოს ჴორცთა.

7. იყო ოდესმე ადამ ზეცას არა ადგილითა, არამედ გონებითა. რაჟამს-
B v იგი სულიერ იქმნა და აღიხილნა ზეცად და ხილულთა / მათ მიერ მხიარულ
იქმნა, უფროჲსად უყუარდა ქველისმოქმედი იგი, რომელმან მოსცა მას ცხო-
რებისა საუკუნოჲსა საშუებელი და კეთილთა შინა სამოთხისათა განუსუენა
და მისცა მთავრობაჲ, მიმსგავსებული ანგელოზთა, და მთავარანგელოზთა თა-
A 115 ნამოზიარე ყო და მსმენელ ჴმისა მის საღმრთოჲსა. / ამას ყოველსა ზედა დამ-
C v ტკიცე/ბულ იყო რაჲ ღმრთისა მიერ და იშუებდა, აღრე განძღა ამით ყოვლი-
თა. და სიმაძღრითა მით, ვითარმცა შეურაცხ-ყო, და პატივ-სცა ჴორციელთა
მათ თუალთა მიერ ხილულსა შუენიერებასა უფროჲს საცნაურისა მის და
სიმაძღრე მუცლისაჲ უფროჲს მტკიცეთა მათ კეთილთაჲსა აღირჩია, და მეჴ-
სეულად გარეგან სამოთხისა იქმნა და გარეგან სანატრელისა მის ცხორებისა,
და არა თუ იძულებით, არამედ ნეფსით იქმნა ბოროტ. ამისთჳსცა ცოდა ნე-
ბისა მისთჳს ბოროტისა, ხოლო მოკუდა ცოდვისათჳს, რამეთუ: „ცოდვისაჲ
არს სიკუდილი“[1*], რამეთუ რაჲზომცა განეშორებოდა ცხორებისაგან, მიეახ-
B 166 ლებოდა სიკუდილსა, ვინაჲთგან / ღმერთი ცხორება არს, ხოლო განშორებაჲ
ცხორებისაგან არს სიკუდილი. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ თჳთნეფსით მო-
ატყუა ადამ თავსა თჳსსა სიკუდილი განშორებითა ღმრთისაგან, ვითარცა წე-
რილ არს, ვითარმედ: „აჰა ესერა რომელთა განიშორნეს თავნი თჳსნი შენგან,
იგინი წარწყმდეს“[2*].

და ესრეთ, არა ღმერთმან დაჰბადა სიკუდილი, არამედ ჩუენ მოვიყვანეთ
იგი თავთა ზედა ჩუენთა უკეთურებითა მით ნებათა და ვანზრახვათა ჩუენთა-
ჲთა.

C 108 ხოლო არცა დააყენა ღმერთმან დაჴსნაჲ იგი პირ/ველ თქუმულთა მათთჳს
მიზეზთა, რაჲთამცა არა სნეულებაჲ იგი უკუდავად დაამტკიცა ჩუენ ზედა, ვი-
თარცა-იგი ჭურჭელი თიჴისაჲ დაბძარული არა თავს-იდვის მეკეცემან მიცე-
მად ცეცხლსა, ვიდრემდის არა დაარღჳის და მეორედ შექმნითა მის თანა მყო-
ფი იგი ვნებაჲ განკურნის.

A v / არამედ კუალად ამას ზედა იტყჳს მეძიებელი იგი, ვითარმედ: „და რად
არა დაბადებასავე მოგუეცა უცოდველობაჲ, რაჲთა დაღაცათუ გჳნდა, ვერმცა
ძალ-გუედვა ცოდვად“?

არამედ ისმინე, რომელი ამას იტყჳ, რამეთუ შენცა არა მაშინ შე-
B v გირაცხიეს მონაჲ შენი ერთგულად, რაჟამს შეკრულად / გყვეს, არა-

---

[2] ცხორებისა] ხედვისა C. [3] მას] მის C. [4] რაჟამს C. სიმაძღრჱ C. [6] მათთჳს] მათ მიერ C. შეგინებულთა—C. შეერიოს B] შეერთოს C. [10] განისუენა AC. [11] ანგელოსთა C. მთავარანგე-ლოსთაჲ C. თანამოზიარე] და მათ თანა მოზიარე C. [12] ზედა—C. [13] აღრჱ C. [15] მათ—C. ხილულთა AC. [16] სიმაძღრჱ C. მეყსეულად BC. [17] ცხოვრებისა C. [18] ნებსით C. [21] ცხოვ-რება C. [22] თჳთნებსით C. [25] [წარწყმდენ B. [32] დაარღჳის C. [35] მოგუეცა C. დაღაცათუმცა C.

[1*] რომ. 6,23. [2*] ფსალმ. 72,27.

მედ რაჲმე იხილო, ვითარმედ ნეფსით იქმნ ნებასა შენსა. და ღმერთსაცა არა მიმძლავრებული და იძულებული უყუარს, არამედ რომელი სათნოებითა წარემართოს კაცსა. ხოლო სათნოებაჲ ნეფსით და არა იძულებით იქმნების, და ნებაჲ ჩუენ ზედა არს, ხოლო ჩუენ ზედა მყოფი იგი არს თჳთმფლობელობაჲ.

აწ უკუე რომელი აბრალობდეს დამბადებელსა, თუ რად არა იძულებით უცოდველად დაგუბადნა, იგი სხუასა არარას იქმს, არამედ ბუნებასა პირუტყუთასა პატივ-სცემს უფროჲს სიტყჳერისა მის ბუნებისა და აღუძრეველსა მას და უნებელსა — უფროჲს / ნეფსითისა ამის და მოქმედისა. C v

ესე ყოველი კეთილად თქუმულ არს, რაჲთა არა უფსკრულსა ძიებისასა შთაჰვარდე და რომელსა ეძიებდე, იგიცა ვერ ჰპოო და მის თანა ღმრთისაგანცა გამოეჴუა.

დავსცხრეთ უკუე სწავლისაგან ყოვლად ბრძნისა მის, დავსცხრეთ ძიებისაგან უმჯობესისა რაჲსამე უფროჲს საქმეთა მისთაჲსა, რამეთუ დაღაცათუ თითოეულთა განგებათა მისთა სიტყუანი და მიზეზნი უც/ნაურ არიან ჩუენ B 187 მიერ, გარნა ერთი იგი სწავლაჲ სულთა შინა ჩუენთა დავამტკიცოთ, ვითარმედ არარაჲ ბოროტი სახიერისა მისგან იქმნების.

8. არამედ კუალად ამას ყოველსა ზედა შემდგომითი-შემდგომად შემოვალს ეშმაკისათჳს ძიებაჲ, ვითარმედ სადაჲთ არს ეშმაკი, / უკუეთუ არა ღმრ- A 116 თისაგან არიან ბოროტნი? ხოლო ჩუენ რაჲ ვთქუათ? ამას ვიტყჳთ, ვითარმედ ამას ზედაცა იგივე სიტყუაჲ კმა იყო ჩუენდა, რომელი-იგი ვთქუთ კაცთა უკეთურებისათჳს, რამეთუ: სადაჲთ ბოროტ იქმნა კაცი? თჳსისა ნებისაგან. და სადაჲთ უკეთურ არს ეშმაკი? ამისვე მიზეზისაგან, რამეთუ მასცა ნეფსით ცხორებაჲ აქუნდა და ჴელმწიფებასა შინა მისსა იყო გინა თუ ღმრთისა თანა ყოფაჲ, ანუ თუ უცხოყოფაჲ სახიერისა მისგან. რამეთუ გაბრიელ ანგელოზი არს და მდგომარე / არს მარადის წინაშე ღმრთისა და სატანაცა ანგელოზი იყო C 109 და დაეცა მისისა მის პატივისაგან სრულიად. და იგიცა ნებამან მისმან კეთილმან დაიცვა ცათა შინა და ესეცა ნებამან მან თჳთმფლობელმან გარდამოაგდო ზეცით. რამეთუ მასცა ძალ-ედვა, უკუეთუმცა ენება, განდგომილებაჲ და ამასცა ძალ-ედვა არადაცემაჲ. არამედ იგი / დაამტკიცა სიყუარულისა ღმრთისა B v განუძლომელობამან, ხოლო ესე განაგდო განშორებამან ღმრთისამან. ესე არს ბოროტი იგი უცხოყოფაჲ ღმრთისაგან. რამეთუ მცირედ მოქცევაჲ თუალისაჲ ანუ მზესა თანა გუყოფს, ანუ თჳსისა აჩრდილისა: და მუნ რაჲ აღვიხილნეთ, მზა არს ნათელი განათლებად ჩუენდა და მო-რაჲ-ვხედნეთ აჩრდილსა მას, ვერღარა ვხედავთ ნათელსა მას. ესრეთ ბოროტ იქმნა ეშმაკი, რამეთუ ნეფსით მიიღო ბოროტებაჲ და არა თუ ბუნებაჲ მისი იყო წინააღმდგომ კეთილისა.

სადაჲთ არს უკუე დაუგებელი იგი მისი ჩუენდა მომართ ბრძოლაჲ? რამეთუ ვინაჲთგან შემწყნარებელ იქმნა ყოვლისავე ბოროტისა, შეიწყნარა სე-

---

[1] ნებსით C. [2] იძულებითი B. [3] ნებსით C. [7] პატივს- C. [8] უნებელსა] უვნებელსა C. ნებსითისა C. ამის]მის BC. [10] შთაჰვარდჱ C. ეძიებდჱ C. ჰპოვო C. [12] დაეჰსცხრეთ 1°2° C. [13] მისთასა B. [14] ჩუენ მიერ]ჩუენგან C. [17] კუალად—C. შემდგომითი-შემდგომად — C. [18] ეშმაკო C. [19] ბოროტნიო C. [20] იყოს C. და რომელი-იგი B. კაცისა B. [21] სადაჲ B. [22] ნებსით C. [23] თანა]სათნო C. [25] მდგომარჱ C. მარადის—C. ანგელოზ B. [26] მისისა] თჳისისა B. [29] მასცა]მას B. და ამასცა ძალ-ედვა არადაცემაჲ—AC. [33] მო-რაჲ-ვჰხედნეთ B. [35] ბუნებაჲ]ნებაჲ C. [37] ბრძოლაჲო B. [38] შემმწყნარებელ C.

ნიცა შურისაჲ და გუეშურებოდა პატივსა მას ჩუენსა. რამეთუ ვერ თავს-
A v იდვა უჭირველი იგი სამოთხეს შინა / ცხორებაჲ ჩუენი, არამედ ზაკუვით აც-
C v თუნა კაცი ღო/ნისძიებით და გულისთქუმაჲ მისი, რომელი აქუნდა მსგავსე-
ბად ღმრთისა, იგი საცთურებად იჴმარა და უჩუენა ძელი იგი და აღუთქუა
ჭამითა მისითა ღმერთ ყოფად მათდა, რამეთუ ჰრქუა, ვითარმედ: „უკუეთუ
B 188 სჭამოთ, იყ/ვნეთ თქუენ, ვითარცა ღმერთნი, მეცნიერ კეთილისა და ბორო-
ტისა“[1*]. ხოლო არა თუ მტერად ჩუენდა დაიბადა, არამედ შურითა მტერ ჩუენ-
და იქმნა, რამეთუ ხედვიდა თავსა თჳსსა ანგელოზთაგან გარდამორდომი-
ლად, ვერ თავს-იდებდა ხედვად მიწისაგანისა მის პატივისა მიმართ ანგელოზ-
თაჲსა ამაღლებასა წარმართებითა.

9. ვინაჲთგან უკუე იქმნა მტერ, მიერითგან დაამტკიცა ღმერთმან
ჩუენ შორის მტერობაჲ მისი, ამისთჳსცა მჴეცსა მას, რომელმან ჰმსახურა მას,
ეტყოდა და მისა მიმართ მიაწევდა რისხვასა მას, ვითარმედ: „მტერობაჲ დავ-
დვა შორის შენსა და შორის თესლისა მისისა“[2*]. რამეთუ ჭეშმარიტად სავ-
ნებელ არს დაგებაჲ უკეთურისაჲ, რამეთუ რჩული ესე მოყუარებისაჲ მსგავ-
სებისა მიერ შეერთებულთა მათ შორის იხილვების, ამისთჳს კეთილად თქუმულ
არს, ვითარმედ: „განხრწნიან წესნი კეთილნი ზრახვათა ბოროტთა“[3*] რამეთუ
C 110 ვითარცა ქუეყანათა მათ ხორშაკისათა საფშჳნეელით მცირედ-მცი/რედ შემა-
ვალი იგი ჰაერი უცნაურად სენსა იქმს მუნ მყოფთა თანა, ეგრეთვე ჩუეულე-
B v ბაჲ უკეთურთა სიყუარულისაჲ დიდსა ბოროტსა დაუტეობს / სულსა შინა,
დაღაცათუ მას ჟამსა უცნაურ იყოს ვნებაჲ იგი. ამისთჳს უკუე დაუგებელი
A 117 მტერობაჲ მოგუეცა გუელისა მიმართ, ხოლო უკუეთუ ჰურჭელი / იგი ესრეთ
ღირსი სიძულილისაჲ არს, ვითარ არა უფროჲსად ჯერ-არს სიძულილი მოქ-
მედისაჲ მის?

არამედ იტყჳან ვიეთნიმე, ვითარმედ: „და რად იყო სამოთხესა შინა ძელი
იგი, რომლისა მიერ იქმნებოდა ეშმაკისაჲ ჩუენ ზედა ჴელყოფაჲ? რამეთუ
უკუეთუმცა არა აქუნდა ურჩებისა იგი მიზეზი, ვითარმცა შთავეყარენით
ურჩებისა მიერ სიკუდილად?“.

ხოლო გულისჴმა-ყავთ, რამეთუ ჯერ-იყო მიცემაჲ მცნებისაჲ გამომცდე-
ლისა მორჩილებისა ჩუენისაჲ, ამისთჳს იყო ხე, ნაყოფთა შუენიერთა მომ-
ღებელი, რაჲთა განყენებითა მით გულისსათქუმელისაჲთა გამოვაჩინოთ კე-
თილი იგი მარხვისაჲ და ესრეთ გჳრგჳნთა მათ მოთმინებისათა სამართლად
ღირს ვიქმნეთ. ხოლო შეუდგა ჭამასა მას არა ურჩებაჲ ოდენ მცნებისაჲ, არა-
C v მედ ცნობაჲცა სიშიშული/საჲ, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „ჭამეს და განეხუ-
ნეს თუალნი მათნი და ცნეს, ვითარმედ შიშუელ არიან“[4*]. ხოლო ჯერ-იყო
B 189 არაცნობაჲ სიშიშულისაჲ მის, რაჲთა არა ზრუნ/ვიდეს კაცი ნაკლულევანებისა
მის აღსრულებასა მოპოვნებად სამოსლისა ნუგეშინისსაცემელად სიშიშულისა
მისისა და ზრუნვითა მით ჴორცთაჲთა ღმრთისა მიმართ ხედვისაგან დაიხრწეო-
დის.

---

[6] სჭამოთ B. [8] ჰხედვიდა C. გარდამოერდომილად C. [9] ანგელოსთაჲსა C. [10] ამაღლე-
ბასა C. [13] მისსა BC. [15] შჯული C. მოყუარეობისაჲ B, მოყურობისაჲ C. [18] საშჳნეე-
ლით C. [20] დაუტევობს C. [22] მოგუცა C. [25] და—AC. ~ძელი იგი სამოთხეს შინა B. [26] ეშმა-
კისა B. [28] სიკუდილსა C. [29] გულისხმა- C. მცნებისა B. [31] გულისსათქუმელისაჲთა] გულის-
თქუმისაჲთა C. [33] ვიქმნნეთ C. [34] ვითარმედ—AC. [36] ნაკლულევანისა C. [38] მისისაჲ AB.
მიმართ] მიერ A.

[1*] დაბად. 3,5. [2*] დაბად. 3,15. [3*] შდრ. I კორინ. 15,33. [4*] დაბად. 3,7.

იტყჳან უკუე, ვითარმედ: „და რად არა მეყსეულად დაიბადა მის ზედა სამოსელი?“.

არამედ ისმინეთ, ვითარმედ არა ჯერ-იყო ესე, არცა შუენიერ, რაჲთამცა ანუ ბუნებითნი სამოსელნი აქუნდეს, ანუ ჴელოვნებისა ქმნილნი. რამეთუ ბუნებითნი პირუტყუთა შუენიან ფრთენი და თმაჲ და სიზრქჱ ტყავისაჲ თავს-დებად ზამთრისა და ტჳრთვად სიცხისა, რომელთა შორის არარაჲთა / A v ჰმატს ერთი მეორესა, არამედ სწორ არს პატივითა ბუნებაჲ მათი. ხოლო კაცსა შუენოდა, რაჲთამცა შემსგავსებულად ღმრთისა მიმართ სიყუარულისა მისისა შეცვალებულნიცამცა აქუნდეს ნიჭნი იგი კეთილთანი. ამისთჳს არა ჯერ-იყო, რაჲთამცა ბუნებით აქუნდა სამოსელი. და კუალად, უკუეთუმცა ჴელოვნებით / მოსაპოვნებელად მიცემულ იყო მისდა პირველითგან, იგიცა მომატყუებელ უცალოებისამცა ქმნილ იყვნეს, რომელი-იგი უმეტესად სალტოლველ იყო კაცისა, ვითარცა მავნებელი. ამისთჳსცა უფალი ცხორებად სამოთხესავე მიმიწოდს ჩუენ / და განსდევნის ზრუნვასა სულთაგან ჩუენთა და იტყჳს: „ნუ C 111 B v ზრუნავთ, თუ რაჲ შჭამოთ, ანუ რაჲ შეიმოსოთ“[1*]. |

არცა უკუე ბუნებით ჯერ-იყო მიცემად მისა სამოსლისა, არცა ჴელოვნებითა, არამედ სხუანი სამოსელნი განმზადებულ იყვნეს მისდა, უკუეთუმცა დაემარხა სათნოებაჲ, ესე იგი არს მადლითა ღმრთისაჲთა ქმნილნი, რომელთა გამობრწყინვებაჲ ეგულებოდა კაცსა ზედა, სამოსელნი ნათლისანი, ვითარნი-იგი არიან ანგელოზთანი: უშუენიერეს ყუავილთა სიკეთისა, უბრწყინვალეს და უწმიდეს ვარსკულავთა შუენიერებისა. ამისთჳს არა მეჴსეულად, დარაჲ-იბადა, მიეცნეს კაცსა სამოსელნი, რამეთუ მისაგებელნი სათნოებისანი დამარხულ იყვნეს მისდა და მაშინ მიეცემოდეს, რომელსაცა ვერ მისწუდა განსაცდელითა მით ეშმაკისაჲთა.

აწ უკუე ვინაჲთგან იქმნა დაცე/მაჲ ჩუენი, მბრძოლ ჩუენდა არს ეშმაკი, C v რამეთუ უფალმან განაგო ჩუენი მისა მიმართ ბრძოლაჲ, რაჲთა მორჩილებისა ამის მიერ ძლევაჲ იგი უკუნ-ვაქციოთ / და ვსძლოთ მას და გჳრგჳნოსან ვიქმნეთ ძლევითა მისითა. A 118 რამეთუ ნეტარ თუმცა არა ეშმაკ ქმნილ იყო, არამედ და-მცა-დგრომილ იყო წესსა მას ზედა, რომელსა პირვე/ლითგან განეწესა დამბადებელისა მიერ. B 190 ვინაჲთგან უკუე განდგომილ იქმნა, გამოჩნდა მტერად ღმრთისა და მტერად კაცთა, ხატად ღმრთისა დაბადებულთა (რამეთუ ამისთჳს კაცთმოძულე არს, ვინაჲთგან ღმრთისა მბრძოლი არს და ვსძულთ ჩუენ, ვითარცა დაბადებულნი ღმრთისანი, და კუალად ვსძულთ, ვითარცა მსგავსებად ღმრთისა ქმნულნი). ხოლო იჴმარა უკეთურებაჲ მისი გამოსაცდელად სულთა ჩუენთა სიბრძნით განმგებელმან მან ყოვლისამან და წინაჲსწარ ცნობით, ვითარცა-იგი მკურნალმან გესლი იქედნისაჲ წამლად იჴმარის.

---

[1] მეყსეულადვე C. დაჲბადა B. სამოსელიო C. [3] და არცა C. [4] ქმნულნი C. [5] ჰშუენიან C. სიზრქე B. [8] ჰშუენოდა C. [9] კეთილნი C. და ამისთჳს B. [13] სამოთხესვე C. [15] ჰზრუნაეთ C. თუ—C. სჭამოთ B. შეჲმოსოთ B. [16] მისსა C. [19] გამობრწყინებაჲ B. ვითარ-იგი C. [20] ანგელოსთანი C. უშუენიერესნი C. უმბრწყინვალეს C. [21] მეყსეულად C. [20] მისსა C. [27] უკუ-ვაქციოთ B. ვიქმნე B, ვიქმნნეთ C. [28] რამეთუ]გარნა C. [29] განიწესა B. [31] კაცთმოძულჱ C. [32] ღმრთის· BC. მბრძოლ C. ვითარცა—C. [34] ქმნილნი BC. [35] ყოვლისაგან B.

[1*] მათე 6,25.

გუკითხვენ უკუე ვიეთნიმე, ვითარმედ: „და რაჲ არს ეშმაკი? და რაჲ არს განწესებულებაჲ მისი? და რაჲ არს პატივი მისი? და ვინაჲ სატანა სახელ-ედვა მას?"

სატანა უკუე ეწოდა, რამეთუ წინააღმდგომი არს კეთილისაჲ, რამეთუ ეს/[C 112]რეთ მოასწავებს ენაჲ ჰურიათაჲ, ვითარმედ სატანა წინააღმდგომიო. ვითარცა მეფეთა წიგნსა შინა გჳპოვნიეს, ვითარმედ: „აღუდგინა ღმერთმან სოლომონს სატანა ადერ, მეფჱ ასურთაჲ"[1*]. ხოლო ეშმაკად სახელ-ედების, რამეთუ შემასმენელი არს, რამეთუ ეშმაკი შემასმენელად გამოითარგმანების, ვინაჲთგან იგი იქმნების /[B v] შემწე ჩუენდა ცოდვისა მიმართ და კუალად იგივე შემასმენელ და უხარის წარწყმედასა ზედა ჩუენსა და კუალად განაქიქებს საქმეთა ჩუენთა. ხოლო ბუნებაჲ მისი უჴორცო, სიტყჳსა მისებრ მოციქულისა, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „არა არს ბრძოლაჲ ჩუენი სისხლთა მიმართ და ჴორცთა, არამედ სულთა მიმართ უკეთურთა"[2*].

/[A v] და პატივი მისი მთავრობა არს, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „მთავრობათა მიმართ და ჴელმწიფებათა სოფლისმპყრობელთა მათ ბნელისათა"[3*]. ხოლო ადგილი არს მთავრობისა მისისაჲ ჰაერნი. რამეთუ იგივე მოციქული იტყჳს, ვითარმედ: „მთავრისაებრ ჴელმწიფებისა აერისა სულისა, რომელი აწ იქმს ძეთა მათ თანა ურჩებისათა"[4*]. ამისთჳსცა სოფლისაცა მთავარ ეწოდების, რამეთუ ქუეყანისა არს მთავრობაჲ მისი. და ესრეთ იტყჳს უფალი, ვითარმედ: „აწ საშჯელი არს სოფლისაჲ, აწ მთავარი იგი ამის სოფლისაჲ განვა/[C v]რდეს გარე"[5*] და კუალად იტყჳს: „მოვალს მთავარი ამის სოფლისაჲ და ჩემ თანა პოოს არარაჲ"[6*].

10. ვინაჲთგან უკუე თქუმულ არს მჴედრობისათჳს ეშმაკისა, ვითარმედ: „სულ ნი არიან უკეთურნი ცასა ქუეშე"[7*], უწყებაჲ ჯერ-არს, ვითარმედ წერილი ჩუე/[B 191]ულებით ჰაერსა სახელ-სდებს, ვითარ-იგი იტყჳს, ვითარმედ: „აღვლენედ ცადმდე". და ვითარმედ: „მფრინველნი ცისანი"[8*]. რამეთუ ითქუა, ვითარმედ „აღვლენედ ცადმდე"[9*], ესე იგი არს, თუ სიმაღლედ აღვლენ. ამისთჳსცა ქრისტემან იხილა ეშმაკი, ვითარცა ელვაჲ გარდამორდომილი[10*], ესე იგი არს, ვითარმედ თჳსისა მთავრობისაგან დაცემული და ქუეყანად მოსრული, რაჲთა დაითრგუნოს მოსავთა მიერ ქრისტესთა, რამეთუ მისცა მან ჴელმწიფებაჲ თჳსთა მოწაფეთა დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა და ყოველსა ძალსა მტერისასა[11*]. ვინაჲთგან უკუე განვარდა ბოროტი იგი მძლავრობაჲ მისი და განწმდა სოფელი ვნებითა მით ჯუარისაჲთა, რომელმან ყო მშჳდობაჲ ქუეყანისათა შორის და ცისათა[12*], ამიერითგან გუექადაგების ჩუენ სასუფეველი ცათაჲ, რამეთუ იოვანე /[A 119] იტყოდა, ვითარმედ:

---

1 და 1°—AC. და 2°] ანუ B. 3 და რაჲ არს პატივი მისი—C. 4 ეწოდა+მას C. 5 მასწავებს C. 7 მეფე B. 9 შემწჱ C. 10 ~ ჩუენსა ზედა C. 12 არაჲ B. 14 მთავრობაჲ C. ვითარმედ—AC. 15 ჴელმწიფეთა B. მათ —C. 16 არს—B. ჰაერი C. 17 ჰაერისა BC. 18 ამისთჳს B. 19 ქუეყანისაჲ C. 20 არს + ამის C. გარჱ C. 21 პოვოს C. 24 ქუეშჱ C. 25 სახელს- C. 26 ცადმდჱ C. და ვითარმედ მფრინველნი... აღვლენედ ცადმდე—C. 27 ავლენ B. 28 გარდამოვრდომილი C. 29 მთავრობისაგან] სამთავროებისაგან C. 30 მისრული C. 34 ქუეყანისათა B. ზეცისათა C. 35 იოვანე B, იოვანჱ C. ვითარმედ—AB.

1* III მეფ. 11,14. 2* ეფეს. 6,12. 3* ეფეს. 6,12. 4* ეფეს. 2,2. 5* იოანე 12,31. 6* იოანე 14,30. 7* ეფეს. 6,12. 8* მათე 6,26. 9* ფსალმ. 106,26. 10* ლუკა 10,18, 11* ლუკა 10,19. 12* კოლას. 1,20.

„მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ“[1*] და უფალი ყოველსა ადგილსა სახა-
რებასა მას სასუფეველისასა ქადაგებდა და კუალად, ამისა უწინარეს ანგე-
ლოზნი ღაღადებდეს: / „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა C 113
მშჳდობაჲ“[2*] და კუალად, რომელნი-იგი იხარებდეს იერუსალემს შესლვასა
მას ზედა უფლისასა, იგინი იტყოდეს: „მშჳდობაჲ ცათა შინა და დიდებაჲ მა-
ღალთა შინა“[3*] და ესრეთ მრავალ არიან ძლევისა იგი გა/ლობანი, რომელნი B v
სრულიად დაცემასა მას მტერისასა მოასწავებენ, ვიდრემდის არცა ერთიღა
ბრძოლაჲ და წინააღმდგომი არს ჩუენი ზეცად აღსლვისაჲ და არცა ვინ და-
მაყენებელ სანატრელისა მის ცხორებისაგან, არამედ უჭირველად გუაქუს
სამკჳდრებელი ცხორებისაჲ და შემდგომთა ამათ ჟამთა მოღებად ძელისა
მისგან ცხორებისა სამარადისოდ, რომლისაგან მიღებად პირველ განზრახვი-
თა მით გუელისაჲთა დავეყენენით. რამეთუ „დაადგინა ღმერთმან ქერობინი
და მახჳლი შემწუველი იქცევის ცვად გზასა მას ძელისა ცხორებისასა“[4*],
რომელი-იგი წარვლოთ ჩუენ დაუყენებელად და შინაგან შევიდეთ საშუებელ-
თა მათ კეთილთა ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დი-
დებაჲ და სიმტკიცჱ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

VII. / თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი მრისხანეთათჳს C 139

1. ვითარცა სწავლანი იგი მკურნალთანი რაჟამს კეთილად და ჴელოვნე-
ბით იქმნებოდინ, შემდგომად გამოცდისა განცხადნის სარგებელი მათი, ეგ-
რეთვე სულიერნი სწავლანი არიან. რამეთუ რაჟამს მცნებათა მათ ეწამოს / B 192
საქმე, მაშინ გამოჩნდების სიბრძნე იგი და სარგებელი მათი სრულყოფად
მორჩილთა მათთა. რამეთუ გუესმოდა „იგავთა სოლომონისთაჲ“, ვითარ გან-
ცხადებულად ღაღადებს, ვითარმედ: „რისხვაჲ წარსწ/ყმედს ბრძენთაცა“[5*] და C v
კუალად გუესმოდა / სწავლაჲ იგი მოციქულისაჲ, რომელი იტყჳს: „ყოველივე A v
რისხვაჲ და გულისწყრომაჲ და ღაღადებაჲ შორს ყავთ თქუენგან“[6*], ვითარ-
ცა შუენის წმიდათა და უფალი იტყჳს, ვითარმედ: „რომელი განრისხნეს
ცუდად ძმისა მიმართ, თანამდებ არს საშჯელისა“[7*].

ხოლო აწ რაჟამს გამოცდილებით ვცანთ ვნებაჲ ესე, რომელი-იგი არა
ჩუენ შორის იქმნა, არამედ გარეთ მოიწია, ვითარცა ნიავქარი მოულოდებე-
ლი, მერმე გულისჴმა-ვყავთ საკჳრველებაჲ იგი საღმრთოთა მათ მცნებათაჲ.
რაჟამს ჩუენ რისხვასა ადგილ-ვეცით, ვითარცა მდინარესა მძაფრსა განსავალი,
და ვხედევდით დაყუდებით უშუერსა მას შფოთსა ვნებისა ამის მიერ შეპყრო-

---

PG, 31, გვ. 353—372.

[2] ამისსა BC. ანგელოსნი C. [3] ღმერთსა—AC. [9] ცხოვრებისაგან C. [10] ცხოვრებისაჲ C. და—B. [11] ცხოვრებისა C. [12] დავიყენენით B. ქერაბინი B. [13] ცხოვრებისასა C. [14—15] საშუებელსა მას კეთილთასა B. [16] სიმტკიცე B[1]+თანა მამით და სულით წმიდითურთ C. ა˜ნ AB, ამინ C. [17] წმიდისა + და ნეტარისა C. ბასილისი]ბასილი კესარია-კაბადოკიელ მთავარეპისკოპოსისაჲ C. მრისხანეთათჳს + თავი Ჱ გკ˜ხნ მ˜მო C. [19] განაცხადის C. [21] საქმჱ C. სიბრძნჱ C. [23] წარჰსწყმედს C. [24] იგიცა C. [26] ვითარმედ—A. [29] ვცნათ C. [30] მერმჱ C. გულისხმა-ყავ C. მცნებათა B. [31] -ესცით C. მძლაფრსა B, მძლავრსა C. [32] ამის]მის B]—C. შეპყრობილთაჲსა C.

[1*] მათე 3,2. [2*] ლუკა 2,14. [3*] ლუკა 19,38. [4*] დაბად. 3,24. [5*] იგავ. 15,1. [6*] ეფეს. 4,31. [7*] მათე 5,22.

ბილთასა და ვცანთ საქმით ჭეშმარიტებაჲ იგი სიტყუსა სოლომონისი, რომე-
ლი იტყჳს, ვითარმედ: „კაცი მრისხანე არა შუენიერ არს“[1*]. რამეთუ რა-
ჟამს ერთგზის დააბნელოს გონებაჲ ვნებამან ამან და თავადისა მის სულისა
B v ძა/ლი დაიპყრეს, ყოვლითურთ მჴეცად გარდააქცევს კაცსა და არცა კაცთა
ბუნებასა ზედა ყოფად შეუნდობს, რომელსა არღარა აქუნ სიტყჳსაგან შეწევ-
C 140 ნაჲ. რამეთუ ვითარცა გესლიანთა მათ ქუეწარმავალთა თა/ნა არს გესლი, ეგ-
რეთვე მრისხანეთა თანა—გულისწყრომაჲ, რამეთუ ყეფენ ვითარცა ძაღლნი,
უცემენ ვითარცა ღრიაკალნი, უკბენენ ვითარცა გუელნი. იცის წერილმანცა
ამის ვნებისა მიერ შეპყრობილთა სახელითა მით მჴეცთაჲთა წოდებად, რო-
მელთა მიამსგავსნეს თავნი მათნი უკეთურებისა მიერ, რამეთუ ძაღლად გან-
ცოფებულად[2*] და გუელად, ნაშობად იქედნეთა[3*], უწესს მათ წერილი. რამე-
თუ რომელნი მზა არიან ვნებად მოყუსისა ბოროტისყოფად ერთმანერთი-
A 120 სა, სამართლად შეირაცხვიან გუელთა / თანა წამლიანთა, რომელთა-იგი დაუგე-
ბელად აქუს ბუნებით კაცთა სიძულილი.

გულისწყრომისა მიერ იქმნეს ენანი უაღჳროდ და პირნი დაუჴშველ და
ჴელნი დაუმჭირველ; გინებანი და ყუედრებანი და ბოროტისმეტყუელებანი
B 193 და წყლულებანი და სხუანი იგი ბოროტნი, რომელთა რიც/ხჳცა არა არს, ყო-
ველნი იგი გულისწყრომისა და რისხვისა ნაშობნი არიან. გულისწყრომისა
მიერ მახჳლნი ილესვიან, სიკუდილი კაცისაჲ ჴელითა კაცისაჲთა იქმნების, ამის
მიერ ძმათა ერთმანერთი ვერ იცნეს და მშობელთა და შვილთა ბუნებაჲ დაი-
C v ვიწ/ყეს. რამეთუ განრისხებულნი პირველად თჳსთა თავთა ვერ იცნობენ და
მერმე ყოველთავე მეგობართა. რამეთუ ვითარცა ღუარი მძაფრი, ჴევსა შინა
მიმავალი, ყოველსავე, რომელიცა წინაშე მისა პოოს, წარიღებს, ესრეთ არიან
აღძრვანი იგი განრისხებულთანი, იძულებითნი და დაუმჭირველნი, ყოველთა
ზედა ერთსახედ მიიწევიან.

არცა მჴცენი პატიოსან არიან განრისხებულთა წინაშე, არცა სათნოებაჲ
ცხორებისაჲ, არცა თჳსებაჲ ნათესაობისაჲ, არცა პირველ ქმნილნი კეთილნი,
არცა სხუაჲ რაჲმე პატივისა ღირსთაგანი. გულისწყრომაჲ სიცოფე არს, რა-
მეთუ რომელნიმე თჳსთაცა თავთა ზედა მრავალთა ბოროტთა მოაწევენ, რა-
ჟამს-იგი მოსწრაფებითა მით მეორისა ბოროტისყოფისაჲთა თავნი თჳსნი უდებ
B v ყვნიან. რამეთუ ვითარცა ტრფიალებისა მიერ ბოროტისა, ესრეთ / ჴსენებითა
მით შემაწუხებელისაჲთა იწერტებოდიან და ბორგნ გულისწყრომაჲ მათი მათ
A v შორის და ჰკრთებინ. და არა დასცხრიან, ვიდრე არა / მიაგიან ბოროტი შემა-
წუხებელსა მას, და ნუუკუე უმეტესი ბოროტი თჳთ მათ მიიღიან, ვითარცა-იგი
C 141 სიმაღლეთაგან დიდთა გარდ/ამოერდომილთა რათმე მრავალგზის უფროჲსი
ევნოს, ვიდრელა ავნიან, რაჟამს ნივთთა წინააღმდგომთა შემთხუევითა შეი-
მუსრნიან.

2. ვინ-მე უძლოს თქუმად ბოროტთა მათ რისხვისათა? ვითარ მრისხანე-

[1] ვცანთ C. [2] მრისხანე C. [3] ამან] მან B. [5] არღარაჲ C. აქუს C. [6] ქუეწარმავალთა C. [8] ღრიაკალი A. გუელი A. [11] რამეთუ—A [13] შეირაცხვიან] შერაცხილ არიან C. წამლეანთა C. დაუგებელი C. [15] იქმნნეს C. [17] რიცხჳ A. [20] და 2°—B. [22] მერმე C. [23] მისსა AC. პოვოს C. [24] აძულებითნი B. და—B. [25] მიიწეეინ B, მოიწევიან C. [26] არცა]არა BC. [27] ცხოვრებისაჲ C. ნათესავობისაჲ BC. [28] პატივისაჲ B. სიცოფე AC. [33] დასცხრებინ C. [35] გარდაერდუმილთა B. უფროესი B. [36] შეჲმოსრნიან B.

[1*] იგავ. 11, 17. [2*] ესაია 56,10. [3*] მათე 23,33.

ნი კნინითა მიზეზითა აღეგზნიან, ჴმობდიან და ველურ იყვნიან და რომლისა
წამლიანისა იძრვისისა არა უძჳრესად ზედა-მიუვიდოდიან და არა დაჲყუდნიან,
ვიდრე არა დიდისა ბოროტისა მიერ, ვითარცა პერული წყლისაჲ, ესრეთ რი-
სხვაჲ მათი განსთქდის და აღგზებული იგი გულისწყრომაჲ განვიდის. რამეთუ
ვერცა მახჳლი, ვერცა ცეცხლი, ვერცა სხუაჲ რაჲმე საშინელთაგანი ჴმა არს და-
ყენებად გულისწყრომისა მიერ განცოფებულისა სულისა უფროჲს, ვიდრელა
ეშმაკეულთა, რომელთა არარაჲთ განყო/ფილ არიან მრისხანენი — არცა სახი- B 194
თა, არცა გონებითა.

რამეთუ სურინ რაჲ ბოროტისყოფად, აღდუღდის სისხლი იგი გულისაჲ,
ვითარცა მძლავრებაჲ ცეცხლისა, მოტყინარისა და მძაფრისაჲ და სახჱ იგი
შინაგანი გარეგანცა გამოვიდის და სხჳთა სახითა შეცვალის განრისხებული
იგი / და არღარა აქუნ პირველი სახჱ მისი, ვითარცა სამღერელსა შინა იცვა- C v
ლებოდიან რაჲ კაცნი სხუად სახედ. და თუალნი მათნი თჳსნი იგი და ბუნე-
ბითნი არღარა იყვნიან, არამედ განცოფებულის სახედ ხედვიდიან, ცეცხლის
ფერად შეიცვალნიან და ილესვედ კბილთა, / ვითარცა ეშუნი, ბრძოლად მიმა- A 121
ვალნი. პირი მათი ღჳძლისფერ არნ და სისხლისფერ, გუამი განსივნებინ, ძარ-
ღუნი განიპებოდიედ შინაგანისა მის ღელვისაგან და ამბოხებისა სულისა,
ჴმაჲ მათი ფიცხელ არნ და უწესო და სიტყუაჲ, უჴერო და ამაოდ გამომავალი,
არა წესიერად და შუენიერად გამოვალნ. ხოლო რაჟამს-იგი უზომოებად გარ-
დაერიის, ვითარცა ალი ნივთისა სიმრავლითა, მრისხანეთა მათ რისხვაჲ, მა-
შინ გა/მოჩნდებიედ სიტყუნი გამოუთქუმელნი იგი და სმენად მოუთმენელნი B v
საქმენი: ჴელნი განმარტებულნი ძმასა ზედა და ყოველთავე ასოთა ზედა
მიმავალნი. და ფერჴნი ურიდად საკრძალავთა მათ ასოთა მცემელნი და ყო-
ველი, რომელიცა ეპოის, საჭურველ სიცოფისა მის იქმნის.

უკუეთუ კულა / ეშმაკისა მიერ მეორისაგანცა კერძისა მსგავსი მათი პოიან, C 142
მაშინ შეემთხჳნიან ურთიერთას და ქმნიან, რაჲცა-იგი ჯერ-არს ესევითარისა ეშ-
მაკისა მიერ ქმნაჲ. რამეთუ განრყუნანი ასოთანი და მრავალგზის სიკუდილნიცა
სასყიდლად რისხვისა მიიღიან მრისხანეთა. რამეთუ ერთმან მან ქმნის და-
წყებაჲ ჴელი ბოროტისა მიყოფისაჲ და მეორემან მან ნაცვალი უყვის, და
კუალად მან სცის მას და მან კუალად არა თავს-იდვის, და ჴორცნი წყლულე-
ბითა დაიჳრებოდიედ, ხოლო გულისწყრომაჲ წყლულებასა ვერ გულისჴმა-
ჰყოფნ, რამეთუ არა სცალნ ცნობად წყლულებისა, რაჟამს ყოვლითურთ სული
მათი ბოროტისყოფად შემაწუხებელისა მის აღძრულ არნ.

8. არამედ ნუ ჰკურნებთ ბოროტსა ბოროტითა, ნუცა ისწრაფით, / რაჲ- A v
თამცა უკეთურებითა ერ/თიერთსა წარჰჴედით, რამეთუ ჴდომასა შინა ბო- B 195
როტსა უუბადრუკეს. არს, რომელმანცა სძლოს, რამეთუ წარვიდის
იგი სავსე უმეტესითა ცოდვითა. ნუმცა იქმნები აღმასრულებელ ბო-
როტისა მის ზიარებისა, ნუცა ბოროტისა მის სესხისა უბოროტესი მიმცე-

---

[1] აღეგზნნიან C. და1°—A. რომელსა B. [2] წამლეანისა BC. მივიდოდიან BC. დაეყოდნიან B. [7] არარაჲთა BC. [9] ჰსურინ C. ბოროტისა B. [10] მძლაფრისაჲ B. სახე B. [11] სახითა]სხუაჲ C. [12] პირველი+იგი C. [13] და1°—C. [14] ჰხედვიდიან C. [15] ილესვიედ BC. [18] სიტყუა B. [19] და არა C. გარდაერიოს C. [24] რომელი C. ეპოვის C. სიცოფისა τῆ μανίᾳ]სიცრუისა C. მის]მისისა C. [25] კულა] კლ῀ადცა C. მეორისა კერძისაგანცა C. პოვიან C. [26] შეიმთხუენიან C. რაჲცა-იგი]რაჲცა C. [28] მან—B. [29] ბოროტის C. მან—B. [31] გულისხმა-C. [35] ერთიერთსა]ურთიერთას C. [37] სავსჱ C. [38] უბოროტესისა C.

C v მელი. / არამედ უკუეთუ იგი განრისხნა და გაგინა, დააყენე ბოროტი იგი დუმილითა. ხოლო შენ, რომელი-ეგე, ვითარცა ღელვასა, რისხვასა მისსა გულად თჳსად შეიწყნარებ და ქართა მიემსგავსები, რომელნი-იგი ნაცვალად ქროლითა მეორისა მის მიერ ქარისა მათდა მისრულსა უკუნ-აქცევენ. ნუ მასწავლელად იჳმარებ მტერსა, ნუცა რომელი-იგი გძულს, მას იქმ. ნუცა იქმნები ვითარცა სარკე მრისხანისა მის და მისსა მას ფერსა თავსა შორის შენსა აჩუენებდე. ანუ იგი განწითებულ არს-ა? — ხოლო შენ არა მეწამულ ხარ-ა? თუალნი მისნი ველურ არიან? — ხოლო შენნი დაწყნარებით ხედვენ-ა? ჴმაჲ მისი უწესო არს? — ხოლო შენი წესიერ არს-ა? არცა თუ უდაბნოსა შინა უკაცრულსა აღმოსრული ჴმაჲ ესრეთ მრთელადვე მეტყუელისა მის მიმართ მიიქცევის, B v ვითარ მაგინებელისა მიმართვე მივალს გინებაჲ იგი. / და უფროჲსად, ჴმაჲ იგი ვითარი განვიდეს, ეგევითარივე მიიქცის მეტყუელისა მის, ხოლო გინებაჲ შემატებულად მოიქცის მაგინებელისა მის. რამეთუ იხილე, ვითარ ეტყჳან C 143 ურთიერთას გინებათა მრისხანენი? ერთმან მან სახელ-სდვის შე/ურაცხი შეურაცხთაგან და მეორემან მან — პურისმთხოველთა პურისმთხოველი: ამან სახელს-სდვის გლახაკად და მან — მიმომავალად; ამან — უგუნურად, ხოლო A 122 მან — განცოფებუ/ლად, ვიდრემდის გინებანი, ვითარცა ისარნი, დაელინიან მათ. რაჲამს-იგი ყოველი გინებაჲ პირით მათით წარმოთქჳან, მერმე ჴელითა ებრძოდიან, რამეთუ გულისწყრომაჲ აღადგინებს შფოთსა და შფოთი შობს გინებასა; ხოლო გინებანი შობენ წყლულებათა და წყლულებათა მრავალგზის შვიან სიკუდილი. არამედ პირველისა მის დაწყებისაგან ბოროტი იგი დავაყენოთ, ესე იგი არს, რაჲთა ყოვლითა ღონისძიებითა რისხვაჲ სულთაგან ჩუენთა აღმოვფხურათ, რამეთუ ესრეთ შეუძლოთ მრავალთა ბოროტთაჲ ამას თანა, ვითარცა ძირსა და მშობელსა თანა, აღმოფხურად.

B 196 უკუეთუ გაგინა შენ, შენ აკუ/რთხე იგი; უკუეთუ მიგამთხჳა, თავს-იდევ; უკუეთუ გნერწყუვიდეს და შეურაცხ-გყოფდეს შენ, გულისჴმა-ყავ თავი შენი, ვითარმედ მიწაჲ ხარ და მიწადვე მიიქცევი[1*], რამეთუ რომელმან ესევითართა გულისსიტყუათა მიერ შეზღუდოს თავი თჳსი, ყოველივე შეურაცხებაჲ უდარეს ჭეშმარიტებისა / ჰყოს. და უკუეთუ ესრეთ ჰყო, მტერიცა იგი შენი შეუძლებელ ჰყო ბოროტისყოფად შენდა, რაჲამს აჩუენებდე თავსა შენსა გინებათა მათ შეურაცხისმყოფელად და თავსა შენსა დიდი გჳრგჳნი მოთმინებისაჲ მოატყუა, / რაჲამს-იგი მეორისა სიცოფჱ მიზეზად სიბრძნისა მიიღო. და უკუეთუმცა ჩემსა ისმენდი, უმეტესადმცა გარდაჰმატე შენ გინებაჲ იგი: და უკუეთუმცა გრქუა შენ მეორემან შეურაცხი და გლახაკი და არავინ-არავისგანი, შენმცა სახელ-სდევ თავსა შენსა მიწადცა და ნაცრად, არა ხარ შენ უპატიოსნეს მამისა ჩუენისა აბრაჰამისა, რომელი თავსა თჳსსა ესრეთ უწოდ-

[4] მიერ—B. მისრულისა C. [6] სარკჱ C. აჩუნებდჱ C. [7] გაწითევებულ C. [9] ჰხედვენა C. [10] მიმართ] მიერ A. [11] ვითარ] ვითარცა C. მიმართვე] მიმართ A. [12] განვიდა B, განვიდის C. მიიქცევს A, მოიქცევის C. [13] იხილჱ C. იტყჳან C. [14] მან—A. [15] პურისმთხოველთა პურისმთხოველ C. [18] ყოველი — C. აღმოთქჳან BC. მერმჱ C. [21] მის დაწყებისაგან] მისგან დაწყებისა C. [23] აღმოვჰფხურათ C. ბოროტთა C. [24] აღმოფუხურად B. [25] აკურთხჱ C. [26] გნერწყჳდეს B. ~ თავი შენი გულისხმა-ყავ C. [28] ~ თავი თჳსი შეზღუდოს C. [29] პოეოს C. [30] და რაჲამს B. აჩუენებდჱ C. [32] სიცოფე B. მოიღო C. [33] გარდაჰმატჱ C. [35] სახელ-სდევმცა C. მიწად B. ნაცრადცა BC. [36] აბრაჰამისსა C.

[1*] დაბად. 3,19.

და[1*]. კუალად, უკუეთუ გრქუას შენ უგუნურად და მთხრობელად და არარაჲ-
სა ღირსად, / შენ უწოდე თავსა შენსა მატლად, სიმყრალისაგან შობილად და A v
არაკაცად, არა / ხარ შენ უდიდეს დავით დიდისა მის მეფისა და წინაჲსწარ- B v
მეტყუელისა, რომელი ამას იტყოდა[2*]. ისწავე კუალად კეთილი იგი მოსე
წინაჲსწარმეტყუელისა, იგი აჰრონის მიერ და მარიამისა შეურაცხ იქმნა და
არარაჲ ბოროტი თქუა მათთჳს, არამედ / უფროჲსად ილოცვიდა ღმრთისა მი- C 144
მართ[3*]. ვიეთი გნებავს მოწაფე ყოფაჲ? წმიდათა მათ და სანატრელთა კა-
ცთაჲ, ანუ სულისა მიერ უკეთურისა სავსეთაჲ?

რაჟამს-იგი აღიძრას შენ ზედა განსაცდელი გინებისაჲ, მაშინ ესრეთ
შეჰრაცხე, ვითარმედ საშჯელი მოსრულ არს შენ ზედა. გინა თუ სულგრძელე-
ბისა მიერ მიეახლები ღმერთსა, ანუ რისხვისა მიერ მიხუალ ეშმაკისა, მიეც
ჟამი გონებასა შენსა კეთილისა მის ნაწილისა გამორჩევად. რამეთუ უკუეთუ
სულგრძელებაჲ იქმიო, ანუ მასცა რაჲმე არგო სახითა მით შენითა, ანუ
უმეტესად შესწუა იგი შეურაცხებითა მით გინებისაჲთა. რამეთუ რაჲმცა იქმ-
ნა უბოროტეს მტერისა მის, ვითარ-იგი რაჟამს მტერსა თჳსსა ხედვიდეს უზე-
შთაეს გინებათა მისთა? ნუ დაამდაბლებ სიმაღლესა მას სულისა შენისასა,
ნუცა იქმნები საჰამებელ მაგინებელთა შენთა. უტევე მას ზრახვად ამაოებით:
თავსა ზედა თჳსსა განსთქდებოდენ, რამეთუ ვითარმცა ვის აქუნდა მტერო-
ბაჲ კლდისა მიმართ ფიცხლისა და სცემ/და მას, არა კლდესა მას ავნებს, არა- B 197
მედ თავსა თჳსსა, რაჟამს-იგი მას ვერაჲ ავნის / და გულისწყრომაჲ ვერ და- C v
აცხრვის. ეგრეთვე, რომელი-იგი მოთმინესა აგინებდეს, ნუგეშინისცემასა ვნე-
ბისა თჳსისასა ვერ ჰპოებს, არამედ უფროჲსად ელმის. და მასვე / ჟამსა იხი- A 123
ლე. რაჲ-იგი ეწოდების თითოეულსა თქუენგანსა? რამეთუ მას ეწოდების მა-
გინებელად და შენ — სულგრძელად, მას — მრისხანედ და უწესოდ და შენ —
მოთმინედ და მშჳდად, მან შეინანოს სიტყუათა მათთჳს, რომელნი თქუნა,
ხოლო შენ არაოდეს შეინანო სათნოებაჲ.

4. რაჲ ჴერ-არს მრავლისმეტყუელებაჲ? მოკლედ ვთქუა, ვითარმედ მას
დაუჴშა სასუფეველი ცათაჲ გინებამან მან, რამეთუ: „მაგინებელთა სასუფე-
ველი ცათაჲ ვერ დაიმკჳდრონ"[4*], ხოლო შენ განგიმზადა სასუფეველი ცათაჲ
დუმილმან, რამეთუ: „რომელმან მოითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს"[5*].

უკუეთუ კულა ნაცვალსა უყოფდე და სწორად მაგინებელისა მის იყო,
რაჲ სიტყუაჲ მიუგო უფალსა? ვითარმედ მან ყო დასაბამი რისხვისაჲ-ა? და
ესე რომლისა შენდობისა ღირს არს? რამეთუ ვერცა თუ მეძავმან უკუეთუ
მეორესა მას ზედა მეძავსა დადვას მიზეზი, ვითარცა ცოდვი/სა მის მიმართ B v
ტრფიალმყოფელისაჲ, ამის/თჳს უდარესსა საშჯელსა ღირს იქმნას. რამეთუ C 145
არცა გჳრგჳნი ვის თჳნიერ წინააღმდგომისა მიეცემის, არცა დაცემაჲ თჳნიერ
ბრძოლისა იქმნების. არა გესმის-ა დავითისი, რასა იტყჳს, ვითარმედ: „მიკდე-

1 მთხოველად C. 2 შენ] შენცა C. უწოდჱ C. 3 და არა C. 4 მოსეს AC. 5 იგი] რაჟამს B (B-ში „იგი" გადაუფხეკიათ და „რაჟამს" ჩაუწერიათ). 6 უფროჲსა A. 7 მოწაფჱ C | მოწამე B. 8 სავსეთა B. 10 შეჰრაცხჱ C. 13 იქმიო BC. რაჲმე] რაჲ C. 15 ვითარ-იგი რაჟამს] ვითარ რაჟამს-იგი C. ჰხედვიდეს C. 16 მას — A. 18 ვითარცა C. ჰქუნდა B. 20 ავნოს C. 22 ჰპოვებს C. 29 დაჲმკჳდრონ B. 30 იგი — AB. ცხოვნდეს C. 31 უყოფდჱ C. მის — C. 32 რისხვისაჲ BC. 34 დასდვას C. 36 წინაამდგომისა A. თჳნიერ B. 37 მბრძოლისა B. გესმის B. იტყჳნ B.

1* დაბად. 18,27. 2* ფსალმ. 21,7. 3* რიცხ. 12,1. 4* I კორინ. 6,10. 5* მათე 10,22.

ბოდა რაჲ ცოდვილი წინაშე ჩემსა“, არა განვერისხენ და მივაგე ბოროტი, არა-
მედ „დავყრუვდიო, დავმდაბლდი და დავდუმენ მე კეთილთაგან?“[1*].

ხოლო შენ განჰრისხნები გინებასა მას ზედა ვითარცა ბოროტსა, ხოლო
კუალად ემსგავსები მას ვითარცა კეთილსა. აჰა ესერა რომელსა სძაგებდი, იგი-
ვე ჰქმენ შენ. ანუ მეორისა მის ბოროტსა კეთილად ხედავ და შენი იგი არად
შეგირაცხიეს? ბოროტ არს-ა გინებაჲ? ივლტოდჱ უკუე მისგან, რამეთუ ვერ
A v განერე / ამისთჳს საშჯელსა, თუ მან ქმნა დასაბამი რისხვისაჲ მის. არამედ
მე გულსავსე ვარ, ვითარმედ ამისთჳს უმეტესიცა საშჯელი მოიწიოს შენ ზედა
და სამართლად, ამისთჳს, რამეთუ მას არა აქუნდა წინაშემდებარე სახჱ წე-
სიერებისაჲ, ხოლო შენ ხედევდი რაჲ უშუერებასა მას განრისხებულისასა,
რად არა ივლტოდე მსგავსებისაგან მისისა? არამედ შენცა ემსგავსები მას და
შფოთ ხარ და მძჳნვარე და განრისხებულ და იქმნების ვნებაჲ შენი სიტყჳსა
C v მიმცემელ პირ/ველისა მის, რამეთუ საქმეთა მაგათ / მიერ, რომელთა იქმ,
B 198 მასცა მიზეზისაგან განათავისუფლებ და თავსა შენსა უმეტესად დაშჯი. რამე-
თუ უკუეთუ ბოროტ არს გულისწყრომაჲ, რად არა განეშორე შენ ბოროტსა
მას? უკუეთუ კულა შენდობისა ღირს არს და არა ფრიად ბოროტ, რაღა
ჰრისხავ განრისხებულსა მას? და დაღაცათუ ბოროტსა მას შენ უკუანაჲსკნელ
შეხუედ ბოროტისყოფად, ესე არარად სარგებელ არს შენდა, რამეთუ რკი-
ნობასაცა შინა არა იგი მიიღებს გჳრგჳნსა, რომელი სარკინობელსა მას პირ-
ველ შევიდეს, არამედ რომელმან სძლოს. და ეგრეთვე, დაიშჯების არა იგი
ოდენ, რომელმან ყო დასაბამი ბოროტისაჲ, არამედ რომელი ბოროტსა მას
სახესა შეუდგეს ცოდვისა მიმართ.

უკუეთუ გლახაკად სახელ-გდვა და მთხოველად და ჰეშმარიტსა იტყჳს, შე-
იწყნარე და თავს იდევ ჰეშმარიტი იგი, უკუეთუ კულა ტყუის, რად შეგირა-
ცხიეს სიტყუაჲ იგი? ნუცა ქებასა ოდეს შეიწყნარებ, რომელი გარეგან ჰეშ-
მარიტებისა იყოს, ნუცა გინებისათჳს განჰრისხნები, რომელი არა შეგეხებო-
დის შენ. არა ხედავ-ა ისართა, ვითარ უკუეთუ წინააღმდგომთა ნივთთა ეც/ნენ,/
C 146 უკუღმართ შეიქცევიან, ხოლო ლბილთა და მორჩილთა ნივთთა ზედა სიფიცხლე-
.A 124 სა მათსა აღასრულებენ? ეგევითარივე წინააღმდგომად არს გინებაჲცა: რომე-
ლი წინა-აღუდგებოდის მას, თავსა შინა თჳსსა შეიწყნარებს, ხოლო რომელი
IB v მიუშუებდეს და მიუდრკებოდის, სილბილითა მით მის ზედა / მიმავალსა
მას უკეთურებასა დაჰჴსნის. ანუ რად აღგაშფოთებს შენ სიგლახაკისა იგი
საშჯელი? მოიჴსენე ბუნებაჲ შენი, რამეთუ შიშუელი შემოხუედ სოფელსა
ამას, შიშუელიცა წარხჳდე ამიერ[2*]. და რაჲ არს უგლახაკეს შიშულისა? არა
რაჲ ბოროტი გასმიეს, უკუეთუ თავი შენი გულისჴმა-ჰყო. ანუ ვინ სადა შე-
ვარდა სიგლახაკისათჳს საპყრობილედ? რამეთუ არა სიგლახაკჱ არს საყუედ-
რელ, არამედ არაპატიოსნად მოთმინებაჲ გლახაკობისაჲ მის. მოიჴსენე მეუფჱ
იგი ყოველთაჲ ქრისტე, რამეთუ: „მდიდარი იგი დაგლახაკნა ჩუენთჳს“[3*].

---

2 და დავმდაბლდი C. და—C. მე—AC. 3 ხოლო] და C. 5 ჰხედავ C. არარად შეგირაცხიესა BC. 6 არს BC. ივლტოდჱ C. 7 განერჱ C. რისხვისა BC. 8 გულსავსჱ C. 9 წინამდებარჱ C. 9 სახე B. 10 ჰხედევდი C. მას—A. განრისხებულსა C. 11 ევლოტდჱ C. 12 მძჳნვარჱ C. 14 დაჰშჯი C. 15 განეშორჱ C. 17 და — BC. 18 ბოროტისა B. არარაჲ C. 20 დაისაჯების BC. 21 ყოს C. 23 მთხოელად B. და 2°—C. თუ იტყჳს C. შეიწყნარჱ C. 24 ტყუეის C. 25 ოდეს] ოდენ C. რომელნი C. 26 იყოს] იყვნენ C. 27 ჰხედავა BC. 29 წინააღმდგომი C. 31 მით]მათ C. 32 შენ—B. 33 სასჯელი BC. 34 წარხჳდჱ C. და რაჲ]არა რაჲ C. არა რაჲ]და არაჲ! C. 35 გულისხმა- C. 36 სიგლახაკე B. 37 გლახაკობისა C. გლახაკობისაჲ მის—A. მოიჴსენე] და სიგლახაკისათჳს მოიჴსენე A. მეუფე B.

1* ფსალმ. 38,3. 2* იობ 1,21. 3* II კორინ. 8,9.

კუალად, უკუეთუ უგუნურად და უსწავლელად გიწოდოს, მოიჴსენენ
ჰურიათა იგი გინებანი, რომლითა ჭეშმარიტსა მას სიბრძნესა შეურაცხ-ჰყოფ-
დეს, ვითარმედ: „სამარიტელ ხარო და ეშმაკი არს შენ თანა“[1*]. და უკუეთუ
გან/ჰრისხნე, დაგიმტკიცებიეს გინებაჲ იგი, რამეთუ რაჲ არს რისხვისა უუგუ- C v
ნურეს? უკუეთუ კულა ეგო განურისხებელად, შეგირცხჳნებიეს მაგინებელი
იგი, რამეთუ საქმით გიჩუენებიეს სიბრძნჱ.

უკუეთუ გცა შენ, რაჲ საკჳრველ არს, რამეთუ უფალსაცა სცეს; ანუ
ინერწყუე-ა? — არამედ მეუფჱცა ჩუენი ინერწყუა და „არა გარე-მიიქცია
პირი მისი/სირცხჳლისა მისგან ნერწყუსა“[2*]; არამედ ცილი დაგწამეს-ა? — B 199
და მსაჯულსა / მასცა ყოველთასა ეგრეთვე უყვეს; ანუ სამოსელი შენი დაა- A v
პეს-ა? — არამედ უფალიცა ჩემი განძარცუეს და განიყვეს სამოსელი
მისი[3*]. ფრიად გაკლს ჯერეთ მისგან, რამეთუ არღარა დაშჯილ ხარ, არღა
ჯუარცუმულ ხარ, ფრიად გაკლს, რაჲთამცა ემსგავსე მას.

ვ. ამას ყოველსა მოიჴსენებდი და დაამდოვრე გულისწყრომაჲ შენი, რა-
მეთუ ესევითარნი განმზადებულებანი გონებისანი ყოველსავე ბოროტსა სუ-
ლისაგან ალჴოცენ და გონებასა დაწყნარებად მოიყვანებენ. და ესე არს სადმე,
რომელსა იტყოდა დავით, ვითარმედ: „განვემზადე და არა შევშფოთენ“[4*].
ჯერ-არს უკუე განცოფებულისა მის აღძრვისა დაწყნარებაჲ ჴსენებითა სანა-
ტრელთა მათ სახელთაჲთა, ვითარ დიდი / დავით ილოცვიდა მაგინებელისა C 147
მის სემეისთჳს, რამეთუ არა სცა ჟამი რისხვასა აღძრვად, რაჟამს საქმისა მის
მიზეზი ღმრთისა მიაგდო და იტყოდა, ვითარმედ: „უფალმან უბრძანა სემეის
წყევლად დავითისა“[5*], რამეთუ ესმოდა მისთჳს, ვითარმედ კაცი არს მო-
სისხლჱ, კაცი არს ურჩულოჲ. არა მას ჰრისხვიდა, არამედ თავსა თჳსსა დაამ-
დაბლებდა, ვითარმცა ღირსებით მოიწეოდა მის ზედა გინებაჲ იგი.

და შენცა უკუე ორნი საქმენი აჴოცენ გულისა/გან შენისა: ერთად, რაჲ- B v
თა არა თავი შენი შეგერაცხოს ღირსად დიდისა რაჲსმე პატივისა და, მეო-
რედ, ნუ ჰგონებ კაცთაგანსა ვისმე პატივითა ფრიად უდარეს შენსა ყოფასა,
და ესრეთ არა ოდეს გულისწყრომაჲ ჟამსა გინებისასა გეუფლოს შენ. რამე-
თუ ბოროტ არს, უკუეთუ რომელსა შენგან კეთილი მიეღოს და მრავალთა
მადლთა თანამდებ იყოს, იგი უმადლობასა თანა მაგინებელცა შენდა იქმნას.
ბოროტ არს ესე, არამედ რომელი იქმოდის ბოროტსა მას, მისთჳს არს ბო- A 125
როტ და არა თუ რომლისა მიმართ იქმნებოდის. იგი გაგინებდინ, ხოლო შენ
ნუ იგინები. სიტყუანი მისნი გამოსაცდელ სიბრძნისა შენისა იყვნედ. უკუეთუ
არა / განჰრისხნე, უწყალეველ ხარ. უკუეთუ კულა სულსა რაჲმე შენსა ევნოს, C v
მწუხარებაჲ იგი თავსა შორის შენსა დაიმჭირე, რამეთუ წერილ არს, ვითარ-
მედ: „ჩემ შორის შეშფოთნა გული ჩემი“[6*], ესე იგი არს, ვითარმედ ვნებაჲ

---

[1] გიწოდს C. [2] გინებანი] გონებანი C. [5] შეგირცხუენებიეს B. [6] სიბრძნე B. [8] მეუფეცა BC. გარჱ-C. -მიაქცია BC. [9] დანერწყკსა C. [10] მასცა] მას BC. [11] უფალი AB. განძუაცეს B. [12] არღარა] არღა BC. დასჯილ B. [13] ჯუარსცუმულ C. ემსგავსჱ C. [14] დაამდოვრჱ C. [17] ვითარმედ —B. განვემზადჱ C. არაჲ C. [19] სახელთაჲთა] სახეთაჲთა BC. [20] სემისთჳს C. [21] სემის C. [22] წყევად BC. მოსისხლე B. [23] უშჯულოჲ C. [24] და ვითარმცა C. [25] აღჴოცენ C. [26] რაჲსამე C. [30] უმადლობასაცა B, უმადლოებასა C. [32] თუ—BC. [34] განჰრისხნჱ C. [35] დაიმჭირჱ C.

[1*] იოანე 8,48. [2*] ესაია 50,6. [3*] მათე 27,31, 35. [4*] ფსალმ. 118, 60. [5*] II მეფ. 16,10. [6*] ფსალმ. 142, 4.

იგი არა გარეგანცა მიიწია, არამედ, ვითარცა ღელვაჲ შინაგან ზღჳს კიდისა, შეიმუსრა და დასცხრა.

დამიმდაბლე მე გული შენი, აღდუღებული და გარდაცემული. ჰრცხუენოდენ ვნებათა სიტყჳერობისაგან შენისა ბუნებისა, ვითარცა უწესოებასა ყრმათასა ჰრცხუენინ კაცისა
1 პა/ტიოსნისა მოსლვისაგან. ხოლო თუ ვითარ განვერნეთ ვნებისაგან გულისწყრომისა, გარნა ესრეთ, რაჲთა ვასწაოთ თავთა ჩუენთა, რაჲთა გულისწყრომაჲ არა უსწრობდეს გონებასა ჩუენსა? არამედ ვიღუაწოთ მისთჳს, რომელ არაოდეს რბიოდის უწინარეს გონებისა, არამედ გუყვეს, ვითარცა ცხენი აღჳრსხმული ჩუენსა ქუეშე და, ვითარცა ცხენი აღჳრსა, ესრეთ სიტყჳსა ჩუენისა მორჩილ იყოს და ვერსადა გარეგან წესისა თჳსისა განვიდოდის, არამედ სიტყჳთა წარემართებოდის, სადაცა გუენებოს.
3 რამეთუ მრავალთა მიმართ სათნოებათა მარ/ჯუე არს ჩუენდა სულისა იგი გულისწყრომისა ძალი. რაჟამს, ვითარცა მჴედარი, რომელმან მიიღის ერისთვისაგან საჭურველი და განმზადებულად იჳმარის შეწევნაჲ მათი, რომელსაცა ზედა ბრძანებულ არნ, ეგრეთ შემწე იყოს შენდა, სიტყჳერისა მაგის, ბრძოლასა მას ცოდვისასა. რამეთუ გულისწყრომაჲ ძარღჳ არს სულისაჲ / და ძალსცემს მას სიმტკიცესა ზედა კეთილისასა.

რამეთუ უკუეთუ ოდესმე მიიღოს მან სული, გულისთქუმითა დაჳსნილი, ვითარცა საწრთობელმან რკინაჲ, ესრეთ აწრთვის იგი და ფიცხელ და ახოვან ყვის დაჳსნილობისა მის წილ. რამეთუ უკუეთუ არა / გულისწყრომაჲ იჳმარო უკეთურისა მის მიმართ, ვერ მოიძულო იგი ჯერისაებრ. რამეთუ სწორი მოსწრაფებაჲ გჳჳმს შეყუარებად სათნოებისა და მოძულებად ცოდვისა, რომლისა მიმართ საჳმარ არს გულისწყრომაჲ, რაჟამს-იგი ვითარცა ძაღლი ჰმორჩილობს მწყემსსა, ესრეთ იგი — გონებასა და რომლისა მიმართცა აწუევდეს, მუნცა მივიდოდის. და რაჟამს სარგებელისაჲ რაჲმე მოიწიოს, მაშინ მშჳდ და მორჩილ იყოს და განსასუენებელ გონებისა და უცხოჲსა ჳმი/სა და პირისა მიმართ ველურ იყოს, დაღაცათუ განსუენებაჲ ჳორცთაჲ მუნ იყოს. რაჟამს-იგი მეცნიერმან მან მისმან და საყუარელმან ჳმა-უყოს, მეყსეულად შიშით მისა მივიდოდის.

ესე არს კეთილი იგი და ზომითი სიბრძნისა მიმართ სულისა გულისწყრომისა შეწევნაჲ. რამეთუ ესევითარი იგი დაუგებელ იქმნების, მტერთა მისთა წინაალმდგომ, რაჟამს არაოდეს თავს-იდებდეს მავნებელისა რაჲსამე შეყუარებასა, არამედ ბოროტსა გულისთქუმასა, ვითარცა მგელსა, სდევნიდეს და მოაშთობდეს მას. და ესევითარი იქმნების სარგებელი გულისწყრომისაჲ, რომელთაცა იცოდიან ჳმარებაჲ მისი გულისჳმისყოფით. რამეთუ სხუანიცა
1 /იგი/ ძალნი სულისანი ჳმარებისაებრ მათისა გამოჩნდებიან ანუ კეთილ, ანუ ბოროტ მომგებელისა მის მათისა, ვითარცა-იგი ძალი იგი გულისთქუმისა სულისაჲ, რომელმან ნებათა მიმართ ჳორცთაჲსა იჳმაროს და შეგინებულთა მათ

---

1 ზღჳსკიდისაჲ C. 2 დაჳსცხრა C. 3 დაიმდაბლე C. მე—C. 4 ბუნებისა] გონებისა C. 5 პატიოსნისაგან მოსლვისა B. 6 ვასწაუთ B] დაეასწაველოთ C. 9 ქუეშე C. აღუირისა B. 11 თჳსისა]ჩუენისა C. 12 მარჯუე C. იგი—C. 13 იგი ძალი C. 14 მათი—C. 15 შემწე C. [19 ახოან B. 21 [მიმართ]მიერ B. (AC-შიც თავიდან ყოფილა „მიერ" და შემდეგ გადაუსწორებიათ „მიმართ"-ად). 22 ცოდვისაჲ C. 23 ჰმორჩილობნ C. 24 ესრეთ]ეგრეთ C. 25 და—B. 26 განსასუენებელად B. 27 რაჲჟამს-იგი C. 28 ჳმა-ყოს B. მეჳსეულად B. 29 მისსა BC. 32 რაჲსმე B. 35 გულისჳმისყოფით—BC. 36 ~ ძალნი იგი C. 37 ვითარცა-იგი] ვითარცა BC. ~ იგი ძალი C. 38 მათ—C.

ზედა გემოთა სა/ძაგელ არს იგი და შეგინებულ, ხოლო რომელმან სიყუარუ- A 12
ლისა მიმართ ღმრთისა მიაქციოს და გულისთქუმად საუკუნეთა მათ კეთილთა,
იგი საშურველ არს და სანატრელ. / კუალად ძალი იგი მოგონებათაჲ, რომელ- C 14
მან კეთილად იჴმაროს, ბრძენ არს იგი და მეცნიერ, ხოლო რომლისა გონებაჲ
ვნებისათჳს მოყუსისა აღლესულ იყოს, იგი უკეთურ არს და ბოროტისმოქ-
მედ.

ၑ. აწ უკუე, ჵ ძმანო, მიზეზთა. მათ და ჰურჰელთა, რომელნი დამბადე-
ბელმან საცხორებელად სულთა ჩუენთა მოგუცნა, ნუმცა ცოდვისა მიზეზ
ვჰყოფთ მათ. რამეთუ ვითარცა სხუანი იგი ძალნი არიან, ეგრეთვე არს გუ-
ლისწყრომაჲცა: რაჟამს, ოდეს ჯერ-იყოს და ვითარცა ჯერ-იყოს, ესრეთ აღი-
ძრვოდის, სულსა სიმჴნედ მოიყვანებს და მოთმინებად, უკუეთუ კულა გარე-
გან თჳსისა წესისა იქმნებოდის, სიცოფედ გარდაიქცევის. ამისთჳს მეფსალმუ-
ნეცა გუასწავებს, ვითარმედ: / „გულისწყრომასა თქუენსა ნუ სცოდავთ“[1*] და B v
უფალიცა ცუდად მრისხანესა საშჯელსა თანამდებ ჰყოფს[2*]; ხოლო ჯეროვ-
ნად ჴმარებასა გულისწყრომისასა არა უჯერო ჰყოფს, ვითარცა წამალსა კე-
თილსა. რამეთუ სიტყუაჲ იგი, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „მტერობაჲ დავდვა
შორის შენსა და გუელისა“[3*] და კუალად, ვითარმედ: „ემტერებოდეთ
მადიანელთა“[4*] — გუასწავებს ჩუენ ესე, ვითარცა / საჭურველისა, ჴმარე- C v
ბასა გულისწყრომისასა. ამისთჳსცა მოსე, რომელი-იგი უმშჳდეს ყოველთა
კაცთა იყო[5*], შურსა-იგებდა რაჲ კერპთმსახურებისა მისთჳს, ჴელნი იგი ლევი-
ტელთანი სიკუდილად ძმათა განჰმარტნა, რამეთუ თქუა, ვითარმედ: „დადევინ
თითოეულმან მახჳლი თეძოსა ზედა თჳსსა და წარვლეთ ბჭითი-ბჭედმდე / და A v
მოიქეცით ბანაკსა შინა და მოკალთ თითოეულმან ძმაჲ თჳსი და თითოეულმან
მახლობელი თჳსი“[6*]. და მასვე ადგილსა, შემდგომად მცირედისა, წერილ არს,
ვითარმედ: „თქუა მოსე, ვითარმედ: აღავსენით დღეს ჴელნი თქუენნი უფლი-
სა მიმართ თითოეულმან ძესა ზედა თჳსსა და ძმასა თჳსსა მოცემად თქუენ
ზედა კურთხევაჲ“[7*].

ხოლო ფინეზ კუალად რამან განამართლა? — არა სამართლად რისხვამა-
ნ-ა მეძავთა მათ ზედა, რომელი-იგი ყოველსა ზედა დაწყნარებულ იყო და
მშჳდ? ვი/ნაჲთგან იხილა სიძვაჲ იგი ზამბრისი და მადიანელისაჲ მის, ვითარ- B 2
იგი განცხადებულად და ურცხჳნოდ იქმნებოდა, რომელნი სირცხჳლსა მას
არცა თუ დაჰფარვიდეს, უშუერი იგი ხილვაჲ ვერ თავს-იდვა, არამედ ჯე/როვ- C 1
ნად იჴმარა გულისწყრომაჲ, რამეთუ ორთავე შინა განავლო ლახუარი[8*].
ხოლო სამოელ აგაგ, მეფჱ იგი ამალეკისაჲ, რომელი საულის მიერ გარეგან
ბრძანებისა ღმრთისა არა მოიკლა, არა სამართლითა რისხვითა შორის მოიყვა-
ნა და მოკლა-ა?[9*]. ესრეთ იქმნების მრავალგზის გულისწყრომაჲ მომა-
ტყუებელ კეთილთა საქმეთა. და კუალად ელია მოშურნემან ოთხასორმეოცდა-
ათნი მღდელნი სირცხჳლისანი და სხუანი ოთხასნი ალსოჲსანი, რომელ-

8 საცხოვრებელად C. 9 ჰყოფთ C. არს—C. 11 სულისა C. მოიყვანებდეს C. 12 ~ წესისა თჳსისა B. 18 მადინეანელთა B, მადიამელთა C. 19 მოსჱ C. 20 მისთჳს] მიმართ B. 22 წავლეთ C. ბჭითგან ბჭედმდჱ C. 23 თკთოეულმან C. 25 მოსჱ C. ვითარმედ—A. 29 მათ—C. 34 მეფე B. 36 მოკლა BC. 38 ალსუესანი B.

1* ფსალმ. 4,5. 2* მათე 5,22. 3* დაბად. 3,15. 4* რიცხ. 25,17. 5* რიცხ. 12,3. 6* გამოსლ. 32,27. 7* გამოსლ. 32,29. 8* რიცხ. 25,8. 9* I მეფ. 15,33.

ნი ჭამდეს ტაბლასა იეზაბელისსა, კეთილითა გულისწყრომითა და ჯეროვნითა
სარგებელად ყოვლისავე ისრაელისა მოსწყჳდნა[1*].
ხოლო შენ ჰრისხავ ძმასა შენსა ცუდად, და ვითარ არა ცუდად? რამეთუ
სხუაჲ არს მოქმედი საქმისაჲ მის და შენ სხჳსათჳს განრისხებულ ხარ და იქმ
შენ საქმესა ძაღლთასა, რომელნი-იგი ქვათა უკბენენ და მსროლელსა მას არა
v შეეხებიან. / რამეთუ / რომლისა მიერ იქმნებოდის, იგი საწყალობელ არს და
127 არა საძულელ, ხოლო რომელი იქმოდის, იგი არს საძულელ. მისა მიმართ შე-
v ცვალე გულისწყრომაჲ / შენი, კაცისმკლველისა მის მიმართ, რომელი-იგი მა-
მაჲ არს ტყუილისაჲ, რომელი-იგი მოქმედი არს ცოდვისაჲ. ხოლო ძმისა მის-
თჳს უფროჲსად გელმოდენ, რამეთუ უკუეთუ ცოდვასა მას ზედა დაადგრეს
ეშმაკსა თანა, მიეცემის საუკუნესა მას ცეცხლსა.
ხოლო ვითარცა სახელნი განყოფილებით არიან გულისწყრომისა და რისხ-
ვისანი, ეგრეთვე სასწაულნი მათნი განყოფილებით არიან: რამეთუ გულის-
წყრომაჲ არს ვითარცა აღგზებაჲ და აღყუმოლვაჲ მალე ვნებისაჲ მის და
რისხვაჲ კუალად მწუხარებაჲ არს დადგრომილი და აღძრვაჲ მტკიცჱ ბო-
როტის მყოფისა მიმართ. რაჟამს-იგი ხლდებინ სული ბოროტისყოფად, უწყებაჲ
უკუე ჯერ-არს, ვითარმედ ორითავე ამით სახითა ცოდვენ კაცნი: ანუ მძაფრიად
და ცეცხლებრ აღიძრვიან შემაწუხებელთა ზედა, ანუ ზაკვულებით და უკე-
თურებით ეძიებენ ბოროტისყოფად მათდა, რომელთაგან ორთავე ჯერ-არს
სივლტოლაჲ.
7. და უკუეთუ მკითხავთ, თუ ვითარ იქმნას, რაჲთა არა აღიძრვოდის ვნე-
203 ბაჲ ესე უჯეროდ, / ისმინეთ და მე გითხრა, რამეთუ უკუეთუ / პირველითგან-
151 ვე განსწავლნეთ თავნი თქუენნი სიმდაბლითა მით, რომელი-იგი უფალმან
სიტყჳთ და საქმით გუასწავა, ვითარ-იგი იტყოდა, ვითარმედ: „რომელსა ჰნე-
ბავს თქუენ შორის დიდ ყოფაჲ, იყავნ ყოველთა უდარეს"[2*] და კუალად, ვი-
თარ-იგი სიმშჳდით და უშფოთველად მცემელსა მას ყურიმლისასა იტყრთვი-
და[3*]. რამეთუ ცისა და ქუეყანისა მეუფემან და შემოქმედმან, რომელი ყო-
ველთა ხილულთა და უხილავთა დაბადებულთაგან თაყ/უანის-იცემების, რო-
მელსა „უტჳრთავს ყოველივე სიტყჳთა ძლიერებისა მისისაჲთა"[4*], არა ცო-
ცხლივ შთაჴადა იგი ჯოჯოხეთად, რაჲთამცა განღებულ იყო ქუეყანაჲ და და-
ენთქა ურჩულოჲ იგი, არამედ იხილე, ვითარ სიმშჳდით ასწავებს, ვითარმედ:
„უკუეთუ ბოროტად ვთქუ, წამე ბოროტისათჳს, უკუეთუ კულა კეთილად
ვთქუ, რად მცემ მე?"[5*].
რამეთუ უკუეთუ შენცა დაეჩჳო, რაჲთა ყოველთა უკუანაჲსკნელად შე-
გერაცხოს თავი შენი მცნებისაებრ უფლისა, ოდესმცა განჰრისხენ, ვითარმცა
გარეგან ღირსებისა შენისა იგინებოდე? რამეთუ გულისჴმა-ყავლა, ვითარ უკუე-

---

[2] სარგებლად B. [4] სხჳსათჳს] სხუათათჳს C. [7] ხოლო რომელი იქმოდის, იგი არს საძუ-
ლელ—A. მისსა BC.შეცვალჱ C. [8] მის—C. [9] ტყუვილისაჲ C. რომელი-იგი]რომელი C. [11] ცეცხლსა
(πυρὶ)] ცრემლსა AB. [14] აღკმულვაჲ B. მალე ვნებისაჲ] მავნებელისაჲ C. [15] მტკიცე B.
[17] ორითა A. [19] ზაკულებით BC. [19] ორთაჲვე C. [22] პირველთგანვე]პირველითვე C. [23] რო-
მელი იგი]რომელი BC. [26] მცემელსა]მიმცემელსა C. ყურიმლისასა—AC. [27] და რამეთუ C. მეუ-
ფჱმან C. და 2°—A. [28] თავყუანის-C. [30] შთაჴადა B. [31] უშჯულოჲ C. იხილეთ C. [32] წამჱ C.
[33] მე—BC. [34] იგინებოდჱ C.ვითარ]ვითარმედ C.

[1*] III მეფ. 18,22—24. [2*] მარკ. 9,34. [3*] იოანე 18,22. [4*] ებრ. 1,3. [5*] იოანე
18,23.

თუ ყრმამან ჩჩჳლმან გაგინოს, მიზეზად სიცილისა / ჰყოფ გინებასა მას და C v უკუეთუ ნავღლიანისა მიერ და ცოფისა იგინო, უფროჲსად გეწყალის იგი / და B v არა გძულს. ჰხედავ-ა, ვითარ არა სიტყუანი არიან აღმაშფოთებელ, არამედ გონებაჲ შენი და შეურაცხებაჲ მეტყუელისაჲ მის და რამეთუ თავი შენი შეგირაცხიეს დიდად? ხოლო უკუეთუ ესე ორიჲვე გონებისაგან შენისა აღჰკოცო. ყოველნი იგი გინებანი ამაოდ ჰაერთა შინა განიბნინენ.

„დასცხერ უკუე რისხვისაგან და დაუტევე გულისწყრომაჲ“[1*], რაჲთა განერე რისხვისა მისგან, რომელი „გამოცხადნების ზეცით ყოველსა ზედა ურჩულოებასა და უკეთურებასა კაცთასა“[2*]. რამეთუ უკუეთუ გონებითა განბრძნობილითა შეუძლო მოკუეთად მწარესა მას ძირსა გულისწყრომისასა, მრავალნი ვნებანი აღმოჰფხურნე მის თანა. რამეთუ მზაკუვარებაჲ და ორგულებაჲ და იჭუეულებაჲ და ურწმუნოებაჲ და ბოროტებაჲ და ბჳრისზრახვაჲ და ცუნდრუკებაჲ და სიფიცხლე და ყოველივე ესევითართა მათ ბოროტთა ბანა- A 12 კი / ამის უკ/ეთურებისა მორჩნი არიან. C 15

ნუმცა უკუე შემოვიღებთ თავთა შორის ჩუენთა ესევითარსა ბოროტსა სნეულებასა სულისასა, სიბნელესა გონებისასა, უცხოყოფასა ღმრთისაგან, თჳსებისა უცნაურებასა, დასაბამ/სა ბრძოლისასა, აღმასრულებელსა განსაც- B 20 დელთასა, ეშმაკისა ბოროტსა, რომელი თჳთ ჩუენთა სულთა შინა იშვების. და, ვითარცა სახლეული მკჳდრი ურცხჳნოჲ, ყოველსავე დაიპყრობს და სულსა წმიდასა შემოსლვად ჩუენ შორის არა უტეობს. რამეთუ სადა არს მტერობაჲ, ქდომაჲ, გულისწყრომაჲ, შური, ცილობაჲ, რომელნი-იგი შფოთსა დაუწყნარებელსა შობენ სულსა შინა, მუნ სული იგი სიმშჳდისაჲ ვერ განისუენებს. ვისმინოთ უკუე ბრძანებაჲ წმიდისა მოციქულისა პავლესი და ყოველი რისხვაჲ და გულისწყრომაჲ და ღაღადებაჲ აღვჴოცოთ ჩუენგან ყოველთა თანა ბოროტთა და ვიქმნეთ ურთიერთას სახიერ და ტკბილ[3*]. და მოველოდით სანატრელსა მას სასოებასა, რომელი აღუთქუა უფალმან მშჳდთა, რამეთუ „ნეტარ იყვნენ მშჳდნი, რამეთუ მათ დაიმკჳდრონ / ქუეყანაჲ“[4*] ქრისტე იესუჲს მიერ, C v უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცჱ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

VIII. /თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი შურისათჳს B v

1. სახიერ არს ღმერთი და სახიერებისა სახიერთა მიმნიჭებელ, ბოროტ არს ეშმაკი და ყოვლისავე ბოროტისა მოქმედი. და ვითარცა უშურველობაჲ თჳსი არს სახიერისაჲ მის, ეგრეთვე შეუთქს ბოროტსა მას შური. დავიცვნეთ უკუე

PG, 31, გვ. 372—385.

3 ხედავა BC. 5 გონებისა შენისაგან B. 8 განერჱ C. უშჯულოებასა C. 9 განბრძნობილითა] განგრძობილითა C. 10 მწარისა მის ძირისა A. 11 აღმოჰფხურნჱ C. 13 სიფიცხლჱ C. 14 მორჩნი] მორჩილნი C. 19 ურცხუჲნოჲ B. და დაიპყრობს B. 20 ~ჩუენ შორის შემოსლვად B. შემოსლვად—C. უტევებს BC]+შემოსლვად C. 21 ʃდა რომელნ-იგი C. 24—25 ~ ბოროტთა თანა C. 25 ვიქმნნეთ C. 26 რამეთუ—A. 27 დაჲმკჳდრონ B. 28 სიმტკიცე B] + თანა მამით და სულით წმიდითურთ C. მარადის და უკუნითი] დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა B. 29 ა˜ნ AB, ამინ C. 30 წმიდისა + და ნეტარისა C.~ბასილი დიდისაჲ B] ბასილი კესარია-კაბადუკიელ მთავარეპისკოპოსისაჲ C. შურისათჳს B]+თავი თ˜, გკ˜ხნ, მ˜მო C. 34 შეუთქს] შეუდგს B.

1* ფსალმ. 36,8. 2* რომ. 1,18. 3* ეფეს. 4,31—32. 4* მათე 5,5.

A v თავნი ჩუენნი, ძმანო, ვნებისა მისგან შურისა, რაჲთა არა ზიარ / საქმისა მის ეშ-
მაკისა ვიქმნეთ და ვიპოვნეთ მის თანავე დაშჯილ. რამეთუ უკუეთუ ამპარტავა-
ნი ეშმაკისა საშჯელსა მიეცემის, ვითარ არა მოშურნემან მიიღოს სატანჯველი
იგი ეშმაკისათჳს განმზადებული? რამეთუ ვნებაჲ, უძჳრესი შურისა, არღარა
აღმოეცენების სხუაჲ სულსა შინა კაცთასა, რომელი-იგი გარეგანთა მათ მცირედ
შეაწუხებს და მომგებელისა მის მისისა პირველი და თჳსი ბოროტი არს.
C 153 რამეთუ ვითარცა გესლი რკინასა, ეგრეთვე შური სულსა მას, რომელსა თანა /
იყოს, განჰლევს. და უფროჲსად, ვითარცა იქედნეთათჳს იტყჳან, ვითარმედ
მშობელთა მათთა საშოსა შეშჭამენ და ესრეთ გამოვლენ, ეგრეთვე შური სულ-
სა მას, რომელმან იგი მუცლად-იღოს, განჰლევს. რამეთუ შური მწუხარებაჲ
არს მოყუსისა კეთილთათჳს, ამისთჳსცა მოშურნესა არა ოდეს დააკლდების
B 205 მწუხარებაჲ და ჭირი. რაჟამს-იგი განმრავლდის / ნაყოფითა ყანაჲ იგი მოყუ-
სისაჲ, შუებულ არნ სახლი მისი, სიხარული არა აკლნ კაცსა მას, ესე
ყოველი აღმაორძინებელ სენისა მის იქმნის და შეძინებაჲ წყლულებისა მის
მოშურნისაჲ. და არარაჲთა განყოფილ არს იგი კაცსა შიშუელსა, რომელსა
ყოველნი ისრითა სცემდიან. უკუეთუ ვინმე მჴნე არნ, ანუ შუებულ, მოიწყლის
მისთჳს მოშურნე. სხჳსა პირი მხიარულ არნ? — აჰა სხუაჲ წყლულებაჲ
მოშურნისაჲ. იგი ვინმე სულისა სათნოებითა მრავალთა უზეშთაეს არნ? სიბრ-
ძნითა და სიტყუაკეთილობითა საქებელ არნ? სხუაჲ ვინმე მდიდარ არნ და
იყოფვიბინ წარმართებასა შინა წყალობითა გლახაკთაჲთა და დიდ არნ ქებაჲ
Ꭰ v მისი შე/წყალებულთა მათ მიერ? — ესე ყოველი წყლულება / და სენ მო-
A 129 შურნისა იყვნიან, რომელნი განაპებდიან გულსა მისსა. და ბოროტ იგი არნ,
რომელ თქუმადცა ვერ ძალ-უცნ, არამედ ქუე დადრეკილ არნ და მჭმუნვარე
და გულკლებულ და შეწუხებულ და წარწყმდებინ ბოროტისა მის მიერ. და
უკუეთუ ვინ ჰკითხის, ჰრცხუენინ გამოცხადებად განსაცდელისა მის და თქუ-
B v მად, თუ: მოშურნე ვარ და უკეთურ და შემაწუხებენ მეგობრისა / მის კეთილნი
და სიხარულისა მისთჳს ძმისა ჩემისა ვგოდებ და ვერ თავს-ვიდებ ხილვად
უცხოთა მათ კეთილთა, არამედ განსაცდელად მიჩს მოყუსისა დღეკეთილობაჲ.
რამეთუ უკუეთუ ჭეშმარიტისა ენებოს თქუმად, ესე თქუას, რომელი-იგი არა
თავს-იდებს ერთისაცა ამათგანისა თქუმად, არამედ სენი იგი სიღრმეთა შინა
სულისათა აქუნ, რომელი განჰლევნ შინაგანსა მისსა და შეშჭამნ.

2. და არცა მკურნალსა მიიღებს სენისა ამის განკურნებად, არცა წამალსა,
რომელმანმცა ვნებაჲ იგი აჴოცა, დაღაცათუ სავსე არიან წერილნი წამლითა
154 ამის სენისაჲთა. არამედ ერ/თსა ოდენ ელინ ბოროტისა მის დასასრულსა, თუ
სადა ვინ იხილოს დაცემული, რომელთა-იგი ეშურებოდა. ესე არს საზღვარი
იგი სიძულილისაჲ, რაჲთამცა ნეტარებისა წილ საწყალობელად იხილა, რო-
მელსა-იგი ეშურებინ, და უბადრუკებასა შინა ყოვლითურთ. მაშინღა მოდრ-
კის და მეგობარ არნ, რაჟამს იხილის იგი მტირალი და მგლოვარე. და რაჟამს

---

[1] ~ ძმანო თავნი ჩუენნი BC. შურისა] ბოროტისა C. [2] ვიქმნნეთ C. დასჯილ B. [3] მიიღის B. [4] ეშმაკთათჳსC. [5] აღმოიცენების C. [6] მის]მისთჳს BC. არს—C. [11] კეთილი-სათჳს C. ამისთჳს C. [14] შეძინება C. [16] მჴნჱ C. მოიწყლების C. [17] მოშურნჱ C. [19] სი-ტყუათა კეთილობითა C. [20] წარმართებულებასა C. [22] ბოროტი BC. [23] რომელ] რომელთა B. ქუჱ C. მჭუნვარე B, მჭმუნვარჱ C. [27] ხილვად] ხედვად BC. [28] მიჩნს B, მიჩნსო C. დღჱკეთილობაჲ C. [32] მიიღებნ C. ამის] მის BC. [33] სავსჱ C. [34] მის] ამის C. [38] მგლოარე B, მგლოვარჱ C.

იგი იხარებდა, არა უხაროდა მის თანა, ხოლო ჟამსა მას ტირილისასა ტირნ და შეცვალებასა მას ცხორებისასა ჰგოდებნ, თუ ვი/თარისაგან ვითარ შეიცვალა. B 206 არა თუ კაცთმოყუარებისაგან / და მოწყალებისა ალჰკოცს პირველსა მას A v შურსა, არამედ რაჲთამცა უმეტესად ატკივნა გული მისი განსაცდელისა მისთჳს. ყრმასა შემდგომად სიკუდილისა აქებნ და ბევრეულითა შესხმითა პატიოსან ჰყოფნ, თუ ვითარ-იგი შუენიერ იყო ხილვად და ვითარ კეთილად მოსწავლე და ყოველსა ზედა მარჯუე, რომლისადა, ამას რაჲ ცხორებასა იყო, არა ეთქუა სიტყუაჲ ტკბილი. უკუეთუ კულა იხილნის მრავალნი, ქებასა მას ზედა მიმავალნი, შეიცვალის კუალად და მომკუდარსა მას ეშუ/რებინ. ეგრეთ- C v ვე სიმდიდრესა მას მოყუსისასა შემდგომად დაცემისა აქებნ, სიკეთისა და ძალისა მისისათჳს შემდგომად სენთაგან განლევისა უკჳრნ. და ესრეთ, მყოფთა მათ მტერი არნ და წასრულთა — მოყუარე.

8. რაჲღამცა იყო უკუე სენისა ამის უძჳრეს? ხრწნილებაჲ არს ცხორებისაჲ, წყლულებაჲ ბუნებისაჲ, მტერობაჲ ღმრთისა მიერ ჩუენდა მონიჭებულთაჲ, წინააღდგომაჲ ღმრთისაჲ. რამან მოიყვანა დასაბამი ბოროტთაჲ — ეშმაკი ბრძოლად კაცთა? არა შურმან-ა, რომლისათჳს / ცხადად მბრძოლ ღმრ- B v თისა ეწოდა, რამეთუ ემტერებოდა ღმერთსა უხუად მიმნიჭებელობისათჳს მისისა, რომელი ქმნა კაცსა ზედა? ხოლო ბოროტსა უყოფდა კაცსა, ვინაჲთგან ღმრთისაჲ ვერ ძალ-ედვა. და კუალად, ესევითარისავე მოქმედად კაენცა გამოჩნდა, პირველი იგი მოწაფჱ ეშმაკისაჲ, რომელმან ისწავა მისგან შურიცა და კაცისკლვაჲცა — მოძმენი ესე ურჩულოებანი, რომელნი პავლეცა დიდმან ერთად შეაერთნა და თქუა: „სავსენი შურითა და კაცისმკლველობითა“[1*].

იხილეთ უკუე, რაჲ-იგი ქმნა მან? იხილა ღმრთისამიერი პატივი და შეიწუა / შურითა და მოკლა პატივცემული იგი, რაჲთამცა / შურ-იგო პატივის- C 155 მცემელსა მას ზედა, რამეთუ ღმრთისა ბრძოლად შეუძლებელ იყო და ძმისა A 130 სიკუდილსა შთავარდა.

ევლტოდით, ძმანო, სენსა მას ღმრთისა ბრძოლისა მასწავლელსა,—კაცისკლვისა დედაჲ, შერევნაჲ ბუნებისაჲ, უცნაურებაჲ თჳსებისაჲ, განსაცდელი ესე პირუტყული.

რად მწუხარე ხარ, კაცო, რომელსა-ეგე არარაჲ ბოროტი გჭირს? რად ებრძვი კეთილსა შინა მყოფსა მას, რომელსა შენი არარაჲ წარუღებიეს? უკუეთუ კულა კეთილსაცა გიყოფს და ჯერეთ / გშურს, არა შენსავე სარგებელსა B 207 ეშურები-ა? ვითარი იყო საულ, რომელმან-იგი გარდამატებულებაჲ კეთილთაჲ მიზეზად ბრძოლისა დავითისა ყო? რამეთუ პირველად ჰმატკბილითა მით და საღმრთოჲთა საგალობელითა სულისა მის ბოროტისაგან განერა რაჲ, ლახურითა ენება განგუმერაჲ ქველისმოქმედისაჲ მის და მერმე, რაჟამს მჴედრებითურთ მბრძოლთაგან მის მიერ განერა და სირცხჳლისა მისთჳს გოლიათისა განთავისუფლდა, ვინაჲთგან შესხმასა შინა ათი იგი ნაწილი ძლევისაჲ დავითს

[1] იგი—C. [2] გოდებენ C. [7] მოსწავლჱ C. და—A. მარჯუჱ AC. [8] ეთქჳს C. [12] წარსრულთა BC. მოყუარჱ C. [13] რაჲმცა BC.～უკუჱ იყო C. [14] ღმრთისა მიერ] ღ҃ჲ C. მონიჭებულთა C. [15] რამან] არა მან B. [16] ღმრთის B. [17] მიმნიჭებლობისათჳს C. [18] რომელ BC. [19] ~ ესევითარისა C. [20] მოწაფე B. [21] -კლვაჲ BC. უშჯულოებანი C. პავლეცა] პეტრეცა C. ერთად—C. [23] შერთნა B. [27] ევლტოდით B. მას] ამას C. მბრძოლისა C. [28] უცნაურობაჲ C. [29] პირუტყუებრივი BC. [32] გიყოფს და] გიყოფდა A. [33] ეშურები B. ვითარ C. [36] განგურემაჲ AB. მერმჱ C.

[1*] რომ. 1,29.

C v ზედა დადვეს შემსხმელთა მათ, / ვითარმედ: „მოსრა დავით ბევრეული და
საულ—ათასეული“[1*], ამის ერთისა სიტყჳსათჳს და წამებისათჳს ჭეშმარიტებისა
პირველად შეპყრობაჲ და უცნაურად მოკლვაჲ მისი ენება და მერმე დევნა
უყო. და ესრეთცა არა დააცხრვო მტერობაჲ იგი, არამედ უკუანაჲსკნელ განვიდა
მის ზედა სამ ათასითა მჴედრებითა და უდაბნოთა მიმოვიდოდა და
ეძიებდა[2*]. ხოლო უკუეთუმცა ვინ ჰკითხა მიზეზი იგი ბრძოლისა მისისაჲ, განაღა
თქუნამცა დიდნი იგი კეთილისმოქმედებანი მისნი? რომელი-იგი ჟამსა
A v მას, რომელსა სდევდა, მძინარე პოვა დავით, / რომელი-იგი მოსაკლველად მზა
B v იყო / მტერისა მის მიერ მისისა, არამედ კუალად განერა, რაჲამს არა ინება
მართალმან მან მის ზედა ჴელთა დასხმაჲ[3*]. და ამის კეთილისა მიერცა არა
მოდრკა, არამედ კუალად ეძიებდა და სდევნიდა, ვიდრემდე მეორედცა იპოვა
დავითის მიერ ქუაბსა შინა და მისი იგი სათნოებაჲ უბრწყინვალეს ყო და
თჳსი უკეთურებაჲ — განცხადებულ.

ძნიად დამგებელი მტერობაჲ არს შური. რამეთუ სხჳთა სახითა მტერთა
მოსდრეკენ კეთილისყოფანი, ხოლო მოშურნესა კეთილი ყოველივე უმეტესად
აღაგზნებს; და რაჲზომცა ფრიად პატივ-სცეს, უმეტესად შურს და უმძიმეს
C 156 ძიმეს და უმწუხარეს არს, რამეთუ ქველ/ისმოქმედსა მას უმეტესად ეშურების,
ვიდრემდე მადლიერ არს.

რომელსა მჴეცსა არა წარჰკდებიან ესევითარნი იგი ბოროტებითა? რომელსა
ველურსა ველურებითა არა უმეტეს არიან? — ძაღლნი გამოზრდითა
დასწყნარდებიან, ლომნი შინაურ იქმნებიან ჩუეულებითა, ხოლო მოშურნენი
კეთილთა მიერ უმეტესად განძჳნდებიან.

4. რამან დაამონა ახოვანი იგი იოსებ?[4*] არა შურმან-ა ძმათამან? რომელ
B 208 საკჳრველებისაცა ღირს არს სენი იგი შურისა მა/თისაჲ, რამეთუ ეშინოდა აღსრულებისაგან
სიზმართაჲსა და ამისთჳს მონად მისცეს ძმაჲ თჳსი, ვითარმცა
არა ოდეს შესაძლებელ იყო, რაჲთამცა თაყუანის-იცა მონაჲ.

არამედ მითხართ თქუენ, უკუეთუ სიზმარი იგი ჭეშმარიტ არს, რაჲმცა
ღონჱ ეგებოდა, რაჲთამცა არა აღესრულა თქუმული იგი? უკუეთუ კულა ტყუილი
არს, რაჲსათჳსღა ეშურებით შეცთომილსა მას? ხოლო აწ განგებითა
A 131 თა ღმრთისაჲთა გარდაიქცა სიბრძნჱ / მათი: რამეთუ საქმეთა მათ მიერ, რომლითა
ჰგონებდეს დახრწევად თაყუანისცემისა მისისა, მათ მიერ უფროჲსად
გამოჩნდეს წინამძღუარ საქმისა მის. რამეთუ უკუეთუმცა არა განსყიდულ
C v იყო, არამცა შთასრულ იყო ეგჳპტედ, / არამცა სიწმიდისა მიერ გულისთქუმათგან
ბოროტისა მის დედაკაცისათა მიცემულ იყო ბრძოლად, არამცა შევრდომილ
იყო საპყრობილედ, არამცა მეცნიერ ქმნულ იყო მსახურთა მათ ფარაოჲსთა,
არამცა ექმნა გამოცხადებაჲ იგი სიზმართაჲ, ვინაჲცა მიიღო მთავრო-

---

[1] დასდვეს C. ბევრეულითა B. [2] ათასეული] ათასეულითა თჳსითა B. ჭეშმარიტისა C. [3] მერმჱ C. [6] ვინ—AB. იგი—C. განაღამცა თქუა C. [7] თქუამცა B. დიდნი იგი—BC. [8] სდევნიდა C. მძინარჱ C. პოა B. მზაჲ C. [15] ყოველი C. [16] პატივ-იცეს B, პატივ-სცჱ C. ჰშურს C. უმძიმეს] უმძიმს BC. [17] უმწუხარეს] მწუხარე B, მწუხარჱ C. [20] ველურობითა C. უმეტესად C. [21] დაწყნარდებიან C. [23] ახუანი B. ჲოსებ B. შურმან ძმათამან-ა BC. [26] თაყუანის- C. [28] ღონე B]—C. ტყუეილ C. [29] რაჲსათჳს A. [30] სიბრძნე B. მათი—C. ღ˜თა C. [31] თაყუანის- C. [33] არცამცა C. არცამცა C. [34] არცამცა C. [35] ქმნილ B. არამცა მეცნიერ ქმნულ იყო მსახურთა მათ ფარაოჲსთა—C ფარაუჲსთა B. [36] არცამცა C. გამოცხადებაჲ] განცხადებაჲ C. იგი—B. ვინაჲმცა C. მოიღო C.

[1*] I მეფ. 18,7. [2*] I მეფ. 24,3. [3*] I მეფ. 26,7. [4*] დაბად. 37,28.

ბაჲ ეგჳპტისაჲ, და ნაკლულევანებისათჳს იფქლისა შთავიდეს / მუნ ძმანი მის- B v
ნი და თაყუანის-იცა მათ მიერ.

მიჳედ სიტყჳთა დიდისა მის შურისა მიმართ და დიდთა ზედა ქმნილისა,
რომელი-იგი იქმნა უკეთურებისა მიერ ჰურიათაჲსა ქრისტეს ზედა მაცხოვრი-
სა. რამეთუ რაჲსათჳს ეშურებოდეს მას? — სასწაულთათჳს. ხოლო რანი იყვ-
ნეს სასწაულნი იგი? — ცხორებაჲ კაცთაჲ. გამოიზრდებოდეს მშიერნი და გა-
მომზრდელსა მას ეშურებოდეს; აღდგებოდეს მკუდარნი და აღმადგინებელსა
მას ბოროტნი იგი ემტერებოდეს; ეშმაკნი განისხმოდეს და გამსხმელისა მის-
თჳს ბოროტსა იტყოდეს; კეთროვანნი განწმდებოდეს, მკელობელნი ვიდოდეს,
ყრუთა ესმოდა, ბრმანი ხედვიდეს — და იგინი ქველისმოქმედსა მას სდევნი-
დეს. და უკუანაჲსკნელ სიკუდილად მისცეს მომცემელი ცხორებისაჲ და ჰგუ-
ემდეს განმათავის/უფლებელსა კაცთასა და დაშჯიდეს მსაჯულსა მას სოფლი- C 157
სასა.

ეგრეთ ყოველსა ზედა მიიწია ბოროტი იგი შურისაჲ / და ამით ერთითა A v
საჰურველითა დასაბამითგან სოფლისაჲთ უწყიეს და ყოველთა მოსწყლავს და
დასცემს მტერი იგი ცხორებისა ჩუენისაჲ ეშმაკი, რომელსა-იგი უხარის წარ-
წ/ყმედასა ზედა ჩუენსა, რომელი დაეცა შურისა მიერ და ჩუენცა მითვე ვნები- B 209
თა დაგუცნა მის თანა.

ბრძენი იყო უკუე იგი, რომელი კაცსა თანა მოშურნესა ჰამადცა არავის
უბრძანებს[1*] და ჰამისა მის მიერ ყოველსავე ცხორებისა ზიარებასა მოას-
წავებს. რამეთუ ვითარცა ადვილად დასაწუველსა მას ნივთსა შორს ცეცხლი-
საგან დადებად ვისწრაფით, ესრეთ ჯერ-არს მოშურნეთა ზიარებისა და უბ-
ნობისაგან სივლტოლაჲ, რაჲთა გარეგან ისართა მათ შურისათა ვიქმნეთ. რა-
მეთუ არცა თუ სხჳთა სახითა მოიწევის შური თჳნიერ თჳსებისა, რამეთუ
სიტყჳსაებრ სოლომონისა შური კაცისაჲ მოყუსისაგან მისისა არს[2*]. რამეთუ
ესრეთცა არს: და არა ეშურების მეგჳპტელსა ჰრომი, არამედ თითოეული
თჳსსა ნათესავსა და თჳსთა ნათესავთა შორის არა / უცნაურთა, არამედ რო- C v
მელთა იცნობდეს, და მეცნიერთაგან — მახლობელთა მათ და მოზიარეთა
მისთა და ტომთა და მათცა მოჰასაკეთა, უმეტესად და-ძმათა. და ვითარცა მკა-
ლი თჳსი სენი არს იფქლისაჲ, ეგრეთვე შური სენი არს მეგობრისაჲ. ესე
ოდენ საქებელ არს მის ბოროტისაჲ, რამეთუ რაჲზომცა ფიცხლად აღიძრას,
უბოროტეს არს მოშგე/ბელისა მის მისისა. რამეთუ ვითარცა ისარნი, ფიც- B v
ხლად მიმავალნი, რაჟამს მტკიცესა რასმე და წინააღმდგომსა ნივთსა ეცნენ,
მიმავლინებელისა მიმართვე მიიქცევიან, ეგრეთვე აღძრვანი იგი შურისანი
არარასავნებენ, რომლისა მიმართ იყვნენ, არამედ თჳთ მოშურნისა მის / A 132
წყლულება იქმნებიან. რამეთუ ვინ სადა წუხილითა თჳსითა დააკლო კეთილთა

---

2 თავყუანის- C. 3 მიედ სიტყუათა C. 4 ქრისტჱს BC. მაცხოვარსა B. 6 გამოიზარდე-
ბოდეს BC. 8 განმსხმელისა BC. 9 კეთროანნი B. და მკელობერნი B. 10 ესმოდა + და BC.
ჰხედვიდეს C. 12 დასჯიდეს B, ჰშჯიდეს C. 14 ეგრეთ] ესრეთ BC. 15 მოჰსწყლავს C. 16 ცხოვრე-
ბისა C. ჩუენისა B. 19 ბრძენ BC. არავის]არა C. 21 მას—C. 23 გარეგან ისართა (τοῦ βέλων)]გარეგ-
ნით კართა A. 24 თჳნიერ B. 26 თითეული C. 27 თჳსსა ნათესავსა]თჳსისა ნათესავისასა C. თჳსთა
ნათესავთა] თჳსსა ნათესავსა BC. უცნაურსა A. რომელსა C. 28 მათ]მისთა C. და 2°—A.
29 მკალი]სამკალი C. 30 მეგობრობისაჲ B. 32 მის—B. 34 მიიქციან C. აღძრვაჲ იგი შურისაჲ C.

1* იგავ. 23,6. 2* ეკლეს. 4,4.

მათ მოყუსისათა? არამედ უფროჲსად თჳსსა თავსა ავნის დაშჯილი მწუხარე-
ბითა მით.

და კუალად, გუელთაცა უძჳრეს შერაცხილ არიან ვიეთგანმე მოშურნე-
ნი, რომელნი იტყჳან, ვითარმედ: გუელნი კბენითა შეილებენ გესლსა, დაცე-
მული იგი მცირე-მცირედ დალპების, ხოლო მოშურნენი თუალთა მიერცა
C 158 ავნებენ, ვიდრე ჴორცნი, შუებულ/ნი და შუენიერნი, დადნებიან ხედვითა
მოშურნეთაჲთა და სიკეთჱ იგი განილევის, რამეთუ გესლი გამოვალნ თუალ-
თა მათგან მოშურნეთა და, ვითარცა მდინარე, სიკეთესა მათსა წარიღებნ და
განჰრყუნინ და ხრწნილებად მისცემნ.

B 210 ხოლო მე სიტყუასა ამას გარე-მივაქცევ და ურწმუნოდ მაქუს, / ვითარ-
ცა ზღაპარი და დედათა მიერ უგუნურთა შემოღებული. არამედ ამას ვიტყჳ,
ვითარმედ კეთილის მოძულეთა ეშმაკთა, რაჟამს პოონ გონებაჲ, შემწყნარე-
ბელი მათი, მაშინ ყოვლით კერძო იჭმარებენ მას ნებისაებრ თჳსისა, ვიდრე-
ღა თუალნიცა იგი მოშურნისანი სამსახურებელად ნებისა მათისა იჭმარნიან.
აწ უკუე არა გეშინის-ა მონებასა ეშმაკისა შესლვად, უკეთურისა მის და
ბოროტისა და შეიწყნარებ ბოროტსა მას, რომლისა მიერ იქმნები მტერ მათ-
და, რომელთა შენდა ყოლადვე არარაჲ ევნოს და მტერ სახიერისა მის და
უშურველისა ღმრთისა?

5. ეველტოდით, ძმანო, ბოროტისა ამისგან უჯეროჲსა. ესე გუელისა მის
სწავლაჲ არს, ეშმაკისა მიერ მოპოვნებული, მტერისა მიერ დათესული. წინ-
C v დი ჯოჯოხეთისაჲ და / დამაყენებელი ღმრთისმსახურებისაჲ, / გზაჲ გეჰენიად
A v მიმყვანებელი, გამომაჴუებელი სასუფეველისაჲ.

ხოლო პირითაცა ვიდრემე საცნაურ არიან მოშურნენი: რამეთუ თუალი
მათი ჴმელ არს და უნათლო, ღაწუნი მათნი მჭმუნვარე და დამდნარ, წარბნი
B v მათნი დამდაბლებულ, / სული მათი ვნებითა მით შემრღუეულ, ჭეშმარიტები-
სა იგი სამშჯავროჲ არა აქუს საქმეთა ზედა. არა არს საქმე მათი სათნოებითა
საქებელ, არცა ძალი სიტყჳსაჲ პატიოსნებითა და მადლითა შემკობილი, არცა
სხუაჲ რაჲმე საშურველთა და სანატრელთაგანი. არამედ ვითარცა ორბნი მძო-
რებისა მიმართ მივლენ, რომელნი-იგი მრავალთა სურნელთა და შუენიერთა
ადგილთა თანა-წარჰჴდებიან და სიმყრალესა მას ზედა მივლენ, და ბუზნი
მრთელთა მათ ადგილთა თანა-წარჰვლენ და წუთხისა მიმართ და დამპლისა
ჴორცისა მივლენ, ეგრეთვე მოშურნენი ბრწყინვალებათა მათ ცხორებისათა
და სათნოებათა სიდიდესა ყოლადვე არა მიჰხედვენ და ხენეშთა მათთჳს
C 159 ისწრაფიან და მათ ხედვენ; და უკუეთუ იხ/ილიან სადა შებრკოლებულად
რასმე ზედა, რომელსა-იგი ეშურებოდიან, ვითარ-იგი იქმნების კაცთა შო-
რის შებრკოლებაჲ, იგი განაქიქიან და მის მიერ ჰნებავნ წოდებად სახელი კა-
ცისაჲ მის. ვითარცა მანქანანი იგი მხატვარნი, რომელნი სიმრუდისაგან

---

[1] მათ—C. დასჯილი B. [3] და—C. უძჳრესად C. [5] მცირედ-მცირედ BC. [7] სიკეთე B. [8] მათ-
თაგან B. მდინარჱ C. მათსა]მისსა C. [9] ჴრწნილებად B. [10] გარჱ- C. [12] პოვონ C. [14] იგი—C.
სამსახურებელად C. [19] ევლტოდით B. მისგან C. [20] ეშმაკთა BC. [21] და—BC. [23] ვიდრემე]-
ვითარ მე BC. [24] მჭუნვარე B, მჭმუნვარჱ C. [25] შემრღუეული C. [26] საქმჱ C. [27] სიტყჳსა C.
მადლითა]მადლობითა C. [29] [სულნელთა C. [30] მას—C. [31] მრთელთა]მრავალთა C. თანა-წარჰვ-
ლენ]წარჰვლენ C. [32] მბრწყინვალებათა C. [33] სიდიდესა]სიმდიდრესა C. მიხედვენ B. ჰხედვენ C.
[35] ვითარ-იგი]ვითარმედ იგი B.

ცხჳრისა, ანუ სხჳსა რაჲსამე ასოჲსა, გინა / წყლულებისა, რომელი ანუ ბუნე- B 211
ბით არნ, ანუ მოწევნულ, მისგან დაისწავლნიან სახენი იგი აღწერადთანი,
ეგრეთ არიან ესენი ბოროტ, ნე/ნეშისა მიმართ მიდრეკისათჳს საქებელსა მას A 133
განაგდებენ და მახლობელითა მით ბოროტითა სათნოებასა შეასმენენ, რამეთუ
მჴნესა სახელ-სდებენ ამპარტავანად და დაწყნარებულსა —ულმობელად, მარ-
თალსა — უწყალოდ და ბრძენსა — უკეთურად და დიდად შუენიერსა ვითარ-
ცა ამაოსა შეასმენენ, ხოლო უხუსა — ვითარცა უძლებსა და კეთილად გან-
მგებელსა — ვითარცა ძჳრსა. და ესრეთ, ყოველივე სახჱ სათნოებისაჲ არა
შეუძლებელ არს მათ მიერ წინააღმდგომისა მიმართ ბოროტისა შეცვალებად.
რაჲ არს უკუე? ძაგებასა ამას ზედა და შესმენასა ბოროტისასა დავასრუ-
ლოთ-ა სიტყუაჲ ჩუენი? არამედ / ესე ვითარცა ნახევარი არს კურნებისაჲ. C v
რამეთუ ჩუენებაჲ სნეულისადა სენისა მის სიდიდე, რაჲთა ღირსად ზრუჳვიდის
მისთჳს, არა უჴმარ არს; ხოლო აქამომდე დატევებაჲ სნეულისაჲ და არა თხრო-
ბაჲ მისდა, თუ ვითარითა სახითა მოვიდეს სიმრთელედ, ესე / ფრიად უჯერო B v
არს. რაჲ ვთქუა უკუე, ვითარ არა შთავვარდეთ სენსა მას პირველითგან, ანუ
უკუეთუ შთავვარდეთ, ვითარ განვერნეთ?

პირველად უკუე, რაჲთა არარაჲ საქმეთაგან კაცობრივთა დიდად შეგუე-
რაცხოს: არცა სიმდიდრე სოფლისაჲ, არცა დიდებაჲ იგი წარმავალი, არცა სი-
კეთჱ გუამისაჲ, რამეთუ კეთილისა საზღვარი არა წარმავალთა ამათ საქმეთა
შინა არს, არამედ საუკუნეთა მათ კეთილთა მიმართ წოდებულ ვართ. რამეთუ
მდიდარი არა საშურველ არს სიმდიდრისათჳს, არცა დიდებული იგი — სიმდი-
დრისათჳს პატივისა / მისისა, არცა ძლიერი — ძალისათჳს ჴორცთაჲსა, არცა A v
ბრძენი — სიტყუაკეთილობისათჳს, რამეთუ ესე ყოველნი ჰურჰელნი არიან
სათნოებისანი, რომელთაცა კეთილად იჴმარნენ და არა / თუ თჳთ ამათ თავსა C 160
შინა მათსა აქუს ნეტარებაჲ. რამეთუ რომელმან ბოროტად იჴმარნეს იგინი,
საწყალობელ არს, ვითარცა რომელმან-იგი მახჳლი, რომელი მიიღის ბრძოლად
მტერთა, ნეფსით მოიკლას მის მიერ თავი თჳსი. უკუეთუ კულა კეთილად ვინ
და ჯეროვნად იჴმარ/ნეს იგინი და მნჱ იყოს ღმრთისა საქმეთაჲ და არა თჳსი- B 212
სა განსუენებისათჳს დაიუნჯებდეს, ესევითარი იგი საქებელ და საყუარელ
არს სამართლად ძმათმოყუარებისა მის და სხუათა თანა ზიარებისა მისისა.

კუალად, უკუეთუ ვინ სიბრძნითა მაღალ იყოს დ სიტყჳთა ღმრთისაჲთა
პატივცემულ და გამომთარგმნელი არს საღმრთოთა სიტყუათაჲ, ნუ ეშურები
ესევითარსა მას, ნუცა გნებავს ოდეს დადუმებაჲ წმიდათა მათ სიტყუათა
მეტყუელისაჲ, უკუეთუ მადლითა ღმრთისაჲთა შეწყნარებაჲ და სარგებელი
მსმენელთაჲ მათ იქმნებოდის. რამეთუ შენი არს კეთილი იგი და შენდა მონი-
ჭებულ არს ძმისა მის მიერ ნიჭი იგი სწავლისაჲ, უკუეთუ ინებო შეწყნარებაჲ.
რამეთუ წყაროსა მცენარესა არავინ დაჰყოფს და ბრწყინავნ რაჲ მზჱ, არავინ
დაიყვნის თუალნი, არცა მათ ეშურ/ების, არამედ თავისა თჳსისათჳს ილოცავს, C v
რაჲთა მარადის მიმღებელ მათდა იყოს. ხოლო რაჟამს სიტყუაჲ სულიერი ეკ-

---

[1] ანუ 2°—C. [2] მოწევნულ+არნ C. დაისწავლიან B. [3] ხენეშებიისა C. [5] ამპარტავნად B. [7] კეთილად]კლ˝დ B. [8] სახე B. არაჲ A. [10] ბოროტისა A. დავასრულოთ C. [12] ჩუენებაჲ (τὸ δεῖξαι)] ჩუეულებაჲ C. სიდიდჱ C. [13] აქამომდჱ C. თხრობად C. [14] სიმრთელად A. [15] შთავვარდეთ]შევვარდეთ C. [18] სიმდიდრჱ C. სოფლისა A. სიკეთე B. [24]~ამათ თჳთ C. თავთა შინა მათთა C. [25] იგინი]იგი C. [26] მიიღო BC. [27] ნებსით C. მოიკლა C. [28] მნე B. [29] დაჲუნჯებდეს B. [32] ~სიტყუათა საღმრთოთაჲ B. სიტყუათა C. [36] მის—A. [37] მზე B. [39] სიტყუაჲ+იგი C.

ლესიასა შინა აღმოეცენებოდის და გულისაგან წმიდისა მადლითა სულისა B v წმიდისაჲთა აღმოდიოდის, არა მიუპყრობ-ა ყურთა სიხარულით? / არა მადლო- A 134 ბით / შეიწყნარებ-ა სარგებელსა მას? არამედ გატკივნებს ქებაჲ იგი მუნ მყოფთაჲ, რომელნი მეტყუელსა მას აქებდიან და გინა, რაჲთამცა არა ვის ერგებოდა და არცა ვინ აქებდა. რაჲ სიტყუაჲ ვის აქუნდეს ამისთჳს წინაშე მსაჯულისა მის გულთა ჩუენთაჲსა, რამეთუ ბუნებით კეთილად წოდებაჲ სათნოებისა და სიკეთისა სულიერისაჲ ჯერ-არს?

ხოლო რომელი სიმდიდრითა გარდარეულ იყოს და ძლიერებასა ზედა ზუაობდეს და სიკეთესა გუამისასა, უკუეთუ რომელი-იგი აქუნდეს, კეთილად იჴმარებდეს, ჯერ-არს სიყუარული მისი, ვითარმცა ზოგადი ყოველთაჲ ჰურჰელი ამის ცხორებისაჲ აქუნდა, რაჟამს-იგი კეთილად იჴმარებდეს და საჴმრი- C 161 თა უშურველ იყოს ყოველთა მიმართ, რომელთა უჴმდეს და გუამითა თჳსითა კეთილად ჰმსახუ/რებდეს უძლურთა და ყოველივე მონაგები მისი არა უფროჲსად თჳსად შეერაცხოს, ვიდრელა გლახაკთაჲ. ხოლო რომელი არა ესრეთ იყოს ამათ საქმეთა შინა, უფროჲსად წყალობაჲ ჯერ-არს მისი და არა შური, რამეთუ უდიდესნი მიზეზნი ჰქონან ბოროტისა მიმართ, რამეთუ ესე არს მრავლითა განმზადებულებითა წარწყმედაჲ. რამეთუ უკუეთუ სიმდიდრე საგ- B 213 ზალ წარწყმედისა ექმ/ნების მას, საწყალობელ არს მდიდარი იგი და არა საშურველ: უკუეთუ კულა შემწე სათნოებისა არს სიმდიდრე იგი, არღარა აქუს მუნ შურსა ადგილი, ვინაჲთგან სარგებელი მისი ზოგადი არს ყოველთაჲ, გარნა თუ ვინმე სიმრავლითა მით უკეთურებისაჲთა თავსაცა თჳსსა ეშურებოდის კეთილთა მათთჳს.

და ყოვლითურთ უკუეთუ გონებითა შენითა აღჰმაღლდე კაცობრივთა საქმეთაგან და ჭეშმარიტსა მას კეთილსა და საქებელსა მიჰხედნე, რამანღა დაგარწმუნოს შენ განხრწნადთა მათ და ქუეყანისა საქმეთაგანისა რაჲ- A v სამე სანატ/რელად და საშურველად შერაცხებაჲ? / ხოლო რაჟამს ესრეთ იყო C v და არა საკჳრველად გიჩნდენ სოფლისა ამის საქმენი, ვითარცა დიდნი რაჲმე დიდებულებანი, შეუძლებელ არს, თუმცა სადა გეუფლა შენ შური.

უკუეთუ კულა დიდებისათჳს სურვიელ ხარ და გნებავს უზეშთაეს მრავალთასა ყოფაჲ და ამისთჳს არა თავს-იდებ უდარესობასა (რამეთუ ესეცა გულისსიტყუაჲ დიდი მიზეზი არს შურისა მიმართ), ისმინე ჩემი და მე გიჩუენო შენ დიდებაჲ, რომლისა მიმართ სურვიელ იყო: შეცვალე პატივისმოყუარებაჲ ეგე შენი მოგებისა მიმართ სათნოებათაჲსა, რამეთუ ნუ გნებავს E v დიდებაჲ ქუეყანისაჲ და სიმდიდრე სოფლისაჲ, რამეთუ ესე / არა შენსა ჴელმწიფებასა შინა არს. არამედ იყავ შენ მართალ, წმიდა და ბრძენ, მჴნე და მოთმინე ღუაწლთა მათ შინა ღმრთისმსახურებისათა. რამეთუ ესრეთ თავიცა შენი აცხოვნო და უზეშთაესთა მათ კეთილთა ზედა უზეშთაესიცა დიდებაჲ მოიგო. რამეთუ სათნოებაჲ ჩუენსა ჴელმწიფებასა შინა არს და შესაძლებელ არს მოგებაჲ მისი ყოვლისა მიერ მოსწრაფისა, ხოლო სიმდიდრე და სიკეთჱ გუამისაჲ და ძალი და დიდებაჲ კაცთაჲ არა ჩუენსა ჴელმწიფებასა შინა არს.

---

4 გინა]გინდა B]—C. არა] არცა BC. 5 არცამცა C. ვინ—C. 6 მის—C. ბუნებით (φύσει)] გონებით C. წოდებაჲ+ არს C. 7 ჯერ-არს—C. 11 რაჲჟამს-იგი B. კეთილად]კლ~დ A. 16 რამეთუ1°]და BC. 17 სიმდიდრჱ C. 19 შემწჱ სათნოებისაჲ C. სიმდიდრჱ C. 20 შურისა B. 23 აღჰმაღლდჱ C. 24 მიხედნე, A, მიჰხედნჱ C. 25 რასმჱ C. 26 საშურველად]საშუებელად C. 27 გიჩნდეს C. დიდი C. 28 დიდებულებანი—BC. 29 ~ მრავალთასა უზეშთაეს C. 32 მიმართ]მიერ C. შეცვალჱ C. პატივისმოყუარეობაჲ B. 34 სიმდიდრჱ C. 35 და 1° —C. მჴნჱ C. და მოთმინე—C. 39 მოსწრაფებისა BC. სიმდიდრჱ C. სიკეთე B.

აწ უკუეთუ სათნოებაჲ უზეშთაესიცა კეთილი არს / და მტკიცეცა და აღსარებული აქუს ყოველთა მიერ პატივი, მას ვჰდევდეთ, რომლისა მოგებაჲ სულისა მიერ, რომელი არაწმიდა იყოს სხუათა მათ ვნებათაგან და უფროჲსად ყოვლისა შურისაგან, შეუძლებელ არს. C 162

6. არა ხედავ-ა, რაბამი ბოროტი არს ორგულებაჲ? იგიცა შურისა ნაყოფი არს. რამეთუ ორკეცობაჲ წესისაჲ, უფროჲს ყოვლისა, შურისაგან იქმნების / კაცთა შორის, რაჲამს-იგი სიძულილი სიღრმეთა შინა სულისათა აქუნდეს და გარეგანსა სახესა სიყუარულითა შეღებულად აჩუენებდენ, მსგავსად ზღუასა შინა დაფარულთა მათ / კლდეთა, რომელნი მცირედითა წყლითა დაფარულ არიან და უცნაურად საცთურ ექმნებიან განუკრძალველთა. A 135 B 214

გულისჴმა-ვყოთ უკუე, ვითარ აღმოეცენა ამის ვნებისა მიერ ჩუენ ზედა სიკუდილი, ვითარცა წყაროჲსა მიერ, დაცემაჲ კეთილთაგან, უცხოყოფაჲ ღმრთისაგან, მცნებათა ურჩებაჲ და განრყუნაჲ ყოვლისავე კეთილისაჲ. და ვისწაოთ სიტყუაჲ იგი მოციქულისაჲ, რაჲთა „არა ვიყვნეთ ამპარტავან, ურთიერთას მოლალე, ურთიერთას მოშურნე“[1*], არამედ უფროჲსად „ტკბილ, სახიერ, / მიმმადლებელ ურთიერთას, ვითარცა-იგი ღმერთმან მომმადლა ჩუენ ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა“[2*], რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ. C v

IX. /თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი სიტყუა მისთჳს ლუკაჲს სახარებისა, რომელი იტყჳს მდიდრისა მისთჳს, ვითარმედ: „დავარღჳნე საუნჯენი ჩემნი და უდიდესნი აღვაშენნე“[3*] და ანგაჰრებისათჳს C 113v

1. ორკერძო არს სახჱ განსაცდელთაჲ: რამეთუ ანუ ჭირნი იგი მოიწევიან გამოსაცდელად გულისა, ვითარცა ოქროჲ რაჲ გამოიცადის ცეცხლსა შინა, და მოთმინებისა მიერ სიკეთე/სა მას მისსა გამოაჩინებენ, ანუ თუ კუალად შუებანი იგი ამის სოფლისანი განსაცდელ ექმნიან მრავალთა. რამეთუ სწორად ძნელ არს ძნელოვანთა შინა საქმეთა მოუწყლველად დამარხვაჲ სულისაჲ და დიდებულებასა შინა არა აღზუავნებაჲ და უკეთურებად მისლვაჲ. B v

ხოლო პირველისა მის სიტყჳსა განსაცდელთაჲსა სახჱ / არს დიდი იობ, უძლეველი იგი მოღუაწე, რომელმან ყოველივე ბრძოლაჲ ეშმაკისაჲ, ვითარცა მდინარისა სიმძაფრჱ, შეურყეველითა გულითა და შეუშფოთველითა გონებითა შეიწყნარა და რაჲზომ-იგი მტერი ჰგონებდა დიდთა და უძლეველთა განსაცდელთა მოწევნად მის ზედა, ესეზომად იგი უზეშთაეს მათ ყოველთასა იქმნა. A v

PG, 31 გვ. 261—277.

[1] უკუეთუ] უკუე B. მტკიცჱცა C. აღსაარებული BC. [3] უფროჲს BC. [5] ჰხედავა C. [6] ორკეცებაჲ C. [8] აჩუენებდიან C. [11] გულისჴმა- C. უკუე] უკუჱთუ. C. [14] ვისწავოთ C. [15] მოლალჱ C. მოშურნჱ C. [17] ქ~ჱ C. ჩუენისა—A. სიმტკიცჱ C. [19] ან~ ABC. [20] წმიდისა+ და ნეტარისა BC. დიდისა ბასილისა B. [23] დავარღჳნჱ C. აღვაშენნჱ C. ანგაჰრებისათჳს + თავი ვ~, გჯხნ მ~მო C. [24] სახე B. [25] გამოჲცადის B. [26] მას—B. თუ—B. [27] ექმნნიან C. [28] ძნელოანთა B. [29] აღზუავებაჲ B. [30] განსაცდელთაჲ C. სახე B. [31] მოღუაწჱ C. [32] მდინარეთა C. სიმძაფრე B. [34] მის]მას A. ყ~ლთაჲსა C.

[1*] გალატ. 5,26. [2*] ეფეს.4,32. [3*] ლუკა 12,18.

C 114 ხოლო შუებისაგან სოფლისა მომა/ვალთა განსაცდელთაჲ სახენი სხუანიცა
მრავალნი არიან: და ერთად, ესე მდიდარი, რომლისათჳს აწ აღმოვიკითხეთ,
რომელსა-იგი რომელიმე აქუნდა სიმდიდრე და რომელსამე მოელოდა, ვინაჲთ-
გან კაცთმოყუარემან ღმერთმან პირველითგანვე უგუნურისა მის გონებისა
მისისათჳს არა დასაჯა იგი, არამედ მარადის სიმდიდრესა ზედა სიმდიდრესა
B 215 მისცემდა, რაჲთამცა გა/ნაძღო იგი ოდესმე და ესრეთ სული მისი უხუებად
და მიცემად სხუათა მოიყვანა. ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: „კაცისა ვისმე მდი-
დრისაჲ ნაყოფიერ იყო ქუეყანაჲ და იგონებდა თავსა შორის თჳსსა, ვითარ-
მედ: რაჲ-მე ვყო? დავარღჳნე საუნჯენი ჩემნი და უდიდესნი აღვაშენნე“[1*].
ხოლო რაჲსათჳს ნაყოფიერ იქმნა ქუეყანაჲ კაცისაჲ მის, რომელსა არცა
ერთისა კეთილისა ქმნაჲ ეგულებოდა ნაყოფიერებისა მიერ? გარნა ამისთჳს,
რაჲთა უმეტესად გამოჩნდეს ღმრთისა სულგრძელებაჲ, თუ ვითარ ესევითარ-
თაცა ზედა მიიწევის სახიერებაჲ მისი, რამეთუ: წჳმს მართალთა ზედა და
ცოდვილთა და აღმოაბრწყინვებს მზესა თჳსსა ბოროტთა ზედა და კეთილ-
C v თა[2*]. ხოლო ესევითარი ესე სახიერებაჲ მისი უმეტესსა საშჯელსა / მოაწევს
უკეთურთა ზედა, რამეთუ მოაწია წჳმაჲ ანგაჰრთა მათ ჴელთა მიერ მოჴნულსა
A 136 მას ქუეყანასა; მოსცა მზჱ აღმოცენებად / თესლისა მის და განმრავლებად ნა-
ყოფთა მათ მრავალწილად. და საქმენი ღმრთისანი ესევითარნი არიან: სიკეთჱ
ქუეყანისაჲ, ჰაერთა შეზავებულნი ბუნებანი, თესლისა უშურველობაჲ, ჴართა
B v შეწევნაჲ და სხუანი იგი საქმენი, რომელთა მიერ / ნაყოფიერ იქმნების ნამუ-
შაკევი. ხოლო ვიხილნეთ, თუ კაცისა მის საქმენი კუალად ვითარნი არიან?
სიმწარჱ გონებისაჲ, კაცისმოძულეობაჲ, უწყალოებაჲ. ამას ესევითარსა იქ-
მოდა მისაგებელად ქველისმოქმედისა მის: არა მოიჴსენა ზიარი იგი ბუნებაჲ,
არა ჯერ-იჩინა ნამეტნავისაჲ მის გლახაკთადა მიცემაჲ, არარად შეჰრაცხა
ყოლადვე მცნებაჲ იგი, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „ნუ უგულებელს-ჰყოფ
კეთილისყოფად ნაკლულევანისა“[3*] და: „წყალობაჲ და სარწმუნოებაჲ ნუმ-
ცა მოგაკლდებიან“[4*]. და: „უნეცუდ მშიერთა პურსა შენსა“[5*]. და ყოველ-
ნივე წინაჲსწარმეტყუელნი და მოძღუარნი ღაღადებდეს და არა ისმენდა
მათსა, არამედ საჰურჰლენი მისნი განსქდებოდეს, შეიწრებულნი სიმრავლი-
C 115 სა / მისგან მათ შინა მდებარეთაჲსა. ხოლო ანგაჰრი იგი გული არა განძღე-
ბოდა, რამეთუ მარადის ახალსა მას ძუელთა ზედა შესძინებდა და წლითი-
წლად შეძინებითა სიმდიდრესა მას განამრავლებდა; და ესრეთ უღონოებასა
მას შინა იწროსა შთავარდა, რამეთუ ძუელისა წარგებაჲ ანგაჰრებისაგან ვერ
B 216 ძალ-უდვა და შეწყნარებად ახლისა მის ვერ კმა იყო / სიმრავლისათჳს მათისა.
ამისთჳსცა აღუსრულებელ იყვნეს განზრახვანი მისნი და დაუსრულებელ
ზრუნვანი, რამეთუ იტყოდა: რაჲ ვყოო? ვინ არა სწყალობდეს ესევითარსა
A v მას და ესრეთ წარტყუენულსა? უბადრუკ არს იგი ნაყო/ფიერებისა მისგან,
საწყალობელ არს კეთილთა მათთჳს, მის თანა მყოფთა, უსაწყალობელეს მო-
მავალთა მათთჳს. არა თუ ნაყოფსა მოართუამს მას ქუეყანაჲ, არამედ სულ-
თქუმათა აღმოუცენებს; არა თუ სიმდიდრესა შეჰკრებს, არამედ ზრუნვათა

---

[3] სიმდიდრჱ C. [7] მდიდრისა B. [9] დაეარღჳნჱ C. აღევაშენნჱ C. [11] მის მიერ B. [17] მზე B. [18] სიკეთე B. [20] და—AB. [22] სიმწარე B. კაცთმოძულეობაჲ B. [24] ნამეტავისაჲ C. მიცემად B. [29] განჴსთქდებოდეს C. [30] მათ]მას AC. [32] უღონობასა B. [33] ~ შთავარდა იწროსა B. წაგებაჲ B. [34] მის—C. [36] ვყო BC. [37] ნაყოფიერობისა B. [39] სულთთქუმასაC.

[1*] ლუკა 12,16,18. [2*] მათე 5,45. [3*] იგავ. 3,27. [4*] იგავ. 3,3. [5*] ესაია 58,7.

და მწუხარებათა და უღონოებასა ბოროტსა; შემსგავსებულად გლახაკთასა გოდებს. ანუ არა ამასვე სიტყუასა იტყჳს-ა სიგლახაკითა შეიწრებული/ცა, C v ვითარმედ: რაჲ ვყო? სადაჲთ მოვიგო საზრდელი, ანუ სამოსელი? ეგრეთვე მდიდარი იტყჳს, ელმის გულსა მისსა, შეიჭმების ზრუნვისაგან. რამეთუ რომელი სხუათა ახარებს, იგი ანგაჰრსა განჰლევს, რამეთუ არა უხარის ამისთჳს, რომელ ყოველნივე საუნჯენი მისნი სავსე არიან, არამედ უწერტს სულსა მისსა განმრავლებაჲ იგი და გარდაცემაჲ სიმდიდრისაჲ, რომელი-იგი გარდაითხევის საუნჯე/თგან. წუხს, ნუუკუე გარეგანთა მიმართ მიიწიოს გარდაცემული B v იგი და კეთილისა რაჲსამე მიზეზ ექმნას ნაკლულევანთა. და ვნებაჲ იგი სულისა მისისაჲ, ვითარცა ვჰგონებ, ნაყროვანთასა მსგავს არს, რომელთა ურჩევიეს უფროჲსად განხეთქაჲ ჭამითა, ვიდრელა ნეშტთაჲ მათ გლახაკთადა მიცემაჲ

ჱ. გულისჴმა-ყავ, ჵ კაცო, მომცემელი იგი. მოიჴსენე თავი შენი, თუ ვინ ხარ, ანუ რაჲსა განმგებელ, ანუ ვის მიერ მოგიღებიეს, რაჲსათჳს უპატიოსნეს სხუათასა იქმენ? სახიერისა ღმრთისა მსახური ხარ, მნჱ შენ თანამონათა ზედა, ნუ ყოვლისაჲვე მუცლისათჳს შენისა გნებავს დამარხვად, ვითარცა უცხოთათჳს, განიზრახევდი ჴელთა შინა შენთა მყოფთათჳს. / მცირედ ჟამ A 137 გახარონ შენ და მერმე დიოდინ შენგან და წარჴდენ, ხოლო სიტყუაჲ მათი მიგჴადონ გამოწულილვით. არამედ შენ ყოველივე კართა შინა და მოქლონთა C 116 შეგიწყუდევიეს და გაქუს და დაგიკრძალავს ბეჭდითა, და ზრუნვითა მათითა მღჳძარე ხარ და განიზრახავ თავსა შორის შენსა, უგუნურსა განმზრახსა განაზრახებ თავსა შენსა, / ვითარმედ: „რაჲ ვყო?“ ჯერ-იყო თქუმად, თუ: „აღB 217 ვავსნე სულნი გლახაკთანი, აღვახუნე საუნჯენი ჩემნი და მოუწოდო ნაკლულევანთა. ვემსგავსო იოსებს ქადაგებითა მით კაცთმოყუარებისაჲთა[1*], აღმოუტევო ჴმაჲ მოწყალებისაჲ, ვითარმედ: რომელთაცა გაკლს პური, მოვედით ჩემდა და ღმრთისა მიერ მოცემული ესე მადლი, ვითარცა ზიარისაგან წყაროჲსა, თითოეულმან საკმარი თჳსი აღმოივსეთ“.

ხოლო შენ არა ესრეთ ხარ. რაჲ? რომელი-ეგე ეშურები კაცთა, ნუუკუე განისუენონ შენ მიერ. არამედ ბოროტი ზრახვაჲ იზრახე სულსა შინა შენსა და ზრუნავ, არა თუ ვითარ მისცე თითოეულსა საკმარი, არამედ, თუ ვითარ ყოველივე მიიღო და ყოველნი სარგებელისაგან მათისა განაყენო, ვითარ იყო მდიდარი იგი.

/ წარმოდგომილ იყვნეს წამყვანებელნი სულისანი და იგი ჭამადისათჳს C v ეტყოდა სულსა თჳსსა[2*]. მას ღამესა სული თჳსი მიეღებოდა და მას მრავალთა წელთა შუებაჲ ეუცნებოდა[3*]. შეენდო მას, რაჲთა ყოველივე ნებისაებრ თჳსისა განიზრახოს და გონებაჲ მისი გამოაცხადოს და ესრეთ ღირსი ნებისა მისისაჲ მიიღოს განჩინებაჲ, რომელი-იგი ნუმცა / მოიწევის შენ ზედა, რამე- B v თუ ამისთჳს დაწერილ არს, რაჲთა ჩუენ მსგავსებისაგან მისისა ვივლტოდით.

---

2 მასვე B. 4 შეიჭმების B. 6 ყოველნი C. სავსჱ C. 9 რაჲსმე C. 10 ნაყროანთასა B. 11 ნეშტთა C. 13 გულისხმა- C. 15 მსახურ B. მნე B. 16 ყოვლისავე C. 18 მერმჱ C. 21 მღჳძარჱ C. განმზრახსა]განზრახვასა C. 22 აღვავსნჱ C. 23 აღვახუნჱ C. 24 ჲოსებს B] იოჱს C. აღმოუტევო C. 25 მოვედით B. 26 და—C. 29 იზრახჱ C. 30 ჰზრუნავ C. მისცჱ C. 33 ჭამადისათჳს]ჭამისათჳს C. 34 თჳსი]მისი B. მოეღებოდა C.

1* დაბად. 47,11... 2* ლუკა 12,19. 3* ლუკა 12,20.

A v 3. მიემსგავსე ქუეყანასა, ჵ კაცო, გამოიღე შენცა ნაყოფი, ვითარცა იგი / გამოიღებს, ნუ უარესად უსულოჲსა მის იქმნები. რამეთუ იგი ნაყოფთა არა თჳსისა განსუენებისათჳს, არამედ შენდა სამსახურებელად გამოიღებს; ხოლო შენ, რომლისა ქველისსაქმისა ნაყოფი ჰქმნე, თავისა შენისათჳს შეიკრებ, რამეთუ კეთილთა საქმეთა მადლნი მიმცემელთა მიმართ მივლენ. უკუეთუ მშიერსა მისცე, მიცემული იგი შენი არს ჭეშმარიტად, რამეთუ უმრავლესად მოვიდეს იგი შენდა. ვითარცა იფქლი, დათესული ქუეყანასა შინა, სარგებელად მთესვარისა მის იქმნების, ეგრეთვე პური იგი, მშიერისადა მიცემული,
C 117 მრავალწილად აღმოაცენებს უკუანაჲსკნელ სარგებელსა თჳსსა. / იყავნ უკუე შენდა აღსასრული იგი ნამუშაკევისაჲ დასაბამ საუკუნოჲსა მის ზეცათა შინა თესვისა, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „ითესეთ სიმართლედ თავისა თქუე-
B 218 ნისა“[1*]. რასა უკუე უღონო ხარ? რად დაადნობ თავსა შენსა ზრუნვითა / და თიჴასა შინა და ალიზსა ისწრაფი შეყენებად სიმდიდრისა შენისა? „შჯობს სახელი კეთილი უფროჲს სიმდიდრისა ფრიადისა“[2*]. უკუეთუ კულა გიყუარს სიმდიდრე მისმიერისა მის პატივისათჳს, გულისჴმა-ყავ, თუ რაჲზომ უმჯობეს არს დიდებად ბევრეულთა გლახაკთა მამად წოდებად, ვიდრელა ბევრეულისა ოქროჲსა საუნჯეთა შინა ქონებაჲ. რამეთუ საჴმარნი, დალაცათუ არა გინდეს, აქა დაუტეო, ხოლო კეთილთა მათთჳს საქმეთა პატივი მიიღო წინაშე მეუფისა, რაჟამს კრებული იგი შენ მიერ გამოზრდილთა გლახაკთაჲ გარე-მოგადგეს წინაშე მსაჯულისა მის ყოველთაჲსა და გამომზრდელად და ქველისმოქმედად სახელ-გდევან შენ და ყოველივე სახელი კაცთმოყუარებისაჲ შენ გიწოდონ.

A 138 არა ჰხედავ-ა სახილველთა შინა მომღერალთა მათ / და მბაძველთა და მჴე-
C v ცის მბრძოლთა მათ / კაცთა, რომელთა საქმენი საძაგელცა არიან სახილველად, თუ ვითარ მცირედისა მის პატივისათჳს და უნდოჲსა და სიმრავლისა მის მიერ
B v ქებისა სიმდიდრესა მათსა წარაგებენ? ხოლო შენ უძლურ ხარ / და მოშურნე წარგებად საფასისა, რომელსა გეგულების ესევითარსა მას დიდებასა შესლვად. რამეთუ ღმერთი იყოს საქმისა შენისა სათნომყოფელ და ანგელოზნი მაქებელ და დასაბამითგანნი კაცნი ყოველნი განტრიდენ, დიდებაჲ მოგეცეს საუკუნოჲ, გჳრგჳნი სიმართლისაჲ, სასუფეველი ცათაჲ. ესე ყოველი იყოს ნაცვალ განხრწნადისა ამის საფასისა მიცემისა, რომელთაგანსა არცა ერთსა ზრუნავ და აწინდელთა ამათ ზედა მოსწრაფებითა სასოებასა მას მერმეთასა უგულებელს-ჰყოფ.

მოედ უკუე და თითოფერად განაგე სიმდიდრჱ იგი და პატიოსნად და კეთილად მიმცემელ იქმენ ნაკლულევანთადა, რაჲთა შენთჳსცა ითქუას, ვითარმედ: „განაბნია და მისცა იგი გლახაკთა და სიმართლჱ მისი ეგოს უკუნისამდე“[3*].

ნუ დაამძიმებ ფასსა ჟამსა მას საჭიროჲსა საჴმრისასა. ნუ მოელი სიყ-
C 118 მილსა, რაჲთა მაშინღა განახუნე საუნჯენი შენნი და შეიძინო საფასჱ / სყიდითა მისითა[4*]. ნუ ინატრი სიყმილსა ოქროჲსათჳს და ნაკლულევანებასა ყო-

---

1 მიემსგავსჱ C. გამოიღჱ C. 3 სამსახურებლად B. 4 რომლისა] რომელიცა C. 6 მისცჱ C. 7 და ვითარცა B. 11 ითესედ AC. C. 13 სჯობს B. 15 სიმდიდრჱ C. გულისხმა- C. 16 წოდებაჲ B. 22 ხედავა B. 25 მოშურნჱ C. 26 ესევითარისა მის დიდებისა AC. 28 და—A. და დიდებაჲ C. საუკუნჱ C. 29 ნაცვალად B. 30 ჰზრუნავ C. 33 მოეედ C. სიმდიდრე B. 35 სიმართლე B. უკუნისამდჱ C. 38 მაშინღა განახუნე] მაშინ აღახუნე B. საფასე B.

1* ოსე 10,12. 2* იგავ. 22,1. 3* ფსალმ. 111,9 4* იგავ. 11,26.

ველთასა ვანჭდიდრებისათჳს შენისა. ნუ იქმნები მოფარდულ განსაცდელისა
კაცთაჲსა, / ნუ ჰყოფ ჟამსა მას რისხვისა ღმრთისასა ჟამად საჭმართა მოგები- B 219
სა. ნუ დაჰრთავ წყლულებასა ზედა მშიერთასა წყლულებასა სხუასა დამძიმე-
ბითა ფასისაჲთა. ხოლო შენ ოქროსა ჰხედავ და ძმასა არა მიხედავ და დრა-
ჰკანსა ზედაწერილსა იცნობ და გამოცდილისაგან ოქროჲსა განჰყოფ გამოუ-
ცდელსა, / ხოლო ძმისა მის მშიერისა უმეცარ ხარ ყოლადვე. A v

4. და ფეროვნებაჲ იგი ოქროჲსა მის მიგიზიდავს და თუ რაჲზომი სულ-
თქუმაჲ გლახაკისაჲ მის შეგიდგეს შენ, არა იგონებ. ვითარ-მე წარმოგიდგინო
წინაშე თუალთა შენთა ვნებაჲ იგი და ჭირი გლახაკისაჲ მის? მან განიხილის
შინაგანი იგი სახლისა მისისაჲ და ხედავნ, რამეთუ ოქროჲ არცა აქუნ და არცა
საღაჲთ მოელინ, ხოლო სამოსელნი და ჭურჭელნი მისნი ესევითარნი იყვნიან,
ვითარ-იგი არნ გლახაკთაჲ, ყოველივე მცირეთა წულილთა ღირსი. ეძიებნ უკუე
ღონესა, თუ ვითარ განერეს სიკუდილსა მას სიყმილისასა. / ვერაჲ პოის სხუაჲ C v
ღონე, შვილთა მიმართ თჳსთა მიხედნის, რაჲთა მიიყვანნეს იგინი სასყიდლად
და ესრეთ პოოს ნუგეშინისცემაჲ სიკუდილისაგან. ამას ადგილსა გულის/ჴმა- B v
ყავ შფოთი იგი ჭირისა მის სიყმილისაჲ და ბუნებისა მის მშობელობისაჲ. ერთი
იგი კერძი ბოროტსა მას სიკუდილსა ექადის, ხოლო მეორესა კერძსა გონებაჲ
მიიზიდავს შვილთა თჳსთა თანა სიკუდილსა. და მრავალგზის რაჲ დაიხრწის,
უკუანაჲსკნელ იძლიის თანაწარუვალისა მისგან საჭმრისა შეიწრებული. და ვი-
თარი-მე იყვის განზრახვაჲ მამისაჲ მის, რამეთუ იტყჳნ, ვითარმედ:
„რომელი-მე უწინა განვყიდო? ანუ რომელი უმჯობესად შეიწყნაროს
მსყიდელმან ბან იფქლისამან? უხუცესისა მიმართ მივიდე? არამედ მრცხუენის
უხუცესობისაგან მისისა, არამედ უმრწემესი იგი განვყიდო? არამედ მეწყალის
ჰასაკი იგი მისი, რომელი ჯერეთ უცნაურ არს განსაცდელთა მიმართ.
ამას განცხადებულად / აქუს სახჱ იგი მშობელთაჲ წინაშე თუალთა მისთა, A 139
იგი სულად კეთილ არს სასწავლელად. ჵ, ულონოთა მათ განსაცდელთათჳს
რაჲ ვყო? რომლისა / მიმართ შევჰბრკოლდე ამათგანისა? რომლისა მჴეცისა C 119
სული მოვიღო? ვითარ ბუნებაჲ ჩემი დავივიწყო? უკუეთუ ყოველთა ვჰრი-
დო, ყოველნივე ვიხილნე ბოროტად მომწყდარნი სიყმილითა. უკუეთუ ერთი
განვყიდო, რომლითა თუალითა მივჰხედნე სხუათა მათ, ვინაჲთგან / იჭუეულ B 220
ვიყო მათდა და ურწმუნო? ვითარ დავიმკჳდრო სახლსა შინა, რომელსა თჳთ
მოჰეწიოს თავსა ზედა ჩემსა განსაცდელი უშვილოებისაჲ? ვითარ დავჯდე
ტაბლასა ზედა, ესევითარითა მიზეზითა დაგებულსა?".

და იგი ესრეთ მრავლითა ცრემლითა საყუარელისა მის შვილისა განს-
ყიდად მოვალნ, ხოლო შენ არა მოგდრეკნ ვნებაჲ იგი, არა გულისჴმისყო-
ფასა მიიღებ ბუნებისასა. არამედ სიყმილსა შეუპყრიეს უბადრუკი იგი და
აშთობს, ხოლო შენ დროება-სცემ და იკიცხევი და განსაცდელსა მას უგრ-
ძესად მოაწევ მის ზედა. და იგი ღჳძლსა და წელთა თჳსთა მოგცემს სასყიდ-
ლად საზრდელისა, ხოლო შენი არა ოდენ არა განცჳბრდების ჴელი ეგევითარ-

---

[4] ხედავ B. მიჰხედავ C. დრაჰკნისა B. [6] ძმისა მის მშიერისა] ძმასა მშიერსა AC. [7] იგი—C. სულთთქუმაჲ C. [10] ~ მისისა სახლისაჲ B. ჰხედავნ C. და —BC. [12] ვითარი-იგი B. მწულილთა C. [13] ვერარაჲ B, და ვერარაჲ C. პოვის C. [14] ღონჱ C. მიჰხედის C. [15] პოვოს C. გულისხმა- C. [17] ჰქადის B. გონებაჲ]ბონებაჲ B. [20] მამისა C. ვითარმედ — AC. [22] მივიდჱ C. [23] იგი—BC. [25] სახე B. [27] შევბრკულდე B, შევბრკოლდჱ C. ამათგანსა AB. [29] მომწყუდარნი B. [30] ჲჰუეულ B. [32] დავჯდჱ C. [35] არა 2°] არცა C. გულისხმისყოფასა C. [39] არა 2°—C.

თა განსაცდელთაგან სასყიდლისა მიღებად, არამედ ირჩი უმეტესისათჳს და
C v აცილობ, რაჲთამცა უმეტესი მიიღე და მცი/რედი მიეც. ყოვლით კერძო დაუ-
მძიმებ განსაცდელთა საწყალობელსა მას. არცა ცრემლნი საწყალობელ გი-
ჩან, არცა სულთქუმანი გულსა შენსა მოსდრეკენ, არამედ მოუდრეკელ ხარ
B v და ულმობელ. ყოვლით კერძო ოქროსა ოდენ ხედავ, ოქროჲ გეოცნების. /
A v ესე / ძილსა შინა სიზმარ არს შენდა და გეღჳძის რაჲ — საგონებელ. ვითარცა
ეშმაკისა მიერ ცნობამიღებულნი, რომელნი არა საქმეთა ხედვენ, არამედ
ვნებისა მისგან ეოცნების, ეგრეთვე სული შენი ოქროჲსმოყუარებითა შეპ-
ყრობილ არს, ყოველსავე ოქროდ, ყოველსავე ვეცხლად ხედავ. უტკბილესად
შეადგამ თუალთა ოქროსა, ვიდრელა მზესა. ილოცავ, რაჲთამცა ყოველივე
ოქროჲსა ბუნებად გარდაიქცა და ეგრეთცა იქმ, რაჲზომ-იგი ძალ-გიც.

ნ. რამეთუ რომელსა ღონესა არა აღჰსძრავ ოქროჲსათჳს? იფქლი ოქრო
გექმნების შენ, ღჳნოსა ოქროდ განჰყინავს, მატყლი ოქროდ შეიცვალების
შენ მიერ, ყოველივე ვაჭრობაჲ, ყოველივე ღონჱ ოქროსა მოგართუამს. თჳთ
C 120 ოქროჲ თავსა თჳსსავე შობს შენთჳს და შენ მიერ, რაჟამს-იგი სესხები/თა
და ვახშითა განმრავლდებოდის. და განძღომაჲ არა არს და აღსასრული გულის-
თქუმისაჲ მის არა იპოების. რამეთუ ნაყროვანთა მათ ყრმათა მრავალგზის
გარდამატებულად მივსცით, რაჲთა განძღომისა გარდარეევითა გარე-მიაქციონ
B 221 იგი, ხოლო ანგაჰრი არა ესრეთ არს, არამედ რაჲზომცა უმეტეს/სა მიიღებდეს,
უმეტესისათჳს სურვიელ არს.

„სიმდიდრე თუ გარდაგერეოდის, ნუ შეაპყრობთ გულთა"[1*]. ხოლო შენ
დაიმჭირავ მდინარესა მას და დაუჴშავ განსავალთა და მერმე, დამჭირვითა
მით და დაგუბებითა იხილე, რაჲ გიყოს შენ? დაჰჴსნეს შუვა კედელი იგი და
ლობენი. ვითარცა-იგი აჰა გესმის მდიდრისა მისთჳს, ვითარ მანცა ესრეთ ინე-
ბა ყოფად და ვითარ მძლავრებით და იძულებით დაყენებულ იყო სიმდიდრე
A 140 იგი და გარდაეცემოდა. და რაჲ-მე ყოფად არს? დაარღჳნეს / საჭურჭლენი
იგი მდიდრისანი, მოაოჴრნეს საუნჯენი მისნი, ვითარცა მბრძოლი ვინმე ზედა-
მოსრული. არამედ ნუუკუე უდიდესნი აღაშენნეს? არა უწყი, თუმცა არა დარ-
ღუეულნი დაუტევნა შემდგომთა მისთა, რამეთუ უმალესად წარვიდეს იგი
C v წარ/ტაცებული, ვიდრელა იგინი აღეშენნენ გონებისა მისებრ ანგაჰრისა. არამედ
მან მიიღო ბოროტისა მის განზრახვისა შემსგავსებული აღსასრული.

ხოლო თქუენ, უკუეთუ ჩემი გრწამს, ყოველნი კარნი საუნჯეთანი განა-
ხუენით და უშურველად მიეცით სიმდიდრესა განსავალი. ვითარცა მდინარე
დიდი ნაყოფიერსა ზედა ქუეყანასა მრავლით კერძო დინ, ეგრეთვე თქუენ
B v მიეცით / სიმდიდრესა გზაჲ მრავლით კერძო სახლთა მათ გლახაკთასა მის-
ლვად. რამეთუ წყარონიცა აღმო-რაჲ-ისხმოდინ, უმეტესად აღმოაცენებენ,

---

[1] ერჩი B. [2] მიილჱ C. და ყოვლით C. [4] სულთთქუმანი C. [6] ჰხედავ C. გეუცნების C გეღჳძოს C. [7] ჰხედვენ C. [8] ეუცნების BC. [9] ჰხედავ C. [11] ეგრეცა C. [12] აღსძრავ B. [13] განჰყინავს (μεταπήγνυνται)] განჰყიდი C. [14] ღონე B. [16] თავსავე თჳსსა C. [17] იპოვების C. ნაყროანთა B. [21] გულთა+თქუენთა C. [22] მერმჱ C. [23] იხილჱ C. დაჰჴსნნეს C.] შუაკედელნი B. [25] სიმდიდრჱ C. [26] რაჲ-მე]რაჲ B. [27] და მოაოჴრნეს C. [28] ნუუკუემცა C. უდიდესმცა C. აღეშენნეს AC. [29] წარვიდა C. [33] მდინარჱ C. [34] დინ]და C. [36] წყარონი C. აღმოეცენებიან C.

[1*] ფსალმ. 61,11.

ხოლო დატევებითა განირყუნებიან. და სიმდიდრე დამარხული უქმარ არს,
ხოლო რომელი დაცარიელდებოდის და გლახაკთა მიეცემოდის, ნაყოფიერ
არს იგი. ეჰა, რაჲზომ დიდ იყოს შენ ზედა ქებაჲ იგი გლახაკთაჲ, რომელსა-იგი
ნუ შეურაცხ-ჰყოფ შენ და რაბამ იყოს შენდა სასყიდელი მართლმსაჯულისა
მის მიერ, რომელსა-იგი შენ ნუ ურწმუნო ხარ! და ყოლადვე შეგემთხუეოდენ
შენ სახჱ იგი ამის მდიდრისაჲ, რომელი-იგი ჴელთა შინა მყოფსა ჰმარხვიდა
და მომავალისათჳს ზრუნვიდა, არა უწყოდა, თუ ყოფად არს ხვალემდის და
ხვალისა ცოდვასა დღესვე იქმოდა: არღა მოსრულ იყო მონაჲ და წინაჲთვე C 121
აჩუენებდა მძჳნვარებასა; არღა მოეღო ნაყოფი და საშჯელი იგი ანგაჰრები-
საჲ აქუნდა. ქუეყანაჲ უჩუენებდა მას ნაყოფიერებასა, / რამეთუ მდიდრად აღ- A v
მოაცენებდა მჰელეულსა და ტევანნი დიდად ვაზსა ზედა ჩნდეს, ხოლო ზე-
თისხილი აღმომდინარედ ნაყოფსა მოართუმიდა და ყოველი ხეთაგან კე-
თილი / გარდამატებულ იყო. არამედ იგი უკეთურ იყო და უნაყოფო, არღა B 222
აქუნდა და მაშინვე შურობდა გლახაკთათჳს. და რაჲზომნი იქმნებიან საქმე-
ნი უწინარეს ნაყოფთა შეკრებისა? რამეთუ მრავალგზის სეტყუამანცა შემუ-
სრის და გუალვამან წარწყმიდის და წჳმამან, უჟამოდ მოსრულმან, წარრღუ-
ნის. და შენ, ჵ მდიდარო, არა ილოცავ-ა უფლისა, რაჲთა სრულ-ყოს მადლი
იგი? არამედ უსწრობ და უღირს ჰყოფ თავსა შენსა მიღებად გამოჩინებუ-
ლისა მის ნაყოფისა.

6. და შენ ფარულად იტყჳ თავსა შენსა, ხოლო სიტყუანი შენნი ცათა
შინა განიშჯებიან, ამისთჳს მუნით მოვალს პასუხი ზრახვათა შენთაჲ. ხოლო
ისმინესით სიტყუანიცა იგი მდიდრი/სანი, ვითარმედ: „სულო, გქონან კეთილ- C v
ნი მრავალნი, დაპარხულნი წელთა მრავალთა, ჭამე და სუ და იშუებდ მარად-
ლე“[1*]. ჵ პირუტყუებაჲ ესე! და უკუეთუმცა ღორთა სული გაქუნდა შენ და
არა კაცთაჲ, რაჲმცა ახარე მას სიტყუაჲ უმეტესი? ესრეთ პირუტყუთა მსგავს
ხარ, ესრეთ უგულისჴმო ხარ კეთილთა მათ სულისათა, რამეთუ ჴორციელითა
ჭამადითა / ისტუმრებ მას და რაჲ-იგი განსავალსა განვალს, მას მისცემ სულ- B v
სა ნიჭად. უკუეთუ სათნოებაჲ აქუს და საქმითა კეთილითა სავსე არს და ღმრ-
თისა შეერთებულ არს, ჭეშმარიტად ჰქონან კეთილნი და იხარებდინ კეთილი-
თა მით სიხარულითა სულისაჲთა.

/ ვინაჲთგან ქუეყანისასა ზრახავ და ღმრთად მუცელი გაქუს და ყოვლი- A 141
თურთ ჴორციელ ხარ, დაპონებული ვნებათაჲ, ისმინე სახელი იგი, რომელი
შენ გშუენის, რომელი-იგი არავინ კაცთაგანმან გიწოდა, არამედ თავადმან
უფალმან, ესე იგი არს: „უგუნურო, ამას ღამესა სული შენი მიგიღონ შენგან,
ხოლო რაჲ-იგი განჰმზადე, ვისდა იყოს?“[2*] უმეტეს საუკუნოჲსა მის სატან-
ჯველისა არს სიცილი / იგი სიცოფისა მისისაჲ და კიცხევაჲ. რამეთუ რომელი- C 122
-იგი შემდგომად მცირედისა წარიტაცებოდა, იხილე, ვითარსა ზრახავს, ვი-
თარმედ: „დავარღჳნე საუნჯენი ჩემნი და უდიდესნი აღვაშენნე“. ხოლო მემცა

---

1 სიმდიდრჱ C. 4 ნუ—C 5 შეგემთხუეოდენ]ნუ შეგემთხუევინ C. 6 სახე B. 7 ჰზრუნვი-და C. 9 სასჯელი B. 11 მჰლეულსა C. ~ ვაზსა ზედა დიდად C. 15 რამეთუ]ხოლო A. 16 წარღ̃ვ-ნის B. 21 განისჯებიან BC. 23 ჭამჱ C. მარადღჱ C. 24 და1°—B. 25 ახარჱ C. 26 უგულისხმო C. 28 სავსჱ C. 31 ვინაჲთგან + კულა C. ჰზრახავ BC. 32 ისმინეთ C. 35 განჰმზადჱ C. უმეტე-სი B. 36 სიცოფისაჲ+მის C. 37 იხილჱ C. ჰზრახავს C. 38 აღვაშენნჱ C.

1* ლუკა 12,19. 2* ლუკა 12,20.

ვთქუა მისა მიმართ, ვითარმედ: კეთილად იქმ, რამეთუ დაარღუევ და დარღუევისაცა ღირს არიან საუნჯენი იგი უჯეროებისანი. მოაოჴრე ჴელითავე თჳსითა, B 223 რომელი-იგი ბოროტად აღაშენე, დაჰჴსნენ / საიფქლენი იგი, რომელთაგან არავინ მიიღო ნუგეშინისცემაჲ. უჩინო ყავ ყოველივე იგი სახლი, მცველი ანგაჰრებისაჲ. მოჰკაფენ სართულნი და დაჰჴსნენ კედელნი, უჩუენე მზესა დამპალი იგი იფქლი, გამოიყვანე საპყრობილით შეკრული იგი სიმდიდრე, განაქიქენ ბნელნი იგი მამონაჲს დაფარულნი ნამარხევნი.

„დავარღჳნე საუნჯენი ჩემნი და უდიდესნი აღვაშენნე". და უკუეთუ იგინიცა აღავსნე, მერმე რაჲღა ჰყო? ანუ თუ კუალად დაარღჳნე და კუალად აღაშენნე და რაჲმცა იყო ამისა უძჳრესი? — დაულევნელად შრომაჲ, სწრაფად C v აღშენებაჲ და კუალად მოსწრაფედ დარღუევაჲ? გქონ/ან საუნჯენი, უკუეთუ გნებავს: მუცელნი იგი გლახაკთანი. დაიუნჯე თავისა შენისა საუნჯჱ ცათა A v შინა[1*]. რაჲ-იგი მუნ / დაჰმარხო, არცა მღილთა შეჭამონ, არცა სიმპალჱ მოიწიოს, არცა ავაზაკთა წარიტაცონ[2*].

არამედ იტყჳ შენ, ვითარმედ: „მაშინ მივსცე გლახაკთა, რაჟამს მეორენიცა საუნჯენი აღვავსნე".

გრძელნი საზღვარნი დაგიმტკიცებიან ცხორებისა შენისანი. არამედ იხილე, ნუუკუე გისწრას, რომელი-იგი შენ არა უწყი, არამედ ღმერთმან დადვა. B v რამეთუ აღთქუმაჲცა ეგე შენი / არა სახიერებისა სახჱ არს, არამედ უკეთურებისაჲ. რამეთუ არა ამისთჳს ჰყოფ აღთქუმასა, თუმცა მაშინ მიეც, არამედ რაჲთამცა აწ თანა-წარჰჴედ. თუ არა, აწ რაჲ არს დამაყენებელ შენდა მიცემად? არა წინაშე გითქს-ა გლახაკი? არა სავსე არიან-ა საუნჯენი? არა მზა არს-ა სასყიდელი? არა ბრწყინვალე არს-ა მცნებაჲ იგი?

აწ მშიერი იგი მოკუდების, შიშუელი იგი დაზრების, თანამდები იგი მოიშთვების და შენ მოწყალებასა ხვალისა აღროებ-ა? ისმინე სოლომონისი: „ნუ C 123 იტყჳ, თუ წარ/ვედ და მოედ ხვალე და მოგცე[3*], რამეთუ არა უწყი, თუ რაჲ ყოფად არს ხვალისა დღე"[4*]. ეჰა, ვითართა მცნებათა უგულებელს-ჰყოფ ვეცხლისმოყუარებისა მიერ ყურნი დაგიყოფიან. რაჲზომი მადლობაჲ თანაგედვა ქველისმოქმედისაჲ მის, და რაჲთამცა ბრწყინვალე იყავ და იხარებდი პატივითა მით, რომელ არა შენ სხჳსა კართა მიხუალ თხოად, არამედ სხუანი შენთა მოვლენ. ხოლო შენ მჳმუნვარე ხარ და ძნიად საპოვნელ, ივლტი შემთხუევისაგან გლახაკთაჲსა, ნუუკუე სადმე იძულებულ იქმნე მცირედ განმარB 224 ტებად ჴელისა. ერთი / ოდენ სიტყუაჲ გისწავიეს, ვითარმედ: „არა მაქუს, არა მოგცემ, რამეთუ გლახაკ ვარ".

ჭეშმარიტებით გლახაკ ხარ და ნაკლულევან ყოვლისაგანვე კეთილისა: A 142 გლახაკ — სიყუარულისაგან, გლახაკ — კაცთმოყუარებისაგან, გლახაკ—/სარწმუნოებისაგან ღმრთისა, გლახაკ — სასოებისაგან საუკუნეთა კეთილთაჲსა.

---

1 მისსა BC. 2 იგი] ეგე C. მოაოჴრჱ C. 3 აღაშენჱ C. 5 და—C. უჩუენჱ C. 6 გამოიყვანჱ C. საპყრობილოჲთ C. სიმდიდრჱ C. 8 დავარღჳნჱ C. აღვაშენნჱ C. 9 აღავსნჱ C. მერმჱ C. დაარღჳნჱ C. აღაშენნჱ C. 10 ამისსა BC. დაულევნელი შურომაჲ C. 12 დაჲუნჯე B. დაიუნჯჱ C. საუნჯე B. 13 სიმპალე B. 15 მივსცჱ C. 16 აღვავსნჱ C. 17 ცხოვრებისა C. იხილჱ C. 19 სახე B. 22 გითქს] გიდგს B. სავსჱ C. არიან B. 23 მბრწყინვალჱ C. 26 ხვალჱ C. მოგცჱ C. 27 დღჱ C. ვითართა] ვითარ B. 29 მბრწყინვალჱ C. 30 თხოვად C. 31 შენთა] შენ თანა C. მჳუნვარე B, მჳმუნვარჱ C. 36 კაცთმოყუარებისაგან + და B.

1* მათე 6,20. 2* მათე 6,20. 3* იგავ. 3,28, 4* იგავ. 27,1.

უბადრუკო, ყვენ ძმანი შენნი თანამონაწილე გრკილთა, ხვალე დალპობადი იგი მიეც დღეს გლახაკსა. ესე არს ბოროტი იგი და უკუანაჲსკნელი საზომი ანგაჰრებისაჲ, რომელ განხ/რწნადთა მათ, რომელთა შენცა ვერ იჴმარებდე, C v არა მისცემდე გლახაკთა.

7. არამედ იტყჳ შენ, ვითარმედ: „და რასა ბოროტსა ვიქმ, რომელ ჩემსა მას ეჰმარხავ?".

მითხარ-ღა სადაჲთ შენი არს ეგე ყოველი? ვინაჲ მიიღე და შემოიღე სოფელსა ამას? ვითარმცა ვინმე სახილველსა შინა იხილამცა რაჲმე ღირსი ხილვისაჲ მუნ ქმნილი, დააყენებდამცა სხუათა ხილვად მისა და ყოველთა სახილველად ქმნილი იგი თჳსადმცა შეერაცხა, ესევითარნი არიან მდიდარნიცა, რამეთუ ყოველთათჳს ქმნილი იგი დაიპყრეს და თჳსად სახელ-სდებენ ზიარსა მას. რამეთუ უკუეთუმცა / ვითარცა ჯერ-არს, ესრეთმცა თითოეული თჳსსა საჭმარსა B v მიიღებდა და სხუასა მას მეორესა დაუტეობდა, არცამცა მდიდარი ვინ იყო, არცა გლახაკი.

ანუ არა შიშუელი გამოხუედ-ა საშოჲთ დედისა შენისა? და არა შიშუელი • მიიქცე-ა კუალად ქუეყანადვე? ხოლო ესე ყოველი, რომელ გაქუს, სადაჲთ არს შენი? უკუეთუ იტყჳ, თუ თავით თჳსით, მაშა უღმრთოჲ ხარ და არა იცნობ დამბადებელსა, არცა ჰმადლობ მომცემელსა მას. უკუეთუ კულა აღიარებ, თუ ღმრთისა მიერ არს, / გჳთხარ ჩუენ მიზეზი იგი, თუ რაჲსათჳს მოგეცა? C 124 ნუუკუე ღმერთი უსამართლო არს-ა, რომელმან არა სწორებით განგჳყო ჩუენ ცხორებაჲ ესე? ანუ რად მდიდარ ხარ შენ და იგი გლახაკ? გარნა ამისთჳს, თჳნიერ ყოვლისა იჭჳსა, რაჲთა შენცა სახიერებისა და სარწმუნოებით განგებისა მადლი მიიღო და იგიცა დიდთა მათ / ღუაწლთა მიერ მოთმინებისათა A v პატივცემულ იქმნეს.

არამედ შენ ყოველივე აღუვსებელთა მათ წიაღთა შინა ანგაჰრებისათა შეჰკრიბე და ჰგონებ, თუ არავის ავნებ-ა, რომელი-ეგე ე/სეზომთა ავნებ? ვინ B 225 არს ანგაჰრი? — რომელი-იგი არა ეგოს ჭქრისა საჭმარსა ზედა, და ვინ არს მტაცებელ? — რომელი მიუღებდეს თითოეულისა მონაგებსა. ხოლო შენ არა ანგაჰრ ხარ-ა, ხოლო შენ არა მტაცებელ ხარ-ა, რამეთუ რაჲ-ეგე განსაგებელად და განსაყოფელად მიიღე, თჳსად სახელ-გიც? ანუ რომელმან-იგი შემოსილი აღძუარცოს, კაცის მძარცუეელ ეწოდების, ხოლო რომელმან შიშუელი არა შემოსოს, რაჲამს ძალ-ედვას ამისი ქმნაჲ, იგი სხჳსა რაჲსამე სახელისა ღირს არს-ა?

პური ეგე, რომელ შენ გაქუს ამაოდ, / მშიერისაჲ არს და არა შენი; C v სამოსელი ეგე, რომელი შენ საუნჯეთა შინა დაგიმარხავს, შიშუელისაჲ არს და არა შენი; ჭამლი ეგე, რომელ შენ თანა დალპების ცუდად, უჭამურისაჲ არს; ოქროჲ იგი, რომელი დაგიფლავს, მჴმარებელისაჲ არს და ნაკლულევანისაჲ. აწ უკუე უწყოდე, ვითარმედ ესეზომთა ავნებ, რაჲზომთა იგი სარგებელი შეგეძლო.

---

[1] თანამონაწილჱ C. ხეალჱ C. [2] გლახაკთა C. [3] იჴმარებდჱ C. [7] მიიღჱ C. შემოიღჱ C. [8] ვინმე] ვინ C. [9] ქმნული C. [10] ქმნული C. [11] სახელს-სდებენ C. [12] ვითარცა] ვითარ C. [13] დაუტევობდა C. [15] გამოხუედ B. საშოჲთ] საშუთ B. [16] მიიქცჱა C. [22] თჳნიორ B. [26] შეჰკრიბჱ C. ჰგონება C. ავნებ C. [27] არა—C. [28] მტაცებელი C. არა მიუღებდეს C. [29] ანგაჰარ C. [30] მიიღჱ C. შემოსილი] შესამოსელი C. [31] აღჰსძუარცოს C. [32] რაჲსამე] რაჲმე B. [35] შიშულისაჲ B. [36] რომელი B. [37] რომელ C. [38] უწყოდჱ C.

8. კეთილ არიანო სიტყუანი ეგე, არამედ უკეთეს არს ოქროჲ — იტყჳ შენ, ანგაჰრებითა დაბრმობილი ეგე, ვითარცა რომელნი მეძვისა ტრფიალთა სიწმიდისათჳს ეტყჳედ. რამეთუ იგინი, რაჲზომ ვინ მეძავსა მას შეასმენნ. B v მოჴ/სენებითა მით გულისთქუმად აღეგზნნიან. არამედ ვითარ-მე წარმოვადგინო წინაშე შენსა ჰირნი იგი და ღუაწლნი გლახაკისანი, რაჲთა სცნა, თუ ცითართა სულთქუმათა მიერ დაიუნჯებ?

A 143 ჵ რაჲზომისა საფასისა ღირსად / აღგიჩნდეს შენ დღესა მას საშჯელისასა სიტყუაჲ იგი, ვითარმედ: „მოედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკჳდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაჲთ, C 125 რამეთუ მშიოდა და მეცით მე / ჰამადი, მწყუროდა და მასუთ მე“[1*]. ხოლო ვითარი ძრწოლაჲ და ოფლი და ბნელი მოეფინოს შენ ზედა, რაჟამს გესმას საშჯელი იგი, ვითარმედ: „წარვედით ჩემგან, დაწყეულნო, ბნელსა მას გარესკნელისასა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათჳს და ანგელოზთა მისთათჳს, რამეთუ მშიოდა და არა მეცით მე ჰამადი, მწყუროდა და არა მასუთ მე, შიშუელი ვიყავ და არა შემმოსეთ“[2*]. რამეთუ მუნ არა მტაცებელი ოდენ დაისაჯების, არამედ უწყალოჲცა.

მე უკუე, რაჲ-იგი უმჯობესად ვიცოდე, მითქუამს, ხოლო შენ უკუეთუ ისმინო ჩემი, საცნაურ არიან მოცემადნი იგი საუკუნენი კეთილნი. და უკუეთუ B 226 ურჩ მექმნე, / თჳთწერილ არს მოწევნადი იგი რისხვაჲ, რომლისათჳს ვილოცავ, რაჲთა განერე შენ გემოჲსხილვისა მისისაგან, რაჟამს-იგი კეთილი გონებაჲ შეიმოსო, რაჲთა საჴსარ შენდა იქმნეს სიმდიდრე შენი და განმზადებულთა მათ კეთილთა ზეცისათა მიიწიო მადლითა მით მისითა, რომელმან-იგი ყოველთა მიუწოდა სასუფეველად მისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცჱ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

C 162v X. / თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი მდიდართა მიმართ

1. თქუმულ არს პირველცა სხუასა ჟამსა ჩუენ მიერ ამის ჭაბუკისათჳს[3*], რომელი აწ აღმოვიკითხეთ სახარებასა შინა, უწყი, რამეთუ აჴსოდის მოსწრაფესა მსმენელსა ყოველსავე, რაჲ-იგი მაშინ ვთქუთ პირველად, რამეთუ არა A v იგივე არს რჩუ/ლისმოძღუარი იგი, რომლისათჳს ლუკა იტყჳს[4*]. რამეთუ იგი გამომცდელი იყო და კიცხევით ჰკითხვიდა, ხოლო ესე კეთილად ჰკითხვიდა,

---

PG, 31. გვ. 277—304.

[1] უკეთეს] უმჯობეს C. [4] აღეგზნიან C. წარმოგიდგინო C. [6] დაჲუნჯებ B. [7] აგიჩნდეს B. სასჯელისასა C. [8] მოვედით C. და—B. დაჲმკჳდრეთ B. [9] ~ თქუენთჳს განმზადებული C. [10] მასუით B, მასჳთ C. [12] გარესკნელსა BC. [13] ანგელოსთა C. [14] მასუით B, მასჳთ C. შიშუელ BC. [17] ვიცოდჱ C. [18] საუკუნონი C. [19] მექმნნეთ C. ვილოცავთ C. [20] განერჱ C. მისისაგან] მისგან B. [21] შეჲმოსო B. საჴსარ] საჴმარ [C. [22] ზეცისათა—C. [23] მისსა BC. სიმტკიცე B] + თანა მამით და სულით წმიდით'ურთ C. [24] ა˜ნ AB, ამინ C. [25] წმიდისა + და ნეტარისა BC. დიდისა ბასილისა B] ბასილი კესარია-კაბადუკიელ მთავარეპისკოპოსისაჲ C. [26] მიმართ + თავი ი˜, გჳ˜ხნ მ˜მო C. [28] აღმოვიკითხჱ C. და უწყი C. ~ რამეთუ უწყი B. აჴსოვდის C. [30] შჯულისმოძღუარი C.

[1*] მათე 25,34—35. [2*] მათე 25, 41—43. [3*] მათე 19,16. [4*] ლუკა 10,25...

არამედ არა მორჩილებით შეიწყნარებდა. რამეთუ უკუეთუმცა უგულებელს-
ყოფით იყო კითხვაჲ მისი, არამცა / წარსრულ იყო შეწუხებული სიტყუათა B v
ზედა უფლისათა[1*]. ამისთჳსცა ვითარცა შერეულად გამოაჩინებს გონებასა
მისსა წმიდაჲ სახარებაჲ: ერთ კერძო საქებელად და სხჳთ კერძო კუალად უბა/- C 163
დრუკად და ყოვლითურთ განწირულად[2*]. რამეთუ რომელ-იგი იცნა ჭეშმარიტი
მოძღუარი და თანა-წარჰჴდა ამპარტავანებასა მას ფარისეველთასა და რჩულის-
მოძღუართა ზუაობასა და მწიგნობართა სიფუდულესა და სახელი მოძღურე-
ბისაჲ უწოდა ჭეშმარიტსა მას მოძღუარსა, ესე იყო საქებელ. და რამეთუ ზრუ-
ნვადცა აქუნდა, თუ ვითარ იქმნების დამკჳდრებაჲ ცხორებისა საუკუნოჲსაჲ,
ესეცა შესაწყნარებელვე იყო. არამედ იგი ამხილებს გონებასა მას და ნებასა
მისსა, ვითარმედ არა ჭეშმარიტისა მის კეთილისა მიმართ ხედვიდა, არამედ
რაჲ-იგი წინაშე მრავალთასა სათნოდ ჩანს. რამეთუ ისწავა ჭეშმარიტისა მის მო-
ძღურისაგან სწავლაჲ ცხორებისაჲ და არა დაწერა იგი გულსა ზედა თჳსსა, არცა
საქმით ქმნა სწავლული იგი, არამედ წარვიდა შეწუხებული, დაბნელებული
ცნებითა მით სიმდიდრისმოყუარებისაჲთა, და ესე / ამხილებს მისისა მის გო- B 227
ნებისა დაუწყნარებელობასა და თავისა თჳსისა მიმართ არა წამებასა.

მითხარ შენ, მოძღურად სახელ-სდებ[3*] და მოწაფეთასა არა იქმ-ა? სახიე-
რად აღიარებ[4*] და მის მიერ / მოცემულსა მას / გარე-მიაქცევ-ა? რამეთუ სახიე- C v
რი უეჭუელად სახიერებისაცა მიმცემელ არს. და ჰკითხავ საუკუნოჲსა მის A 144
ცხორებისათჳს[5*], ხოლო ხარ ყოვლითურთ წარმავალსა ამას ცხორებასა შემ-
ჭუალულ? ანუ რაჲ ძნელი და მძიმე და უზომოჲ სიტყუაჲ გრქუა მოძღუარ-
მან მან? არა ესრეთ თქუა-ა, ვითარმედ: „გაყიდე მონაგები შენი და მიეც გლა-
ხაკთა?“[6*] რამეთუ უკუეთუმცა ებრძანა შენდა შრომაჲ მუშაკობისაჲ, ანუ
ღელვანი იგი ზღუასა შინა ვაჭრობისანი, ანუ სხუაჲ რაჲმე საჭიროთაგანი, რო-
მელნი არიან საკმრის მეძიებელთა თანა, მაშინ გიჯმდა შენ შეწუხებაჲ ბრძა-
ნებისა მისთჳს. ხოლო უკუეთუ ესრეთ ადვილითა გზითა, რომელსა არცა
შრომაჲ აქუს, არცა ჭირი, აღგითქუამს შენ მიყვანებად საუკუნესა მას ცხორე-
ბასა, არა გიხარის-ა სიადვილისათჳს ცხორებისა მის? არამედ წარხუალ მწუ-
ხარე სულითა და მჭმუნვარე / და უკმარ ჰყოფ ყოველსა მას პირველსა შრო- B v
მასა შენსა. რამეთუ უკუეთუ არა კაც გიკლავს, ვითარ-იგი / შენ იტყჳ, არცა C 164
გიმრუშავს, არცა გიპარავს და არცა ვისდა ცილი დაგიწამებია[7*], უსარგებლო
ჰყოფ თავისა შენისათჳს ამას ყოველსა ზედა მოსწრაფებასა, რამეთუ არა შეს-
ძინებ ნაკლულევანსა მასცა, რომლისა მიერ ოდენ შეუძლო შესლვად სასუფე-
ველსა ცათასა. და უკუეთუმცა მკურნალი ვინმე გეტყოდა, რაჲთამცა ნაკლულე-
ვანებაჲ რაჲმე ასოთა შენთაჲ, მოწევნული შენ ზედა ბუნებით, ანუ სენისა მიერ,
აღასრულა, არამცა მწუხარე იყავ მის ზედა. ვინაჲთგან უკუე დიდი იგი მკურ-

---

2 კითხვაჲ] სიტყუაჲ C. 3 ამისთჳს B. 5 ჭეშმარიტი+იგი C. 6 შჯულისმოძღუართა C. 7 სი-
ფოდოლესა B] სილაღესა A. 8 ზრუნვადცა] საზრუნავადცა BC. 10 შესაწყნარებელ C. 11 მისა C.
ჰხედვიდა C. 13 თჳსსა—C. 14 საქმედ BC. და დაბნელებული C. 16 დაუწყნარებლობასა BC.
17 სახელ-სდება C. იქმ AC. 21 შემსჭუალოლ B. ძნელ C. მძიმჱ C. გრქუა+შენ C. 22 მან—C.
ესრე C. განყიდჱ C. ყოველი მონაგები C. 23 შურომაჲ C. 25 საკმრისა C. 26 რომელსა]რამეთუ B.
27 შურომაჲ C. 28 მწუხარჱ C. 29 მჭმუნვარე B, მჭუნვარჱ C. ყოველსავე C. შურომასა C.
31 და—C. 32 შენისათჳს] შენისა C. 35 მოწევნულ AB. ანუ—C. 36 აღასრულა]აღსასრული C.
მწუხარჱ C. მის] მას B.

1* მათე 19,22. 2* მათე 19,23, 26. 3* მათე, 19,16. მათე, 19,16. 5* 19,16.
6* მათე 19,21. 7* მათე, 19,20.

A v ნალი სულთაჲ სრულყოფად შენდა ისწრაფის, / რომელსა-ეგე უმჯობესნი
იგი ასონი გაკლან, არა შეიწყნარებ-ა მადლსა მას, არამედ იგლოვ და მწუხა-
რე ხარ?

საცნაურ არს უკუე, ვითარმედ მის მცნებისაგან შორს ხარ და ტყუილით
დასწამე იგი თავსა შენსა, რომელ სთქუ, ვითარმედ: შეგიყუარებიეს მოყუა-
სი, ვითარცა თავი თჳსი[1*]. რამეთუ აჰა ესერა სიტყუაჲ იგი უფლისაჲ გამხი-
ლებს, ვითარმედ ჭეშმარიტისა მის სიყუარულისაგან შორს ხარ. რამეთუ
B 228 უკუეთუმცა სიტყუაჲ იგი შენი ჭეშმარიტ იყო / და დაგემარხამცა სიყრმითგან
C v მცნებაჲ იგი სიყუარულისაჲ / და ესეზომი მიგიცემიეს თითოეულისადა,
რაჲზომ-იგი თავისა შენისადა, ვინაჲ არს შენდა სიმდიდრე ეგე საჭმართაჲ?
რამეთუ განმლეველი არს სიმდიდრისაჲ მიცემაჲ იგი გლახაკთაჲ, რაჟამს-იგი
თითოეულსა საჭმარი მიეცემოდის და საცნაურ არს, ვითარმედ: რომელსა
უყუარდეს მოყუასი, ვითარცა თავი თჳსი, არარაჲ აქუს მას უმეტესი მოყუ-
სისაჲ. არამედ აჰა ესერა ჩანს, ვითარმედ გაქუს მონაგები ფრიადი. სადაჲთ
არს იგი ყოველი? გარნა ამისთჳს, რამეთუ თჳსი განსუენებაჲ უპატიოსნეს
სხუათა განსუენებისა შეგირაცხიეს და რაჲზომცა-ეგე სიმდიდრითა უმეტეს
ხარ, ესეზომად გაკლს სიყუარული, თუ არა უკუეთუმცა გიყუარდა მოყუასი
შენი, პირველითგანმცა გეწუართა განბნევაჲ მონაგებისაჲ მის. ხოლო აწ საჭ-
მარნი უმეტეს არიან შენდა, ვიდრელა ასონი ჴორცთანი და შეგაწუხებს მათ-
გან განშორებაჲ, ვითარცა მოკუეთაჲ ასოთაჲ. რამეთუ უკუეთუმცა შეგემო-
B v სა შიშუელი, უკუეთუმცა მიგეცა მშიერისადა პური შენი, / უკუეთუმცა კარი
C 165 შენი ღია იყო ყოვლისავე უცხოჲსათჳს, უკუეთუმცა ქმნილ იყ/ავ მამა ობო-
A 145 ლთა და / გეწყალოდა ყოველივე უძლური, აწმცა რომელთა საჭმართათჳს
მწუხარე იყავ? ანუ ვითარმცა ძნელ გიჩნდა წარგებაჲ დარჩომილისაჲ მისცა,
უკუეთუმცა პირველითგან გეწუართა მის ყოვლისაჲვე განყოფაჲ გლახაკთადა?
ანუ არა ხედავ-ა, ვითარ სავაჭროსა შინა არავინ მწუხარე არნ, რაჟამს-იგი
მისცემნ, რაჲ-იგი აქუნ და რომელი არა აქუნ, მიიღებნ მას? არამედ რაჲზომცა
მცირედითა საფასითა უმეტესისა ღირსი იყიდოს, ესეზომად უხარის, ვითარ-
ცა ბრწყინვალედ და კეთილად ვაჭრობისათჳს. ხოლო შენ მწუხარე ხარ-ა,
რამეთუ ოქროსა და ვეცხლსა და საჭმართა მისცემ, რომელ არიან ქვა და
მიწა, რაჲთა მოიგო სანატრელი იგი ცხორებაჲ?

2. და რად იჭმარო შენ სიმდიდრე იგი შენი? რაჲთა ბრწყინვალითა სა-
მოსლითა შეიმოსო-ა? — ორწყრთეული სამოსელი კმა გეყოფის შენ და ერ-
თისა სამოსლისა შემოსამან მრავალფერთა მათ სამოსელთა საჭმარი აღასრუ-
ლოს. ანუ საზრდელისათჳს იჭმარო-ა სიმდიდრე? — არამედ ერთი პური კმა
C v არს აღვსებად მუცლისა. რაჲსათჳს უკუე მწუხარე ხარ? რაჲსაგან გა/მოეკუე-
B 229 ბი? დიდებისაგან-ა, რომელი-იგი / სიმდიდრისა მიერ მიგეცემის? არამედ

---

[3] იგი—C. ~ ასონი იგი B. მწუხარჱ C. [4] მის] ამის C. ტყუეილით C. [8] ჭეშმარიტი C. [10] სიმ-
დიდრჱ C. [11] განმლეველ BC. სიმდიდრისა C. [12] თითოეულისა C. [13] მას—C. მოყუსისა C.
[14] სადაით C. [18] პირველითგანვემცა C. მის—C. [20] განშოვრებაჲ C. [22] უცხოჲსადა BC.
[24] მწუხარჱ C. დარჩომილისა C. [25] პირველითგანვე C. ყოვლისავე B. [26] ჰხედავა C. მწუხა-
რჱ C. რაჟამს-იგი] რაჟამს C. [29] მბრწყინვალედ C. ხარ C. [32] სიმდიდრჱ C. მბრწყინვალითა C.
[33] შეჲმოსოა B. ორწყრთეულად C. გეყოფეს BC. [34] მრავალფერთა] მრავალთა C. [35] სიმ-
დიდრჱ C. [37] მოგეცემის C.

[1*] მათე 19,19—20.

უკუეთუ ქუეყანასა ზედა არა ეძიებდე დიდებასა, ჰპოო ჭეშმარიტი იგი და
ბრწყინვალე დიდებაჲ, რომელი მოგეცეს სასუფეველსა ცათასა. ანუ იტყჳ,
თუ თჳთ სიმდიდრე საყუარელ არს, დალაცათუ არარაჲ იყოს მისგან სარგებე-
ლი? არამედ ესე ყოველთადა საცნაურ არს, ვითარმედ უსარგებლო არს საჭ-
მართა იგი და საფასეთა უზომოჲ მოგებაჲ. გარნა სხუაჲცა გითხრა შენ, და
დალაცათუ საკჳრველად აღგიჩნდეს, არამედ ჭეშმარიტ არს, ესე იგი არს, ვი-
თარმედ: უკუეთუ განაბნევდე სიმდიდრესა სახითა მით, რომლითა უფალ-
მან ბრძანა, / უფროჲსად ეგოს შენ თანა და უკუეთუ ანგაჰრობდე, მაშინ გა- A v
ნიბნევის. უკუეთუ ჰმარხვიდე, არა გაქუს; უკუეთუ კულა განაბნიო, არა წარ-
გიწყმდების, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „განაბნია და მისცა იგი გლახაკ-
თა და სიმართლჱ მისი ჰგიეს უკუნისამდე“[1*].

არამედ არა თუ სამოსლისათჳს და საზრდელთა არს ესრეთ საყუარელ
სიმდიდრე ვიეთგანმე, არამედ მოუპოვნებიეს ღონე რაჲმე ეშმაკსა და ბევ-
რეულთა მიზეზთა წარგებისათა მოაგონებს მდიდართა, და რაჲთა ნამეტნა/ჳსა C 166
მას და / უჭმარსა ესრეთ მოსწრაფებით შეჰკრებდენ, ვითარცა საჭიროსა საჭ- B v
ჭარსა. და არარაჲ ყოლადვე ეყოფინ ღონეთა მათთჳს წარგებისათა, რამეთუ
განჰყოფენ სიმდიდრესა მას მის ჟამისა წარსაგებელად, რომელსა შინა იყვ-
ნენ და კუალად მომავალთათჳს ჟამთა; და რომელსამე საფასესა თავთა თჳსთა-
თჳს ჰმარხვენ და კუალად რომელსამე — შვილთათჳს მათთა. მერმე კუალად
სხჳსა და სხჳსა საქმისა წარსაგებელად განჰყოფენ მას. რამეთუ იხილეთ, თუ
ვითარნი არიან განგებანი მათნი, ვითარმედ: „იყავნ ესე საფასჱ საჭმართათჳს
და ესე რომელიმე იყავნ საუნჯეთა შინა დამარხულად“, და რომელი-იგი საჭ-
მართათჳს არს არა საჭიროთათჳს ოდენ, არამედ უსარგებლოთა: „და კუალად
ესე რომელიმე საფასე სახლისა შესამკობელად იყავნ და კუალად ესე — გარე-
განთა მათ უცნებათათჳს და სამკაულთა და ესე რომელიმე — რაჟამს გზას
წარვიდოდით და კუალად იგი — ოდეს შინა ვიყვნეთ, რაჲთა ბრწყინვალედ და
შუებით და ფუფუნებით იყოს ცხორებაჲ ჩუენი“.

/ ხოლო მე განკჳრვებულ ვარ უსარგებლოთა მათ გარდამატებულებათა A 146
მათთათჳს, ვითარ /.ეტლები / აქუნ ბევრეულები, რომელნიმე თავთა თჳსთა- B 230
თჳს და რომელნიმე სხუად საჭმარად, ოქროჲთა და ვეცხლითა დაბურვილები, C v
ხოლო ცხენნი ეგრეთვე ურიცხუნი (რომელთა სახელები ეწოდებინ მათცა,
ვითარცა კაცთა — თითოეულსა ნათესავისაგან მამათაჲსა და პაპთაჲსა ეწო-
დებინ სახელი): რომელნიმე ქალაქსა შინა სავალად, იშუებდიან რაჲ, სხუანი
კუალად ნადირობად განმყვანებელნი, სხუანი კუალად მგზავრობათათჳს და
ბრძოლათა განმზადებულნი, რომელთა ზედა იყვნიან უნაგრები და ლაგმები

---

[1] ეძიებდჱ C. ჰპოეო C. [2] ბრწყინვალებაჲ B, მბრწყინვალჱ C. [3] თჳთ—C. სიმდიდრჱ C. დალათუ A. [4—6] საჭმართა იგი და საფასეთა... ესე იგი არს—A. [5 და1°—C. [6] ვითარმედ—C. [7] განაბნევდჱ C. სიმდიდრესა+მას C. [8] ანგაჰრობდჱ C. [9] ჰმარხვიდჱ C. [11] სიმართლე B. [12] საზრდელისა C. [13] სიმდიდრჱ C. [13] მოუპოვებიეს C. ღონჱ C. [14] და—C. ნამეტავსა C. [15] შეიკრებდენ C. [16] და]რამეთუ C. იყოფვინ C. [17] მას—C. [18] რომელთამე საფასეთა C. [19] და მერმჱ C. [20] იხილჱ C. [21] საფასე B. [22] რომელი-იგი]რაჟამს -იგი C. [24] საფასჱ C. [25] უცნე-ბათათჳს]უცნებათა მათ A. გზასა C. [26] ოდეს—B. მბრწყინვალედ C. [27] ცხოვრებაჲ C. [28] გარდა-მატებულთა BC. [29] მათთჳს C. აქუს C. [30] საჭმრად BC. ოქროეთა B. [31] ხოლო—BC. ეწოდე-ბიან C. [32] მამათა BC. პაპტთაჲსა B. ეწოდებიან C. [33] სახელები B]—C. [35] იყვიან A. უნაგირები AC.

[1*] ფსალმ. 111,9.

და საბურველები, ყოველივე ოქროცურვებული, ყოველივე ჳეცხლისა მკე-
დითა კერული: ავშარაები ძოწეულები. და შეამკობდიან ცხენთა მათ, ვითარ-
ცა სძალთა. კუალად ჯორებისა სიმრავლე, ფერად-ფერადად განყოფილი;
სტრატულნი მათნი, ერთმანერთისა შემდგომნი, სხუანი კუალად წინამსრბოლ-
ნი, სხუანი თანაშავალნი; სხუათა მათ მსახურთა ურიცხჳ სიმრავლჱ, მონა-
თა დასები — ყოვლისავე ფუფუნებისა მიმართ მოსწრაფენი. კუალად მათ
B v ზედა სხუანი მნენი და ზედამდგომელნი — რომელნიმე ტანის მსახურნი, /
C 167 რომელნიმე მუშაკნი; სხუანი / კუალად ყოვლისავე ჴელოვნებისა მოქმედნი,
რომელნიმე საჯმრისა საქმისა და რომელნიმე ცუდისა, საშუებელად მოპო-
ვნებულისა; მზარაულნი, მეპურენი, მემარნენი, მონადირენი, მხატვარნი,
ყოვლისავე გულისთქუმისა მოქმედნი და აღმასრულებელნი. სიმრავლენი აქ-
ლემთანი — რომელნიმე ტჳრთთა მკრებელნი და რომელნიმე მძოვარნი; რემაე-
ბი ცხენთაჲ, ნახირები ზროხათაჲ, სამწყსოები ცხოვართაჲ, კოლტები ღორ-
A v თაჲ, ამათ ყოველთა მწყემსნი. ყოველივე ქუეყანაჲ, საშუებელად მოგებული /
და შემოსავალითა სიმდიდრისა მის აღმაორძინებელი. აბანოები ქალაქსა შინა,
აბანოები სოფელთა შინა, ტაძარნი თითოსახეთა მიერ მარმარილოთა შემკო-
ბილნი: რომელიმე ფრიგიელითა ქვითა, სხუაჲ კუალად ლაკონიკელითა ანუ
თესალონიკელითა, ანუ ჰრომულითა. და ესენი ესევითარნი იყვნიან, რაჲთა
რომელნიმე ზამთრის ატფობდენ და სხუანი ზაფხულის აგრილობდენ. ქუეყა-
ნაჲ იგი სიჰრელითა მით წულილადთა მათ ქვათა მიერ შემკული, ხოლო სარ-
B 231 თული ოქროჲთა მოლესული და კედელნი აღ/მართებულითა მარ/მარილოჲთა
C v შემკულნი; და რომელიცა ზედაჲთ კერძო მარმარილოთა მათ არნ, მოწერიან
თითოსახედ.

8. და მერმე, რაჟამს ბევრეულად განიყვის სიმდიდრჱ იგი და ჯერეთ
ჰმატნ, ქუეყანად მისციან და უხილავთა შინა დაფლული დაჰმარხიან და იტყო-
დიან: „ვინ უწყის მომავალთა მათ ჟამთათჳს, თუ რაჲ ყოფად არს, ნუუკუე
მოულოდებელნი საქმენი მოიწინენ".

კაცო, ესე ვინ უწყის, თუ იკმაროცა სადა? რამეთუ ესე უცნაურ არს,
ხოლო უწყალოებაჲ ეგე და უკეთურებაჲ შენი არა უცნაურ არს. რამეთუ რა-
ჟამს მრავალფერითა მაგით ღონითა საფასჱ იგი ვერ განჰლიე, მერმე ქუეყა-
ნასა შინა დაჰმალე. ეჰა, სიცოფჱ ბოროტი! ვიდრემდის ქუეყანისა თუალთა
შინა იყო ოქროჲ, სთხრიდი და ეძიებდი და რაჟამს გამოცხადნა და გამოვიდა
მიერ, კუალად მუნვე დაჰფლავ და უჩინო ჰყოფ. და მერმე, ვითარცა მე
ვჰგონებ, რაჟამს საფასჱ დაჰფლა, გულსაცა შენსა მას თანავე დაჰფლავ, რა-
მეთუ „სადაცა საუნჯენი თქუენნი, მუნცა გულნი თქუენნი იყვნენო"[1*].

B v ამისთჳს შეაწუხებენ მდიდართა მცნებანი, / რამეთუ სიკუდილად / შეუ-
A 147 რაცხიეს, უკუეთუ უსარგებლოთა მათ წა/რსაგებელთა არა შექცეულ იყვნენ.
C 168

---

[1] ყოველი A. ყოველი A. [2] კერულ B. ავშარები A. [3] და კუალად B. სიმრავლჱ C. ფერადფერად BC. [4] ერთმანერთსა C. [5] სიმრავლე B. [9] და—B. [12] და — BC. მძოვარნი C. რემაკები C. [13] სამწყსოჲ AC]+ იგი C. ცხოართაჲ B. კოლტები]დასები B. [14] ქუეყანისაჲ C. საშუებლად BC. [15] და—A. მის—A. [16] მარმარილოჲთა B. [17] რომელნიმე C. ფრიგიულითა A. ლაკონიკელელითა B. [20] მწულილადთა BC. მიერ—BC. [22] მოწერიან] მოწერილ არნ C. [24] მერ-მჱ C. განყვის C. სიმდიდრე B. [30] საფასე B. მერმჱ C]—A. [31] დაჰმალჱ C. სიცოფე B. [33] დაჰფლავა C. მერმჱ C. [34] საფასე B. თანა C. [35] იყვნენ C. [36] მცნებანი (αἱ ἐντολαι)] მონე-ბანი B.

[1*] მათე 6,21.

და მე ვჰგონებ, ვითარმედ ვნებაჲ ესე ამის ჭაბუკისაჲ და მსგავსთა მისთაჲ მსგავს არს საქმესა კაცისასა, რომელმან სურვილითა ქალაქისა რომლისაჲთამე გლის გზაჲ ფრიადი ჴილვად მისა და მახლობელად რაჲ მიიწიის ზღუდეთა მისთა, უდებებითა მცირედისა სხჳსა სლვისაჲთა უქმარ ყვის ფრიადი იგი შრომაჲ მისი და ხილვად კეთილთა მათ მის ქალაქისათა არა ღირს იქმნის. ესრეთ არიან, რომელნი-იგი სხუასა მრავალსა იქმან და საფასისა წარგებაჲ არა ჰნებავს. რამეთუ მრავალნი მიხილვან, რომელნი იმარხვიდიან და ილოცვიდიან და სულთ-ითქუმიდიან და წარუგებელსა მას მოღუაწებასა აჩუენებდიან და ერთსა წულილსა ჭირვეულთადა მიცემად არა თავს-იდებდიან. რასა-მე ერგოს მათ სხუაჲ იგი მოღუაწებაჲ, ვინაჲთგან ვერ დაიტევს მათ სასუფეველი ცათაჲ? რამეთუ თავადმან უფალმან ბრძანა, ვითარმედ: „უადვილეს არს აქლემისა კურწსა ნემსისასა განსლვად, ვიდრეღა მდიდარი / სასუფეველსა ცათასა შეს- B 232 ლვად“[1*]. არამედ განჩინებაჲ ესე ესრეთ ცხად არს: და მეტყუელი იგი — უტყუელ, ხოლო მორჩი/ლნი — მცირედ. C v

არამედ იტყჳან, ვითარმედ: „და ვითარ ვიყოფოდით, რაჟამს ყოველი განვაბნიოთ? ანუ რაჲ იყოს სახჱ ამის სოფლისაჲ, რაჟამს ყოველნი განუ-ყოფდენ მონაგებთა მათთა?“.

ნუ მკითხავ მე გონებასა ბრძანებათა მათ მეუფისათა. იცის რჩულის-მდებელმან მან, რაჲთა შესაძლებელცა ყოს რჩული იგი თჳსი. ხოლო შენი გული, ვითარცა სასწორისა მიერ გამოიცადების, თუ ჭეშმარიტისა მის ცხო-რებისა მიმართ ანუ წარმავალისა ამის განსუენებისა არს მიდრეკილ / ზრახვაჲ A v შენი. რამეთუ ჯერ-არს უწყებაჲ, ვითარმედ სიმდიდრე არა საშუებელად თჳსი-სა თავისა, არამედ განსაგებელად სხუათა მოცემულ არს. და რაჟამს მიეცე-მოდის გლახაკთა, სიხარული ჯერ-არს, ვითარმცა უცხოთა ნამარხევთაგან გან-ვთავისუფლდებოდეთ, და არა მწუხარებაჲ, ვითარმცა თჳსთაგან უცხო ვიქ-მნებოდეთ.

რაჲსათჳს უკუე მწუხარე ხარ და იგლოვ სიტყჳსა მისთჳს, რომელი იტყჳს, თუ: „განყიდე მონაგები შენი?“ რამეთუ უკუე/თუმცა შეგიდგა შენ მონაგე- B v ბი მის საუკუნისაცა, მაშინცამცა არა საყუარელ იყო, რამეთუ პატიოსნებისა-გან მუნ მყოფთა მათ კეთილთაჲსა უჩინომცა იქმნეს სიკეთენი ესე ამის / სოფ- C 169 ლისანი. უკუეთუ კულა თჳნიერ ყოვლისა იჭჳსა ყოველივე იგი აქა დარჩომად არს, რაჲსათჳს არა განვყიდოთ და სარგებელი მათი ჩუენ თანა წარვიღოთ? ხოლო შენ, რაჟამს ოქროსა მისცემდე და ცხენსა აღიღებდე, არა მწუხარე ხარ და რაჟამს განხრწნადთა მათ მისცემდე და სასუფეველი ცათაჲ მოგეცე-მოდის, ამისთჳს სცრემლოი-ა? უარ-ჰყოფ მას, რომელი-იგი გთხოვს, და არა გნებავს მიცემის, ბევრეულთა მიზეზთა შეიკრებ.

---

1 ვგონებ B. 3 მისსა B. 4 უდბებითა C. 5 შურომაჲ C. ქალაქისა B. 9 ერთისა BC. წულილისა B, მწულილსა C. 11 აქლემისაჲ C. 12 მდიდრისა B. 14 უტყუველ C. 15 ვიყოფვო-დით C. 16 სახე B. განჰყოფდენ C. 18 შჯულისმდებელმან C. მან—B. 19 შჯული C. 20 გამო-იცდების A. ~ ცხორებისა მის C. 22 სიმდიდრჱ C. საშუებლად C. ~ თავისა თჳსისა C. 23 სხუათადა C. 24 სიხარულით C. 27 რამეთუ რაჲსათჳს C. ეგლოვ B. 28 განყიდჱ C. ყოვე-ლი მონაგები C. 29 საუკუნოჲსაცა C. მაშინმცა C. 30 მყოფთაგან B. იქმნნეს C. ესე]ეგე BC. 31 თჳნიორ A, თჳნიურ B. 33 მისცემდჱ C. აღიღებდჱ C. მწუხარჱ C. 34 მისცემდჱ C. 35 სცრემ ლოჲა C. უვარ-ჰყოფა C. 36 მიცემის]მიცემაჲ C.

1* ლუკა 18,25.

4. რაჲ-მე მიუგო შენ მსაჯულსა მას? რომელი-ეგე კედელთა ამკობ, კაცსა
არა შეჰმოს-ა? რომელი ცხენთა ოქროჲთა დაჰბურავ, ძმასა შენსა უშუერად
შიშუელსა უგულებელს-ჰყოფ-ა? რომელი-ეგე იფქლსა ალპობ, მშიერსა არა
გამოზრდი-ა? რომელი-ეგე ოქროსა ჰფლავ, უკუეთუ ვინმე თანამდები მოვა-
ლისა მიერ მოშთობად იხილო, შეურაცხ-ჰყოფ-ა? უკუეთუ კულა მეუღლეცა
ესევითარისავე გონებისაჲ იპოოს, ორკეც არნ სენი იგი, რამეთუ შუებათა
IB 233 განამრავლებს და გემო/ჲსმო/ყუარებათა აღაორძინებს და გულისთქუმისა
ıA 148 საწერტელ / ექმნების. რაჟამს მოიპოებნ ქვათა რათმე და მარგალიტთა და
ıC v სამარაგდეთა და იაგუნდთა და ოქროსა, რომელსამე ჰედნ და რომელსამე
ქსოვენ და ყოვლით კერძო სენსა მას აღაორძინებნ, რამეთუ არა გარეწარად
აქუნ ამათ საქმეთა მოსწრაფებაჲ, არამედ ღამჱ და დღჱ ამისთჳს ზრუნავნ.
და თითოფერთა ჴელოანთა შეჰკრებედ: მოიყვანნიან მღებვარნი ბრწყინვა-
ლეთა საღებავთანი, ოქრომჭედელნი, მენელსაცხებლენი, მქსოელნი ოქროჲ-
სანი, მხატვარნი. არცა ერთსა ჟამსა აქუნ განსუენებაჲ, არცა ერთი სიმდიდ-
რე კმა არნ გულისსათქუმელთა მათ აღსრულებად, არცა თუმცა მდინარით
აღმოდიოდა, რაჟამს საძიებელ არნ ნელსაცხებელი იგი ბარბაროზული, ვი-
თარცა ზეთი უბანთაჲ და კუალად შუენიერებანი იგი ზღჳთ გამოსავალნი:
კოხლოჲ და პინაჲ — უფროჲს მატყლისა მის ცხოვართაჲსა. და ოქროჲ გარე-
შოადგნ ქვათა მათ მრავალსასყიდლისათა: რომელიმე შუბლის საკრავ არნ და
IB v რომელიმე — მანიაკ და სხუაჲ სარტყელთა ზედა წარაგიან, / კუალად სხუაჲ—
ʘC 170 ბეჭედთა მათ, რომელნი შეი/სხნიან ჴელთა და სხუანი იგი — სამკაულნი ფერ-
ჴთანი. რამეთუ ოქროჲსმოყუარეთა მათ უხარის შეკრვაჲ ჴელთა და ფერჴ-
თაჲ, ოდენ ოქროჲ იყოს შემკრველ. ხოლო ოდეს-მე იზრუნოს სულისა თჳსი-
საჲ ესევითარმან მან, რომელი-იგი ბოროტთა მათ გულისთქუმათა ჰმსახურებ-
დეს შეგინებისათა? რამეთუ ვითარცა ნავი, განტეხილი სიმძაფრითა ღელვა-
თაჲთა, წარწყმდის, ეგრეთ დაანთქმენ გულისთქუმანი იგი დედათანი სულთა
ıA v მათ / საწყალობელთა.

და რაჟამს ესრეთ ესევითართა საქმეთა მიმართ განმარტებულ იყოს სიმ-
ვიდრე იგი გულისთქუმისმოყუარეთა მათ მიერ, ვერ ოდეს მიიწევის გლახაკ-
თა მიმართ, არამედ ამაოთა მათ მოსაპოვნებელად განცრუებულ არნ. და უკუ-
ეთუ ესმას, თუ: „განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა, რაჲთა გაქუნ-
დეს საგზალი ცხორებისა მის მიმართ საუკუნოჲსა“, წარვალს შეწუხებული;
უკუეთუ კულა ესმას, ვითარმედ: „მიეც საფასჱ დედათათჳს მგოსანთა, ანუ
მიეც ქვისა მთლელთა, ოქრომჭედელთა, ხუროთა, მეოქროსოფიოთა, მხატვარ-
IB 234 თა“, უხარინ, ვითარმცა / რაჲმე პატიოსანი საქმჱ / და უმჯობესი საფასისა მო-
ʘC v ეცემოდა.

ჵ კაცო, არა ხედავ-ა ამათ კედელთა, სიგრძისაგან ჟამთაჲსა დარღუეულ-

---

[4] გამოჰზრდია B. რომელი-ეგე]რომელი C. ვინმე]ვინ BC. [5] მოშთობადი BC. [6] იპოეს C. [7] გემოთმოყუარებათა B. გემოთმოყუარებასა C. [8] მოიპოებნ]მოიღებნ C. [11] ღამე და დღე B. ამისთჳს]ამათთჳს C. [12] ჴელოვანთა C. შეჰკრებნ C. მღებველნი BC. მბრწყინვალეთა C. [13] საღებაეთა C. მქსოველნი C. [14] აქუს C. სიმდიდრჱ C. [15] არცა]არა C. [18] კოხილოჲ B. [19] შუბლისა C. [22] ოქროჲსამოყუარეთა C. [24] რომელი-იგი]რომელი B. მათ]ამათ C. [28] სიმდიდრჱ C. [29] მათ—C. მოიწევის C. [30] განცრუებულ]განცჳბრებულ AB. [32] მის—C. [33] საფასე B. [34] ოქროჲსმჭედელთა B. ხუროთა (τέκτοσι)] სხუათა A, და სხუათა C. მეოქროსოფიეთა C. [35] ~პატიოსანი რაჲმე C. საქმე B. [37] ჰხედავა C. ამათ]მათ C.

თა რომელთა ნაწილნი ოდენ დარჩომილ არიან ქალაქსა შინა და სხენან წარსაჩრკოლებელად ოდენ მავალთა? რავდენნიმცა გლახაკნი ყოფილ იყვნეს ქალაქსა ამას შინა, რაჲამს-იგი ესენი აღემართებოდეს, რომელნი-იგი ამათ ზედა მოსწრაფებისათჳს მდიდართა მიერ შეურაცხ-იყვნეს? აწ უკუე სადა არს ბრწყინვალჱ იგი შემკობილებაჲ მათი? ანუ სადა არს იგი, რომელი ამათისა შენებისათჳს საშურეველ იყო? არა დარღუეულ და მოოჴრებულ არიან-ა ესენი, ვითარცა ყრმათა მიერ მღერით ქჳშითა ქმნილნი იგი ნაშენებნი? ხოლო ამათი მოქმედი აწ მდებარე არს ჯოჯოხეთს შინა და ამაოებით მოსწრაფებისა მისისათჳს ინანის.

დიდი და ბრწყინვალე სული გაქუნდინ, თუ არა კედელნი მცირეცა და დიდი ერთსა საჴმარსა აღასრულებენ. რამეთუ / მე, რაჲამს შევიდე სახლსა A 149 კაცისა ამპარტავანისასა და უძლებად მდიდრისასა დ ვიხილო სახ/ლი იგი, B v ყოვლითა შუენიერებითა შემკული, ვიწყებ გლოად, რამეთუ გუ/ლისჴმა-ვყვი, C 171 ვითარმედ ამას კაცსა არარაჲ უპატიოსნესად აქუს უფროჲს ამათ ხილულთასა, არამედ უსულოთა მათ შეამკობს და სული მისი უშუერ არს. ანუ მითხარ, თუ რომელსა უმეტესსა საქმესა იქმან ვეცხლისა ცხედარნი და ვეცხლისა ტაბლანი, პილოჲს ძულისა სავარძელნი და საჯდომნი ბრწყინვალენი, რომელ ამათთჳს სიმდიდრე შენი გლახაკთა ვერ მიეცემის? არამედ დგანან ბევრეულნი კართა ზედა, ყოველსავე საწყალობელსა სიტყუასა გეტყჳან, ხოლო შენ უარ-ჰყოფ მიცემასა და იტყჳ, ვითარმედ: „არა კმა შეყოფის მონაგები ჩემი ყოველთა მათ გლახაკთა მიცემად“. და ენითა ჰფიცავ არაქონებასა, ხოლო ჴელი შენი გამხილებს, რამეთუ ჴელი შენი დუმილით ტყუილსა შენსა ქადაგებს, რამეთუ ბრწყინავს ბეჭდის თუალისა მისგან, რომელი მას ზედა არს. რავდენთა ჴირვეულთა თანამდებთაჲ ძალ-უც ერთსა თითისა შენისა ბეჭედსა გამოჴსნად? რავდენთა დარღუევადთა სახლთა ამართებაჲ? ერთსა კიდობანსა შენსა, სავსესა / სამოსლითა შენითა, ძალ-უც მრავლისა ერისა, სიცივითა შეჭ/ირვებულისა, შემოსაჲ. B 235 არამედ მოითმენ შენ განტევებად გლახაკისა მის ცალიერად C v და არა გეშინის სამართლად მისაგებელისა მისგან მსაჯულისა მის.

არა შეიწყალებ-ა? — არცა შენ პოო წყალობაჲ; არა განუღე-ა კარი შენი გლახაკსა? — განიდევნო შენცა სასუფეველისაგან; არა მიეც-ა / პური? — A v არცა შენ მოგეცეს საუკუნოჲ იგი ცხორებაჲ.

5. ანუ გლახაკად უწოდ-ა თავსა შენსა? — მეცა გეწამები, რამეთუ გლახაკი იგი არს, რომელსა მრავალი რაჲ უჴმნ და არა აქუნ. და თქუენცა ეგრევე გიყოფს განუძლებელობაჲ იგი გულისთქუმათაჲ, რამეთუ ათსა ტალანტსა ზედა სხუასა ათსა ისწრაფი შეძინებად და რაჲამს ოც იქმნენ, სხუასა ეგეზომსა ეძიებ. და მარადის მომავალი იგი არა თუ ნებასა შენსა აღასრულებს, არამედ

---

[2] მავალთა] მრავალთა AC. რაოდენნიმცა C. [3] ამათ (ταῦτα)] ამაოთა A. [5] ბრწყინვალე B, მბრწყინვალჱ C. იგი—B. [7] მღერითი C. მქჳშითა C. [8] მდებარჱ C. მოსწრაფებისათჳს მისისა B. [10] მბრწყინვალჱ C. აქუნდინ C. [11] შევიდჱ C. [12] და უძლებად]დაუძინებელად C. [13] შემკუბილი B. გლოვად C. რამეთუ]და C. გულისხმა- C. [14] ვითარმედ]რამეთუ C. უპატიოსნეს C. [15] მათ]ამათ C. [17] ძულისა] ძლისა B. მბრწყინვალენი C. [18] სიმდიდრჱ C. კარსა BC. [19] უვარჰყოფ C. [20] კმა—C. მეყოფების B. [22] ტყუვილსა C. [23] ბეჭდის] ბეჭედი C. რომელ C. რაოდენთა C. [24] თანამდებთა B. ~ძალ-უც თანამდებთაჲ A. ერთისა C. [25] რაოდენთა C. ალმართებაჲ BC. [27] ვითარ მოითმენ C. შენ—C. ცარიელად B. [29] ჰპოვო C. [30] განუღჱ C. [32] მოგცეს A. [33] რაჲ—C. ეგრევე]ეგევე A, ეგრეთვე C. [34] განუძლომელობაჲ C. ათსაცა C. [35] იქმნენ C.

უმეტესისა გულისთქუმად აღაგზნებს. რამეთუ ვითარცა მომთრვალეთა მი-
ზეზად სუმისა ექმნების სუმაჲვე, ეგრეთვე მდიდართა, რაჟამს ფრიადი მოი-
გონ, უმეტესისა მიმართ სურის, და რაჲზომსაცა მოიგებდენ, უმეტესად აღორ-
ძნდების სენი იგი და მოსწრაფებაჲ იგი უმეტესად წინააღმდგომებად მოიწე-
B v ვის. / რამეთუ არა ახარებს მათ მოგებუ/ლი იგი, არამედ შეაწუხებს მოუგებე-
C 172 ლი და მარადის სული მათი ზრუნვითა დაღნების, რაჟამს გარდამატებულისა
მიმართ მოსწრაფე იყვნენ.

რამეთუ ჯერ-იყო სიხარული და მადლობაჲ ღმრთისაჲ, რამეთუ ესეზომ-
თასა უმდიდრეს არიან, არამედ იგინი იგლოენ, რამეთუ ერთისა ვისმე ანუ
ორთა უდარეს არიან სიმდიდრითა. რაჟამს ერთსა მდიდარსა მიეწინენ სიმდი-
დრითა, და მერმე უმდიდრესისა მიისწრაფიან მიწევნად და უკუეთუ მასცა მიე-
წინენ, მერმე სხჳსა შესცვალებენ სწრაფასა. ვითარცა კიბესა აღმავალნი მარა-
დის უზეშთაესსა მას ხარისხსა აღიღებენ ფერჴსა და არა დადგებიან, ვიდრემ-
დის თავსა მიიწინენ კიბისასა, ეგრეთვე ესენი არა დასცხრებიან სწრაფისაგან,
A 150 ვიდრემდე არა ფრიად ა/ღმაღლდენ და დიდისა მის სიმაღლისაგან დაცემულნი
შეიმუსრნენ.

მფრინველსა მას, რომელსა ეწოდების სელევკიდაჲ, კეთილისათჳს კაცთა-
ჲსა შექმნა უძლებად დამბადებელმან ყოველთამან, ხოლო შენ სავნებელად
მრავალთა გიქმნიეს სული შენი უძლებად.

B 236 / რაჲზომცა ჰხედვიდეს თუალი, ესეზომცა სურის ანგაჰრსა: „არა აღივ-
სოს / თუალი ხედვითა“[1*] და არცა განძღეს ვეცხლისმოყუარე მოგებითა. არა
თქუა ჯოჯოხეთმან, თუ კმა არს, არცა ანგაჰრმან ოდეს თქჳს, თუ კმა არს[2*].
ოდეს იჴმარო ეგე ყოველი? ოდეს ჰპოო მაგათგან განსუენებაჲ, ვინაჲთგან მა-
რადის ჭირითა მით მოგებისაჲთა შეპყრობილ ხარ?

ვაჲ მათდა, რომელნი შეაერთებენ სახლსა სახლად და აგარაკსა მიაახ-
ლებენ აგარაკად, რაჲთა მოყუსისაჲ რაჲმე მიიტაცონ[3*]. ხოლო შენ რასა
იქმ? არა ბევრეულსა მიზეზსა მოიპოებ-ა, რაჲთამცა მოიტაცე მოყუსისაჲ?
იტყოდი ესრეთ, ვითარმედ: „მიბნელობს სახლი მის მეზობლისაჲ, ჭირსა შე-
მამთხუევს, ანუ თუ სხუასა რასმე მავნებს“, რამეთუ არა დაილევის მიზეზი.
და ესრეთ სდევნიდი მას და აჭირვებდი, ვიდრემდე განაშორი თჳსაგან. რამან
მოკლა ნაბუთე ისრაიტელი? არა აქაბის ვენაჴისა მის გულისთქუმამან-ა?

ანგაჰრი ბოროტი არს თანასაყოფლად ქალაქსა შინა, ბოროტი არს აგარაკ-
თა შინა.

B v ზღუამან იცის საზღვარი თჳსი, ღამე არა / წარჰჴდების წესსა თჳსსა, ხოლო
C 173 ანგაჰრი არა ჰრიდებს ჟამსა, არა იცის საზღვარი, არა შეუ/ნდობს პირველით-
გან მამულობისათჳს, არამედ მსგავს არს ცეცხლისა მძლავრებასა: ყოველსა

---

[3] ჰსურის C. რაჲზომცა C. [4] მიიწევის C. [7] მოსწრაფჱ C. [9] იგლოან C. [10] მიეწიენენ C. [11] და — BC. მერმჱ C. უმდიდრესისა მიისწრაფიან] უმდიდრესისა მის ისწრაფიან BC. მიეწიენენ C. [12] მერმჱ C. სხუასა BC. შეჰსცვალებენ C. [14] მიიწიენენ C. დაჰსცხრებიან C. [15] ვიდრემდე] ვიდრე C. ამაღლდენ B. დიდისა] დიდებისა C. [17] სელეეკიდა C. [19] მრავალთადა C. [20] ხედეიდეს B. ესეზომადცა C. ჰსურის C. [21] ჰხედვითა C. ვეცხლისმოყუარჱ C. [22] არის B. თქუას C. [23] ჰპოვო C. [25] შიახლებენ BC. [26] რაჲთამცა C. მიიტაცეს B, მოიტაცეს C. [27] მოიპოვება C. მოიტაცჱ C. [28] ვითარმედ—C. [29] თუ—C. [30] ვიდრემდის C. განაშორჱ C. თჳსაგან] თჳსისაგან C. [31] ნაზოთე A, ნაბუთჱ C. [32] ბოროტ 2° C. [34] ღამჱ C. [35] არა 2°] არცა BC.

[1*] ეკლეს. 1,8. [2*] იგავ. 27,20; 30,16. [3*] ესაია 5,8.

ზედა მიიწევის, ყოველსა შეშჭამს. და ვითარცა მდინარემან პოის პირველად
მცირედ განსავალი / და იწყის სლვად კუალსა მას და მერმე აღორძნდის მცი- A v
რე-მცირედ და რაჲცა იპოის წინაშე მისსა, ყოველივე წარიტაცის, ეგრეთვე
მდიდართა მიმძლავრებულთა მათგან მიიღიან ძალი უმეტესისა. მძლავრობი-
საჲ და რაჲზომცა უმეტესთა ჰმძლავრობდიან, უმეტესი ძალი ეცის და ექმნის
უკეთურებისა იგი სიდიდე ძლიერებისა შემმატებელ. რამეთუ რომელნი-იგი
მიიმძლავრნეს ბოროტად მათ მიერ, იძულებითსა შეწევნასა მისცემენ მათ მი-
მძლავრებისათჳს და მორჩილებისა სხუათაჲსაცა. რამეთუ რომელი მეზობელი,
რომელი თანამკჳდრი, რომელი მიმსყიდელი არა მიიმძლავრების? ვერარაჲ
თავს-იდებს ჴირსა მას სიმდიდრისასა: ყოველივე მოუდრკების მძლავრებასა
მისსა, ყოველსავე ეშინის და თითოეული მიმძლავრე/ბულთა მათგანი ეძიებნ, B 237
თუმცა ოდენ სხუაჲცა რაჲმე ბოროტი მოაწია მის ზედა, არა თუმცა მოტაცე-
ბულისა მისთჳს ისწრაფინ სამშჯავროდ მისლვად, რამეთუ მან წარიტაცნის / C v
უღელნი იგი ჴართანი, მიიტაცის ქუეყანაჲ უცხოჲ, მოჴნის, დასთესის, მოიმ-
კის არათჳსი იგი, უკუეთუ გლახაკი იგი წინა-აღუდგის, მეყსეულად მზა იყვ-
ნიან წყლულებანი: უკუეთუ გოდებნ იგი, აგინებნ; უკუეთუ სამშჯავროდ მი-
ვიდის, შეყენებულ იქმნის საპყრობილესა, რამეთუ მზა იყვნიან ცრუმოწამენი,
რომელნი შიშად სიკუდილისა მიმძლავრებულსა მას მიიყვანებდიან. ინატრინ
იგი სხჳსაცა რაჲსამე მიცემად და ოდენ განრომად მისგან.

6. მინდა, ჵ მდიდარო და მტაცებელო, რაჲთამცა მცირედსა ჟამსა ოდენ
ულხინე / თავსა შენსა შრომათა მათგან უსამართლოებისათა და მიეცმცა მო- A 151
ცალებაჲ გონებასა შენსა, რაჲთამცა გულისჴმა-ყო და მოიგონა, თუ რომლისა
აღსასრულისა მიმართ ესრეთ ისწრაფის მოსწრაფებაჲ ეგე შენი.

აჰა ესერა გაქუს ქუეყანისა სიმრავლჱ ესეზომი ყანათა და ვენაჴთაჲ, მთა-
ნი და ველნი, / მდინარენი და სათიბენი. რაჲ უკუე ყოფად არს შემდგომად მა- B v
გის ყოვლისა? არა სამწყრთეული მიწაჲ მოგეცეს-ა მაგის ყოვლისაგან? არა
მცირეთა ქვათა სიმძიმე კმა იყოს-ა დასაფარველად უბ/ადრუკისა მაგის გუა- C I 74
მისა შენისა? რაჲსათჳს ისწრაფი? რაჲსათჳს ურჩულოებ? რაჲსათჳს შეჰკრებ
ჴელითა შენითა უნაყოფოებასა? და ნეტარ თუმცა-უნაყოფოებასა და არა ნივ-
თსა საუკუნოჲსა ცეცხლისასა! არა განიფრთხო-ა ოდესმე მაგის მთრვალობისა-
გან? არა განამრთელო-ა გონებაჲ შენი? არა მოიქცე-ა თავად შენდა? არა დაი-
დვა-ა წინაშე თუალთა სამშჯავროჲ იგი ქრისტესი? რაჲ-მე მიუგო, რაჟამს-იგი
გარე-მოგადგენ შენ მიერ მიმძლავრებულნი და ჴირვეულნი და ღაღადებდენ
შენ ზედა წინაშე მსაჯულისა მის მართლისა? რაჲ ჰყო? რომელნი სიტყვთა
შემწენი და სჳნიღორნი იმიზდნე? რომელნი მოწამენი წარმოადგინნე? ვითარ
უტყუო მეცნიერსა მას მსაჯულსა? მუნ არა არს ფილაფოზი, არა არს ორკე-

[1] ყოველთა C. პოვის C. პირველად—B. [2] მცირედი C. მერმჱ C. მცირედ-მცირედ BC. [3] იპოვის C. მისსა—C. [4] მათგან]მიმართ C. მძლავრებისაჲ C. [5] უმეტეს B. ძალ BC. [6] სიდი-დჱ C. [8] დამორჩილებისა B. [9] ვერარაჲ]ვერ C. [11] მისა C. და—C. [12] არა მოაწია C. მიტაცე-ბული B. [13] მან]რომელმან C. [14] და დასთესის B. [15] -აღოდგეს B. მექსეულად B. ყვნიან C. [17] შეყენებულ იქმნის]შეპყრობილ იქმნის და შეყენებულ B. [18] შიშად]შ˝გდ C. მოიყვანებდიან B. [19] სხჳსაცა (ἄλλο)] სიტყჳსაცა C. რაჲმე B. [22] გულისხმა- C. მოიგონა]მოიგო A. [24] ქუეყანასა B. სიმრავლე B. [27] სიმძიმჱ C. [28] უშჯულოებ C. [31] განამრთელოა (ὑγιανεῖς)] განამართლოა B. დაიდეა C. [32] სამსჯავროჲ B. [33] გარჱ- C. [34] სიტყუათა შემწენი C. [35] სჳნაღორნი C. წარ-მოადგინნჱ C. [36] უტყუვო C. ფილოსოფოსი C. ურკეცებაჲ B.

ცობაჲ სიტყუათაჲ და ტყუილით ჭეშმარიტებაჲ მათი, რომელთამცა შეუძლეს
Ⴁ 238 მოპარვად ჭეშმარი/ტებასა მას მსაჯულისასა. არა იყვნენ მაშინ შენ თანა თუა-
ლთმოხუავნი იგი, არა იყოს მუნ შენ თანა ქრთამი, არცა დიდებაჲ იგი პატი-
Ⴀ v ვისა შენისაჲ. მოოჴრებულ იყო / მოყუარეთაგან, მოოჴრებული შემწეთაგან,
Ⴂ v უსჳხი/ღოროჲ, უსიტყუელი, სირცხჳლეული; მიგიყვანონ მჭმუნვარე, თავდად-
რეკილი, მარტოდ დაშთომილი, შეშინებული. რამეთუ სადაცა მიხედნე თუა-
ლითა, განცხადებულად იხილნე ხატნი იგი ბოროტთა შენთანი: ამიერ ობლი-
სა ცრემლთა, იმიერ ქურივისა სულთქუმათა, სხჳთ კერძო დაქენჯნილთა მათ
შენ მიერ გლახაკთა; მონათა მათ, რომელთა ჰგუემდი, მეზობელთა, რომელთა
ჰმძლავრობდი, ყოველნი შენ ზედა აღდგენ. ბოროტი ბანაკი ბოროტთა საქ-
მეთა შენთაჲ გარე-მოგადგეს. რამეთუ ვითარცა აჩრდილი გუამსა, ესრეთ შე-
უდგან სულსა ცოდვანი მისნი და საქმენა მათ ცხადად გამოსახვიდენ. ამისთჳს
არა არს მუნ უარისყოფაჲ, არამედ დაიყოფის პირი ყოველივე ურცხჳნოჲ.
რამეთუ თითოეულსა მუნ საქმენი შესწამებენ, არა თუ ჴმასა გამოიღებენ,
არამედ ესევითარნი წარმოდგებიან, ვითარნი გუექმნენ.
Ⴁ v /ვითარ-მე შეუძლო წარმოდგინებად წინაშე შენსა საშინელებათა მათ?
ნუუკუე მისმინო, ნუუკუე მოიქცე. მოიჴსენე დღჱ იგი, რაჟამს „გამოჩნდეს რი-
სხვაჲ ზეცით“1*, მოიჴსენე დიდებული იგი ქრისტეს მოსლვაჲ, რაჟამს „აღ-
Ⴂ 175 დგენ მოქმედნი კეთილისანი აღ/დგომასა ცხორებისასა და მოქმედნი ბოროტი-
სანი აღდგომასა საშჯელისასა“2*. მაშინ სირცხჳლი საუკუნოჲ მიეფინოს ცო-
დვილთა ზედა და „შური ცეცხლისაჲ, შემჭამელი ცოდვილთაჲ3*. იგი შეგაწუ-
ხებდინ და ნუ შეგაწუხებს მცნებაჲ.

ვითარ-მე ლმობიერ გყო? რაჲ ვთქუა? სასუფეველისათჳს არა გსურის? გე-
ჰენიისა არა გეშინის? ვინაჲ იპოოს კურნებაჲ სულისა შენისაჲ? რამეთუ უკუე-
Ⴀ 152 თუ საშინელნი ვერ შეგაშინებენ და / ბრწყინვალენი ვერ შოგასურვებენ, მაშა
ქვისა გულსა ეჰზრახავთ?

7. მოხედენ, ჵ კაცო, ბუნებასა მას სიმდიდრისასა. რაჲსათჳს ესრეთ და-
გურემულ ხარ სიყუარულითა ოქროჲსაჲთა? ქვაჲ არს ოქროჲ და ვეცხლი ქვაჲ-
ვე არს, ქვაჲ არს მარგალიტი და ყოველივე პატიოსანი* თუალი ქვაჲ არს.
ოქროქვაჲ და ბივრილი და იაგუნდი და ამეთისოჲ და იასპი — ესენი არიან
პატიოსნებანი სიმდიდრისანი, რომელ-იგი შენ რომელთამე დაჰმარხავ (და
ბრწყინვალეთა მათ ქვათა ბნელსა შინა დაჰმალავ) და რომელნიმე თითთა გმო-
სიან და მათ ზედა ჰზუაობ ფეროვნებისათჳს მათისა.

---

1 ტყუეილით C. რომლითამცა C. 2 ~ შენ თანა მაშინ C. თუალმოხუაენი B. თუალხუმა-
ნი C. 4 იყოს C. 5 მოგიყვანონ C. მჭუნვარე B, მჭმუნვარჱ C. 6 მიჰხედნე C. თუალითა—C.
7 იხილნჱ C. 8 ამიერ B, მიერ C. სულთქუმითა B, სულთქუმითაC. დაქეჯნილთა B. 9 რომელ-
თა] რომელ C. 11 შენთა B. გარჱ- C. 12 ~ცოდვანი სულსა C. მისნი]მას C. გაუსახვიდენ B.
გამოჰსახვიდენ C. 13 უვარისყოფაჲ C. დაიყოფვის C. ურცხჳნო B. 14 შესწამებდენ C. გამო-
იღებდენ C. 15 გუექმნნენ C. 17 მოიქცჱ C. დღე B. 19 ცხოვრებისასა B. 20 საუკუნო B.
21 შემჭმელი A. ცოდვილთა C. 23 გსურისა C. გეჰენიისაგან BC. 24 არაჲ B. გეშინისა C. იპო-
ვოს C. 25 მბრწყინვალენი C. 26 ესძრახავთ A, ვჰზრახავ C. 27 მიჰხედენ B, მიჰხედჱ C. 28 და
ქვაჲ C. 29 ყოველი C. 30 ოქროჲ ქვაჲ C. იასპე A. ესენი] ესე C. 31 რომელი-იგი C. შენ—C.
32 მბრწყინვალეთა C.

1* რომ. 1,18; 2* იოანე 5,29. 3* ებრ. 10,27.

* B ხელნაწერს ამის შემდეგ რამდენიმე ფურცელი აკლია.

/მითხარ, რაჲ სარგებელ გეყოფის შენ ქვათა მათგან? განბრწყინვებაჲ C v
ჴელისაჲ არა გრცხუენიან-ა? რამეთუ ქვათათჳს გელმის, ვითარცა დედანი
რაჲაჲს შობდიან. რამეთუ იგინი ქვათა შეშჭამენ და შენ ქვათათჳს განილევი
და ეძიებ სარდონიტონთა და იასპინთა და ამეთისოთა. ვინ შეუძლო სამკაუ-
ლითა ერთისა დღისა შემატებაჲ ცხორებასა თჳსსა? ვის ჰრიდა სიკუდილმან
სიმდიდრისათჳს? ვის განეყენა სენი საფასეთათჳს?

ვიდრემდის იყოს ოქროჲ — წარწყმედაჲ იგი სულთაჲ, სამჭედური იგი
სიკუდილისაჲ, მახჱ ცოდვისაჲ? ვიდრემდის იყოს სიმდიდრე — მიზეზი იგი
ბრძოლათაჲ, რომლისათჳს იჭედებიან საჭურველნი, რომლისათჳს ილესვიან
მახჳლნი? ამისთჳს ნათესავნი უმეცარ ექმნებიან ბუნებასა თჳსსა, ძმანი ურთი-
ერთას სასიკუდინედ ხედვენ. სიმდიდრისათჳს არიან უდაბნოთა შინა ავაზაკნი
და ზღუათა შინა დამთქმელნი და ქალაქთა შინა ცილისმწამებელნი. ვინ
არს ტყუილისა მამაჲ? / ვინ არს უჯეროებით წერასა მოქმედი? ვინ არს ცრუ- A v
ფიცისა მშობელი? არა სიმდიდრჱ-ა? არა მისი იგი მოსწრაფებაჲ-ა? / რაჲ C 176
წაგეკიდა, ჵ კაცო? ვინ გარდააქცია შემწჱ იგი თქუენი მბრძოლად თქუენდა?
რამეთუ საჭმარნი შემწედ ცხორებისა მოცემულ არიან, არა თუ მიზეზად ბო-
როტთა; საჴსრად სულისა, არა თუ წინამძღურად წარწყმედისა. არამედ
იტყჳთ თქუენ, ვითარმედ კეთილ არს სიმდიდრე შვილთათჳს. ესე არს პირველი
იგი ანგაჰრებისა მიზეზი, რამეთუ შვილთა მოიღებთ მიზეზად, ხოლო გულთა
თქუენთა ვერ გულსავსე ჰყოფთ. ნუ მოიყვანებთ მიზეზად უმიზეზოსა მას.
თჳსი მეუფჱ უჳს მას, თჳსი განმგებელი; არა შენგან აქუს ცხორებაჲ, არამედ
ღმრთისაგან და მისგანვე მოელის განრენასა. ნუუკუე ქორწინებულთათჳს
არა დაწერილ არს-ა სახარებაჲ, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „უკუეთუ გნებავს
სრულყოფაჲ, განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა?“[1*].

რაჲამს ითხოვდი უფლისაგან მოცემასა შვილთასა, რაჲამს ევედრებოდე
შვილთა მამა ყოფად, ნუუკუე ამასცა იტყოდე-ა, ვითარმედ: მომცენ შვილნი,
რაჲთა ურჩ ვექმნა მცნებათა შენთა? მომცენ შვილნი, რაჲთა ვერ მივიწიო სა-
სუფეველსა ცათასა?

ანუ ვინ იყოს ყრმისა მის თავსმდებ, ვითარმედ კეთილად იჭმაროს მიცე-
მული / იგი? რამეთუ მრავალთა ექმნა სიმდიდრე მიზეზ შეგინებულობისა. არა C v
გესმა-ა სოლომონისი, რასა-იგი იტყჳს, ვითარმედ: „ვიხილე სნეულებაჲ ბო-
როტი — სიმდიდრე დამარხული მისგანისათჳს უკეთურებად მისა“[2*]? და კუა-
ლად იტყჳს, ვითარმედ: „დაუტეობ მე კაცსა მას შემდგომად ჩემსა და ვინ
უწყის, თუ ბრძენი იყოს, გინა თუ უგუნური?“[3*].

/ იხილე, ნუუკუე მრავლითა შრომითა სიმდიდრე იგი შეჰკრიბო, და A 15

---

1 გეყოფვის C. 3 ჰშობდიან C. 6 ცხორებასა C. 7 სულისაჲ C. 8 სიმდიდრჱ C. 9 რომლისათჳს] რომლისაგან C. 10 იქმნებიან C. 11 სასიკუდინოდ C. ჰხედვენ C. 12 ზღუასა C. დამთქმელნი C. და—C. 13 ტყუვილისა C. წერასა (უჯეროებით ჯერასა (πλαστογραφίας)] ძჳრისა C. ცრუ-ფიცისა C. 14 სიმდიდრეა C. მოსწრაფებაჲ C. 15 კაცნო C. 16 ცხოვრებისა C. 17 საჴსრად]საჭმრად C. 18 სიმდიდრჱ C. 19 მოვიღებთ C. 20 გულსავსჱ C. მოიყვანებ C. 21 ცხოვრებაჲ C. 23 წერილ C. 23 რომელი] რამეთუ C. 24 განყიდჱ C. 25 ევედრებოდჱ C. 30 სიმდიდრჱ C. შეგინებულებისა C. 31 გესმისა C. ვიხილჱ C. 32 სიმდიდრჱ C. მისსა C. 33 ვითარმედ—C. დაუტევობ C. 34 ბრძენ C. 35 იხილეო A. შურომითა C. სიმდიდრჱ C. იგი—C.

1* მათე 19,21. 2* ეკლეს. 5,12. 3* ეკლეს. 2,18—19.

მოატყუა სხუათა მიზეზი ცოდვისაჲ, და მერმე იპოო ორკერძო ტანჯული: რომელი-იგი შენ სცოდე და რომელი სხუათა მათ მიზეზ ექმენ.

ანუ არა, უფროჲს ყოვლისა, თჳსებითა შენი სული არს-ა მახლობელ შენსა? პირველად მას მიეც ნაწილი მკჳდრობისაჲ, მიეც მას მდიდარი მიზეზი ცხორებისაჲ და მერმე შვილთა გაუყო მონაგები. რამეთუ შვილთა მრავალგზის მშობელთაგან არაჲ მიიღიან და თავისა თჳსისა მოიგიან მოსაგებელი, ხოლო სული შენი, უკუეთუ შენ დაუტეო, ვინღა შეიწყალოს?

8. ესე სიტყუანი არიან შვილის უფალთა მიმართ, ხოლო უშვილონი რომელსა-მე მრავალღონესა მიზეზსა ანგაჰრებისა მათისასა წინა-გჳყოფენ? რამეთუ C 177 ესრეთ იტყჳნ ანგა/ჰრი იგი, ვითარმედ: „არა განვჰყიდი მონაგებსა ჩემსა, არა მივსცემ გლახაკთა საჭიროთა მათ საქმართათჳს ამის ცხორებისათა“. არა სადმე უკუე უფალი არს მოძღუარ შენდა, არცა წმიდაჲ სახარებაჲ რჩულ ცხორებისა შენისა, არამედ თჳთ ხარ რჩულისმდებელ თავისა შენისა. ხოლო იხილე, თუ ვითარსა ბოროტსა შთაჰვარდები ესევითართა გულისსიტყუათა მიერ? რამეთუ უკუეთუ უფალმან ესე გუამცნო და შენ იტყჳ, ვითარმედ შეუძლებელ არს ამისი ქმნაჲ, სხუასა არარას იქმ, არამედ თავსა შენსა უბრძნესად უფლისა გამოაჩინებ. ანუ ესრეთ იტყჳ: „ვიშუებდე მე დღეთა ამათ ცხორებისა ჩემისათა და შემდგომად აღსასრულისა ჩემისა მკჳდრად მონაგებთა ჩემთა ვყვნე გლახაკნი და ჴელისწერილითა და ანდერძითა უფლად სიმდიდრისა ჩემისა ვყვნე იგინი“?

A v /რაჲ არს უკუე სიტყუაჲ ესე, რომელსა იტყჳ? რაჟამს არღარა კაცთა თანა შერაცხილ იყო, მაშინ იქმნე-ა კაცთმოყუარე? რაჟამს მკუდრად გიხილო, მაშინ გიწოდო-ა ძმათმოყუარედ? დიდ არს მადლი ეგე მოწყალებისა შენისაჲ, რამეთუ სამარესა შინა მდებარჱ და მიწად გარდაქცეული ესრეთ/ C v უხუ იქმენ და სახიერ მიცემად მონაგებთა. ანუ რომელთა ჟამთა მადლი და სასყიდელი ითხოო? მითხარ-ღა, ცხორებისა ჟამთაჲ ანუ რომელნი-იგი შემდგომად სიკუდილისა დაჰყვნე? რამეთუ რომელთა დღეთა ცხოელ იყავ, გემოთა შინა და შუებათა და გულისთქუმათა შინა განიხრწნებოდე და მიხედვადცა არა გენება გლახაკთა, ხოლო რაჟამს მოჰკუდე, რომელიღა არს საქმჱ შენი? ანუ რაჲ იყოს სასყიდელი შენი? გამოაჩინენ საქმენი და ესრეთ ითხოვდი სასყიდელსა.

შემდგომად სავაჭროჲსა აღებისა არღარავინ ივაჭრებნ; შემდგომად რკინობისა განშორებისა მისრული არავინ გჳრგჳნოსან იქმნის; შემდგომად მბრძოლთა წარსლვისა არავინ იბრძვინ და არცა ვინ შემდგომად სიკუდილისა იქმს სათნოებასა. მელნითა და ქარტითა მიქადებ-ა მოწყალებისა ქმნასა? ვინ უკუე გითხრა შენ ჟამი იგი აღსასრულისაჲ? ვინ არს თავსმდები და მაუწყებელი, თუ ვითარსახედ განსლვად ხარ ამიერ? რავდენნი ძნელოვანთა საქმეთა მიერ

---

[1] მიზეზ ცოდვისა C. მერმჱ C. იპოეო C. ორკერძოჲ C. [2] სცოდჱ C. რომელ C. მათ—C. [3] ყოველთასა C. ~ სული შენი C. [4] პირველად] არამედ C. [5] ცხოვრებისაჲ C. მერმჱ C. განუყო C. [6] არაჲ]არარაჲ C. [7] დაუტეეო C. [10] ჩემსაო C. [11] მათ—C. ცხოვრებისათა C. სადმჱ C. [12] შჯულ C. ცხოვრებისა C. [13] შჯულისმდებელ C. იხილჱ C. [16] უფლისა]ღმრთისა C. [17] ესრჱთ C. იტყჳა C. მჱ C. ცხოვრებისა C. [19] ჴელითწერილითა C. [22] კაცთმოყუარჱ C. [23] მაშინღა C. [25] იქმენა C. [26] ითხოვო C. ცხოვრებისა C. [27] ცხოველ C. [28] შუებასა A. განიხრწნებოდჱ C. [29] მოჰკუდჱ C. [32] ვაჭრობნ C. [33] იქმნების C. მბრძოლთა] ბრძოლათა A. [34] არცა] არა A. [36] გითხრას C. თუ]ანუ C. [37] რავდენნი] რაოდენთა C.

მეყსა შინა წარტაცებულ იქმნეს, რომელთა სიტყუაჲცა ვერ თქ/უეს? რავდენ- C 178 ნი თავქედმან უცნობო ყვნა? რაჲსათჳს უკუე მოელი ჟამსა მას, რომელსა შინა ნუუკუე და არა იყო უფალი გონებისა შენისა? მოიწიოს / ღამჱ ბნელი A 154 და სენი მძიმჱ და შემწე არსადა ჩნდეს; და მიმღებელი მონაგებისა შენისაჲ მზა იყოს, ყოველსავე თჳსისა ნებისაებრ განაგებდეს და შენნი განზრახვანი უსარგებლო იქმნენ. მაშინ მიმოიხედნე ამიერ და იმიერ და იხილო შენდა გარემოდგომილი იგი ოჳრებაჲ, მაშინ გულისჴმა-ჰყო ბოროტად განზრახვაჲ შენი, მაშინ სულთ-ითქუნე უგუნურებისათჳს შენისა, თუ რომლისა ჟამისათჳს ჰმარხევდი მცნებასა მას, რაჟამს-იგი ენაჲ უტყუ იყოს და ჴელი შენი ათრთოლებულ და ვერცა სიტყჳთ რას იტყოდი, ვერცა ჴელითა დასწერდე და გამოაჩინებდე გულისსიტყუასა შენსა? რომელ-იგი დალაცათუმცა ყოველივე ცხადად აღწერილ იყო და კეთილად ქადაგებულ, ერთი ასოჲ შეცვალებული შემძლებელ იყო მის ყოვლისა დარღუევად, ანუ ერთი ბეჭედი შეცვალებული, გინა თუ ორთა ანუ სამთა მოწამეთა ყოველიმცა იგი მონაგები / სხუათა მიაჩემეს. C v

Ð. რად უკუე ალთუნებ თავსა შენსა და აწ ბოროტად განაგებ სიმდიდრესა მას გულისთქუმათა ზედა ჴორციელთა და იქმ აღთქუმასა უკუანაჲსკნელ, რაჟამს არღარა იყო უფალ საქმეთა მათ?

ვითარცა-ესე ვთქუათ, ეჰა ბოროტი განზრახვაჲ: „ვიდრემდის ცხოელ ვიყო, ვიშუებდე გულისთქუმათა მიერო და რაჟამს მოვკუდე, მერმე აღვასრულნე მცნებანი“. შენცა გრქუას აბრაჰამ, ვითარმედ: „მიგიღებიეს კეთილი შენი ცხორებასა შენსა“[1*]. ვერ დაგიტევეს შენ იწროჲ იგი და საჭიროჲ გზაჲ შემოსილსა სიზრქითა მით სიმდიდრისაჲთა, რომელი-ეგე განხუედ მათ თანა და არა განიძარცუენ / იგინი, ვითარცა გიბრძანა უფალმან. A v

რაჟამს ცხოელ იყავ, ცხორებისათჳს არა ზრუნევდი, რაჟამს მოჰკუედ, მცნებასა მას უფროჲს მტერთა შენთასა პატივ-ეც, რომელი-ეგე ესრეთ დასწერ, ვითარმედ: „რაჲთა არა მიიღოს იგი მან ვინმე, მიიღენ იგი უფალმან“. ხოლო ამას საქმესა რაჲ სახელ-ვსდვათ? მტერთა შურისგებად, ანუ მოყუსისა სიყუარულად? წარიკითხე-ღა ანდერძი შენი, არა ესრეთ დასწერე-ა დასაბამსა, ვითარმედ: „მენება ცხორებაჲ და სიხარული მონაგ/ებთა ჩემთა ზედა, არამედ ვინაჲთგან წარვალ, აწ ესრეთ იყავნ, ვითარ-ესე შენ იტყჳ?“ მადლი სიკუდილისაჲ არს, არა შენი, რამეთუ უკუეთუმცა არა მომკუდარ იყავ, არამცა მოგეჴსენა შენ მცნებაჲ იგი. C 179

„ნუმცა სცთები, ღმერთი არა მოიკიცხების“[2*]. მკუდარი საკურთხეველად არა შევალს, ცხოელი შეწირე მსხუერპლი. რამეთუ რომელი ნამეტნავისაგან შესწირვიდეს, შეუწირველ არს, ხოლო შენ, რომელი-იგი შემდგომად ყოვლისავე ცხორებისა შენისა დაგმატდა, მას შესწირავ-ა სახიერისა მის? ანუ იკად-

---

[1] იქმნნეს C. რაოდენნი C. [2] უცნობელ C. [3] და—A. [4] შემწჱ C. [6] იქმნნენ C. ~ იმიერ და ამიერ C. [7] გულისხმა- C. [9] რაჟამს C. ჴელნი შენნი C. ალთრთოლებულ C. [10] ვერცა+რას C. დასწერდჱ C. გამოაჩინებდჱ C. [11] რომელი-იგი C. [12] აღწერილ]დაწერილ C. ქადაგებული C. [13] იყოს C. ცვალებული C. [19] ცხოველ C. [20] ვიშუებდჱ C. მოვკუდჱ C. მერმჱ C. [21] მიგიღებიან კეთილნი შენნი C. [25] ცხოველ C. ცხორებისთჳს C. ჰზრუნევდი C. [27] იგი—C. [28] სახელს- C. [30] ცხოვრებაჲ C. ~ ზედა ჩემთაო C. [32] შენ—C. [35] ცხოველი C. შეწირჱ C. მსხუერპლად C. [36] არნ C. რომელი-ეგე C. [37] ცხოვრებისა C. შესწირავ A.

[1*] ლუკა 16,25. [2*] გალატ. 6,7.

რი-ა ნეშტითა ტაბლისა შენისაჲთა სტუმრებად წარჩინებულთა მათ მეფისა-
თა? ვითარ უკუე იკადრებ ნეშტთაგან ყოვლისავე ცხორებისა შენისათა შესა-
წირავისა მიცემად ღმრთისა?

იხილეთ აღსასრული იგი ვეცხლისმოყუარებისაჲ, ჵ მდიდარნო, და დასცა-
ხერით ესრეთ ვნებულად სიყუარულისაგან ოქროჲსა. რაჲზომცა დიდების-
მოყუარე ხარ, ეგეზომად ნურარას დაუტეობ მონაგებთა შენთაგანსა. ყოველი-
ვე შენდად შექმენ, ყოველივე თანა წარიღე. ნუ დაუტეობ უცხოთა სიმდიდრე-
C v სა შენსა, რომელთა ნუუკუე შე-ცა-არა-გმურონ / შენ კეთილად, / არამედ ეს-
A 155 რეთ, ვითარცა იპოო, დაგმარხონ. და მონანი შენნი მკჳდრთა მიექცენ, რო-
მელნი-იგი ბრძნობდენცა ნუუკუე შენ ზედა და იტყოდიან, ვითარმედ: „უგუ-
ნურება არს შემკობაჲ მკუდრისაჲ და პატიოსნად განყვანებაჲ უცნობელისაჲ
მის. ანუ არა უმჯობეს არს-ა, რაჲთა რომელნი-იგი აქა არიან, იგინი შეიმკჳნენ
მაგით სამოსლითა, ვიდრეღა დალპებოდის მკუდარსა მას თანა? ანუ რად ექ-
მარების კეთილად განწმედილი საფლავი და წარსაგებელი უჴმარი მკუდარსა
ზედა? უმჯობეს არს ჴმარებაჲ მაგათ საჴმართაჲ ცხორებასა ამას, ვიდრეღა
წარგებაჲ მის ზედა“. ესრეთ იტყოდიან შენნი იგი მსახურნი და მონანი და შენ
ზედა შურსა-იგებდენ და შენთა მათ ნაცვალთა მოიმადლებდენ.

უსწრვე უკუე და თავი შენი კეთილად დაჰფალ. კეთილი დაფლვაჲ არს
ღმრთისმსახურებაჲ. ყოველივე შენი შეიმოსე და ესრეთ წარვედ. სამკაულად
ჭეშმარიტად თავისა შენისა ქმენ სიმდიდრე შენი. გაქუნდინ იგი შენ თანა /
B 239 *ისმინე კეთილისა მის განზრახვისა ქრისტესი, რომელმან შეგიყუარა შენ, რო-
მელი-იგი დაგლახაკნა ჩუენთჳს[1*], რაჲთა ჩუენ მისითა მით სიგლახაკითა გან-
ვმდიდრდეთ, რომელმან მისცა თავი თჳსი საჴსრად ჩუენთჳს[2*]. ანუ ვითარ-
ცა ბრძნისა და უმჯობესისა განზრახვისაჲ ვისმინოთ მისი, ანუ ვითარცა მო-
ყუარისა ჩუენისაჲ და ვირწმუნოთ და ვქმნათ სიტყუაჲ მისი, რაჲ-იგი
გჳბრძანა, რაჲთა დავიმკჳდროთ ცხორებაჲ საუკუნოჲ მისვე ქრისტეს მიერ,
რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცჱ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ
და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

C 180 XI. /სწავლაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილი კესარიელისაჲ,
რომელი თქუა ჟამსა სიყმილისა და უწჳმროებისასა

A v 1. / „ლომმან იყჳრნის და ვინ არა შეშინდეს? უფალმან ღმერთმან თქუა
და ვინ არა წინაჲსწარმეტყუელებდეს?“[3*] საწინაჲსწარმეტყუელოჲ ვყოთ სიტ-
ყჳსა ჩუენისა დასაბამი და ღმერთშემოსილი ამოს შემწედ წინამდებარისა ამის
მოვიყვანოთ, რომელთა გუნებავს განზრახვისა კეთილისა ქმნად, რომელი-იგი
B v შემსგავსებულთა ჩუენ ზედა მოწევნულთა / ამათ ვნებათაჲსა ჰკურნებდა ვნე-

PG, 31, გვ. 304—328.

[2] ცხორებისა C. [4] იგი—C. [6] ეგეზომადცა C. დაუტევებ C. [7] წარიღჱ C. დაუტევებ C. [8] რომელთა—C. [9] იპოვო C. [15] ცხორებასა C. [19] შეიმოსჱ C. [20] სიმდიდრჱ C. [21] კეთილისაჲ C. ქ~ჱსი B. [24] განმზრახისა BC. [26] ცხრ~ბაჲ C. ქჱ~ს B. [27] სიმტკიცე B. [28] ა~ნ AB. ამინ C. [29] წმიდისა და ნეტარისა C. დიდისა ბასილი C. კესაროელისა B] კესარია-კაბადუკიელ მთავარეპისკოპოსისაჲ C. [30] ჟამსა+მას C. უწჳმროებისასა+თავი ი~ა C. [31] იყჳრნა BC. და უფალმან C. [32] საწინასწარმეტყუელო B. [33] ვნებათასა B.

[1*] II კორინ. 8,9 [2*] I ტიმ. 2,6. [3*] ამოს 3,8.

* აქ გრძელდება ტექსტი B ხელნაწერში.

ბათა. რამეთუ ესე წინაჲსწარმეტყუელი მათ ჟამთა შინა, რაჟამს დაუტევა ერ-
მან მან ღმრთისმსახურებაჲ და დათრგუნა რჩულისა სიწმიდე და მიდრკა მსა-
ხურებად კერპთა, მაშინ იქმნა ესე / ქადაგ სინანულისა და მოქცევასა ასწავებ- C v
და და ტანჯვასა მას უღმრთოებისასა უქადებდა. ხოლო მე ვილოცავ, რაჲთა
ვიდრე რავდენ ჟამადმდე ვეშურებოდით ძუელისა მის წერილისა საქმეთა ერი-
სათა, არამედ რაჲთა არა მოიწიოს ჩუენ ზედა ესევითარივე აღსასრული, ვი-
თარ მათი. რამეთუ ურჩ ექმნა ერი იგი და ვითარცა კიცუმან უმწყმან უკბინა
აღჳრსა და არა მოვიდოდა უმჯობესისა მომართ, არამედ მიდრკა გზისაგან
წრფელისა და ესოდენ ირბინა უწესოდ და მმართებელი იგი შეურაცხ-ყო,
ვიდრემდის კლდეთა და კაპანთა შინა შთავარდა და ღირსად ურჩებისა მისისა
მიიღო სრულიად შემუსრვაჲ.

რომელი-იგი ნუმცა ქმნილ არს თქუენ ზედა, ჵ შვილნო ჩემნო, რომელნი-
ეგე სახარებისა მიერ გშვენ, რომელნი-ეგე კურთხევითა ჴელთა ჩემთაჲთა
შეგხუენ. არამედ არსმცა თქუენ თანა სასმენელი მორჩილი, სული ერთგული,
კეთილად შემწყნარებელი სწავლისაჲ, მორჩილი მეტყუელისაჲ, / ვითარცა B 240
ცჳლი მბეჭდავისაჲ, რაჲთა ამით სახითა მეცა მოვიღო ნაყოფი შრომათა ჩემ-
თაჲ / მხიარულ მყოფელი. და თქუენ ჟამსა ამიერ განსლვისასა ჰპოოთ სას- A 156
ყიდელი და მაშინ აქებდეთ სწავლათა ჩე/მთა და მადლიერ იყვნეთ ჩემდა, C 181
რომელმან გასწავე.

რაჲ არს უკუე მიზეზი ჩუენისა სიტყჳსაჲ, რომლისათჳს ვიტყჳთ და მას
არა გამოვაჩინებთ, არამედ ჯერეთ სულნი თქუენნი მოელიან და აპყრობილ
არიან სასოებითა მით სმენისაჲთა?

Ბ. ცასა ვხედავთ, ძმანო, განრთხმულსა, შიშუელსა და ულრუბლოსა, რო-
მელი შესაწუხებელ ჰყოფს ამას სიწმიდესა, რომლისათჳს სურვიელ ვიყვენით
პირველ, რაჟამს-იგი მყოვარ ჟამ დაფარულ იყო ღრუბლითა და უხილავ იყო
ჩუენდა მზჱ. ხოლო ქუეყანაჲ განმჴმარ არს უზომოდ და უშუერ არს ხილვად
და ბერწ არს ნაყოფთაგან და ცუდ განხეთქილებით, დაპებულ არს და სიღრ-
მედ მიიღებს ბრწყინვალებასა მზისასა. და წყარონი მოგუაკლდეს მდიდარნი
იგი და დაუწყუედელნი და მდინარეთა დიდთა სიმდიდრე განილია. და ყრმა-
ნი მცირენი ფრჴივ განჴვლიან მათ და დედანი წიაღ-ვლენ ტჳრთებითა და მრა-
ვალთა სასუმელიცა წყლისაჲ მოაკლდა და ჰირვეულ არს ცხორებაჲ ჩუენი.
ვიქმნენით ახალნი ისრაიტელნი მეძიებელნი ახ/ლისა მოსესნი და კუერთხისა C v
სა/კჳრველთმოქმედისა, რაჲთა კუალად სცეს კლდეთა და წყურიელსა ამას B v
ერსა ნუგეშინის-სცეს და რაჲთა მოიწინენ ღრუბელნი საკჳრველნი და მოსცენ
მანანაჲ, უცხოჲ იგი საზრდელი, კაცთა. აწ უკუე შევიშინოთ, ნუმცა ვიქმნე-
ბით წინაშე ნაყოფიერთასა მისათხრობელ სიყმილისა.

[2] მჴელისა სიწმიდჱ C. [3]~იქმნა ესე მაშინ B, ~ იქმნა მაშინ ესე C. ასწავლიდა BC. [4] უქადაგებდა C. [5] რაოდენ ჟამადმდჱ C. საქმესა B. [6] არამედ—A. ჩუენ] შენ B. [7—8]~აღჳრსა უკბინა B, [8] მოვიდა BC. მიმართ C. [9]~წრფლისა გზისაგან B, წრფელისა მისგან გზისა C. [9] ესოდენ]ესეზომ BC. იგი—B. [15] შემწყნარებელი C. და ვითარცა C. [16] შურომათა C. ჩემთა B. [17] და თქუენ]თქუენი C. ჰპოვოთ C. [18] მადრიელ AB. [19] რომელმან]რამეთუ C. გასწავლე B, გასწავლჱ C. [20] მას]ამას C. [23] ხედავთ B, ჰხედავთ C. [24] ამას]მას C. [25] მყოარ B, მყუარ C. იყოს B. იყოს B. [28] მბრწყინვალებასა C. მდიდარნი]მდინარენი C. [29] და 1°—C. სიმდიდრჱ C. [30] ფრჴივ]ფერჴითა A. განვჴლიან B. [31] ცხრ˜ბაჲ C. [33] საკჳრველთა- B. [34] მოიწივნენ C. [35] კაცთაჲ C.

A v ვიხილენ მე ყანანი და ფრიადი ცრემლი დავსთხიე მათისა მის / უნაყოფო-
ებისათჳს, რამეთუ ვინაჲთგან არა მოვიდა ჩუენ ზედა წჳმაჲ, რომელნიმე თეს-
ლნი უწინარეს აღმოცენებისა განჴმელ იყვნეს და ესრეთვე დაღრომილ იყვ-
ნეს, ვითარნი-იგი მუშაკსა დაეტევნეს და რომელნიმე კუალად მცირედ აღ-
მოცენებულ იყვნეს და მეყსეულად სიცხისა მიერ საწყალობელად დამჭნარ
იყვნეს. და აწმცა ვინ თქუა სიტყუაჲ იგი სახარებისაჲ შეცვალებულად, ვი-
თარმედ: მუშაკნი ფრიად არიან, ხოლო სამკალი არცა თუ მცირედ?[1*] არამედ
მუშაკნი, მჯდომარენი საჴნეველთა ზედა, ჴელი მუჴლთა მოუჰდობიან (რომელ-
ესე არს სახჱ მგლოვარეთაჲ), და ამაოთა მათ შრომათა მათთათჳს ცრემლოიან,
C 182 შვილთა მიხედვენ ჩჩჳლთა და გოდებენ. / მეუღლეთა მიხედვენ და / იგლოვნ,
B 241 მიიღებენ ჴელითა მწუანვილსა მას იფქლისასა, ჴმელად თივად გარდაქცეულ-
სა, და სულთ-ითქუმენ მწარედ, ვითარცა მამანი, რომელთა შვილნი მომკუდარ
იყვნენ. ითქუნენ უკუე ჩუენდა მომართცა მისვე წინაჲსწარმეტყუელისა მიერ,
რომლისაჲ მცირედ ზემორე ვაჴსენეთ; რომელი იტყჳს, ვითარმედ: „მე აღვი-
ღე თქუენგან წჳმაჲ უწინარეს სამისა თჳსა სთუელთაჲსა და ვწჳმო და ნაწილი
ერთი დასოლდეს და ნაწილი იგი, რომელსა ზედა არა ვწჳმო, განჴმეს. შეკრბენ
ორნი ანუ სამნი ქალაქნი ერთად სუმად წყლისა და ვერ განძღენ, რამეთუ არა
მოიქეცით ჩემდა, იტყჳს უფალი“[2*].

აწ უკუე ვისწაოთ, ვითარმედ გარე-მიქცევისა და უდებებისა ჩუენისა-
თჳს მოუშუა ღმერთმან ჩუენ ზედა ესე ყოველი, არა თუ რაჲთამცა მოგუაოჴრნა
ჩუენ, არამედ რაჲთამცა მოგუაქცინა, ვითარცა იქმან მამანი კეთილნი შვილთა
A 157 ზედა უდებთა, რომელნი-იგი განრისხნებიან შვილთა / ზედა და სტანჯვენ, არა
თუ რაჲთამცა ბოროტი უყვეს, არამედ რაჲთამცა სიჩჩოჲსა უგუნურებისაგან
C v მოაქცინეს. ჰხედავთ-ა უკუე, ვითარ სიმრავლემან ცოდვათა ჩუენთამან / შე-
B v ცვალნა ჟამნიცა თჳსთა ბუნებათაგან და შეზავებულებანი / მათნი უცხო-ყო
ბუნებითისაგან? რამეთუ ზამთარსა არა აქუნდა ჩუეულებისაებრ ნოტიაჲ
ჴმელსა თანა, არამედ ყოველივე ყინვითა შეკრა და განაჴმო და უცხო იყო
ცუარისაგან და წჳმისა. კუალად დღეთა მათ არისათა ერთი იგი ბუნებაჲ მათი
აჩუენეს, რომელ არს სიცხჱ. ხოლო ნოტიობაჲ ყოლადვე არა გამოაჩინეს. არა-
მედ სიცხჱ და სიცივე უფროჲს ზომისა თჳსისა იქმნა და სავნებელად ჩუენდა
ეწამნეს ურთიერთას და წარსაწყმედელად მიაწევენ კაცთა.

რაჲ არს უკუე უწესოებისა ამის მიზეზი? რაჲ არს განახლებაჲ ესე ჟამთა
ბუნებისაჲ? გამოვიძიოთ, ვითარცა გონიერთა, და, ვითარცა სიტყჳერთა, გუ-
ლისჴმა-ვყოთ.

ნუუკუე მპყრობელი იგი ყოვლისაჲვე არა არს-ა? ნუუკუე ყოვლისავე
ჴელოვნად მოქმედმან ღმერთმან დაივიწყა-ა განგებულებაჲ ჩუენი? ნუუკუე
მიელო-ა მისგან ჴელმწიფებაჲ და ძალი? ანუ ძალი იგივე აქუს და ჴელმწიფე-

---

[8] მოუჰდვიან C. [9] სახე B. მგლოარეთაჲ B. მათ]ამათ C. შურომათა C. ცრემლოენ B, ცრემლოვიან C. [10] მიჰხედვენ BC. მიჰხედვენ BC. იგლოვენ C. [11] ჴელთა C. [12] და—C. რომელთანი BC. [13] ითქუენ AC. [14] ზემორჱ C. აღეილჱ C. [15] თთჳსა C. [16] დასოვლდეს C. ზედა—C. და შეკრბენ C. [19] ვისწავოთ C. გარჱმოქცევისა C. [21] არამედ—B. [22] რომელნი C. შვილთა ზედა—C. [24] მოაქციენეს C. [25] ჟამნი C. ყო]ყვნა C. [26] ბუნებითისაგან+წესისა C. [27] ყინვითა]ყინელითა C. [28] მათი]მათ A. [29] სიცხე B. ყოლადვე]ყლ῀დ C. [30] სიცხე B. და 2°—C. [33] გულისხმა- C. [35] ყოვლისავე C. ყოვლისა C. [36] დაივიწყა C.

[1*] შდრ. ლუკა 10,2. [2*] ამოს 4,7—8.

ბისაგან არა მოკლებულ არს, ხოლო სიფიცხლედ მოვიდა-ა / და ფრიადი იგი C
სახიერებაჲ და წყალობაჲ, რომელი აქუნდა ჩუენ ზედა, კაცთა სიძულილად
შეცვალა-ა? ნუ იყოფინ ამათგანი ერთიცა. / ვერ თქუას ამათგანი რაჲმე კაცმან, B
უფალმან გონებისამან. არამედ საცნაურ არიან და ცხად მიზეზნი იგი, რომელ-
თათჳს არა ვართ ჩუეულებისაებრ, ესე იგი არს, რამეთუ რომელი მოვიღოთ
ჩუენ მის მიერ, / სხუათა არა მივსცემთ. ქველისსაქმესა ვაქებთ და ჩუენ არა- A
სადა ვიქმთ; მონებისაგან განვთავისუფლდებით და ჩუენ თანამონათა არა
ვსწყალობთ; მშიერნი გამოვიზრდებით და მშიერთა თანა-წარვჰჴდებით; რომელ-
თა-ესე უხუად მოცემული საუნჯჱ გუაქუს — ღმერთი, ანგაჰრ ვიქმნენით
და ძჳრ გლახაკთა მიმართ; ცხოარნი ჩუენნი მრავლის მშობელ არიან და ში-
შუელნი უმეტეს ცხოვართასა არიან; საუნჯენი სიმრავლითა მით, მათ შინა
მდებარეთაჲთა, შეიწრდებიან და შეიწრებულსა არა ვსწყალობთ. ამისთჳს
მოაწევს ჩუენ ზედა სამართალსა მას საშჯელსა, ამისთჳს ღმერთიცა არა გან-
გჳღებს ჴელსა, რამეთუ ჩუენ ძმათმოყუარებაჲ ავკრიბეთ. ამისთჳს / ჴმელ არიან C
ურნატნი ჩუენნი, რამეთუ სიყუარული განჴმა.

8. ჴმაჲ ლიტანიისამყოფელთაჲ ცუდად ღაღადებს და ჰაერად განიბნევის,
რამეთუ არცა ჩუენ შევისმინეთ ვედრებაჲ მვედრებელთაჲ. / მამანი, თჳნიერ B
მცირედთასა, ყოველნი ვაჭრობასა შექცეულ ხართ, დედანი ჰმსახურებთ მსა-
ხურებასა მას მამონაჲსსა. მცირედნი არიან ჩემ თანა ლოცვასა შინა და ესენი-
ცა სულმოკლებით, ფქნარებით მიმოიქცევიან და ისწრაფიან, თუმცა ოდეს
აღასრულნა მეფსალმუნემან მუჴლნი, ანუ თუ ოდეს განერნენ ეკლესიისაგან,
ვითარცა საპყრობილისა, და ჭირი იგი ლოცვისაჲ დაუტეონ.

ხოლო ყრმათა ამათ მცირეთა, რომელთა წიგნები სასწავლოს დაუტეო-
ბიეს, ვითარცა სიხარულად და განსუენებად შეურა/ცხიეს საქმე ესე და დღე- A
სასწაულად უჩნს ჩუენი ესე მწუხარებაჲ, რამეთუ მკსინვარებისაგან მასწავ-
ლელისა და სიძნელისაგან სწავლათასა მცირედ ჟამ განთავისუფლებულ არიან.
ხოლო სრულთა მამათა სიმრავლჱ და ცოდვათა თანამდები იგი კრებული გან-
ტევებულად და / დაჴსნილად ვალს ქალაქსა შინა, რომელთა აქუს მიზეზი C
იგი ბოროტთაჲ სულთა შინა, რომელთა განსაცდელი ესე აღძრეს და ქმნეს.
და უცნობელნი და უმანკონი ჩჩჳლნი აღსარებად ღმრთისა მოვლენ, რომელ-
თა არცა მიზეზსა ამათ / ჭირთასა, არცა ჯეროვნად ლოცვისა გულისჴმისყო- B
ფად ძალ-უც.

შენ მოვედ აქა, ჩემ თანა, ცოდვითა შებღალული ეგე, შენ შეუვრდი ღმერ-
თსა და ტიროდე და სულთ-ითქუემდ, უტევე ჩჩჳლი იგი და იქმოდის, რაჲ-იგი
უჴმს ჰასაკსა მისსა ქმნად. რაჲსათჳს შენ, შესმენილი ეგე, იმალვი და უბრალო-
სა მას სიტყჳს-მიცემად მოავლენ? არა თუ მსაჯული იგი მოიკიცხვის, რაჲთამ-
ცა სხუაჲ მიავლინე და მასმცა შენ ეგონე? ხოლო მისიცა ჯერ-იყო მოსლვაჲ,

---

1 მოვიდა B. 3 ~ კაცმან რაჲმე B. 4 რომლისათჳს C. 5 არღა B. 6 ჩუენ.C. 8 მმშიერნი C. გამოვიზარდებით C. მშიერსა A. 9 მოცემული] მომცემელი B. საუნჯე B. 10 ცხოვარნი C. 13 საშჯელთასა B. ამისთჳსცა B. 14 აღვიკრიბეთ C. 17 მვედრებელთაჲ] მვედრებელთა ჩუენთაჲ C. 19 მამონაჲსა B, მამონაჲსასა C. ლოცვათა B. 20 ფქნარებით—A. 21 დაასრულნა C. თუ—C. 22 საპყრობილისაგან C. გაუტეონ B, დაუტევონ C. 23 მათ C. დაუტევობიეს C. 24 განსუენე-ბად] შუებად C. დღესასწაულობად C. 26 სწავლათაჲსა C. 27 სიმრავლე B. 30 აღსაარებად BC. 31 გულისხმის- C. ~გულისჴმის-ყოფად ლოცვისა B. 33 მოედ B, შენ მოვედ] შემოედ C. შეურ-დი A. 36 სიტყჳსა- C. 37 ეგონჱ C.

არამედ შენ თანა და არა მხოლოჲ. არა ხედავ-ა? ვითარ-იგი ნინეველნი ინანდეს
რაჲ ცოდვათა მათთათჳს და ევედრებოდეს ღმერთსა, რაჟამს შემდგომად
ზღჳსა და ვეშაპისა იონა უქადაგა, არა ჩჩჳლნი ოდენ მოიყვანნეს სინანულად
და თჳთ იყვნეს შუებით და განსუენებით, არამედ პირველად მამანი დაამ-
C v დაბლნა მარხვამან, რომელნიცა შეცო/დებულ იყვნეს და რომელნიცა იტანჯე-
ბოდეს; ხოლო უმეტესისა სინანულისათჳს იძულებით ტიროდეს ჩჩჳლნიცა,
რაჲთა ყოველსავე ჰასაკსა ზედა მიიწიოს მწუხარებაჲ იგი და გლოვაჲ ცნო-
B v ბიერსაცა და უცნობოსა, რომელთამე ნეფსით / და / რომელთამე უნებლიეთ.
A v და ესრეთ იხილნა იგინი ღმერთმან დამდაბლებულნი, რომელთა უბადრუკე-
ბაჲ და ჰპირი ყოველსა ზედა ნათესავსა მოაწიეს, შეიწყალნა იგინი და ჰრიდა
მოწყუედად მათდა და სიხარული მიანიჭა მეცნიერებით მგლოვარეთა მათ[1*].

ეჰა, მოსწრაფჱ იგი სინანული! ეჰა, ბრძენი იგი და მტკიცჱ შეწუხებაჲ!
არცა თუ პირუტყუნი დაუტევნეს უტანჯველად, არამედ მათიცა ჴმობაჲ ღო-
ნისძიებით ქმნეს, რაჟამს განყვეს ჴბოჲ დედისაგან და კრავი ცხოვრისაგან,
და ყრმაჲ ძუძუჲსმწოვარი არღარა არნ წიაღთა შინა დედისათა, არამედ თჳსა-
გან შვილნი და თჳსაგან დედანი და ყოველთაგან იყვნეს ჴმანი საწყალობელ-
ნი, ურთიერთას უსწრობდეს. შვილნი მშიერნი წყაროთა მათ სძისათა ითხოვ-
C 185 დიან, დედანი კუალად ბუნებითითა მით სიყ/უარულითა განიკუეთებოდეს და
საწყალობლებითა ჴმითა მოუწოდდეს ნაშობთა მათთა. კუალად ჩჩჳლნი იგი,
შიმშილისაგან შეიწრებულნი, ჴმობედ ტირილით და მშობელთა გულნი ბუ-
B 244 ნებითითა მით წყალობითა განილევიედ. ამისთჳსცა მათი იგი / სინანული სა-
ხედ ცხორებისა საღმრთომან მან სიტყუამან აღწერა: რამეთუ მათ შორის
მოხუცებულნი გოდებდიან და იფხურიდიან მჴცეთა მათთა, ჭაბუკნი უძლიე-
რესად ინანდიედ, გლახაკნი სულთ-ითქუმედ და მდიდართა დაივიწყეს სიმ-
დიდრე და შუებაჲ და მოიგეს მათცა ღუაწლი და ტირილი; მეფემან მათმან
დიდებაჲ თჳსი შეურაცხებად შეცვალა, დააგდო გჳრგჳნი და ნაცარი დაისხა
თავსა ზედა, აღიძარცუა ძოწეული და შეიმოსა ძაძაჲ, საყდარი იგი მაღალი
.A 159 დაუტევა და ქუეყანასა ზედა დაჯდა, სამეუ/ფოჲ იგი დიდებაჲ შორს-ყო და
გოდებდა ერისა მის თანა, ვითარცა ერთი სხუათა მათგანი იქმნა, რაჟამს ხედ-
ვიდა განრისხებასა მას ყოველთა მეუფისასა.

4. ესე არს გონებაჲ მონათა ბრძენთაჲ. ესევითარი არს სინანული იგი
C v შეცოდებულთაჲ. ხოლო ჩუენ ცოდვასა ვიქმთ ძლიერად და სინანუ/ლსა ზედა
სულმოკლე ვართ და დაჴსნილ. ვინ გარდამოსთხევს ლოცვასა შინა ცრემლთა,
რაჲთა ესრეთ მოვიდეს წჳმაჲ და ცუარი კეთილი? ვინ აღჰჴოცს ცოდვათა
თჳსთა და, ვითარცა ნეტარი დავით, დაალტობს ცრემლითა სარეცელსა
B v თჳსსა[2*]? / ვინ დაალტვნა ფერჴნი უცხოთანი და მტუერი იგი გზისაჲ დაჰბანა,
რაჲთა ჟამსა უწჳმროებისასა ევედროს რაჲ ღმერთსა, შეისმინოს მან მისი და
მოსცეს წჳმაჲ? ვინ გამოზარდა შვილთაგანი მამისა ჩუენისათაჲ, რაჲთა აწ

---

[1] მხოლოჲსა C. ჰხედავა C. [3] ვეშაპისა BC. [6] იძულებითა C. [7] გლოვაჲ B. [9] უცნო-
ბოსაცა B. ნებსით C. [11] მგლოარეთა B. [12] მოსწრაფებაჲ B. სინანულისაჲ B. აჰა C. სიბრძ-
ნე B. მტკიცე B. [13] ძუძუისმწუვარი B. [19] საწყალობელითა C. [20] ჴმობ~დს C. [22] მან—C.
[24] ინანიედ C. და—BC. სიმდიდრჱ C. [26] თჳსი]მათი A. დააგდო] და განაგდო C. [27] აღიძუ-
არცა B. შეიმოსა B. [29] რაჟამ B. ჰხედვიდა C. [31] გუნებაჲ B]განგებაჲ A. [37] მან — C.
[38] ჩუენისათა AB.

[1*] იონა 3,3—10. [2*] ფსალმ. 6,7.

ღმერთმან აღაორძინოს იფქლი ჩუენი, რომელი-ესე, ვითარცა ობოლი, ქართა მიერ იმძლავრების? ვინ ჴელი აღუპყრა ქურივსა ჭირეულსა ჭირთაგან ამის ცხორებისათა, რაჲთა მოეცეს მას ღირსად სათხოველი თჳსი?

განხეთქე ჴელითწერილი უმშჯავროჲ, რაჲთა ესრეთ დაიჴსნას ცოდვაჲ, აღჴოცე მძიმეთა მათ ვახშთა აღსარებაჲ, რაჲთა აღმოაცენოს ქუეყანამან ბუნებითი მცენარებაჲ. რამეთუ რაჟამს რვალი და ვეცხლი და ოქროჲ, რომელნი-იგი ბუნებით ბერწ არიან, განვიდოდინ ბუნებისაგან თჳსისა და იწყებდენ შობად, მაშინ ბუნებით შეილმრავალი იგი ბერწ იქმნების და დასაშჯელად მას ზედა მყოფ/თაჲსა მიიღებს უნაყოფოებასა. C 1

აწ უკუე გამოაჩინებედ პატივმცემელნი იგი ანგაჰრებისანი, რაჲ არს ძალი იგი მათ მიერ დაუნჯებულთა საფასეთაჲ, ანუ რაჲ იყოს სარ/გებელი მათი, / B 2 უკუეთუ ღმერთი განრისხნეს და გარდაჰმატოს რაჲ ტანჯვაჲ ესე. უყუთლეს A v ოქროჲსა იქმნენ შემკრებელნი მისნი, უკუეთუ არა აქუნდეს პური იგი, რომელი გუშინ და მესამესა დღესა შეურაცხ იყო წინაშე მათსა ნაყოფიერებისათჳს. არამედ თქუ ესრეთ: უკუეთუ არა იყოს მსყიდელი და არცა იფქლი საუნჯეთა შენთა, რაჲ იყოს მძიმეთა მათ ოქროთა საჴმარი? არა მათ თანა დაიფლა-ა? არა მიწა არს-ა ოქროჲ და თიჴა უჴმარ" და თიჴასა მას გუამსა შენსა თანა წარწყმდეს? ყოველივე მოგიგიეს და ერთი, უმჯობესი ყოვლისაჲ, არა გაქუს — ძალი გამოზრდად თავისა შენისა. ყოვლითა მაგით სიმდიდრითა შენითა ერთი ღრუბელი შექმენ, მცირედისა ცუარისა სადინელი მოიპოვე, ღონისძიებით შეცვალე ქუეყანაჲ ნაყოფიერებადვე, დაჴსენ ამპარტავანისა მის და ამაოჲსა სიმდიდრისა მიერ განსაცდელი ესე. ნუუკუე ევედრო ვისმე ღმრთისმსა/ხურთაგანსა, რაჲთა ლოცვითა თჳსითა, ვითარცა თეზბიტელმან C v ელია[1*], ლხინებაჲ ამათ ბოროტთაჲ მოგცეს. კაცი უპოვარი, განჴმული, / უჴამ- B v ლოჲ, უსახლოჲ, უქონელი, ერთითა სამოსლითა შემოსილი, ვითარცა ელია ხალენითა, რომელსა აქუნდეს ლოცვაჲ თანამკჳდრად, მარხვაჲ — თანამეპურისმტედ, უკუეთუ მიემთხჳო ესევითარისა შეწევნასა, არა საკიცხელ ჰყო-ა ფრიადი იგი სიმდიდრე შენი? არა შეჰნერწყო-ა ოქროსა? არა განაგდო-ა ვეცხლი, ვითარცა სკორე, რომელსა-იგი, პირველ ყოვლისა, შემძლებელად და საყუარელად სახელ-სდებდი და ჟამსა მას საჴმრისასა ჰპოე იგი უძლურად შემწედ? შენთჳს იქმნა ესე / განსაცდელი, რამეთუ გაქუნდა და არა მისცემდი, A 1 რამეთუ თანა-წარჰჴდებოდე მშიერთა, რამეთუ მტირალისა მიმართ არა მიიქცეოდე, რამეთუ თაყუანისმცემელსა მას არა სწყალობდ.

მოვალს მცირედთათჳსცა ერსა ზედა ბოროტი, ვითარცა-იგი აქარ იპარა და ყოველი იგი სიმრავლჱ იგუემებოდა[2*]. ზამბრი ისიძვა მადიანელთა თანა და ისრაელი დაიშჯებოდა[3*].

---

3 ცხორებისათა C. სათხოველი BC. თჳსი]მისი A. 4 განხეთქჱ C. ჴელისწერილი B. უმსჯავროჲ B. 5 აჴოცჱ C. აღსარებაჲ]ჴელისწერილი B, ჴელითწერილი C. ბუნებით B. 6 რომელნი BC. 8 საშჯელად C. 10 პატივის-მცემელნი C. იგი—C. 13 იქმნნენ C. 15 მიმსყიდელი C. 16 შენთა]შინა B. 17 თიჴაჲ უჴმარი C. შენსა—B. 18 ყოვლისა C. 20 შეიქმენ C. მოიპოვე C. 21 შეცვალჱ C. და დაჴსენ C. 23 თეზპიტელმან C. 24 უპოარი A. 26 -მეპურისტედ BC. 28 სიმდიდრჱ C. 29 სკორჱ C. 30 -სდებდ BC. მას—C. ჰპოვე C. უძლორად B. 32 თანა-წარჰჴდებოდჱ C. მიიქცევოდჱ C. 33 თაყუანისმცემელსა C. მას—C. სწყალობდი B. 34 მცირედთათჳს C. 35 სიმრავლე B. 36 დაისჯებოდა B, დაისაჯებოდა C.

1* III მეფ. 18,45. 2* ისე 7,1. 3* რიცხ. 25,6...

C 187 ნ. ყოველთავე უკუე, თჳსაგანცა და ზოგად, თავნი თჳსნი / განვიხილნეთ,
ვითარცა მასწავლელსა, მივხედნეთ სიყმილსა ამას. თითოეულმან თჳსნი ცოდ-
B 246 ვანი მოვიჴსენნეთ. ვთქუათ ჩუენცა სიტყუაჲ / იგი ნეტარისა იობისი გულის-
ჴმისყოფით, ვითარმედ: „ჴელი უფლისაჲ შემომეხო მე“[1*] და ცოდვათა ჩუენთა
მივაჩემოთ განსაცდელი. უკუეთუ კულა სხჳსაცა მიზეზისა თქუმაჲ ჯერ-არს,
ვთქუათ, ვითარმედ მრავალგზის გამოსაცდელადცა სულთა მოიწევიან ესევი-
თარნი ძნელოვანნი ვნებანი კაცთა ზედა, რაჲთა ესრეთ გამოჩნდენ გამოცდილ-
ნი იგი — გინა თუ მდიდარნი, გინა თუ გლახაკნი, რამეთუ ორნივე მოთმინე-
ბითა გამოიცდებიან კეთილად, და უფროჲსად ამას ჟამსა ერთი იგი უკუეთუ
მოწყალე-ძი არს და ძმათმოყუარე და სხუაჲ იგი თუ მმადლობელ არს და არა
მგმობარ და საქმეთა თანა ამის ცხორებისათა შემცვალებელ გონებისაცა
თჳსისა.

რამეთუ მე ვიხილენ მრავალნი თუალითა ჩემითა კაცნი, ვითარმედ ვიდ-
რემდის სოფლისა ამის საქმენი ფართოებით იყვნენ მათ ზედა, დაღაცათუ
არა სრულად, არამედ მცირედ რაჲმე ჰმადლობენ ქველისმოქმედსა მას;
C v უკუეთუ კულა სხუად გარდა / იქცენ საქმენი მცირედ, და მდიდარი იქმნას /
A v გლახაკ და ძლიერი გუამითა — სნეულ და დიდებული და პატივცემული —
B v სირცხჳლეულ და შეურაცხ, მაშინ / შეიცვალნიან და უმადლო იყვნიან, სიტ-
ყუათა მგმობართა იტყოდიედ, უდებ იყვნიან ლოცვისა მიმართ, ვითარცა
თანამდებსა დაყოვნებულსა, ესრეთ აბრალებდიან ღმერთსა და არა, ვითარცა
მეუფესა განრისხებულსა, შეუვრდებოდიედ. არამედ ნუმცა არს გონებასა
შენსა ესევითარი ზრახვაჲ! გარნა რაჟამს იხილო ღმერთი, ვითარმედ არა მო-
გცემდეს კეთილთა სოფლისათა, ჩუეულებისაებრ ესრეთ განიზრახე თავსა
შორის შენსა და თქუ, ვითარმედ: „ნუუკუე ვერ ძალ-უც-ა ღმერთსა მოცემად
ჩემდა საზრდელისა, გინა სხჳსა რაჲსამე? და ვითარ? რომელი-იგი უფალი არს
ცისა და ქუეყანისაჲ და ყოველთაჲვე, ჟამთა წელიწადთა ბრძენი განმგებელი,
მმართებელი ყოვლისაჲვე, რომელსა, ვითარცა მწყობრი წესიერი, ესრეთ გა-
ნუწყობიან ჟამთა შეცვალებანი, რაჲთა თითოფერებითა მით მათითა თითოფე-
რად აღასრულებდენ საჴმარსა ჩუენსა. და აწ არნ თჳსსა ჟამსა ნოტიობაჲ და
C 188 მერმე მას ზედა მოვიდის სიმჴურ/ვალჱ და სიცივე შეეზავის სიტფოსა და სიჴ-
მელე კუალად მოვიდის თჳსსა ჟამსა. ძლიერ არს უკუე ღმერთი, ვინაჲთგან
B 247 ძლიერი იგი არს აღსარებულად, ნუუკუე სახიერებაჲ / მოაკლდა-ა? არცა
ესრეთ სათქუმელ არს სიტყუაჲ ესე, რამეთუ რომელმან ჰირმან დაარწმუნა
არასახიერი იგი დასაბამსა შექმნაჲ კაცისაჲ? ანუ ვინ აიძულა დამბადებელი
იგი უნებლიაჲთ მიწისა აღებად და თიჴისაგან ესევითარისა შუენიერებისა
A 161 ქმნად? ვინ აჰირვა ხატად თჳსა მიცემად / სიტყუაჲ კაცისადა, რაჲთა ესრეთ
სწავლაჲ ჴელოვნებისაჲ მიიღოს და ისწაოს ზეცისა სიბრძნე და გამოთქუმაჲ

[3] გულისხმისყოფით C. [6] სულთა—C. [7] ძნელოვანნი ვნებანი] ძნელოვნებანი საქმეთანი BC. [10] მოწყალჱ-ძი C. არსა C. ძმათმოყუარჱ C. არსა C. [11] და—C. ცხ̃რბისა C. [13] ~მრავალნი ვიხილენ მე C. [14] ფართუებითა B. [15] სრულად]ს̃დ BC. [16] იქმნეს C. [18] [და სიტყუათა C. [19] მგმობართა]გმობისათა C. [21] შეურდებოდიედ A. [23] სოფლისა B. განიზრახჱ C. [25] საზრდელი B. სხუაჲ B. რაჲმე B, რაჲსმე C. [26] ქუეყანისა B. ყოველთავე C. წელიწადთაჲ B, და წელიწადთაჲ C. [27] ესრეთ—C. განოწყობიენ B. [30] მერმჱ C. სიმჴურვალე B. სიცივჱ C. სიჴმელჱ C. [31] ძრიელ A. [32] ძრიელი A. აღსაარებულად BC. მოაკლდა B. [35] უნებლიეთ BC. [36] თჳსსა C. კაცისადა]კაცისაჲ და C. [37] მოიღოს C. ისწავოს C. სიბრძნჱ C.

[1*] იობ 19,21.

საქმეთათჳს, რომელ არა უხილვან?“ და ესრეთ რაჲ იგონებდე, ჰპოო სახიერებაჲ, ღმრთისა თანა მყოფი და აქამომდე არა მოკლებული, არცა ოდეს მოაკლდეს. თუ არა, რაჲ იყო დამაყენებელ, მიჳხარ-ღა, რაჲთა არა უწჳმროება იყოს საქმე ესე, არამედ სრულიადი დაწუვაჲ? და მცირედმცა შეცვალა მზემან ჩუეულებისაებრი ესე სლვაჲ და მცირედმცა მოეახლა ქუეყანასა და ერთსა წამსა დაწუა ყოველივე ხილული? ანუმცა წჳმა ცეცხლი ზეცით, მსგავსად სხუა/თა C v მათ ცოდვილთა, რომელთა უყო ესე?

თავსა შენსა და გონებასა შენსა მოედ, კაცო! ნუ იქმ საქმესა უგუნურთა ყრმათასა, რომელთა შეჰრისხნის მოძღუარმან და მათ მისნი წიგნნი დაბძარნიან; ანუ მამამან სარგებელისათჳს საზრდელისაგან განაყენნის და მათ / სა- B v მოსელი თჳსი დაიპიან, ანუ დედისა პირსა ფრჩხილითა მოსწყლვიდიან.

არა უწყი-ა, ვითარმედ მენავეთმოძღუარსა ზამთარი და მჴედარსა ბრძოლაჲ, ერისთავსა განწყობაჲ და ქრისტიანესა განსაცდელი გამოსცდის, და მწუხარებაჲ — სულსა, ვითარცა ოქროსა ცეცხლი?

უკუეთუ გლახაკ ხარ, ნუ მწუხარე და სასოწარკუეთილ იქმნები, რამეთუ უზომოჲ წუხილი მიზეზ ცოდვისა იქმნების, რამეთუ დაანთქის მწუხარებამან გონებაჲ და სასოწარკუეთილებისა მოქცევ იქმნის, ხოლო სასოწარკუეთილებამან მან შვის უმადლოებაჲ. არამედ გაქუნდინ სასოებაჲ ღმრთისა მიმართ. ნუუკუე არა ხედავს-ა იგი იწროებასა მაგას შენსა? აქუს მას საზრდელი ჴელთა შინა / და ჰყოვნის მოცემად, რაჲთა გამოიცადოს სიმტკიცჱ შენი, რაჲთა გამო- A v ჩნდეს გონებაჲ შენი, / ნუუკუე მსგავსი უმადლოთაჲ იყოს, რომელნი-იგი, C 16 ვიდრემდე პირსა შინა იყოს საზრდელი, ჰმადლობენ და უკვრს და ადიდებენ, ხოლო უკუეთუ მცირედ ჟამ ტაბლასა მოაკლდეს, ვითარცა ქვითა, ესრეთ ესრიან სიტყჳთა მით გმობისაჲთა.

აღმოიკითხე ძუელი რჩული და ახალი და მრავალნი ჰპოვნე ღმრთისა მიერ გამოზრდილნი საკჳრველად:

/ ელია იყო კარმელსა ზედა, მთასა მას მაღალსა და უვალსა, უდაბნოსა B 24 მეუდაბნოე იგი და ყოვლითურთ სული ოდენ იყო მდიდარ მართლისაჲ მის და საგზლად ცხორებისა აქუნდა სასოებაჲ ღმრთისაჲ. და ესრეთ რაჲ იყოფოდა, სიყმილით არა მოკუდა, არამედ მფრინველნი იგი, უფროჲს ყოველთა მფრინველთასა ნაყროვანნი და მტაცებელნი, მოართუმიდეს მას საზრდელსა და ჰმსახურებდეს მართალსა მას. რომელნი-იგი ჩუეულებით სხჳსა საზრდელსა იტაცებენ, ბუნებაჲ მათი შეცვალეს ბრძანებითა მით მეუფისაჲთა და სარწმუნოდ მმარხველ იქმნეს პურისა მის და ჴორცისა, რამეთუ ესე გჳსწავიეს წერილისაგან, რომელ მოართუმიდეს მას[1*]. კუალად აქუნდა მლჳმესა მას ბაბი/ლონი- C v სასა ჭაბუკი იგი ისრაიტელი, ტყუჱ განსაცდელითა, ხოლო აზნაური სულითა და გონებითა. და იყვნეს მის თანა ლომნი, გარეგან ბუნებისა იმარხვიდეს. და

1 რომელნი BC. იგონებდჱ C. ჰპოვო C. 2 ღმრთისაჲ B. და თანა მყოფი B. და—C. აქამომდჱ C. 3 უწჳმრობაჲ C. 4 საქმჱ C. ს˜დი AB. 6 ყოველი C. 7 იყო B. 9 შეჰრისხნეს A. დაბზარნიან A. 15 გლახაკი B. მწუხარჱ C. 16—17 ~გონებაჲ მწოხარებამან მან B. 18 მან—BC. 19 ჰხედავსა C. 20 შინა+მისთა C. სიმტკიცე B. 22 ვიდრემდჱ C. და1° — BC. 23 ხოლო—B. 24 ამით C. 25 აღმოიკითხჱ C. შჯული C. 28 მეუდაბნოეჱ A. 29 რაჲ —C. 31 ნაყროანნი B. 32 სხჳსა—C. 33 მფს˜ათა A. სარწმუნო BC. 34 იქმნნეს C. 35 ბაბილოვნისასა BC. 36 ტყუე B. განსაცდელით B. 37 გონებითა (τό φρόνημα)] ბუნებითა A. ჲმარხვიდეს B.

1* III მეფ. 17,4—6.

ამბაკუმ ვიდოდა ჰაერითა, რამეთუ ეტჳრთა ანგელოზსა კაცი იგი საზრდელისა
თანა და რაჲთა არა შეშჭირდეს შიმშილითა მართალსა მას, ესეზომთა ქუეყანა-
თა და ზღუათა თანა-წარჰჴდა მცირესა ჟამსა, რომელ-იგი არიან შორის ჰური-
162 ასტანისა / და ბაბილონისა[1*].

6. კუალად ერისა მისთჳს, უდაბნოს მყოფისა, რაჲ სთქუა, რომელთა წი-
ნამძღუარი / იყო მოსე? ვითარ იქმნა ცხორებაჲ მათი ორმეოცსა მას წელსა?
არა იყო მუნ კაცი მთესვარი, არცა ზროხაჲ მზიდველი საჭნველისაჲ, არცა კა-
ლოჲ, არცა საწნეხელი. და საზრდელი აქუნდა უთესლოჲ და მოუმკებელი და
წყაროთა აღმოაცენებდა კლდჱ, რომელნი-იგი არა იყვნეს პირველ, არამედ
მაშინ აღმოეცენნეს.

დაუტეო თითოეულისა თქუმად, რომელნი გამოზარდნა ღმერთმან ჭირსა
შინა, ვითარცა მამამან, ხოლო შენ მოთმინე იქმენ მცირედ განსაცდელსა მაგას
შინა, ვითარცა ახოანმან იობ. და ნუ წარტაცებულ იქმნები ღელვათაგან, ნუ
190 რას / განაგდებ ტჳრთისა მისგან სათნოებათაჲსა. ვითარცა ტჳრთი მრავალსას-
ყიდლისაჲ, დაჰმარხე სულსა შინა შენსა მადლობაჲ და მიიღო მადლობისა მიერ
ორკეცად კეთილი.

მოიჴსენე სიტყუაჲ იგი მოციქულისაჲ, რომელსა იტყჳს, ვითარმედ: „ყო-
ველსა შინა ჰმადლობდით"[2*]. უკუეთუ გლახაკი ხარ, არს სხუაჲცა შენსა უგლა-
ხაკესი; უკუეთუ შენ გაქუს ათისა დღისა საზრდელი, მას აქუს ერთისაჲ. ვი-
თარცა კეთილმან კაცმან, განასწორე მისი იგი ნაკლულევანებაჲ შენსა მას ნა-
მეტნაესა თანა. ნუ უდებ იქმნები მცირისა მისგან მიცემად; ნუ პატივ-სცემ
249 შენსა განსუე/ნებასა, ვიდრე სხჳსასა. დაღაცათუ ერთად პურად მიიწიოს საზრ-
დელი შენი და მოვიდეს კარად მთხოელი, განიღე საუნჯისაგან შენისა ერთი
იგი და დადევ ჴელთა ზედა შენთა და თუალნი ზეცად აღიხილენ და თქუ სიტ-
ყუაჲ ვედრებისაჲ და კეთილი, თქუ, ვითარმედ: „აჰა / ერთი ესე პური არს,
უფალო, რომელსა ხედავ, და განსაცდელი ესე ცხად არს, არამედ მე შენსა
მცნებასა უფროჲს თავისა ჩემისა პატივ-ვსცემ და ამის მცირისაგან მივსცემ
მშიერსა მას ძმასა; მოეც შენცა ჭირვეულსა ამას მონასა შენსა წყალობაჲ; უწყი
სახიერებაჲ შენი, მინდობილ ვარ / ძალსაცა შენსა, არა ადროებ მადლსა შენსა,
არამედ მოსცემ, ოდესცა გენებოს, ნიჭსი".

უკუეთუ ესრეთ სთქუა და ჰქმნა, პური იგი, რომელი იწროებისა მისგან
მისცე, თესლ იქმნეს მუშაკობისა. მრავალწილი ნაყოფი გამოიღოს, წინდ კეთი-
ლისა იქმნეს და მომატყუებელ წყალობისა.

თქუ შენცა სიტყუაჲ ქურივისაჲ მის სიდონელისა, მსგავსთა მათ საქმეთა
ზედა ჟამსა თჳსსა მოიჴსენე საქმე იგი: „ცხოველ არს უფალი[3*], ვითარმედ ესე
მაქუს ოდენ სახლსა შინა ჩემსა საზრდელად ჩემდა და შვილთა". უკუეთუ მის-
გან მისცე, გაქუნდეს შენცა / რქაჲ იგი ზეთისაჲ მადლითა აღმომდინარჱ და

---

3 მცირედსა BC. ჰურიასტანსა და ბაბილონსა C. 6 უდაბნოჲს BC. წინამძღუარ BC. 6 მოსჱ C. 8 მოუმკებელი] მოუკრებელი B, მოუკლებელი C. 9 კლდე B. 10 აღმოაცენნეს B. 11 დაუტევო თითოეული C. 13 ახოვანმან C. 15 დაჰმარხჱ C. 17 მოიჴსენჱ C. 19 შენ—C. 20 განასწორჱ C. ნამეტნაესა (τὸ περιττόν)] ნამარხევსა C. 22 სხჳსა B. ერთ C. მოიწოს BC. 23 მთხოველი C. განიღჱ C. 25 ესე—C. 26 ჰხედავ C. 28 მშიერსა C. შენსა—A. 29 ძალსა C. 30 მისცემ C.—ნიჭსა ოდესცა გენებოს C. 32 მისცჱ C. იქმნის B. ნაყოფი—C. 34 სიდონელისაჲ C. 35 საქმჱ C. 36 მისგანი C. 37 მისცჱ C. აღმომდინარე B.

1* დანიელ 14,30... 2* I თეს. 5,18. 3* III მეფ. 17, 12.

სარწყული იგი ფქვილისაჲ დაუცარიელებელი. რამეთუ მორწმუნეთათჳს მადლი ღმრთისაჲ მიემსგავსების წყაროთა მათ, რომელნი მარადის აღმოისხმიან და არა დაცარიელდებიან და ორკეცობით მოსცემს ყოველსავე.

ავასხე გლახაკმან მაგან მდიდარსა მას ღმერთსა, ირწმუნე მისი, რომელი მარადის გლახაკისა და ჭირვეულისა მიცემულსა თჳთ მიიჩემებს და მისცემს სასყიდელსა. იგი სარწმუნოჲ თავსმდები არს, რომლისა საუნჯენი ზღუასა ზედა და ჴმელსა განფენილ არიან. და თანანადები იგი / მიიღო მისგან შორის C 19 გულსაცა ზღჳსასა. უკუეთუ სთხოო, მოგცნეს თავნი აღნადგინებითურთ და სენი იგი სიყმილისაჲ განკურნნოს.

7. რამეთუ სიყმილი ვნებაჲ არს / საწყალობელი, სიყმილი თავი არს გან- A 16 საცდელთაჲ. რამეთუ სხუანი იგი ბოროტნი ადრე განიყვანებენ ცხორებისაგან: მახჳლი აღსასრულსა ადრე მოაწევს, ცეცხლისა ძალი მალიად დაშრეტს ცხორებასა, ანუ მჴეცნი თუ მიემთხჳნენ, ადრე შეჰმუსრვენ კბილითა, ხოლო სიყმილისა ბოროტი გჳან არს და წყლულებაჲ / მყოვარ ჟამ და სენი მისი მტკიცე B 25 და ძნელ, სიკუდილი მარადის თანამყოფად აქუს და მალე არა წარიტაცებს, არამედ ბუნებით ნოტიობასა აჴმობს, სიმჴურვალესა განაგრილებს, სიზრქესა დააწურილებს, ძალსა დააჴნობს. ჴორცნი ვითარცა დედაზარდლისა ბუდე იყვნიან, ძუალთა ზედა ფერსა ყუავილოვანებაჲ არა აქუნ, რამეთუ სიწითლჱ ივლტის განლევითა სისხლისაჲთა; სპეტაკებაჲ არა არნ, რამეთუ ჭირმან მან დააშავის, არამედ მჴიე იყვნიან ჴორცნი, სიყჳთლითა და სიშავითა საწყალობელად შეზავებული; ვნებისა მისგან მუჴლნი არა იტჳრთვ/იდიან, არამედ მიმოდრ- C v კებოდიედ დაცემად; ჴმაჲ წულილ არს და უძლურ; თუალნი უსუსურნი და დაღრმობილნი, ამაოდ მდებარენი საუნჯეთა მათ შინა; ძუალნი მწუანჱილთა და მწუერვალთა მიერ ხეთაჲსა უმეტესად განჴმელნი; მუცელი ცალიერი და მოუძლურებული, რომელსა არა აქუს ბუნებით წელთა სიზრქჱ, არამედ საწყალობელად ზურგისა ძუალთა შემშჭუალულ არნ.

აწ უკუე რომელი ესევითარსა გუამსა თანა-წარჰჴდებოდის, რავდენთა / B v ბოროტთა ღირს არს? ანუ რაჲ არს მისისა მის უწყალოებისა საზომი? ანუ ვითარ არა ღირს არს მძჳნვარეთა მჴეცთა თანა შერაცხებასა და რაჲთა ვითარცა შეგინებული და კაცისმკლელი / წარწყმდეს? რამეთუ რომელსა აქუნდეს A v ჴელმწიფებაჲ განკურნებად ბოროტისა რაჲსამე და ნეფსით არა ქმნას კურნებაჲ მისი ანგაჰრებითა, სამართლად დაისაჯოს იგი, ვითარცა თჳთმოქმედი მის ბოროტისაჲ.

ვნებამან მან სიყმილისამან აიძულნა მრავალნი მრავალგზის შეცვალებად საზღვართა ბუნებისათა და შეხებად კაცობრივთა ჴორცთა, ბუნებისა მის მათისა ზიართა: / და დედამან, რომელი-იგი მუცლითა თჳსითა შვა, კუალად სა- C 1? წყალობელად და ბოროტად მუცლად-იღის. და ესე საქმჱ ჰურიათა განსა-

---

[1] საწყაული C. იფქლისაჲ C. დაუცალიერებელი C. [3] დაცალიერდებიან C. [4] ავასხჵ C. [5] გლახაკსა და ჭირვეულსა C. [6] რომელსა B. [8] სთხოვო C. [9] განიკურნოს C. [11] ადრჵ C. [13] მიემთხჳნენ C. ადრჵ C. [14] გჳანი C. მყოარ B, მყუვარ C. მტკიცჵ C. [16] ბუნებითა C. აჴმობს]აჴმჴობს C. [17] დააწრულებს B, დაამწულილებს C. [18] ყუავილოვნებაჲ BC. აქუს B. სიწითლე B. [19] არს BC. მან—C. [20] საწყალობლად C. [21] ვნებისა მისგან]ვნებისაგან B. მიმოდრკებიედ C. [22] წურილ B. [23] დაღრმობილნი (ჯბრჲჳჸჺ)] დაბრმობილნი C. და ამაოდ C. მწუანვილითა C. [24] ცარიელი B. [25] ~სიზრქე წელთა B. [26] შემსჭუალულ B. [27] რაოდენთა C. [28] ზომი B. [29] შერაცხებაჲ C. [31] ნებსით C. [32] ანგაჰრებით C. [36] მუცლით C. თჳსით BC. [37] საქმე B.

ცდელმან გამოაჩინა, რომელი-იგი იოსიპოს მოსწრაფემან დაგუწერა*, რაჲამს მოიწინეს ბოროტნი იგი ვნებანი იერუსალემელთა ზედა საშჯელად უშჯულოებისა მათისა, რომელი ქმნეს უფალსა ზედა.

ჰხედავ-ა თავადსა ღმერთსა ჩუენსა? რამეთუ სხუათა მათ ჴირთა მრავალ-B 251 გზის თანა-წარჰჴდებოდა, ხოლო მშიერთა სწყალობდა / ფრიად და იტყოდა, ვითარმედ: „მეწყალის მე ერი ესე“[1*].

ამისთჳსცა საშჯელსა მას შინა უკუანაჲსკნელსა, რაჲამს მოუწოდდეს მართალთა უფალი, პირველად მოწყალესა მოუწოდს, მზრდელსა მშიერთასა, მიმცემელსა პურისასა; და ესრეთ სახიერი უწინარეს სხუათა მოიღებს ცხორებასა[2*] და უწყალოჲ და ანგაჰრი უწინარეს სხუათა ყოველთა ცოდვილთასა მიეცემის სატანჯველად[3*].

აჰა ესერა დედისა მის მიმართ მცნებათაჲსა მიგიწოდს ჟამი ესე და ფრიად იზრუნე შენ, რაჲთა არა თანა-წარჰჴდეს ვაჭრობისა და ცვალებისა ჟამი, რა-A 164 მეთუ ჟამი დის და გვანსა მას / არა ელის, წარვლენ დღენი და უდებსა მას C v თანა-წარჰჴდებიან. და ვითარცა არა არს / მდინარისა აღმართ შექცევაჲ, უკუეთუ არა პირველად უსწრო და მიიღო წყლისა მის საჴმარი, ეგრეთვე ვერცა ჟამისაჲ ეგების შექცევაჲ ანუ დამჴირვაჲ, უკუეთუ არა წინა უსწრო და მიიღო სარგებელი მისგან. ამისთჳს გეტყჳ, რაჲთა მცნებასა მას, ვითარცა B v ლტოლვადსა, ეწიო და ჰქმნე იგი. და ყოვლით კერძო / მოეკიდე და შემოიკრიბე წიაღად, მიეც მცირედი და მოიგე ფრიადი. დაჰჴსენ პირველი იგი ცოდვაჲ წყალობითა და მიცემითა საზრდელისაჲთა, რამეთუ ვითარცა ადამ ჭამა ბოროტად და ქმნა ცოდვაჲ, ესრეთ აღვჴოცოთ ჩუენ ცოდვაჲ იგი ჭამადისაჲ, უკუეთუ მშიერი ძმაჲ გამოვზარდოთ.

8. ერნო, ისმინეთ, ქრისტიანენო, ყურად-იღეთ, ვითარმედ ამას ყოვლსა უფალი იტყჳს, რომელი-იგი არს მეტყუელ და ბაგეთა მონათა მისთასა იჴმარებს ვითარცა ორღანოთა.

ნუმცა ვიქმნებით სიტყჳერნი ესე პირუტყუთა უმძჳნვარეს. რამეთუ იგინი ქუეყანით აღმოცენებულსა ზოგად იჴმარებენ ბუნებით: და სამწყსონი ცხოვართა მრავალთანი ერთსა ზედა მთასა ძოენ და ცხენნი მრავალნი ერთსა ვაკესა იქცევიან და ყოველნივე ურთიერთას არა აყენებენ მიღებად საზრ-C 193 დელთა / მათ, ხოლო ჩუენ ზიარსა მას ჩუენდად მივიღებთ, რომელი-იგი მრავალთაჲ არს, მხოლონი წარვაგებთ. შევიკდიმოთ საქმეთაგან წარმართთაჲსა, B 252 რომელთა შორის იქმნების კაცთმოყუარებაჲ. / მათგანთა ვიეთმე თანა რჩული არს მოწყალებისაჲ და ერთ ტაბლა და ზიარ ყოველთავე სიმრავლჱ მათი იქმ-A v ნების. დაუტევნეთ გარეგანნი და / ვიხილნეთ სამ ათასნი იგი და საქმე მათი. პირველსა მას კრებულსა ქრისტიანეთასა მივემსგავსნეთ, ვითარ-იგი იყო მათდა ყოველივე ზიარ[4*]: ცხორებაჲ და სულნი, ერთობაჲ, ტაბლაჲ ზიარი, ძმობაჲ განუყოფელი, სიყუარული შეუორგულებელი, მრავალთა მათ გუამთა ერთ-

[2] მოიწიენეს C. უსჯულოებისა B. [3] რომელ B. [9] სხუათასა C. მიიღებს BC. [11] სატანჯველსა C. [12] და ფრიად] ჳ˜დ C. [13] -წარჳდეს B. [16] ეგრეცე C. [17] ჟამისა BC. [19] ვლტოლვადსა A. ეწიი B. მოეკიდჱ C. [25] მეტყუელი C. ბაგესა B. მისთაჲსა A. [29] სამწყსონი C. ცხოართა BC. [30] ძოვენ C. [31] ჩუენდა C. მოვიღებთ C. [32] და მხოლონი C. [33] მათგან B. შჯული C. [34] ყოვლითავე BC. სიმრავლე B. [35] საქმჱ C. [37] ტაბლისაჲ B.

[1*] მათე 15,32. [2*] მათე 25,34. [3*] მათე 25,41. [4*] საქმე 2,44.

* იგულისხმება იოსებ ფლავიუსი (Ἰώσηπος) და მისი თხზულება „იუდეველთა ომი“ (ახ. წ. აღ. I ს.).

მყოფელი, განყოფილთა მათ სულთა შემაერთებელი. მრავალნი გქონან სახენი
ძმათმოყუარებისანი ძუელთა და ახალთა წერილთაგან.

უკუეთუ მოხუცებული იხილო მშიერი, უწოდე და გამოზარდე, ვითარცა
იოსებ უყო იაკობს[1*]. უკუეთუ ჰპოო მტერი შენი მომყმარი, ნუ შურსა-იგებ მტე-
რობითა, არამედ გამოზარდე, ვითარცა მან ძმათა მათ უყო[2*], რომელთა იგი გა-
ნეყიდა[3*]. უკუეთუ იხილო ჭაბუკი შეიწრებული, ცრემლოოდე მის ზედა, ვი-
თარცა-იგი ბე/ნიამენს ზედა, ძესა მას სიბერისასა[4*]. ნუუკუე გამოგცდის C v
შენ ანგაჰრებაჲ და გაჭირვებს, ვითარცა იოსებს დედოფალი[5*]. იგი / ზი- B v
დავს სამოსელსა შენსა, რაჲთა უგულებელს-ჰყო მცნებაჲ იგი და შეიყუარო
სოფლისმოყუარე იგი და ოქროჲსმოყუარჱ, ვიდრელა მცნებაჲ მეუფისაჲ.
არამედ რაჟამს მოგიჴდეს გულისსიტყუაჲ, მცნებისა მის მბრძოლი და გონებისა
მის წმიდისა ვეცხლისმოყუარებით შემაგინებელი, და გაიძულებდეს ძმათმო-
ყუარებისა დატევებად, დაუტევე შენცა სამოსელი შენი მის თანა და განრისხე-
ბული წარვედ, დაიცევ სარწმუნოებაჲ უფლისა მიმართ, ვითარცა მან პეტე-
ფრესი[6*]. ერთსა წელიწადსა განაგე ნაკლულევანებაჲ იგი, ვითარცა მან
შჳდთა მათ წელთა. ნუ ყოველსავე გულისთქუმასა მიანიჭებ, მიეც რაჲმე
სულსაცა. და ორნი ასულნი შეჰრაცხენ თავისა შენისა: შუებაჲ ეგე სოფლი-
საჲ და ცხორებაჲ საუკუნოჲ. / უკუეთუ ყოველსავე უმჯობესსა მას არა მის- A 165
ცემ, განაღა ნახევარსა ზედა განუყავ მეძავსა მას შვილსა და წმიდასა მას.
ნუ გამოაჩინებ ამის სოფლისა ცხორებასა სიმდ/იდრითა გარდამატებულ და C 194
საუკუნისა მის ცხორებასა შიშულად და ნაძუელავითა შემოსილად. რაჟამს-
იგი წარმოდ/გომაჲ გიჴმდეს წინაშე ქრისტესა და წინაშე პირსა მას მსაჯული- B 253
სასა მისლვად სახითა სძლისაჲთა, და სახელი შენი იყოს ცხორებაჲ იგი სათ-
ნოებისაჲ.

ნუუკუე უშუერად და შეუმკობელად წარადგენ წინაშე სიძისა მის სძალ-
სა მას — სულსა შენსა, რაჲთა იხილოს რაჲ უშუერებაჲ მისი, გარე-მიიქციოს
პირი თჳსი და მოიძაგოს იგი და ერთობაჲ მისი უარყოს. არამედ შეამკვე იგი
ჯეროვნითა მით სამკაულითა და შუენიერად დაიცევ მოლოდებითა მით ქორ-
წილისა მის დიდისაჲთა, რაჲთა მანცა ბრძენთა მათ თანა ქალწულთა აღანთოს
ლამპარი[7*], რაჟამს აქუნდეს ცეცხლი იგი გულისჴმისყოფისაჲ დაუშრეტელი,
და არა აკლდეს ზეთი იგი სათნოებათაჲ; რაჲთა ღმერთშემოსილი იგი წინა-
ჲსწარმეტყუელებაჲ საქმით დაემტკიცოს და აღესრულოს სულსა ზედა შენსა
თქუმული იგი, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „დადგეს დედოფალი მარჯუენით
შენსა, სამოსლითა ოქროქსოილითა შემკულ და შემოსილ პირად-პირადად, / C v
შუენიერი. ისმინე, ასულო, და იხილე, მოყავ ყური შენი და სთნდეს მეუფესა
სიკეთჱ შენი“[8*]. რამეთუ ესე ბუნებისათჳს თქუა წინაჲსწარმეტყუელმან და
სიკეთესა ბუნებისა მის / სულისასა ქადაგებდა — შუენიერებასა. ხოლო აღე- B v

---

[1] განყოფილთა] განუყოფელთა C. გუქონან C. [3] უწოდჱ C. გამოზარდჱ C. ჰპოვო C. [5] რომელ A. [6] ცრემლოვოდე C. [8] და ზიდავს C. [10] ოქროჲს-მოყუარე B. მეუფისაჲ] მაცხოვრისაჲ C. [13] განრისხებული (ὀργισθείς)] განძჳრცილი C. [17] და] ვითარცა C. [20] ~ სოფლისა ამის BC. სიმდიდრით B. [21] საუკუნოჲსა C. ცხორებისა C. [22] წარდგომაჲ C. ქ͞სსა C. მას—B. [23] მოსლვად C. ცხოვრებაჲ C. [26] და გარე-მოაქციოს B. გარჱ-C. [27] და 1°—A. უვარყოს C. [30] გულისხმისყოფაჲ C. [34] ოქროქსოვილითა C. [35] იხილჱ C. [36] სიკეთე B.

[1*] დაბად. 47,12. [2*] დაბად. 47,12. [3*] დაბად. 37,28. [4*] დაბად. 43,13. [5*] დაბად. 39,12. [6*] დაბად. 39,8—12 [7*] მათე 25,4. [8*] ფსალმ. 44,10—12.

სრულების თითოეულისა სულსა ზედა, რამეთუ თითოეულისაგან არს კრებული ეკლესიისაჲ.

A v 9. / გულისჴმა-ყავ კეთილად საწუთროჲ ესე და საუკუნოჲ იგი, ნუ მისცემ საუკუნეთა მათ კეთილთა და მოიღებ საფასესა ბოროტსა. რამეთუ დაგიტეონ შენ ჴორცთა შენთა და წარვიდენ და იყოს საჴსენებელად უწყალოებისა ამას სოფელსა. ხოლო მოსლვასა მას საშინელისა მსაჯულისასა, რომელი-იგი უეჭუელად მომავალ არს, მაშინ გამოაჴუა თავი შენი პატივისა მისგან და საუკუნოჲსა დიდებისა და განუღო მას ცეცხლი იგი უშრეტი და გეჰენიაჲ და სხუანი იგი სატანჯველნი და მწარენი სალმობათა მათ შინა საუკუნენი დაუსრულებელისა მის წილ და სანატრელისა ცხორებისა.

ხოლო ნუ ჰგონებ, თუ ვითარცა-იგი დედანი და მზარდულნი, ესრეთ მე ტყუილით გაშინებ, ვითარცა იგინი იქმან ჩჩჳლთა მიმართ, რაჲამს მტირალნი
C 195 იხილნენ, ტყუილისა სიტყჳთა დააწყნარებენ. ხოლო ესე სიტყუანი / არა ზღა-
B 254 პარ არიან, არამედ ჭეშმარიტ, პირველვე უტყუელისა მის მიერ ქადაგებულ. / და მიიწიე სიტყუასა მას ზედა სახარებისასა კეთილად, რომელი იტყჳს, ვითარმედ: ამათ სიტყუათაგან იოტა ერთი ანუ ბეწჳ ერთი არა წარჴდეს[1*]. არამედ გუამიცა იგი, საფლავსა შინა განლეული, აღდგეს და სული იგი, სიკუდილისა მიერ განყოფილი, კუალად დაემკჳდროს გუამსა მას შინა და საქმეთა მხილებაჲ ჭეშმარიტი წარმოდგეს, რაჲამს არა სხუანი წამებდენ, არამედ თავადი იგი შინაგანი გონებაჲ. და თითოეულსა ღირსებისაებრ მართლისა მის მიერ მსაჯულისა მიეცეს, რამეთუ მისა შუენის დიდებაჲ და სიმტკიცჱ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

XII. თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი დაწყებისათჳს სოლომონის იგავთაჲსა

AA 166 1. / კეთილ არს ნაყოფი იგი მორჩილებისაჲ. მორჩილ ვექმნეთ უკუე მამასა მას ტკბილსა, რომელმან წინა-გჳყო ჩუენ საქმჱ სიტყუათაგან სულისათა, რომელსა-იგი ვითარცა მონადირესა გამოცდილსა ადგილთა ძნელთა, ვითარცა სეფურისა გამოცდილებასა სირბილისასა იქმს, რაჲთა ცნას სირბილისა მის
C v სიმალჱ. / ხოლო წინა-გჳყო ჩუენ თარგმანებად დაწყებაჲ იგი „იგავთაჲ“ / და.
B v თუ ვითარ ძნიად საპოვნელ არს ამის სიტყჳსა ძალი, ყოველმანვე უწყის, რომელმანცა მცირედ გამოიძიოს. გარნა არა უდებ ვიქმნეთ ჴელყოფად საქმესა ამას სასოებითა უფლისაჲთა, რომელმანცა ლოცვითა მით მწყემსისა მის მოგუცეს სიტყუაჲ აღებასა პირისა ჩუენისასა[2*].

სამნი გჳხილვან ჩუენ წიგნნი იგი ყოვლად ბრძნისა სოლომონისნი: ერ-

---

PG, 31, ვე. 385—424.

[3] გულისხმა- C. [5] წარვიდენ] წარჴდენ BC. [9] იგი 2°—C. [10] მის—C. [11] და—C. [12] ტყუელით C. C. [13] ტყჳლისა A, ტყუელისა C. დააწყნარებდიან C. ზღაპარნი B. [14] უტყუელისა C. მის—C. [15] რომელი] რამეთუ C. [16] იოტაჲ BC. [21] მისსა B. ჰშუენის C. ყოველივე დიდებაჲ C. სიმტკიცე B] + თანა მამით და სულით წმიდითურთ C. [22] ა˜ნ ABC. [23] წმიდისა + და ნეტარისა C. ბასილი] დიდისა ბასილის კესარია-კაბადოკიელ მთავარეპისკოპოსისაჲ C. დაწყებისათჳს] უწყებისათჳს C. [24] იგავთაჲ A, იგავთა თავი ი˜ბ C. [25] ვექმნნეთ C. [26] მას—C. საქმე B. [29] სიმალე B. [31] ვიქმნნეთ C. [32] მით—C.

[1*] მათე 5,18, [2*] ეფეს. 6,19.

თავ ესე — „იგავთაჲ“ და მეორჱ — „ეკლესიასტისაჲ“ და მესამჱ — „ქებაჲ ქებათაჲ“. და თითოეულსა თჳსი სახჱ აქუს და პირი საქმისაჲ. რამეთუ იგავთა წიგნი სწავლაჲ არს წესიერებისაჲ და ვნებათა ბრძოლისაჲ და მოძღურებაჲ ცხორებისაჲ, რომელი იტყჳს საქმეთა მათ, რომელთაჲ ჯერ-არს ქმნაჲ და რომელთაგან — სივლტოლაჲ; ხოლო „ეკლესიასტჱ“ ბუნებით-მეტყუელებასა იქმს და გამოგჳცხადებს ჩუენ ამის სოფლისა საქმეთა ამაოებასა, რაჲთა არა კეთილად რაჲმე შეგუერაცხოს წარმავალი ესე და არცა დავსდებდეთ ზრუნვასა სულისასა ამაოთა ამათ ზედა; ხოლო „ქებაჲ ქებათაჲ“ სახესა აჩუენებს სრულებისა სულთაჲსა, რამეთუ არს მუნ შინა სიტყუაჲ და პირი / შეერთებისა სძლისა და სიძისაჲ. / ესე იგი არს შეერთებაჲ სულისაჲ სიტყჳსა მის მიმართ ღმრთისა, უფლისა ყოველთაჲსა. არამედ ჩუენ წინამდებარისა ამის / მიმართ მივიდეთ.

2. „იგავნი სოლომონისნი, ძისა დავითისნი, რომელი იქმნა მეფე ისრაელსა ზედა“[1*].

„იგავი“ არს სიტყუაჲ სარგებელისაჲ, რომლისა ძალი დაფარულ არნ, რომელი-იგი საკმარ იყოს და კეთილ ესრეთ ცხადად გულისჴმისსაყოფელად, ხოლო ფრიადი იგი ძალი მისი იყოს სიღრმესა შინა მისსა. ამისთჳსცა იტყოდა უფალი, ვითარმედ: „ესე ყოველი იგავით ვთქუ. მოვალს ჟამი, რაჟამს არღარა იგავით, არამედ განცხადებულად გეტყოდით თქუენ“[2*], და ესე თქუა, რამეთუ იგავისა სიტყუასა შინა განცხადებულებაჲ არღარა არს, არამედ დაფარულად ძალსა თჳსსა გამოუცხადებს გამომეძიებელთა მათ. ხოლო იტყჳს, ვითარმედ „იგავნი სოლომონისნი“, ესე იგი არს, ვითარმედ სიტყუანი სწავლისანი, კეთილნი და საკმარნი ყოველსა შინა ცხორებასა კაცისასა, და შესძინა სახელიცა თჳსი, რაჲთა ესმეს პირველვე მკითხველსა სახელი მისი და ცნას, თუ ვისი თქუმული არს. და ესრეთ სარწმუნოდ და კეთილად ისმინ/ნეს სიტყუანი იგი, რამეთუ სარწმუნოებაჲ იგი მასწავლელისაჲ უფ/როჲს შესაწყნარებელ ჰყოფს სიტყუასა და კეთილად მსმენელ მსმენელთა.

„იგავნი უკუე სოლომონისნი“, მის სოლომონისნი, რომლისა მიმართ თქუა უფალმან, ვითარმედ: „აჰა ესერა მიგეც შენ გული ბრძენი და გონიერი; ვითარ შენ, არა ყოფილ არს სხუაჲ პირველ შენსა და შემდგომად შენსა არა აღდგეს სხუაჲ მსგავსი შენი“[3*] და კუალად წერილ არს, ვითარმედ: „მისცა უფალმან სიბრძნე და გონიერებაჲ სოლომონს დიდი ფრიად და სივრცჱ გულისაჲ, ვითარცა ქჳშაჲ ზღჳს კიდისაჲ. და განმრავლდა სიბრძნე სოლომონისი უფროჲს სიბრძნისა ყოველთა მათ პირველთა მათ კაცთაჲსა და უფ/როჲს ყოველთა მათ ბრძენთა ეგჳპტისათა“[4*]. ესრეთ კეთილ არს სახელისა მისისა თქუმაჲ დასაბამსავე სიტყჳსასა, რაჲთა გულისჴმა-ჰყო, თუ ვინ არს მეტყუელი იგი.

---

1 მეორედ B. ეკლესიასტესაჲ B. მესამე B. 2 ქება ქებათა B. სახე B. 3 წესიერებისა B. ვნებათაჲ B. ბრძოლისა B. მოძღურება ცხორებისა B. 4 რომელთა AB. 5 ეკლესიასტე B. ბუნებათა- B, ბუნებისა- C. 6 ამის—C. 7 წარმავალნი B. 8 სულთასა B. 9 შინა]შენი B. შეერთებისაჲ B. 10 სიძისა BC. სულისა C. 13 მეფჱ C. 16 გულისხმის- C. 19 ესე] ესრე B. 21 მათ] მისთა C. 23—24 შესძინაცა სახელი C. 27 მსმენელთაჲ C. 31 შენი]შენსა C. 32 სიბრძნჱ C. სივრცჱ B. 33 მქჳშაჲ C. სიბრძნჱ C. 34 უფროჲ B. მათ—B. მათ 2°—C. 35 ბრძენთაჲსა B. 36 გულისხმა- C.

1* იგავ. 1,1. 2* იოანე 16,25. 3* III მეფ. 3,12. 4* III მეფ. 4,19—30.

„იგავნი სოლომონისნი, ძისა დავითისნი“. წერილ არს სახელიცა მამისაჲ,
რაჲთა სცნა, ვითარმედ ბრძენ იყო სოლომონ, შობილი ბრძნისა და წინაჲს-
წარმეტყუელისა მამისაჲ, რომელსა ესწავა მის მიერ სიჩჩოჲთგან წმიდანი წე-
B 256 რილნი. და არა ტაცებით მიიღო მეფობაჲ, არცა უცხოჲ მისგან მეფობისა /
C 197 პატივი მიიღო მძლავრებით, არამედ სამართლად განწჯი/თა მამისაჲთა და
ბრძანებითა ღმრთისაჲთა მიითუალა მამული იგი პატივი. ესე იქმნა მეფე ის-
რაელსა ზედა. არცა ესე სიტყუაჲ ცუდი არს, არამედ რაჲთა ჩნდეს განყოფი-
ლებაჲ მისი სხუათაგან, უკუეთუ ვინ იყოს სახელითა მისითა წოდებულ და
კუალად აღშენებისათჳს დიდებულისა მის ტაძრისა, რაჲთა იცნა მოქმედი იგი
მისი და მიზეზი იგი ყოვლისა წესიერებისა ქალაქისაჲ მის. და დიდად შემწე
არს შესაწყნარებელად სიტყუათა მისთა ესეცა, რომელ მეფისა მიერ თქუმულ
არიან, რამეთუ უკუეთუ მეფობაჲ არს რჩულიერი ჴელმწიფებაჲ, საცნაურ
არს, ვითარმედ მეფისა მიერ, რომელი ჭეშმარიტად ამას სახელსა ღირს იყოს,
მის მიერ თქუმულნი სწავლანი კეთილ არიან და რჩულიერ და ყოველთათჳსვე
უმჯობესსა მეტყუელ და არა თჳსისა სარგებელისათჳს აღწერილ, არამედ სხუა-
თა ყოველთა კეთილისათჳს. რამეთუ ამითა განყოფილ არს მძლავრი მეფისაგან:
რამეთუ მძლავრი იგი არს, რომელი ყოვლით კერძო თჳსსა ოდენ ეძიებდეს და
სხუათათჳს არა აქუნდეს ზრუნვაჲ, ევნოს თუ, გინა არა; ხოლო მეფჱ არს, რო-
A v მელი მის ქუეშე / მყოფთა მათ უმჯ/ობესისა მეძიებელ იყოს.
C v / იტყჳს უკუე აწ ესე პირველად კეთილთა მათ, რომელნი ამას წიგნსა შინა
B v არიან, თუ რავდენი კეთილი მიეცემის მსმენელთა მისთა.

8. და პირველად იცნობების იგავთა ამათ მიერ ს ი ბ რ ძ ნ ე და ს წ ა ვ-
ლ უ ლ ე ბ ა ჲ[1].*

ხოლო სიბრძნჱ არს მეცნიერებაჲ საღმრთოთა და კაცობრივთა საქმეთაჲ
და მიზეზთა მათთაჲ.

რამეთუ რომელი კეთილად ღმრთისმეტყუელებდეს, მას უცნობიეს სიბრ-
ძნე, ვითარცა ნეტარი პავლე იტყჳს, ვითარმედ: „სიბრძნესა ვიტყჳთ სრულთა
შორის, ხოლო სიბრძნესა არა ამის სოფლისასა, არცა მთავართაჲ მათ სოფლი-
სა ამის განქარვებადთაჲ, არამედ ვიტყჳთ სიბრძნესა ღმრთისასა საიდუმლოსა,
დაფარულსა, რამეთუ პირველვე განაგო ღმერთმან წინა საუკუნეთა“[2*] და
კუალად, რომელი დაბადებულებისაგან სოფლისა გულისჴმა-ჰყოფდეს დამბა-
დებელსა, მასცა უცნობიეს სიბრძნისა მიერ სოფლისა ღმერთი, „რამეთუ უხი-
ლავნი იგი სოფლის დაბადებითგან დაბადებულთა მიერ ცნობილნი იხილვე-
ბიან“[3*]. ხოლო კუალად, მიგჳყვანებს ჩუენ გულისჴმისყოფად ღმრთისა სიტ-
B 257 ყუათა თჳსთა მიერ, რომელთა / იტყჳს, ვითარმედ: „ღმერთმან სიბრძნით დაამ-
C 198 ყარა ქუეყანაჲ“[4*] და კუალად, ვითარმედ: „რაჟამს- / იგი შეჰმზადებდა ცასა,

---

[2] ბრძენი C. [3] მამისა B. [4] მიეღო C. [5] მძლავრობით B. განსჯითა B. [6] მეფჱ C. [7] ცუდ BC. [9] ტაძრისაჲ C. [10] ყოელისაჲე წესიერებისაჲ C. ქალაქისა B. შემწჱ C. [13] შჯუ-ლიერ C. [14] შჯულიერ C. და 2°—C. ყოველთავე B. [15] უმჯობესისა BC. [16] ყოველთა—C. კეთილთათჳს C. ამით C. [18] მეფე B. რომელი-იგი C. [19] მისსა ქუეშჱ C. უმჯობესსა BC. [21] რაოდენი C. [22] სიბრძნჱ C. [24] სიბრძნე B. [26] სიბრძნჱ C. [27] პავლჱ C. ვიტყჳ C. [28] ამათ AB. სოფლისაჲ C. [29] ამის—B. ვიტყჳ C. საიდუმლოდ BC. [31] გულისხმა- C. [34] მოგჳყვა-ნებს C. გულსხმის- C. ღმერთი C.

[1*] იგავ. 1,2. [2*] I კორინ. 2,6—7. [3*] რომ. 1,20. [4*] იგავ. 3,19.

მის თანა ვიყოფოდე"[1*] და, ვითარმედ: „ვიყავ მის თანა მომზავებელ და მე ვიყავ, რომელსა მახარებდა"[2*].

რამეთუ ესე ყოველი ვითარცა პირისაგან სიბრძნისა თქუა, რაჲთა კეთილად გამოაცხადოს გულისჴმისყოფაჲ მისი და ყოვლითურთ რომელ იტყჳს, ვითარმედ: „უფალმან დამბადა დასაბამად გზათა მისთა"[3*], / სიბრძნისა მისთჳს A 168 იტყჳს, რომელი ჩანს სოფელსა შინა, ვითარმცა ღაღადებდა ხილულთა ამათ მიერ, ვითარმედ ღმრთისა მიერ დაიბადა და არა თავით თჳსით არს ესეზომი იგი სიბრძნჱ ქმნულთა მათ შინა. რამეთუ ვითარცა „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა და ქმნულსა ჴელთა მისთასა — სამყაროჲ"[4*] (და იტყჳან თჳნიერ ჴმისა), რამეთუ „არა არიან თქუმულ არცა სიტყუა, რომელთა არა ესმის ჴმაჲ მათი"[5*], ეგრეთვე არიან სიტყუანი სიბრძნისა მის პირმშოჲსანი. რომელი-იგი უწინარეს სხუათაჲსა დაითესა დაბადებასა მას სოფელსა შინა, იგი დუმილით ქადაგებს თჳსსა მას შემოქმედსა და უფალსა, რაჲთა მის მიერ აღჴდეს გულისჴმისყოფად მხოლოჲსა მის ბრძნისა.

4. ხოლო არს კაცობრივიცა სიბრძნჱ — გამოცდილებაჲ ამის სოფლისა საქმე/თაჲ, რომლისათჳს ბრძნად სახელ-ვ/სდებთ მეცნიერთა მათ ჴელოვნება- B v თა სოფლისათა, ამისთჳსცა დიდად თქუმულ არს სიბრძნისა მიმართ წუევნაჲ C v წიგნსა ამას შინა, რამეთუ: „სიბრძნჱ განსლვათა შინა იქების და უბანთა შინა კადნიერებასა მიღებს და თავთა ზედა ზღუდისათა იქადაგების"[6*].

რამეთუ ხედვიდა იგი ბუნებასა კაცთასა, ვითარმედ ყოველთავე იგი გჳყუარს და დიდებულ არს სიბრძნე კაცთა შორის, ამისთჳსცა ქებითა მით სიბრძნისაჲთა კუალადცა ასწავლის სულთა, რაჲთა არა უდბად და გარეწარად ისწრაფდენ მოგებასა მისსა. და იტყჳს, ვითარმედ ყოველსა ადგილსა დიდ არს იგი — გზათა ზედა და უბანთა და სიმტკიცეთა მათ შინა ქალაქისათა. / ამის- A v თჳს ბჭეთა სახელ-სდებს და უბანთა და ზღუდეთა. და განსლვათა მათ მიერ და უბანთა დიდებულებასა მისსა მოასწავებს, ხოლო ზღუდეთა მიერ — სარგებელსა მას მისსა და ყოვლისავე სიმტკიცისა მიმართ შემწეობასა. და ჰნებავს, რაჲთამცა შევიტკბეთ იგი, ამისთჳსცა იტყჳს, ვითარმედ: „არქუ სიბრძნესა დად შენდა ყოფად"[7*] და კუალად იტყჳს, ვითარმედ: / „ტრფიალ ექმენ მას და და- B 258 გიცვას შენ"[8*]. და მერმე ყოველთა ზედა სარგებელო/ბასა მისსა გამოაჩინებს C 199 და ვითარმედ კეთილსა მისსა ყოველთავე სწორებით მიანიჭებს, ამისთჳს თქუა, ვითარმედ: „დაკლნა ზუარაკნი თჳსნი"[9*], ესე იგი არს, ვითარმედ კეთილი საზრდელი განუმზადა და მტკიცჱ მათ, რომელთა ძალი სულისაჲ და საცნობელნი მისნი გამოცდილ იყვნენ და, ვითარმედ: „წდია ბარძიმსა შინა ღჳნოჲ თჳსი[10*], რომელი-იგი ახარებს გულსა კაცისასა[11*], ხოლო ბარძიმად იტყჳს ზოგადსა მას და ზიარსა კეთილთა მიღებასა, რომლისაგან შესაძლებელ

---

1 ვიყოფეოდე B, ვიყოფეოდჱ C. 4 გულისხმისყოფაჲ C. რომელი C. 7 ღმრთისაცა B. 8 სიბრძნე B. მათ B. 10 თჳნიორ B. სიტყუაჲ C. 11 ესმა C. 12 სხუათასა C. დაითესა—C. მას—C. სოფლისასა C. 13 და რაჲთა C. 14 აღხჳდჱ C. გულისხმის-C. 15 სიბრძნე B. 18 სიბრძნე B. გამოსავალთა C. 19 ზღუდეთასა C. 20 რამეთუ] ხოლო C. ჰხედვიდა C. ბუნებასა] გუნებასა B. 21 სიბრძნჱ C. 24 ამისთჳსცა C. 26 და — C. უბან B. მიერ] მათ C. 27 ყოველსავე C. 28 დად] დედად C. 30 მერმჱ C. სარგებლობასა BC. 33 მტკიცე B. 35 კაცთასა A. 36 ~ ზიარსა მას და ზოგადსა C.

1* იგავ. 8,27. 2* იგავ. 8,30. 3* იგავ. 8,22. 4* ფსალმ. 18,2. 5* ფსალმ. 18,4. 6* იგავ. 1,20—21. 7* იგავ. 7;4. 8* იგავ. 4,6. 9* იგავ. 9,2. 10* იგავ. 9,2. 11* ფსალმ. 103, 15.

არს ყოველთადა სწორებით მიღებად ძალისაებრ თითოეულისა და, ვითარმედ:
„განმზადაო თჳსი იგი ტაბლაჲ“[1*] — ყოველთავე იგავით იტყჳს და ჴორციელ-
თა მიერ სულიერსა მიჩუენებს ჩუენ, რამეთუ სიტყჳერსა მას საზრდელსა სუ-
ლისასა ტაბლად სახელ-სდებს, რომლისა მიმართ მიუწოდს ქადაგებითა მაღ-
ლითა, ესე იგი არს, სრულითა სწავლითა საქმეთა კეთილთაჲთა, რომელსა შინა
არარაჲ იყოს მდაბალი და უნდოჲ. „რომელნი ხართ უგუნურ, მოიქეცით ჩემ-
B v და“[2*] — რამეთუ ვითარცა უძლურთა უჴმს მკურნალი, ეგ/რეთვე უგუნუ/რ-
C v თა — სიბრძნჱ და კუალად, ვითარმედ: „უმჯობეს არს მოსყიდაჲ მისი, ვიდ-
რელა ოქროჲსა და ვეცხლისა საუნჯეთა“[3*] და: „უპატიოსნეს არს ქვათა პა-
A 169 ტიოსანთა“[4*] და: „ყოველივე პატიოსანი არა არს ღირს მისა“ და, /
ვითარმედ: „ძეო, უკუეთუ ბრძენ იქმნე, თავისა შენისა იყო ბრძენ და მახლო-
ბელთაცა შენთა“[5*] და, ვითარმედ: „შვილისა ბრძნისა საქმენი განმარჯუე-
ბულ იყვნენ“[6*]. და ესრეთ შესაძლებელ არს შენდა, რაჲთა მოცალებით
გამოიძიო სიბრძნისათჳს მას შინა თქუმული სოლომონის მიერ და გულისჴმა-
ჰყო სიტყჳსა მის ჭეშმარიტებაჲ.

„ვინაჲთგან უკუე ბოროტისმოქმედსა სულსა არა შევიდეს სიბრძნჱ“[7*],
ამისთჳს პირველ განსწმედს შიშისა მიერ ღმრთისა სულთა მათთა, რომელთა
ეგულების სიბრძნესა შესლვაჲ. რამეთუ საიდუმლოთა მათ ცხორებისათა ეს-
რეთ განუწმედელთა და განუმზადებელთა თანა დათესვაჲ და ყოველთაჲვე
სწორად შეწყნარებაჲ, რომელნი-იგი არცა საქმით, არცა სიტყჳთ განწმედილ
იყვნენ, მსგავს არს იგი კაცსა, რომელი ჭურჭელთა შინა არაწმიდათა შთაას-
B 259 ხამნ / ნელსაცხებელსა მას მრავალსასყიდლისასა.

C 200 ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: / „დასაბამი სიბრძნისაჲ არს შიში უფლი-
საჲ“[8*], ხოლო შიში უფლისაჲ განმწმედელი არს სულთაჲ ლოცვისა მისებრ
წინაჲსწარმეტყუელისა, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „შემშჭუალენ შიშსა შენ-
სა ჴორცნი ჩემნი“[9*], რამეთუ სადა შიში იგი მკჳდრ იყოს, მუნ არს ყოველივე
სიწმიდე სულისაჲ, ვინაჲთგან ლტოლვილ იყოს ყოველივე არაწმიდაჲ
და ბოროტი საქმე და ასონი იგი ჴორცთანი შემშჭუალვითა შიშსა
მას ღმრთისასა აღძრვად საქმეთა მიმართ ბოროტთა შეუძლებელ იყოს. რამე-
თუ ვითარცა რომელი დამშჭუალულ იყოს ჴორციელითა სამშჭუალითა, უქმ
არს ყოვლისავე საქმისა მიმართ, შეპყრობილი სალმობათა მიერ, ეგრეთვე რო-
მელი შიშსა უფლისასა შემშჭუალულ იყოს, იგი ვერ შემძლებელ არს ვერცა
A v თუალი/თა ხედვად უჯეროჲსა მიმართ საქმისა, ვერცა ჴელთა წარმართებად
ბოროტისა მიმართ, ვერცა სხჳსა რაჲსამე ყოფად არაკეთილისა, რომელი იქ-
მნების კაცისა მიერ, რაჲამს შეპყრობილ იყოს მოლოდებითა მით თქუმულთა
მათ სატანჯველთაჲთა, ვითარცა სალმობათა მიერ და ტკივილთა მწარეთა.

---

[1] მიღებაჲ C. [2] განმზადა A, განჰმზადაო C. ყოველსავე BC. [3] გჳჩუენებს BC. ჩუენ—C. [4] მოუწოდს C. მაღლითა] მრავლითა AB. [6]~სწავლითა სრულითა C. [9] უგუნურო A. [8] სიბრძ-ნეჲ A, სიბრძნე B. [9] ვეცხლისაჲ C. უპატივოსნეს C. [10] მისსა BC. [11] იქმენ C. [13] შემძლე-ბელ C. რაჲთა] რამეთუ C. [14] გულისხმა- C. [16] სიბრძნე B. [17] განჰსწმედს C. [18] რამეთუ—C. საჲდუმლოთა B. [19] ყოველთავე BC. [20] საქმითა AB. [21] განმწმედელ C. [25] შემსჭუალენ B. [27] სიწმიდჱ C. [28] საქმჱ C. შემსჭუალვითა B. [30] დამსჭუალოლ B. სამსჭუალითა B. [31] ევრე-თვე+სული C. [33] შემსჭუალოლ B. იგი]ეგე B.

[1*] იგავ. 9,2. [2*] იგავ. 9,4. [3*] იგავ. 3,14. [4*] იგავ. 3,15. [5*] იგავ. 9,12. [6*] იგავ. 13,14. [7*] სიბრძნე 1,4. [8*] იგავ. 1,7. [9*] ფსალმ. 118, 120.

ნ. / ხოლო შეგინებულთა მათ და უკეთურთა გარე განსდევნის სასწავლე- B v ლისა მისგან კეთილისა და იტყჳს, / ვითარმედ: „უშიში ბჭეთა ზედა იქცეო- C v დინ“ და, ვითარმედ: „ეძიებდეთ უკეთურთა თანა სიბრძნესა და არა ჰპოოთ“[1*] და კუალად, ვითარმედ: „მეძიებდენ მე უკეთურნი და არა მპოონ“[2*], რამეთუ არა განწმედილ იყვნეს შიშისა მიერ ღმრთისა. აწ უკუე რომელსაცა ეგულებოდის მისლვად სწავლასა მას სიბრძნისასა, საღმრთოჲთა მით შიშითა განწმიდენ ბილწებაჲ იგი ცოდვისაჲ და ესრეთ მოუჴდინ. და ესრეთ გამოგჳჩნდა ჩუენ სხუაჲ ესე კეთილი—სწავლითა მით იგავთაჲთა შიშისა ღმრთისა მოპოვნებაჲ, რომელი შემოვიდა სიბრძნისა მიერ.

კუალად, მეორე აღთქუმათა მისთაჲ იყო გულისჴმისყოფაჲ სწავლულებისაჲ[3*]. ხოლო სწავლულებაჲ არს წურთილებაჲ სარგებელისა სულისაჲ, რომელი განწმედდეს მას შრომითა და ჭირითა ბიწთა, მათგან ცოდვისათა, „რომელი-იგი მას ჟამსა არა ჩანს სიხარულისა მიზეზად, ხოლო უკუანაჲსკნელ ნაყოფსა მშჳდობისასა მისცემს მის მიერ გამოცდილთა მათ ცხორებად მათდა“[4*]. და ამის ესევითარისა სწავლულებისაჲ გულის/ჴმისყოფაჲ არა ესრეთ ლიტონისა გონებისა საქმჱ არს, B 26 რამეთუ მრავალნი შრომა/სა მას შინა და ჭირსა მცირედისა ჟამისასა სულმოკ- C 20 ლე იქმნებიან / და სარგებელსა მას აღსასრულისასა არა მოელიან უგუნურე- A 17 ბისაგან, არამედ ივლტიან ჭირისაგან სწავლულებისა და ესრეთ სენსა მას შინა უსწავლელობისასა დაშთებიან. ამისთჳს განსაკჳრვებელ არიან სიტყუანი იგი წმიდათანი, ვითარ იტყჳან, ვითარმედ: „უფალო, ნუ გულისწყრომითა შენითა მამხილებ მე და ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი მე“[5*], რამეთუ არა თუ სწავლისაგან ივლტიან, არამედ რისხვისაგან. და ამისივე შემსგავსებული არს სიტყუაჲ იგი, რომელ იტყჳს, ვითარმედ: „განგუსწავლენ ჩუენ, უფალო, გარნა სამართალითა და ნუ რისხვითა და გულისწყრომითა“[6*] და კუალად, ვითარმედ: „სწავლაჲ უფლისაჲ განაღებს ყურთა ჩემთა“[7*]. რამეთუ ვითარცა ყრმანი იგი ჩჩჳლნი, რაჟამს სულმოკლე იქმნიან სწავლისა მიმართ, შემდგომად გუემისა მის, რომელი მოაწიიან მათ ზედა მოძღუართა ანუ მზარდულთა მათთა, განცრძალულ იქმნებიან და იწყებენ მოსწრაფებით სწავლად და სიტყუაჲ იგი, რომელი უწინარეს გუემისა მის შეურაცხ არნ, შემდგომად გუემისა, ვითარმცა მაშინღა განღებულ / იყვნეს ყურნი მათნი, ესრეთ იქმნის შეწყნარებულ და B v დაცვულ ჴსენებითა, ეგრეთვე ურჩთა ზედა საღმრთოჲსა სწავლისათა იქმნე- C v ბის, რომელნი-იგი შეურაცხ-ჰყოფენ მცნებათა მისთა, რამეთუ რაჟამს მოიწიოს მათ ზედა მხილებაჲ ღმრთისა მიერ, მაშინცა ძალით შეწყნარებულ იქმნიან მცნებანი იგი ღმრთისანი, რომელნი მარადის ითქუმიან და იქადაგებიან, ვითარმცა მაშინ ოდენ განღებულ იყვნეს ყურნი მათნი. ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: „სწავლაჲ უფლისაჲ აღაღებს სასმენელთა ჩემთა“[8*].

---

1 გარჱ C. სასწაველელისა]სწავლისა C. 2 იქცევოდინ C. 3 ჰპოვოთ C. 4 მპოეონ C. 6 შიშითა—C. 8 შიშსა ღმრთისასა C. 10 მეორჱ C. გულისხმისყოფაა C. 12 განსწმედდეს B, განჰსწმედს C. შურომითა C. 15 ცხოვრებად C. 16 გულისხმისყოფაჲ C. საქმე B. 17 შურომასა C. 18 მას—A. 21 ვითარ]ეთარმედ B. ეთარმედ—B. 22 და—B. 24 რომელი BC. სამართლითა C. 25 რისხვითა და—AC. 27 იქმნნიან C. 28 მოაწიან B. 30 და შემდგომად C. 33 შეურაცხჰყოფდენ BC. 34 იქმნნიან C. 36 მაშინღა C.

* იგავ. 14,6. 2* იგავ. 1,28. 3* იგავ. 1,2. 4* ებრ. 12,11. 5* ფსალმ. 6,1. 6* იერემ. 10,24. 7* ესაია 50,5. 8* ესაია 50,5.

[A v] ვინაჲთგან სწავლაჲ განჰმართებს უწესოსა მას, ვითარცა იქმოდა / პავლე, რაჟამს მისცემდა უწესოთა მათ ეშმაკსა, ვითარცა მტარვალსა ვისმე მტანჯველსა, რაჲთა ესრეთ ისწაონ არაგმობაჲ[1*], ხოლო განდგომილსა მას მოაქცევს, ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ: „შემდგომად ტყუეობისა მისისა შეინანა"[2*]. და კეთილ არს ცნობად სახელსა მას სწავლულებისასა, თუ რავდენთა საქმეთა მიმართ კეთილ არს, რომლისა-იგი სარგებელი იცოდა სოლომონ [B 261] და იტყჳს, / ვითარმედ: „ნუ დასცხრები სწავლად ჩჩჳლისა, რამეთუ უკუეთუ [C 202] მოსწყლა იგი კუერთხითა, არა მო/კუდეს; რამეთუ შენ სწყლა იგი კუერთხითა, ხოლო სული მისი იჴსნა სიკუდილისაგან"[3*], „რამეთუ ვინ არს ძჱ, რომელი არა სწავლის მამამან"?[4*].

ესე სწავლულებაჲ მრავალთა საფასეთა უპატიოსნეს არს, რომელნი კეთილად გულისჴმა-ჰყოფდენ. ამისთჳს იტყჳს სოლომონ, ვითარმედ: „მიიღე სწავლაჲ და ნუ მიიღებ ვეცხლსა"[5*]; რაჲთა ჟამსა ჭირისასა, რაჟამს ანუ ჴორცნი უძლურ იყვნენ, ანუ სხუაჲ რაჲმე მოიწიოს, ნუუკუე მიიღო გულისსიტყუაჲ ბოროტი ღმრთისათჳს, არამედ მოთმინებითა დიდითა შეიწყნარენ წყლულებანი იგი, ცოდვათა შენთათჳს მოწევნულნი, და სთქუა შენცა გულისჴმისყოფითა მით სწავლისაჲთა, ვითარმედ: „რისხვაჲ უფლისაჲ თავს-ვიდვა, რამეთუ შევსცოდე მას"[6*] და: „კეთილ არს ჩემდა, რამეთუ დამამდაბლე მე"[7*], ვითარცა იყო ნეტარი პავლე, რომელი იტყოდა: „განსწავლულნი და არა მომკუდარნი[8*] და, ვითარმედ: „გუემხილებოდის რაჲ უფლისა მიერ, განვისწავლებით"[9*].

Ϭ. ვინაჲთგან უკუე სწავლისაცა მიღებასა სწავლულება ეწოდების, ვითარცა თქუმულ არს მოსესთჳს, ვითარმედ: „განისწავლა ყოვლითა მით სიბრძნითა [G v] მეგჳპტელთაჲთა/"[10]. რამეთუ არა ცუდ/თა სწავლათა შინა შესლვაჲ, არა- [B v] მედ გულისჴმისყოფაჲ კეთილთა მათ სწავლათაჲ არა მცირე არს ცხორებისა [A 171] გზად. რამეთუ აჰა ესერა ვიეთნიმე შეექცეს ქუეყანისა ზომისა ჴელოვნებასა, რომელი-იგი მოიპოეს მეგჳპტელთა, ანუ მასკულავთმრიცხუველობასა, რომელსა პატივ-სცემენ ქალდეველნი, და ესრეთ ამაოთა მათ მიერ სწავლისაგან საღმრთოთა სიტყუათაჲსა განეშორნეს. და მეტყუელებამანცა და გამომთქუმელობამან და ფილაფოზობამან მრავალნი უცალო ყვნეს, რომელთა ნივთი არს ტყუილი, რამეთუ გამომთქუმელობაჲ იგი არა იქმნების თჳნიერ ზღაპართა, არცა ფილაფოზობაჲ — თჳნიერ ტყუილით მიმოქცევისა სიტყუათაჲსა. ვინაჲთგან უკუე მრავალთა ამათ ზედა მოსწრაფებისაგან გულისჴმისყოფისა საღმრთოჲსა სწავლად უდებ იქმნეს, რამეთუ ამაოთა მათ ძიებასა შინა დაბერდეს, და მისთჳს კეთილ არს გულისჴმისყოფაჲ სწავლისაჲ გამორჩევად კეთილისა და სივლტოლად უსარგებლოთაგან და მავნებელთა.

---

1 პავლჱ C. 5 რავოდენთა C. 8 მოჰსწყლა C. 9 ძე B. 12 გულისხმა- C. მიიღჱ C. 13 მიიღებ]ეძიებ C. რაჲთა]რამეთუ B. 16 გულისხმისყოფითა C. 17 შევსცოდჱ C. 18 პავლჱ C. 21 მოღებასა C. სწავლულებაჲ C. 24 გულისხმისყოფაჲ C. მცირჱ C. 26 რომელ- C. მოიპოვეს C. ეარსკულავთ მრაცხველობასა C. მასკულავთ მრაიცხველობასა B, 27 მათ—C. 28 სიტყუათასა BC. 29 ფილოსოფოსობამან C. ტყუვილი C. 30 თჳნიორ B. 31 ფილოსოფოსობაჲ C. თჳნიორ B. ტყუვილით C. 32 გულისხმისყოფისა C. 33 იქმნნეს C. ძიებათა C]+მას B. 34 გულისხმისყოფაჲ C.

1* I ტიმ. 1,20. 2* იერემ. 31,19. 3* იგავ. 23,13—14. 4* ებრ. 12,7. 5* იგავ. 8,10. 6* მიქია 7,9. 7* ფსალმ. 118, 17. 8* II კორინ. 6,9. 9* I კორინ. 11,32. 10 საქმე 7,22.

/ და კუალად სიტყუათაცა სიბრძნისათა ცნობაჲ იქმნების იგავთა მიერ, C 203
რომელი კეთილად ის/მენდეს მათ, რამეთუ არს გულისჴმისყოფაჲ უმჯობესი- B 262
საჲ, ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ: „უკეთურებისა მიმართ ჩჩჳლ იყვენით,
ხოლო გონებითა სრულ“.

სიბრძნე უკუე არს ერთი სათნოებათა მათ პირველთაგანი, რომელნი-იგი
მშობელ არიან სხუათა სათნოებათა, ვითარ-იგი ვიქმნებით მეცნიერ კეთილი-
სა და ბოროტისა. ხოლო ვითარ, რომელ თქუმულ არს გუელისათჳს, ვითარმედ
უბრძნეს ყოველთა მჴეცთასა იყოო[1*] და კუალად უფალი იტყჳს, ვითარმედ:
„იყვენით მეცნიერ, ვითარცა გუელნი“[2*], /და კუალად მნჱ იგი უსამართლოჲ A v
ბრძნად წოდებულ არს[3*]?

არამედ საცნაურ არს, ვითარმედ სიბრძნჱ ორსახე არს: რამეთუ ერთი იგი
არს თჳსისა უმჯობესისა ძიებაჲ ვნებითა მით მოყუსისაჲთა, ვითარცა არს გუე-
ლისაჲ, რომელი სცავს თავსა თჳსსა და კუალად, მრავალღონეობაჲ იგი საქმე-
თაჲ, რომელი თჳსსა უმჯობესსა მოიპოებდეს, ვითარცა არს საქმჱ იგი მნი-
საჲ მის. ხოლო მეორჱ არს ჭეშმარიტი იგი სიბრძნე, რომელ არს ცნობაჲ სა-
ქმეთაჲ, რომელთაჲ ჯერ-არს ქმნაჲ და რომელთაჲ — არა. და რომელი ესევი-
თარსა მას სიბრძნესა შეუდგეს, არა/ოდეს განეშოროს საქმეთაგან სათნოები- C v
სათა, არცა სადა მი/ეახლოს ბოროტსა მას ცოდვისასა. და რომელიცა გულის- B v
ჴმა-ჰყოფდეს სიტყუათა მათ სიბრძნისათა, მან იცის, თუ რომელნი სიტყუანი
არიან მოპოვნებულ და მაცთურ, ანუ თუ რომელნი არიან ჭეშმარიტ და ვი-
თარცა ჴელოვანი ვაჭარი, განარჩევს იგი ბოროტსა კეთილისაგან: და ბოროტსა
მას განაგდებს და კეთილსა მოიგებს[4*]. ესე სიბრძნე მოჰფადლებს მომგებელსა
მისსა საფუძველისა თჳსისა კლდესა ზედა დადებად[5*], რომელ არს სარწმუნო-
ებაჲ ქრისტესი, რაჲთა შეურყეველ იყოს ჟამთა მათ წჳმისა და ქარისათა. რამე-
თუ შეურყეველობაჲ განსაცდელთა მიერ ესრეთ გამოისახვის ამით იგავითა
უფლისა მიერ და გუასწავლის არა უდებებასა კეთილთა საქმეთა შინა, არა-
მედ რაჲთა პირველვე განმზადებულ ვიყვნეთ მოსლვისა მის სიძისა მოლოდე-
ბითა, ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ: ბრძენნი იგი ქალწულნი შევიდეს სი-
ძისა მის თანა, ვინაჲთგან აქუნდა ზეთი ჭურჭელთა მათთა, / ხოლო ცოფნი იგი A 172
განუმზადებელობისათჳს მათისა გარეგან სასძლოჲსა მის განვარდეს და სიხა-
რულისა მისგან / უცხო იქმნეს[6*] C 204

7. შემდგომად ამისა ვიხილოთ, თუ რაჲ არს / შეწყნარებაჲ მოქცევათა სიტ- B 263
ყჳსათა[7*]. რამეთუ ჭეშმარიტი იგი სიტყუაჲ და გონებისაგან კეთილისა გა-
მომავალი მარტივ არს და ცხად და მარადის ერთსა ზედა ჰგიეს, ხოლო გულარ-
ძნილსა მას და ჴელოვნებით თქუმულსა მრავალი თხზნილებაჲ აქუს და მრავალ-
სახედ შეიცვალების და ჰქონან ურიცხუნი მოქცევნი, რამეთუ სათნოყოფად
მსმენელთა იცვალებს ფერსა თჳსსა. ხოლო დიდად სარგებელ არიან იგავნი

---

[2] გულისხმისყოფაჲ C. [5] სიბრძნჱ C. ხოლო]რამეთუ C. ეითარ]ვითარცა C. რომელ] რამეთუ B]—C. [8] მჴეცთა B. იყო C. კუალად—C. [9] მნეჱ A. მნე B. [11] სიბრძნე B. ორსახჱ AC. [12] უმჯობესისაჲ B. [14] მოიპოვებდეს C. საქმე B. [15] მეორე B. სიბრძნჱ C. [16] რომელთა C. [18] გულისხმა- C. [19] თუ—A. [21] ჴელოანი B. იგი—B. და]ხოლო C. [22] სიბრძნჱ C. მიჰმადლებს BC. [24] მათ—C. [27] მოსლვასა A. [28] იგი—B. [29] ცოფნნი B. [30] განუმზადებლობისათჳს BC. [31] იქმნნეს. C. [32] მისსა B, ამისსა C. სიტყუათა C. [34] მარტივი C. [36] მოქცევანი C.

[1*] დაბად. 3,1. [2*] მათე 10,16. [3*] ლუკა 16,8. [4*] თესალ. 5,21—22. [5*] მათე 7,25. [6*] მათე 25,10... [7*] იგავ. 1,3.

ჩუენდა, რაჲთა მათ მიერ შეუძლოთ წინა-აღდგომად მათდა, რომელნი-იგი
ჴელოვნებითა სოფლისაჲთა გუეტყოდინ. რამეთუ რომელი ამათ ისმენდეს და
სწავლითა ამათითა შეჭურვილ იყოს, შემძლებელ არს იგი მოქცევთა მათ
სიტყჳსათა უვნებელად თავს-დებად, რაჲთა არა მიდრკებოდის მათ მიერ ჭეშ-
მარიტებისაგან. რამეთუ რაჟამს საქმენი იგი სხჳთა სახითა იყვნენ და სიტყუა-
ნი იგი სხუასა იტყოდინ, იგი არს მოქცევი და უფროჲსად გარდაქცევაჲ ჭეშ-
მარიტებისაჲ. და კუალად, რომელი სხჳთა სახითა ჩნდეს და ჭეშმარიტებით
B v სხუაჲ სახჱ აქუნდეს, იგი მოქცევთა / სიტყჳსათა იჳმარებს ცთუნებად / მხედ-
C v ველთა მათ, ვითარცა უყოფენ ძაღლსა ყურყუმელნი და მელნი, რომელთა
სხუაჲ გზაჲ უჩუენიან და სხუად მიდრკიან. და კუალად, მოქცევი სიტყუათაჲ
არს წინა-აღდგომაჲ იგი მტყუვართა მათ ბრძენთაჲ, რომელნი იქმან ჭეშმარი-
A v ტებისა მიმართ, / რომელნი არა შეიწყნარებენ სიწრფელესა მას სულიერისა
სწავლისასა, რომელნი ლესულ არიან სიტყუაპოვნიერებითა წინა-აღდგომად
და მრავალგზის ძალსა მას ჭეშმარიტებისასა დაჰფარვენ მრავალმეტყუელები-
თა. ხოლო ესევითართა მათ მოქცევთა წინა-აღუდგების იგავთა მიერ განმტკი-
ცებული და, დაღაცათუ ორკერძო სწორად ჩნდენ სიტყუანი იგი, შემძლებელ
იქმნეს იგი ერთისა მის პოვნად.

ჱ. და კუალად, მიანიჭებენ იგავნი ესე სიმართლესაცა ჭეშმარიტისა გუ-
ლისჴმისყოფად. რამეთუ სიმართლჱ არს საქმე, ღირსებისაებრ განმგებელი
საქმეთაჲ და ესე საქმჱ ძნელ არს: ერთად, რამეთუ ძნიად საპოვნებელ არს ნაკ-
ლულევანებითა სიბრძნისაჲთა სწორად მიცემაჲ თითოეულისა ღირსებისაებრ
B 264 და კუალად, რამეთუ ვნებათა მიერ კაცთაგან / სიმართლჱ დაფარულ არს და
C 205 გლახაკთა უგულებელს-ჰყოფენ, ხოლო მდიდართა ბოროტისმყოფელთა არა
ამხილებენ. არამედ წიგნი იგი იგავთაჲ იტყჳს მიცემად ჭეშმარიტისა მის სიმარ-
თლისა ყოველთა მორჩილთა მისთა ცნობასა. და ვინაჲთგან მრავალნი არიან
მაჩუენებლობისმოყუარე და საქმით უსამართლოებასა იქმან, ხოლო სიტყჳთ
სამართალსა აქებენ, მათდაცა არა უმეცარ იყოს „იგავთა“ მიერ სწავლული იგი,
არამედ ცნას, თუ რომელი არს მზაკუვარი იგი, ანუ რომელი არს ჭეშმარიტი
სიმართლჱ. და რამეთუ მრავალთა თქუეს ბრძენთა მათგან სოფლისათა სიმართ-
A 173 ლისათჳს, ვითარმედ ვერვის ძალ-უც პოვნად ჭეშმარიტისა მის / სიმართლისა,
გჳჩუენებს ჩუენ ბრძენი ესე ჭეშმარიტისა მის სიმართლისა პოვნასა. ხოლო
არს სიმართლჱ ერთი იგი ჩუენ შორის მყოფი ესე—სწორებით მიცემაჲ. რა-
მეთუ დაღაცათუ ჭეშმარიტსა მისსა ვერ ვჰპოებთ, გარნა რაჟამს გონებითა
ღმრთისმოშიშითა ვიქმოდით, არა უჯმარ იქმნების საქმე ჩუენი. და კუალად.
C v სხუაჲ სიმართლჱ არს მართლისა მის მსა/ჯულისა მიერ ზეცით მომავალი,
B v აღმმართებელი იგი და მიმგებელი, / რომლისა საქმჱ არს დაფარულ და ძნიად
სახილველ სიმაღლისათჳს მისისა და ამისთჳს იტყოდა მეფსალმუნჱ, ვითარ-
ცა: „სიმართლენი შენნი, ვითარცა მთანი ღმრთისანი“[1*]. ხოლო წიგნი ესე

[1] წინაალმდგომად C. [3] მოქცეეათა B. [4] სიტყუათა C. ჭეშმარიტებაჲ C. [6] იტყოდიან BC. [8] სახე B. სიტყუათასა C. [9] ყურდგელნი C. [11] წინაალმდგომი C. მტყუართა B. [13] წინაალმდგომად C. [18] გულისხმის- C. [19] სიმართლე B. საქმჱ C. [20] საქმე B. საპოვნელ C. [22] სიმართლე B. [23] ბოროტისმყოფელთა] ბოროტისმოქმედთა C. [24] იგი] ესე BC. [26] მაჩუენებლობისა მოყუარჱ C. [29] სიმართლე B. მათთაგან C. [32] სიმართლე B. რამეთუ] არამედ B. [33] ჭეშმარიტებასა C. ვჰპოვეებთ C. [34] იქნების C. საქმჱ C. [35] სიმართლე B. [36] საქმე B. [37] მეფსალმონე B.

[1*] ფსალმ. 35,7.

გჳქადებს ჭეშმარიტისა მის სიმართლისა გამოჩინებასა, რომელთაცა გულისჴმა-ყონ კეთილად სწავლაჲ იგი „იგავთაჲ“ მათ.

9. რამეთუ ვინაჲთგან ცოდვანი რომელნიმე უნებლიაჲთ იქმნებიან და რომელნიმე უკეთურებითა მით ნებისა თჳსისაჲთა, ეგრეთვე არცა საშჯელნი მათნი ერთ არიან. რამეთუ ვთქუათ სიძვისათჳს ყოფადი იგი საშჯელი და მეძავთათჳს ორთა: არამედ ერთი იგი მისყიდული იყო მეძვისადა და იძულებით არს ცოდვასა შინა და საქმესა მას ჴორცთა მისთასა იძულებით ბოროტსა მას უფალსა მისცემს და კუალად სხუაჲ იგი გემოჲსა მისთჳს ბილწისა ნეფსით არს ცოდვასა მას შინა. ვითარ უკუე ერთი იყოს მათი იგი საშჯელი? კუალად ერთმან მან ცოდა აღზრდილმან სიჩჩოჲთგან ბოროტსა ჩუეულებასა შინა და მშობელთა მიერ / ბოროტთა შემოვიდა სოფელსა ამას და აღიზარდა [C 206] სიტყუათა თანა და საქმეთა / შე/გინებისათა და კუალად სხუასა მას აქუნდეს [A v] მრავალნი საქმენი, მიმზიდველნი სათნოებად: ზრდილობაჲ კეთილი, შუენიერებაჲ მოძღუართაჲ, სიტყუათა კეთილთა და საღმრთოთა სმენანი, ჭამადთა [B 265] წესიერებაჲ, სწავლანი მშობელთანი და სხუანი იგი საქმენი, რომლითა იქმნების სათნოებაჲ სულისაჲ; და მერმე იგიცა შთავარდა მასვე ცოდვასა. ვითარ არა ღირს იყოს ესე უმძიმესთა ტანჯვათა სამართლად? რამეთუ ერთი იგი იტანჯოს მიზეზთა მათთჳს ოდენ ცხორებისათა, რომელნი ბუნებასა შინა ჩუენსა დათესულ არიან, რამეთუ არა იჴმარნა იგინი კეთილად, ხოლო მეორჱ ესე ამისთჳსცა დაისაჯოს, რომელ ვთქუთ, და კუალად ამას ზედა ამისთჳს, რამეთუ შეწევნაჲ იგი, რომელი ცხორებისათჳს მიეცა მას, იგიცა ცუდ ყო და უკეთურებითა მისითა ცოდვისა მიმართ მივიდა. აწ უკუე ცნობაჲ ჭეშმარიტისა მის სიმართლისა ძნელ არს და უჴმს დიდი და მაღალი და სრული გონებაჲ. და კუალად აღთქუ/მაჲცა იპოების „იგავთა“ ამათ შინა მიწთომისაჲ ღმრთისმეტყუელებად, რამეთუ ჭეშმარიტი იგი სიმართლჱ / ქრისტე არს, „რომელი გუექმნა ჩუენ სიბრძნე ღმრთისა მიერ, სიმართლე, სიწმიდე და მჴსნელ“[1*]. [C v] [B v]

კუალად შეერთებულ არს ჭეშმარიტისა მის სიმართლისა ცნობასა წარმართებაჲცა საშჯელისაჲ[2*], რამეთუ შეუძლებელ არს, რომელი არა წინაჲთვე სწავლულ იყოს სიმართლესა ზედა, თუმცა მან იჭუეულნი იგი საქმენი კეთილადმცა საჯნა. რამეთუ სოლომონსცა უკუეთუმცა არა აქუნდეს სიტყუანი იგი სამართლისანი თავსა შორის თჳსსა, ვერმცა შემძლებელ ქმნილ იყო სახელოვნისა მის საშჯელისა / ესრეთ კეთილად ქმნად, რომელ-იგი უსაჯა მეძავთა მათ [A 174] ყრმისათჳს. რამეთუ ვინაჲთგან არცა ერთისა იყვნეს მოწამენი და არცა ჩნდა ჭეშმარიტებაჲ ერთისაჲცა, მაშინ ბუნებასა ზედა მიუქდა და მის მიერ პოვა უცნაურებაჲ იგი: რამეთუ უცხომან მან უვნებელად და უტკივნელად შეიწყნარა მოკლვაჲ იგი ყრმისაჲ მის, ხოლო ჭეშმარიტად დედამან მან სმენადცა ვერ თავს-იდვა საქმჱ იგი ბუნებითისა მის სიყუარულისაგან და წყალობისა[3*].

---

[1] რომლითაცა C. გულისხმა- C. [3] უნებლიეთ BC. [4] სასჯელნი B. [5] სასჯელი B. [6] მისყიდულ BC. იყოს B. [8] უფალსა+თჳსსა C. ნებსით C. [9] ერთ B. [12] შეგინებისათა]შეგინებულთა C. [16] მერმჱ C. [17] იყო B. ტანჯვათა]სატანჯველთა BC. [19] მეორე. BC. [21] ცხოვრებისათჳს C. და—A. [22] ჭეშმარიტისაჲ A. [24] იპოვების C. მათ C. მიწუთომისა C. [25] სიმართლე B. ქრისტჱ C. [26] სიბრძნჱ C. სიმართლჱ C. სიწმიდჱ C. [28] სასჯელისაჲ B. [29] ჲჭუეულნი B. კეთილად C. [30] რამეთუ—C. იგი—C. [31] სიმართლისანი C. სახელოვნისა C. [33] სასჯელისა B. რომელი-იგი C. [34] ერთისაჲცა]იგი B. [34] პოვა]ცნა B. [35] უცნაურებაჲ იგი]უცნაური იგი საქმეჲ B. უტკივნებელად B. [37] საქმე B.

[1*] I კორინ. 1,30. [2*] იგავ. 1,3. [3*] III მეფ. 3,25...

C 207 აწ უკუე რომელმან იცო/დის ჭეშმარიტი სიმართლჱ, მას ძალ-უც წარ-
B 266 მართებაჲ საშჯე/ლისაჲცა. რამეთუ ვითარცა მოისარი ისარსა მას თჳსსა, რომ-
ლისა განგურემაჲ ეგულებოდის, მას დაუმართებს და ილტის ზედაჲთ, გინა
ქუეშეთ წარვლასა მისსა, გინა თუ იმიერ, ანუ ამიერ, არამედ მართლიად ხე-
დავს, ეგრეთვე იქმს მსაჯული სიმართლისაჲ, არცა თუალხუმით იქმს (რამე-
თუ თუალხუმაჲ საშჯელსა შინა ბოროტ არს)[1*], არცა კუალად ძჳრისჴსენებით,
არამედ რაჟამს ორთა მათ შჯიდეს, მძლავრსა და მიმძლავრებულსა, ესეზომ
მოაკლებს გარდამატებულსა მას, რაჲზომ-იგი უდარესი (!)აკლნ და იქმს სწორე-
ბასა მათსა. ხოლო რომელსა არა აქუნდეს ჭეშმარიტი იგი სიმართლჱ სულსა
შინა, არამედ ანუ ქრთამსა ხედვიდეს, ანუ მეგობრობასა, ანუ მტერობასა, იგი
საშჯელსა ვერ წარჰმართებს, რომლისა მიმართ თქუას მეფსალმუნემან, ვითარ-
მედ: „ჭეშმარიტად თუმცა სიმართლესა იქმოდეთ, მართალსამცა შჯიდით,
ძენო კაცთანო“[2*]. რამეთუ სიმართლჱ საშჯელისაჲ გამომაჩინებელი არს გო-
C v ნებისა სიმართლისაჲ, ვითარცა თჳთ / ესე ყოვლად ბრძენი იტყჳს ქუემო, ვი-
A v თარმედ: „სასწორი დიდი და მცირე საძაგელ / არიან უფლისა“[3*], / და სას-
B v წორად უსამართლოებასა მას იტყჳს საშჯელისასა იგავით. და ესე არა თუ
მსაჯულთა ოდენ ეკმარების, არამედ ყოველთავე განრჩევასა მას შინა საქმე-
თასა, რამეთუ თითოეულსა ბუნებასა შინა თჳსსა აქუს სამშჯავროჲ, რომლითა
განირჩევის კეთილი ბოროტისაგან. და კეთილ არს ჩუენდა, რაჲთა საქმეთა
შინა სამართლად განვშჯიდეთ და ჯეროვნად და, ვითარცა კეთილნი მსაჯულ-
ნი, პატივ-ვსცემდეთ სათნოებასა და ვსტანჯვიდეთ უკეთურებასა. ვითარცა-
იგი აჰა ვთქუათ, თუ განიშჯებოდინ შენ მიერ სიწმიდე და სიძვაჲ, და გონებაჲ
შენი ზის მაღალთა შინა და რწმუნებულ არს მისდა სამშჯავროჲ იგი. და გუ-
ლისთქუმაჲ იგი შესწევს ცოდვასა მას, ხოლო შიში ღმრთისაჲ არს სიწმიდე-
სა თანა. მაშინ უკუეთუ დასაჯო შენ ცოდვაჲ იგი და მისცე ძლევაჲ სიწმიდესა,
C 208 გიქმნიეს საშჯელი სიმართლისაჲ; უკუეთუ კულა გულისთქუმასა მისცე ძლევაჲ /
B 267 და პატიოსან ჰყო ცოდვაჲ იგი, გულარძნილ გიქმნიეს საშჯელი / იგი და თანაშ-
დებ ქმნულ ხარ წყევასა მას მისსა, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „ვაჲ არს
მათდა, რომელნი იტყოდინ მწარესა ტკბილად და ტკბილსა მწარედ, რომელნი
იტყოდინ ნათელსა ბნელად და ბნელსა ნათლად“[4*].
10. ვინაჲთგან უკუე ვითარცა თჳთვე სოლომონ იტყჳს, ვითარმედ: „ზრა-
ხვანი მართალთანი სამართალ არიან“[5*], ამისთჳს ჯერ-არს მოსწრაფებაჲ, რაჲ-
თა სამშჯავროსა მას შინა სულისასა სიმართლით იყვნენ განრჩევანი იგი საქმე-
თანი, და რაჲთა გონებაჲ იყოს მიმსგავსებულ სასწორსა, რაჲთა მართლიად
თითოეულსა საქმესა წონდეს. და რაჟამს-იგი თითოეული მცნებაჲ შენ შორის
A 175 წინააღმდგომსა მას / მისსა ცოდვასა სიტყუას-უგებდეს, მიეც რჩეულსა ღმრთი-
სასა ცოდვისა მიმართ ძლევაჲ. უკუეთუ ანგაჰრებაჲ და სიმართლჱ შენ შორის

1 სიმართლე B. 4 ანუ] გინა C. მართლად C. ჰხედავს C. 7 სჯიდეს B, ჰშჯიდეს C.
8 რაჲზომი-იგი B. 9 სიმართლეჲ B. 10 ჰხედვიდეს C. 11 სასჯელსა B. 12 და მართალსამცა A.
სჯიდით B, ჰშჯიდით C. 13 სიმართლე B. 15 სასწორი]საზომი B. მცირჱ C. არნ C.
სასწორად]საზომად B. 18 თჳთოეულსა A. სამჯავროჲ B. 20 განვსჯიდეთ B. ~მსაჯულნი კე-
თილნი BC. 21 პატივსცემდეთ A, პატივვსცემდეთ C. 22 განისჯებოდინ B, განისაჯებოდინ C.
სიწმიდჱ C. 23 სამსჯავროჲ B. 24 იგი—C. 25 დაჰსაჯო C. მისცჱ C. 26 მისცჱ C. 27 გულარძნი-
ლი B. სასჯელი B. 28 ქმნილ BC. 29 იტყოდიან C. 31 თჳთ B. 33 სამჯავროსა B. მას—C. სა-
მართლით B. 36 შჯულსა C. 37 სიმართლე B.

1* იგავ. 24,23. 2* ფსალმ. 57,2. 3* იგავ. 20,10. 4* ესაია 5,20. 5* იგავ. 12,5.

იცილებოდინ, მიეც განჩინებაჲ ტანჯვისაჲ გულისთქუმასა მას უცხოთა მონაგებთასა და მიეც პატივი სათნოებასა. კუალად, უკუეთუ / სულგრძელებაჲ და [C v] სულმოკლებაჲ შენ შორის სიტყუას-უგებდენ, არცხჳნე სულმოკლებასა / და [B v] პატივ-ეც სულგრძელებასა. ეგრეთვე, უკუეთუ მტერობაჲ და სიყუარული იქმოდინ ამას, ერთი იგი შეურაცხ-ყავ და ექსორია-ყავ შორსა ქუეყანასა, ხოლო სიყუარული შეიტკბე ვითარცა თჳსი. ანუ თუ ორგულებაჲ და სიწრფოებაჲ, სიბრძნჱ და უგუნურებაჲ, სიმართლჱ და უსამართლოებაჲ, სიწმიდე და სიძვაჲ და ყოველივე სათნოებაჲ ყოველსავე ბოროტსა რაჟამს წინა-აღუდგებოდის შენ შორის, მაშინ გამოაჩინე სიმართლჱ იგი მსაჯულობისა შენისაჲ შინაგანსა მას შინა სამშჯავროსა სულისასა და მცნებაჲ იგი სიმართლისაჲ შენ თანა გაქუნდინ და აჩუენე ბოროტისმოძულეობაჲ შენი, რაჟამს-იგი გარე-მიაქცევდე ცოდვასა და პატივ-სცემდე სათნოებასა. რამეთუ უკუეთუ ყოველსა ზედა საქმესა ძლევაჲ შენ შორის სათნოებასა მისცე, ნეტარ იყო „დღესა მას საშჯელისასა, რაჟამს შჯიდეს ღმერთი დაფარულსა კაცთა/სა სახარებისა ამის ჩუენისაებრ [C 209] და შორის ურთიერთას გულისსიტყუანი იგი შეგასმენდენ, ანუ განგამართლებდენ“[1*]. და არა წარხჳ/დე მაშინ სირცხჳლეული ცოდვისა მიმართ მიდრეკისათჳს [B 268] შენისა, არამედ გჳრგჳნითა მით სიმართლისაჲთა პატივცემულ იქმნე, რომლითაცა ცხორებისა შენისა დღეთა სიმართლჱ გჳრგჳნოსან ჰყავ შენ. და მაშინ სცნა, თუ ვითართა კეთილთა მომატყ/უებელ გექმნა წიგნი ესე იგავთაჲ, რომელმან [A v] გასწავა სიმართლჱ ჭეშმარიტი და წარმართებაჲ საშჯელისაჲ.

11. კუალად რაჲ არს ამას ყოველსა ზედა? ისმინეთ, ვითარ იტყჳს, ვითარმედ: „რაჲთა მისცეს უმანკოთა მრავალღონეობაჲ და ყრმასა მცირესა ცნობაჲ და გულისჴმისყოფაჲ“[2*]. ხოლო ჩუენ ორკერძო გულისჴმა-ვჰყოფთ უმანკოებასა, ვითარმედ: ანუ უცხოყოფასა მას ცოდვისაგან გონებითა იტყჳს, რაჟამს-იგი მრავალჟამ წურთითა კეთილისაჲთა, ვითარცა ძირი რაჲმე ბოროტი, ესრეთ აღმოვფხურათ ჩუენგან სრულიად ცოდვაჲ, და ესე არს უმანკოებაჲ. ანუ უმანკოებაჲ არს კუალად არა გამოცდილებაჲ სიბოროტესა შინა სიჩჩ/ოჲსაგან, ანუ ცხორებისა რაჲსამე ესევითარისა მიერ გამოუცდელ რაჲ [C v] არნ ბოროტისაგან, / ვითარ-იგი ყრმამან მცირემან არა იცის ამპარტავანებაჲ, [B v] არცა ზაკუვაჲ, ანუ მანქანებაჲ. და კუალად, არიან ვიეთნიმე სოფლებსა შინა მკჳდრნი, რომელთა არა იცნიან მანქანებანი იგი ვაჭართა და მოქალაქეთანი, არცა საშჯავროთა იგი სიტყუათა მიმოქცევანი და ესევითართაცა უმანკოდ სახელ-ვსდებთ, არა ვითარცა ნებსით განშორებულნი მანკიერებისაგან და მოღუაწებითა მათითა, არამედ ვითარცა არღა გამოცდილნი გონებისა სიბოროტესა შინა.

ხოლო ჭეშმარიტი უმანკოჲ იგი არს, რომელი იყოს ვითარცა დავით, რომელი იტყოდა, ვითარმედ: „მე უბიწოებითა ჩემითა ვიდოდე“[3*], რომელმან

---

1 იცილებოდინ (κρινόνται)] იხილვებოდინ AC. 2 უკუეთუ] უკუე A. 3 სულმოკლება 2° B. 5 შეურაცხ-ყავ] შეურაცხ C. ექოსურია- A. 6 შეიტკბჱ C. 7 სიბძნე B. სიმართლე B. სიწმიდჱ C. 9 სიმართლე B. 10 გუაქნდინ B. 11 უჩუენჱ C. 12 პატივ-სცემდჱ C. 13 მისცჱ C. 14 სჯიდეს B. ყოველსა დაფარულსა C. 15 და—C. 16 წარხჳდჱ C. 17 იქმნჱ C. 18 სიმართლე B. 19 გექმნა+ შენ C. 20 სიმართლე B. 21 ისმინე C. 23 გულისხმისყოფაჲ C. ჩუენ—C. გულისხმისყოფაჲ C. 26 ესრეთ—A. აღმოვფხურით A. ~ცოდვაჲ ჩუენგან სრულიად BC. და—A. 28 რაჲ—C. 29 ბოროტთაგან B. 31 იციან BC. 32 სამსჯავროთა B. 33 სახელს- C. ნებსით C. და—BC. 34 არამედ] არცა B. 37 უბიწოებითა] უმანკოებითა A (A-ში „უბიწოებითა“ „უმანკოებითად“ მერმეა გადასწორებული). ვიდოდჱ C.

1* რომ. 2,16, 15. 2* იგავ. 1,4. 3* ფსალმ. 25,11.

ყოველივე მანკიერებაჲ განდევნა სულისაგან თჳსისა მოღუაწებისა მიერ სათ-
ნოებათაჲსა, რომელი-იგი ღირს იქმნების მკჳდრობასა მას კეთილთასა. რამეთუ
„უფალმან არა მოაკლოს კეთილი მათგან, რომელნი ვლენან უბიწოდ“[1*]. ესე-
A 176 ვითარმან მან /სახოებით თქუას, ვითარმედ: „მისაჯე მე, უფალო, რამეთუ მე
C 210 უბიწოებითა ჩემითა ვიდოდე[2*] და კუალად, ვითარმედ: „მისა/ჯე მე, უფა-
B 269 ლო, სიმართლითა ჩემითა / და უბიწოებითა ჩემითა ჩემდამო“[3*]. ხოლო გა-
მოსახავს უმანკოსა სიწრფოებაჲ საქმეთა მისთაჲ და სიმარტივე, ვითარცა-იგი
იყო იაკობ: „უმანკოდ დამკჳდრებული სახლსა შინა თჳსსა“[3a*], ესე იგი არს,
ვითარმედ სიწრფოებაჲ იგი ბუნებითი აქუნდა და არარას მანქანებასა აჩუე-
ნებდა კაცთა სახილველად. ხოლო ამას ადგილსა უმანკოდ იტყჳს ბოროტისა
გამოუცდელობასა, რომელსაცა უჴმსო საქებელი იგი მრავალღონეობაჲ, რაჲ-
თა სიწრფოებასა მას ზედა ბუნებითსა მოიგოს გამოცდილებით მეცნიერე-
ბაჲცა და, ვითარცა საჭურველითა, შეჭურვილ იყოს კეთილითა მით მრავალ-
ღონეობითა და არა დაეცემოდის წინააღმდგომთა მიერ.

რამეთუ სრულსა მას უჴმს, რაჲთა ბრძენ იყოს კეთილისა მიმართ და
უმანკო — ბოროტისა. ამისგან მიიღებედ უმანკონი, ვითარცა წყაროჲსაგან,
მრავალღონეობასა მას საქებელსა. „რამეთუ კაცი მრავალღონჱ საყდარი არს
მეცნიერებისაჲ“[4*] და კუალად იტყჳს, ვითარმედ: „მოსლვასა ბოროტთა-
B v სა მრავალღონჱ / დაიმალა“[5*]. ხოლო სახელი ესე მრავალღონეობისაჲ
C v ორსა / საქმესა მოასწავებს: ერთი იგი, რომელი მრავალღონე იყოს ვნებად
მოყუსისა თჳსისა, რომელ არს უკეთურებაჲ და საქებელი იგი მრავალღონჱ
არს, რომელი სიმახჳლითა და სიბრძნითა კეთილსა თჳსსა მოიპოებდეს და მზა-
კუვარებით სხუათა მიერ მოწევნადთა საქმეთაგან მის ზედა გარე-მიაქცევდეს
A v მათ. გულისჴმა-ყავ უკუე კეთილად / სახელი ესე მრავალღონეობისაჲ და იხი-
ლე, რამეთუ უკუეთუ ვინ გონებითა კეთილითა იჴმაროს სარგებლად თჳსად,
არს იგი საქებელ, ხოლო რომელმან ვნებისათჳს სხუათაჲსა ყოს, არს იგი უკე-
თურ და წარსაწყმედელად თჳსა აქუს იგი.

12. და სავსე არიან წერილნი ორითავე ამით სახითა. რამეთუ კეთილ იყო
ღონისძიებაჲ იგი ებრაელთაჲ, რომელი ქმნეს მეგჳპტელთა მიმართ და სასყი-
დელიცა შრომისა მათისაჲ მიიღეს მათგან და კარვისათჳს ნივთი მოიგეს[6*] და
B 270 კუალად, კეთილად ღონისძიება ყვეს ამქუმელთა / მათ, რამეთუ წულთა მათ
C 211 ებრაელთა დაჰმარხვიდეს[7*]; კეთილი იყო ღონ/ისძიებაჲ იგი რებეკაჲსი, რო-
მელმან დიდი იგი კურთხევაჲ მოატყუა ძესა თჳსსა[8*]; კეთილად ღონისძიება
ყვეს რააბ და რაქელ, რამეთუ ერთმან მან მსტუარნი იგი განარინნა[9*], ხოლო
მეორემან სიბრძნით მამაჲ თჳსი კერპთმსახურებისაგან იჴსნა[10*]. ხოლო ბო-
როტად ღონჱ იძიეს ისრაიტელთა ზედა გაბაონელთა[11*]; ბოროტ იყო

---

[1] განედევნა B. [3] უბიწოდ] უმანკოებით A (მერმეა გადასწორებული). [5] უბიწოებითა] უმან-
კოებითა A (მერმეა გადასწორებული). ვიდოდჱ C. [6] უბიწოებითა] უმანკოებითა A (მერმეა გა-
დასწორებული). გამოჰსახავს C. [9] არარას] არას B. [16] მიღებედ B. [17] მრავალღონებასა B,
მრავალღონეობისა C. [19] მრავალღონე B. მრაველღონებისაჲ C. [20] მრავალღონჱ C. [21] მრავალღონე B.
[22] რომელი] რამეთუ C. სიბრძნით B. მოიპოვებდეს C. მზაკუვარებითა C. [24] გულისხმა- C.
იხილჱ C. [27] თჳსად BC. [28] სავსჱ C. [30] შურომისა C. [32] კეთილ B. [34] მსტოვარნი C] აჲშავნი B.
[36] ღონე B. ზედა] თანა C.

[1*] ფსალმ. 83,12. [2*] ფსალმ. 25,1. [3*] ფსალმ. 7,9. [3a*] დაბად. 25,27. [4*] იგავ. 12,23.
[5*] იგავ. 27,12. [6*] გამოსლ. 12,35. [7*] გამოსლ. 1,17. [8*] დაბად. 27,13. [9*] ისუ 2,4...
[10*] დაბად. 31.34. [11*] ისუ 9,4...

ღონისძიებაჲ იგი აბესალომისი, რომელმან სახითა მით სახიერებისაჲთა მრავალნი მიდრიკნა და განდგომილ იქმნა მამისაგან[1*]. ხოლო აქა ჰეთილსა მას ღონისძიებასა მოასწავებს[2*], რომელი არს ვითარცა საჭურეელი ამას ცხორებასა შინა და განამტკიცებს სულთა მათ უმეცართა. უკუეთუმცა ესე მრავალღონეობაჲ აქუნდა ევას, არამცა ესრეთ ადვილად შეცთომილ იყო. რამეთუ უმანკოსა მას, რომლისა გონებაჲ ყოვლისავე სიტყჳსა რწმუნებითა ადვილად სცთებოდის, ესე სწავლაჲ განამტკიცებს, რაჲთა მეც/ნიერ იყოს და B v ბრძენ.

18. ვიხილოთ უკუე კუალად, თუ ვითარ მისცემს ყრმასა მცირესა ცნობასა / და გულისჴმისყოფასა[3*]. რამეთუ ვინაჲთგან კაცი ორკეცი არს, ვითარ- A 177 ცა-იგი მოციქული იტყჳს[4*], / ერთი ესე გარეგანი და მეორე — შინაგანი, C v ერთი ესე ხილული და მეორე — უხილავი, საცნაურ არს უკუე, ვითარმედ ჰასაკნიცა ესე ორკერძოვე გულისჴმა-იყოფებიან. რამეთუ უკუეთუ ვინ თქუას, რაჲთამცა აწ შობილსა ყრმასა მისცა ცნობაჲ ჴორციელი. საკიცხელ იყოს სიტყუაჲ იგი, რამეთუ რომელი საცნობელი მისცეს მას წიგნმან, ვინაჲთგან თუალნიცა და ყურნი და საყნოსელნი და პირი და ჴელნი მის თანავე იშვებიან, და არა სწავლით არს ესე, არამედ ბუნებით? არამედ არცა ყრმად ჴორციელად ჩჩჳლსა იტყჳს, არცა ცნობად ერთსა რასმე ამათ საცნობელთაგანსა, რომელ ვთქუთ, არამედ ჰასაკისა ამის შინაგანსა მას კაცსა ზედა ჯერ-არს გულისჴმისყოფაჲ. რამეთუ გჳსწავიეს მრავალგან წერილთა შინა, ვითარმედ არს სიჩჩოჲცა / სულისაჲ და მოხუცებულობაჲ, ვითარცა-იგი მოციქული- B 271 სა მიერ ვისწავეთ, ვითარმედ კორინთელნი ჩჩჳლ იყვნეს, ამისთჳსცა ჯერეთ სძჱ უჴმდა[5*], რომელ არს მარტივი იგი და ახალთა მიმართ თქუმული სწავლაჲ სახარებისაჲ, რამეთუ ვერ ძალ-ედვა / სრულისა მის და მტკიცისა საზრდელი- C 212 სა მიღებად — სიტყუათა მათ ღმრთისმეტყუელებისათა. ხოლო ჭაბუკი სულითა იგი არს, რომელი ყოვლითავე ასოჲთა სათნოებათაჲთა აღსრულებულ იყოს და განმტკიცებულ, რომელი სულითა მჴურვალე იყოს, რომელი ძლიერ იყოს საქმეთა შინა ღმრთისმსახურებისათა და ახოვან ყოველსა შინა კეთილსა; რომელსა ეწოდების მაიძულებელცა სახარებისა მიერ, რამეთუ ძალ-უც მოტაცებად სასუფეველი ცათაჲ[6*], რომელსა გალობად / მიიღებს სულიწმი- A v დაჲცა, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „ჭაბუკნი და ქალწულნი აქებდით სახელსა უფლისასა"[7*] და კუალად, უქადებს ჭაბუკთა ისრაელსა შორის ხილვათა ხილვად[8*]. ხოლო მოხუცებული სულითა არს, რომელი-იგი სრულ იყოს სიბრძნითა, / ვითარ-იგი იყო დანიელ, და სიჭაბუკესა მას შინა ჴორცთასა სი- B v ბრძნისა მისისა მჴცენი პატიოსან იყვნეს. ამისთჳსცა ჰრქუეს მას მათ, რომელნი-იგი სავსე იყვნეს დღეთაგან ბოროტთა, ვითარმედ: „მოვედ და დაჯედ შორის ჩუენსა და გუეტყოდე ჩუენ, რამეთუ შენ მოგცა ღმერთმან მოხუცებულებაჲ"[9*].

---

[2] მიიდრიკნა C. [6] გონება (τό νοήμα)] ბუნებაჲ A. [10] გულისხმისყოფასა C. ვითარცა BC. [12] მეორჱ C. [13] ორკერძო C. გულისხმა- C. [17] სწაელითა C. [19] არამედ] პრ˜ლდ C. შინაგანსა მას კაცსა] შინაგანისა კაცისა C. [20] გულისხმისყოფაჲ C. მრავალთაგან C. [21] სიჩჩოებაჲცა C. [23] სძე B. [24] -ედვას B. [27] მჴურვალჱ C. [28] ახოან B. შინა] ზედა C. [30] სასუფეველისა A, [35] მჴცენი] მჴეცნი C. [36] სავსჱ C. მოედ B. ჯედ B. [37] მოხუცებულობაჲ C.

[1*] II მეფ. 15,4. [2*] ფსალმ. 82,4. [3*] იგავ. 1,4. [4*] II კორინ. 4,16. [5*] I კორინ. 3,1—2. [6*] მათე 11,12. [7*] ფსალმ. 148,12—13. [8*] იოელ 2,28. [9*] დანიელ 13,50.

C v აწ უკუე აქაცა ყრმად მცირედ / იტყჳს, რომელი-იგი საბანელითა მით მეორედ შობისაჲთა შობილ იყოს და ქმნილ იყოს ვითარცა ყრმაჲ და ესრეთ წარმართებულ იყოს საუფეველსა ცათასა. ესევითარსა უკუე აწ შობილსა ჩჩჳლსა, რომელი სურვიელ იყოს სიტყჳერისა მისთჳს და უზაკუველისა სძისა, მისცემს წიგნი ესე იგავთაჲ ცნობასა და გულისჴმისყოფასა: ცნობასა საწუთროჲსა საქმეთასა, თუ ვითარ არიან, და გულისჴმისყოფასა მერმისა მის საუკუნისასა. რამეთუ ასწავებს კაცობრივსაცა და მეცნიერ ჰყოფს საქმეთა შინა, რაჲთა არცა ბოროტთა გულისთქუმათა ჰმონებდეს, არცა ამაოჲსა ამის დიდებისა მიმართ სოფლისა მოსწრაფე იყოს და მერმე მოატყუებს გულისჴმისყო- B 272 ფასაცა მის საუკუნოჲსასა და მია/წევს სიტყუათა მიერ თჳსთა კეთილთა მათ, რომელნი აღგჳთქუნა ღმერთმან. •

A 178 14. ვინაჲთგან უკუე განყოფილებანი იგი ჰასაკთანი შინა/განისა კაცისათჳს გულისჴმა-ვყვენით, კეთილ არს, რაჲთა საცნობელთაცა სახელნი მისთჳსვე C 213 გულისჴმა-ვყოთ ძალთა ზედა სუ/ლისათა. და რაჟამს-იგი იტყოდის, ვითარმედ: „სიტყუათა ჩემთა მოყავ ყური შენი“[1*], ჯერ-არს გულისჴმისყოფაჲ, ვითარმედ კეთილად მსმენელობასა მას სულისასა ეძიებს, ვითარცა უფალი იტყოდა, ვითარმედ: „რომელსა ჰქონან ყურნი სმენად, ისმინენ“[2*] და ესევითართა ამათ სიტყუათა მიერ მისცემს ახალსა მას ყრმასა საცნობელსა მას კეთილად მსმენელისასა.

ხოლო კუალად, რაჟამს-იგი იტყოდის, ვითარმედ: „ნუ მიხედავ დედაკაცსა ბოროტსა“[3*] და: „ნუ მიავლენ მისა თუალთა შენთა“[4*] და: „თუალნი შენნი მართლიად ხედვედ“[5*], საცნაურ არს, ვითარმედ ხილვასა მიანიჭებს სულიერსა ყრმასა მას. და კუალად, რაჟამს იტყოდის, ვითარმედ: „ჰამე თაფლი, შვილო, რაჲთა დატკბეს სასაჲ შენი“[6*] (თაფლად იგავით უწესს საღმრთოსა მას სწავლასა, რამეთუ თქუმულ არს, ვითარმედ: „ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი უფროჲს თაფლისა პირსა ჩემსა“)[7], ამის სწავლისა მიერ სულიერსა მას გემოჲსხილვასა შემოიღებს სულსა შინა, რომლისათჳს თქუმულ B v არს, / ვითარმედ: „განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ ტკბილ არს უფალი“[8*].

C v და კუალად, არიან ჴელნიცა სულისანი, რომლითა შეეხების მას სიბრძნჱ / და შეიტკბობს მას, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „ეტრფიალე მას, რაჲთა შეგიტკბოს შენ“[9*] და კუალად „ეკლესიასტესა“ შინა იტყჳს, ვითარმედ: „ჟამი არს შეტკბობისაჲ და ჟამი არს განშორებისაჲ შეტკბობისაგან“[10*]. რამეთუ ჴორცნი შეტკბობითა მით არაწმიდებისაჲთა შეიგინებიან, ხოლო სული შე- A v ტკბობითა მით სიბრძნისაჲთა ყოვლითურთ შეერთების მას / და აღივსების სიწმიდითა და შუენიერებითა. ესრეთ უკუე მიჰმადლებს ცნობასა ყრმასა მას მცირესა, ხოლო გულისჴმისყოფასა მისცემს, რაჟამს იტყოდის, ვითარმედ: „არა სარგებელ არიან მონაგებნი დღესა ბოროტსა“[11*].

---

[4] იყო A. [5] მისცემს+მას C. იგავთა C. გულისხმისყოფასა C. [6] გულისხმისყოფასა C. საუკუნოჲსასა C. [9] მოსწრაფჱ C. მერმჱ C. გულისხმისყოფასაცა C. [10] საუკუნისასა B. [11] აღუთქუნა C. [13] გულისჴმა-ყავთ]A, გულისხმა-ვყავთ C. [14] გულისჴმა-ვყვენით B, გულისხმავყოთ C. [15] გულისხმისყოფაჲ C. [18] მათ BC. [19] მსმენელისასა] სმენისასა BC. [20] მიჰხედავ C. [21] მისსა BC. [22] მართლად A. ჰხედვედ C. [23] ჰამჱ C. [29] სიბრძნე B. [30] ეტრფიალჱ C. [31] ეკლესიასტეს B. [32] განშორებისაჲ C. [34] შეიერთების C. მას—C. [36] გულისხმისყოფასა C.

[1*] იგავ. 22,17. [2*] მათე 13,9. [3*] იგავ. 5,2. [4*] იგავ. 9,18. [5*] იგავ. 4,25. [6*] იგავ. 24,13. [7*] ფსალმ. 118, 103. [8*] ფსალმ. 33,9. [9*] იგავ. 4,6. [10*] ეკლეს. 3,5. [11*] იგავ. 11,4.

რამეთუ ამით სიტყჳთა დასთესავს გულსა შინა შენსა ჴსენებასა მის ღღისათჳს, რაჟამს-იგი სიმრავლჱ საფასეთაჲ არა გერგოს და ვერცა გიჴსნას საუკუნოჲსა მისგან ცეცხლისა.

ანუ კუალად, რაჟამს იტყოდის, ვითარმედ: „უბიწოთა დაიმკჳდრონ ქუეყანაჲ იგი“[1*], რომელსა შინა მშჳდნიცა დაიმკჳდრებენ, ვითარცა ფსალმუნი ღაღადებს, ვითარმედ: „მშჳდთა დაიმკჳდრონ ქუეყანაჲ“[2*] და კუალად უფალი იტყჳს, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ მშჳდნი, რამეთუ მათ დაიმკჳდრონ ქუეყანაჲ[3*]. ხოლო რაჟამს იტყო/დის, ვითარმედ: „დიდებაჲ ბრძენთა დაიმკჳდრონ“[4*], სურვილად B 273 საუკუ/ნეთა მათ კეთილთა აღიყვანებს სულსა. ამას გულისჴმისყოფასა მისცემს C 214 ყრმასა მას მცირესა — შიშსა ცოდვილთა სატანჯველისასა და სურვილსა მართალთა შუებისასა, რამეთუ „ესენი ისმინნეს თუ ბრძენმან, უბრძნეს იყოს“[5*].

დიდსა ძალსა უწამებს სიტყუაჲ ესე „იგავთაჲ“, რამეთუ უზეშთაეს არს იგი სიბრძნესა მას ბრძენთასა, და სხუათა მათ სწავლათა მათთაჲსა უმეტეს არიან სიტყუანი ამის წიგნისანი, რამეთუ სხუათა მათ მოძღუართა მოწაფენი გამოუცდელნი არიან, ხოლო ამის წიგნისანი — ბრძენნი. ვინაჲთგან უკუე ბრძნად მრავალნი ითქუმიან (რამეთუ ბრძენ არიან ამის სოფლისაცა მრავალღონენი[6*] და კუალად ბრძენ, რომელთა ჭეშმარიტი იგი სიბრძნე—უფალი ჩუენი იესუ ქრისტე თავთა შორის თჳსთა აქუს სარწმუნოებით), ხოლო ესე მათთჳს იტყჳს, რომელნი გარეგან სულიერისა მის სიბრძნისა არიან და იციან სიბრძნე სოფლისაჲ. იგინი რაჟამს მოუჴდენ სწავლასა მას „იგავთასა“, უბრძნეს იქმნებიან, რაჟამს-იგი განაგდონ მეცნიერებაჲ იგი ამაოებისაჲ / და შევიდენ ყოველნი/ვე საკჳრველებასა ჭეშმარიტებისასა. A 179 B v

და კუალად, ვინაჲთგან მრავალსახ/ედ ითქუმის ბრძენი (რამეთუ რომე- C v ლი სურვილსა შინა სიბრძნისასა იყოს, ბრძენ ეწოდების და კუალად, რომელი წარმართებულ იყოს სიბრძნესა შინა და კუალად, რომელი სრულქმნილ იყოს სიბრძნესა შინა), ამათგანსა რომელსაცა ესმნენ სიტყუანი ესე, გინა თუ ტრფიალსა მას სიბრძნისასა, გინა თუ წარმართებულსა მას შინა, გინა თუ სრულქმნილსა მას ზედა, ყოველნივე უბრძნეს იყვნენ, რაჟამს ისწაონ ამის მიერ მრავალი საღმრთოთა საქმეთათჳს სწავლაჲ და მრავალი კაცობრივთათჳს. რამეთუ ესე თითოსახედ განსდევნის უკეთურებასა და მრავალფერად შემოიღებს სათნოებასა: ენასა ცრუსა აღჳრ-ასხამს, თუალსა, ბოროტად მხედველსა, დააყენებს, ჴელთა უჯეროთა უფლებასა არა უბრძანებს, უქმობასა იოტებს, გულისთქუმათა ბილწთა სტანჯავს; ასწავებს სიბრძნესა, ასწავებს სიმართლესა, ასწავებს სიმჴნესა, პატივ-სცემს სიწმიდესა. ხოლო რომელმან ესე ყოველი ისწაოს და აქუნდეს თავსა შორის თჳსსა სივლტოლაჲ ბოროტისაგან და შედგომაჲ

---

[2] სიმრავლე B. [4] უბიწოთა]უმანკოთა A (A-ში „უბიწოთა“ „უმანკოთა“დ მერმეა გადასწორებული). [5] მშკდნი A. ღაღადებს]იტყჳს BC. [6] იტყჳს—B. [8] ბძენთა B. [9] გულისხმისყოფასა C. [10] მას—C. სხუათა]სიტყუათა B (B-ში „სხუათა“ „სიტყუთად“ მერმეა გადასწორებული). [15] გამოუცდელ C. წიგნისა BC. ბრძენნია C. [17] რომელთა-იგი C. იგი—C. სიბრძნჱ C. [18] ქრისტჱ C. სარწმუნოებითა BC. [20] სიბრძნე] სიბრძნეობაჲ C. [25—26] და კუალად რომელი სრულქმნილ იყოს სიბრძნესა შინა—BC. [28] -ქმნულსა C. ისწავლონ B, ისწავონ C. [34] პატიეს- C. ისწავოს C.

[1*] იგავ. 2,21. [2*] ფსალმ. 36,11. [3*] მათე 5,11. [4*] იგავ. 3,35. [5*] იგავ. 1,5. [6*] I კორინ. 1,20.

კეთილისაჲ, ესევითარი იგი, რომელი ბრძენ იყო / სურვილისა მისთჳს / თჳსისა, უბრძნჱს იქმნა სრულებითა ამით წერილისაჲთა.

16. „ხოლო გონიერმან მენავეთმოძღურებაჲ მოიგოსო“[1*], რამეთუ უჯმს, რომელსა ეგულებოდის ჴელოვნებისა რაჲსამე სწავლად, რაჲთა აქუნდეს ბუნებით, რაჲ-იგი უჯმდეს ჴელოვნებასა მას: ესე იგი არს, რაჲთა უკუეთუ მორკინლობასა ვინ ისწავლიდეს, აქუნდეს აგებულებაჲ გუამისაჲ კეთილი და ძლიერი და კუალად, მალე / მსრბოლსა უჯმს, რაჲთა იყოს სუბუქ და კეთილად შეწყობილ ასოჲთა, ეგრეთვე მენავეთმოძღუარსა უჯმს, რაჲთა აქუნდეს სიმახჳლე გონებისაჲ და სიფრთხილჱ: ამისთჳსცა მენავეთმოძღურებად არა ესრეთ უგუნერსა კაცსა მოუწოდს, არამედ უფროჲსად გონიერსა.

ხოლო რაჲ არს მენავეთმოძღურებაჲ ესე, რომელსა იტყჳს? გარნა თუ სხუაჲ არარაჲ, არამედ ჴელოვნებაჲ რაჲმე საქმეთა ზედა სულისათა და დაუდგრომელსა მას ზედა ბუნებასა კაცთასა, თუ ვითარ ვინ შეუძლოს იგი წიაღყვანებად სოფელსა ამას და ცხორებასა ამას წარმავალსა, რომელი-ესე მრავალგან წოდებულ არს წე/რილთა მიერ ზღუად და / მდინარედ და წყლად, ვითარცა მეფსალმუნჱ იტყჳს, ვითარმედ: „გამოავლინა მაღლით, შემიწყალა მე და შემიწყნარა მე წყალთაგან მრავალთა“[2*]. რამეთუ საცნაურ არს, ვითარმედ შფოთსა მას სოფლისასა იტყჳს წყლად, რომელსა შინა არცა კეთილი მისი მტკიცე არს და შეურყეველ, არცა ჭირი მისი არს შეუცვალებელ, არამედ ყოველნივე საქმენი მისნი ღელვასა შინა და მიმოვრდომასა და შეცვალებასა არიან.

რამეთუ ვითარცა შეუძლებელ არს, რაჲთამცა ზღუაჲ მყოვარ ჟამ ერთსა ზედა ეგო (არამედ რომელი-იგი აწ არნ დაწყნარებით, შემდგომად მცირედისა იქმნის აღძრულ ღელვათა მიერ; კუალად, რომელი-იგი აღძრულ არნ და დუღს ღელვათა მიერ, კუალად მყუდროებამან დიდმან დააწყნარის), ეგრეთვე სოფლისა ამის საქმენი ადვილად შეიცვალებიან სხუად და სხუად. ამისთჳს მენავეთმოძღუარი საჯმარ არს, რაჲთა დაწყნარებისაცა ჟამსა, რაჟამს ყოველივე ფართოებით იყოს მის ზედა, მოელოდის იგი შეცვალებასა მას და არა იხარებდეს საქმეთა მათ ზედა წარმავალთა, / ვითარცა უკუდავთა ზედა. / და კუალად ჟამსა ჭირისასა არა წარ/იკუეთდეს სასოებასა თჳსსა, არცა დაინთქმოდის უზომოჲსა მის მწუხარებისა მიერ[3*]. რამეთუ არცა სიმრთელჱ გუამისაჲ, არცა ყუავილი სიჭაბუკისაჲ, არცა ფართოებაჲ სახლისაჲ, არცა სხუანი იგი კეთილნი ამის საწუთროჲსანი ჰგიან მყოვარ ჟამ, არამედ რაჟამს ჰაერკეთილობასა შინა ამის ცხორებისასა იყო, მოელოდე ოდესმე ზამთარსაცა საქმეთასა, რამეთუ მოსლვად არს სნეულებაჲ და მოსლვად არს სიგლახაკჱ, რაჟამს არა მარადის უკუანაჲთ კერძო ეგის ქარისა-ნიავი, არამედ წინაჲთცა, პირისპირ მოჴდის მრავალგზის და რომელი უშიშ არნ და დიდებულ, მისა მიიწინიან მოულოდებელნი განსაცდელნი, ვითარცა ნიავქარნი სასტიკნი, და შეარყიიან. და ზედაჲსზედაო-

---

1 იყოს C. 3 მენავეთმოძღურობაჲ C. 5 რაჲ-იგი] რაჲ B. ~ვინ მორკინლობასა B. 6 ვინ—C. 7 მალჱმსრბოლსა C. 8 სიმახჳლჱ C. 9 სიფრთხილე B. 12 და—C. 14 ცხოვრებასა C. ამას 2°—C. მრავალთაგან A. 16 ~შემიწყნარა მე და შემიწყალა BC. 19 მტკიცჱ C. 22 მყოარ B. 23 აწ—C. 24 და კუალად BC. 25 მყუდრუებამან C. 27 დაწყნარებისა C. 29 მათ—A. 30 სასოვებასა C. 31 სიმრთელე B. 33 მყოარ B, მყუვარ C. 36 სიგლახაკე B. 37 მისა] მისდა BC. მიიწივნიან C. 38 და 1°—C. შეირყინიან C.

1* იგავ. 1,5. 2* ფსალმ. 17, 17. 3* II კორინ. 2,7.

ზანი იგი ჴირთანი მსგავს ღელვათა არიან და მოიწეოდიან ერთიერთსა ზედა
და შეგაშფოთებდენ. არამედ მოვიდეს კუალად ჟამი და იხილნე იგინი ყო-
ველნი გარდასრულნი და იგივე დაწყნარებულებაჲ მოსრული. ესე არს უკუე
გონიერი მენავეთმოძღუარი, რომელმან უწყოდის უძლურებაჲ და დაუდ/გრო- B
მელობაჲ / ამის ცხორებისაჲ და მარადის ერთად იყოს იგი და არცა ჟამსა გან- C
სუენებისასა ზუაობდეს, არცა ჟამსა განსაცდელისასა განწირულ იყოს და
შეწუხებულ.

და კუალად სხჳსაცა საქმისა მიმართ კეთილ არს ჩუენდა მენავეთმოძღუ-
რებისა იგი საკმარებაჲ, რამეთუ მე ვიცნი სხუანიცა ღელვანი და ზღუაჲ, აღ-
ძრული საშინელად სულსა ზედა, რომელ არიან ვნებანი ბოროტნი. რამეთუ
გულისწყრომანი და შიშნი, გულისთქუმანი და მწუხარებანი — ესენი მოი-
წინიან, ვითარცა ღელვანი ბოროტნი, / და მრავალგზის, პოიან რაჲ სული A
უმენავეთმოძღურობაჲ, დაანთქიან. აწ უკუე უჴმს გონებასა, რაჲთა, ვითარცა
მენავეთმოძღუარი, ჯდეს უმაღლეს ყოველთა ვნებათა და აღსრულ იყოს,
ვითარცა ნავსა ზედა, ჴორცთა თჳსთა და გულისსიტყუათა ჴელოვნებით, ვი-
თარცა საჭეთა, აქცევდეს. და ახოვნად დაათრგუნვიდეს ვნებათა მათ ღელვა-
თა ბოროტთა და არა აღივსებოდის სიმწარისაგან მათისა, არამედ ილოცვიდეს
და იტყოდის: „განმერი მე მოძულეთა ჩემთაგან / და სიღრმეთაგან წყალ/თა C
მრავალთაჲსა. ნუ დამნთქამნ მე მორევი წყალთაჲ, ნუცა დამფარავნ მე სიღრმე B
უფსკრულთაჲ“[1*].

16. გნებავს-ა, რაჲთა სხუაჲცა მენავეთმოძღურებაჲ გიჩუენო, რომლისა
ნიჭი არს კეთილი? „სასუფეველი ცათაჲ მსგავს არს კაცსა ვაჭარსა“[2*] და ყო-
ველნი რომელნი ვალთ გზასა ამას სახარებისასა, ვაჭარნი ვართ, რომელნი
აღსრულებითა მცნებათაჲთა მოვიყიდით სასუფეველსა ცათასა. ჯერ-არს
უკუე ჩუენდა, რაჲთა ფრიადი და თითოსახე მოვიგოთ სასუფეველისა ცათაჲსა
სიმდიდრისა შეკრებად, რაჲთა არა გურცხუენეს ჟამსა მას, რაჟამს აჩუენებ-
დეს თითოეული საქმეთა თჳსთა, ვითარცა მონათა მათ, რომელთა მიიღეს
უფლისაგან ქანქარი იგი, რაჲთა არა გუესმას ჩუენ, ვითარმედ: „მონაო ბო-
როტო და უდებო“[3*], არამედ რაჲთა აღვავსოთ ნავი ჩუენი ტჳრთითა კეთილითა
და ესრეთ უცთომელად განვჴელიდეთ ამას ცხორებასა.

რამეთუ მრავალთა მრავალი შეიკრიბეს სიჭაბუკითგან მათით და ვითარ-
ცა განზოგებასა ოდენ გზისასა მიიწინეს, ანუ თუ აღსასრულისა მახლობელ C
იქმნეს, აღ/დგეს მათ ზედა განსაცდელნი ღელვათანი სულთა მათ / მიერ უკე- B
თურთა და ვერ თავს-იდვეს მათ სიმძი/მჱ იგი ზამთრისაჲ მის, რამეთუ არა A
იცოდეს მენავეთმოძღურებაჲ, არამედ დაჭირვებაჲ დიდი მოიწია მათ ზედა
მის ყოვლისაგან. ამისთჳსცა რომელნიმე სარწმუნოებასა ზედა დაინთქ-

---

[1] ღელვათაჲსა C. მოიწევოდიან C. [2] შეშფოთდენ C. იხილნჱ C. იგინი] იგი B. [3] დაწყნა-
რებულობაჲ C. [4] უძლორებაჲ B]. უმჯულოებაჲ C. [9] საკმრობაჲ BC. [12] პოვიან C. რაჲ—C.
[13] უმენავეთმოძღოროდ A. და დაანთქიან C. [15] ვითარცა—BC. თჳსთასა C. [16] საჭითა C.
ახოვნებით C. [18] მოძულეთაგან ჩემთა C. [19] მრავალთა B. დამთქამნ A. სიღრმჱ C. [21] სხუაჲ C.
მენავეთმოძღურობაჲ C. [22] ნიჭ B. კაცისა ვაჭრისა BC. [23] მას C. ვითარცა ვაჭარნი C. [25] და—BC.
ფრიადი და თითოსახჱ] ფრიადითა ' მოსწრაფებითა თითოსახე B („მოსწრაფებითა“ შემდეგაა ჩაწე-
რილი სხვა ხელით). [28] უჩუენებდეს B. [30] განეჴლიდეთ BC. [32] განზოგებისა B. გზასა B. მიი-
წივნეს C. [33] იქმნნეს C. [34] სიმძიმე B. [35] მენავეთმოძღურობაჲ BC.

[1*] ფსალმ. 68,15—16. [2*] მათე 13,45. [3*] მათე 25,26.

ნეს[1*] და ბოროტად მორწმუნე იქმნეს და სხუათა კუალად ქალწულებაჲ,
რომელი დაემარხა სიჩჩოჲთგან, წარწყმიდეს, რამეთუ მოიწია მათ ზედა ბო-
როტი იგი გულისთქუმაჲ, ვითარცა ნიავქარი მძაფრი, და წარწყმიდნა იგინი.
და მაშინ არნ საქმჱ საწყალობელი: კაცი შემდგომად მარხვისა და მოღუაწე-
ბისა ფიცხლისა, შემდგომად ლოცვისა ძლიერისა, შემდგომად ტირილისა
ფრიადისა და ღუაწლისა ოცისა ანუ თუ ოცდაათისა წლისა უდებებისათჳს
სულისა მეყსა შინა შიშუელ იქმნის ამის ყოვლისაგან[2*] და მიემსგავსის ვა-
ჭარსა დიდსა და მდიდარსა, რომელმან აღავსის ნავი სიმდიდრითა ფრიადითა
და ვალნ უკუანაჲთ კერძოჲთა ნიავითა ჰამოჲთა და წარვლნის საშინელნი
B 277 იგი ზღუანი და მიახლებასა ოდენ ნავთსაყუდ/ლისა/სა შეიმუსრის ნავი და
C 218 იქმნის მეყსა შინა მის ყოვლისაგან ოჴერ. ეგრეთვე არს სული, უკუეთუ ამან-
ცა მრავლითა შრომითა და ოფლითა მოგებულნი იგი კეთილნი ერთითა ეშმა-
კისა ბრძოლითა ყოველივე წარწყმიდოს და, ვითარცა მძჳნვარითა რაჲთმე
ნისლითა, ესრეთ დაინთქას ცოდვათა შინა, და მერმე კეთილ იყოს მისდა
სიტყუაჲ იგი, ვითარმედ: „მოვედ მე სიღრმესა ზღჳსასა და მოქცევმან დამ-
ნთქა მე“[3*].

17. გაქუნდინ უკუე კეთილად საჭენი იგი ცხორებისანი და ჰმართებდი
თუალთა, ნუუკუე თუალთა მიერ შემოჴდეს შენ შორის ბოროტი იგი გულის-
A v თქუმისა ღელვაჲ; ჰმართებდი სასმე/ნელთა და ენასა, ნუუკუე შეიწყნაროს მან
მავნებელი რაჲმე, ნუუკუე სთქუა უჯეროჲ რაჲმე. ნუუკუე აღგაგზნას შენ ღელ-
ვამან გულისწყრომისამან, ნუუკუე დაგანთქას შენ მოქცევმან ბოროტად
მოშიშებისამან, ნუუკუე დაგფაროს შენ მორევმან გულისწყრომისამან. რამე-
v თუ ვნებანი ღელვანი არიან და / უკუეთუ იქმნა უმაღლეს მათსა, მაშინ ხარ
C v გონიერი მენავეთმოძღუარი. / უკუეთუ კულა არა მოსწრაფებით ივლტოდი
ამათ ყოველთაგან, არამედ, ვითარცა ნავი უკაცოჲ, ყოვლით კერძო ღელვათა
მიერ მიმოჰვარდებოდი, უჩინო იქმნე უფსკრულსა მას შინა ცოდვისასა. ის-
მინე უკუე ესეცა, თუ ვითარ ისწავე ჴელოვნებაჲ მენავეთმოძღურებისაჲ: რა-
მეთუ ჩუეულებაჲ აქუს მენავეთა ცად მიმართ ხედვად და ესრეთ ცნობად,
თუ ვითარ ჯერ-არს მართებაჲ ნავისაჲ დღისი მზისა მიერ, ხოლო ღამით ჰოია-
ჲსაგან, ანუ ჴომთა, ანუ თუ სხუათა მათ საჩინოთა ვარსკულავთა. ეგრეთვე
უკუე შენცა ცად გეპყრნედ თუალნი სიტყჳსა მისებრ მეტყუელისა მის, რო-
მელმან თქუა: „შენდამი, უფალო, აღვიხილენ თუალნი ჩემნი, რომელი დამ-
კჳდრებულ ხარ ცათა შინა“[4*]. ხედევდი შენ მზესა მას სიმართლისასა და მცნე-
ბათა უფლისათა, ვითარცა ვარსკულავთა ბრწყინვალეთა. გაქუნდინ თუალი
ფრთხილი, ნუ სცემ ძილსა თუალთა შენთა, ნუცა ჰრულსა წამთა შენთა[5*],
B 278 რამეთუ უკუეთუ არაოდეს მიგე/რულოს პყრობასა შინა საჭეთასა ზღუ/ასა
C 219 ამას შინა სოფლისასა, ესრეთ ჰპოო შეწევნაჲცა სულისა წმიდისაჲ წარმარ-

---

[1] იქმნნეს C. [3] მძლაფრი B. [4] საქმე B. [6] თუ—BC. [7] მეყსა შინა]მჴსეულად A.
[9] წაელნის C. [12] ~ოფლითა და შურომითა C. [14] მერმჱ C. [15] მოქცევამან B. დამთქა A. [16] მჱ C.
[17] ცხოვრებისანი C. [18] თუალითა C. გულისთქუმისაჲ C. [20] თქუას BC. [21] გულისწყრომისამან]
გულისთქუმისამან C. დაგნთქას BC. მოქცევამან B. [22] მოშიშებისაგან A. გულისწყრომისა-
მან]გულისთქუმისამან C. [23] უმაღლეს] უმახლეს C. [25] უკაცოჲ]რომელსა არა აქუნ
კაცი C. [26] ისმინჱ C. [27] ისწავლო BC. [მენავეთმოძღურობისაჲ C. [28] ჰხედვად C. [29] ღამჱ C.
ჰოჲაჲსაგან A. [34] მბრწყინვალებაჲ C. [35] მისცემ BC. [37] ჰპოვო C.

[1*] I ტიმ. 1,19. [2*] II კორინ. 5,3. [3*] ფსალმ. 68,3. [4*] ფსალმ. 122, 1. [5*] ფსალმ. 131, 4.

თებად შენდა ნიავითა მყუდროთა და ჰამოთა, ვიდრემდის / მიიწიო ღელ- A 182
ვოსა მას ნავთსაყუდელსა ცხორებისა და ნებისა ღმრთისასა, რომლისაჲ არს
დიდებაჲ და სიმტკიცჱ დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა უკუნითი უკუნისამ-
დე, ამენ.

XIII. /თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილი მთავარებისკოპოსისა კესარია-კაბადუკიელისაჲ წმიდისა ნათლისღებისათჳს მათდა მიმართ, რომელნი-იგი გჳანად ნათელ-იღებდეს, C 411

რამეთუ წესი იყო მაშინ, რაჲთა ოცდაათისა წლისანი ნათელს-იღებდენ,
ხოლო რომელნიმე ორმეოც და სამეოც წლადმდე არა ნათელს-იღებდეს. ხოლო
ჩუენ, რომელთა მოვიღეთ წმიდაჲ ნათლისღებაჲ სიჩჩოსა და კუალად ცოდვითა
ჩუენითა შევაგინეთ, აწ გულისჴმა-ვყოთ ესე სინანულისათჳს.

1. ბრძენი სოლომონ, რაჟამს-იგი სოფლისა ამის საქმეთა ჟამისა განყო-
ფილებასა იქმოდა და თითოეულისა საქმისა თჳსსა ჟამსა განაჩინებდა, ეს/რეთ C v
თქუა, ვითარმედ: „ჟამი არს ყოვლისა საქმისაჲ: ჟამი არს შობისაჲ და ჟამი არს
სიკუდილისაჲ"[1*]. ხოლო მე, რომელი-ესე გიქადაგებ ქადაგებასა ამას ცხორე-
ბისასა, შევსცვალებ მცირედ სიტყუასა მას მის ბრძნისასა და ვიტყჳ, ვითარმედ:
„ჟამი არს სიკუდილისაჲ და ჟამი არს შობისაჲ". ხოლო რაჲ არს სიტყუაჲ ესე
ამის შეცვალებისაჲ? რამეთუ იგი შობადთა მათ განხრწნადთათჳს იტყოდა
და ამისთჳს ბუნებისა მისებრ ჴორციელისა შობაჲ თქუა უწინარეს სიკუდილი-
სა (რამეთუ შეუძლებელ არს სიკუდილისა გამოჩინებაჲ, რომელი არა პირ-
ველ იშვას). ხოლო მე, რომელსა-ესე სულიერსა შობისათჳს მეგულების თქუ-
მად, სიკუდილსა განვაწესებ უწინარეს ცხორებისა, რამეთუ სიკუდილითა ჴორ-
ცთაჲთა მოგუეცემის ჩუენ შობაჲ / სულისაჲ, ვითარცა უფალი იტყჳს, ვითარ- A v
მედ: „მე მოვაკუდინი და მე ვაცხოვნი"[2*].

მოვკუდეთ უკუე, ჵ ძმანო, რაჲთა ვცხონდეთ. მოვაკუდინოთ გონებაჲ იგი
და ზრახვაჲ ჴორცთაჲ, რომელი ვერ შემძლებელ არს დამორჩილებად რჩულ-
სა ღმრთისასა[3*], რაჲთა გონებაჲ იგი და ზრახვაჲ სულისაჲ ძლიერ იქმნეს ჩუენ
შორის, რომლისა მიერ მოვალს ჩუენდა ცხორებაჲ და მშჳდობაჲ.

დავიფლნეთ ქრისტეს თანა, რომელი-იგი ჩუენთჳს მოკუდა, რაჲთა აღვდგეთ
მის თანა, რომელმან-იგი აღდგომაჲ მოგუმადლა. / რამეთუ ჟამი სხუათა საქმე- C 412
თაჲ არს მარჯუე: ჟამი ძილისაჲ და ჟამი მღჳძარებისაჲ, ჟამი ბრძოლისაჲ და
ჟამი მშჳდობისაჲ, ხოლო ჟამი ნათლისღებისაჲ — ყოველივე ცხორებაჲ კაც-
თაჲ.

რამეთუ არცა ჴორცთა ცხორებაჲ შესაძლებელ არს თჳნიერ სამშჳნველი-
სა, არცა სულისაჲ, რომელი არა იცნობდეს დამბადებელსა თჳსსა, რამეთუ უგუ-
ლისჴმოებაჲ ღმრთისაჲ სიკუდილი არს სულისაჲ. ხოლო რომელი არა ნათელ-
ღებულ იყოს, იგი არა განათლებულ არს და თჳნიერ ნათლისა ვერცა თუალი

PG, 31, გვ. 424—444.

[2] ცხოვრებისა C. [3] სიმტკიცე B. საუკუნეთაჲ B. უკუნითი—A. [4] ა˜ნ ABC. [5] ნეტარისა ღმერთშემოსილისა C. [6] ~კესარია-კაბადუკიელ მთავარეპისკოპოსისაჲ C. [8] ნათელს- C. [9] ოცდათისა A. [10] წლადცა C. ნათელ-იღიან A. [12] ჩუენითა—C. გულისჴმა-ვყოთ] გულისხმა-ვყუნეთ სიტყუანი C. სინანულისათჳს + იკითხვების ესე დღესა განცხადებისასა ცისკრად, თავი ლ˜ C. [14] თითოეულსა C. საქმისა თჳსსა] საქმისათჳს C. [17] მცირედ—C. მის ბრძნისასა] სიბრძნისასა მცირედ C. [24] ვითარმედ—A. [26] ვცხოვნდეთ C. გონებაჲ—C. [27] შჯულსა C. [28] და რაჲთა C. [30] დავეფლნეთ C. [32] მარჯუჱ C. [33] მშჳდობისაჲ] განსუენებისაჲ C. [36] უგულისხმოებაჲ C.

[1*] ეკლეს. 3,1—2. [2*] II შჯ. 32,39. [3*] რომ. 8,7.

შემძლებელ არს თჳსთა საქმეთა ხედვად, ვერცა სულსა ძალ-უც გულისჴმის-ყოფასა ღმრთისასა მიღებად. რამეთუ ყოველივე ჟამი კეთილ არს ნათლისღე-ბისა მიმართ და ცხორებისა: გინა თუ ღამე სთქუა, ანუ თუ დღჱ, გინა ჟამი, ანუ თუ მარცუალი იგი ჟამისაჲ, გინა თუ მისა უმცირესი. ხოლო ფრიად კე-თილ არს სიმარჯუჱ იგი თჳსისა მის დღისაჲ. და კუალად, დღისა მის აღვსებისა რაჲმცა უმახლობელეს იყო ნათლისღებად? რამეთუ დღჱ იგი საჴსენებელი არს აღდგომისაჲ, ხოლო ნათლისღებაჲ ძალი არს აღდგომისა მიმართ. დღესა მას
183 უკუე აღდგომისასა მადლი იგი აღ/დგომისაჲ შევიწყნაროთ. ამისთჳს ეკლესიაჲ შორითვე თჳსთა მათ შვილთა მოუწოდს ქადაგებითა მაღლითა, რაჲთა რო-მელნი-იგი პირველ მუცლად-/იხუნა, მაშინ შვნეს და აწოოს მათ სიტყუანი იგი სწავლისანი და აჰამოს მტკიცჱ იგი სარწმუნოებისა საზრდელი.

იოვანე ქადაგებდა ნათლისღებასა სინანულისასა და განვიდოდა მისა ყო-ველი ჰურიასტანი. უფალი ქადაგებს ნათლისღებასა მას შვილებისასა და ვინ არა ისმინოს მოსავთა მისთაგანმან? იგი ნათლისღებაჲ შემყვანებელი იყო სი-ნანულად, ხოლო ესე სრულმყოფელი არს; იგი განშორებაჲ იყო ცოდვისაგან, ხოლო ესე — თჳსებაჲ ღმრთისა მიმართ.

ერთისა კაცისა იოვანესი იყო ქადაგებაჲ იგი და ყოველთავე მიიზიდვიდა სინანულად, ხოლო შენ წინაჲსწარმეტყუელთა მიერ ისწავები, ვითარმედ: „გა-ნიბანენით, განიწმიდენით“[1*]; ფსალმუნთა მიერ გესმის, ვითარმედ: „მოვედით უფლისა, მიიღეთ ნათელი“[2*]; მოციქულთა მიერ გეხარების, ვითარმედ: „შეი-ნანეთ და ნათელ-იღეთ თითოეულმან სახელსა ზედა უფლისა იესუ ქრისტესსა მოსატევებელად ცოდვათა და მიიღოთ აღთქუმაჲ იგი სულისა წმიდისაჲ“[3*]; და თავადისა უფლისა მიერ ისწავებ, რომელი იტყჳს: „მოვედით ჩემდა ყო-ველნი მაშურალნი და ტჳრთმძიმენი და მე განგისუენო თქუენ“[4*].

რამეთუ ესე ყოველი დღეს შემოკრბა საკითხავად და ზარ-გაც შენ და უდებ ხარ და განიზრახავ? სიჩჩოჲთგან ჰეშმარიტებაჲ გესმის და არ-ღა მოსრულ ხარ ჰეშმარიტებასა? მარადის ისწავებ და არღა მოსრულ ხარ
413 გულისჴმისყოფად? გამომცდელი ხარ ყოველთა / დღეთა შენთა, აეშაგი ხარ
v ვიდრე სიბერემდე, ოდეს-მე იქმნე ქრისტიანე? / ოდეს გიცნათ შენ ჩუენად? შარშა ამას წელიწადსა მოელოდე და აწ კუალად მომავალსა მას მოელი-ა?

იხილე, ნუუკუე იპოო მრავალთა ჟამთა მქადებელ. არა უწყი, თუ რაჲ ყოფად არს ხვალისა დღე. ნუ ჰყოფ აღთქუმასა, რომელი არა შენი არს.

ცხორებად გიწოდთ, კაცო, რად ივლტი წოდებისა ამისგან? კეთილისა მიმართ მოგხდით, რად თანა-წარჰჴდები ნიჭსა მას? სასუფეველი ცათაჲ გან-ღებულ არს, მწოდებელი იგი უტყუელ არს, გზაჲ ადვილად სავალ არს. არცა ჟამი, არცა წარსაგებელი, არცა ვაჭრობაჲ საჴმარ არს, რად უდებ ხარ? რად ივლტი? რად გეშინის უღლისაგან, ვითარცა დიაკეულსა გამოუცდელსა? „ტკბილ არს იგი, სუბუქ არს“[5*]; არა მოსწყლავს ქედსა, არამედ ადიდებს. რა-

[1] გულისხმისყოფასა C. [3] ცხოვრებისა C. ღამჱ C. თუ 2°—C. [4] თუ 1°—A. თუ 2°—C. [4] მისსა C. [10] აწოვოს C. [12] იოვანჱ C. [11] შემყვანებელი] შემწყნარებელი C. [15] განშორებაჲ C. [17] იგი—C. [23] მიიღოთ C. [28] გულისხმისყოფაჲ C. შენთაჲ C. აშაგი A. [29] სიბერემდჱ C. იქმნჱ C. ქრისტიანჱ C. შენ—C. ჩ̃ნად A, ჩუენდად C. [30] მოელოდჱ C. მოელი C. [31] იპოვო C. მქადაგებელ C. [32] დღჱ C. [33] ცხოვრებად C. მისგან C. [34] გხადით C. [35] უტყუველ C.

[1*] ესაია 1,16. [2*] ფსალმ. 33,6. [3*] საქმე 2,38. [4*] მათე 11,28. [5*] მათე 11,30.

მეთუ არა შეიკრვის აპაური მისი ყელსა ზედა, არამედ თჳთმფლობელად ეძიებს მზიდველსა მისსა. არა ჰხედავ-ა, რამეთუ შეისმინების ეფრემ, ვითარცა განველურებული კუროჲ, რამეთუ უწესოდ სცთებოდა და უღელსა მას რჩულისასა შეურაცხ-ჰყოფდა?[1*] მოდრიკე უმწყი ეგე ქედი შენი, იქმენ კარაულ ქრისტესა, რაჲთა არა განტევებულ იყო აპაურთაგან და შეცთომილ სოფელსა შინა და ად/ვილად წარსატაცებელ იყო მკეცთა მიერ. C v

2. „განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ ტკბილ არს უფალი“[2*]. სიტკბოებაჲ თაფლისაჲ ვითარ-მე უთხრა უმეცართა? განიცადეთ და იხილეთ გემოჲსხილვაჲ ესე, რამეთუ უფროჲს ყოვლისა სიტყჳსა შემძლებელ არს დარწმუნებად.

ჰურიაჲ წინადაცუეთასა არა ადროებს სიტყჳსა მისთჳს, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „ყოველი სული, / რომელმან არა წინა-დაიცჳთოს მერვესა დღესა, A 18 აღიჴოცოს იგი ერისაგან თჳსისა“[3*]. ხოლო შენ ჴელითუქმნელსა მას წინადაცუეთასა ევლტი, რომელი-იგი აღძურცითა ჴორცთაჲთა ნათლისღებისა მიერ სრულ იქმნების[4*], რომელსა-ეგე გასმიეს თავადისა უფლისა მიერ, ვითარმედ: „ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, უკუეთუ არა იშვეს კაცი წყლითა და სულითა, ვერ შევიდეს სასუფეველსა ცათასა“[5*], და მუნ არს სალმობაჲ და წყლულებაჲ, ხოლო აქა ცუარი სულისაჲ და წყლულებათა მათ გულისათა კურნებაჲ.

თაყუანის-სცემ-ა შენთჳს მომკუდარსა მას? თავს-იდევ უკუე მის თანა დაფლვაჲ ნათლისღებისა მიერ[6*]. უკუეთუ არა თანახატ ექმნა მსგავსებასა მის სიკუდილისასა[7*], ვითარ თანაზიარ იქმნა აღდგომისა მისისა?

ისრაელმან მოსეს მიერ ნათელ-იღო ღრუბელსა შინა და ზღუასა[8*], რამეთუ შენ სახესა გიჩუენებდა და გამოხ/ატვიდა უკუანაჲსკნელთა ჟამთა გა- C 41 მოჩინებადსა ამას ჭეშმარიტებასა, ხოლო შენ ივლტი ნათლისღებისაგან, რომელი არა ზღუასა შინა გამოისახვის, არამედ ჭეშმარიტებით აღესრულების: არა ღრუბლითა, არამედ სულითა, არა მოსეს მიერ მონისა, არამედ ქრისტეს მიერ შემოქმედისა.

ისრაელსა უკუეთუმცა არა განევლო ზღუაჲ, არამცა ჴსნილ იყო მონებისაგან ფარაოჲსა და შენ, უკუეთუ არა განჰვლო წყალი იგი, არა განერე მწარისა მისგან მძლავრებისა ეშმაკისა. არამცა ესუა მას სულიერისა მისგან კლდისა, უკუეთუმცა არა გამოსახვით ნათელ-ეღო, / არცა შენ ვინ მოგცეს ჭეშმა- A v რიტი იგი სასუმელი, უკუეთუ არა ჭეშმარიტებით ნათელ-იღო.

მან ჰამა პური ანგელოზთაჲ[9*] შემდგომად ნათლისღებისა, ხოლო შენ ვითარ-მე შჰამო პური იგი ცხორებისაჲ[10*], უკუეთუ არა მიიღო პირველად ნათლისღებაჲ? შევიდა ქუეყანასა მას აღთქუმისასა ნათლისღებისათჳს, ხოლო შენ ვითარ მიიქცე სამოთხედვე, უკუეთუ არა აღიბეჭდო ნათლისღებისა მიერ? ანუ არა უწყი-ა, ვითარმედ ცეცხლისა მახჳლი განწესებულ არს ცვად გზასა მას ძელისასა[11*] და ურწმუნოთათჳს საშინელ არს და შემწუველ, ხოლო მორ-

---

[3] შჯულისასა C. [4] მოუდრიკჱ C. [7] სიტკბოეებაჲ იგი C. [17] გულისათა] სულისათა C. [18] თავყუანის- C. [19] დაფლვაჲცა C. თანახატ] ხატ C. [20] მის] მას C. ექმნა A. [22—23] უკუანაჲსკნელთა ჟამთა გამოჩინებადსა ამას ჭეშმარიტებასა] უკუანაჲსკნელსა ჭეშმარიტებასა, რომელ გამოჩინებად იყო C. [23] ჭეშმარიტებითა C. [28] ფარაოჲსსა C. განერჱ C. [32] ანგელოსთაჲ C. [34] ქუეყანად აღთქუმისა C. [35] მიიქცჱ C. დაიბეჭდო C.

[1*] ოსე 4,16. [2*] ფსალმ. 33,9. [3*] დაბად. 17,14. [4*] კოლას. 2,11. [5*] იოანე 3,5. [6*] კოლას. 2,12. [7*] რომ. 6,5. [8*] I კორინ. 10,2. [9*] ფსალმ. 77,25. [10*] იოანე 6,51. [11*] დაბად. 3,24.

წმუნეთა ტკბილად და შუენიერად უბრწყინავს? და იქცევისად[1*] ყო იგი მეუფემან, რამეთუ / რაჟამს მორწმუნე იხილოს, ზურგსა შეაქცევს, უკუეთუ კულა იხილოს ვინმე უნათლავთაგანი, პირისპირ შეემთხუევის.

8. ელია ეტლსა ცეცხლისასა და ცხენთა ცეცხლისათა, მისდა მოსრულთა, არა შეეშინა, არამედ სურვილითა მით ზეცად აღსლვისაჲთა საშინელთა მათ შეჰკადრა და სიხარულით აღჰჴდა ეტლთა მათ ზედა ცეცხლისათა, რომელიიგი ჴორციელდა იყო[2]. ხოლო შენ, რომელსა არა ცეცხლისა ეტლთა ზედა გიჯმს აღსლვაჲ, არამედ წყლისა მიერ და სულისა აღმაღლებაჲ ზეცად, არა მიისწრაფი წოდებისა მის მიმართ?

აჩუენა ელია ძალი იგი ნათლისღებისაჲ საკურთხეველსა მას ზედა მსხუერპლისასა, რომელმან არა ცეცხლითა, არამედ წყლითა დაწუა შესაწირავი იგი, რამეთუ ბუნებაჲ ცეცხლისაჲ მარადის წყლისა მბრძოლ არს. ვინაჲთგან უკუე მაშინ საიდუმლოდ წყალი იგი სამგზის მსხუერპლსა მას ზედა /დაისხა, დასაბამ ექმნა ცეცხლსა და აღანთო ალი ვითარცა ზეთმან, რამეთუ თქუა, ვითარმედ: მომართუთ საწყაული წყლისაჲ და დაასხით საკურთხეველსა მას ზედა და შეშასა. და თქუა მეორედცა: დაასხით, და მესამედცა, და დაასხეს[3*]. და სიტყუაჲ იგი აჩუენებდა, ვითარმედ ნათლისღებისა მიერ ღმერთსა მიეახლების ნათელღებული იგი და, ვითარმედ ნათელი წმიდაჲ და ზეცისაჲ სულსა შინა ნათელღებულ/თასა სარწმუნოებითა სამებისაჲთა აღმობრწყინდების.

უკუეთუმცა ოქროსა განუყოფდი ერსა, არამცა სთქჳ, თუ ხვალე მოვიდე და ხვალე მომცე, არამედ მთხოვდიმცა მოსწრაფებით საფასესა მას და მწუხარემცა იყავ დროებისათჳს. ვინაჲთგან უკუე არა ნივთისა ფეროვნებასა, არამედ სულისა სიწმიდესა წინა-გიყოფს უხუად მიმნიჭებელი იგი, მიზეზთა მოიპოებ და უცალოებათა აღჰრაცხავ, ჯერ-იყო სრბაჲ ნიჭისა მის მიმართ.

ჵ საკჳრველი! განახლდები თჳნიერ დაჴსნისა, განსწმდები თჳნიერ ბრძმედისა, მეორედ დაიბადები თჳნიერ შემუსრვისა, განიკურნები თჳნიერ ტკივილისა და არარად შეგირაცხიეს მადლი იგი?

უკუეთუმცა მონაჲ კაცთაჲ იყავ და დაიწერამცა მონათა თავისუფლებაჲ, არამცა ისწრაფდი-ა განთავისუფლებად? და იმიზდებდიმცა შემწეთა და ევედრებოდემცა მსაჯულთა, რაჲთამცა ღონისძიებითა მით მიიწიე თავისუფლებად, ანუ თუ ცემაჲცამცა და წყლულებაჲ თავს-იდევ მაშინ, შემდგომად მისა — ცემისაგან განრომისათჳს. ვინაჲთგან უკუე მონაჲ ხარ არა კაცთაჲ, არამედ ცოდვისაჲ და გიწოდს შენ თავისუფლებად ქადაგი იგი, რაჲთა გიჴსნას შენ ტყუეობისაგან და თანამოქ/ა/ლაქე გყოს ანგელოზთა და გამოგაჩინოს ძედ ღმრთისა, შვილებულად მადლისა მიერ და მკჳდრად კეთილთა მათ ქრისტესთა, იტყჳ შენ, ვითარმედ: „ჯერეთ არა არს ჟამი მოცემულთა მათ მიღებად“.

ჵ ბოროტნი ეგე დახრწევანი! ჵ შეგინებული იგი და დაუსრულებელი უცალოებაჲ! ვიდრემდის არიან გულისთქუმანი? ვიდრემდის არიან გემოვნებანი ბილწებათანი? ფრიადი ჟამი დაგჳყოფია მონებასა შინა სოფლისასა, დავყოთ აწ მცირედი თავთა ჩუენთათჳსცა. რაჲ არს ნაცვალ სულისა? რაჲ არს შეს-

[3] მორწმუნე C. [4] ეტლისა ცეცხლისაგან და ცხენთაგან C. [6] რომელი C. [8] და არა BC. [9] ისწრაფი C. [15] მომართეთ C. დაასხით C. საკურთხეველსა] საკურთხსა C. [19] აღმოგჳბრწყინდების C. [20] სთქუ C. ხვალე C. [21] მომცე C. მოიპოვებ C [27] და — C. [29] და — C. [31] მისსა C [34] თანამოქალაქე C.

[1*] დაბად. 3,24. [2*] IV მეფ. 2,11. [3*] III მეფ. 18,34.

წორებულ სასუფეველისა ცათაჲსა? ვინ არს უსარწმუნოესი იგი შენი განმზრახი უფროჲს ღმრთისა? ვინ არს უბრძნეს ბრძნისა მის? ანუ ვინ არს უმჯობეს სახიერისა მის? ვინ არს უმახლობელეს შენდა და უპატიოსნეს დამბადებელისა? არცა ევას რაჲ ერგო, რამეთუ განზრახვაჲ გუელისაჲ ირწმუნა, ვიდრე ღმრთისაჲ.

ჵ უჯერონი ეგე სიტყუანი შენნი! არა მცალსო განმრთელებად, ნუუკუე მიჩუენო მე ნათელი, ნუუკუე შემაერთო მე მეუფისა. ანუ არა ესრეთ იტყჳ-ა და უფროჲსღა ამათსა უუგუნურესთა სიტყუათა?

ხოლო შენ უკუეთუმცა იყავ დაწერილ თანა/მდებებასა შინა დიდსა და C 41 შენდობაჲმცა თანანადებთაჲ იქადაგა თანამდებთათჳს, და მერმე იყომცა ვინმე, რომელი ისწრაფდამცა მიტევებისა მისგან თანანადებთაჲსა არა მიცემად შენდა, არამცა იგლოვდი-ა და ჰკმობდი, რამეთუ მადლსა მას, ყოველთადა მიცემულსა, მიგიღებდეს შენ? ვინაჲთგან უკუე არა გარდასრულთა ოდენ შენდობაჲ, არამედ / მომავლათაცა კეთილთა ნიჭნი ქადაგებულ არიან, თჳთ თავსა A 11 შენსა ავნებ ესრეთ, რომელ მტერთაგანმანცა ვერვინმცა გავნო და ჰგონებ, თუ კეთილად განიზრახავ და უმჯობესსა იგონებ თავისათჳს შენისა, რომელი-ეგე არა შეიწყნარებ მიტევებასა, არამედ მოჰკუდები თანანადებთა მათ შინა, რომელმან-ეგე იცი, ვითარმედ ბევრეულთა მათ ტალანტთა თანამდებმან პოვა შენდობაჲ, უკუეთუმცა არა მას თჳთ საშჯელი იგი უწყალოებითა მით მოყუსისაჲთა განეახლა[1*], რომელი-იგი ჩუენდაცა საკრძალავ არს, რაჲთა არა მოიწიოს ჩუენ ზედა, რაჟამს მადლი იგი მოვიღოთ, თუმცა არა შეუნდობდით თანამდებთა მათ ჩუენთა, რაჲთა ესრეთ ნიჭი იგი მტკიცე იყოს ჩუენდა.

4. შევედ საუნჯესა მას შინა სულისა შენისასა, აღძარ საქმეთა შენთა ჴსენებაჲ. უკუეთუ მრავალ არიან ცოდვანი შენნი, ნუ წარიკუეთ სასოებასა სიმრავლისა მისთჳს მათისა, რამეთუ: „სადა-იგი / გარდაემატა ცოდვაჲ, მუნ უფ- C v როჲსად გარდაემატა მადლი“[2*], უკუეთუ შეიწყნარო მადლი იგი. რამეთუ რომელსა ფრიადი თანა-ედვას, ფრიადცა მიეტეოს, რაჲთა უმეტესადცა შეიყუაროს. უკუეთუ კულა მცირე და უნდო არიან და არა სასიკუდინო ცოდვანი შენნი[3*], რად შეურვებულ ხარ შემდგომისა მის ჟამისათჳს, რომელმან-ეგე არა უჯეროდ წარჰვლე გარდასრული ეგე და რაჟამს-იგი არღა დაბეჭდულ იყავ?

აწ ესრეთ გულისჴმა-ყავ, ვითარმედ ვითარცა სასწორსა ზედა მდგომარე არს სული შენი და ერთ კერძო ანგელოზთა მიერ და ერთკერძო ეშმაკთა მიმართ მიიზიდვის. ვიეთ-მე მისცე მიდრეკაჲ გულისა შენისაჲ? / ვინ-მე სძლიოს A v შენ შორის: გულისთქუმამან ჴორცთამან, ანუ სიწმიდემან სულისამან? შუებამან წარმავალმან, ანუ სურვილმან წარუვალთა მათ კეთილთამან? ანგელოზთა-მე წარგიყვანონ, ანუ რომელთა-ეგე უპყრიე, მათვე დაგიმჭირონ?

ბრძოლასა შინა ერისთავნი სასწაულსა მისცემენ შემდგომთა მათთა, რაჲთა მეგობარნი იგი ურთიერთას ადვილად მოუწოდდენ და წინააღმდგომთა მათ რაჟამს აღერინენ, საცნაურ იყვნენ იგინი. ხოლო შენ ვერვინ გიცნას, თუ

---

[3] უპატიოსნეს C. [4] რაჲ]რას C. [6] ეგე]იგი C. [7] მე 2°—C. მეუფესა C. [10] მერმჵ C. ვინმჵ C. [14] თავსავე C. [15] ვერვინმცა]ვინმე ვერ C. [16] უმჯობეჲსსა C. [17] ამათ C. [19] მით—A. [22] მტკიცჵ C. [25] მუნ—A. [27] მიეტევოს C. [28] მცირჵ C. [30] წარჰვლჵ C. ეგე]იგი C. [32] გულისხმა- C. მდგომარჵ C. [33] ანგელოსთა C. მიმართ]მიერ C. [34] მისცჵ C.

[1*] მათე 18,24-34. [2*] რომ. 5,20. [3*] I იოანე 5,17.

ჩუენი ხარ ანუ წინაალმდგომთაჲ, უკუეთუ არა მიიღო სასწაული იგი კეთი-
417 ლი, უკუეთუ არა / გამოჩნდეს შენ ზედა ნათელი პირისა უფლისაჲ[1*]. ვითარ
გრიდოს შენ ანგელოზმან მან, ანუ ვითარ გიჴსნეს მტერთაგან, უკუეთუ არა
იცნას ბეჭედი იგი? ანუ შენ ვითარ სთქუა, თუ მე ღმრთისაჲ ვარ, რაჟამს არა
გაქუნდეს სასწაული მისი? ანუ არა უწყი-ა, ვითარმედ აღნიშნულთა მათ სახ-
ლთა თანა-წარჰჴდებოდა მოსრველი იგი, ხოლო უნიშნავთა მათ შინა მოსრვი-
და პირმშოთა მათ?[2*] საუნჯჱ დაუბეჭდავი ადვილ არს განსაპარავად, ცხოვარი
აღუნიშნეელი უშრომელად წარტაცებულ იქმნის.

5. ჭაბუკ ხარ-ა? უცთომელ ყავ სიჭაბუკჱ ეგე აღჳრითა მით ნათლისღები-
საჲთა, წარჴდა-ა ჰასაკისა სიჭაბუკჱ? ნუ დაიჭირვებ საგზალსა მას, ნუ წარ-
სწყმედ მცველსა მას, ნუ იგონებ მეათერთმეტისა ჟამისათჳს, ვითარცა პირ-
ველისა[3*]. ვინაჲთგან უჴმს ახლად შემოსრულსაცა ცხორებასა ამას წინაშე
თუალთა ქონებად აღსასრულისა.

187 უკუეთუმცა მკურნალი ვინმე გიქადებდა შენ ღონითა / რომლითამე სი-
ბერისაგან სიჭაბუკედ მოქცევად, არამცა გსუროდა-ა მოსლვად დღისა მის, რა-
ჟამს იხილემცა თავი შენი სიჭაბუკესავე მოსრული? ვინაჲთგან უკუე სულისა
შენისა განჭაბუკებასა აღგითქუამს ნათლისღებაჲ, რომელი-იგი შენ დააძუელე
და განხრწნილ და შებღალულ ჰქმენ ურ/ჩულოებათა მიერ, შეურაცხ-ჰყოფ-ა
ქველისმოქმედსა მას და არა მიისწრაფი აღთქუმისა მის მიმართ? არა გსური-
ს-ა ხილვად, თუ რაჲ არს დიდი იგი საკჳრველებაჲ საქმისაჲ მის? ვითარ თჳნიერ
დედისა იშვების კაცი? ვითარ დაძუელებული იგი და განხრწნილი გულისთქუმა-
თა მათ მიერ საცთურებისათა განახლდების[4*] კუალად და წუერ გამოიქმნეჲის
და ჭეშმარიტსა მას ყუავილსა სიჭაბუკისასა მოვალს?

ნათლისღებაჲ ტყუეთა მჴსნელი არს, თანანადებთა შენდობაჲ, სიკუდილი
არს ცოდვისაჲ, მეორედ შობაჲ სულისაჲ, სამოსელი ნათლისაჲ, ბეჭედი აღუ-
ტეხელი, ეტლი ცად მიმართ მომატყუებელი სასუფეველისაჲ, მადლი შვილე-
ბისაჲ. ესეზომთა ამათ და ესევითართა კეთილთა, ჵ უბადრუკო, უპატიოსნე
გიჩნს გემოჲ ცოდვისაჲ, რამეთუ გულისჴმა-ვჰყოფ მე ზრახვათა შენთა, დაღა-
ცათუ სიტყჳთ არა იტყჳ; თჳთ საქმენი ღაღადებენ, დაღაცათუ პირითა სდუმ.
მაცადეო, ვიჴმარნე ჴორცნი ჩემნი გულისთქუმათა მიმართ ბილწთა, ვინგორე-
ბოდი მწჳრესა მას შინა ცოდვისასა, შევიბღალნე ჴელნი ჩემნი სისხლითა, მო-
ვიტაცო უცხოთაჲ, ვლო მზაკუვარებით, ცრუდ ვფუცვიდე, ვტყუოდი და, რა-
ჟამს ოდესმე დავსცხრე ბოროტთა ამათგან, მაშინ მივიღო ნათლისღებაჲ.

V / აწ უკუეთუ კეთილ / არს ცოდვაჲ, გაქუნდინ ვიდრე აღსასრულამდე;
418 უკუეთუ კულა მავნებელ არს მოქმედისა მისისა, რად ჰყოვნი ბოროტთა მათ
შინა? ვინ არს, რომელსა ჰნებავს ნავღლისა აღმოგდებაჲ მავნებელთაგან ჭა-
მადთა შეკრებულისა და უფროჲსად განმრავლებული შეიკრიბის იგი? რამეთუ
განწმედაჲ ჯერ-არს გუამისაჲ მავნებელთა მათგან და არა შეკრებაჲ უმეტეს ძა-
ლისა. ჩანნ ნავი, თუ ვიდრემდის იტჳრთავნ სიმძიმესა ტჳრთისასა. და უკუეთუ

[3] გიჴსნას C. [8] იქმნის—A. [9] ეგე] იგი C. [11] მეთერთმეტისა C. [15] გსუროდა A. [17] დაა-
ძუელე C. [19] უშჯულოებათა C. [19] ქველისმოქმედსა მას] ქველისმოქმედებათა მათ მეუფისათა C.
[22] მათ—C. [23] მე"ლს A. [27] კეთილთასა C. უპატიოსნეს C. [28] გიჩს C. გულისხმა- C. [29] პი-
რით C. სდუმი C. [30] მაცადეო] მი... ეო A. ვიჴმარნე C. [31] შევბღალნე C. [32] ვფუცვიდე C.
ვტყუეოდი C. [33] მოვიღო C. [34] აღსასრულადმდე C. [37] და—A. [39] ვიდრემდის] ვითარ C.

[1*] ფსალმ. 4,7. [2*] გამოსლ. 12,23. [3*] მათე 20,12. [4*] ეფეს. 4,22.

უმეტესი ზომისაჲ შთადვიან, დაინთქის. გეშინოდენ შენცა, ნუუკუე ესრეთვე მოიწიოს შენ ზედაცა და უზეშთაეს შენდობისა ჰქმნნე ცოდვანი და უწინარეს ნავთსაყუდელად შესლვისა დაინთქა.

ანუ არა ხედავს-ა ღმერთი საქმეთა მაგათ? ანუ არა სცნობს-ა გულისზრახვათა შენთა? ანუ შეგეწევის-ა ბოროტისა მიმართ და ურჩულოებისა? რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „ჰგონებ სამე, უშჯულოო, ვითარმედ მეცა შენვე გემსგავსო“[1*]? ხოლო შენ კაცისა მოკუდავისა მეგობრებასა რაჲ ეძიებდე, კეთილსა უყოფ მას და მარადის მას იტყჳ და იქმ, რომელსა ზედა სცნა, თუ სათნო არს იგი და ღმრთისა შეერთებისათჳს და მისდა შვილებისა და საზომსა ძისასა მიწთომისა არა მოსწრაფე ხარ, არამედ რაჲ-იგი მას სძაგს, მას იქმ. და გარდასლვითა შჯულისაჲთა შეურაცხ-ჰყოფ მას და რომლისა მიერ უფროჲსად განარი/სხებ, მის მიერ ესავ შენდობისა პოვნასა. C v

იხილე, ნუუკუე სასოებითა მით შენდობისაჲთა სიმრავლე ბოროტთაჲ შეუკრიბო თავსა შენსა და ცოდვაჲ იგი გაქუნდეს, ხოლო შენდობასა ვერ მიემთხჳო.

/„ღმერთი არა მოიკიცხვის“[2*]. ნუ ჰვაჰრობ მადლსა მას, ნუ იტყჳ, თუ A 18 კეთილ არს რჩული, არამედ ტკბილ არს ცოდვაჲ. გულისთქუმაჲ სამჳედური არს ეშმაკისაჲ, ცოდვისა მიმართ მიმყვანებელი წარსაწყმედელად; გულისთქუმაჲ დედაჲ არს ცოდვისაჲ, ხოლო ცოდვაჲ საწერტელი სიკუდილისაჲ არს[3*]. გულისთქუმაჲ მზრდელი არს საუკუნოჲსა მის მატლისაჲ, რომელიიგი მიმღებელისა მისისა სასასა მცირედ ჟამ ტკბილ არს, ხოლო უკუანაჲსკნელ ნავღლისა უმწარეს იქმნების მოსაძნობელად.

არარას სხუასა ღაღადებს დროებაჲ, გარნა ამას: სუფევდინ ჩემ შორის პირველად ცოდვაჲ, მერმე სუფევდეს ოდესმეო უფალიცა; წარუდგინნე ასონი ჩემნი საჭურველად უშჯულოებისა ცოდვასა[4*] და მერმე ოდესმე წარუდგინნე იგინი საჭურველად სიმართლისა ღმერთსა. ესრეთ კაენცა შესწირვიდა შესაწირავსა თჳსსა: პირველთა მათ ნაყოფთა მიიღებდა განსასუენებელად თჳსად და მეორეთა შესწირვიდა შემოქმედისა და მომნიჭებელისა ღმრთისა. ეგრეთვე შენ, რაჲამს ძლიერ იყო და შემძ/ლებელ საქმედ, სიჭაბუკესა შენსა ცოდვასა C 41[?] შინა წარაგებ და რაჲამს მოუძლურდენ ჭურჭელნი იგი ცოდვისანი, მაშინ შესწირავ ამათ ღმრთისა, რაჲამს-იგი არღარად საჴმარ იყოს გუამი შენი, არამედ ქუე ოდენ იდვას მოუძლურებისაგან ძალისა შენისა.

სიბერისა სიწმიდე არა სიწმიდე არს, არამედ სიძვისა შეუძლებლობაჲ. მკუდარი გჳრგჳნოსან არა იქმნების. არავინ შეირაცხვის მართლად შეუძლებელობისათჳს ბოროტთაჲსა. არამედ ვიდრეღა ძალ-გედვას, მაშინ მოღუაწებით იმარხევდ ცოდვისაგან, რამეთუ ესე არს / სათნოებაჲ: მოქცევაჲ ბოროტისაგან A v და ქმნაჲ კეთილისაჲ[5*], ხოლო მოცალებაჲ ოდენ ბოროტისაგან არცა ქებისა

---

[2] ზედა C. [4] ჰსცნობსა C. [5] შეგუეწევის C. უშჯულოებისა C. [6] უშჯულოეო C. [7] მეგობრობასა C. ეძიებდჱ C. [8] ჰსცნა C. [9] და3°—A. [10] მიწდომისა C. მოსწრაფჱ C. ჰსძაგს C. [13] იხილჱ C. სიმრაველჱ C. [15] მიემთხჳვო C. [17] შჯული C. [19] ~ არს სიკუდილისაჲ C. [23] ~ღაღადებს დროებაჲ სხუასა C. [24] მერმჱ C. ოდესმჱ C. [25] მერმჱ C. [26] შესწირვიდა] შესაწირავად C. [31] ამათ] მათ C. [33] სიწმიდჱ C. შეუძლებელობაჲ C. [34] შეუძლებელობისაგან C.

[1*] ფსალმ. 49,21. [2*] გალატ. 6,7. [3*] I კორინ. 15, 56. [4*] რომ. 6,13. [5*] I პეტრე 3,11.

ღირს არს, არცა სატანჯველისა. უკუეთუ ჰასაკისათჳს დასცხრე ცოდვისაგან,
მადლი იგი არა შენი არს, არამედ უძლურებისაჲ მის. ხოლო ჩუენ ნეფსით
მოქმედთა კეთილისათა ვაქებთ და არა მათ, რომელნი იძულებით დაყენებულ
იყვნენ ცოდვისაგან.
და კუალად, საზღვარი ცხორებისა შენისაჲ ვის დაუც? ვის უქადებიეს
შენდა სიბერედმდე დროებაჲ? ვინ არს ესრეთ სარწმუნოჲ იგი თავსმდები
მომავალთაჲ მათ? არა ხედავ-ა, ვითარ ჩჩჳლნი წარიტაცებიან სიკუდილისა
მიერ? ჭაბუკნი წარვლენ? არა აქუს ერთი საზღვარი ცხორებასა ჩუენსა. რაჲ
B 56 მოელი ნიჭად თავქედისა ყოფად/* ნათლისღებასა, რაჟამს თქუ/მადცა ვერ
C v ძალ-გედვას სიტყუათა მათ ცხორებისათა და ნუუკუე სმენადცა კეთილად ვერ
შეუძლო? რაჟამს თავსა შინა დამკჳდრებულ იყოს სენი იგი, ვერ აღიპყრობდე
ჴელთა ზეცად, არცა ფერჴთა ზედა დადგომად, არცა მუჴლთა მოდრეკით თა-
ყუანისცემად, არცა ჯეროვნად მიღებად სწავლისა, არცა უცთომელად აღსა-
რებად, არცა ჯმნად მტერისაგან, და ნუუკუე მეცნიერებითცა ვერ სცნობდე
საიდუმლოსა მას დიდსა და იჭუეულ იყო მუნ მყოფთაგან, რომელნი იტყო-
დინ, ვითარმედ: „გულისჴმა-მე-ყო-ა მადლი იგი, ანუ უცნობელ არს საქმეთა
ამათ მიმართ?“ და მერმე, დაღაცათუ მეცნიერებით შეიწყნარო მადლი იგი,
მაშინ ტალანტი მიგიღებიეს და საქმჱ მისისა განმრავლებისაჲ არა გაქუს.
A 189 6. / მიემსგავსე საჭურისსა მას[1*], მან პოა მასწავლელი იგი და არა უგუ-
ლებელს-ყო სწავლაჲ. არამედ ეტლად აღიყვანა გლახაკი იგი მდიდარმან მან,
უპოვარი იგი და შეურაცხი — მძიმემან მან და ზუავმან, და ისწავა მან სახარე-
B v ბაჲ იგი სასუფეველისაჲ / და შეიწყნარა სარწმუნოებაჲ იგი გულითა, ხოლო
არა დროება-სცა ბეჭდისა მის სულიერისა მიღებასა. რამეთუ ვითარცა მიემ-
თხჳნეს წყალსა, თქუა მან: „აჰა წყალი“. სიხარულისაჲ არს სიტყუაჲ ესე, ვი-
თარმედ: „აჰა რომელსა ვეძიებდით, რაჲღა მაყენებს მე ნათლისღებად?“[2*].
C 420 სადა ნებაჲ მზა იყოს, / მუნ დამაყენებელი არავინ არს, რამეთუ მწოდებე-
ლი იგი კაცთმოყუარე არს, მსახური იგი მზა არს, მადლი უშურველი არს. გულ-
სმოდგინებაჲ იყავნ და დამახრწეველი არავინ იყოს. ერთი არს დამაყენებელი,
რომელი-იგი მოგჳღობავს ჩუენ გზათა მათ ცხორებისათა, რომელსა ვსძლიოთ
გულისჴმისყოფისა მიერ. იგი მოიღებს ჩუენ ზედა უდებებასა ამას, ხოლო
ჩუენ აღვდგეთ ბრძოლად მისა. იგი ამაოჲთა ქადებითა აცთუნებს გულთა
ჩუენთა, ხოლო ჩუენ ნუმცა უმეცარ ვართ ზრახვათა მათ მისთა. ანუ არა ეს-
რეთ არს-ა მარადის საქმე მისი, რომელი ცოდვისა ქმნასა დღეს გუაწუევს და
სიმართლესა ხვალისა დამარხვად გუარწმუნებს? ამისთჳსცა უფალი მისთა მათ
განზრახვათა დაჰჴსნის და იტყჳს, ვითარმედ: „დღეს თუ ჴმისა ჩემისაჲ ისმი-
ნოთ“[3*]. იგი იტყჳს: „დღესისა დღჱ ჩემდა და ხვალისაჲ — ღმრთისა“.
B 57 და უფალი ღაღადებს: „დღეს ჴმისა ჩე/მისაჲ ისმინეთ“. გულისჴმა-ყავ

[1] დაჰსცხრჱ C. [2] ნებსით C. [6] საზღვარიცა C. ცხოერებისა C. [6] სიბერედმდჱ C. [7] ჰხედავა C. [8] ცხოვრებასა C. [12] თაყუანის- C. [13] აღსაარებად BC. [14] სცნობდჱ C. [15] საჲდუმლოსა B. ჲჭუეულ B. იტყოდიან C. [16] გულისხმა- C. [17] მერმჱ C. [18] გუაქუს B. [19] პუვა C. [21] უპოარი B. მან—A. [23] დროვება-ჰსცა C. მიემთხჳვნეს C. [25] მე—C. [27] კაცთმოყუარჱ C. იგი—C. უშურველ BC. და გულსმოდგინებაჲ C. [29] ცხოერებისათა C. ვსძლოთ C. [30] გულისხმისყოფისა C. [31] მისა]მისდა B, მისსა C. გულთა]სულთა C. [33] საქმჱ C. რომელ BC. [35] ჩემისა BC. [36] ღთ~სა C. [37] ისმინეთო C. გულისხმა-ყაელა C.

[1*] საქმე 8,27. [2*] საქმე 8,36. [3*] ფსალმ. 94,8.

* აქ გრძელდება ტექსტი B ნუსხაში.

უკეთურებაჲ იგი მტერისაჲ, ვერ იკადრებს განზრახვად, / რაჲთამცა სრულიად A v
ვინ განეშორა ღმერთსა (იცის, ვითარმედ მძიმე არს ესე სასმენელად ქრისტია-
ნეთა), არამედ ჴელოვნებითა საცთურებისაჲთა ჰნებავს აღსრულებაჲ ნებისა
თჳსისაჲ. ბრძენი არს იგი და მრავალღონე ბოროტის ყოფისა მიმართ[1*], გუ-
ლისჴმა-ჰყოფს, ვითარმედ კაცნი, რომელსა ჟამსა შინა ვიყვნეთ, მას შინა
ვცხორებთ და ყოველი საქმჱ ჟამსა მას, რომელსა შინა იყოს კაცი, / მაშინ C v
იქმნების. ხოლო იგი დღესისა დღესა ღონისძიებით წარიპარავს ჩუენგან და
ხვალისა სასოებასა დაგჳტეობს ჩუენ და კუალად, რაჟამს ხვალისა იგი დღჱ
მოვიდეს, კუალად მოვალს ბოროტი იგი თანამონაწილჱ ჩუენი და გუეტყჳს,
ვითარმედ: „დღესისაღა დღჱ ჩემდა იყავნ და ხვალისაჲ — უფლისა“. და ეს-
რეთ მარადის მას დღესა, რომელსა შინა ვიყვნეთ, ბოროტად წარიღებს ჩუენ-
გან და მომავალისა მის სასოებასა დაგჳტევებს და უცნაურად წარიპარავს
ცხორებასა ჩუენსა.

7. ესევითარი მანქანებაჲ ვიხილე მე ოდესმე მფრინველისა მრავალღონი-
საჲ: რამეთუ ადვილად შესაპყრობელ იყვნეს მართუენი მისნი სიჩჩოჲსაგან,
და ამისთჳს მან მოაქციის წინაშე მათსა თავი თჳსი და, ვითარცა შესაპყრობე-
ლად მზაჲ, იქცევინ / წინაშე მონადირეთასა. და არცა შეპყრობად უტევებდა B v
მათ თავისა თჳსისა, არცა წარუკუეთდა სასოებასა შეპყრობისასა, არამედ ეს-
რეთ მანქანებით სასოებითა შეპყრობისაჲთა დაიმჭირნა იგინი და მის ზედა
უცალოებითა მათითა მისცა მართუეთა ჟამი სივლტოლისაჲ და მერმე, უკუა-
ნაჲსკნელ, იგიცა წარვიდა. გეშინოდენ, ნუუკუე შენ ზედაცა ესრეთვე / მოი- A 190
წიოს, რაჟამს სასოებითა მით უცნაურთა საქმეთაჲთა ცხადსა მას დაუტეობდე.

მოვედ უკუე და ყოვლითურთ თავი შენი შემოჰვედრე უფალსა, მიეც
სახელი შენი აღწერად, / დაიწერე ეკლესიისა კრებულსა თანა, რამეთუ მჴე- C 421
დარი მჴედართა თანა აღიწერების; მორკინალი, დაიწერის რაჲ, მერმე შევიდის
რკინობად; მოქალაქჱ ქალაქისათა თანა დაიწერის და შეირაცხის. ამათ ყო-
ველთა ზიარ ხარ, ვითარცა მჴედარი ქრისტესი, ვითარცა მორკინალი ჭეშმარი-
ტებისათჳს, ვითარცა მოქალაქჱ ზეცისაჲ. დაიწერე ამას წიგნსა, რაჲთა აღიწე-
რო ზეცისასა. ისწავე მოქალაქობაჲ იგი კეთილი, შეკრძალვაჲ თუალთაჲ,
დამჭირვაჲ ენისაჲ, დამონებაჲ ჴორცთაჲ, სიმდაბლჱ გონებისაჲ, / სიწმიდე გუ- B 58
ლისსიტყუათაჲ, უჩინოყოფაჲ მრისხანებისაჲ. რომელი გიბრძანებდეს, ერჩდი
მას[2*], რომელი გაჭირვებდეს, ნუ წინა-აღუდგები[3*]. მოძულენი შენნი შეი-
ყუარენ[4*], მდევართა შენთა ულოცევდ. მწყევართა შენთა აკურთხევდ[5*],
მკუდარ იყავ ცოდვისა მიმართ[6*], ჯუარც-ეცუ ქრისტეს თანა, ყოველივე
სიყუარული შენი შეცვალე უფლისა მიმართ.

---

[2] განშორა C. მძიმჱ C. [3] საცთურისაჲთა BC. [4] მრავალღონჱ C. გულისხმა- C [6] ვცხოვ-
რებთ C. საქმე B. [8] დაგუტევებს B, დაგკტევობს C. დღე B. [9] თანამონაწილე B. გუეტყჳნ C.
[10] დღე B. ხვალისა B. [11] ~ შინა რომელსა A. ვიყვენით B. [12] დაგკტევობს C. [13] ცხორე-
ბას A, ცხოვრებასა C. [14] მფრინველისა BC. [15] სიჩჩუესაგან B. [16] მისთჳს B. [19] სასოვებითა C.
[20] მერმჱ C. [21] ზედა B. მოაწიოს B. [22] მას—C. დაუტევობდე B, დაუტეობდჱ C. [23] მოედ
B. და—C. შეჰვედრე BC. [24] დაჲწერე B. კრებულთა BC. [25] მერმე—C. [26] მოქალაქე B. შეა-
რაცხის B. [28] მოქალაქე B. დაჲწერე B, დაიწერჱ C. ~ წიგნსა ამას C. [30] სიმდაბლე B.
სიწმიდჱ C. [32] რომელი-იგი C. დაგაჭირვებდეს BC. გიყუარდინ B, გიყუარდენ C. [35] შეცვალჱ C.
უფლისა]ღისა BC.

[1*] იერემ. 4,22. [2*] მათე 5,41. [3*] მათე 5,40. [4*] მათე 5,44. [5*] I კორინ. 4,12. [6*] რომ.
6,2.

ანუ ძნელოვან არიან-ა საქმენი ესე? რომელი არს უკუე კეთილთაგანი
ადვილ? ვინ მიიღო ძლევაჲ ძილითა? ვინ დაიდგა გჳრგჳნი იგი მოთმინებისაჲ
შუებითა და განცხრომითა? არავინ გჳრგჳნოსან ქმნულ არს უშრომელად.
ჰირი შობს დიდებასა, შრომანი მომატყუებელ არიან გჳრგჳნთა. მეცა ვიტყჳ,
ვითარმედ: „მრავალთა ჭირთა მიერ გჳჯმს შესლვად სასუფეველსა ცათა-
A v სა"[1*]. არამედ მათ ჭირთა ნეტარებაჲ იგი / სასუფეველისა ცათაჲსაჲ მიე-
C v ლის, ხოლო შრომათა მათ ცოდვისათა სიმწ/არე იგი და სიბოროტჱ ჯოჯოხე-
თისაჲ შეუთქს. რამეთუ უკუეთუ კეთილად გამოიძიო და გულისჴმა-ჰყო, სა-
B v ქმენიცა იგი ეშმაკისანი მოქმედთა მათ ურჩულოებისათა / არა უშრომელად
ექმნებიან. რამეთუ რომელნი ოფლნი არიან სიწმიდისანი? ხოლო მსიძავი მა-
რადის შეოფლებულ არს, რაჲამს-იგი განჰლევნ მას გულისთქუმაჲ. რაჲზომ
დააკლოს ესრეთ ჴორცთა მარხვამან, ვითარ-იგი განხრწნის ბოროტი იგი და
შეგინებული ბილწებაჲ? დაღაცათუ ღამენი უძილად განვლნიან, რომელნი-იგი
ილოცვიდიან მღჳძარებით, არამედ ფრიად უბოროტესად განავლებენ, რომელ-
ნი-იგი იღჳძებდიან ბოროტთა შინა. რამეთუ შიში იგი გამოცხადებისაჲ და კუა-
ლად გულისთქუმისა მის მიმართი სიბორგილჱ ყოველსავე განსუენებასა შორის
ჰყოფენ მისგან.

უკუეთუ კულა შენ ევლტოდი იწროებასა მას ცხორებად მიმყვანებელისა
გზისასა და ვრცელსა მას ცოდვისასა სდევდე, მეშინის, ნუუკუე აღსასრულად-
მდე ფართოჲ იგი ჰვლო და შემსგავსებული გზისა შენისაჲ ჰპოო სადგურიცა
ბოროტი.

ანუ ძნელ არს-ა დამარხვაჲ საუნჯისაჲ მის? არამედ იღჳძებდი, ძმაო, და
სცევდი მას. გქონან შემწენი, უკუეთუ გნებავს: ლოცვაჲ ღამით მცველი, მარ-
ხვაჲ თანაშემწჱ, ფსალმუნებაჲ ნუგეშინისმცემელი — ესენი მიიწიენ შენ თანა,
B 59 ესენი ჴუმილვიდენ შენ თანა / საცავსა მას ზედა / პატიოსანთასა. მითხარ-ღა,
C 422 თუ რაჲ არს უმჯობეს? რაჲთა მდიდარ ვიყვნეთ და მერმე ვზრუნვიდეთ სიმ-
დიდრისა მის დამარხვად. ანუ თუ ყოლადვე არარაჲ გუაქუნდეს, რაჲთამცა
A 191 დავცევით? / რამეთუ შიშითა გამოჴუებისაჲთა არავინ ივლტის კეთილთაგან,
თუ არა, არარაჲმცა კაცობრივთაგანი წარემართა, უკუეთუ ყოველსა ზედა საქ-
მესა არა განმარჯუებასა ვიგონებდით. რამეთუ იპოების მუშაკობასა თანა უნა-
ყოფოებაჲ, ვაჭრობასა თანა დანთქმაჲ, ქორწინებათა თანა სიქურივე. არამედ
ჩუენ ვიწყებთ ქმნად საქმეთა სასოებითა უმჯობესისაჲთა, ხოლო სასოებისა
მის აღსრულებასა შევჰვედრებთ განმგებელსა მას ჩუენსა უფალსა. ხოლო შენ
სიტყჳთ პატივ-სცემ სიწმიდესა და საქმით ბოროტთა მათ შინა იქცევი. იხილე,
ნუუკუე შე-ოდესმე-ინანნე ბოროტნი ეგე განზრახვანი, რაჟამს-იგი სარგებელი
სინანულისაჲ არღარა იყოს.

გეშინოდენ იგავისა ქალწულთაჲსა[2*], რამეთუ მათ ზეთი ჰურჰელთა

---

[3] ქმნილ BC. უშურომელად C. [4] შურომანი C. [6] ცათაჲსა B. შურომათა C. სიმწა-
რჱ C. სიბოროტე B. [8] შეუდგს BC. გულისხმა-ჰყვნჱ C. [9] მათ —C. უშჯულოებისათა C.
უშურომელად C. [10] იქმნებიან B. [10] ოფლ B. [12] განჰხრწნის BC. [13] და დაღაცათუ B.
[14] ილოცვიდიან BC. [16] მიმართ BC. სიბორგილე B. [18] ცხოვრებად C. [19] სდევდჱ C. [20] ჰპო-
ვო C. [24] თანაშემწე B. [25] ჴუმილვიდედ B. [26] ~ უმჯობეს არს C. რაჲთა]რაჲ A. მერმჱ C.
[27] განქუნდეს B. [30] ვიგონებდეთ C. იპოვების C. [31] ვაჭრობათა BC. [32] ქმნად—C. [33] შევავედ-
რებთ C. [34] -ჰსცემ C. იხილჱ C.

[1*] საქმე 14,22. [2*] მათე 25,1.

მათთა არა აქუნდა და რაჲამს-იგი უჴმდა შესლვაჲ სიძისა თანა, მაშინღა გულისჴმა-ყვეს ნაკლულევანებაჲ იგი მათი. ამისთჳსცა სამართლად სახელ-სდვა / B v მათ ცოფად სიტყუამან, რამეთუ ჟამი იგი ზეთისა ჴმარებისაჲ წარჰჴადეს მიმოსლვასა შინა და ძიებასა ზეთისასა და ვერ გულისჴმა-ყვეს, ვითარ-იგი დაშთეს / გარეგან და გამოაჴუნეს თავნი მათნი ბრწყინვალებისა მისგან სასძლოჲსა C v მის.

ამისთჳს იხილე, ნუუკუე შენცა წლითი-წლად და დღითი-დღედ და ჟამითი-ჟამად ადროებდე და არა მიიღებდე ზეთსა, საზრდელსა მას ნათლისასა, და ესრეთ შთაჰვარდე დღესა, რომელსა არა მოელოდი. რაჲამს-იგი მოგაკლდენ შენ მიზეზნი ცხორებისანი და იყოს ყოვლით კერძოვე იწროებაჲ და ჭირი მოუთმენელი, რომელსა არა / აქუნდეს ნუგეშინისცემაჲ, რაჲამს-იგი განგწირონ A v მკურნალთა და განგწირონ თჳსთა შენთა, რაჲამს-იგი შეპყრობილ იყო სენითა მით მძიმითა და სასიკუდინოჲთა, რაჲამს სიმჴურვალე მძაფრი შესწუვიდეს შინაგანსა შენსა და სულთ-ითქუნე სიღრმითა გულისა შენისაჲთა, ხოლო ნუგეშინისმცემელი არა ჰპოო და სთქუა შენ სიტყუაჲ რაჲმე წურილი და უნდოჲ და არავინ იყოს, რომელმანმცა ისმინა, არამედ ყოველივე, რომელსაცა იტყოდი, წარევნად შერაცხილ იყოს, ვინ მოგცეს მაშინ ნათლისღებაჲ? ვინ მოგაჴსენოს დამძიმებულსა მას ენებითა / მით სენისაჲთა? თჳსნი შენნი შეურვებულ იყვნიან და მწუხარე შენისა სიკუდილისათჳს და უდებ ჰყოფდიან მოჴსენებასა. რომელნი გარეგან ვნებისა მის იყვნიან, მათ არარაჲ აქუნ საურავი B 60 შენთჳს. მეგობარსა უმძიმნ მოჴსენებაჲ. ვითარცა შემაშფოთებელი, ნუუკუე მკ/ურნალიცა გაცთუნებნ და შენ სასოებასა არა წარიკუეთდი ბუნებით ცხორებისმოყუარეობისათჳს. ღამე არნ მაშინ და ოჴრებაჲ შემწეთაგან: ანუ ნათლისმცემელი არა არნ, ანუ სიკუდილი მოწევნულ არნ, წარმყვანებელნი იგი C 423 გასწრაფობდიან. ვინ იყოს მაშინ მჴსნელ შენდა? — ღმერთი, რომელი-იგი მარადის შენ მიერ შეურაცხ იყო-ა? ანუ იტყჳ, თუ მაშინ ისმინოს-ა? არამედ იხილე, თუ აწ შენ ვითარ ისმენ მისსა. ანუ ჟამი დროებისაჲ მოგცეს-ა? რამეთუ რომელი-ეგე მოგცა, კეთილად იჴმარე-ა შენ?

8. „ნუმცა ვინ გაცთუნებს ამაოჲთა სიტყჳთა"[1*], რამეთუ „მოიწიოს შენ ზედა მეყსა შინა წარწყმედაჲ"[2*] და დაქცევაჲ მსგავსად ნიავქარისა მოჴდეს: მოვიდეს ანგე/ლოზი მჭმუნვარე, რომელი-იგი წარიყვანებდეს იძულებით და A 192 ზიდვიდეს სულსა შენსა, შეკრულსა ცოდვათა მიერ, / რომელი-იგი ზედაჲსზედა მოიქცეოდის სოფლისა ამის მომართ და გოდებდეს თჳნიერ ცრემლთაჲსა, რაჲამს-იგი ორღანოჲ გოდებისაჲ დაჴშულ იყოს. B v

ჰ, რაჲზომ აბრალო მაშინ თავსა შენსა, რაჲზომ სულთ-ითქუნე უსარგებლოდ და ინანდე ბოროტთა მათ განზრახვათა შენთა, რაჲამს იხილო სინათლჲ მართალთაჲ ბრწყინვალესა მას განყოფილებასა. შინა ნიჭთასა და მჭმუნვარებაჲ ცოდვილთაჲ ბნელსა მას შინა ღრმასა!

---

[1] გულისხმა- C. [4] გულისხმა- C. [5] ბრწყინვალებისა] მბრწყინვალებისა მის C. [7] იხილჲ C. [8] ადროებდჲ C. [9] შეჰვარდე C. მოელოდჲ C. [11] ჰქუნდეს B, ჰქუნდის C. [13] სიმჴურვალჲ C. მძლაფრი B. [14] -ითქუნჲ C. სიღრმეთგან BC. გულისა (τῆς καρδίας)] სულისა BC. შენისათა BC. [15] ჰპოეო C. წულილი C. [19] მწუხარჲ C. [22] ცხორებისმოყუარეობისათჳს B. [23] ღამჲ !B. ,[24] ანუ—A. [25] გასწრაფობდიედ B, გასწრაფებდიან C. ღმერთია C. [26] შეურაცხ იყო C. იტყუ B. ისმინოს C. [27] მოგცეს B. [28] იჴმარე AB, იჴმარჲა C. [29] გაცთონებს B|+შენ C. [30] მეჴსსა B. [31] მჭუნვარე B. მჭმუნვარჲ C. [33] მოიქცეოდის C. [35] ჰ+თუ C. -ითქუნჲ C. [36] სინათლე B. [37] ბრწყინვალესა მას განყოფილებასა] მბრწყინვალებასა BC. [38] მჭუნვარებაჲ B. მას—C.

[1*] ეფეს. 5,6. [2*] I თესალ. 5,3.

ჵ, ვითართა სიტყუათა იტყოდი მაშინ სალმობითა გულისა შენისაჲთა? [C v] „ვაჲმე, ვითარ არა განვა/გდე ჩემგან მძიმე ესე ტჳრთი ცოდვათაჲ, ვინაჲთგან ესრეთ ადვილ იყო განგდებაჲ მისი, არამედ უდებებისათჳს ჩემისა ტჳრთი ესე მრავალთა ამათ ბოროტთაჲ თავსა ზედა ჩემსა დავიკრიბე? ვაჲმე, ვითარ არა განვიბანენ შეგინებულებანი ესე ჩემნი, არამედ ესრეთ შებღალული ვარ ცოდვითა? აწმცა ვიყავ ანგელოზთა თანა, აწმცა კეთილთა მათ შინა ზეცისათა ვიშუებდი. ჵ ბოროტნი იგი განზრახვანი! წარმავალისა მისთჳს გემოჲსა ცოდვათაჲსა უკუდავად ვიგუემები, გულისთქუმათათჳს ჴორცთაჲსა ცეცხლსა [B 61] მივეცემი. სამართალ არს / საშჯელი ღმრთისაჲ: მიწოდდეს მე ცხორებისა მიმართ და მე არა ვერჩდი, მასწავლიდეს და არა ვისმენდი, მეტყოდეს მე უმჯობესსა, ხოლო მე ვეცინოდე“.

ამათ ესევითართა სიტყუათა იტყოდი და სტიროდი და იგლოვდე თავსა შენსა, უკუეთუ წარხჳდე უწინარეს ნათლისღებისა და არარაჲ გერგოს.

[A v] / კაცო, ანუ გეჰენიისაგან გეშინოდენ, ანუ სასუფეველისა მიმართ სურვიელ და მოსწრაფე იყავ. ნუ შეურაცხ-ჰყოფ წოდებასა მას, რომლითა იწოდე. ნუ იტყჳ, თუ: „ჴმნილმცა ვარ ამის და ამის რომლისამე მიზეზისათჳს“. არცა ერთი მიზეზი არს ჭეშმარიტ ჴმნისა მიმართ. მე მიკჳრს და ვცრემლოი, რაჲამს [C 424] მოვიგონო, ვითარმედ საქმეთა სირცხჳლისათა პატი/ვ-სცემ უფროჲს დიდისა მის დიდებისა ღმრთისა და გულისთქუმისათჳს შეგინებულისა ვერ განეშორები ცოდვისაგან და ამისთჳს კეთილთა მათგან სასუფეველისათა გამოაჴუებ თავსა შენსა, რაჲთა არა იხილნე კეთილნი იერუსალემისა მის ზეცათაჲსანი, სადა-იგი არიან ანგელოზთა ბევრეულნი, პირმშოთა კრებულნი, მოციქულთა [B v] საყდარნი, წინაჲსწარმეტყუელთა საყოფელნი, სამკჳდრებელნი მამათ/მთავართანი, გჳრგჳნნი მოწამეთანი, განსასუენებელნი მართალთანი. მათ თანა გსუროდენ შერაცხვად თავისა შენისა, რაჲამს განიბანო და განსწმდე ნიჭითა მით ქრისტესითა, რომლისა არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

[B 413] [C 219 r]

XIV. თქუმული მისივე წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი სარწმუნოებისათჳს წმიდისა სამებისა

1. მარადის ჴსენებაჲ ღმრთისაჲ კეთილ არს და განუძლომელ სულისა მის ღმრთისმოყუარისა, ხოლო სიტყჳთ გამოცხადებაჲ საქმეთა ღმრთისათა კადნიერება არს. რამეთუ გონებაჲ უზომოჲთა ნაკლულევანებითა გამოეჴუების გულისჴმისყოფისაგან ჭეშმარიტებისა საქმეთა მისთაჲსა და კუალად სიტყუაჲ

PG, 31, გვ. 464—472

[2] მძიმჱ C. [4] მათ BC. დავიკრიბჱ C. [5] ესე—C. შებღალულ C. [6] მათ—BC. [9] მიწოდეს B. [10] და 2°+მე C. [11] ვეცინოდი BC. [12] ეგლოვდე B, იგლოვდჱ C. [13] წარხჳდჱ C. [14] გეჰჱნიისაგან C. შეიშინე A. [15] მოსწრაფჱ C. იწოდჱ C. [16] რომლისა B. [17] ჭეშმარიტი C. ვცრემლოჲ B, ვცრემლოვი C. [18] -ვსცემ C. [19] შეჳინებულისა C (C-ში „ულ“ ამ სიტყვაში შემდეგაა ჩამატებული). [21] ზეცათაჲსა A. [23] მამადმთავარნი B. [25] განჳსწმდჱ C. [26] რლ˝ისაჲ C. სიმტკიცჱ C. [27] ა˝ნ ABC. [28] მისივე—C. წმიდისა+და ნეტარისა C. ჩუენი B] + დიდისა C. ბასილისი] ბასილი კესარია-კაბადუკიელ მთავარეპისკოპოსისაჲ C. [30] მპ)მ˝რ C. [31] კადნიერებაჲ C. რამეთუ] და C. [32] გულისხმისყოფის აგან C.

ვერ შემძლებელ არს გამოცხადებად, რაჲ-იგი გონებასა მოსრულ იყოს, ყოველივე.

აწ უკუეთუ გონებაჲ ჩუენი ესრეთ უზომოდ მიუწთომელ არს / [A 193] სიმაღლესა მას საქმეთასა, ხოლო სიტყუაჲ უდარეს არს თჳთ ჩუენი/[C v]სავე გონებისაცა, ვითარ არა ჯერ-არს დუმილი? ნუუკუე უნდოებისა მისგან სიტყუათაჲსა დამდაბლდეს საკჳრველებაჲ იგი ღმრთისმეტყუელებისაჲ?

რამეთუ სურვილი დიდებისა ღმრთისაჲ ყოველთა სიტყჳერთა თანა ბუნებით დათესულ არს, ხოლო ღირსად მისთჳს თქუმისაგან ყოველნივე სწორებით ნაკლულევან არიან. არამედ სურვილითა მით ღმრთისმსახურებისაჲთა* ერთი-ერთსა უმეტეს არს, გინა უდარეს. ხოლო არავინ არს ესრეთ აღზუავებულ და შეცთომილ გონებითა, რაჲთამცა ჰგონებდა, თუ მიწევნულ არს თავსა მას ძიებისასა, არამედ რაჲზომცა წარემართებოდის გულისჴმისყოფისა მიმართ, ესეზომად სცნობს უძლურებასა თჳსსა.

ესრეთ იყო აბრაჰამ, ესრეთ იყო მოსე, რაჟამს-იგი შეუძლეს ხილვად ღმრთისა (ვითარ-იგი შესაძლებელ არს კაცისა მიერ ხილვაჲ მისი), მაშინ უმეტესად შეურაცხ-ყვნეს ორთავე თავნი მათნი, რამეთუ აბრაჰამ მიწად და ნაცრად უწოდა თავსა თჳსსა[1*], ხოლო მოსე — ჴმაწულილად და ენაბრკუდ[2*], რამეთუ ხედვიდა უძლურებასა მას ენისა / [C 220] თჳსისასა, რომელ ვერ შემძლებელ იყო სიმაღლესა მას ხილულთასა თქუმად. გარნა ვინაჲთგან ყოველივე სასმენელი განღებულ არს ღმრთისმეტყუელებისა სმენად და განძღომაჲ არა არს ეკლესიისაჲ ამათ სიტყუათაგან და დაამტკიცებს სიტყუასა მას სოლომონისსა, ვითარმედ: „არა აღივსოს სასმენელი სმენითა“[3*], ამისთჳს კეთილ არს თქუმაჲ ძალისაებრ ჩუენისა.

ხოლო ვთქუათ არა თუ ესეზომი, რაჲზომ არს ღმერთი, არამედ რაჲზომ/[A v]-იგი ჩუენ მივსწუთებით. რამეთუ არცა თუ ვინაჲთგან ადგილისა მის, რომელ არს შორის ცისა და ქუეყანისა, თუალითა ჩუენითა ყოველსავე ვერ შემძლებელ ვართ ხილვად, ამისთჳსმცა, რომელი ძალ-გჳც ხილვად, იგიცამცა უდებ ვყავთ-ა?

ეგრეთვე აწ მცირეთა ამათ სიტყუათა მიერ კეთილადმორწმუნეობაჲ ჩუენი გამოვაჩინოთ, ხოლო დიდებულებასა მას ბუნებისასა მივსცეთ ძლევაჲ ყოვლისა სიტყჳსაჲ. რამეთუ არცა თუ ანგელოზთა ენანი, რანიცა-იგი სადმე არიან, არცა მთავარანგელოზთანი, თუმცა შემოკრბეს ყოვლისავე სიტყჳერისა ბუნებისა თანა ერთად და იტყოდეს, / [C v] შე-მცა-უძლეს მცირესაცა რაჲმე ნაწილსა მისისა ბუნებისასა მიწთომად, არა თუმცა ცნეს იგი სრულიად.

ხოლო შენ, უკუეთუ გნებავს ღმრთისათჳს თქუმად ანუ სმენად, დაუტევენ ჴორცნი შენნი, დაუტევენ ჴორციელნი იგი საცნობელნი, დაუტევე ქუეყანაჲ, დაუტევე ზღუაჲ**, ქუეშე შენსა მოაქციენ ჰაერნი, თანა-წარჰჴედ ჟამთა,

---

[1] გამოცხადებაჲ B. [3] უკუეთუ] უკუე A. უზომოდ—C. მიუწდომელ C. [4] სიტყუათასა B. [12] ძიებისასა] ძლიერებისასა C. გულისხმის- C. [14] მოსე C. [15] და მაშინ C. [16] -ჰყვნეს C. [17] უწოდდა C. მოსე C. [18] ჰხედვიდა C. თჳსისა C. [19] ყოველი C. სასმენელი] სმენელი C. [20] და—C. [22] აღივსის C. [24] რაჲზომი C. [25] მივსწუდებით C. [27] ხილვად—A. ამისთჳსცა C. იგიცა C. [28] ვყავთ C. [29] მცირეთა C. [31] სიტყჳსა C. რანიცა-იგი] რომელნიცა იგი C. [33] ბუნებასა C. რაჲმე C. [34] მიწდომად C. [37] ქუეშე C.

[1*] დაბად. 18,27. [2*] გამოსლ. 4,10. [3*] ეკლეს. 1,8.

* B ხელნაწერს ამ ადგილას აკლია ფურცლები. ** სამივე ხელნაწერში გამორჩენილია სიტყვა „ზღუაჲ“, შდრ. ბერძნ. καταλείπε τὴν θάλασσαν (დაუტევე ზღუაჲ).

წელიწადთა წესიერებასა, ქუეყანისა ამის სამკაულთა, უზეშთაეს ათერისა იქმენ;)
თანა-წარჰჴედ ვარსკულავთა და საკჳრველებათა მათთა, შუენიერებასა მათსა
და სიდიდესა და საქმეთა მათთა და საჴმართა, რომელნი მოანიჭებენ სოფელ-
სა ბრწყინვალებასა მათსა, განწესებულებასა, სლვასა — თუ ვითარ შეერთე-
ბულ და განყოფილ არიან ურთიერთას. ყოველსავე წარჰჴედ, უზეშთაეს ცისა
ამაღლდი და უმაღლეს მისა იქმენ. გონებითა ოდენ მიმოიხილე მუნ მყოფთა
მათ შუენიერებათა ზედა: მჴედრობათა ცისათა, დასებასა ანგელოზთასა, ერი-
.A 194 სთავობასა მას მთავარანგელოზთასა, / დიდებუ/ლებასა უფლებათასა, პატიოსნე-
(C 221 ბასა მას საყდართასა, ძალთა მათ და მთავრობათა და ჴელმწიფებათა. და ამათ
ყოველთა თანა-წარჰჴედ და უმაღლეს ყოვლისა დაბადებულისა ყავ გონებაჲ
შენი და გულისჴმა-ყავ ბუნებაჲ იგი ყოვლად წმიდაჲ: მდგომარე, მიუდრეკე-
ლი, უცვალებელი, უვნებელი, მარტივი, შეურევნელი, განუყოფელი; ნათელი
თუალთშეუდგამი[1*], ძლიერებაჲ გამოუთქუმელი, სიდიდე გარეშემოუწერელი,
დიდებაჲ ბრწყინვალჱ, სახიერებაჲ და სიკეთჱ საწადელი, შუენიერებაჲ მოუ-
გონებელი, რომელი-იგი ძლიერად შეეხების სიყუარულითა მისითა განგურე-
მულსა მას სულსა, ხოლო სიტყჳთა გამოცხადებად შეუძლებელი.

2. მუნ მამაჲ და ძჱ და სული წმიდაჲ, დაუბადებელი იგი ბუნებაჲ, სა-
მეუფოჲ პატივი, ბუნებითი სახიერებაჲ. მამაჲ — დასაბამი ყოველთაჲ, მიზეზი
იგი არსებისა არსთაჲ, ძირი იგი ცხოველთაჲ. რომლისაგან გამოვიდა წყაროჲ
იგი ცხორებისაჲ, სიბრძნე და ძალი, ხატი იგი შეუცვალებელი უხილავისა
C v ღმრთისაჲ[2*], / მამისაგან შობილი ძჱ. ცხოველი იგი სიტყუაჲ, რომელი-იგი ღმერ-
თი არს და ღმრთისა თანა არს[3*], არს და იყო. არა თუ უკუანაჲს შემოვიდა,
B 414 რომელი იყო წინა საუკუნეთა, არა თუ უკუანაჲს იქმნა, ძე* / არა დაბადე-
ბული, შემოქმედი, არა შექმნილი, აღმაშენებელი, არა აღშენებული. ყოველი-
ვე არს, რაჲ-იგი არს მამაჲ. ძჱ ვთქუ და მამაჲ. დამიმარხენ მე: ესე თჳთებანი
ჰგიეს უკუე ძეობასა შინა და ყოველივე არს, რაჲ-იგი არს მამაჲ, ვითარცა
.A v თქუა თავადმან უფალმან: „ყოველივე, / რომელი აქუს მამასა, ჩემი არს“[4*]. რა-
მეთუ ჭეშმარიტად ხატისაჲ არს ყოველი, რომელიცა-იგი არს პირმშოჲსა მის-
ვე ძისაჲ, ვითარცა იტყჳს მახარებელი, ვითარმედ: „ვიხილეთ დიდებაჲ მისი,
დიდებაჲ, ვითარცა მხოლოდშობილისაჲ მამისა მიერ“[5*], ესე იგი
არს, ვითარმედ არა ნიჭითა და მადლითა მიეცნეს მას სასწაულნი,
არამედ ზიარებითა მით ბუნებითითა აქუს ძესა მამულისა მის
ღმრთეებისა პატივი. რამეთუ მოღებაჲ ზიარი არს დაბადებულთა თანა. ხოლო
ბუნებით ქონებაჲ თჳსი არს შობილისაჲ მის. რამეთუ ვითარცა ძესა ბუნებით
აქუს მამისაჲ იგი, ხოლო ვითარცა მხოლოდშობილსა ყოველივე აქუს შემო-
(C 222 კრებუ/ლად თავსა შორის თჳსსა და არცა ერთი რაჲ განიყოფვის სხუასა ვისმე
მიმართ. თჳთ სახელისა მისგან ძეობისა ვისწავლით, ვითარმედ ზიარი არს

---

[3] და 2°—C. რომელნი]რლ῀თა A. [6] აღმაღლდი C. მისსა C. მიმოიხილენ C. [7] ანგელოს-
თასა C. ერისთაეობასა C. [8] მთავარანგელოსთასა C. [11] გულისხმა- C. მდგომარჱ C. [13] სიდიდჱ C.
გარეშეუწერელი A, გარჱშემოუწერელი C. [14] მბრწყინვალჱ C. [15] რომელი C. [16] სიტყჳთ C.
[17] და1°—C. [18] მამაჲ]მარადის C. [19] არსთაჲსა C. ცხოველთაჲ C. [20] ცხრ῀ბისაჲ C. სიბრძნჱ C.
[21] ცხოველი C. [22] იყო+წინა საუკუნეთა C. [23] არა თუ უკუანაჲს იქმნა—C. ძჱ C.
[24] შექმნული C. [25] ძე B. [26] ყოველი C. [30] დიდებაჲ + დიდება B. მხოლოდშობილისა BC.
[32] ბუნებისაჲთა C. [36] და]რამეთუ C.

[1*] I ტიმ. 6,16. [2*] კოლას. 1,15. [3*] იოანე 1,2. [4*] იოანე 16,15. [5*] იოანე 1,14.

* აქ გრძელდება ტექსტი B ხელნაწერში.

ბუნებისაჲ არა ბრძანებით დაბადებული, არამედ არსებისაგან მისისა / გამო- B v
სრული. განუშორებელად უჟამოდ მამისა თანა მყოფ არს, სწორი სახიერებითა, სწორი ძალითა, ზიარი დიდებისაჲ. და რაჲმცა იყო სხუაჲ, გარნა ბეჭედი და ხატი, რომელი ყოვლითურთ მამასა თავსა შორის თჳსსა გამოაჩინებს? ხოლო რავდენნიცა სიტყუანი გესმნენ ბუნებისა მისგან კაცობრივისა მისისა თქუმული, გულისჴმა-ყავ, ვითარმედ ცხორებასა კაცთასა განაგებს, რომელი გამოგჳჩნდა ჩუენ ჴორცითა, რაჟამს-იგი იტყოდის თავსა თჳსსა მოვლინებულად და ვერარაჲსა შემძლებელად თავით თჳსით ყოფად და მომღებელად მცნებისა და ვითარმედ: ღმერთი ჩემი და ღმერთი თქუენი და მამაჲ უზეშთაეს არს ჩემსა. და დაბადებაჲ და ქმნაჲ და წმიდაყოფაჲ და მონებაჲ და მორჩი-
ლებაჲ და მიცემაჲ და სწავლაჲ და / მცნებისა მოღებაჲ და უმეცრებაჲ და A 195
ლოცვაჲ და კი/თხვაჲ და სრულყოფაჲ და ამათსა უმდაბლესნიცა იგი საქმენი: C v
დაძინებაჲ, შიმშილი, დაშრომაჲ, ცრემლოობაჲ, შეურვებაჲ, დამალვაჲ, გინა
თუ ჯუარცუმაჲ და სიკუდილი— / რამეთუ ამის ყოვლისაჲ უკუეთუ გნებოს, B 415
არა ძნელ არს თითოეულისა კეთილად თარგმანებაჲ. რაჲთა არა სცთებოდი, არამედ გეტყჳ მოკლედ, რაჲთა მაღალთა მათ საქმეთა გულისჴმა-ჰყოფდე ღმრთეებისათჳს და უვნებელისა მის და უჴორცოჲსა ბუნებისა, ხოლო მდაბალთა მათ—კაცებისათჳს, რომელი-იგი ჩუენთჳს განკაცნა და ჴორციელ იქმნა, და ამაღლდა, რაჲთა ჩუენცა აღგუამაღლნეს და გუასწაოს გულისჴმისყოფაჲ, რაჲთა უწყოდით, თუ რანი არიან სიტყუანი იგი, ბუნებისათჳს მისისა თქუმულნი, და რანი არიან განგებულებისათჳს. რამეთუ რომელი-იგი კაც იქმნა, უნივთო იყო და უჴორცო, და რაჲ-იგი იყო, ეგრეთვე ეგო და რომელი-იგი არა იყო, მიიღო. პირველითგან იყო უმიზეზოდ, რამეთუ რაჲმცა იყო მიზეზი ღმრთეებისაჲ? არამედ უკუანაჲსკნელ იქმნა მიზეზისათჳს, ხოლო მიზეზი იგი
იყო ცხორებაჲ ჩუენი. / რომელმან მიიღო სიზრქჱ ესე ჴორცთაჲ ამათ, შუამ- C 223
დგომელობითა გონებისაჲთა შეერთო ჴორცთა და იქმნა კაც და მდაბალი იგი
აღამაღლა და იქმნა ორივე ერთ, რამეთუ უაღრესმან მან სძლია, / რაჲთა მე B v
ესეზომ ღმერთ ვიქმნა, რაჲზომ იგი კაც იქმნა. და იშვა, არამედ შობილცა იყო, დედაკაცისაგან გამოჩნდა, არამედ ქალწულისა. ესე კაცობრივ არს და იგი ღმრთეებრ. აქა უმამო იქმნა და მუნ უდედო იყო. ესე ყოველი ღმრთეებრი არს.
მუცლადღებულ იქმნა, / არამედ იცნა იგი წინაჲსწარმეტყუელმან მუცლად- A v
ღებულმან, რომელი ჰკრთებოდა წინაშე სიტყჳსა მის, რომლისათჳს იქმნა; შეიხჳა, არამედ სახუეველნი იგი საფლავისანი დაუტევნა და აღდგა; ბაგასა მიიწვინა, არამედ ანგელოზთა მიერ იდიდა; და ვარსკულავისა მიერ ეუწყა და მოგუთა მიერ თაყუანის-იცა; ივლტოდა ეგჳპტედ, არამედ შემუსრნა ეგჳპტისა იგი კერპნი; არა აქუნდა სახჱ, არცა ფერი ჰურიათა მიერ, არამედ დავით იტყჳს შუენიერად სიკეთითა უფროჲს ძეთა კაცთასა; და მთასა ზედა გა-
მობრწყინდა უბრწყინვალეს მზი/სა მოსწავებად მერმისა მის; ნათელ-იღო ვი- C v

---

[1] ბუნებისა B. დაბადებული]და ბუნებით C. [5] რაოდენნიცა C. [6] თქუმულნი C. გულისხმა- C. ცხოვრებასა C. [11] მოცემაჲ C. [12] უდაბლესნიცა B. [13] დაშურომაჲ C. ცრემლობაჲ B, ცრემლოეობაჲ C. გინა თუ]შენთჳს C. [15] თითოეულისაჲ C. [16] გულისხმა-ჰყოფდჱ C. [17] და 2°—C. [19] აღგუამაღლოს B. გუასწაეოს C. გულისხმისყოფაჲ C. [20] რაჲ AB. ბონებისა მისისათჳს C. [22] უჴორცოჲ C. ეგრეთვე—C. [23] რამეთუ—C. [25] სიზრქე B. შუვამდგომელობითა C. [27] უაღრესმან]უმჯობესმან B. სძლო BC. [34] ანგელოსთა C. [36] სახე B. [37] კაცთაჲსა C. [38] უმბრწყინვალეს BC.

თარცა კაცმან, არამედ ცოდვანი დაჰჴსნნა ვითარცა ღმერთმან და განწმიდნა
წყალნი; გამოიცადა ვითარცა კაცი, არამედ სძლო ვითარცა ღმერთმან და ბრძა-
IB 416 ნებს არა შიშსა, რამეთუ უძლე/ვიეს სოფლისადა; მოემშია, არამედ გამოზარ-
დნა ათასეულნი. და პური არს ცხორებისაჲ და ზეცისაჲ; მოეწყურა, არამედ
ღაღატ-ყო: რომელსა სწყურის, მოვედინ ჩემდა, და აღუთქუა მორწმუნეთა მი-
ცემად წყაროჲსა; დაშურა, არამედ მაშურალთა და ტჳრთმძიმეთა განმსუენებე-
ლი არს; დამძიმდა ძილითა, არამედ ზღუასა ზედა სუბუქად ვიდოდა და შეჰრი-
სხნა ქართა და პეტრე დანთქმადი აღასუბუქა; მისცა ხარკი, არამედ თევზისა-
გან; და მეუფჱ არს მეუფეთაჲ, სამარიტელად და ეშმაკეულად ეტყოდეს, არა-
მედ იჴსნა იერუსალემით გარდამომავალი იგი და ავაზაკთადა მიცემული; და
ეშმაკთა იცნეს იგი და ლეგეონი სულთა ბოროტთაჲ დაანთქა(და ეშმაკთმთავა-
.A 196 რი იხილა, ვითარცა ელვაჲ გარდამოვრდომილი; / იქოლვებოდა, არამედ არა
შეიხებოდა; ილოცვიდა, არამედ ისმენს ლოცვათა; ცრემლოოდა, არამედ და-
ʻC 224 აცხრვნა ცრე/მლნი ყოველთაგან; ჰკითხა, ვითარმედ: „სადა არს ლაზარე?“ რა-
მეთუ კაცი იყო, არამედ აღადგინა ლაზარე, რამეთუ ღმერთი იყო; განიყიდა
სუბუქისა ფასისა, რამეთუ ოცდაათ ვეცხლად, არამედ მოიყიდა სოფელი დი-
B v დითა მით სასყიდლითა თჳსი/სა სისხლისაჲთა; ვითარცა ცხოვარი კლვად მიი-
გუარა, არამედ ჰმწყსიდა ისრაელსა და აწ ყოველსა სოფელსა; ვითარცა ტა-
რიგი უჴმობელ იყო, არამედ სიტყუაჲ არს ჴმისა მის მიერ ღაღადებისა უდაბ-
ნოს ქადაგებული; იგუემა და იწყლა, არამედ ჰკურნებს ყოველსა სენსა და ყო-
ველსა ცისად-ცისად გუემულებასა; ძელსა შეემშჭუალა, არამედ ძელად ცხო-
რებისად მიგუაქცინა, არამედ აცხოვნა ავაზაკი, მის თანა ჯუარცუმული და და-
აბნელა ყოველი სოფელი; ძმარი სუა, ნავღლისა გემოჲ იხილა, ვინ? რომელ-
მან-იგი წყალი ღჳნოდ გარდააქცია, რომელი ბოროტისა მის გემოჲსხილვისა
დამჴსნელი არს, რომელი-იგი სიტკბოება არს და ყოვლითურთ საწადელ; მის-
ცემს სულსა თჳსსა, არამედ ჴელმწიფებაჲ აქუს კუალად მოღებად მისა; და
C v კრეტსაბმელი განიპო და კლდენი განსთქდეს და მკუდარნი აღდ/გეს. მოკუდა,
არამედ ცხოველსმყოფელ არს და დაჰჴსნა სიკუდილი სიკუდილითა; დაეფლა,
არამედ აღდგა; ჯოჯოხეთად შთავიდა, არამედ აღმოიყვანნა მუნ მყოფნი სულნი
და ზეცად ამაღლდა, და მოვიდეს შჯად ცხოველთა და მკუდართა.

B 417 ./ და ესრეთ, ესევითარნი ესე სიმდაბლისა სახენი სიტყუანი / ნუმცა მოჰ-
A v ცემენ მიზეზსა დამდაბლებად ღმრთეებასა მას მხოლოდშობილისასა. რამეთუ
არა თუ დამდაბლებაჲ იგი მისი შენისა უძლურებისა მომართ დაკლება არს პა-
ტივისა მის ძლიერისაჲ მის, არამედ ბუნებასა მისსა გულისჴმა-ჰყოფდი საღ-
მრთოდ, ხოლო მდაბალთა მათ სიტყუათა შეიწყნარებდი კაცებისა მის მისისა-
თჳს, რომელთათჳს, უკუეთუმცა ვინებეთ თჳთოეულისა თარგმანებაჲ წურილ-
წურილად, ფრიადი და უზომოჲ სიმრავლჱ სიტყუათაჲ შემოვიღოთ თქუმულ-
სა ამას ჩუენსა.

---

[1] და—B. [2] სძლია B. [4] და 1°]რ˝ B. ცხოვრებისაჲ C. [5] ღაღად-ყო C. სწყურიან C. მოედინ B. და—BC. [6] გამსუენებელი A, განმსუენებელ C. [8] პეტრჱ C. [9] მეოფე B. სამარიტელ BC. ეშმაკეულ C. იტყოდეს C. [10] გარდამავალი B. ავაზაკთა C. [11] დანთქა B. და—C. [13] შეეხე-ბოდა BC. ცრემლოდა B, ცრემლოეოდა C. [14] ლაზარჱ C. [15] ლაზარჱ C. [17] თჳსისა+მის C. [18] ტარიკი B. [21] შეემსჭუალა B. [23] ჰსუა C. [25] სიტკბოებაჲ C. [26] მისსა C. [27] გსთქდეს A, განსქდეს B. [28] ცხოველსმყოფელი C. და—A. [29] მუნ—B. [30] აღმაღლდა C. განსჯად B, განშჯად C. [31] მოგუცემენ C. [33] დაკლებაჲ C. [34] გულისხმა- C. [36] ვინებე A. თითოეულსა C. [36] წულილ-წულილად C. [37] სიმრაველე B.

8. არამედ წინამდებარისა ამის მიმართ მოვიდეთ, ვითარმედ გონებამან უკუეთუ შეუძლოს ნივთიერთა მათ ვნებათაგან განწმედაჲ თავისა / C 225 თჳსისაჲ და უხილავნიცა იგი დაბადებულნი ყოველნი დაუტევნეს და, ვითარცა თევზი უფსკრულით, ზე აღვიდეს სიწმიდესა შინა, მუნ იხილოს სული წმიდაჲცა, სადა-იგი არს ძჱ და სადა-იგი არს მამაჲ, რომელსა-იგი აქუს მასცა ყოველივე შეერთებუ/ B v ლად ბუნებით: სახიერებაჲ, სიწრფელჱ, სიწმიდჱ, ცხორებაჲ, რამეთუ თქუმულ არს, ვითარმედ: „სული შენი სახიერი“[1*] და კუალად: „სული წრფელი“[2*] და კუალად: „სული წმიდაჲ“[3*]. და დიდი პავლე იტყჳს, ვითარმედ: „რჩულმან სულისა მის ცხორებისამან“[4*].

ამათგანი არარაჲ არს მოგებული მის მიერ, არცა უკუანაჲსკნელ შემოსრული, არამედ ვითარცა განუშორებელ არს ცეცხლისაგან სიტფოჲ და ნათლისაგან ნათობაჲ, ეგრეთვე სულისა მისგან დიდებულისა — სიწმიდე და ცხოველსმყოფელობაჲ, სახიერებაჲ და სიწრფელჱ.

არს უკუე სულიცა წმიდაჲ, მდგომარე ნეტარსა მას ბუნებასა თანა. არა სიმრავლეთა თანა შეირაცხვის, არამედ სამებასა თანა იხილვების, თჳთებით მხოლოდ აღიარების, არა ბანაკთა / A 197 თანა შეერთებულ არს, არამედ ორთა მათ თანა სამებასა აღასრულებს. რამეთუ ვითარცა მამაჲ / C v ერთი არს და ძჱ ერთი, ეგრეთვე სული წმიდაჲ ერთ არს. ხოლო სხუანი იგი სულნი, მსახურნი ღმრთისანი, თჳთოეულსა დასსა შინა სიმრავლჱ არს აღურაცხელი. ნუ ეძიებ უკუე დაბადებულთა თანა უზეშთაესსა მას დაბა/ B 418 დებულთასა, ნუ შთამოიყვანებ განმწმედელსა მას განწმედადთა თანა. ესე აღავსებს ანგელოზთა, აღავსებს მთავარანგელოზთა, წმიდა-ჰყოფს ძალთა, ცხოელს ჰყოფს ყოველთავე ცხოელთა. ესე ყოველთა ზედა დაბადებულთა განფენილ არს და სხუად და სხუად სახედ არს თჳთოეულისა თანა და არარაჲ მოაკლდების მას მიმღებელთა მათგან. ყოველთა თჳსსა მას მადლსა მისცემს და არა განილევის მათ ზედა, არამედ მიმღებელნიცა იგი სავსე არიან მისგან და იგი არს მოუკლებელ. რამეთუ მზჱ ბრწყინავს გუამთა ზედა და თითოსახედ მიიწევის თჳთოეულსა ზედა და არარაჲ მოაკლდების მას მიმღებელთა მათგან; ეგრეთვე სული წმიდაჲ ყოველთა თჳსსა მადლსა მისცემს და იგი მოუკლებელ არს და განუყოფელ. ყოველთა განანათლებს / C 226 გულისჴმისყოფად ღმრთისა, დაიმკჳდრებს წინაჲსწარმეტყუელთა თანა, განაბრძნობს რჩულისმდებელთა, მღდელთა სრულ-ჰყოფს, / B v განაძლიერებს მეფეთა, დაამტკიცებს მართალთა. პატივ-სცემს ქალწულთა, აღასრულებს მადლსა კურნებათასა, ცხოელს ჰყოფს მკუდართა, განჰჴსნის კრულთა, შვილ ღმრთის ჰყოფს უცხოქმნულთა მათ. ამას ყოველსა შობითა მით ზეცისაჲთა იქმს. უკუეთუ მიიღოს მეზუერე მორწმუნჱ, მახარებელად გამოაჩინებს[5*]; უკუეთუ მეთევზესა თანა დაიმკჳდროს, ღმრთისმეტყუელ ჰყოფს[6*]; / A v უკუეთუ მდევარი პოოს მონანული, მოციქულად წარმართთა ჰყოფს მას, ქა-

1 მიეღეთ C. 4 ზჱ C. 5 ძე B. 6 სიწრფელე B. სიწმიდე B. 7 სული 2°—C. 8 პავლე] პეტრჱ C. 9 შჯულმან C. 12 სიწმიდჱ C. 13 სიწრფელე BC. 14 მდგომარჱ C. 16—17 არამედ ორთა მათ თანა სამებასა აღასრულებს (A-ში ეს ფრაზა შემდეგაა ჩამატებული)—B. ძე B. 18 ერთი C. 19 სიმრავლე B აურაცხელი C. 21 მთავარანგელოზთათა B. 22 ჰყოფ B. ცხოველ(ს) BC. ცხოველთა BC. 23 ~ დაბადებულთა ზედა BC. 24 თითოეულისა BC. 26 სავსჱ C. მოუკლებელი C. 27 მზე B თითოსახჱ C. თითოეულსა BC. 30 გულისხმისყოფად C. ღმრთისაგან C. 31 შჯულისმდებელთა C. 33 ცხოველ C. 34 ღთ̃ისა BC. 35 ̃იილო B. მეზუერემან C. მორწმუნე B, მორწმუნედ C. 36 მეთევზურთა C. 37 პოვოს C. მას—C.

1* ფსალმ. 142, 10. 2* ფსალმ. 50,12. 3* ფსალმ. 50,13. 4* რომ. 8,2. 5* მათე 9,9. 6* მათე 4,19.

დაგად სარწმუნოებისა, ჭურად რჩეულად[1*]. ამის სულისა მიერ უძლურნი ძლიერ არიან; გლახაკნი განმდიდრდებიან და უმეცარნი სიტყჳთა ბრძენთა უბრძნეს არიან.

პავლე უძლური იყო, არამედ ძალითა ამის სულისაჲთა ოფლი მისი კურნებასა მიანიჭებდა უძლურთა[2*]. პეტრესცა აქუნდა გუამი უძლურებისაჲ, (C v) არამედ მადლითა მით სულისაჲთა, / რომელი მკჳდრ იყო მის შორის, აჩრდილი (B 419) გუამისა მისისაჲ კურნებასა მიანიჭებდა უძლურთა[3*]. / გლახაკ იყვნეს პეტრე და იოვანე (რამეთუ არა აქუნდა ოქროჲ, გინა ვეცხლი)[4*], არამედ მოჰმადლებდეს კურნებასა და სიმრთელესა, მრავალთა ოქროთა უპატიოსნესსა. რამეთუ მრავალთაგან მიეღო მკელობელსა მას ოქროჲ და ჴერეთ მთხოელ იყო, ხოლო პეტრესგან რაჲ მიიღო მადლი, დასცხრა თხოისაგან და ხლდებოდა, ვითარცა ირემი, და ადიდებდა ღმერთსა. არა იცოდა იოვანე სიბრძნჱ იგი სოფლისაჲ, არამედ ძალითა მით სულისა წმიდისაჲთა თქუნა სიტყუანი ესევითარნი, რომელთა ვერცა ერთი სიბრძნე კორციელი შემძლებელ არს მიხედვად.

ესე სული ცათა შინაცა არს და ქუეყანაჲ აღუვსიეს და ყოველთაგან იპოების და არასადა შემოწერილ არს. ყოველივე არს თჳთოეულსა თანა და ყოველივე არს ღმრთისა თანა. არა მსახურებით აღასრულებს ნიჭთა, არამედ უფლებით განუყოფს მადლთა, რამეთუ „განუყოფს თითოეულსა ზედა, ვითარცა (C 227) ჰნებავს“[5*]. მოევლინების განგებულებით და იქმს / თჳთუფლებით. / ამისი დამ(A 198)კჳდრებაჲ სულთა შინა ჩუენთა ვილოცოთ და რაჲთა არცა ერთსა ჟამსა მოგუა(B v)კლდეს მადლითა უფლისა ჩუენისა / იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცჱ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

XV. მისივე წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი თქუმული დაწყებისათჳს იოვანეს სახარებისა, ვითარმედ: „პირველითგან იყო სიტყუაჲ“[6*]

1. ყოველნივე იგი სიტყუანი ოთხთა მათ სახარებათანი უზეშთაეს არიან სხუათა მათ ყოველთა სწავლათა სულისათა, რამეთუ სხუათა მათ წიგნთა შინა მონათა მიერ წინაჲსწარმეტყუელთა გუეტყოდა ჩუენ, ხოლო სახარებასა შინა თავით თჳსით გუეზრახა ყოველთა მეუფჱ. არამედ თჳთ მასვე ქადაგებასა მახარებელთასა უზეშთაესი ყოველთაჲ არს კმაღალი და ყოვლისა სასმენელისა უზეშთაესად და ყოვლისა გონებისა უმაღლესად მეტყუელი იოვანე, ძჱ იგი

PG, 31. გვ. 472—482.

[2] და—BC. სიტყუათა C. [4] პავლჱ C. უძლერ BC. ამის]მით B. სულისაჲთა (τοῦ Πνεύματος)] სულისა წმიდისაჲთა C. [7] პეტრჱ C. [8] იოვანჱ C. [9] მოჰმადლებდეს C. [10] მოელო B. მთხოველ C. [11] თხოვისაგან C. [1-] იოვანჱ C. სიბრძნე B. [14] სიბრძნჱ C. [15] ყ˜ლგან C. იპოვების C. [16] თითოეულსა C. [18] რამეთუ განუყოფს—C. თითოეულსა C. [19] მოივლინების BC. თჳთუფლებით] თითოეულებით BC. [20] ჩუენთა]თქუენთა C. [22] სიმტკიცე B]+თანა მამით და სულით წმიდითურთ C. და 2°—A. ა˜ნ AB, ამინ. C. [23] თქუმული მისივე C. წმიდისა + და ნეტარისა C. თქუმული—C. [24] ვითარმედ პირველითგან იყო სიტყუაჲ—C. [29] მეუფე B, მ˜ფჱ A. [30] ყოველთასა C. კმამაღალი + იგი BC. [31] იოვანჱ C. ძე B.

[1*] საქმე 9,15. [2*] საქმე 19,12. [3*] საქმე 5,15. [4*] საქმე 3,6. [5*] I კორინ. 12,11. [6*] იოანე 1,1.

ჭუხილისაჲ, რომლისა მიერ დაწერილისა მის სახარებისა დასაბამი აწ აღმოვიკითხეთ და გუესმა: „პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუაჲ / იგი"[1*]. ესე სიტყუანი ვიხილენ მრავალნი გარეგან სიტყჳსა მის ჭეშმარიტებისა მყოფთაგანნი, რომელნი სოფლისა ამის ამაოჲსა სიბრძნესა* ზედა ზუაობენ, ვითარმედ დაუკჳრდა ამათთჳს და თჳსთა მათ თქუმულთა შინა იკადრეს დაწესებად. რამეთუ მპარავი არს ეშმაკი და ჩუენთა მათ მიიღებს თჳსთა მათ მსახურთა მიმართ.

აწ უკუეთუ ჴორციელსა მას სიბრძნესა ესრეთ დაუკჳრდა ძალი სიტყუათაჲ ამათ, რაჲ-მე ვყოთ ჩუენ მოწაფეთა ამათ სულისათჳს? გარეწრად ვისმინოთ-ა და მათ შინა მყოფი იგი ძალი მცირედ შევჰრაცხოთ-ა? და ვინმცა იყო / სიცოფითა შეპყრობილი, რომელსა ესევითარი შუენიერებაჲ ღმრთისმეტყუელებისაჲ და სიღრმე გულისჴმისყოფისაჲ ესრეთ მიუწთომელი არამცა დაუკჳრდა და სუროდამცა მიწთომად ჭეშმარიტსა მას ძალსა მათსა?

არამედ არა ძნელ არს განკჳრვებაჲ ოდენ კეთილთა საქმეთათჳს, არამედ ძნელ ესე არს, რაჲთა კაცი ჭეშმარიტითა მიწთომითა მისწუთეს მათ, რომელთათჳს-იგი უკჳრდეს. ესე არს ძნიად საპოვნელ, რამეთუ მზესა ამასცა ხილულსა არავინ / არს, რომელიმცა არა აქებდა სიდიდესა მას და სიკეთესა მისსა და შარავანდედთა მისთა შუენიერებასა და ნათელსა მას მისსა. არამედ უკუეთუ ინებოს უმეტესად-რე შემშჭუალვად მისდა თუალთა თჳსთა, არა თუ ოდენ ვერ განიცდის კეთილად, არამედ ხილვაჲცა იგი, რომელი პირველ აქუნდა, იგიცა დაუბნელდის. ესრეთ არს გონებაჲცა იგი, რომელი იბრძოდის პოვნად ჭეშმარიტსა გულისჴმისყოფასა წინამდებარეთა ამათ სიტყუათასა: „პირველითგან იყო სიტყუაჲ".

ვინ-მე შეუძლოს ღირსებით გულისჴმისყოფად პირველისა მისთჳს? რომლისა-მე სიტყჳსა ძალი იპოოს, რაჲთა ესრეთ გამოაცხადოს გულისჴმისყოფილი იგი? რამეთუ ეგულებოდა რაჲ თქუმად ჩუენდა ღმრთისმეტყუელებისათჳს ძისა ღმრთისა დიდსა ამას და მაღალსა და სერაბინთა შემსგავსებულსა კაცსა, არცა ერთი ინება სხუაჲ დაწყებაჲ სიტყჳსა თჳსისა ქმნად, გარნა პირველი იგი ყოველთაჲვე. რამეთუ იცოდა სულმან წმიდამან მომავალნი იგი მბრძოლნი და მგმობარნი ღმრთეებასა მას მხოლოდშობილისასა, / წინაჲსწარ იცოდა მათი იგი სიბოროტჱ, რომელთა ეგულებოდა მრავლისმეტყუელებაჲ / დასაქცეველად მორჩილთა მათთა, ვითარმედ: „უკუეთუ იშვა, არა იყო და უწინარეს შობისა არა იყო და არარაჲსაგან არსებაჲ მიიღო". რამეთუ ესრეთ იტყჳან ენანი იგი, გმობისა მიერ ლესულნი უფროჲს ყოვლისა ორპირისა მახჳლისა. ხოლო რაჲთა ვერ ვის ჴელ-ეწიფებოდის ესევითართა სიტყუათა თქუმად. ამისთჳს უსწრო სულმან წმიდამან და აღძრა მახარებელი და თქუა მან მის მიერ, ვითარმედ: „პირველითგან იყო სიტყუაჲ".

უკუეთუ გეპყრას მტკიცედ სიტყუაჲ ესე, არარაჲ სადა გევნოს ბოროტთა

1 აღმოვიკითხოთ და გუესმას C. 5 ზუაობდენ C. 8 უკუეთუ]უკუჱ C. სიტყუათა C. 9 სულისათა C. 12 სიღრმჱ C. გულისხმისყოფისაჲ C. მიუწდომელი C. 13 ჰსუროდა C. მიწუდომად C. 15 მიწდომითა მისწუდეს C. რომელთათჳს C. 18 მისთა + და C. 19 უმეტესადრჱ C. 20 პირველად C. იგიცა]იგი C. 21 დაუბნელდეს C. ჰბრძოდის C. 22 გულისხმისყოფასა C. ამათ — C. 24 გულისხმისყოფად C. 25 სიტყუათა C. პოვოს C. გულისხმისმყოფელი C. 28 ქმნაჲ C. 29 მბრძოლნი]ბრძოლანი C. 33 მოიღო C. 34 ხოლო — C.

1* იოანე 1,1.

წყდება B ხელნაწერი.

მათგან ნათესავთა. უკუეთუ იგი იტყოდის, ვითარმედ: „უკუეთუ იშვა, არა იყო“, შენ თქუ: „პირველითგან იყო“. უკუეთუ კუალად გრქუას, ვითარმედ: „და უწინარეს შობისა ვითარ იყო?“ შენ ნუ განეშორები სიტყუასა მას, ვითარმედ: „იყო“, ნუ დაუტევებ „პირველითგანსა“. პირველისა მის თავი და დასაბამი არა იპოების, პირველისა მის უპირატესი არა არს.

C 229 ნუმცა გაცთუ/ნებს შენ მრავალფერებითა მით ამის სიტყჳსაჲთა, რამეთუ მრავალთა ეწოდების პირველ ამას ცხორებასა შინა. არამედ ერთი არს პირველი იგი, უზეშთაესი ყოველთაჲ. რამეთუ „პირველი გზისა კეთილისაჲ“[1*], ვითარცა თქუა სოლომონ. არამედ პირველი გზისაჲ არს დასაბამი მისი, სადაჲთ ვიწყეთ სლვად, რომლისა დასასრული იპოების და კუალად: „პირველი, დასაბამი სიბრძნისაჲ შიში უფლისაჲ არს“[2*]. და ამისიცა სხუაჲ არა წინამდებარჱ. და ჴელოვნებათა პირველი არს სწავლაჲ, ხოლო სწავლაჲ სიბრძნისაჲ შიში უფლისაჲ არს და ამისა უპირატესი არს აგებულებაჲ სულისაჲ, რომელსა არღა A v მიიღოს სიბრძნე და შიში უფლისაჲ. პირველნი ითქუმიან / ჴელმწიფენიცა და მთავარნი ქალაქთანი, არამედ ესე ყოველნი პირველნი საქმისა რაჲსამე პირველნი არიან და რაჲსამე მიმართ მივლენ. რამეთუ უპირატეს სიტყუათა შეწყობისა არიან ასონი.

2. არამედ იგი პირველი არა ესრეთ არს: არარაჲსადა შემშჳუალულ არს, არარაჲსადა შეკრულ არს, არავის ჰმონებს, არავის თანა იხილვების, არამედ C v თავისუფალ არს, უუფლოჲ, განჴსნილი სხჳსა მიმართ რაჲსამე ხედვი/საგან, მიუწთომელი გონებითა, რომელსა ვერ ერგების უზეშთაესობაჲ გონებითა და თანა-წარსლვაჲ, რომლისა შეუძლებელ არს უპირატესისა პოვნაჲ. რამეთუ უკუეთუ მაცილობელ იქმნა ხედვითა გონებისაჲთა თანა-წარსლვად პირველისა მის, ჰპოო იგი წინაშე შენსა მავალი და წინაჲთ შეგემთხუეოდის გულისსიტყუათა შენთაჲსა. უტევე გონებასა მას ესევითარსა, რაჲთა ირბინოს, რაჲზომცა ენებოს და განირთხას სიმაღლედ. მერმე ჰპოო იგი ბევრეულად მოცთომილი და ფრიად დამაშურალი ამაოდ და კუალად თჳსსავე თავსა მოქცეული, რაჲეჵს ვერ შემძლებელ ქმნულ არნ პირველისა მის თავსა ქუეშე თჳსსა მოქცევად, რამეთუ მარადის მოგონებულისა მის გარეგან და უმაღლეს იპოების პირველი იგი.

„პირველითგან უკუე იყო სიტყუაჲ“. ჵ საკჳრველი! ვითარ ყოველნი ესე სიტყუანი ურთიერთას სწორებით შეერთებულ არიან! ვითარმედ „იყო“ ამას სწორი ძალი აქუს „პირველითგანსა“ მას თანა.

A 200 /სადა არს მგმობარი იგი? სადა არს ქრისტჱს მბრძოლი იგი ენაჲ, რო-
C 230 მელი იტყჳს, ვითარმედ: „იყო ოდესმე, ოდეს-იგი / არა იყო?“.

ისმინე მახარებელისაჲ, ვითარმედ: „პირველითგან იყო“, ხოლო თუ პირველითგან იყო, ოდესღა არა იყო? რაჲ-მე ვყო ურჩულოებისათჳს მათისა? სულთ-ვითქუნე, ანუ უგუნურებაჲ მათი მოვიძაგო, რომელნი იტყჳან, ვითარ-

---

[3] და—C. [4] დაუტებ A. [5] იპოვების C. [7] ცხოვრებასა C. [8] კეთილისაო C. [10] ვიწყოთ C. იპოვების C. [13] ამისსა უპირატეს C. [14] სიბრძნჱ C. [15] არამედ—C. რაისამე A, რაჲსამჱ C. [16] რაისამე A. [20] თავისუფალი C. [21] მიუწდომელი C. რომელსა] რომლისაჲ C. ერგების] ეგების C. [23] უკუეთუ] უკუეთუმცა C. [24] ჰპოვო C. წინაჲთ] წინა C. შეგემთხუევოდის C. [25] მას—C. ირბიოს C. [26] მერმჱ C. ჰპოვო C. [27] თჳსსა C. [28] ქმნილ C. ქუეშჱ C. [29] იპოვების C. [31] პირველისაგან C. [36] ხოლო თუ პირველითგან იყო—C. [37] ურჩულოებისათჳს მათისა] უშჯულოებისა მათისათჳს C სულთ-ვითქუნჱ C.

[1*] იგავ. 16,5. [2*] ფსალმ. 110, 10.

მედ „უწინარეს შობისა არა იყო“? და შენ იცი-ა, თუ ოდეს იშვა, რაჲთა „უწინარესი“ იგი შემოიღო? რამეთუ „უწინარესი“ ჟამეული სიტყუაჲ არს, რომელი ერთსა მეორისა უპირატეს ჰყოფდეს სიძუელითა, ხოლო დამბადებელსა მას ჟამთასა ვითარმცა აქუნდა შობაჲ ესევითარი, რომელიმცა ჟამეულითა სახელითა იწოდებოდა?

„პირველითგან უკუე იყო“. უკუეთუ არა განეშორო სიტყუასა ამას, ვითარმედ „იყო“, არცა ერთი ადგილი მისცე ბოროტსა მას გმობასა. რამეთუ ვითარცა ნავი, კეთილად დაბმული ორკერძოთა მათ რკინათა ზედა, უშიშ არს ღელვათაგან, ეგრეთვე შენ ბოროტი ესე აღძრვაჲ მოჰკიცხო, რომელი-ესე სულთა მათ მიერ უკეთურთა მოიწია სოფელსა ზედა და შეარყევს მრავალთა სარწმუნოებასა. და შეურაცხ-ჰყო შენ იგი, უკუეთუ სიმტკიცითა ამათ სიტყუათაჲთა შეჰკრვილ იყოს სული შენი.

3. უკუეთუ ეძიებ/დეს გონებაჲ ჩუენი, თუ ვინ იყო პირველითგან, იტყჳს, C v ვითარმედ „სიტყუაჲო“. რომელი სიტყუაჲ? ნუუკუე ესე კაცობრივი სიტყუაჲ-ა, ანუ ანგელოზთაჲ? რამეთუ მოასწავა მოციქულმან, ვითარმედ ანგელოზთაცა თჳსი ენაჲ აქუს და თქუა, ვითარმედ: „უკუეთუ ენასა კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყოდი“[1*]. და კუალად, / „სიტყჳსა“ ორი სახჱ არს: ერთი ესე, A v რომელი ჴმითა ითქუმის და შემდგომად თქუმისა ჰაერად განილევის და მეორჱ იგი არს ჩუენ შორის მყოფი იგი, რომელი არს გულთა შინა ჩუენთა, მოგონებისაჲ იგი და გულისჴმისყოფისა და ჴელოვნებისაჲ.

იხილე, ნუუკუე გაცთუნოს ერთსახელობამან ამის სიტყჳსამან. რამეთუ ვითარ პირველითგან იყო სიტყუაჲ კაცისაჲ, ვინაჲთგან კაცმან უკუანაჲსკნელ მიიღო დასაბამი არსებისაჲ? რამეთუ უწინარეს კაცისა იქმნნეს მჴეცნი და პირუტყუნი და ყოველნი ქუეწარმავალნი წყალთანი და ჴმელისანი და მფრინველნი ცისანი და მზჱ და მთოვარე და ვარსკულავნი და თივანი და ქუეყანაჲ და ზღუაჲ და ცანი. არა იყო უკუე სიტყუაჲ კაცისაჲ პირველითგან, არამედ არცა ანგელოზთაჲ / სიტყუაჲ იყო პირველითგან, რამეთუ ყოველივე დაბადებული C 231 უმრწემესი არს საუკუნეთაჲ, რომელსა მიუღებიეს დასაბამი არსებისაჲ შემოქმედისა მიერ. და კუალად გულითადიცა იგი სიტყუაჲ, იგიცა უდარეს არს და უმრწემეს გონებისა.

არამედ ისმინე სიტყუაჲ ესე ღმრთივ შუენიერად, რამეთუ ესე მხოლოდშობილისა მისთჳს იტყოდა და „სიტყუად“ უწოდა, ვითარცა-იგი შემდგომად მცირედისა „ნათლადცა“ უწოდს და „ცხორებად“ და „აღდგომად“. და ნუცა, რაჟამს „ნათელი“ გესმას, ხილულისა ამის მიმართ მიიწევი, ნუცა, რაჟამს „ცხორებაჲ“ გესმეს, ზოგადსა ამას ცხორებასა ჩუენსა გულისჴმა-ჰყოფ, რომელი აქუს პირუტყუთაცა. ეგრეთვე, რაჟამს „სიტყუაჲ“ გესმას, ეკრძალე, ნუუკუე უძლურებითა შენისა ბუნებისაჲთა მდაბალთა და ქუეყანისათა ზრახვა/თა A 201

2 რომელი]რამეთუ C. 3 უპირატესი C. 4 სახელითა—C. 7 მისცჱ C. 8 ზედა]მიერ C. არს არნ C. 9 შენ—C. 13 ვინ]ვითარ C. 14 სიტყუაჲ 1° C. 15 ანგელოსთაჲ C. ანგელოსთაცა C. 16 კაცთა C. 17 ანგელოსთასა C. სიტყუასა C. არს]აქუს C. 18 რომელ C. 19 იგი 1°—C. რომელ C. შინა—C. 20 გულისხმისყოფისაჲ C. 21 იხილენ C. გაცთუნოს]გაენოს C. 23 მოიღო C. 25 მთოვარჱ C. 26 ~უკუჱ იყო C. ~ კაცისა სიტყუაჲ C. 27 ანგელოსთა C. 28 უმრწემეს C. საუკუნეთა C. მოუღებიეს C. 33 ნათლადცა C. 34 გესმეს C. ამის—C. 35 გესმას C. გულისხმა- C. 36 გესმეს C. კრძალჱ C. 37 ბუნებისაჲთა]გონებისაჲთა C.

[1*] I კორინ. 13,1.

მიმართ მიხჳდე. არამედ გამოეძიებდ ძალსა ამისსა, თუ რაჲსათჳს თქუა „სიტ-
ყუად“? რაჲთა გამოაჩინოს, ვითარმედ გონებისაგან გამოვიდა. რად არს
სიტყუაჲ? — რამეთუ უვნებელად იშვა. რად არს სიტყუაჲ? — რამეთუ ხატი
არს მშობელისაჲ მის და ყოვლითურთ გამოაჩინებს მას თავსა შორის თჳსსა.
C v არცა / მისგან განყოფილ არს და სრულ არს თავით თჳსით, რამეთუ ვითარცა
ჩუენი სიტყუაჲ გამოხატავს გულისზრახვასა ჩუენსა. და რაჲ-იგი გულსა შინა
მოვიგონით, იგი ვთქჳთ სიტყჳთა და არს გულისსიტყჳსა ხატი სიტყუაჲ იგი
თქუმული. რამეთუ ნამეტნავისაგან გულისა გამოვალს სიტყუაჲ და არს
გული ჩუენი ვითარცა წყაროჲ და სიტყუაჲ — ვითარცა წყალი, აღმომავალი
წყაროჲსა მისგან. და ესეზომ არს მდინარჱ იგი, რაჲზომი არს პირველად აღმო-
სრული და, ვითარი არს დაფარული, ესევითარივე არს გამოცხადებული.

„სიტყუაჲ“ უკუე თქუა, რაჲთა უვნებელი იგი შობაჲ მამისაჲ გიჩუენოს და
სრული იგი არსებაჲ ძისაჲ ღმრთისმეტყუელებით თქუას და უჟამოჲ იგი შეერ-
თებაჲ ძისაჲ მამისა მიმართ ამათ სიტყუათა მიერ გამოაცხადოს. რამეთუ ჩუენი-
ცა ესე სიტყუაჲ ნაშობი არს გონებისაჲ, უვნებელად შობილი; რამეთუ არცა
განიკუეთების, არცა განიყოფების, არცა დის, არამედ ყოვლითურთ მდგომარე
არს ბუნებაჲ თჳსსა აგებულებასა ზედა სრულიად და ესრეთ სიტყუასა მას
C 232 სრულსა გამოიღებს. / და გამო-რაჲ-ვიდის სიტყუაჲ, ყოველივე მშობელისაჲ მის
გონებისა ძალი თავსა შორის თჳსსა აქუნ. აწ უკუე რომელიცა-რაჲ კეთილი იყოს
და შესაწყნარებელ, ესეზომ მიიღე ღმრთისმეტყუელებად მხოლოდშობილისა
ძისა ღმრთისა სახისა ამისგან სიტყჳსა ჩუენისა და რომელიცა ჰპოო შეუმსგავ-
A v სებელ და არაკეთილ მისდა სახედ მოღებად, მას / განეშორე და თანა-წარჰჴედ
ყოვლითავე ღონისძიებითა.

„პირველითგან იყო სიტყუაჲ“. ხოლო უკუეთუმცა ეთქუა, ვითარმედ
პირველითგან იყო ძჱ, შემოვიდამცა ნუუკუე შენ თანა გულისსიტყუაჲ ვნე-
ბისაჲ, რამეთუ ჩუენ შორის მშობელნი ესე ჟამეულად შობენ და ვნებულად.
ამისთჳს უსწრო და „სიტყუად“ სახელ-სდვა, რაჲთა წინაჲსწარვე აღჰმართ-
ნეს უჴერონი იგი იჭუნი და სული შენი დაიცვას მოუწყლველად.

4.(„და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა“. კუალად თქუა, ვითარმედ
„იყო“ მგმობართა მათთჳს, რომელნი იტყჳან, ვითარმედ „არა იყო“. სადა იყო
სიტყუაჲ იგი? არა იყო ადგილსა შინა, რამეთუ გარეშემოუწერელი იგი არა
C v შეიწყუდევის ადგილსა შინა, არამედ სადა იყო? — „ღმრთისა თანა“.) არ/ცა
მამაჲ არს ადგილსა შინა, არცა ძჱ შეიპყრობის გარე-შემოწერითა, არამედ და-
უსრულებელ არს მამაჲ და დაუსრულებელ არს ძჱ. ყოველივე, რომელიცა
მოიგონო და ვიდრეცა ხჳდე სულითა შენითა, ყოველივე ღმრთისა მიერ აღვ-
სებული ჰპოო, ყოველგან თანაშეერთებული ჰპოო არსებაჲ იგი ძისაჲ.

(„და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა“. გიკჳრდინ ძალი თითოეულისა
სიტყჳსაჲ! არა თქუა, თუ „სიტყუაჲ იგი იყო შორის ღმრთისა“, არამედ
„ღმრთისა თანა“, რაჲთა თჳთებაჲ იგი გუამოვნებისაჲ გამოაჩინოს. არა თქუა
„შორის ღმრთისა“, რაჲთა არა მისცეს მიზეზი ბოროტისა მის სიტყჳსაჲ, რო-

---

1 მიმართ—C. მიხჳდჱ C. 4 მშობელისა C. 6 გამოხატავს] ვამოჰსახავს C. 7 სიტყჳთ C. 8 ნამეტავის·გან C. 9 აღმავალი C. 12 იგი სიტყუაჲ C. მამისაჲ] მამისაგან C. გჳჩუენოს C. 16 ყოვ-ლითურთ—C. მდგომარჱ C. 17 ბუნებაჲ] გონებაჲ C. 18 გამო-რაჲ-ვიდეს C. მშობელისა C. 19 იყო C. 20 მიიღო C. 21 ჰპოვო C. 22 განეშორჱ C. 26 რამეთუ] ხოლო C. 31 გარჱშემოუწერე-ლი C. 33 ძჱ—C. შეიპყრობეს C. 34 არს 2°—C. 35 ხჳდჱ C. 36 ჰპოვო 1° 2° C.

შელნი იქმან შერწყმასა მას გუამთასა.) ბოროტი არს იგიცა გმობაჲ, რომელნი შერევნასა მას იკადრებენ და ერთად გუამად იტყჳან მამასა და ძესა და სულსა წმიდასა და სამთა ამათ სახელთა ერთსა ზედა საქმესა დადებად ზრახვენ. ბოროტ არს უშჯულოებაჲ იგი და საძაგელ, უდარეს არს მათსა, რომელნი ბუნებით შეუმსგა/ვსებელად იტყჳან ძესა ღმრთისასა ღმრთისა თანა და მამისა. A 2
სწორი არს ორივე ესე გმობაჲ — საბელიოზის შერწ/ყმაჲ და არიოზის განყოფაჲ, პირთა გუამითა და ამისი ბუნებითა. C 2

„და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა“ — მერმე, ვითარცა ესე თქუა და იჴმარა სახელი ესე სიტყჳსაჲ გულისჴმისსაყოფელად უვნებელად შობისა. კუალად ადრე განკურნა ვნებაჲ იგი, რომელი სახელითა სიტყჳსაჲთა ჩუენ ზედა მოიწეოდა. და ვითარმცა მოიტაცებდა თავსა თჳსსა ცილისწამებისა მისგან მგმობართაჲსა, თქუა, თუ რაჲ იყო სიტყუაჲ იგი, ვითარმედ: „და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“.

I (ნუ ჰკელოვნებ წინაშე ჩემსა განყოფილებისათჳს სიტყუათაჲსა, ჵ დაბნელებულო ნათელსა შინა, ნუცა შენითა მაგით საძაგელებლობითა შეახებ გმობასა რასმე სწავლათა მათ სულისათა. გაქუს შენ განჩინებაჲ ესე ყოველივე კეთილი, დაემორჩილე უფალსა, რამეთუ „ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“.)

„ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა“. აჰა ესერა იხილეთ, ვითარ მცირედითა სიტყჳთა კუალად თავითგან მოაქცევს და იტყჳს თჳსსა მას ღმრთისმეტყუელებასა, ყოველსავე, რომელი-იგი თქუა მხოლოდშობილისათჳს საკჳრველმან მახარებელმან, ვითარმედ „ვინ იყო სიტყუაჲ იგი?“ — „ღმერთი იყო“. რამეთუ ვინაჲთგან გა/მოგიცხადა გულისჴმისყოფაჲ მისი და გამოწერა სულსა შინა შენსა სწავლითა თჳსითა, რაჲ-იგი არა იცოდე, და დაამჴჳდრა სიტყუაჲ იგი „ქრისტე“ გულსა შენსა, მერმე კუალად-მოიქცა და თქუა, ვითარმედ „ესეო“. „ესე“ ვინ? ნუ გარეგან მიმოიხედავ, რაჲთამცა სიტყჳთა ამით ჩუენებისაჲთა ეძიებდ ვისმე გარეთ, არამედ შევედ დაფარულთა მათ შინა სულისა შენისათა. / და ვითარ-იგი გისწავიეს ამის მიერ ღმერთი, რომელი პირველითგან იყო, რომელი ვითარცა სიტყუაჲ გამოვიდა, რომელი ღმრთისა თანა იყო და არს, ესე იცან და გიკჳრდინ და თაყუანის-ეც მეუფესა შენსა, რომელი ამით სწავლითა შემოსრულ არს შენ შორის; გულისჴმა-ყავ, ვითარმედ „ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა“, თჳსისა მამისა.) C v A v

ესე არიან სიტყუანი იგი, უსწავლელისა მის მიერ თქუმულნი ჩუენდა, დამაქცეველნი და შემწუველნი ენათა მათ, სიბრძნითა მით ამაოჲთა ლესულთა: არამედ, ჵ სულო დიდებულო, მეუფეო ცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, თაყუანის-ვსცემ შენსა ღმრთეებასა, რომელმან მეთევ/ზჱ C 234
იგი ესევითართა საქმეთა გამომეტყუელ ჰყავ, ჵ სამებაო, ჩემო საწურთელო და ჩემო სამკაულო, რომელმან ესევითარი სიბრძნჱ მოანიჭე კაცსა მას, ჵ კაცო და ანგელოზო, შეყუარებულო ქრისტესო, რომელმან ესრეთ ჭეშმარიტებაჲ გუასწავე.

---

[1] შერწყუმასა C. [2] ერთად] ერთ C. [3] და—C. დადებად] დაბადებულად C. [4] არა უდარეს C. [6] შერწყუმაჲ C. [7] ბუნებითა] გონებითა C. [8] მერმჱ C. [9] სიტყჳსაჲ] სიტყუაჲ C. გულისხმისსაყოფელად C. [11] მოიწეეოდა C. [14] ჰკელოვნობ C. ჩემსა] ჩუენსა C. [15] საძაგელებრობითა C. [16] გაქუს შენ განჩინებაჲ... სიტყუაჲ იგი—C. [21] ამან მახარებელმან C. [22] გულისხმისყოფაჲ C. [23] იცოდჱ C. [24] მერმჱ C. ვითარმედ—C. [26] გარედ C. [27] და გისწავიეს C. [29] თაყუანის-ეც C. [30] გულისხმა- [C. [35] თაყუანის-ესცემთ C. რომელმან] რამეთუ C. მეთევზური C. [36] ჩემო] ჩუენო C. [37] ჩემო] ჩუენო C. რომელმან] რამეთუ C.

ჵ ძმანო, ესე მცირედნი სიტყუანი დაიმარხენით, ვითარცა ბეჭდითა დაბეჭდულნი სულთა შინა თქუენთა. ესენი იყვნედ თქუენდა ზღუდე მტკიცე ბრძოლასა მას წინააღმდგომთასა; ესენი მცველ სულისა არიან, მფარველნი ვნებისა მისგან მავნებელთაჲსა. უკუეთუ ვინ მოგიჴდეს და გრქუას, ვითარმედ: „არა იყო და იშვა, რამეთუ უკუეთუ იყო, ვითარ იშვა?“ ვითარცა ეშმაკისა ჴმაჲ, გარე-მიაქციე გმობაჲ იგი დიდებისა მის მხოლოდშობილისაჲ, ხოლო შენ მოიქეც და მოედ სიტყუათა მათ სახარებისათა, ვითარმედ: „პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი. ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა“[1*].

ოთხგზის თქუა, ვითარმედ „იყო“ და განაქარვო მათი იგი „არა იყოჲ“.
A 203 /ესე საფუძველნი სარწმუნოებისანი შეუძრვე/ლადმცა ჰგიან. ამათ ზედა
C v შეწევნითა ღმრთისაჲთა აღვაშენოთ სხუაჲცა იგი. რამეთუ არა შესაძლებელ არს ყოველთათჳს ერთბამად თქუმაჲ, ნუუკუე უზომოებითა სიტყუათაჲთა უქმარ ვყვნეთ თქუენდა შრომით შეკრებულნი ესე. რამეთუ უძლურ იქმნის გონებაჲ ყოველთაჲვე სწორად შეპყრობად ერთბამად და წაეკიდის მას, ვითარცა მუცელსა, რომელმან სიმრავლითა განძღომისაჲთა ვერ შეუძლის მოდნობად, რაჲ-იგი ეჭამის.

ხოლო მე ვილოცავ თქუენთჳს, რაჲთა დაგიტკბეს გემოჲცა და სარგებელ გეყოს მოდნობაჲცა. და მე ვდგა განმზადებული მსახურებისა მიმართ ნაკლულევანთა მათ თქუმულთაჲსა. ქრისტე იესუს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცჱ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

XVI. ႧႵႳႫႳႪႨ ႼႫႨႣႨႱႠ ႫႠႫႨႱႠ ႹႳႤႬႨႱႠ ႡႠႱႨႪႨႱႨ ႱႳႪႨႱႠ ႼႫႨႣႨႱႠႧჃႱ

რომელი ნათელ-იღებდეს სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა, ნათელ-იღებს
C 235 სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდი/საჲთა[2*]. არცა მთავრობათა მიმართ, არცა ძალთა, არცა სხუათა დაბადებულთა საცნაურ უკუე იყავნ მისდა, ვითარმედ სამებაჲ უზეშთაეს არს დაბადებულთასა და ნუცა ერთსამცა სამებისაგანსა დაამდაბლებს დაბადებულთა თანა[3*]. რამეთუ ესრეთ არს ჩუენი ესე ღმრთისმეტყუელებაჲ და ესრეთ ვქადაგებთ, ვითარმედ: იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად, მამაჲ; იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად, ძჱ; იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად[4*], სული წმიდაჲ; და ნუგეშინისმცემელი იყო. და იყო

PG, 31, გვ. 1429—1437.

[2] იყვნენ C. ზღუდჱ მტკიცჱ C. [5] ეშმაკისაჲ C. [6] ჴმაჲ+ესრეთ გარჱ-მიაქციე C. [10] იყო 2° C. [11] შეუძრველადმცა] შეურყეველადმცა C. [14] შურომით C. უძრულ A. იქმნეს C. [15] ყლ˜თაჲვე C. [20] თქუმულთასა C. [22] ა˜ნ A, ამინ C. [23] წმიდისა + და ნეტარისა C. ბასილისი] ბასილი კესარია-კაბადუკიელ მთავარეპისკოპოსისაჲ C. წმიდისათჳს + ˜თავი ი˜ე, გკ˜ხნ მმ˜ო C. [25] ნათელს- C. ნათელს- C. [26] მმის˜თა A. [28] და—C. [31] და—C.

[1*] იოანე 1,1—2. [2*] მათე 28,19. [3*] იოანე 20,22. [4*] იოანე 1,9.

და იყოს, არამედ ესრეთ იყო ნათელი და ნათელი და ნათელი. / არამედ A v ერთი ნათელი, ერთი ღმერთი ესე არს, რომელი დავით გულისჴმა-ყო პირველ და თქუა, ვითარმედ: „ნათლითა შენითა ვიხილეთ ჩუენ ნათელი“[1*]. და აწ ჩუენ გჳხილავს და ვქადაგებთ ნათლისაგან მამისა ნათელსა, ვიხილავთ ძესა ნათლითა მით სულისაჲთა.

ესე არს მოკლე და კეთილი სამებისა ღმრთისმეტყუელებაჲ: უარისმყოფელი უარ-ჰყ/ოფდინ, ურჩულოჲ ურჩულოებდინ[2*]. ჩუენ, რომელი გულისჴმა- C v გჳყოფიეს, ვქადაგებთ. მთასა მაღალსა[3*] აღვჴდეთ და ვღაღადყოთ, უკუეთუ ქუეით არა ისმენდენ ჩუენსა, და არა გუეშინის ქადაგებად, არამედ გუეშინის დადუმებად: უკუეთუ იყო ოდესმე ჟამი, ოდეს არა იყო მამაჲ, იყო, ოდეს არა იყო ძჱცა; უკუეთუ იყო ჟამი ოდესმე, ოდეს არა იყო ძჱ, იყო, ოდეს არა იყო სული წმიდაჲცა. უკუეთუ ერთი ამათგანი იყო მარადის პირველითგან, მაშა სამნივე იყვნეს. უკუეთუ ამათგანსა ერთსაცა დაამდაბლებ, ვიკადრებ და ვიტყჳ, ვითარმედ ნუცა მათ ორთა აღამაღლებ; რამეთუ რაჲ არს სარგებელი ესევითარისა აღსარებისაჲ, რაჲთა არა სრული ღმრთეებაჲ აღიარო და, უფროჲსად, რაჲ არს ღმრთეებაჲ, უკუეთუ არა სრული არს? ხოლო სრული ვითარ იყოს, უკუეთუ წმიდაჲ იგი არა აქუნდეს? ანუ რომელი აქუნდეს წმიდაჲ, გარნა ესე სული წმიდაჲ, რომელსა ვქადაგებთ? ანუ თქუნ ვინმე, თუ არს სადა თჳნიერ ამისა წმიდაჲ, ხოლო უკუეთუ ესე არს წმიდაჲ, ვითარ არა პირველითგან არს ესეცა, ვითარცა ძჱ? ანუ ვითარმცა შესა/ძლებელ იყო, რაჲთამ- C 23 ცა იყო ოდესმე ღმერთი თჳნიერ სულისა, ვითარ-იგი იტყჳან საწყალობელნი იგი და ბილწნი? უკუეთუ არა პირველითგან იყო, მაშა ჩემ თანა შერაცხილ არს; დაღაცათუ მცირედ უწინარეს ჩემსა იყოს და უკუნისამდე ჩემ თანა შერაცხილ არს, ვითარ მე ღმერთ მყოს, ანუ ვითარ შემაერთებს ღმერთსა?

/ხოლო მოიჴსენე, ვითარ უფალმან შეჰბერა მოციქულთა სული წმიდაჲ A 20 და გამოაჩინა, ვითარმედ სული წმიდაჲ არსებისა მის ღმრთეებისაგან არს და არა დაბადებულთა ბუნებისაგან, და კუალად სიტყუაჲ იგი მოციქულისაჲ სამებისათჳს, რომელსა შინა ერთსა ძალსა გულისჴმა-ვჰყოფთ მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა და ერთსა საქმესა, რომელთაგანი არცა ერთი არს დაბადებულ და შექმნილ ბუნებით — არცა ძჱ, არცა სული წმიდაჲ, რამეთუ არა იქმს ამას ღმერთი, რაჲთამცა დაბადებულისა მიერ განჰყოფდა თჳსთა მადლთა ყოველთა ზედა.

ხოლო მოციქული იტყჳს, ვითარმედ: „განყოფანი მადლთანი არიან და იგივე სული არს; და განყოფანი მსახურებათანი არიან და იგივე უფალი არს; და განყოფანი ძალთანი არიან და იგივე ღმერთი არს, რომელი იქმს ყოველსავე ყოველსა ზედა“[4*]. აწ უკუე რასაცა ღმერთი იქმს, მას/ვე სული წმიდაჲ იქმს, რამე- C v თუ იტყჳს, ვითარმედ: „ყოველსავე იქმს ერთი იგი სული და განუყოფს თითოეულად, ვითარცა ენებოს“[5*]. ნუმცა ვინ იკადრებს მონებად მოყვანებასა სულისასა, რამეთუ ვითარცა ენებოს მას, ყოველსავე იქმს საქმესა ღმრთისასა.

---

2 გულისხმა- C. 6 მოკლჱ C. უვარისმყოფელი უვარჰყოფდინ C. 7 უშჯულოჲ უშჯულოებდინ C. გულისხმა- C. 8 ვღაღატყოთ A. 11 ძეცა C. 15 აღსაარებისაჲ C. ღთ̃ბჲ A. 16 ღთ̃ბჲ A. სრულ C. 19 ამისსა C. 21 ვითარ-იგი] ვითარ C. 23—24 დაღაცათუ მცირედ უწინარეს ჩემსა იყოს და უკუნისამდე ჩემ თანა შერაცხილ არს—C. მყოს] მყოფს C. 26 მის ღმრთეებისაგან] მისგან ღმრთეებისა C. 28 გულისხმა- C. 29 დაბადებული C. 30 შექმნული C. 36 ზედა—C. 38 მოყვანებასა] მოპოვნებასა C.

1* ფსალმ. 35,10. 2* ესაია 21,2. 3* ესაია 11,9. 4* I კორინ. 12,4—6. 5* I კორინ. 12,11.

და კუალად, ვითარმედ: „უფალი სული იგი არს, ხოლო სადა სული უფლი-
საჲ იყოს, მუნ აზნაურებაჲ არს"[1*], რამეთუ დამკჳდრებაჲ ღმრთისაჲ ჩუენ შო-
რის სულისა მის მიერ იქმნების[2*], ვითარცა იტყჳს იოვანე: ამით უწყით, ვითარ-
მედ ჩუენ თანა არს სულისა მის მიერ, რომელი მოგუცა ჩუენ[3*], რამეთუ უკუე-
თუ არა ესე დაამკჳდრებს ღმერთსა ჩუენ შორის, არა სადმე არს ჩუენ თანა
ღმერთი. ხოლო უკუეთუ ღმერთი არა არს ჩუენ თანა, არცა ცხორებაჲ, არცა კე-
თილნი იგი საუკუნენი მოგუეცემიან. ისმინე პავლესი, ვითარ იტყჳს, ვითარ-
. v მედ: „არა უწყით-ა, რამეთუ ტაძარნი ღმრთისანი ხართ / და სული ღმრთი-
საჲ დამკჳდრებულ არს თქუენ შორის"?[4*] და კუალად, ვითარმედ: „ჴორცნი
თქუენნი ტაძარ არიან სულისა მის წმიდისა, რომელი არს თქუენ შორის,
რომელი-იგი გაქუს ღმრთისაგან"[5*]. რამეთუ დაბადებულთა გამოცხადებაჲ
უქმს ცნობად საქმეთა ღმრთისათა, ხოლო სული წმიდაჲ გამოგჳცხადებს ჩუენ,
237 ვითარცა / თქუმულ არს, ვითარმედ: „ღმერთმან გამოაცხადა სულისა მიერ
თჳსისა და ჩუენ ზედა გამოეძიებს"[6*], რამეთუ მის მიერ ვჰყოფთ გამოძიებასა,
ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ: „სული გამოეძიებს სიღრმეთა ღმრთისათა"[7*],
ხოლო თავით თჳსით უწყის, ვითარცა ჩუენმან სულმან, რამეთუ იტყჳს, ვი-
თარმედ: „ვინ უწყის კაცისაჲ კაცთაგანმან, გარნა სულმანვე მისმან,
ეგრეთვე ღმრთისაჲ ვინ უწყის, გარნა სულმანვე ღმრთისამან"[8*]?

და ცხოელს ჰყოფს ღმერთი, რამეთუ იტყჳს მოციქული, ვითარმედ: „გამც-
ნებ წინაშე ღმრთისა, რომელი ცხოელს ჰყოფს ყოველთავე"[9*] და ცხორებასა
მოანიჭებს ქრისტე, რომელმან თქუა, ვითარმედ: „ცხოვართა ჩემთა ჴმისა ჩე-
მისაჲ ისმინონ და მე ცხორებაჲ საუკუნოჲ მივსცე მათ"[10*], ხოლო ცხოელ ვიქმ-
ნებით სულისა მიერ წმიდისა, რამეთუ იტყჳს პავლე, ვითარმედ: „რომელმან
აღადგინა ქრისტე მკუდრეთით, ცხოელ ყვნეს მოკუდავნი ეგე ჴორცნი თქუენ-
ნი სულისა მისისა მიერ, რომელი მკჳდრ არს თქუენ შორის"[11*].

აწ უკუე საცნაურ არს, ვითარმედ ცხოელ ვიქმნებით ღმრთისაგან. ქრის-
ტეს მიერ. სულითა წმიდითა და ამისთჳს, ვინაჲთგან ყოველი საქმჱ ძისაჲ სუ-
ლისა მიერ გამოჩნ/დების, უფალ ეწოდების სულსაცა სახელითა მით უფლი-
საჲთა და ქრისტე—სახელითა ქრისტესითა, ვითარცა აწლა ვიტყოდეთ, ვითარ-
მედ: „უფალი სული არს" და კუალად თქუმულ არს, ვითარმედ: „თქუენ არა
ჴორცითა ხართ, არამედ სულითა, რამეთუ სული ღმრთისაჲ არს თქუენ შო-
რის, უკუეთუ კულა ვისმეს სული ღმრთისაჲ არა აქუნდეს, იგი არა არს ქრის-
:205 ტესი"[12*]. და მერმე შესძინა და თქუა, / ვითარმედ: „უკუეთუ ქრისტე არს თქუენ
შორის"[13*], ნაცვლად ამისა, რომლისათჳს იტყოდა, ვითარმედ: „უკუეთუ სული
წმიდაჲ არს თქუენ შორის".

ხოლო არა არს სიტყუაჲ საღმრთოჲ, რომელი სულსა დაბადებულად
უწოდს, რამეთუ იგი სიტყუაჲ, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „ყოველივე მის მიერ
იქმნა"[14*], სიმრავლისათჳს დაბადებულთაჲსა თქუმულ არს. ხოლო სული წმი-
დაჲ არა სიმრავლესა თანა შერაცხილ არს, არამედ ორთა მათ თანა სამებასა

---

[1] უფლისაჲ იყოს] ღმრთისაჲ C. [3] იოვანჱ C. უწყით] უწყოდით C. [4] მოგუეცა C. [6] ცხოვრებაჲ C. [10] ტაძარნი C. მის] მიერ C. [11] გაქუს] აქუს C. [19] ცხოველს C. რამეთუ + ვითარცა C. [20] ცხოველს C. [21] მოანიჭებს C. [22] მივსცჱ C. ხოლო] რ˜C. ცხოველს C. [23] რამეთუ] ვითარცა C. პავლჱ C. [24] ცხოველ C. [26] ცხოველს C. [29] ვიტყოდჱ C. [32] ღმრთისაჲ—C. [33] მერმჱ C. [34] ამისა C

[1*] II კორინ. 3,17. [2*] რომ. 8,11. [3*] I იოვ. 4,13. [4*] I კორინ. 3,16. [5*] I კორინ. 6,19. [6*] I კორინ. 2,10. [7*] იქვე. [8*] იქვე, 11. [9*] I ტიმ. 6,13. [10*] იოვანე 10,27—28. [11*] რომ. 8.11. [12*] რომ. 8,9. [13*] იქვე, 10. [14*] იოანე 1,3.

აღასრულებს და დაბადებულთაგან კიდე არს და ფრიად უზეშთაეს, რამეთუ წმიდამყოფელი არს დაბადებულთაჲ და ცხოველსმყოფელი და საცხებელი სიწმიდისაჲ, და თავადისაცა უფლისა ჴორცთა სცხო მან სიწმიდითა. / ხოლო ესე არასა- C და ვინ იკადროს თქუმად, თუ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე დაბადებულისა მიერ წმიდა იქმნა, ვითარცა იტყჳს მოციქული პეტრე, ვითარმედ: „იესუ ნაზარეველი, რომელსა სცხო ღმერთმან სულითა წმიდითა და ძალითა“[1*]. და არცა დაბადებულისა მიერ არს ძალი მისი, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „სულითა ღმრთისაჲთა განვასხამ ეშმაკთა“[2*] და არცა დაბადებულისა მიერ ვიდოდა, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „აღიყვანა იგი სულმან უდაბნოდ“[3*], ხოლო ვითარმცა აღიყვანა იგი დაბადებულმან? და კუალად პირველნი იგი ძუელნი წინაჲსწარმეტყუელნი იტყოდეს, ვითარმედ: „ამას იტყჳს უფალი“, ხოლო ახალთა ამათ წინაჲსწარმეტყუელთა თქუეს, ვითარმედ: „ამას იტყჳს სული წმიდაჲ“ და მოციქულნი იტყოდეს, ვითარმედ: „ინება სულმან წმიდამან და ჩუენ“. ამისთჳსცა პავლეცა მოციქული გამოაჩინებდა, ვითარმედ ღმრთისა მიერ იტყჳს და ოდესმე იტყოდა, ვითარმედ: „უკუეთუ გამოცდასა ეძიებთ ქრისტესსა, რომელი ჩემ შორის იტყჳს“[4*] და ოდესმე იტყოდა, ვითარმედ: „ვჰგონებ, თუ სული ღმრთისაჲ მაქუს“[5*].

და კუალად დიდებისმეტყუელებითა სულისაჲთა / სავსე არიან ძუელნი- A ცა წერილნი, რამეთუ იტყჳს მეფსალმუნჱ, ვითარმედ: „სიტყჳთა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პი/რისა მისისაჲთა ყოველი ძალი მათი“[6*] და C წიგნსა იობისსა წერილ არს, ვითარმედ: „სული წმიდაჲ არს, რომელმან დამბადა მე“[7*].

ხოლო ვითარცა სიტყჳსა სხჳსა მოგონებაჲ არა შესაძლებელ არს, რომლისა მიერ ცანი დაემტკიცნეს, თჳნიერ ძისა (რამეთუ უკუეთუ სხჳთა სიტყჳთა დაბადებულ არიან, არა სადმე უფლისა იესუს მიერ იქმნეს, ეგრეთვე ვერცა სულისა სხჳსა შესაძლებელ არს გულისჴმისყოფაჲ), რომელი სიტყჳსა მის თანა დაამტკიცებს ძალთა ცისათა, გარნა ესე სული წმიდაჲ.

ხოლო რაჟამს სული პირისაჲ გუესმას, არა კაცობრივ ვისმინოთ, არამედ ვითარცა ღმერთსა შუენის. რამეთუ ვითარცა-იგი სიტყუაჲ არა სიტყუაჲ ესე არს ჰაერად განბნევადი, არამედ ვითარცა ფსალმუნი იტყჳს: „უკუნისამდე, უფალო, სიტყუაჲ შენი ჰგიეს ცათა შინა“[8*]; ეგრეთვე არცა სული მშჳნვაჲ რაჲმე არს ჰაერად განქარვებადი, არამედ მტკიცე არს იგი და შეურყეველ. რამეთუ თქუმულ არს, ვითარმედ: „ვიდრე-მე ვიდე სულისა შენისაგან, ანუ პირისა შენისაგან ვიდრე-მე ვივლტოდი?“ რამეთუ არს სული იგი წმიდაჲ და აღუვსიეს ყოველივე და პატივი იგი ღმრთეებისაჲ აქუს მას. რამეთუ რაჲ-იგი თქუა სულისა/თჳს, მასვე იტყჳს პირისათჳს ღმრთისა და მარჯუენისათჳს მისისა, C ვითარმედ: „პირისა შენისაგან ვიდრე-მე ვივლტოდი? აღ-თუ-ვჴდე ცად, შენ მუნ ხარ, შთა-თუ-ვჴდე ჯოჯოხეთად, მუნცა ახლოსვე ხარ. აღ-თუ-ვიპყრნე ფრთენი ჩემნი განთიად და დავემკჳდრო დასასრულსა ზღჳსასა, მუნცა ჴელი

[1] და 1°—C. კიდჱ C. [2] ცხოველსმყოფ ლი C. [5] პეტრჱ C. [6] და 2°—C. [7] ვითარმედ—A. [13—14] ამისთჳსცა პავლეცა]ამისთჳს პეტრეცა C. [16] გამოცდასა] გამოცდილებასა C. [18] სავსჱ C. [23] ხოლო]რამეთუ C. [24] სხჳსა C. [25] იქმნნეს C. [26] გულისხმისყოფაჲ C. სიტყუასა C. [28] გუესმას C. კაცობრივ]კაცური C. [29] ჰშუენის C. [32] მტკიცჱ C. [33] ვიდრე-მე]ვიდრე C. სულისაგან შენისა C. ანუ]და C. [34] ვიდრე-მე] ვიდრე C. მივივლტოდი C. [35] რამეთუ — C. [36] პირისათჳს]პირისაგან C. [37] აღ-თუ-ვჴდჱ C.

[1*] საქმე 10,38. [2*] მათე 12,28. [3*] ლუკა 4,1. [4*] II კორინ. 13,3. [5*] I კორინ. 7,40. [6*] ფსალმ. 32,6. [7*] იობ 33,4. [8*] ფსალმ. 118,89.

A 206 შენი მიძღოდენ მე და / მარჯუენემან შენმან შეჱიწყნაროს მე“[1*]. და კუალად ჴმაჲ უფლისაჲ თავისა თჳსისათჳს და სულისათჳს წმიდისა იტყჳს, ვითარმედ: „მე ვარ თქუენ შორის, იტყჳს უფალი და სული ჩემი იყოფების თქუენ ზედა“[2*].

არცა უკუე უცხოჲ არს დიდებისაგან ღმრთისა სული წმიდაჲ, არამედ გამოუთქუმელისა მის პირისაგან გამოუთქუმელად გამომავალ არს, არცა შერეული არს მამისა თანა და ძისა, არამედ სული არს ღმრთისაჲ და ღმრთისა თანა არს, ხოლო მოივლინების ღმრთისაგან და ძისა მიერ მოგუეცემის, ვითარცა ითქუმის პირისაგან მამისა, ვითარმედ: „სული ჩემი, რომელი არს შენ ზედა“ და ითქუმის კუალად უფლისა მიერ, ვითარმედ: „სხუაჲ ნუგეშინისმცემელი მოგივლინო თქუენ“[3*], რომელსაცა უწესს სულად ჭეშმარიტებისად.

C v ერთისა უკუე მამისა და ერთისა ძისა და ერთისა სულისა / წმიდისა ჯერ-არს ალსარებაჲ სწავლისაებრ წმიდათაჲსა და არცა ორთა მამათაჲ, არცა ორთა ძეთაჲ, რამეთუ სული არა ძჱ არს, არცა ძედ ეწოდების. რამეთუ არა სულისაგან რას მოვიღებთ, ვითარ-იგი ძისაგან მოვიღებთ სულსა. არამედ სული წმიდაჲ თჳთ მოვალს წმიდამყოფელად ჩუენდა და მას მოვიღებთ ღმრთეებისა ზიარებად და ძეობისა მომცემელად და საუკუნოთა მათ სამკჳდრებელთა წინდად და დაულევნელთა მათ კეთილთა დასაბამად. და ნუმცა ვინ გამოეძიებს რას გარეგან ამათ წმიდათა სახელთა, ნუცა სახელსა ძისასა სულსა ზედა წმიდასა დადებად ებრძოდენ, ნუცა შობასა, არამედ კმა ეყოფოდენ მას სახელი იგი სულისაჲ და მსგავსებაჲ.

A v / მე უკუე ესრეთ მრწამს ესე და ესრეთცამცა მრწამს და ვინცა არს მეგობარ ჩემდა, რაჲთა გურწმენეს ღმერთი მამაჲ და ღმერთი ძჱ და ღმერთი სული წმიდაჲ — სამი თჳთებაჲ და ერთი ღმრთეებაჲ, დიდებითა და პატივითა და მეუფებითა და არსებითა განუყოფელნი, ვითარცა სხუათა მათ ღმერთშემოსილთა ქადაგეს.

C 240 და ვის არა ესრეთ ჰრწამს, ნუმცა უხილავს მას / მთიები აღმომავალი, ვითარცა წერილი იტყჳს: „ნუცამცა უხილავს დიდებაჲ მერმისა მის ბრწყინვალებისაჲ“, რომელსა არა ესრეთ აქუს, ანუ მიჰყვების ჟამთა თანა და სხუად და სხუად შეიცვალების და დიდთა ამათ საქმეთათჳს ბოროტად ზრახავს. რამეთუ უკუეთუ არა თაყუანისსაცემელ არს სული წმიდაჲ, ვითარ მე ღმერთ მყოფს ნათლისღებისა მიერ? და უკუეთუ თაყუანისსაცემელ არს, ვითარ არა პატიოსან არს? და უკუეთუ პატიოსან არს, ვითარ არა ღმერთ არს? ერთი ერთისა შეუთქს ოქროჲსა ამის ჭეშმარიტად ჯაჭვსა და ცხოველსმყოფელისა და სულისა მიერ მომეცემის ჩუენ მეორედ შობაჲ და მეორედ შობისაგან განახლებაჲ და განახლებისაგან ცნობაჲ პატივისა მის განმაახლებელისა ჩუენისაჲ.

და კუალად სიმრავლენი იგი გულისჴმა-ყვენ საქმეთა მისთანი, რომელთა მიერ გულისჴმა-იყოფების ჭეშმარიტად ღმრთეებაჲ მისი, რომელთა არა სრულიად დაიყვნენ თუალნი სულისანი.

[1] მიძღოდის C. [6] შერეული] შერწყული C. [10] ჭეშმარიტებისა C. [11] მამისაჲ C. წმიდისაჲ C. [12] აღსაარებაჲ C. მამათა C. [16] საუკუნეთა C. [17] და 1°—C. [21] ესრეთცამცა] ესრეთცა C. მრწამს] მრწმენეს C. [22] ∼ძჱ ღმერთი C. [24] განუყოფელი C. [26] ჰრწამს C. [27] მბრწყინვალებისაჲ C. [28] მიჰყვების] მე C. [30] თაყუანისსაცემელ C. ღმერთ] ნათელ C. [32] პატიოსან C. ღმერთი C. [33] შეუთქს] შეადგს C. უქროჲსა A. [35] და—C. ჩუენისა C. [37] გულისხმა- C. [38] გულისხმა- C. [39] დაეყვნენ C.

[1*] ფსალმ. 138, 7—10. [2*] ანგია 2,5—6. [3*] იოანე 15,26.

რამეთუ გულისჴმა-ყავ ესრეთ: იშვა ქრისტე და იგი წინა მირბიოდა, ნათელ-იღო და იგი ეწამებოდა, გამოიცდებოდა და მან აღიყვანა უდაბნოდ, იქმოდა ძალთა და იგი მის თანა იყო, ამაღლდა ქრისტე და იგი გამოჩნდა.

/ რამეთუ რაჲ არს დიდთა ამათ საქმეთაგანი, / რომელი მას ვერ ძალ-უც C v ქმნად, რომელი-იგი ღმერთ არს? ანუ რაჲ სახელი საღმრთოჲ არა ეწოდების A 207 თჳნიერ უშობელობისა და შობილობისა? რამეთუ ჯერ-იყო, რაჲთა თჳთებანი იგი ეგნენ მამისა და ძისანი, რაჲთა არა იყოს შერეულებაჲ ღმრთისა თანა, რომელი-იგი სხუათა წესიერებასა მიანიჭებს. ხოლო მე ვძრწი, რაჟამს სიმრავლენი იგი სახელთა მისთანი მოვიგონნე, თუ რავდენთა მიმართ დაბრმობილ არიან, რომელნი სულსა წმიდასა წინა-აღუდგებიან. რამეთუ სული ღმრთისაჲ ეწოდების[1*] მას—სული ქრისტესი[2*], სული უფლისაჲ[3*], თჳთ უფალი[4*], სულ შვილებისა[5*], ჭეშმარიტებისა[6*], აზნაურებისა[7*], სულ სიბრძნისა, მეცნიერებისა, განზრახვისა, ძლიერებისა, გულისჴმისყოფისა, კრძალულებისა, შიშისა ღმრთისაჲ[8*]. რამეთუ ამათ ყოველთა მოქმედი არს, ყოველთაჲვე აღმავსებელ, ყოველთა მპყრობელ, დაუტევნელ სოფელსა შინა ძალითა მისითა, სახიერ, წრფელ, მთავარ ბუნებით, არა ნიჭითა განმწმედელ, არა განწმედილ სხჳსა ვისგანმე, აღმრაცხველ, არა აღრიცხულ, აღმავსებელ, არა აღვსებულ, მპყ/რობელ, არა პყრობილ, დამამკვდრებელ, დიდებულ, შერაცხულ მამასა C 241 თანა და ძესა, თით ღმრთისა, ცეცხლ, ღმერთ, სულ დამბადებელ, განმაახლებელ ნათლისღებისა მიერ და აღდგომისა, სულ ყოვლისავე მეცნიერ, მასწავლელ, მავალ, სადაცა ენებოს და რაჲზომცა, წარმმართებელ, მეტყუელ, წარმვლენელ, განმაჩინებელ, შემრისხველ ურჩულოთა, გამომცხადებელ, განმანათლებელ, ცხოველსმყოფელ და უფროჲსად თჳთ ხათელ და ცხორება; ტაძარმყოფელ, ღმერთმყოფელ, სრულმყოფელ, მსწრობელ უწინარეს ნათლისღებისა და საძიებელ შემდგომად / ნათლისღებისა, A v მოქმედ ყოვლისავე საღმრთოჲსა საქმისა, განმყოფელ ენათა ცეცხლისათა, განმყოფელ მადლთა, განმანათლებელ მოციქულთა, წინაჲსწარმეტყუელთა, მახარებელთა, მწყემსთა, მოძღუართა; საცნაურ, მრავალ, განმყოფელ, უზომო, დიდ, დაუყენებელ, უბიწო, ყოვლად ბრძენ, მრავალსახე საქმითა მისითა და გამომაჩინებელ ყოვლისავე, თჳთმფლობელ, უცვალებელ, ყოვლად ძლიერ, ყოველთა ზედამხედველ, ყოველთა სულთა ზედა მიფენილ საცნა/ურთა მათ და წმიდათა წურილთა ანგელოზებრთა მათ ძალთა, ეგრეთვე C v წინაჲსწარმეტყუელთა, მოციქულთა ერთბამად და არა ერთსა ადგილსა, არამედ სხუაჲ სხჳსა ადგილსა რაჲ არნ და სხუაჲ სხჳსა, და ყოველთა ზედა მიეფინის, რომლითა გამოჩნდების გარეშეუწერელობაჲ მისი და, უწინარეს ყოვლისა, ნუგეშინისმცემელ. რამეთუ ესრეთ თქუეს და ესრეთ გუასწავეს წმიდათა მათ ქადაგთა, რომელნი ღმრთად უწოდენ მას[9*], რომელთა მისდა მიმართ

[1] გულისხმა- C. მიბიოდა A. რბიოდა C. [2] გამოიცადებოდა C. [3] აღმაღლდა C. [5] რომელ-იგი C. [8] რაჟამს-იგი C. [9] იგი—C. რაოდენთა C. [12] სული შვილებისაჲ C. ჭეშმარიტებისაჲ C. აზნაურებისაჲ C. სული სიბრძნისაჲ C. [13] მეცნიერებისაჲ C. განზრახვისაჲ C. ძლიერებისაჲ C. გულისხმისყოფისაჲ C. კრძალულებისაჲ C. [14] ყოველთაჲვე] ყოველთა C. [17] ვისგანმე] ვისგანე C. აღრაცხულ C. [18] შერაცხილ C. [20] ნათლისღებისა C. [22] უშჯულოთა C. გამომაცხადებელ C. ცხოველს C. [24] ღმერთ მყოფელ] გამომცხადებელ C. [29] მრავალსახე C. [31] ზედა] თანა C. [32] წვრილთა A, წულილთა C. [34] სხჳსა2] სხუასა A. მიეფინის] მოეფინების C. [36] გუსწავეს C. [37] მათ] მათგან C.

[1*] I კორინ. 2,11. [2*] რომ. 8,9; II კორინ. 3,18 [3*] სიბრ. 1,7. [4*] კოლება 4,20. [5*] რომ. 8,15. [6*] იოანე 14,17; 15, 26; 13,13. [7*] II კორინ. 3,17. [8*] ესაია 11,2. [9*] იოანე 14,16.

ოდენ გმობაჲ იციან შეუნდობელად[1*], რომელთა ანანია და სამფირა ესრეთ სა-
შინელად განაქიქეს, რამეთუ უტყუვა სულსა წმიდასა და არა კაცსა[2*].
რასა იტყჳ, შ მეტყუელო ამაოებისაო, არა ღმრთად გჳქადაგეს-ა მათ იგი?
ვითარ ფიცხელ ხარ და შორს წმიდისა მის სულისაგან, უკუეთუ ამას ვერ
გულისჴმა-ჰყოფ, არამედ გიჴმს მასწავლელი?
ესე არიან სახელნი მისნი და ესრეთ კეთილ, ხოლო მისთჳსცა რავდენი-
რაჲ ითქუმის სიტყუაჲ მდაბალი, ესე იგი არს: მოცემაჲ[3*], მოვლინებაჲ[4*], გან-
ყოფაჲ[5*], მონიჭებაჲ[6*], შთაბერვაჲ[7*], აღთქუმაჲ[8*], ლოცვაჲ[9*] და ყოველივე
242 მსგავსი ამისი, რაჲთა არა ვიტყოდი თითოეუ/ლად. ყოველივე პირველისა მის
208 მიზეზისა / მიმართ გულისჴმა-ყავ, რაჲთა გამოჩნდეს ძალისაგანობაჲ და არა შე-
მოვიხუნეთ სამნი მთავრობანი, განყოფილნი ურთიერთას. რამეთუ ურჩულოე-
ბითა სწორ არს საბელიოზურად შერწყმაჲ და არიოზულად განყოფაჲ; იგი
გუამითა და ესე ბუნებითა, რომელი-იგი მე ფრიად განოვიძიე თავსა შორის ჩემსა
მოსწრაფებითა მით გონებისაჲთა და ყოვლით კერძო წარვჰმართე სიტყუაჲ ჩემი,
და მრავალთა ზედა მივიწიე და ვეძიებდი, რაჲთამცა ვპოე სახჱ რაჲმე ესე-
ვითარისა ამის საქმისაჲ და ვერარაჲ ვპოე საქმე სახედ ბუნებისა მის ღმრთე-
ებისა. რამეთუ დაღაცათუ მცირედი რაჲმე მსგავსებაჲ იპოოს, უმეტესი ივლ-
ტის და მე სახისა მის თანა ქუევე დავრჩები. თუალი და წყაროჲ და მდინარჱ
მოვიგონე და სხუათაცა მოიგონეს ესე, თუ ნუუკუე ერთი იგი იქმნას სახედ
მამისა და მეორე — ძისა და მესამე — სულისა წმიდისა. რამეთუ ესენი არცა
ჟამეულად განყოფილ არიან ურთიერთას, არცა ერთი ერთისაგან განკუეთილ
V და შერაცხილ არს, ვითარცა / სამითა თჳთებითა განყოფილ. არამედ შევძრ-
წუნდი, პირველად ამისთჳს, ნუუკუე დინებაჲ შემოვიღო წმიდასა მას ბუნე-
ბასა ზედა და დაუდგრომელობაჲ და კუალად ამისთჳს, ვითარმედ ნუუკუე
ამით სახითა ერთგუამებაჲ შემოვიღეს, რამეთუ თუალი და წყაროჲ და მდინა-
რე ერთგუამ არიან, რომელნი განიყოფებიან თითოსახედ. კუალად მზჱ მო-
ვიგონე და შარავანდედი და ნათელი, არამედ აქაცა შემეშინა, პირველად ამის-
თჳს, ვითარმედ ნუუკუე შეზავებულებაჲ რაჲმე შემოვიღეს შეუზა/ვებელისა
მის ბუნებისაჲ, ვითარცა არს მზჱ და საქმენი მისნი და მეორედ ამისთჳს, ვი-
თარმედ ნუუკუე მამაჲ გუამოვან ვყოთ და სხუანი იგი არა. არამედ ძალად
ღმრთისა ვთქუათ შეყოფილ მის თანა და არა გუამოვან, რამეთუ არცა შარა-
ვანდედი და ნათელი სხუანი მზენი არიან, არამედ მზისა მიერ გამომავალნი და
ძალნი მისნი. და ესრეთ სახისა ამისგან ჩუენისა მივსცეთ ღმრთისა არსებაჲ
და არაარსებაჲ, რომელი-იგი უშჯულოება არს.
243 და ესრეთ არარაჲ არს ყოლადვე, რომელმანცა უძლო გონებ/ისა ჩემისა
დარწმუნებად, არამედ ყოველსა შინა იპოების წინაალმდგომი. გარნა თუ ეს-
რეთ ვინ ქმნას, რაჲთა სახისა მისგან ერთი რაჲმე მიიღოს და სხუაჲ იგი დაუ-

---

1 ესრეთ—C. 2 განაქიქნეს C. უტყუეეს C. 5 გულისხმა- C. 6 ამისთჳსცა C. რაოდენი-რაჲ C.
10 გულისხმა- C. ძალისაგანობაჲ] ძალისა გონებაჲ C. 11 უშჯულოებითა C. 12 საბელიოზი-
სებრ C. შერწყუმაჲ C. 13 რომელ-იგ C. 15 ეპოვე C. 16 ამის საქმისაჲ] მის საქმისა C.
ვპოვე C. საქმჱ C. 17 იპოეოს C. ილტი A. 18 ქუევე] ქუჱ C. 19 მო-ვე-იგონეს C. სახჱ
მამისაჲ C. 20 მეორჱ C. მესამჱ C. 25 მდინარჱ C. 26 მოეიგონჱ C. 31 უშჯულოებაჲ C.
35 შეუძლო გონებასა ჩემსა C. 36 იპოეების C. 37 დაუტევოს C.

1* მათე 12,31. 2* საქმე 5,3. 3* ლუკა 11,13. 4* იოანე 16,7. 5* ებრ. 2,4. 6* საქმე
2,38. 7* იოანე 20,22. 8* გალატ. 3,14. 9* რომ. 8,26.

ტეოს, ხოლო მე უკუანაჲსკნელ ესე სათნო-ვიყავ, რაჲთა სახეთა ძიებისაგან განვეშორო, ვითარცა მაცთურთა და ჭეშმარიტებისა ვერმპოვნელთა. და მე დავადგრე გონებასა ზედა კეთილსა და სული წმიდაჲ წინამძღურად ვიქმარო, რაჲთა ესრეთ ბრწყინვალებაჲ, რომელი აქა გამიბრწყინდა, აღსასრულადმდე დავიმარხო ძალითა მისითა და, ვითარცა კეთილმან თანამზრახველმან, განმავლოს კეთილად ესე საწუთროჲ და რაჲთა სხუათაცა ყოველთა უქადაგებდე თაყუანისცემად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ერთისა მის ღმრთეებისა და ერთისა ძალისა, რამეთუ მისი არს ყოველივე დიდებაჲ და პატივი და სიმტკიცჱ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

XVII. /წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარია-კაპადუკიელისაჲ შესხმაჲ წმიდათა ორმეოცთა მოწამეთაჲ C 466

1. მარტჳლთა ჴსენებითა ოდესმცა იქმნა განძღომაჲ მოყუასისა მათისაჲ? რამეთუ საკუთართა მათ და საყუარელთა მონათა / მიმართ მეფი/სათა პატივი A 2
სხუათა მათ და უდარესთა მონათაჲ სასწაული არს მათისა უფლისა მიმართ. C 46
ერთგულებისაჲ. და ესეცა საცნაურ არს, ვითარმედ რომელი ახოვანთა მათ კაცთა ჰნატრიდეს და აქებდეს, მსგავსთა ჟამთა შინა არა დააკლდეს მიბაძვასა მათსა.

ჰნატრიდი უკუე ერთგულებით მოწამეთა, რაჲთა იქმნე შენცა მოწამე გონებითა და მიიწიო თჳნიერ დევნულებისა, თჳნიერ ცეცხლისა, თჳნიერ სატანჯველთასა მათისავე სასყიდლისა ღირსებასა.

ხოლო ჩუენდა აწ არა ერთისაჲ ოდენ ქებაჲ წინამდებარე არს, არცა ორთაჲ, არცა თუ ათადმდე ოდენ მიიწევის რიცხჳ იგი ნეტართაჲ მათ, არამედ ორმეოცნი კაცნი, რომელთა, ვითარმცა ერთი სული აქუნდა მრავალთა მათ გუამთა შინა, ესრეთ ერთითა გონებითა და შეერთებითა სარწმუნოებისაჲთა და ერთიცა მოთმინებაჲ აჩუენეს სატანჯველთა შინა და ერთი ბრძოლაჲ უშჯულოთა მიმართ ღმრთისმსახურებისათჳს.

ყოველნივე მახლობელ ურთიერთას არიან, სწორნი გონებითა და სწორნი მოღუაწებითა, ამისთჳს სწორადცა ღირს იქმნეს გჳრგჳნთა მათ სიმართლისათა.
რომელი-მე უკუე სიტყუაჲ / მისწუთეს ღირსად ქებასა მათსა? არცა, თუმცა C v
ორმეოცნი ენანი იყვნეს, შემძლებელ არიან ჯეროვნად დიდებად ესეზომთა მათ კაცთა სათნოებისა. რამეთუ დალაცათუ ერთიმცა იყო, რომელსა ვაქებდით, ჩუენისა სიტყჳსა ძალსა კმა იყო ძლევად, არა თუ სიმრავლჱ ესეზომი, ბანა-
კი იგი მჴედრობისაჲ მის ახოვნისაჲ, განწყობილი იგი, საძლეველად / შეუძ- A v
ლებელი, ბრძოლათაცა შინა უძლეველი და საქებელად მიუწთომელი.

PG, 31, გვ. 508—525.

[2] მპოვნელთა] მომპოვნებელთა C. [3] დავდგრე A, დავდგე C. [4] მბრწყინვალებაჲ C. გამომიბრწყინდა C. [6] უქადაგებდჱ C. [9] ა˜ნ A, ამინ C. [10] წმიდისა] თქუმული წმიდისა და ღმერთშემოსილისა C. ჩუენისა+დიდისა C. ბასილისი C. [11] -კაბადუკიელისაჲ C. მოწამეთაჲ+თავი ლ˜ე, გქ˜ხნ მმ˜ო C. [14] სხუათაჲ C. [16] ~ შინა ჟამთა C. არაჲ C. [18] იქმნჱ C. მოწამჱ C. [19] სატანჯველთაჲსა C. [21] ერთისა C. წინამდებარჱ C. [22] ათადმდჱ C. [28] იქმნნეს C. [29] მისწუდეს C. [34] ბრძოლათა C. მიუწდომელი C.

2. მოვედით უკუე, შორის შემოვიყვანნეთ იგინი ჴსენებითა და მათმიერი სარგებელი აქა შემოკრებულთა მათ წინა-უყოთ და გამოვაჩინოთ, ვითარცა გამოხატვით, სათნოებანი და ახოვნებანი მათნი. რამეთუ ბრძოლათაცა გან-მარჯუებასა სიტყჳს-მწერალნი და მხატვარნი მრავალგზის გამოაჩინებენ: და იგინი სიტყჳთა შეამკობენ, ხოლო ესენი წამლებითა გამოსახვენ, და ესრეთ მრავალნი აღადგინნიან ორთავე მათ შურად საქმეთა მათ, რამეთუ რასა-იგი სიტყუაჲ გამოაჩინებნ სასმენელად, მას ხატი იგი დუმილით ქადაგებნ მსგავ-სებითა მით.

C 468 ეგრეთვე ჩუენ მოვაჴსენნეთ სიმჴნენი ამათ სანატრელთანი / ყოველთა და წარმოვადგინნეთ სახილველად საქმენი მათნი, რაჲთა ესრეთ აღვძრნეთ შურად მათდა ახოვანნი სულნი და გონებითა მიმსგავსებულნი მათნი. რამე-თუ ესე არს შესხმაჲ მოწამეთაჲ, სათნოებად მიცვალებაჲ შეკრებულთაჲ მათ. რამეთუ არა თავს-იდებენ წესსა მას სიტყუათა შემკობისასა დამორჩილებად საქმენი იგი წმიდათანი, ვინაჲთგან რომელიცა-ვინ აქებნ ვის, სოფლისა სიტ-ყუათაგან მიიღებს ძალსა და სახესა ქებისა მათისასა, ხოლო რომელთადა სოფელი ჯუარცუმულ არს და იგინი სოფლისადა, ვითარ შეჱოიღოს სოფელ-მან მათთჳს თავისა მიერ თჳსისა სიტყუანი ქებისანი?

არა იყო ერთი მამული წმიდათაჲ მათ, რამეთუ სხუაჲ სხჳსა სოფლისაჲ A 210 იყო და სხუაჲ სხჳსაჲ. აწ უკუე უქ/ალაქო უწოდოთ-ა ამათ, ანუ ყოვლისავე სოფლისა მოქალაქე? რამეთუ ვითარცა საჴმართა ზიარად შემოღებასა შინა თჳთოეულისა მიერ შემოღებული ზოგადი არნ ყოველთაჲვე, ეგრეთვე ამათ სანატრელთაჲ თჳთოეულისა მამული ზოგადი არს ყოველთაჲ და ყოველნივე არიან ყოველგნით, რამეთუ მისცემენ ურთიერთას ქუეყანათა მათ, რომელ-C v თაგან გამოვიდეს. და უფროჲ/სად, რაჲ საჴმარ არს ქუეყანისათათჳს თქუმად? ჯერ-არს უფროჲსად, რაჲთა გამოვიძიოთ, თუ რომელი არს აწ ქალაქი მათი.

ქალაქი უკუე მოწამეთაჲ არს ქალაქი იგი ღმრთისაჲ[1*], რომლისა ჴელო-ანი და აღმაშენებელი არს ღმერთი[2*], ზეცისა იგი იერუსალემი, აზნა-ური იგი და უცხოჲ მონებისაგან, დედაჲ პავლესი და მსგავს-თა მისთაჲ. ხოლო ნათესავი მათი კაცობრივი სხუაჲ სხჳსაჲ, არამედ სულიერად ერთი ყოველთაჲ, რამეთუ ზოგადი ყოველთაჲ მათ მამაჲ არს ღმერთი და ყო-ველნივე ძმა ერთმანერთისა, არა ერთისაგან მამისა და დედისა გამოსრულნი, არამედ შვილებითა მით სულისა წმიდისაჲთა, ერთობითა სიყუარულისაჲთა ურთიერთას შეთხზულნი. კრებული წმიდაჲ, შემტკებაჲ დიდი საუკუნითგანთა წმიდათა მადიდებელთა უფლისათაჲ, რომელნი-ესე არა ერთ-ერთად შეკრბეს მუნ, არამედ მეყსა შინა ყოველნი ზოგად მიიწინეს. ხოლო თუ რაჲ იყო სახჱ იგი მიცვალებისა მათისაჲ ამიერ, ისმინეთ.

ესენი ახოვნებითა ჴორცთაჲთა და სიკეთითა ჰასაკთაჲთა და სიმჴნითა ძა-C 469 ლისაჲთა წარჩინებულ იქმნეს შორის ერთა მათ მრავალთა და / ამისთჳს დაე-A v წესნეს მჴედრობასა შინა და ახოვნებითა ბრძოლისა / მათისაჲთა და უშიშობი-

---

2 მათ] ამათ C. 5 სიტყჳთ C. გამოჰსახვენ C. 13 შემკობისასა (ἐγκωμίων)] შემოკრებისასა C. 19 და სხუაჲ სხჳსაჲ—A. 20 მოქალაქჱ C. 21 თითოეულისა C. ამათ] მათ C. 22 თითოეულისა C. 24 რაჲ—C. ქუეყანათათჳს C. 26 ჴელოვანი C. 28 იგი—C. 31 ერთისაგან] ერთისა C. დედისაგან C. 36 იგი—C. 33 წარჩინებულ] განჩინებულ C. იქმნნეს C. 39 უშიშოებისა C.

1* ებრ. 12,22. 2* ებრ. 11, 10.

სა მის მათისათჳს და სიმჴნისა მრავალი პატივი აქუნდა მეფეთაგან და სახელოვან იყვნეს ყოველთაგან.

3. ვინაჲთგან უკუე იქადაგა ულმრთოჲ იგი და ურჩულოჲ ქადაგებაჲ — არაალსარებაჲ ქრისტჱსი, თუ არა შთავრდომაჲ სატანჯველთა შინა მრავალთა, ხოლო მოიწეოდეს ყოველნივე სახენი სატანჯველთანი და დიდ იყო გულისწყრომაჲ მსაჯულთაჲ მათ სიცრუისათაჲ მსახურთა ზედა ღმრთისათა. და მზაკუვარებანი და ბოროტად სიკუდილნი მოიწეოდეს მათ ზედა და თითოფერნი სატანჯველთანი მოიპოებოდეს და მტარვალნი განმზადებულ იყვნეს: და ცეცხლი მოტყინარე და მახჳლი ლესულ და ძელი აღმართებულ, მთხრებლნი აღმოკუეთილ, ურმის თუალნი შემზადებულ და ყოველნი იგი ბოროტნი. მაშინ უკუე რომელნიმე ივლტოდეს და რომელნიმე მოდრკებოდეს უშჯულოებასა მას შინა და რომელნიმე ძრწოდეს და დაიმალვოდეს და რომელნიმე უწინარეს გემოჲსხილვისა სატანჯველთაჲსა სმენისაგან ოდენ / შეშინდეს. და სხუანი C v ახლოს რაჲ მიიწინეს ჭირთა მათ, იძლინეს და სხუანი კუალად ღუაწლსა შინა შევიდეს და ვიდრე აღსასრულადმდე თავს-დებად ჭირთა მათ ვერ უძლეს და განზოგებასა ოდენ ღუაწლისა მათისასა მოეწყინა და, ვითარცა ზღუასა შინა მღელვარეთა, რაჲცა აქუნდა ტჳრთი მოთმინებისაჲ, იგიცა დაანთქეს და წარწყმიდეს.

მაშინ უკუე ესე უძლეველნი ქრისტჱს მჴედარნი შორის შემოვიდეს, რაჟამს-იგი მთავარი უჩუენებდა წიგნსა მას მეფისასა და ეძიებდა მორჩილებასა მათ სიტყუათასა. ხოლო მათ, / უშიშითა გულითა ახოვნებით მინდობილთა A 211 ქრისტესა, არა შეშინებულ იქმნეს ყოლადვე სატანჯველთა მათგან, არამედ აღიარნეს თავნი თჳსნი ქრისტიანედ.

ჵ ნეტარნი იგი ენანი, რომელთა აღმოუტევეს სანატრელი იგი ჴმაჲ, რომელი ჰაერთა მიიღეს და წმიდა იქმნეს და ანგელოზთა ესმა რაჲ, აღიტყუელნეს ჴელნი სიხარულით და ეშმაკი მსახურთა მისთა თანა მოიწყლა, ხოლო უფალმან ცათა შინა აღწერა.

4. თქუა უკუე თჳთოეულმან შორის შემოსრულმან, ვითარმედ: „ქრისტიანე ვარ“. და ვითარცა აღწერასა მას შინა მჴედართასა, / რომელნი-იგი ბრძოლად C 470 შევიდოდინ, იტყჳან სახელსა თჳსსა და მეყსეულად აღწერილთა მათ მჴედართა თანა მივლენ და დადგებიან მათ თანა, ეგრეთვე ამათ მაშინ დაუტევნეს შორბითგან მათ ზედა წოდებულნი სახელნი და მაცხოვრისა მის ყოველთაჲსა სახელი უწოდა თითოეულმან თავსა თჳსსა. და ესრეთ იქმოდეს ყოველნი: და პირველსა მას შეუდგნ მეორე, ვიდრეღა იქმნა ყოველთა სახელი ერთ, რამეთუ არღარა ეწოდებოდა იგი ვინმე ანუ ესე, არამედ ყოველთა ქრისტიანე სახელ-ედებოდა.

რაჲ ყო უკუე მაშინ მძლავრმან მან, რამეთუ მანქანაჲ იყო და ბოროტი? რომელთამე ლბილთა მიერ სიტყუათა და რომელთამე ფიცხელთა აცთუნებდა, ხოლო მათდა მიმართ პირველად იწყო მანქანებითა სიტყუად, რაჲთამცა ესრეთ ძალი იგი ღმრთისმსახურებისა მათისაჲ დაჰჴსნა და ეტყოდა:

---

1 სიმჴნითა C. 3 ულმრთოჲ]ულმრთოებაჲ C. იგი—C. უშჯულოჲ C. 4 შინა—C. 5 მოიწეეოდეს C. 6 მსაჯულთა C. სიცრუვისათაჲ C. მსახურთა+მათ C. 7 მოიწევოდეს C. თითოფერნი+სახენი C (A-ში წერია „თითოსახენი“, თავზე აწერია „ფერნი“). 8 მოიპოეებოდეს C. 9 მოტყინარჱ C. და 2°—C. 11 მიდრკებოდეს C. 12 და 2°—A. 15 აღსასრულადმდჱ C. 19 უძლეველნი + და A. 21 გულითა]გონებითა C. 22 არაჲ C. შეშინებულ იქმნეს]შეიშინეს C. 25 იქმნეს C. 26 მისთა]თჳსთა C. 27 აღწერნა C. 28 თითოეულმან C. 34 მეორჱ C. 37 ~ უკუჱ ყო C.

„ნუ მისცემთ სიჭაბუკესა თქუენსა გულმად, ნუ მოაწევთ უჟამოსა სიკუდილსა თქუენ ზედა ტკბილისა ამის ცხორებისა წილ, რამეთუ ბოროტ არს, რაჲთამცა რომელნი-ეგე ბრძოლათა შინა ახოვნად გამოჰბრწყინდით, ძჳრისმოქმედთა სიკუდილითა მოსწყდითმცა".

A v / ამას ყოველსა ზედა საფასეთა უქადაგებ/და საჴმართა, წინა-უყოფდა პა-C v ტივსა მეფეთაგან, აღუთქუმიდა ნიჭთა სიმრავლესა და ბევრეულითა ღონისძიებითა ისწრაფდა მიდრეკასა მათსა. ხოლო ვითარცა არა ულხინეს გონებისა მათისა მისგან განდგომილებასა და ქრისტეს მიმართ აღსარებასა, მერმე მეორესა კერძსა ღონისძიებისასა მიიქცა და უქადებდა მათ წყლულებათა და სიკუდილსა და სატანჯველთა ურიცხუთა სიმრავლესა. და მძლავრისა იგი სიტყუანი ესევითარნი იყვნეს, ხოლო ისმინენით მოწამეთანიცა, რასა-იგი ეტყოდეს მას, ვითარმედ:

„რასა გუაცთუნებ ჩუენ, ჵ მბრძოლო ღმრთისაო, განშორებად ღმრთისაგან ცხოველისა და მონებად ეშმაკთა ბილწთა და გჳქადებ ჩუენ შენთა მათ კეთილთა? რასა მოგუცემ ესევზომსა, რაჲზომსა-იგი მიგჳღებ? გუძულან ჩუენ ნიჭნი, ზღვევისა წინამძღუარნი, არა მივიღებთ პატივსა, გინებისა და უპატიოებისა დედასა. რამეთუ საჴმართა მოგუცემ აქავე დარჩომადთა, დიდებასა დაჭნობადსა, შეყუარებულ გუყოფ მეფისა მოკუდავისა, არამედ ჭეშმარიტისა მის C 471 მეუფისაგან უცხო-გუყოფ. რაჲსათჳს ესრეთ უნდოებით მცირ/ედსა შუებასა გჳქადებ? ყოველივე სოფელი საშუებელთა მისთა თანა შეურაცხ არს ჩუენ მიერ, არა ღირს არიან ხილულნი ეგე კეთილნი სასოებისა მის მათ კეთილთაჲსა, რომელთათჳს სურვიელ ვართ.

„ჰხედავ-ა ცასა ამას, ვითარ შუენიერ არს სახილველად და დიდ? და ქუეყანაჲ რაბამი არს? და მას შინა ქმნილნი საკჳრველებანი? არცა ერთი ამათგანი A 212 შეესწორების ნეტარე/ბასა მას მართალთასა, რამეთუ ესე ყოველი წარვალს, ხოლო ჩუენი იგი ჰგიეს. ერთისა ნიჭისა მიმართ სურვიელ ვართ, რომელ არს გჳრგჳნი იგი სიმართლისაჲ, ერთისა დიდებისა სიყუარულითა დაგურემულ ვართ, რომელი იპოების სასუფეველსა მას შინა ცათასა, პატივისმოყუარე ვართ პატივისა მის ზეცათაჲსა. სატანჯველისა ერთისაგან გუეშინის, რომელ არს გეჰენიაჲ, ცეცხლი იგი საშინელ არს ჩუენდა, ხოლო თქუენ მიერ აღგზებული ეგე მონაჲ არს ჩუენი, რამეთუ იცის მან შეკდიმებაჲ გუამთაგან მოწამეთაჲსა. ისარად ჩჩჳლთა შეგჳრაცხიან თქუენნი ეგე წყლულებანი, რამეთუ ჴორცთა C v ჰგუემთ, რომელნი-იგი უკუეთუ შემძლებელ იქმნენ / ფრიადისა თავს-დებად. უბრწყინვალესად გჳრგჳნოსან იქმნენ, უკუეთუ კულა ადრე მოკუდენ, წარვიდენ განრომილნი მსაჯულთაგან ესრეთ მძჳნვარეთა. რომელთა-ეგე უფლებაჲ ჴორცთაჲ მიგიღებიეს და მაცილობელ ხართ, რაჲთამცა სულთაცა ჴელმწიფებაჲ მიიღეთ, რომელთა-ეგე უკუეთუ არა უმეტეს ღმრთისა ჩუენისა პატივცემულ იქმნეთ ჩუენ მიერ, ვითარცა ბოროტად გინებულნი ჩუენგან, ესრეთ განცრისხნებით და საშინელთა მათ სატანჯველთა მოაწევთ ჩუენ ზედა, რომელთა ზედა ბრალსა სხუასა ვერარას აჩინებთ, გარნა ღმრთისმსახურებასა. არამედ

---

[2] ცხოვრებისა C. [3] რაჲთამცა—C. [7] გონებასა C. [8] განდგომილებისა C. აღსაარებასა C. მერმე] C. [14] ცხოველისა C. [17] დარჩომადთა] დაშთომადთა C. [18] გოყოფ A. [21] სასოებისა მის] სასოებისათჳს C. [29] იპოვების C. და პატივისმოყუარე] C. [29] მის]მისთჳს C. სატანჯველისაგან ერთისა C. [30] თქუენმიერი ეგე აგზებული C. [31] მან—C. [32] ისრად C. [33] იქმნნენ C. [34] იქმნნენ C. ადრე] C. წარვიდეს A. [37] რომელნი-ეგე C [38] იქმნნეთ C. განჴრისხდებით C.

ნუ სცთები, რამეთუ არა მოშიშთა და უძლურთა და წარმავალისა ამის ცხორებისა მოყუარეთადა მიმთხუეულ ხარ. რამეთუ სიყუარულისათჳს ღმრთისა აჰა ჩუენ ასოეულად დაჭრად და ურმის თუალთა ზედა დაკრვად და ცეცხლსა მიცემად და ყოვლისავე სატანჯველისა შეწყნარებად მზა ვართ, რამეთუ ესე ყოველი შეცვალებად არს ჩუენდა წინაშე უფლისა: / გუემისა წილ ჴორცთაჲსა ნათლისა A v სამოსელი აღდგომასა გამოგჳბრწყინდეს, შეურაცხებისა წილ გჳრგჳნი და საპყრობილი/სა წილ სასუფეველი და უშჯულოთა თანა დაშჯისა წილ ყოფაჲ C 472 ანგელოზთა თანა. დასთესენ ჩუენ შორის ფრიადი, რაჲთა უმრავლესიცა მოვიმკოთ".

ნ. ხოლო რაჟამს ესევითარნი ესე სიტყუანი ესმნეს ამპარტავანსა მას და ბარბაროზსა, არა თავს-იდვა ახოვანთა მათ კადნიერებაჲ, არამედ აღდუღდა გულისწყრომითა და ეძიებდა ღონესა, რაჲთამცა პოვა ღონე მწარისა და გრძელისა სიკუდილისა მოწევნად მათ ზედა. პოვა უკუე ღონე და გულისჴმაყავთ, ვითარმედ ბოროტი იყო იგი. რამეთუ იხილა ბუნებაჲ იგი ქუეყანისაჲ მის, ვითარ ცივი იყო და ჟამი წელიწდისაჲ, რამეთუ ზამთარი იყო, მოელოდა ღამესა, რაჟამს ნეფხვისა მის სასტიკებაჲ გარდაემატა, რამეთუ ქარი იგი ჩრდილოჲსაჲ, რომელსა ეწოდების ბორიაჲ, იგი ქროდა მას ღამესა სასტიკად, მაშინ ბრძანა განშიშულებაჲ მათი და შეყენებაჲ ყინელსა მას ტბისასა ღამე ყოველ, რაჲთა ესრეთ მოსწყდენ.

ხოლო უწყით სამე, რომელნი-ეგე გამოცდილ ხართ სიცივესა, ვითარ მოუთმენელ არს სატანჯველისა ამის სახჱ. რამეთუ არცა თუ შესაძლებელ არს, რაჲთამცა სხუათა კეთილად გულისჴმა-უყავთ იგი, გარნა რომელთა / გამოცდილებისა C v მიერ იციან საქმისა მის სახჱ. რამეთუ ჴორცნი, სიცივესა ფიცხელსა შთავრდომილნი, პირველად გარდაიქციან მკიედ, რაჟამს სისხლი შესქელდებინ ყინელისა მისგან, მერმე შეიწუებინ და შეიმუსრვინ, რამეთუ კბილნი ურთიერთას ეცემოდიედ და ნაწევარნი დაიჴსნებოდიედ და ყოველივე გუამი შეურვებულ არნ. / და სალმობაჲ მწარჱ და ტკივილი გამოუთქუმელი არნ, რომელი A 213 შეეხებინ ტჳნთა და გემოჲ იგი სიბოროტისაჲ მწარე არნ. მერმე კიდენი გუამისანი მოჰკარდებოდიედ და ვითარცა ცეცხლისა მიერ შეიწუებოდიედ. რამეთუ სისხლი ივლტინ კიდეთგან გუამისათა და მიივლტინ სიღრმედ გუამისა და სადაჲთ-იგი განეშორის, მკუდრად დაუტევის, ხოლო სადა-იგი მივიდის, სალმობაჲ განამრავლის, რაჟამს სიკუდილი მცირე-მცირედ შესქელებითა მით სისხლისაჲთა მოიწევინ.

მაშინ უკუე ჰაერსა ქუეშე ყოფად დაისაჯნეს, რაჟამს ტბაჲ იგი, რომელსა შინა იყო ღუაწლი წმიდათაჲ მათ, ვითარცა ვაკჱ, ცხენთა სარბიელი, იყო შეცვალებითა მით ყინელისა მიერ და განმტკიცებულ იყო ნეფხვისა მისგან და უცთო/მელ სავალ იყო ფერჴითა. C 473 და მდინარენი, რომელნი დაუცხრომელად დიოდიედ, მაშინ შეკრულ იყვნეს ყინელისაგან და დინებისაგან დადგომილ. და ლბილი იგი წყლისა ბუნებაჲ ქვისა სიფიცხლედ შეცვალებულ იყო და

---

[1] ცხოერებისა C. [2] მიმთხუევულ C. [3] ასუეულად C. თუალსა C. [6] აღგომასა A. [8] დასთესენ]დასთესჱ უკუჱ C. უმრაელესი C. [10] ესე—C. [12] ღონჱ C. [13] ღონჱ C. გულისხმა- C. [14] ვითარმედ ბოროტი]ვითარ ბოროტ C. [15] წელიწადისაჲ C. [18] ღამჱ C. [19] მოსწყდენ + იგინი C. [20] სამჱ C. [21] ამის]მის C. რამეთუ—C. [22] გულისხმა- C. [24] გარდაიქცევიან C. [25] მერმჱ C. შეიწუვინ C. [29] მწარჱ C. მერმჱ C. [32] მცირედ-მცირედ C. [34] ქუეშჱ C. [36] მისგან]მიერ C. [38] იყვნეს + ნეფხვისა მიერ C. [39] სიფიცხედ A.

ქარისა მის ჩრდილოჲსა სასტიკნი ოხრანი სიკუდილსა მოაწევდეს ყოველთა მათ გარე მყოფთა ზედა.

Ⴇ. მაშინ უკუე ესმა მათ ბრძანებაჲ იგი მთავრისაჲ მის და გულისხმა-ყავ ამას ადგილსა უძლეველობაჲ იგი კაცთაჲ მათ, რამეთუ სიხარულით განაგდო თითოეულმან უკუანაჲსკნელიცა იგი თჳსი სამოსელი და ესრეთ მიისწრაფდეს სიკუდილსა მას ნეფხვისასა, ვითარცა ნატყუენავისა მოტაცებასა. ესრეთ ურთიერთას აწუევდეს და განაძლიერებდეს და იტყოდეს:

A v /„არაჲ თუ, ჵ ძმანო, სამოსელსა ალვიძრცჳთ, არამედ ძუელსა მას კაცსა განვაგდებთ, განხრწნილსა მას გულისთქუმათა მიერ საცთურებისათა[1*]. გმადლობთ შენ, უფალო, რამეთუ სამოსელსა ამას თანა ცოდვისაგან განვშიშულდებით.

„ჵ ჰაბუკნო, სამოსელი ესე, რომელი გუელისა მიერ შევიმოსეთ[2*], ქრის-
C v ტესთჳს ალვიძარცოთ, ნუ / ვჰრიდებთ სამოსელთა ამათ განხრწნადთა სამოთხისა მისთჳს, რომელი წარვწყმიდეთ.

„რაჲ-მე მივაგოთ უფალსა[3*], რამეთუ განშიშულდა უფალიცა ჩუენი? რაჲ დიდ არს მონისათჳს, უკუეთუ შემსგავსებულად მეუფისა ევნოს და უფროჲსად? თავადიცა უფალი, ჩუენ ვართ, რომელთა განვძარცუეთ[4*], რამეთუ მჴედართაჲ არს იგი კადნიერებაჲ, მათ განძარცუეს იგი და განიყვეს სამოსელი[5*]. აწ უკუე აღწერილი იგი ჩუენი შესმენაჲ თავთა მიერ ჩუენთა ავჴოცოთ. მწარე არს ზამთარი ესე, არამედ ტკბილ არს სამოთხჱ. სატკივარ არს ყინელი ესე, არამედ საწადელ არს განსუენებაჲ იგი მართალთაჲ. მცირედღა სულგრძელ ვიქმნეთ და წიაღთა მამათმთავრისა აბრაჰამისთა განგჳსუენოს ჩუენ.

„ერთითა ამით ღამითა ყოველნი საუკუნენი მოვიყიდნეთ: უტეოთ დაწუვად ფერჴთა ჩუენთა, რაჲთა უკუნისამდე ანგელოზთა თანა ვიდოდით; უტეოთ მოვრდომად ჴელთა ჩუენთა, რაჲთა აქუნდეს კადნიერებაჲ აჰყრობად მეუფისა მიმართ. რავდენნი ჩუენ თანა მჴედარნი ბრძოლასა შინა მოკუდეს საჩუ-
C 474 ენებელად მეფისა მის წარმავალისა, ხოლო ჩუენ ჭეშ/მარიტისა მის მეუფისა-
14 თჳს ცხორებაჲ ესე არა მივსცეთ-ა? რავდენთა ძჳრისმოქმედთა უშჯულოებისათჳს თავს-იდვეს სიკუდილი, ხოლო ჩუენ სიმართლისათჳს სიკუდილი არა / მოვითმინოთ-ა? ნუ მივდრკებით, ჵ მოყუასნო და მჴედარნო, ნუ შევაქცევთ ზურგსა ეშმაკსა, არამედ პირისპირ ვებრძოლნეთ მას, ნუ ვსცემთ ადგილ მტერსა მას, რამეთუ ჴორცნი არიან განხრწნადნი გუამნი ესე ჩუენნი და ნუმცა ვჰრიდებთ მათ. ვინაჲთგან სიკუდილი უეჭუელად თანა-გუაც, მოვკუდეთ აწ, რაჲთა ვცხონდეთ. იყავნ მსხუერპლი ესე ჩუენი წინაშე შენსა, უფალო[6*], და შე-მცა-წირულ ვართ, ვითარცა საკუერთხი ცხოველი[7*], სათნოდ შენდა ყინელისა ამის მიერ შემწუარნი. კეთილ არს მსხუერპლი ესე, რამეთუ საკუერთხი ესე ახალი არს, რომელი არა ცეცხლითა, არამედ ნეფხვითა შეიწუვის".

---

[2] გარემო C. [3] გულისხმა- C. [5] იგი — A. [6] ურთიერთას A. [7] ეტყოდეს C. [8] ალვიძურცით C. [17] ვართ რომელთა—C. [20] მწარჱ C. [21] ესე—C. [22] ვიქმნნეთ C. მამალმთავრისა C. განგუესუენოს C. [24] უტევოთ C. [25] უტევოთ C. [26] აღპყრობად C. [27] რაოდენნი C. [29] ცხოვრებაჲ C. რაოდენთა C. [35] ვცხოვნდეთ C. [36] ვართ+ჩუენ C. [37] ამის—C.

[1*] ეფეს. 4,22. [2*] დაბად. 3,21. [3*] ფსალმ. 115,3 [4*] მათე 27,28. [5*] მათე 27,35. [6*] დანიელ 3,40. [7*] რომ. 12,1.

ესევითართა მათ ნუგეშინისცემისა სიტყუათა ეტყოდეს ურთიერთას და განაძლიერებდეს და ვითარმცა მცველად დადგინებულ იყვნეს მჴედრობისა ბრძოლათაჲსა, ესრეთ წარავლებდეს ღამესა მას, მოითმენდეს წარმავალთა მათ ჭირთა ახოვნად, / C v უხაროდა სასოებისა მისთჳს მერმეთა მათ კეთილთაჲსა, ეცინოდეს, ეკიცხევდეს ეშმაკსა. ხოლო ერთი ოდენ იყო ლოცვაჲ ყოველთაჲ, ვითარმედ:

„ორმეოცნი შემოვედით ბრძოლასა ამას, ორმეოცნივემცა გჳრგჳნოსან ქმნილ ვართ. ჵ მეუფეო, ნუმცა გამოეჴუების რიცხჳსა ამისგან ერთიცა. პატიოსან არს რიცხჳ, რომელსა-ესე პატივ-ეც მარხვითა ორმეოცთა დღეთაჲთა[1*], რომლისა მიერ რჩულისდებაჲ შემოვიდა სოფლად[2*], ორმეოცსა დღესა ელია იმარხა და იხილა უფალი“[3*].

და ესევითარი იყო ლოცვაჲ მათი. ხოლო ერთი რიცხჳსა მისგან ჭირთა მათ მიმართ მოიწყინა და სულმოკლექმნილი ივლტოდა / A v და გლოვაჲ ურიცხჳ დაუტევა წმიდათა მათ.

გარნა არავე უტევა ლოცვათა მათთა უქმარყოფად უფალმან. რამეთუ რომლისადა მცველობაჲ იგი მოწამეთაჲ რწმუნებულ იყო, მახლობელ აღედგა განსასუენებელი თჳსი და ხედვიდა მათ, თუ რაჲ ყოფად არს აღსასრული და მზა იყო შემწყნარებელად ლტოლვილთა მათ მჴედართა აბანოსა შინა. რამეთუ ესრეთ მოიპოეს ესეცა ღონე, რაჲთა მახლობელ აბანოჲსა მის იყოს ღუაწლი მათი, რომელი-იგი / C 475 მსწრაფლ შეწევნასა მიქცეულთასა უჩუენებდა.

და ვითარცა-იგი უშჯულოთა მათ ესე მანქანებით ღონე ყვეს, რაჲთამცა ესევითარი იყო ადგილი იგი ჭირისა მათისაჲ, სადა განმზადებულებაჲ იგი ნუგეშინისცემისაჲ დაჰჴსნიდეს მათსა მას გონებასა და მიიზიდვიდეს თავისა თჳსისა მიმართ, ხოლო რომელი-იგი მათ ესრეთ ღონე ყვეს, იგი უფროჲსად ბრწყინვალედ გამოაჩინებდა მოთმინებასა მას მოწამეთასა. რამეთუ არა იგი არს მოთმინე, რომელსა არა ეპოებოდის ნუგეშინისცემაჲ, არამედ უნებლიეთ იყოს ჭირსა მას შინა, გარნა იგი არს მოთმინე ჭეშმარიტი, რომელსა განსუენებაჲ უშურველად აქუნდეს და იგი მოითმენდეს ჭირთა შინა.

7. ხოლო ვითარცა ილუწიდეს ნეტარნი იგი და მცველი ხედვიდა აღსასრულსა, იხილა მაშინ ხილვაჲ უცხოჲ: ძალნი ზეცით მოსრულნი და ვითარცა მეფისა მიერ ნიჭთა დიდთა განუყოფდეს მჴედართა მათ. და სხუათა ყოველთა მისცნეს ნიჭნი იგი, ხოლო ერთი ოდენ დაუტევეს უგჳრგჳნოდ, / A 215 რამეთუ არა ღირს ყვეს იგი ზეცისა პატივსა, რომელი ესრეთ ტკივილთა მათ შინა სულმოკლე იქმნა და წინააღმდგომთა მიმართ მივიდა.

/ C v ეჰა საქმე საწყალობელი სახილველად მართალთა: მჴედარი იგი ლტოლვილ, მბრძოლი იგი ტყუექმნილ, ცხოვარი იგი ქრისტესი მჴეცთა მიერ წარტაცებულ და უსაწყალობელესი ესე არს, რამეთუ ზეცისა ცხორებასა გამოეჴუა და საწუთროსაცა ვერ მიემთხჳა, რამეთუ მი-რაჲ-ეახლა სიტფოსა მას, მეჴსე-

---

[1] იტყოდეს C. [2] ვითარმცა] ვითარ C. [3] და მოითმენდეს C. [4] და უხაროდა C. [8] ქმნულ C პატიოსან C. [9] რიცხჳ+ესე C. [10] შჯულისდებაჲ C. [12] ერთი]ერთმან C. [13] სულმოკლჱ ქმნული C. [17] ჰხედვიდა C. [18] ~ ლტოლვილთა მათ მჴედართა შემწყნარებელად C. [19] მოიპოვეს C. ღონჱ C. [20] მწრაფლ C. [24] ღონჱ C. [26] მოთმინჱ C. ეპოვებოდის C. უნებლიაჲთ C. [27] მოთმინჱ C. [29] ჰხედვიდა C. [30] მაშინ]მან C. [33] სულმოკლჱ C. [35] საქმჱ C. ელტოლვილ A. [36] ტყუჱ ქმნულ C. [38] მეყსეულად C.

[1*] მათე 4,2. [2*] გამოსლ. 34,28. [3*] III მეფ. 19,9.

ულად ჴორცნი მისნი დაიჴსნნეს და განილინეს და ჴორცთამოყუარე იგი დაე-
ცა ურჩულო ქმნული ამაოდ.

ხოლო მცველმან ვითარცა იხილა იგი ლტოლვილად და აბანოდ მისრუ-
ლად, თავი თჳსი სულმოკლისა მის ადგილსა დააწესა: და განაგდო სამოსელი
თჳსი და შერთო თავი თჳსი შიშუელთა მათ თანა და მასვე ჴმასა ჴმობდა წმი-
დათა მათ თანა, ვითარმედ: „ქრისტიანე ვარ". და მეყსა შინა შეცვალებითა
მით თჳსითა მუნ მყოფნი იგი განაკჳრვნა და რიცხჳ იგი აღასრულა და მწუხა-
რებასა მას მათსა, რომელი აქუნდა ლტოლვილისა მისთჳს, ნუგეშინის-სცა.
მიემსგავსა მბრძოლთა მჴედართა განწყობილთა, რომელნი პირველთა მათ
C 476 ფაროსანთა შორის დაცემულისა მეყსეულად დასსა აღასრულებენ, / რაჲთა
არა განიკუეთოს ერთობაჲ მათი ნაკლულევანებითა მით. ეგრეთვე ამან ყო:
იხილნა ზეცისა იგი საკჳრველებანი, იცნა ჭეშმარიტებაჲ, შეეწყნარა მეუფე-
სა, შეირაცხა მოწამეთა თანა, განაახლა საქმჱ იგი მოციქულთაჲ; წარვიდა
A v იუდა და შემოვიდა მატათია[1*]; მიმსგავსებულ იქმნა / პავლესა, რომელი-იგი
გუშინ მდევარი იყო, დღეს ქადაგ იქმნა[2*]. ამანცა ზეცით მოიღო წოდებაჲ,
„არა კაცთაგან, არცა კაცთა მიერ"[3*] ირწმუნა სახელი უფლისა ჩუენისა იესუ
ქრისტესი. ნათელ-იღო სახელსა ზედა მისსა არა სხჳსა მიერ, არამედ თჳსისა
სარწმუნოებისაგან, არა წყლითა ოდენ, არამედ თჳსითა სისხლითა.

8. და ესრეთ, განთენა რაჲ, ვიდრე ცხოველღა იყვნეს, შემუსრვილნი ცე-
ცხლსა მიეცნეს და ნეშტნი ცეცხლისანი მდინარედ შთაცჳვეს. და ესრეთ ყო-
ველნივე დაბადებულნი მოელო ღუაწლმან მან ამათ სანატრელთამან: ქუეყა-
ნასა ზედა ილუაწეს, ჰაერსა ქუეშე იგუემნეს, ცეცხლსა მიეცნეს, წყალმან
იგინი შეიწყნარნა. მათი არს ჴმაჲ იგი, ვითარმედ: „განვლეთ ჩუენ ცეცხლი
C v და წყალი და გამოგჳყვანენ / განსასუენებელად"[4*].

ესენი არიან, რომელნი ჩუენსა ამას ქუეყანასა გარე-მოადგეს, ვითარცა
გოდოლნი მტკიცენი და უშიშობასა მოგუცემენ წინააღმდგომთაგან. ხოლო არა
ერთსა ადგილსა შეუწყუდევიან თავნი მათნი, არამედ მრავალთა სოფელთა
და ქალაქთა შინა დამკჳდრებულ არიან და მრავალნი ქუეყანანი შეუმკობიან.
და საკჳრველი ესე არს, რამეთუ არა თჳთოეულად განყოფილნი მივლენ შე-
წევნად, არამედ შეერთებულად იქცევიან.

ჵ საკჳრველი ესე! არცა დააკლდების რიცხჳ მათი, არცა შემატებასა თავს-
იდებენ. უკუეთუ ახად განჰყვნე იგინი, რიცხუსა თჳსსა არა წარჰჴდებიან,
უკუეთუ ერთად შეჰკრიბნე, ეგრეთცა ორმეოცნივე არიან. მსგავსად ბუნებისა
A 216 მის ცეცხლისა/, რომელი-იგი აღმნთებელისა მის მიმართცა მიიწევის ყოვლი-
თურთ და კუალად ყოველივე არს მის თანა, რომელსა აქუნდეს, ეგრეთვე ორ-
მეოცნი ყოველნი ზოგად არიან და ყოველნი თჳთოეულსა თანა არიან. უშურ-
C 477 ველი იგი კეთილი, დაულევნელი იგი მადლი, განმზადებული შეწევ/ნაჲ ქრის-
ტიანეთაჲ, კრებული მოწამეთაჲ, ბანაკი ძლევითშემოსილთაჲ, დასი მადიდე-
ბელთა უფლისათაჲ — რაჲზომჲმცა შრომაჲ თავს-იდევ, რაჲთამცა ერთი სად-

1 -მოყუარჱ C. 2 უშჯულო C. 3 იგი—C. 5 შეკრთო C. 8 მას—A. რომელი]რომელი-იგი C. 10 მეყსეულად C. 13 წარვიდა]განვიდა C. 14 მატთია A. 16 ერწმუნა C. 19 განთენდა C. 20—21 ყოველივე დაბადებული C. მან—C. 22 ჰაერთა ქუეშჱ ⁝C. 24 განსასუენებელად+შენ-და C. 25 -მოადგან C. 28 უშიშოებასა C. ხოლო—A. 29 თითოეულად C. 34 აღმმნთებელისა C. 35 არნ C. 36 თითოეულსა C. 38 ძლევაშემოსილთაჲ C. 39 შურომაჲ C. სადაჲმჱ C.

1* საქმე 1,25—26. 2* საქმე 5,20. 3* გალატ. 1,1. 4* ფსალმ. 65,12.

მე ჰპოვე, რომელიმცა შენთჳს უფლისა მიმართ მეოხ იყო? აჰა ესერა ორმეოცნი არიან, რომელნი ერთბამად შესწირვენ ღმრთისა ლოცვასა. სადაცა ორნი ანუ სამნი იყვნენ შეკრებულნი სახელსა ზედა უფლისასა, მუნ არს უფალი მათ შორის[1*], ხოლო სადა ორმეოცნი იყვნენ ესევითარნი, მუნ რაღამცა იყო იჭჳ უფლისა მათ შორის დამკჳდრებისაჲ?.

პირველი ორმეოცთა მიმართ მიივლტოდენ, მოხარული მათდავე მიმართ მივიდოდენ: ერთმან მან, რაჲთა პოოს ჴსნაჲ ჭირისა მისგან, ხოლო მეორემან მან, რაჲთა დაცეულ იყოს კეთილი იგი მისი. აქა მოვიდოდენ დედაკაცი ღმრთის-მოშიში, მლოცველი შვილთა თჳსთათჳს და რომელი მეუღლისა წარსრულისა მოქცევასა ითხოვნ, ანუ თუ მოუძლურებულისათჳს — ცხორებასა. მოწამეთა ამათ მიმართ იყავნ ლოცვაჲ თქუენი; ჭაბუკნო, ამათ მოჰასაკეთა ჰბაძევდით; მამანო, ესევითართა შვილთა მამა ყოფად ილოცევდით; დედანო, კეთილისა მის დედისა საქმე ისმინეთ!

დედამან ერთისა ამათ სანატრელთაგანი / სამან იხილნა რაჲ / სხუანი იგი C v ყინელითა მით და შემუსრვითა აღსრულებულნი, ხოლო თჳსი ძჱ ჯერეთ ცოცხალი A v ახოვნებისა მიერ და ფრიადისა მის მოთმინებისა ჭირთაჲსა და, ვითარმედ დაუტევეს იგი მტარვალთა, ვითარცა შემძლებელი მიქცევად მათდა, მაშინ მან ახოვანმან დედამან და აბრამეანისა მის მსხუერპლისა შეწირვისა მიმსგავსებულმან თჳსითა ჴელითა აღიღო ძჱ თჳსი და დადვა ურემსა მას, რომელსა ზედა ისხნეს სხუანი იგი და ცეცხლად მივიდოდეს.

ჭეშმარიტად, მოწამისა დედაჲ იყო იგი, რამეთუ არა გარდამოუტევნა ცრემლნი უძლურებისა სახენი, არცა თქუა სიტყუაჲ რაჲმე, უჯეროჲ და უღირსი მის ჟამისაჲ, არამედ ეტყოდა მას:

„წარვედ, ჵ შვილო, კეთილსა მას გზასა, ცხორებად მიმყვანებელსა, მოჰასაკეთა მათ შენთა თანა, მოყუასთა მათ შენთა თანა. ნუ დააკლდები ბანაკსა მას, არა თავს-ვიდებ, რაჲთამცა შენ უკუანაჲსკნელ სხუათასა წარმოუდეგ მეუფესა ქრისტეს, რამეთუ მე აწ სიკუდილად აღმიჩნდა, რაჲამს გიხილე შენ დაშთომილი. რამეთუ ვხედავ გჳრგჳნთა, რომელნი მიცემად არიან მათდა და შეიწუების გული ჩემი, უკუეთუ შენცა არა მიიწიო. / არამედ მოვედ, ჵ ნეტარო, C 478 და აღესრულე სხუათა მათ თანა. რაჲთა ვიქადოდი მე, ვითარმედ მოწამე ახოვანი საშოჲთ ჩემით გამოვიღე. მცირედღა სულგრძელ იქმენ. და გიძლევიეს, მცირედღა და სანატრელ ვიყო მე, რამეთუ დედად მოწამისა ესრეთ ახოვნისა მეწოდებოდის. ამისგან ოდენ მეშინის, ნუუკუე დაჰრჩე შენ“.

ჭეშმარიტად, კეთილისა მის ძირისა კეთილი მორჩი იყო იგი, გამოაჩინა ახოვანმან მან / დედამან, ვითარმედ სწავლითა ღმრთისმსახურებისაჲთა აღეზარდა A 217 იგი უფროჲს ვიდრედა სძითა. და ესრეთ აღზრდილი იგი ესრეთ წარიგზავნა დედისა მის მიერ კეთილისა, ხოლო ეშმაკი წარვიდა სირცხჳლეული, რამეთუ ყოველნი დაბადებულნი აღძრნა მათ ზედა და ყოველნივე პოვნა

---

[1] მიმართ—A. [2] სადა C. [5] უფლისაჲ C. [7] პოვოს C. [9] თჳსთათჳს] მისთათჳს C. და—A. [10] ცხოერებასა C. [13] საქმჱ C. [15] ~ ძჱ თჳსი C. [18] ~ ახოვანმან მან C. [22] რაჲმჱ C. [24] ცხოერებად C. [25] თანა 2°—C. ~ ბანაკსა მას ნუ დააკლდები C. [26] სხუათაჲსა C. [27] მეუფესა] ქებად C. ქრისტესა C. [28] ეჰხედავ C. [29] მოედ C. [30] აღესრულჱ C. მოწამჱ C. [32] დედა C. [33] მეწოდების C. დაჰრჩე] დაჰშთჱ C. [34] ჭეშმარიტად + უკუჱ C. მის—A. [37] წარიმგზავნა C. (A-ში ამ სიტყვაში მ ამოფხეკილია).

[1*] მათე 18,20.

ძლეულ სათნოებითა მით მათ ნეტართაჲთა: ღამჱ, ყინული და ნეფხვითა სავსჱ, ქუეყანაჲ ცივი, ჟამი იგი წელიწდისა ამის ზამთარი, სიშიშულე გუამთა მათთაჲ.

ჵ ბანაკო წმიდაო, ჵ კრებულო პატიოსანო, ჵ ერთობაო განუყოფელო, ჵ ზიარნო მცველნო ნათესავისა კაცთაჲსანო, კეთილნო ჴელისამპყრობელნო ჭირსა შინა, შემწირველნო ლოცვათანო, მეოხნო ძლიერნო, ახოვანნო ბრძოლასა შინა, გოდოლნო ღმრთისმსახურებისანო, მჴნენო, ღუაწლისა მძლენო და უშიშნო გონებითა, ვარსკულავნო სოფლისანო, / ყუავილნო ეკლესიათანო, თქუენ არა ქუეყანამან დაგფარნა, არამედ ცათა შეგიწყნარნეს და განგეხუნეს თქუენ ბჭენი სამოთხისანი.

ჵ საქმე საკჳრველი, ღირსი სახილველად მჴედრობისა ანგელოზთაჲსა, ღირსი მამადმთავართა, წინაჲსწარმეტყუელთა, მოციქულთა და მართალთაჲ! კაცნი, რომელთა ჟამსა შინა სიჭაბუკისა მათისასა სოფელი ესე და ცხორებაჲ ესრეთ შეურაცხ-ყვეს, უფროჲს მშობელთა და უფროჲს შვილთასა ღმერთი შეიყუარეს, რომელნი იყვნეს-ღა ჰასაკსა მას შინა სიხარულისა მათისასა, მოიძაგეს წარმავალი ესე ცხორებაჲ, რომელთა ადიდეს ღმერთი ასოთა შორის მათთა, თითის საჩუენებელ იქმნეს სოფლისა და ანგელოზთა და კაცთა[1*]

A v /დაცემულნი აღადგინნეს, მიდრეკილნი განამტკიცნეს, ღმრთისმსახურთა სურვილი და გულსმოდგინებაჲ განამრავლეს, სწორი ძლევაჲ აღამაღლეს ღმრთისმოშიშებისაჲ და კეთილადმორწმუნეობისაჲ ყოველთავე და სწორითა გჳრგჳნითა სიმართლისაჲთა შეიმკვნეს ქრისტე იესუს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცჱ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

276 XVIII. /თქუმული წმიდისა ბასილისი მომთრვალეთათჳს,
243 რომელ თქუა შემდგომად აღვსებისა დღითა ერთითა

1. აღმძრვენ მე სიტყუ/ად საქმენი იგი მწუხრისა ამის გარდასრულისანი. ხოლო კუალად დააყენებს აღძრვასა ჩემსა პირველთა მათ შრომათა უნაყოფოებაჲ, რამეთუ მუშაკიცა, რაჟამს ერთგზის თესულმან მისმან ნაყოფი არა გამოიღის, უდებ არნ მასვე ქუეყანასა ზედა მეორედ დათესვად. რამეთუ უკუეთუ ესეზომთა სწავლათა ზედა, რომელ ვქმნენით გარდასრულსა ჟამსა წელიწდისასა და არა დავსცხერით ვედრებად თქუენდა და კუალად შჳდთა ამათ შჳდეულთა მარხვისათა, ღამე და დღე, არა დავსცხერ წამებად თქუენდა სახარებასა მას მადლისა ღმრთისასა და მის ყოვლისაგან / სარგებელი არარაჲ იქმნა, რომლითაღა სასოებითა გასწაო დღეს? ჵ, რავდენთა ღამეთა ამაოდ ღლჳძეთ, რავდენთა დღეთა ამაოდ შემოჰკერბით, უკუეთუ ოდენ ამაოდ, რა-

PG, 31, გვ. 444—464.

[1] ძლეულად C. მათ—C. [2] ამის]მის C. სიშიშულჱ C. [5] ჭირთა C. შემწირველნო]შემწენო A. [8] და—A. [10] საქმჱ C. [11] მამადმთავართაჲ C. წწტ˝ყლთაჲ C. მოციქულთაჲ C. [13] შვილთაჲსა C. [16] იქმნნეს C. და 1°—C. [19] ყოველთაჲვე C. [20] იჳ˝ჲს C. [22] ა˝ნ AC. [23] ბასილისი]და ნეტარისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილი კესარია-კაბადუკიელ მთავარეპისკოპოსისაჲ C. რომელი BC. [24] აღუსებისა B. ერთითა+თავი ივ˝ C. [26] შურომათა C. [28] არნ+მეორედ BC. მეორედ—BC. [29] გარდასრულთა C. წელიწადისასა C. [30] დავსცხერ B. მათ C. [31] ღამჱ C. დღჱ AC. სახარებასა მას (τὸ εὐαγγέλιον) სახიერებასა C. [33] გასწაველოთ B, გასწაველო C. რაოდენთა C. [34] რაოდენთა C. შეჰკერბით C.

[1*] I კორინ. 4,9.

მეთუ რომელი მოსრულ იყოს წარმართებასა კეთილთა საქმეთასა და მერმე კუალად-მიიქცეს პირველთავე ჩუეულებათა მიმართ, / არა ოდენ შრომილისაჲ A მის სასყიდელი დაშჳრდეს, არამედ უმეტესსაცა საშჯელსა ღირს იქმნას, რამეთუ იხილა გემოჲ კეთილთა მათ სიტყუათა ღმრთისათაჲ და / ღირს იქმნა საიდუმლოთა სულიერთა და მერმე ყოველივე იგი უგულებელს-ყო მცირედისა გულისთქუმისათჳს. „რამეთუ უმეცარი იგი ღირს არს შენდობისა, ხოლო ძლიერნი ძლიერადცა იტანჯნენ"[1*], ერთმან ღამემან და ერთმან ეშმაკისა ბრძოლამან შრომაჲ იგი ყოველი დაარღუა და უჩინო ყო. ვითარ უკუე გულსმოდგინე ვიყო აწ სიტყუად? და უწყითმცა, ვითარმედ დავიდუმემცა, უკუეთუმცა არა მეშინოდა საქმისა მისგან იერემია წინაჲსწარმეტყუელისა, რომელსა ურჩისა მის ერისა მიმართ სიტყუად არა ენება და ამისთჳს მოიწია მის ზედა, ვითარცაიგი იტყჳს თჳთ, ვითარმედ: იქმნა ცეცხლი წელთა შინა მისთა და შეიწუებოდა ყოვლით / კერძო და ვერ ძალ-ედვა თავს-დებად[2*]. B

ხოლო აწ დედათა ბოროტთა დაივიწყეს შიში ღმრთისაჲ, შეურაცხ-ყვეს საუკუნოჲ იგი ცეცხლი ესევითარსა მას დღესა შინა, რაჟამს თანა-ედვა ჴსენებისათჳს აღდგომისა დაჯდომაჲ სახლთა შინა თჳსთა და მოჴსენებაჲ დღისა მის, რაჟამს-იგი განეხუნენ ცანი და გამოჩნდეს მსაჯული იგი ზეცით: და საყჳრნი ღმრთისანი და აღდგომაჲ მკუდართაჲ და საშჯელი სიმართლისაჲ და მიგებაჲ თითოე/ულისაჲ საქმეთა მისთაებრ. C

ამათ ესევითართა საქმეთა წურთისა წილ და განწმედისა წილ გულთა მათთაჲსა ბოროტთა გულისსიტყუათაგან და აჴოცისა ცრემლითა ცოდვათა მათთა და განმზადებისა წილ მიგებებად ქრისტესა / დიდსა მას დღესა გამოA ჩინებისა მისისასა განაგდეს უღელი იგი ქრისტეს მონებისაჲ და მოიჴადნეს თავთაგან პატიოსნებისა იგი საბურველნი, უგულებელს-ყვეს ღმერთი და უგულებელს-ყვნეს ანგელოზნი მისნი და ურცხჳნო იქმნეს წინაშე პირსა მამათასა: და გარდაიტევეს თმები, მიითრევდეს სამოსელთა და იმღერდეს ფერჴითა, თუალითა ბილწითა, სიცილითა ურცხჳნოჲთა / მღერად და ბორგად აღიძრნეს[3*] B და შეაგინებდეს გულსა ჭაბუკთასა და ეკლესიათა მათ წინაშე, რომელნი არიან გარეგან ქალაქისა, მემღერნი განაწყვნეს მათ და ადგილად თჳსისა საძაგელებლობისა ყვნეს წმიდანი იგი ადგილნი. შეაგინეს ჰაერი ჴმათა მათგან სამეძვოთა და შეაგინეს ქუეყანაჲ ფერჴთა მათ მიერ არაწმიდათა, რომლითა იქმოდეს მღერასა მას. / და უგუნურთა ჭაბუკთა სიმრავლჱ გარე-მოაწყვნეს სახილველად მათდა, მეძავ განცოფებულ იქმნეს და ბორგილებისა არცა ერთი საზღვარი დაუტევეს. C

ესე ყოველივე ვითარ დავიდუმო? ანუ ვითარ ღირსად ვგოდებდე ამას? ღჳნომან მოგუატყუა ესევითარი ესე სულთა ზღვევაჲ, ღჳნომან, რომელი მოუ-

---

[1] მერმჱ C. [2] პირველთავე ჩუეულებათა] პირველთა მათ უშჯულოებათა C. შრომილისა B, შურომისაჲ C. [3] დასჳრდეს B. [4] იხილა] იხილო რაჲ C. საჲდუმლოთა B. [5] მერმჱ C. უგულებელს-ჰყო C. [7] ღამჱმან C. [8] შურომაჲ C. ოჩინო A. გულსმოდგინედ C. [9] ვიყო] ვიწყო C. უკუეთუმცა] უკუეთუ C. [11] ინება C. [12] წელთა] წყალთა B, წიაღთა C. [16] სახლსა C. თჳსსა C. დღისაჲ C. [19] მისთაებრ—A. [22] მიგებებად] მიგებად B. [23] მისისა C. და განაგდეს A. [24] უგულებელს ყვეს ღმერთი და —B. [25] იქმნნეს C. [27] ურცხჳნოთა B. [28] წინაშე] წმიდათა C. [29] და მემღერნი C. განეწყვნეს AC. საძაგელებისა C. [31] მათ] მათთა C. [32] სიმრავლე B. გარჱ-მოიწყვნეს C. [33] იქმნნეს C. [36] ღჳნოჲ 2° A. მიუცემის C.

[1*] სიბრძნე 6,7. [2*] იერემ. 20,9. [3*] ესაია 3,16.

ცემიეს ღმერთსა ნუგეშინისსაცემელად უძლურებისა ბრძენთადა, ხოლო აწ
საჭურველ ცოდვისა ექმნა უგუნურთა მათ.

2. მთრვალობაჲ — ნეფსითი იგი ეშმაკეულობაჲ, კაცთა მიერ მოპოვნე-
ბული ეშმაკი, რომელი გულისთქუმათა მიერ შევალს სულსა შინა; მთრვა-
ლობაჲ — უკეთურებისა დედაჲ, სათნოებისა წინააღმდგომი, ახოვანსა მოშიშ
A 219 ჰყოფს, / პატიოსანსა ურცხჳნო ჰყოფს, წმიდასა ბილწ ჰყოფს, სიმართლჱ
B 280 არა იცის, სიბრძნესა განაქარვებს. რამეთუ ვითარცა წყალი მბრძოლ არს
ცეცხლისა, ეგრეთვე მთრვალობაჲ სიბრძნესა დაშრეტს. ამისთჳსცა ზარ-მაც
სიტყუად მთრვალობისათჳს, არა თუ ვითარცა მცირისა რაჲსმე ბოროტისათჳს
C v და შეურაცხსაყოფელისა, არამედ ამისთჳს, ვითარმედ არარას/სარგებელსა
ვხედავ სიტყჳსაგან. რამეთუ უკუეთუ მთრვალი იგი უცნობელ არს და დაბნე-
ლებულ, ამაოდ ჰზრახავს მასწავლელი იგი უსმსა მას. ვისდა მიმართ იყოს
უკუე სიტყუაჲ ჩუენი, ვინაჲთგან რომელსა-იგი უქმს სწავლაჲ, იგი არა ის-
მენს სიტყუათა ამათ? ხოლო რომელი ფრთხილი არს გონებითა, მას არა უქმს
სწავლაჲ, რამეთუ წმიდა არს ვნებისა მისგან. რაჲ ვყო უკუე, დაღაცათუ სი-
ტყუაჲ უქმარ არს? არამედ დუმილი შეუძლებელ არს, რაჲ ვყო უკუე? უდებ
ვყო-ა სიტყუაჲ ესე? არამედ საშიშ არს უდებებაჲ. ანუ ვთქუა-ა მომთრვალე-
თათჳს რაჲმე? მკუდართა სასმენელთა შინა ოხრით.

გარნა ვითარცა-იგი რაჟამს შემოჴდის პირუტყუთა ზედა სენი იგი უკურ-
B v ნებელი, სასიკუდინე, მკუ/რნალნი იგი მათნი მრთელთა მათ პირველვე წამლე-
ბითა შეზღუდვენ და აკრძალებენ, ხოლო შეპყრობილთა მათ სენისა მისგან
არა მიეახლებიან, ეგრეთვე ჩუენდაცა ნახევარსა ზედა აქუს სარგებელი სიტ-
ყუასა ამას, რამეთუ დაღაცათუ შეპყრობილთა მათ ვნებისა მის მიერ არა რაჲ
C 246 ერგოს, არამედ / რომელნი ჯერეთ არა შთავრდომილ არიან მას შინა, ნუუკუე
განეკრძალნენ.

A v 3. / რაჲთა განყოფილ ხარ პირუტყუთაგან, ჵ კაცო? არა ნიჭითა მით სიტ-
ყჳერობისაჲთა, რომელი მოგიღებიეს დამბადებელისაგან? მთავრად და უფ-
ლად ქმნულ ხარ-ა ყოვლისა სოფლისა? აწ უკუე რომელმანცა ესრეთ განაცო-
ფოს სიბრძნე თჳსი მთრვალობითა, „იგი ჰბაძვიდა პირუტყუთა უგუნურთა და
მიემსგავსა მათ“[1*]. ხოლო მე უფროჲსად პირუტყუთა უუგუნურესად და უპი-
რუტყუესად უწოდ მთრვალთა, რამეთუ ოთხფერჴთა ყოველთავე და მჴეცთა
განჩინებული ჟამი აქუს შეერთებისაჲ და შვილებისაჲ, ხოლო მთრვალობისა
B 281 მიერ შეპყრობილნი ჴორცთა ბუნებისა გარეგნითა სიმჴურვალითა / აღავსებენ
და ყოველსავე ჟამსა შეგინებულთა მათ საქმეთა მიმართ მივლენ. და არა ესე
ოდენ არს სასწაული მათისა პირუტყობისაჲ, არამედ შეცვალებაჲცა საცნო-
ბელთა მათთა ცნობისაჲ უარეს ყოვლისა პირუტყჳსა ჰყოფს მათ, რამეთუ
რომელი არს საცხოვარი და ზროხაჲ ესრეთ უსმ და ბოროტად მხედველ და
უცნობო, ვითარ მთრვალი? ანუ არა უმეცარ იყვნიან-ა თჳსთა მათთაგან მრა-

---

[3] ~ იგი ნებსითი C. [5] ახოვანთა C. [6] პატივოსანსა C. სიმართლე B. [8] დაშრეტს—A. [9] რაჲსამე C. [10] შეურაც- B. -საყოფლისა C. [12—13] ~ უკუჱ იყოს C. [14] ფრთხილ BC. [15] უკუე] უკუეთუ C. [16] უკუე] უკუეთუ C. [17] ეთქუა A [18] რაჲმჱ C. [20] სასიკუდინჱ C. [21] შეჰზღუდვენ C. [26] სიტყჳერებისაჲთა C. [28] ქმნილ BC. ყოველსა სოფელსა C. [29] სიბრძნჱ C. [30] უუგუნურესად] უგუნურად C. [32] შეერთებისა C. [33] გარეგანითა C. აღივსებიან C. [34—35] ესე ოდენ] ესოდენ C. პიროტყობისა B, პირუტყობისა C. [36] ჰყოფნ B. [37] საცხოარი B. [38] მათთაგან] მათგან C.

[1*] ფსალმ. 48,13.

ვალგზის და უც/ხონი თჳსად შეერაცხნიან? არა აჩრდილთა ზედა გარდაახლ- C v
დებოდიან-ა მრავალგზის, ვითარცა მთხრებლთა და ვითარცა წყალთა ზედა?
და ოხრითა და შივილითა, ვითარცა ზღჳსაგან მღელვარისა / სავსე არიედ ყურ-
ნი მათნი და ჰგონებდიედ, თუ ქუეყანაჲ აღმართებულად დადგრომილ არს / და A 220
მთანი გარემო რბიან. ესენი ოდესმე იცინიედ დაუცადებელად და ოდესმე
ტიროდიედ მოუწყუედელად და ოდესმე ამპარტავან იყვნიან და ზუავ და
უშიშ და მერმე — მოშიშ და შეძრწუნებულ. ძილი არნ მათ ზედა მძიმე და
მოშთობის სახჱ და ჭეშმარიტად სიკუდილისა მახლობელ. და კუალად მღჳძა-
რებაჲ მათი / უუგუნურეს არნ ძილისა, რამეთუ ყოველი ცხორებაჲ მათი სიზ- B v
მარ არნ. რომელთა-იგი არა აქუნ მრავალგზის სამოსელი, არცა თუმცა რაჲ
ჰამეს ხვალისა დღე, და იგინი მეფედ დასხდიან და ერისთავთა წინამძღუარ
იყვნიან მთრვალობასა შინა მათსა და ქალაქთა აღაშენებდიან და საფასეთა
განუყოფდიან, ეგევითარითა უცნებითა და საცთურითა აღავსნის გულნი მათ-
სი ღჳნომან. ხოლო სხუანი კუალად მეორისა კერძისა ვნებითა დაინთქნი/ან: C 247
და სასოწარკუეთილ იქმნიან და მჳმუნვარე და მტირალ და მოშიშ. ერთი იგი
ღჳნოჲ თითოეულთა მათ გუამთა შევიდის და თითოსახენი ვნებანი შვნის: რა-
მეთუ რომელთამე აღადუღებს სისხლსა და განამრავლებს და ესრეთ მოხარულ
ჰყოფს და ბრწყინვალე. და კუალად სხუათა ფრიადისა მის სიმძიმისა მისისა-
გან დაამძიმებს და დაჰქენჯნის და დაამდაბლებს სისხლსა და მწუხარე ჰყოფს
მათ ამით სახითა. და რად საჭმარ არს სხუათა მათ ვნებათა მათთა აღრიცხუ-
ვაჲ? — მძჳნვარებასა მას გონებისა მათისასა, მსწრაფლ განრისხებასა, / მაბრა- Ʒ 282
ლობლობასა მათსა, / სიმწარესა მას სულისა მათისასა, ვითარ არარასა ზედა A v
მტკიცე არიან, ღალადებასა მას მათსა და ჴმისა უწესოებასა, ამბოხებასა მას
გარდარეულსა, ყოვლისა საცთურისა მიმართ ადვილად მიდრეკასა?

4. ხოლო გულისთქუმათა შეგინებისათა, ვითარცა წყაროჲ, აღმომაცენე-
ბელ იქმნების მთრვალობაჲ და სიძვისა იგი სენი შევალს სიმრავლესა მას თანა
ღჳნისასა და ყოველსავე პირუტყუთა დედალთა მიმართ სიბორგილესა და-
ჰფარავს გინებაჲ იგი / მომთრვალეთაჲ. რამეთუ პირუტყუთა იცნიან საზღვარ- C v
ნი იგი ბუნებისანი, ხოლო მომთრვალენი მამათა შორის დედაკაცებასა და
დედათა შორის მამაკაცებასა ეძიებენ. არცა კეთილ არს, არცა შესაძლებელ
ყოველთა მათ ბოროტთა მთრვალობისათა სიტყჳთ თქუმაჲ. ხორშაკისა იგი
სენნი ჟამთა სიგრძესა შევლენ კაცთა შორის, რაჟამს-იგი მცირე-მცირედ
ჰაერისა მის სენი შევალნ გუამთა შინა, ხოლო ღჳნისამიერნი სენნი მეყსა შინა
მოიწევიან. რამეთუ ესრეთ წარწყმედასა თანა და შეგინებულობასა / სულისასა B v
ჴორცთაცა სიმრთელე მიეღების და სახჱ მათი შეიცვალების, არა ოდენ, რამე-
თუ ბილწებათა მიმართ ესრეთ მოსწრაფე არიან, არამედ თჳთ გუამიცა მათი
სნეულ არნ და ძალი იგი ბუნებითი არა აქუნ: თუალნი მათნი იყვნიან მჴიე

[1] გარდახლდებოდიან B, გარდახლდებოდიანა C. [3] სავსჱ C. [4] ჰგონებდიან BC. [6] მოუწყუედელად]მოუწყინებელად C. [7] მძიმჱ C. [8] სახე B. [10] აქუს B, არა აქუნ] არაქუნ C. [11] ხვალის დღჱ C. წინამძღურად C. [14] ვნებათა BC. [15] იქმნნიან C. მჳუნვარე B, მჳმუნვარჱ C. [16] რამეთუ—AC. [18] ბრწყინვალჱ C. სხუათაჲ B. [19] დაჰქეჯნის B. მწუხარჱ C. [20] არიცხუვაჲ A, აღრაცხვაჲ C. [21] მწრაფლ B. მაბრალობლებასა C. [22] მტკიცჱ C. [23] მას 1°—C. [26] ექმნების C. თანა]შინა C. [27] პირუტყუელთა A, პირუტყუთასა C. [29] მომთრვალეობაჲ A. იციან A. [32] სენი BC. მცირედ- BC. [34] შეგინებლობასა B, შეგინებულებასა C. სულისაცა და ჴორცთა C. [35] სიმრთელჱ C. მიეღების B. სახე B. [36] მოსწრაფჱ C. თჳით B.

და პირი შორს ბუნებითისა მის ფერისაგან, სული მათი შეიწრებულ და ენაჲ
წარევნულ და ჴმაჲ უწესო და ფერჳნი მალუ შემცთომელ, ვითარცა მცირეთა
ყრმათაჲ, განსლვანი ნამეტნავთანი თავით თჳსით, ვითარცა უსულოთაგან მა-
A 221 ვალნი. / საწყალობელ იყვნიან შუებასა მას შინა მათსა, უსაწყალობელეს ზღუა-
C 248 სა შინა მღელვარეთა, რომელთა ზედა სხუანი და სხუანი ერთიერ/თსა ზედა
ღელვანი მოიწევიან და თავსა ზე აღებად არა უტევებენ, ეგრეთვე ამათნი
სულნი დანთქმულ არიან ღელვათა მათ შინა ღჳნისათა. და მერმე, ვითარცა-იგი
ნავნი დანთქმასა რაჲ მიეახლნიან, გარდაყარიან ტჳრთი მათი, ეგრეთვე ამათ,
B 283 რაჟამს ვერღარა თავს-იდვიან ბოროტი იგი სიმძიმე, იწყიან აღმოგდებად / და
საძაგელებად და ეგრეთ ძნიად განერნიან სიმძიმისა მისგან. ესეზომ უსაწყა-
ლობელეს არიან ზღუასა შინა მღელვარეთა, რამეთუ მათისა ჴირისა მიზეზ
იქმნა სასტიკებაჲ ქართაჲ და ღელვანი ზღჳსანი, ხოლო ესენი ნეფსით თჳსით
მოაწევენ თავთა ზედა თჳსთა ზამთარსა მას მთრვალობისასა.

საწყალობელ არს ეშმაკეული, ხოლო მთრვალი საქმეოავე შინა ეშმაკე-
ულისათა არს და წყალობასა არა ღირს არს, რამეთუ ნეფსით ყო თავი თჳსი
ეშმაკეულ. რომელნი-იგი წამალთა ეძიებენ მთრვალობისათჳს, არა თუ რაჲთამ-
ცა არაჲ ევნო ღჳნისაგან, არამედ რაჲთამცა არა დასცხრეს სუმისაგან. რამეთუ
მცირედ შეურაცხილ არნ წინაშე მათსა დღჱ და მცირედ ღამჱ იგი
ღამეთაგან ზამთრისათა სუმისა მიმართ. და დასასრული არა არნ ბოროტისაჲ
C v მის. / რამეთუ თჳთ ღჳნოჲ უმეტესსა ადგილსა უყოფს თავსა თჳსსა. რამეთუ არა
ნუგეშინისცემა უძლურებისა არნ იგი, არამედ სხჳსა სუმისა მომატყუებელ, რა-
A v ჟამს-იგი შესწუავნ / მთრვალ/თა მათ და უმეტესისა სურვილსა მოატყუებნ
B v და დაუსრულებელად აქუს წადილი იგი სუმისაჲ და ჰნებავს, რაჲთამცა უმე-
ტესიცა წადილი აქუნდა. და წინააღმდგომი ნებისა მათისაჲ იქმნების მათ ზედა,
რამეთუ უზომოებითა მით სუმისაჲთა საცნობელთა თჳსთა განჰხრწნიან. რა-
მეთუ ვითარცა უზომოჲ ბრწყინვალებაჲ დააბნელებს თუალთა და ვითარცა
დიდითა ჴმითა და სასტიკითა განკრთომილნი სმენადცა ვერ შემძლე-
ბელ არიან სასტიკებისაგან ჴმისა მის, ეგრეთვე ესენი უგულისჴმო არიან, ვი-
თარ-იგი უზომოჲსა მის გემოჲსმოყუარებისაგან გემოსა მას სასუმლისასა გან-
რყუნილ იქმან. რამეთუ უგემურ არნ პირსა შინა მათსა და წყლიან ღჳნოჲ იგი,
დაღაცათუ ურწყულ იყვის და ნელტფილ არნ პირსა შინა მათსა, დაღაცათუ
მყინვრისა მსგავს არნ, ანუ თოვლითა განგრილებულ, რამეთუ ვერ შემძლებელ
C 249 არნ დაშრეტად ალსა მას, რომელი შინაგან მათსა ეგზებინ / ღჳნისა მიერ. იხი-
B 284 ლე, თუ: „ვისი არს ვაებაჲ? / ვისი არს ამბოხებაჲ? ვისნი არიან წარევნანი? ვის-
ნი არიან შემუსრვილებანი იგი ამაონი და შალვანი გულისანი? ვისნი თუალნი
არიან მჭიე? არა ღჳნისა სუმასა შექცეულთანი-ა და რომელნი უმზირიან, თუ
სადა იქმნების სუმაჲ?“[1*].

---

2 მალჱ C. 3 ნამეტავთანი C. განმავალნი C. 4 მას—C. ზღუათა B. 5 მღელვარეთაჲ B, მღელვარეთასა C. 6 მიიწინიან C. ზჱ C. 7 დანთქუმულ B. მერმჱ C. 9 სიმძიმჱ C. და—C. 10 საძაგელად C. უსაწყალობელ B. 11 არნ C. მღელვარეთაჲ B, მღელვარეთასა C. მიზეზი B. 12 ნებსით C. 15 ნებსით C. 16 წამლითა C. 17 არა 1° C. დაჰსცხრეს C. 18 დღე B. ღამე B. 19 და—C. ბოროტისა C. 20 ნუგეშინისცემაჲ C. 21 უძლურებისაჲ C. 22 უმეტესსა C. 25 განჰკრწნიან A, განხრწნიან C. 27 და—C. განკრთუმილნიცა B. სმენად B. 28 უგულისხმო C. 29 სასუმელისასა C. 31 ურწყლულ C. ~ მათსა შინა B. 32 დაშრეტად C. იხილეთ B, იხილჱ C. 34 ვაჲებაჲ C. წარევანი C. 36 შექცეულთანი-ა] შექცეულთანი არიან C.

1* იგავ. 23,29—30.

ვაებაჲ სიტყუაჲ არს საგლოელი, ხოლო მომთრვალენი არიან ღირს გლოი-
სა, რამეთუ სასუფეველსა ცათასა ვერ დაიმკჳდრებენ[1*]. და ამბოხებაჲ არს
შფოთი იგი, რომელი ღჳნისა მიერ იქმნების გონებასა შინა; ხოლო შალვაჲ
გულისაჲ — მწა/რეთა მათ გემოთათჳს, რომელნი იყვნიან გულსა შინა, მოდ- A 222
ნებინ რაჲ ღჳნოჲ იგი უზომოჲ. რამეთუ მათნი შეიკრვიან ჴელნი და შეიკრვიან
ფერჴნი ბოროტთა მათგან მთრვალობისათა და, უწინარეს ამისა, მასვე ჟამსა
სუმისასა განცოფებულთა საქმენი მოიწინიან მათ ზედა. რამეთუ რაჟამს აღივ-
სნენ ნესტუნი საფეთქელთანი კუამლისა მისგან, რომელსა ღჳნოჲ ორთქლითა
თჳსითა მისდა აღიყვანებს, მაშინ შეპყრობილ არნ სალმობათა მათ მიერ უზო-
მოთა თავი და დადგომად / მართლიად მჴართა ზედა ვერ შემძლებელ არნ, B v
არამედ მიმოვარდებინ ქედისაგან. და კუალად / წარევნანი იგი მრავალნი, C v
რომელ არიან უსარგებლონი და მაცილობელნი ზრახვანი მათნი და შემუსრ-
ვანი იგი ამაონი, რომელნი იყვნიან მათ ზედა, რომელნი ვერ შემძლებელ იყ-
ვნიან მართლიად დგომად მთრვალობისა მისგან, არამედ ყოვლით კერძო
დაცემითა შეიმუსრვოდიან ამაოდ.

5. არამედ ვინ-მე მიუთხრას ესე ყოველი ღჳნისა მიერ მოწყლულთა
მათ? რამეთუ ყრუ არიან იგინი და ეძინების, ფქნარებენ, ნისლი მოფენილ
არს მათ ზედა, იღელვებიან. ამისთჳს არა ესმის მათ სწავლაჲ მოძღუართაჲ,
რომელნი ყოვლით კერძო ულაღადებენ, ვითარმედ: „ნუ დაითრვებით ღჳნი-
თა, რომლისა მიერ არს ბილწებაჲ“[2*] და კუალად, ვითარმედ: „ბოროტ არს
ჩ̈ლღჳნეობაჲ და მაგინებელ არს სიმთრვალჱ[3*]. და იგინი ურჩ არიან ამათ
სიტყუათა, არამედ იგინი თჳთ მოიმკიან ნაყოფსა მას მთრვალობისასა, რამე-
თუ განსივებულ არნ გუამი, თუალნი ნოტია, პირი ჴმელ / და შემწუარ. / რა- A v
მეთუ ვითარცა ნაღუარევნი, ვიდრემდის დიოდიან მათ შინა ღუარნი, სავსედ შე- B 285
რაცხილ იყვნიან, და წარ-რაჲ-ჴდის წყალი იგი, ჴმელად დაშთომილ იქმნიან,
ეგრეთვე არს პირი იგი მომთრვალეთ/აჲ: ვიდრემდის დგეს მას შინა ღჳნოჲ, C 250
სავსე არს და ნოტია, ხოლო მცირედი რაჲ ჟამი წარჴდის, იქმნის ჴმელ და შეი-
წუებინ და რაჟამს ესრეთ განგრძელდის საქმე მთრვალობისაჲ, ყოვლითურთ
ნოტიობაჲ მისგან განჴმის. რამეთუ რომელმანმცა გუამმან კაცისამან ესრეთ
ძლიერებაჲ მოიგო, რაჲთამცა იტჳრთნა ბოროტნი იგი მთრვალობისანი? რა-
მეთუ რომელი-იგი მარადის ჴურავნ და მარადის სოლდებინ ღჳნითა, რომელ-
მანმცა ღონემან ყო, რაჲთამცა არა უძლურ და განხრწნილ იყო? ესრეთ იქმნე-
ბიან თრთოლანი და სენნი, რამეთუ სამშჳნველისა მათისა ნესტოჲ შეიწრდის
ღჳნისა მის სიმჴურვალითა და ძარღუნი გართხმულობისა მათისაგან დაფოლ-
ხუდიან და ესრეთ მოიწიის თრთოლაჲ გუამსა ზედა.

აწ უკუე რაჲსათჳს, ჵ კაცო, მოაწევ თავსა ზედა შენსა წყევასა, რომელი
მიეცა კაენს ძრწოლით სლვისა / და ყოფისაჲ[4*]? რაჲთა ესრეთვე სძრწოდი B v

1 ვაჲებაჲ BC. საგლოეელი BC. გლოვისა C. 4 დნებინ BC. 5 შეიკრვიან ჴელნი და—C. 6 ამისსა BC. 8 ნესუტნი A. 10 და—C. დადგრომად C. არს C. 11 წარევანი C. 13 იგი—B. იყვნიან]არიან C. 16 მოწყლულთა]მოწევნულთა AC. 17 იფქნარებენ C. 21 მეღჳნობაჲ C. სიმთრ-ვალე B. 26 ეგრეთ C. 27 სავსჱ C. დაიწუებინ C. 28 განგრძელდის]განგრილდის C. საქმჱ C. 29 მის-გან]მის C. 31 ჴურავ̃ნ A. სუელდებინ C. 33 სენნი]ესენი B. სამშუმინველისა C. ნესუტჳ A, ნესტჳ C. 34 განრთხმულობისა BC. დაფულხოდიან B. 35 მოიწევის C. 37 მოეცა C. ძრწულით BC. სლვისაჲ B. რაჲთა]რომელი C.

1* I კორინ. 6,10. 2* ეფეს. 5,18. 3* იგავ. 20, 1. 4* დაბად. 4,14.

შენ ღჳნისა ბოროტთა მიერ ყოველთა დღეთა შენთა? რამეთუ რაჟამს არა აქუნ
გუამსა სიმტკიცჱ იგი ბუნებითი, ამისთჳს მიმოირყევინ და ძრწინ.
Ⴇ. ვიდრემდის იყოს ღჳნოჲ, ვიდრემდის იყოს ეგე მთრვალობაჲ, მ უბა-
დრუკო? რამეთუ არა ხედავ-ა, რაჲ-ეგე მოიწევის შენ ზედა? რამეთუ მწჳრე
I 223 იქმნები კაცისა წილ, რომელი-ეგე ესრეთ ყოვლითურთ აღერიე / ღჳ/ნოსა და
v დაჰლპი მის თანა მარადღე მთრვალობითა მაგით და ჰყარ ღჳნისაგან დაშპლისა
და არასურნელისა, ვითარცა ჰურჰელი ხენეში. ამისთჳს გოდებს ესაია ესე-
ვითართა მათთჳს, ვითარმედ: „ვაჲ არს მათდა, რომელნი აღდგებიან განთიად
და თაფლუჭსა სდევენ, რომელნი დაჰყოფენ მწუხრამდე, რამეთუ ღჳნომან
მან შეწუნეს იგინი, რამეთუ ორძლითა და სტჳრებითა სუმენ ღვინოსა მას და
საქმეთა უფლისათა არა მიხედვენ და ქმნულსა ჴელთა მისთასა არა განიცდიან"[1*],
ხოლო თაფლუჭად ყოველსავე დათრობად შემძლებელსა ეწოდების ჰურიათა
286 მიერ. აწ უკუე რომელნი განთიად ხოლო სუმასა ეძიებენ და მთრვალო/ბასა
და თუ სადა იქმნებიან სუმანი და ღჳნის მსყიდლობანი და ურთიერთას მი-
იყვანებენ ზოგებით სუმად და ყოველსავე ზრუნვასა სულისასა ესევითართა
საქმეთა ზედა წარაგებენ, ესევითართა მათთჳს იგლოვს წინაჲსწარმეტყუელი.
რამეთუ არა დაუტეობიეს მათ ერთიცა ჟამი თავისა თჳსისადა ხილვად საკჳრ-
ველებათა ღმრთისათა და არა აქუს მოცალებაჲ თუალთა მათთა ზეცად ახი-
ლვად და განცდად შუენიერებათა მათ მისთა და გულისჴმისყოფად ყოველ-
თა მათ სიკეთეთა, რომელნი არიან დაბადებულთა შორის, რაჲთამცა ამათ
ყოველთა წესიერებისაგან გულისჴმა-ყვეს შემოქმედი.
: 251 / არამედ მეჴსეულად შემოსლვასა დღისასა, ვითარცა განთენეს, შეამკო-
I v ბენ აღგილთა მათ სუმისა მათისათა ძოლოებითა და თჳთოსახეობითა / და
მრავალფერითა ეზოებითა. და ყოველი ღონისძიებაჲ მათი სასუმელთა მათ
განმზადებასა ზედა არს: და განჰმზადებენ საგრილობელთა და კათხაებსა და
ბარძიმებსა, ვითარცა საეკლესიოსა ზედა, ესრეთ განაწყობენ მათ, რაჲთა თითო-
3 v სახეობაჲ იგი და განყოფილებაჲ ჰურჰელთაჲ სიმაღ/რესა მათგან წარიპარ-
ვიდეს და უმეტესსა შემძლებელ იყვნეს სუმად. და კუალად სასუმელთა მათ
სხუად და სხუად შეცვალებაჲ ფრიადსა ჟამსა გარდაჰჴდიდეს სუმასა მას შინა.
და ამას ყოველსა ზედა იყვნიან ტრაპეზთმოძღუარნი და მწდეთუხუცესნი და
მემარნეთმთავარნი, და ესრეთ წესი უწესობასა მას შინა და განგებულებაჲ
განუგებელსა მას საქმესა შინა მოპოვებულ არს. რამეთუ ვითარცა მთავრობა-
თა მათ სოფლისათა მსახურთა მიერ მათთა აღორძნდების დიდებაჲ და პატი-
ვი, ეგრეთვე მთრვალობასა, ვითარცა დედოფალსა ვისმე, მსახურებაჲ იგი
გარე-მოადგინიან და სამაგელებლობასა მისსა გარდამატებულად პატივისცე-
მითა ჰფარვენ. და დაარქვან თავსა მისსა გჳრგჳნი და ყუავილნი და სულ-

[2] სიმტკიცე B. [4] ჰხედავა C. რაჲ-იგი C. მწჳრჱ C. [5] წილ—C. ესრე B. [6] მარადღჱ C. [7] არასულნელისა C. ესაჲა B. [9] თაფრუჭსა A. მწუხრამდჱ C. [10] მან — C. ორძილთა B. მას—C. [11] მიჰხედვენ C. ჴელთა მისთასა] ქელთა A. [12] თაფრუჭად A. [14] მსყიდელობანი B. და—BC. ერთიერთსა C. [17] დაუტევებოეს C. თჳსისა B. [18] აღხილვად C. [19] გულისხმისყო-ფად C. [21] გულისხმა-C. [22] მეჴსეულად BC. განთენის C. [23] ძოლოვებითა C. და თჳთოსახეობითა] თითოსახებითა B, თითოსახითა C. [25] არნ C. [28] იყვნენ C. [29] შეცვალებაჲ] შესცვალებენ C. და ფრიადსა C. გარდაჰჴდიედ C. მას—C. [30] მწდეთაუხუცესნი BC. [31] მემარნეთამთავარნი B. წესი—C. მას—C. [32] რამეთუ] რაჲთა ABC. [33] მათთა] მისთა C. [34] დედუფალსა B. [35] საძაგელებასა მისა C. [36] დაარქუან B. სორნელებათა B.

[1*] ესაია 5,11—12.

ნელებათა და საკუმეველთა აკუმევდიან. და / ესრეთ მრავალნი იგი სახიობანი C v უმეტესსა დაყოვნებასა მისცემენ წარწყმედილთა მათ ბოროტსა მას შინა.

მერმე, ვითარცა განგრძელდის სუმაჲ იგი, იწყიან / ჴდომად, უმეტესობი- B 28 სათჳს ცილობად და მოსწრაფებად, რომელთა უყუარნ ურთიერთას წარჴდომაჲ მთრვალობითა. და სასყიდლის მიმცემელი მათისა მის / მოსწრაფებისაჲ A 22 არნ ეშმაკი და სასყიდელი ძლევისაჲ მის — ცოდვაჲ. რამეთუ რომელმან უმეტესად მიიღის და შთაისხის მუცლად ურწყული იგი ღჳნოჲ, მან მიიღის ძლევაჲ სხუათა ზედა.

ჭეშმარიტად, „დიდებაჲ მათი არს სირცხჳლსა შინა მათსა“[1*], რამეთუ აცილობენ ურთიერთას, ხოლო ავნებენ თავთა თჳსთა. რომელმან-მე სიტყუამან შეუძლოს მიწთომად ბილწებასა მას საქმეთა მათთასა? ყოველივე პირუტყუებითა სავსე არს, ყოველივე ბოროტებითა; ძლეულთა მათ სტრავენ, მძლენი იგი მთრვალვე იყვნიან, მსახურნი ეცინოდიან. ჴელი დამჭირვად კათხაებსა მოუძლურებულ არნ, პირი არა მიიღებნ, მუცელი განსთქდებინ და ბოროტი იგი არა დასცხრებინ. უბადრუკი იგი გუამი ბუნებითისა ძალისაგან დაჴსნილ არნ და ყოვლით კერძო მიმოვარდებინ და უზომოსა მას ბოროტსა ვერ იტჳრთავნ.

7. ჵ საქმე საწყალობელი წინაშე თუალსა ქრის/ტია/ნეთასა! რაჟამს-იგი B v კაცი ჭაბუკი ჭასაკითა, ძლიერი გუამითა, მჴედრობისა წესთა შინა განშუენე- C 25 ბული, მითრევით მიიყვანებინ სახედ თჳსად, რამეთუ ვერ შემძლებელ არნ ზე დადგომად და თჳსითა ფერჴითა სლვად. კაცი, რომელსა თანა-აცნ, რაჲთამცა საშინელ იყო სახილველად მბრძოლთა, იქმნის მიზეზ სიცილისა ყრმათა, უბანთა შინა მავალთა, თჳნიერ მახჳლისა მოწყლულ არნ, თჳნიერ მბრძოლისა მოკლულ არნ, თჳნიერ რკინისა შებორკილებულ არნ. კაცი ჭურვილი, ყუავილსა მას შინა სიჭაბუკისასა მყოფი, / ღჳნისა მიერ ტყუე იქმნის და მზა არნ წინაშე A v მტერთა მოწევნად მის ზედა, რაჲცა მათ ენების.

მთრვალობაჲ გონებისა დამაქცეველი არს, სულისა განმხრწნელი, სიბერე უჟამოჲ, მიმსგავსებული მკუდართაჲ, მსგავსი კერპისაჲ. რამეთუ სხუაჲ რაჲ არიან მთრვალნი, გარნა კერპ წარმართთა? „პირ ათქს და ვერ იტყჳან, თუალ ასხენ და არა ხედვენ, ყურ ასხენ და არა ესმის“[2*]; ჴელნი დაჴსნილ იყვნიან, ფერჴნი მომკუდარ იყვნიან.

ეჰა, ვინ-მე არს, რომელმან ესე ყოველი ბოროტი გვყო ჩუენ? ვინ-მე არს ამათი მიზეზი? ვინ-მე არს, რომელმან სიცოფისა ამის წამალი გუწდია ჩუენ?

/ ჵ კაცო, ბრძოლად შესცვალე-ა ხადილი იგი და სასუმური შენი? რამე- B 28 თუ განიყვანებენ მანდაჲთ ჭაბუკთა / მათ ახოანთა ჴელპყრობით, ვითარცა C v წყლულთა ბრძოლისაგან. მოაკუდინე სიმჴნე იგი სიჭაბუკისაჲ ღჳნისა მიერ: და მოუწოდ მას, ვითარცა მოყუარესა, სერობად, ხოლო წარავლენ, ვითარცა მკუდარსა, რამეთუ ღჳნისა მიერ ცხორებაჲ მისი დააქციი. რაჲ-მე ვთქუა ესე-

---

2 უმეტესად ყოვნებასა B. წარწყმედულთა C. 3 მერმჱ C. განგრძელდის προϊόντος] განძლიერდის C. ჴდომად ἀμιλλᾶι] ჴმობად C. 7 მოიღის C. 9 არნ C. 10 ივნებენ C. 11 მიწდომად C. პირუტყუებით C. 12 სავსჱ C. 13 დაჭირვად C. 14 განსქდებინ B. 16 უზომასა B. 17 საქმჱ C. თუალთა C. 19 მიიყვანებენ C. 20 ზჱ C. 21 ბრძოლათა C. 22 მავალთა]მრავალთა B. თჳნიორ B. თჳნიორ B. ბრძოლისა C. მოკულულ A. 24 ~ სიჭაბუკისასა შინა C. ტყუჱ C. იქმნეს A. 26 სიბერჱ C. 28 ათქს]ადგს BC. ვერ]არა C. 29 ჰხედვენ C. 30 ყვნიან B. 33 შეჰსცვალეა C. ჰხადილი C. 34 ახოვანთა C. 35 მოაკუდინჱ C. სიმჴნჱ C. 36 მას]მათ AC. მოყუარეთა AC. ხოლო] და C. 37 დააქციე BC. ვთქუ B.

1* ფილიპ. 3,19. 2* ფსალმ. 113, 13—14.

ვითართა მათთჳს? რამეთუ რაჟამს საგონებელ არნ, ვითარმედ განძღეს ღჳნითა, მაშინღა იწყიან მათ სუმად და სუმენ, ვითარცა პირუტყუნი, ვითარცა წყაროჲსაგან აღმომდინარისა, რომელი შესწორებულად მსუმელთა მათ აღმოაცენებნ თუალთა.

რამეთუ რაჟამს-იგი განგრძელდის სუმაჲ მათი, შემოვიდის მათ შორის ჭაბუკი ვინმე ახოვანი, მჴნე, რომელი ბეჭთა მიმოიცვალებნ და ჯერეთ არღა დამთრვალ არნ და მიეცის მას კათხაჲ დიდი, აღვსებული ღჳნითა განგრილებულითა და იწყის მან სუმად და გულარძნილთა მათ შთასავალთა მიერ აღავე-
A 225 სის მუცელი თჳსი / მთრვალობითა შესწორებულად სხუათა მათ, რაჲთა ესრეთ ზოგად იყოს საზომი იგი უზომოებისაჲ მის, რაჲთა ესრეთ შემსგავსებულად ყოველთა ქმნან ბილწებაჲ იგი და არა იყოს ერთიცა უმეტეს, გინა
B v უდარეს სხუათასა / მთრვალობითა. რამეთუ განიყვნიან მახრუტები იგი დიდე-
C 253 ბი და თითოეული სუამნ ვითარცა ტბისაგან განუძლომელად, ვითარცა / ზროხანი. ესეზომ ენების სუმაჲ, რაჲზომცა ეპოებინ.

უბადრუკო, შთაიხედენ-ღა საწყალობელსა მაგას მუცელსა შენსა, განიცადე სივრცე ჰურჰლისაჲ მის, რომელსა შინა ეგეზომი იგი ღჳნოჲ შთავალს, ვითარმედ მტკავლეული სივრცე არა აქუს. ნუ საღჳნეთა მათ ჰურჰელთა ხედავ, თუ ოდეს დაილინენ, არამედ მუცელი შენი განიხილე, ვითარ-იგი ადრე აღვსებულ არს.

ამისთჳსცა „ვაჲ არს მათდა, რომელნი აღდგებიან განთიად და თაფლუჭსა სდევენ და არიან ვიდრე მწუხრადმდე"[1*], რამეთუ არცა ერთი ჟამი აქუს მათ ხილვად საქმეთა უფლისათა, ანუ განცდად ქმნულსა ჴელთა მისთასა. და ამისთჳს „ღჳნომან მან შეწუნეს იგინი"[2*], რამეთუ მჴურვალებაჲ იგი, რომელი ღჳნისა მიერ დაემკჳდროს ჴორცთა შინა, ნივთ ექმნების განჴურვებულთა მათ ისართა მტერისათა. და გონებასა დაამდაბლებს და დააბნელებს ღჳნოჲ, ხოლო ვნებათა და გულისთქუმათა აღაზრზენს და განამრავლებს. რამეთუ რომელი
B 289 ცოცჳ უმწყი რბის ესრეთ უწესოდ და დას/ცემს ზედა მჯდომელსა მას, ანუ რომელი ნავი ღელვაგუემული, რომელსა არა აქუნ მენავეთმოძღუარი, არცა მენავენი, არს ესრეთ შეცთომილ, ვითარცა მთრვალი?

A v 8. / ესევითართა ამათ ბოროტთა მიერ მამა/თა და დედათა ზოგად განა-
C v წყვნეს მემღერნი და ეშმაკსა მას მთრვალობისასა მისცნეს სულნი მათნი და ესრეთ ისრითა მით ვნებათაჲთა ურთიერთას ესროდეს. ორკერძოვე იყვნიან სიცილნი უწესონი, სიმღერანი ბილწნი, სახენი მეძვობისანი, რომელნი მიუწოდდიან შეგინებულობასა.

იცინი-ა შენ და იხარებ სიხარულითა მით ბოროტითა, რომელსა-ეგე თანაგედვა ტირილი და სულთქუმაჲ ცოდვათა შენთათჳს? სიმღერათა იტყჳ-ა, სიძჳისა წინამძღუართა, ფსალმუნთა მათ წილ და გალობათა, რომელნი გისწავიან?

---

[1] რაჲჟამს B. [2] და ვითარცა 2° C. [5] განგრძელდის]განძღუებოდის C. [6] ვინმე—C. ახოანი B. მჴნჱ C. არღა]არა A. [8] აღივსის C. [10] ზოგადი BC. [12] განიყვნნიან A. [13] თითუეული B]+ იგი C. [14] ეპოვებინ C. [15—16] განიცადჱ სივრცჱ C. მის—C. ღოჲნოჲ B. [17] ვითარმედ] ვითარ C. სივრცჱ C. აქუნ C. ჰხედავ C. [18] დაელინენ C. ადრჱ C. [19] ავსებულ B. [20] თაფლუჭსა A. [21] მწუხრამდჱ C. [22] მისთჳს B. [24] ღჳნისა მიერ—C. დაემკჳდრის C. [26] ვნებათა და გულისთქუმათა] ვნებათა გულისთქუმისათა C. [27] კიცჳაჲ B. მჯდომარესა C. [30] მათ C. [33] მიუწუდდიან AB, მიუწოდიედ C. [34] შეგინებლობად B, შეგინებად C. [35] იცინი C. იხარება C. ბოროტითა + მ კაცო C. [36] სულთთქუმაჲ C. [37] რომელ ისწავენ C.

[1*] ესაია 5,11. [2*] ესაია 5,11.

ფერჴთა იმღერებ-ა და ხლდები და ჰბორგ და ჰროკავ უწესოდ, რომელსა-ეგე თანა-გედვა მუჴლთმოდრეკით ვედრებაჲ უფლისაჲ?

ვიეთთჳს-მე ვიგლოვდე პირველად? ქალწულთა მათთჳს უქორწინებელთა, ანუ უღელსა მას ჴუეშე ქორწინებისასა მყოფთათჳს? რამეთუ იგინი მოიქცეს და არა აქუნდა ქალწულებაჲ თჳსი, / ხოლო ამათ — სიწმიდე იგი პირველი, და- B v ლაცათუ ჴორცითა დაცემასა რომელნიმე განერნეს, არამედ გონებით უეჭუელად შეიგინნეს.

ეგრეთვე მამათათჳს ვიტყჳ, ვითარმედ: უკუეთუ „რომელმან მიხედნეს დედაკაცსა გულისთქუმით, მან იმრუშა“[1*] და ესრეთ დახუდომით უბნობაჲ ოდენ და მოგონებით გულისთქუმაჲ / ესრეთ მავნებელ არიან და ესევითარი C 254 საშჯელი აქუს, რაჲ-მე ყოფად არს მათთჳს, რომელნი განზრახვით წარვიდოდინ ხილვად და განცდად ესევითართა საქმეთა და მიხედვად დედათა, უშუერებისა მოქმედთა და / მთრვალთა და მსახიობელთა სახიობითა მით ბოროტითა და მეტყუელთა ავაჯთა მათ და კილოთა სიძვისათა, A 226 რომელთა არა ხილვაჲ, არამედ სმენაჲ ოდენ ჴმისაჲ ჴმა არს გულსა მას ვნებულთასა შეგინებად? რაჲ სთქუათ თქუენ ამის ყოვლისათჳს, რომელნი მიხუალთ ხილვად მათდა, ანუ ამღერებთ მათ წინაშე თქუენსა და ესევითართა მათ ხილვათა მიერ ბევრეულსა სიმრავლესა ვნებათასა შეიკრებთ? ანუ არა საცნაურ არს-ა, ვითარმედ განზრახვით მაგის საქმისა/თჳს მოსწრაფე ხართ და ესრეთ თანამდებ' იქმნეთ საშ- B 290 ჯელსა მას მემრუშეთასა განჩინებისაებრ უფლისა?

ანუ ვითარ შეგიწყნარნეს თქუენ მარტჳლიამან, რომელთა-ეგე ძღვსებაჲ ესრეთ უჴმარ ჰყავთ? რამეთუ მარტჳლიასა საქმედ აქუს სულისა წმიდისა მოსლვაჲ განცხადებული, ხოლო შენ წინაჲთვე უსწრობ და დაამკჳდრებ შენ შორის სულსა მას არაწმიდასა და იქმნები ტაძარ კერპთა ტაძრად ყოფისა წილ ღმრთისა შენ თანა დამკჳდრებითა სულისა წმიდისაჲთა[2*]. და მიიღებ წყევლასა მას / წინაჲსწარმეტყუელისასა, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „გარდავაქცინე დღე- C v სასწაულნი მათნი გლოად“[3*]. ანუ ვითარ ხართ თქუენ უფალ მონათა თქუენთა, რომელნი-ეგე ესრეთ მონაქმნულ ხართ გულისთქუმათადა? ანუ შვილთა ვითარ ასწაოთ თქუენ, რომელთა ცხორებაჲ უსწავლელ არს და უწესო?

რაჲ-მე ვყო უკუე? ამათ სიტყუათა შინა დაგიტეო-ა? არამედ მეშინის, ნუუკუე ურჩი იგი უძჳრეს იქმნას და ლმობიერი — სასოწარკუეთილ[4*]. არამედ გიჩუენო თქუენ „წამალი, რომელსა ძალ-უც ცოდვათა დიდთა კურნებად“[5*], ესე იგი არს, / მარხვამან განკურნენ მთრვალობაჲ თქუენი და A v ფსალმუნებამან — შეგინებულნი იგი ჴმანი; / ცრემლი იყავნ სიცილისა წამალ; B v როკვისა წილ მუჴლნი მოიდრიკენით ღმრთისა მიმართ; ტყუელვისა წილ ჴელ-

[3] ვისთჳს-მე ვიგლოვდეთ C. [4] ჴუეშჱ C. ქორწინებისათა A. [5] სიწმიდჱ C. და დალაცათუ B. [6] ჴ˝რცთა B. დაცემისა C. გნ˝ბითა C. [8] მიჰხედნეს C. [9] დახდომით A] დასხდომით C. [10] ოდენ—C. ესევითარი]ესრეთ C. [11] სასჯელი B. წარვიდიან C. [14] ავაშჯთა C. რომელთაჲ BC. [15] ვნებულსა C. რაჲ]რ˝ა C. [17] ხილვათა]ცოდვათა C. [19] არს C. [19] მოსწრაფ B. იქმნათ B, იქმნებით C. საშჯელსა τῷ κρίματι] სატანჯველთა A. [21] მარტჳრიამან C. ახუსებაჲ A, აღუსებაჲ B. [22] ესრეთ—C. მარტჳრიასა C. ~ აქუს საქმედ B. [23] ამკჳდრებ B. [24] ტაძრად]ტაძარ C. [25] შენ თანა დამკჳდრებ˝ითა] რამეთუ არა დამკჳდრებითა შენ თანა C. და—C. წყევასა C. მას—C. [26] გარდააქცინჱ C. [27] გლოვად C. [28] გულისთქუმათა C. [29] ასწავოთ C. [30] უკუე]უკუეთუ C. დაგიტევო C. [31] იქმნა C. სასოწარკუეთილად C. [32] არამედ—C. [34] წამალი C. [35] მოიდრიკენით]მოდრეკილნი C. ჴელთა C.

[1*] მათე 5,28. [2*] რომ. 8,11. [3*] ამოს 8,10. [4*] II კორინ. 2,7. [5*] ეკლეს. 10,4.

თაჲსა მკერდსა იცემდით; სამკაულისა მის წილ სამოსელთაჲსა სიმდაბლე შეი-
მოსეთ. ამას ყოველსა ზედა მოწყალებამან მოგიყიდენ თქუენ ცოდვისაგან[1*],
რამეთუ „საჴსარ კაცისა არს სიმდიდრე თჳსი“[*2], მოიმიზდენ მრავალნი ჴირ-
ვეულნი ზიარებად ლოცვისა, ნუუკუე და მოგეტეოს საქმჱ იგი ბოროტი. რა-
მეთუ რაჲამს „დაჯდა ერი იგი ჭამად და სუმად და აღდგეს მღერად“[3*] (ხოლო
C 255 მღერაჲ მათი იყო კერპთმსახუ/რებაჲ), მაშინ ლევიტელთა შეჰურნეს ჴელნი
მათნი ძმათა ზედა მათთა და ესრეთ სრულ იქმნეს მღდელობასა შინა. ეგრეთ-
ვე უკუე თქუენცა, რომელნი-ეგე მოშიშნი ხართ ღმრთისანი, რომელნიცა
აწ მწუხარე იქმნენით უშუერებასა მას ზედა ბოროტთა მათ საქმეთასა, ამას
გეტყჳ თქუენ, რაჲთა, უკუეთუ იხილნეთ იგინი შენანებულ უკეთურებასა მას
ზედა საქმეთა მათთასა, ლმობიერ ექმნნეთ მათ, ვითარცა თჳსთა ასოთა მოუ-
ძლურებულთა. უკუეთუ კულა იხილნეთ შეურაცხმყოფელად ჩუენისა ამის
B 291 მათ/და მიმართ შეწუხებისა, „განვედით შორის მათსა და განეშორენით მათ
და არაწმიდასა ნუ შეეხებით“[4*], რაჲთა ესრეთ მათცა ჰრცხუენეს და მოვი-
დენ ცნობად თჳსისა ბოროტისა. ხოლო თქუენ შურისა მის ფინეზის სასყი-
დელი მიიღოთ[5*] მართლმსაჯულობითა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენი-
სა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცჱ აწ და მარადის
და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

A 227

XIX. /სწავლაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი, რომელი თქუა ლაკიზეს შინა ქალაქსა

1. ისწრაფის მტერი ჩუენი, რაჲთამცა თჳსითა ამბოხებითა დაფარა სიტ-
ყუაჲ ჩუენი, არამედ ჩუენ მანქანებათა მისთა ნუმცა უმეცარ ვართ, გარნა
C v მიუპყრათ ყური ჩუენი და გონებაჲ სწავლათა მათ კეთილთა / და საღმრთოთა
და ვსწყალობდეთ მათ, რომელნი-იგი არა ისმენენ მათ. და ნუმცა ვიქცევით გო-
ნებით ამაოებასა შინა, არამედ სადაცა ვიყვნეთ ჴორციელად, ვიყვნეთ მუნ
გონებითაცა.

მოიჴსენენით უკუე თქუენ სიტყუანი იგი სარგებელისანი წერილთაგან,
B v რომელნი-ესე ითქუნეს / განთიადითგან. მოიჴსენენით სწავლანი იგი „ფსალ-
მუნთანი“, სიტყუანი „იგავთანი“, ცხორებათა მათ წმიდათაჲსა საქმენი, სამო-
ციქულონი იგი მცნებანი, ყოვლისა პირველად, დიდებულებაჲ სიტყუათა მათ
სახარებისათა, რაჲთა ამის ყოვლისაგან შეიკრიბოთ სარგებელი თქუენი და
წარხჳდეთ ესრეთ სახედ თქუენდა. რამეთუ დიდსა ამას ეკლესიასა შინა ვითა-
რიცა პირთაჲ არს განყოფილებაჲ ეგრეთვე გონებათაჲ და ვითარცა ჰასაკთაჲ
არს განყოფილებაჲ, ეგრეთვე ცოდვათაჲ. რამეთუ მრავალ არიან ეშმაკისა სა-

---

PG, 31, გვ. 1437—1457.

[1] მის წილ—BC. სიმდაბლჱ C. [3] სიმდიდრჱ C. [4] და—C. მოგეტევოს C. საქმე B. [6] კერპთ-მსახურება B. [7] იქმნნეს C. [9] მწუხარჱ C. მათ—C. [10] შენანებულნი BC. [11] საქმეთა მათთა-სა—C. ექმნენით AB. იქმნენით C. მათ+ზედა C. [15] სიბოროტისა B. ფინეზისა B, ფინეზისისა C. [16] მართლმსაჯულებითა C. [17] სიმტკიცე B]+თანა მამით და სულით წმიდითურთ C. [18] ა˜ნ ABC. [19] წმიდისა + და ნეტარისა. C. [20] ქალაქსა + თავი ი˜ზ C. [25] ამაოებასა C. [29] ცხორე-ბათა] ცხორებულთა C. წმიდათა B. [34] რამეთუ — C. მრავალნი C.

[1*] დანიელ 4,24. [2*] იგავ. 13,8. [3*] გამოსლ. 32, 6. [4*] ესაია 52,11; II კორინ. 6,17. [5*] რიცხ. 25,11.

ცთურნი, და სხუასა სხჳთა სახითა ებრძჳს და სხუასა — სხჳთა: რომლისაცა
ვნებისა მიმართ იხილის გონებაჲ მიდრეკილი, მისა მიმართცა იქმს უმეტესსა
ბრძოლასა.·

ჱ. აწ უკუეთუ ვინ არს აქა შურისა მიერ მოწყლული სულითა, გინა ამ-
პარტავანებისა, გინა რისხჳსა, არსმცა ნუცა ერთი ძალითა უფლისაჲთა, რო-
მელსა მე ვევედრები ამისთჳს. არამედ ვინაჲთგან ძნელ არს ბუნებასა შინა
კაცობრივსა, რაჲთამცა არა აქუნდა ვნებათაგანი რაჲ/მე. მცირე გინა დიდი, C 256
ამისთჳს / ვიტყჳ, რაჲთა თითოეული მიიღებდეს წამალსა, რომელიცა აქუნ- A v
დეს სენი:

/ უკუეთუ მოშურნე ხარ, მიიღე კურნებაჲ, უკუეთუ მრისხანე ხარ, ეგ- B 292
რეთვე მზა არს წამალი, რამეთუ იტყჳან ამის ყოვლისათჳს წმიდანი წერილნი,
და უკუეთუ შეუძლოთ, ჩუენცა ვთქუათ ამათთჳს თქუმულნი იგი წმიდათა სი-
ტყუანი. კუალად უკუეთუ ანგაჰრ ხარ, აქა არს კურნებაჲ, უკუეთუ ამპარტავან
ხარ, აქა დაამშჳდო ამპარტავანებაჲ შენი და ზუაობაჲ იგი სულისაჲ, უკუეთუ
ოდენ ინებო სუმად, ვითარცა წყაროჲსაგან, მდიდრად აღმომცენარისა, სიტ-
ყუანი იგი წმიდათანი და წიგნთაგან სულიერთა და ესრეთ განიკურნო.

პირველად უკუე ისმინეთ სიტყუაჲ იგი „იგავთაჲ“, რომელი იტყჳს, ვითარ-
მედ: რომელი ხედვიდის წრფელად, შეწყალებულ იქმნას, რომელი ასწავლის
სიფრთხილესა გონებისასა დაფარულებითა მით მისითა. რამეთუ გულისჴმა-
ჰყავ-ა, თუ რად იტყჳს, ვითარმედ: რომელი ხედვიდეს წრფლად, შეწყალებულ
იქმნას? რამეთუ საქებელ გინა დასაშჯელ იქმნებიან ნეფსითნი საქმენი, ხოლო
წრფელად ხედვაჲ არა ჩუენისა ნებისაგანი არს, არამედ ვითარცა იყოს სახილ-
ველი იგი. რამეთუ უკუეთუ გულარძნილსა რას / და შეთხზულსა საქმესა ვხე- B v
დვიდეთ, ვითარ ვიხილოთ წრფელად, რამეთუ წრფელი არს, რომლისა / ხილ- C v
ვაჲ იყოს მოლესულ და მარტივ და არა მრავალსახე? ვინაჲთგან უკუე საქმენი
ესე სოფლისანი უწესო არიან და არაწრფელ, ვითარ აქებს წერილი წრფელად
მხედველსა და დაშჯის, რომელი ხედვიდეს მთათა და კლდეთა და ჴევთა, ანუ
ზღუასა მღელვარესა, გინა სხუასა რასმე ესევვითარსა? და დაისა/ჯამცა-ა ესე- A 228
ვითართა მათ მხედველი? და სადა არს მართლმსაჯულობაჲ ღმრთისაჲ, უკუეთუ
უნებლიაჲთთა მათ საქმეთა ზედა დაისაჯების ვინ?

არამედ ისმინენ სიტყუანი იგი და გულისჴმა-ყვენ, თუ რაჲ არს წრფე-
ლად ხედვაჲ. რამეთუ აჰა ესერა წარმოგიდგიან შენ ორნი ძმანი: ერთი გლა-
ხაკი და ერთი მდიდარი, ერთი უცხოჲ და მეორჱ თჳსი, ანუ მოსაჯულად წინა-
შე შენსა, მსაჯული თუ იყო, ანუ თხოად რაჲსამე. ხოლო შენ, უკუეთუ შჯდი
მსაჯულად, ნუ ხედავ უწრფელოდ, არამედ წრფელად, ნუცა განამართლებ
მდიდარსა სიმდიდრისათჳს მისისა, / უსამართლო თუ იყოს. კუალად, უკუეთუ B 293
წარმოგიდგენ ორნი წინაშე კარსა შენსა და გთხოვდენ რასმე, ნუ

[3] იხილოს B. მისსა BC. [4] უკუეთუ] უკუე B, უკუჱ C. [5] უფლისაჲთა] ღმრთისაჲთა B.
[6] ამისთჳს] ამათთჳს B. ვინნაჲთგან C. [7] მცირჱ C. [8] თითუეული B. [10] მოიღე B, მიიღჱ C. [12] სიტ-
ყუ˜თნი C. [17] ისმინჱ C. [18] ჰხედვიდეს C. იქმნეს C. [19] გულისხმა-ყავ C, -ყავ A. [20] ჰხედვი-
დეს C. წრფელად C. [21] ნებსითნი C. [23] ნებისაგან B. [24] წრფელ BC. [25] მრავალსახჱ BC.
[27] დასჯის B, დაჰშჯის C. ჰხედვიდეს C. [28] და—C. [29] მათ—C. მართლმსაჯოლებაჲ B, მართლ-
მსაჯულებაჲ C. [30] უნებლიაჲთთა] უნებელთა BC. დაისჯების A. [31] გულისხმა- C. [33] მეურე B]
ერთი C. [34] მსაჯულ B. თხუად B, თხოვად C. შენ—C. სჯდე B] შჯიდჱ C. [35] ჰ ხედავ C. [36] სიმ-
დიდრისა მისისათჳს B. [37] წარმოდგენ C.

ჰხედავ უწესოდ და იტყჳ, ვითარმედ: ესე ჩემი არს და იგი — უცხოჲ. უკუე-
257 თუ ესრეთ უწესოდ ხედვიდე, არა შეწყალებულ იქმნე. / წრფლად ხედევდ,
რამეთუ ბუნებაჲ ორთაჲვე ერთ არს, რამეთუ იგიცა კაცი არს და იგიცა
და ნაკლულევანებაჲ ორთაჲვე სწორ არს. მიეც ძმასა მასცა შენსა და კუალად
უცხოსა მასცა მიეც. ნუცა ძმასა მას გარე-მიაქცევ და უცხოჲცა ძმადვე შენ-
და შეჰრაცხე. ნუ პატივ-სცემ მეგობარსა მას უფროჲს უცხოჲსა, რამეთუ არა
თუალთხუმაჲ ბრძანებულ არს შენდა, არამედ მოწყალებაჲ. არა რაჲთა თჳსსა
მას მისცემდე და უცხოსა მას არა, ანუ არა ყოველნი ძმანი ვართ-ა ურთიერ-
თას, რამეთუ ყოველნივე ერთისა მამისა შვილნი ვართ? უკუეთუ სულიერ-
სა მას ეძიებ, ერთი მამაჲ არს ყოველთაჲ — ღმერთი. კუალად, უკუეთუ ქუე-
ყანიერსა იტყჳ, ერთი დედაჲ არს ყოველთაჲ — ქუეყანაჲ და ერთისა მიწისა-
გან ქმნულნი ვართ ყოველნივე.

/ აწ უკუე საცნაურ არს, ვითარმედ ძმა ვართ ბუნებით, ჴორციელად და
ძმა ვართ შობითა / მით სულიერითა. და მასცა გლახაკსა იგივე სისხლი აქუს
პირველისა მის კაცისაგან, ვითარ-ეგე შენ და ესევითარივე მადლი მიუღე-
ბიეს ღმრთისა მიერ, ვითარ-ეგე შენ. წრფელად უკუე ხედევდ, რაჲთა შეწყა-
ლებულ იქმნე. ნუ იტყჳ, თუ იგი მდიდარი არს და ღირს არს პატივისა და
კუალად იგი გლახაკი არს და შეურაცხი. ნუ ხარ ესრეთ უწესოდ / მხედველ,
რამეთუ მრავალგზის მდიდარი იგი არნ მტყუვარ, მდიდარი იგი არნ მტაცებელ
და გლახაკი იგი არნ მართალ. ხოლო შენ ნუ ხედავ პირსა, არამედ შინაგან
შეედ, მუნ ყავ განყოფილებაჲ. პატივ-ეც მას, რომელსაცა აქუნდეს პატიო-
სნებაჲ. რამეთუ რაჲ არს პატიოსან? — სათნოებაჲ ანუ სიმდიდრე? რად გა-
რეგანსა განიცდი და ფარულსა არა მოიგონებ? რამეთუ უკუეთუ იხილო
მდიდარი, ვნებათა შინა დანთქმული, გულისჴმა-ყავ, ვითარმედ გარეგან აქუს
მას რვალი და შინაგან თიჴაჲ[1*]. კუალად, უკუეთუ იხილო გლახაკი, სათნოე-
ბითა შემკული, მას აქუს გარეგან კეცი და შინაგან ოქროჲ და იგი არს სა-
უნჯჱ, კეცის ჭურებითა დაფარული. უკუეთუ ესე წმიდა იყოს და მდიდარი
294 იგი — მსიძავ, ვინ არს / ჭეშმარიტად მდიდარ? რომელი სიწმიდესა იმარ-
ხვიდეს, ანუ რომელი სიძვასა შინა იყოს და ტაცებით გამდიდრებულ იყოს?
რამეთუ ერთისა მის სიმდიდრე უკუნისამდე ჰგიეს, ხოლო მეორისაჲ მის მცი-
რედ ჟამ არს. მისსა მპარავი არა წარიპარავს, ხოლო ამისი დღეს არს და ხვა-
ლე არა. და ესრეთ გულისჴმა-ჰყოფდი ამას ყოველსა, რაჲთა ხედვიდე წრფლად
და შეწყალებულ იქმნე.

:229 3. კუალად, უკუეთუ დიდებისმოყუარე იყო, არაწრფელად ხედავ; / უკუე-
258 თუ მრისხანე ხარ — ეგრეთვე. ესრეთ გულისჴმა-ჰყოფდი / ყოველსავე, რაჲთა
ჰპოო კურნებაჲ ვნებათაჲ. ისმენდი კეთილად წერილთასა. რაჟამს მრისხანე
იყო, თქუ: სადა-მე არს ჩემისა ვნებისა კურნებაჲ? რაჟამს რაჲმე გესმას მის-

---

[2] ჰხედვიდჱ C. და არა C. იქმნჱ C. წრფელად ჰხედევდ C. [6] შეჰრაცხჱ C. უცხოჲ B. [7] თუალთ-ხუვაჲ AB. [10] ღმერთი] უფალი C. [11] ყოველთა B. მიწისა B. [12] შექმნულ C. [14] მას-ცა] მასვე B. [17] იქმნჱ C. პატივსა BC. [19] ესრე C. [19] მტყუარ B. მტაცებელ] მპარავ C. [20] იგი—AC. მართლ C. ხოლო—C. ჰხედავ BC. [22] სიმდიდრჱ C. [23] დაფარულსა C. იხილო—C. [24] დანთქმული] დანთქმულ არს C. გულისხმა- C. [26] საუნჯე B. [27] მდიდარ B. [29] განმდიდრე-ბულ BC. [30] სიმდიდრჱ C. [31] ამის B. ხვალჱ C. [32] არა] არღარა BC. გულისხმა- C. ხედვიდჱ C. წრფელად C. [33] იქმნჱ C. [34] -მოყუარჱ AC. ჰხედავ C. [35] მრისხანჱ C. გულისხმა- C. [36] ჰპოვო C. კეთილად] კ˜ლდ C. მრისხანჱ C. [37] გესმას B.

[1*] დანიელ 14,7.

თჳს, თქუ: ესე ჩემი არს საქმჱ, რამეთუ ვიცნობ სენსა ჩემსა. უკუეთუ მიხუდე სამკურნალოსა და იხილო სიმრავლჱ იგი კურნებათაჲ, მრავალთა მათ წიგნთა შინა წერილი, ეძიებდ, თუ რაჲ ჰპოო შენისა მის სენისა კურნებაჲ. რამეთუ არა რომელსა ფერჴი სტკიოდის, იგი ეძიებს წამალსა თუალისასა, არამედ რომელსა თუალი ელმოდის, იგი ეძიებს თუალისა კურნებასა. / აწ B უკუე თჳთოეულმან წერილთაგან მიიღენ თჳსისა ვნებისა წამალი. უკუეთუ მრისხანე ხარ, განაქარვე მრისხანებაჲ შენი, რამეთუ „კაცი მრისხანე უშუერ არნ ფრიად“[1*]. ისწავე წერილისაგან საძაგელებაჲ იგი გულისწყრომისა მის უშუერისაჲ, ვინაჲთგან თავით თჳსით ვერ ძალ-გიც ხილვად მისისა უშუერებისა, თუ ვითარი ცოდვაჲ არს გულისწყრომაჲ, ანუ ვითარ უშუერ არს მოქმედი მისი: რამეთუ აღიძრცჳს სახესა კაცისასა და შეიმოსს სახესა მჴეცისასა, აღდუღდის სისხლი მისი, შეიცვალნიან თუალნი ცეცხლებრ, ხედავნ, რამეთუ სისხლი იგი მდუღარე გულსა ზედა დუღნ და იქმნის სისხლისფერ პირი / მისი. C

უკუეთუ ესრეთ იხილო, გულისჴმა-ყავ უშუერებაჲ იგი. უკუეთუ კბილთა ილრჭენდეს, გულისჴმა-ყავ, ვითარმედ ეშუსა ჰგავს, რომელი ილესავნ კბილთა. რაჟამს პეროინ კაცი იგი განრისხებული, რომელი უმეცარ არნ მამისა მიმართ, უმეცარ არნ შვილისა ბოროტებისა მისგან. ესე არს უშუერებაჲ / ბო- A როტი, ამას ეკრძალე. და უკუეთუ სხუაჲ იხილო, უმეტესად განაკრძალე თავი შენი, / რამეთუ „კაცი მრისხანე უშუერ არს“. და „ნუ იქცევი კაცსა თანა მრი- B სხანესა“, რაჲთა არა შენცა ემსგავსო მას. რამეთუ თქუას მან სიტყუაჲ რაჲმე შეურაცხი შენდა მომართ და შენცა ალგძრას და რაჟამს ვერ თავს-იდვა, მერმე ჰრქუა უბოროტესი და მან კუალად გრქუას უძჳრესი და ესრეთ იწყით ურთიერთას სროლად გინებითა, ვითარცა ისრითა. თქჳს მან სიტყუაჲ გინებისაჲ, შენ არა იტჳრთი და სთქჳ უძჳრესი, კუალად იგი უმეტესად აღეტყინის და მერმე, რომელსაცა მიეცეს ძლევაჲ, იგიცა არს უსაწყალობელეს.

4. და ამისთჳს ვიტყჳ: ნუ იყოფვები მრისხანესა თანა, „ნუცა დაშჯდები მოშურნესა თანა“[*2], რომელი-ესე არს სხუაჲ ვნებაჲ ბოროტი, დათესული ეშმაკისა მიერ კაცთა შორის, რომელი განჰლევს გულსა, ვითარცა ჟესლი რკინასა. შური ვნებაჲ არს, რომელსა შინა არიან მრავალნი ბოროტნი. / ხოლო C ერთი არს მის თანა საქმე საჭმარი, რომელ ბოროტი მისი მოქმედსავე მისსა ზედა მიიწევის, რამეთუ მოშურნე, რომელსა ეშურებინ მრავალგზის, ვერარაჲ ავნის, არამედ თჳსსა ოდენ თავსა განჰლევნ მწუხარებითა.

5. კუალად ესეცა მცნებაჲ ისმინე: „ნუ შესცვალებ / საზღვარსა მამათა- B სა“[3*] და „ნუ შეხუალ მონაგებსა ზედა ობოლთასა“[4*], რაჲთა ესრეთ შეხჳდე შენსა მას სამკჳდრებელსა, რომელ არს სასუფეველი ცათაჲ. ნუ მოიტაცებ ქუეყანასა მოყუსისასა[5*], ნუ შესძინებ ურნატსა ურნატთა ზედა შენთა. რა-

---

[1] საქმე B. მიხჳდჱ C. [2] სიმრავლე B. [3] ჰპოვო C. [4] ეძიებნ C. თუალთასა C. [5] ეძიებნ C. [6] თითუეულმან B, თითოეულმან C. [7] მრისხანჱ C. [8] არს C. [9] საძაგელებლობაჲ B. იგი—A. [9] და ვინაჲთგან C. [10] არნ C. [11] აღიძურცის B. შეჲმოსს B. და აღდუღდის C. [13] მდუღარჱ C. მისი—C. [14] გულისხმა-C. [15] გულისხმა-C. [16] პეროვინ C. იგი—C. არს C. [17] ბოროტებისა] ბოროტისა C. [18] ეკრძალჱ C. განაკრძალჱ C. [19] კაცისა C. მრისხანისა C. [20] თქუს B. [21] ალგძრის B. თავს-იდვი BC. მერმჱ C. [22] არქუი B, ჰრქჳ C. გრქუის B, გრქჳს C. და—C. [23] ისრითა — C. [24] და — BC. [25] მერმჱ C. მიეცის C. [26] იყოფვი C. დასჯდები B. [30] საქმჱ C. ~ზედა მისსა BC. [31] მოშურნჱ C. [33] ისმინჱ C. სცვალებ C. [34] შეხჳდჱ C. [36] ~შენთა ზედა B.

[1*] იგავ. 11,17. [2*] იგავ. 23,6. [3*] იგავ. 22,28. [4*] იგავ. 23,10. [5*] II შჯ. 5,21.

230 მეთუ რაჲზომცა ურნატთა უსამართლოებით განამრავლებდე, ეგეზომცა / აღა-
ორძინებ ცოდვასა შენსა, რამეთუ „ქუეყანაჲ იგი აქა დაშთების“[1*] და იქმნას
შემდგომად შენსა შენთაჲ მათ. და მარადის ცოდვაჲ იგი შენი ეგოს და შეუდ
გეს სულსა შენსა, ვითარცა აჩრდილი შეუდგნ გუამსა. ნუ განამრავლებ უკუე
ცოდვათა შენთა, რამეთუ სენსა მას ანგაჰრებისასა დასასრული არა აქუს, არა-
მედ მსგავს არს ბუნებასა ცეცხლისასა, რომელმან-იგი, რაჟამს პოის ნივთი,
უმეტესად აღეტყინების და არა დადგების, ვიდრემდის არა მოაკლდეს ნივთი
იგი. ეგრეთვე არს ანგაჰრი, რამეთუ ვერარაჲ შემძლებელ არს დაყენებად მისა,
არამედ / უბოროტეს არს ცეცხლისა, ყოველსავე მოიტაცებს: მიიღის ერთისა
მეზობლისა ქუეყანაჲ, მერმე სხუაჲ გამოჩნდის მეზობელი, იგიცა მოიტაცის,
არა აღჰრიცხუავნ მოგებულსა მას, არამედ თუალავნ მოუგებელთა მათ, თუ
296 რად არა / ყოველივე მას აქუს. არა უხარინ მისთჳს, რომელი აქუნ, არამედ
იგლოვნ მისთჳს, რომელი არა აქუნ. მერმე მოიწიის მის ზედა ამის საქმისა-
გან ზრუნვაჲ დაუცადებელი, მღჳძარებანი ამარნი და, რაჲზომცა აღორძნდებო-
დის სიმდიდრე იგი, ეგეზომცა განუმრავლდებიან მას ზრუნვანი. მოელინ მოს-
ლვასა მსაჯულისასა და ეშინინ, ნუუკუე სამშჯავროსა მას ობოლთა მათ, რო-
მელთაჲ მიიტაცა, უჩუენნენ მას ცრემლნი მათნი და იჰრტინონ. ამისთჳსცა
ეძიებნ ცრუ მოწამეთა ბოროტთა, რაჲთა ესრეთ ესამართლოს და მოიტაცოს
ობლისა მის ჩჩჳლისა მამული ქუეყანაჲ. ესევითარნი ესე ზრუნვანი განჰლევენ
სულსა მისსა. ყოველთა მიმართ იჭუეულ არნ, ყოველთა/გან ეშინინ: მონათა-
გან ეშინინ, შვილთა აღზრდაჲ არა ჰნებავნ, ნუუკუე მონაგებისა განყოფაჲ
უჴმდეს. და სიმდიდრესა თჳსსა რომელსამე დაჰფლავს და რომელსამე ბორო-
260 ტად წარაგებს, / ხოლო სასოებაჲ აქუს დაფლულისა მის მიმართ. სასო მისა არნ
განწირული იგი, რამეთუ უკუეთუმცა ჭეშმარიტისა სასოებისა საქმე იყო,
გლახაკთამცა მიცემულ იყო საფასჱ იგი, რაჲთამცა აქუნდა სასოებაჲ ცათა
შინა. არამედ იგი ჰმალავს / მას მიწასა შინა, ნუუკუე სადმე მეჴმაროსო, არა-
მედ ჴმარებაჲ იგი უცნაურ არს, თუ ოდეს მოვიდეს ჟამი იგი, ხოლო ესე საც-
ნაურ არს, ვითარმედ მოიწიოს ჟამი, რაჟამს შეიწანნეს ბოროტნი ზრახვანი
მისნი. ისმინენით უკუე აწ ჩემნი სიტყუანი, რომელი-ესე ყოველთათჳს ვნე-
ბათა ვიტყჳ, რაჲთა აღიძარცოს თჳთოეულმან ცოდვაჲ, ვითარცა ძუელი ტყა-
ვი გუელისაჲ, და ესრეთ განბრწყინვებულნი წარხჳდეთ სახედ თჳსად. რამე-
თუ ამისთჳს არს კრებაჲ ესე, ამისთჳს მოიპოეს მამათა ესე შეკრებანი, რაჲთა
ისწავლიდეთ აქა კეთილსა მას ნებასა ღმრთისასა.

Ⴇ. და ევლტოდით ცოდვასა და ეძიებდეთ სიმართლესა და არა მოიტა-
ცებდეთ მონაგებსა ობოლთა და ქურივთასა. ნუ ჰმიზეზობ შვილთა და იტყჳ,
ვითარმედ მათთჳს ვილუწიო, რამეთუ უკუეთუ შვილნი გისხენ, ნუ ცოდვასა,
არამედ სიმართლესა მისცემდი მათ. დაუტევე შვილთა შენთა ჴსენებაჲ კე-

---

5 დასასრულ A. 6 პოვის C. 8 მისსა B. 10 მერმჱ C. ~ გამოჩნდის სხუაჲ C. 11 აღჰრაცხუავნ C. 12 ყოველი B. 13 მერმჱ C. 15 სიმდიდრჱ C. განუმრავლდებოდინ B. ზრუნვაჲ B. 16 სამსჯავროსა B. ობოლთაჲ C. რომელთა B. 17 მოიტაცა BC. უჰრტინონ C. ამისთჳს C. 19 ეძიებენ C. 19 მის —C. 20 ეჭუეულ C. ეშინის C. 22 სიმდიდრჱსა C. 23 წარაგებნ C. აქუნ C. მისსა BC. 24 საქმჱ C. 25 გლახაკთადმცა BC. საფასე B. 26 მალავს C სადამე C. 29 ისმინეთ B. ~ აწ უკუჱ C. 30 აღიძუარცუას B, აღიძუარცოს C. თითუეულმან B, თითოეულმან C. 32 მოიპოვნეს C. კრებანი C. 36 ვილუაწო C.

1* ეკლეს. 1,4.

თილთა შენთაჲ, ვიდრელა სიმდიდრე ფრიადი. ყოველნივე ყვენ მამა შვილისა მის შენისა, რამეთუ შენთჳს მოწევნად / არს ჟამი სიკუდილისაჲ და წარსლვისაჲ ამიერ სოფლით და დაშთეს შვილი იგი შენი. მაშინ, უკუეთუ შენ კეთილ ყოფილ/იყო და სახიერ, ყოველთავე აღზა/რდონ შვილი იგი შენი, ვითარცა თჳსი, რამეთუ მოიჴსენონ მათ, ვითარმედ შენცა მამა იქმენ ობოლთა. უკუეთუ კულა უკეთურებასა შინა წარგევლნენ დღენი შენნი და ყოველნი შეგეწუხნენ და ესრეთ წარსრულ იყო ამიერ, მიერითგან დაგიტევებიეს შვილი იგი შენი მტერად ყოველთა, რამეთუ რომელმანცა იხილის იგი, ემინინ, ვითარცა მართჳსაგან ღრიაკალთაჲსა, ნუუკუე აღიზარდოს და ემსგავსოს მამულსა მას უკეთურებასა.

აწ უკუე რად შეჰკრებ შვილისა მის შენისათჳს მრავალთა მტერთა? რამეთუ დაღაცათუმცა ყოლადვე ცხოველ იყავ და არა მოწევნად იყო სიკუდილი, უფროჲსად თანა-გედვა, რაჲთამცა ყოველნი მოყუარე შენდა ჰყვენ. ვინაჲთგან უკუე უცნაურ არს ჟამი შენისა სიკუდილისაჲ, ისწრაფე, რაჲთა მრავალნი დაუტევნე ქელისამპყრობელნი შვილისანი, გინა შვილთანი, ნუუკუე შენ მოჰკუდე და მოტაცებული ეგე მათ თანა არა დაადგრეს. ამას ყოველსა გეტყჳ კაცობრივისაგან საქმისა, ხოლო უფლისაჲ თჳთ უწყი, თუ რაჲ გრქუას შენ სახარებამან.

7. რამეთუ / რაჲსათჳს დაიდებ მიზეზად ბოროტისა შენისა შვილსა შენსა? რამეთუ რომელმან შენ დაგბადა, / მანვე დაჰბადა იგიცა; რამეთუ შენ განგამდიდრა, იგიცა განამდიდროს. არა უწყი-ა, რამეთუ თითოეულსა თჳსისა ცხორებისათჳს თანა-აც მიცემად სიტყჳსა? რაჲ უწყი, ვისთჳს იუნჯებ, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „იუნჯებნ და არა უწყინ, ვინ შეიკრიბოს იგი“[1*]? რამეთუ მრავალგზის შვილი არნ მიზეზ მონაგებისა მის, ხოლო იქმნის იგი / სამკჳდრებელ ავაზაკისა, ანუ ცილისმწამებელისა, ანუ მტაცებელთა მბრძოლთა მიერ წარტაცებულ.

ანუ ესე მითხარ, რაჟამს ითხოვდ შენ ღმრთისაგან შვილთა, ესრეთ იტყოდე-ა, ვითარმედ: მომეც შვილი, რაჲთა ვიქმნე ანგაჰრ და მიზეზითა შვილთაჲთა მივეცე გეჰენიასა? მომცენ შვილნი, რაჲთა არა ვქმნა ერთიცა მცნებაჲ შენი? არამედ არა ესრეთ ითხოვდი მისგან, გარნა ითხოვდი შვილთა, ზიართა კეთილისათა, რაჲთა ასწაო მათ სათნოებაჲ. აწ უკუე ესრეთ ყავ, განსწავლენ იგინი კეთილსა შინა, ასწავე სათნოყოფაჲ ღმრთისაჲ. ესე არს სიმდიდრე კეთილი, უკუეთუ დაუტეო ესე შვილთა შენთა: „ნუ შეხუალ უკუე მონაგებსა ზედა ობოლთასა“.

8. „ნუცა /და/შჯდები მოშურნესა თანა“[*2], რამეთუ შური საქმე არს ეშმაკისაჲ. რამეთუ ეშმაკი არა თუ მეყსეულად ეშმაკად დაიბადა, არამედ აქუნდა ჴელმწიფებაჲ ანგელოზებრი და მოიქცა ბუნებისა მისგან და იქმნა ეშმაკ, უკეთურებითა თჳსითა ესრეთ უკუე განვარდა რაჲ ღმრთი-

---

1 სიმდიდრე C. ყვენ] იყვნენ C. 3 მაშინ—A. შენ—B. 4 კეთილი B. იგი—BC. 5 ექმენ C. 6 წარგევლ ნენ] წარგეყვნენ B. 8 იხილეს C. 12 ყლ˝დევე AC] ყოველთადვე B. 13 მოყუარე C. 14 ისწრაფე C. 15 დაუტევნე C. ქელისაღმპყრობელნი C. შვილისა C. 16 მოჰკუდე C. თანა] ზედა A. 17 უფლისაჲ] ო˝ი C. თუ—BC. 20 რამეთუ] რომელმან C. 21 თითოეულსა B. ცხოვრებისათჳს C. 23 ვითარმედ—C. არაჲ C. შეიკრიბის A. 24 ხოლო—C. 27 ითხოვდი C. იტყოდი C. 28 მომცენ შვილნი C. 29 მივეცე C. 30 ითხოვდი+მისგან C. 31 ასწავო C. 32 სათნოყოფაჲ] სათნოებაჲ B. სიმდიდრე C. 33 დაუტეო C. 35 დასჯდები B, დაჰშჯდები C. საქმე B. არა თუ ეშმაკად B. 37 ანგელოზებრივი C. 38 იქმნა+იგი C. ესრე C.

1* ფსალმ. 38,7. 2* იგავ. 23,6

საგან და უცხო იქმნა თჳსებისაგან მისისა, ხოლო იხილა რაჲ კაცი, ვითარ-იგი
ცხოველ იყო, ესრეთ მცირე და უპატიოსნეს იყო ყოველთა დაბადებულთაჲსა.
რამეთუ იგი უხუცეს იყო კაცისა და იხილა, ვითარმედ ყოველნივე ცხოველნი
სიტყჳთ დაბადებულ იყვნეს, რომელმან თქუა, ვითარმედ: „გამოიღენ წყალთა
ქუეწარმავალნი სულთა ცხოველთანი“[1*], და სიტყჳთა თჳსითა დაჰბადნა ვეშა-
A 232 პნი იგი დიდნი, რომელნი იყოფებიან ზღუასა მას შინა უვალსა, / და სიტყჳთ
დაჰბადნა ყოველნივე მჴეცნი: სიდიდენი იგი პილოთანი და აქლემთა და ცხენ-
თა და ზროხათანი, და ყოველნივე ესრეთ დაიბადნეს: და თჳთ ცაჲცა და მზჱ
და მთოვარე და ვარსკულავნი, ყოველნივე სიტყჳთ იქმნეს: თევზა-
ნი და ხენი, ბუნებანი იგი წყალთანი, ზესკნელისანი და ქუეყანისანი. ხოლო
B v კაცი ოდენ დაიბადა / ჴელითა ღმრთისაჲთა. მაშინ იხილა ეშმა/კმან პატივი იგი
C 262 კაცისაჲ და აღუდგა შურად, იხილა რაჲ, ვითარ უპატიოსნეს იყო
მზისა, რამეთუ იგი ბრძანებით დაიბადა, ხოლო კაცი — ჴელითა და
იგი კაცისათჳს დაიბადა, ხოლო კაცი ღმრთისათჳს. რამეთუ კაცი დაიბადა,
რაჲთა ღმერთი იდიდოს, ხოლო მზჱ — რაჲთა კაცთა ჰმსახურებდეს. ესრეთ
განიცადა მან პატივი იგი კაცისადა მოცემული. იხილა, ვითარ ყოველნი დაი-
ბადნეს და უკუანაჲსკნელღა კაცი, ვითარცა მეუფჱ ტაძარსა შინა შემკულსა,
ესრეთ შემოვიდა სოფელსა ამას. რამეთუ არა დაჰბადა პირველ კაცი, რაჲ-
თამცა არა იყო გლახაკად, არამედ პირველად შექმნა ცაჲ სართულად მისა,
დაამყარა ქუეყანაჲ მტკიცედ მტჳრთველად კაცისა. და ყო იგი შემკობილ
ყოველითავე სამკაულითა თივათა და ყუავილთაჲთა. და ყოველნი პირუტყუნი
მონებად მისა მიეცნეს. და ესრეთ ყოველი სოფელი მოელოდა მას, რომელ-
სა ეგულებოდა მკჳდრყოფაჲ მას ყოველსა შინა, მაშინ შეიქმნა კაცი. არა კმა
B 299 ეყო კაცთმოყუარებასა ღმრთისასა, რაჲთამცა ქუეყანასა / შინა ოდენ იყო
კაცი, არამედ სამოთხჱცა დაასხა და მუნ შეიყვანა თჳსი იგი სიბრძნით ქმნული
A v კაცი. მაშინ იხილა რაჲ ეშმაკმან ესეზომი პატივი, მიფენილი კაცსა ზედა, /
C v ანგე/ლოზნი მასწავლელად მისა, ღმერთი თჳთმეტყუელად მისა მიმართ, ყოვ-
ლით კერძო ახლად ქმნილი იგი ცხოელი განისწავლებოდა, რაჲთა მსგავსებად
ღმრთისა მოვიდეს და იხილა რაჲ ესევითარი იგი საქმე მისი, ვითარ სათნოე-
ბითა სწორებად ანგელოზთა მიიწეოდა, და ვიდრემდის იყო კაცი მხოლოდ, არა
აქუნდა ეშმაკსა ღონე ვნებად მისდა.

ვინაჲთგან უკუე დაიბადა დედაკაცი უძლურად ცხოელად, რამეთუ კეთი-
ლად ქმნა ღმერთმან ბუნებაჲ მისი ლბილად, რაჲთა ესრეთ მოწყალებით ზრდი-
დეს ჩჩჳლთა. ხოლო იხილა რაჲ ეშმაკმან ლბილი იგი ბუნებაჲ მისი, სიადვი-
ლე იგი მისი, რომელი სათნოებათა მიმართ აქუნდა, ბოროტისა მიმართ შე-
ცვალა. ესე არს უკუე თჳსი იგი ეშმაკისა ვნებაჲ—შური; შური, რომლისა ბო-
როტთა ვერვის ძალ-უც თქუმად, რომელი კურნებასა არა მიიღებს. რამეთუ

---

[1] ვითარი-იგი ცხოველი A. [2] მცირჱ C. [3] უხოცე B, უხუცჱ C. [7] იგი—C. პილოთა C. [8] და 2°—BC. მზე B. [9] მთოარე B, მთოვარჱ C. იქმნნეს C. [10] ბუნებანი]გონებანი B. ქუეყანისანი]ქუესკნელისანი C. [13] და —C. [15] მზე B. [16] იგი—B. მიცემული C. [17] მეუფჱ—B. შემკობილსა C. [19] მისსა C. [20] დაამყარა]და დაამტკიცა C. შემკულ BC. [21] ყოველნივე C. [22] მის-სა C. [23] კაცი+იგი C. [25] სამოთხეცა BC. ქმნილი B. [26] მოფენილი C. [27] ანგელოსნი C. მის-სა B. თჳთმეტყუელად B. მისსა BC. [28] ქმნული C. ცხოველი BC. [29] საქმჱ C. [30] ანგელოს-თა C. მიიწევოდა C. ვიდრემდის] ვითარმედ B. მხოლოჲ B. [31] ღონე—A. მიზეზი და ღონჱ C. [32] ცხოველად C. [33] ჰზრდიდეს C. [34] სიადვილჱ C.

[1*] დაბად. 1,20.

რომელსა კორცთა სენი აქუნდეს, / უთხრობს მკურნალსა სენსა თჳსსა, ხოლო B v მოშურნემან რაჲ თქუას? ანუ თქუას-ა, ვითარმედ: შემაწუხებენ მე მოყუსისა კეთილნი? რამეთუ ჭეშმარიტი ესე არს, არამედ თქუმად ამისა ჰრცხუენის. რამეთუ ძაღლთა ნუკევითა დავამშჳდებთ, ხოლო მოშურნესა უკუეთუ ვინ კე/თილი უყოს, უმეტესად განფიცხნების, რამეთუ არა უხარინ, ვითარმედ C 26 კეთილი ეყო მას, არამედ მწუხარე არს ამისთჳს, რომელ აქუს სიხარული მას, რაჲთამცა შეუძლო კეთილისყოფად მისდა.

ნუ შთაჰვარდები უკუე საცთურსა მას ეშმაკისასა: შეშურდა მას შენი, შეშურდა და გამოგიყვანა შენ სამოთხით. მის მიერ აღმოგეცენნეს ეკალნი, მის მიერ შჭამ ოფლითა / პურსა, მის მიერ მოხუედ ქუეყანასა ამას ექსორიობისა- A 23 სა. არამედ გაკსოდენ პირველი იგი მამული შენი, იკსენებდ პატიოსნებასა მას პირველსა, იკსენებდ სამკვდრებელსა მას, ვინაჲ-იგი გამოიდევნე, იკსენებდ მას, რომელმან ესოდენნი კეთილნი დაგაპირვნა. ნუ ოდეს დაეგები მას, ნუ ოდეს თავს-იდებ უბნობასა მისსა, რამეთუ ორი / ბოროტი გიყო შენ: ერთად, B 30 რამეთუ გამოგაგდო მუნით და, მეორედ, რამეთუ გაყენებს მუნ მიქცევად. გეშურა შენ პირველ და გაცთუნა დედაკაცისა მიერ და კუალად ღონე მოიპოვა, რაჲთა დედაკაცისავე მიერ არა გიტეოს მუნ მიქცევად, რამეთუ სიძვაჲ მოიპოვა, რაჲთა ესრეთ ვერ შეხჳდე სამოთხედ. არა კმა ეყო მას პირველი იგი დაპირვებაჲ, ვითარ-იგი დაგაქცია, არამედ მეორეთა ღონეთა ეძიებს, რაჲთა სრბაჲ შენი დააყენოს.

Ð. და მისნი ღონენი მრავალ არიან, რამეთუ ბოროტნიცა მისნი ურიცხუვე / არიან: სიფიცხლე, სიძულილი, ანგაჰრებაჲ. ყოველივე, რავდენი სძაგს C v სიტყუასა მას ჭეშმარიტებისასა, ყოველი ეშმაკისაჲ არს. კაცთმოძულე არს, რამეთუ ღმრთის მბრძოლ არს. ვინაჲთგან ურცხჳნო იქმნა ღმრთისა მიმართ, უგულებელს-ყო მეუფჱ, უცხო იქმნა მისგან. მაშინ იხილა კაცი, ხატად და მსგავსებად მისა ქმნული, და ვერ ძალ-ედვა ღმრთისა ბრძოლაჲ, ამისთჳს ხატსა ზედა ღმრთისასა წარმოაცარიელა უკეთურებაჲ თჳსი, ვითარცა კაცმან მრისხანემან, განრისხებულმან მეფისა მიმართ, შემუსრის ხატი მისი, ვინაჲთგან ვნე/ბად მისა ვერ შემძლებელ არნ, ამისთჳსცა ძელსა მას სცემნ, რომელსა B v ზედა არნ მსგავსებაჲ მისი.

/ ვიხილენ მე კაცთმოძულენი მჴეცნი — ვეფხნი, რომელთა ბუნებით აქუს A v კაცისა მიმართ გულისწყრომაჲ. და რომელნი-იგი ემღერდეს მას, გამოწერეს ქარტასა ზედა ხატი კაცისაჲ და დაუგდიან მას. ხოლო მან ფრიადისა მისგან გულისწყრომისა არა გამონახის, თუ ვინ არს იგი, არამედ უპყრის ვითარცა კაცსა და დაბძარის ქარტაჲ იგი და ესრეთ აჩუენის თჳსი იგი კაცთმოძულებაჲ. ეგრეთვე ეშმაკმან ხატსა მას ზედა გამოაჩინა ღმრთისმოძულებაჲ / თჳსი, ვინაჲთგან C 20 შეხებად ღმრთისა ვერ ძალ-ედვა. და ესრეთ ჩუენდა მომართ ბრძოლაჲ მისი

2 თქუას BC. ვითარმედ] თუ C. 3 ამისსა C. 5 უყო C. 6 მწუხარჱ არნ C. რომელი აქუნ C. სიხარული] სხუასა BC. 8 მას ეშმაკისასა] მტერისასა B. 9 შენ—C. 10 სჭამ B. 11 გაკსოვდინ C. შენი—C. იკსენებდ] კსენებად C. 12 ვინაჲთგან-იგი B. გამოიდევნჱ C. 13 ესოდენნი] ესევზომნი BC. 16 და კუალად ღონე მოიპოვა რაჲთა—C. 17 გიტევოს C. 19 ეძებს B. 21 ურიცხუ A, 22 ურიცხუვე B. სიფიცხლჱ C. ყოველი რაოდენი C. 23 ყოველივე C. კაცთმოძულჱ C. 24 ღმრთისა BC. 25 მეუფე B. 26 მისსა BC. 27 წარმოაცალიერა C. 29 მისსა B. ამისთჳს BC. 32 რომელი-იგი C. 33 დაუდგიან C. 35 დაბზარის A. კაცთმოძულეობაჲ B] კაცთმბრძოლებაჲ C. 36 ღმრთისმოძულეობაჲ B] ღმრთისმბრძოლებაჲ C.

სასწაული არს ღმრთისმბრძოლებისა და უკეთურებისა მისისა. მან შთამოიყვანა
კაცი იერუსალემით იერიქოდ, სიმაღლისაგან სიმდაბლედ, რამეთუ იერუსალემი
მთასა ზედა არს, ხოლო იერიქოჲ — ქუე, მახლობელად მლაშისა მის ზღჳსა.
რომელსაცა თქუენგანსა უხილავს ქუეყანაჲ იგი, მან იცის თქუმული ესე, ვი-
თარმედ ჭეშმარიტ არს: და იერიქოჲ მდაბლად არს პალესტინეს შინა, ხოლო
B 301 იერუსალემი — უზეშთა/ეს ყოველთა მათ გარემოთა ადგილთა, მთით კერძო.
და კაცი უკუე სიმაღლით სიმდაბლედ მოვიდა. და გამოვიდა სიმაგრისა მისგან
იერუსალემისა, რაჲთა მიეცეს ავაზაკთა მათ უდაბნოჲსათა, რომელთაცა მოწ-
ყლეს და განძარცუეს.

პირველ არს წყლულებაჲ და მერმე — განძრცუაჲ, რამეთუ წყლულებაჲ
სულისაჲ არს ცოდვაჲ და განძურცაჲ სულისაჲ — განშიშულებაჲ სამოსლისა
A 234 მისგან უხრწნელებისა. და ესრეთ არს ცოდვაჲ უჩინოჭყოფელ / მადლისა მის,
მოცემულისა ჩუენდა საბანელითა მით მეორედ შობისაჲთა.

C v სიძვაჲ წყლულება არს სულისა და / მრუშებაჲ კუალად სხუაჲ წყლულე-
ბაჲ არს, ეგრეთვე შური — ესე წყლულებანი არიან სულისანი, რომელნი მოი-
წევიან ავაზაკთა მათ მიერ ეშმაკთა, რომელნი შეგუეწევიან ჩუენ ცოდვასა შინა.
შემდგომად მოწყლვისა უკუე აღსძარცუეს მას სამოსელი, რამეთუ უკუეთუმცა
ჴორციელი იყო საქმე იგი, პირველადმცა განეძარცუა და ესრეთმცა მოეწყლა,
B v რაჲთა სამოსელსაცა არამცა ჰვნებოდა და იგი უმეტესად / მცა მოწყლულ იყო.
ხოლო აწ პირველ არს წყლულებაჲ და ესრეთ აღძურცაჲ, რაჲთა სცნა, ვითარ-
მედ ცოდვაჲ იქმნების წინამძღუარ განშიშულებისა შენისა მადლისა მისგან,
რომელი მოგცა უფალმან კაცთმოყუარებითა თჳსითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ
და სიმტკიცჱ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

XX. თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი სიმდაბლისათჳს

1. უქმდა კაცსა, რაჲთამცა დადგრომილ იყო დიდებასა მას შინა, ღმრთისა
მიერ მოცემულსა, და აქუნდამცა მას სიმაღლე ჭეშმარიტი და არა მოპოვნებუ-
ლი, რაჲამს-იგი განძლიერდებოდა ძალითა ღმრთისაჲთა და განბრწყინდებოდა
C 265 სი/ბრძნითა მით საღმრთოჲთა და იხარებდა საუკუნოჲთა მით კეთილითა. ვინაჲ-
თგან უკუე შეცვალა სურვილი იგი საღმრთოჲსა დიდებისაჲ და იწყო ძიებად
უმეტესისა, რომელსა ვერ მისწუთებოდა, ამისთჳს წარწყმიდა იგიცა, რომლისა
A v ძალ-ედვა პყრობად. აწ / უკუე კეთილი ცხორებაჲ არს და წამალი სენისა მის
მისისაჲ და მიმქცეველი პირველისა მის პატივისა მიმართ სიმდაბლე და, რაჲთა

PG, 31, გვ. 525—540.

1 ღმრთისმბრძოლებისაჲ C. და უკუეთურებისა მისისა. მან] რამეთუ უკეთურებამან მისმან C. 5 იეროქოჲ B. ქუჱ მდაბლად C. პალესტინესა B. 6 უზეშთაეს+არს C. 9 განძუარცეს B. 10 პირველად C. მერმჱ C. განძურცაჲ B, განძარცუვაჲ C. 11 განძარცუვაჲ C. 12 მყოფელი C. 14 წყლულებაჲ C. სულისაჲ C. 16 ყოველნი ესე BC. 17 აღსძუარცეს B. მას—C. 18 საქმჱ C. განეძუარცა B. მოიწყლა C. 19 სამოსელსამცა არა B. უმეტესად C. 20 აღძარცუვაჲ C. 21 განშიშულებულებისა C. 23 სიმტკიცე B]+თანა მამით და სულით წმიდითურთ C. ა̃6 ABC. 24 წმიდისა+და ნეტარისა C. ბასილისი სიმდაბლისათჳს] ბასილი კესარია-კაბადუკიელ მთავარეპისკოპოსისაჲ ამპარტავნებისათჳს და სიმდაბლისა თავი ი̃ჱ C. 26 მიცემულსა C. სიმაღლჱ C. 29 საღმრ-თოჲსა+მის C. 30 უმეტესსა C. მისწუდებოდა BC. ამისთჳსცა C. რომელსა C. 33 მომქცევე-ლი C. სიმდაბლჱ C.

არა ეძიებდეს დიდებასა ამაოსა, არამედ ღმრთისა/გან ითხოვდეს დიდებასა. რა- B 302 მეთუ ესრეთ განჰმართოს მან ცთომაჲ თჳსი, ესრეთ განკურნოს მან სენი თჳსი, ესრეთ მივიდეს პირველისავე მის მცნებისა მიმართ. არამედ ეშმაკი იგი, რომელმან დასცნა კაცნი სასოებითა მტყუვარისა მის დიდებისაჲთა, იგი არა დასცხრების ცთუნებად მათდა და ყოველსა ღონესა ეძიებს ამას ზედა და დიდად აღუჩენს მას სიმრავლესა საფასეთასა, რაჲთა ამის მიმართ იყოს ყოველი მოსწრაფებაჲ მისი, რომელი-იგი არარაჲ არს დიდებად, არამედ უფროჲსად დიდად დასაქცეველად. რამეთუ საფასეთა მოგებაჲ საქმჱ არს ანგაჰრებისაჲ, ხოლო სადიდებელად არად საკმარ არს, არამედ ამაოდ დააბრმობს კაცსა, ცუდად აღამაღლებს, მსგავს ჰყოფს განსივ/ებულთასა. რამეთუ ვითარცა განსივე- C v ბულნი არა სიმრთელისა—კორცკეთილობისაგან არიან ესრეთ ზრქელ, არამედ სენთაგან მრავალთა, ეგრეთვე არს ამპარტავანებაჲ სულსა შინა. რამეთუ არიან კაცნი, რომელნი არა სიმდიდრესა ზედა ოდენ ზუაობენ და ტაბლათა ბრწყინვალეთა დაგებასა და სამოსელთა შუენიერებასა ზედა და სიმრავლესა მონათასა და მსახურთასა, არამედ პატივთა ზედაცა, სხუათა მიერ / მოცემულ- B v თა, მაღლოიან. უკუეთუ იქმნენ მთავარ ერისა, ანუ მიიღონ სხუაჲ რაჲმე პატივი, ზუაობდიან, ვითარმცა უზეშ/თაეს ბუნებასა კაცთასა ქმნილ იყვნეს, A 235 და ვითარცა ღრუბელთა ზედა აღსრულნი, ესრეთ მაღლოიან და მათსა ქუეშე მყოფნი კაცნი დასათრგუნველად აქუნდიან, და რომელთაგან მიეღის პატივი, მათ ზედავე მძჳნვარებდიან და რომელთა მიერ ზუაობდიან, მათვე შეურაცხჰყოფდიან და იქმოდიედ საქმესა, უგუნურებითა სავსესა. რამეთუ აქუნ დიდებაჲ უუძლურესი სიზმრისაჲ და აჩრდილთა ღამისათა უამაოესი ბრწყინვალებაჲ ემოსის, რამეთუ წამისყოფითა ერისაჲთა ქმნულ არნ და წამისყოფითავე დაილიის, ვითარ იყო უგუნური იგი ძჱ სოლო/მონისი, ყრმაჲ ჰასაკითა C 266 და უყრმესი გონებითა, რომელსა სთხოა ერმან უმშჳდესი წინამძღურობაჲ და მან უქადა მათ უფიცხლესი და ესრეთ საქმითა მით, რომლისა მიერ ჰგონებდა, თუ ძლიერად გამოჩნდეს, მის მიერ სრულიად განდევნილ იქმნა მეფობისაგან[1*].

ხოლო აღაზუავებს კაცსა ძალიცა გუამისაჲ / და სიმალჱ ფერჴთაჲ და B 303 შუენიერებაჲ ჰასაკისაჲ, რომელნი-ესე სენთა მიერ განრყუნად არიან და ჟამთა მიერ განხრწნადნი. და არა იციან მათ, ვითარმედ: „ყოველივე კორცი თივაჲ არს და ყოველივე დიდებაჲ კაცისაჲ — ვითარცა ყუავილი თივისაჲ. განჴმის თივაჲ იგი და ყუავილი დასცჳვის“[2*]. ესევითარნი იყვნენ გმირთა მათ ძალსა ზედა მათსა ზუაობანი: და გოლიათ უგუნურისა გონებაჲ ღმრთის

[1] რამეთუ]რაჲთა C. [2] მან 1°—C. ესრეთ განკურნოს მან სენი თჳსი—C. [3] მოვიდეს C. პირველისა C. მის—A. მცნებისავე C. [4] დასცა B, დაჰსცნა C. კაცი B. მტყოარისა B. დაჰსცხრების C. [5] ცთონებად B. ეძებს B. [6] ამისსა C. [7] დიდება C. დიდ B. [8] საქმე B. [11] კორცკეთილობისაგან]კორციელობისაგან A. [12] მრავალთა]მოსავალთა B ~ ამპარტავნებაჲ არს C. [14] მბრწყინვალეთა C. და 2°—C. [15] მონათა BC. პატივსაცა ზედა C. მიცემულსა C. [16] მაღლოინ B, მაღლოეიან C. იქმნნენ C. [18] მაღლოვიან C. ქუეშჱ C. [19] აქუნდიან]ჰქონან A. მიიღეს BC. [22] უუძლორესი B]უძრესი C. ღამისათა]მზისათა B, მისთა C. უამაოვესი C. [24] ძე B. [25] სთხოეა C. [29] სიმალე B. ფერჴთა C. [30] განრყუნადნი B. [31] განხრწნადნი]განიხრწნებიან C. კორცი] კორციელი C. [32] თივა B. [33] განჴმეს C. ყუავილი+მისი C. დასცჳვეს C. [34] ღმრთისა B.

[1*] III მეფ. 12,4—14. [2*] ესაია 40,6—7.

ჩბრძოლი[1*] და სიკეთესა ზედა აღზუავებული ადონია[2*] და შუენიერებასა
ზედა თმათასა მოქადული აბესალომ[3*].

A1 v 2. /ხოლო რომელი-იგი კაცთა შორის უფროჲს ყოვლისა დიდად და მტკიცედ
შერაცხილ არს, ესე იგი არს სიბრძნე და ფილაფოზობაჲ, მისიცა სიმაღლჱ ამაო
არს და არაჭეშმარიტ, უკუეთუ ჴორციელი ოდენ იყოს და საღმრთოჲ სიბრძნე
C: v არა შერთულ იყოს / მას თანა, და არარად შერაცხილ არს იგი.
რამეთუ, პირველ ყოვლისა, სიბრძნესა ზედა სოფლისასა ყოველთასა უმე-
ტესად თჳთ ეშმაკი არს ჴელოან და იგი სცთა მისსა მას ჴელოვნებასა შინა.
და რომელი-იგი ღონე ყო კაცსა ზედა და თჳსითა მით ბოროტითა სიბრძნითა
B8 v აცთუნა / იგი, შისისავე თავისა საწჱბელად მოჰკლა, რამეთუ სრულიად
ღმრთისაგან მით განვარდა და სიკუდილითა მით საუკუნოჲთა დაისაჯა. ხოლო
კაცი სრულიად ვერ განაგდო ღმრთისაგან, არამედ თჳთ განვარდა; და კუალად
მახითა მით, რომელი უფალსა დაუდგა, თჳთვე შეპყრობილ იქმნა; და რომელი
ჰგონებდა ჯუარცუმისა მიერ ვნებად უფლისა, თჳთ მას ევნო ჯუარცუმითა მი-
სითა; და სიკუდილითა მით, რომლითა ენება მოკლვაჲ უფლისაჲ, თჳთ მოკუდა.
აწ უკუე მთავარი იგი ამის სოფლისაჲ, პირველი და დიდი და უხილავი
სიბრძნისა მის ამაოჲსა მძლუარი თჳსითა მით სიბრძნითავე დაეცემის და
უკუანაჲსკნელსა უგუნურებასა მიიწევის, ვითარ არა უფროჲსად მისნი იგი
მოწაფენი და მიმსგავსებულნი, დაღაცათუ ბრძენ ჰგონნენ თავნი მათნი, სუ-
C: 267 ლელ იქმნებიან[4*]. რამეთუ იხილეთ, თუ ვითარ ინება ფარაო სი/ბრძნისა მიერ
თჳსისა აჴოცად ერსა ისრაელისასა, არამედ ღონე იგი მისი თავისა მისისა სა-
A1 236 ღმობად მიიქცა, სადაჲთ-იგი არა მოელოდა. / და ჩჩჳლი იგი, ბრძანებისათჳს
მისისა სიკუდილად მიცემული, აღიზარდა სახლსა მას შინა სამეფოჲსა მისი-
B. 304 სასა[5*] და არა გულისჴმა-ყო მან, / თუ ვითარ მისსა სახლსა შინა იზრდებოდა
დამაქცეველი იგი მისი და განმყვანებელი ყოველსა მას ერსა ისრაელისასა.
ხოლო კაცისმკლველმან აბიმელექ, გედეონის არაჭეშმარიტმან ძემან, რომელ-
მან სამეოცდაათნი იგი ძენი მისნი ჭეშმარიტნი მოსწყჳდნა და ჰგონებდა, თუ სი-
ბრძნე რაჲმე ქმნა, რაჲთამცა მტკიცედ აქუნდა მას მეფობაჲ, უკუანაჲსკნელ
მოსწყჳდნა იგინი, რომელნი შემწე იქმნეს ბოროტისა მის მისისა და მერმე
წარწყმდა იგიცა ჴელითა დედაკაცისაჲთა და ტყორცებითა ქვისაჲთა. ხოლო
ჰურიათაცა სიბრძნედ მოიპოეს უფლისათჳს განზრახვაჲ იგი ბოროტი, რაჟამს
თქუეს, ვითარმედ: „უკუეთუ უტეოთ, ყოველთავე ჰრწმენეს იგი და მოვიდენ
ჰრომნი და წარტყუენონ ქუეყანაჲ და ნათესავი ჩუენი“[6*]. ამის განზრახვისა
მიერ იქმნეს ქრისტეს მკლველ, რაჲთამცა განარინეს ქუეყანაჲ მათი. და წარ-
C v წყ/მდეს განზრახვისა მის მიერ და ტყუე იქმნეს ქუეყანისა მისგან და უცხო-
რჩულისაგან და ტაძრისა.
და ესრეთ მრავლითა სახითა პოოს კაცმან, უკუეთუ ეძიებდეს, საქმე ესე,

---

[2] ~ მოქადული თმათასა B. [4] სიბრძნჱ C. ფილოსოფოსობაჲ C. სიმაღლე B. [5] სიბრძნჱ C. [8] ჴელოვან C. [9] ღონჱ C. და 2°—C. [13] რომელი 1°] რომლითა C. [14] მასვე C. [20] იხილჱ C. [21] ღონჱ C. [22] მიექცა C. [23] სამეუფოჲსა C. მესისა B. [24] გულისხმა- C. იზარდებოდა C. [26] აბიმელიქ BC. [27] ჭეშმარიტნი] ბოროტად C. სიბრძნჱ C. [28] ექმნა A. [29] შემწჱ C. ექმნნეს C. მის—BC. მერმჱ C. [31] მოიპოვეს C. [32] უტევოთ C. [34] იქმნნეს C. [35] იქმნნეს C. შჯულისაგან C. [37] პოვოს C. საქმესა ამას C.

[1*] I მეფ. 17,4. [2*] III მეფ. 1,5. [3*] II მეფ. 14,26. [4*] რომ. 1,22. [5*] ებრ. 9,1. [6*] იოანე 11,48,

თუ ვითარ ამაო არს კაცობრივისა სიბრძნისა საქმე. და მდაბალ არს და მცირე უფროჲსად, ვიდრელა / მაღალ და დიდ. B

8. და არავინ არს, რომელსამცა აქუნდა გონებაჲ და იგიმცა ზუაობდა სიბრძნესა ზედა, ანუ სხუასა რასმე კეთილსა თჳსსა. არამედ / ისმინოს მან კე- A თილი იგი სწავლაჲ ნეტარისა ანაჲსი და კუალად წინაჲსწარმეტყუელისა იერემიაჲსი, ვითარმედ: „ნუ იქადინ ბრძენი სიბრძნითა თჳსითა, ნუცა ძლიერი ძალითა თჳსითა, ნუცა მდიდარი სიმდიდრითა თჳსითა“[1*]. არამედ რაჲ არს ჭეშმარიტი იგი სიქადული და რომლითა საქმითა დიდ იქმნების კაცი? ამას ზედა იქადოდენო, რომელი იქადოდის გულისჴმისყოფასა და ცნობასა უფლისასა[2*]. ესე არს სიმაღლე კაცისაჲ, ესე არს დიდება და ძლიერება, რაჲთა ჭეშმარიტი იგი დიდებაჲ იცნას და ითხოვდეს დიდებასა მხოლოჲსა მის დიდებულისა უფლისაგან, ვითარცა მოციქული იტყჳს, ვითარმედ: „რომელიიგი იქადოდის, უფლისა მიერ იქადოდენ“[3*], ვითარმედ: „ქრისტე გუექმნა ჩუენ / სიბრძნე ღმრთისა მიერ, სიმართლე და სიწმიდე და მჴსნელ“[4*]. რამე- C თუ ესე არს სრული და კეთილი უფლისა მიერ სიქადული, რაჲთა არავინ მაღლოოდის არცა სიმართლესა ზედა თჳსსა, არცა სხუასა რას ზედა, არამედ ცნას, ვითარ-იგი ნაკლულევან არს სიმართლისა მისგან / ჭეშმარიტისა და სარწმუნოე- B ბითა ოდენ ქრისტესითა განმართლებულ იყოს, ვითარცა პავლე იქადის შეურაცხებისათჳს თჳსისა სიმართლისა და ძიებისათჳს სიმართლესა ქრისტესმიერსა, რომელი არს ღმრთისაგან[5*] და სარწმუნოებისათჳს მეცნიერებისა მისისა და ძალისა აღდგომისა მისისა და ზიარებისათჳს ვნებათა მისთაჲსა, თანახატყოფად სიკუდილისა მისისა, რაჲთა მიიწიოს აღდგომასა მკუდართასა.

აქა უკუე დაცემულ არს ყოველივე სიმაღლე ამპარტავანებისაჲ და არარაჲ დარჩომილ არს შენდა, ჵ კაცო, მიზეზი ზუაობისაჲ, რომლისა-ეგე სიქადული ამას ზედა არს / და სასოებაჲ, რაჲთა მოაკუდინო თავი შენი ყოვლისაგან A საქმისა და სცხონდებოდი ქრისტეს მიერ ცხორებისა მისთჳს მერმისა, რომლისა დასაბამი გუაქუს აქა, რომელნი-ესე ყოვლითურთ მადლითა მით და ნიჭითა ღმრთისაჲთა ვცხონდებით. / რამეთუ ღმერთი არს, „რომელი მოგუცემს ნება- C სა და ქმნასა კეთილისასა“[6*] და ღმერთი არს, რომელი თჳსსა სიბრძნესა, განგებულსა წინაჲთვე, დიდებად ჩუენდა გამოგჳცხადებს თჳსისა სულისა მიერ[7*] და ღმერთი არს, რომელი შრომასა შინა მოგუცემს / ძალსა, ვი- B თარცა მოციქული იტყჳს, ვითარმედ: „უწინარეს მათ ყოველთაჲსა დავშუერ, არამედ არა მე, გარნა მადლი იგი ღმრთისაჲ, რომელი იყო ჩემ თანა“[8*] და ღმერთივე გჳჴსნის ჩუენ განსაცდელთაგან, ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ: „ჩუენ თჳთ თავით თჳსით განჩინებაჲ იგი სიკუდილისაჲ მოგუეღო, რაჲთა არა ვესვიდეთ თავთა თჳსთა, არამედ ღმერთსა, რომელმან-იგი აღადგინნის მკუდარნი, რომელმან-იგი ეგევითარისა მის სიკუდილისაგან მიჴსნნა ჩუენ და მიჴსნის, რომელსა-იგი ვესავთ, ვითარმედ მერმეცა მიჴსნეს შეწევნითა ლოცვათა თქუენთაჲთა“[9*]. –

---

1 საქმჱ C. მცირჱ AC. 9 იქადოდენ B. გულისხმისყოფასა C. 10 სიმაღლჱ C. კაცისაჲ—C. ძლიერებაჲ C. 12 რომელი-იგი] რომელი C. 14 სიბრძნჱ C. და სიმართლჱ C. რამეთუ—C. 16 მაღლოვოდის C. 18 პავლჱ C. 19 ძიებისათჳს] ძლიერებისათჳს C. 21 ძალსა აღდგომისა მისისასა C. მისთასა B. 23 სიმაღლე B. 24 სიქადული] სიკუდილი C. 26 არს—C. 28 ვცხოვნდებით C. ნებებასა A. 31 შურომასა C. 32 უწინარეს] უფროჲს C. ყ˜ლთასა C. 33 გარნა] არამედ B. 37 რომელმან BC. მის—C. მიჴსნა B. 38 ვითარმედ] არამედ B. მიჴსნის B, მიჴსნნეს C.

1* იერემ. 9,23. 2* იერემ. 9,24. 3* I კორინ. 1,31. 4* I კორინ. 1,30. 5* ფილიპ. 3,9. 6* ფილიპ. 2,13. 7* I კორინ. 2,7, 10. 8* I კორინ. 15, 10. 9* II კორინ. 1,9—11.

4. რასა უკუე ჰმაღლოი, ვითარცა თჳსთა ზედა საქმეთა, მონიჭებულთა მაგათ ღმრთისა მიერ, რომელსა-ეგე თანა-გედვა მადლობაჲ მომცემელისა მის? რამეთუ: „რაჲ გაქუს, რომელი არა მოგიღებიეს? უკუეთუ კულა მოგიღებიეს, რასა იქადი, ვითარმცა არა სხჳსაგან მოგეღო“[1*], არამედ თავით თჳსითმცა გაქუნდა?

არა შენ იცან ღმერთი სიმართლითა შენითა, არამედ ღმერთმან შენ გიცნა
C 269 სახიერებისათჳს თჳსი/სა, რამეთუ: გჳცნობიეს ღმერთი და უფროჲსღა ცნო-
ბილ ვართ ღმრთისა მიერ[2*]. არა თუ შენ ქრისტე ჰპოვე სათნოებითა შენი-
A v თა, არამედ ქრისტემან შენ გპოვა მოსლვითა თჳსითა, / რამეთუ იტყჳს, ვი-
B 306 თარმედ: „ვსდევ, რაჲთა ვე/წიო, რომლისათჳსცა მეწია მე ქრისტე“[3*],
ვითარცა იტყჳს უფალი, ვითარმედ: „არა თქუენ მე გამომირჩიეთ, არამედ მე
თქუენ გამოგირჩიენ“[4*]. არამედ შენ, ვინაჲთგან პატივცემულ იქმენ, ამისთჳს
ჰმაღლოი? და წყალობაჲ იგი, რომელი შენ ზედა იქმნა, მიზეზად ამპარტავანე-
ბისა მიიღებ? გარნა მაშინ იცან თავი შენი, თუ ვინ ხარ, რაჟამს გამორდომილ
იქმნე, ვითარცა ადამ სამოთხისაგან[5*] და დატეობილ იქმნა, ვითარცა საულ
რაჲ დაუტევა სულმან ღმრთისამან[6*] და ვითარცა ისრაელი რაჲ მოიკუეთა ძი-
რისა მისგან წმიდისა.

„ნუ ჰმაღლოი უკუე, რამეთუ სარწმუნოებითა მდგომარე ხარ შენ, არამედ გეშინოდენ“[7*], რამეთუ მადლსა შეუდგეს საშჯელი, და თუ ვითარ-ძი გიჯმარებიან მონიჭებულნი იგი, ესე მსაჯულმან მან გამოიძიოს. ხოლო უკუეთუ ესეცა ვერ გულისჴმა-გიყოფიეს, ვითარმედ რაჲ-ეგე გაქუს, მადლითა ღმრთისაჲთა გაქუს, არამედ მის მიერ მოცემულსა მას თჳსად იტყჳ, შენითა ძალითა მოგებულად გარდამატებულითა მით უმეცრებითა, არა ვიცი, თუ
C v რაჲღა / გრქუა.

ანუ არა უწყი-ა, ვითარმედ არა უპატიოსნეს ხარ ნეტარისა მოციქულისა
B v პეტრესა? რამეთუ არ/ცა თუ გაქუს მისოდენი სიყუარული ღმრთისა მიმართ,
რომელსა ესრეთ უყუარდა იგი, რომელ სიკუდილი ენება მისთჳს სურვიელად
და ეტყოდა, ვითარმედ: „დაღაცათუ ყოველნი დაბრკოლდენ შენდა მომართ,
არამედ მე არასადა დავბრკოლდე“[8*]. არამედ ვინაჲთგან ესე სიტყუაჲ
ზუაობით ეთქუა, ამისთჳს მიეცა იგი მოშიშებასა კაცობრივსა და შთავარდა
უარისყოფად, რაჲთა ესრეთ ცთომისა მის მიერ განისწავლოს არა მინდობად
A 238 თავ/სა თჳსსა და კუალად წყალობად უძლურთაცა. ვინაჲთგან მიიღო მანცა
გამოცდილებაჲ უძლურებისა მის კაცობრივისაჲ და გულისჴმა-ყო, ვითარმედ
ვითარცა-იგი ზღუასა შინა რაჲ დაინთქმოდა, განემტკიცა უფლისა მარჯუენი-
თა, ეგრეთვე ზღუასა მას შინა დაბრკოლებისასა მიეახლა დანთქმად ურწმუ-
ნოებისა მიერ, დაცვულ იქმნა იგი ძალითა ქრისტესითა, რომელმან წინაჲსწარ-

[1] უკუე C]+ზედა B. ჰმაღლოჲ C. თჳსთა ზედა საქმეთა]საქმეთა თჳსთა B. [2] მომცემელისაჲ C. [3] მიგიღებიეს C. [7] სახიერებითა თჳსითა B. [8] ჰპოე B. [9] შენ—C. გპოა B. [10] ესდევდი B. რომლისათჳს BC. [11] ~ თქუენ მე B. [13] ჰმაღლოჲა C. [14] მაშინ]ამას შინა A. იცნა B. გამოვრდომილ C. [15] იქმენ C. დატევებულ C. იქმენ C. [16] მოეკუეთა A. [18] ჰმაღლოვი C. მდგომარე C. [19] საშჯელი]შჯული C. [20] გიჯმარებიან C. [21] გულისხმა- C. [24] რაჲ BC. [25] უწყია+თუ B. [26] პეტრესსა C. ღმრთისა]უფლისა BC. [28] ეტყოდე B. [29] არაჲსადა C. დავბრკოლდე C. [30] ეთქუა]რაჲ თქუა BC. [31] უარისყოფად C. [33] გულისხმა-ყოს C. [34] დაითქმოდა B. [35] ეგრეთ B. [36] წინაჲსწარ C.

[1*] I კორინ. 4,7. [2*] გალატ. 4 9. [3*] ფილიპ. 3,12. [4*] იოანე 15,16. [5*] დაბად. 3,24. [6*] I მეფ. 16,14. [7*] რომ. 11,20. [8*] მათე 26,33.

ვე ყოველივე უთხრა მას, ვითარმედ: „ვიდრელა ქათამმან იყივლოს, სამგზის
უვარ-მყო მე“[1*]. და პეტრეს ესრეთ ემხილა და შეეწია მას უფალი / სამარ- B 307
თლად, რაჲთა ესრეთ ისწაოს სიმდაბლჱ და / წყალობაჲ უძლურთაჲ. ხოლო C 270
ფარისეველი იგი, ზუავი და ამპარტავანი, რომელი-იგი არა თჳსსა ოდენ თავსა
ზედა ზუაობდა, არამედ მეზუერესა მასცა სძაგებდა წინაშე ღმრთისა და
ესრეთ სიქადული იგი სიმართლისაჲ წარწყმიდა ბოროტითა მით ამპარტავა-
ნებისაჲთა. და გარდამოვიდა მეზუერე იგი, განმართლებული უფროჲს მისსა,
რამეთუ ადიდებდა იგი წმიდასა მას და სახიერსა უფალსა და არცა თუ ზე
ახილვად კადნიერ იყო, არამედ ლხინებასა ოდენ ითხოვდა. და შემასმენელ
იყო იგი თავისა თჳსისა სახითა მით დგომისა მისისაჲთა და ცემითა მით მკერ-
დისაჲთა და რამეთუ სხუასა არარას ითხოვდა, არამედ ლხინებასა ოდენ[2*].

აწ უკუე იხილე სახჱ ესე და ეკრძალე ბოროტსა მას ამპარტავანებისასა,
ვითარ-იგი მოიწია ფარისეველსა მას ზედა. და დაშჳრდა მას სიმართლჱ, ამ-
პარტავანებითა თჳსითა წარწყმიდა მადლი თჳსი, ზუაობითა მით / უდარეს იქმ- A v
ნა მდაბლისა მის და ცოდვილისა, ვინაჲთგან განა/დიდა მან თავი თჳსი უფ- B v
როჲს მისსა და არა მოელოდა ღმრთისა საშჯელსა, არამედ თჳსითა ნებითა
საჯა. არამედ შენ ნუ ჰმაღლოი კაცსა ზედა, დალაცათუ ყოველთა / ცოდვილთა C v
უცოდვილეს იყოს, რამეთუ მრავალგზის სიმდაბლემან იჴსნის დიდად შეცო-
დებული ცოდვათა მისთაგან. და ამისთჳს გეტყჳ, ვითარმედ: ნუ განამართლებ
თავსა შენსა უფროჲს სხჳსა, ნუუკუე შენითა მით განშჯითა განჰმართლდე და
ღმრთისაჲთა დაისაჯო, ვითარცა დიდი მოციქული პავლე იტყჳს, ვითარმედ:
„არა თუ თავსა ჩემსა განვიკითხავ, რამეთუ არარაჲ თავსა ჩემსა შემიცნობიეს,
არამედ არა თუ ამით რასმე განვმართლდები, ხოლო განმამართლებელი ჩემი
უფალი არს“[3*].

5. და აწ შენცა უკუეთუ ჰგონებ, თუ კეთილი რაჲმე გიქმნიეს, ღმერთსა
ჰმადლობდი და ნუ მოყუასსა ზედა ჰმაღლოი, ვითარცა წერილ არს, ვითარ-
მედ: „თითოეული საქმესა თჳსსა განიცადიდინ და მაშინ თავით თჳსით აქუნდეს
სიქადული და არა სხჳსა მიმართ“[4*]. რამეთუ რაჲ არგე შენ მოყუასსა, უკუეთუ
სარწმუნოებაჲ აღიარე, ანუ დევნულებაჲ თავს-იდევ სახელისათჳს უფლისა,
ანუ თუ შ/რომანი მარხვისანი მოითმინენ? არა მეორისაჲ არს სარგებელი ესე, B 308
არამედ შენი. გეშინოდენ მიმსგავსებად დაცემასა მას ეშმაკისასა, რომელი-იგი
ამაღლდა კაცსა ზედა და მერმე / დაეცა კაცისა მიერ და მიეცა დასათრგუნვე- C 271
ლად დათრგუნვილისა მის. ესევითარი იყო დაცემაჲცა იგი ისრაიტელთაჲ, რა-
მეთუ მაღლოოდეს წარმართთა ზედა, ვითარცა არაწმიდათა და იგინი უმეტე-
სად არა / წმიდა იქმნეს და მათი იგი სიმართლჱ იქმნა ვითარცა ძონძი დედაკა- A 239
ცისა წიდოვნისაჲ[5*], ხოლო ბილწებაჲ იგი და არაწმიდებაჲ წარმართთაჲ სარ-
წმუნოებისა მიერ აღიჴოცა.

---

[2] მჱ C. ესრეთ] ეგრეთ C. უფალი+უფალი B [3] სიმდაბლე BC. ხოლო+ვითარცა C. [4]~იგი ფარისეველი C. [5] მეზუერესაცა მას C. [6] სიბოროტითა C. [7] მეზუერჱ C. [8] რამეთუ] არამედ B. [10] ეყო C. თავსა თჳსსა C. მისისაჲთა] თჳსისაჲთა B. [11] არარას] არას C. [12] იხილჱ C. სახე B. ეკრძალჱ C. ამპრტვნ˝ბსა C. [13] მოაწია C. და—A. დასჳრდა B. სიმართლე B. [14] და უდარეს C. [17] ჰმაღლოჲ C. [20] განსჯითა B, განჰშჯითა C. განჰმართლდჱ C. [21] პავლჱ C. [26] ჰმაჰღლოი B, ჰმაღლოჲ C. [27] თითუეული B. მაშინღა C. [29] აღიარჱ C. [30] შურომანი C. [31] მას—B. [32] მერმჱ C. [33] დაცემაჲ C. ისრაიტელთაჲ] იჩჱლ˝თაჲ C. [34] მაღლოეოდეს C. [35] იქმნნეს C. სიმართლე B. ~ წიდოვნისა დედაკაცისაჲ C.

[1*] ლუკა 22,34. [2*] ლუკა 18,11—14. [3*] I კორინ. 4,3—4. [4*] გალატ. 6,4. [5*] ესაია 64,6.

გაჴსოდენ უკუე სიტყუაჲ იგი სოლომონისი, ყოველსა ზედა რომელსა
იტყჳს, ვითარმედ: „უფალი ამპარტავანთა წინაალმდგომ არს, ხოლო მდაბალთა
მოსცეს მადლი“[1*] და კუალად სიტყუაჲ იგი თავადისა უფლისაჲ გაქუნდინ
გულსა შენსა, რომელსა იტყჳს, ვითარმედ: „რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი,
იგი დამდაბლდეს და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს“[2*].
ნუ იქმნები თავისა თჳსისა უსამართლო მსაჯულ, ნუცა თუალთხუმით თა-
B v გისა შენისა ჰყოფ განშჯასა, რაჲთამცა უკუეთუ / რაჲმე კეთილი გქონდა, მას-
მცა ოდენ ხედევდი და ცოდვათამცა ნეფსით დაივიწყებდი; ნუ იქმ ამას, რაჲ-
თამცა, უკუეთუ რაჲმე აწ ჰქმენ კეთილი, მას ზედამცა ჰმაღლოოდე და რომე-
C v ლნი-იგი განთიად ანუ გუშინ / გიქმნიან ცთომანი, მასმცა შეუნდობდი თავსა
შენსა. არამედ რაჟამს რაჲმე კეთილი ჰქმნე და აღგაზუავებდეს იგი შენ, პირ-
ველნი ცთომანი მოიჴსენენ, რაჲთა ესრეთ დასცხრეს უგუნური იგი გულის-
სიტყუაჲ.
და კუალად, უკუეთუ მოყუსისა ცთომაჲ იხილო, ნუ მას ზედა განიკითხავ
მას და მას ოდენ ხედავ, არამედ მოიჴსენენ სათნოებანიცა მისნი, რომელნი
იცნი და რომელნი შენდა არა საცნაურ არიან, ნუუკუე და ჰპოო იგი, ვითარ-
მედ ფრიად უმჯობეს არს შენსა, უკუეთუ ოდენ ყოველივე გამოიძიო და არა
A v ცთომასა ოდენ იტყოდი და კეთილსა არღარა. რამეთუ ღმერთი / არა ერთსა
კერძსა ზედა შჯის კაცთა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „მე საქმეთა და
გულისზრახვათა მათთა შეკრებად მოვალ“[3*] და კუალად იოსაფატს რაჲ შე-
B 309 ჰრისხნა ცოდვისა მისთჳს მის ჟამისა, მოიჴსენა ქველისსა/ქმეცა მისი და თქუა,
ვითარმედ: „სიტყუანი კეთილნი იპოვნეს შენ თანა“[4*].
6. ამას და ესევითარსა ყოველსავე ვეტყოდით თავთა ჩუენთა აღმოფხუ-
რად ჩუენგან ამპარტავანებისა და მარადის დავამდაბლებდეთ თავთა ჩუენთა,
რაჲთა ესრეთ აღვმაღლდეთ.
C 272 მივემსგავსნეთ ზეცით მოსრულსა უფალსა, რომელი უკუანაჲსკ/ნელად
სიმდაბლედ მოვიდა, რაჲთა ესრეთ ჩუენცა სიმდაბლითა აღვმაღლდებოდით.
რამეთუ ყოველთა საქმეთა უფლისათა სიმდაბლედ მომყვანებელად ვჰპოებთ:
ვითარ-იგი ჩჩჳლი რაჲ იყო, ქუაბსა შინა იყოფოდა და არცა ცხედარსა ზედა,
არამედ ბაგასა მიიწვინა პირუტყუთასა; მერმე აღიზრდებოდა სახლსა შინა
ხუროჲსა იოსებისსა და დედისა, ეგრეთვე გლახაკისასა; და ჰმორჩილობდა
დედასა თჳსსა და იოსებს და ისწავლიდა; რომელი-იგი წყაროჲ არს სიბრძნი-
საჲ და ჰკითხვიდა და იტყოდა, რამეთუ ესრეთ უკვრდა მათ მისი სიბრძნეო;
მოუდრიკა თავი იოვანეს და ნათლისღებაჲ მონისაგან მიიღო მეუფემან; და
B v შეურაცხისმყოფელ/თა მისთაგანსა არავის წინა-აღუდგებოდა, არამედ, ვითარ-
ცა უძლიერესთა, დაუმდაბლდებოდა; და არა გამოაჩინებდა გამოუთქუმელსა
მას ჴელმწიფებასა თჳსსა, არამედ სოფლისა ამის ძლიერთა არა წინა-აღუდგე-

---

[1] გაჴსოვდენ C. სიტყუაჲცა BC. [3] მოსციის C. [4] აიმაღლოს B. [5] აღმაღლდეს C. [6] თუალ-
ხუმითა C. [7] განსჯასა B, განჰშჯასა C. გაქუნდა C. და მასმცა C. [8] ჰხედევდი C. ნებსით C.
დაივიწყებდი B. ამასცა C. [10] ჰმაღლოვოდჱ C. [12] დაჰსცხრეს C. [14] მას ზედა—B. [16] ჰპოვო C.
ვითარმედ—B. [19] სჯის B, ჰშჯის C. მე—C. [20] იოსაპატს C. [21] -საქმჱ C. თქუა]რქუა C.
[23] ყოველსა BC. [25] ავმაღლდეთ B. [28] მომყვანებელთა C. ვჰპოვებთ-C. [29] რაჲ]რაჲმე C. იყო-
ფვოდა BC. [30] მერმჱ C. აღიზარდებოდა C. [31] იოსებისსა B. [32] იოსებს B. [33] რ˝]და C. სი-
ბრძნჱ C.

[1*] იგავ. 3,34; იაკობ 4,6; I პეტრე 5,5. [2*] ლუკა 14,11. [3*] ესაია 66,18. [4*] II ნეშტ. 19,3.

ბოდა; / წინაშე მღდელთმოძღუართაჲსა წარდგა ვითარცა დაშჯილი; წინაშე A 24 მსაჯულისა მივიდა და საშჯელი მიიღო; და ცილისწამებათა მათ დუმილით თავს-იდებდა; ინერწყუებოდა პირი მისი, რომლისაგან ძრწიან ქერობინნი, / C v მონათა მიერ და ყრმათა საწყალობელთა; მერმე სიკუდილსა მიეცა და სიკუდილსა ესევითარსა, რომელი კაცთა შორის ბოროტად შერაცხილ იყო და უძჳრეს ყოველთა სიკუდილთა.

ესრეთ წარვლო კაცებაჲ შობითგან ვიდრე აღსასრულამდე და ესევითარითა სიმდაბლითა. და უკუანაჲსკნელ გამოაჩინებს დიდებასა თჳსსა, რაჲთა თჳსთა თანა ადიდნეს, რომელნი-იგი მის თანა დამდაბლდეს, რომელთაგანნი პირველნი არიან დიდებულნი იგი მოწაფენი მისნი, რომელთა გლახაკად და შიშულად მოირბინეს ყოველი სოფელი, არა სიბრძნითა სიტყუათაჲთა, არცა სიმრავლითა მსახურთაჲთა, არცა სიმრავლითა საფასეთაჲთა, არამედ / გლახაკად და უნდოდ ზღუათა შინა და ქუეყანათა ჭირვეულნი, ძჳრხილულნი, გუემულნი, დევნულნი და უკუანაჲსკნელ მოკლულნი. B 31

ესე სწავლანი მოცემულ არიან ჩუენდა მამულად და საღმრთოდ, ამათ ვჰბაძვიდეთ, რაჲთა სიმდაბლისა მიერ აღმოგჳბრწყინდეს სრული იგი და ჭეშმარიტი დიდებაჲ ქრისტესი.

7. ხოლო უკუეთუ იტყჳთ, ვითარმედ: „ვითარ-მე მოვიდეთ ესევითარსა მას ცხოვლისმყოფელსა სიმდაბლესა და ბოროტი იგი ამპარტავანებისა სიმაღლე განვიშოროთ ჩუენგან“? / ისმინეთ უკუე, ვითარმედ გზაჲ სიმდაბლისაჲ C 27 ესე არს, რაჲთა მარადის მას ვეძიებდეთ და საქმეთა, მისთა მომყვანებელთა, მოვიკვებდეთ და არარას შეურაცხ-ვჰყოფდეთ უნდოთა საქმეთაგანსა, / ვითარმცა მისგან არაჲ გუევნებოდა, რამეთუ სული საქმესა ჴორცთასა მიემსგავსების და რომლისა მიმართ იყოს საქმე მისი, მისა მიმართ მიეახლების და მას ზედა გამოისახვის. A v

ამისთჳსცა გეტყჳ შენ, ძმაო, რაჲთა იყოს სახეცა შენი და სამოსელიცა შენი და სლვაჲ შენი და ჯდომაჲ და ჭამადი და სარეცელი და სახლი და ყოველივე, რაჲ იყოს სახლსა შინა, ესე ყოველი იყავნ უნდო და სიმდაბლისა კერძსა მიმზიდველ. / სიტყუაჲცა და გალობაჲ და მოყუსისა თანა ყოფაჲ — ესენიცა ყოველნი სიმდაბლითამცა შემკულ არიან და ნუ ზუაობითა. ნუ ხარ მზუაობარ და შექცეულ სიტყუათა შინა ფილაფოზობისათა, ნუცა ჴმატკბილობისა გალობათა შინა გარდამატებულთა, ნუცა მზრახვალ ზუაობით და ამპარტავანებით, არამედ ყოველსა შინა მდაბალ, ტკბილ მოყუსისა მიმართ, სახიერ მონისა მიმართ, ძჳრუჴსენებელ / ბოროტისმოქმედთა მიმართ, კაცთმოყუარე მდაბალთა მიმართ, ნუგეშინისმცემელ ჭირვეულთა, მხედველ სნეულთა, არავისა შეურაცხისმყოფელ, ტკბილ სიტყჳთა, მშჳდ, მარჯუე, საყუარელ ყოველთაგან, არცა თჳთ მაქებელ თავისა თჳსისა, არცა სხუათა მიერ მოყუარე ქებისა, არა მოყუარულ სიტყუათა უწესოთა, დამფარველ სათნოებათა შენთა და B v C v

---

[1] დასჯილი B. [2] სასჯელი B. [3] ქერაბინნი BC. [4] მერმჱ C. ‎ ‎ აღსასრულადმე A, აღსასრულადმდჱ C. [9] თჳსა] თჳსთა, B, მის C. ადიდოს B. [12] არცა სიმრაელითა საფასეთაჲთა—BC. [14] უკუანასკნელ A. [18] ვითარ C. [19] ცხოველსმყოფელსა C. სიმაღლჱ C. [21] ვეძებდეთ B. [22] არას B. [23] რამეთუ] და C. საქმეთა A. [24] საქმჱ C. მისსა C. [26] სამოსელი B. [27] სარეცელი + შენი C. [28] იყოს სახლსა] არს მას C. [31] ფილოსოფოსობისათა C. და ნუცა C. ჴმატკბილობისა] ჴმაკეთილობისა C. [34] ბოროტისამოქმედთა C. კაცთმოყუარჱ C. [36] არავისსა B, არავის C. შეურაცხმყოფელ B. [37] თავსა თჳსსა B. მოყუარჱ C. [38] არაჲ C.

შემსმენელ ცოდვათა თჳსთა. და ნუ ელი სხუათაგან მხილებასა, რაჲთა იქმნე
მართალ ჭეშმარიტად, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: მართალი შემასმენელ
B 311 არნ თავისა თჳსისა[1*], რაჲთა ემსგავსო იობს, რომელსა არა ჰრცხუენა / სიმრავ-
ლეთაგან ერისათა აღსარებად წინაშე მათსა ცთომისა თჳსისა[2*].
A 241 / ნუ ხარ შენ მძიმე შერისხვასა ზედა სხუათასა, ნუცა ხარ ადრე და ენე-
ბულად მამხილებელ (რამეთუ ამპარტავანება არს ესეცა), ნუ მაბრალობელ
ხარ მოყუსისა მცირეთა ზედა ცთომათა მისთა, ვითარცა უმეტეს ზომისა სი-
C 274 მართლისმოყუარე. არამედ სიტყჳსაებრ მოციქულისა: „იხილე, ნუუკუე /
შენცა გამოიცადო"[3*]. ესრეთ მოსწრაფე იყავ არა დიდებად სხუათაგან, რაჲ-
ზომ-იგი ისწრაფიან სხუანი, რაჲთამცა იდიდნეს. და იჴსენებდ სიტყუასა უფ-
ლისასა, რომელი იტყჳს ზღვევად სასყიდლისა ღმრთისამიერისა ქებასა კაცთასა
და წინაშე მათსა ქმნასა სათნოებისასა, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „მიუღებიეს
სასყიდელი მათი"[4*].

ხოლო შენ ნუ მოაწევ თავსა ზედა შენსა ზღვევასა მას მაჩუენებლობისა
მიერ, რამეთუ ღმერთი დიდად მხილველი არს ყოვლისაჲვე. ამისთჳს გეტყჳ:
დიდებისმოყუარე თუ ხარ, ღმრთისამიერი იგი დიდებაჲ გიყუარდინ, რამეთუ
ბრწყინვალესა სასყიდელსა მისცემს იგი ყოველთა. უკუეთუ კულა მთავრობა-
B v სა და წინამძღურობასა ღირსქმნულ ხარ და იდიდები კაცთა მიერ, / იქმენ შენ
მსგავს მათდა, რომელნი ქუეშე შენსა არიან. უკუეთუ ებისკოპოს ხარ, გინა
მამასახლის, ნუ ჰმაღლოი შენსა ქუეშე მყოფთა მათ ზედა, ნუცა მიემსგავსები
მთავართა მათ სოფლისათა, რამეთუ უფალმან ბრძანა, რაჲთა „რომელსა უხუ-
ცესობაჲ ენებოს, იქმნეს ყოველთა მონა"[5*].

ყოველსა ზედა გრქუა მოკლე სიტყუაჲ: ესრეთ მისდევდი სიმდაბლესა,
C v ვითარცა ტრფიალი მისი; ეტრფიალე მას, რაჲთა გადიდოს შენ. / ესრეთ მიხჳდე
დიდებასა მას ჭეშმარიტსა ანგელოზთასა და ღმრთისამიერსა და აღგიაროს
A v ქრისტემან თჳსად მოწაფედ წინაშე ანგე/ლოზთა მისთა[6*], უკუეთუ ოდენ
მსგავს სიმდაბლისა მისისა იქმნე, რომელმან თქუა, ვითარმედ: ისწავეთ ჩემ-
გან, „რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა
თქუენთაჲ"[7*]. რამეთუ მისი არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდი-
თურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

XXI. თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილი კესარიელ მთავარეპისკოპოზისაჲ არაშექცევისათჳს საქმეთა სოფლისათა და ცეცხლისა მისთჳს, რომელი შეედვა მაშინ კესარიელთა ქალაქსა

B 312 / 1. მე ვჰგონებდი, საყუარელნო, ვინაჲთგან ესრეთ მარადის საწრტე-
ლითა მით სიტყჳსა ჩემისაჲთა გიწერტ, ვითარმედ მოგეწყინოს თქუენ ჩემი
სწავლაჲ და სამძიმარ გიჩნდეს, ვითარცა მეტად კადნიერებით მეტყუელი სი-

PG. 31. გვ. 540—564

³ ემსგავსო იობს] ემსგავსოს იოსებს C. არაჲ C. ჰრცხუენოდა C. ⁴ ცთუმისა თჳსისასა B. ცთომაჲ თჳსი C. ⁵ მძიმჱ C. ხარ 2°—C. ადრჱ C. და—C. ⁶ მამხილებელი C. ამპარტავანებაჲ C. ⁷ მცირედსა B. სიმართლისმოყუარჱ C. ⁹ მოსწრაფჱ C. არად C. ¹⁴ მაჩუენობლობისა A. ¹⁵ მხილველი]მხედველ C. ყ˜ლსავე C. ¹⁶ დიდ ბისმოყუარჱ C. გიყუარდენ C. ¹⁹ ქუეშჱ C. ეპისკოპოს C. ²⁰ ჰმაღლოვი C. ქუეშჱ C. ნუ ემსაგავსები C. ²¹ უბრძანა B. რაჲთა — C. ²³ ჰრქუა B. მოკლჱ C. ²⁴ ეტრფიალჱ C. ²⁷ იქმნჱ C. ²⁹ ჰპოვოთ C. ³¹ წმიდისა + და ნეტარისა C. ბასილისი BC.~მთავარებისკოპოსისა კესარიელისა B]—C. ³³ მაშინ—C. ქალაქსა+თავი ი˜თ, გჳ˜ხნ, მმ˜ო C. ³⁶ და კადნიერებით C.

1* იგავ. 18,17. 2* იობ 31,34. 3* გალატ. 6,1. 4* მათე 6,2. 5* მარკ. 10,44. 6* ლუკა 12,8. 7* მათე 11,29.

ტყუათა, რომელნი არა უკმან თქუმად კაცსა, შეპყრობილსა მათვე ცთომათა
მიერ, რომელთათჳს იტყოდის. არამედ თქუენ უმეტესად მხილებისა მის ჩე-
მისა მიერ სურვილად სწავლისა მოხუედით და წყლულებანი იგი, ენისა ჩე-
მისა მიერ თქუენდა მოწევნულნი, უმეტესისა წადიერებისა მიზეზ გექმნეს.
და არა უცხო არს საქმე ესე, რამეთუ თქუენ ბრძენნი ხართ სულიერად, ვი-
თარცა იტყჳს სიტყუათა / შინა თჳსთა სოლომონ, ვითარმედ: „ამხილე ბრძენ- C 27
სა და შეგიყუაროს შენ“[1*]. ამისთჳს უკუე, ძმანო, აწცა მოვალ სწავლად, ნუ-
უკუე შეუძლო ძალითა ღმრთისაჲთა განრენად თქუენდა ბადეთა მათგან ეშმა-
კისათა, რამეთუ მრავალთა და თითოსახეთა ბრძოლათა მოაწევს იგი ჩუენ
ზედა, საყუარელნო, მარადღე. ხოლო მოაწევს, ვითარცა უწყით, ჩუენ ზედა
ჩუენთავე გულისთქუმათა, რამეთუ იგინი ჰქონან მას ისრად ჩუენ ზედა. და
მარადის ჩუენგან მიიღებს ძალსა ვნებად ჩუენდა, რამეთუ ფრიადი იგი ძალი
მისი მეუფემან / საკრველითა მტკიცითა შეკრა / და არა უტევა, რაჲთამცა A 24
სრულიად დააქცია ნათესავი კაცთაჲ. და მიერითგან არა აქუს თჳსი ძალი, B v
არამედ ჩუენგან მიიღებს ძალსა ვნებად ჩუენდა უგუნურებითა ჩუენითა მო-
შურნე იგი. და ვითარცა უკეთურნი იგი და ანგაჰრნი კაცნი, რომელთა საქმჱ
ესე არს, რაჲთა სხუათაგან მოტაცებულითა მით მონაგებითა განმდიდრდებოდინ
და ძალი არა აქუნ ამისდა ქმნად, მაშინ უკუე წარვიდიან და დასხდე-
ბიან გზათა ზედა, დამალულნი ქუაბთა შინა, გინა ტყეთა, რაჲთა უხილავ იყვ-
ნენ მგზავრთა მიერ, და ესრეთ იხილნიან რაჲ მომავალნი მგზავრნი, მეყსა შინა
უცნაურად ზედა-მიუჴდიან მათ, რაჲთა ვერ უძლონ მათ განრო / მაჲ მათგან, C v
ეგრეთ არს უკეთური ეშმაკი, პირველითგანი იგი მბრძოლი ჩუენი: ჴორცთა
განსუენებისა ჴურელთა შინა დაიმალვის, რომელნი-იგი არიან გზასა ზედა
ამის ცხორებისასა, რომელთა ძალ-უც დამალვად ავაზაკისა მის, რაჲთა ჩუენ
ვერ ვხედვიდეთ და მუნით უცნაურად წარწყმედისა საფრჴეთა დაგჳდგამს.
ხოლო ჩუენ უკუეთუ გუნებავს, რაჲთა გზაჲ იგი ამის ცხორებისაჲ კეთილად
წარვლოთ და წარუდგინოთ ქრისტეს სული და ჴორცნი, სირცხჳ/ლისა მისგან B 31
წყლულებათაჲსა განთავისუფლებულნი, და ესრეთ მოვიღოთ გჳრგჳნი იგი
ძლევისაჲ, გჳჳმს მარადის მღჳძარედ მიმოვლებაჲ თუალთა მათ სულისათა და,
რაჲთა ყოველთა მიმართ კეთილთა ამის სოფლისათა იჭუეულ ვიყვნეთ და
არარას მათგანსა შევაქცე/ვდეთ გონებათა ჩუენთა. დაღაცათუ ოქროჲ წინა- A v
მდებარე იყოს დასხმული ხუავად, ნუმცა მივლენ მას ზედა გულნი თქუენნი
(„რამეთუ სიმდიდრე თუ გარდაგერეოდის, ნუ შეაპყრობთ გულთა“)[2*], ნუმ-
ცა უკუე ვხედავთ ქუეყანისა კეთილთა („რამეთუ ჩუენი მოქალაქობაჲ ზეცა-
თა შინა არს, ვინაჲცა მოველით მაცხოვა/რსა ქრისტეს“)[3*], ნუცა მღერათა C 27
მიმართ და ტაბლათა და მთრვალობათა მივისწრაფით („რამეთუ ამაოებაჲ
ამაოებისაჲ — ყოველივე ამაო არს“)[4*], ნუცამცა შუენიერებაჲ პირთაჲ
შეგუაგინებს, რომელთა შინა დამკჳდრებულ იყვნიან სულნი ბოროტნი (რა-

---

3 მიერ—C. სურვილად C. 4 წადიერებასა A. 5 არაჲ A. საქმჱ C. 6 სიტყუათა (τῶν λόγων)] საქმეთა B. ამხილჱ C. 8 განრინებად C. 10 მარადღჱ C. 12 ~ მისი ძალი C. 15 და უგუნურებითა A. მოშურნჱ C. 16 საქმე B. 18 დაჰსხდიან C. 20 მგზავრთა მიერ] მგზავრთაგან B, მოგზაურთა მიერ C. 21 -მოუჴდიან C. 22 ეგრეთვე C. იგი—C. 23 დაჲმალვის B. 27 ქრისტეს] ჩუენ C. 31 ამათგანსა [C. 32 -მდებარე]-მდგომარჱ C. 33 გულთა+თქუენთა C. 35 ქ~სა A —C. ნუმცა C. 37 ამაოებისაჲ C]+და B. ყოველივე + ესე BC. ნუმცა BC.

1* იგავ. 9,8. 2* ფსალმ. 61,11. 3* ფილიპ. 3,20. 4* ეკლეს. 1,2.

მეთუ ბრძენი იგი იტყჳს, ვითარმედ: „პირისაგან დედაკაცისა, ვითარცა პირი-
B v საგან გუელისა, ივლტოდე“)[1*], ნუცა ძლიერებანი და / მთავრობანი და დიდე-
ბანი კაცთანი და სიმაღლჱ საყდრისაჲ და ბრწყინვალებაჲ გუაცთუნებს და
მონებაჲ ქალაქთა და ნათესავთაჲ („რამეთუ ყოველი კაცი თივაჲ არს და ყო-
ველი დიდებაჲ კაცისაჲ—ყუავილი თივისაჲ; განჴმის თივაჲ იგი და ყუავილი
მისი დასცჳვის“)[2*]. რამეთუ ამათ ყოველთა შინა მტერი იგი ჩუენი და-
მალულ არს და ელის, თუ ოდეს-ძი მივდრკეთ გზისა მისგან მართლისა და
საყოფელთა მათ მისთა მივიდეთ. და შიში არს დიდი, ნუუკუე შევიდეთ სა-
ქმეთა ამათ შინა კეთილად საგონებელთა და არა უწყოდით დაფარული იგი
ბოროტი და ესრეთ შთავნთქათ გემოსა მას თანა სიტკბოებისასა სამჴედური
იგი მწარისა მის წარწყმედისაჲ. და მერმე რომელიმე ნეფსით და რომელიმე
A 243 უნებლიეთ / იქმნას შემშჳუალვაჲ ჩუენი საქმეთა / მათ და ესრეთ მიგჳზიდნენ
C v გულისთქუმათა უცნაურად საშინელისა მის საყოფლისა მიმართ ავაზაკისა მის,
რომელ არს სიკუდილი.

2. არამედ ამისთჳს უკუე კეთილ არს, ძმანო, რაჲთა ვიქმნეთ, ვითარცა
B 314 მგზავრნი მალიად მსრბოლნი და სუბუქად მავალნი, და ესრეთ აღ/ვასუბუქნეთ
სულნი ჩუენნი სიმძიმეთა მათგან სოფლისათა სლვად გზასა მას უცთომელად
და კეთილად აღსასრულად მივიწინეთ. და ნუ ვინ მოიგონებს, თუ მე ახალთა
სახელთა მოქმედი ვარ, რამეთუ ცხორებასა კაცთასა გზად უწოდა, რამეთუ
წინაჲსწარმეტყუელმანცა დავით ესრეთ უწოდა ცხორებასა ამას, რაჟამს-იგი
იტყოდა: „ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან რჩულსა უფლისა-
სა“[3*] და კუალად მეუფისა მიმართ ღაღადებს, ვითარმედ: „გზაჲ სიცრუვისაჲ
განმაშორე ჩემგან“[4*] და კუალად, უგალობდა რაჲ ღმერთსა შეწევნისა მისი-
სათჳს, რომელსა ჰყოფს ჰირველთა ზედა, და ორძალსა სცემდა კეთილად და
იტყოდა: „ვინ არს ღმერთ, გარნა ღმრთისა ჩუენისა ღმერთი, რომელმან შემ-
მოსა მე ძალი და დასხნა უბიწოდ სლვანი ჩემნი“[5*]. და ყოველსა ადგილსა
C 277 გზად უწესს ცხორებასა კაცთასა, გინა თუ საქებელი არნ, / ანუ თუ ბოროტი.
რამეთუ ვითარცა მავალნი გზისანი ბიჭთა მათ ფერჴისათა მარადის ურ-
თიერთას წინა მოსწრობით დასდებენ, და რომელი-იგი ფერჴი წინა დადვიან,
მეორესა ბიჯსა უკუანაჲთ მოაქციიან და კუალად წინაჲ იგი უკუანა ყვიან შე-
B v ცვა/ლებითა მით მეორისაჲთა და ესრეთ მი/იწინიან დასასრულსა გზისა მათი-
A v *სასა, ეგრეთვე რომელნი ცხორებასა ამას შემოვიდენ დამბადებელისა მიერ,
მეყსეულად დაწყებასავე ცხორებისა მათისასა უკუნ-გდებად ჟამთა იწყებენ
და წინა მყოფი იგი დღჱ მარადის უკუანაჲთ მოაქციიან და ესრეთ მივლენ
აღსასრულად ცხორებისა მათისა. ანუ თქუენ ვითარ იტყჳთ? არა ესევითარი
გზაჲ არს-ა ესე ცხორებაჲ და სლვაჲ, განყოფილი ჰასაკებითა ვითარცა მილიო-
ნებითა? და დაწყებაჲ სლვისაჲ მის თითოეულისაჲ იქმნების სალმობაჲ იგი
დედისაჲ და შობაჲ, ხოლო დასასრული სარბიელისაჲ მის იქმნების საფლავი.

[2] ივლტოდჱ C. [3] სიმაღლე Ḃ. [3] მბრწყინვალებაჲ C. გაცთუნებს C. [4] დამონებაჲ C. ნათე-
სავთა A. თივა B. [5] თივისა B. [7] ოდეს-მე C. [9] მათ B. [11] მერმჱ C. ნებსით C. [12] უნებლიაჲთ C.
შემსჳუალვაჲ B. მიგუზიდნენ C. [15] არამედ—BC. ვიქმნნეთ C. [19] მივიწიენეთ C. [19] უწოდჱ C.
[21] შჯულსა Ċ. [22] სიცრუისაჲ B. [23] განმაშორჱ C. [26] და 1°—A. და ყოველსა—A. [27] ანუ]გინა C.
[28] ფერჴთაჲსა AB. მარადის]მიერ B. [30] მოაქცევენ C. [34] დღე B. [35] აღსასრულად]დასასრულსა C.
მათისასა C. [37] თითოეულისაჲ B. [38] სარბიელისა C.

[1*] ზირაქ 21,2. [2*] ესაია 40, 6—7. [3*] ფსალმ. 118, 1. [4*] ფსალმ. 118, 29. [5*] ფსალმ. 17,32—33.

და რომელიმე გჳანად-რე მივიდის აღსასრულსა მას გზისა თჳსისასა და რომე-
ლიმე — ადრე; და რომელმანმე წარვლნის ყოველნი იგი სადგურნი ჰასაკთანი,
ხოლო რომელიმე პირველსაცა უტევანსა ცხორებისასა არა მივიდის. და სხუა-
თა მათ გზათა, რომელნი ქალაქითი-ქალაქად / მივლენ, შესაძლებელ არს არა C v
წარვლაჲ, რომელსაცა ენებოს, არამედ ამას გზასა დაღაცათუ ჩუენ / არა გუე- B 315
ნებოს სლვაჲ, ვინაჲთგან ერთგზის შეგჳწყნარნა, თჳნიერ ყოვლისა მიზეზისა
დასასრულად მიგჳყვანებს. და არა შესაძლებელ არს, საყუარელნო, რომელ-
სა ერთგზის გამოევლოს ამას ცხორებასა შემომყვანებელი იგი ბჭჱ და გზასა
ამას შემოსრულ იყოს, თუმცა არა მივიდა აღსასრულად. არამედ თითოეულმან
გამო-რაჲ-ვლის საშოჲ დედისაჲ, მეყსეულად / მდინარესა მას შინა შევალს და A 244
დის მათ თანა და მარადის დღჱ იგი, რომელსა შინა არნ, ზურგით დაუტევის
და გუშინდლისა მიმართ არღარა შესაძლებელ არს მიქცევად, დაღაცათუ
ფრიად ენებოს. ხოლო ჩუენ გჳხარის, რაჲზომცა წინაჲთ კერძო მივიწეოდით,
ვითარმცა რაჲმე მოგუეცემოდა, რაჟამს-იგი სიყრმისაგან ვიქმნით ჭაბუკ და
ნერმე მოხუცებულ; და უმეცარ ვართ, რაჲთამცა გულისჴმა-ვყავთ, ვითარმედ
წარგჳწყმდების იგი ყოველი, რომელიცა წარვლოთ და ვერ ვსცნობთ განლე-
ვასა მას ცხორებისა ჩუენისასა და არა უწყით, თუ ოდესმე ინებოს მან, რო-
მელმან-იგი გზასა ამას / გამოგუავლინნა, დასასრულისა ყოფად სლვისა ამის B v
ჩუენისა. ანუ თუ ოდეს განუღებს თჳთოეუ/ლისა მავალთა მათგანისა კარსა C 278
შემოსლვად გზასა ამას და ვითარმედ გჳჯმს მარადის მზა ყოფად და მოლოდე-
ბად ნებასა მეუფისასა, რაჟამს ყოს აღსასრული, ვითარცა თავადი იგი იტყჳს,
ვითარმედ: „იყვნენ წელნი თქუენნი მორტყმულ და ლამპარნი აღნთებულ და
თქუენ ეჵსგავსენით კაცთა, რომელნი ელოდიედ უფალსა მათსა, ოდეს მოიქ-
ცეს ქორწილით, რაჲთა მო-რაჲ-ვიდეს და ჰრეკოს, მეყსეულად განუღონ მას“1*.
3. ხოლო ჩუენ არა გუნებავს გულისჴმისყოფაჲ, თუ რომელნი არიან
ტჳრთნი იგი სუბუქნი ამის გზისა მიმართ, რომელნი სადგურსა მას ჩუენ თა-
ნავე მოვლენ, რაჲთამცა იგინი შევკრიბენით, რომელნი მუნ გუახარებენ ჩუენ,
ანუ თუ რომელნი არიან მძიმენი და ძნელოვანნი და ქუეყანასა შემშჳუალულ-
ნი,/რომელნი არა ჭეშმარიტად მიეცემიან კაცთა, არცა ეტევიან იწროსა მას გზა- A v
სა, რაჲთამცა შეუდგეს მომგებელთა მათთა. არამედ დაგჳტეობიან იგინი, რო-
მელთაჲ შეკრებაჲ/გჳჯმდა და რომელთაჲ ჯერ-იყო შეურაცხყოფაჲ, მათ შევჰკ- B 316
რებთ. რამეთუ რომელნი-იგი ჭეშმარიტად ჩუენნი არიან და ჩუენ თანა მოვლენ—
სული და ჴორცნი, ესენი ესრე განუწმედელად და შებღალულად ვნებათა მიერ
დაგჳტეობიან და არა მივხედავთ, ხოლო რომელნი-იგი უცხო არიან ჩუენგან მა-
რადის და / სირცხჳლსა ოდენ მოგუატყუებენ და სხუასა არარას, მათ დაკრე- C v

1 -რჱ C. 2 ადრჱ C. 4 ქალაქით- A. არა—BC. 5 წარსლვაჲ C. 6 თჳნიორ B. 8 ბჭე B. 9 მას BC. მოვიდა A. არამედ]არა C. თითუეულმან B. 10 გამო-რაჲმე-ვლის C. მეყსეულად C. 11 დღე B. 13 გუენებოს C. მივიწინით C. 14 ვიქმნნით C. 15 მერმჱ C. გულისხმა- C. 16 რომე-ლი C. განლევასა]განსლვასა A. 17 მას—C. 19 მას B. 19 თუ —B. თითოეულისა C, თითუეული-სა B. 20 მას B. ვითარმედ]ვითარ B. 21 ნებასა+მას C. მეუფისასა]უფლისასა B. 22 შერტყმულ B. 23 ემსგავსენით]მსგავს BC. ელოდედ B, მოელიედ C. მათსა]თჳსსა C. 24 მეყსეულად B, და მეყსე-ულად C. 25 გულისხმისყოფაჲ C. 26 მის B. 28 ძნელოანნი B. ქუეყანისა C. შემსჭუალოლნი B. 30 დაგჳტევობიან C. იგინი]იგი C. 31 შეურაცხჰყოფაჲ C. 33 ესრეთ C. 34 დაგჳტევებიან C. არაჲ C. მიეჴხედავთ C. 35 არარას]არას C.

1* ლუკა 12,35—36.

ბად არა დავაცადებთ. დავშურებით და ვიჭირვით ამაოდ, ვითარმცა ვინ აც-
თუნებდა თავსა თჳსსა და განჴურეტილსამცა ჭურსა შთაასხმიდა. რამეთუ
ესრეთ ვჰგონებ, თუ ესე ყოველთავე უწყიან ჩჩჳლთაცა ყრმათა, ვითარმედ
არა რაჲ არს სოფლისა ამის კეთილთაგან, რომელთა ზედა მრავალნი მოს-
წრაფე არიან, ჭეშმარიტად ჩუენი, არცა ოდეს იქმნას ჩუენდად, არამედ ყო-
ველთაგანვე უცხო არს — მომგებელთაცა მათთა და რომელთაცა არა რაჲ
აქუნდეს მათგანი. რამეთუ უკუეთუ ოქროჲ ვიეთმე შეკრიბონ ფრიადი და
ურიცხჳ სოფელსა ამას, მათიმცა იყო-ა იგი მარადის? ნუ იყოფინ! არამედ
B v მრავალგზის სიცოცხლესავე მათსა ივ/ლტინ მათგან. დალაცათუ იგინი ყოვ-
ლით კერძო ჰმარხვიდიან მას, არამედ იგი წარვიდის მათგან სივლტოლით.
ანუ დალაცათუ სიცოცხლესა უბადრუკებითა და ჭირითა რაჲმე დაჰმარხიან,
არამედ ჟამსა მას სიკუდილისასა დაუტევნის მან იგინი და არა ჰნებავს მომ-
A 245 გებელთა მათ თჳსთა თანა წარსლვად. არამედ იგინი მიიზიდ/ვებოდიან
ძლიერებით სულთა მათთა განმაშორებელისა მისგან უბადრუკისა მის გუა-
C 279 მისაგან და მი/იყვანებოდიედ გზასა მას თანაწარუვალსა. მაშინ მოიქციან სიმ-
დიდრისა მის მათისა მიმართ და ცრემლოოდიედ ამაოთა მათ შრომათა მათ-
თათჳს და ოფლთა მათ, რომელნი მათ ზედა დასთხინეს. ხოლო საფასე იგი
სხჳსა ჴელთა მივიდის და მათ მისცის შრომაჲ იგი ოდენ, რომელი მას ზედა
თავს-იდვეს, და ცოდვაჲ იგი ანგაჰრებისაჲ. და არცა, თუ მოიგოს კაცმან ქუე-
ყანასა ზედა სიმრავლე საფასეთაჲ ბევრეული და შუენიერებანი ტაძართანი და
სიმრავლენი საცხოვართანი და თითოფერთა მათ ცხოელთანი და ყოველი-
B 317 ვე კაცობრივი დიდებაჲ შეიმოსოს, აქუს რაჲ სარგებელი მის ყოვლისა/გან,
არამედ მცირედ ეწოდის მას ყოველსა ზედა სახელი, და მერმე სხუათა მიე-
ცის და მან მცირედი მიწაჲ ოდენ პოვის სამკჳდრებელად თჳსად და მრა-
ვალგზის, უწინარეს სიკუდილისა და საფლავისა და ამიერ წარსლვისა, იხი-
ლის სიმდიდრე იგი სხუათადა მიცემულად, და ნუუკუე მტერთაცა მისთა
მიიღიან იგი სამკჳდრებელად. ანუ არა უწყით-ა, რავდენნი სოფლები და რავ-
დენნი ტაძარნი და რავდენნი ქალაქნი და ქუეყანანი, ვიდრელა ცხოელ იყვნიან
C v მომგებელნი მათნი, სხუათა უფალთა ჴელსა მივიდიან? / და რომელნი-იგი
მონა იყვნიან, მრავალგზის საყდარსა უფლებისასა დასხდეს და უფალნი იგი
და მეფენი მონათა თანა შეირაცხნეს შეცვალებითა საქმეთაჲთა?

4. ხოლო ჭამისა და სუმისა იგი ღონენი, რომელნი ბოროტმან სიმდიდრე-
A v მან მოიპოვნა, ყოველივე უმეტესი საჭმრისაჲ აღსავსებელად / უმადლოჲსა მის
და არარაჲსა დამმარხველისა მუცლისა, მათგანი რაჲმცა იქმნა ჩუენდად?
რომელნი-იგი ოდენ სლვასა მას შინა მათსა მცირედსა გემოსა დაუტეობენ სა-
B v სასა შინა / და თჳთ ივტლიან და მერმე, ვითარცა საწყინონი და შემაიწრე-
ბელნი, განვყარნით იგინი ჩუენგან, რომელ თუ დაეყოვნონ გუამსა შინა, ბო-

---

1 დავაცადებთ] დავჰსცხრებით C. ჭურსა] ჭურჭელსა C. 3 ყოველთა C. 4 მოსწრაფე C. 5 ჩუენი] ჩუენდა C. იქმნა A. 7 მათგან C. 11 უბადროკებით B. ჭირით BC. 13 მიიზიდე-ბოდიან C. 14 მიძლიერებით C. 15 მიიყვანებედ C. 16 მიმართ—C. ცრემლოდიედ B. ცრემლო-ვოდიან C. შურომათა C. 17 მათ 2°] მას C. საფასე C. 18 მოსცის B. შურომაჲ C. 20 სიმრავლე C. საფასეთაჲ (κτήματα)] სფ˜ლთაჲ A. ბევრეულნი B. 21 საცხუართანი B. ცხოველთანი C. 22 შეჲმოსოს B. შეემოსოს C. 23 ეწოდების C. მერმე C. 24 პოის B. 26 სიმდიდრე C. დასა-მკკდრებელად C. რაოდენი C. 28 რაოდენნი C. ცხოველ BC. 29 და—A. 30 უფლისასა A. დაჰსხდეს C. 31 მეუფენი B. 33 და ყოველივე B. აღსავსებლად C. 34 იქმნის C. 35 დაუტევობენ C. 36 მერმე C. 37 განვყარნეთ C. იგინი] იგი B. დაეყოვნოს A, დაიყოვნონ C.

როტსა მოაწევენ ჩუენ ზედა. რამეთუ სიმაძღრემან მრავალთა მოატყუა სიკუდილი და მიზეზ ექმნა არღარაოდეს ჭამისა.

ხოლო კუალად სარეცელნი იგი ბილწებისანი და შეერთებანი იგი შეგინებულნი და ყოველნი იგი საქმენი განცოფებულისა და დაბნელებულისა სულისანი, რაჲ არიან იგინი, რასა იტყჳთ? არა სრულიად ზღვევა და ვნება ბუნებისა ჩუენისა არიან-ა და კეთილთაჲ მათ ჭეშმარიტად ჩუენთაჲ წარწყმედა და ჴორცთაცა მავნებელ? რამეთუ ბოროტი იგი ბილწებაჲ მიიღებს ძალსა გუამისასა და დაჰჴსნის ასოთა სიმტკიცესა. და ამისთჳსცა თითოეული, შე/ბღალული C 280 ბოროტთა მათ სარეცელთაგან, მას ჟამსა, რაჟამს საქმჱ იგი ბილწებისაჲ აღასრულოს და სიბორგილე იგი ჴორცთაჲ დასცხრეს და დამჭნარ იქმნას და გონებაჲ მოეიდეს გულისჴმისყოფად საქმისა მის, ვითარცა მთრვალობისაგან დიდისა მოქცეულმან, ანუ ძილისაგან განღჳძებულმან, / B 318 და მოიგონოს, თუ სადა არს აწ გემოჲ იგი ბოროტისაჲ მის საქმისაჲ, მაშინ ფრიად მწარედ შეინანებს დაჴსნილობისა მის საქმესა, რამეთუ სცნობს, თუ ვითარ უძლურ იქმნების და განლეულ გუამი და საქმეთა მიმართ საჴმართა უღებ და უსუსურ. ამისთჳსცა ესე გულისჴმა-ყვეს კაცთა / A 246 და რჩულსა მას სიწმიდისასა დასწერენ სარკინობელთა მათ ადგილთა, რაჲთა, რომელსა ენებოს მორკინლობაჲ, დაიცვიდეს ჴორცთა თჳსთა ესევითართა საქმეთაგან, და ესრეთ დასწერენ განკრძალევასა, რაჲთა მორკინალნი პირთაცა შუენიერთა არა მიხედვიდენ, რაჲთა ესრეთ გჳრგჳნოსან იქმნენ, რამეთუ ბილწებაჲ საკიცხელ ჰყოფსო მორკინალთა და არა გჳრგჳნოსან.

5. ესრეთ უკუე ამას ყოველსა თანა-წარვჰჴდეთ, დავიყვნეთ თუალნი ჩუენნი ესრეთ არა ხილვად უჴმართა ამათ და არაჩუენთა საქმეთა და ვისწრაფოთ მოგებად / C v ჭეშმარიტად ჩუენთა მათ. ხოლო რაჲ არს ჭეშმარიტად ჩუენი?

პირველად უკუე სული, რომლითა ცხოელ ვართ, რომელი არს წურილ, თხელ და გონიერ და არარაჲ უჴმს მას ზრქელთაგან / B v ამის სოფლისათა, და მერმე ჴორცნი, რომელნი მიეცნეს მას ეტლად დამბადებელისა მიერ სოფელსა ამას შინა. რამეთუ ესე არს კაცი — გონებაჲ შერთული ჴორცთა ამათ შინა, შუენიერად და ჴელოვნებით ქმნულთა. ესე ყოლად ბრძნისა მის, ჴელოვნისა ყოველთაჲსა, საშოსა მას შინა დედისასა დაიბადების. ამას ნათლად მოიყვანებს ბნელთა მათ ადგილთაგან ჟამი იგი შობისაჲ, ესე მთავრად დადგინებულ იქმნა ყოველთა ზედა ქუეყანისა დაბადებულთა, ამისდა მოცემულ არს სოფელი გამოსაცდელად სათნოებისა მისისა, ამისდა მოცემულ არს რჩული მიმსგავსებად დამბადებელისა ძალისაებრ თჳსისა და რაჲთა წესიერებაჲ იგი ზეცისაჲ გამოსახოს / A v ქუეყანასა ზედა. ესე ამიერ მიიცვალების, ესე ღმრთისა შემოქმედისა საყდარსა წარმოუდგების, ესე განიკითხვის, ესე მიიღებს ნაცვალსა

---

1 მოაწევეს A. 2 ექნა C. 5 არა]არამედ B. 6 არიან B. კეთილთა C. ~ ჩუენთაჲ ჭეშმარიტად C. 8 თითოეული B. 9 სარეცელთაგან]საწერტელთაგან C. საქმე B. 10 სიბორგილჱ C. დაჰსცხრეს C. 11 გულისხმისყოფად C. 13 გემოჲ]გემოვნებაჲ C. ~ საქმისა მის ბოროტისაჲ C. 14 საქმისა C. თუ—AC. 16 ესე]ესრჱ C. გულისხმა- C. შჯულსა C. 18 და—C. 19 მიჰხედვიდენ C. 20 იქმნნენ C. ჰყოფს AC. 22 -წარეჰკდეთ B. დავიყვნეთ]დავაყენნეთ C. 23 ~ არა ხილვად ესრეთ BC. ვისწრაფოთ + ჭეშმარიტად C. 26 ცხოველ BC. რომელ-იგი C. წულილ C. 27 სიზრქეთაგან B]საქმეთაგან C. 28 მერმჱ C. მიერ]მიმართ C. 29 მათ C. 30 ჴელოვნად C. ქმნილთა BC. 31 ~ დაიბადების დედისასა B. 34 შჯული C. 36 გამოჰსახის C. 37 წარმოდგების C განიკითხავს B.

აქა ქმნილთა მათ საქმეთასა. ხოლო მონაგებნი ჭეშმარიტნი სათნოებანი არი-
ან, რაჲამს მოღუაწებითა ჩუენითა შეეთხზნენ ბუნებასა ჩუენსა, და არცა ქუე-
C 281 ყანასა ზედა დაგჳ/ტეობენ, / ჭირსა რაჲ მივეცნეთ, უკუეთუ ოდენ ჩუენ არა
B 319 წარვდევნნეთ იგინი იძულებით ენებათა მიერ. არამედ მუნ რაჲ მივიდოდით,
წინა გჳრბიან და ანგელოზთა თანა შეაერთებენ მომგებელთა მათთა და ბრწყინ-
ვენ მარადის წინაშე თუალთა მომგებელისა მათისათა. ხოლო სიმდიდრე და
დიდებაჲ და შუებაჲ, რომელნი-ესე მარადღე ჩუენითა ამით უგუნურებითა
აღორძნდებიან, იგინი არცა შემოსრულ არიან ჩუენ თანა ცხორებასა ამას,
არცა განვლენ ვიეთ თანამე, არამედ რომელი-იგი ოდესმე მართალმან მან
თქუა, იგი აღსრულებულ არს ყოველსა კაცსა ზედა და მტკიცე არს, ვითარ-
მედ: „შიშუელი გამოვედ დედის მუცლით ჩემით და შიშუელიცა წარსლვად
ვარ“[1*].

6. და რომელმანცა კეთილად განიზრახოს უმჯობესი თჳსი, მან ყოველივე
ზრუნვაჲ თჳსი სულისა თჳსისათჳს ქმნას, რაჲთა იგი აცხოვნოს კეთილად და
ჯეროვნად. ხოლო ჴორცნი გინა თუ სიყმილითა მოსწყდებოდინ, ანუ ყინე-
ლითა და სიცხითა დაიშჯებოდინ, ანუ სენთა მიერ ელმოდის, არარად შეჰრაც-
B v ხნეს, არამედ სიტყუასა მას მოციქულისასა იტყოდის ყოველთა შინა ჭირთა, /
ვითარმედ: „დაღაცათუ გარე კაცი ჩუენი განიხრწნების, არამედ შინაგანი
C v განახ/ლდების დღითი-დღე“[2*]. და არცა სიკ/უდილისაგან შეშინდეს, არცა სა-
A 247 ტანჯველთაგან, არამედ მანცა თქუას, ვითარმედ: „ესე უწყით, უკუეთუ ქუე-
ყანისა ესე სახლი, ჩუენი საყოფელი, დაირღუეს, აღშენებული ღმრთისამიე-
რი მაქუს ჩუენ სახლი ჴელითუქმნელი, საუკუნე ცათა შინა“[3*] ხოლო უკუე-
თუ ვის ენებოს რიდობაჲ ჴორცთაჲ, რამეთუ იგინი ოდენ არიან მონაგებ სუ-
ლისა და შემწე მისა ცხორებად ქუეყანასა ზედა, კნინი რაჲმე ზრუნვაჲ მის-
ცეს მათ, რაჲთა ოდენ ეგნენ ქუეყანასა ზედა და მსახურებასა მას შინა სუ-
ლისასა ფრთხილ იყვნენ, ხოლო არა ესრეთ, რაჲთამცა სიმაძღრისაგან აღი-
ძრვოდეს, არამედ უკუეთუ იხილნეს იგინი ოდესმე უმეტეს ზომისა მეძიე-
ბელ, ჰრქუას მათ, ვითარმედ: „არარაჲ შემოვიღეთ სოფელსა ამას და არცა
რაჲ განღებად გჳც, არამედ საზრდელი ესე და სამოსელი კმა იყავნ ჩუენ-
და“[4*], რამეთუ ესევითარითა ამით სახითა სუბუქად აღჴდეს აღსავალსა მას
ცისასა და მოიგნეს ჴორცნი თჳსნი შემწედ სათნოებისა.

B 320 უკუეთუ კულა უტეოს მათ აღმაღლებად / და მარადღე აღვსებად მუც-
ლისა, ვითარცა მჴეცი რაჲმე ველური, უკუანაჲსკნელ მიიმძლავროს მის მიერ
C 282 და დაეცეს ქუეყანად და / გოდებდეს უსარგებლოდ. რაჲამს მიიყვანონ იგი
წინაშე მეუფისა და ეძიებდენ მისგან ჟამთა მათ, ამას სოფელსა შინა მისდა
მიცემულთა, და არარაჲ აქუნდეს მას, რაჲთამცა მისცა, მაშინ იგლოოს გრძე-
ლად და უსარგებლოდ და დაიმკჳდროს ბნელი იგი საუკუნოჲ. და ფრიად აბ-

---

[1] მათ.—B. [2] ჩუენითა]ჩუენ თანა C. [3] დაგჳტეობენ C. [4] წარვდევნეთ B. [6] სიმდიდრჱ C. [7] მღ˝ღჱ C. [10] მტკიცჱ C. [11] და—B. [16] დაისჯებოდინ B. დაისაჯებოდინ C. [18] გარე]გარეშჱ C. [19] დღჱ C. შეშინდეს]ეშინოდის C. [20] უკუეთუ]უკუე B. [21] სახლი] სახელი B. [22] გუაქუს BC. ჴელთუქმნელი B. საკ˝ნჲ C. [23] ჴორცთა B. [24] შემწჱ C. მისსა BC. ქუ˝ნა B. კნინ C. მისცჱ C. [25] ქუეყანასა ზედა — C. შინა—C. [26] იყუნენ B. [28] მათ]მას B. [29] სამოსელი] სასუმელი C. და კმა C. [32] უტევოს C. მათ]მას C. ამაღლებად C. მარადღჱ C. [35] ეძებდენ B. [36] რაჲთამცა]რაჲმცა C. იგლოვდეს C.

[1*] იობ 1,21. [2*] II კორინ. 4,16. [3*] II კორინ. 5,1. [4*] I ტიმოთე 6,7—8.

რალოს შუებასა მას და ცთომასა თჳსსა, რომელი-იგი სცთა მას ზედა და წარ-
წყმიდა / ჟამი იგი ცხორებისაჲ. და ცრემლთა მათგან არარაჲ ერგოს, „რამე- A v
თუ ჯოჯოხეთს შინა ვინ-მე აღგიაროს შენ“[1*]? — იტყჳს დავით.

7. ვივლტოდით უკუე, ჵ ძმანო, საქმეთაგან სოფლისათა მოსწრაფებით
და კეთილად, თავნი ჩუენნი ნეფსით ვტანჯნეთ. რამეთუ უკუეთუ ვინ ცთო-
მილ არს და გონებაჲ თჳსი ზრუნვითა სიმდიდრისაჲთა დაუბნელებიეს და
საკრეველითა მძსითა შეუკრავს, ანუ ბილწებაჲ, შეგინებაჲ მოუწევიეს თავსა
ზედა თჳსსა, ანუ სხუათა მათ ცოდვათაგან შეუბღალავს თავი თჳსი, ესევი-
თარმან მან, ვიდრელა ჟამი არს, ვიდრელა არა მოსრულა სრულიად წარწყმე-
დაჲ, აღასუბუქენ ტჳრთ/თა მათ თჳსთა სიმძიმე და ვიდრე არა დანთქმულ B v
არს სრულიად ნავი იგი, გარდაყარენ სიმრავლე იგი ტჳრთისაჲ, / რომელი-იგი C v
თჳთ განბნევად არს, თუცა მან არა განაბნიოს. მიემსგავსენ მენავეთა, რომელ-
ნი-იგი, რაჟამს აღდგენ მათ ზედა ღელვანი სასტიკნი, დაღაცათუ რაჲმე დიდ-
ფასისაჲ აქუნდეს სიმძიმჱ, ზღუად შთააბნევენ, რომელ ესრეთ ნავი იგი ყვიან
უზეშაეს ღელვათა, რაჲთა იგინი ოდენ შემძლებელ იქმნენ შრომით განრომად
დანთქმისა მისგან. ხოლო ჩუენ უმეტესადღა თანა-გუაც, რაჲთა ესრეთ ვჰყო-
ფდეთ, რამეთუ მათ რომელიცა-რაჲ გარდააბნიონ, მეყსეულად წარუწყმედია
და მოიწევის მათ ზედა ჰირი სიგლახაკისაჲ, ხოლო ჩუენ, რაჲზომცა განვაბ-
ნიოთ ბოროტი იგი ტჳრთი, უმეტესსა სიმდიდრესა შეუკრებთ თავთა თჳსთა.
რამეთუ სიძვაჲ და მსგავსნი მათნი დაუტევნეთ რაჲ, წარ/წყმდებიან და არარა A 246
იქმნებიან დაჴსნილნი ცრემლთა მიერ, ხოლო სიწმიდე და სიმართლე საუკუ-
ნოდ ჰგიან, რამეთუ საქმენი არიან / ესენი სუბუქნი და დაუფარველნი ღელვა- B 321
თა მიერ. და კუალად საფასჱ, განბნეული კეთილად, არა წარუწყმდების გან-
მბნეველთა მისთა, არამედ ვითარცა სხუათა ნავთა შინა, მაგართა და დიდთა,
შევალს მუცელთა მათ გლახაკთასა და დაიმარხვის და მიიწევის ნავთსაყუ-
დელად ცხორებისა და ექმნების განმბნეველთა მათ სამკაულ / და არა სიგლა- C 283
ხაკე.

8. აწ უკუე, საყუარელნო, განვიზრახოთ ჩუენცა თავთა ჩუენთათჳს კეთილი რაჲმე და სიმძიმჱ ესე სიმდიდრისაჲ. უკუეთუ გუნებავს, რაჲთა სიმდიდრე იქმნას ჩუენდა, განუყოთ გლახაკთა, რომელთა მიიღონ იგი ყოველი სიხარულით და წიაღთა მათ მეუფისათა შინა დაჰმარხონ, საუნჯესა მას უშიშსა, სადა მღილმან არა გარყუნას, არცა ავაზაკთა წარიტაცონ[2*].

მივსცეთ ჴელმწიფებაჲ სიმდიდრესა განბნევად, რომელი-იგი იძულებით დაგჳყენებიეს, რაჲთა ესრეთ მივიდეს გლახაკთა თანა. ნუ თანა-წარვჰჴდებით წინაშე თუალთა ჩუენთა მდებარეთა ლაზარეთა, ნუცა დაუყენებთ მათ ნაფშუენსა ტაბლისა ჩუენისასა, რომელი ეყოფის მათ განსაძღომელად[3*], ნუცამ-

---

1 რომელ-იგი BC. 2 ცხოერებისაჲ C. არღარაჲ B. არაჲ C. 3 ვინღამე C. აგიაროს B. 4 ამის სოფლისათა C. მოსწრაფედ C. 6 ნებსით C. რამეთუ]და BC. 7 და შეგინებაჲ C. 8 შეუბღალებიეს B. 9 მოსრულ არს C. წარწყმედად BC. 10 აღსუბუქენ A. სიმძიმჱ C. 11 სიმრავლჱ C. 13 რაჲმჱ C. დიდფასისაჲ] დიდ-რაჲმე-ფასისაჲ C. 14 სიმძიმე B. რომელ]რაჲთა BC. 15 რაჲთა იგინი]რომელნი C. შურომით C. 16 დანთქმისა მისგან]დანთქმისაგან BC. ხოლო—B. 17 მეჴსეულად B. 18 ჰირი+იგი C. 20 არღარა C. 21 სიმართლჱ C. 22 სუბუქ C. 23 საფასე B. კეთილად—C. განმაბნეველთა C. 26 ცხ̃რბისდ C. და—C. იქმნების C. განმაბნეველთა C. სიგლახაკჱ C. 29 სიმძიმე B. ესე]იგი C. გნებავს B. სიმდიდრჱ C. 30 იქმნეს C. ~ გლახაკთა განუყოთ C. 32 განრყუნას BC. 36 ეყოფვის C. განსაძღებელად C.

1* ფსალმ. 6,6. 2* მათე 6,20. 3* ლუკა 16,20—21.

B v ცა მი/ვემსგავსებით უკეთურსა მას მდიდარსა, რაჲთა არა მასვე გეჰენიასა მი-
A v ვიდეთ, სადაცა იგი. თუ არა ფრიად ვევედრნეთ მაშინ აბრაჰამს და ყოველთა / მართალთა და არავისგან ვპოოთ შეწევნაჲ, „რამეთუ ძმამან ვერ იჴსნას, კაცმან იჴსნას-ა?“[1*]. არამედ თჳთოეულმან მათგანმან გურქუას ჩუენ: „ნუ ეძიებ წყალობასა, რომელი-იგი შენ სხუათა თანა არა ჰქმენ, ნუცა გნებავს ესევითართა
C v დიდთა კეთილთა მიღებად, რომელმან-ეგე უნდო/თა მათგან არავის ნუგეშინის-ეც. მიიღე აწ, რაჲ-ეგე სოფელსა შინა გიქმნიეს. ცრემლოოდე, რამეთუ მაშინ მტირალი ძმაჲ არა შეიწყალე“ — ესე ყოველი გურქუან ჩუენ და სამართლადცა.

ხოლო მე მეშინის, ნუუკუე ამათსა უმწარესთა სიტყუათა გუეტყოდინ, რამეთუ ვსძლევთცა მას მდიდარსა სიბოროტითა, ვითარცა უწყით თქუენცა, ვინაჲთგან არა ოდენ სიმდიდრესა ვსწყალობთ და შეურაცხ-ვჰყოფთ გლახაკთა და დაუმარხავთ საფასესა მას შვილთა, არამედ უკეთურებასა შინა წარვაგებთ სიმდიდრესა მას და აღმლესველად ცოდვისა ვიქმთ და სასყიდელად ბილწები-
B 322 სა. რამეთუ რავდენნი მომღერალნი და მგო/სანნი და მსახიობელნი მამანი და დედანი დგანან ტაბლასა ზედა ვიეთსამე ჩუენგანთასა და ინაჴით-მჯდომარესა მას რომელნიმე სიტყუათა მიერ ბილწებისათა აჰამებენ და რომელნიმე სახეთა მათ მიერ და ხილვათა ბოროტთა პირთაჲსა ცეცხლსა მას სიძვისასა აღაგზნებენ და სხუანი ურთიერთას კიცხევითა და ხუმრობითა სიცილად აღსძრვენ მჯდომარესა მას და სხუანი ქებათა მათ მიერ და შესხმათა ტყუვილი-
A 249 სათა აღიდებენ. და იგინი მერმე მიიღებენ ნიჭთა სიმრავლესა / და საფასეთა
C 284 და ისწავებენ ჩუენგან ესევითართა მათ საქმეთა / მიერ, ვითარმედ უმჯობეს არს საქმე იგი ბილწებისაჲ, ვიდრეღა სათნოებაჲ, ვინაჲთგან ესრეთ პატივცემულ არიან იგინი.

უკუეთუ კულა წარმოგვდგეს ჩუენ გლახაკი, რომელი შიმშილისაგან ჭირით შემძლებელ იყოს სიტყუად, გარე-მივაქცევთ ჩუენსავე მსგავსსა მას კაცსა, გუძაგს იგი და მოსწრაფებით ვივლტით მისგან, ვითარმცა გუეშინოდა, ნუუკუე ნელიად სლვითა ჩუენითა და ახლოს მისა ყოფითა მოგუეცამცა მისი
B v იგი სიგლახაკე. და უკუეთუ / ქუეყანად ხედვიდეს სირცხჳლეული განსაცდელისა მის მიერ, მანქანად სახელ-ვსდებთ; უკუეთუ კულა კადნიერებით გუევედრებოდის ფრიადისა მის ჭირისაგან შიმშილისა მის, ურცხჳნოდ ვეტყჳთ; და უკუეთუ ემოსოს სამოსელი მრთელი, მიცემული ვისგანმე, ვითარცა უძღებსა ვჰდევნით და ვფუცავთ, ვითარმედ იჩემებს იგი სიგლახაკესა; და უკუეთუ უნდოები ძონძები ემოსოს და დამღულალები, ვითარცა მყრალსა, ვიოტებთ. და არცა სახელისაგან ღმრთისა, შემოქმედისა ჩუენისა, შევიკდიმით, რომელსა-იგი შეჰრთავნ ვედრებათა მათ თანა და არცა, რაჟამს გუაფუცებნ არა შთავრდომასა ჩუენსა მათვე ბოროტთა შინა, ვერ მოსდრეკს უწყალოსა მას გონებასა ჩუენსა.

[1] ეემსგავსებით C. [2] იგი-სარს C. არა] არარა B. [3] ვპოვოთ C. [4] თითოეულმან B. თითოეულმან C. [7] მიიღე C. [8] რაჲ-ესე C. ცრემლოვოდე C. [9] ძმაჲ—C. შეიწყალე C. [11] ამათსაცა C. სიტყუათა (ῥήματιν)] სხუათა C. გუეტყოდიან B. [13] ~შვილთა საფასესა მას C. [14] სასყიდლად B. [15] რაოდენნი C. [19] აღჰსძრვენ C. [20] ტყუილისათა B. [21] ~მერმე იგინი C. [22] მათ—C. [23] საქმე C. ვიდრა C. [26] გარე- C. [28] მისსა AB. [29] სიგლახაკე C. [30] კადნიერად B. [31] მის—C. [32] მრთელი] მრვ˝ლი C. [33] იჩემებსო C. [34] დამღულალები] დამპალები A. დამპალები C. [35] ვიოტებთ] ევლტით C. შევიკდემთ C. [36] რომლისა-იგი C. შეჰრთავთ C. [37] მას ჩუენსა C.

[1*] ფსალმ. 48,8.

ამის ყოვლისათჳს მეში/ნის მე საუკუნოჲსა მის ცეცხლისაგან[1*], ნუუკუე Cv
უმძიმესად მოიწიოს ჩუენ ზედა, ვიდრელა მდიდარსა მას.
და უკუეთუ ჟამი მიტევებდა / და ძალიმცა მაქუნდა, ყოველივემცა საქმე A v
მის მდიდრისაჲ წარმოვთქუ და გითხრენმცა სიტყუანი მისნი. ხოლო აწ ჟამი
არს, რაჲთა / განგიტევნე თქუენ, რომელნი-ეგე დამაშურალ ხართ. არამედ B 323
თქუენ, უკუეთუ რაჲ დაგჳკლიეს უძლურებისაგან გონებისა და ენისა ჩემისა,
თქუენ თჳთ გულისჴმა-ყავთ იგი და ასწავებდით სულთა თქუენთა, რამეთუ:
„ეც მიზეზ ბრძენსა და უბრძნეს იყოს“ — იტყჳს წერილი[2*]. „ხოლო შემ-
ძლებელ არს ღმერთი ყოვლისავე მადლისა განმრავლებად თქუენ შორის, რაჲ-
თა მარადის ყოველსა შინა გაქუნდეს მისმიერი შეწევნაჲ და ესრეთ გარდაემა-
ტნეთ ყოველსა საქმესა კეთილსა“[3*].
9. არამედ აღსასრულად რაჲ მოიწია სიტყუაჲ ჩუენი, კუალად მოგუაქცი-
ნეს გზასა მას სწავლისასა ძმათა ვიეთმე, რამეთუ გუეტყოდეს არა თანა-წარ-
ჴლევად, რაჲ-იგი გუშინ ქმნა მჴსნელმან საკჳრველებაჲ, და რაჲთა არა დავიდუ-
მოთ. ვითარ-იგი მაცხოვარმან სირცხჳლეულ ყო ეშმაკი, რაჲთა კუალად მიგცეთ
მიზეზი გალობისაჲ. რამეთუ, ვითარცა უწყით, კუალად ეშმაკმან თჳსი იგი ბო-
როტებაჲ ჩუენ ზედა აჩუენა და შეჰურა თავი თჳსი ალითა / ცეცხლისაჲთა და C 285
ტაძარსა მას ეკლესიისასა ბრძოლად მოუჴდა და კუალად დედამან მან ჩუენ
ყოველთამან ხძლო და მისდავე მი/აქცია ღონე იგი, და არარაჲ ირგო, გარნა B v
ესე, რომელ თჳსი იგი უკეთურებაჲ გამოაჩინა: აღიძრა მადლისა ღმრთისა
ქარი პირისპირ ღელვათა მათ ეშმაკისამიერთა და დააცხრვნა იგინი და დაიც-
ვა ტაძარი ესე უვნებელად. ვერ შეარყია ზამთარმან / მან ეშმაკისამან კლდე A 250
იგი, რომელსა ზედა ქრისტეს აღეშენა თჳსისა სამწყსოჲსა შესაკრებელი[4*].
მოვიდა აწცა ჩუენ თანა, რომელმან-იგი დაუშრიტა ალი ცეცხლისაჲ ბაბი-
ლონს შინა ყრმათა[5*].
აწ ფრიად მწუხარე არს ეშმაკი, რამეთუ ვერ აღასრულა ნებაჲ თჳსი,
რომელმან-იგი მახლობელად ეკლესიისა აღაგზნა საჴუმილი იგი მზაკუვარმან
მან, რაჲთამცა კეთილსა ამას ჩუენსა ავნო. და ყოვლით კერძო აღეტყინა იგი და
შემოგარეუა მათ შესწუვიდა და მიეახლებოდა ეკლესიასა. ხოლო მაცხოვარ-
მან აღმგზნებელისა მის მიმართ მიაქცია იგი. და ესრეთ უკეთურებისა თჳსისა
მშჳლდსა გარდაუცუა ეშმაკმან, არამედ ტყორცებაჲ ისრისაჲ ვერ შეუძლო და
ჭუფროჲსად სტყორცა ისარი, არამედ ისარი იგი გულადვე მისად მიექცა და / B 324
გლოვაჲ იგი, რომელ ჩუენ განგჳმზადა, მისა მივიდა. / არამედ ჩუენ, ძმანო, C v
განვაძლიეროთ წყლულებაჲ იგი და გლოვაჲ მისი, ხოლო თუ ვითარ? მე
ვთქუა და თქუენ ქმენით.
არიან ვიეთნიმე, რომელთა ცეცხლისა მის მიერ დაეწუა ყოველი, რაჲ-იგი
აქუნდა და არარაჲ აქუს ყოლადვე, არამედ თავნი ოდენ თჳსნი განარინნეს

[3] უკუეთუმცა C. საქმე C. [4] მის მდიდრისაჲ]სიმდიდრისაჲ B. წარმოვთქუ C. [5] განგიტეო B, განგიტევნეთ C. [5—6] არამედ თქუენ]და C. და გონებისა A] ბუნებისა C. [8] იყოს A. [10] გუა-ქუნდეს C. [14] ~საკჳრველებაჲ მჴსნელმან BC. [15] მიგცე B. [18] მან—C. [19] ღონე C. [22] მან—A. კლდე B. [23] თჳსი B. სამწყსოჲსა C. [26] აწ]ა˜დ C. მწუხარე C. [27] იგი—BC. [28] რა˜ცა B. [29] ეკლესიათა C. [30] მიმართ]მართლ C. [31] გარდაცუა C. ტყორცებად ისრისა BC. [32] მისსა BC. [33] გლოაჲ B. რომელი BC. მისდა BC. [34] გლოაჲ B. [36] ვიეთნიმე] ვინმე C. დაიწუა BC. [37] ~თჳსნი ოდენ B.

[1*] ლუკა 16,24. [2*] იგავ. 9,9. [3*] II კორინ. 9,8. [4*] მათე 16,18. [5*] დანიელ 3,50.

ბოროტსა მას. ხოლო ჩუენ, რომელთა არა გჳხილავს გემოჲ ძჳრისა რაჲსამე, ზიარ უყოთ მათ ჩუენი ესე სიმდიდრე. შევიტკბნეთ ძნიად განრომილნი იგი ძმანი, ვთქუათ თითოეულისათჳს, ვითარმედ: „მომკუდარ იყო და აღდგა, წარწყმედულ იყო და იპოვა“[1*] და წინა-აღუდგინოთ განსაცდელთა მათ მტერისათა ჩუენმიერი იგი ნუგეშინისცემაჲ, რაჲთა ბრძოლაჲ მისი უძლურ იქმნეს და
A v ვნებაჲ მისი — არარა, / და რომელმან-იგი წარწყმიდა მონაგები ძმათაჲ, ჩუენითა სიკეთითა ძლეულ იქმნას.

10. ხოლო თქუენ, ძმანო, რომელნი განრომილ ხართ ჭირისა მისგან და ფრიად მწუხარე ხართ ბოროტთა მათთჳს, ნუ ესრეთ დაინთქმით მწუხარებითა, არამედ განაგდეთ ნისლი მისი თქუენგან და გულისსიტყუთა სიმჴნისაჲთა განაძლიერენით სულნი თქუენნი. და განსაცდელი იგი ქმენით მიზეზ
B v გჳრგჳნოსნობისა, რაჲთა ეს/რეთ იქმნეთ გამოცდილ, ვითარცა ოქროჲ ბრძმედ-
C 286 სა შინა და ეშმა/კსა სირცხჳლი განუმრავლოთ. რაჟამს შე-ცა-არა-სწუხდეთ საქმეთა მათ ზედა, მოიჴსენეთ იობისი იგი ახოვნებაჲ, თქუთ თქუენცა, ვითარცა მან, ვითარმედ: „უფალმან მომცა და უფალმანვე მომიღო; ვითარცა უფალსა ენება, ეგრეთცა იქმნა“[2*]. და ნუვინ მოიგონებს უჴეროსა გულისსიტყუასა, რაჲთამცა საძნაურად გიჩნდა განგებაჲ უფლისაჲ, არამედ მჴნესა მას მოღუაწესა მიემსგავსენით და იგი მიიღეთ განმზრახად კეთილისა. მოიგონენით, თუ რავდენთა ღუაწლთა შევიდა იგი და რავდენნი ისარნი ეშმაკისაგან მიიხუნა და არა მოიწყლა ერთითაცა, ვითარ წარწყმიდა ყოველი სიმდიდრე მისი და ინება ზედაჲზედობითა მით ბოროტთა მათ ჰამბავთაჲთა დაბნელებად გონებისა მისისა, რამეთუ ვიდრელა-იგი ერთი უთხრობნ, სხუაჲ მოვიდის მთხრობელი ბოროტთა მათ უძჳრესთაჲ. და ერთიერთსა შეუდგა ბოროტი და მსგავს იყვნეს ღელვათა განსაცდელნი იგი, რამეთუ ვიდრელა ერთი არა დაც-
B 325 ხრომილ არნ, / მეორე მოიწიის. ხოლო მართალი იგი დგა, ვითარცა კლდე,
A 251 შეურყეველი ღელვათა მათგან და პერულად / განაქარვებდა მათ და კეთილსა მას სიტყუასა იტყოდა: „უფალმან მომცა და უფალმანცა მომიღო; ვითარცა
C v უფალსა ენება, ეგრეთცა იქმნა“, და არცა / ერთი მოწევნულთა მათგანი ღირს ყო ცრემლისა. ვინაჲთგან უკუე ესმა შვილთა მისთაჲ სახლსა მას შინა სიხარულისასა სიკუდილი, მაშინ ოდენ დაიპო სამოსელი თჳსი და გამოაჩინა მოწყალებაჲ იგი ბუნებითი. და ვითარმედ მამაჲ იყო შვილთმოყუარე, გარნა მაშინცა ზომისაებრ თჳსისა ყო საზღვარი გლოისაჲ მის და კეთილთა მათ სიტყუათა მიერ შეამკო საქმე იგი და თქუა: „უფალმან მომცა და უფალმანვე მომიღო; ვითარცა უფალსა ენება, ეგრეთცა იქმნა“, „იყავნ სახელი უფლისაჲ კურთხეულ, — ვითარმცა იტყოდა — ვითარმედ ვიქმენ მე მამა შვილთა, ვიდრემდის უფალსა ენება“, კუალად უკუე: „ვინაჲთგან ინება აღებად გჳრგჳნი ჩემი, რომელი მომცა, არა წინა-აღუდგები მას, თჳსთა მათ ზედა მისთა იყავნ,

---

[2] სიმდიდრჱ C. [3] თითუეულისათჳს B. [6] ძმათაჲ, ჩუენითა] ძმათა ჩუენთაჲ C. [10] იგი მისი C. [12] გჳრგჳნოსნებისა C. იქმნნეთ C. [14] ჲობისი B. [15] და—B. მიმიღო C. [16] უფალსა—C. ჰნებავს B. ინება C. [18] მოიღეთ C. [19] შევიდა] შევარდა C. ეშმაკისანი BC. [20] არაჲ B. [21] ზედაჲსზედობითა B, ზედაჲსზედაობითა C. მით] მათ B]—C. [22] რამეთუ] და A. [25] მეორჱ C. მოიწიოს B] მოვიდის C. კლდჱ C. [27] უფალმანცა] უფალმან BC. მიმიღო C. [28] ეგრეცა C. [29] ვინაჲთგან] ვინაჲ B. მისთა AB. [31] შვილისმოყუარე B, შვილთმოყუარჱ C. [32] გლოჲსაჲ B, გლოვისაჲ C. [33] საქმჱ C. და 2°—AB. მიმიღო C. [34] ეგრეცა C.

[1*] ლუკ 15,24. [2*] იობ 1,21.

ვითარცა მეუფესა მას ჰნებავს, იგი არს დამბადებელი მათი, ხოლო მე ორ/- B v ლანოჲ ვარ. რად მიჴმს მწუხარებაჲ ურგებად მონასა ამას მისსა და ბრალობად ბრძანებისა მის, რომლისა ვერ ძალ-მიც დაჴსნად?“ — ესევითართა სიტყუათა მიერ მოწყლა ეშმაკი მართალმან მან.

11. ხოლო იხილა რაჲ ეშმაკმან თავი თჳსი ძლეულად. და ვითარ-იგი ვერარაჲთა სძლია მას, თჳთ მისსა მას გუამსა ზედა მოაწია წყლულებაჲ იგი ფიცხელი, რომლისაგან მატლნი აღმოდიოდეს და საყდართა მათ/გან სამეუ- C 287 ფოთა დაამდაბლა და სკორეთა ზედა დასუა. ხოლო იგი ამასცა ზედა მტკიცედ იყო და ჴორცნი მისნი დაიბძარვოდეს, არამედ საუნჯჲ იგი ღმრთის მოშიშებისაჲ წარუპარველად იყო სულსა შინა მისსა.

/იხილა რაჲ უკუე უკეთურმან მან, ვითარ ვერარაჲ ავნო, მოიჴსენა A v პირველი იგი ცთომაჲ, დედაკაცისა მიერ ქმნილი და მეუღლისა მისისა გონებაჲ მიიტაცა ბოროტისა მიმართ და ინება მის მიერ ცთუნებად მართლისა მის. და იქმნა იგი სულმოკლე და წარმოუდგა მართალსა მას ქუე დადრეკილი და ჴელთა იცემდა. ურთიერთას ბოროტთა მათთჳს და ღმრთისმოშიშებისა ნაყო/ფსა აყუედრებდა მას და მოაჴსენებდა პირველსა მას ფართოებასა და მა- B 326 შინდელსა მას ჟირსა და თუ ვითარნი საქმენი ვითართა წილ მოიწინეს მათ ზედა და თუ რაჲ იქმნა სარგებელი მრავალთა მათ შესაწირავთაგან. იტყოდა უკუე სიტყუათა, შემსგავსებულთა უძლურებასა მას დედათასა, არამედ აღძრვად გულისა მისისა ვერ უძლო ყოლადვე, ვითარ-იგი იტყოდა, ვითარმედ:

„მიმოვალ და ვჰმსახურებ სხუათა, ვხედავ მონათა ჩემთა და მათგან ვითხოვ და რომელი-ესე მრავალ/თა გამოვზრდიდი, სხუათა მიერ გამოვიზრ- C v დები. და უმჯობეს არს თქუმაჲ სიტყუათა ბოროტთაჲ, რაჲთა ესრეთ აღვლესოთ გულისწყრომისა ღმრთისა მახჳლი, რაჲთა აღრე აღგუჴოცნეს ქუეყანით, ვიდრელა ყოფაჲ ამათ ბოროტთა შინა“.

ხოლო იგი სიტყუათა ამათ ზედა შეწუხნა, ვითარ არა ოდეს იყო ესრეთ შეწუხებულ ესეზომთა მათ ბოროტთა ზედა და გულისწყრომითა აღავსო თუალი თჳსი და მიიქცა მისა მიმართ, ვითარცა მბრძო/ლისა მიმართ, და B v ჰრქუა:

„რად ესრეთ, ვითარცა ერთმან უგუნურთა დედათაგანმან, სთქუ შენ?[1*] გულისჴმა-ყავ, მ/დედაკაცო, ზრახვაჲ ეგე, რად შეაგინებ ცხორებასა ჩუენსა A 252 სიტყუათა მაგათ მიერ, რამეთუ ჩემიცა ცხორებაჲ უჯმარ გიქმნიეს? ესრეთ შემირაცხიეს აწ, ვითარმედ ნახევარსა ზედა ვცოდე, რამეთუ ქორწინებამან ორნივე ერთჴორც გუყვნა. ხოლო შენ აჰა გმობისა მაგის მიერ დაცემულ ხარ. უკუეთუ კეთილი შევიწყნარეთ ჴელისაგან უფლისა, ბოროტი არა თავს-ვიდვათ-ა?[2*]. მოიჴსენენ კეთილნი იგი, რომელნი გაქუნდეს. შეასწორე განსუენებაჲ იგი ჟირსა ამას, რამეთუ არავისი არს კაცთაგანისა ცხორებაჲ ყოველივე სანატრელ. მარადის კეთილსა შინა ყოფაჲ /მხოლოჲსა ღმრთისაჲ არს, ხოლო C 288

---

2 ამას]მას B. 3 რლ˝სა C. 6 ვერარაჲთ C. სძლო C. მას — C. 8 ამას ზედაცა C. მტკიცე B. მტკიცჱ C. 9 დაიბზარვოდეს A. საუნჯე B. 10 იყო]ეყო C. მისა C. 11 ვერარაჲთ A. 14 სულმოკლჱ C. ქუჱ C. 17 მოიწივნეს C. 21 სხუათო A. 22 გამოვიზარდები C. 24 აღრჱ C. 25 ვიდრელა-რა C. 26 მათ B. ვითარ]ეღ˝ის C. 27 ესეზომცა C. 28 მისსა BC. 29 ჰრქუა]თქუა C. 31 გულისხმა- C. 33 ვცოდჱ C. 36 გაქუნდეს AC. შეასწორჱ C. 39 სანატრელ (μακάριος)] სანატრელსა სოფელსა ამას შინა C. კეთილთა C. გარნა მხოლოჲსა C.

1* იობ 2,10. 2* იობ 2,10.

შენ. უკუეთუ აწინდელთა ამათთჳს გლმის, პირველ გარდასრულთა მათგან
ნუგეშინის-ეც თავსა შენსა. აწ სცრემლოჲ, არამედ ფრიად გიჳინებიეს: აწ
გლახაკ ხარ. არამედ ოდესმე მდიდარ იყავ: გისუამს ტკბილი იგი შუებისა სა-
B 327 სუმელი, აწ მძიმეცა ესე თავს-იდევ. რამეთუ / მდინარეთაცა წყალი არა მარა-
დის წმიდა არნ, ხოლო ჩუენი ცხორებაჲ, უწყი, მდინარე არს და დის მარადის
და დინებისაგან არა დასცხრების: რამეთუ რომელიმე მისი წარსრულ არს და
რომელიმე აწ დის და რომელიმე არღა მოსრულ არს—და ყოველნივე სიკუდი-
ლად მივალთ. „აწ უკუეთუ კეთილნი შევიწყნარენით ჴელისაგან უფლისა, ბო-
როტნი არა თავს-ვისხნეთ-ა“?[1]* არამედ ვაიძულებთ მსაჯულსა მას მარადის ერ-
თად მოცემად ჩუენდა კეთილთა და ვასწავლით მეუფესა, თუ ვითარ ვანაგოს
ცხორებაჲ ჩუენი. მას აქუს ჴელმწიფებაჲ თჳსთა ზედა ბრძანებათა და, ვითარ-
A v ცა ენებოს, განაგებს ცხორებასა ჩუენსა / და არს წყარო სიბრძნისა და უწყის
ყოველივე უმჯობესი.

12. „ხოლო შენ ნუ გამოიწულილავ ბრძანებათა მათ და საშჯელთა მეუ-
ფისათა. ოდენ გთნდინ საქმე მისი ყოველივე, რაჲცა ქმნას. რომელიცა მოგ-
C v ცეს, მას შეიწყნარებდ / სიხარულით. გამოაჩინე აწ ჭირთა ამათ შინა, ვითარ-
მედ პირველისა მისცა სიხარულისა არა ღირს იყავ“.

ამას ესევითარსა ეტყოდა მას იობ და გარე-წარაქცია ესევითარი იგი
B v ეშმა/კისა ღონე და სრულიად მოაწია მას ზედა ძლევისა იგი სირცხჳლი. და
მერმე ივლტოდა მისგან სენი იგი, მოსრული ამაოდ. მოიქცა სიკეთედვე გუამი
მისი, აღყუავილნა კუალად ცხორებაჲ მისი და ორკეცად მოვიდა ყოველივე
იგი სიმდიდრე, რაჲთა ერთი იგი ნაწილი აქუნდეს, ვითარმცა არარაჲ წარე-
წყმიდა და მეორჱ იგი იყოს პატივად მართლისა მის მოთმინებისათჳს მისისა.

ხოლო რაჲსათჳს ცხენნი და აქლემნი და საცხოვარი და ყოველივე იგი
დიდებაჲ ორკეცად მიიღო, ხოლო შვილნი სწორად მომკუდართა მათ მოეც-
ნეს? რამეთუ პირუტყუნი იგი და სხუაჲ ყოველივე განხრწნადი იგი მონაგები
სრულიად წარწყმდა, რომელი-იგი წარწყმდა და არაარსებად მივიდა, ხოლო
შვილნი დაღაცათუ მოკუდეს ჴორცითა, არამედ სულითა ცხოელ იყვნეს. და
ვინაჲთგან მიეცნეს სხუანი ძენი და ასულნი ღმრთისა მიერ, ესეცა ორკე-
ცობით აქუნდა: რამეთუ რომელნი-იგი იყვნეს მის თანა, ახარებდეს მაშინ
მშობელთა მათ, ხოლო სხუანი იგი წინა წარსრულ იყვნეს და მიელოდეს მშო-
C 289 ბელსა მას, / რაჲთა მაშინ გარე-მოადგენ ყოველნივე იობს, / რაჟამს მსაჯულ-
A 253 მან მან სიმართლისამან ქმნას კრებაჲ იგი დიდი, რაჟამს საყჳრმან მან, / რომე-
B 328 ლი მოასწავებდეს მოსლვასა მეუფისასა, ძლიერად ჴმა-უყოს საფლავებსა შინა
მყოფთა და აღმოიყვანნეს ნამარხევნი იგი გუამთანი ქუეყანით, მაშინ მკუდარ-
ნი მეყსა შინა წარდგენ წინაშე დამბადებელისა. ამისთჳს იქმნა უკუე, ვითარ-

---

[2] სცრემლოჲ C. [4] მძიმჱ C. [4—5] არა მარადის წმიდა] მარადის არაწმიდა B. არს B. რამე-
თუ მდინარჱ C. [6] დაჴსცხრების C. რამეთუ] და C. რომელი C. [7] არა C. [8] უკუჱთუ C] ეკუე B.
[9] ვაჲძულებთ C. [10] კეთილთა B. თუ—C. [12] წყაროჲ C. [14] მათ—B. სასჯელთა C. [15] გთნდენ B.
მოგუცეს C. [16] შეიწყნარებდი BC. გამოაჩინჱ C. აწ—C. [17] არა—C. [18] მას—C. გარჱ- C.
[19] ღონჱ C. [20] მერმჱ C. და მოიქცა C. [22] სიმდიდრჱ C. [23] მეორე B. პატივად—C. მართ-
ლისა (τῷ δικαίῳ)] მრავლისა C. [24] საცხოვარნი C. [26] მოიღო C.~ მოეცნეს მომკუდართა მათ B.
[26] პიროტყნი B. განჴრწნადი A. [27] მოვიდა BC. [27] ცხოველ B. და—A. [31] მათ—B. წინა] წი-
ნაჲს C. მოელოდეს C. [33] რომელ C. [34] მეუფისასა—AB. -ყოს B. საფლავთა C. [36]~უკუჱ იქმნა C.

[1]* იობ 2,10.

იგი მე ვჰგონებ, რომელ სხუაჲ ყოველივე ორკეცობით მიცა, ხოლო შვილნი შემსგავსებულად პირველთავე.

იხილე-ა, რავდენი კეთილი მოატყუა იობ თავსა თჳსსა მოთმინებითა? და აწ შენცა, უკუეთუ რაჲ შეგეხო ჭირი და განსაცდელი გუშინდელსა მას დღესა ცეცხლისა მისგან საეშმაკოჲსა, მოითმინე იგი და მწუხარებაჲ შენი კეთილითა გულისსიტყჳთა დააწყნარე, ვითარცა იტყჳს წერილი, ვითარმედ: „მიუტევე გულისსიტყუაჲ შენი უფალსა და მან გამოგზარდოს შენ“[1*], რამეთუ მისა შუენის ყოველივე დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

[1] ყოველი C. ორკეცებით B. [3] რაოდენი C. [4] შენცა უკუეთუ] ~უკუე შენცა B. [5] მწუხარებაჲ + იგი B. [6] დააწყნარჱ C. [7] გულისსიტყუაჲ შენი უფალსა]ო˝ა ზრუნვაჲ შ˝ი A (მერმეა ჩაწერილი). [8] მისა BC. და პატივი C. [9] ~სულისა წმიდისა B. უკუნითი უკუნისამდე] დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა და მერმეცა B. ა˝ნ ABC.

[1*] ფსალმ. 54,23.

ლექსიკონი*

ა

ა კითხვითი ნაწილაკი, იხმარება უკითხვითსიტყვო წინადადებაში: „არა ხედავ-ა, რაბამი ბოროტი არს ორგულებაჲ?“ 86, 5.

აგებული იხ. აღგებული.

ადამანტ-ი მაგარი ლითონი, ფოლადი, ბ ἀδάμας, αντος: „ნუუკუე იობს ადამანტისა ბუნებაჲ და სიმაგრე აქუნდა-ა?“ 37, 31.

ადგილ-ადგილ: „ადგილ-ადგილ მოვიდოდეს მისა კაცნი“ 30, 5 — ხანდახან მოვიდოდნენ, ხანდახან გამოჩნდებოდნენ, παρα-τυγχάνοντας ἦν.

ადგილის ყოფა მომძლავრება, გაძლიერება, προ-άγω: „თჳთ ლჳნოჲ უმეტესსა ადგილსა უყოფს თავსა თჳსსა“ 183, 20.

ადგილ(ის)-ცემა ნებაზე მიშვება, მინებება: „ჩუენ რისხვასა ადგილ-ვეცით“ 68, 31, δόντες... τῇ ὀργῇ τόπον; „ნუ ვსცემთ ადგილ მტერსა მას“ 175, 32.

ადგს იხ. ათქს.

ადვილად მომქცეველ-ი მოქნილი, εὔστροφος 2: (ენა) „ლბილი არს და ადვილად მომქცეველი“ 29, 23.

ადონაი, ელოი საბაოთ Ἀδωναΐ, Ἐλωΐ Σαβαώθ 16, 30 ებრაულია: უფალო ღმერთო.

ადრე ჩქარი, სწრაფი, სულსწრაფი, ταχέως: „ნუ ხარ შენ მძიმე შერისხვასა ზედა სხუათასა, ნუცა ხარ ადრე“ 205, 5.

ადრე სლვა სირბილი, ჰენება, ქროლვა, ბ δρόμος: (მზე) „ადრე სლვითა მისითა დღე ყოველ ნათლითა განგაბრწყინვებს“ 26, 36.

ადრითგან 57, 7 ადრევე, თავიდანვე: „მოხუცებულთა აღუსუბუქებს შრომასა ადრითგან მისა მიმართ ჩუეულებაჲ“ 13, 23.

აეშაგ-ი, აჲშაგ-ი მზვერავი, „მსტუარი“, „მსტოვარი“, ბ κατάσκοπος: „აეშაგი ხარ ვიდრე სიბერემდე, ოდეს-მე იქმნე ქრისტიანე?“ 141, 28; „ერთმან მან აჲშაგნი იგი განარინნა“ 133, 34, B.

ავაჯ-ი აქ: მაღალი ხმა: „...მეტყუელთა ავაჯთა მათ და კილოთა სიძვისათა“ 188, 14.

ავშარა ალვირი (შდრ. ბერძნ. ბ τάπης): „ყოველივე ვეცხლისა მჭედითა კერული: ავშარაები ძოწეულები“ 99, 2.

აზნაურ-ი თავისუფალი: „მონაჲ მწუხარე არნ, რამეთუ არა აზნაური არს“ 49, 9; „ჰაბუკი იგი... ტყუჱ განსაცდელითა, ხოლო აზნაური სულითა და გონებითა“ 116, 36.

აზნაურება თავისუფლება: აზნაურებისა წილ მონებაჲ მოიგეს“ 39, 27.

ათერ-ი ეთერი, ჰაერის ზედა ფენა, ბ ἡ αἰθήρ, έρος: „უზეშთაეს ათერისა იქმენ“ 153, 1.

ათქს, ადგს: „პირ ათქს (ადგს BC) და ვერ იტყჳან, თუალ ასხენ და არა ხედვენ“ 186, 28 — პირი აქვთ და ვერ მეტყველებენ...

აკრება, უგულებელყოფა, უარყოფა, ἀπω-κλείω: „ამისთჳს ღმერთიცა არა განგჳლებს ჴელსა, რამეთუ ჩუენ ძმათმოყუარებაჲ ავკრიბეთ (აღვიკრიბეთ C)“ 112, 14.

ალიზ-ი აგური, ἡ πλίνθος. 89, 13.

ამაოდ შემთხვევით, ალალბედზე, εἰκῇ: „სიტყუაჲ... ამაოდ გამომავალი არა წესიერად და შუენიერად გამოვალნ“ 70, 18; „პური ეგე, რომელ შენ გაქუს ამაოდ, მშიერისაჲ არს და არა შენი“ 94, 34.

ამბოხება ხმაური, ყიჟინი; შფოთი, მღელვარება, ბ θόρυβος; ἡ ζάλη: „მასწავლელისა მოსლვამან... დააწყნარის ამბოხებაჲ იგი ყრმათაჲ“ 15, 31; „ძარღუნი განიპებოდიედ შინაგანისა მის ღელვისაგან და ამბოხებისა სულისა“ 70, 17.

---

* თავდაპირველად ლექსიკონი B ხელნაწერის (H 2251) მიხედვით შედგა. ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა ზოგიერთი დამოწმებული ციტატის გამოცემული ტექსტის შესაბამისად შეცვლა, ამიტომ ასინი სქოლიოში მოხვედრილ B-ს წაკითხვებს უჩვენებენ.

ამეთისო 105, 30 ძვირფასი ქვა, ამეთვისტო.

ამიანტე აზბესტი, ἡ ἀμίαντος: „შეშაჲ... რომელსა ეწოდების ამიანტე, რომელი-იგი დაუწუველ არს ცეცხლისა მიერ“ 5, 35.

ამიერ აქედან; აქეთ: „დასაბამ სატანჯველთა მათ ჯოჯოხეთისათა იქმნების ამიერ წარსლვაჲ მისი“ 56, 21. „მიმოიხედნე იმიერ და ამიერ“ 108, 6.

ამიერითგანვე აქედანვე, ეხლავე: „ამიერითგანვე განმზადე თავი შენი“ 14, 25.

ამით სახითა ამნაირად, ამგვარად: „მწუხარე ჰყოფს მათ ამით სახითა“ 182, 20.

ამქუმელ-ი 133, 31 მეანი, ბებიაქალი.

ანგაჰრ-ი ხარბი, ანგარებიანი. πλεονέκτης 2: „ანგაჰრი იგი გული არა განძღებოდა“ 87, 30: „ანგაჰრი... რაჲზომცა უმეტესსა მიიღებდეს, უმეტესისათჳს სურვიელ არს“ 91, 19.

ანგაჰრება, ანგაჰრობა 98, 8 სიხარბე, ანგარება.

აჲშაგ-ი იხ. აეშაგი.

აპაურ-ი 142, 1 აპეური.

არაარს-ი არარსებული: „არაარსისაგან არსად მოვედით“ 32, 34. „ნუ არაარსთა მათ საქმეთა იწურთი“ 25, 9.

არავინ-არავისგან-ი არარაობა, უთვისტომო, μηδὲν μηδαμόθεν: „შეურაცხი და გლახაკი და არავინ არავისგანი“ 71,34.

არასადა არა; არასოდეს: „არასადა აქუნ განსავალი კუამლისაჲ“ 37, 4: „არასადა ვინ დაითრო სუმითა წყლისაჲთა“ 8, 7; „იგი არასადა ცირს არს შესლვად წმიდასა შინა წმიდათასა“ 18, 4.

არა სადაჲთ არსაიდან: „არა სადაჲთ იქმნის განსლვაჲ გარეთ კერძო“ 37, 6.

არასამართალ-ი უსამართლო: „არასამართლითა რისხვითა შორის მოიყვანა და მოკლა“ 76, 35.

არასახიერ-ი 115, 34 არაკეთილი, არაქველი.

არაწმიდება უწმინდური: „კრებული არაწმიდებისაჲ შეკრბა“ 15, 33.

არე გაზაფხული: „დღეთა მათ არისათა ერთი იგი ბუნებაჲ მათი აჩუენეს, რომელ არს სიცხჱ“ 111, 28.

არიოზის (არიოზულად) განყოფა 162,6; 169,12 ერესი, არიოზის (IV ს.) მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ძე ღმრთისა გამოეყოფა წმ. სამებას და არ არის ღმერთი.

არსება 160, 28 არსებობა.

არღარა 16, 15 არაფერი.

ასოთა დაკსნილება დამბლა, ἡ παράλυσις: „რომელნიმე განცოფებად ანუ ასოთა დაკსნილებად მიიწინეს და რომელნიმე მო-ცა-კუდეს“ 37. 1.

ასპარეზ-ი 15, 17 შეჯიბრი, ასპარეზობა.

აღგებულ-ი დატვირთული: „ნავი... სუბუქითა ტჳრთითა აღგებული“ 3, 27.

აღგზება ანთება, აგზნება: „გულისწყრომაჲ არს ვითარცა აღგზებაჲ... ცნებისაჲ მის“ 77, 14.

აღგზებულ-ი 173, 30 ანთებული: აღგზებული იგი გულისწყრომაჲ განვიდის“ 70, 4.

აღდგინება წამოყენება, ფეხზე დაყენება: „რომელი ქუემდებაოესა აღადგინებდეს“ 52, 12.

აღვსება 141, 5 აღდგომის დღესასწაული.

აღზრზენა 187, 26 აფორიაქება, გალიზიანება: „უკუეთუ გულისთქუმანი ბოროტნი აღაზრზენდენ სულსა შენსა“ 27, 28.

აღზუავება გაამაყება, გამედიდურება: „ძნელ არს... დიდებულებასა შინა არა აღზუავებაჲ“ 86, 29. „არასოდეს აღჰზუავნე“ 26, 10.

აღკაზმულ-ი შეკაზმული: „ცხენნი ვეცხლითა აღკაზმულნი“ 26, 35.

აღკუმოლვა 77, 14 კვამლად ასვლა, აბოლება, ἡ ἀναθυμίασις.

აღმადგინებელ-ი ფეხზე დამყენებელი: „რომელი... დაცემულ იყოს, სხუაჲ უქმს აღმადგინებელი“ 52, 14.

აღმართ აღმა: „არა არს მდინარისა აღმართ შექცევაჲ“ 119, 15.

აღმართება, აღდგენა, გამართვა, გასწორება: „ძალ-უც... დარღუევადთა სახლთა აღმართებაჲ“ 102, 25.

აღმართებულ-ი ამართული, τὸ ὄρθιον: „ჰგონებდიან, თუ ქუეყანაჲ აღმართებულად დადგრომილ არს“ 182, 4.

აღმლესველ-ი გამაძლიერებელი: „სიმდიდრესა აღმლესველად ცოდვისა ვიქმთ“ 213. 14.

ალმოკუეთილ-ი ამოჭრილი, ამოთხრილი: „მთხრებლნი ა ლ მ ო კ უ ე თ ი ლ“ 172, 9.

ალმოსხმა 118, 2 ამოფრქვევა.

ალმოტევება, ალმოტეობა ამოშვება: „ქუეყანამან მან... ა ლ მ ო უ ტ ე ვ ა წყალი შუენიერი“ 43, 4-5. „ა ლ მ ო უ ტ ე ო ქმაჲ იგი მოწყალებისაჲ“ 88. 24: „ზრქელნი ჭამადნი ვითარცა ნისლის სახეთა კუამლთა ა ლ მ ო უ ტ ე ვ ე ბ ე ნ (ა ლ მ ო უ ტ ე ო ბ ე ნ“) 9, 33.

ალმოწოდება წოდება: „თჳსებად მისა ა ლ მ ო ვ ი წ ო დ ე ნ ი თ“ 33, 6.

ალმოჴდა 14, 10 ამოღება, ამოძრობა.

ალნადგინებ-ი სარგებელი, ვახში, ὁ τόκος: „არა ყარნ ა ლ ნ ა დ გ ი ნ ე ბ ი ს ა გ ა ნ ტაბლაჲ მმარხველისაჲ“ 7, 11; „მოგცნეს თავნი ა ლ ნ ა დ გ ი ნ ე ბ ი თ უ რ თ“ 118, 8.

ალორძინება გაზრდა. αὐξάνω: „სოფლისა ამის მქედართა... ა ლ ო რ ძ ნ დ ე ბ ი ს განსაკუეთელი“ 14, 1 — გაიზრდება გასამრჯელო.

ალჴურობა იხ. ჴელის ალჴურობა.

ალსრულება 177, 7, 10. შევსება.

ალსუბუქება შემსუბუქება: „სახოებაჲ... ა ლ გ ი ს უ ბ უ ქ ე ბ დ ე ს ყოველსავე მწუხარებასა“ 40, 8: „ა ლ ა ს უ ბ უ ქ ო სრულიად სიმძიმე იგი“ 39, 37.

ალტაცება ასვლა; აყვანა: „მესამედ ცადმდე ა ლ ი ტ ა ც ა“ 8, 28.

ალტეობა აშვება, ამოშვება: (ორთქლს) „ა ლ უ ტ ე ო ბ ს სიღრმეთა გუამისათა მყოფი იგი მჴურვალებაჲ“ 36, 28.

ალტყინება ანთება (ცეცხლისა); აღელვება „ალაგზნა საკუმილი მზაკუვარმან მან... და ყოვლით კერძო ა ლ ე ტ ყ ი ნ ა იგი“ 214, 28; „იგი უმეტესად ა ლ ე ტ ყ ი ნ ი ს“ 192, 25.

ალტყუელვა 172, 25 ტაშის შემოკვრა.

ალუსრულებელ-ი დაუმთავრებელი, შეუსრულებელი: „მძიმე ვარ მე ბუნებით ყოვლისავე ა ლ უ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი ს ა საქმისა მიმართ“ 43, 20.

ალუტეხელ-ი 145, 25 დაუმტვრეველი, დაუმსხვრეველი.

ალჳრ-სხმა ალვირის ამოდება, ალაგმვა. აქ: გაჩუმება: „ენასა ცრუსა ა ლ ჳ რ-ა ს ხ ა მ ს“ 136, 32.

ალჳრსხმულ-ი ალვირამოდებული: „გუყვეს, ვითარცა ცხენნი ა ლ ჳ რ ს ხ მ უ ლ ი“ 75, 9.

ალღება 6, 20 გაღება, გახსნა; აქ: ყურის დაგდება: „სწავლაჲ უფლისაჲ ა ლ ა ღ ე ბ ს სასმენელთა ჩემთა“ 126, 37.

ალჩენა მიჩნევა: „საკჳრველად ა ლ გ ი ჩ ნ დ ე ს“ 98, 6; „არარაჲ ბოროტად ა ლ უ ჩ ნ დ ე ს მას“ 46, 21.

ალძარცვა იხ. ალძუარცვა.

ალძრვა აღელვება, ატეხვა: „იქმნეს კაცნი ცხენ მცბიერ ა ლ ძ რ ვ ი ს ა მისთჳს და ზრზენისა“ 10, 3; „ზრზენაჲ იგი და ა ლ ძ რ ვ ა ჲ, რომელი აწ გულისთქუმისაგან კორცთა ზედა ჩუენთა მოვალს“ 27, 31.

ალძრცვლ-ი, ალძურცილ-ი 33, 27 გახდილი.

ალძუარცვა ტანთ გახდა, გაძრობა: „მეფემან... ა ლ ი ძ უ ა რ ც ა ძოწეული“ 113, 27; „რომელმან-იგი შემოსილი ა ლ ძ უ ა რ ც ო ს, კაცის მძარცუველ ეწოდების“ 94, 31.

ალწერა 172, 27, 29 აქ: ჩაწერა, რეგისტრირება.

ალწერად-ი 84, 2 ასაწერი, დასახატი.

ალწერილ-ი 172, 30 რეგისტრირებული.

ალხილვა იხ. ახილვა.

ალჴუმა გაღება, გახსნა: „ა ლ ვ ა ხ უ ნ ე საუნჯენი ჩემნი“ 83, 23.

ალჴდომა 1. ასვლა: „სჯბუქად ა ლ ჴ დ ე ს ალსავალსა მის ციხისა“ 211, 30; 2. მოხდენა, დამართება: „ვინათგანმცა ესევითარნი საქმენი ა ლ გ უ ჴ დ ე ს ჩუენ, არარაჲმცა იყო დამაჴებრებელ“ 16, 15.

აწინდელ-ი ახლანდელი, დღევანდელი: „ა წ ი ნ დ ე ლ თ ა ამათ ზედა მოსწრაფებითა სასოებასა მას მერმეთასა უგულებელს-ჰყოფ“ 89, 31.

ახალი რჩული იხ. ძუელი რჩული და ახალი.

ახალი წერილი იხ. ძველი და ახალი წერილი.

ახილვა ახედვა, ზევით ცქერა: „კაცისა მზა არს ზეცად ა ხ ი ლ ვ ა ჲ, რაჲთა არა შეექცეს იგი საქმეთა მიწისათა“ 29, 7.

ახოვან-ი 178, 18 გაბედული, მხნე: „მარხვაჲ... არს... ჭაბუკთა ა ხ ო ვ ა ნ ი ა ალჳრი“ 15, 25. „უქმს მას ა ხ ო ვ ნ ა დ თავს-დებად წყლულებათა“ 33, 28.

ახოვნება 178, 16 გაბედულება, მხნეობა.

ბ

ბარბაროზ-ი 174, 11 უცხო ტომისა, უცხოთესლი.

ბარბაროზულ-ი უცხო ქვეყნისა, უცხოური, βαρβαρικός 3: „საძიებელ არნ ნელსაცხებელი იგი ბარბაროზული" 101, 16.

ბარძიმ-ი ღვინისა და წყლის ასარევი, წმიდა ზიარების მოსამზადებელი ჭურჭელი; ღვინის ჭურჭელი, სასმისი ὁ κρατήρ: „...წდია ბარძიმსა შინა ღვნოჲ თჳსი" 124, 34; „ყოველთავე ესუათ ბარძიმისა მისგან წმიდისა", 19, 1; „განჰმზადებენ საგრილობელთა და კათხაებსა და ბარძიმებსა" 185, 26.

ბაყლ-ი ჭუჭყი, სიბინძურე: „ყოველივე ბაყლი ცოდვათაჲ განიწმიდო" 22, 12.

ბევრეულ-ი ათი ათასი, μυριός 3,2, უამრავი, მრავალრიცხოვანი: „მოსრა დავით ბევრეული და საულ ათასეული" 81, 1; „უმჯობეს არს დიდებად ბევრეულთა გლახაკთა მამად წოდებაჲ, ვიდრელა ბევრეულისა ოქროჲსა საუნჯეთა შინა ქონებაჲ" 89, 16; „დგანან ბევრეულნი კართა ზედა" 102, 18.

ბივრილ-ი 105, 30 ძვირფასი, ქვა, τὸ βηρύλλιον.

ბიწ-ი ჭუჭყი, სიბინძურე: „ბიწი იგი უკეთურებისაჲ სათნოებათა მიერ განიბანოს" 28,37.

ბნელობა ჩამოფარება, ჩამობნელება: „მიბნელობს სახლი მის მეზობლისაჲ" 103, 28.

ბორგა მოუსვენრობა, ბორგვა, აქეთ-იქით მიწყდომა: „მღერად და ბორგად აღიძრნეს და შეაგინებდეს გულსა ჭაბუკთასა" 180, 27.

ბორგილება სიგიჟე, უგუნურება, ἡ μανία: „მცბიერნი სიცილნი და გალობანი სიძვისანი და მღერანი ბორგილებისანი მეყსა შინა ქალაქისაგან წარიდევნიან", 15, 35; „მეძავ განცოფებულ იქმნეს და ბორგილებისა არცა ერთი საზღვარი დაუტევეს" 180, 33.

ბორია: „ქარი იგი ჩრდილოჲსაჲ, რომელსა ეწოდების ბორიაჲ" 174, 17.

ბოროტად მზრახვალ-ი 57, 31 ავის მთქმელი, ავის მოლაპარაკე.

ბოროტად მოშიშება შიში, ἡ κατάπληξις: „ნუუკუე დაგნთქას შენ მოქცევმან ბოროტად მოშიშებისამან" 139,21.

ბოროტისმეტყუელება ავის თქმა, აუგის ლაპარაკი, ἡ κακηγορία: „გულისწყრომისა მიერ იქმნეს... ყუედრებანი და ბოროტისმეტყუელებანი" 69, 16.

ბოროტისმყოფელ-ი ბოროტმოქმედი: „...მდიდართა ბოროტისმყოფელთა არა ამხილებენ" 129, 23.

ბრალეულ-ი დამნაშავე, ἐγκλήθεις: „ბრალეული შეიწუებოდა ალსა მას შინა საჴუმილისასა" 7, 35.

ბრალობა დანაშაული, ბრალდება: „ღმერთი შორს დარჩების ყოვლისაგანვე ბრალობისა" 57, 30.

ბრკუმა დაბრკოლება, ხელის შეშლა: „რაჟამს-იგი ენებათა შინა ქორცილთა უბრკუმეს" 28, 36.

ბუნებითმეტყუელება ბუნებისმეტყველება, ἡ φυσιολογία: „ხოლო ეკლესიასტჱ ბუნებითმეტყუელებასა იქმს და გამოგუცხადებს ჩუენ ამის სოფლისა საქმეთა ამაოებასა" 122, 5.

ბუნებით-ი 113, 20 ბუნებრივი: „ბუნებითითა მით ფერითა განშუენებულნი" 16, 24; „...არა კმა ეყოფოდა ბუნებითი იგი ცრემლი" 53, 14; „უბადრუკი იგი გუამი ბუნებითისა ძალისაგან დაჴსნილ არნ" 186, 15.

ბუნებჲსაგან-ი ბუნებისა, თვისებისა, აგებულებისა: „მისვე ბუნებისაგანნი ვართ ჩუენცა მამათაჲსა" 42, 28.

ბჭე 124, 25 შესასვლელი, კარი: „ბჭენი ქალაქთანი აღმოიფხურებოდეს მის მიერ" 16, 34.

ბჭითი-ბჭედმდე კარიდან კარამდე: „წარვლეთ ბჭითი-ბჭედმდე და მოიქეცით ბანაკსა შინა" 76, 22.

გ

გალობანი ძლევისანი გამარჯვების ხმები, გამარჯვების სიმღერა αἱ φωναὶ τῶν ἐπινικίων.

გამოვრდომილ-ი იხ. გამორდომილი.

გამოზრდა გამოკვება, τρέφω: „იფქლსა ალპობ, მშიერსა არა გამოზრდი-ა?" 101,4; „გამოგუზარდნეს სულმან წმიდამან განთიადისა და მიმწუხრისა ტაბლითა" 18, 34; „ძალნი

გამოზრდითა დასწყნარდებიან“ 61, 20.

გამოზრდილ-ი 116,26 გამოკვებილი: „კრებული იგი შენ მიერ გამოზრდილთა გლახაკთაჲ გარე-მოგადგეს“ 89, 19.

გამოთარგმანება განმარტება; თარგმნა: „ეშმაკი შემასმენელად გამოითარგმანების“ 67, 8.

გამომავალ-ი: „ყოველივე ვენაჴისაგან გამომავალი არა ჭამოს“ 5, 5 — რაც ვენახის ნაყოფისაგან მზადდება, არ შეჭამს.

გამომაჴუებელ-ი წამრთმევი: „გზაჲ გეჰენიად მიმყვანებელი, გამომაჴუებელი სასუფეველისაჲ“ 83, 22.

გამომეტყუელ-ი მთქმელი, აქ: ჩამდენი, გამკეთებელი: „რომელმან მეთევზჱ იგი ესევითართა საქმეთა გამომეტყუელ ჰყავ“ 162, 36.

გამომეძიებელ-ი დაინტერესებული პირი, მოსურნე, ἐντρεχέστερος: „იგავი... დაფარულად ძალსა თჳსსა გამოუცხადებს გამომეძიებელთა მათ“ 122, 21.

გამომზრდელ-ი 14, 15 გამომკვებავი.

გამომთარგმნელ-ი ამხსნელი, განმმარტებელი, ეგზეგეტი, ὁ ἐξηγητής: „უკუეთუ ვინ... გამომთარგმნელი არს სიტყუათა საღმრთოთაჲ“ 84, 32.

გამომთქუმელობა პოეტური შემოქმედება, ἡ ποιητική: „მეტყუელებამანცა და გამომთქუმელობამან და ფილაფოზობამან მრავალნი უცალო ყვნეს, რომელთა ნივთი არს ტყუილი, რამეთუ გამომთქუმელობაჲ იგი არა იქმნების თჳნიერ ზღაპართა“ 127,28—30.

გამორდომილ-ი გამოვარდნილი: „გამორდომილ იქმნე, ვითარცა ადამ სამოთხისაგან“ 201, 14.

გამოსახვა გამოჩენა, დახასიათება, χαρακτηρίζω: „გამოსახავს უმანკოსა სიწრფოებაჲ საქმეთა მისთაჲ“ 133, 6.

გამოუცდელ-ი უსარგებლო, გამოუსადეგარი; არანამდვილი, ყალბი; κίβδηλος 2: „პირველი იგი დღე მარხვათაჲ უქმარ და გამოუცდელ იყოს შენდა“ 15, 9; „გამოცდილისაგან ოქროჲსა განჰყოფ გამოუცდელსა“ 90, 5.

გამოჩინება ჩვენება, გამოჩენა: „წიგნი ესე გჳქადებს ჭეშმარიტისა მის სიმართლისა გამოჩინებასა“ 130, 1.

გამოჩინებულ-ი გამოსახული, გამოჩენილი, δειχθέντος: „ღირს ჰყოფ თავსა შენსა მიღებად გამოჩინებულისა მის ნაყოფისა“ 92, 18.

გამოცდილ-ი ნამდვილი, δόκιμος 2: „გამოცდილისაგან ოქროჲსა განჰყოფ გამოუცდელსა“ 90, 5.

გამოძევა გამოძიება, გამოაშკარავება: „მოსწრაფე ვართ სხჳსა ცთომათა გამოძევად“ 25, 13; „დასცხერო მეორისა საქმეთა გამოძევად“ 25, 14.

გამოწერა დახატვა: „გამოწერეს ქარტასა ზედა ხატი კაცისაჲ“ 196, 32.

გამოწერილ-ი დახატული, გამოსახული: „ვითარცა ხატნი გამოწერილ არიან თითოეულნი საქმენი გონებასა შინა“ 28, 34.

გამოწულილვა გამოკვლევა: „შენ ნუ გამოიწულილავ ბრძანებათა და საშჯელთა მეუფისათა“ 217, 14: „ნუ მოაცალებ გონებასა შენსა სხჳსა ცოდვათა გამოწულილვად“ 25, 15.

გამოხატვა 171, 3 დახატვა.

გამოჴუება 1. მოკლება, გამოკლება, στερέω, ἡ στέρησις: „გამოაჴუა თავი შენი პატივისა მისგან“ 121, 7: „რაჲსაგან გამოეჴუები? დიდებისაგან-ა“? 97, 36. „ძეულლისაგან ჩემისა სიკუდილისა მიერ მისისა გამოვეჴუა“ 31, 15. 2. წარუმატებლობა, ἡ ἀποτυχία: „შიშითა გამოჴუებისაჲთა არავინ ივლტის კეთილთაგან“ 149, 28.

გამოჴუებულ-ი მოკლებული, გამოკლებული: „ნუმცა ვინ გამოჴუებულ არს ნეფსით სულიერისა მის ტაბლისაგან“ 18, 35.

განათლება განათება: „მთოვარე... მისმიერითა ნათლითა განგანათლებს“ 27, 3.

განბანილ-ი გარეცხილი, გადარეცხილი: (შეშა) „ვითარცა წყლისა მიერ განბანილი, ესრეთ უბრწყინვალესად ჩანს“ 6, 1.

განბნევა 212,12. დაფანტვა. აქ: გაცემა, დარიგება: „...გლწუართა განბნევაჲ მონაგებისაჲ მის“ 97,18.

განბრძნობა განსწავლა, σοφίζω:

„მარხვაჲ რჩულისმდებელთა განაბრძნობს“ 5, 7.

განბრძნობილ-ი განსწავლული: „უკუეთუ გონებითა განბრძნობილითა შეუძლო მოკუეთად მწარესა მას ძირსა გულისწყრომისასა“ 78, 9—10.

განგდება უარყოფა: „სახჱ ჰურიაებრივისა მის მარხვისაჲ განაგდო“ 1, 8; „მარხვასა განაგდებენ და შუებასა, ვითარცა ნეტარებასა, სდევენ“ 16, 17.

განგება დადგენა, დაწესება: „დამბადებელმანცა ჩუენმან განაგო, რაჲთა სხუად და სხუად იქცეოდის ცხორებაჲ ჩუენი“ 7, 26; „რაჟამს განეგოს მჴედრობასა შორსა წარსლვად... წარიღებენ მათ თანა... საზრდელსა საჭიროსა“ 13, 29.

განგებულ-ი დადგენილი: „ღმერთი არს, რომელი თჳსსა სიბრძნესა, განგებულსა წინაჲთვე, დიდებად ჩუენდა გამოგჳცხადებს“ 200, 30.

განგებულება მართვა, ხელმძღვანელობა; ორგანიზაცია; წესრიგი: ἡ οἰκονομία: „წერილისა მიერ ვიკითხავთ დიდსა მას ყოველთა ზედა ღმრთისა განგებულებასა და სიბრძნესა“ 33, 2; „განგებულებაჲ განუგებელსა მას საქმესა შინა მოპოვნებულ არს“ 185, 31.

განგრძობა გაგრძელება: „განმიგრძა მე მწირობაჲ ჩემი“ 34, 4.

განგურემა, განგუმერა 131, 3 მოკვლა, τύπτω: „განიგურიმის (განიგუმირის) სული და დაძდაბლდის უნებელისა მისგან საქმისა“ 34, 29. „...ლახურითა ენება განგურემაჲ ქველისმოქმედისაჲ მის“ 50, 36.

განვლება გავლა, გატარება: (დამეს) „განავლებენ“ 149, 14; „კეთილმან თანამზრახვალმან განმავლოს კეთილად ესე საწუთროჲ“ 170, 5.

განზოგება შუაზე გაყოფა, განახევრება, τὸ μέσον: „ვითარცა განზოგებასა ოდენ გზისასა მიიწინეს... აღდგეს მათ ზედა განსაცდელნი ღელვათანი“ 138, 32.

განზრახება 3, 15 მოთათბირება, რჩევა: „სიტყუაჲ იგი „იგავთაჲ“ არა მთრვალობასა განაზრახებს“ 53, 24; „უგუნურსა განმზრახსა განაზრახებ თავსა შენსა“ 88, 21.

განზრახვა რჩევა: (ევამ) „განზრახვაჲ გუელისაჲ ირწმუნა“ 144, 4.

განზრახვით განგებ, განზრახ, ἐξεπίτηδες: „განზრახვით თავსა შენსა სიმაძღრითა შეაიწრებ“ 15, 18; „ანუ არა საცნაურ არს-ა, ვითარმედ განზრახვით მაგის საქმისათჳს მოსწრაფე ხართ?“ 188, 18.

განზრქება, განზრქომა გასუქება, κατασαρκόω: „უზომოებითა მით სიმაძღრისაჲთა უმეტესად განაზრქებ შენ ზედა მტანჯველსა მას მატლსა“ 9, 17; „საკმარ არს მათდა სიმრავლითა ჭამადისაჲთა განზრქებაჲ თავთა მათთაჲ“ 12, 18; „შენ განპოხებისაგან და განზრქომისა კორცთა შენთაჲსა არა დასცხრები“ 9, 2.

განთიად 185, 8 განთიადისას, დილით ადრე.

განკაფვა გალევა: „განჰკაფ დღესა მას სამშჯავროთა შინა“ 10, 21; „რომელნი ბრძოლათა შინა ამის სოფლისათა განიკაფებოდინ“ 12, 18.

განკრძალება გამაგრება, ἀσφαλίζω: „უძლურთა მათ გუამითა ჴელოვანნი იგი მკურნალნი პირველითგანვე განაკრძალებენ“ 20, 15: „შიში განაკრძალებს მარტივთა მათ სულთა“ 59, 15.

განკრძალულ-ი მოკრძალებული, მორიდებული: (ყრმანი) „შემდგომად გუემისა მის... განკრძალულ იქმნებიან და იწყებენ მოსწრაფებით სწავლად“ 126, 28.

განკუეთა გაპობა, გაგლეჯა, გაყოფა, διακόπτω: „მარხვითა უზომოებაჲ იგი ბოროტისაჲ განკუეთა“ 17, 6; „დედანი კუალად ბუნებითითა მით სიყუარულითა განიკუეთებოდეს“ 113, 18.

განკუეთილ-ი 169, 21 მოკვეთილი, მოწყვეტილი.

განლევა 113, 21 დასუსტება; შემცირება, გათავება: „სენი იგი... განჰლევენ შინაგანსა მისსა და შეშჭამნ“ 79, 31. „მრავალფერითა მაგით ღონითა საფასჱ იგი ვერ განჰლიე“ 99, 30.

განმართება გამართვა, გასწორება, გამოსწორება: „სწავლაჲ განჰმართებს უწესოსა მას“ 127, 1; „ენებულებაჲ იგი უზომოდ და უჯეროდ მგოდებელთაჲ... განჰმართოს“ 35,

32; (ტანჯვაჲ) „რომელი ცოდვილთა ზედა მოიწევის განმართებად მათდა“ 59, 33.

განმარტება გაშლა (ხელისა), გადატ. მოწყალების გაღება: „ჴელნი იგი ლევიტელთანი სიკუდილად ძმათა განჰმარტნა“ 76, 21; „ივლტი შემთხუევისაგან გლახაკთაჲსა, ნუუკუე სადმე იძულებულ იქმნე მცირედ განმარტებად ჴელისა“ 93, 32.

განმარტებულ-ი გაშლილი (ხელი), გაღებული (თვალი), გადატ. დახარჯული, განიავებული (ქონება): „ჴელნი განმარტებულნი ძმასა ზედა“ 70, 22; „თუალნი... ესრეთ განმარტებულად ყოველსავე ხედვენ“ 29, 17; „ესრეთ... განმარტებულ იყოს სიმდიდრე იგი გულისთქუმისმოყუარეთა მათ მიერ“ 101, 28.

განმგდებელ-ი უარმყოფელი: „მარხვისა განმგდებელად გამოჩნდეს“ 13, 11.

განმგებელ-ი პატრონი, მეურნე; ყაირათიანი, ὁ οἰκονόμος: „ვითარმცა განმგებელი სოფლისაჲ არავინ იყო“ 46, 36; „მქნესა სახელ-სდებენ ამპარტავანად... განმგებელსა — ვითარცა ძჳრსა“ 84, 7—8.

განმზადებულება მზად ყოფნა, გამზადება, ἡ παρασκευή: „ესე არს მრავლითა განმზადებულებითა წარწყმედაჲ“ 85, 17; „განმზადებულებითა გონებისაჲთა“ 45, 28.

განმზრახ-ი მრჩეველი (ὁ σύμβουλος, ὁ μυσταγωγός): „ესე სიტყუაჲ... წარმოგიდგეს, ვითარცა განმზრახი კეთილი“ 25, 29; „უგუნურსა განმზრახსა განაზრახებ თავსა შენსა“ 86, 21; „ნუ შეიწყნარებ კუალად გუელსა განმზრახად“ 3, 14.

განმკუეთელ-ი დამანაწევრებელი, დამღეჭი: „კბილნი... მიმღებელნი და განმკუეთელნი საზრდელისანი“ 29, 26.

განმლეველ-ი გამთავებელი, გამომლევი, დამლევი: „განმლეველი არს სიმდიდრისაჲ მიცემაჲ იგი გლახაკთაჲ“ 97, 11.

განმჴნობა გაძლიერება, გამაგრება, ῥώννυμι: „მარხვაჲ... ძლიერთა განამჴნობს“ 5, 6; „მით განვმჴნდეთ განსაცდელთა შინა“ 8, 32.

განოტება მოცილება, მოშორება, უკუგდება: „მარხვაჲ... განიოტებს შფოთსა“ 15, 30; „სიმთრვალემან სული წმიდაჲ განიოტის“ 11, 26; „მადლნი სულიერნი განიოტნის სიმთრვალემან“ 11, 26.

განპება 155,27 გახევა.

განპოხება გასუქება, გასქელება, πιαίνω: „ნუცა განაპოხებ ჴორცთა“ 22, 25. „შენ განპოხებისაგან და განზრქომისა ჴორცთა შენთაჲსა არა დასცხრები“ 9, 1.

განპოხებულ-ი 18, 33 გამაძღარი.

განრთხმა 159, 26 გაჭიმვა, დაჭიმვა: „ნაწევარნი და ძარღუნი სლვისაგან უმეტესად ზომისა განირთხნეს“ 36, 20.

განრთხმულ-ი გადაჭიმული: „ცასა ვჴედავთ, ძმანო, განრთხმულსა, შემუსლსა და უღრუბლოსა“ 110, 22.

გა(ნ)რთხმულობა დაჭიმვა: „ძარღუნი განრთხმულობისა მათისაგან დაფოლხუდიან“ 184, 34.

განრენა 206, 8 გადარჩენა.

განრინება გადარჩენა: „ერთმან მან მსტუარნი იგი განარინნა“ 133, 34.

განრომა გადარჩენა: „ნავი... განერების ღელვათაგან“ 3, 27; „ვერ განერე მონებისაგან სამართლად“ 15, 7; „შემძლებელ იქმნენ... განრომად დანთქმისა მისგან“ 212, 15.

განრომილ-ი გადარჩენილი: „შევიტკბნეთ ძნიად განრომილნი იგი ძმანი“ 215, 2; „განრომილნი მსაჯულთაგან“ 173, 35.

განრყუნა 198, 30 დამახინჯება, დასახიჩრება, (ἡ πήρωσις): „განრყუნანი ასოთანი და მრავალგზის სიკუდილნიცა სასყიდლად რისხვისა მიიღიან მრისხანეთა“ 70, 27.

განსაგებელ-ი გასაყოფი, გასანაწილებელი: „სიმდიდრე არა საშუებელად თჳსისა თავისა, არამედ განსაგებელად სხუათა მოცემულ არს“ 100, 23.

განსაკუეთელ-ი გასამრჯელო, ხელფასი, τὸ σιτηρέσιον: „სოფლისა ამის მჴედართა შემსგავსებულად შრომათა მათთა აღორძნდების განსაკუეთელი“ 14, 1.

განსაცდელ-ი შემთხვევა; უბედური შემთხვევა, უბედურება, ἡ συμφορά: „აქუნდა მღჳმესა მას ბაბილონისასა ჭაბუკი იგი ისრაიტელი, ტყუჱ გან-

საცდელითა, ხოლო აზნაური სულითა და გონებითა“ 116, 36.

განსთქდომა გახეთქა, გაპობა: „ვითარცა პერული წყლისაჲ, ესრეთ რისხვაჲ მათი განსთქდის“ 70, 4.

განსლვა 124, 25 გასასვლელი ἡ ἔξοδος: „სიბრძნჱ განსლვათა შინა იქების... და თავთა ზედა ზღუდისათა იქადაგების“ 124, 18.

განსუენება დასვენება: „განსუენებადცა ვერ უძლავს“ 15, 21.

განსყიდა 90, 34—35 გაყიდვა.

განსწავლა სწავლის მიღება; დასჯა: „განისწავლა ყოვლითა მით სიბრძნითა მეგჳპტელთაჲთა“ 127, 22; „განგუსწავლენ ჩუენ, უფალო, გარნა სამართალითა“ 126, 24.

განსხმა გაყრა, გაფანტვა: „ვითარცა კუამლმან განასხნის ფუტკარნი“ 11, 25.

განტევება გაშვება, განთავისუფლება: „აწ ჟამი არს, რაჲთა განგიტევნე თქუენ“ 214, 5.

განუგებელად უნებურად, შემთხვევით, αὐτομάτως: „ნუცა მოიგონებ, თუ განუგებელად რაჲმე არს საქმეთაგანი“ 46, 35—36.

განუკრძალველ-ი მოუფრთხილებელი, არაფხიზელი, ἀφύλακτος: ზღუასა შინა დაფარულნი კლდენი... „საცთურ ექმნებიან განუკრძალველთა“ 86, 10.

განუნახველად განურჩევლად, მოუზომავად, ἀταμίευτα: „კაცი მრისხანე ვითარ დაითრვის... განუნახველად ზრახავნ“ 10, 32.

განუცხრომელად ფხიზლად, ἀμετεώριστον: „შენცა უკუე... განუცხრომელად გაქუნდინ თუალი იგი სულისაჲ“ 24, 14.

განუძლებელობა გაუმაძღრობა: „განუძლებელობაჲ იგი გულისთქუმათაჲ“ 102, 34.

განფენა გავრცელება: „განფენაჲ იგი ცოდვისა მათისაჲ“ 17, 4.

განფენილ-ი გავრცელებული: „ყოველსა ქუამსა განფენილ არნ სენი იგი“ 57, 18.

განფიცხება აღელვება, გამწვავება, ἐξαγριαίνω: „კიცჳ... უმეტესად განთიცხნების“ 52, 27; „ნუ განაფიცხებ ენებასა მას მისლვითა შენითა“ 52, 11.

განფრთხობა გამოფხიზლება: „არა განიფრთხო-ა ოდესმე მაგის მთრვალობისაგან?“ 104, 30.

განქიქება გამოაშკარავება, გამომჟღავნება, გამოჭენება: „...კუალად განაქიქებს საქმეთა ჩუენთა“ 67, 10; „განაქიქენ ბნელნი იგი მამონაჲს დაფარულნი ნამარხევნი“ 93, 6—7.

განქიქებულ-ი გამომჟღავნებული, გამოჭენებული, πάνδημος 2: „ნუ წინაშეიყვანებ მთრვალობასა — განქიქებულსა მას მეძავსა“ 14, 33.

განღება გატანა, წაღება: „არარაჲ შემოვიღეთ სოფელსა ამას და არცა რაჲ განღებად გჳც“ 211, 29. იხ. ჴელის განღება.

განყენება მიტოვება, გაცლა, უარის თქმა: „ღჳნოსა განეყენები, არამედ მაგინებლობასა ვერ დაუთმობ“ 10, 19; „განყენებაჲცა ოდენ ჭამადთაგან“ 18, 11.

განყოფილ-ი განსხვავებული: განცოფებულისა სულისა... არარაჲთ განყოფილ არიან მრისხანენი — არცა სახითა, არცა გონებითა“ 70, 7; „...არარაჲთა განყოფილ არს იგი კაცსა შიშუელსა“ 79, 15; „განყოფილად გაქუს თავსა შორის თჳსსა სახენი იგი ბოროტისანი“ 61, 24.

განყოფილება 140, 13 დანაწილება; განსხვავება, განსხვავებულობა, ἡ διαφορά: „განყოფილებაჲ მისი სხუათაგან“ 123, 7; „ოქროჲსა განყოფილებასა ქვასა ზედა დრესითა ვიხილავთ“ 39, 32; „ვითარცა საჴელნი განყოფილებით არიან გულისწყრომისა და რისხვისანი, ეგრეთვე სასწაულნი მათნი განყოფილებით არიან“ 77, 12—13.

განშუენებულ-ი 16, 24; 39, 18—19 დამშვენებული.

განჩინება 140, 14 დადგენა, დაწესება.

განჩინება ხვედრი, კუთვნილი, ნარგები: „გაქუს შენ განჩინებაჲ ესე ყოველივე კეთილი“ 162, 16.

განჩინებულ-ი დაწესებული, დადგენილი: „ოთხფერკთა ყოველთავე და მჴეცთა განჩინებული ჟამი აქუს შეერთებისაჲ და შვილებისაჲ“ 181, 32; (ჟამი აღსასრულისაჲ) „პირველითგან განჩინებულ იყო“ 48, 1—2.

განცდა დანახვა: „თუალი... ვერცა ზურგსა განიცდის“ 21, 22; „...თჳსთა თუალთა დირესა ვერ განიცდიან“ 25, 18.

განცოფება გაგიჟება: „რომელნიმე განცოფებად ანუ ასოთა დაჴსნილებად მიიწინეს“ 36, 35.

განცოფებულ-ი 71, 17, გიჟი.

განცჳბრება 90, 39 შეკრთომა, განცვიფრება.

განცხადებულად ცხადად, აშკარად: „სიძვაჲ იგი... განცხადებულად და ურცხჳნოდ იქმნებოდა“ 76, 31; „მოვალს ჟამი, რაჟამს არღარა იგავით, არამედ განცხადებულად გეტყოდი თქუენ“ 122, 19.

განცხადებულება სიცხადე: „იგავისა სიტყუასა შინა განცხადებულებაჲ არღარა არს“ 122, 20.

განცხო(ვ)ელება გაცოცხლება: „მკუდარი განცხო(ვ)ელდა“ 36, 4.

განწესებულება აგებულება, ἡ τάξις: „რაჲ არს ეშმაკი, და რაჲ არს განწესებულებაჲ მისი?“ 67, 2.

განწითვებულ-ი გაწითლებული, ღაჟღაჟა: „არა განწითვებულ არნ იგი ურცხჳნოდ“ 8, 12; „პირნი განსივებულნი, განწითვებულნი, ოფლითა შესოლვებულნი“ 16, 21.

განწუართა გაწვრთნა, განსწავლა: „მარხვითა განვწუართნეთ და დავმწყსნეთ თავნი ჩუენნი“ 8, 31.

განწყობა განლაგება (ჯარისა), ἡ παράταξις: „მჴედართა ქრისტესთა ბრძოლად უხილავთა მტერთასა განვაწყობ“ 12, 14; „მჴედარსა ბრძოლაჲ, ერისთავსა განწყობაჲ და ქრისტიანესა განსაცდელი გამოსცდის“ 116, 13.

განწყობილ-ი 170, 33 მწყობრში მდგომი.

განხეთქა დახევა: „განხეთქე ჴელითწერილი უმშჯავროჲ“ 114, 4.

განხრწნად-ი, განჴრწნად-ი 14, 4 წასახდენი, წარმავალი: „არა უგულებელს-ჰყვნე-ა განხრწნადნი ესე ჰამადნი“? 9, 14.

განხუმა გახსნა, გაღება: „განგეხუნეს თქუენ ბჭენი სამოთხისანი“ 179, 8.

განჴდომა გასვლა, გადინება: „ღჳნოჲ იგი განჴდედ და დიოდის თჳსსა გზასა“ 11, 10.

განჴმელ-ი გამხმარი; გამხდარი: „რომელნიმე თესლნი უწინარეს აღმოცენებისა განჴმელ იყვნეს“ 111, 3; „კაცი უპოვარი, განჴმელი, უჯამლოჲ“... 114, 24; „მწუხარეთა ფერი ყჳთელ არნ და განჴმელ“ 34, 34.

განჴსნილ-ი თავისუფალი: „განჴსნილი ყოვლისაგანვე იძულებისა“ 62, 35.

გარდავრდომილ-ი გადავარდნილი, გადაცვენილი: „სიმაღლეთაგან დიდთა გარდავრდომილთა... უფროჲსი ევნის“ 69, 35.

გარდათხევა გადასვლა, გადადინება: (სიმდიდრე) „გარდაითხევის საუნჯეთაგან“ 88, 7—8.

გარდამატება გადაჭარბება, გადამეტება: „ღმერთი... განრისხნეს და გარდაჰმატოს... ტანჯვაჲ ესე“ 114, 12; „ერთისა მის გარდამატებაჲ მეორისა მის ნაკლულევანებასა ჰყიფს“ 22, 32.

გარდამატებულ-ი მეტი, ზედმეტი, ბევრის მქონე: „რაჟამს ორთა მათ შჯიდეს მძლავრსა და მიმძლავრებულსა, ესეზომ მოაკლებს გარდამატებულსა მას, რაჲზომ-იგი უდარესსა აკლნ“ 131, 8; „სული მათი ზრუნვითა დაღნების, რაჟამს გარდამატებულისა მიმართ მოსწრაფე იყვნენ“ 103, 6.

გარდამატებულება სიჭარბე, გადამეტებულობა, ἡ ὑπερβολή: „მეათორმეტესა ფსალმუნსა გარდამატებულებასა მას განსაცდელთასა გამოაჩინებს“ 54, 32; „...გარდამატებულებისაგან გულისთქუმათა... შუებად და სიმთრვალედ მიდრკიან“ 53, 19—20.

გარდამოთხევა გადმოყრა, გადმოფრქვევა: „ვინ გარდამოსთხევს ლოცვასა შინა ცრემლთა?“ 113, 33.

გარდამო(ვ)რდომილ-ი 155, 12 გადმოვარდნილი, καταρρίπτω: „ეშმაკი... ხედვიდა თავსა თჳსსა ანგელოზთაგან გარდამორდომილად“ 65, 8.

გარდამოტევება 178, 21 გადმოშვება, გადმოფრქვევა.

გარდარევა გადამეტება, მოჭარბება: „სიმდიდრე თუ გარდაგერეოდის, ნუ შეაპყრობთ გულთა“ 206, 33: „ნაყროვანთა მათ ყრმათა მრავალგზის გარდამატებულად მივსცით, რაჲთა განძღომისა გარდარევითა გარე-მიაქციონ იგი“ 91, 18.

გარდარეულ-ი ძლიერი; გადატვირთული: (ფუფუნეულთა) „გარდარეული სნეულებაჲ ჴორცთა მოატყუან“ 8, 10; „ტაბლაჲ გარდარეული სანუაგითა“ 30, 31.

გარდასრულ-ი 138, 3 გასული, წასული: „პირველ გარდასრულთა მათგან ნუგეშინის-ეც თავსა შენსა“ 217, 1.

გარდატევება აქ: გაშლა, ჩამოშლა, σοβέω: „ურცხჳნო იქმნეს წინაშე პირსა მამათასა და გარდაიტევეს თმები“ 180, 26.

გარდაქცევა 23, 30; 129, 6 შებრუნება, შეტრიალება. περιτρέπω.

გარდაცემა გადამეტება, გადადინება, თავს გადასვლა, სიჭარბე: „მძლავრებით და იძულებით დაყენებულ იყო სიმდიდრე იგი და გარდაეცემოდა“ 91, 26; „უწერტს სულსა მისსა განმრავლებაჲ იგი და გარდაცემაჲ სიმდიდრისაჲ“ 88, 7.

გარდაცემულ-ი 88, 8 ზედმეტი, ჭარბი, წრეს გადასული.

გარდახლდომა გადახტომა: „მთრვალნი... არა აჩრდილთა ზედა გარდაახლდებოდიან-ა მრავალგზის, ვითარცა მთხრებლთა?“ 182, 1.

გარდაჴდა გადახდა, გაყვანა, გატარება: „...ფრიადსა ჟამსა გარდაჰჴდიდეს სუმასა მას შინა“ 185, 29: „ერისთვობათამცა შინა გარდაეჴადნეს დღენი თჳსნი“ 49, 12.

გარდაჴდომა გადასვლა: „ნუსადა გარდაჰჴდე რჩულსა მას მოღუაწეთასა“ 24, 10.

გარეგან 1. (ზმნზ.) გარეთ; გარედან; შორს, ἔξω: „არნ ვინმე ზუავთაგანი... რომელსა გარეგან სახე სიწმიდისაჲ აქუნდა“ 20, 21: „ნუმცა ვინ გარეგან ჰყოფს თავსა თჳსსა მწყობრისა მისგან მმარხველთაჲსა“ 13, 3. 2. (თანდ.) გარეთ; წინააღმდეგ, გარეშე: „გარეგან ქალაქისა“ 180, 29; „ლომნი გარეგან ბუნებისა იმარხვიდეს“ 116, 37; „გარეგან ბრძანებისა ღმრთისა არა მოიკლა“ 76, 34: „არცა რაჲ მოიწევის ჩუენ ზედა გარეგან მისისა ნებისა“ 56, 15.

გარეგანი კაც-ი სხეული ადამიანისა: „გარეგანი კაცი განპოხებული“ 18, 32: „რაჲზომცა გარეგანი კაცი განიხრწნებოდის, შინაგანი განახლდების“ 59, 21. შდრ. შინაგანი კაცი.

გარეგნით გარედან 29, 22.

გარეთ გარედან, ἔξωθεν: „ვნებაჲ ესე... არა ჩუენ შორის იქმნა, არამედ გარეთ მოიწია“ 68, 29.

გარეთ კერძო გარეთ: „...არა სადაჲთ იქმნის განსლვაჲ გარეთ კერძო“ 37, 7.

გარე-მიქცევა უარყოფა, უკუგდება, არიდება, ἡ ἀποστροφή; παραιτέομαι: „მე სიტყუასა ამას გარე-მივაქცევ“ 83, 10; „გარე-მიაქცევდე ცოდვასა და პატივ-სცემდე სათნოებასა“ 132, 11; „მარადის გიხაროდენ და გარე-მიაქცევდე მწუხარებასა“ 40, 24—25. „გამორჩევაჲ უმჯობესისაჲ და გარე-მიქცევაჲ სავნებელისაჲ თჳთ ბუნებისაგან ჩუენისა გუსწავიეს“ 33, 3.

გარე-მოდგინება გარშემორტყმა, შემოვლება: „მთრვალობასა, ვითარცა დედოფალსა ვისმე, მსახურებაჲ იგი გარე-მოადგინიან“ 185, 35.

გარე-მოდგომა 177, 25 შემოხვევა, შემორტყმა, შემოვლება, περιπλέκω: „კრებული იგი შენ მიერ გამოზრდილთა გლახაკთაჲ გარე-მოგადგეს წინაშე მსაჯულისა მის“ 89, 19.

გარემოდგომილ-ი შემოხვეული, გარშემორტყმული, περιπλεκόμενος: „აშთობედ ობოლსა შვილსა მმარხველისასა ვახშნი მამულნი, ვითარცა გუელნი გარემოდგომილნი“ 7, 13.

გარემო-სლვა გარშემო ტრიალი, περι-φέρω: „ყოველივე შენ გარემოგივიდოდის“ 11, 16.

გარე მყოფ-ი გარეშე, უცხო ადამიანი: „სიტყუანი იგი ფიცხელნი... გარემყოფთა მიერ თქუმულნი, შეუწყნარებელ იქმნიან“ 52, 21.

გარეშე კაც-ი 9, 11 იგივეა, რაც „გარეგანი კაცი“, სხეული.

გარეშემოუწერელ-ი უსაზღვრო, უკიდეგანო, μὴ περιγραφόμενος: „ცხორებაჲ... სულისაჲ... გარეშემოუწერელ არს და დაუსრულებელ“ 22, 17; „უკორცოდ გულისჴმაჰყოფდი ღმერთსა... და გარეშემოუწერელად“ 28, 16.

გარე-შემოწერა 161, 33 შემოსაზღვრა.

გარეწარ-ი 124, 22; 158, 9 მეორეხარისხოვანი, სასხვათაშორისო, πάρεργος 2: „არა გარეწარად აქუნ ამათ საქმეთა მოსწრაფებაჲ, არამედ ღამჱ და დღჱ ამისთჳს ზრუნავნ“ 101, 10.

გარე-წარქცევა უკუგდება, დაძლევა: „გარე-წარაქცია ესევითარი იგი ეშმაკისა ღონე“ 217, 18.

გარნა 18, 11 მაგრამ.

გება ყოფნა, დგომა: „სიწმიდე და სიმართლე საუკუნოდ ჰგიან“ 212, 22.

გემოვნება გემოს გასინჯვა, დაგემება: „გემოვნებანი ბილწებათანი“ 143, 38.

გემოჲსმოყუარე 53, 19 გაუმაძღარი, მსუნაგი, φιλήδονος 2: „მეშინის მთრვალობისაგან, რომელი-იგი... აქუს გემოჲსმოყუარეთა“ 17, 26.

გემოჲსმოყუარება, გემოთმოყუარება 10, 7 გაუმაძღრობა, ღორმუცელობა, ἡ φιληδονία: „უზომოჲსა მისგან გემოჲსმოყუარებისა გემოსა მას საჭმელთასა უჩინო ჰყოფ და განჰრყუნი“ 7, 22.

გესლი 1. შხამი, ὁ ἰός: „გუელნი კბენითა შეილებენ გესლსა“ 83, 4. 2. „ჟანგი: „ვითარცა გესლი რკინასა, ეგრეთვე შური სულსა... განჰლევს“ 79, 7.

გეჰენია 151, 14 ჯოჯოხეთი, მუდმივი ტანჯვის ადგილი, ἡ γεέννα: „...გუტანჯვიდეს ჩუენ გეჰენიასა შინა“ 27, 33.

გითქს, გიდს 93, 22 გიდგას.

გლისპ-ი თავაშვებული, ურცხვი, ἀκόλαστος 2: „სიცილითა გლისპითა არა შეგინებულ არნ“ 8, 15.

გლოისმოყუარე დარდიანი, მწუხარე, φιλόλυπος 2: პურითა განმტკიცნებოდის გული იგი გლოისმოყუარეთაჲ მათ 53,29—30: „ვნებულებაჲ იგი უზომოდ და უჯეროდ მგოდებელთაჲ და გლოისმოყუარეთაჲ განჰმართოს“ 35, 32.

გლოისმოყუარება 36, 11 მწუხარება, დარდი, φιλο-λύπος 2: „არცა დედათა და არცა მამათა ბრძანებულ არს ესრეთ გლოისმოყუარებაჲ და ცრემლმრავლობაჲ“ 37, 15.

გოდოლ-ი 177, 26 კოშკი.

გონება 101, 6 სინდისი: „გონებისა მის წმიდისა ვეცხლისმოყუარებითა შემაგინებელი“ 120, 11.

გონებით-ი გონებრივი, სულიერი: „ჩუენ გონებითისა ცოდვისა მიმართ ადვილად წარვიტაცებით“ 20, 9.

გრკილ-ი პურის მარცვალი; ნამცეცი, ὁ σῖτος: „უბადრუკო, ყვენ ძმანი შენნი თანამონაწილე გრკილთა“ 94, 1.

გრძელ-ი ხანგრძლივი: „დასაბამი სიყუარულისაჲ იქმნის ფრიადისა ერთბამად ყოფისაგან და გრძელთა ჟამთა ჩუეულებისა“ 46, 29.

გრძელად ხანგრძლივად. μακρά: „იგლოოს გრძელად“ 211, 35.

გუემულება იხ. ცისად-ცისად გუემულება.

გჳრგჳნოსნობა 33, 33 გვირგვინით შემკობა, აქ: ასპარეზობაში გამარჯვება: „მრავალსა ეტყჳან და ამცნებენ მოთმინებასა გჳრგჳნოსნობისათჳს“ 12, 10.

გჳც: „არარაჲ შემოვიღეთ სოფელსა ამას და არცა რაჲ განღებად გჳც“ 211, 29 — გვაქვს.

გულარძნილ-ი 131, 27 ღვლარძნილი, მრუდი; მზაკვრული: (სიტყუასა) „გულარძნილსა მრავალი თხზნილებაჲ აქუს“ 128, 34.

გულარძნილება ღვლარძნილობა, სიმრუდე: (ყურებში) „ჴმაჲ დაუყენებელად ისმოდის... გულარძნილებასა მას შინა მოქცევითა მით“ 29, 21.

გულისზრახვა აზროვნება, ἡ ἔννοια: „რაჟამს პოის გულისზრახვამან ჩუენმან ჴმაჲ სიტყჳსაჲ. მეჴსეულად... მიიწიის მეტყუელისა მისგან მსმენელისა მიმართ“ 19, 22.

გულისთქუმა სურვილი, ჟინი, ἡ ἡδυπάθεια, ἡ ἐπιθυμία, ἡ ἡδονή: „აწ არა გენებოს მიღებაჲ წყლისაჲ და უკუანაჲსკნელ წუეთისა ერთისათჳს გული გითქუმიდეს“ 8, 6: „გულისთქუმანი ბოროტნი ალაზრზენდენ სულსა შენსა“ 27, 27: „ჭეშმარიტი მარხვაჲ... არს... განშორებაჲ გულისთქუმათაჲ. ძჳრისმეტყუელებისაჲ“ 18, 14.

გულისსათქუმელ-ი სასურველი, სასიამოვნო; სიამოვნება: „დანიელ, კაცი იგი გულისსათქუმელი“ 6, 14: „განყენებითა მით გულისსათქუმელისაჲთა გამოვაჩინოთ კეთილი იგი მარხვისაჲ“ 65, 31.

გულისსიტყუა სურვილი, წადილი: „ბოროტ არს ლონე ესე და გულისსიტყუაჲ ესე — ამაო“ 14, 27: „ნუ ვინ მოიგონებს უჯეროსა გულისსიტყუასა“ 215, 16.

გულისჴმისყოფა შეტყობა, მიხვედრა: „მაშინღა გულისჴმა-ყვეს ნაკლულევანებაჲ იგი მათი“ 150, 1.

გულისჯმისმყოფელ-ი გამგები, შემტყობი, მიმხვედრი: „გულისჯმისმყოფელნი ვართ კეთილისა და ბოროტისანი“ 33, 2.

გულისჯმისყოფილ-ი 158, 25 ნაგრძნობი, შეტყობილი.

გულკლებულ-ი 79, 24 გულნაკლული, ნაწყენი.

გულსმოდგინება სწრაფვა, ინიციატივა, სურვილი: „ჯმა არს ესე მოსწრაფეთა მათ გულსმოდგინებასა აღორძინებად“ 12, 4.

დ

და არა თუ არა: „სხუაჲ ვინ მოვიღოთ ამის ყოვლისა მიზეზად, დაარა ღმერთი?“ 56, 7; „რაჲ ვთქუათ სხუაჲ ჭეშმარიტი რაჲმე სიტყუაჲ, დაარა ვითარმედ იგინი თვით ექმნეს თავთა მათთა მიზეზ სატანჯველთა?“ 56, 27.

დაბადებულება დაბადება, დასაბამი: „რომელი დაბადებულებისაგან სოფლისა გულისჯმა-ჰყოფდეს დამბადებელსა“ 123, 31.

დაბზარვა იხ. დაბძარვა.

დაბრმობილ-ი 95, 2 დაბრმავებული.

დაბძარვა, დაგლეჯა, დახევა, *σπαράσσω, καταρρήγνυμι*: „მათ მისნი წიგნნი დაბძარნიან“ 116, 9; (ვეფხმან) „დაბძარის ქარტაჲ იგი“ 196, 35. „ჯორცნი მისნი დაიბძარვოდეს“ 216, 9.

დაბძარულ-ი გატეხილი: „ჭურჭელი თიჯისაჲ დაბძარული“ 63, 31.

დაგება 1. დაზავება, დათანხმება, შეთანხმება, შეწყობა, *ἡ καταλλαγή, σπένδω*: „ნუ ოდეს დაეგები მას, ნუ ოდეს თავს-იდებ უბნობასა მისსა“ 196, 13; „დააგნეს ნებანი ჯორცთანი სულსა, რომელნი წინააღმდგომ მისა არიან“ 58, 17; „ჭეშმარიტად სავნებელ არს დაგებაჲ უკეთურისაჲ“ 65, 15. 2. გაშლა (სუფრისა): „ტაბლათა ბრწყინვალეთა დაგებასა“ 198, 14.

დაგებულ-ი გაშლილი, გაწყობილი: „ვითარ დავჯდე ტაბლასა ზედა, ესევითარითა მიზეზითა დაგებულსა?“ 90, 33.

დაგურემულ-ი დაისრული, დაჩხვლეტილი: „რაისათჳს ესრეთ დაგურემულ ხარ სიყუარულითა ოქროჲსაჲთა?“ 105, 28; „ერთისა დღებისა სიყუარულითა დაგურემულ ვართ“ 173, 27.

დადება იხ. დაუც.

დადრეკილ-ი დახრილი: „ოთხფერჴნი... მუცლისა მიმართ დადრეკილ არიან“ 29, 7. იხ. ქუედადრეკილი.

დადუმება დამშვიდება, დაწყნარება: „მარხვაჲ... დაადუმებს ძჳრისზრახვასა“ 15, 30; „მარხვამან... ყოველივე შფოთი ქალაქისაჲ დაადუმის“ 15,32.

დათხევა დაღვრა: „...ცრემლთა მათ მიერ, რომელთა დასთხევდენ ძმისათჳს“ 35,13.

დაკრება შეგროვება, დახვავება, მოზიდვა, *ἀθροίζω*: „ნუ დაიკრებ პირველვე ხუთისა მის დღისა სიმთრვალესა“ 11, 6; „რომელნი-იგი უცხო არიან ჩუენგან, მათ დაკრებად არა დავაცადებთ“ 208, 35; „ტჳრთი ესე... თავსა ზედა ჩემსა დაიკრიბე“ 151, 4.

დალპობად-ი დასალპობი: „ხვალე დალპობადი იგი მიეც დღეს გლახაკსა“ 94, 1—2.

დამართება დამიზნება, მიზანში ამოღება: „მოისარი ისარსა მას თჳსსა, რომლისა განგუმერაჲ ეგულებოდის, მას დაუმართებს“ 131,3.

დამარხვა 147,34 შენახვა: „სამოსელი ეგე, რომელი შენ საუნჯეთა შინა დაგიმარხავს, შიშუელისაჲ არს და არა შენი“ 94,35.

დამაყენებელ-ი შემსუსტებელი, შემნელებელი; დამაბრკოლებელი: „არაჲმცა დამაყენებელ იყო ყოველსავე სოფელსა ჯშირისა მშჳდობისა ყოფად“ 16,2; „უზეშთაეს იყო განმაძლიერებელი იგი დამაყენებელისა მის“ 36,6.

დამახრწეველ-ი 147, 28 დამაბრკოლებელი: „ამის სოფლისა მწირობისა განგრძობისათჳს, ვითარცა დამახრწეველისა მის სიხარულისაგან, იგლოვდა“ 34,16.

დამბადებელ-ი 42,6 ღმერთი.

დამგებელ-ი შესაგუებელი, შესათანხმებელი: „ძნიად დამგებელი მტერობაჲ არს შური“ 81,14.

დამდაბლება ჩამოსმა, ჩამოყვანა, ჩამოგდება: „საყდართა მათგან სამეუფოთა დაამდაბლა და სკამეთა ზედა დასუა“ 216,8.

დამდოვრება მოდუნება, პოშვება; დაწყნარება, κοιμίζω: (მარხვაჲ) „დამდოვრებს ჴმამაღლობასა" 15, 29, „დააცხრო გულისწყრომაჲ იგი და დამდოვრო, ვითარცა კიცჳ უმწყი" 27, 24; „და-რაჲ-სცხრეს მცირედ ბორო-ტი იგი და დამდოვრდეს" 52,24.

დამთქმელ-ი, დამნთქმელ-ი მეკობ-რე, პირატი, ἡ καταποντιστής: „სიმ-დიდრისათჳს არიან უდაბნოთა შინა ავაზაკნი და ზღუასა შინა დამთქმელნი" 106,12; „არცამცა იყო-ფოდეს... ზღუათა შინა დამთქმელნი" 16,8.

დამტეობელ-ი დამტოვებელი, მიმ-ტოვებელი: „ბრძოლასა შინა ვინმე იპოოს ძლეულ და საჭურველისა დამტეობელ და მეოტ" 13,10.

დამტკიცება შექმნა, დაარსება: „ცა-ნი დაემტკიცნეს" 166, 24.

დამღულალ-ი დამპალი, σήπω: „უკუ-ეთუ უნდოები ძონძები ემოსოს და დამღულალები, ვითარცა მყრალ-სა, ეიოტებთ" 213,34.

დამყარება დაარსება, დაფუძნება: „ღმერთმან სიბრძნით დაამყარა ქუეყანაჲ" 123,35.

დამშჭუალულ-ი დაკრული, დალურ-სმული: „რომელი დამშჭუალულ იყოს კორციელითა სამშჭუალითა..." 125,30.

დამძიმებაჲ ფასისაჲ გაძვირება: „ნუ დაამძიმებ ფასსა ჟამსა მას საჭიროჲსა საჭმრისასა" 89, 36; „ნუ დაჰრთავ წყლულებასა ზედა მში-ერთასა წყლულებასა სხუასა დამძი-მებითა ფასისაჲთა" 90,3—4.

დამწულილება „დაწურილება": „სიყ-მილი... სიზრქესა დაამწულილებს" 118,17, C.

დამწყსა მოვლა, პატრონობა: „კეთილ არს მათდა... თავთა მათთა ბრძოლასა მას შინა დამწყსაჲ" 12,23.

დამჭირვა 119,17 დაჭერა, შეკავება: „შენ დაიმჭირავ მდინარესა მას და დაუჭშავ განსავალთა" 91,22; „მწუ-ხარებაჲ იგი თავსა შორის შენსა დაი-მჭირე" 74,35; „ჭელი დამჭირ-ვად კათხაებსა მოუძლურებულ არნ" 186,13; „დამჭირვაჲ გულისწყრო-მისაჲ" 18,14.

დამჭნარ-ი 111,5 დამჭკნარი.

დამჭუება 9,6 დამხობა, დამარცხება.

დანთქმად-ი დასანთქმელად, დასახრ-ჩობად განწირული: (ქრისტემ) „შეა-რისხნა ქართა და პეტრე დანთქმა-დი ალასუბუქა" 155, 8.

დაპება დაგლეჯა: „დაიპებდა მის თანა სამოსელსა თჳსსა" 52,3; „და-პებითა სამოსლისაჲთა" 37,18.

დაპებულ-ი დახეთქილი, დამსკდარი: „ქუეყანაჲ განმჭმარ არს უზომოდ... დაპებულ არს" 110,27.

დარქუმა დახურვა: „დაარქუან თავსა მისსა გჳრგჳნი და ყუავილნი" 185,36.

დარღუევად-ი დასარღვევად, დასან-გრევად განწირული: „დარღუევა-დთა სახლთა აღმართებაჲ" 102,25.

დარწყმულ-ი დაგებული: „ფარულნი მახენი დარწყმულ არიან მტერი-სა მიერ" 21,28.

დას-ი 177,10 რაზმი, გუნდი, τὸ τάγμα: „თითოეულსა დასსა შინა სიმრავლჱ არს ალურაცხელი" 156, 19.

დასაბამიერ-ი დასაბამის დროინდე-ლი, თავდაპირველი: „ყოველივე და-საბამიერი საქმჱ პატიოსან არს" 2, 29.

დასაბამითგან-ი დასაბამის დროინ-დელი: „დასაბამითგანნი კაც-ნი ყოველნი გნატრიდენ" 89. 28.

დასამჭირველ-ი დასაჭერი, შესაკავე-ბელი: „კაცი მრისხანე... ძნიად დასა-მჭირველ არნ" 10, 32.

დასება 153,7 ფერხული, ἡ χορεστα-σία: „მიმოიხილე... დასებასა ან-გელოზთასა" 153, 7.

დასხმა 1. დაყრა: „დასხმითა მიწისაჲთა თავსა ზედა" 37, 19. 2. და-ფუძნება: „ღმერთმან... სამოთხჱცა და-ასხა და მუნ შეიყვანა... კაცი" 195,25. იხ. ნაცრის დასხმა.

დატეობა, დატევება 113, 13 დატო-ვება, მიტოვება: „არა დაუტე-ობიეს მათ ერთიცა. ჟამი" 185, 17; „დაგჳტეობიან იგინი, რომელთაჲ შეკრებაჲ გჳქმდა" 208, 30.

დატეობილ-ი 43, 29 დატოვებული, მიტოვებული.

დაუგებელ-ი შეურიგებელი, დაუზა-ვებელი, ἀδιάλλακτος 2: „სადაჲთ არს უკუე დაუგებელი იგი მისი ჩუ-ენდა მომართ ბრძოლაჲ?" 64, 37: „დაუგებელი მტერობაჲ მოგუეცა გუელისა მიმართ" 65, 21; „გუელთა... დაუგებელად აქუს ბუნებით კაც-თა სიძულილი" 69, 13—14.

დაულევნელ-ი გაუთავებელი, უსასრულო: „დაულევნელად შრომაჲ“ 93, 10.

დაუმჴირველ-ი შეუკავებელი, შეუმაგრებელი ἀκάθεκτος 2: „პირნი დაუჴშველ და ჴელნი დაუმჴირველ“ 69, 16.

დაუნჯება 84, 29 შეგროვება, შენახვა: „მათმიერნი იგი შემოსავალნი ამაოებისა საუნჯეთა შინა დაიუნჯიან“ 25, 1: „დაიუნჯე თავისა შენისა საუნჯჱ ცათა შინა“ 93, 12.

დაუნჯებულ-ი 114, 11 დაგროვილი, შენახული.

დაუყენებელად შეუჩერებლივ: „...რაჲთა ჴმაჲ დაუყენებელად ისმოდის“ 29, 20.

დაუც: „საზღვარი ცხორებისა შენისაჲ ვის დაუც?“ 147, 5 — ვის დაუდევს?

დაუცადებელ-ი განუწყვეტელი, შეუჩერებელი: „მარხვაჲ დაუცადებელი“ 23, 7; „დაუცადებელად ილოცევდით“ 30, 8; „ესენი ოდესმე იცინიედ დაუცადებელად და ოდესმე ტიროდიედ მოუწყუედელად“ 182, 5.

დაუწყნარებელ-ი შეუწყნარებელი, მიუღებელი, ἀγεννής 2: „გლოისმოყუარებაჲ და უზომოდ გლოაჲ, ვითარცა დაუწყნარებელი, გარე-მიაქცია“ 36. 12.

დაუწყუედელ-ი დაუშრეტელი: „წყარონი მოგუაკლდეს მდიდარნი იგი და დაუწყუედელნი“ 110, 29.

დაფოლხუება, დაფულხუება მოშვება, მოდუნება: „ძარღუნი განრთხმულობისა მათისაგან დაფოლხუდიან“ 184, 34.

დაფხურა დაგლეჯა: „არა ჯოდებდა იგი უწესოდ, არა დაიფხურნა თმანი თჳსნი“ 37, 38.

დაქეჯნა, დაქენჯნა შეწუხება, შევიწროება. συστέλλω: „ღჳნოჲ...' დაამძიმებს და დაჰქეჯნის (დაჰქენჯნის) და დაამდაბლებს სისხლსა“ 182, 19.

დაქეჯნილ-ი, დაქენჯნილ-ი ვალახული, დაჩაგრული, κατα-κονδυλισθέντος „განცხადებულად იხილნე ხატნი იგი ბოროტთა შენთანი: ამიერ ობლისა ცრემლთა, იმიერ ქურივისა სულთქუმათა, სხუთ კერძო დაქეჯნილთა მათ შენ მიერ გლახაკთა“ 105, 8.

დაქცევა დაღუპვა, დანთქმა: „ზღუასა შინა დაქცევითა მეყსა შინა ყოვლისაგან სიმდიდრისა ჩემისა დავგლახაკნე“ 31, 15.

დაღაცათუ თუმცა: „მოსწრაფესა მონასა ღმრთისასა დაღაცათუ რაჲმე ძნელოვანთაგანი ეპოოს, ვერ დააბნელოს სიხარული მისი“ 33, 34: „გულისჴმა-ვჰყოფ მე ზრახვათა შენთა, დაღაცათუ სიტყჳთ არა იტყჳ“ 145. 28.

დაღრმობილ-ი ჩაღრმავებული, ჩაცვენილი: (სიყმილისაგან) ...„თუალნი უსუსურნი და დაღრმობილნი“ 118, 23.

დაყენება 1. დაკავება; შეკავება, შეჩერება: „ნუცა დაუყენებთ მათ ნაფშუენსა ტაბლისა ჩუენისასა“ 212, 35; „უზომოდ განფენაჲ იგი ცოდვისა მათისაჲ დააყენა“ 17, 5. 2. დაშრეტა (თვალისა): „თუალსა. ბოროტად მხედველსა, დააყენებს“ 136, 32.

დაყენებულ-ი 147, 3 შეჩერებული, შეკავებული.

დაყოვნებულ-ი დაგვიანებული: „ვითარცა თანამდებსა დაყოვნებულსა. ესრეთ აბრალებდიან ღმერთსა“ 115, 20.

დაყოფა დახურვა: დადუმება; დახუჭვა; დახშვა: „მარხვამან დაუყვნა პირნი ლომთანი“ 6, 21; „არავინ დაიყვნის თუალნი“; „წყაროსა მცენარესა არავინ დაჰყოფს“ 84, 37; „ვეცხლისმოყუარებისა მიერ ყურნი დაგიყოფიან“ 93, 28.

დაყუდება სიმშვიდე, სიწყნარე ἡ ἡσυχία: „არა დაყუდნიან, ვიდრე არა დიდისა ბოროტისა მიერ“ 70, 2; „მარხვაჲ... მშჳდობასა შინა... დაყუდებასა ასწავლის“ 5, 12; „ვხედევდით დაყუდებით უშუერსა მას შფოთსა“ 68, 32.

დაშავება გაშავება: „სპეტაკებაჲ არა არს, რამეთუ ჭირმან მან დააშავის“ 118, 19.

დაშთომილ-ი დარჩენილი: „წარრაჲ-ჴდის წყალი იგი, ჴმელად დაშთომილ იქმნიან“ 184, 25.

დაშნ-ი წყნარი: „დაშნად უპყრიედ თუალნი მისნი“ 8, 13.

დაშურომა 154, 13 დაღლა, ქანცის გაწყვეტა, κακο-παθέω: დაშუერ, ვითარცა კეთილი მჴედარი“ 13, 35.

დაცემა დაგესლვა: „ანუ თუ ენისა მიერ დაეცი, ანუ თუ საქმითა ჴელთაჲთა ჰქმენ უჯეროჲ რაჲმე“ 25, 24.

დაცემულ-ი დაკბენილი, ნაკბენი, τὸ δεχθὲν ← δάκνω: „გუელნი კბენითა შეღებენ გესლსა, დაცემული იგი მცირე-მცირედ დალპების“ 83, 4—5.

დაჭირვება ზიანი; გაჭირვება: „იკსენებდ მას, რომელმან ესოდენნი კეთილნი დაგაჭირვნა“ 196, 13; „იხილე, ნუუკუე მცირედისა გულისთქუმისათჳს ჭამადთაჲსა დაგჭირდეს ანგელოზისა მიერ აღწერაჲ“ 13, 7 „დაჭირვებაჲ დიდი მოიწია მათ ზედა მის ყოვლისაგან“ 138, 35.

დაჭნობა დაჭკნობა. აქ: დასუსტება: „სიკუდილი... სიზრქესა დააწურილებს, ძალსა დააჭნობს“ 118, 17.

დახრწევა დაბრკოლება, ხელის შეშლა, ἐμποδίζω: „მთრვალობაჲ... კურნებასა მას სულისასა დაახრწევს“ 54, 5; „კორციელნი საქმენი მრავალთა მიერ დაიხრწევიან“ 20, 31; „ზრუნვითა... მით კორცთაჲთა ღმრთისა მიმართ ხედვისაგან დაიხრწეოდის“ 65, 38; „შ ბოროტნი ეგე დახრწევანი“ 143, 37.

დახუდომით დაუფიქრებლად: შემთხვევით, უნებლიედ, ἀπὸ ταυτομάτου: „დახუდომით უბნობაჲ ოდენ და მოგონებით გულისთქუმაჲ ესრეთ მავნებელ არიან“ 188, 9.

დაჴსნა დაშლა, დარღვევა, παραλύω: „მოჰკადენ სართულნი და დაჰჴსნენ კედელნი“ 93, 5; „...მის ზედა მიმავალსა მას უკეთურებასა დაჰჴსნის“ 73, 32; „ბოროტი იგი ბილწებაჲ... დაჰჴსნის ასოთა სიმტკიცესა“ 210, 8; „დაჰჴსნა სიკუდილი სიკუდილითა“ 155, 28.

დაჴსნილ-ი დასუსტებული, ძალაგამოლეული, დაშლილი: „სულმოკლე ვართ და დაჴსნილ“ 113, 33: სასოწარკუეთილებისაგან დაჴსნილ იქმნე“ 25, 33; „უბადრუკი იგი გუამი ბუნებითისა ძალისაგან დაჴსნილ არნ“ 186, 15; „მიიღოს მან სული, გულისთქუმითა დაჴსნილი“ 75, 18.

დაჴსნილება, დაჴსნილობა 25, 7 დაშლილობა, დარღვეულობა, უძლურება: „ვითარცა საწდობელმან რკინაჲ, ესრეთ აწდევის იგი და ფიცხელ და ახოვან ყჳს დაჴსნილობისა მის წილ“ 75, 20. იხ. ასოთა დაჴსნილება.

დგმა იხ. ათქს, ადგს; გითქს, გიდს.

დება იხ. გჳც.

დედა 37, 15; 213, 16 დედაკაცი, ქალი.

დედაზარდლ-ი ობობა, τὸ ἀράχνιον: „კორცნი ვითარცა დედაზარდლისა ბუდე იყვნიან“ 118, 17.

დევნულება დევნა: „ჭირნი და დევნულებანი“ 32, 22.

დიაკეულ-ი 141, 37 დეკეული, ფური.

დიდებისმოყუარე აქ: სიმდიდრის მოყვარე, φιλόπλουτος 2: „რაჲხომცა დიდებისმოყუარე ხარ, ეგეზომად ნუ რარას დაუტეობ მონაგებთა შენთაგანსა“ 109, 5—6.

. **დიდებისმეტყუელება** 160, 18 ქება, ხოტბა.

დიდფას-ი ძვირფასი: „...თალაკაუფრაჲმე დიდფასისაჲ აქუნდეს სიმძიმე, ზღუად შთააბნევენ“ 212, 13.

დრაჰკან-ი მონეტა, ფული, τὸ νόμισμα: „დრაჰკნისა ზედაწერილსა იცნობ... ხოლო ძმისა მის მშიერისა უმეცარ ხარ“ 90, 4—5.

დრესა ხეჴვა, ხახუნი, προστρίβω: „ოქროჲსა განყოფილებასა ქვასა ზედა დრესითა ვიხილავთ“ 39, 32.

დროება დაყოვნება, დაცლა, გადადროება: „აწ მშიერი იგი მოკუდების... და შენ მოწყალებასა ხვალისა ადროებ-ა?“ 93, 25; „ვის უქადებიეს შენდა სიბერედმდე დროებაჲ?“ 147, 6.

დროების-ცემა 147, 23 დაყოვნება, ἀνα-βάλλω: „...შენ დროება-სცემდ იკიცხევი და განსაცდელსა მას უგრძესად მოაწევ მის ზედა“ 90, 37.

დღეკეთილობა ბედნიერება, წარმატება, კეთილდღეობა, ἡ εὐημερία: „გარდაიქცის რაჲ მათი იგი დღეკეთილობაჲ, იქმნიან საწყალობელ“ 39, 23; „განსაცდელად მიჩს მოყუსისა დღეკეთილობაჲ“ 79, 28.

დღენდელ-ი, დღენდღელ-ი 11, 31 დღევანდელი.

დღეს-ი დღევანდელი: „ნუ ვანჰხრწნი ხვალისა მარხვასა დღესისა მთრვალობითა“ 14, 26; „ხვალინდელი არარაჲთა ნაკლულევან იყოს დღესისაგან ბრწყინვალებითა“ 11, 32; დღესისა ესე დღჱ კარი არს მარხვათაჲ“ 18, 3.

დღესინდელ-ი დღევანდელი: „გულისკმა-ყავ დღესინდელი ცისხრი და ხვალინდელი“ 11, 29.

დღე ყოველ მთელი დღე, διὰ πάσης ἡμέρας: „მზე... დღე ყოველ ნათლითა განგაბრწყინვებს“ 27, 1.

დღითი-დღედ ყოველდღიურად: „ბევრეულნი არიან დღითი-დღედ მოწევნადნი განსაცდელნი“ 30, 17.

ე

ეგეზომ-ი 102, 35, მაგდენი, მაგდენივე.

ეზო ფარდა, τὸ παραπέτασμα: „შეამკობენ ადგილთა მათ სუმისა მათისათა... მრავალფერითა ეზოებითა“ 185, 24.

ეკლესია კრებული, ἡ ἐκκλησία: „კრებაჲ ესე ეკლესიისაჲ არს ქადაგებისა მისთჳს“ 40, 35. „ეშმაკი... ტაძარსა მას ეკლესიისასა ბრძოლად მოუჴდა“ 214, 18.

ეკლესიასტე 122, 1 ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნის სახელწოდება.

ელოი, ელი იხ. ადონაი...

ენაბრკუ ენაბლუ, ῥαδύ-γλωσσος 2: „აბრაჰამ მიწად და ნაცრად უწოდ თავსა თჳსსა, ხოლო მოსე ჴმაწულილად და ენაბრკუდ“ 152, 17.

ერ-ი 1. კრებული, ἡ ἐκκλησία: „უკუეთუმცა ოქროსა განუყოფდი ერსა“ 143, 20. 2. ჯარი, ὁ στρατός: „ერისთავნიცა ბრძოლად რაჲ შეიყვანებდენ ერსა“ 12, 6.

ერთ-ი პირველი: „უკუეთუ მტერობაჲ და სიყუარული იქმოდიან ამას, ერთი იგი შეურაცხ-ყავ... ხოლო სიყუარული შეიტკბე“ 132, 5.

ერთად პირველად, პირველ რიგში: „სამნი გჳხილვან ჩუენ წიგნნი იგი ყოვლად ბრძნისა სოლომონისნი: ერთად, ესე „იგავთაჲ“ და მეორედ — „ეკლესიასტესაჲ და მესამე — „ქება ქებათა“ 121, 34.

ერთბამად 178, 2 ერთად: „დადევ ორივე ესე ერთბამად“ 4, 34. „ერთბამად ვთქუა“ 11, 2.

ერთ-ერთად 171, 34 თითო-თითოდ.

ერთიერთსა ზედა ერთმანეთზე, ერთმანეთის წინააღმდეგ: „არცაჲცა ნათესავნი აღდგებოდეს ერთიერთსა ზედა“ 16, 3.

ერთ კერძო... სხჳთ კერძო ერთი მხრივ... მეორე მხრივ: „შერეულად გამოაჩინებს გონებასა მისსა წმიდაჲ სახარებაჲ: ერთ კერძო საქებელად და სხჳთ კერძო კუალად უბადრუკად“ 96, 4.

ერთობა 32, 6 სიახლოვე, ἡ συνάφεια: „...მოიძაგოს იგი და ერთობაჲ მისი უარყოს“ 120, 27.

ერთსა წამსა თუალისასა ერთ წამში, თვალის დახამხამებაში: „ერთსა წამსა თუალისასა ერი იგი... კერპთმსახურებასა შთავარდა“ 4, 31.

ერთსახედ მსგავსად, ერთნაირად, ὅμοιος: „აღძრვანი იგი განრისხებულთანი ყოველთა ზედა ერთსახედ მიიწევიან“ 69, 25.

ერთსახელობა 160, 21 სახელის თანამოზიარეობა.

ერისთავ-ი 12, 5 ჯარის მეთაური, სარდალი, ὁ στρατηγός: „ვითარცა მჴედარი, რომელმან მიიღის ერისთვისაგან საჭურველი... 75, 13; მჴედარსა ბრძოლაჲ, ერისთავსა განწყობაჲ და ქრისტიანესა განსაცდელი გამოსცდის“ 116, 13.

ერისთვობა ჯარის მეთაურობა, სარდლობა: „...რომელთა ერისთვობათამცა შინა გარდაექადნეს დღენი თჳსნი და დიდებულებათა“ 49, 12.

ერისმთავარ-ი ჯარის მეთაური, სარდალი, ὁ στρατηγός: „სადა არიან ბრწყინვალენი იგი მჴედარნი, ერისმთავარნი იგი და სპასალარნი?“ 26, 3.

ერჩდი 148, 31 დაემორჩილე.

ესავ-: „მის მიერ ესავ შენდობისა პოვნასა“ 146, 12 — იმედოვნებ.

ესეზომ.... რაჲზომ, ესეზომ-ი... რაჲზომ-იგი ისე... როგორც, იმდენს... რამდენადაც: „ესეზომ მოიკიცხა... რაჲზომ ჰგონებდა იგი მისსა მოკიცხვასა“ 41, 15; „ესენი ესეზომსა მოაკლებენ მწუხარებისა მისგან, რაიზომ-იგი აღაორძინებენ გემოჲთმოყუარებასა“ 53, 37.

ესეზომ-ი 124, 7; 117, 2 ამდენი.

ესე იგი არს ესე იგი, ანუ, τουτέστιν: „იხილა ეშმაკი, ვითარცა ელვაჲ გარდამოვრდომილი, ესე იგი არს, ვითარმედ თჳსისა მთავრობისაგან დაცემული“ 67, 29. „არს მუნ შინა სიტყუაჲ და პირი შეერთებისაჲ სძლისა და სიძისა, ესე იგი არს შეერთებაჲ სულისაჲ სიტყჳსა მის მიმართ ღმრთისა“ 122, 10.

ექსორიაყოფა განდევნა, გაძევება: „ერთი იგი... ექსორია-ყავ შორსა ქუეყანასა“ 132, 5.

ექსორიობა განდევნა, გაძევება: „ეშმაკისა... მიერ მოხუედ ქუეყანასა ამას ექსორიობისასა“ 196, 10.

ეშმაკეულ-ი დემონი, ბ, ἡ δαίμων, ονος: „ეშმაკეულთა... არარაჲთ განყოფილ არიან მრისხანენი“ 70, 7.

ეშჳ გარეული ღორი „ილესვედ კბილთა, ვითარცა ეშუნი, ბრძოლად მიმავალნი“ 70, 15; „ეშუსა ჰგავს, რომელი ილესავნ კბილთა“ 192, 15.

ვ

ვაჲება: „ვაჲებაჲ სიტყუაჲ არს საგლოელი“ 184, 1, BC.

ვარსკულავთა მწყობრ-ი ვარსკვლავთა გუნდი: „ანუ არა ჰაერნი და ცაჲ, ვარსკულავთა მწყობრნი თჳსსა წესსა შენ გიჩუენებენ-ა?“ 26, 33—34.

ვასხება სესხება: „ავასხე გლახაკმან მაგან მდიდარსა მას ღმერთსა“ 118, 4.

ვახშ-ი სესხის პროცენტი, სარგებელი: „არა აშთობედ ობოლსა შვილსა მმარხველისასა ვახშნი მამულნი“ 7, 12.

ვეცხლისა მკედ-ი ვერცხლის ძაფი: „ყოველივე ვეცხლისა მკედითა კერული: ავშარაები ძოწეულები“ 99, 1.

ვეცხლისმოყუარე ხარბი, φιλάργυρος 2: „არცა განძღეს ვეცხლისმოყუარე მოგებითა“ 103, 21.

ვეცხლისმოყუარება სიხარბე: „გუასწავა... ვეცხლისმოყუარებისა და ანგაჰრებისა და ყოვლისავე უკეთურებისაგან სივლტოლაჲ“ 16, 13; „გონებისა მის წმიდისა ვეცხლისმოყუარებით შემაგინებელი“ 120, 12.

ვიდრე სადაც: „ვიდრეცა ზჳდე... ყოველივე ღმრთისა მიერ აღვსებული ჰპოო“ 161, 35.

ვიეთ-ი ვისი: „ვიეთი ძუალები დაცჳვა უდაბნოს?“ 9, 22; ვიეთთანა შეგრაცხო შენ? მომთრვალეთა თანა ანუ მმარხველთა?“ 15, 4.

ვიეთნიმე ვილაცანი, ზოგნი: „ვიეთნიმე შორსა გზასა წარვიდოდეს, ესრეთ ვიეთნიმე... სუმენ ღჳნოსა“ 17, 26—27.

ვითარცა 1. 174, 35 როგორც 2. 25, 8; 121, 27, 176, 30 თითქოს: „კიდენი გუამისანი მოჰვარდებოდიედ და ვითარცა ცეცხლისა მიერ შეიწუებოდიედ“ 174, 29.

ვინ ვინმე: „უკუეთუ ვინ ჰპოო მათგანი, სიტყჳთა გლოისაჲთა მეტყუელი“ 34, 11.

ვინაჲ 94, 7 საიდან; როდესაც: „რაჲ არს ეშმაკი?... და ვინაჲ სატანა სახელ-ედვა მას?“ 67, 2; „ვინაჲ უკუე ესმა შვილთა მისთა... სიკუდილი, მაშინ ოდენ დაიპო სამოსელი თჳსი“ 215, 29.

ვინაჲ-იგი საიდანაც: „იჴსენებდ სამკჳდრებელსა მას, ვინაჲ-იგი გამოიდევნე“ 196, 12.

ვლტოლა გაქცევა: „ივლტოდე ამის მთრვალობისაგან“ 10, 34; „მოსწრაფებით ვივლტით მისგან“ 213, 27; „მონაჲ ევლტინ მეუფესა მცემარსა“ 11, 12.

ვლტოლვილ-ი A 176, 18 გაქცეული, გაპარული.

ვნებულება 35, 31 ვნება, ზიანი.

ვსცემთ ადგილ იხ. ადგილ(ის) ცემა.

ზ

ზაკუვა ვერაგობა, გაიძვერობა, მზაკვრობა, ღალატი: ὁ δόλος: „ყრმამან მცირემან არა იცის ამპარტავანებაჲ, არცა ზაკუვაჲ, ანუ მანქანებაჲ“ 132, 30: (ეშმაკმა) „ზაკუვით აცთუნა კაცი“ 65, 2.

ზაკულება, ზაკვულება მზაკვრობა, ვერაგობა, ღალატი, δολερός: ზაკვულებით და უკეთურებით ეძიებენ ბოროტისყოფად მათდა“ 77, 18.

ზამთრის ზამთარში: „რომელნიმე ზამთრის ატფობდენ და სხუანი ზაფხულის აგრილობდენ“ 99, 19; „ზამთრისცა და ზაფხულის ჭეროვანნი შესამოსელნი მოუცემიან“ 44. 15.

ზარ-დება შიში, ὀκνέω: „ზარ-მაც სიტყუად მთრვალობისათჳს“ 181, 8: „ზარ-გაც შენ და უდებ ხარ“ 141, 25.

ზაფხულის 44, 15 ზაფხულში: „რომელნიმე ზამთრის ატფობდენ და სხუანი ზაფხულის აგრილობდენ“ 99, 19.

ზე ზევით; ფეხზე: „არცა თუ ზე აჴილვად კადნიერ იყო“ 202, 8; „ვერ შემძლებელ არნ ზე დადგომად და თჳსითა ფერჴითა სლვად“ 186, 20.

ზედა-აღდგომა ამხედრება, ამბოხება: „ნუცა შეუნდობ ენებათა ზედააღდგომად სიტყჳსა“ 28, 8.

ზედამდგომელ-ი გარკვეული თანამდებობის პირი, ზედამხედველი. ბ ἐπίτροπος: „...მნენი და ზედამდგომელნი“ 99, 7.

ზედა-მისლვა თავდასხმა, თავს დაცემა, ἐπιπηδάω: „მრისხანენი კნინითა მიზეზითა აღეგზნიან... და... ზედა-მი(უ)ვიდოდიან“ 70, 2: „არა კეთილ არს მეყსეულად შერისხვით ზედამისლვაჲ ქუემდებარისაჲ მის“ 52, 19.

ზედა-მიჴდომა თავდასხმა, თავს დაცემა: „...იხილნიან რაჲ მომავალნი მგზავრნი, მეყსა შინა უცნაურად ზედა-მიუჴდიან მათ“ 206, 21.

ზედა-მოსლვა თავდასხმა: „ზედამოსლვათა მათ სასტიკთა ქართა და ღელვათაჲსა შეურყეველად თავსიდებდე“ 45, 29.

ზედამოსრულ-ი თავდამსხმელი: „...ვითარცა მბრძოლი ვინმე ზედამოსრული“ 91, 27—28.

ზედაჲთ ზევიდან: (ისარი) „ივლტის ზედაჲთ, გინა ქუეშეთ“ 131, 3.

ზედაჲსზედა 15, 22 ზედიზედ, განუწყვეტლივ; ზედიზედი, განუწყვეტელი: „იყავნ მარხვაჲ განსასუენებელად ზედაჲსზედათა მათ შრომათა მონათა და მსახურთა“ 6, 34.

ზედაჲსზედ(ა)ობა ზედიზედობა, განუწყვეტელობა: „... ინება ზედაჲსზედ(ა)ობითა ბოროტთა მათ ჰამბავთაჲთა დაბნელებად გონებისა მისისა“ 215, 21: „ზედაჲსზედაობანი იგი ჰირთანი მსგავს ღელვათა არიან“ 137, 38.

ზე და ქუე მავალ-ი აქეთ-იქით მოსიარულე, მოყიალე, მაწანწალა: „დასწყნარდინ სახლიცა შენი... ზე და ქუე მავალთა მათგან, რომელნი-იგი ჰმონებენ მუცელსა“ 7. 3.

ზედაწერილ-ი წარწერა, ἡ χάραγμα „დრაჰკნისა ზედაწერილსა იცნობ“ 90, 5.

ზემორე ცოტა ზემოთ: „რომლისაჲ მცირედ ზემორე ვაჴსენეთ“ 111, 14.

ზიარება, ზიარობა, ზიარებლობა მსგავსება; ამხანაგობა, მეგობრობა, ბ ἔρανος: „ნუმცა იქმნები აღმასრულებელ ბოროტისა მის ზიარებისა“ 70, 38: „რაჲ ზიარებაჲ არს მეღჳნობისაჲ სიწმიდესა თანა?“ 17, 37; ერთიანობა: (ღმერთი) „მრავალსახედ განყოფილთა მათ ასოთა ერთად ზიარებად მოიყვანებს“ 28, 27: „...ზიარებლობისათჳს (ზიარობისათჳს) გონებისა ჩუენისა“ 19, 14.

ზოგად 115, 1: 177. 36 ერთად, κοινῇ: „ორნივე ესე ზოგად უარ-ჰყოფენ ღმერთსა“ 56, 2.

ზოგად-ი საერთო, ერთიანი: „სარგებელი მისი ზოგადი არს ყოველთაჲ“ 85, 20.

ზოგად ყოფა ერთად ყოფნა: (მგზავრნი) ზოგად ყოფითა მით შეეყვნიან ურთიერთას ჩუეულებითა“ 47, 28: „არა დასხდიან ჩუეულებითა“ მისთჳს ზოგად ყოფისა“ 47, 31.

ზოგებით რიგრიგობით: (მომთრვალენი) „ურთიერთას მიიყვანებენ ზოგებით სუმად“ 185, 15.

ზომ-ი (B) ზომა, „საზომი“: „ანუ რაჲ არს მისისა მის უწყალოებისა ზომი?“ 118, 28.

ზომა იხ. ქუეყანისა ზომა.

ზომით-ი 3, 39 ზომიერი: „რომელი სუბუქსა და ზომითსა საზრდელსა მიიღებდეს, მომავალსაცა სნეულებასა განაგდებს“ 3, 32.

ზომით ჭამა ზომიერი ჭამა 37, 10—11. ἡ αὐτάρκεια.

ზრახვა საუბარი, ლაპარაკი: „კაცი მრისხანე ვითარ დაითრვის... განუნახველად ზრახავნ“ 10, 32; „სახარებასა შინა თავით თჳსით გუეზრახა ყოველთა მეუფჱ“ 157, 29.

ზრზენა გალიზიანება: „ამის მიერ იქმნეს კაცნი ცხენ მცბიერ აღძრვისა მისთჳს და ზრზენისა“ 10, 9; „ზრზენაჲ იგი და აღძრვაჲ... ჴორცთა ზედა ჩუენთა მოვალს“ 27, 30.

ზროხა მსხვილფეხა საქონელი, ხარი, ძროხა ბ, ἡ βοῦς: „არა იყო მუნ კაცი მთესვარი, არცა ზროხაჲ მზიდველი საჴნეველისაჲ“ 117, 7. „რომელი არს საცხოვარი და ზროხაჲ ესრეთ უსმ... ვითარ მთრვალი?“ 181, 37.

ზრქელ-ი 198, 11 მსუქანი; ნოყიერი: მდიდრული: „ზრქელნი ჭამადნი“ 9, 32: „რაჲსათჳს უკუე ჰნატრი მათ, რომელთა ზრქელი იგი და მძიმე საუნჯე მოუგიეს?“ 27, 5.

ზუავ-ი 147, 21 ქედმაღალი, ამპარტავანი: (მთრვალნი) „ოდესმე ამპარტავან იყვნიან და ზუავ და უშიშ“ 182, 6.

ზუავთაგან-ი 20, 20 ამპარტავანი, ქედმაღალი კაცი.

ზუაობა 138, 6 ამპარტავნობა, ქედმაღლობა: „მშობელთა დიდებულებასა ზედა ჰზუაობ და იხარებ“ 25, 35; „რომელი სიმდიდრითა გარდარეულ იყოს და ძლიერებასა ზედა ზუაობდეს და სიკეთესა გუამისასა“ 85, 9: „...თანა-წარჴდა... რჩულისმოძღუართა ზუაობასა“ 96, 7.

ზურგით უკან: დღე იგი, რომელსა შინა არნ, ზურგით დაუტევის და გუშინდელისა მიმართ არღარა შესაძლებელ არს მიქცევად“ 208, 11.

ზღვევა ვნება, ზიანი. ზარალი, ζημίωσ, ἡ ζημία: „იზღვიე-ა სოფლისაჲ რაჲმე? არამედ მიხედენ დიდებასა მას ზეცისასა“ 40, 9. „ღჳნომან მოგუაჭყუა ესევითარი ესე სულთა ზღვევაჲ“ 180, 36.

თ

თავად-ი 1. 141, 23 თვითონ: „დააბნელოს გონებაჲ ვნებამან მან და თავადისა მის სულისა ძალი დაიპყრას“ 69, 3. 2. უფალი, იესო ქრისტე: „ცრემლოოდა თჳთ თავადი ლაზარესთჳს“.

თავდადრეკილ-ი 105, 5 თავდახრილი. აქ: შერცხვენილი.

თავითგან 162, 19 თავიდან, ხელახლა.

თავი თუჱთაჲ 1. 3 ახალი თვის დადგომა, ἡ νεομηνία.

თავით თჳსით 154, 8 თავისით, თვითონ: „არა თავით თჳსით არს ესეზომი იგი სიბრძნჱ ქმნულთა მათ შინა“ 124, 7.

თავნ-ი ძირითადი, მთავარი, აქ: ძირითადი ვალი, τὸ κεφάλαιον: „უკუეთუ სთხოო, მოგცნეს თავნი აღნადგინებითურთ“ 118, 8.

თავს-დება მოთმენა, ატანა, ὑπομένω: „თავს-იდევ შრომაჲ იგი მარხვისაჲ“ 7, 19: (ეშმაკმა) „ვერ თავს-იდვა უჴირველი იგი სამოთხესა შინა ცხორებაჲ ჩუენი“ 65, 1; „უჴმს მას ახოვნად თავს-დებად წყლულებათა“ 33, 28.

თავსმდებ-ი მტვირთველი, თავდები: „იგი სარწმუნოჲ თავსმდები არს“ 118, 6.

თავს-სხმა მოთმენა, ატანა (იბ. მრ-ში): „უფალმანცა... ეშმაკისა წინააღდგომანი თავს-ისხნა“ 8, 31; „კეთილნი შევიწყნარენით ჴელისაგან უფლისა, ბოროტნი არა თავს-ვისხნეთ-ა?“ 217, 9.

თავქედ-ი 52, 8: 147, 9 ხურვება: აგონიაში ყოფნა. ὁ πυρετός.

თანა-დება ვალის ქონება, მართება: „...მოთმინებაჲ შემსგავსებულად მამათაჲსა თანა-გუაც“ 42, 34: „კაცი, რომელსა თანა-აცნ, რაჲთამცა საშინელ იყო სახილველად მბრძოლთა“ 186, 20: „თანა-ედვა... დაჴდომაჲ სახლთა შინა თჳსთა“ 180, 15.

თანამავალ-ი თანამგზავრი, ὁ συνέμπορος, τὸ παρεπόμενον: „მარხვაჲ არს... კეთილი თანამავალი მოგზაურთაჲ“ 6, 24; „სტრატულნი მათნი... სხუანი კუალად წინამსრბოლნი, სხუანი — თანამავალნი“ 99, 5.

თანამდებ-ი 131, 27 ვალის მქონე, მევალე: „ვითარცა თახაძდებსა დაყოვნებულსა, ესრეთ აბრალებდიან ღმერთსა“ 115, 20; „უკუეთუ ვინ თანამდები, მოვალისა მიერ მოშთობად იხილო, შეურაცხ-ჰყოფ-ა?“ 111, 4.

თანამდებება 144, 9 თანამდებობა.

თანამეპურისმტე თანამესუფრე: „...აქუნდეს ლოცვაჲ თანამკჳდრად, მარხვაჲ — თანამეპურისმტედ“ 114, 26.

თანამეუღლე უღლის მოზიარე: მეუღლე; ὁμόζυξ, υγος: „მე ვიხილე ოდესმე ზროხაჲ, რამეთუ ცრემლოოდა თანამეუღლისა მისისა სიკუდილისათჳს“ 46, 25.

თანამკჳდრ-ი (ვინმესთან) ერთად მცხოვრები, ὁμόσκηνος, ὁ σύνοικος: „მარხვაჲ არს... უცთომელი თანამკჳდრი მკჳდრთაჲ“ 6, 25: „თანამკჳდრად და მეპურისტედ თჳსა ჰყავს იგი“ 13, 20.

თანამონა მონობაში ამხანაგი, ὁ ὁμόδουλος: „სახიერისა ღმრთისა მსახურ ხარ, მნე შენ თანამონათა ზედა“ 88, 15.

თანამოქალაქე აქ: თანასწორუფლებიანი, ἰσοπολίτης: „გიჴსნას შენ ტყუეობისაგან და თანამოქალაქე გყოს ანგელოზთა“ 143, 34.

თანამოხარული სიხარულის მოზიარე: (მეუღლე არს)... „თანამოხარული სიხარულისაჲ და თანამწუხარე მწუხარებისაჲ“ 46, 33.

თანამოჰასაკე თანატოლი, *ὁμ-ῆλιξ*: „იყო ჩემდა ძჱილი... ყუავილი თანამოჰასაკეთაჲ, სიმტკიცე სახლისაჲ“ 39, 3.

თანამყოფ-ი გვერდით მდგომი, გვერდით მყოფი: (შიმშილს) „სიკუდილი მარადის თანამყოფად აქუს“ 118, 15.

თანამწუხარე მწუხარების მოზიარე: „მეუღლე არს... თანამოხარული სიხარულისაჲ და თანამწუხარე მწუხარებისაჲ 46, 34.

თანანადები ვალი: „მიუტევენ მას თანანადებნი მისნი“ 10, 18; „თანანადები იგი მიილო შორის გულსაცა ზღჳსასა“ 118, 7.

თანა-წარვლა გვერდის ავლა, გასწრება, *παρατρέχω*: „ბუზნი მრთელთა მათ ადგილთა თანა-წარჰვლენ და წუთხისა მიმართ მივლენ“ 83, 31.

თანა-წარსლვა ჯობნა: „ვჰგონებდით მოკლეთა სიტყუათა მიერ თანაწარსლვად ძალსა მათსა“ 43, 28.

თანაწარსრულ-ი გვერდავლილი, აცდენილი: „რომელი აწ წიგნთაგან მოსე წინაჲსწარმეტყუელისათა აღმოვიკითხეთ... სიმცირისათჳს მისისა თანაწარსრულ იყოს სასმენელთა თქუენთა“ 20, 6.

თანაწარუვალ-ი 209, 15 გარდაუვალი, აუცდენელი: „თანაწარუვალ არს სიკუდილისა იგი რჩული“ 39, 10.

თანა-წარკდომა გვერდის ავლა, *παρατρέχω*: „რომელნი-იგი... შუენიერთა ადგილთა თანა-წარჰკდებიან“ 83, 30; „თანა-წარჰკდებოდე მშიერთა“ 114, 32; „...თანა-წარჰკდა ამპარტავანებასა მას ფარისეველთასა“ 96, 6.

თანახატ ყოფა 142, 19 დამსგავსება, *συμμορφόομαι*: „თანახატ ყოფად სიკუდილისა მისისა“ 200, 19.

თარგმანება 154, 15 განმარტება.

თაფლუჰ-ი ალკოჰოლიანი სასმელი, *τὸ σίκερα*: „თაფლუჰად ყოველსავე დათრობად შემძლებელსა ეწოდების ჰურიათა მიერ“ 185, 12. „ღჳნოჲ და თაფლუჰი არა სუას“ 5, 5.

თესალონიკელ-ი 99, 18 თესალონიკური, თესალონიკში მოპოვებული ან დამზადებული.

თესლ-ი ტომი, მოდგმა, შთამომავლობა: „არა იყო თესლებსა მათსა უძლური“ 9, 25; „არა ვიხილე მართალი დაგდებულ, არცაღა თესლი მისი მთხოელ პურისა“ 18, 22.

თივა ბალახი: „ყოველნივე სიტყჳთ იქმნეს: თივანი და ხენი“ 194, 9; „ყო იგი შემკობილ ყოვლითავე სამკაულითა თივათა და ყუავილთაჲთა“ 195, 21.

თითოსახე სხვადასხვანაირი, მრავალნაირი, ნაირნაირი, *ποικίλος* 3, *ἡ διαφορά*: „ტაძარნი თითოსახეთა მიერ მარმარილოჲთა შემკობილნი“ 99, 16; „ერთი იგი ღჳნოჲ თითოეულთა მათ გუამთა შევიდის და თითოსახენი ვნებანი შვნის“ 182, 16.

თითოსახედ 136, 31 სხვადასხვანაირად, *τῷ ποικίλῳ*: „კედელნი, ...მოწერიან თითოსახედ“ 99, 23.

თითოსახეობა მრავალფეროვნება, ნაირნაირობა: „...რაჲთა თითოსახეობაჲ იგი და განყოფილებაჲ ჰურჰელთაჲ სიმაძღრესა მათგან წარიპარვიდეს“ 185, 26.

თითოფერ-ი სხვადასხვანაირი, მრავალნაირი, *ποικίλος* 3: „მკურნალნი უძლურთა არა თითოფერთა ჰამალთა ეტყჳან ჰამად“ 3, 19; „დასცხერინ იგიცა, რომელი თითოფერთა მათ მოსადნობელთა საჰმელთა ჰკაზმავნ“ 7, 1.

თითოფერად სხვადასხვანაირად, *ποικίλως*: „მოვედ უკუე და თითოფერად განაგე სიმდიდრჱ იგი“ 89, 33.

თითოფერება 4, 1 მრავალნაირობა, 115, 28 მრავალფეროვნება, *ἡ ποικιλία*.

თნევა მოწონება: „სთნდეს მეუფესა სიკეთჱ შენი“ 120, 35; „ოდენ გთნდინ საქმე მისი ყოველივე“ 217, 15.

თრვა თრობა, *μεθύω*: „ძლეულთა მათ სთრავნ, მძლენი იგი მთრვალვე იყვნიან“ 186, 12.

თუალ-ი რუ, წყარო, *ὁ κρουνός*: (მთვრალები ღვინოს) „სუმენ ვითარცა პირუტყუნი, ვითარცა წყაროჲსაგან აღმომდინარისა, რომელი შესწორებულად მსუმელთა მათ აღმოაცენებნ თუალთა“ 187, 4; „თუალი და

წყაროდ და მდინარე მოეიგონე“ 169, 18; „თუალი და წყაროდ და მდინარე ერთგუამ არიან“ 169, 25. იხ. ქუეყანისა თუალი.

თუალვა „აღრიცხუვა“, დათვლა, გამოანგარიშება: „...თუალვიდა ვიდრე შჳდ პაპადმდე“ 49, 11; „არა აღჰრიცხუავნ მოგებულსა მას, არამედ თუალავნ მოუგებელთა მათ“ 193, 11.

თუალთა შედგმა თვალის გასწორება, შეხედვა: „უტკბილესად შეადგამ თუალთა ოქროსა, ვიდრეღა მზესა“ 91, 10.

თუალთშეუდგამ-ი თვალმიუწვდომელი: „თუალთშეუდგამ იყო მისდა სიმაღლისა მისთჳს ღმრთეებისა“ 8, 34.

თუალთხუვა, თუალთხუმა 131, 5 მიდგომა, მიკერძება: „არა თუალთხუმაჲ (თუალხუვაჲ) ბრძანებულ არს შენდა, არამედ მოწყალებაჲ“ 191, 7, AB.

თუალთმოხუავ-ი მიმკერძებელი: „არა იყვნენ მაშინ შენ თანა თუალთმოხუავნი იგი, არა იყოს მუნ შენ თანა ქრთამი“ 105, 2—3.

თჳთება თვისება, თავისებურება, ἡ ἰδιότης: „ესე თჳთებანი ჰგიეს უკუე ძეობასა შინა“ 153, 25; „რაჲთა თჳთებაჲ იგი გუამოვნებისაჲ გამოაჩინოს“ 161, 39.

თჳთებით განცალკევებით, μοναδικῶς: „სულიცა წმიდაჲ... სამებასა თანა იხილვების, თჳთებით მხოლოდ აღიარების“ 156, 15.

თჳთმეტყუელ-ი (ვინმესთან) ერთ ენაზე მოლაპარაკე, ὁμόγλωσσος: „იხილა... ეშმაკმან ესეზომი პატივი, მიფენილი კაცსა ზედა... იხილა... ღმერთი თჳთმეტყუელად მისა მიმართ“ 195, 27.

თჳთმოქმედ-ი თავისით, თვითონ ჩამდენი, ὁ αὐτόχειρ: „სამართლად დაისაჯოს იგი, ვითარცა თჳთმოქმედი მის ბოროტისაჲ“ 118, 32.

თჳთმფლობელ-ი თავისუფალი, დამოუკიდებელი; ნებაყოფლობითი. αὐτεξούσιος 2; αὐταίρετος 3: „ურწმუნონი... არა გულისჳმა-ჰყოფენ, ვითარმედ თჳთმფლობელისა მის ნებისათჳს იქმნა ესრეთ“ 62, 34. „განჴსნილი ყოვლისაგანვე იძულებისა და თჳთმფლობელი ცხორებაჲ მიიღო დამბადებელისაგან კაცმან“ 62, 36.

თჳთმფლობელობა 64, 4 თავისუფლება, დამოუკიდებლობა, τὸ αὐτεξούσιον: დასაბამი და ძირი ცოდვისაჲ არს ჩუენი ნებაჲ და თჳთმფლობელობაჲ“ 56, 24.

თჳთნეფსით თავისი ნებით, ნებაყოფლობით: „საცნაურ არს უკუე, ვითარმედ თჳთნეფსით მოატყუა ადამ თავსა თჳსსა სიკუდილი“ 63, 22.

თჳთუფლებით 157, 20 დამოუკიდებლად, αὐτεξουσίως.

თჳთწერილ-ი იმთავითვე გადაწყვეტილი: „თჳთწერილ არს მოწევნადი იგი რისხვაჲ“ 95, 19.

თჳნიერ, თჳნიორ (B) 56, 15 (თანდ.) გარეშე: თჳნიორ ჩუენისა ნებისა“ 44, 25 „...წარიღებენ... საზრდელსა საჭიროსა, რომლისა თჳნიერ ვერ განერებიან“ 13, 30.

თჳს-ი 1. 153, 34 თვისება, თავისებურება; დამახასიათებელი: „უშურველობაჲ თჳსი არს სახიერისაჲ მის“ 78, 33; „ვითარცა მკალი თჳსი სენი არს იფქლისაჲ, ეგრეთვე შური სენი არს მეგობრობისაჲ“ 82, 30. 2. ახლობელი, თავისიანი, ნათესავი: „სიმრთელე თჳსთაჲ“ 30, 32: „თჳსთა სიკუდილნი“ 56, 37; „განგწირონ თჳსთა შენთა“ 150, 12.

თჳსაგან ცალკე, ცალცალკე, მხოლოდ: „თჳსაგან შვილნი და თჳსაგან ღედანი და ყოველთაგან იყვნეს ჯმანი საწყალობელნი“ 113, 16; „ყოველთავე უკუე თჳსაგანცა და ზოგად თავნი თჳსნი განვიხილნეთ“ 115, 1. „განყენებაჲცა ოდენ ჰამადთაგან არა კმა არს თჳსაგან, რაჲთამცა ეწოდა მარხვაჲ“ 18, 11.

თჳსება საერთოობა, ახლობლობა, ნათესაობა, ἡ συγγένεια; ἡ οἰκειότης: „ესრეთ აჩუენოს თჳსებაჲ იგი მისი მათსა მას წუხილსა თანა“ 51, 35; „არცა თუ სხჳთა სახითა მოიწევის შური თჳნიერ თჳსებისა“ 82, 24; „იგი განშორებაჲ იყო ცოდვისაგან, ხოლო ესე — თჳსებაჲ ღმრთისა მიმართ“ 141, 16; „რაჲ შეჰრთვე შეურევნელთა მათ საქმეთა? რაჲ თჳსებაჲ არს მარხვისაჲ მთრვალობასა თანა?“ 17, 36.

თხემ-ი კეფა: „თუალი ვერცა თჳთ თავსა თჳსსა იხილავს, ვერცა თხემად მიიწევის“ 21, 22.

თხზნილება წვნა. აქ: მიმართება, კავშირი, τὸ ἐπίπλοκον καὶ ἐγκατασκεύον (სიტყუასა)... „გულარძნილსა მას და ჴელოვნებით თქუმულსა, მრავალი თხზნილებაჲ აქუს“ 128, 35.

ი

იასპ-ი, იასპინ-ი 105, 30; 106, 4 ძვირფასი თვალი, ἡ ἴασπις.

იგავთაჲ 122, 1; 189, 29 ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნის სახელწოდება.

იმიერ იქიდან: „მიმოიხედნე ამიერ და იმიერ“ 108, 6; „ისარი... ველტის ზედაჲთ, გინა ქუეშეთ... გინა თუ იმიერ, ანუ ამიერ“ 131, 4.

ინაჴით-მჴდომარე სუფრასთან მჯდომი თანამესუფრე: „ინაჴით-მჴდომარესა მას რომელნიმე სიტყუათა მიერ ბილწებისათა აჰამებენ“ 213, 16.

იოტა იოტი, ბერძნულ ანბანში ყველაზე მცირე ასოს ι-ს სახელწოდება, τὸ ἰῶτα: „ამათ სიტყუათაგან იოტა ერთი ანუ ბეწვ ერთი არა წარჴდეს“ 121, 16.

იფქლ-ი 114, 1 ხორბალი: „...ვითარცა იფქლი, დათესული ქუეყანასა შინა“ 89, 7.

იქედნე შხამიანი გველი, ἡ ἔχιδνα: „გუელად, ნაშობად იქედნეთა, უწესს მათ წერილი“ 69, 11; „იქედნეთათჳს იტყჳან, ვითარმედ მშობელთა მათთა საშოსა შეშჭამენ და ესრეთ გამოვლენ“ 79, 8.

იქცევის-ი 143, 1 მბრუნავი, მოძრავი.

იშიშვოდის იხ. შიშვა.

იძრვის-ი მოძრავი, სულიერი, ცოცხალი არსება: τὰ ζῶα: „ყოველნივე იძრვისნი ქუეყანისანი“ 26, 27.

იწრო აქ: ძნელი, მძიმე: „მდიდარი... ულონობასა მას შინა შთავარდა იწროსა“... 87, 33.

იწროება 1. სივიწროვე: „იწროებასა... გზისასა“ 149, 18. 2. 117, 31 გაჭირვება.

იჭუეულ-ი ეჭვიანი: „არა იჭუეულ არნ ქმარი, რაჟამს ხედავნ მეუღლესა თჳსსა მარხვასა შინა“ 6, 25.

კ

კადნიერება 174, 11 გაბედულება.

კადრება 4, 22 გაბედვა: „არცა თუ თმათა მათთა იკადრა ცეცხლმან შეხებად“ 6, 12.

კაზმვა შემზადება, შეკაზმვა: „დასცხერინ იგიცა, რომელი თითოფერთა მათ მოსადნობელთა საჭმელთა ჰკაზმავნ“ 7, 1.

კათხა 185, 25 ღვინის სასმელი ჭურჭელი: „მიეცის მას კათხაჲ, აღვსებული ღჳნითა“ 187, 7.

კაპან-ი ხევი, ხეობა, τὸ βάραθρον: (კიცჳ უმწყი) „კლდეთა და კაპანთა შინა შთავარდა“ 110, 10.

კარაულ-ი 142, 4 სახედარი, ვირი.

კაც-ი იხ. გარეგანი კაცი, გარეშე კაცი, შინაგანი კაცი.

კაცის-მძარცუეველ-ი ქურდი, მძარცველი, ὁ λωποδύτης: „რომელმან იგი შემოსილი აღძუარცოს, კაცის-მძარცუველ ეწოდების“ 94, 31.

კაცობრივ-ი იხ. მჴედრობაჲ კაცობრივი.

კეთილ-ი 1. კარგი: „სჯობს სახელი კეთილი, უფროჲს სიმდიდრისა ფრიადისა“ 89, 14. 2. სიმდიდრე, სიუხვე, სიკეთე: „ყოველივე სახლი, სავსე კეთილითა“ 30, 31.

კეთილად 130, 29 კარგად: „მთოვარე... კეთილად მისმიერითა ნათლითა განგანათლებს შენ“ 27, 2.

კეთილადმორწმუნეობა მართლმორწმუნეობა, აქ: ქრისტიანობა, ἡ εὐσέβεια: „დაიმარხეთ კეთილადმორწმუნეობაჲ“ 43, 14; „ნუცა განჰპარდები გარე საზღვართა მათ კეთილადმორწმუნეობისათა“ 47, 2.

კეთილად-მოსწავლე ნიჭიერი, εὐμαθής 2: „...ვითარ იგი შუენიერ იყო ხილვად და ვითარ კეთილად მოსწავლე და ყოველსა ზედა მარჯუე“ 80, 6—7.

კეთილად მსრბოლ-ი მსუბუქად, ლალად მოძრავი, εὐσταλής 2: „კეთილად მსრბოლი თანამავალი“ 13, 25.

კეთილისმოძულე ბოროტი, უკეთური, μισόκαλος: „კეთილისმოძულეთა ეშმაკთა“ 83, 12.

კერულ-ი ნაკერი: „ყოველივე ვეცხლისა მკედითა კერულ“ 99, 2.

კერძ-ი მხარე: „მიმოქცევასა მას სასწორთასა უკუეთუ ერთი იგი კერძი დაამძიმო“ 22, 30; „ერთი იგი კერძი ბოროტსა მას სიკუდილსა ჰქადის, ხოლო მეორესა კერძსა ბუნებაჲ მიიზიდავს შვილთა თჳსთა თანა სიკუდილსა“ 90, 17.

კერძო 144, 33 მხარეს. იხ. გარეთ კერძო, ერთ კერძო, უკუანაჲთ კერძო, ყოვლით კერძო, წინაჲთ კერძო.

კეც-ი 191, 27 თიხა: „არა ოქროჲსა ოდენ და ვეცხლისა ჭურჭელნი იპოებიან, არამედ ძელისაცა და კეცისანი“ 23, 18.

კიდე 1. სხვა, გარეშე; განზე მყოფი: „სული წმიდაჲ... დაბადებულთაგან კიდე არს და ფრიად უზეშთაეს“ 166, 1. 2. კიდური: „კიდენი გუამისანი მოჰვარდებოდიედ“ 174, 28.

კილო ჰანგი, ἡ ᾠδή: „ჵ კაცო, კილოჲთა რაჲთ-მე იქმ ჴმასა მას გლოისასა?“ 38, 10; „მგლოარეთათჳსცა შუენიერ არს კილოჲთა ეგე გლოაჲ“ 38, 14.

კიცჳ 52, 25; 187, 27 კვიცი.

კიცხევა 176, 5; 213, 19 დაცინვა: „შენ დროება-სცემ და იკიცხევი“ 90, 37.

კმა საკმარისი: „განყენებაჲცა ოდენ ჴამადთაგან არა კმა არს თჳსაგან“ 18, 11.

კმაობა დაჯერება, საკმარისობა: „მარხვად მიიყვანებს ნაკლულევანებასა ზედა კმაობაჲ“ 11, 5.

კნინ-ი მცირე, პატარა: „მრისხანენი კნინითა მიზეზითა აღეგზნიან“ 70, 1.

კნინღა კინაღამ: „მხალიცა იგი... ჰამეს და კნინღა მოკუდებოდეს...“ 5, 31.

კოხლო 101, 18 ლოკოკინა, ὁ κόχλος.

კრეტსაბმელ-ი 155, 25 ფარდა (კარისა).

კრულება შეკრულობა, შებორკვა: „კრულებაჲ ფერჴთაჲ და არა დაყენებაჲ სლვად“ 36, 5.

კრძალულება 11, 28 დაცვა, გაფრთხილება.

კუამნ 10, 33 ბოლავს. აქ: ალმური ასდის (სიბრაზით).

კუართ-ი 14, 8 პერანგი; ტანსაცმელი: „რაჟამს კუართსა შეიმოსდე, ჰმადლობდ მომცემელსა მას“ 44, 13.

კუერთხ-ი 127, 8 ჯოხი.

კულა 115, 5 კი, კიდევ: „უკუეთუ კულა უტეოს მას აღმაღლებად... მიიმძლავროს მის მიერ“ 211, 32.

კუროჲსთავ-ი 3, 2 შავი ნარი, თავცეცხლა.

კურწ-ი 100, 12 ყუნწი.

ლ

ლაკონიკელი 99, 17 ლაკონიკური.

ლალვა ჩხუბი, შუღლი: „ნუ საშჯელად და ლალვად იმარხავ“ 10, 18.

ლბილ-ი რბილი, ნაზი: „კეთილად ქმნა ღმერთმან ბუნებაჲ მისი ლბილად“ 195, 33.

ლეგეონ-ი 155, 11, გუნდი, ჯგუფი, ლეგიონი.

ლესულ-ი ალესილი. აქ: აგზნებული ἠκονημένος ← ἀκονάω; შეგულიანებული, წაქეზებული: (მტყუარნი ბრძენნი) „ლესულ არიან სიტყუაპოვნიერებითა წინა-აღდგომად“, 129, 13; „ენათა მათ, სიბრძნითა მით აშაოჲთა ლესულთა“ 162, 33.

ლიტანია ლოცვა, ვედრება: ἡ λιτανία: „ჴმაჲ ლიტანიისა მყოფელთაჲ ცუდად ლალადებს“ 112, 16.

ლიტონ-ი 3, 23 მსუბუქი; მარტივი, λιτός 3: „ძალი იგი ბუნებისა ჩუენისაჲ ლიტონსა და ზომითსა ჰამადსა ადრე მოიდნობს“ 3, 39; „ესევითარისა სწავლულებისა გულისჴმისყოფაჲ არა ესრეთ ლიტონისა გონებისა საქმე არს“ 126, 16.

ლმობა ტკივილი: „არავის ელმოდა თავი წყლისაგან“ 8, 7; „არა შესაძლებელ არს, თუმცა ვინ იწუებოდა და არა ელმოდა“ 30, 21; „მელმის შენთჳს, ძმაო იონათან“ 34, 19.

ლმობიერ-ი 188, 31 უწყინარი, მშვიდობიანი.

ლტოლვად-ი შეუჩერებელი: „მცნებასა მას, ვითარცა ლტოლვადსა ეწიო“ 119, 19.

ლხინება შეწყალება, ὁ ἔλεος: „სხუასა არარას ითხოვდა, არამედ ლხინებასა ოდენ“ 202, 11: „ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას“ 25, 27.

მ

მაბრალობელ-ი 49, 9 ბრალის დამდები; ძვირის, ავის მთქმელი: „ნუ

მაბრალობელ ხარ მოყუსისა მცირეთა ზედა ცთომათა მისთა“ 205, 6.

მაბრალობლობა 182, 21 ბრალის დადება, ძვირის, ავის ლაპარაკი.

მაგინებლობა ლანძღვა, გინება, შეურაცხყოფა: „ღჳნოსა განეყენები, არამედ მაგინებლობასა ვერ დაუთმობ“ 10, 20.

მავალ-ი იხ. ზე და ქუე მავალი.

მალე ჩქარი, სწრაფი, მალი: „გულისწყრომაჲ არს ვითარცა აღგზებაჲ და აღკუმოლვაჲ მალე ენებისაჲ მის“ 77, 14.

მალემსრბოლ-ი, მალიადმსრბოლ-ი 137, 7 მორბენალი, ὁ δρομικός.

მალემხედველ-ი კარგი მხედველობის, მახვილი თვალის მქონე, ἡ ὀξυδορκία: „ქურციკი... შეუპყრობელად დარჩების სიმახჳლისათჳს თუალთა მისთაჲსა, ამისთჳს მალემხედველ ეწოდების მას“ 21, 32.

მამა 37, 15; 219, 15 მამაკაცი.

მამასახლის-ი მონასტრის წინამძღვარი: „უკუეთუ ებისკოპოს ხარ, გინა მამასახლის, ნუ ჰმაღლოი შენსა ქუეშე მყოფთა მათ ზედა“ 205, 20.

მამონა 93. 7; 112, 19 სიმდიდრე, ქონება.

მამულ-ი 1. 123, 6; 153, 32 მამისეული, წინაპრისა, მემკვიდრეობითი, πατρῷος, 3, 2; πατρικός 3: „არა აშთობედ ობოლსა შვილსა მმარხველისასა ჳახშნი მამულნი“ 7, 13. 2. სამშობლო, ἡ πατρίς, ἴδιος: „შემდგომად მათისა ძლევისა ზეცისა მამულად აღსლვაჲ მოგუეცემის“ 13, 32.

მამულობა მემკვიდრეობა, ἡ διαδοχή: „ანგაპრი არა ჰრიდებს ჟამსა... არა შეუნდობს პირველითგან მამულობისათჳს“ 103, 36.

მანანა 9, 24 ბიბლიური გადმოცემის მიხედვით, საჭმელი, რომელიც ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელებს ზეციდან უცვიოდათ.

მანდაჲთ მანდედან: „განიყვანებენ მანდაჲთ ჭაბუკთა მათ ახოანთა“ 186, 34.

მანიაკ-ი ყელსაბამი: „რომელიმე შუბლის საკრავ არნ და რომელიმე მანიაკ“ 101, 20.

მანქანა მზაკვარი, გაიძვერა: „მანქანანი იგი მხატვარნი“ 83, 37; „მანქანაჲ იყო და ბოროტი“ 172, 37; (გლახაკი) „უკუეთუ ქუეყანად ხედვიდეს სირცხჳლეული განსაცდელისა მის მიერ, მანქანად სახელ-ვსდებთ“ 213, 30.

მანქანება მზაკვრობა, თაღლითობა, გაქნილობა; თვალთმაქცობა: „ჩუენ მიერ იქმნების: უსამართლოებაჲ, შეგინებულობაჲ... შური, მწამლველობანი, მანქანებანი“ 56, 32; „ყრმამან მცირემან არა იცის ამპარტავანებაჲ, შეგინებულობაჲ... შური, მწამლველობანი, მანქანებანი...“ 56, 32; „ყრმამან მცირემან არა იცის ამპარტავანებაჲ, არცა ზაკუვაჲ, ანუ მანქანებაჲ“ 132, 30; „სიწრფოებაჲ იგი ბუნებითი აქუნდა და არარას მანქანებასა აჩუენებდა“ 133, 9.

მარადღე 185, 7 მუდამ, ყოველთვის: „შენ დადგრომილ ხარ ღჳნოსა თანა, რომელი-იგი მარადღე თავსა გცემს“ 11, 13 (B).

მართება მიშვერა, დამიზნება; მართვა, წარმართვა: „ჰმართებდი თუალთა, ნუუკუე თუალთა მიერ შემოჴდეს შენ შორის ბოროტი იგი გულისთქუმისა ღელვაჲ, ჰმართებდი სასმენელთა და ენასა, ნუუკუე შეიწყნაროს მან მავნებელი რაჲმე“ 139, 17, 19. „ჩუეულებაჲ აქუს მენავეთა ცად მიმართ ხედვად და ესრეთ ცნობად, თუ ვითარ ჯერ-არს მართებაჲ ნავისაჲ“ 139, 29.

მართლიად სწორად, პირდაპირ, გამართულად: „სასმენელნი არა მართლიად განღებულ არიან“ 29, 18; „თავი... დადგომად მართლიად მჴართა ზედა ვერ შემძლებელ არნ“ 184, 10: „ვერ შემძლებელ იყვნიან მართლიად დგომად მთრვალობისა მისგან“ 184, 14.

მართლ მდგომარე სწორად მდგომი, ორ ფეხზე მდგომი, წელში გამართული, ὄρθιος, 3: (ღმერთმა) „ყოველთაგან დაბადებულთა მხოლოჲ მართლ მდგომარედ დაჰბადა კაცი“ 29, 4.

მართუე ბარტყი: „ეშინინ, ვითარცა მართჳსაგან ღრიაკალთაჲსა“ 194, 9.

მარტჳლ-ი 170, 12 მოწამე.

მარტჳლია, მარტჳრია სულიწმიდის მოფენის დღესასწაული, ἡ πεντηκοστή:

„მარტჳლიასა საქმედ აქუს სულისა წმიდისა მოსლვაჲ განცხადებული“ 188, 22.

მარცუალი ჟამისაჲ წამი, თვალის დახამხამების დრო, στιγμῇ χρόνου: „მარცუალი იგი ჟამისაჲ“ 141, 4.

მარცხლ 23, 31 მარცხნივ.

მარხვა: აქ: შენახვა, დაცვა: „ცეცხლი იგი... ჰმარხვიდა მათ შეუხებელად“ 6, 5.

მარხვის მოდგამ-ი მმარხველი, მარხვის მიმდევარი: „უკუეთუმცა პირუტყუნიცა არა მარხვის მოდგამ ყოფილ იყვნეს“ 9, 21.

მარჯულ 23, 31 მარჯვნივ.

მასწავლელ-ი მასწავლებელი, მოძღვარი, ὁ διδάσκαλος, ὁ παιδαγωγός: „მასწავლელისა მოსლვამან... დააწყნარის ამბოხებაჲ ყრმათაჲ“ 15, 30; „ნუ მასწავლელად იჴმარებ მტერსა“ 71, 4—5; „ამიოდ ჰზრახავს მასწავლელი იგი უსმსა მას“ 181, 12.

მატება აღმატება, მეტება: „არარაჲთა ჰმატს ერთი მეორესა, არამედ სწორ არს პატივითა ბუნებაჲ მათი“ 66, 7.

მაღლოა მედიდურობა: „ნუ ჰმაღლოი შენსა ქუეშე მყოფთა მათ ზედა“ 205, 20.

მაშა მაშ; მაშასადამე: „მაშა, ულმრთოჲ ხარ და არა იცნობ დამბადებელსა“ 94, 17; „მაშა, ჩუენსა გულსა ვჰზრახავთ?“ 105,25.

მაჩუენებლობა ცბიერება, მოჩვენებითობა: „შენ ნუ მოაწევ თავსა ზედა შენსა ზღვევასა მას მაჩუენებლობისა მიერ“ 205, 14.

მაჩუენებლობისმოყუარე თვალთმაქცი, ცბიერი: „მრავალნი არიან მაჩუენებლობისმოყუარე და საქმით უსამართლოებასა იქმან, ხოლო სიტყვთ სამართალსა აქებენ“ 129, 26.

მაჭირებელ-ი მჩაგვრელი: „უფალო, რად განმრავლდეს მაჭირებელნი ჩემნი?“ 54, 21.

მახრუტ-ი, მახროტ-ი მილი, ἡ ὑπορρόα: „განიყვნიან მახრუტები იგი დიდები და თითოეული სუამნ, ვითარცა ტბისაგან განუძლომელად“ 187, 12.

მბაძველ-ი მსახიობი, ὁ μῖμος: „არა ჰხედავ-ა სახილველთა შინა მომღერალთა მათ და მბაძველთა და მჴეცის მბრძოლთა მათ კაცთა?“ 89, 22.

მგმობარ-ი 57, 21 დასაგმობი, ურიგო: „...სიტყუათა მგმობართა იტყოდიედ“ 115, 19.

მდაბალ-ი აქ: დაბლობზე გაშენებული: „სოფელსა, შეუზღუდველსა და მდაბალსა, ადვილად შეიპყრიან მბრძოლნი“ 37, 25.

მდაბლად დაბლა: „იერიქოჲ მდაბლად არს პალესტინეს შინა“ 197, 5.

მდიდართა მშობელთაგან-ი დიდებული წარჩინებული შთამომავლობისა, εὐπατρίδες: „მწუხარე არნ... რომელი იგი თავისუფლებით აღზრდილ იყოს, თუ რად არა მდიდართა მშობელთაგანი არს“ 49, 10—11.

მდღევარ-ი დღიური, ყოველდღიური: „უკუეთუ... ხარი შენ... ნაკლულევან მდღევრისაგანცა საზრდელისა“ 26, 13.

-მე კითხვითი ნაწილაკი: „რაჲ-მე ვყო ურჩულოებისათვს მათისა?“

მეასპარეზე სპორტული ასპარეზობის მონაწილე; მოჯირითე: „მეასპარეზეთა მათ ცხენთა... ნაკლულევანებითა განჰმზადებენ“ 15, 10.

მებრ აგრეთვე, მსგავსად: „მებრ პირველი იგი დღჱ მარხვათაჲ უქმარ“ 15, 9; „მარხვაჲ... ჴორცთათჳსცა მებრ უმჯობეს არს“ 8, 2.

მეზუერე 156, 34 ხარკის ამკრეფი.

მემარნე 99, 10 მარნის გამგებელი, ღვინის ჩამომსხმელი ὁ οἰνοχόος.

მემარნეთმთავარ-ი მთავარი მემარნე, ὁ ἀρχιοινοχόος: „ფრიადსა ჟამსა გარდაჰკიდიდეს სუმასა მას შინა და ამას ყოველსა ზედა იყვნიან ტრაპეზთმოძღუარნი და მწდეთუხუცესნი და მემარნეთმთავარნი“ 185, 31.

მემრუშე 188, 20 მრუში.

მემღერნ-ი მოცეკვავეთა და მომღერალთა გუნდი, ὁ χορός: „მამათა და დედათა ზოგად განაწყვნეს მემღერნი“ 187, 31; „ეკლესიათა მათ წინაშე... მემღერნი განაწყვნეს მათ“ 180, 29.

მენავე 187, 29 მეზღვაური.

მენავეთმოძღუარ-ი 46, 16; 116, 12 გემის, ხომალდის მეთაური, კაპიტანი, ὁ κυβερνήτης.

მენავეთმოძღურობა, მენავეთმოძღურება 138, 21 გემის, ხომალდის მეთაურობა: „არა იცოდეს მენავეთმოძღურებაჲ“ 138, 35.

მეორე სხვა, ἕτερος 3: „ცოდვისათჳს

ტიროდე მ ე ო რ ი ს ა თ ჳ ს ც ა და უმეტესად შენისათჳს" 53, 7; „არა მ ე ო რ ი ს ა ჲ არს სარგებელი ესე, არამედ შენი" 202, 30.

მეოტ-ი გაქცეულ-ი: „ბრძოლასა შინა ვინმე იპოოს ძლეულ და საჭურველისა დამტეობელ და მ ე ო ტ" 13, 11.

მეოქროსოფიო, მეოქროსოფიე იუველირი, ψηφοθέτης: „მიეც საფასე დედათათჳს... ხუროთა, მ ე ო ქ რ ო ს ო ფ ი ო თ ა, მხატვართა" 101, 34.

მეოხ-ი 178, 1 შემწე, შუამდგომელი.

მეპურისტე, მეპურისმტე თანამესუფრე, თანამეინახე, ὁ ὁμοτράπεζος, ὁμοδίαιτος 2: „ნუცა უღირს ჰყოფ მ ე პ უ რ ი ს მ ტ ე დ შენდა ყოფად მისა და ტაბლის-მოდგამად" 13, 14; „შეიწყნარეთ ესე, გლახაკნო, თანამკჳდრი და მ ე პ უ რ ი ს ტ ჱ თქუენი" 17, 7.

მერმე მეორე, შემდეგი, მომავალი: „არა ხოლო თუ მ ე რ მ ი ს ა მის საუკუნოჲსათჳს ოდენ საკმარ არს მარხვაჲ" 8, 1; „სასოებითაცა მ ე რ მ ე თ ა ჲ თ ა აღასუბუქო სრულიად სიმძიმე იგი" 39, 37.

მერმე საუკუნე 8, 1; 11, 37 მეორე ქვეყანა, საიქიო.

მესამე ცა: „მ ე ს ა მ ე დ ც ა დ მ დ ე აღიტაცა იგი" 8, 28.

მეტრაპეზე სუფრის ზედამხედველი, ὁ τραπεζοποιός: „ეც მოცალებაჲ მ ე ტ რ ა პ ე ზ ე ს ა შენსა" 6, 37.

მეტყუელ-ი მოლაპარაკე: „ჴმაჲ იგი, ვითარი განვიდეს, ეგევითარივე მიიქცის მ ე ტ ყ უ ე ლ ი ს ა მის" 71, 12.

მეტყუელება რიტორიკა, საორატორო ხელოვნება, ἡ ῥητορική: „მ ე ტ ყ უ ე ლ ე ბ ა მ ა ნ ც ა და გამომთქუმელობამან და ფილაფოზობამან მრავალნი უცალო ყვნეს" 127, 28.

მეუფე ბატონი, ὁ δεσπότης: „მონაჲ ევლტინ მ ე უ ფ ე ს ა მცემარსა" 11, 12.

მეუღლება მეუღლეობა, ცოლქმრობა: „მარხვამან მ ე უ ღ ლ ე ბ ი ს ა ც ა საზომი იცის" 10, 12.

მეფსალმუნე 1. ბიბლიური მეფე დავითი, ფსალმუნთა ავტორი: „მ ე ფ ს ა ლ მ უ ნ ე ც ა გუასწავებს, ვითარმედ: გულისწყრომასა თქუენსა ნუ სცოდავთ" 76, 12—13. 2. ფსალმუნთა შემსრულებელი: „ისწრაფიან, თუმცა ოდეს აღასრულნა მ ე ფ ს ა ლ მ უ ნ ე მ ა ნ მუჴლნი" 112, 21.

მეღჳნე ღჳნის ჩამომსხმელი, ὁ οἰνοχόος: „დააყენე ჴელი მ ე ღ ჳ ნ ი ს ა ჲ" 6, 37. იხ. მემარნე.

მეღჳნეობა, მეღოჲნობა ლოთობა, ἡ οἰνοφλυγία: „რაჲ ზიარებაჲ არს მ ე ღ ო ჲ ნ ო ბ ი ს ა ჲ სიწმიდესა თანა?" 17, 37 (B): „ბოროტ არს მ ე ღ ჳ ნ ე ო ბ ა ჲ და მაგინებელ არს სიმთრვალჱ" 184, 21.

მეყსა შინა, მეჴსა შინა მაშინვე, სწრაფად, თვალის დახამხამებაში ἀθρόως: „მ ე ყ ს ა შ ი ნ ა დააწყნარის ამბოხებაჲ ყრმათაჲ" 15, 31; „ყოვლისავე სიმდიდრისა მ ე ჴ ს ა შ ი ნ ა წარწყმედაჲ" 60, 19 B.

მეყსეულად, მეჴსეულად 41, 33 სწრაფად, თვალის დახამხამებაში: „მ ე ყ ს ე უ ლ ა დ ვპოოთ შეუძლებელობაჲ მისი" 21, 19; „მ ე ჴ ს ე უ ლ ა დ ივლტოდინ შენგან გულისთქუმანი" 27, 34.

მეცნიერ-ი მცოდნე: „ვითარ უტყუეო მ ე ც ნ ი ე რ ს ა მას მსაჯულსა?" 104, 36; „ვიქმნებით მ ე ც ნ ი ე რ კეთილისა და ბოროტისა" 128, 6.

მეცნიერება 113, 11; 123, 24 ცოდნა: „იგი წარგიძღუეს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა დ ღმრთისა" 28, 11.

მეხუაიშნე, მეხჳშნე 18, 6 შუამავალი, მომრიგებელი, ὁ διαλακτής.

მეჴსა შინა იხ. მეყსა შინა.

მეჴსეულად იხ. მეყსეულად.

მზარაულ-ი 99,10; 6,36 „მზარეული"; ყასაბი, ὁ μάγειρος.

მზარდულ-ი ძიძა, გამზრდელი, ὁ παιδαγωγός, ὁ τροφός: „ნუ ჰგონებ, თუ ვ´ა-იგი დედანი და მ ზ ა რ დ უ ლ ნ ი, ესრეთ მე ტყუილით გაშინებ" 121, 11; „გუემაჲ... მოაწიიან მათ ზედა მოძღუართა ანუ მ ზ ა რ დ უ ლ თ ა" 126, 28.

მზრახვალ-ი იხ. ბოროტად მზრახვალი.

მზრდელ-ი 1. 146, 20 საკვები (რაც ზრდის), 2. 119,8 გამომკვებავი (ვინც კვებავს). ὁ τροφός.

მზუაობარ-ი ამპარტავანი: „ნუ ხარ მ ზ უ ა ო ბ ა რ" 204, 31.

მთავრობა პირველობა, ბატონობა, ἀρχή: (ღმერთმა ადამს) „მისცა მ თ ა ვ რ ო ბ ა ჲ, მიმსგავსებული ანგელოზთა" 63, 11; „ადგილი არს მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ა მისისაჲ ჰაერნი" 67, 16.

მთიებ-ი ცისკრის ვარსკვლავი: „ნუმცა უხილავს მას მ თ ი ე ბ ი აღმომავალი" 167, 26.

მთრვალობის მეძიებელ-ი ლოთი, ὁ οἰνόφλυξ: „მთრვალობის მეძიებელნი არა მწუხარებისა მათისა დამშჳდებისათჳს იქმან ჟჳრიადსა მას სუმასა“ 53, 32.

მთხოელ-ი 117, 23 მათხოვარი.

მთხრებლი 172, 9 ორმო, თხრილი.

მიდგომა ჩასახვა: „სამფსუნ... მიუდგა მუცელსა დედისასა“ 5, 2.

მიდრეკილ-ი 179, 17 გადაბირებული.

მიზდება დაქირავება: „იმიზდებდიმცა შემწეთა“ 143, 29.

მითუალვა გადაცემა: „თითოეული მამაჲ შვილსა თჳსსა მიუთუალვიდა“ 4, 7.

მითხრობა თქმა: „მიგითხრათ თქუენ დღჱ ესე“ 40, 36.

მილიონ-ი მანძილის ერთეული, მილი, ὁ σταθμός: „განყოფილი ჰასაკებითა ვითარცა მილიონებითა“ 207, 36.

მიმთხუევა 1. გარტყმა, τύπτω: „უკუეთუ გაგინა შენ, შენ აკურთხე იგი, უკუეთუ მიგამთხჳა, თავს-იდევ“ 71, 25. 2. მიღწევა, შეძლება: „ფუფუნეულნი იგი მოდნობასაცა ვერ მიემთხუევიან“ 8, 10.

მიმთხუეულ-ი 174, 2 შეყრილი, შეხვედრილი.

მიმოდრეკა მოხრა, მოდუნება: მუქლნი მიმოდრკებოდიედ დაცემად“ 118, 21.

მიმოდრეკილ-ი მორყეული, მოშლილი: „...სასწორსა მიმოდრეკილსა მიემსგავსებიან, რომელი არაოდეს სწორ იქმნებინ“ 53,35.

მიმოვარდნა მორყევა, ბარბაცი, ხეთქება: „თავი... მიმოვარდებინ ქედისაგან“ 184, 11; „ვითარცა ნავი უკაცოჲ, ყოვლით კერძო ღელვათა მიერ მიმოჰვარდებოდი“ 139, 26.

მიმოვრდომა რყევა: „ყოველნივე საქმენი მისნი ღელვასა შინა და მიმოვრდომასა და შეცვალებასა არიან“ 137, 20.

მიმომავალ-ი მაწანწალა, ὁ ἀλήτης: „ამან სახელ-სდვის გლახაკად და მან — მიმომავალად“ 71, 16.

მიმორყევა რყევა: „რაჟამს არა აქუნ გუამსა სიმტკიცჱ იგი ბუნებითი, ამისთჳს მიმოირყევიან და ძრწიან“ 185, 2.

მიმოქცევა (მუცლის) გვრემა; რხევა; კამათი: „მუცელი... იჴირვინ ზედაჲსზედა მიმოქცევითა“ 15, 22. „მიმოქცევასა მას სასწორთასა“ 22, 30. „არა იცნიან... სამძღვროთა იგი სიტყუათა მიმოქცევანი“ 132, 32; „თჳნიერ ტყუილით მიმოქცევისა სიტყუათაჲსა“ 127, 31.

მიმოცვალება (ბეჭების) რხევა: „შემოვიდის მათ შორის ჭაბუკი ვინმე ახოვანი ...რომელი ბეჭთა მიმოიცვალებნ“ 187, 6.

მიმსყიდელ-ი συναλλάκτης: „რომელი მიმსყიდელი არა მიიმძლავრების?“ 104, 9. იხ. მსყიდელი.

მიმძლავრება დაძლევა, ჯობნა, დამორჩილება: „რომელნი-იგი მიიმძლავრნეს ბოროტად ჴაჲ მიერ“ 104,7; მიიმძლავროს მის მიერ და დაეცეს ქუეყანად“ 211, 33.

მიმძლავრებულ-ი დაძლეული, დამორჩილებული: „მდიდართა მიმძლავრებულთა მათგან მიიღიან ძალი უმეტესისა მძლავრობისაჲ“ 104, 4.

მიმწუხრ საღამოს: „დღეს, მიმწუხრ, და კუალად ხვალე“ 16, 21.

მიმწუხრ-ი 18, 35 საღამო.

მინიჭება ბოძება, ჩუქება: „სამოელ არა მარხვამან ლოცვითურთ მიანიჭა-ა დედასა თჳსსა?“ 5, 1.

მირულვა მილულვა, მიძინება: „არაოდეს მიგერულოს ჰყრობასა შინა საჭეთასა“ 139, 36.

მისანდობელ-ი სანდო: „არა მისანდობელ არს საუნჯჱ იგი“ 11, 9.

მისმიერ-ი 30, 9 მისი, მისგან მომდინარე: „მისმიერითა ნათლითა განგანათლებს“ 27, 2.

მის ჟამისა იმ დროინდელი: „მის ჟამისა იგი უზმობაჲ მარხვასა გიწამებს“ 15,5.

მიტევება, მიტეობა მიშვება: „ველნი არა მიუტევნე განმარისხებელსა მას ზედა შენსა“ 27, 27; „ნუსადა უკუე მიუტეობ გონებასა შენსა წარტყუენვად... ვნებათა“ 28, 7.

მიუთხრობელ-ი ენით უთქმელი, აუწერელი: „გაქუს ცაჲ, რომელი მიუთხრობელითა მით ვარსკულავთა შუენიერებითა გფარავს“ 27, 10.

მიუნდობელ-ი არასანდო, ἀπιστότατος: „მუცელი მცველი არს მიუნდობელი“ 17, 31.

მიუწთომელ-ი 158, 12 მიუწვდომელი.

მიქუმა აყვანა: „სჳმეონ... მიიქუ უფალი ჩუენი“ 47, 21.

მიქცევა 155, 21 მიბრუნება, დაბრუნება: „...მტირალისა მიმართ არა მიიქცეოდე“ 114, 32.

მიქცევად-ი მისაბრუნებელი: „მიწაჲ ხარ და მიწადვე მიქცევადი“ 25, 37.

მიღება წართმევა; ჩამორთმევა: „ვინ არს მტაცებელ, რომელი მიუღებდეს თითოეულისა მონაგებსა?“ 94, 28; „ცხორებაჲ იგი წარმავალი მიეღებოდა“ 42,13.

მიყვანება 11, 4; 31, 27 მიყვანა.

მიშუება დანებება, ნების დართვა: „ჴელთ-დებად მიუშუა“ 8, 33.

მიჩემება მიკუთვნება, მისაკუთრება: „...ყოველიცა იგი მონაგები სხუათა მიაჩემეს“ 108, 14—15; „ღმერთი... გლახაკისა და ჭირვეულისა მიცემულსა თჳთ მიიჩემებს“ 118, 5.

მიცვალება შეცვლა: „სათნოებაჲ მიცვალებაჲ შეკრებულთაჲ მათ“ 171, 12.

მიწისაგან-ი მიწიერი, ამქვეყნიური: „ვერ თავს-იდებდა ხედვად მიწისაგანისა მის პატივისა მიმართ“ 65, 9.

მიწოდება დაძახება: „უფალი ცხორებად სამოთხესავე მიმიწოდს ჩუენ“ 66, 14.

მიწ(უ)თომა 158, 15; 146, 10 მიწვდომა.

მიხუმა 149, 24 მიღება; წართმევა (ობ. მრ.-ში): „მონაგებნი იგი ოდენ, უჯეროებით მოტაცებულნი, მიუხუნა მას“ 42, 19.

მიჴდა ჩამორთმევა: „სიტყუაჲ მათი მიგჴადონ გამოწულილვით“ 88, 18.

მიჴდომა მისვლა, მიმართვა: „მიუჴდა“ 130, 34 — მიუვიდა, მიჰმართა.

მკალ-ი კალია, ἡ ἐρυσίβη: „ვითარცა მკალი თჳსი სენი არს იფქლისაჲ, ეგრეთვე შური სენი არს მეგობრობისაჲ“ 82, 29—30.

მკედ-ი იხ. ვეცხლისა მკედი.

მკელობელ-ი 157, 10 კოჭლი.

მკსინვარება წყრომა, ἡ ἐπαχθεία: (ყრმანი)... „მკსინვარებისაგან მასწავლელისა და სიძნელისაგან სწავლათასა მცირედ ჟამ განთავისუფლებულ არიან“ 112, 25.

მკჳდრ-ი მემკვიდრე, ὁ διάδοχος; ἐνοικοῦντος: „შვილი... მკჳდრი ცხორებისა ჩემისაჲ“ 39, 1; „სახლეული მკჳდრი ურცხჳნოჲ ყოველსავე დაიპყრობს“ 78, 19.

მკჳდრობა 133, 2 დამკვიდრება: „არა თავს-იდვას რჩულიერმან მან განხრწნილთა მათ თანა მკჳდრობაჲ“ 14, 32.

მმადლობელ-ი მადლიერი: „მმადლობელ არს და არა მგმობარ“ 115, 10.

მმართებელ-ი წარმმართველი; მწვრთნელი. გამხედნავი, ὁ ἡνίοχος: „უფალი არს ცისა და ქუეყანისაჲ... მმართებელი ყოვლისაჲვე“ 115, 27. (კიცუმან უმწყმან)... „ესეზომ ირბინა უწესოდ და მმართებელი შეურაცხ-ყო“ 110, 9. შდრ. სტრატული.

მნათობ-ი მანათობელი: „...ცეცხლი მოუცემიეს ღამით მნათობად“ 44, 19.

მოახლება 116, 5 მოახლოება.

მოგება შეძენა: „აზნაურებისა წილ მონებაჲ მოიგეს“ 39, 28; „...მტაცებლობითა მოეგო სიმდიდრე თჳსი“ 41, 18; „არცა განძღეს ვეცხლისმოყუარე მოგებითა“ 103, 21.

მოგებულ-ი 156, 10 შეძენილი.

მოგჳ 154, 35 ვარსკვლავთმრიცხველი.

მოდგამ-ი იხ. მარხვის მოდგამი, ტაბლის მოდგამი.

მოდნობა მონელება, ἡ πέψις, εως; „ძალი იგი ბუნებისა ჩუენისაჲ ლიტონსა და ზომითსა ჭამადსა ადრე მოიდნობს“ 3, 39; „ფუფუნეულნი იგი მოდნობასაცა ვერ მიემთხუევიან“ 8, 10.

მოვრდომა მოძრობა: „უტეოთ მოვრდომად ჴელთა ჩუენთა“ 175.26.

მოზავებულ-ი შეწყობილი: „მოზავებულთა სიტყუათა მიერ... განჰლევ სულსა შენსა“ 38, 10.

მოთმინე 85, 35 მომთმენი.

მოისარ-ი 131, 2 მშვილდოსანი.

მოკიცხვა 108, 34 შერცხვენა, დაგმობა: „ესეზომ მოიკიცხა მის მიერ მისი იგი ამპარტავანებაჲ, რაჲზომ ჰგონებდა იგი მისსა მოკიცხვასა“ 41, 15—16.

მოკლება შემცირება, დაპატარავება: „არა ხედავ-ა მთოვარესა, ვითარ აღორძნდების და მერმე მოაკლდების?“ 46, 2.

მოკუდინება მოკვლა: „მე მოვაკუდინნი და მე ვაცხოვნნიო“ 59, 13.

მოკუეთა მოცლა, მოძრობა: „გინა თუ თუალნი დამიბნელდებოდინ და მომეკუეთებოდინ ჩემგან“ 31, 11.

მოლალე მოჩხუბარი, მოშუღარი: „რაჲთა არა ვიყვნეთ... ურთიერთას მოლალე“ 86, 15.

მოლესულ-ი მოპირკეთებული *ὠμαλισμένη*: „სართული ოქროჲთა მოლესული“ 99, 21.

მოლოდება 120, 28; 125, 35 მოლოდინი.

მომატყუებელ-ი შემძენი, მომტანი: „მეუღლე... მომატყუებელ არნ შენდა სიხარულისა“ 46, 32; „კეთილთა მომატყუებელ გექმნა წიგნი ესე იგავთაჲ“ 132, 19; „სიხარულისა მომატყუებელნი საქმენი გარეგან არიან“ 30, 27.

მომგებელ-ი 211, 5 შემძენი, პატრონი.

მომზავებელ-ი 124, 1 დამამშვიდებელი, დამაწყნარებელი: „ყოველთა მიმართ მომზავებელ არს და კეთილ“ 24, 23.

მომთრვალე 4, 18 ლოთი: „ვიეთთანა შეგრაცხო შენ? — მომთრვალეთა თანა ანუ მმარხველთა?“ 15, 4.

მომთრვალობა 10, 6 ლოთობა.

მომიზდება დაქირავება, *ἐργατεύομαι*: „მოიმიზდენ მრავალნი ჰირვეულნი ზიარებად ლოცვისა“ 189, 3.

მომპოვნებელ-ი თანმხლები, *σύνοικος*: „მომპოვნებელი სიფრთხილისაჲ“ 5, 10.

მომქცეველ-ი იხ. ადვილად მომქცეველი.

მომღებელ-ი მომტანი; გამომღები: „...ბევრეულთა ტვრთთა მომღებელი“ 39, 21. „ხჱ ნაყოფთა შუენიერთა მომღებელი“ 65, 30—31.

მომღერალ-ი მოქეიფე, ბ *κωμαστής*: „რომელი მომღერალი მარხვასა შორის გამოვიდა?“ 15, 33; ბ *τραγῳδός*: „ვითარცა მომღერალთა აქუს ორღანოები, შემწედ ჴელოვნებისა მათისა, რომლითა მღერად მივლენ“ 38, 12.

მომყვანებელ-ი 31, 5 მომყვანი.

მომყმარ-ი 120, 4 მშიერი. იხ. მოყმობილი.

მონაგებ-ი ქონება: „მარხვაჲ... არს... მონაგებთა კრძალულება“ 11, 28. „თუ ვითარ მოეგო მას მონაგები იგი“ 41, 25.

მონაზონ-ი ბერი, ბ *μοναχός*.

მოპოვნება შეძენა: „შიშისა ღმრთისა მოპოვნებაჲ“ 126, 8.

მოპოვნებულ-ი გამოგონილი; ყალბი: *ἐπίπλαστος* 2; *ἀπατηλός*, 3, 2: „...არა კორცი, არცა ლუნოჲ, არცა სხუანი იგი სახენი მონათა მათ მიერ მუცლისათა მოპოვნებულნი“ 10, 2; „მან იცის, თუ რომელნი სიტყუანი არიან მოპოვნებულ და მაცთურ, ანუ რომელნი არიან ჭეშმარიტ“ 128, 20; „უჴმდა კაცსა, რაჲთამცა... აქუნდამცა მას სიმაღლე ჭეშმარიტი და არა მოპოვნებული“ 197, 26.

მორკინალ-ი სპორტსმენი; მოჭიდავე. ბ *παλαιστής*: „ბილწებაჲ საკიცხელ ჰყოფსო მორკინალთა და არა გჳრგჳნოსან“ 210, 21; „მორკინალი... მერმე შევიდის რკინობად“ 148, 25.

მორკინალთა უხუცეს-ი მოჭიდავეთა მწვრთნელი, ბ *γυμναστής*: „მორკინალთა უხუცესნი და მჴედართა მწურთელნი“ 12, 8.

მორკინლობა 210, 17 ჭიდაობა: „უკუეთუ ვინ მორკინლობასა ისწავლიდეს, აქუნდეს აგებულებაჲ გუამისაჲ კეთილი და ძლიერი“ 137, 5.

მორჩ-ი რტო; ტოტი: „კეთილისა მის ძირისა კეთილი მორჩი იყო იგი“ 178, 34.

მორჩილ-ი რბილი, დამყოლი: „...ლბილთა და მორჩილთა ნივთთა ზედა სიფიცხლესა მათსა აღასრულებენ“ 73, 28.

მოსადნობელ-ი 146, 22 მოსანელებელი: „რომელი თითოფერთა მათ მოსადნობელთა საჭმელთა ჰკაზმავნ“ 7, 1.

მოსაჯულ-ი 41, 28 მომჩივანი: „წარმოგიდგიან შენ ორნი ძმანი... მოსაჯულად წინაშე შენსა, მსაჯული თუ იყო“ 190, 33.

მოსყიდა შეძენა: „უმჯობეს არს მოსყიდაჲ მისი“ 125, 8.

მოსწავება მინიშნება, სწავლება: „ესრეთ მოასწავებს ენაჲ ჰურიათაჲ, ვითარმედ სატანა წინაალმდგომიო“ 67, 5. „სიტყუათა მათ მიერ... მოასწავებდა სიხარულსა მას სულისასა“ 42, 24.

მოსწავლე იხ. კეთილად-მოსწავლე.

მოსწრაფე 113, 12; ბეჯითი, გულმოდგინე: „აკსოდის მოსწრაფესა მსმენელსა ყოველსავე, რაჲ-იგი მაშინ ვთქუთ“ 95, 27.

მოსწრაფება გულმოდგინება, სიბეჯითე: „სწორი მოსწრაფებაჲ გჳქმს შეყუარებად სათნოებისა და მოძულებად ცოდვისა“ 75, 22; „...მოსწრაფებით ვივლტით მისგან“ 213, 27.

მოტკბობა დაამება: „ჴელნი მტკივანთა ასოთა ნელიად შეხებითა და მოზელითა მოატკბობენ“ 52, 10.

მოტყინარე მოკაშკაშე, κυκώμενος: „მძლავრებაჲ ცეცხლისაჲ, მოტყინარისა და მძაფრისაჲ“ 70, 10.

მოტყუება შეძენა: „მოატყუმცა თავსა შენსა დიდებაჲ“ 2, 14; „დაჰჴსნიან უზომოებასა და სიზრქესა და სისუბუქესა მოატყუებენ“ 17, 16; „თჳთნეფსით მოატყუა ადამ თავსა თჳსსა სიკუდილი“ 63, 22—-23; „სიმაძღრემან მრავალთა მოატყუა სიკუდილი“ 210, 1.

მოუგებელ-ი შეუძენელი: „არა ახარებს მათ მოგებული იგი, არამედ შეაწუხებს მოუგებელი“ 103, 5.

მოუკრებელ-ი 117, 8, მოუკრეფავი. აქ: მოუმკელი.

მოულოდებელ-ი, **მოულოდინელ-ი**, **მოულოდინებელ-ი** 39, 13; 68, 29; 137, 37 მოულოდნელი.

მოურნე მზრუნველი, მომვლელი: „არს-მეა ღმერთი მოურნე ამის ყოვლისავე სოფლისა?“ 55, 9.

მოუწყლველ-ი 161, 28 დაუკოდელი, დაუჭრელი.

მოუწყუედელად გაუთავებლად, განუწყვეტლივ: „ესენი ოდესმე იცინიედ დაუცადებელად და ოდესმე ტიროდიედ მოუწყუედელად“ 182, 6.

მოფარდულ-ი მოვაჭრე, ὁ κάπηλος: „ნუ იქმნები მოფარდულ განსაცდელისა კაცთაჲსა“ 90, 1.

მოქადულ-ი 199, 2 მკვეხარი, მოტრაბახე.

მოქალაქე 132, 31 ქალაქის მკვიდრი.

მოქალაქობა აქ: მოქმედება, ქცევა, ἐμπολιτεύω: (ნარხვა) „იხილე, თუ ვითარ მოქალაქობს ჩუენ შორის“ 15, 28; „არა სიტყჳთ ოდენ აღასრულებ ლოცვასა, არამედ ყოვლითავე მოქალაქობითა ცხორებისა შენისათა“ 44, 36; „მოქალაქობაჲ მკვრცხლი“ 22, 24.

მოქლონ-ი საკეტი, ურდული, ὁ μοχλός: „შენ ყოველივე კართა შინა და მოქლონთა შეგიწყუდევიეს“ 88, 19.

მოქცევ-ი, **მოქცევა** 1. წინააღმდეგობა, წინაუკმობა, ὁ ἔλιγγος: „რაჲამს საქმენი იგი სხჳთა სახითა იყვნენ და სიტყუანი იგი სხუასა იტყოდინ, იგი არს მოქცევი“ 129, 6; (გულარძნილი სიტყუაჲ) „მრავალ სახედ შეიცვალების და ჰქონან ურიცხუნი მოქცევნი“ 128, 36. 2. დინება, მიქცევ-მოქცევა: (ზღვისა) „მოქცევმან დამნთქა მე“ 139, 15.

მოქცევ-ი (მოქცევა) სიტყუათა-ჲ სიტყვათცვლილება: στροφαὶ... λόγων: „რომელი სხჳთა სახითა ჩნდეს და ჭეშმარიტებით სხუაჲ სახე აქუნდეს, იგი მოქცევთა სიტჳსათა იქმარებს ცთუნებად მხედველთა მათ“ 129,8; „კუალად მოქცევი სიტყუათაჲ არს წინააღდგომაჲ იგი მტყუართა მათ ბრძენთაჲ“ 129,10; „რომელი ამათ ისმენდეს... შემძლებელ არს იგი მოქცევათა მათ სიტყჳსათა უვნებელად თავს-დებად“ 129, 3 — მრავალაზრიანობა.

მოქცევა 146, 36 მობრუნება, დაბრუნება: „სნეულებისაგან სიმრთელედ მოქცევაჲ“ 30, 30.

მოქცევაჲ წელიწ(ა)დისაჲ პერიოდული ციკლი, პერიოდული მონაცვლეობა (დროის) ἡ περίοδος τοῦ χρόνου: „უფალმან, რომელმან მომიყვანნა ჩუენ მოქცევასა ამას წელიწადისასა...“ 11, 33; „მოგჳყვანნა ჩუენ მოქცევამან ამან წელიწდისამან სასურველთა ამათ დღეთა“ 14, 14.

მოღება 155, 25 წართმევა.

მოღუაწე 5, 9; 23, 21 აქ: სპორტსმენი, სპორტული შეჯიბრის მონაწილე; მოჭიდავე, ὁ ἀθλητής, ὁ ἀγωνιστής: „მოღუაწეთა მოღუაწებათა მათ შინა სიმტკიცე და ძლიერებაჲ მოთმინებისაჲ ვაჩუენოთ“ 11, 34.

მოღუაწება 11, 34; 12, 23, შეჯიბრი; ბრძოლა.

მოყვანება მოყვანა: „რომელი-იგი... ძალისა ჩუენისა სიმჴნესა მოგჳყვანებს“ 44, 27.

მოყიდვა, 175, 24, ყიდვა, შეძენა:

„წარმავალითა ამით ჭირითა... წარუვალთა მათ კეთილთა მოიყიდდენ“ 33, 19; „აღსრულებითა მცნებათაჲთა მოვიყიდით სასუფეველსა ცათასა“ 138, 24.

მოყმობა დამშევა, მომშევა: „არა მოაყმნეს უფალმან სულნი მართალთანი“ 18, 20; „ბოროტი გიყავ და მოგაყმე შენ“ 59, 34.

მოყმობილ-ი, მომყმარ-ი დამშეული, მომშეული: „ხედვიდა გონებასა მათსა საზრდელითა მით ჭეშმარიტებისა სწავლათაჲთა მოყმობილი (მომყმარი) და გარეგანი კაცი განპოხებული“ 18, 32.

მოყოფა მოპყრობა: „მოყავ ყური შენი“ 120, 35; 135, 15 — ყური დამიგდე.

მოშთობა აღვირის ამოდება; გაგუდვა, დახრჩობა: „რაჲამს იხილიან კიცჳ მძჳნვარე და ველური, არა მეყსეულად მოაშთობდიან აღჳრითა“ 52, 26; „სიყმილითა მოვიშთვებოდი“ 31, 13.

მოშთობად-ი დასაღუპავად, დასახრჩობად განწირული: „უკუეთუ ვინ თანამდები, მოვალისა მიერ მოშთობადი იხილო, შეურაცხ-ჰყოფ-ა?“ 101, 5 (BC).

მოშთობის სახე მგუდავი, ხრჩობის მსგავსი: „ძილი არნ მათ ზედა მძიმე და მოშთობის სახე“ 182, 6.

მოშიშება 56, 31 შიში. იხ. ბოროტად მოშიშება.

მოშურნე 79, 3 შურიანი.

მოცალე 25, 5 მოცლილი.

მოცალება მოცლა, მოცლევინება: „ნუ მოაცალებ გონებასა შენსა სხჳსა ცოდვათა გამოწულილვად“ 25, 14; „ეც მოცალებაჲ მეტრაპეზესა შენსა“ 6, 36.

მოცალებით მოცლილობისას, თავისუფალ დროს, κατὰ σχολήν: „რაჲთა მოცალებით გამოიძიო სიბრძნისათჳს მას შინა თქუმული სოლომონის მიერ“ 125, 13.

მოცემად-ი 50, 31 მოსაცემი.

მოცთომილ-ი 159, 26 შემცდარი.

მოძღუარ-ი მასწავლებელი, ὁ διδάσκαλος: „შეჰრისხნის მოძღუარმან (ყრმანი) და მათ მისნი წიგნნი დაბძარნიან“ 116, 9; „მოძღურად სახელ-სდებ და მოწაფეთასა არა იქმ-ა?“ 96, 17.

მოწევნა მოყვანა; მოსვლა: „სენთა მოაწევს... კაცსა ზედა“ 4, 3; ჩუენდაცა მოიწია საუნჯჱ ესე“ 4, 8; „არცა უჟამოდ მოწევნამან სიკუდილისამან... შეგუაშფოთონ“ 38, 35.

მოწევნად-ი მოსასვლელი, თავს დასატყდომი: „თჳთწერილ არს მოწევნადი იგი რისხვაჲ“ 95, 19; „ბევრეულნი არიან დღითი-დღედ მოწევნადნი განსაცდელნი“ 30, 18.

მოწევნილ-ი, მოწევნულ-ი მოსული; თავს დამტყდარი: „...მათ ზედა მოწევნილთა ჭირთათჳს“ 31, 36; „შეიწყნარენ წყლულებანი იგი, ცოდვათა შენთათჳს მოწევნულნი“ 127, 16.

მოწერა მოოჭვა; მოჩუქურთმება: „რომელი ზედაჲთ კერძო მარმარილოთა მათ არნ, მოწერიან თითოსახედ“ 99, 22.

მოწიფებულ-ი მიღწეული: „იყო ჩემდა შვილი, სიჭაბუკესა ოდენ მოწიფებული“ 39, 1.

მოწყალება გულჩვილობა: „ვინაჲ უკუე ესმა შვილთა მისთა... სიკუდილი, მაშინ ოდენ დაიპო სამოსელი თჳსი და გამოაჩინა მოწყალებაჲ იგი ბუნებითი“ 215, 30.

მოწყინე შეწუხებული, დამწუხრებული: „რაჲთა არა მოწყინე ვიყვნეთ ჭირთა შინა“ 55, 1.

მოწყინება: „ერთი... ჭირთა მათ მიმართ მოიწყინა“ 176, 13.

მოწყლვა დაკოდვა, დაჭრა: „ყოველთა მოსწყლავს და დასცემს მტერი იგი“ 82, 15; (ყრმანი) „დედისა პირსა ფრჩხილითა მოსწყლვიდიან“ 116, 11; „მახჳლითა მოიწყლვოდა“ 30, 21.

მოწყლულ-ი 186, 22 დაჭრილი, დაკოდილი.

მოწყუედა 113, 11 ამოწყვეტა, განადგურება.

მოხარულ-ი მხიარული: „მწუხარეთაჲ ფერი ყჳთელ არნ და განჴმელ, ხოლო მოხარულთა — ფეროან და წითელ“ 34, 34.

მოხარულება, მოხარულობა 30, 16 „მხიარულება“.

მოხდა 141, 34 დაძახება, მოწვევა.

მოხუცებულობა აქ: სიძველე. τὸ ἀρχαῖον, ἡ ἀρχαιογονία: „ნუუკუე ჰგონებ, ვითარმედ მოხუცებულობასა მისსა რჩულისაგან ვიტყჳ? რჩულისაცა უხუცეს არს მარხვაჲ“ 2, 23;

„...ვთქუათ მოხუცებულობაჲ იგი მარხვისაჲ" 4, 5.

მოჴდომა 2, 20 მოსვლა; მოვარდნა: „ესრეთ მოუჴედინ" 126, 7; „დაქცევაჲ მსგავსად ნიავქარისა მოჴდეს" 150, 30.

მოჴსენება 150, 17 გახსენება: „...არა მოიჴსენა ზიარი იგი ბუნებაჲ" 87, 23: „მოვიჴსენო... ბუნებაჲ ესე ჩუენი" 39, 10.

მოჰასაკე 82, 29; 178, 11 თანატოლი, ერთი ასაკისა.

მპარავ-ი 158, 6 ქურდი.

მრავალმეტყუელება, **მრავლისმეტყუელება** ფუჭი, ამაო ლაპარაკი, უხვსიტყვაობა: (მტყუარნი ბრძენნი) „მრავალგზის ძალსა მას ჭეშმარიტებისასა დაჰფარვენ მრავალმეტყუელებითა" 129, 14; „რად ჯერ-არს მრავლისმეტყუელებაჲ?" 72, 27.

მრავალჟამ დიდხანს: „მრავალჟამ წურთითა კეთილისაჲთა... აღმოვფხურათ ცოდვაჲ ჩუენგან" 132, 25.

მრავალსასყიდელ-ი ძვირად ღირებული, ძვირფასი: „ჭურჭელთა შინა არაწმიდათა შთაასხამნ ნელსაცხებელსა მას მრავალსასყიდლისასა" 125, 22; „ვითარცა ტვრთი მრავალსასყიდლისაჲ დაჰმარხე სულსა შინა შენსა მადლობაჲ" 117, 14.

მრავალსაძიებელ-ი საყოველთაოდ ცნობილი, πολυθρύλητος 2: „მრავალსაძიებელსა ამას ძიებასა შთავევარდით" 56, 8.

მრავალსახე მრავალნაირი მრავალგვარი: (ღმერთი) „მრავალსახედ განყოფილთა მათ ასოთა ერთად ზიარებად მოიყვანებს" 28, 26; „მრავალსახედ მოქცეულ არს შესავალი იგი ჴმათაჲ" 29, 18.

მრავალღმრთეება მრავალღმერთიანობის აღიარება: „...მრავალღმრთეებად შთავარდეს" 58, 14.

მრავალღონე 148, 4; 148, 14 მოხერხებული: „კაცი მრავალღონჱ საყდარი არს მეცნიერებისაჲ" 133, 17; „მოსლვასა ბოროტთასა მრავალღონჱ დაიმალა" 133, 19.

მრავალღონეობა მოხერხებულობა, ἡ πανουργία: „შეჰურვილ იყოს კეთილითა მით მრავალღონეობითა" 133, 13; „უკუეთუმცა ესე მრავალღონეობაჲ აქუნდა ევას, არამცა ესრეთ ადვილად შეცთომილ იყო" 134,5 ეშმაკობა.

მრავალწილ-ი უმეტესი ნაწილი: „...უდიდესთა და მრავალწილთა აღგჳთქუამს" 50, 30; „მრავალწილად მოაწიოს შენ ზედა საშჯელი ნაკლულევანებისაჲ" 13, 17.

მრავალწჳმობა, **მრავალწჳმროებაჲ** წვიმიანობა, კოკისპირული წვიმები, ἡ ἐπομβρία: „უწჳმროებანი ანუ მრავალწჳმრობანი ზოგადნი წყლულებანი არიან ქალაქთა და ნათესავთანი" 57, 9.

მრავლის-მშობელ-ი ვინც (რაც) ხშირ-ხშირად შობს, πολυτόκος 2: „ცხოარნი ჩუენნი მრავლისმშობელ არიან" 112, 10.

მრთელ-ი 181, 20 ჯანმრთელი: „ესევე სწავლაჲ უძლურთათჳსცა კეთილ არს და მრთელთათჳსცა სარგებელ" 22, 37.

მრთელად მთლიანად: „ჴმაჲ ესრეთ მრთელადვე მეტყუელისა მის მიმართ მიიქცევის" 71, 10.

მსახიობელ-ი 188, 13 გამრთობი, მსახიობი.

მსმენელობა მოსმენის უნარი: ...კეთილად მსმენელობასა მას სულისასა ეძიებს" 135, 16.

მსრბოლ-ი იხ. კეთილად მსრბოლი.

მსტუარ-ი, **მსტოვარ-ი** იხ. აეშაგი.

მსყიდელ-ი გამყიდველი πιπράσκοντος (← πιπράσκω): „უკუეთუ არა იყოს მსყიდელი და არცა იფქლი საუნჯეთა შინა, რაჲ იყოს მძიმეთა მათ ოქროთა საჴმარი?" 114, 15; „რომელი უმჯობესად შეიწყნაროს მსყიდელმან მან იფქლისამან?" 90, 22.

მსყიდ(ე)ლობა: „სადა იქმნებიან სუმანი და ღჳნის მსყიდლობანი" 185, 14 — ღვინით ვაჭრობა.

მტარვალ-ი ჯალათი: „ვითარცა მტარვალსა ვისმე მტანჯველსა" 127, 2.

მტკავლეულ-ი 187, 17 მტკაველის ოდენი.

მუნით 92, 21 იქიდან.

მუშაკ-ი 23, 20 მიწათმოქმედი, გლეხი, ὁ γεωργός: „მუშაკიცა, რაჟამს ერთგზის თესულმან მისმან ნაყოფი არა გამოიღის, უდებ არნ მასვე ქუეყანასა ზედა მეორედ დათესვად" 179,27.

მუშაკობა 149, 30 მიწათმოქმედება.

მუცლად-ღება ჩასახვა, დაფეხმძიმება: „დედამან... კუალად საწყალობელად და ბოროტად მუცლად-იღის“ 118, 37.

მუცლადღებულ-ი 154, 31 ჩასახული.

მუცლად-ხუმა (ობ. მრ-ში) 141, 10 ჩასახვა.

მუქლ-ი სტროფი, ὁ στίχος: ...თუმცა ოდეს აღასრულნა მეფსალმუნემან მუქლნი“ 112. 21.

მქადებელ-ი 141, 31 აღმთქმელი, დამპირებელი.

მღერა 1. ხტომა, ცეკვა, როკვა, παίζω; τὸ ὄρχημα; ἐκ-μαίνω: „მიითრევდეს სამოსელთა და იმღერდეს ფერჴითა“ 180, 26; „შეაგინეს ქუეყანაჲ ფერჴთა მათ მიერ არაწმიდათა, რომლითა იქმოდეს მღერასა მას“ 180, 32. **2.** თამაში: „ვითარცა ყრმათა მიერ მღერით ქჳშითა ქმნილნი იგი ნაშენებნი“ 102, 7. **3.** დაცინვა, καταπαίζω: „რომელნი-იგი ემღერდეს მას“ 196, 32. **4.** სიმღერა: „მომღერალთა აქუს ორღანოები შემწედ ჴელოვნებისა მათისა, რომლითა მღერად მივლენ“ 38, 13.

მღილ-ი 212, 32 ჩრჩილი.

მყოვარ ჟამ დიდხანს: „რომელნიმე მყოვარ ჟამ ჴირთა მათ შინა საპყრობილისათა დაჰყოფენ“ 47, 11—12.

მყუდროებით მჴმუნვარება: ჩუმი წუხილი: „მყუდროებით მჴმუნვარებაჲ საქმესა მას ზედა“ 52, 15—16.

მშობელთაგან-ი იხ. მდიდართა მშობელთაგანი.

მშობელობა მშობლად ყოფნა: „შეერთნენ ამას ცხორებასა გინა თუ შვილებითა და მშობელობითა“... 47, 36.

მშჳნვა სუნთქვა, τὸ ἀναπνεῖν: „დედათა, ვითარცა მშჳნვაჲ, ეგრეთვე მარხვაჲ თჳსი არს და ბუნებითი“ 13. 20; „არცა სული მშჳნვაჲ რაჲმე არს ჰაერად განქარვებადი“ 166, 31.

მშჳნვიერ-ი მსუნთქავი: „დაითესვის ჴორცი მშჳნვიერი და აღდგების ჴორცი სულიერი“ 38, 21.

მცბიერ-ი 10, 8; 14, 34 ცბიერი.

მცემარ-ი ვინც სცემს: „მონაჲ ევლტინ მეუფესა მცემარსა“ 11, 12.

მცენარე მომდინარე: „წყაროსა მცენარესა არავინ დაჰყოფს“ 84. 37.

მცენარება რაც მიწაზე იზრდება, ვითარდება: „აღმოაცენოს ქუეყანამან ბუნებითი მცენარებაჲ“ 114, 6.

მცირე(დ)-მცირედ თანდათანობით, ცოტცოტაობით: „საფშჳნველით მცირედ-მცირედ შემავალი იგი ჰაერი“ 65. 18.

მცირედ ჟამ 116, 23 ცოტა ხნით, ცოტა ხანს.

მცირედ-რაჲმე ოდნავ, ნაწილობრივ. „არა სრულიად, არამედ მცირედ-რაჲმე ჰმადლობენ ქველისმოქმედსა მას“ 115, 15.

მცირედ უკუანაჲსკნელ ცოტა მოგვიანებით, ცოტა ხნის შემდეგ, μικρὸν ὕστερον: „თუ რაჲ არს სიხარული იგი... მცირედ უკუანაჲსკნელ მიგითხრათ“ 30, 12.

მძაფრიად 77, 17 ძლიერად, მძაფრად.

მძლავრ-ი 173, 10 დამპყრობელი. ტირანი, ὁ τύραννος: „სადა არიან ბრწყინვალენი იგი მჴედარნი, ერისმთავარნი იგი და სპასალარნი და მძლავრნი?“ 26, 4; „მძლავრი იგი არს, რომელი ყოვლით კერძო თჳსსა ოდენ ეძიებდეს და სხუათათჳს არა აქუნდეს ზრუნვაჲ“... 123. 16.

მძლავრება, მძლავრობა ძალმომრეობა, ძალადობა: (იფქლი) „ქართა მიერ იმძლავრების“ 114, 2; „ენება ნეტარსა მას თქუმად მძლავრებისა მისთჳს კაცისა მის“ 41. 24; „რაჲზომცა უმეტესთა ჰმძლავრობდიან, უმეტესი ძალი ეცის“ 104. 5.

მძლაფრ-ი 68, 31; 139. 3, B „მძაფრი“. „მძლავრი“, ძლიერი.

მძლეობა 12,11 დაძლევა.

მძლექმნილ-ი ძლეული: „მჴედრობანი, მრავალგზის მძლექმნილნი წინააღმდგომთანი... იქმნიან საწყალობელ“ 39, 22.

მწამლველობა 56. 32 მოწამვლა.

მწდეთუხუცეს-ი 185, 30 მერიქიფეთა უფროსი.

მწირობა უცხო ქვეყანაში ცხოვრება, ყარიბობა. ἡ παροικία: „განმიგრძა მე მწირობაჲ ჩემი“ 34, 14; „ამის სოფლისა მწირობისა განგრძობისათჳს... იგლოვდა“ 34, 1[illegible]

მწუანვილ-ი სიმწვანე, ბალახი: „ყუ-

ავილთა და მწუანვილთა ხედვითა განუსუენებენ სახედველთა თჳსთა“ 40, 3; „მიიღებენ ჴელითა მწუანვილსა მას იფქლისასა, ჴმელად თივად გარდაქცეულსა“ 111, 11.

მწუერვალ-ი წვერი, კენწერო: „მწუერვალთა მიერ ხეთასა“ 118, 24.

მწულილ-ი იხ. წულილი.

მწურთელ-ი 52, 25 მწვრთნელი.

მწუხრ-ი 10, 20 საღამო, საღამოსი: „გულისჴმა-ყავ დღესინდელი, მწუხრი და ხვალინდელი“ 11, 29.

მწყობრ-ი რიგი, მწკრივი, ὁ κατάλογος, ὁ χορός, ἡ τάξις: „ნუმცა ვინ გარეგან ჰყოფს თავსა თჳსსა მწყობრისა მისგან მმარხველთაჲსა“ 13,3; (ღმერთს) „ვითარცა მწყობრი წესიერი, ესრეთ განუწყობიან ჟამთა შეცვალებანი“ 115,27; „მჴედართა აღმწერელმან მან მწყობრისაგან მოკლებულთა მათ თანა დაგწეროს“ 13,9. იხ. ვარსკულავთა მწყობრი.

მწყსელ-ი 15, 16 მწყემსი.

მჭელეულ-ი აქ: ჯეჯილი, τὸ λήϊον: „ქუეყანაჲ... მდიდრად აღმოაცენებდა მჭელეულსა“ 92, 11.

მჭმუნვარება იხ. მყუდროებით მჭმუნვარება.

მხალ-ი: მხალი ველური, მხალი თივისაჲ, მინდვრის მხალი: „არა მხლითა ველურითა და მცირედითა ფქვილითა ანუკვებდა-ა?“ 5, 30. „ჰამეთ ყოველივე, ვითარცა მხალი თივისაჲ“ 4, 12.

მხოლო 29, 4; 39, 1 ერთი, ერთადერთი.

მხოლოდშობილ-ი 33, 6 დედისერთა, ერთადერთი შვილი.

მჴედარ-ი 5, 8 მეომარი, ὁ στρατιώτης; ὁ ὁπλίτης: „შენავეთმოძღუარსა ზამთარი და მჴედარსა ბრძოლაჲ... გამოსცდის“ 116, 12.

მჴედრობა 1. ჯარი, მეომრები, ἡ στρατιά: „არცამცა მჴედრობანი ურთიერთას იბრძოდეს“ 16,3; **2.** 13,29 ლაშქრობა: „მჴედრობანი შორითა ქუეყანათა“ 58,38.

მჴედართა აღმწერელ-ი ჯარის შემკრები, στρατολογήσαντος: „მჴედართა აღმწერელმან მან მწყობრისაგან მოკლებულთა მათ თანა დაგწეროს“ 13, 8.

მჴევალ-ი 16, 30 მსახური ქალი: „ამბოხებაჲ მჴევალთაჲ დაწყნარდის მოსლვითა დედოფლისა პატიოსნისა და წმიდისაჲთა“ 28, 2.

მჴეცის მბრძოლ-ი მხეცებთან მებრძოლი, გლადიატორი, θηριομάχος 2: 2: „არა ხედავ-ა სახილველთა შინა მომღერალთა მათ და მბაძველთა და მჴეცის მბრძოლთა“ 89,22—23.

მჴიე 174, 24 ჩალურჯებული, ჩამუქებული, πελιδνός 3: „თუალნი მათნი იყვნიან მჴიე“ 182, 37; „მჴიე იყვნიან ჴორცნი, სიყჳთლითა და სიშავითა საწყალობელად შეზავებული“ 118, 20.

მჴცე ჰალარა, ἡ πολιά: „მოხუცებულნი გოდებდიან და იფხურიდიან მჴცეთა მათთა“ 113, 23; „სიბრძნისა მისისა მჴცენი პატიოსან იყვნეს“ 134, 35.

ნ

ნავ-ი 139, 8 ხომალდი, გემი.

ნავღლიან-ი სულით ავადმყოფი ἡ φρενῖτις: „უკუეთუ ნავღლიანისა მიერ და ცოფისა იგინო, უფროჲსად გეწყალის იგი და არა გძულს“ 78, 2.

ნათესავ-ი 10, 4 ტომი, მოდგმა: „არცამცა ნათესავნი აღდგებოდეს ერთიერთსა ზედა“ 16, 3.

ნაკლულევან-ი 8, 18 უქონელი, ღარიბი: „ნუ უგულებელს-ჰყოფ კეთილის ყოფად ნაკლულევანისა“ 87, 26.

ნაკლულევანება, ნაკლულევანობა 8, 35; 11, 4; 13, 17 უქონლობა, სიღარიბე.

ნამარხევ-ი: (მარხვა) „ვითარცა სამკუდრებელი და ნამარხევი მამული, ესრეთ მიიღეს და დაჰმარხეს“ 4,6.

ნამეტნავ-ი 183, 3 τὸ περίσσωμα.

ნამუშაკევ-ი 89, 10 ნაშრომი, ნამუშევარი.

ნასხლევ-ი ხმელი ტოტი, ლერწი, ჩამონასხლავი, ἡ κληματίς: (ცეცხლი) „ნავთითა და ფისითა და ნასხლევითა ეგზებოდა“ 6, 7.

ნატყუენავ-ი 175, 6 ალაფი, ნადავლი: „ფრიადი სიმდიდრე ნატყუენავისაჲ შემოეკრიბა“ 39, 26.

ნაღუარევ-ი ხევი, ხეობა, ἡ χαράδρα: „ნაღუარევნი, ვიდრემდის დიდიან მათ შინა ღუარნი, სავსედ შერაცხილ იყვნიან" 184, 24.

ნაყრო(ვ)ან-ი გაუმაძღარი, ღორმუცელა: γαστρίμαργος 2: „მფრინველნი იგი, უფროჲს ყოველთა მფრინველთასა ნაყროვანნი და მტაცებელნი. მოართუმიდეს მას საზრდელსა" 116, 31; „ვხებაჲ იგი... ნაყროვანთასა მსგავს არს, რომელთა ურჩევიეს უფროჲსად განხეთქაჲ ჭამითა, ვიდრელა ნეშტთაჲ მათ გლახაკთადა მიცემაჲ" 88, 10.

ნაყროვანება გაუმაძღრობა, ღორმუცელობა, ἡ γαστριμαργία: „ნაყროვნებითა პირუტყუთაცა წარჰკდები" 15, 18; „ჭამადი... იგი... არა არს ჩუენდა მიზეზ ნაყროანებისა, არამედ უფროჲსად მარხვისა და ზომით ჭამისა" 37, 10; „სიმაძღრე და ნაყროვანებაჲ დასაბამი არს გინებისაჲ" 10, 5.

ნაცრის დასხმა 38, 15—16 ნაცრის გადაყრა თავზე მწუხარების ნიშნად: (მეფემან) „დაავდო გვრგჳნი და ნაცარი დაისხა თავსა ზედა" 113, 26.

ნაძუელავ-ი ძველმანი: „ნუ გამოაჩინებ... საუკუნისა მის ცხორებასა შიშულად და ნაძუელავითა შემოსილად" 120, 21.

ნაწევარ-ი 174, 26 კუნთი, ὁ μῦς, μυός: „ნაწევარნი და ძარღუნი სლვისაგან უმეტესად ზომისა განირთხნეს" 36, 19.

ნახევარსა ზედა ნახევრად, ἐξ-ημισείας: „უშუერ არს ხატი ნახევარსა ზედა გამოსახული" 43, 21.

ნგორება 39, 7 გორვა: „ვინგორებოდი მწჳრესა მას შინა ცოდვისასა" 145, 30.

ნელიად 52, 9—10, 213, 28 ნელა, წყნარად, მშვიდად.

ნერწყუა ფურთხება: „ანუ ინერწყუე-ა? არამედ მეუფეცა ჩუენი ინერწყუა" 74, 8.

ნესტო, ნესტჳ 1. ხვრელი; ძარღვი, სადინარი: „სამშჳნველისა მათისა ნესტოჲ შეიწრდის ლჳნისა მის სიმჴურვალითა" 184, 33; „ნესტუთა მათ მიერ თუალთაჲსა სიმძიმესა მას ესევითარისა მის ნოტიობისასა წარმოაცალიერებდის" 3[illegible], 25; „აღივსნენ ნესტუნი საფეთქელთანი კუამლისა მისგან" 184, 8. 2. საყვირი, ἡ σάλπιγξ: „დაჰბერეთ ნესტუსა ახალსა თავსა თუეთასა" 1, 3.

ნეფსით 18, 36; 113, 8 ნება-სურვილით.

ნეფხვა 174, 16 სიცივე, ყინვა.

ნეშტ-ი ნარჩენი, τὸ λείψανον: „ურჩევიეს უფროჲსად განხეთქაჲ ჭამითა, ვიდრელა ნეშტთაჲ მათ გლახაკთადა მიცემაჲ" 88, 11.

ნეცუა დაფშვნა: „უნეცუდ მშიერთა პურსა შენსა" 87, 27.

ნიავქარ-ი ქარიშხალი, ἡ καταιγίς: „მოიწია ვითარცა ნიავქარი მოულოდებელი" 68,29; „მიიწინიან მოულოდებელნი განსაცდელნი, ვითარცა ნიავქარნი სასტიკნი" 137, 38.

ნივთ-ი მასალა; საშენი მასალა, ნედლი მასალა, ἡ ὕλη: „გამომთქუმელობამან და ფილაფოზობამან მრავალნი უცალო ყვნეს, რომელთა ნივთი არს ტყუილი" 127,29; „თუალი... ვერცა ზურგსა განიცდის, ვერცა პირსა, ვერცა შინაგანთა მათ ნივთთა" 21, 23; „კარვისათჳს ნივთი მოიგეს" 133, 30; „მათისა მის ჩაფხუტისა ნივთი რვალი არს" 14, 4.

ნისლ-ი აქ: გრიგალი, ქარიშხალი, ἡ λαῖλαψ, λαίλαπος: „ვითარცა მძჳნვარითუ რაჲთმე ნისლითა" 139, 14.

ნისლის სახე შავი, ჭვარტლიანი, αἰθαλώδης 2: „ნისლის სახეთა კუამლთა აღმოუტევებენ" 9, 33.

ნიჭ-ი 117, 30 საჩუქარი, საბოძვარი.

ნოტია 111, 26 ნოტიო, სველი.

ნოტიობა 118, 16 სინოტივე, სისველე: „ნოტიობაჲ იგი გუამისაჲ განჴმა" 36, 18.

ნუ უარყოფითი ნაწილაკი, იხმარება ისეთ შემთხვევებში, სადაც დღეს „არას" ვხმარობთ: „ნუ განყენებითა ოდენ საჭმელთაჲთა" 10, 15; „რაჲზომ დიდ იყოს შენ ზედა ქებაჲ იგი გლახაკთაჲ, რომელსა-იგი ნუ შეურაცხ-ჰყოფ შენ" 92, 4.

ნუგეშინისსაცემელ-ი 52, 22 ნუგეში, იმედი, სანუგეშო: „იყო ჩემდა შვილი... ნუგეშინისსაცემელი სიბერისა ჩემისაჲ" 39, 2.

ნუგეშინისცემა ნუგეშისცემა; სარგებლობა: „ჩემდაცა კეთილ არს სიტყუაჲ იგი ნუგეშინისცემისაჲ" 12, 13; „დაჰჴსნენ საიფქლენი

იგი, რომელთაგან არავინ მიიღო ნუგეშინისცემაჲ“ 93, 4.

ნუკევა 1. განცხრომა, ნებივრობა, ფუფუნება, ἡ τρυφή: „იგი მისცა ცეცხლსა ამის ცხორებისა ნუკევამან“ 7, 34. 2. გამოკვება, τρέφω: „არა ძლითა ველურითა და მცირედითა ფქვილითა ანუკვებდა-ა?“ 5, 30; 3 დაყვავება, მოფერება: „ძაღლთა ნუკევითა დაემშჳდებთ“ 196, 4.

ნუსადა ნუ, არ: „ნუსადა შეკ-ვარდე საფრჴეთა მათ“ 21, 36; „ნუსადა გარდაჰკდე რჩულსა მას მოღუაწეთასა“ 24, 10.

ნუუკუე აქ ნუ: „ნუუკუე უშუერად... წარადგენ წინაშე სიძისა მის სძალსა მას“ 120, 25.

ო

ოდენ მხოლოდ, მარტოოდენ: „მანმცა გუასწავა არა ჭამადთაგან ოდენ მარხვაჲ, არამედ ყოვლისაგანვე ვეცხლისმოყუარებისა“ 16, 13. „ოქროჲსმოყუარეთა მათ უხარის შეკრვაჲ ჴელთა და ფერჴთაჲ, ოდენ ოქროჲ იყოს შემკრველ“ 101.23.

ოდეს ოდესმე: „ნუ ოდეს დაეგები მას, ნუ ოდეს თავს-იდებ უბნობასა მისსა“ 196, 13—14.

ორგულ-ი 17, 20 ფარისეველი, არაწრფელი, ὁ ὑποκριτής: „ორგული იგი არს, რომელმან სახჱ უცხოჲ შეიმოსოს წინაშე შესაკრებელსა კაცთასა“ 2, 6.

ორთქლ-ი ὁ ἀτμός: „შინაგანი იგი თავისა ცარიელებაჲ აღივსოს ორთქლთა მათგან მწუხარებისათა“ 36, 24.

ორსახე, ორგვარი, ორნაირი, διπλόος 3: „საცნაურ არს, ვითარმედ სიბრძნჱ ორსახე არს“ 128, 11.

ორკერძო ორგვარი, ორნაირი; ორივე მხრივ, διπλόος 3: „ორკერძო არს სახე განსაცდელთაჲ“ 86, 24; „ჩუენ ორკერძო გულისჴმაჲყოფთ უმანკოებასა“ 132, 23; „ორკერძოვე ჴეროვან და შუენიერ იყოს“ 20, 2.

ორკეცება, **ორკეცობა** ორმხრივობა διπλόος, 3; დამაჯერებლობა, ἡ πιθανότης: ორკეცობაჲ წესისაჲ... შურისაგან იქმნების კაცთა შორის“ 86, 6; „მუნ არა არს ფილაფოზი, არა არს ორკეცობაჲ სიტყუათაჲ“ 104, 35.

ორკეცობით ორმაგად: „ორკეცობით მისცემს ყოველსავე“ 118, 3; „ესეცა ორკეცობით აქუნდა“ 217, 29.

ორღანო 1. სხეულის ნაწილი, ორგანო, τὸ ὄργανον: „კბილნი, ორღანონი ჭამისანი და მტკიცენი შემწენი ენისანი“ 29, 25; „ორღანონი იგი მოდნობისანი“ 29, 29; 2. მუსიკალური ინსტრუმენტი: „ვითარცა მომღერალთა აქუს ორღანოები შემწედ ჴელოვნებისა მათისა, რომლითა მღერად მივლენ“ 38,12: „უფალი... ბაგეთა მონათა მისთასა იჴმარებს ვითარცა ორღანოთა“ 119, 26.

ორძალ-ი ქნარი, ἡ λύρα: „ორძლითა და სტჳრებითა სუმენ ღჳნოსა“ 185, 10. „ორძალსა სცემდა კეთილად და იტყოდა: ვინ არს ღმერთ?“ 207, 24.

ორწყრთეულ-ი ორი წყრთის ზომისა „ორწყრთეული სამოსელი კმა გეყოფვის შენ“ 97,33.

ოტება განდევნა: „უკუეთუ უნდოები ძონძები ემოსის... ვითარცა მყრალსა, ვიოტებთ“ 213, 35.

ოქრომოლესულ-ი ოქროთი მოპირკეთებული: „არა გაქუს სართული ოქრომოლესული? არამედ გაქუს ცაჲ“ 27, 10.

ოქროქვა ქრიზოლითი, ὁ χρυσόλιθος: „ოქროქვაჲ და ბივრილი და იაგუნდი“ 105, 30.

ოქროქსოილ-ი ოქრომკედით ნაკერი: „...სამოსლითა ოქროქსოილითა შემკულ და შემოსილ“ 120, 34.

ოქროცურვებულ-ი მოოქროვილი, ოქროთი მოპირკეთებული, χρυσοκόλλητος 2; χρυσόπαστος 2: „არა ჰზი ეტლთა ზედა ოქროცურვებულთა“ 27, 3: „ყოველივე ოქროცურვებული, ყოველივე ვეცხლისა მკედითა კერული“ 99, 1.

ოცნება, **უცნება** მოჩვენება, φαντάζομαι: „ყოვლით კერძო ოქროსა ოდენ ხედავ, ოქროჲ გეოცნების“ 91, 5.

ოხრა ხმაური, ყვირილი, ღრიალი, δονέω, ὁ ἦχος, ἀνα-βρυχάομαι: „ოხრანი რაჲმე და მოქცევნი და სიბნელენი“ 36,26; „...არა ოხრით და

ქმამაღლობით“ 37, 18; „ქარისა მია ჩრდილოჲსა სასტიკნი ოხრანი“ 175, 1.

ოჯერ-ი მოოხრებული, განადგურებული: „შეიმუსრის ნავი და იქმნის... ოჯერ“ 139, 11.

პ

პაპ-ი, პაპა წინაპარი, მამა-პაპა: „თითოეულსა ნათესავისაგან მამათა და პაპთაჲსა ეწოდებიან სახელები“ 96, 32; „თუალვიდე ვიდრე შჳდ პაპადმდე“ 49, 12.

პატიოსანი თუალი ძვირფასი ქვა: „ქვაჲ არს მარგალიტი და ყოველივე პატიოსანი თუალი ქვაჲ არს“ 105, 29.

პეროა დორბლის, ქაფის ყრა: „რაჟამს პეროინ კაცი იგი განრისხებული“ 192, 17.

პერულ-ი ქაფი: „ვითარცა პერული წყლისაჲ, ესრეთ რისხვაჲ მათი განსთქდის“ 70, 3; „მართალი იგი დგა, ვითარცა კლდე შეურყეველი ღელვათა მათგან და პერულად განაქარვებდა მათ“ 215, 26.

პილო 27,8 სპილო.

პილოჲს ძუალ-ი სპილოს ძვალი: „არა სწევ სარეცელსა ზედა პილოჲს ძულისასა“ 27, 8; „პილოჲს ძულისა სავარძელნი“ 102, 17.

პინა მოლუსკი, რომელიც აბრეშუმის ძაფსა და პერლამუტრს იძლევა, ἡ πίννα: „შუენიერებანი იგი ზღჳთ გამომავალნი: კოლხოჲ და პინაჲ“ 101, 18.

პირ-ი 1. სხეულის ნაწილი, პირის ღრუ: (თავზე) „არიან სახილველნი და სასმენელნი და საყნოსელნი და პირი“ 29, 12; 2. პირისახე: „დღეს პირნი განსივებულნი, განწითლებულნი, ოფლითა შესოლვებულნი“ 16, 21. 3. ამბავი, არსი, შინაარსი: „არს მუნ შინა სიტყუაჲ და პირი შეერთებისაჲ სძლისა და სიძისაჲ“ 122, 9; „ესე ყოველი ვითარცა პირისაგან სიბრძნისა თქუა“ 124, 3; „სამნი გჳხილვან ჩუენ წიგნნი იგი ყოვლად ბრძნისა სოლომონისნი... და თითოეულსა თჳსი სახჱ აქუს და პირი საქმისაჲ“ 122, 2.

პირად-პირადად ნაირ-ნაირად: „სამოსლითა ოქროქსოვილითა შემკულ და შემოსილ პირად-პირადად“ 120, 34.

პირველ 195, 18 პირველად, თავიდან: „არა ყოფილ არს სხუაჲ პირველ შენსა“ 122, 30 — შენამდე.

პირველ-ი „დასაბამი“: „პირველი გზისაჲ არს დასაბამი მისი“ 159,9.

პირველვე თავიდანვე: „პირველვე მესწავა, ვითარმედ ვითარცა მე მოკუდავი ვიყავ, ეგრეთვე შვილიცა მოკუდავი მესუა“ 39, 14.

პირველითგანვე თავიდანვე: „პირველითგანვე თანამკჳდრად და მეპურისტედ თჳსა ჰყავს იგი“ 13, 19.

პირმშო 124, 11 პირველი შვილი, ἀρχέγονος.

პირუტყუ საერთო სახელწოდება არამეტყველი ფაუნისა: „პირუტყუთა შუენიან ფრთენი და თმაჲ და სიზრქე ტყავისაჲ“ 66, 5.

პურის მთხო(ვ)ელ-ი მათხოვარი, გლახა: „ანუ პურის მთხოელ ვიყო ფრიადისა მის სიგლახაკისაგან“ 31, 18.

პურისმთხოელთა პურისმთხოელ-ი მათხოვრის მათხოვარი: „ერთმან მან სახელ-სდვის შეურაცხი შეურაცხთაგან და მეორემან მან — პურისმთხოელთა პურისმთხოელი“ 71,15.

პყრობილ-ი პატიმარი: „განჰყავ... პყრობილი მეფისაგან“ 26, 8.

ჟ

ჟამ იხ. მყოვარ ჟამ, მცირედ ჟამ.

ჟამ-ი საათი: „არცა ერთსა ჟამსა აქუნ განსუენებაჲ“ 101, 14; „დღჱ, გინა ჟამი, ანუ თუ მარცუალი იგი ჟამისაჲ“ 141,4.

ჟამეულ-ი დროული; დროისა: „მშობელნი ესე ჟამეულად შობენ“ 161, 26; „უწინარესი“ ჟამეული სიტყუაჲ არს“ 160, 2.

ჟამთა სიგრძესა დროთა განმავლობაში: „ხორშაკისა იგი სენნი ჟამთა სიგრძესა შევლენ კაცთა შორის“ 182, 32.

ჟამთა შეცვალება 115, 28 დროის ცვლა.

ჟამითი-ჟამად დროდადრო, დროგამოშვებით: „ჟამითი-ჟამად და ადგილ-ადგილ მოვიდოდეს მისა კაცნი“ 30, 5.

ჟამის ცემა დალევა, დაცადება: „არა სცაჟამი რისხვასა აღძრვად“ 74, 20.

რ

რაბამ-ი როგორი: „არა ხედავ-ა, რაბამი ბოროტი არს ორგულებაჲ?“ 86, 5: „ჰხედავ-ა... ქუეყანაჲ რაბამი არს?“ 173, 24.

რაჲზომ-ი რაოდენი: „თუ რაჲზომი სულთქუმაჲ გლახაკისაჲ მის შეგიდგეს შენ, არა იგონებ“ 90, 7.

რაჲზომცა-ეგე... ესეზომად, რაჲზომცა... ეგეზომცა, რაჲზომცა... ესეზომ, რამდენად... იმდენად: „რაჲზომცა-ეგე სიმდიდრითა უმეტეს ხარ, ესეზომად გაკლს სიყუარული“ 97, 16—17; „„რაჲზომცა ჴორცთა მოაკლო, ეგეზომცა სულიერითა მით ფუფუნებითა სული განაბრწყინო“ 12, 25—26.

რაჲთა აქ: რით: „რაჲთა განყოფილ ხარ პირუტყუთაგან, ჵ კაცო?“ 181, 26.

რბიოდე იხ. სრბა.

რემა, რემაკ-ი ჯოგი: „რემაები (რემაკები) ცხენთაჲ, ნახირები ზროხათაჲ, სამწყსოები ცხოართაჲ, დასები ღორთაჲ“ 99, 12.

რვალ-ი 6, 16; 114, 6 სპილენძი, ὁ χαλκός.

რიდობა განრიდება, მორიდება: „უკუეთუ ვის ენებოს რიდობაჲ ჴორცთაჲ“ 211, 23.

რკინობა სპორტული შეჯიბრება, ὁ ἀγών, ῶνος „რკინობასაცა შინა არა იგი მიიღებს გჳრგჳნსა, რომელი სარკინობელსა მას პირველ შევიდეს“. „რომელნი ჩუეულ იყვნენ რკინობასა და შრომათა მისთა“ 33, 30. „მორკინალი... მერმე შევიდის რკინობასა“ 148, 25.

რქა რქის ჰურჰელი, ὁ καμψάκης: „გაქუნდეს შენცა რქაჲ იგი ზეთისაჲ“ 117, 37.

რჩ- იხ. ერჩდი.

რჩოლა დავა: „ირჩი უმეტესისათჳს და აცილობ, რაჲთამცა უმეტესი მიიღე და მცირედი მიეც“ 91, 1.

რჩულ-ი წესი, კანონი: „თანაწარუვალ არს სიკუდილისა იგი რჩული“ 39, 11; „არავის ეგულებინ დედაკაცისა პატიოსნისა რჩულითა ქორწინებისაჲთა შეერთებად“ 14, 30.

რჩულიერ-ი წესიერი: „არა თავს-იდვას რჩულიერმან მან განხრწნილთა მათ თანა მკვდრობაჲ“ 14,31.

რჩულისდება კანონმდებლობა: „ცრემლნი იგი მისნი არა სახე გლოისა იყვნეს და არცა რჩულისდება გოდებისა“ 37, 11—12; „რომლისა მიერ რჩულისდებაჲ შემოვიდა სოფლად“ 176, 10.

რჩულისმდებელ-ი 4, 30; 31, 29 კანონმდებელი, ὁ νομοθέτης: „იცის რჩულისმდებელმან, რაჲთა შესაძლებელცა ყოს რჩული იგი თჳსი“ 100, 18—19.

ს

საბაოთ იხ. ადონაი...

საბელიოზის (საბელიოზურად) შერწყმა 162, 6; 169, 12 ერესი, საბელიოზის (III ს.) მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ღმერთი სიმშვიდის მდგომარეობაში არის ერთარსება, სამი განსხვავებული ფორმით კი იგი მხოლოდ ქმნადობის პროცესში გვევლინება.

საბურველ-ი ცხენის მოსართავი, τὸ περιδέραιον: „...რომელთა ზედა იყვნიან უნაგრები და ლაგმები და საბურველები“ 99, 1.

საგალობელ-ი მუსიკალური, μουσικός, 3: „ორღანოჲსა საგალობელისა“ 1, 5.

საგონებელ-ი 61, 27 საფიქრებელი. ἐνθύμιος 3: „რაჲამს საგონებელ არნ, ვითარმედ განძღეს ღჳნითა, მაშინღა იწყიან მათ სუმად“ 187, 1.

საგრილობელ-ი ღვინის ჩასაცივებელი ჰურჰელი, ὁ ψυκτήρ: „განჰმზადებენ საგრილობელთა და კათხაებსა და ბარძიმებსა“ 185, 25.

საგუემელ-ი შოლტი, ἡ μάστιξ, ιγος: „საგუემელითა ჰგუემო იგი“ 27, 25.

სადა 83, 34 სადმე: ...არცა სადა მიეახლოს ბოროტსა მას ცოდვისასა“ 128, 18.

სადამე, სადმე იქნებ, შეიძლება: „ანუ შენ სადამე ესეცა სთქუა, ვითარმედ...“ 3, 26; „ყოველივე ვნებაჲ, და-

მაბნელებელი გონებისაჲ, სიმთრვალედ სამართლად ს ა დ მ ე იწოდის" 10, 28.

სადაით საიდან, საიდანმე: „ს ა დ ა ჲ თ შენი არს ეგე ყოველი?" 94, 7; „ს ა დ ა ჲ თ მოვიგო საზრდელი ანუ სამოსელი"? 88, 3; „ოქროჲ არცა აქუნ, არცა ს ა დ ა ჲ თ მოელიან" 90, 11.

სადინელ-ი ძარღვი: „ს ა დ ი ნ ე ლ ნ ი იგი სისხლისანი" 29, 30; „ს ა დ ი ნ ე ლ ი თ ა ნესტუთა მათ მიერ თუალთაჲსა" 36, 25.

საეჭუ არასარწმუნო: „ს ა ე ჭ უ ხარ შენ მთრვალობისა მიერ" 15, 6.

სავაჭრო გასაყიდი საქონელი: „შემდგომად ს ა ვ ა ჭ რ ო ჲ ს ა აღებისა არღარავინ ივაჭრებნ" 107, 32.

საზომ-ი 1. ზომიერება, ზომა, ἡ συμμετρία: „დაითრო... რამეთუ გამოუცდელ იყო ს ა ზ ო მ ს ა სუმისა მისისასა" 4, 19; „ს ა ზ ო მ ი იცინ სიტყჳსაჲ" 8, 15. 2. სასწორი: „ს ა ზ ო მ ი დიდი და მცირე საძაგელ არიან უფლისა" 131, 15, B.

საზრდელ-ი საკვები, ἡ δίαιτα: „ნაკლულევან მდღევარისაგანცა ს ა ზ რ დ ე ლ ი ს ა" 26, 13; (ღმერთი) „ს ა ზ რ დ ე ლ თ ა ქუეყანით აღმოაცენებს" 49, 33; „ს ა ზ რ დ ე ლ ი თ ა ლიტონითა სუბუქად წარვლაჲ ღამისაჲ" 3, 23.

სათიბე სათიბი; „მდინარენი და ს ა თ ი ბ ე ნ ი" 104, 25.

სათნო მოსაწონი: „ვიმარხოთ მარხვაჲ კეთილი, ს ა თ ნ ო ჲ ღმრთისაჲ" 18, 12; „...რაჲთა მჴედართმთავარსა მას ს ა თ ნ ო ეყო" 24, 9.

სათნოება სიკეთე, მოსაწონისობა, ἡ ἀρετή: „ბუნებითი ს ა თ ნ ო ე ბ ა ჲ სიტყჳსაჲ ესე არს, რაჲთა არცა სიბნელითა და გამოუცხადებლობითა მისითა დაიფარვოდის ძალი მისი" 19, 34.

სათნოებისაგან-ი 62, 8 სათნოება.

სათნომყოფელ-ი მომწონებელი: „ღმერთი იყოს საქმისა შენისა ს ა თ ნ ო მ ყ ო ფ ე ლ" 89, 27.

სათნოყოფა მოწონება: „გულარძნილი სიტყუაჲ... ს ა თ ნ ო ყ ო ფ ა დ მსმენელთა იცვალებს ფერსა თჳსსა" 128, 36.

სათხოველ-ი რაც ითხოვა, ნათხოვნი: „რაჲთა მოეცეს მას ღირსად ს ა თ ხ ო ვ ე ლ ი თჳსი" 114, 3.

საიფქლე ხორბლის შესანახი ადგილი, ბეღელი: „დაჰჴსნენ ს ა ი ფ ქ ლ ე ნ ი იგი" 93, 3.

საკიცხელ-ი 114, 27 დასაცინი.

საკრძალავ-ი: ს ა კ რ ძ ა ლ ა ვ ი ა ს ო, ს ა კ რ ძ ა ლ ა ვ ი ა დ გ ი ლ ი: სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი, სასიცოცხლო ორგანო τὸ καίριον: „ჰფარევდი ს ა კ რ ძ ა ლ ა ვ თ ა მათ ა ს ო თ ა შენთა" 24, 15; „ფერჴნი ურიცხუად ს ა კ რ ძ ა ლ ა ვ თ ა მათ ა ს ო თ ა მცემელნი" 70, 23; „სენი იგი ვიდოდის და ს ა კ რ ძ ა ლ ა ვ თ ა მათ ა დ გ ი ლ თ ა მიიწიოს" 57, 27.

საკუერთხ-ი 175, 37 შესაწირავი.

სალმობა ტკივილი, ავადმყოფობა: „...ფაწალათა და ლჳძლთა ს ა ლ მ ო ბ ა ნ ი დაერთვიან" 52, 7; „მკურნალი... ს ა ლ მ ო ბ ა ს ა მას დაადგენს" 57, 17.

სამართლად 123, 5 სამართლიანად, კანონიერად.

სამე 9, 22; 146, 6; 174, 20 აქ: ალბათ.

სამებისაგან-ი 163, 28 სამების — მამა, ძე და სული წმიდა — ერთ-ერთი წევრი.

სამკჳდრებელ-ი სამემკვიდრეო, მემკვიდრეობა, ὁ κλῆρος: „ს ა მ კ ჳ დ რ ე ბ ე ლ ი და ნამარხევი მამული" 4, 6; „მამული ს ა მ კ ჳ დ რ ე ბ ე ლ ი" 17, 26.

სამკურნალო საავადმყოფო: „მიხუდე ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო ს ა და იხილო სიმრავლჱ იგი კურნებათაჲ" 192, 2.

სამოციქულო 189, 29 ახალი აღთქმის წიგნები: საქმე მოციქულთა, კათოლიკე და პავლეს ეპისტოლეები და იოვანეს გამოცხადება ერთად.

სამსახურებელ-ი მოსახმარი: „იგი ნაყოფთა... შენდა ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ ე ლ ა დ გამოიღებს" 89, 3.

სამსჯავრო იხ. სამშჯავრო.

სამღერელ-ი 1. გასართობი, παίγνιος 2: „იქმნა ს ა მ ღ ე რ ე ლ ყრმათა მიერ უცხოთესლთაჲსა" 17, 1. 2. სცენა, ἡ ὀρχήστρα, ἡ σκηνή: „ვითარცა ს ა მ ღ ე რ ე ლ ს ა ცხორებასა მათსა მრავალნი საჩუენებელად კაცთა შესცვალებენ" 2, 9; „ვითარცა ს ა მ ღ ე რ ე ლ ს ა შინა იცვალებოდიან კაცნი სხუად სახედ" 70, 12.

სამშჳნველ-ი ფილტვები, ὁ πνεύμων, ονος: „შესლვასა მას ჰაერისასა შინაგან ს ა მ შ ჳ ნ ვ ე ლ ი ს ა მიერ" 29, 28; „არცა ჴორცთა ცხორებაჲ შესაძლებელ

არს თჳნიერ სამშჳნველისა არცა სულისაჲ“ 140, 34.

სამშჳუალ-ი 125, 30 ლურსმანი.

სამშჯავრო, 1. სასამართლო, τὸ δικαστήριον, τὸ κριτήριον: „მისრულ იყო სამშჯავროდ“ 41,21; „განჰკაფე დღესა მას სამშჯავროთა შინა“ 10,21. 2. სასამართლო კრებული: „არცამცა სამშჯავრონი შეკრბებოდეს“ 16,5.

სამძიმარ-ი სამძიმო, დამამძიმებელი: „მოგეწყინოს თქუენ ჩემი სწავლაჲ და სამძიმარ გიჩნდეს“ 205, 36.

სამწყრთეულ-ი სამი წყრთის — ზომა იდაყვიდან თითის წვერებამდე — ზომისა, τρεῖς πήχεις; „არა სამწყრთეული მიწაჲ მოგეცეს-ა მაგის ყოვლისაგან?“ 104, 26.

სამჭედურ-ი 146, 17 ანკესი, τὸ ἄγκιστρον.

სანუაგე 7, 16 დესერტი, ჩაროზი· „წარიღებენ მათ თანა არა სანუაგეთა, არამედ საზრდელსა საჭიროსა“ 13, 30; „კმა ვყოთ ჩუენდა საკმარი იგი ოდენ ბუნებისაჲ და არა ვეძიებდეთ სანუაგეთა და ფუფუნებასა“ 13, 34.

სარბიელ-ი ასპარეზი, მოედანი, τὸ στάδιον: „რომელნი-იგი სარბიელსა შინა რბიოდიან“ 43, 25; „დასასრული სარბიელისაჲ მის იქმნების საფლავი“ 207, 38.

სარგებელ-ი 18, 19 სასარგებლო.

სარდონიტონ-ი 106, 4 სარდიონი, ნახევრადძვირფასი ქვა, τὸ σάρδιον.

სართულ-ი სახურავი, საფარველი, ὁ ὄροφος: „მოჰკადენ სართულნი და დაჰქსნენ კედელნი“ 93, 5; „სული ჩუენი სართულსა ამას შინა ჴორცთასა დაფარულ არს“ 19, 19.

სარკინობელ-ი სპორტული მოედანი, τὸ πάλαισμα: „სარკინობელთა მათ ადგილთა“ 210, 17.

სასმენელ-ი ყური 54, 28 ἡ ἀκοή: „სასმენელნი არა მართლიად განლებულ არიან“ 29, 18.

სასუმურ-ი 186, 33 სასმისი.

სასძლო 1. 19,6 პატარძალი. 2. საპატარძლო ოთახი: „გარეგან სასძლოჲსა მის განვარდეს“ 128, 30.

სასწავლო, სასწავლელ-ი სკოლა, სასწავლებელი, τὸ διδασκαλεῖον: „...ყრმათა ამათ მცირეთა, რომელთა წიგნები სასწავლოს დაუტეობიეს“ 112, 23; „უკეთურთა გარე განსდევნის სასწავლელისა მისგან კეთილისა“ 126, 1.

სასწაულ-ი ნიშანი: „თჳსისა ჰირისა მადლობით მოთმენაჲ სასწაული არს მოთმინებისაჲ“ 51, 7; „ჩუენდა მიმართ ბრძოლაჲ მისი სასწაული არს ღმრთისმბრძოლებისა“ 197, 1; „ბრძოლასა შინა ერისთავნი სასწაულსა მისცემენ შემდგომთა მათთა“ 144, 38.

სასჯელ-ი იხ. საშჯელი.

სატანა მოწინააღმდეგე, მტერი: „ესრეთ მოასწავებს ენაჲ ჰურიათაჲ, ვითარმედ სატანა წინააღმდგომიო“ 67, 5.

სატკივარ-ი 175, 20 მტკივნეული.

საუკუნე, საუკუნო 175, 24 სამარადისო, მუდმივი; მარადიულობა: „არცა ესენი საუკუნე არიან“ 46, 5; „ყოველივე დაბადებული უმრწემესი არს საუკუნეთაჲ“ 160, 28. იხ. მერმე საუკუნე.

საუკუნითგან-ი მარადიული: „მოიჴსენენ საუკუნითგანნი იგი წმიდანი“ 8, 17.

საუნჯე 1. განძის შესანახი განძის საცავი: „სიმდიდრე... გარდაითხევის საუნჯეთაგან“ 88, 8; „შემოსავალნი ამაოებისა საუნჯეთა შინა დაიუნჯიან“ 25, 1. 2. ბეღელი: „არა იყოს... იფქლი საუნჯეთა შენთა“ 114, 16. 3. ფოსო თვალისა: „თუალნი უსუსურნი და დაღრმობილნი, ამაოდ მდებარენი საუნჯეთა მათ შინა“ 118, 23. 4. განძი, τὸ κτῆμα, τὸ κειμήλιον: „რომელთა ზრქელი და მძიმე საუნჯჱ მოუგიეს“ 27,6.

საურავ-ი 150, 20 საზრუნავი.

საფასე 114, 11; 182, 12 ქონება, განძი.

საფრჴე მახე, ἡ παγίς: „შორის საფრჴეთა ხუალ შენ“ 21, 28.

საფშჳნველ-ი 65, 18 იხ. სამშჳნველი.

საყდარ-ი 151, 23 ტახტი (სამეფო): „საყდარი იგი მაღალი დაუტევა და ქუეყანასა ზედა დაჯდა“ 113, 27

საყნოსელ-ი 134, 16 ცხვირი, ἡ ὄσφρησις: „მუნ არიან სახილველნი და სასმენელნი და საყნოსელნი და პირი“ 29, 12.

საყოფელ-ი ბინა, საცხოვრებელი ადგილი: „პურის მთხოველ ვიყო და არა მაქუნდეს საყოფელიცა“ 31, 19.

საშინელ-ი საშიში: „უკუეთუ საშინელნი ვერ შეგაშინებენ... მაშა ქვისა გულსა ვჰზრახავთ?“ 105, 25.

საშუალ შუაში: „მარხვამან საშუალ შემოიღის თავი თჳსი“ 7, 16.

საშუებელ-ი 173, 20 განცხრომა, ფუფუნება, კეთილდღეობა.

საშურველ-ი 26. 16 შესაშურებელი: „საწყალობელ არს მდიდარი იგი და არა საშურველ“ 85, 18—19.

საშჯელ-ი გასამართლება, სამართლის წარმოება: (მოსამართლე) „ანუ ქრთამსა ხედვიდეს, ანუ მეგობრობასა ანუ მტერობასა, იგი საშჯელსა ვერ წარჰმართებს“ 131, 11: „სიმართლჱ საშჯელისაჲ გამომაჩინებელ არს გონებისა სიმართლისაჲ“ 131, 13: „თუალხუმაჲ საშჯელსა შინა ბოროტ არს“ 131, 6: „სამართალმან მან საშჯელმან ღმრთისამან...“ 57, 7.

საჩინო გამოჩენილი, ცნობილი: „...რომელი საჩინოთა მშობელთაგანი არს, წუხს, რამეთუ არა სიმდიდრითა ფრიადითა სავსე არს“ 49, 13.

საცნაურ-ი ცხადი, გასაგები; საცნობი, νοήτος; 3: „საცნაურ არს უკუე, ვითარმედ თჳთნეფსით მოატყუა ადამ თავსა თჳსსა სიკუდილი“ 63, 22: „საცნაურ არს, ვითარმედ სიბრძნჱ ორსახე არს“ 128, 11; „...რაჲთა საცნაურ იყვნენ იგინი“ 144, 40.

საცნობელ-ი 183, 25 შეგრძნება, გრძნობის ორგანო, ἡ αἴσθησις: „რომელთა საცნობელნი გამოცდილ არიან განყოფად კეთილისა და ბოროტისა“ 19, 4; „ჩუენნი არიან ჴორცნი და საცნობელნი ესე ჴორციელნი“ 22, 2.

საცხებელ-ი მალამო: „ესე საცხებელი არს ღმრთისმოშიშებისაჲ“, 5, 9.

საცხოარ-ი, საცხოვარ-ი 209, 21: 181. 37 ცხვარი.

საძაგელებლობა სიბინძურე: „ადგილად თჳსისა საძაგელებლობისა ყვნეს წმიდანი იგი ადგილნი“ 180, 29.

საძნაურ-ი საძნელო: „რაჲთამცა საძნაურად გიჩნდა განგებაჲ უფლისაჲ“ 215, 17.

საწდობელ-ი 75, 19 საწრთობი, გრდემლი, ἡ βαφή: „ვითარცა საწდობელმან აწდვის რკინაჲ, აწდო მარხვამან გუამი კაცისაჲ მის“ 6, 18.

საწერტელ-ი 146, 19 საჩხვლეტელი, წამების იარაღი, τὸ κέντρον: „სული... იწერტებოდის. ვითარცა საწერტელითა, ჴსენებითა მით შემაწუხებელთა მათ საქმეთაჲთა“ 45, 5; „რაჲამს-იგი საწერტელითა მით სიტყუსაჲთა შეახო მას“ 27, 25.

საწუთრო 47, 37 წუთიერი; ამქვეყნიური: „ზეცისა ცხორებასა გამოეჴუა და საწუთროსაცა ვერ მიემთხჳა“ 176, 38.

საწურთელ-ი 44, 31; 162, 36 საწვრთნელი.

საწყალობელ-ი 113, 16 საცოდავი, შესაბრალისი: „...საწყალობელსა სიტყუასა გეტყჳან“ 102, 19.

საწყინო 209, 36 მაწყინარი, საზიანო.

საჭამად-ი 4, 37 საჭმელი.

საჭირო მძიმე. ძნელი, გასაჭირვებელი, σκυθρωπός 2, 3: „ვერ დაგიტევს შენ იწროჲ იგი და საჭიროჲ გზაჲ“ 108, 22; „ანუ სენითა გუამისაჲთა. ანუ სხუაჲთ რაჲთმე საჭიროჲთა განსაცდელითა“ 13, 18.

საჭურჭლე განძის საცავი: „საჭურჭლენი მისნი განსქდებოდეს“ 87, 29.

სახარება 189, 31 ოთხთავი (ახალი აღთქმის წიგნი).

სახარულ-ი „სიხარული“, სიამოვნება: „მოსცეს ღჳნოჲ სახარულად გულისა“ 44, 11.

სახედ სახლში, შინ: „წარხჳდეთ ესრეთ სახედ თქუენდა“ 189, 32.

სახე წესი, მანერა; მაგალითი; არსი, ὁ τρόπος: „რომელმან-იგი სახჱ ჰურიაებრივისა მის მარხვისაჲ განაგდო“ 1, 8; „მრავალნი გქონან სახენი ძმათმოყუარებისანი ძუელთა და ახალთა წერილთაგან“ 120, 1. „რომელთა გამოცდილებისა მიერ იციან საქმისა მის სახჱ“ 174,23.

სახედველ-ი 40. 3 თვალი.

სახელ-დება წოდება, სახელის შერქმევა: „გამომზრდელად და ქველისმოქმედად სახელ-გდვან შენ“ 89, 20—21: „ვინაჲ სატანა სახელ-ედვა მას?“ 67, 2.

სახიერ-ი კარგი, კეთილი, ἀγαθός 3: „ვიქმნეთ ურთიერთას სახიერ და ტკბილ“ 78, 25.

სახიერება 153, 18; 115, 32 სიკეთე: „აღთქუმაჲცა ეგე შენი არა სახი-

ერებისა სახჱ არს, არამედ უკეთურებისაჲ“ 93, 19.

სახილველ-ი 1. თვალი, ἡ ὄψις, εως: „მუნ არიან სახილველნი და სასმენელნი და საყნოსელნი და პირი“ 29, 11. 2. თეატრი, სანახაობის ადგილი, τὸ θέατρον: „ვინ-მე სახილველსა შინა იხილამცა რაჲმე ღირსი ხილვისაჲ?“ 94, 8; „არა ჰხედავ-ა სახილველთა შინა მომღერალთა მათ და მბაძველთა?“ 89, 22.

სახიობა 188, 13 გართობა, მხიარულება, ἡ θυμηδία: „მრავალნი იგი სახიობანი უმეტესსა დაყოვნებასა მისცემენ წარწყმედილთა მათ ბოროტსა მას შინა“ 186, 1.

სახლეულ-ი ოჯახის წევრი: „ვითარცა სახლეული მკვდრი ურცხჳნოჲ, ყოველსავე დაიპყრობს“ 78, 19.

საკმარ-ი საჭირო, საჭიროება; ქონება: „წყალი საკმარ არს, რაჲთა დავშრიტოთ ცეცხლი იგი“ 7, 36; „უკუეთუმცა ემარხა მაშინ ევას ძელისა მისგან, აწმცა არა საკმარ იყო ჩუენდა მარხვაჲ ესე“ 2, 34; „ჟამსა მას საკმრისასა ჰპოე იგი უძლურად“ 114, 30; „საკმართა წინა-უყოფდა“ 173,5. იხ. ჯერისა საკმარი.

საკმარება, საკმრობა სარგებლიანობა, τὸ χρήσιμον: „კეთილ არს ჩუენდა მენავეთმოძღურებისა იგი საკმარებაჲ (საკმრობაჲ BC)“ 138, 9.

საკნველ-ი სახნისი: „საკნველის მზიდველნი კარნი“ 8,24.

საკსარ-ი გამოსახსნელი, გამოსასყიდი, τὸ λύτρον: „საკსარ შენდა იქმნეს სიმდიდრე შენი“ 95, 21; „რომელმან მისცა თავი თჳსი საკსრად ჩუენთჳს“ 109, 23.

საკუმილ-ი 42, 35 ღუმელი, ἡ καμῖνος: „ალაგზნა საკუმილი მზაკუვარმან მან“ 214, 27; „საკუმილსა შინა ცეცხლისასა“ 6, 3.

საჰამებელ-ი სასიამოვნო: „ნუცა იქმნები საჰამებელ მაგინებელთა შენთა“ 72, 17.

სელევკიდა: „მფრინველსა მას, რომელსა ეწოდების სელევკიდაჲ... შექმნა უძლებად დამბადებელმან ყოველთამან“ 103, 17. ὁ σελευκίς, ίδος.

სერაბინნ-ი 158, 27 ანგელოზთა ერთ-ერთი დასი.

სერობა წვეულება: „მოუწოდ მათ, ვითარცა მოყუარეთა, სერობად“ 186, 36.

სეფურ-ი აქ: ძაღლი (მონადირე?), ὁ ἡ σκύραξ, ακος: (მონადირე გამოცდილი) „ადგილთა ძნელთა ვითარცა სეფურისა გამოცდილებასა სირბილისასა იქმს, რაჲთა ცნას სირბილისა მის სიმალჱ“ 121,28.

სთრავს იხ. თრვა.

სიადვილე 195, 34 სიმარტივე, უბრალოება: „სიადვილითა გონებისა მათისაჲთა ყოველგან იქცევოდიან“ 24, 31.

სიბორგილე 149, 16 აღგზნება: „დედალთა მიმართ სიბორგილესა დაჰფარავს გინებაჲ იგი მომთრვალეთაჲ“ 182, 27.

სივლტოლა 122, 5 გაქცევა; გარიდება: „ყოვლისავე უკეთურებისაგან სივლტოლაჲ და უცხოყოფაჲ“ 16, 14.

სიზრქე სისქე, სიტლანქე: „სიმძიმესა მას ჴორცთა სიზრქისასა ვერ თავს-იდებნ“ 8, 4; „სიზრქჱ ტყავისაჲ“ 66, 5.

სიკეთე 120, 36; 171, 38 სილამაზე.

სილაღე 96, 7 (A) მედიდურობა, ამპარტავნობა. იხ. სიფუდულე.

სილბილე 73, 31 სილბო, სირბილე.

სიმალე 121, 29 სიჩქარე, სწრაფვა: „მკურნალმან მან სულთამან იხილა ჩუენი ესე... ცოდვისა მიმართ გონებითისა სიმალე“ 20, 16.

სიმართლე: სასწორისა სიმართლე: სისწორე, სიზუსტე: „ყოველსა სიმძიმესა სასწორისა სიმართლითა გულისჴმა-ვჰყოფთ“ 39, 31.

სიმდაბლე 1. ქვევით, დაბლა: „კაცი უკუე სიმაღლით სიმდაბლედ მოვიდა“ 197, 2. 2. 148, 30 თავმდაბლობა.

სიმპალე 93, 13 სიდამპლე.

სიმრთელე 137, 31 ჯანმრთელობა: „სნეულებისაგან სიმრთელედ მოქცევაჲ“ 30, 30.

სიმტკიცე სიმაგრე, ციხე-სიმაგრე: „სიმტკიცეთა მათ შინა ქალაქისათა“ 124, 24.

სირ-ი ჩიტი: „განერე, ვითარცა... სირი მახისაგან“ 21, 30, 33; „ვითარცა ბუდე სირისაჲ“ 41, 8.

სირცხჳლეულ-ი 115, 18 შერცხვენილი.

სისრულე 4, 13 სრულყოფილება.

სისუბუქე 17, 16 სიმსუბუქე.

სიტფო სითბო: „სიცივე შეეზავის სიტფოსა“ 115, 30; „განუშორე-

ბელ არს ცეცხლისაგან სიტფოჲ და ნათლისაგან — ნათობაჲ“ 156, 11.

სიტყუა 122, 10; 161, 27 ლოგოსი, ὁ λόγος. იხ. მოქცევი სიტყუათაჲ.

სიტყუაკეთილობა კარგი საუბრის უნარი, მჭერმეტყველება: „არა საშურველ არს... ბრძენი სიტყუაკეთილობისათჳს“ 84, 23: „სიბრძნითა და სიტყუაკეთილობითა საქებელ არნ“ 79, 19.

სიტყუაპოვნიერება დამარწმუნებელი ლაპარაკი, ἡ πιθανολογία: „მტყუარნი ბრძენნი... ლესულ არიან სიტყუაპოვნიერებითა წინააღდგომად და მრავალგზის ძალსა მას ჭეშმარიტებისასა დაჰფარვენ მრავალმეტყუელებითა“ 129, 13.

სიტყჳერ-ი 29, 3 მოლაპარაკე, ლაპარაკის უნარის მქონე; ადამიანი: „ნუმცა ვიქმნებით სიტყჳერნი ესე პირუტყუთა უმძჳნვარეს“ 119, 27.

სიტყჳერობა ლაპარაკის უნარის ქონება: „ჰრცხუენოდენ ვნებათა სიტყჳერობისაგან შენისა ბუნებისა“ 75, 4; „რაჲთა განყოფილ ხარ პირუტყუთაგან, ჵ კაცო? არა ნიჭითა მით სიტყჳერობისაჲთა?“ 181, 28.

სიტყჳთა შემწე დამცველი, ვექილი. ὁ συνήγορος: „რომელნი სიტყჳთა შემწენი და სჳნიღორნი იმიზდნე?“ 104, 34—35. იხ. სჳნიღორი.

სიტყჳს-გება 131, 36 დავა, კამათი; გასამართლება, διαδικάζω: „უკუეთუ სულგრძელებაჲ და სულმოკლებაჲ შენ შორის სიტყუას-უგებდენ, არცხჳნე სულმოკლებასა და პატივ-ეც სულგრძელებასა“ 132, 3.

სიტყჳს-მიცემა პასუხი, პასუხისგება, ἀπολογία: „რაჲსათჳს შენ, შესმენილი ეგე, იმალვი და უბრალოსა მას სიტყჳს-მიცემად მიავლენ?“ 112, 36.

სიტყჳს-მწერალ-ი 171, 4 მწერალი.

სიფიცხლე 78, 13 შეუპოვრობა; თავხედობა: „ვერ მოდრიკა სიფიცხლე მისი“ 61, 17.

სიფუდულე „სილაღე“, მედიდურობა, ამპარტავნობა, ὁ ὄχλος: „თანა-წარჰკდა... რჩულისმოძღუართა ზუაობასა და მწიგნობართა სიფუდულესა“ 96, 7.

სიქადულ-ი 199, 7 საამაყო: „სიქადულად აქუნდეს ყოველნი იგი ნაკლულევანებანი“ 32, 23.

სიყმილ-ი 5, 25; 115, 2; 18, 29 შიმშილი, ὁ λιμός.

სიჩჩო სიჩვილე, ბავშვობა: „არს სიჩჩოჲცა სულისაჲ და მოხუცებულობაჲ“ 134, 21; „რომელსა ესწავა მის მიერ სიჩჩოჲთგან წმიდანი წერილნი“ 123, 3.

სიცოფე სიგიჟე, ἡ μανία: „ეჰა, სიცოფჱ ბოროტი“ 99, 31.

სიძულილ-ი 65, 23 სიძულვილი.

სიწმიდისაგან-ი სიწმიდე: „არცა თუ შეგინებაჲ სიწმიდისაგანი არს“ 62, 7.

სიწრფოება 132, 6; 133, 7 სიწრფელე.

სიჴმელე სიმშრალე: „სიცივე შეეზავის სიტფოსა და სიჴმელე კუალად მოვიდის თჳსსა ჟამსა“ 115, 30.

სიჰამოვნე 35, 1 სიამოვნება: „ბუნებაჲ იგი... წყალთაჲ მარილიანი სიტკბოებად და სიჰამოვნედ შეცვალა“ 43, 10.

სნეკუა კვნესა, წუხილი, στενάζω: „გან-რაჲ-სთქდებინ მუცელი სიმრავლისაგან ჰამადთაჲსა და სნეკჳნ“ 3, 26.

სოფელ-ი 1. ქვეყნიერება ἡ ἤπειρος: „ყოველსავე სოფელსა განსრულ არს ქადაგებაჲ მისი“ 12, 33; „სული მისი აღავლინა სოფლისა მის მიმართ ზეცათაჲსა“ 42, 37. 2. село: „არცა სოფელი, არცა ქალაქი“ 12, 34; „სოფელსა, შეუზღუდველსა და მდაბალსა, ადვილად შეუჴდიან მბრძოლნი“ 37, 24.

სოფლისმოყუარე ამქვეყნიური ცხოვრების მოტრფიალე: „შეიყუარო სოფლისმოყუარე იგი და ოქროჲსმოყუარჱ, ვიდრელა მცნებაჲ მეუფისაჲ“ 120, 10.

სოფლისმპყრობელ-ი აქ: მმართველი, გამგებელი, ὁ κοσμοκράτωρ: „სოფლისმპყრობელთა მათ ბნელისათა“ 12, 22; 67, 15.

სპასალარ-ი მხედართმთავარი, ὁ σατράπης: „ერისმთავარნი იგი და სპასალარნი“ 26, 4.

სპეტაკება 118, 19 სითეთრე.

სრბა 196, 20; 143, 24 სრბოლა, მოძრაობა; სირბილი: „რბიოდე, ესრეთ რბიოდე“ 24, 17—18.

სრევა სროლა: „ვითარცა ქვითა, ესრეთ ესრიან სიტყჳთა მით გმობისაჲთა“ 116, 23.

სრულ-ი 19, 4; 136, 29 სრულყოფილი.

სრულება 122, 9; 137, 2 სისრულე, სრულყოფილება.

სტრატულ-ი 99, 4 მეეტლე,ὁ ἡνίοχος.

სტუმრება გამასპინძლება: „იკადრი-ა ნეშტითა ტაბლისა შენისათა სტუმრებად წარჩინებულთა მათ მეფისათა?" 109, 1.

სუბუქ-ი: „განიყიდა სუბუქისა, ფასისა, რამეთუ ოცდაათ ვეცხლად" 155, 16 — გაიყიდა იაფად.

სულო საყვარელო, ψυχή: „სულო, გქონან კეთილნი მრავალნი დამარხულნი წელთა მრავალთა, ჭამე და სუ" 92, 22.

სულთთქუმა, სულთქუმა 16, 12 წუხილი, ვიშვიში: „გლახაკნი სულთითქუმედ" 113, 24.

სულმოკლე უკმაყოფილო, δυσανασχετέω: „რაჲსათჳს უკუე სულმოკლე ხარ? რამეთუ ცხენნი ვეცხლითა ალკაზმულნი შენდა არა არიან-ა?" 26, 34.

სურვიელ-ი 135, 4 მოსურნე.

სურის 14, 20 სურს.

სჳნიდორ-ი დამცველი, ვექილი, ὁ συνήγορος: „რომელნი სიტყუთა-შემწენი და სჳნიდორნი იმიზდნე?" 104, 35.

სყიდა აქ: გაყიდვა: „შეიძინო საფასჱ სყიდითა მისითა" 89, 38.

სძე 134, 23 რძე.

სწავლა დასჯა: „ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი მე" 126, 22: „ვინ არს ძჱ, რომელი არა სწავლის მამამან?" 127, 10.

სწავლულება 127, 5 სწავლა, განსწავლა: დასჯა: „სწავლულებაჲ არს წურთილებაჲ სარგებელისა სულისაჲ" 126, 11; „სწავლისაცა მიღებასა სწავლულება ეწოდების" 127, 21.

სწორად 125, 20; 217, 25 თანაბრად, ერთნაირად.

სწორება გათანაბრება: „იქმს სწორებასა მათსა" 131, 8.

სწორებით 125, 1 თანაბრად, ერთნაირად: „კეთილსა მისსა ყოველთავე სწორებით მიანიჭებს" 124, 31.

სწრაფობა აჩქარება, დაჩქარება: „წარმყვანებელნი იგი გასწრაფობდიან" 150, 25.

სწრობა 10, 35 გასწრება: „მცირედ უსწრობიეს წინაჲსწარ სლვად" 45, 21.

სხმა დება (იბ. მრ-ში), ყრა: „დადეუ ურემსა მას, რომელსა ზედა ისხნეს სხუანი" 178,20.

სხუთა სახითა 81, 14 სხვაგვარად, ἡμερωτέρους.

ტ

ტაბლა 7, 12; 198, 13 სუფრა, ἡ τράπεζα: „ტაბლაჲ გარდარეული სანუაგითა" 30, 31.

ტაბლაკეთილ-ი სტუმართმოყვარე, εὐτράπεζος, 2: „ჭამაჲ ესაწადელეს არს შემდგომად მარხვისა მდიდართათჳსცა და ტაბლაკეთილთა და გლახაკთათჳსცა და უქონოთა" 7, 31.

ტაბლის მოდგამ-ი თანამესუფრე: „ნუცა ეღირს ჰყოფ მეპურისმტედ შენდა ყოფად მისა და ტაბლის მოდგამად" 13, 14.

ტალანტ-ი 144, 18; 147, 18 ფულის ერთეული (25 ლიტრა ერთი ტალანტია, რომელ არს ქანქარი — საბა): „ათსა ტალანტსა ზედა სხუასა ათსა ისწრაფი შეძინებად" 102, 34.

ტანის მსახურ-ი ზედამხედველი; მოურავი, ὁ ταμίας: „რომელნიმე ტანის მსახურნი, რომელნიმე მუშაკნი" 99, 7.

ტარიგ-ი კრავი: „ვითარცა ტარიგი უკმობელ იყო" 155, 18.

ტაფაკ-ი 7, 3 ტაფა.

ტაძარ-ი 195, 17 სასახლე, ἡ οἰκία.

ტევან-ი მტევანი: „ტევანნი დიდად ვაზსა ზედა ჩნდეს" 92, 11.

ტევება 175, 24, 25; 148, 17 მიშვება, ნების დართვა.

ტკივნება ტკენა: „გატკივნებს ქებაჲ იგი მუნ მყოფთაჲ" 85, 3; „მახჳლითა მოიწყლვოდა და არამცა ეტკივნებოდა" 30, 21.

ტოლიპ-ი ἡ τολύπη: „მხალიცა იგი, რომელსა ეწოდების ტოლიპი, ჭამეს" 5, 31. შროშანი (?).

ტრაპეზთმოძღუარ-ი 185, 30.

ტჳრთთა მკრებელ-ი სატვირთო, ტვირთის მზიდავი, ἀχθοφόρος: „სიმრავლენი აქლემთანი, რომელნიმე ტჳრთთა მკრებელნი და რომელნიმე მძოარნი" 99, 12.

ტყორცება 199, 30 ტყორცნა, სროლა.

ტყუელვა ტაშის ცემა: „ტყუელვისა წილ ჴელთაჲსა მკერდსა იცემდით“ 188, 35.

უ

უბან-ი 11, 27; 124, 24 მოედანი, ხალხის შესაკრებელი ადგილი, ἡ ἀγορά.

უბნობა საუბარი, ἡ ὁμιλία: „გამოისახის უბნობაჲ რაჲმე უშუერი“ 20, 24; „ჴერ-არს მოშურნეთა ზიარებისა და უბნობისაგან სივლტოლაჲ“ 82,23; „ნუ ოდეს თავს-იდებ უბნობასა მისსა“ 196, 14.

უბრწყინვალე 7, 28 უბრწყინვალესი.

უგულისჴმო 17, 29; 183, 28 უგუნური, უგრძნობელი.

უგულისჴმოება შეუცნობლობა: „უგულისჴმოებაჲ ღმრთისაჲ სიკუდილი არს სულისაჲ“ 140, 36.

უდარეს-ი 160, 29 უარესი: „ამისთჳს უდარესსა საშჯელსა ღირს იქმნას“ 72. 35; „არაჲ უდარეს არს მათსა“ 162, 4.

უდარესობა 85, 29 უარესობა, რანგით დაბლა ყოფნა.

უდებ-ი ნელი, დუნე, ზარმაცი; მშიშარა, სულმოკლე, ὀκνηρός 3: „ესე საქმე სენი არს მოცალისა და უდებისა სულისაჲ“ 25, 5; „უდებ იყვნიან ლოცვისა მიმართ“ 115, 19; „გლახაკი ნუმცა უდებ არს მარხვისა მიმართ“ 13, 19.

უდებება 151, 3 სიზარმაცე, უდარდელობა, დაუდევრობა, გულგრილობა, სულმოკლეობა, ἡ ἀμέλεια, ἡ ἀθυμία: „უდებებითა არავინ გვრგჳნოსან იქმნების“ 1, 14; „გუასწავლის არა უდებებასა კეთილთა საქმეთა შინა“ 128, 26.

უზეშთაეს-ი 154, 9; 157, 30 უმაღლესი: ღმერთმა თავი (ადამიანის ორგანო) „უზეშთაეს ყოვლისავე დაამტკიცა“ 29, 10.

უზეშთაესობა 159, 21 უმაღლესობა.

უზმობა უჭმელობა: „მის ჟამისა იგი უზმობაჲ მარხვასა გიწამებს“ 15, 6.

უზომო 17, 15; 98, 5 მოუზომავი: „რაჲ ძნელი, მძიმე და უზომოჲ სიტყუაჲ გრქუა მოძღუარმან მან?“ 96, 21.

უზომოება სიმრავლე, სიდიდე, არაზომიერება: „დაქცევისა ქალაქთაჲსა მიზეზ ცოდვისა უზომოებაჲ არს“ 57, 29; „ჩუენ... უზომოებისაგან განგუათავისუფლნა“ 36, 14.

უკაცრულ-ი უკაცური: „უდაბნოსა შინა უკაცრულსა“ 71, 9.

უკრძალველობა გაუფრთხილებლობა, დაუდევრობა: „მრავალთა ფრიადისა მის უკრძალველობისაგან ჰქონედ დიდნი და უკურნებელნი სენნი“ 23, 10.

უკუანაჲთ 207, 34 უკან.

უკუანაჲთ კერძო 137, 35 უკანა მხარეს.

უკუანაჲთ კერძოჲ ნავ-ი ზურგის ქარი: „ნავი... ვალნ უკუანაჲთ კერძოჲთა ნიავითა ჰამოჲთა“ 139, 9.

უკუანაჲს 153, 22 ბოლოს, უკანასკნელად.

უკუანაჲსკნელ-ი: „მთრვალობაჲ უკუანაჲსკნელი არს ბოროტთაჲ“ 54, 4 — სიმთვრალე ბოროტების მწვერვალია; „ესე არს... უკუანაჲსკნელი საზომი ანგაჰრებისაჲ“.

უკუღმართ 73, 28 უკუღმა.

უმადლო 49, 3; 49, 9 უმადური, უკმაყოფილო.

უმრწემეს-ი 90, 23; 160, 28 უმცროსი.

უმშჯავრო უსამართლო, ἄδικος 3: „განხეთქე ჴელისწერილი უმშჯავროჲ“ 114, 4.

უმწყ-ი გაუხედნავი: „კიცჳ უმწყი“ 187, 27.

უნდო 204, 22 ფუჭი, ამაო; 213, 34 უვარგისი.

უნდოება 152, 5 ფუჭი, ამაოება.

უნებელ-ი 190, 30 უნებური: (პატივ-სცემს) „აღუძრველსა მას და უნებელსა უფროჲს ნეფსითისა ამის და მოქმედისა“ 64, 8.

უნებელთაგან-ი 55, 7 უნებური, არასასურველი რამ.

უნებლიაჲთ 115, 35 უნებურად.

უნებლიაჲთ-ი 190, 30 უნებური.

უნჭება 194, 22 დაგროვება, შეგროვება, შენახვა.

უოხჴნო 9, 15 დაუსრულებელი, უსასრულო.

უპოვარ-ი 114, 24; 147, 21 ღარიბი, უქონელი.

უჟამო 56, 4; 154, 2 უდროო; დროის გარეშე: „წარიტაცის სიკუდილმან შვილი ჩემი უჟამოდ“ 45, 10: „უჟამოჲ იგი შეერთებაჲ ძისაჲ მამისა მიმართ“ 161, 13.

ურთიერთას 9, 8; 16, 3 ერთმანეთს, ერთმანეთთან.

ურიდ-ი 70, 23 მოურიდებელი.

ურმის თუალ-ი 31, 10; 172, 10 აქ: წამების იარაღი.

ურნატ-ი 192, 37 ხნული, კვალი.

ურწყულ-ი 183, 31; 186, 7 უწყლო, წყალგაურეველი.

უსაწყალობელეს-ი 192, 26 უსაცოდავესი.

უსიტყო 28, 5 უტყვი.

უსიტყუელ-ი 32, 33 ენით გამოუთქმელი.

უსჳნიდორო 105, 5. დაუცველი. იხ. სჳნიდორი.

უტევან-ი 208, 3 მანძილის ერთეული (143 ბიჯი — საბა).

უტყუელ-ი 100, 14; 121, 14 წრფელი, მართალი.

უუდბეს-ი 21, 36 უფრო უვარგისი.

უფალ-ი 7, 4; 129, 8 ბატონი, პატრონი: „ვერ თქუას ამათგანი რაჲმე კაცმან, უფალმან გონებისამან“ 112, 4. იხ. შვილის უფალი.

უფროჲსად 30, 24; 33, 15 უფრო, უფრო მეტად

უქალაქო 171, 19 აქ: უსამშობლო; ვისაც სამშობლო არა აქვს, ἄπολις, ιδος.

უქმნელება, უქმელება უქმობა: „დღესასწაულსა უქმელებისა თქუენისასა“ 1, 3. ἐν ἡμέρᾳ ἑορτῆς ὑμῶν.

უქუეს 29, 17 უფრო ქვემოთ.

უშუერ-ი უშნო, ულამაზო, ἀκόσμητος 2: „კაცი მრისხანე უშუერ არნ ფრიად“ 192, 7; „განყავ... შუენიერი უშუერისაგან“ 26, 9.

უშუერება 120, 26; 189, 9 ულამაზობა, უშნოობა.

უჩინოყოფა გაუჩინარება, დაკარგვა: „უჩინოყოფისა ოდენ და წარწყმედისა ღირს იყოს“ 61, 8; (ოქროს) „კუალად მუნვე დაჰფლავ და უჩინოჰყოფ“ 99, 33.

უჩს, უჩნს 7, 15 მიაჩნია.

უცალო 127, 29 მოუცლელი, საქმით დაკავებული.

უცალოება 66, 12; 143, 24 მოუცლელობა.

უცნაურ-ი 148, 22, უცნობი, უცოდნელი: „აღასრულის ცოდვაჲ იგი ყოველთაგანვე უცნაურად და უწამებელად“ 20, 26; „უცნაურ არს ჟამი შენისა სიკუდილისაჲ“ 194, 14.

უცნება 182, 13 მოჩვენება; სიზმარი; ἡ φαντασία: „ესე რომელიმე საფასე სახლისა შესამკობელად იყავნ და კუალად ესე — გარეგანთა მათ უცნებათათჳს და სამკაულთა“ 98, 25; „უცნებანი იგი ძილისანი უფროჲსად წურთათაგან დღისათა არიან“ 44, 32. იხ. ოცნება.

უცნობელ-ი უცნობო 180, 11; 181, 38 ცნობიერებადაკარგული.

უცხოყოფა განდგომა, განშორება: „ყოველისავე უკეთურებისაგან სივლტოლაჲ და უცხოყოფაჲ“ 16, 14; „ჭეშმარიტი მარხვაჲ ყოველთაგან ბოროტთა უცხოყოფაჲ არს“ 18, 13.

უძლავს შეუძლია: „განსუენებადცა ვერ უძლავს“ 15, 21.

უძჳრეს-ი 18, 9; 188, 31 უარესი, უმძიმესი, უძნელესი.

უძღებ-ი ხარბი 213, 32 ἄπληστος 2.

უწესს იხ. წეს-.

უწრფელო უსწორო, არასწორი: „ნუ ხედავ უწრფელოდ, არამედ წრფელად“ 190, 35.

უწჳმროება 57, 8; 113, 37 გვალვა, ὁ αὐχμός.

უწყალო მოწყალებას რომ არ გასცემს, ძუნწი: „მუნ არა მტაცებელი ოდენ დაისაჯების, არამედ უწყალოჲცა“ 95, 16.

უწულველ-ი დაუკოდავი: „უკუეთუ არა განჰრისხნე, უწყლველ ხარ“ 74,34.

უჭირველ-ი 65, 2; 68, 9 უდარდელი, უზრუნველი, გაუჭირვებელი.

უჭირველეს-ი, უჭირველეჲ-ი 13, 24 ადვილი, უადვილესი.

უხუად მიმნიჭებელ-ი 32, 33—34; 50, 17 გულუხვი, μεγαλόδωρος.

უხუად მიმნიჭებელობა 80, 17 გულუხვობა.

უხუცე, უხუცეს-ი 2, 34 უფროსი: ეშმაკი... უხუცესი იყო კაცისა“ 195, 3.

უხუცესობა უფროსობა: „რომელსა უ ხ უ ც ე ს ო ბ ა ჲ ენებოს, იქმნეს ყოველთა მონა“ 205, 21.

უჰამლო 114, 24 ფეხშიშველი.

უჰმარ-ი უსარგებლო, გამოუყენებელი: „პირველი იგი დღე მარხვათაჲ უ ჰ მ ა რ და გამოუცდელ იყოს შენდა“ 15, 9; „ჩემიცა ცხორებაჲ უ ჰ მ ა რ გიქმნიეს“ 216, 32.

უჰმობელ-ი ხმაამოუღებელი, ჩუმი: „ვითარცა ტარიგი უ ჰ მ ო ბ ე ლ იყო“ 155, 18.

უჰმს, უჰმან იხ. ჰამ-.

უჯერო 1. უმართებულო, შეუფერებელი: „ნუუკუე სთქუა უ ჯ ე რ ო ჲ რაჲმე“ 139, 20. 2. ურწმუნო: „ამას ზედა იტყჳან უ ჯ ე რ ო ნ ი იგი, ვითარმედ: და რად დაიბადა ყოვლადვე შემწყნარებელად ბოროტისა?“ 62, 32.

უჯეროება 42, 18; 93, 2 უმართებლობა.

ფ

ფარაო 199, 20 ფარაონი, ეგვიპტის მეფე.

ფართოება 30, 30; 115, 14 სიკეთე, სვიანობა, ბედნიერება.

ფარისეველ-ი 202, 13 ძველ ებრაელთა ერთ-ერთი რელიგიური სექტის წარმომადგენელი.

ფაწალა ტყირპი (საბა), ელენთა: „ფ ა წ ა ლ ა თ ა და ღჳძლთა სალმობანი დაერთვიან“ 52, 7.

ფეროვნება კარგი ფერი, ἡ εὐχροια: „ფ ე რ ო ვ ნ ე ბ ა ჲ იგი ოქროჲსა მის მიგიზიდავს“ 90, 7.

ფილაფოზ-ი 26, 3 ფილოსოფოსი, ბრძენი ὁ ῥήτωρ.

ფილაფოზობა 127, 29; 199, 4 σοφιστικός 3, ἡ φρόνησις.

ფიცხელ-ი 174, 23 მკაცრი; უხეში, ტლანქი: „ჳმაჲ მათი ფ ი ც ხ ე ლ არნ და უწესო“ 70, 19.

ფრთე 6, 22, 66, 5 ფრთა.

ფრიად-ი 10, 35 ბევრი: „მიეც მცირედი და მოიგე ფ რ ი ა დ ი“ 119, 20.

ფრიგიელ-ი 99,77 ფრიგიული.

ფრჳივ 110, 30 ფეხით.

ფსალმუნება 188, 34 გალობა.

ფსალმუნნ-ი 189, 28 ფსალმუნთა წიგნი (ძვ. აღთქმის წიგნი).

ფუფუნება აქ: სიმძლრე: „ფ უ ფ უ ნ ე ბ ა ჲ წინამძღუარ არს სალმობათა და დაცემათა“ 8, 2—3.

ფუფუნეულ-ი მაძღარი: „ფ უ ფ უ ნ ე უ ლ ნ ი იგი მოდნობასაცა ვერ მიემთხუევიან“ 8, 10.

ფუცვა, ფუცება 10, 33; 213, 36 ფიცება.

ფქნარება 11, 15; 184, 17 მთქნარება.

ფშჳნვა იხ. მშჳნვა.

ფხურა გლეჯა: „მოხუცებულნი ი ფ ხ უ რ ი დ ი ა ნ მკცეთა თჳსთა“ 113,23.

ქ

ქადება 147, 5; 198, 26 დაპირება; მუქარა.

ქანქარ-ი 138, 28 ფულის ერთეული, იგივეა, რაც ტალანტი.

ქარი ნიავისა, ქარისა ნიავ-ი 6, 10; 137, 36 ქარი, τὸ πνεῦμα.

ქარტა ქაღალდი: „გამოწერეს ქ ა რ ტ ა ს ა ზედა ხატი კაცისაჲ“ 196, 33; „მელნითა და ქ ა რ ტ ი თ ა მიქადებ-ა მოწყალებისა ქმნასა?“ 107, 35.

ქებაჲ ქებათაჲ 122. 1—2 ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნის სახელწოდება.

ქედ-ი კისერი: „თავი... მიმოვარდებინ ქ ე დ ი ს ა გ ა ნ“ 184, 11.

ქედფიცხელ-ი ჯიუტი, ურჩი: „მოდრიკოს მოუდრეკელი იგი გული ქ ე დ ფ ი ც ხ ე ლ თ ა ჲ მათ“ 5, 23.

ქერობინნ-ი 204, 3 ანგელოზთა ერთ-ერთი დასი (უმაღლესი ჩინისა).

ქვაჲ მრავალსასყიდლისაჲ ძვირფასი ქვა, ძვირფასი თვალი: „ოქროჲ გარემოადგენ ქ ვ ა თ ა მათ მ რ ა ვ ა ლ ს ა ს ყ ი დ ლ ი ს ა თ ა“ 101, 19.

ქველისმოქმედ-ი 57, 10 ქველმოქმედი, კეთილი.

ქველისსაქმე 2, 17 სიკეთე.

ქმნულება მოქმედება: „ნუმცა ეჰგონებთ, თუ ქ მ ნ უ ლ ე ბ ა ჲ რაჲმე ფარაოჲსი ბოროტ იყო“ 60, 32.

ქუაბ-ი 203, 29 გამოქვაბული.

ქუე 7, 3; 146, 32 ძირს, ქვევით.

ქუედადრეკილ-ი 79, 23; 216, 14 მოხრილი.

ქუენაყროვნება 4, 25 ღორმუცელობა, ἡ γαστριμαργία.

ქუეყანა 1. 8, 23; 113, 28; 192, 37 მიწა, მიწის ნაკვეთი; 2. 197, 4 მხარე, страна.

ქუეყანისა ზომა მიწისმზომელობა ἡ γεωμέτρια: „ვიეთნიმე შეექცეს ქუეყანისა ზომისა ჴელოვნებასა“ 127, 25.

ქუეყანისა თუალ-ი მიწის წიაღი, საბადო, τὰ μέταλλα: „ვიდრემდის ქუეყანისა თუალთა შინა იყო ოქროჲ, სთხრიდი და ეძიებდი“ 99, 31.

ქუეშეთ ქვევით, ქვევიდან: „გინა ქუეშეთ წარვლასა მისსა“ 131, 4.

ქურციკ-ი 21, 30, 31 გარეთხა, შველი. ἡ δορκάς, άδος.

ქცევა 138, 16 ტრიალი, მოძრაობა: „იგი ადვილად იქცევინ ღელვათა ზედა“ 3, 30; (ფრინველი) „იქცევინ წინაშე მონადირეთასა“ 148, 17.

ღ

ღამე ყოველ 174, 18 მთელი ღამე.

ღელვააღდგომილ-ი 3, 34 ქარიშხალი, გრიგალი, ზღვის ღელვა.

ღელვაგუემულ-ი: „ნავი ღელვაგუემული“ 187, 28 — ზღვის ღელვაში მოხვედრილი გემი.

ღმრთივ წერილ-ი ღმრთის ხელით დაწერილი: „ფიცარნი იგი ღმრთივ წერილნი“ 4, 29.

ღმრთისმეტყუელება 162, 19 მეცნიერება ღმრთის შესახებ: „რომელი კეთილად ღმრთისმეტყუელებდეს, მას უცნობიეს სიბრძნე“ 123, 26.

ღონე 174, 12; 145, 14 ხერხი, საშუალება.

ღონისძიება 3, 7 ვერაგობა, ეშმაკობა, ἡ μεθοδεία: „იგი დღესისა დღესა ღონისძიებით წარიპარავს ჩუენგან და ხვალისა სასოებასა დაგჳტეობს“ 148, 7.

ღოჲნო (B) 10, 1; 17, 23; 187, 16, ღვინო.

ღრიაკალ-ი 194. 9 მორიელი, τὸ σκορπίος.

ღუაწლ-ი 1. 12, 9; 172, 16; 215, 19 ბრძოლა. შეჯიბრი, ὁ ἀγών, ῶνος. 2. 176, 19 წამება.

ღუწოლა ზრუნვა. მზრუნველობა, ἐπι-μελέομαι: „რომელმან ჴორცთა ღუწოლაჲ შეჰმატოს, სულსა დაჰჴსნის“ 9, 7.

ღჳძლისფერ-ი გალურჯებული, ფერდაკარგული, πελιδνός 3: „პირი მათი ღჳძლისფერ არნ“ 70, 16.

ყ

ყენება შეკავება, დაბრკოლება: „რაჲ ლა მაყენებს მე ნათლისღებად?“ 147, 25.

ყინელ-ი 211, 15; 174, 18 ყინული.

ყოვლით კერძო 91, 5; 184, 19 ყოველი მხრიდან, ყოველმხრივ.

ყოვლითურთ მთლიანად: „ყოვლითურთ მჴეცად გარდააქცევს კაცსა“ 69, 4

ყოვლისა პირველად 189, 30 უპირველეს ყოვლისა.

ყრმა 15, 31; 17, 1 ბავშვი, ყმაწვილი.

ყუავილ-ი, ყუავილოვნება სინორჩე, ფეროვნება, τὸ ἄνθος: „ყუავილსა მას შინა სიჭაბუკისასა მყოფი“ 186, 23; „ძუალთა ზედა ფერსა ყუავილოვნებაჲ არა აქუნ“ 118, 18.

ყურყდელ-ი, ყურდგელ-ი 129, 9 კურდღელი.

შ

შალვა: „შალვაჲ გულისაჲ“ 183, 35; 184, 3 გულის არევა.

შარშა 141, 30 შარშან.

შაშუალ იხ. საშუალ.

შებრკოლებულ-ი 186, 23 ბორკილდადებული.

შებრკოლება დაბრკოლება, შეჩერება, προσκρούω: „ვითარ-იგი იქმნების კაცთა შორის შებრკოლებაჲ. იგი განაქიქიან“ 83, 36; „რომლისა მიმართ შევჰბრკოლდე ამათგანსა?“ 90, 27.

შეგინებულება 151, 5 სიბინძურე.

შედგმა იხ. თუალთა შედგმა.

შედგომა, შეთქომა იხ. შეუდგს, შეუთქს.

შეერთება აქ: საერთოობა: „რაჲ შეერთებაჲ ტაძრისა ღმრთისაჲ კერპთა თანა“? 17, 38.

შეზავებულება: „შეზავებულებანი მათნი უცხო ყო ბუნებითისაგან“ 111,25 — თანხმობა, ჰარმონია.

შეთხზვა 211, 2 შეერთება: „ნუ შეეთხზნები საქმეთა სოფლისათა“ 24, 8.

შეიწრება 15, 18; 184, 33 შევიწროება, შეზღუდვა.

შეიწრებულ-ი 113, 20 შევიწროებული, შეზღუდული, შეწუხებული.

შეკადრება 5, 14; 143, 6 გაბედვა, შებედვა.

შეკდიმება, შეკდემა დარცხვენა: „არცა სახელისაგან ღმრთისა... შევიკდიმით" 213, 35; „იცის მან შეკდიმებაჲ გუამთაგან მოწამეთაჲსა" 173, 31.

შეკრძალვა 148, 29 მოკრძალება, მორიდება.

შემაიწრებელ-ი 209, 36 შემაწუხებელი, შემავიწროებელი.

შემასმენელ-ი: 205, 2; „ეშმაკი შემასმენელად გამოითარგმანების" 67,8 — მაბეზღარი.

შემდგომ-ი 144, 38 აქ: ხელქვეითი.

შემთხუევა შეხვედრა: „ივლტი შემთხუევისაგან გლახაკთაჲსა" 93, 31.

შემოგარენ-ი მახლობელი ადგილები: „ცეცხლი... შემოგარეთა მათ შესწუვიდა და მიეახლებოდა ეკლესიასა" 214, 29.

შემოღება შემოტანა, მოტანა: „არარაჲ შემოვიღეთ სოფელსა ამას და არცა რაჲ განღებად გჳც" 211, 28.

შემოხუმა შემოტანა (ბევრისა): „რაჲთა... არა შემოვიხუნეთ სამნი მთავრობანი" 169, 10.

შემოჭდომა შემოსვლა: „შემოჭდის პირუტყუთა ზედა სენი იგი უკურნებელი" 181, 19.

შემსგავსებულ-ი 36, 21 მსგავსი, შესაფერისი, შესაბამისი: „ამისივე შემსგავსებული არს სიტყუაჲ იგი" 126, 23; „შემსგავსებულად ძალისა ჩუენისა გჳთქუამს" 43, 33.

შემურვა დაბალზამება: „შე-ცა-არაგმურონ შენ კეთილად, არამედ ესრეთ, ვითარცა იპოო, დაგმარხონ" 109, 8.

შემუსრვა 178, 15 დამტვრევა, დასახიჩრება.

შემუსრვილ-ი 37, 33 დამტვრეული, დასახიჩრებული, დაჭრილი: „რაჲთა შეცთომილი იგი მოაქციო, შემუსრვილსა შეუხჳო, უძლური განჰკურნო" 24, 2.

შემშჭუალვა, შემსჭუალვა შერთვა, შეერთება: „შემშჭუალენ შიშსა შენსა ჴორცნი ჩემნი" 125, 25.

შემშჭუალულ-ი, შემსჭუალულ-ი 33, 20 მიკრული, მიერთებული: (მუცელი) „საწყალობელად ზურგისა ძუალთა შემშჭუალულ არნ" 118, 26.

შემცვალებელ-ი 115, 11 შემცვლელი.

შემწე იხ. სიტყვთა შემწე.

შემწუარ-ი 184, 23 დამწვარი.

შემწუველ-ი 68,13 დამწველი.

შენერწყუა მიფურთხება: „არა შეჰნერწყო-ა ოქროსა?" 114, 28.

შენნ-ი შენიანები: „ქუეყანაჲ იგი... იქმნას შემდგომად შენსა შენთაჲ მათ" 193, 3.

შერაცხება 118, 29 შერაცხვა, ჩათვლა.

შესაკრებელი კაცთაჲ 2, 7 აქ თეატრი, τὸ θέατρον.

შესმენილ-ი დამნაშავე: „რაჲსათჳს შენ, შესმენილი ეგე, იმალვი და უბრალოსა მას სიტყჳს-მიცემად მიავლენ?" 112, 35.

შესწევს, შესწიო იხ. შეწევნა.

შესწორება 173, 25 გათანაბრება, შეთანასწორება: „შეასწორე განსუენებაჲ იგი ჰირსა ამას" 216, 36.

შესწორებულად 187, 9 თანაბრად, თანასწორად: „შესწორებულად პირველისა მის ვიტყჳ ამისსაცა ცოდვასა" 55, 35.

შეტკბობა 124, 28 მიღება, შეწყნარება.

შეტყუ(ვ)ილ-ი 11, 8 ტყუილი.

შეუდგს, შეუთქს მოსდევს, თან სდევს: „ერთიერთსა შეუთქს" 167, 32; „შრომათა მათ ცოდვისათა სიმწარე... შეუთქს" 149, 8. „ვითარცა უშურველობაჲ თჳსი არს სახიერისაჲ მის, ეგრეთვე შეუთქს ბოროტსა მას შური" 78, 33; „რავდენნი-იგი ბოროტნი შეუდგან ბრძოლათა" 59, 2.

შეუზღუდველ-ი შემოუღობავი, უგალავნო: „ვითარცა სოფელსა, შეუზღუდველსა და მდაბალსა ადვილად შეუჭდიან მბრძოლნი" 37, 24—25.

შეუმსგავსებელ-ი 162, 5 განსხვავებული.

შეურაცხება უპატიოება: „მეფემან მათმან დიდებაჲ თჳსი შეურაცხებად შეცვალა" 113, 26.

შეურაცხყოფა აქ: უარის თქმა: „...შეურაცხ-ჰყოფდენ საზრდელისაცა მიღებასა" 55, 22.

შეურაცხ-ი 126, 30 აბუჩად აგდებული, უგულებელყოფილი.

შეურვება 154, 13 წუხილი, დარდი.

შეურვებულ-ი 144, 29 შეწუხებული, შეშფოთებული.

შეუძლებელ-ი უძლური: „მტერიცა იგი შენი შეუძლებელ ჰყო“ 71, 29; (კაენ) „ღმრთისა ბრძოლად შეუძლებელ იყო“ 80, 25.

შექცევა 1. შებრუნება: „ვერცა ქამისა ეგების შექცევაჲ ანუ დამჰირვაჲ“ 119, 17; „არა არს მდინარისა აღმართ შექცევაჲ“ 119, 15. 2. შედგომა: „ვიეთნიმე შეექცეს ქუეყანისა ზომისა ჴელოვნებასა“ 127, 25; „...რაჲთა არა შეექცეს იგი საქმეთა მუცლისათა“ 29, 8. „ვისნი თუალნი არიან მჴიე? არა ღჳნისა სუმასა შექცეულთანი-ა?“ 183, 36.

შეღება შეტანა, შეყვანა: „გუელნი კბენითა შეიღებენ გესლსა“ 83, 4.

შეღებულ-ი 86, 8 შეღებილი.

შეყენება 174, 18 ჩაგდება, დამწყვდევა: „...შეყენებაჲ თავისაჲ ბნელსა შინა“ 52, 4.

შეყვანება 12, 5 შეყვანა.

შეყოფა 14, 31 შეერთება: „შეეყვნიან ამას სოფელსა და მერმე სიკუდილისა მიერ განიყვნიან“ 47, 26.

შეჩუენება დადანაშაულება, κατερέω → κατηγορέω: „შეაჩუენებდა მათ, რომელნი-იგი უვარისყოფად მოუწოდდეს მას“ 42, 16.

შეცვალება 45, 27 შეცვლა. იხ. ჟამთა შეცვალება.

შეცვალებულ-ი 11, 30 შეცვლილი.

შეძინება დართვა, დამატება: „მერმე შესძინა და თქუა“ 165, 34.

შეძლება აქ: მორევნა: „ესრეთ შეუძლოთ მრავალთა ბოროტთა“ 71, 23.

შეწამება დამოწმება: „თითოეულსა მუნ საქმენი შესწამებენ“ 105, 14.

შეწევნა დახმარება: „გულისთქუმაჲ იგი შესწევს ცოდვასა მას“ 131, 24; „იხილე, ნუუკუე შესწიო ჴორცთა“ 22, 29.

შეწუვა 7, 35; 80, 23 დაწვა.

შეწყნარება მიღება: „რომელიცა მოგცეს, მას შეიწყნარებდ სიხარულით“ 217, 16.

შეწყუდევა დამწყვდევა: „შენ ყოველივე კართა შინა და მოქლონთა შეგიწყუდევიეს“ 88, 20.

შეჭირვება გაჭირვება: „...რაჲთა არა შეშჭირდეს შიმშილითა მართალსა მას“ 117, 2.

შეჭირვებულ-ი 102, 26 გაჭირვებული, შეწუხებული.

შეჭურვა 189, 6 შეიარაღება.

შეჴდომა შესვლა: „სოფელსა, შეუზღუდველსა და მდაბალსა, ადვილად შეუჴდიან მბრძოლნი“ 37, 35.

შვილება 1. აქ გამოზრდა, ἐτιθηνήσατο: „გჳშვილნა ჩუენ ეკლესიამან სიწმიდისა მიმართ“ 14, 16. 2. (ღმერთმა) „მოგუანიჭა ჩუენ სული შვილებისაჲ“ 50, 12; „შეერთინენ ამას ცხორებასა... შვილებითა და მშობელობითა“ 47, 36.

შვილის უფალ-ი 107, 8 შვილის პატრონი, აქ: მამა.

შთაბნევა 212, 14 ჩაყრა.

შთავრდომა 213, 37 ჩავარდნა.

შთავსება დავსება, ჩაქრობა: „...არა ხედავ-ა მზესა, ვითარ აღმოვალს და კუალად შთაივსების?“ 46, 1.

შთასავალ-ი ჩასასვლელი. აქ: ყელი: „გულარძნილთა მათ შთასავალთა მიერ ალავსის მუცელი თჳსი“ 187, 8.

შთასრულ-ი 17, 32 ჩასული.

შთაცუმა 52, 4 ჩაცმა.

შთაჴდა ჩაყვანა: „ცოცხლივ შთაჴჴადა იგი ჯოჯოხეთად“ 77, 30.

შთაჴდომა ჩასვლა: „შთა-ო-უ-ვჴდე ჯოჯოხეთად, მუნცა ახლოსვე ხარ“ 166, 38.

შივილ-ი: „ოხითა და შივილითა... სავსე არიედ ყურნი მათნი“ 182, 3.

შინა 98, 26 შინ, სახლში.

შინაგან 14, 37; 68, 14 შიგნით.

შინაგან-ი 150, 14 შიგნეული: „სენი იგი... განჰლევნ შინაგანსა მისსა“ 79, 31.

შინაგანი კაც-ი 134, 19 სული, ბუნება (ადამიანისა): „...რომლისა მიერ შინაგანი კაცი ჩუენი სრულ იქმნების“ 18, 25. შდრ. გარეგანი კაცი.

შინაგანმცემელ-ი მოღალატე, προδίδωμι: „შუებაჲ შინაგანმცემელ ცხორებისა იქმნების“ 4, 35.

შიშვა შიში: „იშიშვოდის და დაიჴსნებოდის“ 51, 30.

შორის 1. (ზმნზ.) შიგნით, თავისთან, εἰς μέσους: „ესე უძლეველნი ქრისტეს მჴედარნი შორის შემოეიდეს“ 172, 19. „...მეფჱ იგი ამალეკისაჲ... შორის მოიყვანა და მოკლა“ 76, 35. 2. (თანდ.) -ში: „ესე ყოველი... ჰპოო თავსა შორის შენსა“ 27, 19.

შორს-ყოფა მოშორება, უკუგდება: „მეფემ... სამეუფოჲ იგი დიდებაჲ შორს-ყო და გოდებდა ეოისა მის თანა“ 113, 28.

შუა კედელ-ი საზღვარი: დაჰჴსნნეს შუა კედელნი იგი და ღობენი“ 91, 23.

შუბლის საკრავ-ი შუბლის სამკაული, τὸ προμετωπίδιον: „რომელიმე შუბლის საკრავ არნ და რომელიმე მანიაკ“ 101, 19.

შუებულ-ი აქ: წყლით გაჯერებული, დარწყულებული, τὰ εὐθαλῆ: „ვითარცა ნერგნი შუებულნი“ 13, 21. გაფუფუნებული: „ქორცნი შუებულნი და შუენიერნი დადნებიან“ 83, 6.

შურ(ის)-გება შურისძიება: „უკუეთუ ჰპოო მტერი შენი მომყმარი, ნუ შურს-იგებ მტერობითა“ 120, 4.

შურომა გარჯა; დაღლა, დაქანცვა: „ამაოდ შურები“ 11, 8 – ამაოდ ირჯები.

შჳდეულ-ი კვირა, შვიდი დღე: „დანიელ... სამსა შჳდეულსა პური არა ჭამა“ 6, 14.

ჩ

ჩაფხუტ-ი ლითონის თავსაბურავი მეომრისა 14, 4 ἡ περικεφαλαία.

ჩუეულება, ჩუეულობა 1. მიჩვევა. შეჩვევა: „მგზავრნი... ზოგად ყოფითა მით შეეყვნიან ურთიერთას ჩუეულებითა“ 47, 29; „მარხვასა ჩუეულობისათჳსცა და ურთიერთას ბაძვითა მრავალნი თავს-იდებენ“ 17, 24. **2.** გაწვრთნა, θεραπεύω: „ლომნი შინაურ იქმნებიან ჩუეულებითა“ 81, 21.

ჩხივილ-ი: „დასწყნარდინ სახლიცა შენი... ჩხივილისა ტაფაკთაჲსა“ 7, 2.

ც

ცა (ნაწ.) კიდეც: „რომელნიმე... ასოთა დაჴსნილებად მიიწინეს და რომელნიმე მო-ცა-კუდეს“ 37, 1.

ცა იხ. მესამე ცა.

ცალიერება, ცარიელება 36. 24 სიცარიელე.

ცემა 1. მიცემა: „ეც მოცალებაჲ მეტრაპეზესა შენსა“ 6, 36; „ნუ სცემ ძილსა თუალთა შენთა“ 139, 35. იხ. ჟამის ცემა. **2.** დაძგერება. აქ: ჩხვლეტა, კბენა: „უცემენ, ვითარცა ღრიაკალნი, უკბენენ ვითარცა გუელნი“ 69, 8 — ἅπτουσιν ὥσπερ οἱ σκορπίοι.

ცილად ფიც-ი 18, 15 ცრუ ფიცი, ტყუილი ფიცი, ἡ ἐπιορκία.

ცილობა 186, 4 დავა: „აცილობენ ურთიერთას“ 186, 9.

ცისად-ცისად გუემულება: „მთვარეულობა, სომნაბულა: „ჰკურნებს ყოველსა სენსა და ყოველსა ცისად-ცისად გუემულებასა“ 155, 20.

ცნობიერ-ი გონიერი: „ცნობიერი და უცნობო“ 113, 7 გონიერი და უგუნური.

ცოფ-ი 150, 3 გიჟი.

ცრემლოა ტირილი: „ამისთჳს სცრემლოი-ა?“ „ამათთა მათ შრომათა მათთათჳს ცრემლოიან“ 111, 9.

ცუდად ამაოდ, ფუჭად, εἰκῆ: „ჭამლი ეგე, რომელი შენ თანა დალპების ცუდად, უჭამურისაჲ არს“ 94, 36.

ცუდ-ი 123, 7 ამაო, ფუჭი.

ცხედარ-ი 203. 29 საწოლი: „ვეცხლისა ცხედარნი“ 102, 16.

ცხოელ-ი, ცხოველ-ი 155. 29: 177, 19 ცოცხალი.

ცხოელსმყოფელ-ი 9, 3: 23. 28 ცხოველმყოფელი, გამაცოცხლებელი.

ცხოვნება, ცხონება 140, 24 გაცოცხლება: „მოიკუდეთ, აწ, რაჲთა ვცხონდეთ“ 175, 35.

ცხოვრება, ცხორება 145, 12: 178, 10 სიცოცხლე.

ცხორებანი წმიდათანი 189. 29 ჰაგიოგრაფიული თხზულებები.

ძ

ძალ-ი 1. 176, 30 ძალა. **2.** შინაარსი, აზრი 122, 15.

ძალისაგანობა 169, 10 ძალი.

ძალ-დება შეძლება: „ვერ ძალუცნ“ 16, 23. „ბოროტსა უყოფდა კაცსა, ვინაჲთგან ღმრთისაჲ ვერ ძალედვა“ 80, 19.

ძალ-ცემა 75, 16 ძალის მოცემა, ძალის ჩადგმა, გაძლიერება: „საზრდელიცა არა ერთი არს, რომელი ძალგუცემს ჩუენცა და ამათცა“ 14, 11.

ძელ-ი 1. 2, 34 ხე ცოცხალი, მოუჭრელი. **2.** მოჭრილი ხე: „ჭურჭელნი... ძელისაცა და კეცისანი“ 23, 18.

ძი 26,6; 115,10 (ნაწ.) თუ.

ძლით ძალით, ძალდატანებით: „ძლით შეწყნარებულ იქმნიან მცნებანი იგი ღმრთისანი“ 126, 34.

ძნელოან-ი, ძნელოვან-ი 149, 1; 115, 7 ძნელი.

ძნელოვანთაგან-ი 33, 34, ერთი ძნელთაგანი.

ძნელოვნება სიძნელე: „მოიწევიან ესევითარნი ძნელოვნებანი საქმეთანი კაცთა ზედა“ 115, 7, BC.

ძნიად 121, 30; 158, 16 ძლივს, ძნელად: „შევიტკბნეთ ძნიად განრომილნი იგი ძმანი“ 215, 1.

ძოლო 185, 23 ხალიჩა ან ფარდაგი, ბ τάπης.

ძოწეულ-ი 1. წითელი ფერისა, ἁλουργής, 2. 99. 2. 2. ძვირფასი წითელი სამოსი, ή ἁλουργίς: „მეფემან... აღიძარცუა ძოწეული“ 113, 27.

ძუალ-ი იხ. პილოჲს ძუალი.

ძუელი და ახალი წერილი ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმის წიგნები: „მრავალნი გქონან სახენი ძმათმოყუარებისანი ძუელთა და ახალთა წერილთაგან“ 120, 2.

ძუელი რჩული და ახალი ძველი და ახალი აღთქმა: „აღმოიკითხე ძუელი რჩული და ახალი“ 116, 25.

ძუელი წერილი 168,18, ძველი აღთქმა.

ძუელისა რჩულისა მსახურება 5, 15 ქრისტეს წინადროინდელი, წარმართული ღვთისმსახურება.

ძჳრისზრახვა 78, 12 ლანძღვა, ή λοιδορία: (მარხვა) „დაადუმებს ძჳრისზრახვასა“ 15, 30.

ძჳრისმეტყუელება 18, 14 ძვირის თქმა, ცილის დაწამება, ή καταλαλία.

ძჳრისმოქმედ-ი 173, 3 ბოროტმოქმედი.

ძჳრუკსენებელ-ი ἀνεξίκακος 2: „ძჳრუკსენებელ ბოროტისმოქმედთა მიმართ“ 204, 34.

ძჳრხილულ-ი 204, 13 ტანჯვაგამოვლილი, ნაწამები.

წ

წადილისა საქმე სასურველი, საწადელი, ἐπιθυμητός 3.

წამ-ი 139, 35 წამწამი.

წამალ-ი აქ: მხატვრის საღებავი: „იგინი სიტყვთა შეამკობენ, ხოლო ესენი წამლებითა გამოსახვენ“ 171, 5.

წამება მოწმობა, დამოწმება: „ესე ყოველი ვითარ ეწამების სიტყუასა მას მოციქულისასა“? 34,26; „მის ჟამისა იგი უზმობაჲ მარხვასა გიწამებს“ 15, 6.

წამისყოფა 198, 23 ნიშნება (თვალით).

წამლიან-ი შხამიანი, მოწამლული: „...სამართლად შეირაცხვიან გუელთა თანა წამლიანთა“ 69, 13; „პირუტყუნი ივლტიან წამლიანთა მათ და სასიკუდინეთა ჭამადთაგან“ 21, 11; „წამლიანსა მას მატლსა“ 27, 32.

წამსა თუალისასა იხ. ერთსა წამსა თუალისასა.

წარგება 119, 32; 146, 30 დახარჯვა, გაფლანგვა: „უკეთურებასა შინა წარვაგებთ სიმდიდრესა მას“ 213, 13.

წარევნა 183, 34 არევა; 150, 17 უგუნური ლაპარაკი.

წარევნულ-ი არეული: „ენაჲ წარევნულ“ 183, 2.

წარვლა, გავლა: „ესრეთ წარავლებდეს ღამესა მას“ 176, 3; „უშფოთველობით წარვლაჲ ცხორებისა ჩუენისაჲ“ 16, 16.

წარმართება: 1. 130, 2; 132, 20 წარმართვა: „მოცემულ არს ჩუენდა ბრძანებაჲ, რომელსა არა ნებისა ჩუენისაგან აქუს წარმართებაჲ“ 31, 4. 2. წარმატება ή προκοπή: „სხუაჲ ვინმე მდიდარ არნ და იყოფებინ წარმართებასა შინა წყალობითა ღლახაკთაჲთა“ 79, 20. იხ. ქელთა წარმართება.

წარმგზავნა (B) წარგზავნა: „ნუცა წარჰმგზავნი მას სახლისა შენისგან უპატიოდ“ 13, 14.

წარმმართებელ-ი 34, 8 წარმმართველი.

წაროტება 15, 37 გაყრა, განდევნა.

წარპარვა 191, 31 მოპარვა.

წარსაბრკოლებელ-ი 102, 1—2 დასაბრკოლებელი.

წარსაგებელ-ი 99, 37 ხარჯი, სახარჯო: (მდიდრები) ...განჰყოფენ სიმდიდრესა მას მის ჟამისა წარსაგებელად, რომელსა შინა იყვნენ და კუალად მომავალთათჳს ჟამთა“ 98, 17.

წარტაცება 1. მოტაცება: „...არცა ავაზაკთა წარიტაცონ“ 93, 14. 2. გატაცება: „ჩუენ გონებითისა ცოდვისა მიმართა ადვილად წარვიტაცებით“ 20,9 — მოვიხიბლებით.

წარტაცებულ-ი 117, 13 მოტაცებული.

წარტყუენვა გაძარცვა, იავარყოფა: „წარტყუენვანი ქალაქთანი, დამონებანი კაცთანი“ 59, 1.

წარტყუენულ-ი 59, 2; 87, 37 იავარქმნილი.

წარყოფა დაყოფა, გატარება: „უკუეთუ კულა უკეთურებასა შინა წარგეყვნენ დღენი შენნი“ 194, 6.

წარწყმედა 212, 1 დაკარგვა, მოსპობა.

წარჴდა გავლა, გატარება: „რომელნი-იგი... წარჰჴდიდენ ამის ცხორებისა დღეთა“ 33, 17—18; „ჟამი... წარჰჴადეს მიმოსლვასა შინა“ 150, 3.

წარჴდომა: 1. გასვლა: „მცირედი რაჲ ჟამი წარჴდის“ 184, 27. 2. დალუპვა: „წარჴედინ ცხორებაჲ ესე“ 42, 4; „ცაჲ და ქუეყანაჲ წარჴდენ“ 46, 6. 3. 177, 32 დარღვევა: „ღამე არა წარჰჴდების წესსა თჳსსა“ 103, 34. 4. ჯობნა, გადამეტება; „ნაყროვანებითა პირუტყუთაცა წარჰჴდები“ 15, 19; „რომელსა მჴეცსა არა წარჰჴდებიან ესევითარნი იგი ბოროტებითა?“ 81, 19; „ნუცა ისწრაფით, რაჲთამცა უკეთურებითა ერთიერთსა წარჰჴედით“ 70, 35.

წდევა 19, 1 ჩასხმა: „წდია ბარძიმსა შინა ღჳნოჲ თჳსი“ 124, 34; „ვინმე არს. რომელმან სიცოფისა ამის წამალი გჳწდია ჩუენ?“ 186, 32.

წდობა წრთობა, στομόω: „ვითარცა საწდობელმან აწდვის რკინაჲ, აწდო მარხვამან გუამი კაცისაჲ მის“ 6, 18—19.

წერილ-ი 1, 6; 116, 34 წმიდა წერილი, ბიბლია. იხ. ღმრთივ წერილი, ძუელი წერილი, წმიდა წერილი.

წერტა 69, 32 ჩხვლეტა: „უწერტს სულსა მისსა... გარდაცემაჲ სიმდიდრისაჲ“ 88, 6; „...რომელი იწერტებოდის, ვითარცა საწერტელითა, ჴსენებითა მით“ 45, 4—5.

წეს- წოდება: „გუელად, ნაშობად იქედნეთა, უწესს მათ წერილი“ 69, 11; „ბოროტად უწესთ, რომელი-იგი ჩუენდა საჭირო იყოს“ 56, 34.

წიაღ-ი კალთა; არსება: „წიაღთა შინა დედისათა“ 113, 15; „წიაღთა შინა აბრაჰამისთა“ 8,21. „მცნებასა მას... მოეკიდე და შემოიკრიბე წიაღად“ 119, 20.

წიაღ-სლვა 19, 23 მდინარის, წყლის გადალახვა, გადასვლა: (მდინარეს)... „დედანი წიაღ-ვლენ ტჳრთებითა“ 110, 30.

წიაღ-ყვანება 137, 13 გაყვანა, გადაყვანა (წყალზე).

წიდოვან-ი 202, 36 სისხლმდინარი.

წინა-აღდგინება დაპირისპირება: ἀντιστατέω: „წინა-აღუდგინოთ განსაცდელთა მათ მტერისათა ჩუენმიერი იგი ნუგეშინისცემაჲ“ 215, 4.

წინა-აღდგომა 19, 27 წინააღმდეგობა.

წინააღმდგომ-ი 144, 39: 145, 1; 163, 3 მოწინააღმდეგე, მტერი.

წინააღმდგომება 103, 4 წინააღმდეგობა, მტრობა.

წინა განმზადება წინასწარ გამზადება: „რომელსა-იგი აქა მარხვაჲ წინა განგიმზადებს შენ“ 9, 16.

წინამოსწრობით მონაცვლეობით: „ბიჭთა მათ... ურთიერთას წინა მოსწრობით დასდებენ“ 207, 29.

წინამსრბოლ-ი 99, 4 წინ მავალი, ცხენმატარი, ჯალავდარი (განმ. ლ.).

წინამძღუარ-ი აქ: წინაპირობა: „მარხვაჲ წინამძღუარი არს განსუენებისაჲ“ 6, 23: „სიმღერათა იტყჳ-ა, სიძვისა წინამძღუართა?“ 187, 37.

წინაჲთ 159, 24 წინ, წინა მხრიდან.

წინაჲთვე 11, 6 ადრევე.

წინაჲთ კერძო წინ, წინისაკენ: „წინაჲთ კერძო მივიწეოდით“ 206, 13.

წინა-ყოფა წარმოდგენა; შეთავაზება, προ-βάλλω, προτείνω: „უშვილონი... მიზეზსა ანგაჰრებისა მათისასა წინა-გჳყოფენ“ 107, 9; „წინა-გჳყო ჩუენ თარგმანებად დაწყებაჲ იგი იგავთაჲ“ 121,29; „საჭმართა წინა-უყოფდა“ 173, 5.

წინაშე 19, 1 (ზმნზ.) წინ.

წინაშემდებარე მომავალი: „მას არა აქუნდა წინაშემდებარჱ სახჱ წესიერებისაჲ“ 73, 9.

წინა-შეყვანება წინასწარ მოხდენა, წინ წამძღვარება: „რაჟამს მოელოდი მარხვასა, ნუ წინა-შეიყვანებ მთრვალობასა“ 14, 33.

წინდ-ი 166,16 საწინდარი, ὁ ἀρραβών: „წინდ კეთილისა იქმნეს“ 117, 32.

წმიდა წერილი 123,3 ბიბლია.

წოდება 151, 15 მიწვევა.

წრფელ-ი სწორი: „რომელი ხედვიდეს წ რ ფ ლ ა დ, შეწყალებულ იქმნას“ 190, 20: „ნუ ხედავ უწრფელოდ, არამედ წ რ ფ ე ლ ა დ“ 190, 35.

წუადება, წუდომა თავბრუსხვევა, გულის რევა, ἰλιγγιάω: „ხვალე მოხჳდე თავითა დამძიმებულითა, ფქნარებით, წ უ ა დ ე ბ ი თ (წ უ დ ო მ ი თ B) და ჰყროდი დამპლისა მის ღვნისაგან“ 11, 16.

წუევა, წუევნა 3, 20 იძულება: „რაჲსათჳს ა წ უ ე ვ მტერსა... დაპყრობად სიმტკიცესა ზღუდეთა შენთასა?“ 11, 23; „რომლისა მიმართცა ა წ უ ე ვ დ ე ს, მუნცა მივიდოდის“ 75, 24; „თქმულ არს სიბრძნისა მიმართ წ უ ე ვ ნ ა ჲ წიგნსა ამას შინა“ 124, 17.

წუელ-ი, წუელა 25, 17; 34, 9 ნაწვერალი, ნამჯა.

წუერ გამოიქმნების 145, 22 ἀνηβάω, გაახალგაზრდავდება.

წუთხ-ი დაწყლულებული, τὸ ἕλκος: „ბუზნი... წ უ თ ხ ი ს ა მიმართ და დამპლისა ჴორცისა მივლენ“ 83, 31.

წულ-ი 133, 31 ძე.

წულილ-ი 1. სუსტი, უნდილი: „სთქუა შენ სიტყუაჲ რაჲმე, წ უ ლ ი ლ ი და უნდოჲ“ 150, 15. 2. 100, 9 წვრილი ფული.

წურთა 18, 17 წვრთნა სწავლება: „გ ე წ უ ა რ თ ა განბნევაჲ მონაგებისაჲ მის“ 97, 18: „კიცვსა... იწყებენ წ უ რ თ ა დ“ 52, 30.

წურთილ-ი 13, 24 გაწვრთნილი.

წურთილება 126, 11 წვრთნა, ვარჯიში.

წჳმება წვიმა: „წ ჳ მ ა ცეცხლი ზეცით“ 116, 6.

წყალობა 113, 21 შეცოდება, სიბრალული: „მომკუდართა მათ ვ ს წ ყ ა ლ ო ბ თ“ 45, 18.

წყლევა 41, 5; 127, 8 დაჭრა: „მე ვ წ ყ ლ ა და მე განვკურნო“ 59, 16.

წყლითრღუნა 4, 11 წარღვნა.

წყლულ-ი 186, 35 დაჭრილი.

წყლულება 31, 17; 32, 6 დაჭრა, ჭრილობის მიყენება.

წყობა ბრძოლა, ἡ στρατεία: „მარხვაჲ საჭურველი არს წ ყ ო ბ ი ს ა მიმართ ეშმაკთაჲსა“ 10, 3.

წყრთა 6, 8 სიგრძის საზომი ერთეული.

წყურიელ-ი 110, 33 მწყურვალი: „წ ყ უ რ ი ე ლ ს ა ტკბილად უჩნს სუმაჲ წყლისაჲ“ 7, 14.

წყურილ-ი 18, 29; 36, 18 წყურვილი.

ჭ

ჭამად-ი 3, 18; 9, 32 საჭმელი, ἡ τροφή.

ჭალაკ-ი 12, 34 კუნძული.

ჭეშმარიტებით ჭეშმარიტად, ნამდვილად: „ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი თ გლახაკ ხარ და ნაკლულევან“ 98, 35.

ჭირ-ი 114, 2; 115, 33; 126, 19 გასაჭირი, გაჭირვება.

ჭირვება 115, 36 გაჭირვება: „ი ჭ ი რ ვ ი ნ ზედაჲსზედა მიმოქცევითა“ 15, 21; „გამოგცდის შენ ანგაჰრებაჲ და გ ა ჭ ი რ ვ ე ბ ს ვითარცა იოსებს დედოფალი“ 120, 8.

ჭირვეულ-ი 114, 2: 178, 6 გაჭირვებული: „მოეც შენცა ჭ ი რ ვ ე უ ლ ს ა ამას მონასა შენსა წყალობაჲ“ 117, 28.

ჭრტინვა დაჩივლება, შეტირება. „ი ჭ რ ტ ი ნ ო ს შენთჳს“ 13, 16; „ობოლთა... უჩუენნენ მას ცრემლნი მათნი და ი ჭ რ ტ ი ნ ო ნ“ 193, 17.

ჭურ-ი 157, 1 ჭურჭელი.

ჭურვილ-ი შეიარაღებული: „კაცი ჭ უ რ ვ ი ლ ი“ 186, 23.

ჭურჭელ-ი 65, 22 აქ: იარაღი: ინსტრუმენტი; საშუალება: „ესე ყოველნი ჭ უ რ ჭ ე ლ ნ ი არიან სათნოებისანი“ 84, 23.

ხ

ხადილ-ი 54, 24; 186, 33 ძახილი, მოწოდება.

ხალენ-ი 8, 18: 114, 25 ცხვრის ან თხის ტყავი, ἡ μηλωτή.

ხარისხ-ი საფეხური (კიბისა): „კიბესა ამაღლებულნი მარადის უზეშთაესსა მას ხ ა რ ი ს ხ ს ა აღიღებენ ფერჴსა“ 103, 13.

ხარკის მეძიებელ-ი 7, 4 ხარკის ამკრეფი.

ხარკის მომკდელ-ი 16, 10 ხარკის ამკრეფი.

ხატ-ი სახე, გამოსახულება; ნახატი, სურათი: „ხ ა ტ ი აქუნ მას გონიერებისაჲ“ 8, 14; „ხ ა ტ ა დ ღმრთისა დაებადენით“ 32, 35; „გამოწერეს ქარტასა ზედა ხ ა ტ ი კაცისაჲ“ 196, 33.

ხენეშ-ი დამპალი, უვარგისი, σαθρός 3: „მოშურნენი... ხ ე ნ ე შ თ ა მათთჳს ისწრაფიან“ 83,33; „ვითარცა პურპელი ხ ე ნ ე შ ი“ 185,7.

ხვალისა დღე 141, 32. ხვალ, მეორე დღეს.

ხლდომა 188,1 ხტომა: „ხ ლ დ ე ბ ო დ ა ვითარცა ირემი“ 157,11.

ხორშაკ-ი სიცხე, ცხელი! „ხ ო რ შ ა კ ი ს ა იგი სენი“ 182,31; „ქუეყანათა მათ ხ ო რ შ ა კ ი ს ა თ ა“ 65,18.

ხრწევა დაბრკოლება, ხელის შეშლა: „თითოეული მახლობელისა თჳსისა საქმესა არა ა ხ რ წ ე ვ ს“ 29,14.

ჴ

ჴამ-: **უჴმს** სჭირდება: „გლახაკი იგი არს, რომელსა მრავალი რაჲ უ ჴ მ ნ და არა აქუნ“ 102,33; „უცხონი ფერჴნი უ ჴ მ ა ნ სლვად“ 27,7; „ვითარცა უძლურთა უ ჴ მ ს მკურნალი, ეგრეთვე უგუნურთა — სიბრძნე“ 125,7.

ჴამლ-ი 94, 36 ფეხსაცმელი.

ჴდომა 186,3 ბრძოლა: „ჴ დ ო მ ა ს ა შინა ბოროტსა უუბადრუკეს არს, რომელმანცა სძლოს“ 70,36.

ჴელთა წარმართება ხელის მიყოფა: „ეგე ვერ შემძლებელ არს... ჴ ე ლ თ ა წ ა რ მ ა რ თ ე ბ ა დ ბოროტისა მიმართ“ 125,33.

ჴელითწერილ-ი, ჴელისწერილ-ი 107, 19; 114,4 ხელწერილი.

ჴელისამპყრობელ-ი 45, 15; 194, 15 მფარველი, მცველი.

ჴელის აღპყრობა მფარველობის გაწევა: „ვინ ჴ ე ლ ი ა ღ უ პ ყ რ ა ქურივსა ჭირვეულსა?“ 114,2.

ჴელის განღება: „ამისთჳსცა ღმერთიცა არა გ ა ნ გ ჳ ღ ე ბ ს ჴ ე ლ ს ა“ 112,13—14 — ღმერთიც არ მოგვეიმართავს ხელს.

ჴელმწიფება 212, 33 უფლება: „ჴ ე ლ მ წ ი ფ ე ბ ა ს ა ც ა ღმრთისასა შეურაცხ-ჰყოფდა“ 61,18; „რაჲთამცა სულთაცა ჴ ე ლ მ წ ი ფ ე ბ ა ჲ მიიღეთ“ 173,36.

ჴელოან-ი, ჴელოვან-ი მცოდნე, დახელოვნებული; ოსტატი: „ჴ ე ლ ო ვ ა ნ ნ ი იგი მწყსელნი ცხენთანი“ 15,16; „ქალაქი იგი ღმრთისაჲ, რომლისა ჴ ე ლ ო ა ნ ი და აღმაშენებელი არს ღმერთი“ 171,26.

ჴელოვნად შემოქმედ-ი, ჴელოვნად მოქმედ-ი 111,36 დიდოსტატი, ὁ ἀριστοτέχνης: „თაყუანის-ეც ჴ ე ლ ო ვ ნ ა დ შ ე მ ო ქ მ ე დ ს ა მას ყოველთასა ღმერთსა“ 44,22.

ჴელოვნება 49,32; 124,16 ხელობა, პროფესია: „ისწაო ჴ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ჲ მენავეთმოძღურებისაჲ“ 139,27.

ჴელპყრობით ხელში აყვანილი: „განიყვანებენ მანდაჲთ ჭაბუკთა მათ ახოანთა ჴ ე ლ პ ყ რ ო ბ ი თ, ვითარცა წყლულთა ბრძოლისაგან“ 186,34.

ჴმამაღლობა ყვირილი, ღრიალი, ἡ κραυγή: (მარხვაჲ) „დაამდოვრებს ჴ მ ა მ ა ღ ლ ო ბ ა ს ა“ 15, 29.

ჴმარება 131,17 ხმარება, მოხმარება: „არავის... ე ჴ მ ა რ ნ ი ა ნ სხჳსა ფერჴნი სავალად“ 8,8.

ჴმაწულილ-ი წვრილი ხმით მოლაპარაკე, ἰσχνόφωνος, 2 152, 17.

ჴმელ-ი ხმელეთი: „ზღუასა შინა და... ჴ მ ე ლ ს ა ზედა“ 39,26.

ჴმობა 113,13 ყვირილი, ღრიალი.

ჴომ-ი ვარსკვლავთა ჯგუფი კუროს თანავარსკვლავედში: „ჯერ-არს მართებაჲ ნავისაჲ დღისი მზისა მიერ, ხოლო ღამით ჰოჲასაგან ანუ ჴ ო მ თ ა ანუ თუ სხუათა მათ საჩინოთა ვარსკულავთა“ 139,30.

ჴორცნ-ი 210,29 გვამი, სხეული.

ჴსნილ-ი 142,27 განთავისუფლებული.

ჴუმევა, ჴმევა მოხმარება: „რ̄ი-იგი გაქუნდეს, კეთილად ი ჴ მ ი ო“ 27, 18; „უკუეთუ სულგრძელებაჲ ი ჴ უ მ ი ო“ 72,13.

ჴუმილვა ცვა, დარაჯობა: „ესენი ჴ უ მ ი ლ ვ ი დ ე ნ შენ თანა საცავსა მას ზედა“ 149,25.

ჴუნდ-ი 48, 34, ფეხის ბორკილი, ხუნდი.

ჴურვა ხურვება, ცხელება: „რომელი-იგი მარადის ჴ უ რ ა ვ ნ და მარადის სოლდებინ ლჳნითა“ 184,31.

ჯ

ჯერისა საჴმარ-ი საკმარისი, დამაკმაყოფილებელი ქონება, ἡ αὐτάρκεια. „ვინ არს ანგაჰრი? — რომელი-იგი არა ეგოს ჯ ე რ ი ს ა ს ა ჴ მ ა რ ს ა ზედა“.

ჯეროან-ი 51,35 საკმარისი.

ჯერ-ჩენა, ჯერ-ჩინება 4,30 საჭიროდ, მიზანშეწონილად მიჩნევა: „ჯ ე რ-მ ი ჩ ნ ს ნაკლულევანებისა მის აღსრულებად“ 43,29; „არა ჯ ე რ-ი ჩ ი ნ ა ნამეტნავისაჲ მის გლახაკთადა მიცემაჲ“ 87,24.

ჯმნა 147,14, გაცლა, განშორება.

ჰ

ჰაერკეთილობა 137,33 მშვიდი ამინდი, აქ: დღეკეთილობა, სვიანობა.

ჰამება ამება, სიამოვნება: „არცა ე ჰ ა მ ე ბ ო დ ი ს სხუათა იგი მწუხარებაჲ“ 51,37; „სიტყუათა მიერ ბილწებისათა ა ჰ ა მ ე ბ ე ნ“ 213,17.

ჰამო 7,15 ამო, სასიამოვნო: „ნიავითა ჰამოჲთა“ 139,9. იხ. სიჰამოვნე.

ჰასაკ-ი 134, 13 სხეული, აღნაგობა, τὸ σῶμα: „შუენიერებაჲ ჰ ა ს ა კ ი ს ა ჲ“ 198,30; „წარჴდა-ა ჰ ა ს ა კ ი ს ა სიჭაბუკჱ?“ 145,10.

ჰგიან იხ. გება.

ჰოია მორიელისკუდა, ღრიანკალი (ერთ-ერთი თანავარსკვლავედის სახელწოდება): „ჯერ-არს მართებაჲ ნავისაჲ დღისი მზისა მიერ, ხოლო ღამით ჰ ო ი ა ჲ ს ა გ ა ნ, ანუ ქომთა ანუ თუ სხუათა მათ საჩინოთა ვარსკულავთა“ 139, 29.

ჰრომ-ი 199,33 რომაელი.

ჰრომულ-ი 99,18 რომაული.

ჰრულ-ი 139,35 რული, ძილი.

«ПОУЧЕНИЯ» ВАСИЛИЯ КЕСАРИЙСКОГО В ПЕРЕВОДЕ ЕВФИМИЯ АФОНСКОГО

Резюме

Настоящая работа представляет собой первую публикацию «Поучений» Василия Кесарийского (Великого, IV в.) в переводе выдающегося представителя древнегрузинской литературы Евфимия Афонского (X—XI вв.) с филологическим исследованием и словарем.

Греческий сборник проповедей Василия Великого под названием «Этики» условно делится на две части: проповеди догматического и морально-этического характера (т. н. беседы на разные темы) и проповеди на темы псалмов. Переводя «Этику» Василия на грузинский язык, Евфимий Афонский первоначально перевел только догматические и морально-этические проповеди под названием «Поучения», которые дошли до нас отдельными рукописными сборниками (Ath 32, H 2251, Jer 14). В дальнейшем были переведены проповеди на темы псалмов. Слияние обеих частей, видимо, произошло позднее, так как самая ранняя грузинская рукопись, содержащая полный текст греческой «Этики», датируется XII в. (A 927).

Рукописи Ath 32, H 2251 и Jer 14, кроме догматико-моральных поучений Василия Великого, содержат дополнительно несколько сочинений других авторов (Григория Назианзина, Григория Нисского и Андрея Критского) примерно в одинаковой последовательности. Надо полагать, что в таком виде эти сборники были составлены на грузинском языке.

Предлагаемый текст «Поучений» (он заключает в себе всего 21 поучение) публикуется по вышеназванным рукописям: Ath 32 (литерой A), H 2251 (B), Jer 14 (C).

Рукописи Ath 32 и Jer 14 датированы самими писцами (соответственно 977 и 1055 гг.), а рукопись H 2251 датируется на основании приписок и колофонов. В частности, в них упоминается писец Иорданэ, который специально был послан царем картвелов Давидом (Давидом Курапалатом) в далекую Мтацминду (на Афон) к Евфимию Афонскому, чтобы сделать и доставить на родину копию перевода.

Упомянутый в приписках царь Давид (Курапалат) мог носить титул «царя картвелов» только в 994—1001 гг., после смерти царя картвелов Баграта (†994) до своей кончины (†1001)[1]. Поскольку приписки и колофоны относятся ко времени составления сборника H 2251, постольку и рукопись датируется 994—1001 гг.

Изучение списков «Поучений» показало, что между этими тремя грузинскими рукописями нет прямой связи и они не переписаны друг от друга. Взаимоотношения между ними, с точки зрения их состава и последовательности глав, можно представить в виде следующей таблицы:

---

[1] Сам факт, что царь Давид Куропалат имел титул «царя картвелов», подтверждается именно этими приписками.

	Ath 32	H 2251	Jer 14
Житие и восхваление Василия (Гр. Назианзина)	1	1	1
Восхваление Василия (Гр. Нисского)	2	2	2
О посте, первая	3	5	3
О посте, вторая	4	6	4
На слова: «внемли себе»	5	7	36
О благодарении	6	8	7
На память св. мученицы Иулитты	7	9	34
О том, что бог не виновник зла	8	10	5
На гневливых	9	11	8
О зависти	10	12	9
На слова из Евангелия от Луки	11	13	6
К обогащающимся	12	14	10
Во время голода и засухи	13	15	11
На начало Книги Притчей	14	16	12
К принятию св. крещения	15	3	31
О вере	16	25	13
На слова: «в начале было слово»	17	26	14
О св. духе	18	27*	15
О сорока мучениках	19	28*	35
На упивающихся	20	17	16
О том, что было сказано в городе Лакиз	21	18	17
О смиренномудрии	22	19	18
О том, что не должно прилепляться к житейскому	23	20	19
Восхваление св. Маккавейцев (Гр. Назианзина)	24	21	—
Восхваление св. Георгия (Андрея Критского)	25	22	33
О возвышении креста (Андрея Критского)	26	24	32
О успении Богородицы (Андрея Критского)	27	23	30
К принятию св. крещения (Гр. Назианзина)	—	4	—
Поучения Василия (10 чтений)	—		20—29

В настоящее время в рукописи Н 2251 поучения 27 и 28 («О Св. духе» и «О сорока мучениках») отсутствуют, по той причине, что последние страницы рукописи утеряны.

В основу данного издания «Поучений» легла рукопись 977 г. Ath 32, самая ранняя из рукописей афонской коллекции.

Автограф Евфимия до нас не дошел. Поэтому нам трудно судить, каким был вышедший из его рук текст «Поучений» Василия. Три выше названные рукописи обнаруживают определенные различия между собой как в составе, так и в текстуальном и языковом отношениях. Наиболее существенные различия все три рукописи проявляют в орфографии и фонетике. Очевидно, инициатива писца приобретает наибольший размах именно в этой сфере. Поскольку списки А, В и С не исходят друг от друга, то засвидетельствованные в двух из них языковые особенности, наряду с другими, общими для всех трех рукописей, можно считать принадлежащими Евфимию. Изучение рукописей с этой точки зрения показало, что текст Евфимия с наименьшими отклонениями, по всей вероятности, сохранен в рукописи А, затем идет В и, наконец, следует С — в хронологической последовательности.

Перевод «Поучений» выполнен Евфимием Афонским с соблюдением грамматических норм позднего классического грузинского языка,

поэтому-то в нем явно чувствуется приток новых грамматических форм и лексических единиц. В результате сопоставления переводов Евфимия — «О посте, первая» и «О сорока мучениках» с древними переводами этих же текстов выявились особенности, отражающие тенденции и закономерности развития грузинского языка X в., как переходного этапа от древнегрузинского к новогрузинскому. Оказалось, что в переводе Евфимия шире представлены те грамматические формы и лексические единицы, которые начинали прокладывать путь в языке, тогда как ограничено употребление тех архаичных форм и лексических единиц, которые с течением времени утрачены языком, или же утратили свое первоначальное значение.

Переводческий метод Евфимия Афонского характеризуется следующими особенностями:

1. При переводе Евфимий избегает употребления греческих слов, стремясь подыскать для каждого из них грузинское соответствие. В тексте «Поучений» встречается не более 40 греческих слов. Большая часть из них проникла в грузинский язык намного раньше до Евфимия устным или письменным путем.

2. Продолжая тенденции древнегрузинских переводчиков, Евфимий избегает также дословного перевода. По возможности стараясь не отклоняться от смысла подлинника, он систематически заменяет греческие конструкции грузинскими и повествование подчиняет требованиям грузинской стилистики.

3. В переводе в основном сохранены художественные образы подлинника.

4. Как известно, одним из особенностей переводческого метода Евфимия является редакционные изменения, вносимые им в переводы, что проявляется в основном в опущении отдельных пассажей источника или включении нового материала. В «Поучениях» Василия нами засвидетельствован лишь метод дополнения: о гомилии «О сорока мучениках» Евфимий Афонский, с целью сделать повествование более увлекательным и впечатляющим, расширяет его собственными комментариями; в двух гомилиях — «О вере в святую троицу» и «О святом духе», которые, по мнению Евфимия, с позиции ортодоксального христианства нуждались в поправках, вставлены пассажи догматического характера из сочинений Григория Назианзина.

შინაარსი

შესავალი 03
ხელნაწერები 010
„სწავლათა“ ხელნაწერების ურთიერთმიმართებისათვის 024
„სწავლათა“ შედგენილობა და მისი მიმართება „ითიკის“ კრებულებთან 025
ძეგლის ენის საკითხები 031—053
I. ხელნაწერთა ორთოგრაფიულ-ფონეტიკური თავისებურებები 031
II. გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებები 038
თარგმანის საკითხები 053—072
I. ბერძნული ლექსიკა „სწავლათა“ თარგმანში 053
II. ქართული თარგმანის სინტაქსურ-სტილისტური მიმართებისათვის ბერძნულთან 057
III. ქართული ტექსტის მხატვრული სახეები და მათი მიმართება ბერძნულთან 066
IV. ე. წ. „შემატებისა და დაკლების“ შესახებ 068
ტექსტისათვის 072
ტექსტი 1—218
I. თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისი მარხვისათჳს, თავი ა 1
II. მარხვისათჳსვე, თავი ბ 12
III. სიტყჳსა მისთჳს მოსე წინაჲსწარმეტყუელისა, რომელსა იტყჳს, ვითარმედ: „ეკრძალე თავსა შენსა“ 19
IV. მადლობისათჳს 30
V. ივლიტა მოწამისათჳს და ნაკლულევანებისათჳს პირველ თქუმულისა მის თავისა და მადლობისათჳსვე 40
VI. ვითარმედ: „არა არს ღმერთი მიზეზი ბოროტთაჲ“ 54
VII. მრისხანეთათჳს 68
VIII. შურისათჳს 78
IX. სიტყჳსა მისთჳს ლუკაჲს სახარებისა, რომელი იტყჳს მდიდრისა მისთჳს, ვითარმედ: „დავარღჳნე საუნჯენი ჩემნი და უდიდესნი აღვაშენნე“ და ანგაჰრებისათჳს 86
X. მდიდართა მიმართ 95
XI. რომელი თქუა ჟამსა სიყმილისა და უწჳმროებისასა 109
XII. დაწყებისათჳს სოლომონის იგავთაჲსა 121
XIII. წმიდისა ნათლისღებისათჳს მათდა მიმართ, რომელნი იგი გჳანად ნათელ-იღებდეს 140
XIV. სარწმუნოებისათჳს წმიდისა სამებისა 151
XV. თქუმული დაწყებისათჳს იოვანეს სახარებისა, ვითარმედ: „პირველითგან იყო სიტყუაჲ“ 157

XVI. სულისა წმიდისათჳს . 163
XVII. შესხმაჲ წმიდათა ორმეოცთაჲ 170
+XVIII. მომთრვალეთათჳს, რომელ თქუა შემდგომად აღვსე-
ბისა დღითა ერთითა . 179
XIX. რომელი თქუა ლაკიზეს შინა ქალაქსა. 189
+XX. სიმდაბლისათჳს . 197
XXI. არაშექცევისათჳს საქმეთა სოფლისათა და ცეცხლისა
მისთჳს, რომელი შეედვა მაშინ კესარიელთა ქალაქსა 205
ლექსიკონი . 219
«Поучения» Василия Кесарийского в переводе Евфимия Афонского (Резюме) 275

«ПОУЧЕНИЯ» ВАСИЛИЯ КЕСАРИЙСКОГО В ПЕРЕВОДЕ ЕВФИМИЯ АФОНСКОГО

К изданию подготовила, исследованием и словарем снабдила
Ц. И. Курцикидзе

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
1983

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 1912

რეცენზენტები ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები:
ლ. ჯღამაია, ნ. ქაჯაია

გამომცემლობის რედაქტორი დ. ნათიშვილი
მხატვარი ე. ხმალაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
კორექტორი ა. გოგეშვილი

გადაეცა წარმოებას 23.11.1982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.10.1983;
ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1}/_{16}$; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 30.8;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 27.5;

უე 03988; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 2656

ფასი 4 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19